ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით წოწკოლაური

ვაჟა-ფშაველას თეორიულ-ლიტერატურული ნააზრევი

საშყაროსეულ და მცატვრულ ღირებულებათა ურთიერთმიმართების პრობლემა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ძირითადი თემები. წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიური მიმართულების სტუდენტებისათვის. ასევე ის გარკვეულ სამსახურს გაუწევს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს.

სამეცნიერო რედაქტორი პროფ. **იუზა ევგენიძე**

რეცენზენტები: პროფ. **ირმა რატიანი**
პროფ. **სალომე ყუბანეიშვილი**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISBN 978-9941-13-046-5

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიდი მწერლის შემოქმედების კვლევის მიზანია მისი მემკვიდრეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული წყაროების დადგენა, მათ საფუძველზე შექმნილი ჟანრობრივად განსხვავებული თხზულებების სოციალურ-ფსიქოლოგიური თუ იდეურ-მხატვრული ღირებულებების შეფასება. ასეთი მიზანი თავისთავად გულისხმობს მწერლის შემოქმედების რამდენიმე მიმართულებით შესწავლას: ერთი მიმართულება მისი თეორიულ-ლიტერატურული ნააზრევის მსოფლმხედველობრივ ნაკადთა რაობის დადგენაა, მეორე – ჟანრობრივად ნაირგვარი ქმნილებების იდეურ-მხატვრული ანალიზი, ხოლო კვლევის მესამე მიმართულების ამოცანაა შემოქმედის პუბლიცისტური და მხატვრული თხზულებების ურთიერთმიმართებათა ასპექტების გამომზეურება. აღნიშნული მიდგომები მოითხოვს მწერლის მსოფლხედვისა და პოეტური იდეალის ყველა იმ ნაკადის გათვალისწინებას, რამაც უნდა ცხადყოს ზოგადად კულტურის მთლიანობაში მისი შემოქმედების ადგილი და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით და ახალი დროის რეალიების გათვალისწინებით შესწავლილია ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობა, ნაჩვენებია, თუ რანაირი კავშირები არსებობს პოეტის თეორიულ ნააზრევსა და მხატვრულ ქმნილებებს შორის. ამასთანავე, მოცემულია ცდა პოეტის თეორიული შეხედულებებისა და მხატვრული ხედვის თვითმყოფადობათა შეფასებისა. განხილულია მწერლის ეპიკურ თხზულებათა სიუჟეტებისა და სახე-იდეების სისტემაში ზნეობრივი ღირებულებების დანიშნულების საკითხი.

ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის საუკუნოვანმა კვლევამ ცხადყო პოეტის თეორიული და მხატვრული ნააზრევის დიდი მნიშვნელობა; ცხადია, მისი შემოქმედების დადებითი შეფასებების გვერდით გამოითქვა მრავალი მცდარი თვალსაზრისიც. ლიტერატურათმცოდნეთ შეეძლოთ, რასაკვირველია, შეცდომების აცილება, თუკი ღრმად იქნებოდა შესწავლილი პოეტის თეორიული ნააზრევი. ვაჟა-ფშაველა თავად იყო ღრმა და მრავალმხრივი მოაზროვნე, დიდი ერუდიციისა და გემოვნების ლიტერატურათმცოდნე და ამიტომ მისი მხატვრული ქმნილებების შეფასებისას

პოეტის თეორიულ შეხედულებებს უბადლო მნიშვნელობა აქვს. პოეტის თეორიული ნაფიქრი არ იყო იზოლირებული მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისაგან, მაგრამ ის მაინც ორიგინალობით გამოირჩევა. მასში განსაკუთრებით ფასეულია უშუალო თვითდაკვირვებებისა და შემოქმედებითი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული პრინციპები. მწერალი ჭაბუკობიდანვე გულმოდგინედ ეძიებდა გენიოსთა ქმნილებების უკვდავების მიზეზებს და აფასებდა იმ ზოგად შემოქმედებით კანონზომიერებებს, რომლებიც თითქმის ერთნაირი სახით იკვეთებოდნენ ყველა დროის და ქვეყნის ხელოვანთა პრაქტიკაში. მისი თვალსაზრისით, დიდი მწერლები მთელს სინამდვილეს მთლიანობაში გრძნობენ, წარმოისახავენ და ამ საფუძველზე ქმნიან თვითმყოფად მხატვრულ სამყაროს.

ვაჟა-ფშაველა ლიტერატურის კრიტიკოსებს შეახსენებდა, რომ შემოქმედის მხატვრული სამყაროს, როგორც მთლიანი ფენომენის, სწორი შეფასება შეუძლებელია მისი მხოლოდ რომელიმე ნაწარმოების მიმართ წინასწარ განზრახული კითხვის დასმითა და მასზე პასუხის გაცემით. პოეტის ცხოვრება და შემოქმედება დიდი სისტემური მთლიანობაა და, მისი აზრით, ამ მოვლენის შესწავლის მეთოდიცა და მიზანიც სისტემური, ანუ მთელის მომცველი უნდა იყოს. მწერლის მთლიანი მხატვრული სამყაროს შეფასება, ვაჟა-ფშაველას განმარტებით, ისტორიზმის პრინციპის საფუძველზე უნდა ხდებოდეს. ამგვარი კომპლექსური მოვლენების გაუთვალისწინებლობამ პოეტი რამდენჯერმე აიძულა ლიტერატურულ განსჯაში მიეღო მონაწილეობა და ღრმა დაკვირვებათა შედეგები მიეწოდებინა მკითხველისათვის როგორც საკუთარი თხზულებების შემოქმედებითი პროცესების, ასევე სხვა დიდი მწერლების ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ღირებულების შესახებ. მისი განმარტებით, რუსთველმა „ვეფხისტყაოსანში“ მთელი საქართველოს სულიერი ცხოვრების სურათი და ერის ხასიათისა თუ იდეალის ყოვლისდამტევი შინაარსი წარმოადგინა. ამიტომ რუსთველის სპარს პოეტთა ეპიგონად გამოცხადება, პოეტის აზრით, კრიტიკის უმწიფრობისგან გამოწვეული შეცდომა იყო.

ვაჟა-ფშაველამ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველთა საფუძვლად არა მარტო საქართველოს ისტორიული სინამდვილე, ქართული წეს-ჩვეულებები, ზნეობა თუ ხასიათი მიიჩნია, არამედ მთელი ქვეყნის ბუნებაც. სამშობლოს მთა-ბარისა და წყალ-ჭალის სიყვარულის გარეშე, მისი აზრით, რუსთველი თავის პოემას

ვერ დაწერდა, თუმცა მასში ქვეყნის დაბა-ქალაქების სახელები არა ჩანსო. საზოგადოდ, ვაჟა-ფშაველას მრწამსით, ბუნებისა და ცხოვრების გარეშე პოეზია ვერ იარსებებს. ბუნებასა და ცხოვრებაში არის ფესვგადგმული ყოველი ტომის თუ ერის თვითარსებობის, მისი ინდივიდუალობის მიზეზები. ეს ინდივიდუალური საზრისი პოეზიამ თავისებურად უნდა გახსნას. პოეტმა ბუნების გონიერება დასახა ეროვნული, კერძოდ, „ჯანსაღი ნაციონალიზმის“ იდეის უკვდავების საფუძვლად. ბუნება ამკვიდრებს სიცოცხლის მრავალსახეობისა და ინდივიდუალური თვითგანვითარების პირობებს, რომელთა ერთ-ერთი ამომცნობი პოეზიაცაა. ამიტომ, ვაჟა-ფშაველას მრწამსით, ბუნება არასოდეს მოსპობს მრავალსახეობათა არსებობის პირობებს და ამით არც პოეზიას დაუკარგავს მათი ლამაზი არსის გამოხატვის სარბიელს.

გენიოსი იმიტომ არის გენიოსი, რომ მის შემოქმედებაში თაობები მუდმივად აღმოაჩენენ ხოლმე სინამდვილესთან აქტიური დამოკიდებულების მრავალ მოტივსა და ასპექტს. დიდი მწერალი ნაირგვარი ფორმით გამოთქვამს სათქმელს და საკუთარი უნარით განსაზღვრავს თემატური არჩევანის მხატვრული ზემოქმედების ძალასაც. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში არ იპოვება ერთი ფაქტიც კი, რომ პოეტის მხატვრულ მიზანთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს მისივე თეორიული შეხედულებები. ამით იგი ცხადყოფს საკუთარი შემოქმედებითი ინტერესების მონოლითურობას. საგულისხმოა, რომ პოეტის მითოლოგიურ-რელიგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოკლორისტულ-ლიტერატურული, ეთიკურ-ესთეტიკური და მხატვრული თვალთახედვის შინაარსი სიჭაბუკეშივე ჩამოყალიბდა. შემდგომ მისი ნაფიქრი მხოლოდ ფართოვდებოდა და საყოველთაო ფასეულობად იქცეოდა. მწერალი აღიარებდა ბუნებასა და ცხოვრებაში ევოლუციური განვითარების კანონების ბატონობას და მათ წარმოისახავდა სწორი მეცნიერული თუ მხატვრული წვდომა-შეფასების ამოსავალ პრინციპად.

ნაშრომში მოცემულია ცდა ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვისა და პოეტური იდეალის დახასიათებისა და, ამასთანავე, მათი კავშირის სპეციფიკის ახსნისა. აქ შესწავლილია ბუნებასთან, ცხოვრებისეულ ამბებთან, უძველეს მითოსურ-რელიგიურ გადმოცემებთან, მთიელთა თემურ ადათებსა და ხალხურ პოეზიასთან, როგორც მხატვრული აზროვნების წყაროებთან, პოეტის დამოკიდებულების მრავალი ასპექტი. შეფასებულია ზოგი თხზულების „შემოქმედობის“ ისტორია, სიუჟეტისა და მხატვრული სახე-

ების თვთმყოფადობა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ნიმუშების ურთიერთმიმართებისა და ურთიერთგავლენის თავისებურებათა ანალიზს; მწერლის თეორიულ-ლიტერატურული ნააზრევის საფუძველზე ახსნილია ბუნებისა და ადამიანის, ბუნებისა და მხატვრული აზროვნების ურთიერთმიმართების პრობლემა, განმარტებულია ამ რთული საკითხის ძირეული პრინციპები. ნაშრომში საგანგებო დაკვირვების საგნადაა ქცეული ნაირგვარი შემოქმედებითი წყაროებისადმი მწერლის დამოკიდებულების ეთიკურ-ესთეტიკური შინაარსი; დასაბუთებულია, რომ მწერლის ინტერესი მიემართებოდა ისეთ მასალას, რომელშიც ჩანდა რაღაც იმპულსი პიროვნების ზნეობრივი სახის გამოკვეთისა.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ხელოვნება ცხოვრების საჭირობას კვალდაკვალ მიჰყვება და ერის თვითმოქმედების მხატვრულ მატიანეს ქმნის. მასში იხატება ხალხის ცხოვრების სახე, მისი ხასიათი და იდეალების მრავლისმთქმელი შინაარსი. ლიტერატურის გარდა, თვითმყოფადი ეროვნული ხასიათი და მრწამსი, პოეტის გაგებით, ჩაქსოვილია ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, რიტუალებში, მითებში, ლეგენდებში, ხალხური შემოქმედების ნაირგვარ ნიმუშებში. ამის გამოც მწერლის შემოქმედებაში მოცემულია ძირეული ხალხური ადათებისა თუ რწმენა-წარმოდგენების, ფოლკლორის სანიმუშო ახსნა-შეფასება და, ამასთანავე, გამოკვეთილია სიძველისადმი დიდი მხატვრული ინტერესი.

მწერლის ფიქრით, ყველა დროისა და დონის ადამიანი ესწრაფვის გამოკვეთოს საკუთარი ადგილი და მიზანდასახულობანი კონკრეტულ გარემოში. ბუნებასა და ცხოვრებასთან პრაქტიკული დამოკიდებულების ჟამს ადამიანი შეიმუშავებდა ინდივიდუალურ წარმოდგენას სამყაროსა და საკუთარი არსებობის რაობაზე. ამგვარ წარმოდგენათა სისტემა ქმნიდა ყოველი ეპოქის ადამიანთა სულიერების თვითმყოფად სახეს. ამ სულიერ მოვლენათა სახისქმნადობა შეუძლებელი იყო ბუნებისა და ცხოვრების იდუმალებათა თანდათანობითი ათვისების სურვილის უქონლად. სურვილის რეალიზებას კი განვითარების ყველანაირ საფეხურზე მყოფი ადამიანი გრძნობის, გონების და ნების ერთიანობა-თანამოქმედების ძალით გამოკვეთდა. ამის გამოც ვაჟა-ფშაველა მითებში, თქმულება-ლეგენდებში, საწესჩვეულებო ტრადიციულ რიტუალებში ეძიებდა და პოულობდა ადამიანის ხასიათს, მისი სულიერი შესაძლებლობების განმსაზღვრელ მოვლენებს. ბუნება და ცხოვრება იყო, მწერლის გაგებით, ადამიანის სრულქმნის

საფუძველი და სარბიელი. პოეტი აუწყებდა მკითხველს, რომ ბუნებისა და ცხოვრების, ცისა და მიწის დასაბამიერი ბრძნული კავშირი იყო და იქნებოდა ყოველთვის ადამიანთათვის სწორი გზის მაჩვენებელი, სულიერ-გონითი უნარების ამამაღლებელი ძალა, თუკი ისინი ბუნებრივი სამართლის ზომას დაიცავდნენ. საერთოდ კი „ბუნების საბრძნო წიგნის“ ათვისება, ცხადია, უნიკალური ადამიანური უნარების გარეშე ვერ მიიღწეოდა. ამიტომ ბუნებისა და ადამიანის მიმართებათა სისტემაში უნდა აღმოეჩინათ პიროვნებებს საკუთარი სოციალურ-ფსიქოლოგიური, რელიგიურ-ზნეობრივი თუ ესთეტიკურ-მხატვრული უნარ-თვისებების ჭეშმარიტი ინდივიდუალური ან ზოგადი დანიშნულება. ვაჟა-ფშაველამ უძველესი სიბრძნე „შეიცანი თავი შენი“ შემოქმედებით პრაქტიკაში ასეც გაიაზრა: შეიცანი თავი და შეიცნობ ბუნებას; შეიცანი ბუნება და უფრო ღრმად ჩასწვდები საკუთარ არსებას. ამგვარი განსჯის საფუძველია პოეტის აზრი: „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია“. იგულისხმება, რომ ადამიანი ბუნებაში, ცხოვრებასა და საკუთარ არსებაში ყველაფერს ვერ სწვდება და იმედს ხშირად ღვთაებრივი დახმარების სამომავლო რწმენაზე, ანუ ზნეობრივად სასურველის ძალაზე ამყარებს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვით, სამომავლო რწმენისა და ზნეობრივი იდეალის მოტივები წარსულში იღებენ სათავეს, აწმყოში ტრანსფორმირდებიან და ასე მიემართებიან მომავლისაკენ, თუმცა მომავლის ასპარეზზე ამ მოტივების მოქმედების არსის განსაზღვრა წინასწარ არავის შეუძლია. დიდებული ადამიანი, პოეტის გაგებით, აწმყოს ფენომენია და, თუ იგი ამ აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, მხოლოდ მაშინ გამოდის წარსულის დამფასებლად და სასურველი მომავლის საფუძვლის ჩამყრელად. იგულისხმება, რომ ასეთი ადამიანის რწმენა, იმედი, მიზანი ზნეობრივ შინაარსს ემყარება და მისი სამომავლო სასიკეთო სწრაფვები მას დიდებულ პიროვნებად აქცევს. ბუნებაში ზნეობრივი გრძნობები არ არსებობს. სამყაროში ერთადერთი ზნეობრივი არსება ადამიანია. იგი სიტუაციის მიხედვით მოქმედი და მოაზროვნე უნიკალური ფენომენია, მისი ბუნებასთან პირდაპირი გაიგივება, გაერთმთლიანება შეუძლებელია. ვაჟა-ფშაველაც, პოზიტიური გაგებით, შეუძლებლად მიიჩნევდა ბუნების ქმნილებებში სოციალურ-ფსიქოლოგიური თუ ზნეობრივი გრძნობების გადანერგვას. ადამიანი ბუნების ნაწილია მხოლოდ როგორც სიცოცხლის მფლობელი ბიოლოგიური არსება. ხელოვნების სიმბოლურ-მეტაფორული შესაძლებლობები ბუნებასთან

სხვაგვარ, ანუ ანთროპომორფულ მიმართებას ცხადყოფს. თვითონ ვაჟამ, როგორც პოეტმა, მთელი ბუნება სოციალურ-ფსიქოლოგიური, ეთიკურ-ესთეტიკური შინაარსით აავსო და ის მხატვრული ფანტაზიისა თუ ლიტერატურული სახეების მარადიულ მოკავშირედ აქცია. მწერალი უბადლოდ იყენებდა ბუნების პერსონიფიცირების ხერხს იდეალური ადამიანის სახის გამოსაძერწად, მაგრამ ამით, ცხადია, არ აღიარებდა ბუნებაში უნიკალური ადამიანური უნარების არსებობას.

ვაჟა-ფშაველა მრავალგზის გამოხატავს აზრს, რომ ადამიანი გრძნობა-გონების, ნებისა და სინდისის ურთიერთშეწონასწორების უნარით ადამიანობს. იგი სინამდვილესაც ასეთი პოტენციური შესაძლებლობების საფუძველზე სწვდება და აფასებს. პოეტის გაგებით, ადამიანური თვითშემეცნების პროცესი ევოლუციური ხასიათისაა და იგი ამით ბუნების მოძრაობა-განვითარების ამგვარსავე შინაარსს ენათესაება. მხოლოდ აქაა ბუნებისა და კაცთა ცხოვრების თვითმყოფად სისტემებში ანალოგიების პოვნის მრავალი შესაძლებლობა. ბუნება, ცხოვრება, ადამიანი ერთიმეორისაგან განუყრელი, მაგრამ თვითმყოფადი ფენომენებია.

ვაჟა-ფშაველას აზრით, სინამდვილეს პიროვნება ითვისებს და ამიტომაც „ამ პატარა არსებას – ადამიანს თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს, რომ ეს შეუნიშნავს". გენიოსი მწერლები კაცთა ცხოვრებას, თურმე, „ბუნების თვალებით" უცქერიან და, ამასთანავე, ბუნებაში არსებული სიბრძნე მხატვრული სახეების საშუალებით საზოგადოებაში გადმოაქვთ. საზოგადოდაც, ადამიანი უხვად საზრდოობს ბუნების გონიერებით და ეს მას ხელს არ უშლის, იყოს გამორჩეულად ინდივიდუალური, მიკროკოსმოსი მაკროკოსმოსთან მიმართებაში. ასეთ კავშირებში პოულობს პოეტი ბუნების სიმბოლურ-მეტაფორული განსახიერების ორიგინალურ გზებს და აღწევს მხატვრული ზემოქმედების შეუდარებელ ეფექტს. აღნიშნული მიმართებები, მწერლის ფიქრით, მარადიულია და, „რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ". პოეტი უფრო აღრმავებს თავის თვალსაზრისს: „ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული, რომელიც არის დამოკიდებული სხვადასხვა პირობაზე, მიზეზზე. იგი ბუნებამ შექმნა". ვაჟა-ფშაველა გვაუწყებს, რომ კაცთა ცხოვრება, ტომთა და ერთა ინდივიდუალობა ისტორიულ-კულტურული პროცესებითა და ბუნების მარადიუ-

ლი წესრიგითაა შექმნილი. კერძოდ, ბუნება ღვთაებრივი სიბრძნის თავისებური ემანაციაა, ოღონდ კოსმიური მარადიული წრებრუნვის ჰარმონიაში გაცხადებული. სამყაროს ეს ჰარმონიული მთლიანობა თავისებურად არის შეკრული და გამშვენებული დასაბამიერი წყვილადი მოვლენებით. პოეტის სიტყვით, ასეთი წესრიგის ძალით მარადიულად ეკუთვნის „თევზი – წყალს, ცასა – ვარსკვლავი, შვილი – დედას და მამასა". ამგვარად, პოეტის მსოფლხედვით, ხილული სამყარო ნაირგვარი ღირებულებების ურთიერთმიმართებისა და დაუდგრომელი მოქმედების საუფლოა.

ვაჟა-ფშაველასათვის ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებაში ნაპოვნი საგან-მოვლენების მხატვრულ ფასეულობად გარდაქმნის პროცესი. ბუნებრივი და ადამიანური მოვლენების მხატვრული შეწონასწორების პროცესი ახალ თვითმყოფად რეალობას, ანუ განუმეორებელ სახე-იდეებს ბადებს. რაკი მხატვრული ფასეულობები პოეტის სულის ბრძმედში გადადნება, ამიტომ მათი ადრინდელ სუბიექტურ-ობიექტური წყაროების თვისობრიობაზე დაყვანა შეუძლებელია. ასეთი ცდა ახალი ორიგინალური მხატვრული სახეების დაშლა იქნებოდა.

ბუნებაში არსებული მოსაწონი და დასაწუნი საგან-მოვლენების ხილვა ყველა ადამიანს ძალუძს, ხოლო მათი მხატვრულ ფასეულობად, სიმბოლურ-მეტაფორულ სახეებად გარდასახვა ერთეულების ხვედრია. ასევე, რჩეულთა ვალია ისიც, რომ ცხოვრებისეული ამბების, ხალხში გაგონილი ორი-სამი სიტყვისა თუ რომელიღაც ყოფითი ინციდენტის საფუძველზე უღრმესი სოციალურ-ზნეობრივი შინაარსის ადამიანური ტრაგედიები შექმნან. ამგვარ მასალაზე აგებდა ვაჟა თავის მონუმენტურ ეპოსს. ამიტომაც ნაშრომში მისი თხზულებების სიუჟეტებისა და გმირთა სახეების ქმნადობის სპეციფიკა დახასიათებულია სწორედ მარადიული ზნეობრივი ღირებულებების იერარქიულობის ფონზე. ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულებების ვაჟასეული ღრმა წვდომა თავისებური საფუძველი და საზომია წყაროებთან პოეტის ორიგინალური დამოკიდებულებისა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობა საიმედო ბურჯია მათთვის, ვინც ცდილობს ჭეშმარიტების პოვნას, ბუნებისა და ცხოვრების ურთულესი მოვლენების გაგებას, ნაირგვარი ღირებულებების იერარქიული კავშირების გაცნობიერებას. მწერლის შემოქმედებითი პრინციპი იყო, მთლიანობაში ეგრძნო და პოეტურად გარდაესახა ბუნება, ცხოვრება, პიროვნების სულიერი შესაძლებლობები, მოეხდინა ამფენომენთა შესახებ

არსებული უძველესი და უახლესი წარმოდგენების თავისებური სინთეზი. პოეტი უნიკალურ მხატვრულ სიუჟეტებსა და სახეებს აფუძნებდა მაგიურ-მითოსურ, ასტრალურ, ხალხურ-რელიგიურ და ტრადიციულ ადათობრივ შეხედულებებზე. ამგვარი შემოქმედებითი პროცესის დროს მას მუდმივად მხედველობაში ჰქონდა თავისი დროისა და მომავლის უმთავრესი მოთხოვნები. ასეთ კონტრასტულ ფენომენთა მხატვრული ათვისების ჟამს იკვეთებოდა დიდი მწერლის ნიჭის თავისებურებები, მისი მხატვრული წარმოსახვისა და ენობრივი შესაძლებლობების რაობა. ვაჟას შემოქმედების კვლევისას საჭიროა ვიპოვოთ ის შინაგანი კავშირები, ის ერთიანობა თუ განსხვავებულთა თანხმობა, ასევე მრავალსახეობათა თვითმყოფადი არსებობის მადლი, რომელიც პოეტს სამყაროს მშვენიერების საფუძვლად მიაჩნია.

ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვისა და პოეტური იდეალის თვითმყოფადობა, მათი ურთიერთკავშირის ასპექტები დადგენილია მწერლის ბიოგრაფიისა და პუბლიცისტურ-მხატვრული ნააზრევის საფუძველზე, განსაზღვრულია ამ ფენომენთა ბუნებრივი, სოციალური და სუბიექტური საწყისები. ნაჩვენებია, რომ მსოფლხედვა ამზადებს თემატიკური არჩევანისა და პოეტური იდეალის სრულყოფის ნიადაგს. მხატვრული ფანტაზია ზოგჯერ ქმნის ისეთ საალბათო მოვლენებს, რომლებიც შეიძლება მკითხველის ემოციებს ამდიდრებდნენ, მაგრამ მსოფლხედვას არ ეფარდებოდნენ. საერთოდ, ოცნების ასპექტით პოეტური იდეალი თამამია, ხოლო მსოფლხედვა მკაცრ საზომებს ემორჩილება.

პოეტის გაგებით, ყველა ადამიანის მსოფლხედვა თუ პოეტური იდეალი ბუნებისა და ცხოვრების ობიექტურ კანონებს უნდა შეეფარდოს, მის მოთხოვნებს გაჰყვეს. ამიტომაც „თეორიების მთხზველები“ ბუნებისა და ცხოვრების ძირეულ სამოქმედო პრინციპებს ვერ შეცვლიან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბუნებრივ სიმართლეს დაშორდებიან.

ვაჟა-ფშაველა ბუნებრივი, სოციალური და ესთეტიკურ-მხატვრული ფენომენების მრავალმხრივ ურთიერთმიმართებებს ღრმად სწავლობდა და აღიარებდა მათი მუდმივი კავშირის აუცილებლობას. მას სწამდა, რომ გენიოსი მწერლები ბუნებისა და ცხოვრებისადმი ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. ისინი ბუნების შინაარსს თავის გმირთა ხასიათებში აქსოვდნენ, ხოლო ზოგჯერ კი ცხოვრებაში ნაპოვნი ტიპის საშუალებით ბუნების ნიშნებს გამოხატავდნენ. თვითონ ვაჟა-ფშაველასთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ბუნებაში ნაპოვნი შემოქმედებითი მა-

სალის მხატვრულ ფასეულობად ქცევის პროცესი. ამ პროცესის სწორი მართვა მხატვრულად მოაზროვნე რჩეულთა ხვედრად მიაჩნდა. მისი აზრით, მხოლოდ გენიოსები აღწევენ იმას, რომ ძნელად საწვდომი სამყაროსეული და ადამიანური კავშირები მხატვრულ ფასეულობათა წრეში მოაქციონ. სინამდვილე მრავალნაირი ღირებულების საგანძეა და ნიჭიერი ხელოვანნი ამ ღირებულებებს მრავლისმთქმელ სახე-იდეებად აყალიბებენ. ბუნებრივ-სოციალური მოვლენები თავისკენ იზიდავენ ხელოვანის ფანტაზიას, მისი წარმოსახვის სიმბოლურ-მეტაფორულ შესაძლებლობებს და ასე იბადებიან ორიგინალური პოეტური სახეებიც.

პოეტი ოცდაცხრა წლის ასაკში ჩაერთო „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობისა და ხალხურობის თაობაზე გამართულ სამეცნიერო პოლემიკაში. მან პოემის შემოქმედებითი ისტორიისა და ფსიქოლოგიის, ასევე ნაწარმოების სიუჟეტის აგების პრინციპებზე სრულიად დამარწმუნებელი, დღემდე შეუცვლელი ლიტერატურათმცოდნეობითი შეხედულებები გამოთქვა. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით პოეტმა შემდგომ უფრო გააღრმავა თავისი ნააზრევი და ყველასთვის სარწმუნო გახადა რუსთველის პოემის ჭეშმარიტი ხალხურობა და ორიგინალობა. იგი, ზოგად ლიტერატურულ თვალსაზრისთა გარდა, ემყარებოდა საკუთარ პოეტურ გამოცდილებას და მეცნიერებს შემოქმედებითი პროცესების სიღრმეში ჩაწვდომისკენ მოუწოდებდა. მწერალი უცდომლად ახასიათებდა ფოლკლორისა და ინდივიდუალური შემოქმედების ურთიერთმიმართების ხასიათს, ცხადყოფდა ნაირგვარი შემოქმედებითი მასალის გამოყენების თავისებურებებს. ვაჟა ღრმად სწავლობდა რუსთველის, შექსპირის, სერვანტესის, გოეთეს, პუშკინის ლიტერატურულ და ფოლკლორულ წყაროებთან მიმართების ასპექტებს. პოეტი უნაკლოდ განმარტავდა ლიტერატურულ-მხატვრული გავლენების ბუნებას, აღიარებდა, რომ დიდი შემოქმედი ვერ იქნება მასალის მონა და სხვა შემოქმედის ქმნილების ბრმა მიმბაძველი. ჭეშმარიტი შემოქმედებითი თავისუფლება, ორიგინალური ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ქმნადობა გამორიცხავს რაიმეს მექანიკურ გადმოღებას.

მწერლის შემოქმედების მნიშვნელობის ერთ-ერთი საზომია ის, თუ რანაირი ზნეობრივი გრძნობებისა თუ იდეალის გმირთა სახეებს ქმნის. არ არსებობს ადამიანური საქმიანობის რაიმე სფერო, რომელსაც ზნეობასთან არა ჰქონდეს კავშირი. ამიტომ საკუთარი ხალხის ტრადიციული ყოფა, წეს-ჩვეულებები, ფოლკლორი და მითოსურ-რელიგიური წარმოდგენები აძლევენ ყო-

ველ შემოქმედს ულევ მასალას ადამიანის ფსიქოლოგიური და მორალური ხასიათის გამოსახატავად. ვაჟაც მთიელთა წეს-ჩვეულებებისა თუ იდეალების გათვალისწინებით ქმნიდა დადებითი და უარყოფითი ზნეობის ტიპებს. მწერალი ადათებში კი არ ეძებდა სიახლეს, არამედ მათთან ინდივიდების თავისებური დამოკიდებულების შინაარსში. მისთვის მთავარი იყო სინამდვილესთან დიალოგური მიმართება, მასალის „გულში მოხარშვისა“ და „შემუშავების“ მეთოდი, რაც წარმოქმნიდა სრულიად ახალ რეალობას, ანუ ნაწარმოების ორიგინალურ მხატვრულ სტრუქტურას. სააზროვნო მასალა კი ნებისმიერ შემოქმედს სჭირდება, თუმცა სათქმელს იგი ყოველთვის საკუთარს უნდა ამბობდეს. სწორედ ამ თვალსაზრისით და ადამიანში ზნეობრივი გრძნობების დინამიკის მართალი, მეტად თავისებური ხასიათების გახსნით გამოირჩევა ვაჟას პოემები „ახუნდი“ და „გოგოთურ და აფშინა“. პოეტის მრწამსით, ადამიანი თვითონ უნდა იყოს საკუთარი სულის მოძრაობის ბატონ-პატრონი, თუმცა ზოგჯერ იგი სხვასაც შეიძლება დაეხმაროს ხასიათის გამოსწორებაში. აფშინა ცხადყოფს, რომ მისი გადამრჩენი სინდისია. ახუნდი ფარისეველია, რომელიც კაცის კვლას, ყაჩაღობას სიკეთისა და ქველმოქმედების ქადაგებით ნიღბავს. მასში მთლიანად წაშლილია ზნეობრივი ღირსებები; იგი, სოციალურ-ფსიქოლოგიური აზრით, სრულ არარაობად არის ქცეული. პოეტის მრწამსით, ფარისეველთა, ყაჩაღთა, ორპირთა „წმინდანობა“ ქვეყანას დაღუპვას უქადის.

ვაჟა-ვშაველას განსჯით, ხელოვანი ფანტაზიის ამამოძრავებელ მოვლენებს, ფაქტებს, ამბებს ბუნებასა და ცხოვრებაში პოულობს. მას მხატვრული სახეებიც სინამდვილის ღირებულებათა წვდომა-გაგებისა და ადამიანის სულიერ უნართა გამოკვეთის საშუალებად ესახება. პოეტის შემოქმედებითი ინტერესი მთლიანობაში მოიცავდა უძველესი მაგიურ-მითოსური, რელიგიური და ადათობრივი შეხედულებების შინაარსს, ნათელყოფდა, თუ როგორ უნდა აღმოცენებულიყო ახალი დროის სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული მხატვრული სახეები ტრადიციული წარმოდგენების სისტემიდან. „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ პოეტმა სწორედ ტრადიციული, გვაროვნულ-თემური თვითშეგნების წრეში მოქცეული ადამიანების სულიერ-გონით შესაძლებლობათა ზეაღსვლის პროცესი განასახიერა.

სინდისი, როგორც ადამიანის საქციელის, მისი სულიერი ლტოლვების მომწესრიგებელი ძალა, ვაჟა-ფშაველას მრავალი ქმნილების ერთ-ერთი მთავარი თემაა. პოეტის მრწამსით, სიბ-

რძნე, სიკეთე, სინდისიერება, მშვენიერების განცდა პოეზიის უშრეტი წყაროა. ამიტომ პოემაში „სვინიდისი“ პოეტმა ბიბლიური პირველი ოჯახის, კერძოდ, აბელისა და კაენის ურთიერთობის ფონზე ცხადყო სინდისის გრძნობის ღვთაებრივი, ყოვლისმომცველი ძალა და ფუნქცია. ნაწარმოებში პერსონიფიცირებული გრძნობა სინდისისა თვითონ განიცდის სინდისის ქენჯნას, რადგან უფლისა და ქვეყნის წინაშე დასაბამიერი ვალი ვერ აღასრულა. ბიბლიის აღნიშნული ეპიზოდის გამოყენებით ბევრი რამ თქვა მარადიული პოეტმა არა მხოლოდ სინდისის, არამედ სხვა ადამიანურ გრძნობათა მნიშვნელობაზე.

ბუნების მეცნიერული თუ მხატვრული ათვისების შესახებ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ ნარკვევებსა და პოეტურ ქმნილებებში მრავალი ფუნდამენტური აზრია გამოთქმული. მწერალი ფიქრობს, რომ სამყარო-ბუნება, მართალია, „უენპიროა“, მაგრამ თავისი კანონზომიერებებით კი სიბრძნეს მეტყველებს. ბუნება დიდი ჰარმონიაა, „საბრძნო წიგნია“, რომლის ზემოქმედებითაც შეიძლება ადამიანი სრულიქმნას. ადამიანის არსებაში ერთმანეთს ერწყმიან ბუნების ნიშნები და წმინდა ადამიანური მოვლენები. მათი დიდი მსგავსების გვერდით ღრმა განსხვავებაც შეინიშნება. საერთოდ კი, ბუნებისა და ადამიანის ინდივიდუალური ნიშნები ერთნაირი ცნებებით ვერ დახასიათდებიან. პოეტს სწამს, რომ ბუნების გონიერება კაცთა ურთიერთობის გონიერებას ბევრად აღემატება. ამიტომ მისი ისეთი პოემების სიუჟეტებში, როგორიცაა „გველის მჭამელი“ და „მთათა ერთობა“, სწორედ ბუნების ზომიერება და გონიერება გახლავთ მოწონებული. ადამიანი ბუნების წესრიგში უნდა ეძიებდეს საკუთარი ცხოვრების სწორ ორიენტირებს. პოემაში „მთათა ერთობა“ ბუნება უჩვენებს ადამიანებს სამართლიანი ცხოვრების ნიმუშს, „გველის მჭამელშიც“ ბუნება ჩააგონებს მინდიას ბუნებისა და ქვეყნის სასიკეთო საქციელს. ღვთაებრივ-ბუნებრივი მადლის ზემოქმედებით მიენიჭა მინდიას სამყაროსეულ კანონზომიერებათა ამოცნობის ძალა, უებრო მკურნალისა და მხედართმთავრის სიბრძნე. ეს გამორჩეული სულიერ-გონითი შესაძლებლობები დაუდო მან საფუძვლად ბუნების, სამშობლოს, ერის, რჯულისა და, საერთოდ, ყოველი არსის მოვლა-პატრონობას, მათი ინდივიდუალობის შენარჩუნებაზე ზრუნვას. სამყაროსადმი ამგვარი ერთგულება თვით დამბადებლისა და ბუნების დასაბამიერი ნებაც იყო. ზეპიროვნული ძალების ჩაგონებით ინტუიციური მართლხედვით გამორჩეულ მინდიას მუდამ გამარჯვებული

ჰყავს ჯარი და მადლიერი კი – ქვეყანა. მინდია მცირე ხნით გაჰყვა თავის „სარგოდ", სასიამოვნოდ წუთისოფლის მცნობ ადამიანთა ეგოისტურ საქციელს და ამით დაარღვია თავისი სულიერი სიდიადე. ღირებულებითი მართალი და მცდარი ორიენტაციები, პოეტის გაგებით, მკაცრად განსასჯელია. რელატიური ხასიათი, ნების სისუსტე, სინდისის გაორება აქვეითებს ადამიანის მართლხედვას და ვნებს ქვეყანას. მრავალი მხატვრული პირობითობის დაშვების მიუხედავად, ვაჟა-ფშაველამ მინდიას უშუალოდ გამოახატვინა დიდებული ადამიანის ღირსებაცა და ნაკლიც. ამით პოეტურად ცხადყო, თუ რა ობიექტურ-სუბიექტური ღირებულებების დაცვაა საჭირო სამშობლოსა და ერის მტკიცე ერთიანობისთვის.

თავი I

ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვა და პოეტური იდეალი

ერის თვითცნობიერება თუ პიროვნების მსოფლხედვა პრაქტიკული გარჯისა და მრავალმხრივი სულიერ-გონითი თვითმოქმედების პროცესში ყალიბდება. აშკარაა, რომ მსოფლხედვის თვითმყოფადი ეროვნული თუ პიროვნული შინაარსის სრულქმნა რჩეულთა გრძნობა-გონების მოქმედების შედეგია. დიდი მწერლის მსოფლხედვა გარკვეული სახის მთლიანობად წარმოადგენს ბუნებასა და ცხოვრებაში არსებულ ფასეულობათა ურთიერთქმედების ასპექტებს. სინამდვილეზე მიმართული გრძნობა-გონება, შემოქმედებით-მხატვრული წარმოსახვა მრავალი ორიგინალური კულტურული ფენომენის წარმომქმნელია. ნებისმიერ პირობებში მსოფლხედვა ეფუძნება ბუნების აღქმა-შეფასებას, ისტორიულ რეალობას, ასევე, მითოსის, რელიგიური რწმენა--წარმოდგენების, მეცნიერებისა და ხელოვნების ღრმა კავშირ-მიმართებების ათვისებას. აღნიშნული კავშირების გამოხატვა გულისხმობს ადამიანთა პრაქტიკული ქმედების, აზროვნებისა და მეტყველების ცხოველმყოფელ, მარადიულ ურთიერთქმედებას. ამგვარ ურთიერთქმედებაში იძერწება ერის თვითცნობიერებისა და პიროვნების მსოფლხედვის ის ძალა, რომელიც თავისებურად განამტკიცებს ამა თუ იმ ხალხის რწმენას ისტორიული ბედის ერთობის განუზომელი ღირებულების შესახებ.

ერიც მონოლითური ხასიათის, თვითმყოფადი მოაზროვნის მსგავს მიმართებას ამყარებს ბუნებასთან, ისტორიასა და საკუთარი ცხოვრების საზრისთან. ამ კონტექსტში უშუალო განცდისა თუ ფიქრის საფუძველზე ყალიბდება როგორც ინდივიდების, ასევე მთელი ერის თვითცნობიერება თუ პოეტური იდეალი. საეროდ კი ერს, საზოგადოებას, ცალკეულ ადამიანს არ ძალუძს ცხოვრება გარკვეული სახის მსოფლგაგების გარეშე. ყოველი მოაზროვნის მსოფლხედვა თავისებური სახის განმარტება-შეფასებაა სამყარო-ბუნების მთლიანობის, ისტორიისა და სინამდვილეში ადამიანის ადგილისა და დანიშნულებისა. ეს აზრი მკა-

ფიოდაა გამოხატული ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ და მხატვრულ მემკვიდრეობაში.

ვაჟა-ფშაველა მუდმივად ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რა არის სამყარო-ბუნება, კაცთა ისტორია, თვითონ ადამიანის სიცოცხლის საზრისი ან რითი გამოიხატება მათი ურთიერთკავშირის არსი, რა შეუძლია პიროვნებას სინამდვილის წვდომისა და შეფასების თვალსაზრისით. საერთოდ, როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი, როგორც ბუნებრივ-სოციალური და ზნეობრივი ერთეული, კერძოდ, რწმენის, იმედის, მიზან-ღირებულებების როგორ გზებს უნდა მიჰყვებოდეს. პოეტის მრწამსით, ნათქვამი იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანი თავისთავში დასრულებული, მიზანმიღწეული, საკუთარი სულიერ-გონითი უნარების საბოლოო სახის წარმომჩენი არსება არ არის. ის სამყარო-ბუნების წესრიგისა და საკუთარი ადამიანური ცხოვრების ზემოქმედების გამო მუდმივი ფიზიკური და სულიერი დაუდგრომლობისა თუ ცვალებადობა-გარდაქმნის გამომხატველია. სამყარო-ბუნების რაობისა და კაცთა ცხოვრების მრავალი ნიშნის ამთვისებელი ადამიანი სინთეტურად გამოხატავდა სინამდვილესთან მიმართების ისეთ შინაარსს, როგორიცაა: შემეცნებითი, გარდამქმნელი, ღირებულებით-ორიენტაციული, ურთიერთობითი, რელიგიური, მხატვრული და სხვა ღირებულებანი. უძველესი დროიდანვე, სანამ ადამიანში გარემოსთან მიმართების აღნიშნული წესები ცნებების სახით ჩამოყალიბდებოდა, ისინი მთლიანის სახით ზემოქმედებდნენ მის სოციალურ-ბიოლოგიურ სწრაფვებზე. კარგი და ცუდი, როგორც ნაირგვარ საგან-მოვლენათა შემფასებელი ცნებები, იმთავითვე გამოიყენებოდა ბუნებრივი და ადამიანური მოვლენების მიმართ და თავისთავში მოაქცევდა ზემოთ ნახსენებ დამოკიდებულებათა ასპექტებს. პრიმიტიული აზროვნების ხანაშივე სჭირდებოდა ადამიანს თუნდაც მცდარი წარმოდგენის შემუშავება იმის თაობაზე, თუ რა არის კარგი, რა არის ცუდი, რა არის მოსაწონი და რა არის დასაწუნი. ეს იყო საფუძველი სინამდვილის ბუნებრივი და სოციალური მოვლენების სხვადასხვა შინაარსითა და მიზნით ათვისებისა.

ბუნებამ ადამიანს ასწლიანი სიცოცხლე უბოძა, რომელიც აიძულებდა მას მუდმივად ეზრუნა მომავალზე, ანუ, საერთოდ, სიცოცხლის საბოლოო მიზნის დადგენასა და მის რეალიზებაზე. ვაჟა-ფშაველას აზრით, ევოლუციურ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესში ჩართული ადამიანები ცოდნის, რწმენის, ზნეობის არსებული ხარისხით კმაყოფილნი არასოდეს არიან. ისინი მუდმივად

ეძიებენ ახალს ბუნებაში, ცხოვრებასა და საკუთარ პიროვნულ არსებაში. მათ ისტორიული განვითარების ვერც ერთ ეტაპზე ვერ დაუდგენიათ თავიანთი სიცოცხლის საბოლოო და საყოველთაოდ მისაღები იდეალი, არსებობის ჭეშმარიტი ნორმები. პოეტი გვაუწყებს, რომ კაცობრიობის ცხოვრება, მისი მარადიული გარჯა, ფიქრი და მოლოდინი მიმართულია „უნახავის დანახვისაკენ“ ან იმის პოვნისაკენ, რისი მპოვნელიც ხანმოკლე, სასრული სიცოცხლის გამო ადამიანი სინამდვილეში არც არის. კაცობრიობის მოღვაწეობის საბოლოო საზრისის მოუხელთებლობის გამო პოეტი გულწრფელად ამბობს: „რასაცა ვეძებ, იმისი არროდესა ვარ მპოვნელი“. ადამიანები გრძნობა-გონების ძალით ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების უპირატესად ისეთ სურათს წარმოისახავენ, რომელიც განვითარების ეპოქალური ნიშნებით და ტენდენციებით არის აღბეჭდილი. ეს ვითარება არ გამორიცხავს კონკრეტულ-ისტორიულში მარადიულის არსებობას, რადგან თვით მიმდინარე ცხოვრებაში მონაწილეობს მრავალი მარადიული ბუნებრივ-სოციალური ღირებულება.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების მრავალფეროვნებაში ინდივიდები უფრო მეტად დროის და გარემოს შესატყვის ჭეშმარიტებებს აგნებენ და იყენებენ კიდეც. ეს ეპოქალური მოვლენები შემდგომი დროის ცხოვრებაში შეიძლება გადაფასებულიც იქნეს. მაშასადამე, მწერლის მსოფლხედვით, ბუნებისა და საზოგადოების რაობის წვდომა-გაგება თანდათანობის წესს ემორჩილება და დროისა და სივრცის განზომილებით ამოუწურავია. აღსანიშნავია, რომ ბუნება და საზოგადოებრივი ცხოვრება ერთნაირი მეთოდითა და ცნებათა შინაარსით არ განიმარტება.

ვაჟა-ფშაველას რწმენით, ბუნების მიერ მონიჭებული შემოქმედებითი თავისუფლების საფუძველზე ადამიანი ქმნის ცხოვრების აზრის, მიზან-ღირებულებების, რწმენის, საერთოდ, კულტურის თვითმყოფად სახეს. ცხადია, აღნიშნული მოღვაწეობის კვალობაზე გარდაქმნის და ავითარებს იგი საკუთარ არსებასაც, თუმცა ღვთაებრივ სიმაღლეს ვერასოდეს აღწევს. სინამდვილესთან ამგვარი დამოკიდებულება საერთო ნიშანია ყველა დროის ადამიანთათვის. საგულისხმოა, რომ ადამიანთა აზროვნება, გრძნობები და ნება მიემართება რა მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების სამყაროს, აყალიბებს მსოფლჭვრეტის საერთო წესს, რომელიც ყველგან მოქმედებს, თუმცა მისი მოქმედების შედეგი სხვადასხვანაირი ხარისხის შეიძლება იყოს. მიდგომის

საერთო წესის არსებობა არ ნიშნავს წარმოდგენათა იდენტურობას. სინამდვილესთან მიმართება გულისხმობს ადამიანის მხრივ ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერების, სამართლიანობის ძიებასა და წვდომა-შეფასებას.

გრძნობის, გონების და ნების ასამოქმედებელი წყაროები ყველგან და ყოველთვის თითქმის ერთნაირია. კერძოდ კი ასეთად სამყარო-ბუნებისა და საზოგადოებრივ-პიროვნული ცხოვრების უძირითადესი კანონზომიერებები გვევლინებიან და ისინი აღნიშნული უნარების აქტივობასაც განსაზღვრავენ. ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, მწერალს, უწინარეს ყოვლისა, სამყარო--ბუნების სწორი, ობიექტური სურათი უნდა ჰქონდეს გათვალსაჩინოებული და ასევე ღრმად უნდა სწვდებოდეს ცხოვრების მოვლენათა თუ პიროვნების სულის მოძრაობის შინაგან არსს. ამგვარად გაცნობიერებული ბუნების მოვლენები, ცხოვრებისეული პრობლემური ვითარებები თუ პიროვნებების შინაგანი ღირსებები თავიანთი სპეციფიკით მსოფლშეგრძნებაში აირეკლება. მსოფლხედვა ყოველივე აღნიშნულის კომპლექსურად ამთვისებელი ფენომენია. მსოფლხედვის მიერ გამოძერწილი სინამდვილის სურათები ემოციური მიმართების, მოწონება-დაწუნების საგნად იქცევა, იგი ადამიანისათვის მისაღები ან უარსაყოფი ღირებულებების შინაარსით წარმოდგება. იდეალური ჩანაფიქრი თუკი რეალობისათვის მისაღები, საჭირო და მოსაწონი იქნება, მაშინ სუბიექტის ნება შეუდგება მისი პრაქტიკული რეალიზების საქმეს. ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერების ნიშნებით აღბეჭდილი ჩანაფიქრი ეუფლება ადამიანს და მას დაუცხრომელ შემოქმედად აქცევს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგებით, ბუნება და ცხოვრება თვითმოძრაობის მძლავრი შინაგანი კანონების ძალით განსაზღვრავს სიცოცხლის მარადიულ არსებობას. გარესამყაროს თვითღირებულება განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როცა მისკენ აქტიურად მიიმართება ადამიანთა სულიერ-გონითი შესაძლებლობები. მეტად მნიშვნელოვანია პოეტის აზრი იმის შესახებ, რომ სამყარო-ბუნება არა მარტო ადამიანის ფიზიკურ არსებობას უზრუნველყოფს, არამედ მისი სულიერ-გონითი უნარების სრულყოფის საყრდენიცაა. ბუნებამ დაბადა და სხვა ცოცხალ არსებათაგან განასხვავა გრძნობა-გონებით, მეტყველებითა და ნებელობით დაჯილდოებული არსება – ადამიანი.

პოეტის რწმენით, მთელი ბუნების არსებობის მიზანი არის ის, რომ შექმნას, ამოღვაწეოს და სრულქმნას სიცოცხლე. სწო-

რედ ამგვარად რაფინირებულ სიცოცხლეს, როგორც ერთ-ერთ უმაღლეს სამყაროსეულ ღირებულებას, მოიწონებს და შეიყვარებს ადამიანი. ამ დიადი კავშირის განცდა ათქმევინებს პოეტს: „სიცოცხლე სიყვარულითა და სიყვარული სიცოცხლით". ადამიანის სიცოცხლე ის ფენომენია, რომელიც გამოხატავს როგორც საკუთარ არსს, ასევე მთელი ბუნების თანდათანობით წვდომა-შეფასების უწყვეტსა და უალტერნატივო შესაძლებლობებს.

ბუნებამ დაამკვიდრა სიცოცხლე, ხოლო სიცოცხლე ბუნების შიგნით, კოსმოსის კანონზომიერებათა ნიაღში უნდა გაისარჯოს თავისი თავისა და თავისივე დამბადებლის შესაცნობად. ეს პროცესი გამოავლენს ადამიანის მიერ პასუხგაუცემი კითხვების სიმრავლეს, რაც იქცევა კიდევაც სინამდვილის მოვლენებისადმი მრავალგვარი ღირებულებითი მიმართების საფუძვლად. ბუნება და ადამიანი ერთიმეორისაგან დაუცალკევებელი ფენომენებია. მათი კავშირის რაობის ახსნა, განცდა თუ პოეტური გარდასახვა, მწერლის შეხედულებით, სხვადასხვა ეპოქისა და გარემოს დაღს ატარებდა, რასაც მრავალი მიზეზი ჰქონდა.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობით, სამყარო-ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების სპეციფიკურ ნიშნებს, მათს უწყვეტ ურთიერთკავშირს დაეფუძნა არა მარტო სიცოცხლის არსებობა, არამედ თვით სასიცოცხლო გარემოს მაგიური, მითოსური, რელიგიური, მეცნიერული და მხატვრული ინტერესებით ათვისებაც. მწერალს მიაჩნია, რომ ვერც მეცნიერული აზრი, ვერც რელიგიური რწმენა და ვერც პოეტური იდეალი ბუნებისა და ადამიანის უშუალო ურთიერთქმედების გარეშე ვერ დაიბადება. ასეთი დამოკიდებულება ზოგადი, საკაცობრიო წესია და ამიტომაც სხვადასხვა დროისა და მოდგმის ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების ერთგვარი ნათესაობა, ბუნების გაგების აზრით, გასაკვირიც არ არის.

ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვისა და პოეტური იდეალის მნიშვნელობა უნდა წარმოაჩინოს პოეტის ცხოვრების გზამ, მისმა პუბლიცისტიკამ და სხვადასხვა ჟანრის მხატვრულმა ქმნილებებმა. იქ უნდა გამოიკვეთოს ის, რაც აღელვებს, რაც სტკივა მწერალს. ვაჟა-ფშაველას აზრით, შემოქმედის შინაგანი ღელვა მკითხველს გადაეცემა და მით მეტ ზემოქმედებას ახდენს მასზე, რაც უფრო მეტი მძაფრი გრძნობები იქნება ნაწარმოებში ჩაქსოვილი. ასეთი განცდებიდან იღებს სათავეს შემოქმედისა და მისი მკითხველის მსოფლმხედველობრივ პოზიციათა სიახლოვე.

ვაჟა-ფშაველა მუდმივად გამოხატავდა გაოცებას სამყარო-ბუნების წყობისა და ადამიათა ხასიათების სირთულისა და მრავალმხრივობის გამო. მისი გაგებით, არავინ იცის, სად არის სამყაროს დასაწყისი ან მისი დასასრული სად იქნება. იგი უსაზღვროა. ადამიანის ფიქრი, წარმოსახვა და სულიერი მისწრაფებებიც სამყაროსავით დაუსაზღვრავია. სამყაროსეული და სოციალური რეალობიდან მწერალი მხატვრული მიზნისათვის ირჩევს ზოგიერთ მისთვის მოსაწონ და საყურადღებო მასალას. თვითონ ეს არჩევანი მეტყველებს შემოქმედის ხედვაზე, სულიერ-გონით შესაძლებლობებზე. ვაჟა-ფშაველა საგანგებოდ მსჯელობდა შემოქმედებითი არჩევანის თაობაზე და მიუთითებდა, რომ იგი შეპირობებული არის მწერლის აღზრდით, სიყრმისდროინდელი და უახლესი შთაბეჭდილებებით. აღნიშნულის გამო არის „... რომ ზოგი პოეტი საგმირო მოვლენათ დაჰმღერის, მეორე – ბუნებას, მესამეს თავის საგნად მდაბიო ხალხის ცხოვრება გაუხდია და სხვა“.[1] აქ მწერალი, მართალია, მსჯელობს პოეტური ინტერესების თუ არჩევანის სხვადასხვაობაზე, მაგრამ უსათუოდ გულისხმობს, რომ საერთოდ მხატვრული მოღვაწეობა მსოფლმხედველობრივი საფუძვლის უქონლად არ არსებობს, რადგან შემოქმედს მუდმივად თვალწინ უდგას ბუნება და კაცთა ცხოვრების საჭიროება. შემოქმედებით პროცესში მსოფლმხედველობრივი და მხატვრული მიმართებების ურთიერთქმედება აუცილებელი მოვლენაა. მწერალი შემოქმედებითი პროცესის საწყის ეტაპზე უთვალავი ბუნებრივი და სოციალური მოვლენიდან მნიშვნელოვანის გამოცალკევებას, შეფასებას ახდენს და ამით ცხადყოფს საკუთარ ინტერესს; მოვლენათა აწონ-დაწონა, ურთიერთშეფარდება უკვე მსოფლმხედველობის საფუძველზე ხდება. რაღაცისათვის გამორჩეული მნიშვნელობის მინიჭება ან სხვადასხვა მოვლენების შედარება – შეწონასწორება თავისებური შეფასებაა, რომელიც ისევ მსოფლხედვას ემყარება. მაშასადამე, მსოფლმხედველობა ამზადებს ნიადაგს მხატვრული გარდასახვისათვისაც.

ვაჟა-ფშაველას არა მარტო მხატვრული სამყაროა ღრმა და მრავლისმომცველი, არამედ მსოფლმხედველობაც. პოეტის საქმიანობაში მუდმივად ერწყმიან და თანამოქმედებენ მსოფლმხედველობრივი და მხატვრული საწყისები. შემოქმედის მხატვრულმა ხედვამ, მის მიერ პოეტურად აღქმულმა საგან-მოვლე-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 296.

ნებმა შეიძლება წარმოადგინონ ისეთი დეტალებიც, რომლებსაც მსოფლმხედველობასთან კავშირი არა აქვს და მხოლოდ ემოციური მოთხოვნებით არის განსაზღვრული. ამიტომაც მისი პოეტური ხედვა და იდეალი უფრო ფართო ჩანს, ვიდრე მსოფლმხედველობრივი მიმართება. პოეტური იდეალი თამამია ოცნების ასპექტით, ხოლო მსოფლმხედველობა მკაცრი, რეალობას დამორჩილებული. მწერალი აფასებს არა მხოლოდ საგან-მოვლენათა მრავალგვარობას, არამედ მათ რთულ ურთიერთკავშირებსაც და სწორედ ასეთ კონტექსტში განასახიერებს ადამიანურ მიზანლირებულებებს. ყველა მწერლის და, ცხადია, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებიც გამსჭვალულნი არიან ცხოვრების მოვლენებისა თუ პიროვნული სულიერ-გონითი უნარების სუბიექტური განსჯით. ნაწარმოების ყველა დეტალში ავტორის სულისკვეთება, მისი მსოფლგაგება თუ ჩანაფიქრი ვლინდება. მწერლის ნაწარმოებში სინამდვილიდან შემოსული ნაირ-ნაირი ელემენტები, კეროდ, ბუნებრივი, ისტორიული, პიროვნული და სხვა დაკავშირებულია მის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ ჩანაფიქრთან. რეალობიდან შერჩეულმა მასალამ ხელოვანის მსოფლმხედველობის, ფანტაზიისა და იდეალის შეფასების ბრძმედში უნდა გაიაროს. შემოქმედებითი მასალის მოპოვება დამოკიდებულია მსოფლგაგებასა და ესთეტიკურ ხედვაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ შერჩეული მასალა რეალობაში არსებობს ვინმეს ამგვარი იდეალური ინტერესების გამო ან მათი მიზეზით. ბუნების ქმნილებანი, მისი კანონზომიერებები, ამასთანავე, ისეთი წმინდა ადამიანური მარადიული მოვლენები, როგორიცაა: სიყვარული, სიძულვილი, სიხარული, მწუხარება, სიცოცხლის წყურვილი, სიკვდილ-სიცოცხლეზე მუდმივი ფიქრი და სხვა, ცხადია, მხოლოდ მსოფლხედვით არ არიან დეტერმინებულნი. მსოფლგაგება თუ პოეტური იდეალი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ობიექტური ბუნებრივი თუ სოციალური რეალობები იმადვე დარჩეს. აღნიშნული კი ქმნის პირობას, რომ მწერლის მსოფლხედვა წინააღმდეგობაში მოვიდეს მკითხველისა თუ კრიტიკის მიერ შემუშავებულ შეხედულებებთან.

ვაჟა-ფშაველა, ცხადია, მრავალმხრივ აფასებდა ფილოსოფიურ-მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობას კაცობრიობის ცხოვრების განვითარების, მისი სრულქმნის საქმეში, მაგრამ არასოდეს ივიწყებდა ადამიანის სამყარო-ბუნებასთან, სოციალურ რეალობასთან უშუალო პრაქტიკული დამოკიდებულებების ღირებულებას. პოეტის გაგებით, ადამიანთა მიმართება გარე სამყა-

როსთან დასაბამიდანვე იყო აღბეჭდილი გარემოში სწორი ორიენტირების უნარით. ღრმა მეცნიერული ცოდნის უქონლადაც ადამიანები ხშირად სწორ ინტუიციურ არჩევანს მიჰყვებოდნენ და უტყუარ გადაწყვეტილებებსაც ღებულობდნენ. ამიტომ პოეტი ზოგჯერ არ ეთანხმებოდა რეალობიდან მოწყვეტილ „თეორიების მთხზველთა“ შეხედულებებს, რომლებსაც თვით ბუნების თავისთავადობა და ადამიანის ხასიათის უშუალობა ეწინააღმდეგებოდა. ალბათ, ამის გამოც წერდა პოეტი: „ბუნებასა და ცხოვრებას თავისი საკუთარი წესი და რიგი აქვს და ჩვენი თეორიები მას ვერ შეუშლიან არჩეულ გზაზე სვლას“.[1] აქ პოეტი „ჩვენს თეორიებში“ გულისხმობს ნაირ-ნაირ ფილოსოფიურ, მეცნიერულ, რელიგიურ მიმართულებებს და ცალკეულ ცნობილ მოაზროვნეთა მსოფლმხედველობრივ პოზიციებსაც.

ვაჟას რწმენით, არასოდეს დაბადებულა ისეთი მოძღვრება ან მსოფლხედვა, რომელიც პასუხს გასცემდა სამყარო-ბუნებისა და ცხოვრების ბევრ ჯერაც პასუხგაუცემ კითხვას, იქცეოდა ყველა დროის ადამიანის სულიერი ქმედების უცვლელ ნორმად. ამის გამო შეუძლებელია რომელიმე „იზმის“ თუ მოძღვრების ძალით იყოს განსაზღვრული არსებობა და განვითარება მთელი ხილული სინამდვილისა. ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, გენიოსები, მართალია, ცდილობენ მთლიანობაში აღიქვან და განიცადონ ხილული სინამდვილე, მაგრამ საბოლოოდ მათს მსოფლხედვასა თუ პოეტურ იდეალსაც მხოლოდ სამყაროსეული მთელიდან გამორჩეული ძირითადი ღირებულებები აშინაარსებენ. არც ერთ მოძღვრებას თუ „იზმს“ ბუნება და ადამიანი ისე არ გარდაუქმნია, რომ მათ თავისი უძირითადესი დასაბამიერი ნიშან-თვისებები ძირეულად შეეცვალა. ამიტომ, პოეტის გაგებით, ბუნებრივ-ადამიანური თავდაპირველი ნიშან-თვისებანი თავიანთი არსით არ არის დამოკიდებული რომელიმე თაობის რელიგიურ, მეცნიერულ და მხატვრულ პოზიციაზე. მაშასადამე, ის თავდაპირველი ბუნებისა და სოციუმის მოვლენები გააგრძელებენ სიცოცხლეს განურჩევლად იმისა, თუ როგორი იქნება მათ მიმართ თაობების რელიგიური, მეცნიერული და მხატვრული ინტერესი ან ცალკეული მოაზროვნეების მსოფლმხედველობრივი მიდგომა. მიუხედავად სამყარო-ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ამგვარი ავტონომიურობისა თუ სუბიექტური ნებისგან მათი ერთგვარი დამოუკი-

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 393.

დებლობისა, ისინი არასოდეს ტოვებენ გულგრილს ინდივიდის არსებას. მაძიებელი, ცნობისმოყვარე, განმცდელი და მეოცნებე პიროვნება, პოეტის სიტყვისამებრ, მუდმივად ბუნებაშია, ხოლო ბუნება მასშია. ამიტომ იდეალისტი, ანუ პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანის ნაწარმოებების სიუჟეტი სავსეა ბუნებისა და სოციალური ყოფის ფაქტებით, რომელთა გარემოშიც იკვეთება მხატვრულ სახეთა თვითმყოფადობა. ნაწარმოების მხატვრული აზრი თუ გმირის იდეალი სწორედ სინამდვილისადმი ერთგულების გამო ზოგჯერ შეიძლება არც ეთანხმებოდეს შემოქმედის მსოფლხედვას და ერთგვარად ცალკე იდგეს. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ შემოქმედის მსოფლხედვის საზღვრებში შეიძლება არ მოთავსდეს მის მიერ შექმნილი ზოგიერთი სახის მნიშვნელობა ან, საზოგადოდ რომელიმე თხზულების პოეტური იდეა. ცხადია, სასურველ მომავალზე ორიენტირებული მხატვრული წარმოსახვა და შემოქმედებითი ინტერესები უფრო ფართოა, ვიდრე მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიციები, თუმცა გარკვეული სიმაღლის იდეური პოზიცია ყოველთვის არის მხატვრული საქმიანობის ამოსავალი.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, ბუნებისა და ცხოვრების მართლხედვა, მათი კანონზომიერებების ღრმად წვდომა არის საწინდარი ნაწარმოების მხატვრულობისა. პოეტი ამბობს, რომ შემოქმედმა ნაწარმოებში ისეთი რამ არ უნდა დახატოს, რასაც მკითხველი დაუჯერებლად, ბუნებასა და ცხოვრებაში გაუმართლებლად მიიჩნევს. იგულისხმება, ბუნებრიობის, უშუალობის, თვითმყოფადობის განსახიერება ნაწარმოებს მეტ დამაჯერებლობასა და ესთეტიკური ზემოქმედების ძალას ანიჭებს, ხოლო დაუჯერებელი გამონაგონი კი აკლებს. მწერლის მსოფლმხედველობა დრომ შეიძლება რამდენადმე შეცვალოს, გადააფასოს, მაგრამ მხატვრული სიმართლე, რეალობიდან ნასაზრდოები სახეები პოეტურ ფუნქციას მაინც მუდმივად შეინარჩუნებენ.

ამგვარ პრინციპზე დაფუძნებული მხატვრული ქმნილებები ევლინებიან ახალ-ახალ თაობებს არა მარტო ესთეტიკური სიამოვნების წყაროდ, არამედ მსოფლმხედველობის გადამახალისებელ ფენომენადაც.

ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვით, სამყარო-ბუნება და კაცთა ცხოვრება მრავალი იდუმალი, აუხსნელ-განუმარტავი პრობლემის წარმომჩენია და სწორედ ეს არის სინამდვილის ნაირ-ნაირი ინტერპრეტაციის, მისი სხვადასხვაგვარი იდეური და მხატვრული პოზიციიდან განსჯის მიზეზი. სინამდვილეს, კერძოდ, ბუნე-

ბასა და ცხოვრებას, თავისი ნაცნობი და უცნობი საგან-მოვლენებითურთ უნდა ითვისებდეს მეცნიერება, რელიგია და ხელოვნება. ვაჟა-ფშაველას რწმენით, ადამიანის მსოფლმხედველობის და პოეტური იდეალის რაობას, როგორც სინამდვილის გამთვალისწინებელ მთლიანობას, აფუძნებს სწორედ მეცნიერულ-ფილოსოფიური, რელიგიური და მხატვრული მიმართებები. სამივე ეს ფენომენი ერთდროულად და ერთნაირი ძალით მსოფლმხედველობასა და პოეტურ იდეალში შეიძლება ვერც გამოიკვეთოს. ცხადია, მათ, ფორმისა და ფუნქციის სხვადასხვაობის მიუხედავად, საერთოც ბევრი რამ აქვს. საერთო რომ არ ჰქონდეს რელიგიას, მეცნიერებას და ხელოვნებას, მაშინ შემოქმედის მსოფლგაგებისა და პოეტური იდეალის მთლიანობით ხასიათზე საუბარი შეუძლებელი იქნებოდა. სამყარო-ბუნების ობიექტური წყობა და კაცთა პრაქტიკული მოღვაწეობის საყოველთაო წესები უძევს საფუძვლად, პოეტის აზრით, ადამიანის სულიერ-გონითი ქმედების რელიგიურ, მეცნიერულ და მხატვრულ გამოვლინებებს. სწორედ კულტურის ამ უძირითადეს მოვლენათა გაცნობის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს ნებისმიერი შემოქმედის მსოფლგაგება და პოეტური მრწამსი. მათსავე ბაზაზე შეიძლება დაუპირისპირდეს ერთი მსოფლმხედველობა მეორეს და ცხადყოს საკუთარ არსში სხვასთან მსგავსიც და მისგან განსხვავებულიც. ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „ფიქრი უსამზღვროა, ვითა სამყარო...“ მაშასადამე, პოეტის მრწამსით, აზროვნების, გრძნობისა და ნების საშუალებით უნდა გამოკვეთოს ადამიანმა სამყაროსა და საკუთარი სოციალურ-ბიოლოგიური არსების უსაზღვროების მრავალმხრივი შინაარსი. ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგებით, უძველესი დროიდან მოყოლებული, ახლის აღმოჩენა, ახალ-ახალი მეცნიერული, რელიგიური თუ მხატვრული მიმართებების წარმოშობა ევოლუციური განვითარებისა და ისტორიზმის პრინციპს ემყარებოდა. ეს პროცესი გულისხმობდა მარადიულ განმეორებად მოძრაობას, სვლას მარტივიდან რთულისაკენ, ნაწილიდან მთელისაკენ და ამავე მოძრაობის უკან დაბრუნებას რთულიდან ან მთელიდან მარტივისა თუ ცალკეულისაკენ. ამგვარი მოძრაობის გარდამქმნელი ძალის თაობაზე, მის ზოგად მნიშვნელობაზე ვაჟა პოეტურადაც მსჯელობდა: „თუ წინად ასე მომხდარა, დღესაც ასევე იქნება: განმეორება არ მოხდეს, ისე ვერ გარდაიქმნება ადამიანის სიცოცხლე და მასთან მთელი ბუნება“. მოვლენათა გამეორებით შეპირობებული გარდაქმნა-განვითარების საფუძველი კი, პოეტის გაგებით, ბუნებისა და სიცოცხლის ცხოველ-

მოქმედება და მათი პოლარული ხასიათია. სამყარო-ბუნებისა და კაცთა ცხოვრების მრავალფეროვნება, მისი აღნიშნული წესით ქმნა და გარდაქმნა, ამ მოძრაობათა ორიგინალური წარმოსახვა, განცდა-გააზრება, მწერლის რწმენით, გამორიცხავდა „იზმების" ბატონობას როგორც მის თეორიულ ნააზრევში, ისე პოეტურ იდეალზე.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებები და წარმოდგენები სამყაროსა და ადამიანის განსაკუთრებული მისიის შესახებ უნიკალურია. მისი მსოფლხედვით, ადამიანი სამყარო-ბუნების სისტემური ერთიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მთელი ბუნების, კოსმოსისა და ადამიანის თავისთავადი არსებობისა და ურთიერთმიმართების გარეშე სინამდვილეში სხვა არაფერი არსებობს. თვალით დასანახი, გონებით საწვდომი, პოეტის აზრით, სამყარო-ბუნება, კაცთა ცხოვრება-მოღვაწეობაა. ამ ორი ფენომენის, კერძოდ, ბუნებისა და ადამიანის, თავისთავადობა და მათი ურთიერთკავშირის აუცილებლობა ერთად აღიქმება, ერთად ცნობიერდება. ვაჟა-ფშაველას რწმენით, „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია". ეს კი გულისხმობს, რომ სამყარო-ბუნებისა და ადამიანთა ცალ-ცალკე არსებობა შეუძლებელია და საზრისს მოკლებული. ვაჟა იმასაც გვეუბნება, რომ ბუნებაში ყოფნა ჩვენი ფიზიკურ-სულიერი არსებობის პირობაა, ხოლო ბუნების ყოფნა ჩვენში, ჩვენს გრძნობა-გონებასა და წარმოსახვაში მთელი სამყაროს მშვენიერებისა და გონიერების გაცნობიერებაა. ცხადია, ორივე მოვლენა – ბუნებაც და ადამიანიც თვითმყოფადი არსის მატარებლები არიან, მაგრამ მათი თვითმყოფადობა განუზომელ ღირებულებას მხოლოდ ურთიერთმიმართების, მუდმივი კავშირის ბაზაზე იძენს. უძირითადესი საშუალება ბუნებისა და ადამიანის აუცილებელი კავშირის გაცხადებისა პიროვნების სულიერ-გონითი შესაძლებლობებია. ეს უნარები, მართალია, მთავარია, მაგრამ ბუნებრივ-საგნობრივი სინამდვილის ზემოქმედების გარეშე გრძნობა-გონებაც ვერ იმოქმედებდა და ვერც ზეაღსვლას უზრუნველყოფდა. ამიტომაც ვაჟა-ფშაველამ სამყარო-ბუნების საგნობრიობა, მისი კანონზომიერებები, თვითარსებული თუ უნივერსუმის მიერ შექმნილი დიად გონივრულ მთლიანობად წარმოადგინა. მისი გონიერება, პოეტის სიტყვით, ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება. პოეტი გულისხმობს, რომ სამყაროს ამ კანონზომიერებითა და საგნობრიობით მეტყველ, თანაც უალტერნატივო არსთან ადამიანი მუდმივ დიალოგშია ჩართული, მასთან ერთად თუ მის წიაღში მოქმედებს და ამგვარი მოქმე-

დებით ემსგავსება კიდევაც ბუნებას, მთლიანს. პოეტი წერს: „ამ პატარა არსებას – ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია"... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს, რომ ეს შეუნიშნავს".[1] ამ სიტყვებით ვაჟა-ფშაველამ აღიარა, რომ ადამიანის სულიერ-გონითი უნარები მხოლოდ სუბიექტურ-ადამიანურ საწყისებს კი არ ემყარება, არამედ უხვად საზრდოობს სამყაროსეული სიბრძნით, თუმცა ეს მას ხელს არ უშლის იყოს ინდივიდუალური, მიკროკოსმოსი მაკროკოსმოსთან მიმართებისას. მაშასადამე, პოეტის გაგებით, ადამიანი თანდათანობის წესით სწვდება სამყაროს ახალ-ახალ მოვლენებს, მიღებისა და უარის პოზიციიდან განსჯის მათ და ამის კვალობაზე გამოკვეთს თავის შინაგან შესაძლებლობებსაც, ადგენს თავის არსებას. სულიერ-გონითი მოღვაწეობის გარკვეულ საფეხურზე ადამიანს უჩნდება სურვილი ცალ-ცალკე გაიცნობიეროს სამყარო-ბუნების, ღვთაებისა და საკუთარი თავის რაობა. პიროვნება სამივე მოვლენას კვლევა-დაკვირვების საგნად აქცევს და მიზნად დაისახავს უმაღლესი ღირებულების, აბსოლუტის შემეცნებას, მის გვერდით ყოფნას და ამგვარად თავისი თავის სრულქმნასაც. ასეთი მიზნის დასახვა დაუსრულებელი და დიდი პირობითობაა, მაგრამ მეტად საჭირო საერთო პროგრესის მისაღწევად. კაცობრიობის ისტორია, მასში მიმდინარე რელიგიური, მეცნიერული, მხატვრული საქმიანობა აუცილებლად გულისხმობს ადამიანის გონის მონაწილეობას. ვაჟა-ფშაველას გაგებით, ბუნების ქმნილებებისადმი ადამიანის დამოკიდებულების წესი თითქმის ყოველთვის ერთგვაროვანია. იგი ბუნებაში მარტო სასარგებლოს, პრაქტიკულს კი არ ჭვრეტს, არამედ იდეალურ მისწრაფებათა შესატყვისსაც ეძიებს. პოეტი იის შესახებ წერს: „... იგი არც საჭმელია, არც სასმელი, თუნდ სასიამოვნო სუნი არა ჰქონდეს, ჩვენ მაინც მოგვწონ იგი, თვალს უყვარს, გულს ესიამოვნება მისი ნახვა, ცქერა, ხოლო განვითარებულს აზრიანს კაცს იგი სხვა ბევრს რასმე მოაგონებს იმისდა მიხედვით, რამდენადაც იდეალისტია კაცი, რამდენად სულიერად მდიდარია იგი".[2] ბუნების ქმნილებებისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ შემოქმედს საშუალება მისცა მრავალი შეუდარებელი ნაწარმოები დაეწერა

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 395.

[2] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 394.

ბუნების თემაზე. ვაჟას შემოქმედებითი პრაქტიკა არაერთ ნიმუშს წარმოადგენს ბუნების საგან-მოვლენათა მხატვრული განსახიერებისას და იმასაც ცხადყოფს, თუ როგორ ამდიდრებს ამგვარი მიდგომა მწერლის მსოფლგაგებასა და პოეტურ იდეალს. მწერლის მსოფლმხედველობა და პოეტური იდეალი განუზომელ მასშტაბს იღებს, როდესაც შემოქმედებითი მიმართების საგნად იქცევა მთელი სამყარო და ადამიანთა ცხოვრებასთან მისი კავშირის მრავალმხრიობა. ახალ-ახალი ღირებულებების დაბადება სწორედ სამყარო-ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ერთიანობის პოეტური განცდისა და განსახიერებისას ხდება. ამ შემთხვევაში მწერალი არ კმაყოფილდება მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების ასახვით და სოციალური პრობლემების გვერდით კოსმიურ კანონზომიერებასაც მოიხმობს. ბუნების ქმნილებათა პერსონიფიცირება და სულიერ-გონითი შესაძლებლობების გასაგნება, „გაბუნებრივება“ შემოქმედებით-მხატვრული საქმიანობის განუყრელ მოვლენად იქცევა.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობა, ცხადია, ეფუძნება თავისი დროის ფილოსოფიურ-მეცნიერულ მიღწევებს და მათ საკუთარი ნატურფილოსოფიური შეფასებების ბრძმედში ატარებს. პოეტს სწამს, რომ ჯერ არ შექმნილა მოძღვრება, რომელიც სამყარო-ბუნებისა და თვით ადამიანური არსებობის ყველა საიდუმლოს ახსნიდა. ამიტომ, მისი აზრით, როცა მიწაზე პასუხი არ იპოვება, მაშინ მეცნიერისა და ხელოვანისათვისაც შეუცვლელია ცის იმედი. თუ ამოუცნობი მოვლენები უნივერსალურმა ძალამ, დამბადებელმა დააარსა, მაშინ, ბუნებრივია, ახსნა-გაგებას დამორჩილებული მოვლენებიც ღვთის მიერ უნდა შექმნილიყო.

ვაჟა-ფშაველა სამყარო-ბუნებისა და ადამიანის სულიერ-გონითი უნარების რაობისა და აგებულების თაობაზე კატეგორიულად თავისი დროის არც რელიგიურ და არც ფილოსოფიურ-მეცნიერულ მოძღვრებებს არ ეკამათება, თუმცა მთელი თავისი მსოფლჭვრეტითა და მხატვრული მიზნებით კი ღრმად ორიგინალურია. სინამდვილის ყოვლისმომცველი სურათის შექმნისას პოეტი ძირითადად მისი ორი უძირითადესი ფენომენის – ბუნების თავისთავადობისა და ადამიანის სულიერ-გონითი თვითმყოფადობის ავტონომიურობის აღიარებას ემყარებოდა. იგი იმასაც ფიქრობდა, რომ მათი მარადიული კავშირისა და ურთიერთმიმართებების გარეშე სამყაროსეული მთლიანობა არ მოიაზრებოდა. სამყარო-ბუნება მუდმივმოძრავი თვითმყოფადობაა. სამყარო, როგორც მთლიანობა და სიცოცხლის არსებობის საფუძვე-

ლი, თავისებურად ვითარდება, იცვლება, ხოლო ფორმალურად მისგან გამოცალკევებული, ერთგვარად სულიერ-გონითი „უპირატესობით" აღჭურვილი ადამიანი კი სრულქმნის საკუთარ წესრიგსაც მისდევდა. სამყაროსა და ადამიანის ერთიმეორისაგან დაცილება მხოლოდ ის პირობითობაა, რომლის საშუალებითაც უნდა გამოიკვეთოს ერთიმეორისაგან მათი განსხვავება. ცხადია, ამ ორი თავისთავადობის კავშირი და ნაირ-ნაირი ურთიერთმიმართება გამოკვეთს სამყაროს, როგორც მთლიანის, მნიშვნელობასაც. უხსოვარი დროიდან კაცობრიობას პრობლემად ედგა კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ ან რა მიზნით შექმნილა სამყარო და ადამიანი; ასევე საიდან იწყება და სად შეიძლება დამთავრდეს მათი არსებობა და სხვა. ამგვარმა კითხვებმა აიძულეს ადამიანი რაღაც დონით გაეცნობიერებინა სამყაროცა და თავისი თავიც. ადამიანმა ირწმუნა ბუნებასთან მუდმივი მიმართების აუცილებლობა და ამ პროცესის აუხსნელი, იდუმალი მხარეების გამართლებისა და გაგებისათვის მოიშველია ბუნებასა და ადამიანზე მაღლა მდგომი ზებუნებრივი უნივერსალური ძალა, ანუ ღმერთი. ასეთმა მოთხოვნილებამ, მსოფლჭვრეტამ ადამიანის თვითცნობიერება, სამყაროსა და ღმერთის ცნობიერება ერთიან სისტემად წარმოადგინა.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობით, ადამიანის იმგვარი სახე, რომელიც ღვთაებრივს რაღაცით მიუახლოვდებოდა, სწორედ მისი ბუნებასთან მუდმივი კავშირ-მიმართების პროცესში უნდა წარმოქმნილიყო. ცხადია, მწერლის გაგებით, ადამიანს საკუთარი სოციალური ურთიერთობების სამყაროც აყალიბებს, მაგრამ მთავარი მაინც ბუნების კანონზომიერებათა ზემოქმედებაა, რადგან „ჩვენი ცხოვრება სრული გამომხატველია ბუნებისა. ყველა ის, რაც ბუნებაშია, დამოკიდებულება ცხოველთა შორის, მცენარეთა, ცისა და დედამიწის შორის, წყალსა და ჰაერთან, ყველა ეს ჩვენ კაცთა შორის ხდება".[1]

ვაჟას რწმენით, ბუნება სიცოცხლის განმსაზღვრელი, თანაც უალტერნატივო კანონზომიერებების სისტემაა და სწორი ადამიანური მოქმედებაც იქიდან, ანუ გაცნობიერებული ბუნებიდან უნდა იბადებოდეს. პოეტის შეხედულებით, აღნიშნულის გამო ყოველი დიდებული მოაზროვნე კაცთა ცხოვრებას „ბუნების თვალებით" უცქერის და აფასებს. ბუნებისა და ადამიანის ასეთი

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 396.

დამოკიდებულება ისტორიული პროცესია, რომელმაც უნდა გამოკვეთოს ღირებულებებით ორიენტირების მრავალი ასპექტი. არსებითად სამყარო-ბუნებასთან ადამიანის მიმართებისას ხდება ღირებულებათა აღმოჩენა, მათი ობიექტივაცია და ამა თუ იმ სახით გაშინაარსება. კოსმოსთან მიზეზობრივი კავშირის ძიების პროცესში იძენდა ადამიანის გრძნობა-გონება რელიგიურ, მეცნიერულ და მხატვრულ სახეს. სამყაროსთან მუდმივმა აქტიურმა დამოკიდებულებამ გაუთვალსაჩინოვა ადამიანს ის სულიერ-გონითი ძალები, რომელთაც გარემოსთან ყოველგვარი დამოკიდებულება ახსნა-გაგების საგნად უნდა გადაექცია. მიმართებების ახსნისა და გაგების შესაძლებლობების რწმენამ გაუჩინა მას მიზანი, რომ რამენაირად მიახლოებოდა პირველ საწყისს და ყოველივეს არსებობის საზრისს. ასეთი მიზნის დასახვა პიროვნული სრულქმნისაკენ სწრაფვასაც გულისხმობდა.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებები და წარმოდგენები სამყაროზე, ამ მთლიანობაში ადამიანის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე მრავალფეროვანია. ადამიანი კოსმიური სისტემის განუყრელი ნაწილია. ბუნებისა და ადამიანის თვითმყოფადობაც და მათი კავშირ-მიმართებების შინაგანი წესრიგიც კოსმიურმა უნივერსალურმა ძალამ შექმნა. მანვე ჩამოაყალიბა სამყაროსეული დაბალი და მაღალი ღირებულებების იერარქიული სისტემა. დამბადებელმა სამყარო-ბუნების კანონზომიერებებისა და ადამიანის თუ სხვა ცოცხალ არსთა ნიშან-თვისებების განწესებით ყოველივეს – მთლიანსაც და მის ნაწილებსაც – თვითგამოვლენის უსაზღვრო შესაძლებლობები მიანიჭა. პოეტის მსოფლგაგებით, სამყარო-ბუნება თავის ღვთაებრივ სიბრძნეს დაუსრულებელი და ყოვლისმომცველი მოძრაობით გამოხატავს. ხილული სინამდვილის კანონზომიერებები შეაპირობებს, წარმოშობს და ინახავს ცოცხალი და არაცოცხალი საგან-მოვლენების განსაცვიფრებელ მრავალფეროვნებას. ყოველი არსება, ცალკეული განუყრელადაა დაკავშირებული სამყაროს მთლიანობასთან, ისინი ერთ ჰარმონიას ქმნიან, რადგან ერთიმეორისაგან მათი მოწყვეტა, პოეტის გაგებით, სახეს დაუკარგავდა ხილულ სინამდვილეს. იგი ამიტომაც აღტაცებულია უფლის შემოქმედებით: „ღმერთო, შენია ქვეყანა, შენი ნაღვაწი სრულადა". სამყარო-ბუნება მთელისა და ნაწილების ერთობლივი უწყვეტი მოძრაობაა, ურთიერთმიმართებაა, ქმნა და გარდაქმნაა, მოვლენათა დროში სასრულობა და მარადიულობაა. ყოველივეს არსებობა, მათ შორის ბუნების წესრიგი, ადამიანური სიცოცხლის სიკეთე, გონიერება, მშვენიერება,

უფალმა კარგად დააწესა. ამიტომაც პოეტი ბრძანებს: „დიდება ქვეყნის შემოქმედს, რა კარგა დაუწერია". ბუნება და კაცთა ცხოვრება მრავალი იდუმალების სარბიელია. ვაჟა ფიქრობს, რომ ადამიანის მოქმედების განმსაზღვრელი გრძნობები მასთან ერთად არ კვდებიან და მხოლოდ „მკვდარნი ვეკარგვით სიყვარულს, ის ისევ რჩება ცხოვლადა, დაფრინავს, როგორც ფარვანა, საამო კარგი ყოვლადა".

უფალმა ყოველი არსის ბედი, საკუთრივი სახელი, ძალა, არსებობის წესრიგი ერთმანეთს შეუწონასწორა, „დაუმონა" ისე, რომ თითოეული მათგანი ბედითა და სხვასთან კავშირის წესით კმაყოფილი ყოფილიყო.

ვაჟა-ფშაველა მთელი კოსმოსის მრავალფეროვნების საწინდრად სინამდვილის არსთა სახეობრივ თვითმყოფადობას მიიჩნევს. მისი რწმენით, სამყაროში არსებულ ყველა ქმნილებას თავისი მეობა და „შვენება" აქვს. მისი სიტყვით, „მთასა აქვს თავის შვენება, ხოლო ბარსა აქვს ბარული, ისიც კი შვენიერია, გულს რო ფიქრი მაქვს ფარული". სამყაროსეული ფენომენების მშვენიერება, თურმე, უშუალოდ ეხამება იმ მშვენიერ ფარულ ფიქრსაც, რომელიც პოეტს გულში აქვს. ირკვევა, რომ მშვენიერებას გაუერთიანებია ბუნებრივი და ადამიანური მოვლენები. სამყარო-ბუნების მშვენიერება, მისი თავისუფალი შემოქმედებითი პათოსი ღვთაებრივი მადლივით გადმოდის ყოველ ადამიანზე და მით უფრო პოეტის განცდებზე, საერთოდ, ადამიანური მიწიერი ცხოვრების ავ-კარგზე. პიროვნულ-ინდივიდუალური გრძნობა-გონება, ეროვნული თუ საკაცობრიო იდეალი თითქოს კონკრეტულ-ბუნებრივით ივსება და მშვენიერდება. ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობით, სამყარო-ბუნების წესრიგი, მისი ჰარმონია უნდა იყოს გახსნილი და განსახიერებული ისეთ კერძო ფენომენში, როგორიც ადამიანთა სიცოცხლე, ისტორია და სოციალურ-ზნეობრივ ურთიერთობათა სისტემაა.

პოეტის მსოფლხედვა სამყარო-ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების ურთიერთმიმართებებზე უშუალო და ღრმა დაკვირვებების საფუძველზე ჩამოყალიბდა. მწერალი გასაოცარი ალღოთი სწვდებოდა კოსმიურ მთლიანობას და მის კანონზომიერებებს უშუალოდ აკავშირებდა დედამიწასთან, ადამიანების საერთო ბედთან. ვაჟას რწმენით, დიდი მოაზროვნე მთელ ხილულ სინამდვილეს მთლიანობის სახით აღიქვამს და შემდეგ ანაწევრებს მას ცალკეულ მოვლენათა ფუნქციის შესაფასებლად. სამყაროს მთლიანობა, მის შიგნით არსებული ნაწილების ურთიერთმიმარ-

თება, საზოგადოდ კი სიცოცხლის ბუნებასთან კავშირის ნაირ-ნაირი ასპექტები ექვემდებარება საყოველთაო მოძრაობას, დაუდგრომელ მარადიულ წრებრუნვას, ანუ, როგორც ვაჟა იტყოდა, ყოვლის განმეორება-გარდაქმნას. პოეტის გაგებით, სწორედ ამ დიადი ჰარმონიის, უძლეველი ძალის სისტემური მოძრაობის შიგნით ამყარებენ მიმართებებს ცა და დედამიწა, მთელი და ნაწილები, სიცოცხლის წარმოშობა და მოსპობა. სამყარო-ბუნების არსებობა, მისი მოძრაობა-გარდაქმნა ღვთაებრივი მიზნისა და მადლის თავისებური გამართლება-გამომზეურებაა, რაც, პოეტის მრწამსით, სიცოცხლის მარადიული განგრძობისა და სრულქმნის პირობაა. სამყაროსეულ მოვლენათა კავშირ-მიმართებების ერთ-ერთი უპირველესი ფუნქცია სიცოცხლის მარადიული მახასიათებლების სრულყოფა და შენარჩუნებაა. ამ ფუნქციის საფუძველთა საფუძველი მოძრაობაა. მოძრაობა შეაპირობებს სიცოცხლეს, ხოლო სიცოცხლე მისი უკვდავი ნიშნებითურთ მუდმივად მიემართება ბუნებასა და ცდილობს ამ ფენომენის გონიერების ათვისებას. ვაჟა-ფშაველა ამგვარი ჰარმონიის მსოფლმხედველობრივ ათვისებასა და მის მხატვრულ განსახიერებას ესწრაფვის. სამყარო, როგორც ერთიანობა, მთლიანობა, თავის თავში იტევს ერთგვარ იერარქიულ მოვლენებს. მასში, გლობალური კავშირ-მიმართებების გარდა, არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიკრონათესაური დამოკიდებულებებიც, ცალკეული ქმნილებების საკუთრივი სამყაროები. დროით-სივრცითი და მიზეზობრივი მოვლენებით დაახლოებული ეს ცალკეულები სამყაროსეული მთლიანის მრავალფეროვნებას აფუძნებენ. ვაჟას ხედვით, ზოგი მოვლენა ერთიმეორეს უნდა მუდმივად ამშვენებდეს: „თევზი – წყალს, ცასა – ვარსკვლავი, ხოლო შვილი – დედას და მამასა". მწერალი გვაგრძნობინებს, რომ სამყარო-ბუნების ფიზიკური წყობა, ცისა და მიწის რეალური კავშირი, თვითარსებულთა დაუსრულებელი მოძრაობა არიან უპირობო სამყაროსეული ღირებულებები. ამ ღირებულებების მოქმედების სისტემაშია ჩართული სიცოცხლის მრავალსახეობრიობა, რაც მთავარია, ადამიანის სიცოცხლე, რომელიც გრძნობა-გონების, მეტვყელებისა და გარდასახვის შინაგანი მრავალფეროვნებით ლამის სამყაროს ეჯიბრება თუ ეტოლება.

პოეტს სწამს, რომ სამყაროს მარადიული მოვლენები, ადამიანის ცხოვრებისა და ხასიათის უკვდავი ნიშნები საყოველთაონი, ყოვლისმომცველნი, ყველგან და ყოველთვის მოქმედი ფენომენებია. ეს მარადმოქმედი ობიექტური და სუბიექტური საწყისები

გვევლინებიან იმის მიზეზად, რომ სხვადასხვა დროისა და ქვეყნის ხალხები ხშირად ერთიმეორის მსგავსად განიცდიან, სწვდებიან, გარდასახავენ და აფასებენ ბუნებასა თუ კაცთა ცხოვრებას, მათი სულის მოძრაობას. აქედან იღებს სათავეს კაცობრიობის მასშტაბით მთელი სინამდვილის მაგიურ-მითოსური, რელიგიური, მეცნიერული და მხატვრული ათვისებისას გამოკვეთილი ცნობიერების ფორმები. ცნობიერების ფორმები რეალობის ათვისების პროცესში მიდგომა-მიმართების ერთიან წესს ეფუძნებიან და მათში მხოლოდ მიზნები თუ ფორმალური დონეები შეიძლება სხვადასხვაობდნენ და უნდა სხვადასხვაობდნენ კიდევაც ისტორიულ-ევოლუციური პირობების გამო. ბუნებამ დაამკვიდრა მრავალსახოვანი სიცოცხლე და მისი პირობები. მანვე მოახდინა დიფერენცირება სიცოცხლის ნაირგვარად გამოხატვის შესაძლებლობისა. ადამიანი თანდათანობის წესით და ნაწილობრივი წვდომა-შეფასების უნარით ეუფლება სინამდვილეს და ამით განსხვავდება სხვა არსთაგან. ამიტომ ბუნებაში ადამიანის სიცოცხლეს ბადალი არ ეპოვება, რის გამოც ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ ადამიანის და ბუნების სხვა ქმნილებათა არსებობის თვითმყოფადობათა შორის. ვაჟას აზრით, სამყაროს დიადი ერთიანობის შიგნით არსებული ეს მრავალფეროვნებაც უნივერსალურმა კოსმიურმა ძალებმა დააარსეს. როგორც ირკვევა, პოეტის მსოფლმხედველობა ამოიზარდა სამყარო-ბუნების, კაცთა ცხოვრების, ინდივიდის თვითმყოფადობის და ასევე ამ მოვლენათა ცხადი თუ დაფარული მიმართებების საუფლოდან. სამყარო-ბუნებისა და ისტორიული ცხოვრების მოვლენების სიღრმეებში სიახლის მაძიებელი და აღმომჩენი, ამასთანავე, უკვე აღმოჩენილის მჩხრეკელ-მრკვეველი თუ გადამფასებელი ადამიანის სიცოცხლე ერთ-ერთ სამყაროსეულ უმაღლეს ღირებულებად მაშინ იქცევა, როცა იგი სინამდვილეს დიდი უშუალობით, შემოქმედებითად და თავისუფალი ბრძენი მოაზროვნის პოზიციიდან გაითავისებს.

ვაჟა-ფშაველა, მართალია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი დროის მეცნიერულ და მხატვრულ მიღწევებს, მაგრამ სამყარო-ბუნებასა და ისტორიაზე წარმოდგენების შექმნისათვის მოაზროვნეთა ინდივიდუალურ პოზიციას ყველაზე გადამწყვეტ მოვლენად მიიჩნევდა. მისი აზრით, განსხვავებული უნარის ადამიანები სინამდვილეს სხვადასხვანაირად შეიძლება ჭვრეტდნენ: „გენიოსს, – წერს პოეტი, – არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად ან მეოთხედად, არამედ

ჰგრძნობს მთლად ერთობლივ".[1] პოეტის რწმენით, იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე საკუთარ ჯამს ჩასცქერიან. ვაჟა დიდი შემოქმედისაგან კი ბუნებრივი და სოციალური რეალობის მთლიანობაში აღქმას, გააზრებასა და გარდასახვას ითხოვს. ამგვარი მიზანი, ცხადია, ვერც ერთი მოძღვრების ვიწრო ჩარჩოში ვერ მოთავსდება. სინამდვილეს, როგორც წვდომა-შეფასებისათვის ამოუწურავ, უსაზღვრო ფენომენს, გენიოსი მოაზროვნეებიც, უპირატესად, მხოლოდ ერთი რომელიმე ასპექტით, ათვალსაჩინოებდნენ, კერძოდ, ეპოქის მოთხოვნებს ისინიც ანგარიშს უწევენ. ვაჟას შეხედულებით, გენიოსები ვერც გრძნობენ და არც ასახავენ მცირე ღირსების მოვლენებს, რომლებიც დაახლოებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან. „კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან" კი, მისი მსოფლგაგებით, სამყარო-ბუნების კანონზომიერებანი და ამ კანონზომიერებების ზემოქმედებით ჩამოყალიბებული დიდებული პიროვნების ხასიათი, ღვაწლი და მიზანია დაახლოებული. მაშასადამე, ვაჟა ფშაველა გენიოსი შემოქმედისაგან ხილული სინამდვილის, ბუნებრივი და სოციალური რეალობის ერთიანობაში აღქმას, განცდას, გააზრებას და მხატვრულ გარდასახვას მოითხოვს. სამყარო-ბუნება, კაცთა ცხოვრება, პიროვნული ინდივიდუალობა, პოეტის გაგებით, მუდმივად ახალ-ახალი აზრით შესაფასებელი ფენომენებია. ეს თავისებური სამყაროსეული ერთიანობა, მისი იდუმალი მხარეები ერთი კაცის ტალანტის მიერ ბოლომდე არასოდეს გახსნილა. ბოლომდე აუხსნელია ადამიანის გარე სამყაროსთან ირაციონალური მიმართებების რაობაც. ვაჟას მრწამსით, ეროვნული ცხოვრება, ყოველი ერის სამყაროსთან ღრმად საიდუმლოებრივი და, ამასთანავე, თვითმყოფადი კავშირი გამძლეობით წლის დროთა თუ დღე-ღამის მონაცვლეობას ემსგავსება. ამის გამო წმინდა ეროვნულ მოვლენებსაც ადვილად ვერავინ შეცვლის. პოეტის გაგებით, ყოველგვარი თვითმყოფადობის საფუძველი ჯერ ბუნებაა, ხოლო შემდეგ თავისებური სოციალური ცხოვრება. ვაჟა-ფშაველა სამყაროს ერთიანობას, მის მრავალფეროვნებას მიიჩნევს რასების, ერების, ტომების ინდივიდუალობის ჩამოყალიბების საფუძვლად. კაცობრიობის ცნება, როგორც დედამიწის მცხოვრებთა დიდი ერთიანობის მაუწყებელი, არ იარსებებდა, პლანეტაზე სხვადასხვა მოდ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964 წ., გვ. 295.

გმისა და ეროვნების ადამიანები რომ არ ცხოვრობდნენ. პოეტის სიტყვით, „ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული, რომელიც არის დამოკიდებული სხვადასხვა პირობაზე, მიზეზზე; იგი ბუნებამ შექმნა... მთელი კაცობრიობა, ჩვენი პლანეტის მცხოვრებნი, რამდენიმე მოდგმად განიყოფებიან, ხოლო მოდგმანი – ერებად. ყოველივე ერი შესდგება ადამიანებისაგან, რომელნიც განირჩევიან ისევ ერთი – ერთმანეთისაგან სახიერებით, გონებრივი და სულიერი თვისებით. საერთო თვისებაც სუფევს მათ შორის, და არა მარტო ერთი ერის ინდივიდებში, არამედ მთელის ხმელეთის მცხოვრებთაც შეგვიძლიან უპოვნოთ საერთო რამ, აი თუნდ, მაგალითად, სიყვარული სიცოცხლისა და მწუხარება სიკვდილის გამო, გრძნობა სიყვარულისა და სიძულვილისა“.[1] მაშასადამე, პოეტის გაგებით, სამყარო-ბუნებამ შექმნა ადამიანთა სიცოცხლისა და თვით ცხოვრების მრავალსახეობის პირობები. მანვე მიანიჭა რასებს, ერებს, ტომებს, ერთიმეორის მსგავსი და განსხვავებული ნიშან-თვისებები. პოეტის რწმენით, ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების ბევრი საიდუმლო გაუჩინარებულია სამყარო-ბუნების უსაზღვრო სფეროში. უფლის განწესებით, სამყარო-ბუნება არის შემოქმედი და დამცველი ყველა არსთა მრავალსახეობისა და მათი ერთიანობისა. ბუნება თავისივე კანონზომიერებების მსგავს წესებს უდგენს ადამიანთა ცხოვრებას. კაცობრიობას, როგორც ერთიანს, თითქმის იმგვარადვე უკავშირდება პიროვნება, ერი, რასა, როგორც ბუნების ცალკეული ნაწილები, უკავშირდებიან და აშინაარსებენ სამყაროს მთლიანობას; ამიტომ, როგორც კოსმიური მთელის გაღარიბებას გამოიწვევს მისი რომელიმე წევრის მოსპობა, ასევე კაცობრიობის ისტორიულ-კულტურულ თვითმყოფადობას დიდად დააკლდება რომელიმე ერის თუ რასის მოსპობა ან ასიმილირება. ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგებით, ბუნების და ადამიანის სიცოცხლის მრავალფეროვნების საწინააღმდეგო მოქმედება თვითონ დამბადებლის ნების დარღვევა, მისი უგულებელყოფა იქნება. ცალკეული ანუ მთელის შემადგენელი ნაწილების თვითმყოფადობის შენახვა სამყარო-ბუნების შეუვალი წესია. ბუნება დედაა ჰარმონიაში მყოფი თუ ერთმანეთთან დაპირისპირებული მრავალსახეობებისა. ვაჟა-ფშაველას რწმენით, სამყარო-ბუნების უალტერნატივო კანონზომიერებები გვევლი-

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 393-394.

ნებიან ფუნდამენტად, რასაც ადამიანის ცხოვრება თუ სულიერ-გონითი შესაძლებლობები ეფუძნება. კოსმიურმა მთლიანობამ განსაზღვრა დედამიწაზე მცხოვრებ რასათა, ერთა თუ ტომთა ინდივიდუალური სახისქმნადობის და სრულქმნის პირობები. ცხადია, ამასთანავე, ეროვნული ინდივიდუალობები ყალიბდებოდნენ ღრმა ისტორიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენების ზემოქმედებით. პოეტის რწმენით, დამბადებელმა ყველა ერს თუ ინდივიდს უბოძა ბუნებასთან, ისტორიულ რეალობებთან, საკუთარ თავთან ემოციურ-ინტელექტუალური მიმართების ერთნაირი ორიენტირები. თუმცა ერებმა ამ ერთგვაროვანი სულიერ-გონითი უნარების ბაზაზე საერთო-საკაცობრიოს გვერდით ღრმად ინდივიდუალური, თვითმყოფადი ნიშან-თვისებებიც გამოძერწეს.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, პიროვნების, ერისა და კაცობრიობის ურთიერთმიმართების წესიც თითქოს სამყარო-ბუნების კავშირ-მიმართებათა ორიგინალური მიბაძვაა. როგორც კოსმიური მთლიანობა არის წარმოუდგენელი ნაწილებთან მუდმივი კავშირის გარეშე, ასევე შეუძლებელია კაცობრიობის ყოფნა ცალკეულ მოდგმათა, ერთა და ტომთა გონივრული თანაარსებობის გარეშე. ამგვარი კავშირის ძალა ყველა სფეროში ამკვიდრებს როგორც საყოველთაოს, ასევე ერთიმეორისაგან განსხვავებულ, თვითმყოფად მოვლენებს. პოეტის რწმენით, მთელი მაკრო- და მიკროკოსმოსის გონივრული საწყისები მრავალსახოვანი სიცოცხლის განგრძობას, დაცვა-პატრონობას ემსახურებიან. ბუნება ამ მიმართულებით იჩენს განსაკუთრებულ სიმტკიცეს და „გონიერებას". სინათლის, სითბოსა და სიცოცხლის წყარო – მზე ყოველივეს „სწორად მოეფინების" და საკუთარი ენერგიის ძალით ავსებს, აცოცხლებს. კოსმიურ დიად ერთიანობაში სიცოცხლის განგრძობის შინაგანი აზრი ყველაზე სრულად გაზაფხულის მოქმედებამ ცხადყო. გაზაფხული მთელი ბუნების სულის ყველაზე მკაფიო გამომხატველია და მისი შემოქმედებითი უძლეველობის, სიკეთისა და თავისუფლების წარმომჩენიც. უძირითადესი ნიშნებით ბუნების სულის გაზაფხულება და ადამიანთა სულის გაზაფხულება, პოეტის სიტყვით, ერთმანეთს ჰგვანან. ბუნების სულის ძალმოსილება გაზაფხულს შეუდარებელ სიმაღლეზე აჰყავს. ადამიანთა სულის გაზაფხულება კი პიროვნებათა ეროვნულსა თუ საკაცობრიო დიად საქმეებში გაცხადდება. ორივე სახის სულის გაზაფხულება ერთმანეთს შინაგანი თავისუფლებისა და მძლავრი შემოქმედებითი პათოსის გამოვლენით ეთანხმება.

საერთოდ კი ბუნება ზემოქმედების კეთილი შინაარსით, ადამიანთა „მბრძანებელია“ და მათთვის „სულიერებისა“ თუ „გონიერების“ ნიმუშის მაჩვენებელი. პოეტის სიტყვით, „გაზაფხულზე ბებერი, ვინ იცის, რა დროისა, როდინდელი ბუნება, ახალგაზრდავდება“.[1] მზეც ამ დროს ჯეელდება, სითბო, სინათლე, სიმხნევე, გულუხვობა ემატება და ძალ-ღონეს არ ზოგავს, რათა უფრო მეტად გაათბოს დედამიწა და „... აამუშაოს მასში სიცოცხლის ცხოველმყოფელი ძალა“.[2] დედამიწაც ამ დროს შიმშილისაგან ატირებული ყრმის მონდომებით ხარბად ეჭიდება დედის, ანუ მზის, ძუძუს, სწოვს სითბოს, რათა სიკეთით აავსოს ირგვლივ ყოველი. „დიაღ, დედამიწა სწოვს მზეს სითბოს, მაცოცხლებელს ძალას, რათა შემდეგ ამ შენაძენით ასაზრდოვოს მცენარენი, ცხოველნი, დაამშვენოს, ააყვავოს, აავსოს ნაყოფით ბუნების გულ-მკერდი, უბე-კალთა“.[3] ბუნება, საზოგადოდ და უფრო მეტად კი გაზაფხულზე მშვენიერია, უხვი, ხელგაშლილი, ცხოველმყოფელი, მკვებავი და შემოქმედი სიცოცხლისა. მაშ უნდა „... ვიწამოთ, სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვნობა“.[4] გაზაფხულზე ბუნების ყველა არსი სიცოცხლის გაგრძელებისა და გამრავლებისაკენ არის მიდრეკილი. გაზაფხულის „შინაგანი მოქმედება და აზრი“, მისი მიზანი „მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა“. ბუნების „ზრუნვა“ სიცოცხლის განგრძობაზე დაფუძნებულია მზისა და დედამიწის ბრძნულ კავშირზე, მათს ერთობლივ მადლზე, ხოლო გაზაფხული მათი ნამოქმედარის დიდებული მხატვარია.

ადამიანის სულის გაზაფხულებამ ბუნებისა და პიროვნებათა თანამოღვაწეობის სიდიადეც უნდა ცხადყოს. გაზაფხულის მიერ შექმნილი სასიცოცხლო პირობებისა და საარსებო საშუალების გარეშე სიცოცხლე, საზოგადოდ, წარმოუდგენელია. პოეტი წერს: „იმიტომ არის გაზაფხული ლამაზი და ლამაზი რომ არ იყოს, ამოდენა მადლს, სიკეთეს ხომ არ დასტოვებდა დედამიწაზე, არც ასე გულიანად, თავგამოდებით აგალობებდა ბულბულს“.[5] მწერალი იქვე კვლავ აგრძელებს გაზაფხულის შესახებ მსჯელობას: „ყველა და ყველაფერი, სადაც კი თვალი და ყური

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 383.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 384.

[5] იქვე.

მიუწვდება ადამიანს, გველაპარაკება შემდეგს: „მე ცოცხალი ვარ, ცოცხალი და მინდა კვალად ვიცოცხლო, სიცოცხლე ჩემი უნდა იყოს დაუსრულებელიო.

ეს დრო ბუნების უაღრესი ბედნიერების დროა. ვფიქრობ, ბუნება, როგორც გაზაფხულზე, ისე არა დროს არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად“.[1] სამყარო-ბუნების ქმნილებათა ურთიერთმიმართებები, პოეტმა რაკი სიცოცხლის განგრძობის, სიყვარულის, სიკეთის, მშვენიერების, თავისუფლების, შემოქმედებისა და ბედნიერების შინაარსით დაახასიათა, ცხადყო, რომ კაცთათვის ბუნება სიბრძნის დიდი წიგნია. ბუნების უკვდავი ღირებულებები ხშირად კაცთა ცხოვრებასა და ხასიათში ვლინდება, რადგან ადამიანი მისი პირმშოა. ასეთნაირად მკვიდრდება კოსმოსისა და ადამიანის ისეთი ერთიანობა, როცა „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია“.[2] პოეტის სიტყვით: „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიაც არ მოიპოვებოდეს“.[3] მწერალმა აღიარა ბუნებისა და წმინდა ადამიანური ღირებულებების არა მარტო მსგავსება-ნათესაობა, არამედ მათი მარადიული თანაარსებობა: „რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ...“[4] პოეტმა აქ ჩვენი ყურადღება მიაპყრო გარე სამყაროსა და ადამიანთა ცხოვრების მარადიულ ერთიანობაზე, იმაზე, რომ ცხოვრებაში არაფერი ხდება ისეთი, რისი ანალოგიურიც ბუნებაში არ მოიპოვებოდეს. ამასთანავე, ბუნების თავისთავადი შინაარსი ყველაზე კარგად კაცთა ცხოვრებაში, მათ შემოქმედებაში იკვეთება. უკვე აღვნიშნეთ, რომ ცისა და მიწის გონივრული კავშირის შედეგია სიცოცხლის მრავალსახეობა და მრავალფეროვნება. ცოცხალ არსთაგან სამყაროს წესრიგის ათვისების პოტენციური უნარით ადამიანი ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებულია. მხოლოდ ის შეიქმნა ხატად ღვთისად, რათა მოთმინებით, თანდათანობითი თვითსრულქმნით რამდენადმე მიახლოებოდა არსებობის ჭეშმარიტ საზრისს. რაკიღა სამყარო,

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 384-385.

[2] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“.

[3] იქვე, გვ. 394-395.

[4] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 395.

მთელი მაკრო- და მიკროკოსმოსი უნივერსუმის თავისებური ემანაციაა, ამიტომ ადამიანი ამ სიბრძნისკენ უნდა ისწრაფოდეს, მას ჰბაძავდეს და მასთან მიმართებაში იჩენდეს მაღალ მისიას. სამყაროს ერთიანობის სიდიადე პოეტმა, უწინარეს ყოვლისა, გაზაფხულის სახეში, მის გონივრულ საზრისსა და მშვენიერებაში განჭვრიტა. თუმცა, პოეტის აზრით, წლის ყველა დროს, კერძოდ, დრო-ჟამის ციკლურ მოძრაობას განუსაზღვრელი ფუნქცია და მნიშვნელობა ენიჭება. მწერლის გაგებით, გაზაფხულის მოქმედებას იდუმალებაც ახლავს და „ეს დაფარული აზრი გაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა".[1] გაზაფხულის მოქმედება საერთოდაა სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილის სიმბოლურ-მეტაფორული განსახიერება. გაზაფხულის გარეშე არსებობას სიცოცხლის წყარო დაეშრიტებოდა. ამიტომ ამბობს ვაჟა: „მაშ ვიწამოთ სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვანობა: უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგრძნობთ ისე, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს".[2] პოეტმა ადამიანის სულის მასაზრდოებელი გამორჩეული, უხვი და მრავალფეროვანი ნიშნები გაზაფხულის ფენომენში დაინახა. მწერალი გვეუბნება, რომ სიცოცხლე და გაზაფხული ერთბუნებოვანნი არიანო და ამიტომ ერთნაირი სახით გამოხატავენ სიცოცხლის უძირითადეს ნიშნებს, კერძოდ, შემოქმედებით ძალისხმევას, სიბრძნეს, სიკეთეს, თავისუფლებასა და ბედნიერებას. ამ თვისებათა გამოხატვისას ბუნება და ადამიანი თითქოს მუდმივი თანამოაზრენი არიან. ობიექტური აზრით, ცხადია, ბუნების თავისთავადობის ძალა და მნიშვნელობა დიდად აღემატება ადამიანის მოქმედების შესაძლებლობებს. ბუნების თავისთავადი გონივრული ნიშნები რაღაცა ხარისხით ადამიანზე გადმოდის, თუმცა მას ყოველთვის არ ძალუძს გაიცნობიეროს ეს ურთულესი პროცესი. ადამიანს არ შეუძლია იმის განსაზღვრა, თუ როდის და რა მიიღო ბუნებიდან, სოციალური გარემოდან ან რეალობაში დანახულმა ღირებულებებმა რანაირი მიმართულება მისცეს მის გრძნობა-გონებას, ხასიათს. პიროვნებამ ხშირად უფრო მეტი იცის თავის გარეშე არსებულ ნივთთა სამყაროს შესახებ, ვიდრე საკუთარი სულიერ-გონითი უნარების მიმოქცევის ავ-კარგზე. აქედან გამომდინარე, ბუნების უპირატესობის მაღიარებელმა

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 383.

[2] იქვე, გვ. 384.

პოეტმა თამამად დააყენა კითხვა: „ნუთუ ადამიანის სულს კი არა აქვს თავისი გაზაფხული?“ ვაჟა ამ კითხვას დადებითად პასუხობს და თანაც სულის ცნებას მიიჩნევს ადამიანის თვითცნობიერების, მისი გრძნობა-გონების, უნართა მთლიანპიროვნული საზრისის, ალბათ, ზოგადად სიბრძნის, სინონიმად. დიდი შემოქმედი იმასაც აღიარებს, რომ ყველა ადამიანის გრძნობა-გონება ერთნაირი ძალმოსილებისა არ არის, ერთნაირად განვითარებული. ვიწრო ჭკუის ეგოისტი ვერც ბუნების სულის გაზაფხულებას აფასებს.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ბუნების „...წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება ... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავ ღირსებითა და ნაკლით“.[1] სწორედ „დიდებული ადამიანი“, ეროვნული და საკაცობრიო რანგის მოღვაწე და მოაზროვნე განიცდის და უახლოვდება ბუნების სულის გაზაფხულებას. მხოლოდ დიდი მოაზროვნე აქსოვს ბუნების სულის გაზაფხულების შინაარსს საკუთარი სულის გაზაფხულებაში, მის მოქმედებაში. გამორჩეული პიროვნება, „მაღალი, ქვეყნის მოყვარე სული შეიძლება მხოლოდ იქმნეს სიცოცხლის მქმნელად და სრულის სიმშვენიერით მოგვევლინოს, მხოლოდ თუ თავისუფალია იგი. ადამიანი თუ არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად, ვერც სულის გაზაფხულობას განიცდის და იგი, ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას. უპირველეს ყოვლისა, სული უნდა ჰგრძნობდეს ბედნიერებას, იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ჰყვაოდეს, უნდა მწვანობდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმომცენებელი, მაშასადამე, ახალგაზრდა და, ამასთან ერთად, უსათუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება“.[2]

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობა და პოეტური მრწამსი ურთიერთთანხმობით ცხადყოფენ, რომ ბუნების თავისთავადობასა და კაცთა ცხოვრებას ღრმა კავშირები და მრავალი მსგავსი ნიშანი აქვს. ბუნების „გონიერება“ პოეტმა საზოგადოებრივ წესრიგზე მაღლა დააყენა და თანაც მხოლოდ ამის შემდეგ დაახასი-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 396.

[2] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 385.

ათა ის მხოლოდ ადამიანის ცხოვრებისათვის შესატყვისი ისეთი ცნებებით, როგორიცაა: გონი, სული, სიყვარული, სიკეთე, ნების სიმტკიცე, თავისუფლება, შემოქმედება, ბედნიერება და სხვა. ამით ვაჟამ საოცარი ძალით დააახლოვა და დაამსგავსა ერთმანეთს ბუნება და ადამიანი, მათი არსებობის ზოგადი საზრისი. პოეტმა მიგვანიშნა, რომ მან ბუნებას დაუბრუნა ადამიანის ცხოვრებიდან იმ ცნებების შინაარსი, რომელნიც კაცთა მიერ ბუნებიდანვე იყო შეთვისებული. ამგვარმა მსოფლშეგრძნებამ შეაძლებინა პოეტს ბუნებაში ეპოვნა რაღაც ადამიანური და, პირუკუ, ადამიანში აღმოეჩინა ბუნების კერძო ნიშნები. პოეტის რწმენით, სიცოცხლის სრულყოფისაკენ სწრაფვით ემსგავსებიან ერთმანეთს გაზაფხული და „დიდებული ადამიანი“: გაზაფხულზე „ყოველი მოვლენა, ყოველი ძალი ბუნებისა ცალ-ცალკე და ერთად, ცდილობს მიეშველოს სიცოცხლეს, სრულყონ სიცოცხლე. ასეთივეა სული ადამიანისა, როცა მას დაუდგება გაზაფხული. იგი ყოველ თავის ძალღონეს მიჰმართავს ერის სასიცოცხლოდ, ცხოვრების ბედნიერება – სიცოცხლისათვის, რათა არსებობა თავისი ჰქმნას რაც შეიძლება ნაყოფიერი... ამიტომ ყოველი საქვეყნო მოღვაწე, ყოველი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გაზაფხულის მსგავსის სულისა. მხოლოდ მათ განუცდიათ გაზაფხული სულისა“.[1] ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობით, ბუნების მთლიანობისათვის, ზოგადად სიცოცხლისათვის ყველაზე ბევრის მიმცემი გაზაფხული ყოფილა, ხოლო კაცთა ცხოვრების ისტორიისათვის სასარგებლო და სანიმუშო კი – ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწეების შემოქმედებითი გარჯა. მაშასადამე, ბუნების დიადი მოვლენები და „დიდებული ადამიანები“ მთლიანს, სიცოცხლის საყოველთაო სრულქმნას ემსახურებიან. პოეტის მრწამსით, ბუნებასა და ცხოვრებაში რაც რამ კარგია, იგი იღვწის ერთიანის, მაღალის, სრულქმნილის კიდევ უფრო დასახვეწად. საპირისპიროდ აღნიშნულისა, პოეტის სიტყვით, „პატარა, ვიწრო გრძნობისა და ტვინის ადამიანი, თუ იგი მდიდარია, თავს ბედნიერად ჰრაცხს, რადგან ყოველგვარ მოთხოვნილებას ცხოველურს, ფიზიკურს იკმაყოფილებს; შეიძლება ფიქრობდეს, მე განვიცდი გაზაფხულს სულისასო, მაგრამ დიდად მოტყუებული იქნება, რადგან ამგვარი ადამიანი მხოლოდ გამანადგურებელია იმისა, რაც გაზაფხულის შემოქმედების წყა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 385-386.

ლობით მიგვიღია ადამიანებს, იგი სიცოცხლეს, როგორც მთელს, არაფერს ჰმატებს, მხოლოდ დაკლებით აკლებს".[1] მწერალი გვეუბნება, რომ ცხოველური მადის, განცხრომისა და სწრაფვის ადამიანი მრავალია, მაგრამ ისინი სიცოცხლის სიდიადეს მხოლოდ ამახინჯებენ. ვაჟა მოითხოვს გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მდაბალი და მაღალი სულიერ-გონითი ღირებულებები. პოეტი კითხულობს: „... ნუთუ საზღვარი აღარ უნდა იყოს სულით გაზაფხულისა და კუჭით გაზაფხულის მფლობელთა შორის?" მე, რამდენადაც შემეძლო, დავახასიათე მოკლედ გაზაფხული თვითეული ადამიანის სულისა, სხვა თქვენ გთხოვთ წარმოიდგინოთ, თუ როგორი უნდა იყოს გაზაფხული ერის სულისა...

უწყიდეთ მხოლოდ, ეს იქნება მსგავსი ბუნების გაზაფხულისა, მისი განსახიერება და გამომხატველი მთა და ბარის, ცისა და დედამიწისა.

გაზაფხული ერის სულისა უმშვენიერესს სურათს დაგვიყენებდა ერის სულისას".[2] როგორც ვხედავთ, პოეტმა გაგვაცნო ადამიანთა სულის გაზაფხულების ორგვარი შინაარსი: პირველი ემყარება დიდებული ადამიანის მიერ ათვისებული ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ჰარმონიას, ხოლო მეორენაირი სულიერება ზომადაკარგული ცხოველური განცხრომისა და ეგოიზმის წუმპეშია ჩაფლული და მხოლოდ აღატაკებს ადამიანურ სიცოცხლეს. სამყარო-ბუნების და ცხოვრების გონიერებასა და მშვენიერებას ორივე ტიპი თავისებურად მიემართება. დიდებული ადამიანი სინამდვილესთან აქტიური დამოკიდებულების ჟამს იხვეწება და სინამდვილესაც აღამაღლებს, ხოლო „ვიწრო გრძნობისა და ტვინის" ეგოისტი ბუნებისა და კაცთა ღვაწლით შექმნილ სიკეთეს ანადგურებს. მხოლოდ დიდებულ ადამიანთა სიმრავლე და ღვაწლი ანიჭებს ყოველ ერს ბუნების სულის გაზაფხულების შესადარ სულიერებას. ამგვარი ადამიანების ამაგით გამშვენიერებული ერები კი კაცობრიობას, როგორც მთლიანობას, სრულქმნიან. მწერლის შეხედულებით, ადამიანი, რომელსაც ბუნებისა არაფერი ესმის და არც უყვარს ის, ცხოვრებისა და სიცოცხლის ჭეშმარიტ დანიშნულებასაც ვერ გაიგებს. ასეთი არსებები ვერც საკუთარი ერის სულის გაზაფხულებას დაამკვიდრებენ და ვერც კაცობრიობის პროგრესისათვის შექმნიან რაიმე ფასეულს. მხო-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 386.

[2] იქვე.

ლოდ დიდებული ადამიანები ერსა და კაცობრიობას ნათელ ნიშანსვეტად დაუყენებენ წინ თავიანთ ღვაწლს. ისინი წარმოგვიდგენენ საკუთარი ერის სულის გაზაფხულების უმშვენიერეს სურათს.

ვაჟა-ფშაველამ სამყაროს ერთიანობის უნიკალურობა განსაკუთრებული ფილოსოფიური სიღრმით შეაფასა წერილებში „საგაზაფხულო ფიქრები" და „სად არის პოეზია?" აქ მან იმსჯელა ბუნებისა და ადამიანის მუდმივი კავშირ-მიმართებების ისეთ წესებზე, რომლებიც საყოველთაონი არიან და არ ეკუთვნიან მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანას, ერთ ერსა თუ ტომს. პოეტმა ასევე საყოველთაო წესები უპოვა ბუნებასთან მხატვრულ მიმართებასაც. სწორედ ასეთი ზოგადი ღირებულებითი მიმართებების შეფასების საფუძველზე მწერალი ამბობს, რომ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა სხვადასხვა მოდგმის, ერისა და ტომისათვის დამახასიათებელი როგორც საერთო, ასევე ინდივიდუალური ნიშან-თვისებები კოსმიური მთლიანობის მეშვეობით დამბადებელმა შექმნა. კერძოს, თვითმყოფადის, ინდივიდუალობით გამორჩეულის მოსპობა-გადაგვარება, ვაჟას აზრით, დიდი ცოდვაა, დანაშაულია, სამყაროს გაღატაკებაა და, ამდენად, თვით უფლის ნებისა და მთელი ბუნების დიადი ჰარმონიის ხელყოფაა. უფრო მეტიც, მწერლის გაგებით, რომელიმე მოდგმას, ერსა თუ ტომს სხვა ერებისა და ტომებისათვის არ შეუქმნია და ვერც ვერასოდეს შეუქმნის იმ თვითმყოფად ნიშნებს, რასაც ზესთაბუნებრივი ძალა, კოსმიური მთლიანობა ყოველ მათგანს საკუთარი წესრიგის საფუძველზე ანიჭებს. მთელისა და ნაწილის კავშირ-მიმართების, ურთიერთმონებისა და ურთიერთგანპირობებულობის რა წესიც არსებობს ბუნებაში, სწორედ ის წესი გადმოდის, ვაჟას მსოფლაღქმით, კაცთა ისტორიაზე. კერძოდ, ინდივიდი, ერი, ტომი მათი თვითმყოფადობა, ორიგინალობა, ერთგვარი პირობითი ცალკე ყოფნა საფუძველია საკაცობრიო მთელის, ხოლო მთელი სჭირდება ყოველ ერსა თუ პიროვნებას მრავალფეროვანების სიდიადის განსაცდელად, გასააზრებლად, სახილველად. მაშასადამე, ამგვარი წესის კვალობაზე, ჰომეროსი, რუსთველი, დანტე ალიგიერი, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე, პუშკინი და სხვანი მრავალნი, ქმნიდნენ რა საკაცობრიო მხატვრულ სახეებს, ამით მთელს კაცობრიობას საკუთარი ერის თვითმყოფადი სულის სარკეში ახედებდნენ, რათა ყველას უკეთ ეცნო თავი.

ამგვარად სრულიქმნებოდა საკაცობრიოს ერთიანი ღირებულება. ვაჟას აზრით, ამას აკეთებდნენ და უნდა გაეკეთებინათ

პროგრესულ რელიგიურ მოძღვრებებს, ხელოვნებას და, ცხადია, ფართო მნიშვნელობის მეცნიერულ აღმოჩენებს. პოეტისათვის საკაცობრიო პროგრესი თვალნათლივი რეალობა იყო. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტყვით, რომ კაცთა ცხოვრებისათვის ოდესმე შეიქმნება ურთიერთობათა ისეთი იდეალური სახე თუ მოდელი, რომელსაც განვითარების პროცესი ველარაფერს დაამატებს. ამიტომაც თავის ერთ კრიტიკოსს ვაჟა გულახდილად მიუთითებდა: „მაინც და მაინც წინ სირბილი და მომავალი ჩვენის ცხოვრების სურათის დახატვა არ არის საჭირო; ამისთანა შრომის შესრულება არვის გვირგვინს გენიოსობისას არ დაადგამს".[1] ვაჟას მიაჩნია, რომ მომავალი ცხოვრების ავ-კარგს წინასწარ ვერავინ დაადგენს, ვერც მის იდეალურ სახეს შექმნის და საზოგადოდაც კარგი მომავლის საფუძველი მხოლოდ წარსულის ღრმა ცოდნა და აწმყოში გაწეული კეთილგონივრული შრომაა, ე.ი. პოეტის სიტყვით, „ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის".[2] მაშასადამე, წარსულისა და აწმყოსაგან მოწყვეტილი, სრულიად ახალი სისტემა ქვეყნის ცხოვრებისა ან ადამიანის ხასიათისა არავის შეუქმნია და მით უმეტეს ასეთი რამის შექმნა არ შეეძლო ხელოვანს, არ ევალებოდა პოეზიას და ამგვარი ცდა, ვაჟას რწმენით, დიდებას არავის მოუპოვებდა.

ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგებით, დედამიწის მცხოვრებთა ფიზიკურ-გარეგნული და სულიერი თვისებების მსგავსება-განსხვავება, უწინარეს ყოვლისა, სამყარო-ბუნების უშუალო ზემოქმედების შედეგია. დამბადებლის ნებითა და კოსმიურ ძალთა გავლენით დამკვიდრდა ადამიანის განსხვავებულ მოდგმათა, ერთა, ტომთა და ინდივიდთა თავისთავადობაცა და ურთიერთდამოკიდებულების წესებიც. პოეტის რწმენით, კაცობრიობის სახე ეროვნულ ინდივიდუალობათა და მრავალმხრივ ადამიანურ კავშირ-მიმართებათა გარეშე ვერ შეიქმნება. მხოლოდ ასეთი კავშირების საფუძველზე არის გამართლებული კაცობრიობაზე, როგორც ერთიან მოვლენაზე, საუბარი. სხვადასხვა ერთა თვითმყოფადი ცხოვრება და ხასიათი, მათი თანაბარუფლებიანობა უფლისა და ბუნების მიერ არის დაწესებული. მწერლის აზრით, აღნიშნულთან ერთად ერის ჩამოყალიბებისათვის განუზომელი

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 369.

[2] იქვე.

მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ განვლილი ისტორიული ცხოვრების გზას. კაცობრიობის ისტორია ნათელყოფს, რომ ინდივიდები თავიანთი საქციელით ანგარიშვალდებულნი იყვნენ ოჯახის, თემ-სოფლის, ტომისა და ერის წინაშე. ერები კი თავიანთი საქმისა და თვითმყოფადობა-ინდივიდუალობის გამო პასუხისმგებელნი იყვნენ კაცობრიობისა და უნივერსალური კოსმიური წესრიგის, ანუ ადამიანის შესახებ ღვთაებრივი ჩანაფიქრის, წინაშე. ყველაფერი კონკრეტულ-ლოკალურიდან იწყება, ვითარდება, განზოგადდება და უახლოვდება სიცოცხლის საყოველთაო საზრისის სიმაღლეს. ამგვარ ზეაღმავალ პროცესს უნდა მიეახლოებინა ადამიანები უნივერსუმის მიზანთან. ეს მიზანი კი ადამიანის სრულქმნა-ამაღლებისა უნდა განხორციელებულიყო ცისა და მიწის გონივრული კავშირის ათვისების საფუძველზე.

პოეტის მრავალი თხზულების მიხედვით, მნათობები და დედამიწა ერთმანეთს ეხმარება, თანაუგრძნობენ და გარკვეულ მოვალეობას კისრულობს ერთმანეთისა და სიცოცხლის მიმართ. ცაც და დედამიწაც სიცოცხლეს მსახურობენ, ისინი ადამიანისაგან მოითხოვენ სიკეთის, თანასწორობის, მშვენიერების, უმაღლესი ზომიერების ათვისებას და დაფასებას. მწერალი ასე ალაპარაკებს დედამიწას მოთხრობაში „დედამიწამ რა სთქვა?“ „... მე გული მიკვდება, მე ვიტანჯები, ავად ვარ, უძლური, უნაყოფო მაშინ, როცა ყველა ჩემი შვილი ერთნაირად არ გაიხარებს ჩემი ამაგით...“.[1] იგი, როგორც შვილების განურჩევლად მოყვარული დედა, ყველა მათზე, ვისაც კი თავი უძევს მის კალთაზე და მისი ამაგით საზრდოობს, თანაბრად ზრუნავს. ბევრი ადამიანი მზად არის ფულზე გაყიდოს, ფულით იყიდოს, გააჩუქოს ან სხვისგან საჩუქრად მიიღოს დედა. ასეთ მტარვალებს დედამიწა იუდას არქმევს. დედამიწას სურს თავისი ამაგი სამართლიანად გაუნაწილოს შვილებს, ხოლო უზნეოთ კი ეუბნება: „ადამიანნო! თუ მე დედა ვარ და თქვენ ჩემი შვილები, რატომ არ ცხოვრობთ, როგორც ძმები? რად სტაცებთ ერთიმეორეს პირიდან ლუკმას? რად გაქვსთ ზოგს ათასი ლუკმა და სხვას ერთიც არა? ათასი ლუკმის პატრონო, ეგ ხომ ჩემი ამაგია, რად თავხედობ და იჩემებ იმას, რაც შენი არ არის, არც ყოფილა და არც როდისმე იქნება?.. გრცხვენოდეს! შენ მტარვალი ხარ. შენ სჯალათობ, მკვლელი ხარ ძმისა და მასთან ერთად მკვლელი ჩემი გულისა... ვინ მოგცა

[1] ვაჟა-ფშაველა, „დედამიწამ რა სთქვა?“, თხზულებანი (ახალგამოვლენილი ნაწარმოებები), 1979 წ., გვ. 107.

ნება დაეპატრონო მომეტებულს ჩემს ნაწილს, როცა მე ყველას ვეკუთვნი საერთოდ, როგორც დედა...". დედამიწა უკრძალავს ერთ ადამიანს მიითვისოს მეტი მისი ამაგი იმ საბუთით, რომ ხმლით ან ფულით აქვს დაჭერილი. მისი რწმენით, მამულის დასაკუთრების ნება მხოლოდ ერსა აქვს: „ეს შეუძლიან სთქვას მხოლოდ ერმა და მარტო ერმა, რადგან ერი ჩემი შვილია და მე, – დედა მისი... მხოლოდ ერს შეუძლიან სთქვას: მამულისათვის და დედამიწისათვის სისხლი დავღვარეო, – ისიც ნამდვილს ჩემს შვილებს, რომელნიც მე მიფარავენ მტაცებელთაგან".[1] როგორც ვხედავთ, მწერალი მკაფიოდ განასხვავებს მტარვალ, დაუნდობელ, მომხვეჭელ და სამართლიან ალალმართალ მიწის შვილებს. დედამიწასაც განასჯევინებს მათ ზნეობას და გამოათქმევინებს საკაცობრიო მნიშვნელობის აზრს. დედამიწის სიტყვით, მისი ამაგი თანასწორად ეკუთვნის ყველას, კერძოდ, ღვთაებრივი ნების და სიმართლის ერთგულ ერებს. ამიტომ მტაცებლური ხასიათის ადამიანები გამოგონილი ხრიკებით, ძალადობით ჩაგრავენ არა მარტო თანამემამულეებს, არამედ სხვა ერის შვილებსაც. დედამიწის სამართლით, მამულის დასაკუთრება მის მართალ და ერთგულ შვილებს ანუ ერს შეუძლია. ეს უფლის დაწესებული ნორმაა და მის ძალას, ბუნებით სამართალს უნდა ემორჩილებოდნენ ინდივიდებიცა და ერებიც. ძალმომრეობით გამდიდრებულ შვილებს დედამიწა წყრომით ეკითხება: „ჩემ ნამდვილ შვილებს მოვაკლო რძე და შენ გაწოვო? ღმერთს რა უნდა ვუთხრა? რა პირით ვუცქირო მზესა და მთვარეს? – შენ ხარ მტაცებელი, შორს ჩემგან!".[2] პოეტის რწმენით, სიცოცხლეს, მაღალ ადამიანურ ურთიერთობებს, სიკეთეს, სამართლიანობას, მშვენიერებას ცის ღვთაებრივი მადლი, მზის, მთვარისა და დედამიწის ბრძნული კავშირი და თანხმობა ერთობლივად ძერწავს. ამიტომაც დედამიწა თუ დაარღვევს დიად კოსმიურ ზომას, სამართლიანობას, მაშინ ვერაფერ პასუხს მისცემს ღმერთს, მზეს და მთვარეს, თავს შეირცხვენს. ამ მოთხრობის დედააზრი, როგორც ჩანს, მწერალმა დიდი ოსტატობით შეუფარდა ცხრაასიანი წლების ეროვნული და სოციალური ბრძოლის იდეებს. ავტორი გმობს დედამიწაზე გაბატონებულ ეროვნულ და სოციალურ ძალმომრეობას. მიიჩნევს მას ღვთისა და ბუნების წინაშე ჩადენილ დანაშაულად.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „დედამიწამ რა სთქვა?", თხზულებანი (ახალგამოვლენილი ნაწარმოებები), 1979 წ., გვ. 107-108.

[2] იქვე, გვ. 109.

მტარვალები იწყებენ შინ და გარეთ მძარცველურ ომებს. ბუნების ღვთაებრივი მადლის გამგები, დედამიწის „ზნეობის“ მორჩილი ადამიანები ყველა ერში და ქვეყანაში არიან და ისინი ინახავენ სამართლიანობას, სულიერებას. ასეთი ადამიანების ბრძოლა მამულისა და სამართლიანობისათვის უფლისგან არის ნებადართული. უფალსა და მნათობებთან შეთანხმებული დედამიწა თავისი მართალი შვილების კრებულს ერს უწოდებს და სამართლიან ერებს კი საკუთარი ამაგის ღირსეულ პატრონად მიიჩნევს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობით, ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის არა მარტო ზოგადი ჰუმანური პრინციპების, არამედ სამყაროსეულ-ღვთაებრივი დასაბამიერი წესრიგის მოთხოვნითაც იყო გამართლებული. მწერალი აღიარებს, რომ ყოველ მოდგმას, ერს მამული, ენა, თვითრჯული სიცოცხლე უფალმა კოსმიური კანონზომიერების ძალით დაუმკვიდრა, ამიტომ ყველა ერს უნდა უყვარდეს და იცავდეს კიდევაც სამშობლოს, როგორც ინდივიდუალური ზეაღსვლისა და სრულქმნის საფუძველს. სამშობლოს დამცველი ერი მუდამ მართალია ღვთისა, ბუნებისა და კაცობრიობის წინაშე. ერი, რომელიც უვლის საკუთარ მეობას, ფაქტობრივად, კაცობრიობის მრავალფეროვნების დაცვის, მისი წინსვლის ღვთაებრივ საქმეს ემსახურება. ვაჟა ამგვარი მსოფლმხედველობრივი პოზიციიდან აფასებდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზნებს, საკუთარი სამშობლოს დამონებულ ყოფას. მიაჩნდა, რომ მონობას ამკვიდრებს არა მხოლოდ გარეშე ძალა, არამედ ერის მიერ თავისი ბედის და მიზნების გაუცნობიერებლობა. მას სწამდა, რომ ქართველებს, როგორც მრავალ სხვა ერს, ჰქონდა დასაცავი, აღსადგენი ის ეროვნული ღირებულებები, რომელთა სიწმინდისათვის ბრძოლამ ხალხს დიდი ქარტეხილი გადაატანინა. ხალხს სამშობლო, ცხოვრება, ენა და კულტურა მონობისაგან უნდა ეხსნა და მოეპოვებინა თავისუფალი თვითმოქმედების უფლება. ამ დროს კი ბევრი „ზერელე მგრძნობელი“ მწერლის თანამემამულე კოსმოპოლიტიზმის თეორიას ქადაგებდა. ვაჟა-ფშაველა ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსის პოზიციიდან აბათილებდა კოსმოპოლიტიზმის თეორიას და ასაბუთებდა, რომ თვით ჭეშმარიტი პატრიოტიზმი გულისხმობდა თავის თავში სხვა ერთა პატივისცემას, სიყვარულს, მათზე ზრუნვას, საკაცობრიო პროგრესს. ერთა თვითმყოფადობის უარმყოფი თეორია მოცლილთა არასრულფასოვანი ჭკუის ნაყოფი იყო.

პოეტის მრწამსით, ნამდვილი მამულიშვილი სამშობლოსა და თანამოძმეთა სასარგებლოდ თავგამოდებით უნდა ირჯებოდეს. თუკი ერისთვის იქნება მნიშვნელოვანი მისი გარჯა, მაშინ იგი მთელს კაცობრიობასაც გამოადგება. რუსთაველი, შექსპირი, გოეთე, სერვანტესი და ბევრი სხვა შემოქმედი, მართალია, თავიანთი სამშობლოსა და თანამოძმეთათვის ქმნიდნენ შედევრებს, მაგრამ მათი მადლი მთელს ქვეყნიერებას ეფინებოდა. პოეტის სიტყვით, „ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა... გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფნის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე“.[1]

ვაჟა-ფშაველას აზრით, გენიოსთა ნაწარმოებები უფრო მეტად მათ სამშობლოს ემსახურებიან და ამგვარი ძალით, ასეთი „ნაციონალიზმის მეოხებით“ მიიკვლევენ გზას კაცობრიობისაკენ. საერთოდ პატრიოტიზმი სიცოცხლის თანმხლები გრძნობაა. ყმაწვილი ოჯახში, მახლობელთა წრეში, საკუთარ დაბა-სოფელსა და მის ბუნებაში ეზიარება ამ გრძნობას და ბოლოს საერთო ეროვნულ სიმაღლემდე აჰყავს. აქედან კი ერთი ნაბიჯიღა რჩება პიროვნების მიერ საკაცობრიო იდეალთა წვდომამდე. ეს პროცესი გრძნობისა და გონების ჰარმონიული სრულქმნის პროცესია. კოსმოპოლიტიზმი ცივი გონების მიერ შექმნილი სქემაა, ვითომდაც ომების თავიდან ასაცილებლად, იგი თვითმყოფად ეროვნულ ღირებულებათა დაფასებით არ ხელმძღვანელობს და რეალობას მოწყვეტილ მშრალ მოდელს ქმნის.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 252-253.

ვაჟამ ღრმად განსაჯა კოსმოპოლიტიზმის არსი, მისი წარმოშობის მიზეზები და ის არა მარტო ცალკეული ერის, არამედ კაცობრიობისათვისაც უსარგებლო თეორიად მიიჩნია. მწერალმა ცხადყო შინაარსი პატრიოტიზმისა, ანუ „ჯანსაღი ნაციონალიზმისა“, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში მუდამ მოქმედებდა და რომლის სიჯანსაღემ ერი გადაარჩინა. ვაჟას აზრით, სწორედ ეს ჯანსაღი ნაციონალიზმი განავითარა ქართულმა მწერლობამ. პოეტი წერს: „... კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარი ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“.[1]

ამ სიტყვებით ვაჟამ დამაჯერებელი, ყველა დროში გამოსაყენებელი, სახელმძღვანელო განმარტება მისცა ერთა ჭეშმარიტი ურთიერთობის ღრმა ეპოქალურ პრობლემას. მისი წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ 1905 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, ხოლო ამავე გაზეთში 1906 წელს დაისტამბა ადამიანთა თანასწორობის, საერთოდ სინდისიერების თემაზე შექმნილი მოთხრობა „დედამიწამ რა სთქვა?“. ორივე თხზულების შინაარსი ცხადყოფს, რომ მწერალი საზოგადოებას სთავაზობდა ეროვნული და სოციალური ურთიერთობების მეტად გამძლე გაგება-განმარტებას. ვაჟას ნააზრევი ამ პრობლემის შესახებ უნებლიეთ დაემთხვა რუსი ფილოსოფოსის ნიკოლაი ბერდიაევის და დიდი ესპანელი მწერლისა და მოაზროვნის მიგელ დე უნამუნოს შეხედულებებს. ცხადია, ეს მოღვაწენი ვაჟას თხზუ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 254.

ლებებს არ იცნობდნენ და ჩვენი პოეტიც არ მოსწრებია მათ შრომების გამოქვეყნებას. პრობლემის თითქმის ერთნაირი შეფასება კი უდავო არის, რაც ურთიერთგავლენისა კი არა, რეალობის ერთნაირი გენიალური ხედვის შედეგია.

ნ. ბერდიაევი წერს: „კოსმოპოლიტიზმი უნიადაგოა როგორც ფილოსოფიურად, ისე ცხოვრებისეულად. იგი მხოლოდ აბსტრაქციაა ან უტოპია, განყენებული კატეგორიების მიყენება იმ სფეროსადმი, სადაც ყველაფერი კონკრეტულია. კოსმოპოლიტიზმი არ ამართლებს თავის სახელწოდებას, მასში არაფერია კოსმიურისა, რადგან კოსმოსი, სამყარო კონკრეტული ინდივიდუალობაა, ერთ-ერთი იერარქიული საფეხური. კოსმოსის სახე ისევე აკლია კოსმოპოლიტურ ცნობიერებას, როგორც სახე ეროვნებისა“.[1]

ნ. ბერდიაევის აზრით, „კოსმოპოლიტიზმი არის მახინჯი და განუხორციელებელი“ უტოპია, ცოცხალი კონკრეტულის შენაცვლება აბსტრაქციით და ამიტომ „...უარყოფა და გაქრობა ინდივიდუალურის ფასეულობისა. იგი განყენებულ ადამიანსა და განყენებულ კაცობრიობას ქადაგებს“.[2] ფილოსოფოსის რწმენით, ვისაც თავისი ხალხი არ უყვარს, ვისთვისაც ძვირფასი არ არის მისი ცხოვრების ინდივიდუალური ხატი, მას კაცობრიობის სიყვარულიც არ ძალუძს. უფრო ადრე ამ აზრს ამგვარადვე და დაჟინებით იცავდნენ ჩვენი რეალისტი მწერლები: ილია, აკაკი, ვაჟა. „ვერ წარმომიდგენია, – წერს ვაჟა – ადამიანი სრული ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც შეიძლება ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...“.[3] ამ აზრს ვაჟა 1905 წელს გამოთქვამდა, როცა ბევრი ვინმე აღარ სცნობდა ეროვნულობის ძალას.

---

[1] ნ. ბერდიაევი, „ერი და კაცობრიობა“, მთარგმნელი ზ. კიკნაძე, თბ., 1993 წ., გვ. 51.

[2] იქვე, გვ. 52.

[3] ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 254.

დიდი ესპანელი შემოქმედი მიგელ დე უნამუნო ასე პასუხობდა ერთ-ერთ კრიტიკოსს, რომელიც პოეზიისათვის რომელიმე ქვეყნის, ერის, ენის და რელიგიის ჩარჩოებს ვიწროდ მიიჩნევდა. „მაშ, კაცმა რომ თქვას, რაღა რჯიდათ ყველა დროისა და ხალხების პოეტებს, თუ არა ერის, რელიგიისა და სამშობლოს საკითხებზე ზრუნვა? მაშ, რა ასაზრდოებს, რა უკლავს წყურვილს ან რა ჰმოსავს წარმოსახვასა და გრძნობას, განა შეიძლება პოეზიისათვის იმაზე უფრო დამღუპველი იყოს რამე, ვიდრე უნაყოფო და აბსურდული კოსმოპოლიტიზმია, – თავისივე არსით ღრმა და დადებითი უნივერსალიზმის მტერი?“.[1] მწერალი უფრო აღრმავებს აზრს: „მუდამ იმას გავიძახოდი და არც არასდროს მოვიშლი, რომ ადამიანის შიგნით და არა მის გარეთ უნდა ვეძიოთ ადამიანი, ადგილობრივსა და კერძოს სიღრმეში – უნივერსალური, დროებითისა და წარმავლის სიღრმეში – მარადიული...“. უსასრულობასა და მარადიულობას მოვიპოვებთ მხოლოდ ჩვენს ადგილას და ჩვენს საათში, ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს ეპოქაში. მწერალი იმასაც ამბობს: „არ ვიცნობ არც ერთ მოძღვრებას, რომელიც ისე თრგუნავს ადამიანის ინდივიდუალობას, როგორიცაა ალბათ დაპირისპირების პრინციპიდან მომდინარე ეგრეთწოდებული ინდივიდუალიზმი, მაგრამ არც რწმენის სიმბოლო ვიცი, რომელიც ისე იყოს დაშორებული უნივერსალურობისაგან, საერთო საკაცობრიოსაგან, როგორც მე ვიტყოდი, გასავლიანი კოსმოპოლიტიზმია; ამბობენ, ვითომ ეს იყოს გზა ყოვლად-კაცისკენ, კაცი – ტიპისკენ, სინამდვილეში კი მას მივყავართ ადამიანის სქემისკენ“.[2] ისევე როგორც ვაჟა, უნამუნოც ერის, ენის, რელიგიის, ხალხის კულტურის სიღრმიდან მომდინარედ მიიჩნევს გენიოს მწერლებს, ასეთებად ასახელებს შექსპირს, დანტეს, სერვანტესს და იბსენს. ვაჟა-ფშაველა კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ავ-კარგს კაცობრიობის რეალურ-ისტორიული მოვლენების კონტექსტში განიხილავდა. იგი ცხადყოფდა, თუ როგორ იცვლიდა სახეს კოსმოპოლიტთა ხრიკები და როგორ იქცეოდა ინტერნაციონალისტურ გაგებად, თუმცა ინდივიდუალურ-ეროვნულის, ჯანსაღი ნაციონალიზმის უარმყოფელი მათი არსი ერთი და იგივე რჩებოდა. პარტიები, სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმის თეო-

[1] მიგელ დე უნამუნო, „სულის სიღრმეში“, ესპანურიდან თარგმნა მ. ტიტვინიძემ, თბ., 1994 წ., გვ. 47.

[2] იქვე, გვ. 48-49.

რიებს საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ. პოეტის გაგებით, პარტიათა მიზნებსა და პროგრამებში, მათ რეალურ მოქმედებაში არ ჩანდა შეთანხმებული „აზრი ქვეყნის ხსნისა“. ყოველივე კერძო პარტიული ინტერესებიდან ფასდებოდა. ზოგს არ ესმოდა საქვეყნო აზრი, ზოგმაც იცოდა, მაგრამ პარტიული პროგრამით იყო შეზღუდული. ქვეყნის გადარჩენის აზრი „... ბევრს კარგადაც ესმის, კარგადაც გრძნობს, მაგრამ ძალად თვალებს და გონებას იბრმავებს, სჭირს პარტიული სიჯიუტე, რომელზედაც ჰერბერტ სპენსერი ამბობს, რომ ეს სიჯიუტე დიდად აფერხებს ქვეყნის კეთილდღეობასაო“.[1] პოეტი იმედოვნებს, რომ გონიერება გაიმარჯვებს და ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული ღირებულებების უარმყოფელთა აზრი სახადი სენივით წარმავალი იქნება. ვაჟა ინტელიგენციას ერის განმანათლებლად, წინამძღოლად სახავდა, თუმცა იქვე უვიცობას, გულგრილობას, უმოქმედობას უსაყვედურებდა: „ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ შეიძლება ამგვარ ჰეროსტრატებს ინტელიგენცია დაარქვას კაცმა, ნაცვლად იმისა, ერისთვის ეჩვენებინა სწორე გზა ცხოვრებისა, ესწავლებინა თავის თავის მოვლა-პატრონობა, ქართველ კაცს ააღებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავის თავზე, შეიტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ: თავადაზნაურობა უცხოელებზე ჰყიდის მამულ-დედულს, ხოლო გლეხობა თავის „ნადელების“ ნაღალურს უგდებს ხელში ჩარჩებს...“.[2] პოეტს აკვირვებს, რომ ასეთი ყალბი საქციელისა და ქადაგების პირობებში ჩვენი ხალხი უცხო კაცისაგან ატეხილ განგაშს უცდის გამოსაფხიზლებლად. მწერალმა თქვა, რომ დღესა, ზოგმა ინტელიგენტმა დიდი ცბიერებით მოარგო სოციალური თანასწორობისა და ძმობა-ერთობისათვის ბრძოლას კოსმოპოლიტიზმი, გაუმრუდა ერს თვითშეგნება და ჭეშმარიტი პატრიოტული გრძნობები. ვაჟა თავგამოდებით იცავდა „ჯანსაღი ნაციონალიზმის“, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის პოზიციებს და მათ თვით ბუნებისა და ერის ცხოვრების შეუვალი წესრიგით ამართლებდა. ჯანსაღი ნაციონალიზმის მიმდევართა აზრის სიმართლე დღეს გაცხადდა, გაირკვა კოსმოპოლიტიზმისა და სოციალისტური ინ-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „დიდ-მარხვა“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 263.

[2] ვაჟა-ფშაველა. „გიკვირთ?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 283.

ტერნაციონალიზმის უნიადაგობა, მისი ნამდვილი სახე, მაშასადამე, იმ ადამიანების შეცდომაც, რომელთა შესახებ ვაჟა წერდა: „ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა პირადი თავისი ნაღვაწი, არამედ ერის საუნჯე-ტერიტორია გახადონ საძმო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც ააღებინონ ხელი ეროვნებაზე".[1] აღნიშნულს კი ხელს უწყობს ხალხის, ერის გაუთვითცნობიერებლობა. თუკი უმრავლესობის, როგორც ცხოვრების გადამწყვეტი ძალის, თვითშეგნება არ ამაღლდა, მაშინ ის „... რაც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნება".[2] ვაჟა მთელს ერს მუდმივად აფრთხილებდა, რომ მოევლო, ეპატრონა მიწისთვის. იგი ერთ წერილში მოდასაც კი ირონიული ტონით ასე მიმართავს: „...აფიქრებინე ჩვენს მემამულეებს, თავიანთ მამულ-დედულს ვიგინდა ვიზე არა ჰყიდდენ, არა სცარცვიდნენ თავის მშობელ დედას, არა ჰხდიდენ ტანიდან სამოსელს და ტიტლიკანას არ უშვებდნენ თავის შესარცხვენად, დედის სასიკვდინოდ, ხოლო თავის სულის წასაწყმედად".[3]

ვაჟა-ფშაველამ მრავლისმთქმელი პასუხი გასცა თავის „მცირე შენიშვნაში" ილიას მოწინააღმდეგე გაზეთ „საქმის" მესვეურ კოსმოპოლიტ-ინტერნაციონალისტებს. მან პირდაპირ უთხრა მათ, რომ თქვენ გსურდათ ილიას სიკვდილთან ერთად მისი იდეებიც მომკვდარიყო, მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან მათს ჭეშმარიტებას „...თვით ცხოვრება, ბუნება არ სპობს". ვაჟა ეუბნება ოპონენტებს, რომ ჩვენ გვინდა თქვენგან ათვალისწუნებული „ნაციონალიზმი" განვამტკიცოთ, ხოლო თქვენ თქვენს სატრფიალო „ინტერნაციონალიზმზე" იზრუნეთო. გონიერმა ხალხმა უნდა განსაჯოს, მწერლის გაგებით, პოზიციათა სხვადასხვაობის მიზეზები, მათი მნიშვნელობა. პოეტი აღნიშნავს: „ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ – ეს „ნაციონალიზმი" მუდამ იქნება ჯანსაღი და არადროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა. ჩვენდა სამწუხაროდ, „საქმეს" ბანაკში სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ, ვხედავთ კოსმოპოლი-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „სხვათა შორის", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 290.

[2] იქვე.

[3] ვაჟა-ფშაველა, „საახალწლო ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 343.

ტიზმს, მაგრამ მახინჯს, უჯიშოს, ფანატიზმით გამსჭვალულს, თავის თავის, თავის ერის უარმყოფელს, ხოლო სხვა ერების ვითომდა მფარველს და მოსიყვარულეს. ვაი ამისთანა სიყვარულს!".[1] ვაჟას მრწამსით, დედის მოძულე პარტიული ინტერესი თუ პროგრამა თვალთმაქცია, ის სხვას ვერ შეიყვარებს და ამიტომ მიმართავს „საქმისტებს": „... ერი უარგყოფსთ, როგორც თქვენ უარჰყავით იგი". პოეტის წინასწარმეტყველება რაღაც ოთხმოცდაათი წლის შემდეგ გაცხადდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ვაჟა-ფშაველა მრავალი კუთხით განიხილავდა კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის პრობლემებს, ნათელს ჰფენდა მათს როგორც ეროვნულს, ასევე საკაცობრიო ღირებულებას. იგი აუწყებდა ერს, რომ არ აჰყოლოდა ზერელე პარტიულ ქადაგებას და ღრმად ჩაჰკვირვებოდა პატარა ერის ბუნებრივი ყოფნის მნიშვნელობას. იგი აღნიშნულის გამოც გმობდა ქართველების მიერ რუსული ჟურნალ-გაზეთების მრავლად გამოცემას, რამაც შექმნა პირობები ერის წმინდა ინტერესებისადმი ღალატისა, ახალგაზრდობაში დაბადა გრძნობათა ორჭოფი მიმართულება. ამგვარმა მწერლობამ წარმოშვა ჯგუფი „მახინჯი ინტერნაციონალიზმის გამომხატველი". რუსულმა პრესამ სხვა სახის ზიანიც მიაყენა ქართულ საქმეს, ქართულ მწერლობას; წაართვა მას მკითხველი, მოსწყვიტა იგი ეროვნულ ინტერესებს და, ცხადია, წაართვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ხელმომწერნი, აზარალა იგი ეკონომიკურადაც. ამგვარი მოქმედება პოეტს ციხის შიგნიდან გატეხად მიაჩნია, თუმცა აქვე ამბობს: „ჩემი ნათქვამი სეპარატიზმად, შოვინიზმად არ ჩამომართვათ, რადგან არც ერთი და არც მეორე ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის, არამედ, გაიგოთ ისე, რომ საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგეს გვერდით, როგორც ცოცხალი, საღი არსება რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე, თავის თავის მცნობელი. თავის თავისა და კარგის მგრძნობელი. ეს კი ყოვლად შეუძლებელია, თუ ის დაბრკოლებანი არ ავიცილეთ თავიდან, რაც ზევით აღვნიშნეთ...".[2] პოეტის სიტყვით, თვითონ რუსი მეცნიერები აღიარებენ, რომ ჭეშმარიტი ადამიანის აღსაზრდელად ეროვნული სკოლა არის საჭირო. ვა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „მცირე შენიშვნა", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX. თბ., 1964 წ., გვ. 291.

[2] იქვე, გვ. 301.

ჟას განმარტებით, მწერლობაც სკოლაა და, როგორც პატარისა თუ დიდის აღმზრდელი ფენომენი, იგი ეროვნული უნდა იყოს. მან ხალხს ცხოვრების სწორი გზა უნდა უჩვენოს. საზოგადოდ მიაჩნია, რომ დიდმპყრობლური იმპერიული ამბიციები და სხვა ერის უფლებებისა თუ ცხოვრება-აზროვნების განკარგვა უფრო სამარცხვინოა, ვიდრე ის მორჩილება, რომელსაც დამონებული ერი ითმენს.

ვაჟა-ფშაველა ყველაზე რთულ საქვეყნო სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაშიც, საზოგადოებრივი უიმედობისა და გზააბნეულობის ჟამს ხალხს იმედს შთააგონებდა და უიმედობას ხელმოცარული, უმოქმედო ინტელიგენტების ოცნების ცუღლუტობად მიიჩნევდა: „თქვენ, მკითხველო, ალბათ არ იცით, რომ ჩვენა გვყვანან „უიმედონი", ინტელიგენტები, რომელთაც სხვა არა რა სწამთ და არცა რას დაიჯერებენ, გარდა „კოსმოპოლიტიზმისა". ნაციონალიზმი იმათ არა სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერნი ვართ, თუ სხვა ერს არ შეუერთდით და „ჩვენობა" არ უარვყავითო. პატრიოტები იმათი ფიქრით ვიწრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ვრცელი" შეხედულობა აქვთ. ესენი ბალღები არიან, წვრილფეხობაა, და როგორც მოგეხსენებათ, ბალღს ლულუა (ბრჭყვიალა საგანი – დ.წ.) უყვარს. დიაღ, ბალღები არიან და სამწუხაროც ეს არის, რაც ახალგაზრდული ძალ-ღონე აქვთ, შეალევენ ჰაერში კოშკების გებას და როცა მოიღლებიან გულითა და გონებით, გატეხილნი, დაუძლურებულნი, მაშინ „დაბრუნდებიან შინა", მაშინ მოიკითხავენ საკუთარს კერას, საკუთარს ბინას, მაგრამ უღონონი, უგულონი რიღას მაქნისნი იქნებიან?!.. სამწუხარო მოვლენაა დიდად!.. ეს ყრმანი შებრალების ღირსნი არიან, ხოლო ისინი, ვინც ამათ ამ გვარს საკენკს უყრით, წყევლის და სიძულვილისა".[1] ერთა ურთიერთობის მიმართ ვაჟას მიერ გამოხატული მსოფლმხედველობრივი პოზიცია გასაოცრად ჯანსაღი, უნაკლო, გამძლე, ღრმად გააზრებული, პროგრესული და ძალზე თანამედროვეა. ასე რომ, ამ პრობლემათა ვაჟასეული შეფასება კაცს გუშინ და დღეს გამოთქმული ეგონება. აღნიშნული ვითარება მოწმობს, რომ პოეტი იცავდა რა ღრმა პატრიოტიზმის, ჯანსაღი ნაციონალიზმის იდეებს, სწორ პასუხს აძლევდა ინდივიდუალურ-ეროვნულისა და საკაცობრიო ინტერესების თანაზი-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „საახალწლო ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად,თბ., 1964 წ., ტ. IX, გვ. 405.

არობის, თანაარსებობის და გონივრული თანაფარდობის მარადიულ კითხვებს.

ვაჟა-ფშაველა კაცობრიობის ცხოვრებას ღრმა ჰუმანიზმის აზრით აფასებდა. კაცთმოყვარეობის ყოვლისმძლე შინაარსი კი მას ღმერთისა და ბუნების სიდიადის თავისებური შეფასებებიდან გამოჰყავდა. პოეტის რწმენით, ჩვენი პლანეტის სილამაზეს აშინაარსებს სხვადასხვა ერისა თუ ტომის ინდივიდუალური ისტორია, თვითმყოფადი კულტურა, რომელიც ხელს კი არ უშლიდა და უშლის მთლიანად კაცობრიობის პროგრესს, არამედ ავსებს და წინ სწევს მას. ამიტომაც ღვთისა და ბუნების მიერ დაარსებული სიცოცხლის პირობების წინააღმდეგაა მიმართული ყოველგვარი უსამართლობა, ამა თუ იმ დიდი ერის ბრმა იმპერიული მიზნები და, საერთოდ, ადამიანთა ნოდებრივი დაყოფა, მისი თანმხლები ძალადობა. ყველა სახის ჩაგვრა – ეროვნული თუ სოციალური – უღმერთობაა და დიდი უზნეობაც. თვითონ მჩაგვრელები, იქნება იგი ძლიერი ერი თუ გაბატონებული წოდება, ვერ ხვდება, რომ მას აკლია უძირითადესი ღირსება თუ ნიშანი, კერძოდ, შინაგანი თავისუფლება, ჭეშმარიტი თავისუფლების სიყვარული, ერის ისტორიული ბედის განცდა. მაშასადამე, დამონებლები დამონებულზე უარესი მონები არიან, ოღონდაც საკუთარი მდაბალი თვითცნობიერებისა, თავისუფლების ცალმხრივი, ვიწრო გაგებისა. რა მასშტაბის ცხოვრების წესრიგი და ორგანიზაციაც უნდა ჰქონდეს სიცოცხლეს, მას უსათუოდ ესაჭიროება მოქმედება, შინაგანი ძალების თავისუფალი განვითარების პირობები. ამიტომ, სადაც არ არის თავისუფლება, მისი მნიშვნელობის ღრმა და მრავალმხრივი გაგება, იქ შეუძლებელია კაცთა შორის ნამდვილი ძმობა, სამართლიანი თანაარსებობა და, ცხადია, ეროვნული ბედნიერებაც. პოეტის მრწამსით, თავისუფლება სიცოცხლის არსებობის იდეალური პირობაა. თუ ინდივიდს, პიროვნებას ან ერს არ ეძლევა თავისუფალი თვითმოქმედების საშუალება, მაშინ მათთვის რეალური თავისუფლება არ არსებობს და ამგვარ გარემოში ყალბია საუბარი სამართლიანობაზე, დემოკრატიაზე, სიყვარულზე, თანასწორობა-ერთობაზე. ვაჟა ცხადყოფს, რომ თავისუფლება ნების, წადილის, მიზნის, იდეალის ისეთი განსახიერებაა, როცა ეს განსახიერება საერთო სიკეთეს, ერის საერთო ინტერესების დაცვასა და ჰარმონიულ შეთანხმებას გულისხმობს. ამგვარად გაგებული და მოქმედი თავისუფლება უნდა დაედვას საძირკვლად არა მარტო სხვადასხვა ერის კავშირს, არამედ ნებისმიერი საზოგადოების წევრთა სოცი-

ალურ ურთიერთობებს. პოეტს მიაჩნია, კაცობრიობა თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, ერთიმეორეზე მზრუნველი, თვითმყოფადი სულიერებისა და კულტურის მქონე ერებისაგან უნდა შედგებოდეს, ხოლო ცალკეული ქვეყნების შიგნით ერთი რომელიმე წოდება კი არ უნდა იყოს მხოლოდ თავისუფალი, არამედ მთელი ერი.

ჩვენ ვცადეთ წარმოგვედგინა ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და პოეტური იდეალის ის ასპექტები, რომლებიც მოიცავენ ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართებების ნაირგვაროვნებას. ვთქვით, რომ შემოქმედმა პუბლიცისტური მსჯელობითა და მხატვრული წარმოსახვის ძალით გაგვაცნო სამყაროსა და ადამიანის კავშირის განუმეორებელი სახე. დავახასიათეთ ერისა და კაცობრიობის ურთიერთობის პატრიოტული და კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალისტური შეხედულებების ვაჟასეული შეფასებების ზოგადი არსი. მწერლის მსოფლმხედველობისა და პოეტური იდეალის შემავსებელი ნაკადები ყოველთვის იყო დაკავშირებული ადამიანის არსებასთან. ადამიანის ბედი, მისი ხასიათი თუ სიცოცხლის საზრისი მხოლოდ სამყარო-ბუნებასთან მიმართების ან ერისა და კაცობრიობის ურთიერთკავშირის საფუძველზე არ გამოიკვეთება. იგი სოციალურ-ბიოლოგიური არსებაა და ყოველთვის ძალმოსილი, რომ შექმნას თავისი ცხოვრება, ისტორია, კულტურის სამყარო. ვაჟას მსოფლმხედველობისა და პოეტური იდეალის ქვაკუთხედია პიროვნების გაგება და მისივე ცხოვრების ავ-კარგის წვდომა. პოეტმა მრავალი თვალსაზრისით შეაფასა კაცთა ხასიათისა და საქმიანობის ღირებულებითი შინაარსი. იგი აღიარებდა ადამიანთა ეთნიკურ-რასობრივი და ეროვნული თვითმყოფადობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მაგრამ, ამასთანავე, მიიჩნევდა, რომ ყველა ჯიშსა და მოდგმას ბევრი საერთო რამ ახასიათებს. მისი სიტყვით, ქართველებსაც არ აქვთ არც ღირსება და არც ნაკლი იმგვარი, რაც სხვა ხალხებსაც არ მოეპოვებოდეთ. ხალხები, უპირატესად, საერთოს ორიგინალურად გამოხატვით განსხვავდებიან. ერები ცხოვრების თვითმყოფად სურათს ქმნიან და საკუთარი კულტურის სახესაც ორიგინალური ფორმით წარმოადგენენ. ამის გამო ვაჟა ძალიან ხშირად ზოგადად ახასიათებს ადამიანს და მის მიმართებას ღვთაებრივთან, ბუნებასთან, ცხოვრებასა ან კულტურასთან. პოეტის აზრით, ხილულ სამყაროსთან ადამიანების მიმართების წესი ერთნაირია, თუმცა განსხვავებული ძალითა და ფორმით გამოხატული. ძირითადი შინაარსი კი სი-

ნამდვილესთან ადამიანური დამოკიდებულებისა რელიგიური, მხატვრული და მეცნიერული სახით ვლინდება.

ვაჟას მსოფლგაგებით, ადამიანი, რომელი რასისა და ერის წარმომადგენელიც უნდა იყოს, ღვთის დანაბადია, ბუნების უბადლო ქმნილებაა; მას ამშვენებს სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი, რაც გრძნობის, აზროვნების და ნების უნართა ძალით ცხადდება. ვაჟასათვის სამყაროს ღირებულებითი იერარქია ისეთივეა, როგორიც ის მრავალი სხვა დიდი მოაზროვნისათვის იყო: კერძოდ, უმაღლესი ღირებულებაა უნივერსალური ძალა, დამბადებელი, ხოლო მეორე და მესამე ადგილს იჭერს მისგან დაარსებული უალტერნატივო ღირებულებები სამყარო-ბუნებისა და სიცოცხლის არსებობისა. მწერლის აზრით, ღირებულებათა ასეთი სისტემიდან უნდა იღებდეს სათავეს ყველაფრის და, ცხადია, ადამიანის საქმიანობისა და სულიერ შესაძლებლობათა შეფასებაც. დამბადებელმა ბუნებასთან ერთად შექმნა ადამიანი. თითქოს იგი დასახა ბუნების ბატონ-პატრონად, მაგრამ რეალურად, როგორც პოეტს სწამდა, ადამიანი ბუნების „მონაა“, მისი ძალით განსაზღვრული მოვლენაა. ამიტომაც სიცოცხლის გამაპირობებელი არსი სიცოცხლეზე ნაკლები მნიშვნელობისა ვერ იქნება. მართალია, სამყარო-ბუნება ობიექტურად მარადიული მდუმარებაა, მაგრამ საკუთარი კანონზომიერებებით კი მეტყველია და დიდი სიბრძნის ნიმუში. ადამიანი ბუნებას დაქვემდებარებული სოციალურ-ბიოლოგიური არსებაა, მაგრამ მას აქვს ბუნებასთან მიმართებაში საკუთარი უპირატესობებიც: იგი გრძნობს, აზროვნებს, მეტყველებს და ნებას გამოხატავს. აღნიშნულმა და სხვა უნარებმა გამოაცალკევა ადამიანი ბუნებისაგან, შეაქმნევინა მისგან განსხვავებული სამყარო სოციალური ყოფისა და კულტურის სახით. მაგრამ, ვაჟას მსოფლგაგებით, ეს ადამიანური სოციალურ-კულტურული სამყარო მაინც ბუნებისაგან იყო საძირკველჩაყრილი, რადგან თვით შემოქმედი ადამიანი მთელს ბუნებას თავის თავში მოაქცევდა და ყოველთვის მის ნაკლსა და ღირსებას ატარებდა. მაშასადამე, ბუნების მიერ „განსწავლულმა“, შემოქმედად ფორმირებულმა ადამიანმა, ბუნების წესრიგის ანალოგიით, შექმნა ცხოვრება. პოეტის სიტყვით, „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიაც არ მოიპოვებოდეს“.[1] უფრო მეტიც,

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. თბ., 1964 წ., 394-395.

ვაჟას აღიარებით, „თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისას და ჩვენ კაცთ ეს არ გვესმის".[1] ვაჟა-ფშაველამ ცხადყო ადამიანის, მისი ცხოვრებისა და კულტურის ბუნებით განპირობებულობა. მისი აზრით, სხვადასხვა დროს და დედამინის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებნი, უპირატესად ერთნაირად გრძნობდნენ, განიცდიდნენ, აზროვნებდნენ, ერთნაირ სწრაფვებს ავლენდნენ, მაგრამ თავისებურად, ინდივიდუალურად გამოხატავდნენ საკუთარ შესაძლებლობებს. ყოველივე ამის მიზეზი, პოეტის გაგებით, ბუნება იყო. ბუნება მუდამაც იქნება ცალკეული ერების ინდივიდუალობით აღბეჭდილი ცხოვრებისა და კულტურის თვითმყოფადობის მასაზრდოებელი. ვაჟას მრწამსით, სამყარო-ბუნება მუდმივი აწმყოა, ხოლო ადამიანი, მისი ცხოვრება აწმყოსთან ერთად უღრმესი და უძვირფასესი წარსულის სისტემურობაა. ცხოვრების ნაირგვარ, ძველ თუ უახლეს სისტემურ სახეში უნდა გამოიძერწოს თვითმყოფადი ხასიათი და ღვაწლი ერისა თუ პიროვნებათა სულიერებისა. მრავალრიცხოვანი და პატარა ერები, ასევე უფრო მცირე ეთნოგრაფიული ერთეულები ისე ამჟღავნებენ საკაცობრიო ცხოვრების ნიშან-თვისებებს, როგორც ოკეანის ერთი წვეთი ავლენს მისსავე მთლიან სპექტრს.

კაცთა ცხოვრების ისტორიულ-კულტურული სახე, მისი სისტემურობა წარმოაჩენდა ინდივიდებისა და ერების მიერ გათავისებულ დადებით თუ უარყოფით ღირებულებებს, იმას, თუ კონკრეტული ეპოქის ადამიანის გონი რა ხარისხით ექვემდებარებოდა ყოფიერებას ან რა ხარისხით უპირისპირდებოდა თუ ცვლიდა მას. ცხადია, ადამიანები ბრმად კი არ იყვნენ ჩართულნი კონკრეტულ-ისტორიული ცხოვრების სისტემაში, არამედ აფასებდნენ, იწონებდნენ ან იწუნებდნენ, ცდილობდნენ რეალურად და იდეალური სახით რაღაცა დაემატებინათ სინამდვილისათვის. ეს რაღაცა უნდა გამოვლენილიყო ახალი რელიგიური წარმოდგენების, მხატვრული სახეებისა და მეცნიერული აღმოჩენების ფორმით. ადამიანის გონი ადგენდა, განაგებდა, მართავდა როგორც არსებული სისტემის, ასევე სასურველის, წარმოსახულის ზოგად ღირებულებით ასპექტებს; ის გამუდმებით რაღაცას ირჩევდა. მოქმედი ტრადიციული ადათ-წესების, ნორმების რაობა და წარმოსახული ღირებულებები ევლინებოდნენ პიროვნებას მოქმედე-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ყოველდღიური ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 189.

ბის ორიენტირებად. მაშასადამე, როცა ვაჟა-ფშაველა თავის პოლითემატურ წერილებში გვიხასიათებდა მთიელთა წეს-ჩვეულებების მოქმედება-გარდაქმნას, როცა ფოლკლორისტულ ნარკვევებში მიუთითებდა ხალხური პოეზიის იდეალების ცვალებადობასა თუ ხალხისავე ცნობიერების განვითარებაზე, ამით გვეუბნებოდა, რომ ადამიანი დაუცხრომელი შემოქმედია და ესაა მისი სიცოცხლის უძირითადესი ნიშანი, სიცოცხლის თანმხლები არის გრძნობა-გონება, ხოლო სამივეს ფუნქცია კი მიზანმიმართული მოქმედებაა. პოეტის შეხედულებით, ადამიანი ბუნებისა და ცხოვრების განცდა-გაგებით ადამიანობს და სუბიექტურ შესაძლებლობებსაც ასეთ ფონზე ცხადყოფს. პიროვნება არა მარტო სინამდვილეს, ცხოვრების სისტემას იცნობს და აცნობიერებს, არამედ იმასაც გვიჩვენებს, თუ მისივე არსება როგორ არის განსაზღვრული ყოფიერების ისტორიული გაგებით. ეს ცოდნაა მოქმედების საყრდენი. სწორედ სინამდვილის გაგებით განსაზღვრული ადამიანი ვერ ჩერდება ერთ ადგილზე, ისწრაფვის, ეძიებს, თანდათანობის წესით ცვლის, იცნობიერებს, აღმოაჩენს ან იდეალის სახით წარმოისახავს არსებულის გასაუმჯობესებელ ახალ მოტივებს და სულ უფრო უახლოვდება ჭეშმარიტებას. პოეტის რწმენით, ადამიანი ექვემდებარება ბუნებას, ყოფიერების კონკრეტულ სახეს, საკუთარ იდეალს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მუდმივ დიალოგში იყოს ჩართული მათთან, რაღაც ხარისხით ცვლიდეს, სრულქმნიდეს გარემოს და საკუთარ სულიერ-გონით შესაძლებლობებს.

ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ არსებობის მიღწეული სახის ცოდნა-გაგება იქცევა „აღუვსებელი საწყაულის“ ავსების სტიმულად. ადამიანი უფრო სრული ყოფნისაკენ ისწრაფვის, თუმცა სრულის ძიებისას შეიძლება უბედურებაშიც აღმოჩნდეს. საერთოდ პროგრესულის ძიება იმარჯვებს „დრომოჭმულზე“, ცვლის მას და საკუთარ სრულყოფილს ამკვიდრებს. აღნიშნული მოღვაწეობაა, შემოქმედებაა და იგი არ უნდა იქნეს გამრუდებული ბუნებრივ-ბიოლოგიური სწრაფვებისადმი უკიდურესი მონობით და არც ამქვეყნიური რეალობის უპირობო, მისტიკური უარყოფით, დაუჯერებელ ფანტასტიკაში გადავარდნით. პოეტის მრწამსით, ყველაფერს ამ პროცესში დიდებული ადამიანი, კაი ყმა, უნაკლო პიროვნება უნდა აწესრიგებდეს. ადამიანი, მისი ცხოვრება არ უნდა დაეშვას მისივე ხასიათის საწინააღმდეგო ცხოველურ სიმდაბლემდე, ღორული განცხრომის დონემდე, ვნებათა ბრმად მორჩილებამდე. ცხადია, ადამიანი არც ისეთ უტოპიურ-მისტი-

კურ იდეალებში უნდა გაიბნეს, რომელთა რეალიზება ბუნებრივ წესრიგსა და თვით პიროვნების ძალებს აღემატება.

ვაჟა-ფშაველა ამბობდა, რომ დიდებულ ეპოქას დიდებული ადამიანები ქმნიანო. დიდებული ადამიანი კი თავის არსობრივ ძალებს ისეთ ზომას მოუნახავს, ისეთ უნივერსალურ მიზანს დაისახავს, რითაც ცხოვრებას, პიროვნებას დაუსრულებლად სრულქმნის, ამაღლების, ჰარმონიზაციის მუდმივ პერსპექტივებს გაუხსნის. ასეთ მამულიშვილად ვაჟას ილია ჭავჭავაძე მიაჩნდა და ამიტომაც მას მრავალჯერ უწოდა დიდებული ადამიანი.

ადამიანური შესაძლებლობების მოქმედების აღნიშნული წესი, მწერლის გაგებით, მხოლოდ ცხოვრებაში კი არ მოქმედებს, არამედ მხატვრული შემოქმედების პროცესშიც. დიდებული ადამიანის, იდეალური მხატვრული სახის მიზანი ცხოვრების გამამთლიანებელი უნდა იყოს და იცავდეს მას უკიდურესად ცალმხრივი გადახვევებისაგან. საერთოდ, დიდებული ადამიანი ბუნებას ჰგავს, მისი ზნე სჭირს, საკუთარ არსობრივ ძალებს სინამდვილის მუდმივი სრულქმნის სამსახურში აყენებს და სიცოცხლეს გაახლება-სრულყოფის დიდ პერსპექტივას უხსნის. ამ გზაზე მოსიარულე ადამიანი, თუ იგი ღრმა გრძნობა-გონებისა და მტკიცე ნების მფლობელია, ვერასოდეს დაიოკებს „უნახავის დანახვის" სურვილს, არსებული როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ღირებულებების დახვეწის შინაგან მოთხოვნილებებს. ამგვარი მოტივები უხვად იპოვება ბუნებაში, ცხოვრებაში და თვით ადამიანის სულიერებაში.

ამიტომაც ვაჟა მწერლობის სახელით სთხოვდა მთელს ერს, მამულიშვილებს, ღრმად ჩაჰფიქრებოდნენ კითხვებს, თუ „რანი ვართ, რას ველტვით, რა ძალი და ღონე გვაქვს გულისა და ტვინისა..." ამ მოთხოვნიდანაც ჩანს, რა მრავალმხრივი იყო პოეტის დამოკიდებულება ბუნებრივი და სოციალური პრობლემებისადმი.

ვაჟა-ფშაველას აზრით, მიწის შვილნი უმაღლეს ღირებულებად დამბადებელს, ბუნებასა და საკუთარ სიცოცხლეს მიიჩნევენ. უფალმა, ცისა და მიწის ურთიერთკავშირის ძალამ, საკუთარმა გონმა განუსაზღვრა სხვადასხვა მოდგმის, ერისა და ტომის ადამიანებს ცხოვრების თვითმყოფადი, ინდივიდუალური საწყისებიც და საყოველთაო ნიშნებიც. ინდივიდუალური მოვლენები ბუნებრივ-სოციალური აუცილებლობით გულისხმობდა საყოველთაოსთან კავშირს. ამის გამო ყოველი ცალკეული ერი განსაკუთრებულად აფასებდა, ეთაყვანებოდა საკუთარ მამულს, სიცოცხლეს, ენას, სარწმუნოებასა და სულიერ კულტურას, მაგ-

რამ, ამასთანავე, აღიარებდა სხვა ხალხების ამგვარივე ღირებულებების სასიკეთო ძალმოსილებას. მწერალი ასეთ მიდგომას საყოველთაო წესად მიიჩნევდა, რომელსაც ევოლუციურად უნდა სრულექმნა დედამიწის ბინადართა ურთიერთობა. ამიტომაც, ვაჟას მრწამსით, პატრიოტიზმი, საკუთარი ერის ამაღლებაზე დაუცხრომელი ზრუნვა კაცობრიობის საკეთილდღეო გარჯასაც ნიშნავდა. ნათელია, რომ ერები არსებითად ერთნაირად იცნობიერებდნენ ინდივიდუალური ინტერესების ზოგადსაკაცობრიოსთან მიმართების შინაარსს.

ვაჟა გვაუწყებს, რომ ყოველი ხალხისათვის უძირითადესი ღირებულებებია სამშობლო, ერის სიცოცხლე, ენა, სარწმუნოება და წარსულისა თუ აწმყოს ისტორიულ-კულტურული მონაპოვრები. ამ ღირებულებათა მოვლა-პატრონობიდან იწყება და გრძელდება ყოველი ხალხის ინდივიდუალური არსებობა. აქ დასახელებულ ღირებულებათა დაცვა, სრულყოფა არის ყოველი ერის უფლებაც, მოვალეობაც და კაცობრიობასთან თანაზიარობის კეთილი მიზანიც. პოეტის აზრით, ეროვნული ცხოვრებისა თუ სხვა ერებთან ურთიერთობის ავისა და კარგის შემოქმედნი ადამიანები არიან. მაგრამ ადამიანთა ერთობა, მათი ინდივიდუალური-ეროვნული ცხოვრება არასოდეს ყოფილა მხოლოდ უმაღლესი ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების ერთნაირ გაგებაზე დაფუძნებული და მათი საპირისპიროს, ანუ უარყოფითი, შინაარსისაგან თავისუფალი. ამიტომაც ერების ცხოვრება უსამართლობის, ბოროტების და სხვადასხვა სახის ცდომილებათა უთვალავ ფაქტს წარმოადგენს. საზოგადოდ, ხალხთა ისტორია ყოველთვის გვიჩვენებდა მასში მონაწილე ერთიმეორისაგან ინტერესებითა და ხასიათით რადიკალურად განსხვავებულ ორი კატეგორიის ადამიანებს. ერთნი, როგორც პოეტი იტყოდა, მხოლოდ თავის ჯამში მაცქერალნი, ეგოისტურ-ცხოველური ვნებებით დაბრმავებულნი იყვნენ და ცხოვრებას, როგორც მთლიანს, არაფერს რგებდნენ, ხოლო მეორენი მაღალ სულიერებას, სიკეთეს, ჭეშმარიტებას, სამართლიანობას, მშვენიერებას მსახურებდნენ თავგამოდებით და ცხოვრებას ყოველთვის აზრს სძენდნენ. ისტორიის ავ-კარგი ასეთი ურთიერთგანსხვავებული სულიერ-გონითი შესაძლებლობის მქონე ადამიანების საქმიანობით გამოიხატებოდა. ამგვარ კონტექსტში ხასიათდება ყოველთვის ადამიანის საქმიანობის როგორც ეროვნული, ასევე საკაცობრიო შინაარსი. ვაჟაც ამ აზრით ახასიათებდა ქართველთა მიერ შემუშავე-

ბულ-გამოძერწილ ისტორიულ-კულტურულ ღირებულებათა მთლიანობას.

ვაჟას მხატვრულ ქმნილებათა ჭეშმარიტი აზრის შეფასება დიდად გაადვილდება, თუკი წინასწარ გამოიკვეთება ადამიანის სოციალურ-ფილოსოფიური არსის მწერლისეული ხედვა. მწერლის შეხედულებით, ადამიანი სამყარო-ბუნებასავით რთული ფენომენია. იგი თავისებური კომპლექსია სოციალურ-ბიოლოგიური, რელიგიურ-ზნეობრივი, ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური მიმართებებისა. მისი ამგვარი გრძნობად-ინტელექტუალური სიმდიდრე საქციელმა, შემოქმედებამ, შრომამ უნდა გამოხატოს.

სიცოცხლის და, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლის უძირითადესი ნიშანი, პოეტის აზრით, დაუდგრომელი შრომა და შემოქმედებაა; ამასთანავე, შრომა, შემოქმედება არ შეიძლება იყოს ქაოტური, უსაზრისო და დაუგეგმავი. ცხადია, ბუნებასა და ცხოვრებასთან კავშირის გარეშე ვერ განხორციელდება ადამიანის თვითგამოხატვა, შემოქმედება, რაც მან გრძნობა-გონების, ნებისა და მეტყველების ძალით უნდა ცხადყოს. ამის გამო ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებლობების მეცნიერულ-მხატვრული წვდომა-შეფასება მწერლის მუდმივი და ღრმა ინტერესის საგანი იყო.

ვაჟა-ფშაველამ მრავალჯერ ისაუბრა ადამიანის სულის მოძრაობის სიდიადესა და ნაკლზე. მან დიდებული ადამიანი, პიროვნება მიიჩნია შემოქმედად, რომელსაც ბუნებრივი და სოციალური მოვლენები მთელი სისრულით უნდა აეთვისებინა და განესახიერებინა. ასეთი ადამიანი უსათუოდ მგრძნობელი, განმცდელი, მოაზროვნე და მჭევრმეტყველი მოღვაწე უნდა ყოფილიყო. იგი ამგვარ არსებად ბუნებისა და საზოგადოების გარემოცვაში ყალიბდება და თავისი საქმიანობით სინამდვილესაც სრულყოფს. ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობა ყოვლისმომცველი სისტემაა, მთლიანობაა, რომელსაც საფუძვლად უდევს წარსულის და აწმყოს სოციალური ღირებულებების გაცნობიერება. დიდებული ადამიანის მოღვაწეობა მრავლისმეტყველი შინაარსისა და ფორმის გამოვლინებაა. პიროვნება მიემართება რა სამყაროს, ცხოვრებას და საკუთარ არსებას, წარმოადგენს მოქმედების თანმხლებ ისეთ უნარებს, როგორიცაა: შემეცნებითი, გარდამქმნელი, შემფასებლური და საკომუნიკაციო-ურთიერთობითი. პიროვნების აღნიშნული უნარები, პოეტის გაგებით, რაღაცა თავისთავზე მაღალს, საყოველთაოს, ბუნებრივ-სოციალურ ფენომენებს უნდა ეყრდნობოდნენ და ემსახურებოდნენ. ასეთი ფენომენი ინდივიდების, ერის და კაცობრიობის მიერ დაარსებული სი-

ცოცხლის მიზანი და საზრისია. სწორედ ასეთი მიზნის მქონე ადამიანს, პიროვნებას არ შეუძლია შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება გარე მოვლენებთან, ჯგუფებსა თუ ინდივიდებთან მიმართების გარეშე, მათგან იზოლირებულად.

ვაჟა-ფშაველას მრავალი თხზულება ცხადყოფს, რომ ადამიანის გაგების ამოსავალი პრინციპი მისი მოღვაწეობაა. მოღვაწეობა კი სუბიექტ-ობიექტის განუყრელ ერთიანობას, ურთიერთქმედებას ემყარება. ასეთი მიმართებების რეალიზებისას ადამიანი ცვლის გარდაქმნის ობიექტებს ან მათ სულაც უცვლელად ტოვებს. მაგრამ უცვლელად დარჩენილი ობიექტი მაინც არ არის ნეიტრალური რამ. ადამიანის აქტიური მოქმედებისათვის იგი ინარჩუნებს ცოდნისა და ინფორმაციის მომწოდებლის ძალას, ე.ი. ობიექტი მიგვითითებს თავის ნიშნებზე, სხვა მოვლენებთან კავშირებზე ან რეალობის კანონზომიერებათა შესახებ. ადამიანს ძალუძს საკუთარი პიროვნული „მე" აქციოს წვდომა-შეფასების საგნად. აღნიშნულის გარდა, პიროვნების მიმართება ობიექტისადმი კიდევ სხვაგვარადაც გამოიხატება. კერძოდ, ობიექტს ენიჭება ფასეულობა და გამოიკვეთება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას სუბიექტისათვის. მწერალმა ამგვარ პრინციპზე დააფუძნა თავისი მსოფლგაგება და განსაკუთრებით ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების ამსახველი მხატვრული ნაწარმოებები. ცხადია, სუბიექტ-ობიექტის აუცილებელი კავშირის აღიარება საყოველთაოა და არ წარმოადგენს ვაჟას მიერ მიკვლეულ მოვლენას. მთავარი ის არის, რომ მწერალმა განსაკუთრებული ძალა და მასშტაბი მიანიჭა ამ მოვლენას მხატვრული მოქმედების განსახიერებისას.

ვაჟა-ფშაველა არაერთხელ მიუთითებს, რომ ადამიანი, როგორც სუბიექტი, თითქმის არ არსებობს ობიექტის გარეშე, ხოლო ობიექტები არ წარმოისახებიან სუბიექტის გარეშე. საერთოდ კი ადამიანის სულის შემეცნებითი, გარდამქმნელი, შემფასებლური და საურთიერთო-კომუნიკაციური შინაარსი ყოველთვის გულისხმობს ობიექტად ბუნებას, საზოგადოებას და საკუთარ თავს. საკუთარი „მეს", როგორც კონცეფციის წარმოსახვა, ანალიზი, გაგება ყველაზე რთული, ძნელი და, ამასთანავე, საინტერესო მოვლენაა, რაც ვაჟას ხელოვნების თვალსაჩინო პრინციპია. მხოლოდ მაღალი პიროვნულობისათვის ნიშანდობლივი ეს შესაძლებლობა მწერალმა ბუნების თავისთავადობაშიც შეიტანა და მხატვრულ ქმნილებებშიც პოეტური პირობითობის სახით ხშირად გამოიყენა. მწერალმა ადამიანი და ბუნების ქმნილე-

ბები ერთდროულად წარმოგვიდგინა თვითმოქმედების როგორც სუბიექტად, ასევე ობიექტად; ცხადყო, რომ ისინი შეიძლება წარმოვისახოთ თვითმყოფადი პიროვნული „მეს“ ან ზეპიროვნული კონცეფციის სახით. თუმცა, ცხადია, განმეორებას, გარდაქმნა-განვითარებას ყველა მოვლენა ემორჩილება. უფალმა, – წერს პოეტი, – მოქმედების წესები დაგვიარსა, სავალი გზა გვიჩვენა, ჩვენში მდაბალი ლტოლვებისა და მაღალი სულიერი ღირსებების სუბორდინაციის ძალა დაამკვიდრა. ღმერთმა „ჩვენი თავი ჩვენს თავს ჩააბარა, ჩვენი „მე“ ჩვენსავე „მეს“ დაუსაკუთრა და უბრძანა ადამიანს, ამ უდიდეს მის ქმნილებას: „მოგეცი თვალები, მოგეცი ყურები, მოგეცი ჭკუა, მოგეცი ხელები და სინდისი, რათა მოიხმარო შენისა და სხვის სასიკეთოდო“.[1] მაშასადამე, ადამიანს მიენიჭა უნარი მდაბალ, ცხოველურ-ეგოისტურ და უტოპიურ-მისტიკურ სწრაფვებს შორის მონახოს და დაიცვას სასიკეთო საქციელი; გონმა და სინდისმა უნდა მართოს მოქმედება, სუბიექტის ნაირგვარი ლტოლვები.

ადამიანი, როგორც ამოსაცნობი თუ შესაფასებელი არსება, ვაჟას მსოფლმხედველობამ და პოეტურმა იდეალმა მთელი სიღრმით გაგვაცნო. აქ იგი წარმოდგენილია ძალიან ზოგადი, საყოველთაო ნიშან-თვისებებითა და სულიერი შესაძლებლობებით, მაგრამ, ამასთანავე, ის გამომხატველია სუბიექტურ-ინდივიდუალურის, კონკრეტულ-ისტორიული ან ეროვნული თავისებურებებისაც. მწერალმა გახსნა რა სირთულე ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებლობებისა, განსაკუთრებული ძალით მიუთითა მის ერთ მტკივნეულ ნიშანზე. პოეტის რწმენით, ადამიანმა, ხშირად წარსულისა და აწმყოს გამოცდილებიდან გამომდინარე, იცის რა არის კარგი საქმე, მაგრამ მას არ ან ვერ მიჰყვება. იგი წერს: „პატიოსნება, თავგანწირულება, შებრალება – ყველა ის ზნეობრივი თვისება, რაც უნდა საზოგადოების წევრს მოეპოვებოდეს, დასწავლით არ შეითვისება. რამდენმა იცის ლიბერალური კატეხიზმო, მაგრამ ცოდნამ რა ქნას, როცა კაი აზრები არ შესისხლხორცებიათ, მოთხოვნილებად არ ექცევათ, როცა თვით გულს არ სწადიან მადლიანი საქმე და ნება (воля) ეწინააღმდეგება ამ თავში მოგროვილ ლამაზ აზრების შესრულებას“.[2]

ასეთი ადამიანები საქვეყნო კეთილ საქმეებს ვერ აღასრულებენ. ინდივიდის მოღვაწეობა მუდმივად ახლის შექმნისა და შექმნილის გონივრულად მოხმარების ბუნებრივ მოთხოვნილე-

[1] ვაჟა-ფშაველა, „წერილები მეგობართან“, თხზულებანი, თბ., 1979 წ., გვ. 152.
[2] იქვე.

ბას უნდა ემორჩილებოდეს. სწორედ აქ გამოვლინდება ადამიანის შინაგანი შესაძლებლობანი და რეალურ ღირებულებებთან მათი მიმართების ჭეშმარიტი შინაარსიც. იგი ბუნებრივ-სოციალური მოთხოვნილებებითა და ნაირგვარი სულიერი ღირებულებებით ორიენტირებული არსებაა. ყველა დროის ადამიანის გარჯა, შრომა, შემოქმედება არის მაჩვენებელი მისი სულიერი ძალების რაობისა. თვითონ პიროვნება არის და უნდა იყოს სულიერ-გონითი უნარებისა და ცხოვრებისეულ თუ ბუნებრივ ღირებულებებთან მათი მრავალგვარი დამოკიდებულების მომწესრიგებელი. პოეტის მრწამსით, თუ პიროვნება მთლიანია, ამაღლებულია ეროვნულ-საზოგადოებრივ და საკაცობრიო იდეებამდე, მხოლოდ მაშინ გამოხატავს სრულად სულიერ შესაძლებლობათა სიდიადეს, სიმტკიცეს, კულტურას, მაშინ ავლენს გრძნობის, გონებისა და ნების ჭეშმარიტ ძალას. აღნიშნულია, რომ სუბიექტური შესაძლებლობები შრომასა და შემოქმედებით მოღვაწეობაში გამოიხატება. თუკი პიროვნების მოღვაწეობა საყოველთაო ღირებულებას შეიძენს, იგი ისტორიის კუთვნილებად იქცევა.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობით, ისტორია ადამიანთა თვითცნობიერებასა და ხასიათს აყალიბებს, ხოლო ადამიანები კი თავიანთი ღვაწლით ისტორიის თავისებურებას ქმნიან. ადამიანი ისტორიული არსებაა. მისი პრაქტიკულ-გონითი მოღვაწეობა უკუფენილია ისტორიულ რეალობაში, ხოლო ისტორია კი ცხადდება ადამიანთა არსებაში. ასე რომ, ისტორია ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტებისა და ინდივიდთა თვალსაჩინო საქმეების ერთიანობაა. პოეტის აზრით, ყოველი აწმყოში მოღვაწე ადამიანი გარკვეული ოდენობით წარსულს მოიცავს და თავის მხრივ მომავლის თანაზიარად იქცევა. მომავლისათვის კი „სწორე გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის“.[1]

ვაჟა-ფშაველას მუდმივი მოქალაქეობრივი ტკივილი ის იყო, რომ ადამიანები აწმყოს მაღალი მოვალეობით, წმინდა სინდისით არ ან ვერ ემსახურებოდნენ, რაც ერისა თუ კაცობრიობის ცხოვრებისათვის დიდი დანაკლისი იყო. ადამიანი ისტორიას მასთან თანაზიარობის გამო გებულობს, ღრმადაც სწვდება. სხვადასხვა ეპოქის პიროვნებათა თვისებები არსებითად იგივეობრივნი არიან, რაც საზოგადოდ აადვილებს ისტორიის გაგებას. პოეტიც ამბობ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 369.

და: „ვნებათა იგივეობა წესია დედამიწისა". მაშასადამე, სიცოცხლე აწმყოს იმეცნებს, განმარტავს ძველთა ისტორიულ-კულტურულ შემოქმედებას. ინდივიდებისა და ერის მეხსიერება არ ივიწყებს წარსულს. აწმყო პატრონობს, ინახავს წარსულს, აცოცხლებს მას კულტურაში და ასე მუდმივად აბამს ხსოვნის ჯაჭვს შორეული წარსულიდან დაუბოლოებელი მომავალისაკენ.

ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ-მხატვრულ მემკვიდრეობაში მუდმივად ცხადყოფდა წარსულის ზოგად მნიშვნელობას. წარსულის აღდგენა თუ გამოხმობა ხდება მეცნიერებაშიც და უფრო ხშირად კი მწერლობაში. პოეტი სხვადასხვა ჟანრის თხზულებებში საგანგებო დაკვირვების და უბადლო მხატვრული განსახიერების საგნად აქცევს ძველ გადმოცემებს, ისტორიულ ფაქტებს, რელიგიურ თუ საყოფაცხოვრებო რიტუალებს, ფოლკლორულ ნიმუშებს. ამ ფენომენთა არსში შემოქმედი ჭვრეტდა კაი ყმების, დიდებული ადამიანების სულის მოძრაობის მრავალფეროვნებას, მათი ხასიათის სიმდიდრეს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობით, ადამიანის ყოველგვარი მოქმედება ბუნებასთან, ისტორიასთან, საზოგადოებასთან, დროსთან არის დაკავშირებული. მის მოქმედებაში აირეკლება როგორც სუბიექტური სულიერი მოვლენები, ასევე გარე სინამდვილის არსებობის ავ-კარგი. ადამიანის საქმიანობა, პოეტის მრწამსით, შეუძლებელია სუბიექტურ-პიროვნული და ცხოვრებისეულ-ისტორიული ღირებულებების განცდისა და წვდომა-შეფასების გარეშე. ამიტომაც მწერალი თავის შემოქმედებით მემკვიდრეობაში გვაძლევს ინდივიდის, ერის, კაცობრიობის მიერ გასათვალისწინებელი უძირითადესი ღირებულებების ღრმა დახასიათებას. იგი ამავე მიზნით ხატავს რთული სოციალური, ფსიქოლოგიური და მორალური ბუნების წარმომჩენ გმირებს. ვაჟა წერს: „პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა, – ისეთი ტიპებისა, რომელნიც უვარგისნია და მეორე, რომელნიც საჭირონია ცხოვრების გასაუკეთესებლად".[1] ლიტერატურის მიერ შექმნილი სახეები, ავტორის სიტყვით, ორგვარი – დადებითი და უარყოფითი გრძნობების მძაფრ ჭიდილს უნდა იწვევდეს, მოქალაქეობრივ თვითცნობიერებას წინ სწევდეს და ერისა და კაცობრიობის ცხოვრებაში უმაღლეს ჭეშმარიტებებს ამკვიდრებდეს. „ნიჭიერება ეროვნულის მწერლისა, – წერდა ვა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 400.

ჟა, – იმითი გაიზომება, თუ რამდენად ესმის თავის ქვეყნისა და ერის საჭიროება, მით, თუ რამდენად შეგნებული აქვს მისი უმთავრესი ნაკლი და რამდენად მადლიანად ემსახურება ამ ნაკლის შევსებას სიტყვით თუ საქმით".[1] მაშასადამე, ქვეყნისა და ერის საჭიროებაზე ზრუნვა, საქმესა და სიტყვაში გაცხადებული მოღვაწეობა არის მამულიშვილთა უწმინდესი ვალი. მწერალი გვაუწყებს, რომ დიდებული ადამიანის საქმიანობა ცხოვრების საჭიროებით განისაზღვრება. ეს იმას გულისხმობს, რომ ჩვეულებრივმა თუ ბრძენმა ადამიანებმა უნდა გაითვალისწინონ ქცევის მაორგანიზებელი ღირებულებების მთელი იერარქია დაწყებული მიწიერი, ვიტალურ-ბიოლოგიური მოთხოვნილებებიდან უმაღლესი სულიერი, ზეპიროვნული თუ მისტიკური სიბრძნის ჩათვლით. ადამიანის დანიშნულებაა, რომ ღირებულებათა ისეთი მაორიენტირებელი ძალა განიცადოს, ამოიცნოს, გაითავისოს, რომელიც მას ბუნებისა და ადამიანის, ცხოვრების არსისა თუ საზოგადოდ მათი კავშირ-მიმართებების იმგვარ რეგულირებას შეაძლებინებს, რაც, თავის მხრივ, სპეციფიკური, მაღალადამიანური უნარების უსასრულო განვითარებას უზრუნველყოფს. ამგვარად ესახება ვაჟას დიდებული ადამიანის შემოქმედების განმსაზღვრელი მოტივები. ამ მოტივებისა თუ ძალების სრული გაცნობიერების შემდეგ ადამიანი სიცოცხლის საზრისის გამართლებას აქ ხილული, ბუნებრივი და სოციალური რეალობის წიაღში პოვებს და მისი ფანტასტიკურ-მისტიკური სახის ძიებას მხოლოდ ზესთასოფლის სფეროში აღარ დაიწყებს.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, ბუნებრივი და სოციალური ღირებულებების თავისთავადობის ან მათი ურთიერთმიმართების ნაირგვარობის ღრმა წვდომა, ამ მოვლენათა იერარქიული აგებულების სწორი განმარტება ათავისუფლებს ადამიანს ქაოტური, უგეგმო და უსარგებლო მოქმედებისაგან. მართებული ღირებულებითი ორიენტირების მონახვა იცავს მთელს სინამდვილეს უსახურობისაგან, ხოლო პიროვნებას აქცევს უმაღლესი ჰარმონიისა და სრულყოფისაკენ მიმსწრაფ შემოქმედად. მწერლის აზრით, ინდივიდი, ოჯახი, ერი და, ბოლოს კაცობრიობა მუდამ იმაზე ფიქრობს, რომ დღევანდელი დღე გუშინდელზე უკეთესი იყოს, ხოლო ხვალინდელი – დღევანდელზე. რეალობასთან ამგვარი დამოკიდებულება, როგორც ჩანს, განსაზღვრულია გან-

[1] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 401.

ვითარების, ანუ, როგორც პოეტი ამბობდა, „თანდათანობის წესით“, რომელსაც ყველა მოვლენა ემორჩილება. მართალია, კაცობრიობას ჯერაც არ დაუდგენია ის, თუ რით გამოიხატება მისი არსებობის საბოლოო მიზანი, რა არის, საზოგადოდ, სიცოცხლის საზრისი ან როგორი იქნება ბოლო კაცთა ცხოვრებისა, მაგრამ იგი მაინც დაუდგრომლად იღვწის კონკრეტული ეპოქალური იდეალების სრულყოფისათვის. არსებული ცხოვრების გაუმჯობესება, ადამიანის გაუკეთესება უდიდესი მიზანია და მოღვაწეობის საფუძველიც. მწერლის ფიქრით, მოქმედების სწორ მიმართულებას ბუნებრივი და ადამიანური ღირებულებების უტყუარი იერარქიის დადგენა აპირობებს.

ვაჟა-ფშაველამ თავისი პუბლიცისტურ-მხატვრული ნააზრევის სახით მკითხველს წარუდგინა ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების თავისებური სისტემა. ყველა ერს მიენიჭა სხვათაგან შეუცილებელი მარადიული ღირებულებები: სამშობლო, სიცოცხლე როგორც თვითმყოფადობით მთლიანი მოვლენა და ენა. ეს მარად ღირებული ფენომენები, პოეტის გაგებით, ღვთაებრივ-კოსმიური ძალით ეძლევა ყველა ერს. მათი შინაარსისა და ფორმის ბოძება ერთი მოდგმის ხალხს მეორისათვის არ შეუძლია. ასევე უფლისა და ბუნებისაგან მონიჭებულის ერთიმეორისათვის წართმევის უფლებაც არავისა აქვს. საკუთარ ბუნებრივ-სოციალურ გარემოში ერების არსებობა თუ სრულქმნა-განვითარება მათივე შეუვალი უფლება და მიზანია. ასე ესახებოდა პოეტს რუსეთის იმპერიული რეჟიმის მიერ დამონებული სამშობლოს მდგომარეობა, ამიტომაც მან ქართველ მკითხველს გააცნო მარადიული თუ ცვალებადი ეროვნული ღირებულებები მრავალი ასპექტით.

ვაჟა-ფშაველას საკუთარი ერის ისტორიული ცხოვრების ბალავარში ჩაკირულ და მისი საერთო-სამომავლო მიზნების შემაპირობებელ მოვლენად შემდეგი ფასეულობები მიაჩნდა: პირველი ღირებულება ღვთით განწესებული სამშობლო, მისი ბუნებრივი ხატია, მეორე – ამ მამულზე ღვთის ნებითვე გაჩენილი ხალხის, ერის მთლიანი, თვითმყოფადი სიცოცხლე, ხოლო მესამე ღირებულება არის ერის ბედის ერთობის, სისხლით ნათესაობის მოწმე, მამულისა და ხალხის განუყრელი კავშირის, საერთოდ, სულიერი კულტურის განმასახიერებელი უკვდავი ფენომენი – მშობლიური ენა. ასეთი მარადიული ფენომენების განუყრელ ურთიერთკავშირს ემყარება ერის შემოქმედებითი საქმიანობა, მისი ისტორიულ-კულტურული ცხოვრებისა და, საზოგადოდ, მისი თვითცნობიერების ფორმირება. ყოველმა ინდივიდმა საკუთა-

რი სულიერ-გონითი შესაძლებლობების სასიკეთო მოქმედება მამულის, ერისა და ენის უალტერნატივობისა და განუმეორებლობის განცდაზე უნდა დააფუძნოს. ამიტომაც ჭეშმარიტი მამულიშვილები, როცა სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოს, ფაქტობრივად, ისინი მამულის, ერის, ენისა და კულტურის ძირეული ფენომენების მოვლა-პატრონობას ცდილობდნენ. ცხადია, მამულის, ერის სიცოცხლისა და ენის ღირებულებითი შინაარსი ხალხის რელიგიური რწმენის, მეცნიერული ცოდნისა და მხატვრული იდეალის ფორმით იკვეთებოდა. ადამიანთა ბუნებიდან გამომდინარე, რწმენის, ცოდნის და პოეტური აღმაფრენის გარეშე მამულის, სიცოცხლის და ენის მსახურების გზას ვერავინ გაჰყვებოდა. სამივე ეს ღრმა ადამიანური მოვლენა: რწმენა, ცოდნა და პოეტური კულტურა ისტორიული განვითარების კვალდაკვალ დიდ ცვალებადობას განიცდიდა, ევოლუციის პროცესს ემორჩილებოდა, მაგრამ ერის ისტორიული ბედის რაობას, უძირითადეს პროგრესულ იდეალებს, თვითსრულქმნის ეროვნულ მიზნებს, განვლილი ცხოვრების თავისებურებებს კი ნათლად წარმოაჩენდნენ. მამულის მნიშვნელობა, ერის ისტორიული ცხოვრების ღირსება, მწერლის აზრით, იმითი იზომებოდა, თუ რა ოდენობის სისხლი, ცრემლი და ოფლი დაღვარა ამა თუ იმ ხალხმა ქვეყნის თვითმყოფადობისა და თავისუფლების დასაცავად. მამულისა და ერის, როგორც უმაღლესი ფასეულობების, ერთიმეორისაგან დაშორება შეუძლებელია. ხალხის სიცოცხლე, მისი სულის სიჯანსაღე მამულისათვის ბრძოლაში იწრთობოდა. თუ არ იქნებოდა ერის ერთიანი და სრულყოფილი სიცოცხლე, მაშინ სამშობლო შეიძლება სხვის კუთვნილებად ქცეულიყო. უსამშობლო ერის არსებობა, თუ ასეთი არსებობა შესაძლებელია, ძალზე უმნიშვნელო იქნებოდა.

ერის სიცოცხლის ძალის გაშლა-განვითარებისათვის განუზომელი მნიშვნელობა სწორედ ბუნებრივ გარემოს და სოციალური ყოფის პირობებს ენიჭება. მამულთან ერთად ერის შემოქმედებით უნართა მთავარი მამოძრავებელი ძალა და სიცოცხლის ორიგინალური პიროვნული თვითგამოხატვის ბურჯი ენაა. ერის ფიზიკური არსებობისა და ენის ფენომენში ჩაქსოვილია როგორც სამშობლოს ბუნებრივი ხატი, ასევე ხალხის გრძნობა-გონებისა და, საერთოდ, ხასიათის ჩამოყალიბებისათვის საჭირო უსაზღვრო ენერგია. ამის გამო ეროვნული თვითცნობიერების განვითარების ყველა საფეხურზე ენა გამოდიოდა ერის ცხოვრების შემაკავშირებელ, მისი გრძნობა-გონებისა და კულტურის ამამაღლებელ ძალად. ენა, მწერლის აზრით, ერის, ანუ საკუთარი

დედის, ერთგული შვილია: „ხალხი, ერი დედაა ენისა. იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს“.[1] ამიტომაც ენა დედის ზნე-ხასიათის, მის გრძნობათა და იდეათა ღრმა შინაარსს გამოხატავს. ნიჭიერი მწერლის, როგორც თავისი ერის საუკეთესო შვილის, სულის მოძრაობა და პოეტური ინდივიდუალობაც ენის საშუალებით იძერწება. პოეტის სიტყვისამებრ, „დედა-ენა, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმოხვრა, ერთნაირი ამამოძრავებელი ძალაა, ზეშთაბერვა, პოეტის აღმაფრთოვანებელი მუსიკა, მისთვის ძალღონის მიმცემი თვით წერის დროს, მეორე მუზაა“.[2] ვაჟას შეხედულებით, როცა ერს ასეთი მნიშვნელობის შინაგანი ძალის გამოყენებას უკრძალავენ, მშობლიურ ენაზე არ ასწავლიან, არ ალაპარაკებენ, არ ამღერებენ, უნივერსიტეტის დაარსების ნებას არ აძლევენ, მაშინ მოძალადენი ხალხის სულის თავისუფლებას, თვითმყოფადობას, შემოქმედებით იდეალებს ფეხქვეშ თელავენ.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და პოეტური იდეალის ყველაზე რთული და, ამავე დროს, ღრმად გააზრებული მხარე მისი ეროვნული პოზიციაა. ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, მისი მატერიალური და სულიერი ყოფის განვითარება-სრულქმნის პირობები სამშობლოს გულში იბადება. უფალმა და ბუნების ძალებმა, ცისა და მიწის ზეადამიანურმა გონივრულმა კავშირმა ყველა ერს უბოძა განვითარების ეს სასიცოცხლო-საბაზო გარემოც და თავისუფალი თვითმოქმედების უფლებაც. ვაჟას რწმენით, ქართველი ხალხიც უფლებამოსილი იყო ღვთისა და ბუნების მიერ, რომ თვითონ ეპატრონა თავისი ქვეყნის ბედ-იღბლისათვის, მაგრამ მას ამის ნებას არ აძლევდნენ. როგორც ყოველი ერი, ქართველობაც საკუთარი იდეალების საფუძვლად მამულს, ერის ერთიან სიცოცხლეს, ენას და კულტურას აღიარებდა. აღნიშნულ ღირებულებათა დამცველ ხალხს, ცხადია, უნდა სცოდნოდა რა საშუალებებით დაეცვა საკუთარი ინტერესები. მწერლის გაგებით, მთავარი ხალხის სულიერ ძალთა მობილიზება, განმტკიცება იყო. ვაჟაც ამიტომ გასაოცარი სიღრმით, რწმენით, იმედით გულმოდგინებითა და ენერგიით აფასებდა, ხატავდა ეროვნულ ღირებულებებს.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „მცირე შენიშვნა“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 62.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 297.

პატრიოტული გრძნობა უძირითადესი თემა იყო მთელი ქართული მწერლობისა და, ბუნებრივია, ვაჟას შემოქმედებისაც. პოეტმა ისეთი ღრმა აზრი დაამკვიდრა ერის ცხოვრებისა და კაცობრიობის საერთო იდეალებთან მისი მიმართების შესახებ, რომ საუკუნის შემდეგ, დღესაც ნიმუშად რჩება და ოდნავადაც არ შეცვლილა მისი ძალა თუ მნიშვნელობა. „პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს", – წერს პოეტი. ყმაწვილი ოჯახში დედის რძესა და ნანასთან ერთად ითვისებს ამ გრძნობას. მახლობელთა გარემოში იქცევა იგი ენის, წეს-ჩვეულებების, თავისი სოფლის თუ დაბა-ქალაქის მოყვარულ არსებად. ფიზიკური ზრდისა და გონის განვითარების კვალდაკვალ იგი მაღლდება ჯერ ეროვნულ გრძნობამდე, ხოლო შემდეგ კი შეიძლებს საკაცობრიოსაც ეზიაროს. ადამიანის პატრიოტული სრულქმნის გზა ოჯახიდან იწყება და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებისკენ მიემართება. ღრმა ადამიანური კეთილშობილებით აღბეჭდილი პატრიოტიზმი, ვაჟას მრწამსით, ერთი ქვეყნის ფარგლებს ხშირად სცილდება და სხვა ხალხებსაც უწევს სამსახურს. ამის გამო, ადამიანი თავისი გრძნობით, გონებით, დაუცხრომელი შრომით თუ საკუთარი ერის ცხოვრებას წინ სწევს, მაშინ ის მთელი კაცობრიობის სრულქმნას უწყობს ხელს. მაშასადამე, პოეტის გაგებით პატრიოტიზმი ლოკალური, კუთხური ან ეროვნული კი არ არის მხოლოდ, არამედ საკაცობრიო ფასეულობაცაა. მწერალი იმასაც აღიარებს, რომ პატრიოტიზმი არ გულისხმობს მხოლოდ მარჯვედ ხმლის ქნევას და ფარის ფარებას. იგი მოიცავს საკაცობრიო ინტერესებსაც და ერის ცხოვრების შიგნით სოციალური სამართლიანობის დაცვას, ხალხის ცხოვრების სამართლებრივ-ზნეობრივ მოწესრიგებას. ადამიანი თუ საკუთარი ქვეყნისათვის მოღვაწეობაში გამოიჩენს თავს საქმით და სიტყვით, მაშინ ის სხვა ერებსაც რაღაც სიახლეს მატებს. „მახინჯი კოსმოპოლიტიზმი", რომელიც ინდივიდუალობის, ეროვნული სახის თუ კონკრეტული სამშობლოს უარმყოფელია, კაცობრიობის ბუნებრივი სრულქმნის მტერია. ვაჟა-ფშაველას მრწამსით კი, „ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელი კაცობრიობის განვითარებისა".[1] ბუნებრივია, განვითარება, ცხოვრების სრულქმნა, ეროვნული მასშტაბის იქნება ის თუ საკა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 254.

ცობრიო, უნდა დაემყაროს ადამიანის შემოქმედებით საქმიანობას. მაშასადამე, ძალმომრეობის მოსპობისა და სიახლის დამკვიდრებისათვის მებრძოლ და მოქმედ ადამიანებს თავისუფლება სჭირდებათ. თავისუფლება პიროვნებისა თუ ერის შემოქმედებითი ენერგიის გახსნის საშუალებაა. იგი წერს: „თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“.[1] მწერალს საკუთარი ერი და საკუთარი ხალხის შვილები მიაჩნია დამონებულად და შეაგონებს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ მონობის წინააღმდეგ რეალურად გამართული ბრძოლიდან იწყებაო. თავისუფლება უგონო წადილთა აყოლასა და თვითნებობას არ გულისხმობს. თავისუფალი ადამიანის მოქმედება მიმართული უნდა იყოს საქვეყნო-საზოგადო და საყოველთაო სასარგებლო მიზნისაკენ. თავისუფლება სწორი საქციელის საფუძველია და ამიტომ ყველას უნდა ეკუთვნოდეს, ყველას უნდა ანიჭებდეს ბედნიერებას. ვაჟა ამბობს: „მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია“.[2]

პოეტი გვაუწყებს, რომ მხოლოდ ეროვნული და სოციალური თავისუფლება მისცემს საშუალებას პიროვნებასა და ერებს, იღვაწონ საკუთარი და კაცობრიობის ცხოვრების სასიკეთოდ, გახდნენ ბედნიერნი. ირკვევა, რომ ვაჟა-ფშაველას ეროვნული მრწამსი სრულიად თავისუფალი იყო როგორც მახინჯი კოსმოპოლიტიზმისაგან, ასევე უკიდურესი ნაციონალისტური გადახრებისაგან. მას მიაჩნდა, რომ დამბადებელმა და ბუნებამ დაუმკვიდრეს ხალხებს ჰუმანური უშუალო გრძნობები, თავისუფალი თვითსრულქმნის ისეთი წესრიგი, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც მათს ინდივიდუალურ ყოფნას, ანუ ბედნიერებას, ასევე საყოველთაო, საკაცობრიო კეთილშობილური ურთიერთობების

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „რა არის თავისუფლება“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 410.

[2] იქვე, გვ. 412.

განვითარებას. ვაჟას შეხედულებით, ყოველი ერი უფლებამოსილია დაიცვას თავისი უძირითადესი, სასიცოცხლო ღირებულებები. ქართველმა ხალხმა მაღალი ღირსებით, სულის არაჩვეულებრივი სიმტკიცით დაიცვა, შეიყვარა და საუკუნეთა ძნელბედობის ქარცეცხლში გამოატარა მამულის, ერის სიცოცხლის, ენისა და მრავალფეროვანი კულტურის სიყვარული.

თავი II

ბუნებრივ-სოციალურ და ესთეტიკურ-მხატვრულ ფენომენთა ვაჟასეული ხედვა

ვაჟა-ფშაველას წერილებში მრავალჯერ ითქვა, რომ სამყარო-ბუნება დიდი იდუმალებისა და სირთულის მომცველი მთლიანობაა. იგი შემოქმედის სიდიადის საყრდენი სიბრძნეა. საზოგადოდ, ბუნება, კაცთა ცხოვრება და პიროვნების სულიერება მარადიული კავშირის პრინციპზე დაფუძნებული მთლიანობაა. ბუნების მრავალფეროვან ღირებულებათა თანდათანობითი ათვისება კი შესაძლებელია სირთულით მხოლოდ მასთან მიახლოებული ისეთი მოვლენის ძალით, როგორიც ადამიანის ცნობიერება არის. პოეტის რწმენით, ორი ფენომენის, კერძოდ, სამყარო-ბუნების და ადამიანის მარად უწყვეტმა ურთიერთქმედებამ დაამკვიდრა კაცთა ცხოვრებისა და კულტურის თვითმყოფადობა.

უძველეს ადამიანთა ანიმისტურ-ფეტიშისტურმა, მაგიურ-მითოსურმა და პრაქტიკულ-ცხოვრებისეულმა მსოფლშეგრძნებამ ულრმესი ცვლილებები განიცადა, ვიდრე თანამედროვე რელიგიური მოძღვრებების, მეცნიერული აზრისა თუ საყოველთაოდ მნიშვნელოვან პოეტურ სახეებამდე ამაღლდებოდა. მწერლის შეხედულებით, ადამიანებმა სინამდვილის საფუძველზე ააშენეს საკუთარი გრძნობების, აზრისა და ფანტაზიის სამყარო. ვაჟა, ღირებულების თვალსაზრისით, მკაფიოდ განასხვავებდა ერთმანეთისაგან ბუნებას, მის შინაგან წყობას, ადამიანთა ცხოვრების სისტემურობას და მათს ბაზაზე აღმოცენებულ მესამე მოვლენას – მხატვრულ სინამდვილეს. სინამდვილის ამ მოვლენათა ურთიერთქმედების რაობის გახსნა იყო კაცობრიობის მუდმივი ფიქრისა და ოცნების საგანი. ამ პროცესის მიმდინარეობაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ღირებულებების არსის დადგენას, მათ მაორიენტირებელ ძალას. მრავალი ხელოვანის და, მათ შორის ვაჟა-ფშაველას, მსოფლხედვა და შემოქმედებითი სწრაფვაც აქეთკენ იყო მიმართული. ბუნება, კაცთა ცხოვრება და კულტურა ისეთი რეალობაა, რომელიც თავის შიგნით მრავალ მიკროსამყაროს იტევს. ეს მთლიანობა, კანონზომიერებათა კავშირი და სიდიადე შემოქმედმა განაწესა. მითოსი, რელიგია, მეცნიერება, ხე-

ლოვნება სინამდვილეს, მის ამოუცნობ სფეროებს თავიანთი მიზნის კვალობაზე მიეახლებოდნენ და წარმოაჩენდნენ ყოველივეს არსებობის სპეციფიკას. ვაჟას სიტყვისამებრ, სინამდვილე ყოვლისმომცველია. იგი ის ფენომენია, რასაც ადამიანის თვალი, სმენა, გრძნობა-გონება მისწვდება და რასაც მხატვრული წარმოსახვის შედეგიც უნდა პასუხობდეს, შეესიტყვებოდეს. ცხადია, ღირებულებათა იერარქიული სისტემა სინამდვილის საფუძველზე შენდება. მწერალი ფიქრის, ოცნების, პოეტური შთაგონების ულევ წყაროდ მთელ სამყაროს მიიჩნევს. იგი კითხულობს: „სინამდვილე რაღა ხილია?“ – სხვა რა უნდა იყოს, თუ არ ის, რასაც თვალით ნამდვილად ყველა ვხედავთ და რაც ყურით გვესმის: ისიც კი უნდა ჩაითვალოს სინამდვილედ, რასაც ნახულისა და გაგონილის გამო ვგრძნობთ. მაშასადამე, სინამდვილეა – ცხოვრება ჩვენი და მისნი პირობანი, აგრეთვე ისინი, ვისაც ჩვენ ვხედავთ, ვისთანაც ჩვენ ასე თუ ისე დამოკიდებულება გვაქვს, და თვით ბუნება გარემო ჩვენსა“.[1]

პოეტის მიერ ასეთი ფართო მასშტაბით არის დანახული სინამდვილე როგორც შემეცნებისა და პოეტური მიმართების საგანი. თვით სამყარომ, მისმა ფერუთვალავმა სახემ განსაზღვრა ადამიანის ცნობიერების უნართა უსასრულობა.

„ფიქრი უსამზღვროა, – წერს ვაჟა, – ვითა სამყარო, და უკეთუ ადამიანი მიჰყვა ფიქრს, ვინ იცის, სადამდის მიიყვანს, შეიძლება კლდეზედაც გადაჩეხოს. ხოლო ისიც შესაძლებელია – სამოთხეში ამოაყოფინოს თავი“.[2] ვაჟა-ფშაველას მსჯელობებში ფიქრი სინონიმია განცდის, ოცნების, აზრის, წარმოსახვის თამაშის, მოვლენათა ფილოსოფიური განსჯის, ღირებულებათა რაობის დადგენის. ამიტომ ეს სიტყვა მისი მრავალი თხზულების სათაურად იქცა. უსაზღვრო ფიქრის, წარმოსახვის ულევი წყარო კი ბუნებრივ-სოციალური სინამდვილეა. ფიქრი ადამიანის არსების განუყრელი ნიშანია, მისი უკვდავი უნარი. პოეტის აზრით, ხელოვანი წარმოუდგენელია ფიქრის, წარმოსახვის, ღირებულებების ორიგინალურად ხილვის გარეშე და ხილვა თუ ემოციური მიმართება სამყარო-ბუნებასთან, ცხოვრებასთან პოეტურ დამოკიდებულებასაც გულისხმობს.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 193-194.

[2] იქვე, გვ. 207.

ვაჟა-ფშაველამ სრულად დაახასიათა ბუნებასა და კაცთა ცხოვრებასთან ადამიანების როგორც ჩვეულებრივი, ასევე ესთეტიკურ-მხატვრული მიმართების ნიშნები. პოეტმა ცხადყო, რომ სინამდვილეში არსებულ ნაირ-ნაირ ღირებულებებს განუზომელი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულის მოძრაობის გასამხელად. სამყარო-ბუნების კანონზომიერებებში სიბრძნე, წესრიგი და ჰარმონია იკვეთება, რომელიც ცნობიერად თუ არაცნობიერად ადამიანებზედაც გადმოდის. ამასთანავე, მუდამ მეოცნებე, მაძიებელი ადამიანი თვითონაც ცდილობს ბუნების მოვლენებში იპოვოს იმაზე მეტი, ვიდრე მათს თავისთავადობაში ჩანს. ადამიანი ის გამორჩეული არსებაა, რომელიც მიუწვდომელი მოვლენების ასათვისებლად, პრაქტიკის გარდა, ოდითგანვე მოიხმობდა სიმბოლური, ალეგორიული და მეტაფორული განსახიერების ნაირგვარ შესაძლებლობებს. სინამდვილის მხატვრული აღქმა ყოველთვის დადებით ზემოქმედებას ახდენდა მეცნიერული შემეცნების განვითარება-სრულქმნაზე.

ვაჟა-ფშაველას რწმენით, ხელოვნება არა მარტო კაცთა ცხოვრების მოვლენებს იყენებს საშენ მასალად, შემოქმედების წყაროდ, არამედ ბუნებისეულსაც. უფრო მეტიც, მწერალი ფიქრობდა: „ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო, იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება. მხოლოდ უნდა მწერალი უყურებდეს ცხოვრებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნების თვალებით“.[1] პოეტის თვალსაზრისით, სამყარო-ბუნების თავისთავადი მოვლენები გარკვეულ გონივრულ მთლიანობას ქმნიან, რის კეთილისმყოფელ გავლენას, უპირველეს ყოვლისა, გენიოსი შემოქმედი განიცდის. იგი ეუფლება კოსმიური მთლიანობის შინაგან საზრისს და მას კაცთა ცხოვრების თუ ხასიათების ყოველმხრივ გასახსნელად იყენებს. ვაჟა-ფშაველას აზრით, კაცთა ცხოვრების მიმართ ბუნების თვალებით ცქერა ამას გულისხმობს. ეს ნათქვამი ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და პოეტური მრწამსის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია. მწერლის სიტყვით, ბუნების „...გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავ ღირსებით და ნაკლით“.[2] სამყარო-ბუნების ყოვლისშემაპირობებელი ძალა აქ აშკარადაა გამოკვეთილი. გენიოსი

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 396.

[2] იქვე.

მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვა „ბუნების გონიერებასაც“ ემყარება. აღნიშნულის გამო დიდ ხელოვანთა მიერ შექმნილი ტიპები ბუნებრიობით თუ ბენებისადმი მსგავსებით ერთმანეთს ჰგვანან და, პოეტის აზრით, იმათ ნაწერებში „... ბუნება სავსებით გამოსჭვირს“.

ვაჟა-ფშაველა შექსპირისა და სერვანტესის შესახებ, კერძოდ, შემდეგს წერს: „აბა კარგად დაუკვირდით ლამანჩელ აზნაურს დონ-კიხოტს, შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენს მსგავსებას ჰნახავთ მათ შორის. რა არის თვით ბუნება, თუ არა იგივე დონ-კიხოტი, რომელიც თავდაუზოგავად ჰღელავს, იბრძვის, მიისწრაფის ერთხელ არჩეულ, აჩემებულ გზაზე თავდაუზოგავად? აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც იგია. რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძნობა, გონება, იმდენად სავსებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეულ ტიპის მეოხებით. შექსპირი იმიტომ არის დიდებული ყველა მგოსანთა შორის, რომ ბუნება სავსებით გამოსჭვირს იმის ნაწერებში. ამ მხრივ შეჰხედეთ საგანს, ვნახოთ, თუ არ დამეთანხმოთ. შეადარეთ აგრეთვე ყველა გენიოსთაგან შექმნილი ტიპები. დააკვირდით, რამდენი მსგავსებაა მათ შორის“.[1] ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიურ-ლიტერატურული ნააზრევი ცხადყოფს, რომ სამყარო-ბუნება, როგორც მთლიანობა, მისი ჰარმონია, მიზანშეწონილობა, ბრძნული კანონზომიერებების კავშირი გენიოსი შემოქმედის ცნობიერებას აყალიბებს. ამიტომ ასეთი მოაზროვნენი კოსმიურ სიბრძნეს თავიანთ გმირთა ხასიათებში განასახიერებენ, ე.ი. ქმნიან ღირსებებითა და ნაკლით ბუნების მსგავსი დიდებული ადამიანების სახეებს. პოეტი იმასაც გვეუბნება, რომ მაღალი გრძნობა-გონების შემოქმედი თავის მიერ განსახიერებული ტიპების მეოხებით „სავსებით ჰხატავს“ ბუნებასაც. როგორც ირკვევა, არა მარტო ბუნების სიბრძნით საზრდოობს გენიოსი დიდებულ ადამიანთა წარმოსადგენად, არამედ საპირისპირო მიმართულების მხატვრულ მიზანსაც წარმოაჩენს. კერძოდ, საზოგადოების ცხოვრებაში ნაპოვნი ტიპის მეშვეობით ბუნებასაც ხატავს. სარწმუნო აზრია. ადამიანი ბუნების მიერ მრავალმხრივი თავისებურებებით დაჯილდოებული და თვითმყოფადობით დაღდასმული არსებაა. იგი ბუნებამ შექმნა და მისი ბუნებისეული საწყისების

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 396.

მხატვრული გახსნა ნიჭიერ შემოქმედთა ხვედრია. იგულისხმება, რომ რუსთველი, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე ასეთი ნიჭის მფლობელი გენიოსები არიან.

ვაჟა-ფშაველა აფასებს რა „ვეფხისტყაოსნის" ტარიელის ხასიათის სიმტკიცეს, თავგანწირულობას, აქ ხედავს ბუნებასთან გმირის მსგავსებას. იგი პოემის შესახებ წერს: „ვეფხისტყაოსანში" ყველაფერი ბუნებრივია, მთელი სხეული და მისი სული და გული. უწესო, ბუნების წინააღმდეგ იქ არაფერი მოიპოვება. იმიტომ უკვდავია ეს ნაწარმოები... ვიდრე ბუნებაა თავისი ძალით მმართველი კაცთა სიცოცხლისა, „ვეფხისტყაოსანიც" იქნება ჩვენთვის გონების მმართველი.[1] მწერლის მსოფლშეგრძნებისა და პოეტური მრწამსის კვალობაზე მოხმობილი სიტყვების აზრი ამგვარად აიხსნება: „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ მოქმედებასა და სახე-ხასიათებში ბუნებრივობა ბატონობს. პოემის გმირები ხასიათის სიმტკიცით, სიკეთით ბუნების სიბრძნეს ავლენენ, რითაც ისინი სხვა გენიოსების მიერ შექმნილ ტიპებსაც ემსგავსებიან. ბუნების „ზნე-ხასიათი" მარადიულია, საყოველთაო, მასთან ნიჭიერ ხელოვანთა მიმართებაც რამდენადმე ზოგადსაყოველთაო წესებში თავსდება და გამოიკვეთება. აღნიშნული გარემოება იწვევს გენიოსთა მიერ დახატული ტიპების მსგავსებას და არა მათი უშუალო შემოქმედებითი ურთიერთგავლენა. ბუნებისა და ადამიანის „ზნე-ხასიათის" ღრმა გაგება აახლოებს გენიოსებს, აქცევს მათ მიერ შექმნილ სახეებს საკაცობრიო ტიპებად. ამ ვითარებაში მხატვრული ღირებულებებისათვის უქმდება ეთნოგრაფიულ-ეროვნული საზღვრები. გენიოსთა მიერ დახატული სახეების ნათესაობის ამოსავალი კი ისაა, რომ შემოქმედნი, ვაჟას რწმენით, „ბუნების თვალებით უცქერიან" კაცთა ცხოვრებას. „ვეფხისტყაოსანი" ჩვენთვის გონების მმართველი", თურმე, იმიტომ იქნება, რომ კოსმიურ სიბრძნეს ეფუძნება. იმ სიბრძნეს, რომელიც კაცთა „სიცოცხლეს მართავს". ამის გამო „ვეფხისტყაოსანი" იარსებებს მანამ, სანამ ბუნების წესრიგი იქნება ადამიანთა ცხოვრების განმსაზღვრელი.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, საგანგებო ცდის გარეშეც, „ამ პატარა არსებას – ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 397.

მწერალს, რომ ეს შეუნიშნავს".[1] ადამიანი ბუნების უმაღლესი ქმნილებაა და, პოეტის სიტყვისამებრ, ამიტომაც მას დიდბუნებოვნება, ანუ ბუნების მსგავსება, ახასიათებს. იგი სამყაროს მთლიანობის ისეთი ნაწილია, რომელშიც ბევრი რამ ამ მთელიდან შემოვიდა. ამის გამო ნიჭიერი მწერალი უხვად პოულობს მსგავსებებს ცალკეულ ბუნებრივ და ცხოვრებისეულ ფაქტებს შორის. ხელოვანთათვის აუცილებელი და სასარგებლოა სამყარო-ბუნების ღირებულებათა წვდომა-შეფასება. თვითონ ვაჟა-ფშაველა ბუნებრივი ღირებულებების მხატვრული ათვისებით გატაცებული შემოქმედია. პოეტი მხოლოდ ბუნების გონიერების გათავისებას კი არ მოითხოვს, არამედ იმაზეც მსჯელობს, თუ როგორი უნდა იყოს მასთან პოეტური მიმართების თავისებურებები. მხატვრული ფასეულობა კი თავისი სტრუქტურით, ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებლობის თვითმყოფადი ორგანიზაციით განსხვავებულია სინამდვილის ისეთი ასახვისაგან, როგორიცაა: მითოსური, რელიგიური და მეცნიერული. ხელოვნება, პოეზია ცნობიერების არც ერთ სხვა ფორმას არა ჰგავს.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, სამყარო-ბუნება ის ფენომენია, იმგვარი წესრიგია, რომელიც კაცთათვის მარად მნიშვნელოვანია. პოეტი წერს: „... თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისას და ჩვენ კაცთ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მის განაჩენს".[2] რაკიღა ბუნება განურჩეველად ყველა ადამიანს სიავ-სიკეთის საზომს აძლევს, მაშინ, ცხადია, იგი ხელოვანს უფრო მდიდარი პოეტური მასალითა და უდიდესი მადლით დააჯილდოებს, მისთვის მშვენიერების შთაგონების ულევ წყაროდ იქცევა. პოეტი გვეუბნება, რომ ჩვენ „...ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მის განაჩენს" და ადამიანური გადაცდომების ერთ-ერთი მიზეზიც ოდითგანვე ეს იყო. ნათელია, აქ ბუნება დასახულია კაცთა ცხოვრების წესის დამდებად. მათი ხასიათის შემოქმედ და განაჩენის მაუწყებელ ფენომენად. სწორედ კოსმიური მთლიანობის ზემოქმედების გამო იბადებოდა ის ღირებულებები, რომლებიც უძველესი რწმენა-წარმოდგენების თუ სოციალური წესების სახით ფორმდებოდნენ.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 395.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ყოველდღიური ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 189.

ბუნების განაჩენის ვერშემცნობი ადამიანები კი ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან, რადგან სამყარო და თვით ადამიანი შემეცნებისა თუ მხატვრული გარდასახვისათვის ამოუწურავი ფენომენები არიან. ვაჟას გაგებით, მხოლოდ გენიოსები ახერხებენ გამორჩეული სულიერ-გონითი შესაძლებლობებით სწვდნენ იდუმალ კავშირებს, მოაქციონ მხატვრული მოქმედების სფეროში მათი მნიშვნელობა და ამით მკითხველიც აზიარონ მაღალ ღირებულებებს. ცხადია, აღნიშნული არ გულისხმობს ადამიანის სულიერების დავიწყებას.

ვაჟა-ფშაველამ სამყაროსეული და სოციალურ-ყოფითი ღირებულებების მრავალგვარობა ძირითადად ორნაირად დაახასიათა. პირველ ყოვლისა, სინამდვილის მთელი ღირებულებითი სტრუქტურა გაიაზრა როგორც ადამიანის სასიცოცხლო-ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილების საშუალება, ხოლო შემდეგი ფასეულობები კი – როგორც სულიერ-იდეალური სწრაფვების ზღვარდაუდებელი რეალობა. პოეტის მრწამსისამებრ, მთელი ხილული სამყარო მოფენილია სასიცოცხლო-პრაგმატული და უანგარო-სულიერი ღირებულებებით. ცხადია, არსებობენ ისეთი ღირებულებებიც, რომელნიც, ვითარების მიხედვით, ერთდროულად ორსავე მოთხოვნას, კერძოდ, პრაგმატულსაც და სულიერ-იდეალურსაც პასუხობენ. მარმარილოს ლოდისაგან მშვენიერი სკულპტურული სახე გამოიკვეთება, მაგრამ ეს სულიერების მასაზრდოებელი ქმნილება დამშეულმა ადამიანმა შეიძლება პურზე გაცვალოს და ბიოლოგიურ მოთხოვნას დაუმორჩილოს სულიერ-პოეტური. ცხადია, ეს იმას გულისხმობს, რომ ღირებულებითი მიმართებები სუბიექტურ-ადამიანური პოზიციით თუ ვითარებით განისაზღვრება და მხოლოდ ადამიანურ შინაარსს იძენს. ღირებულება ის ფენომენია, რომელიც სინამდვილესთან ადამიანის მიმართების მთელ სივრცესა თუ სარბიელს მოიცავს. პიროვნული სულიერი სწრაფვების გარეშე ღირებულება არ მოიაზრება და ამიტომ მისი არსი ყოველთვის სუბიექტური შინაარსითაა გაჯერებული. ღირებულებები საერთოდ და კერძოდ კი მხატვრული ღირებულებები ურთულეს მოვლენათა კომპლექსს წარმოადგენენ. მიუხედავად სირთულისა, იგი მაინც არ არის რაღაც ამოუცნობი და ბურუსით მოცული გაურკვევლობა. მას ორი პოლუსი, ორი მხარე აქვს – სუბიექტური და ობიექტური, რომელნიც მუდმივ კავშირში იმყოფებიან. ღირებულებებში სასიცოცხლო ან წმინდა სულიერი შინაარსი საგნობრივად იკვეთება.

ვაჟა-ფშაველა ბუნებრივ და სოციალურ ღირებულებებს სწორედ სასიცოცხლო-ბიოლოგიური და სულიერ-იდეალური ნიშნებით განასხვავებდა. ალბათ, ყველა დროის მეცნიერთა ყურადღებას დაიმსახურებს პოეტის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განსჯის განსაკუთრებული ალღო. ღირებულებათა რაობა, მათი ურთიერთიმიმართების ხასიათი და დამოკიდებულება ადამიანის განცდებთან, ვფიქრობთ, კლასიკური დამაჯერებლობით გახსნა პოეტმა ამ მსჯელობაში: „ბუნება ყველა ადამიანს ერთნაირად არ გვიყვარს, ხოლო მისი მოძულე ძვირად მოიპოვება ადამიანთა წრეში. თვით ბუნებასთან მებრძოლი მიწის მუშა, ბევრნაირად მისგან შეშინებული და დაჩაგრული, დაქანცულ-დაღალული, სიამოვნებით გადაავლებს თვალს ახლად ამოსულს იას, გაბზინებულს ტყეს – უხარიან, რომ ზაფხული მოდის. შვების მომცემია ნივთიერად – გრძნობაა ცხოველური, მაგრამ იდეალური მისწრაფებაც არის აქ დართული, უყვარს და მოსწონ რაღაც ეს ველური ნაზი ყვავილი, – იგი არც საჭმელია, არც სასმელი, თუნდა სასიამოვნო სუნი არა ჰქონდეს, ჩვენ მაინც მოგვწონ იგი, თვალს უყვარს, გულს ესიამოვნება მისი ნახვა, ცქერა, ხოლო განვითარებულს აზრიანს კაცს იგი სხვა ბევრს რასმე მოაგონებს იმისდა მიხედვით, რამდენადაც იდეალისტია კაცი, რამდენად სულიერად მდიდარია იგი“.[1] პოეტი ღრმად სწვდება ბუნების ქმნილებებთან უბრალო მიწის მუშისა და მეოცნებე, „იდეალისტი“ კაცის შემფასებლური მიმართების თავისებურებებს. მაშასადამე, პოეტი აცნობიერებს აღსაქმელ-განსაცდელი საგნების შინაგან ნიშნებს და იმასაც, თუ მათი გაგება-შეფასების პროცესში რანაირია სუბიექტის, მეოცნებე ადამიანის როლი. პოეტის სიტყვისამებრ, ბევრი ღირებულება ადამიანისათვის „შვების მიმცემია ნივთიერად, გრძნობაა, ცხოველური, მაგრამ იდეალური მისწრაფებაც არის აქ დართული“. იგულისხმება, რომ პოეტური წარმოსახვისას მრავალი პრაქტიკულად საჭირო ღირებულება ესთეტიკურ ღირებულებად გარდაისახება. „იდეალური მისწრაფება დაერთვის“, სულიერის გასაგნებად მოგვევლინება. ადამიანები, მეტ-ნაკლები ხარისხით, პრაქტიკულად უსარგებლო საგნებს ესთეტიკურად აღიქვამენ, ისინი „თვალს უყვარს, გულს ესიამოვნება“, ხოლო „იდეალისტ“ კაცს ბევრ რამეს მოაგონებს და ამის გამო თვითონ პოეტი სვამს კითხვას: „ნუთუ ია, ბუჩქე-

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 394.

ბით და ეკლებით დაჩრდილული, არ მოგვაგონებს დაჩაგრულს სიმართლეს?" ცხადია, მოგვაგონებს და აქ პოეტმა ნათლად გამოხატა სინამდვილის მოვლენებთან ემოციურ-ღირებულებითი მიმართების მრავალწახნაგოვანება. მან ისიც აღიარა, რომ ია უშუალო ბუნებრივი და თვითმყოფადი გარემოთი იპყრობს თვალს, ე.ი. „ამ ბუნებრიობაშია დამალული მისი „შვენიერება".

ვაჟა-ფშაველა გვაუწყებს, რომ ბუნებაში ესთეტიკური საგანი ადამიანებს შეუმჩნევი არ რჩებათ, ყველა განიცდის სილამაზეს, მაგრამ მისი ზემოქმედება თვითმყოფად მხატვრულ ღირებულებას შეაქმნევინებს მხოლოდ პოეტური მადლით დაჯილდოებულ პიროვნებას. ია მხოლოდ სარგებლიანობისაგან განყენებული, ხელუხლები ბუნებრივი „შვენიერებით" იქცევს მწერლის ყურადღებას. იგი ბუნებრივ ვითარებაში მხოლოდ ესთეტიკური ჭვრეტისა და განცდის საგანია. თუმცა მწერალი არ სჯერდება მის ასეთ ბუნებრივ სილამაზეს და ჯერ არნახული, არგაგონილი მხატვრული მოქმედების განსახიერებას აკისრებს, ახალ, მომხიბვლელ ბუნებრივ და ადამიანურ ურთიერთმიმართებათა სისტემაში ჩართავს მას. ვაჟა-ფშაველა ქმნის მოთხრობას „ია" და ცხადყოფს, რომ ბუნებრივი ესთეტიკური ღირებულება მხატვრული ნაწარმოებისათვის მხოლოდ მასალაა. ესთეტიკურმა საგანმა მოთხრობის სიუჟეტში სულ სხვა საზრისი და ხასიათი შეიძინა. მოთხრობა „ია" მთელი სისრულით აჩვენებს, თუ რანაირ სახეს იღებს ბუნებრივი მშვენიერი საგანი, რანაირი იდეალის გამომთქმელ მხატვრულ ფასეულობად გარდაისახება და როგორ დაშორდება აქ საკუთრივ ბუნებრივ-ესთეტიკურ და თუნდაც საკუთრივ ბოტანიკურ შინაარსს. ესთეტიკური და ინტელექტუალურ-ზნეობრივი ღირებულებები ნაწარმოების მხატვრული ღირებულების დამკიდრების საფუძვლად მოგვევლინნენ. პოეტურმა ფანტაზიამ გარდასახა თავისებურად ბუნებრივი გამორჩეულობა მშვენიერი საგნისა, იგი სიცოცხლის სიხარულზე, სიყვარულსა და თანაგრძნობაზე, მშვენიერებასა და სამართლიანობაზე აასაუბრა. ეს კი გამომგონებლობაა, პოეტური ფანტაზიის გენიალური თამაშია, თანაც ისეთი, როცა მოთამაშე მთლად გაუჩინარებულია. მხატვრულმა პირობითობებმა, პოეტურმა ლოგიკამ ბუნების მშვენიერი ქმნილება ჰუმანური გრძნობების იმ უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა, საიდანაც უტყუარად გამოჩნდა ადამიანური არსებობის ავ-კარგი.

ია ამბობს: „ულრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ

გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არე-მარეს".[1] იას ახალისებს, სიხარულს ანიჭებს ის, რომ ყველას უყვარს იგი, ბუნების ქმნილებათაგან ყველას უხარია მისი სიცოცხლე. ტყის მზრუნველობითაც გაბედნიერებულია. მისი სიტყვით, როცა ხეები ტოტებს მაფარებენ, მიცავენ შხაპუნა წვიმისაგან, მაშინ „მე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიმღერა შემეძლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მაღლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები".[2] ია აფასებს სხვათა სილამაზეს, თანამოზიარეა მათი სიცოცხლის წყურვილისა, შეჰხარის წიფლის ჩიტასაც, რომელსაც მოსწონს თავი, „ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება".[3] ბუნების ქმნილებათა შორის სილამაზე, სიყვარული, თანაგრძნობა და სიცოცხლით ტკბობა დამკვიდრებულა. ამის გამო ირგვლივ ბედნიერება სუფევს. მაგრამ ადამიანის საქციელის გამო მალე გაჩნდება მძაფრი კითხვა: „რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა, რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს, ალბად, ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს!"[4] კაცმა კი ბუნების ორი მშვენიერი არსება – ტანაშოლტილი წიფელი და სიხარულით მოლუღუნე ქედანი გამოასალმა სიცოცხლეს. სევდამ და ცრემლმა შეცვალა ყვავილების: იას, სასუტელას და გუგულის კაბის სიხარული და ბედნიერება, მათი ბუნებრივი გარემო. მოთხრობის სიუჟეტში ყვავილს, საერთოდ, უდიდესი სიმბოლური ფუნქცია დაეკისრა. მას, ერთის მხრივ, უნდა გამოეხატა ბუნების საგან-მოვლენათა მშვენიერება, თვითმყოფადი არსებობის წესები, ხოლო მეორეს მხრივ, სიცოცხლის წყურვილის, სიყვარულისა და სამართლიანობის ზოგადადამიანური საზრისიც. ასეთი მხატვრული მიზანი კი გულისხმობს შემოქმედის სრულ შინაგან თავისუფლებას და სინამდვილესთან ღირებულებითი მიმართების ნაირნაირი ასპექტების წარმოჩენას. მხატვრული სახეების გამოძერწვის პროცესმა ერთდროულად და მთლიანობაში მოიცვა რეალობის როგორც ბუნებრივი, ასევე წმინდა სულიერი მხარეები. აქ გამოიკვეთა მხატვრული წარმოსახვის თავისუფლება, მაგრამ ისე, რომ მწერალს არ შეულახავს ბუნე-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ია", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბ., 1964 წ., გვ. 35.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 36.

ბის უენპირო ქმნილებათა თვითმყოფადობა, მათი სუვერენობა. ია არის ია, ხოლო გუგულის კაბა – გუგულის კაბა, მაგრამ მხატვრულ პირობითობებში გაცხადებულმა პოეტურმა ნიჭმა მათ რაღაც შეჰმატა, კერძოდ, იდეალური ადამიანური სულიერი უნარებით დააჯილდოვა. მათი სიხარული და ტკივილი ბუნებისა და კაცთა ცხოვრების საერთო, ყოვლისგადამწვდომ მთლიანობაზე განიფინა. რაც „აწუხებს“ ბუნებას, ის კაცთა ცხოვრების პრობლემაცაა და, პირუკუ. ეს გარკვეული სახის პოლარობად, ჰარმონიად თუ დისჰარმონიად განიცდება. აღნიშნულის კვალობაზე, ბუნებრივი და ადამიანური ღირებულებების შეწონასწორება ახალ რეალობას აფორმებს, განუმეორებელ მხატვრულ იდეალს ბადებს. საერთოდ, ვაჟა-ფშაველას რწმენით, ხელოვნების ქმნილება, მხატვრული სახე-იდეა არ დაიყვანება შემოქმედებითი პროცესის არც სუბიექტურ და არც ობიექტურ საწყისებზე. იგი ობიექტურ და სუბიექტურ ფენომენთა ურთიერთქმედებისას დაბადებული ახალი რეალობაა. ეს ღირებულება შემოქმედის სულის ბრძმედში გადადუღებული ნაირგვარი მოვლენების სინთეზია. მხატვრული ფასეულობა არც მხოლოდ სუბიექტურს ეფუძნება და არც მხოლოდ ობიექტურს. მათ მხოლოდ ღირებულების პოლუსები შეიძლება ვუწოდოთ. მთელი წყება სიუჟეტური სიტუაციებისა, საერთოდ, ვაჟას პროზაში რომ გვხვდება, გვაუწყებს ბუნებისეული და კაცთა ცხოვრებისეული ღირებულებების მარადიულ სულიერ ნათესაობას, ურთიერთსიმპათიას, ხოლო ზოგჯერ კი მძაფრ დაპირისპირებასაც. დაპირისპირების ჟამს, თითქმის ყოველთვის, ბუნებრივი წესრიგი, ჰარმონია ადამიანურზე აღმატებულია, რადგან მას სიავ-სიკეთის შეფასების ერთი უცვლელი საზომი აქვს. ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ამგვარი ერთიანობა იხატება ვაჟას სხვადასხვა ჟანრის მრავალ ნაწარმოებში. აღნიშნული თვალსაზრისით, მწერლის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური მრწამსი სრულად ეხამება მის მხატვრულ ქმნილებებს.

ვაჟა-ფშაველას მიერ ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების თემაზე დაწერილი ბევრი თხზულება ცხადს ხდის, რომ არსებობს პირდაპირი და მუდმივი კავშირი რეალობის სიმართლესა და მხატვრულ სინამდვილეს შორის. ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებაში ორივე ეს მოვლენა ერთიმეორისაგან დაუცილებელნი არიან. მათი ორგანული კავშირი ცხადყოფს როგორც მხატვრული ღირებულების სიდიდეს, ასევე მწერლის დიდოსტა-

ტობას. ნაწარმოების პოეტურობის განმსაზღვრელი, ცხადია, ხელოვანის სულიერ-ინტელექტუალური უნარია.

ბუნების საგან-მოვლენების პოეტური მეტამორფოზის შესაძლებლობებს ვაჟა-ფშაველა შეუდარებელი ოსტატობით იყენებდა. ბუნებაში იგი ისეთ ღირებულებით ასპექტებს პოულობდა, რომელნიც ადამიანში აღძრავდნენ სიკეთის, ბოროტების, მშვენიერების, მახინჯის, მოქმედის, უძრავის და სხვა შთაბეჭდილებებს.

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური მრწამსის მიხედვით, პოეტურ წარმოსახვას ესაჭიროება როგორც მოსაწონი, დადებითი, ასევე დასაწუნი, უარყოფითი მოვლენები, რათა ადამიანის სულის მოძრაობის მართალი სურათი დაიხატოს, მხატვრული ღირებულების ახალი, მეტწილად, სიმბოლური შინაარსის მოდელი შეიქმნას. ამიტომაც პოეტი ერთგვარი სიამაყის გრძნობით ამბობდა: „უსულო საგნებს სული ჩავბერე, ავასაუბრე ლოდები კლდისა და, როგორც მეფე, გავათამამე მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა. მადლი მფენია მარჯვენაზედა იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა!"[1] ბუნებასთან ასეთი მხატვრული მიმართება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი პრინციპი იყო. იგი მშვენიერებად წარმოიდგენდა იას, ქუჩს, მთის წყაროს, ვერხვს და ბუნების ასეთი ქმნილებები აძლევდნენ ბრწყინვალე სახეების დახატვის უნარს. მაგრამ პოეტის ფანტაზია არაერთხელ აუმოქმედებია გარეგნულ სილამაზეს მოკლებულ, უტყვ, ხავსიან და უძრავ ლოდებსაც. უგვანო საგნები ხშირად მოსაწონი და დადებითი მხატვრული სახეების საფუძვლად ევლინებოდა მწერალს. ბუნების მხატვრული განცდა-გარდასახვის საკუთარი პოზიცია პოეტმა ერთ-ერთ წერილში ამგვარადაც დაახასიათა: „დიაღ, შევჩერებივარ მე იმათ, ისინი – მე და აბა, არ იქნა ერთხელ ხმა-კრინტი არ დაუძრავთ... საშინელებაა! მაგრამ ვითმენ იმიტომ, რომ, რაც უნდა ვეცადო, ლოდებს ხმას ვერ ამოვაღებინებ, ენას ვერ ჩავუდგამ, ბრაზი კი მომდის ღვთის წინაშე და ამიტომ იმათ მაგივრად მე მოვყვები ყბედობას, ვითომ ისინი ლაპარაკობენ, რა არის, მინდა, რომ იუბნონ და ამითი ჩემს თავს მევე ვატყუებ... რატომ, თავის მოტყუებაც კარგია, როცა იგი სიამოვნებასა ჰგვრის ადამიანს, მაგრამ საკეთილოდ თუ სავალალოდ, ეს თქვენ თითონ განსაჯეთ, ჭკვათამყოფელი ადამიანი თავს ტყუილით არ დაუწყებს კვებას, სინამ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნუგეში მგოსნისა", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, თბ., 1964 წ., გვ. 181.

დვილეს პასუხს მისცემს".[1] ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, აქტიური მოქმედების მქადაგებელი პოეტი, როცა უსულო საგნებს ასულიერებდა, როცა იმათ მაგივრად ლაპარაკობდა, მაშინ თავისი თავისა და მკითხველის სასიამოვნოდ, საკეთილოდ თავს იტყუებდა, „სიცრუის" სიბრძნეს მოუხმობდა, უჩვეულო მხატვრულ სახეებს ქმნიდა, ერთგვარი დისონანსი შეჰქონდა საგანთა ბუნებრივ უძრაობაში, რითაც, რეალისტური მწერლობის პრინციპების კვალობაზე, სინამდვილეს პასუხს აძლევდა. მეორე წერილში „ფიქრები, მოგონება და ოცნება" – ვაჟა-ფშაველა ისევ ბუნების ქმნილებებთან ღირებულებითი მიმართების ასპექტებს გვაცნობს და, ამასთანავე, საკუთარი შემოქმედებითი მრწამსის მრავალმხრივსა და ზოგად ნიშნებსაც წარმოაჩენს. იგი წერს: „ერთმა ქვამ, დიდმა ლოდმა, გამიჭირა საქმე: ჭალაში გდია სწორედ გზის თავში. რაც გავჩნდი, მას აქეთ სულ ერთ ადგილას არის წამოყუნთებული კალმიკების ღმერთივით, ზედ ხავსი მწვანედ გადაჰკვრია და მხოლოდ ერთი წვეტი ცხვირიღა გამოჰშვირს ხავსით დაუფარავი. ველარაფერმა დაძრა ის მუდრეგი იმ ადგილიდამ, აღარც ღვარი ჰხვდება, აღარც ზვავი, სწორედ გულის გამასიებელია და მე კი გული გამისივა; ველარ მოვითმინე და მივედი ამ ქვასთან ახლო, – ვუცქერი, თითქოს საგანია, სიგრძეცა აქვს, სისქეც, სიმძიმე ათასის კაცის ტოლა. – მივედი ახლო მაინც, წარბს არ იხრის და ბრაზმორეულმა ჯოხი დავუშინე: ადეგ, შე მუდრეგო, თუ გძინავს, გაიღვიძე, თუ გღვიძავს, დაიძინე, ერთ რამა ქმენი, აბა რას უგდიხარ ეგრე ოხრად და ტიალად? რასა ჰგავს შენი ყოფნა? ვაცქერდები, თითქოს დამცინის და მეუბნება: „შენ მოჰკვდები, მე კი ისევ ესრე ვიქნები აქ დარბაისლურად წამომჯდარი და გამვლელ-გამომვლელი მნახავს, მზე გამათბობს, ცის ნამი დამნამავსო!" ჰაი, ბეჩავო, ბეჩავო, არც ერთი არ არის შენთვის! ეს მხოლოდ ჩემი ოცნებაა, მაინც მკვდარი ხარ, მაინც შენ ვერაფერსა ჰგრძნობ და კიდეც ეგ მიკლავს გულსა, მხოლოდ კი ხარ, არსებობ და განა მე კი არ ვიქნები მკვდარი? მაგრამ დღეს რომ ცოცხალი ვარ, – ეს მეტი მადლია ჩემთვის ღვთისაგან მონიჭებული, და ვცდილობ სიცოცხლე რაშიმე გამოვიყენო. ვფიქრობ, ვგრძნობ, მიყვარს, მძულს და კაცი მქვიან, დიაღ, კაცი საუკეთესო ბუნების წევრი ვარ, – ალბათ სიცოცხლესთან სიკვდილიც ერთი მადლია, ერთი მშვენიერება-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 193.

თაგანი, დამამძიმებელი, ამამაღლებელი ჩემის კაცობისა".[1] ვაჟა-ფშაველას წარმოდგენით, ყველანაირი ბუნებრივი თუ ცხოვრებისეული მოვლენა დადებით თუ უარყოფით ღირებულებას მხოლოდ ადამიანის ემოციურ-ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან კავშირისას იძენს. სხვაგვარად ღირებულება ვერ იარსებებს. მხატვრის ტალანტს შეუძლია უსახური ლოდიც შემოქმედებით პროცესში ჩართოს და მასშიც სულიერ-გონითი ღირებულების გამოძერწვის შესაძლებლობა აღმოაჩინოს. მწერალმა გვითხრა, რომ ლოდები ბუნების უსახური, ბეჩავი, უსიცოცხლო, უტყვი და უძრავი წარმონაქმნებია, რომლებიც მას გულს უკლავენ, აღაშფოთებენ იქამდე, რომა მათ „გამოსაფხიზლებლად" ჯოხსაც კი მოიხმარს. აქ ვაჟა-ფშაველა მეტაფორული მსჯელობით ცხადყოფს, რომ მასაც, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, სიცოცხლით, მოქმედებით, ღვაწლით გამშვენებული არსებები მოსწონს. მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს კლდეებსაც, ბუნების ამ უსახო და უძრავ ქმნილებებს, სულის ამამაღლებელი ნიშნები მოუძებნოს. თავის მოთხრობებში: „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა", „კლდე მტირალი" და „კლდე სალი" ვაჟამ სიმბოლურ-მეტაფორული მხატვრული აზროვნების წყალობით უსახურ-უძრავი გულქვა ლოდები ისეთი საკაცობრიო ჰუმანური მიზნების შესახებ აალაპარაკა, რომელთაც ადამიანები ნების ძალის სისუსტის გამო ვერასოდეს იდეალური სახით ვერ აწესრიგებდნენ. კლდეების ბუნებრივ არსში ჩადებული სიმაგრე, გაუტეხელობა, სიმტკიცე, შეუვალობა სიმბოლურ-მეტაფორული პოეტური მიმართების საგნად იქცა, მწერალმა ურყევი და უსახო კლდეები მიიჩნია მიზნის ცხადყოფის, მოთხრობების სიუჟეტისა და მხატვრული სახეების საფუძვლად. გარეგნულ მშვენიერებას მოკლებული საგნები სულიერ ღირებულებათა ისეთი შინაარსით აივსო, რომელმაც მხატვრულ მოქმედებას განსაცვიფრებელი დამაჯერებლობა მიანიჭა. ბუნების საგნების „ხასიათის სიმტკიცე", „ზნეობრივი გრძნობებისა და იდეალის სიმაღლე" ჩვეულებრივ ადამიანურ საქმიანობას გამძლეობის ნიმუშად მოევლინა. კლდეები „განიცდიან", რომ ადამიანებმა სიკეთის, სიყვარულის და სამართლიანობის მარადიული ბუნებისეული გრძნობები დაიმახინჯეს. ამიტომაც კლდე თვითონ უჩვენებს ნიმუშს და შეაგონებს მათ: „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!" ადამიანების მიერ ქვეყანაში დაღვრილი სისხლი და ცრემლი, თურმე კლდეთა გულში გროვდება.

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, გვ. 114-115.

სისხლის და ცრემლის დაღვრა კი ადამიანთა ნების სისუსტის, გრძნობათა მერყეობისა და, რაც მთავარია, ღირებულების ჭეშმარიტების არსში გაურკვევლობის შედეგია. ადამიანებს კლდე ღირებულებათა რაობას ბრძენის სიდინჯით უთვალსაჩინოებს და ამგვარად მიმართავს: „ბუნებაში ჩემზე უშნო ერთი ქმნილებაც არა გგონიათ. მთას რომ უცქერით კაცნი, მე მუდამ თვალს გადამაცილებთ თავზე, რათა ჰპოვოთ რამ სხვა თვალისთვის საამური – ყვავილი, ბალახი და სხვა. უნდა გაიცნოთ ჩემი გული, უნდა ჩაიხედოთ შიგ, იქნება მაშინ აღარ გეუშნოვოთ, აღარ შემიჯავროთ. თუ ვინმე სასოებამიხდილი, თავმობეზრებული დამადგება თავსა და ამბობს: „აქედან უნდა გადავვარდე, რომ მოვრჩე ტანჯვას, მოვისპო სიცოცხლეო, – თვალებსწინ საზარელ სურათს დავუყენებ სიკვდილისას, ვაგრძნობინებ – ნუო“.[1]

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური შეფასების მიხედვით, ბუნების საგან-მოვლენებს მხოლოდ ადამიანები ახარისხებენ მშვენიერ, უშნო, კეთილ თუ ბოროტ არსებებად. ბუნების მთლიანობა და მისი ნაწილები, მათი ურთიერთკავშირი ასეთ ადამიანურ დიფერენცირებას არ გულისხმობს. პოეტს მიაჩნია, რომ ბუნების ყოველ ქმნილებას მთლიანთან კავშირის საკუთარი წესიცა აქვს და, ამასთანავე, საკუთარი, ინდივიდუალური ფუნქციაც. ასე რომ, სამყაროში მთელისა და ნაწილების ერთიმეორისაგან საბოლოო დაცილება შეუძლებელია. როგორც კლდეს ათქმევინებს პოეტი, ადამიანებმა ბუნების საგანთა გულში უნდა ჩაიხედონ, რათა მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობა გაიგონო, – ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რა უნდა დაინახონ, პოეტის აზრით, ადამიანებმა საგნის გულში? ცხადია, უწინარეს ყოვლისა, ნაწილში მთელის ნიშნები უნდა ჩანდეს. ამასთანავე, ადამიანებისაგან განსხვავებით, ბუნების საგან-მოვლენები მტკიცედ, ერთგულად მიჰყვებიან სამყაროს ზოგად წესრიგს და მისეულ ზომიერებას მუდმივად ასახიერებენ.

ვაჟა-ფშაველას თვალთახედვით, ბუნების საგნებს ორი სახე აქვს: ერთი მიმართულია საკუთრივ ბუნების თავისთავადობისა და მთლიანობისაკენ, მისი მარადიული საზრისისაკენ, ხოლო მეორე – ადამიანური არსებობისა თუ ცხოვრების წესისაკენ. მხატვრულმა ღირებულებებმა უნდა მოიცვან საგან-მოვლენათა თითქმის ყველანაირი ურთიერთმიმართება და თამამად აზიარონ ბუ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, თბ., 1964 წ., გვ. 25-26.

ნების ქმნილებები ადამიანის სულიერებას. სინამდვილესთან მხატვრული მიმართება კომპლექსური ხასიათისაა და რაღაც ხარისხით მაინც ითავისებს არამხატვრული არსის მქონე ღირებულებების მნიშვნელობას. ამიტომაც ვაჟა-ფშაველას თხზულებებში ია, ქუჩი, ხმელი წიფელი, კლდე, მთის წყარო, მთები, არწივი, შვლის ნუკრი და სხვანი ორგანულად არიან დაკავშირებულნი მწერლის მხატვრულ იდეალთან. შემოქმედის პოეტური განცდებიც განსაკუთრებული ძალით ექსოვება ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართებების ზოგად შინაარსში.

ვაჟა-ფშაველა ცხადყოფს, რომ ბუნებასთან ადამიანის და განსაკუთრებით კი ხელოვანთა მიმართება მეტად მრავალწახნაგოვანია. ღირებულებათა შეფასების კრიტერიუმები ძალიან ცვალებადია. სრულიად ახალგაზრდა, ოცდაშვიდი წლის ვაჟა წერდა: „განა ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია?! ათას ცოცხალსა ბევრჯერა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“. აქ აშკარად ჩანს, რომ მკვდარი და ცოცხალი საგნების მნიშვნელობა განსაკუთრებული საზომით, კერძოდ, სუბიექტური განწყობის მიხედვით არის შეფასებული. ადამიანთა მიერ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვანაირად ფასდება. პოეტი წერს: „მეწყერის დროს დიდი და პატარა მირბის აღელვებულის მდინარის სანახავად, ხოლო, თუ გასვლა გვინდა ამისთანა მდინარეზე, მაშინ კი გვეწუნება, ვწყევლით მას, ვუჩივით“. მაშასადამე, ბუნების გრანდიოზული მოვლენები გვიზიდავს როგორც სანახაობა, გვინდა მასში სტიქიური ძალის სიდიადე, მშვენიერება დავინახოთ, მაგრამ შეფასებების, დამოკიდებულების შინაარსი უმალ შეიცვლება, თუკი იგი ჩვენს სიცოცხლეს დაემუქრება. განცდამ, შეფასებამ სუბიექტის მდგომარეობის მიხედვით შეიძლება სახე შეიცვალოს. გამოდის, რომ ადამიანი ბუნების საგან-მოვლენების ზემოქმედებისას საკუთარი სულის მოძრაობის რაობას გამოიცნობს და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით წარმოაჩენს მის ცვალებადობას. მხატვრული ხედვისათვის სწორედ სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის ასეთი წესია ნიშანდობლივი და აქ იკვეთება მათი ურთიერთგანპირობებულობაც. ეკალ-ბარდით დაჩრდილული ია, ობოლი შვილის ნუკრი, ცადაზიდული მთა თუ უძლეველი მეწყერი მეოცნებე ადამიანს ყოველთვის რაღაც ახალს აგრძნობინებს, ანიშნებს. როცა ადამიანი ახალი გრძნობების გამოხატვას მშვენიერების ფორმით მოინდომებს, მაშინ ის, რა შესაძლებლობის მფლობელიც უნდა იყოს, უთუოდ ემოციებით აღბეჭდილი ღირებულებითი მიმართებებით ნაკარნახევ გზას გაყვება.

ვაჟა-ფშაველამ უთვალავი ნიმუში გვიჩვენა იმისა, თუ რანაირ მეტამორფოზას განიცდიან ბუნების მოვლენები და წმინდა ადამიანური პოეტური სულიერი მოთხოვნები, როცა შემოქმედებითი პროცესის ჟამს ისინი ერთმანეთს შეხვდებიან რაღაცა უფრო მეტის გამოსახატავად. ამ დროს, სულიერების გარკვეულ დონეზე, ბუნებრივი ადამიანურში გამოვლინდება, ხოლო ადამიანური – ბუნებრივში. პოეტის აზრით, ბუნება საკუთარ ჰარმონიასა და დისჰარმონიაში გამოკვეთილი გონიერება და მშვენიერებაა. ბუნებამ შექმნა ადამიანის თავისებური ფენომენი როგორც საკუთარი არსების, ასევე სამყაროს რაობის შესაფასებლად. იგი ოდითგანვე მუდმივად ეძიებს სიკეთეს, მშვენიერებას, გონიერებას ბუნებასა და კაცთა ცხოვრებაში. ამიტომაც, პოეტის გაგებით, ადამიანის მიერ დამკვიდრებული თითქმის ყველა ღირებულება და მათ შორის მხატვრული ფასეულობები თავის საფუძვლად ბუნებრივ-სოციალურ მოვლენათა კავშირს გულისხმობს. ამგვარად ეთანხმება მწერლის მხატვრული პრაქტიკა მის პუბლიცისტურ გამონათქვამს: „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია". ეს კავშირი არასოდეს გაუქმდება, რადგანაც არა აქვს ბოლო არც ბუნებას და არც სიცოცხლეს. ასევე არც მათი ერთობის აუცილებლობას. ბუნების გონიერება არ ესწრაფვის რაიმეს დამთავრებას, საბოლოო საზღვრის დადებას. იგი მუდმივად გულგახსნილია სიცოცხლის შენახვისა და სრულქმნის თვალსაზრისით. ბუნებაში ყველა მოვლენას მყარი საზომები აწესრიგებენ. პოეტი ფიქრობს, რომ ადამიანები სწორედ საზომების მომარჯვებით ვერ უტოლდებიან ბუნების „გონიერებას". ეს აზრი გამოხატა ვაჟა-ფშაველამ „გველისმჭამელსა" და „მთათა ერთობაში". ვაჟა-ფშაველა ბუნებრივ-ისტორიული პროცესების მუდმივ თანმხლებად მიიჩნევდა ისეთ სიტყვიერ ხელოვნებას, რომელიც ბუნების გონიერების მაუწყებელ ადამიანს და ადამიანური სულიერებით გარემოცულ ბუნებას პოეტური განსახიერების მთავარ თემად აქცევდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მწერალი ანიჭებდა იმას, თუ როგორ ურთიერთზემოქმედებდნენ, როგორ უზიარებდნენ ინდივიდუალურ ნიშნებს ერთიმეორეს აღმქმელი პიროვნება და აღსაქმელი მოვლენები. ამ პროცესში, როგორც პოეტი იტყოდა, „თავი და თავი" შემოქმედია, რომელმაც ახალი ღირებულების მქონე სამყარო უნდა შექმნას. ბუნება პირდაპირი გაგებით მხოლოდ იმ სახეს გვიჩვენებს, რაც მას მუდმივადა აქვს. ხელოვანი კი მას ისეთ სასურველს სთავაზობს, რომელიც მხოლოდ ადამიანთა გრძნობებისა და იდეალებისათვის არის მისა-

ღები, მიზანშეწონილი. პოეტი, პოზიტიური გაგებით, ბუნების მოვლენებს ვერ მოუწოდებს, რომ სასურველი სამომავლო მიზანი დაისახონ. ბუნების თვითმყოფადობაში ზნეობრივი ან სხვა გრძნობები არ არსებობენ. ბუნებაში სულიერი ღირებულებები ხელოვანს შეაქვს მხოლოდ სიმბოლურ-მეტაფორული მხატვრული პირობითობების გამოყენებით. ვაჟას მსოფლშეგრძნება, მისეული მხატვრული სახეები ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ყოვლისმომცველი მშვენიერება ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ურთიერთმიმართებების შინაარსში უფლობს. ამიტომ ამბობს პოეტი: „გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია".

ვაჟა-ფშაველამ წერილში „სად არის პოეზია?" არ გაიზიარა ჰეგელისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებები პოეზიის წარმავლობისა და მის სანაცვლოდ მეცნიერების გაბატონების შესახებ. მწერლის შეხედულებით, მეცნიერება და ხელოვნება სინამდვილეს ერთიმეორისაგან განსხვავებული წესებით მიემართებიან, განსხვავებულ მიზანს ისახავენ და განსხვავებულ ფუნქციას ასრულებენ. ისინი ერთიმეორის ადგილს არასოდეს დაიკავებენ, თუმცა მათი ურთიერთკავშირი საკმაოდ მჭიდროა. ვაჟა-ფშაველამ ღრმა და სარწმუნო არგუმენტებით დაასაბუთა პოეზიის გენეზისის, ფუნქციისა და მკვებავი წყაროების მარადიულობა, უარყო მისი გაქრობის შესახებ არსებული აზრი. მან პოეტურ განცდათა საფუძვლად ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების ღირებულებითი შინაარსი მიიჩნია და იგი მხატვრული სახეების საფუძვლადაც აღიარა. პოეტურ გრძნობათა უკვდავების ამხსნელ წერილს ვაჟა ასეთი კითხვით იწყებს: „სად არის პოეზია?" აი საკითხავი, რომელზედაც მე ჩემს თავსვე უნდა მივცე პასუხი. თქვენ, მკითხველო, ნება გაქვთ თქვენებურად გესმოდესთ პოეზია, ხოლო მე კი ნუ დამძრახავთ იმისათვის, ჩემი აზრი თქვენისა წინააღმდეგ რომ გამოდგეს... არ არის ადვილი ამისი გარჩევა, ამ საგნის ყოველმხრივ გამოკვლევა, მაგრამ ჩვენის შეძლებისდაგვარად მაინც უნდა შევიძლოთ. სირცხვილიც არის, კაცი ხატს ემსახურებოდეს და მისი ძალა და ვითარება კი არ იცოდეს, არ ესმოდეს. კაცი მგოსნობდეს და თავისი სამგოსნო საგანი, პოეზია, არა ჰქონდეს შეგნებული..."[1] პოეტი იმასაც ამბობს, რომ ხალხურმა მელექსეებმა პოეზიის თეორიებისა არაფე-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 391.

რი იციან, მაგრამ ლექსს ალღოთი მაინც ქმნიანო. მათ ეპატიებათ თეორიების არცოდნა, მაგრამ „ინტელიგენტს მგოსანს არ უნდა ვაპატიოთ ეს უცოდრობა". ინტელიგენტი პოეტი ლექსის თეორიებს უნდა იცნობდეს, იმგვარ თეორიებს, როგორიც სახელგანთქმული ჰეგელის ნაღვაწია, მაგრამ მოვალეა, რომ სამგოსნო საგანზე მაინც საკუთარი შეხედულებები ჰქონდეს.

პოეტმა პირდაპირ თქვა, პოეზიის რაობაზე საკუთარი აზრის გამოთქმა მსურს და ამიტომ სხვათა თეორიებს თავს არ შევაბოჭინებო. „ამ თავითვე მინდა გამოგიტყდეთ, არც ერთი კრიტიკოსის თეორიით არ გახლავართ შებოჭილი, – კიდევაც რომ ვიცოდე რამ ამ თეორიებისა, ამჟამად ამ წერილის დროს, ყველა ისინი თავიდან მოშორებული მაქვს. ეს იქნებ თქვენც შეამჩნიოთ ამ ჩემს წერილს. მე მხოლოდ ჩემი დაკვირვება უნდა გაგიზიაროთ. იქნება უხეირო, უმარილო, უმადლოც გამოდგეს იგი".[1] პოეტის დაკვირვებები უნიკალური აღმოჩნდა ჩვენი მწერლობისათვის. მათ გამოავლინეს დიდი მწერლის მსოფლგაგება და ესთეტიკური მრწამსი, მიგვაახლოეს თვით ავტორის სულის პოეტური მოძრაობის ულრმეს შრეებთან.

ვაჟა-ფშაველამ ლიტერატურული ნაწარმოების ყოველმხრივი შეფასებისათვის არასაკმარისად მიიჩნია მხოლოდ თეორიულ-შემეცნებითი შესაძლებლობების გამოყენება. მისი შეხედულებით, გემოვნებას, მოწონება-დაწუნებას, ინტუიციით წვდომას მხატვრულ ქმნილებათა გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ცხადია, აღნიშნული სრულიადაც არ უარყოფს ხელოვნების ნიმუშების საერთო შეფასებაში ობიექტური მეცნიერული განსჯის მონაწილეობას. მაგრამ პოეტი თვლის, რომ მხატვრული ნაწარმოების შემფასებელთა სულიერ-გონითი შესაძლებლობები ხშირად სხვადასხვანაირია და ამის კვალობაზე მხატვრულ მოვლენებს ურთიერთსაპირისპირო შეფასებები ეძლევა. იგი წერს: „როცა რომელსამე ლიტერატურულ ნაწარმოებს ვკითხულობთ რამოდენიმე კაცი ერთად, ვსთქვათ, ექვსი, ამათგანმა შეიძლება ხუთმა დაიწუნოს და სთქვას: „სად არის აქ პოეზიაო?", ხოლო ერთმა დაიჟინოს – „მშვენიერებააო". წინააღმდეგიც შეიძლება მოხდეს: ერთის დაწუნებული ხუთმა მოიწონოს, ან ექვსი შუაზე გაიყოს. ერთი სიტყვით %-ის გამოანგარიშება ძნელია. უნდა მხოლოდ ისა ვსთქვათ, რომ ყველა მათგანი, დამწუნე-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 391.

ბელი და მომწონებელიც, ვიდრე რაიმე საპოეზიო თეორიას მოიგონებდეს და მის თანახმად ასწონიდეს თხზულებას, საკუთარი გემოვნებით, სუნით, ალღოთი ხელმძღვანელობს.[1] აქ გამოკვეთილია მხატვრული ნაწარმოების აქსიოლოგიური შეფასების განსაკუთრებული მნიშვნელობაც და აუცილებლობაც. თუმცა ავტორი იმასაც გვაუწყებს, რომ ამგვარი შეფასება შეიძლება ჭეშმარიტიც იყოს და მცდარიც, რადგან იგი დაფუძნებულია შემფასებელი სუბიექტის ინტუიციურ უნარზე და საერთოდ, ნაირგვარ სულიერ-გონით შესაძლებლობებზე. კრიტიკოსთა შეფასებებში წარმოჩნდება სწორედ მათი შემეცნებითი თუ ინტუიციურ-ღირებულებითი წვდომის ავ-კარგი. ლიტერატურულ-მხატვრული ქმნილება სინთეტური ხასიათის ურთულესი მოვლენაა. იგი კრიტიკოსს, მკვლევარს ამის გამო მკაცრი გამოცდის წინაშე აყენებს. დიადი ქმნილება თავისი თავისკენ იზიდავს ღირებულებითი განსჯის მრავალ სახეს. მწერლის აზრით, ნაწარმოებების შეფასებას, საზოგადოდ, ვიდრე საპოეზიო თეორიებს მოიხმობდნენ, იწყებენ გემოვნებით, ალღოთი, ანუ ინტუიციით. გემოვნებით და ალღოთი შეფასება პოეტს არ მიაჩნია მეცნიერულ-ლოგიკურ ახსნაზე ნაკლები მნიშვნელობის მოვლენად. ინტუიციისა და გემოვნებისაგან ნაკარნახევი შეფასება ცოდნა-გამოცდილების ძალასაც გულისხმობს. ამგვარი შეფასება არ არის ცარიელ ადგილზე წარმოშობილი მოვლენა, სუბიექტის უბრალო წამიერი განცდა. მწერალიც კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების ფორმირების პროცესში ცალ-ცალკე არ წარმოისახავს ღირებულებათა იმ ნაირსახეობებს, რომელნიც ამ პროცესში მონაწილეობენ. მხატვრულ მოქმედებაში ყოველივე მხოლოდ ერთიანობის სახით წარმოდგება. ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტი მტკიცედ შეკრული მთლიანობაა. ამ მთლიანობაში მწერალი ყოველთვის უთმობს გარკვეულ ადგილს სოციალურ, რელიგიურ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ და ესთეტიკურ ღირებულებებს. შემოქმედებითი პროცესი თავისებურად მოიხმობს ნაირნაირ ღირებულებებს. წარმოქმნის მათ ახალ კავშირ-მიმართებებს, ახალი შინაარსისა და ფორმის სინთეზს, ანუ მხატვრულ ნაწარმოებს. ნაწარმოებში კი ყოველივე თვისებრივად სრულიად ახალ პოეტურ სამყაროდ გაცხადდება.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 391-392.

ვაჟა-ფშაველას აზრით, პოეტური ქმნილების შინაგანი წყობა თვითონ აძლევს მკვლევარს შეფასების სწორ გეზს და საჭირო აღარ არის მის გასაგებად შორს მყოფი თეორიების თუ „იზმების" მოშველიება. თეორიული მოძღვრებები მწერალს შემოქმედებითი პროცესის დაწყებამდე საკუთარი სულის ბრძმედში აქვს გადადუღებული, სუბიექტურად გაგებული და მათ ან გამოიყენებს, ან არა. ლიტერატურული ნაწარმოები სათაურიდან დაწყებული ტექსტის ბოლო წინადადებით დამთავრებული, გარკვეული წესით აგებული მთლიანობაა, ღირებულებათა ურთიერთმიმართების სისტემაა, მხატვრული ფასეულობაა, რომელმაც მწერლის მსოფლხედვის და პოეტური იდეალის მნიშვნელობაზე უნდა იმეტყველოს საკუთარი ღირსებებიდან და არა სხვათა ნააზრევიდან. პოეტის რწმენით, ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილების არსი არასოდეს ჩაეტევა რომელიმე „იზმისა" თუ თეორიული მოძღვრების ჩარჩოში და ამიტომაც მხატვრულ ღირებულებასთან წინასწარდაგეგმილი აზრით მისვლა უნაყოფოა. ასე შეაფასა ვაჟაფშაველამ ზოგიერთი თავისი თანამედროვე რუსთველოლოგის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნისადმი". პოეტმა ცხადყო, რომ მკვლევარი შეიძლება მისთვის საინტერესო თეორიის მიხედვით განსჯიდეს პოეტურ ქმნილებას, პოულობდეს იქ საყურადღებო სოციალურ-ზნეობრივ ღირებულებებს, მაგრამ თხზულების ჭეშმარიტ შეფასებას ვერ იძლეოდეს.

ვაჟა-ფშაველა რთულ პრობლემად თვლიდა არა მარტო მხატვრული ნაწარმოების სწორად შეფასებას, არამედ იმასაც, რომ ბევრი განათლებული ადამიანი პოეზიას სრულ მოსპობას უწინასწარმეტყველებდა: „ჩვენში რამდენი განათლებული გვყავს იმ აზრის მქადაგებელი, პოეზიამ დღე მოჭამა, მას მომავალ კაცობრიობის ცხოვრებაში ადგილი აღარ ექნებაო, მის ადგილს მეცნიერება დაიჭერსო... ამ მოძღვრების მიმდევარ კაცს, თქვენვე იფიქრეთ, რა დაფასება უნდა შეეძლოს ლიტერატურული ნაწარმოებისა, საით რას გაიგებს პოეზიის თავსა და ბოლოს, როდესაც არ იცის მისი საფუძველი, მისი ვინაობა, მისი სისხლი და ხორცი, მისი დამოკიდებულება ადამიანის ბუნებასთან".[1] ვაჟაფშაველას აზრით, ჰეგელი და მისი თანამოაზრენი პოეზიის წარმავლობის იდეის ქადაგებისას დიდად დაშორდნენ პოეზიის საფუძვლების და ადამიანის სულიერებასთან მისი მუდმივი კავში-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 392.

რის სწორ გაგებას. ადამიანის სასიხარულო თუ სამწუხარო გრძნობები მათ არ მიიჩნიეს მისივე სულის მოძრაობის მუდმივ პოეტურ თვისებად, რის გამოც კაცობრიობის ცხოვრებას სიტკბო-სიმწარის განცდის მადლი წაართვეს და მხოლოდ უსულო საგანთა პერსპექტივა დაუტოვეს. ვაჟას რწმენით, ბევრი რამ არის ისეთი მარადიული სამყაროში, და თვით ადამიანის არსებაში, რაც „თეორიების მთხზველთა" გეგმას არ ემორჩილება. ამგვარ მოვლენებზე პოეტი მიუთითებს: „მაგრამ არა. ბუნებასა და ცხოვრებას თავისი საკუთარი წესი და რიგი აქვს და ჩვენი თეორიები მას ვერ შეუშლიან არჩეულ გზაზე სვლას. განა მთელ კაცობრიობას კი ძალუძს, ერთსა და ოც ადამიანს არ ვიტყვი, თუნდა ზაფხული ზამთრად გარდაქმნან, ან ზამთარი ზაფხულად? იქნება ეს კი შეიძლოს ოდესმე კაცობრიობამ, მაგრამ თავის ცოცხლის თავით ყოვლად შეუძლებელია მან გრძნობა დაკარგოს სიყვარულისა და სიძულვილისა. ჰყოს უარი სიცოცხლეს, ცხოვრებას. თავი და ბოლო პოეზიისაც სწორედ აქ არის". მწერალმა დაასახელა ბუნებრივი და სოციალური რეალობის ისეთი მოვლენები, რომელთა თვითმყოფადობა და მოქმედების წესრიგი მარადიულია. ასეთ მოვლენებს ალტერნატივა არ აქვთ. პოეტმა გვაუწყა, რომ თვითონაც და სხვა ადამიანებიც ასეთ მოვლენებს მხოლოდ უბრალოდ კი არ ამჩნევენ, არამედ მათთან მრავალმხრივ ემოციურ-ინტელექტუალურ მიმართებას ამყარებენ. მნათობთა მარადიული წრებრუნვა, ადამიანური სიცოცხლის წყურვილი თუ სიყვარულ-სიძულვილის გრძნობები შეუცვლელი ფენომენებია და ცნობიერად ან გაუცნობიერებლად მუდმივად მოქმედებენ კაცთა ხასიათზე. ადამიანი ყოველივეს საკუთარი ფიქრის, ოცნების, წარმოსახვისა თუ იდეალის წრეში მოაქცევს. ზემოქმედების მომხდენი საგნები ადამიანში ნაირგვარ გრძნობებს აღძრავენ, რომლებიც შეაპირობებენ შინაგანის გარეგამოხატვის მრავალ ასპექტს. პოეტის გაგებით, ყველანაირი ღირებულებითი დამოკიდებულების მაორიენტირებელი ბუნება და ცხოვრებაა. პოეტური გრძნობებისა და მხატვრული ფასეულობების წარმოქმნაც სათავეს ბუნებიდან, კაცთა ცხოვრებიდან იღებს, როგორც ვაჟა ამბობს, „თავი და ბოლო პოეზიისაც აქ არის".

მწერლის აზრით, ადამიანის სულის ასეთი თუ ისეთი გრძნობად-ინტელექტუალური შინაარსი და ამ შინაარსის მიმოქცევის სახეები სწორედ ბუნებისა და ცხოვრების უკვდავი წესების ზემოქმედებით მკვიდრდება. ასეთ მარადიულ მოვლენებთან ემოციურ-ინტელექტუალური მიმართებაში უნდა გამოხატოს ყველა

დროის ადამიანმა საკუთარი პრაქტიკული, რელიგიური, მეცნიერული თუ მხატვრული მისწრაფებები. სამყარო-ბუნების მუდმივმოქმედმა მოვლენებმა უნდა გაახარონ ან დაამწუხრონ მეოცნებე ადამიანი, მიანიჭონ მას ღირებულებებით სწორი ორიენტირების უნარი, აზიარონ ის ღვთაებრივი მადლით მოფენილ საკუთარ სიბრძნეს. ვაჟა-ფშაველამ კოსმიურ ჰარმონიას, სამყაროსეულ მარადიულ წრებრუნვას ყოველივეს განმსაზღვრელი, მომწესრიგებელი მნიშვნელობა მიანიჭა. იგი ამბობს: „არის უცვალებელი კანონი ბუნებისა, არის მასში თავისებური ჰარმონია. ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული, რომელიც არის დამოკიდებული სხვადასხვა პირობაზე, მიზეზზე; იგი ბუნებამ შექმნა“.[1] ნათლად ითქვა, რომ ბუნების ჰარმონიამ, სამყაროსეულმა უკვდავმა კანონებმა შეაქმნევინა ადამიანებს ცხოვრება და, რაც მთავარია, ბუნებამ შექმნა თვით ადამიანი. პოეტმა სამყაროს მიერ დაარსებული უტყვი და მეტყველი ქმნილებების მსგავსება-განსხვავება, მათი მრავალფეროვნება განუზომელი ძალის ფასეულობად მიიჩნია. ფასეულობათა თანაფარდობა, მათი საზრისისა და თვითმყოფადობის ნაირნაირი გამოვლინებები ესახებოდა მწერალს მხატვრული აზროვნების უშრეტ წყაროდ. ამასთანავე, რაკი სამყარო-ბუნებამ ადამიანებს არსებობის უძირითადესი კანონები განუწესა, მანვე მიანიჭა მათ სულიერების ბუნებისეული ელფერი. ადამიანებზე ბუნების ამ ერთგვარი იდუმალი ზემოქმედების პოვნა და მისი მხატვრული განსახიერება ვაჟამ რჩეულ შემოქმედთა მოწოდებად მიიჩნია.

ბუნებისა და ადამიანის ღირებულებითი ურთიერთმიმართება მარადიული მოვლენაა, რომელიც დაუსრულებლად ასაზრდოებს კაცთა სულის პოეტურ-მხატვრულ საწყისებს და, ცხადია, პოეზიის უკვდავებასაც. ვაჟამ თეორეტიკოსობით გატაცებულ და პოეზიის წარმავლობის მოქადაგე მეცნიერებს უთხრა: თუ არ იქნება ბუნებისა და ადამიანის კავშირი, მხოლოდ მაშინ აღარ იარსებებს პოეზია. ეს კი იმასაც გულისხმობს, რომ აღარ იარსებებს თვით მეცნიერებაც, რომელსაც, თურმე, პოეზია და რელიგია უნდა შეეცვალა. ვაჟას რწმენით, „ბუნება მბრძანებელია“ და ამ პრობლემასაც „თეორიების მთხზველების“ გარეშე მოაწესრიგებს და სულის პოეტურ თვისებებს სარბიელს მანამდე არ დაუკარგავს, სანამ თვითონ იქნება „კაცთა ცხოვრების“ მმართველი.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 393.

ეს არის სამყარო-ბუნების ის უძლეველი ძალა, რომლითაც ყოველთვის იხიბლება ხელოვანი და რომელსაც ცივილიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური აზრის მიღწევები იერს ვერ შეუცვლის. ეს ძალა ბუნებისა თავისი შინაარსით ყოველთვის ჩვენში იქნება.

ვაჟა-ფშაველას აზრით, „რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა ჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ...". მწერალი აქ არ გულისხმობს ადამიანთა მხოლოდ ფიზიკური არსებობის ბუნებრივ პირობებს, არამედ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სულიერ-გონით უნარებზე სამყაროსეულ მოვლენათა ზემოქმედებას. ბუნებისაგან ადამიანის განსხვავებას, მის ერთგვარ ავტონომიას და ადგილს სამყაროში სწორედ ცნობიერება განსაზღვრავს. ცნობიერება აფუძნებს ადამიანში პოეტურ-მხატვრული მიმართებების ნაირნაირ ასპექტებსაც. ვაჟას აზრით, ადამიანის ცნობიერება სამყაროს წესრიგით არის შეპირობებული. იგი დიდი შინაგანი უნარის ფლობის მიუხედავად ბუნების გარეშე საკუთარ თავს ვერ დააფუძნებდა და ამიტომ პოეტური გრძნობისა თუ წარმოსახვის ერთ-ერთი უბერებელი წყარო სწორედ ბუნება არის.

პოეტის სიტყვით „... ყოველივე მოძრაობა ადამიანის სულისა – სიმხიარულე თუ მწუხარება გამომხატველია ადამიანის სულის პოეტური თვისებისა". პოეტის რწმენით, სიმხიარულე, მწუხარება და მრავალი სხვა გრძნობა ადამიანს, უწინარეს ყოვლისა, ბუნებასთან კავშირმა გაუჩინა. ბუნება იყო უძველესი ადამიანის ემოციების, მისი განცდების და გულუბრყვილო გარდასახვების სათავე. ამის გამო ვაჟა გვარწმუნებს, რომ ნაირნაირი პოეტური თუ არაპოეტური გრძნობები თუ ღირებულებითი მიმართებები კოსმიური მთლიანობის ზემოქმედების გამო იბადებიან და ამიტომ არის ბუნება პოეზიის, საზოგადოდ, მხატვრული აზროვნების აკვანი. „ყველაფერი, – წერს ვაჟა, – რასაც ბუნებრივობა ეტყობა: სიძულვილი თუ სიყვარული, შური, მტრობა, სიმამაცე და სიმხდალე, ქველობა თუ სიძუნწე და სხვა, და სხვა. იქ უსათუოდ პოეზიაა.ყველაფერს თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მიზეზი, გარემოება. მწერალს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივს კანონს არ უმტყუვნოს, წესიერება ბუნებისა დაიცვას. ისე უნდა გადმოგვცეს სურათი, რომ არა ვსთქვათ – ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგიაო..."[1]

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 397.

პოეტის შეხედულებით, ასეთი წესი განსაზღვრავს გენიოსთა ქმნილებების უკვდავებას, რადგან ბუნება შეუვალი და დაურღვეველი სიბრძნის შთამაგონებელი წესრიგია. სამყარო-ბუნების ღირსებაცა და ნაკლიც კოსმიური მთლიანობის მიერ გონივრულად დაარსებული ზომით არის გამშვენებული. პოეტი ამბობს: „ალბათ ბუნებას ესეთი კანონი აქვს, რასაც აკეთებს, გონივრად აკეთებს, მოსაზრებით აწყობს და შლის“. მრავალფეროვანება, ჰარმონია თუ დისჰარმონია, პოლარობა თუ რაღაცის ერთსახეობა ბუნების სიბრძნე და სილამაზეა. ვფიქრობთ, ნატურფილოსოფოსისა და დიდი მხატვრის ღირსეული მეტოქეობა არის გაცხადებული ამ შესანიშნავ სტრიქონებში.

„ყველა კარგია, ყველა ტურფაა, რასაც კი აწყობს ან ჰშლის ბუნება; მუდამ მშრომელი, დაუცხრომელი ერთი საგნისკე მიეშურება. გაგვაგებინოს სიტკბო სიცოცხლის, რომ შეგვაყვაროს მან თავი თვისი, ამისთვის ზრუნავს ამისთვის იღვწის, – ეს უმთავრესი ფიქრია მისი. თუნდ არ მოგვწონდეს, წესს არ მოიშლის, რისი ეკრძალვის, შიში აქვს ვისი?“[1]

ვაჟა-ფშაველამ აქ ბუნების თვითმყოფადი შემოქმედებითი ძალის საზრისიც ახსნა და მისი სიტურფეც დაგვანახა. მუდამ მშრომელსა და დაუცხრომელ ბუნებას ერთი საგანი, ერთი მიზანი ჰქონია: „გაგვაგებინოს სიტკბო სიცოცხლის, რომ შეგვაყვაროს მან თავი თვისი“. ბუნების „უმთავრესი ფიქრია“, თურმე, ის, რომ ადამიანებს სიცოცხლის საზრისი, მისი სიტკბო და სიყვარული გააგებინოს. ამასთანავე, სიცოცხლისათვის სიდიადის მინიჭებაში თავისი უბადლო ღვაწლიც აუწყოს მათ. ბუნება, ვაჟას აზრით, ერთფეროვნების მტერია და მისი გონიერება სწორედ ესაა. იგი მბრძანებელიც არის და მორჩილიც: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქმნელია ავისა“. მბრძანებლისა და მონის იგივეობა და კავშირი, ე.ი. სამყაროსეული მთლიანობა, თურმე, სიტურფით ჰყვავის. პოეტი გვაუწყებს, რომ სულიერების წყარო და წარმმართველი, მთელი სიცოცხლის თვითმოქმედების ქომაგი, გონიერი და კეთილი მბრძანებელი – ბუნებაა.

სამყაროსეული მთელისა და ნაწილების ერთიანობის გონივრული საწყისები, პოეტის მსოფლგაგებით, ძნელი ამოსაცნობი, ძნელად დასამორჩილებელი მოვლენებია, თუმცა გენიოსები მა-

[1] ვაჟა-ფშაველა „საგაზაფხულოდ“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 140.

ინც ახერხებენ ბუნებასა და კაცთა ისტორიულ ყოფაში მათ პოვნას და მხატვრულად გახსნას. დიდი მხატვრული ტალანტი ისტორიისა და კულტურის პროცესებს უშუალოდ უხამებს სამყაროსეულ გონიერებას და ძირითადად მთელისა და ნაწილის ერთიანობის ბრძნულ პრინციპებზე აფუძნებს ადამიანურის შინაარსს. ხელოვანი პიროვნებას ან პიროვნულ-ინდივიდუალურს მიაკუთვნებს ბუნების ნაწილთან მსგავსების სტატუსს, ხოლო კაცთა არსებობას კოსმიური მთელისა თუ მისი მარადიული წრებრუნვის სახით წარმოადგენს, როცა ამბობს: „ბალღი რასაცა ვხედავდი, იმასვე ვხედავ დღესაცა: რაც ადამის დროს ჰქონია, ის გულივე აქვ დედასა“. პოეტის რწმენით, ბუნებრივი წრებრუნვა და სოციალური მოვლენების მუდმივი მონაცვლეობა, ანუ „ვნებათა იგივეობა“, თურმე, წესია დედამიწისა. მოვლენათა განმეორებადობა ხელოვანისათვის დროითა და სივრცით ზღვარდაუდებელია. იგი არა მარტო კაცთა ცხოვრებას, არამედ მთელ სამყაროს მოიცავს. პოეტი ამბობს: „განმეორება არ მოხდეს, ისე ვერ გარდაიქმნება ადამიანის სიცოცხლე და მასთან მთელი ბუნება“.

ვაჟა-ფშაველას მსოფლშეგრძნებით, სამყაროს მთლიანობასა და კაცთა ისტორიაში მკვიდრობს ისეთი მოვლენები, რომლებიც დამბადებელმა უალტერნატივო რეალობად განაწესა. პოეტი მნათობებს, მათი მოძრაობის წესრიგს, დრო-ჟამის მონაცვლეობას, მიწისა და ცის ბრძნულ კავშირს სამყაროს მთლიანობის საფუძვლად მიიჩნევს, ხოლო ადამიანებში სიცოცხლის წყურვილს, სიყვარულ-სიძულვილის მარადიულ გრძნობებს კაცთა ისტორიის შემკვრელ მოვლენებად თვლის. ბუნებიდან გამოცალკევებულ საგნებს, საზოგადოებიდან გამოყოფილ პიროვნებებს არ ძალუძთ თავიანთ თავში დაიტიონ სამყაროს ან საზოგადოებრივ-ისტორიული მთლიანობის სრული შინაარსი. ცხადია, აქ ისაც იგულისხმება, რომ საზოგადოდ, არ შეიძლება ერთნაირი წესით თუ მეთოდით ბუნებისეული და ადამიანური მოვლენების წვდომა-შეფასება. ადამიანი ცნობიერების მრავლისშემძლეობით ერთგვარად ცალკე დგას და ყოველივე ხილულს, რომელსაც „ემონება“, ზოგჯერ მეორე, სიმბოლურ სამყაროდ წარმოისახავს. ამგვარი წარმოსახვა, ადამიანის გარდა, ბუნებაში არც ერთ არსებას არ შეუძლია. ამიტომ პოზიტიურად ბუნების და ადამიანის რაობას ერთნაირი ცნებების ენით ვერ ავხსნით. ადამიანი სამყაროს ყოვლისმომცველი ერთიანობის ერთი ისეთი ნაწილია, რომელმაც თავისი ინდივიდუალობაც უნდა ცხადყოს და კოსმიური მთელის გონიერება, მისდამი მიბაძვაც განასახიეროს. ვაჟა წერს:

„ამ პატარა არსებას – ადამიანს, თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს, რომ ეს შეუნიშნავს". პოეტის რწმენით, დიდება და სახელი ეკუთვნით გენიოს მწერლებს, რომლებსაც ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართებების მარადიული და დიადი წესები შეუნიშნავთ და მხატვრულ ღირებულებათა დამკვიდრებისას გაუცხადებიათ. მაშასადამე, ადამიანი თავისებური მიკროკოსმოსია, რომელიც საკუთარ არსში აღბეჭდავს დიადი მთელის ნიშნებს. ნიჭიერმა შემოქმედმა ასეთი ადამიანი უნდა დახატოს. გაზაფხულის მოსვლას ვერაფერი შეაჩერებს, ეს უძლეველი პროცესია, ვერაფერი შეაჩერებს სატრფოს მაძიებელ ტარიელსაც.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ბუნება და ადამიანი არა მარტო დადებითი ნიშნებით ჰგვანან ერთმანეთს, არამედ – ნაკლითაც. ორივენი გონიერნი და თვალხილულნიც არიან და ზოგჯერ ბრმანიც. თუმცა ბუნება გონიერება-თვალხილულობით ადამიანს ბევრად აღემატება. ამის გამო „.... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით". როგორც მწერალი გვარწმუნებს, ბუნების ღრმად მწვდომი ხელოვანი ბუნებისაგან ითვისებს სიბრძნეს, რათა ბუნებრივი ადამიანი დახატოს. პოეტი გვეუბნება, რომ „ყოველივე დიდებული ბუნებასა ჰგავს, მისი ზნე-ხასიათი სჭირს". ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანს, გენიოსის მიერ დახატულ ტიპს. ამასთანავე, გენიოსი კაცთა ცხოვრებას „ბუნების თვალებით" უნდა უყურებდეს. ირკვევა, რომ შემოქმედი სამყარო-ბუნების გონიერება- მშვენიერებას მუდამ განიცდის. ამ განცდას არამარტო ბუნების მხატვარი, პეიზაჟური ლექსის ოსტატი უნდა ემორჩილებოდეს, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემებითა და ურთიერთობებით დაინტერესებული ეპიკოსი მწერალიც. საზოგადოდ ადამიანები ცივილიზაციის ყველა დონეზე ბუნებრიობას ასახიერებენ, რადგანაც „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია".

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართებებს შემოქმედნი სხვადასხვანაირი უნარითა და ხარისხით განასახიერებენ. არიან მწერლები, რომლებიც არა მარტო ბუნების ღირსებათა წარმომჩენელ სახეებს ქმნიან, არამედ ცხოვრებიდან „არჩეული ტიპის მეოხებით" სურთ ბუნება გაგვაცნონ, დაგვიხატონ. ერთხელ არჩეული მიზნისაკენ თავდაუზოგავი სწრაფვით დონ-კიხოტი, თურმე, ბუნებას გვიხასიათებს. აქ მთავარია მისწრაფების ბუნებრივი შინაარსი, სიმტკიცე, თორემ თვითონ სწრაფვა ბუნების თუ ადამიანისა ყოველთვის უნაკლოდ არ გამოიყურება. ვაჟა და-

ასკვნის: „რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძნობა, გონება, იმდენად სავსებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეული ტიპის მეოხებით. შექსპირი იმიტომ არის დიდებული ყველა მგოსანთა შორის, რომ ბუნება სავსებით გამოსჭვირს იმის ნაწერებში".[1] მწერლის აზრით, სერვანტესის დონ-კიხოტი, შექსპირის ჰამლეტი, რუსთველის ტარიელი და ავთანდილი, თურმე, იმის გამო ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათ შემოქმედთა მიზნის კვალობაზე, ბუნების გონიერება-მშვენიერებაც გაითავისეს და ამასთანავე, ადამიანური სულიერების წყალობით ბუნების თვითმყოფადი წესრიგიც გაგვაცნეს. როგორც ჩანს, დიდ მწერლებს ერთნაირი ხედვა ჰქონიათ ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების შინაგანი არსისა. პოეტის გაგებით, ამ არსის ინტუიციურ-ინტელექტუალურ წვდომა-შეფასებასა და პოეტურ განცდას უნდა დააფუძნოს ხელოვანმა, როგორც ზოგადი ღირებულებითი ორიენტირები, ასევე მრავლისმთქმელი მხატვრული სახეებიც.

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 396.

თავი III

ვაჟა-ფშაველა, როგორც შემოქმედებითი პროცესისა და ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურის შემფასებელი

ვაჟა-ფშაველა ღრმად სწავლობდა იმ მოვლენების არსს, რომელიც ადამიანის სულის მოძრაობის ნაირგვარობას განსაზღვრავდა. პოეტის თეორიული განსჯა, უპირატესად, მხატვრულ ფენომენთა რაობის გახსნისაკენ იყო მიმართული. საერთოდ, მწერლის თეორიულ-ლიტერატურული შეხედულებების ღირებულება ცხადყოფილია ძველი და ახალი დროის მწერლობის ნიმუშების მისეულ მკვიდრ შეფასებებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსთველის, შექსპირის, სერვანტესის, გოეთეს, პუშკინის, ტოლსტოის, ილია ჭავჭავაძისა და სხვა მწერალთა თხზულებების შესახებ მის მიერ წარმოდგენილი ლიტერატურისმცოდნეობითი დაკვირვებები. სწორედ დიდ მოაზროვნეთა მემკვიდრეობის ახსნით ავლენდა ვაჟა-ფშაველა საკუთარი შემოქმედებით პოზიციებს. ლიტერატურულ მოვლენათა პოეტისეული დახასიათება, მისი მრავალი ორიგინალური მოსაზრება დღესაც სავსებით გასათვალისწინებელია და მხატვრული პროცესების შესაცნობად მეტად საჭიროც. საერთოდ, ვაჟა-ფშაველას თეორიულ-ლიტერატურული ნაფიქრი გვარწმუნებს, რომ იგი საფუძვლიანად იცნობდა ევროპული ფილოსოფიურ-ლიტერატურული აზროვნების მონაპოვრებს. პოეტი, მართალია, ითვალისწინებდა წინამორბედ თუ თანამედროვე უცხოელი და ქართველი მოღვაწეების ნააზრევს, მაგრამ საკუთარი განსჯა კი ერთი რომელიმე სკოლის თუ პიროვნების მოთხოვნების ჩარჩოში არასოდეს მოუქცევია. ვაჟა-ფშაველას თეორიულ-ლიტერატურული ანალიზი უპირატესობას უშუალო შთაბეჭდილებებს, ინტუიციურ წვდომას ანიჭებდა, თუმცა, ამასთანავე, უხვად იყენებდა საკუთარ შემოქმედებით გამოცდილებას. მიუხედავად აღნიშნულისა, ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური და მხატვრული მემკვიდრეობის შეფასებისას ვემყარებოდით ახალი დროის საქვეყნოდ ცნობილი

ლიტერატურისმცოდნეების ნაშრომებს.[1] ვაჟა-ფშაველას თეორიული შეხედულებები მოიცავს თითქმის ყველა უძირითადეს ლიტერატურათმცოდნეობით პრობლემას და მხატვრული ქმნილებების სწორი შეფასების გზებს უჩვენებს როგორც სალიტერატურო კრიტიკას, ასევე უბრალო მკითხველს. ამიტომაც აქვთ მათ დიდი ზოგადთეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

მწერლის ლიტერატურულ წერილებში მსჯელობა ეხება პოეზიის სუბიექტურ და ობიექტურ საწყისებს, შემოქმედებით-მხატვრული პროცესების რაობას, ცალკეულ თხზულებათა კომპოზიციურ წყობას, სიუჟეტებისა და პოეტური სახეების ორიგინალობას, ლიტერატურული გავლენების პროცესს, ტიპურობის პრობლემას, მხატვრული ენისა და ტენდენციურობის საკითხებს. ვაჟა-ფშაველა განიხილავს ხალხური შემოქმედების იდეურ-თემატიკურ და მხატვრულ თავისებურებებს, ცხადყოფს ინდივიდი მწერლის ნაწარმოებებისა და ფოლკლორული ნიმუშების შესაძლო ურთიერთზეგავლენის ასპექტებს. რუსთველის, შექსპირის, გოეთეს, პუშკინის და ბოლოს საკუთარი პოემების წყაროების შეფასების საფუძველზე წარმოაჩენს ინდივიდი მწერლების მხატვრულ ქმნილებათა ჭეშმარიტ ხალხურობას. იგი ჭაბუკობიდანვე სწავლობდა გენიოსთა თხზულებებს და ეძიებდა მათი უკვდავების მიზეზებს. პოეტის გაგებით, სამყარო-ბუნება, კაცთა ცხოვრება, ადამიანის სულის მიმოქცევა „თანდათანობის", ანუ ევოლუციური განვითარების წესს ემორჩილება. მწერლის მხატვრული შემოქმედება ბუნების, ცხოვრების, ადამიანის ხასიათის ერთიანობას განასახიერებს, ამიტომ ამ ფენომენის კვლევისათვის სწორი გზა ისტორიზმის პრინციპია. ვაჟა-ფშაველა წერს:

---

[1] Шкловский В.Б., О теории прозы. М-Л., 1925; Томашевский В.Б., Теория литературы, М-Л, 1931; Веселовский А.Н., Историческая поэтика, Л., 1940; Верли М.. Общее литературоведение, М., 1957; Теория литературы в 3-х томах. М., 1962-1965; Тимофеев Л.И., Основы теорий литературы. М., 1971; Поспелов Г.Н., Теория литературы, М.; 1978; Абрамович Г.Л., Введение в литературоведение, М., 1979; Лотман Ю.М., Анализ поэтического текста, Л., 1972; Мелетинский Е., Поэтика мифа, М., 1976; Храпченко М.Б., Горизонты художественного образа, М., 1982, გრ. კიკნაძე, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 1978; ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984; ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1986; Бахтин М., Проблемы поэтики Достоевского, М., 1963. Вопросы литературы и эстетики, М., 1975; Добин Е., Сюжет и действительность, Л., 1981; Уэллек Р. и Уоррен О., Теория литературы, М., 1978.

„მგოსანთათვისაც უსათუოდ საჭიროა რაიმე მომხდარი ამბავი, ანუ ფაქტი, რომელმაც უნდა აღუძრას მას გულის სიმები, აალაპარაკოს იგი, გრძნობაზე მოიყვანოს, კალამი ააღებინოს ხელში. შემოქმედებას ფრთა გააშლევინოს... მგოსნის შემოქმედებასაც მასალა სჭირია: არარაიდან მხოლოდ არარა იქნების. მასალა კი თვით ცხოვრებაშია, გარეშე ცხოვრებისა და ბუნებისა კი სრული არარაობაა. იქ შთაბეჭდილებას ვერაფერი ვერ მოახდენს მგოსნის გულგონებაზე. იმ არარაობაში თუ მგოსანი რასმე აღმოაჩენს, ეს აღმოჩენა იქნება მისი ცხოვრებისა და ბუნებიდან შეძენილი გრძნობა და გამოცდილება".[1] ვაჟა ფართო თვალთახედვის რეალისტი მწერალია და სწამს, რომ ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა ზემოქმედების გარეშე შემოქმედის ვერც მსოფლხედვა და ვერც პოეტური იდეალი ვერ დაიბადება. ხილული სინამდვილის სისტემურობა თავისებურად მართავს ყველა დროის შემოქმედის აზრისა და წარმოსახვის მოძრაობას. სინამდვილისადმი აქტიური მიმართებისას მწერლის სულიერი ძალისხმევა იქცევა თვითმყოფად მხატვრულ სახეთა სისტემად. სწორედ ბუნებრივი და სოციალური მოვლენების ურთიერთმიმართების პროცესში წარმოიქმნება თვალსაჩინო სულიერი ფასეულობები, ჩნდება ორიგინალური სახე-სიმბოლოები. ამ პროცესში იკვეთება ბუნების ცხოვრებისა და ადამიანის უნარების თავისებური ერთიანობა. ყოველი ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები გარკვეული სახის სისტემური ფენომენია; ამიტომ, ვაჟას აზრით, დიადი ქმნილებების სტრუქტურულ ელემენტთა კავშირს, სიუჟეტების, სახე-ხასიათების რაობას, პოეტური სიტყვის თვითმყოფადობას უნდა გამოეკვეთა მწერლის მსოფლხედვისა და მხატვრული ოსტატობის მასშტაბები. საზოგადოდ, ნებისმიერი ადამიანი გარემოსთან მიმართებისას დაიდგენს პრაქტიკულ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს და იდეალურ მიზან-ღირებულებებსაც. ცხადია, საგანთა სამყარო შეიძლება ერთ ადამიანს სოციალურ-ფსიქოლოგიური შინაარსით იზიდავდეს, მეორის ყურადღებას იგი ზნეობრივი თუ ესთეტიკურ-მხატვრული თვალსაზრისით იპყრობდეს, ხოლო მესამე კი რეალობის ყველა მხარის მთლიანობაში აღქმა-გაგებას ცდილობდეს. შეფასებათა თავისთავადი ღირებულება კი პიროვნების ინტერესს, მის განწყობასა და მიზანს ეფუძნება. ულრმესი ადამიანური წვდომა-შეფასებების ბაზაზე

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „მცირე რამ „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 407.

აღმოცენდება პოეტური ქმნილების სტრუქტურა, კერძოდ, ორიგინალური მხატვრული ფასეულობები.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, შემოქმედებითი პროცესი სამი ძირითადი საფეხურის სახით წარმოდგება: პირველი საფეხურია შემოქმედებითი მასალის მოპოვება და მისი ღირებულების გაცნობიერება, მეორე –მოპოვებული მასალის მხატვრული ტრანსფორმირების პროცესი, ხოლო მესამე – პოეტური ჩანაფიქრისათვის დასრულებული ორიგინალური სახის მინიჭება. შემოქმედებითი პროცესის ამგვარი პირობითი დაყოფა არ გამორიცხავს იმას, რომ მასში სუბიექტური და ობიექტური მოვლენები მუდმივად ურთიერთქმედებდნენ. სწორედ სუბიექტური და ობიექტური ფენომენების ასეთმა კავშირმა უნდა უზრუნველყოს ნაწარმოების კომპოზიციურ-მხატვრული სისტემურობის სრულქმნა.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ყოველი მნიშვნელოვანი მხატვრული ქმნილება და ცხადია, „ვეფხისტყაოსანიც“ მონოლითური სიუჟეტურ-კომპოზიციური მთლიანობაა. ამიტომ ამგვარი ნაწარმოების ორიგინალობისა თუ მხატვრული სტრუქტურის კვლევა, ცხადია, სისტემურ ლიტერატურათმცოდნეობით მიდგომას ითხოვდა. მან 1890 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ნარკვევი: „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს), სადაც პოემის ხალხურობისა და ორიგინალობის მაძიებელ მკვლევრებს დაუწუნა ნაწარმოებთან წინასწარ აკვიატებული აზრით მისვლა, უჩვენა საკითხთა კვლევის სწორი მეთოდოლოგიური გზა. ოცი წლის შემდეგ, 1911 წელს, ვაჟა კვლავ აქვეყნებს წერილს „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, სადაც პოლემიკური სახით უფრო მკაფიოდ გამოთქვამს თავის ლიტერატურათმცოდნეობით შეხედულებებს. პოეტი თვითონ იძლეოდა გამძლე და სარწმუნო პასუხს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობისა და ხალხურობის შესახებ წამოჭრილ პრობლემებზე. იგი ნაწყენი კილოთი წერდა იმაზე, რომ მეცნიერებმა ერთიმეორისგან ვერ გაარჩიეს ხალხური და ინდივიდუალური თხზულებები. საერთოდ, ზოგიერთმა მათგანმა ვერც წყაროებთან, ისტორიულ ფაქტებთან ავტორის შემოქმედებითი მიმართების სპეციფიკა გაითვალისწინა. მათთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის, ფსიქოლოგიისა და მხატვრული გარდასახვის ის ელემენტარული მოვლენები, რომლებიც პოეტებისათვის ადვილი ასახსნელი იყო. პოეტის განმარტებით, შემოქმედებითი პროცესის ბუნების გაუთვალისწინებლობის გამო დაიბადა „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ბევრი მძიმე შეცდომა. ვაჟამ სა-

განგებოდ მიაპყრო მკვლევართა ყურადღება პოემის ისტორიულ სინამდვილესთან, ფოლკლორსა და ეპოქის საზოგადო იდეალებთან კავშირზე. დაასაბუთა, რომ რუსთველმა ქვეყნის ისტორიიდან, ქართველთა გულიდან ამოიღო მასალა ნაწარმოების მხატვრულ სახეთა შესაქმნელად და ეს სახე-ხასიათები – „... გამომხატველია მთელის ერის არსებისა". მისი სიტყვით, რუსთველი ერის ღვიძლი შვილია, ხალხურად მთქმელი და განმცდელი ისტორიული პროცესებისა. შოთას პოეტური ფანტაზიის სიდიადე ვერ დაემორჩილებოდა სხვათა მიმბაძველობას, ვერც ხალხური ლექსების გაერთიანებისა და ვერც უცხო ქვეყნის სიუჟეტის გადმოკეთების მექანიკურ ოპერაციებს. გენიალური თხზულების შემოქმედებითი პროცესი დამყარებულია მხატვრული წარმოსახვის უნართა ცნობიერი და არაცნობიერი საწყისების რთულ ურთიერთქმედებაზე. ამგვარი შემოქმედებითი პროცესი გულისხმობს პოეტის ნიჭის თავისუფალ მხატვრულ გაქანებას, რამაც მუდმივი საერთო სახალხო სიყვარული არგუნა წილად პოეტს. „ვეფხისტყაოსანს", ვაჟას აზრით, არსად ემჩნევა ის, რომ იგი უცხო სიუჟეტიდან ან სხვადასხვა თემაზე შექმნილი ხალხური ლექსებიდან იყოს ნაკეთები. უფრო მეტიც, სრულიად წარმოუდგენელია, რომ რუსთველს უცხო სიუჟეტის თუ ნაწარმოების მთარგმნელს ან ხალხური ლექსების უბრალო გადამკეთებელს, თითქმის ყველა თანამედროვე პოეტისათვის მოლექსეობა დაეწუნებინაო.

ვაჟა-ფშაველამ შეადარა ერთიმეორეს „ვეფხისტყაოსანი" და ხალხური „ტარიელიანი" და მათი იდეურ-ფორმალური მსგავსების საფუძველზე ცხადყო, რომ „ტარიელიანი" კი არაა წყარო პოემისა, არამედ პირუკუ პროცესთან გვაქვს საქმე, ე.ი. დროთა სვლაში შოთას ნაწარმოების გახალხურება მომხდარა. მწერალი ღრმად სწვდებოდა ფოლკლორის, ისტორიული ფაქტების, ტრადიციული წეს-ჩვეულებებისადმი მწერლის დამოკიდებულების ხასიათს, საერთოდ, შემოქმედებითი პროცესის თავისებურებებს და ამის საფუძველზე ასწორებდა ზოგი მკვლევრის მცდარ შეხედულებებს. უარყო რა „ვეფხისტყაოსნის" უცხო სიუჟეტიდან წარმოშობის აზრი, ვაჟამ აღნიშნა, რომ რუსთველმა მთელი ერის გრძნობა-გონების მომცველი, მწვავე ეროვნული საკითხი დააყენა პოემაში: „მოეწვიათ თუ არა ქართველებს უცხო ტომის კაცი თამარის მეუღლედ". როგორც ჩანს, ხალხის სათაყვანო მეფის დაოჯახება მთელი ქვეყნის საფიქრალ პრობლემად ქცეულა. ხალხის აზრი ვერ ეგუებოდა მეფისა და ქვეყნის ღირსებისათვის

საორჭოფო ვითარების შექმნას. ამიტომ რუსთველმაც პოემის სიუჟეტს, მხატვრულ სახეებს საფუძვლად დაუდო ეროვნული თავისუფლების უალტერნატიობის რწმენა, ჯანსაღი ეროვნული ინტერესი. ვაჟას აზრით, საქართველოს სამეფო კარზე შექმნილმა ვითარებამ, რომლის მსგავსი აღმოსავლეთის ქვეყნებში არ იპოვებოდა, შეაპირობა ის, რომ პოემა მხოლოდ ქართველთა ფიქრსა და განსჯას დამყარებოდა. ამგვარ სიტუაციაში ყველაფრის თქმა და მით უფრო გალექსვა, არ შეიძლებოდა. საჭირო იყო სამეფო კარისა და თვით თამარისათვის უსიამოვნო მოვლენების სახის შეცვლა. რუსთველმა გამოსავალი ნაწარმოების სიუჟეტის გაუცხოებაში პოვა. მან ისტორიული ფაქტები, მათში მონაწილე პირები, გეოგრაფიული გარემო გადაასხვაფერა და პოემის მხატვრული სტრუქტურაც ყოვლისმომცველ სიმბოლურ-ალეგორიული განსახიერების პრინციპს დაუმორჩილა. თამარი და დავით სოსლანი მიძღვნის ობიექტები იყვნენ და, ცხადია, რუსთველი მათთვის საწყენ ამბებს გვერდს აუვლიდა.

რუსთველი ბრძანებს: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია; ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია! იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია; მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“. ამ სტრიქონების აზრი ენინააღმდეგება სხვა სტრიქონებისას: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი ხელის-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“. ან „ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“. პოემის აღნიშნული ურთიერთსაპირისპირო აზრი მრავალ პრობლემურ საკითხს წარმოშობს. კერძოდ, თუ ამბავი სპარსულია, მაშინ ვისი სახელი უნდა ყოფილიყო შეფარვით სათქმელი ან რატომ? პოეტს რატომ უნდა ექო მრავალგზის უცხო ამბის მონაწილე პირები? საერთოდაც, განა ქართველი მკითხველისათვის რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა იმას, თუ მისთვის უცხო ამბავში რომელ სახელს ან ეპიზოდს დაფარავდნენ თუ შენიღბავდნენ? მკითხველი ხომ მაინც იმას ირწმუნებდა, რასაც მხატვრული ფასეულობის სახით წარუდგენდნენ. ცხადია, რუსთაველი საჭოჭმანო საქმედ სპარსულიდან რაღაცის გადმოკეთებას კი არა, არამედ XII საუკუნის ისტორიული ამბების და მათში მონაწილე პირების გაუცხოებას, არაბულ, ინდურ, სპარსულ თუ სხვა ქვეყნების კუთვნილებად მათს მონათვლას მიიჩნევდა. შინაური ამბების, თამარის პირადი ცხოვრების ეპიზოდების მიმართ პოეტი შინაგან ცენზურას უნდა დამორჩილებოდა. იგი ყველაფერს თავისუფლად ვერ გალექსავ-

და, ზოგი რამ შეფარვით უნდა ეთქვა, ხოლო რეალური ფაქტებიდან რისი დაკარგვაც არ სურდა, ის სიმბოლურ-ალეგორიული საშუალებებით უნდა შემოენახა.

„ვეფხისტყაოსანი", ვაჟას შეურყეველი რწმენით, განასახიერებს ეპოქის სიდიადეს, იმ დროის ადამიანთა საარაკო გმირობას, სულიერ სიმაღლეს. მიუხედავად ამისა, მას მიაჩნია, რომ რეალური ისტორიული ამბებისა და პოემის სიუჟეტის ან ორივეს თავისთავადი ღირებულებების ერთიმეორეზე დაყვანა თუ ფუნქციათა გათანაბრება არ შეიძლება. რუსთველი ისტორიულ რეალობას მხატვრულად უკვდავყოფს, ორიგინალური წარმოსახვის ძალით ქმნის პოემის თვითმყოფად კომპოზიციას, სახე-ხასიათებს, ამკვიდრებს სიმბოლურ-მეტაფორული პოეტური მეტყველების უბადლო ნიმუშებს. ისტორიულ ღირებულებათა პოეტური განჭვრეტით, ყოვლისმომცველი სიმბოლურ-ალეგორიული საშუალებებით რუსთველმა შექმნა ახალი, განუმეორებელი მხატვრული სამყარო. ამ სამყაროში მხოლოდ ქართული სული, ხასიათი და მიზანღირებულებები იკვეთება. ვაჟა-ფშაველამ ამის გამოც რუსთველი თავისი დროის ქართული პოეზიის რეფორმატორად მიიჩნია. პოეტი შეაგონებდა „ვეფხისტყაოსნის" მკვლევრებს, რომ მხატვრული ფანტაზიის ასამოქმედებლად ყველა ხელოვანს რაღაცნაირი მასალა აუცილებლად სჭირდება. მან მიუთითა იმაზე, თუ როგორ გამოიყენა გოეთემ საუკნეებგამოვლილი ლეგენდა „ფაუსტის" წყაროდ, მაგრამ უკვდავი ორიგინალური თხზულება შექმნა, მხოლოდ საკუთარი აზრი გამოთქვა. მისი აზრით, გოეთეს ფაუსტმა არსებული ლეგენდა, სიუჟეტი შეავსო, განადიდა. სწორედ ასეთია ყოველი ნიჭიერი მწერლის და, ცხადია, რუსთველის დამოკიდებულებაც შემოქმედებითი წყაროებისადმი. ამიტომ მკითხველი „ვეფხისტყაოსანში" მუდამ ჭვრეტდა ისტორიული ფასეულობების, ეროვნული ხასიათისა და იდეალის მშვენიერებას.

ვაჟა-ფშაველას აზრით, „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის კვლევისას ნ. მარი და მისი თანამოაზრეები ვერ ჩასწვდნენ რუსთველის სულიერ კავშირს ეროვნულ ისტორიულ იდეალებთან, ვერ გაიგეს პოემის შემოქმედებითი პროცესის თავისებურებები, ვერ ამოიცნეს გმირთა ქართული ხასიათი და ავტორი უსაფუძვლოდ მიიჩნიეს სავარაუდო სპარსული ნაწარმოებისა თუ სიუჟეტის მთარგმნელად. ნ. მარი ქართული კულტურის განქიქების მსურველმა სომეხმა მეცნიერებმა წააქეზეს და აცდუნეს. მანაც ავანსად, ყოველგვარი რეალური საბუთის უქონლად „ვეფხის-

ტყაოსანს" არარსებული სპარსული დედანი გამოუგონა. ნ. მარმა ეძება პოემის დედანი დასავლეთსა და აღმოსავლეთში, მაგრამ არარსებული ვერსად პოვა. ვაჟამაც თითქოს საგანგებოდ ოცი წელი უცადა ნ. მარს და 1911 წელს კი მეცნიერის შეხედულებები ძირფესვიანად უარყო. პოეტმა მეცნიერებს ისეთი საკითხები დაუყენა, რომელთაც ნ. მარისა და მისი თანამოაზრეების მიერ გამოთქმული შეხედულებებიდან პასუხი არანაირად გაეცემოდა. კერძოდ, ვაჟა ეკითხება მეცნიერებს: თუ სპარსეთში იპოვებოდა „ვეფხისტყაოსნის" წარმტაცი სიუჟეტი, როგორ მოხდა, რომ ფირდოუსმა ან XI-XII საუკუნეების სხვა დიდმა სპარსელმა პოეტებმა იგი ვერ იპოვეს და ქართველმა რუსთველმა ის საქართველოდან აღმოაჩინა. თუ სიუჟეტი სპარსული ხალხური შემოქმედების კუთვნილება იყო, იქიდან ისე როგორ გაქრა, რომ ერთი მისხალიც აღარსად ჩანსო? ვაჟას სიტყვით, თუ პოემის სიუჟეტი სპარსულია, რატომ „...ტარიელი და ავთანდილი ქრისტიანულად (ქართულად) იქცევიან, როცა „ერთი უჩანთ სათაყვანოდ, ერთსა ვისმე აშიყობენ", – ამგვარი რწმენა კი, ჰარამხანის უარმყოფელი, შეუძლებელი იყო აღმოცენებულიყო მაჰმადიანთა გულგონების ნიადაგზე"[1], არა მარტო რაინდები, არამედ თინათინი და ნესტანიც მხოლოდ ერთს ეთაყვანებიან. ნესტანმა მიჯნურის მიმართ ერთადერთი განრისხების ჟამს სწორედ ამ აზრით ქრისტიანული თვითცნობიერება, ქართული ხასიათი გამოხატა. ვაჟა საგანგებო ყურადღებას იჩენს იმ წეს-ჩვეულებების მიმართ, რაშიაც პოემის გმირთა ქართული ხასიათი და საქციელი იკვეთება. მაჰმადიანი რაინდები ღვინოს მიირთმევენ, ქართულად ნადიმობენ და გულჩათხრობილ როსტევან მეფეს გასამხნევებლად ხევსურთა ძველი წესის მსგავსად ღვინით სავსე თასებს მუხლმოყრით მიართმევენ. პოეტის სიტყვით, საერთოდ, პოემაში „... ისეთი სუნი ტრიალებს, ერთ მოქმედ პირზედაც ვერ იტყვი, ქართველი არ არისო". მაშასადამე, ვაჟას რწმენით, ისტორიულ-ეროვნული ნიშან-თვისებები და დიდი ქმნილებისათვის დამახასიათებელი მხატვრული სიმართლე „ვეფხისტყაოსანში" ბუნებრივად ერწყმიან ერთმანეთს. პოეტის აზრით, რუსთველმა რაკი ქართული ამბები უცხო ქვეყნების კუთვნილებად წარმოადგინა, საკუთარი დიდი ცოდნის, კერძოდ, აღმოსავლური ქვეყნების სამეფო კარის ცხოვრების ეტიკეტის კარგი დახასიათებით გმირთა საქციელი

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 314.

გარეგნულად მშვენივრად შეუწონასწორა სინამდვილეს. გარეგნულ ფაქტორთა ჰარმონიის დაცვამ, თუნდაც იმ გარემოებამ, რომ საქართველოს მთა-ბარის, დაბა-ქალაქების, სახელები პოემაში არსად ჩანს, ხელი ვერ შეუშალა იმას, რომ პოემაში პერსონაჟების ქართული ხასიათი გამოკვეთილიყო. პოეტს არ გაუუცხოვებია ქართული სული, ხასიათი, ზნეობა, საქვეყნო იდეალი, რადგანაც თვითონ უცემდა მაჯა ქართულად. მას არ შეეძლო ხალხის სულის მოძრაობის სიღრმისეული შინაარსი გარდაექმნა და მისთვის უცხო, დაუჯერებელი სახე მიენიჭებინა. პოემის გმირები გადასხვაფერებული ისტორიული პირები არიან, რომელთა რეალური სახისა და საქმეების გამჟღავნება, ჩანს, თამარს არ ესიამოვნებოდა. რუსთველმა ის თვითმყოფადი ქართული სულიერება გამოხატა, რაც ერის ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის, მისი ტრადიციული წეს-ჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენებისა და კულტურის საფუძველზე იყო დამკვიდრებული. თვითმყოფადი ქართული, როგორც მოტივი, ორიგინალურად ამოქმედებს ხალხის გრძნობა-გონებას, თუმცა მოქმედების შედეგები საკაცობრიო ფასეულობათაგან არასოდესაა იზოლირებული. საკაცობრიო ღირებულება ეროვნულში იპოვება და, პირუკუ, რადგან ადამიანობის შინაგანი მარადიული ნიშნები და, საერთოდ, სინამდვილესთან მისი მიმართების წესი დედამიწაზე საყოველთაოა. ვაჟა წერდა, რომ პოემის ორიგინალობისა და მხატვრული ძალის გასარკვევად მეცნიერებმა უმჯობესია „კარგად შეისწავლონ „ვეფხისტყაოსანი", მისი გმირები, ყოველივე ტიპები, ყოველი სიტყვებისა და წინადადების მნიშვნელობა, აგრეთვე თამარის მეფობის ეპოქა... ხშირად წინადადებაში ერთი სიტყვის გონივრული ახსნა მთელს ამერიკას აღმოაჩენს, დიდ საიდუმლოებას გამოააშკარავებს, ფარდას აჰხდის".[1] ვაჟამ თვითონ აჩვენა ნიმუში „ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციურ-მხატვრული სისტემისა და პოეტური სიტყვიერი დეტალების მნიშვნელობის, საერთოდ, შემოქმედებითი პროცესის ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზისა.

ვაჟა-ფშაველას განმარტებით, „ვეფხისტყაოსანი" ორიგინალური პოეტური ქმნილებაა, დამყარებული ქართულ ისტორიულ ამბებზე, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და ქართველი კაცის ხასიათის ნიშნების ქრისტიანულ საწყისებზე. რუსთველის პოეტური იდეალი შეპირობებულია ღრმა ეროვნულ-პატრიოტული მი-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 327.

ზან-ღირებულებებით. ნაწარმოების ეროვნული სულისკვეთება განსახიერებულია ხალხური პოეტური იდეალისა და ხალხური შაირის მყარი შინაგანი წყობისა თუ რიტმიკულ-მელოდიკური საწყისების ბაზაზე. შემოქმედებით მასალად ისტორიული ამბები, ლეგენდები თუ მოარული სიუჟეტები ყველა ხელოვანმა შეიძლება გამოიყენოს, მაგრამ შექმნას მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოები. ვაჟა-ფშაველას მრწამსით, შემოქმედებით წყაროებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს, თუმცა თვითმყოფადი მხატვრული ფასეულობების დამკვიდრებისათვის „თავი და თავი ავტორია". იგი მასალას უსათუოდ საკუთარი სულის ბრძმედში გადაადნობს, განუმეორებელ სახე-ხასიათების სისტემად წარმოადგენს. ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ რუსთველი მთელი ქართველი ხალხის სულიერი არსების გამომხატველია, მისი პოემა ცოცხალი სარკეა, რომელშიც ერი თავის „მე"-ს, თავის ვინაობას ჭვრეტს. მისი სიტყვით, „დიაღ, შოთა რუსთველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი". ვაჟა-ფშაველას აზრით, პოეტის სული და გული, მისი მხატვრული წარმოსახვა ზღვაა, ხოლო „ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვიან და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს".[1] დიდი მწერლების ქმნილებების ორიგინალობის, ხალხურობის და მაღალმხატვრულობის დასადგენად ვაჟას ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პოეტი აღნიშნული აზრით აფასებდა რუსთველის, შექსპირის, სერვანტესის, გოეთეს, პუშკინისა და სხვა ნიჭიერ მწერალთა თხზულებების ორიგინალობას. ვაჟა-ფშაველას ნააზრევმა გაამდიდრა და სწორი გზითაც წარმართა რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება. მისი განმარტებით, „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ორიგინალობა, მისი კომპოზიცია, სიუჟეტი, სახე-ხასიათები ქართული ისტორიულ-პატრიოტული თვითცნობიერებისა და კულტურის წიაღიდან აღმოცენდა. „ვეფხისტყაოსანში" გამოიძერწა ქართული ხასიათისა და იდეალების განსაკუთრებულობა, პოეტურად განსახიერდა საუკუნეების მანძილზე შემუშავებული სულიერი ფასეულობების წარუვალი ძალა.

შემოქმედებითი გავლენისა და წყაროებისადმი პოეტური მიმართების საკითხები ყოველთვის იყო ვაჟა-ფშაველას დაკვირვე-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „Pro domo sua", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 180.

ბისა და მსჯელობის საგანი. მან საგანგებოდ დაახასიათა საკუთარი პოემების წყაროები. ამის საბაბი ჯერ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობისა და ხალხურობის გამო გამართული დავა შეიქნა, ხოლო შემდეგ კი იპ. ვართაგავას მიერ ვაჟას თხზულებათა ფოლკლორისადმი დამოკიდებულების არასწორი დახასიათება.

ვაჟა-ფშაველა, როგორც თვითონაც ამბობდა, ძალიან დააფიქრა „ვეფხისტყაოსნის“ წყაროებისა და შემოქმედებითი ისტორიის კვლევისას დაშვებულმა შეცდომებმა. განსაკუთრებული ყურადღება მან მკვლევართა შეხედულებების იმ მხარეს მიაქცია, რომელიც ვერ ითვალისწინებდა შემოქმედებითი გავლენის სპეციფიკას, ნაირგვარ მასალასთან პოეტური მიმართების ბუნებას. ამ გარემოებამ აიძულა პოეტი, რომ საზოგადოებისათვის გაეცნო ზოგიერთი თავისი პოემის ხალხური წყარო და, ამასთანავე, ამ წყაროებისადმი საკუთარი პოეტური დამოკიდებულების შინაარსიც წარმოეჩინა.

ვაჟა-ფშაველამ ხალხური პოეზიის სოციალური საფუძვლების, მისი იდეურ-მხატვრული და თემატიკური თავისებურების სანიმუშო დახასიათება მოგვცა. მწერლობისათვის ხალხური სიტყვიერების დიდ მნიშვნელობაზე მან ჯერ კიდევ 1887 წელს თქვა: „დიდად საჭიროა მწერლობისათვის საერო ლიტერატურის ცოდნა. ეს ცოდნა მწერალს აძლევს ჯერ ცნებებს, – სიტყვებს და მერე გააცნობს ერის სულისა და გულის მოძრაობას, მის აზრს ცხოვრებისას“.[1]

ვაჟა-ფშაველამ მთელი სიღრმით გაითვალისწინა ხალხის შემოქმედებით ინტერესთა ხასიათი და საზღვრები, ამიტომაც შეუცდომლად აფასებდა იგი ფოლკლორისა და ინდივიდუალური შემოქმედების ურთიერთობის რთულ პროცესს. მწერალმა „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობაზე მსჯელობისას მკვლევართაგან მოითხოვა არა მარტო ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების ურთიერთისაგან გარჩევა, არამედ პოეტურ მიმართებათა სპეციფიკის გათვალისწინებაც.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ზეპირსიტყვიერი წყაროს არსებობა, პოეტური იქნება ეს წყარო თუ არაპოეტური, მწერალს ხელს არ უშლის, შექმნას ორიგინალური ფაბულა, სიუჟეტი, გმირთა ხასიათები და, მაშასადამე, მათი განმასახიერებელი ახალი სიტყვიერი რეალობა. ნიჭიერი მწერლისათვის მრავალმხრივი ობიექტუ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 53.

რი მასალა, ძირითადად, პოეტური იმპულსის მნიშვნელობას იძენს. ამას გულისხმობს ვაჟას სიტყვებიც: „როგორ გგონიათ? ფაუსტზე არსებულმა ლეგენდამ განადიდა, შექმნა გიოტე, გამოააშკარავა მისი გენიოსობა, თუ ფაუსტმა განადიდა, ახლად შექმნა და უკვდავ ჰყო ეს ლეგენდა? რა უფლება გაქვთ არ დამეთანხმოთ, რომ უგიოტეოდ „ფაუსტი" არ ექნებოდა კაცობრიობას? მაშასადამე, თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო, ის აზრი, რაც „ფაუსტშია" გამოთქმული, მაინც გამოითქმოდა გიოტეს პირით და თუმც შეიძლება სხვა რამ სახელი ჰრქმევოდა".[1] მაშასადამე, მწერალი, როგორც ვაჟა ამბობს, საკუთარ აზრს გამოთქვამს და არა ლეგენდისას, თუნდაც ლეგენდას მასალად იყენებდეს. ვაჟა-ფშაველა დიდად აფასებს და შემოქმედებითი პროცესისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მწერლის ემოციურ-ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. იგი, ამასთანავე, არ უგულებელყოფს შემოქმედისათვის ლეგენდა-გადმოცემების, როგორც სააზროვნო მასალის მნიშვნელობას, თუმცა, ეს უკანასკნელი ზოგჯერ მხოლოდ ხელოვანის ცნობიერებაში უკვე მომწიფებული მხატვრული აზრის გამოვლინების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია.

ვაჟა-ფშაველა ხალხურ წყაროებთან დიდი მწერლების პოეტურ კავშირში ბევრ საერთო ნიშანს ხედავდა. შემოქმედებითი პროცესის ძირითადი ნიშნების მსგავსების გამო საკუთარი პოემების ხალხურ წყაროებს „ვეფხისტყაოსნის" წყაროების გვერდით განიხილავდა. მისი აზრით, „...ნაწარმოები, თუ ნამდვილად პოეტურია, არაფერს წააგებს, პირიქით, იქნება კიდეც მოიგოს, შემოქმედების საიდუმლოება რომ გამოვამჟღავნოთ".[2] წყაროებისა და შემოქმედებითი პროცესის თვისებათა გამომჟღავნებამ მკვლევრებს გზა უნდა გაუხსნას, თუმცა, მეორეს მხრივ, ამავე გამომჟღავნებამ იმ მკითხველში, რომელსაც ნაწარმოებთა ქმნის ისტორია არ აინტერესებს, შეიძლება მხატვრულ სახეთა დამაჯერებლობისა და უშუალობის გრძნობა კიდეც დაჩრდილოს. იპ. ვართაგავას საპასუხო წერილში კი ვაჟა ერთგვარი სინანულით აღნიშნავდა: „... ვაი თუ ამ განმარტებამ ავნოს ჩემს ნაწარმოებებს. ამით ვაწყენინებ თვით მკითხველს, რომელსაც ფანტაზიის

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 324-325.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 320.

ბყალობით შექმნილი ტიპები ნამდვილ ყოფილ ადამიანებად ჰყავს წარმოდგენილი. საწყინო აქ, რა თქმა უნდა, არაფერია, რადგან საღი ფანტაზია ისეთს არაფერს შექმნის, სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს, არ შეეფერებოდეს".[1] მწერლის ეს აზრი იმას გვეუბნება, რომ ხელოვნების ფუნქციასა და ბუნებაში ღრმად ჩახედულ მკითხველს „შემოქმედებითი საიდუმლოს" გამხელა, ე.ი. ნაწარმოების ფაბულის, სიუჟეტისა და სახე-ხასიათების წარმოქმნის პროცესის ჩვენება-განმარტება არაფერს ავნებს. მაგრამ ამ განმარტების გამო ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება უნდობლად შეხედოს მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვის ნაყოფს, მხატვრულ გამონაგონს, მიიჩნიოს იგი ცხოვრებისეულ საჭიროებასთან დაშორებულ მოვლენად. ასეთ მკითხველს მწერალი წინასწარ აფრთხილებს „... საღი ფანტაზია ისეთს არაფერს შეჰქმნის, სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს, არ შეეფერებოდესო". მაშასადამე, მხატვრული ნაწარმოების ფაბულა, სახე-ხასიათები და სიუჟეტი მხოლოდ მწერლის ფანტაზიის ნაყოფიც რომ იყოს, მაინც სინამდვილიდან მოწყვეტილი არ იქნება. ვაჟა-ფშაველა ამის გამო ჯერ კიდევ 1890 წელს პროფ. ალ ხახანაშვილს ურჩევდა, რომ მას უფრო „ისტორიულის" თვალით ეცქირა „ვეფხისტყაოსნის" წყაროების საკითხისათვის.

ვაჟა-ფშაველამ მოღვაწეობის ბოლო წლებში უფრო ფართოდ და მრავალმხრივ განმარტა შემოქმედებით მიმართებათა რაობაზე ადრე გამოთქმული საკუთარი შეხედულებები.[2] მწერლის ლიტერატურული დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ ხელოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობისას ემყარება ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალას, ისტორიულ წარსულსა თუ აწმყოში მომხდარ ამბებს, საზოგადოებისათვის სპეციფიკურ ამა თუ იმ სოციალურ, მორალურ და სამართლებრივ ურთიერთობებს. ამასთანავე, იგი, მხატვრული აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, ანგარიშს უწევს წინამორბედ ინდივიდ შემოქმედთა თხზულებებს. ნაირნაირი ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი პოეტური მიდგომა ვაჟას სრულიადაც არ მიაჩნია რაიმეს მექანიკურ გადმოღებად, მიბაძვად, ბრმა გავლენად. იგი პოეტური მიმართების შინაარსში ხელოვანის მუდმივ ემოციურ-ინტელექტუალურ

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 362.

[2] იხ. კრებული „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ", თბ., 1967 წ.

აქტივობასა და ახალი მხატვრული სამყაროს ქმნის უნარს ჭვრეტს. როგორც ირკვევა, ვაჟას აზრით, ორიგინალური ნაწარმოების შექმნა სინამდვილის ღრმა წვდომასთან ერთად სრულიად ახალი ფაბულის, სიუჟეტის, სახეებისა და სიტყვიერი ქსოვილის წარმოქმნას ეფუძნება. კონკრეტული ნაწარმოების სტრუქტურა ხშირად გამოყენებული მასალისგან სრულიად განსხვავებულს ანაც საპირისპირო აზრს გამოხატავს. სინამდვილისადმი ხელოვანის აქტიური დამოკიდებულების შინაარსი ვაჟა-ფშაველამ ასე დაახასიათა: „გენიოსი სდუღს, იხარშება ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და იმავე დროს ეს წუთისოფელიც სდუღს და ნახევრად მოხარშულიცაა იმის გულში.

გენიოსს არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად ან მეოთხედად, არამედ გრძნობს მთლად, ერთობლივ“.[1]

ვაჟა-ფშაველას რწმენით, უშუალოდ ნაწარმოების ქმნის პროცესში წარმოიშობა მისი ფაბულა, სიუჟეტი, სახეთა სისტემა და, საზოგადოდ, მხატვრული ქსოვილი. როგორც ცნობილია, მხატვრული ნაწარმოების დაბადება შინაარსისა და ფორმის ერთიანობის, მათი ურთიერთქმედების შედეგია. ეს პროცესი შემოქმედის ცნობიერების სიღრმეში მიმდინარეობს. მაშასადამე, მწერლის მხატვრულ წარმოსახვაში შინაარსი ფორმის შემქმნელია და ფორმა კი შინაარსის შესატყვისია. ვაჟაც ამგვარად განმარტავს ამ მოვლენას: „წინ და წინვე განსაზღვრა ფორმის ნამდვილი პოეტისათვის ყოვლად შეუძლებელია, ფორმა უნდა მოჰყვეს თვით ნაგრძნობს და ნააზრევს... როცა კი მწერალი კალამს ხელს მოჰკიდებს და ფორმის წინასწარ პლანის შედგენას ძალდატანებას თვით შეუდგება, ნაწარმოების სისუსტის მომასწავებელია“.[2] ცხადია, ასეთი შემოქმედებითი პროცესის მიმყოლი მწერალი სხვათა მიმბაძველი, თუნდაც ხალხური შემოქმედებისა, ვერ იქნება.

ვაჟა-ფშაველა ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნევს იმას, რომ „ნაგრძნობი და ნააზრევი“ სათანადო სიტყვაში უნდა განსახიერდეს. ფაბულა, სიუჟეტი, მხატვრული სახე და სიტყვიერი ფორმა ცალ-ცალკე კი არ არსებობენ, არამედ ერთიმეორის მიზეზით და ერთიმეორეში ცოცხლობენ. ამა თუ იმ თხზულების ფაბულა, სიუჟეტი, გმირთა ქცევები და სულის მოძრაობანი ვერ წარმოისა-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.IX, თბ., 1964 წ., გვ. 295.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.IX, თბ., 1964 წ., გვ. 297.

ხებიან საჭირო სიტყვიერი რეალობის გარეშე. გამორჩეული ქცევა, ჟესტი, ხასიათი გამორჩეულსავე ფრაზებში იდგამს სულს. სწორედ ამგვარი უნარი არის მწერლის ორიგინალობის ძირითადი წყარო. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „ხასიათი აღმოცენდება, როგორც წარმოსახვა გარკვეული ჟესტების, მოძრაობებისა და გამოთქმებისა".[1] ნაწარმოების გმირთა განცდებისა და ქცევა-მოქმედებათა ორიგინალურ მხატვრულ სიტყვაში გასაგნება ხელოვანის თვითმყოფადობის მაუწყებელია. „მწერალს, – წერს ვაჟა-ფშაველა, – უპირველესად ყოვლისა, საკუთარი „ენა" უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვთქვათ, – მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე".[2] შემდეგ პოეტი უფრო აღრმავებს მსჯელობას და ამბობს, რომ შემოქმედს საკუთარი წინადადებები, საკუთარი, თავისებურად გამოთქმული სურათები უნდა მოეპოვებოდეს და მათ ორიგინალობის ბეჭედი უნდა აჩნდესო. ვაჟას განმარტებით, შემოქმედებითი პროცესი ურთულესი და ხშირად მტკივნეული პროცესია. მაღალმხატვრული თხზულების შექმნა ხელოვანისაგან სულიერ ძალთა დიდ დაძაბვას მოითხოვს. ნაწარმოები მაშინ იწვევს აღტაცებას „... როცა სურათი, რომელიც მან დახატა, ისეთ სულიერ ტკივილებს აგრძნობინებდა მწერალს, როგორც ფიზიკური ტკივილი გულისა, თავისა, მთელი სხეულისა; ეს კი მოხდება მაშინ, როცა გულში მოხარშული სურათი ჩუმად მუჯლუგუნებსა სცემს პოეტს: „ჩქარა ქაღალდი და კალამი, დამხატე, გააცანი ჩემი თავი ადამიანთაო!" სურათის ქმნა პოეტის გულ-გონებაში მშობელ ენაზე სწარმოებს, ჩუმად, ყრუდ..."[3] ასეთი განცდების შემოქმედი ბრმა მიმბაძველი ვერ იქნება. თავის ლიტერატურულ-ფოლკლორისტულ წერილებში ვაჟა-ფშაველამ პოეტური წარმოსახვის მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებები დაგვიხასიათა. მან გაგვაცნო წყაროებისადმი ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების მიმართების ნაირგვარი ასპექტები. მწერალმა თქვა, რომ სააზროვნო მასალა, წყარო პოეტური წარმოსახვისათვის ხალხსაც სჭირდება და ინდივიდ შემოქმედსაც. თუმცა ერთიცა და მეორეც

---

[1] ლიტერატურის თეორია, წიგნი II, მ., 1964, გვ. 441 (რუსულ ენაზე).

[2] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 294.

[3] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 298.

წყაროებისაგან განსხვავებული მხატვრული სამყაროს შექმნას ცდილობენ. პოეტური მიდგომის ნაირგვარობა გულისხმობს, რომ წარმოიქმნა ამა თუ იმ ფაქტის სრულიად ახალი მხატვრული რეალობა: ამასთანავე, მხატვრული ნაწარმოების ფორმირების პროცესი აერთიანებს მასალასთან შემოქმედთა მიმართების როგორც საყოველთაო ნიშნებს, ისე – ინდივიდუალურს.

ვაჟა-ფშაველა ორიგინალურ პოეტურ სიტყვაში ხედავდა ხელოვანის უბადლო ოსტატობას. მისი რწმენით, პოეტური ორიგინალობის გამოვლენის ნაირნაირი შესაძლებლობები ენაშია ჩაქსოვილი. ამიტომაც, განუზომელია იმ ენობრივი დეტალებისა თუ ინდივიდუალიზებული პოეტური ფრაზების ძალა, რომლებშიაც გმირთა ურთიერთმიმართებები, ქცევა-მოქმედებები და განწყობილებები გამოიხატება. ვაჟას მსჯელობაში ჩანს ის აზრი, რომ ინდივიდუალიზებული მხატვრული მეტყველების შეცვლა ამგვარი ფორმით გამოხატული შინაარსის შეცვლასაც გამოიწვევს. რასაკვირველია, ამაზე კარგად მიუთითებს ცალკეულ თხზულებათა ხელნაწერებში დადასტურებული ვარიანტული ცვლილებებიც. პოეტური მეტყველების სიახლის გრძნობა იმას ეფუძნება, რომ იგი დაუსრულებლად მიილტვის ახალი შინაარსის ახალი ფორმით გადმოცემისაკენ. თავისებურად განცდილი საგანი თუ მოვლენა თავისებურივე ფორმით უნდა გამოვლინდეს. მაშასადამე, მხატვრული სიტყვა და მის მიერ მოწოდებული აზრი განუყრელი ფენომენებია, მხატვრულ გავლენათა ძიებისას აღნიშნულის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მსჯელობის პროცესში ვაჟა-ფშაველა შეუფარავად ავლენდა თავისი დროის სალიტერატურო კრიტიკის დაბალი დონით აღძრულ უკმარისობის გრძნობას. ამ თვალსაზრისით, მას არც რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედებითი სიტორრიისა თუ ორიგინალურობის თაობაზე გამოთქმული მეცნიერული მოსაზრებები აკმაყოფილებდა. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტსა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხებზე ვაჟას მსჯელობების გათვალისწინებას, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით მისივე თხზულებების შექმნის პროცესთა მეცნიერული ანალიზისათვის. „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედებითი ისტორიის მკვლევართა გასაგონად ვაჟამ ისიც თქვა, რომ საჭიროა პოეტების მონაწილეობა პოემის შესწავლაში, რადგანაც მეცნიერები ზოგჯერ ვერ ითვალისწინებენ პოეტური მოღვაწეობის, შემოქმედებითი პროცესის იმ კანონზომიერებებს, რომლებიც ხელოვანთათვის ერთობ ნათლად და ბუნებრივად გამოიკვეთებიან.

კრიტიკოსები ვაჟას სიცოცხლეშივე დაინტერესდნენ მისი თხზულებების შესწავლით. აქებდნენ ცალკეულ თხზულებებს და ავტორს სხვადასხვაგვარი შინაარსის კითხვებს უსვამდნენ. ვაჟა-ფშაველა საკუთარ ნაწარმოებთა ღირსებაზე მსჯელობას, თვითშეფასებას სათაკილო ამბად მიიჩნევდა და სალიტერატურო კრიტიკას მხოლოდ მაშინ ეხმიანებოდა, როდესაც მასში რომელიმე მწერლის ან თვითონ მისივე თხზულებების მეტად მცდარი ანალიზი გამოჩნდებოდა. ამ დროსაც იგი მხოლოდ შეცდომებს ასწორებდა და შეფასებისაგან თავს იკავებდა. მისი ლიტერატურული წერილების შინაარსი უპირატესად მწერლის ენის, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის, პოეტური ორიგინალობის, მხატვრული გავლენისა და ხალხური წყაროების საკითხებს მოიცავდა. თავისი დროის სალიტერატურო კრიტიკისადმი ვაჟას დამოკიდებულება კარგად დაახასიათა ს. ჩიქოვანმა: „მაშინდელი მკვლევრების მიერ მისი შემოქმედების შეფასება სრულიად არ აკმაყოფილებდა ვაჟა-ფშაველას. მისი თანამედროვენი – იპ. ვართაგავა, გ. ყიფშიძე და სხვები თავისებურად აქებდნენ კიდეც „მაღალი მთის მგოსნის" პოეზიას, მაგრამ, ეტყობა, „ალუდა ქეთელაურის" ავტორს არ მოსწონდა ხსენებული ქება და ის დონე, რომლის სიმაღლიდან მისი შემოქმედება იხილებოდა. მაშინდელი კრიტიკა უმთავრესად არკვევდა, რამდენად ენათესავება ან რამდენად შორდება „ეთერის" ავტორი მთის ხალხურ პოეზიას, ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეა იგი თუ რაფიელ ერისთავის მოწაფე, უბრალო მთიელი კაცის ინსტინქტების გამომხატველია თუ ხალხური პოეზიის მიმბაძველი. ვაჟა-ფშაველა წუხდა და გაჯავრებული კილოთი წერდა საპასუხო წერილებს. პოეტი ფიქრობდა, რომ იგი დამოუკიდებელ დიდ მხატვრულ ღირებულებათა შემქმნელი ხელოვანი იყო".[1] ზოგჯერ სალიტერატურო კრიტიკა, მართლაც ვერ ხსნიდა ვაჟას თხზულებების სიუჟეტთა ისტორიულ-ყოფითსა თუ ლიტერატურულ-ხალხურ წყაროებისადმი მიმართების პრობლემას.

ვაჟა-ფშაველასდროინდელი ლიტერატურათმოცდნეობა ერთიმეორისაგან არ მიჯნავდა ფაბულისა და სიუჟეტის ცნებებს, მათ შინაარსში არ გამოავლენდა განსხვავებულ მნიშვნელობებს. თვითონ პოეტიც, ზოგჯერ, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, აიგივებდა ნაწარმოების სქემას, ძირითად ამბავსა და სიუჟეტს, თუმცა აშკარად გვაგძნობინებდა, რომ სიუჟეტი მხოლოდ სქემა იყო, რომელიც ვერც მწერლის ორიგინალობასა და ვერც მის

[1] ს. ჩიქოვანი, თხზულებანი, ტ.III, თბ., 1967 წ., გვ. 236.

სხვაზე პოეტურ დამოკიდებულებას ვერ განსაზღვრავდა. პოეტის აზრით, ლიტერატურული ქმნილების თავისთავადი ღირებულება კი რთული ადამიანური ხასიათების ურთიერთმიმართებათა სრულქმნაში წარმოჩნდებოდა. სიუჟეტის სესხება, თუკი მწერალს შეუძლია „მისი შესისხლხორცება, შეგნება, შემუშავება" და არსებული ამბის ბაზაზე ახალი მხატვრული სამყაროს შექმნა, ვერ დაჩრდილავს ოსტატის ნიჭს, მის ინდივიდუალურ ხელწერას.

პოეტი იმასაც ამბობს, რომ შეიძლება მწერალმა სრულიად უცხო გარემოში დაბადებული ან სულაც სხვა ხალხის წიაღში წარმოშობილი სიუჟეტი გამოიყენოს, მაგრამ ნაწარმოები ღრმად ეროვნული და ორიგინალური შექმნას.ამ შემთხვევაში ნაწარმოების ორიგინალობა მშობლიური ენის ძალასა და ნაციონალური წეს-ჩვეულებებისა თუ თვითცნობიერების მხატვრულ გარდასახვას დაემყარება. ორიგინალური ნაწარმოების შექმნას, მნიშვნელოვანი წყაროების მიუხედავად, მაინც ხელოვანის მაღალი სულიერი მოღვაწეობა აპირობებს. მაშასადამე, ვაჟას აზრით, სხვადასხვა დონის და ხარისხის სიუჟეტების სესხება შეიძლება ისე, რომ მწერალი მაინც ორიგინალური ნაწარმოების შემქმნელად მოგვევლინოს. მთავარი, პოეტის შეხედულებით, ნაწარმოების მთლიანობის, სახე-ხასიათებისა და სიტყვიერი ქსოვილის შექმნაა, რაშიც ხელოვანის ოსტატობა ვლინდება.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ-ფოლკლორისტული წერილებიდან ისიც ირკვევა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტი ნაწარმოების მთლიანობის შეფასებისას გმირის ქცევის ამა თუ იმ დეტალს, იმ ადათ-წესების ღირებულებას, რომლებსაც პერსონაჟთა მოქმედება ემყარებოდა. შემოქმედებითი პროცესის თავისებურებებზე მსჯელობას მწერალი ყოველთვის კონკრეტული ფაქტებისა და დეტალების დახასიათებიდან იწყებდა. იგი ღრმად სწვდებოდა პოეტური ენის თავისებურებებს, დეტალთა ღირებულებასა და ფრაზათა მხატვრულ მნიშვნელობას. პოეტის ესთეტიკურ განცდათა გარემოცვაში მოქცეული ძველი ადათ-წესები თუ ყოფითი ამბები მხატვრული სიტყვის ძალით იძენენ ემპირიულისაგან განსხვავებულ სახეს. ენობრივ ქსოვილში სახის გაცოცხლების პროცესი ძნელად დასახასიათებელია და, ამასთანავე, პოეტის ქმედების ენობრივი და ფსიქოლოგიური მხარეების გამოცალკევებაც ჭირს. ცხადია, რომ დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებსა და მის წყაროებს შორის შემოქმედის დიდი სულიერი, ემოციურ-ინტელექტუალური მუშაობა იგულისხმება. ამ მოღვაწეობის შედეგმა უნდა წარმოგვიდგინოს ტარსფორმირე-

ბული სახე მასალისა, გვიჩვენოს ნიშან-თვისებები შემოქმედის ესთეტიკური იდეალისა, გაგვითვალისწნოს ორიგინალური ფაბულის, სიუჟეტისა და სახე-ხასიათების წარმოქმნის პროცესი. აქაც წამყვანი ძალა პოეტური სიტყვაა. როგორც ამბობენ, მხატვრული სახე ობიექტურ საგნად უნდა გადაიქცეს. „მაგრამ იმისათვის, რომ იქცეს ასეთ საგნად, სახე უნდა გამოიკვეთოს გარკვეულ ობიექტურ მასალაში. შემოქმედება მწერლისა იწყება, მკაცრად რომ ვთქვათ, იმ მომენტიდან, როცა მისი ჩანაფიქრი სიტყვაში გაცხადდება“.[1]

ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღირებულება არ არის განპირობებული მხოლოდ სიტყვიერი ფაქტორით. ყოველი თხზულების მხატვრული აზრის შექმნაში დიდ როლს ასრულებს ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია და საზოგადოდ პოეტურ ხერხთა თუ მიმართებათა ნაირგვარი შესაძლებლობების ერთობლიობა. ასე ესმის ვაჟა-ფშაველას ორიგინალური ნაწარმოების წარმოქმნის ისტორია, მისი მთლიანი სახის ჩამოყალიბება. პოეტის მხრივ ძირეული ლიტერატურულ-მხატვრული პროცესების სწორმა ანალიზმა შეუწყო ხელი იმას, რომ მის ეპოსში ხალხურმა მასალამ სრულიად განსხვავებული აზრი შეიძინა. შემოქმედებით პროცესთა ღრმად წვდომამ აიძულა ვაჟა, პოლემიკურად წარემართა მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ წყაროებისა და ორიგინალობის საკითხზე. პოეტი არც სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმული იმ აზრების მიმართ იყო გულგრილი, რომლებიც მისი ზოგიერთი თხზულების ღირებულებას ხალხურ პოეზიასთან თუ სხვა რიგის ხალხურ მასალასთან ათანაბრებდა. ვაჟას შეშფოთებას იწვევდა დაუსაბუთებელი ვარაუდები და მსჯელობები, იგი შეცდომად მიიჩნევდა ერთიმეორისაგან განსხვავებული მხატვრული აზრის მქონე ხალხური თუ ინდივიდუალური ნაწარმოებების ნიველირებას. პოეტი ხელოვნების ქმნილების ორიგინალურობის წყაროს ფაბულის, სიუჟეტისა და სახე-ხასიათების თავისებურ პოეტურ ორგანიზებაშიც ხედავდა.

საკუთარ ეპიკურ ქმნილებათა წყაროებზე მსჯელობისას ვაჟა-ფშაველას არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ზოგიერთი მათგანი ძველ ხალხურ ამბავზეა დამყარებული, ოღონდაც, პოეტისავე თქმით, „დიდი სახელი მხოლოდ მეტად თავისებურად შემუშავე-

[1] ლიტერატურის თეორია, წიგნი I, მ., 1962 წ., გვ. 68 (რუსულ ენაზე).

ბულმა ამბებმა მოიპოვეს საზოგადოებაში".[1] როგორც ვაჟას ამ და მრავალი სხვა გამონათქვამიდან ჩანს, მისთვის ამბის „თავისებურად შემუშავება" ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი იყო. აქედან იწყებოდა ჭეშმარიტი შემოქმედება, ანუ თვისებრივად ახალი მხატვრული სამყაროს სრულქმნა. ვაჟა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებს ნაირგვარი ობიექტური მასალისა და შემოქმედებითი წარმოსახვის რთული ურთიერთქმედების ნაყოფად მიიჩნევდა. რასაკვირველია, ამგვარი მსჯელობისას იგი არასოდეს ივიწყებდა ხელოვანისათვის ფაქტების და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის დიდ მნიშვნელობას. იპ. ვართაგავას საპასუხოდ დაწერილ სტატიაში ვაჟამ მასალისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა მხარე დაახასიათა. იგი წერს: ... „ბევრი ამბავი და ზღაპარი მე შევქმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი „ძველისძველი ამბავიო", „ზღაპარიო", „თქმულებაო", იმ მოსაზრებით, დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც ხალხური თქმულების მითვისება...

ამ ნაკლს გავასწორებ მხოლოდ მაშინ, როცა დაიწყება ჩემის ნაწერების ცალკე წიგნებად გამოცემა, – მაშინ აღვნიშნავ, რომელია მართლა ძველი ამბავი და რომელი მთლად ჩემგან დაძველებული, ძველ ამბად მონათლული".[2] ვაჟა აქ გარკვევით ამბობს, რომ ძველ ამბებს იყენებდა; ამასთანავე, იმასაც გვაუწყებს, რომ მან ბევრი ნაწარმოები ისე შექმნა, რომ ხალხური თქმულებები არ გამოუყენებია. ქვესათაურს ამა თუ იმ თხზულებას მწერალი ზოგჯერ შეგნებულად, წინასწარი განზრახვით უწერდა. პოეტის ამგვარ მოქმედებას მაშინდელი საცენზურო პირობებიც განსაზღვრავდა. ცნობილია, რომ სრულიად ახალგაზრდა ვაჟას ცენზურამ რამდენიმე ნაწარმოების გამოქვეყნება აუკრძალა.[3] მაგრამ სხვა შემთხვევებში მასალის განსახიერების ამგვარი გზა პოეტის მხატვრული მანერაცაა.

ვაჟა ღრმად სწვდებოდა შემოქმედებითი პროცესის არსს. ამიტომაც აღნიშნა, რომ მის პოეტურ წარმოსახვას შეეძლო ამ-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 363.

[2] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 362-363.

[3] იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, თბ., 1940 წ., გვ. 249.

ბების შექმნა, ზღაპრის გამოგონება და, რაც მთავარია, ახალი ამბის „დაძველება“, „ძველ ამბად მონათვლა“. მწერლის ამ სიტყვებში ისიც იგულისხმება, რომ ხელოვანს აქვს თავისებური ძალა ამბის, ცხოვრებისეული შემთხვევის „დაძველებისა“. მას შეუძლია, ჩვეულებრივი რეალური მოვლენები ან მხატვრული გამონაგონი ფოლკლორისათვის ნიშანდობლივი უშუალობით აღბეჭდოს, განცდათა შინაარს არქაული იერი მისცეს და საკუთარი გრძნობა-გონების ნაყოფი ხალხური შემოქმედების ბუნებას დაუახლოვოს. ეს გარემოება იმაზეც მიუთითებს, რომ ვაჟა მითთაქმნადობის სპეფიციკური უნარით დაჯილდოებული პოეტია. იგი ხალხურ შემოქმედებასთან საკუთარ თხზულებათა ნათესაობის შთაბეჭდილებას იმითაც გვიძლიერებს, რომ მთიელთა ყოფაში ცოცხლად შემონახულ უძველეს ადათ-წესებსა და მითოსურ რწმენა-წარმოდგენებს ხალხისავე საოცნებო იდეალების გათვალისწინებით გამოხატავს, როცა ძველ მასალას ახალი შინაარსით ავსებს. ხალხური მოლექსეცა და მწერალიც გრძნობათა სუბიექტური შინაარსით მონაწილენი ხდებოდნენ გარე მოვლენებისა, წარსულისა; სინამდვილის ავ-კარგზე აფუძნებდნენ მხატვრული წარმოსახვის ძალას, გრძნობათა პოეტურ დინებას. თავის განცდებს ხელოვანი ცხოვრების პირობებს უფარდებდა და მრავალფეროვნადაც გამოხატავდა. შემოქმედი ხალხიც ეპოქათა ზეგავლენით წარმოაჩენდა მრავალმხრივსა და ერთიმეორისაგან გამორჩეულ სურვილებსა და ტკივილებს, სიხარულსა და წყრომას. ეს გარემოება აპირობებდა ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების ტენდენციებს, მათ თემატურ მსგავსებასა და განსხვავებას.

მეტად თავისებურია ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება სოციალური ფაქტების, ეთნოგრაფიული მოვლენებისა და ფოლკლორული ტრადიციისადმი. მთიელთა სოციალური ყოფა, ეთნოგრაფიული თავისებურებები, რელიგიურ-მითოსური რწმენა და ხალხური სიტყვიერება პოეტმა თავისი თხზულებების ისეთ მასალად აქცია, რომელიც ადვილად ემორჩილებოდა ორიგინალური მხატვრული სიუჟეტის შექმნის ამოცანას და, მაშასადამე, ზოგადი მნიშვნელობის სახეების ხატვის მიზანს. მასალასთან ამგვარი პოეტური მიმართების თავისებურებაზე მწერალი წერს:

„გენიოსთა ნაწარმოებები ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მაშასადამე – კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნო-

დეს იგი...“[1] სინამდვილისადმი ამგვარი მიდგომა მიაჩნდა ვაჟას ინდივიდუალური თხზულების ზოგადკაცობრიული ღირებულების გამაპირობებლად. მას სწამდა, რომ მხოლოდ ნიჭიერი ხელოვანის მხატვრული წარმოსახვის ძალით „კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება“. ე.ი. საყოველთაო, ზოგადი განუმეორებელი ინდივიდუალური მხატვრული ფორმითა და თანაც ნაციონალური გარემოთი გამოიხატება.

ვაჟა-ფშაველა ეროვნულ და, კერძოდ, ფოლკლორულ მასალაზე საკაცობრიო მნიშვნელობის ნაწარმოებთა შემოქმედად რუსთველს, შექსპირს, სერვანტესს, გოეთეს, პუშკინსა და ტოლსტოის ასახელებდა. იგი მიუთითებდა კონკრეტული ყოფითი მასალის გარდაქმნა-განზოგადების მხატვრულ პროცესებზე და გარკვევით აღნიშნავდა, რომ გარემოსთან შემოქმედებითი მიმართების თვალსაზრისით დიდი მწერლები ერთმანეთს ენათესავებიან. ვაჟა წერს: „უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება.

ამის მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია, ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული სწორედ ისე, როგორც ზევით მოგახსენეთ, როგორც ამას ჩვეულან რჩეულნი ამა ქვეყნისანი დიდი ნიჭის პატრონი მწერლები. ავტორები „ფაუსტს“ გიოტეს გარდა ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერავინ შესძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შეძლო გადადუღება ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა.

ესევე დაემართათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომეო და ჯულიეტას“ და სხვა.

ესევე ითქმის დიდებულს შოთასა და მის „ვეფხისტყაოსანზე“.

– მე, თქვენი უმორჩილესი მონა, რა სახსენებელი ვარ ამ გოლიათებთან, მაგრამ ერთი გარემოება მაძლევს უფლებას, ჩემი

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 295.

თავიც იმათთან ერთად ვახსენო – ეს გახლავთ მსგავსება ქმნისა, შემოქმედებისა".[1] ყოფითი და ეთნოგრაფიული მოვლენებისადმი, ასევე ფოლკლორულ ნიმუშებთან შემოქმედთა პოეტური დამოკიდებულება ვაჟამ მთელი სიღრმით გაგვითვალისწინა. მან დაახასიათა შემოქმედებითი პროცესის ის ზოგადი კანონზომიერებანი, რომელთაც მწერლები გვერდს ვერ აუვლიან. მთავარია წყაროებთან მიმართებისას სრული შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვება. ვაჟას აზრით, შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ხელოვანთა მოღვაწეობას, საზოგადოდ წყაროებთან მათი მიმართების ბუნებას ერთიმეორესთან ანათესავებს. ამიტომ ამბობდა ვაჟა, რომ „მსგავსება ქმნისა, შემოქმედობისა" მაძლევს უფლებას ჩემი მოღვაწეობის ნიშან-თვისებები ცნობილ მწერალთა შემოქმედებითი ისტორიის გვერდით განვიხილოო. ეს იმას გულისხმობს, რომ მწერლები ნაირგვარ მასალას იყენებენ, გარდაქმნიან, საკუთარ „სულიერ ქურაში" გადაადუღებენ, აქედან სრულიად ორიგინალურ, ინდივიდი შემოქმედის ესთეტიკური იდეალის გამომხატველ ფაბულას, სიუჟეტს, სახე-ხასიათებსა და სიტყვიერ რეალობას ქმნიან. დიდი ტალანტის ხელოვანი კერძო ამბებს, ფაქტებს თვალს შეავლებს, ხოლო სათქმელს კი საკუთარს, ორიგინალურს იტყვის. ასეთი მწერალია ვაჟა; იგი ცალკეულ მოვლენათა ამა თუ იმ მხარეს ყოველთვის მხატვრული წარმოსახვისა და აზრის განვითარების შესაძლებლობათა თვალსაზრისით აფასებდა. გარე სინამდვილისადმი ამგვარი მიდგომა მწერალს, საზოგადოდ, ათავისუფლებს ზემოქმედების მომხდენი მასალისა და ტრადიციებისადმი მონური მორჩილებისაგან.

ვაჟა ზოგიერთი პოემის წყაროს დაწვრილებით ახასიათებს: მსჯელობს მასალასთან შემოქმედებითი დამოკიდებულების საკითხებზე, მაგრამ იგი ბევრს არაფერს ამბობს მხატვრული გარდასახვის კონკრეტულ პროცესებზე. პოეტი ერთგვარად თავს იკავებს შემოქმედებით პროცესში აქტიურად მონაწილე სუბიექტური ფაქტორების დახასიათებისაგან. მას მიაჩნია, რომ ინდივიდი შემოქმედის მხატვრული მოღვაწეობის არსი თვითონ ნაწარმოებმა უნდა წარმოაჩინოს და, მაშასადამე, ხელოვანის იდეურ-ესთეტიკური სამყაროს შეფასება არა მწერლის, არამედ კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნის კომპეტენციაში შედის. ამას

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ., ტ. IX, 1964 წ., გვ. 361-362.

გულისხმობს ვართაგავასადმი მიმართული მისი სიტყვებიც: „ბ.ი. ვართაგავამ, თუ მას კარგი კრიტიკული ალღო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს, რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა ინდივიდუალური“.[1] საკუთარ ნაწარმოებთა შეფასებას ვაჟა სათაკილოდ თვლიდა. იგი მხოლოდ შეცდომებს ასწორებდა.

ვაჟასდროინდელი და შემდგომი ხანის კრიტიკისათვის, საზოგადოდ, ძნელი შეიქმნა იმის ჩვენება, თუ მწერლის მხატვრულ ნაწარმოებში რა მასალა იყო აღებული ცხოვრებიდან ან ფოლკლორიდან და რა იყო მასში თვით შემოქმედის ფანტაზიის ნაყოფი. ხალხურისა და ინდივიდუალურის ერთიმეორისაგან განურჩევლობა დამახასიათებელი ნიშანია ვაჟას შემოქმედების ამ საკითხზე დაწერილი ბევრი გამოკვლევისათვის.[2] ფოლკლორულისა და ინდივიდუალურის ნიველირების მეთოდს საფუძვლად ედო ხალხური შემოქმედების, კერძოდ კი, გვაროვნულ-თემური მთის პოეზიის სპეციფიკური ნიშნებისა და მწერლის თხზულებათა ორიგინალობის გამაპირობებელი ფაქტორების ერთიმეორისაგან გაუმიჯნაობა. უფრო მეტიც, მკვლევარნი ხშირად კონკრეტული ხალხური ნიმუშების დაუსახელებლად, როგორც იპ. ვართაგავა ამბობდა, – „აპრიორულად“ მსჯელობდნენ ვაჟას ნაწარმოებთა წყაროებზე და მეტად აბსტრაქტულ ასოციაციურ ანალოგიებზე ამყარებდნენ თავიანთ კვლევა-ძიებას. ლიტერატურული კრიტიკის ამგვარი გასაჭირი ვაჟამ კარგად დაინახა როგორც თავისი ნაწარმოებების შესახებ გამოქვეყნებულ წერილებში, ასევე „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობისა თუ ხალხურობისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში.

ვაჟა უტყუარი ალღოთი ჩასწვდა და გამოავლინა შემოქმედებით პროცესში სუბიექტურ და ობიექტურ საწყისთა ურთიერთქმედების დიალექტიკური ბუნება. ცხადია, ხელოვანისათვის აუცილებელია ცხოვრებისეული მასალა, ამბავი, „ლექსი ან საქმე, გარემოება ცხოვრებისა“, ბუნების მოვლენანი, რომელთა ზემოქმედებამ მწერალი უნდა აამოქმედოს, რათა მან შეითვისოს „ეს გარეგანი ფაქტორები“ და საკუთარი ეთიკურ-ესთეტიკური იდეალის შესაბამისად ორიგინალური ფორმით ჩამოასხას.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 361.

[2] ი. ნაკაშიძის, ალ. ხახანაშვილის და იპ. ვართაგავას წერილები, იხ. ქრესტომათიაში; „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, 1955 წ.

ვაჟა-ფშაველას პოემების შემოქმედებითი ისტორიის გასათვალისწინებლად, სხვადასხვა მასალასთან მათი დამოკიდებულების ხასიათის გასარკვევად პირველხარისხოვანი და გადამწყვეტი მნიშვნელობა თვით ავტორისეულ განმარტება-თვითანალიზს უნდა მიენიჭოს. ლიტერატურულ გავლენათა და წყაროთა პრობლემების განხილვა, უწინარეს ყოვლისა, ისევ და ისევ მწერლისეული ცნობების უპირატესობას უნდა დაემყაროს. თუ მკვიდრად დავდგებით ამ თვალსაზრისზე, მაშინ ვაჟას მიერ ნაჩვენები მიმართულება, მისეული ცნობები, ხალხური მხატვრული და არამხატვრული მასალის გამოყენების პრინციპები დიდ მნიშვნელობას შეიძენენ და სწორ გეზს მისცემენ მწერლის შემოქმედებითი ისტორიის პრობლემების შესწავლას. შემოქმედებითი პროცესის სიღრმისეულ მოვლენებზე ვაჟას მიერ გამოთქმულმა შეხედულებებმა მისი იმ თხზულებების შემოქმედებითი ისტორიის დახასიათების სწორი გეზიც უნდა მოგვცეს, რომელთა წყაროებზედაც ავტორისეული ცნობები არ მოიპოვება. ამასთანავე, ვაჟას ლიტერატურული დაკვირვებები უნდა შეფასდეს როგორც ზოგადლიტერატურისმცოდნეობითი ღირებულების მონაპოვარი.

ვაჟა-ფშაველა ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების საყრდენ მასალას რეალურ ცხოვრებაში ხედავდა. მთის ფოლკლორის ერთ-ერთ წყაროდ ტრადიციული ადათები, რწმენა-წარმოდგენები და მორალის ნორმები მიაჩნდა. იგი ფიქრობდა, რომ თითოეული ადამიანის ქცევა-მოქმედებასაც და ცხოვრებისეულ შემთხვევებსაც ტრადიციულ ურთიერთობათა შინაარსი განსაზღვრავდა. ვაჟა ამიტომ აფართოებდა ხალხური წყაროების ცნებით შინაარსს და მასში ათავსებდა ყველა მოვლენას, რაც კი ხალხში ხდებოდა და წმინდა ხალხური წარმომავლობისა იყო. ცხადია, ამგვარი ხალხური მასალის გამოყენების გამო მსჯელობდა პოეტი „გოგოთურ და აფშინას", „ალუდა ქეთელაურის" და „სტუმარ-მასპინძლის" ხალხურ წყაროებზე. ავტორის განმარტებებში არა ჩანს, რომ ის ამ თხზულებათა გამაპირობებელ ფაქტორად ხალხურ პოეტურ შემოქმედებას მიიჩნევდა. ერთ-ერთ წერილში ვაჟა წერდა, რომ „უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული"[1]. ეს „ხალხში გაგონილი" ორი-სამი სიტყვა, ჩვენი აზრით, ცხოვრებისეულ და ხშირად ისეთ ტიპურ შემთხვევებს გამოხატავდა, რომელთა მასალად გა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „Pro domo sua", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 182.

მოყენება ფართოდ გავრცელების გამო თამამად შეეძლოთ ინდივიდ შემოქმედთაც და ხალხსაც. ცხოვრებისეულ შემთხვევას, ამბავს, ფაქტს აქვს თავისებური ძალა ზემოქმედებისა, მაგრამ მას აკლია მხატვრული სრულქმნა, ისეთი პოეტური განზოგადება, რომელშიაც ამაღლებული სახით წარმოჩნდებოდა ყოფითი რეალიების სოციალურ-ეთიკური და ესთეტიკური მხარე. კერძო შემთხვევები ხალხის მიერ უპირატესად ლოკალური მნიშვნელობით აღიწერებოდა. საყურადღებოა, რომ „გოგთურ და აფშინას“, „ალუდა ქეთელაურის“, „სტუმარ-მასპინძლისა“ და „გველის მჭამელის“ წყაროდ ვაჟას მიერ დასახელებული მასალა ამგვარივე შინაარსითა და ფორმით ხალხურ პოეტურ შემოქმედებას არ წარმოუჩენია. რაც შეეხება ამ პოემათა ფაბულებს, სიუჟეტებსა და გმირთა სახეებს, მათი ტოლფარდი ხალხურ პოეზიაში საზოგადოდ არ მოიპოვება. თუ აქა-იქ თავს იჩენს ვაჟას პოემებისა და ხალხური პოეზიის ცალკეულ ეპიზოდთა ანალოგიები, ისინი გაპირობებული არიან ყოფისათვის ნიშანდობლივი ტიპური გარემოებებითა და მათი სიტყვიერი რეალიზების დიალექტური შესაძლებლობებით. ასეთ ვითარებაში უეჭველ მხატვრულ გავლენებზე ვერ ვიმსჯელებთ, ხოლო ის კი ცხადლივი იქნება, რომ ტიპურ მოვლენებს, შემთხვევებს, ამბებს მწერალიცა და ხალხიც ცხოვრებიდან ითვისებდა. ეს იყო და არის მსგავსების ასოციაციების წყარო.

ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ წყაროდ, ცხოვრებისეული არამხატვრული მასალის გარდა, სხვა წყარო არ დაუსახელებია. ხალხურ შემოქმედებაშიც არ ჩანს ისეთი ნაწარმოები, რომელიც პოემის ფაბულას ეფარდებოდეს ან თვით ავტორის მიერ მოთხრობილ „ნამდვილ გოგოთურის“ ამბავს გამოხატავდეს. საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. მწერლის ეპიკურ თხზულებათა უმრავლესობა მთის ადათ-წესებისა და მორალური ნორმების ღრმა გათვალისწინებით იქმნებოდა. მართალია, ვაჟას შემოქმედებაში მთისა და ბარის ცხოვრებიდან ნაირნაირი მასალა ფერსა და მიზანს იცვლიდა, ორიგინალურ ფაბულასა და სიუჟეტს ექვემდებარებოდა, მაგრამ ეს ვერ გამორიცხავდა ტრადიციულ საწყისებზე დამყარებულ ხალხურ და ინდივიდუალურ ნაწარმოებთა ზოგიერთი ეპიზოდის მსგავსებას. ამასთანავე, შედარების პრინციპის მტკიცედ დაცვა გვიჩვენებს, რომ მსგავსებათა საფუძველი უმეტესად ფართოდ გავრცელებული ერთგვაროვანი ტრადიციულ-ყოფითი არამხატვრული მასალაა. აღნიშნულ გარემოებაზე უფრო ნათლად თვით ხალხური

ლექსების ერთიმეორესთან თემატური და, ამასთანავე, ცალკეულ სიტუაციათა მიხედვით მსგავსება მიგვითითებს. ხალხური ლექსების თემებისა და სიტუაციების მსგავსებას ამოსავალ წყაროდ ქცეული მასალის ტრადიციულ შეხედულებათა თვალსაზრისით გააზრიანებაც იწვევდა. ვაჟას პოეტურ ეპოსშიც ძალიან ხშირადაა ასახული მთიელთა ადათ-წესები, რომელთა მშობლიური ნიადაგიდან მოწყვეტასა და გაუცხოვებას მწერალი არ ცდილობს. უფრო მეტიც, იგი ქმნის ყოფის ანალოგიურ ახალ სიტუაციებსა და ფაბულებს, ხოლო მეტწილად, სრულიად ორიგინალურ რეალობას. გარემოვლენებისადმი ასეთი შემოქმედებითი მიდგომა უნდა მივიჩნიოთ ვაჟასა და ხალხური პოეზიის თემატურ-ეპიზოდური მსგავსების განმსაზღვრელ ფაქტორად. ტრადიციული ამოსავლის იგივეობის პრინციპი არ გვაძლევს უფლებას, რომ ვაჟას ეპოსისა და ხალხური შემოქმედების მსგავსებანი მწერალზე მხოლოდ პოეტური სიტყვიერების ზემოქმედებად მივიჩნიოთ. ინდივიდ შემოქმედზე პოეტური ფოლკლორის გავლენა დამაჯერებლად შეგვიძლია ვამტკიცოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესადარებელ ნაწარმოებთა ფაბულის, სიუჟეტის, გმირის ხასიათის ქმნადობისა და ცალკეულ ეპიზოდთა სიტყვიერი გარდასახვის იშვიათი მომენტების იგივეობა აღმოჩნდება. მსჯელობის ამ მიმართულებით წარმართვის საშუალებას იძლევა ის გარემოებაც, რომ საკუთრივ ხალხური შემოქმედების წყაროები და თვით პოეტური სიტყვიერება, ფუნქციის თვალსაზრისით, ერთი და იგივე არ არის და ღირებულებათა სხვაობის გამოც ერთ სიბრტყეზე ვერ განიხილება. ხალხურ შემოქმედებასაც მასალად სჭირდება ცხოვრებისეული ამბები, შემთხვევები და კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაირ-ნაირი წესები. პოეტურ ფოლკლორსაც თავისი მასალისაგან, უწინარეს ყოვლისა, მხატვრულად თქმის მიზანი, მოთხოვნილება და ხარისხი გამოარჩევს.

თავი IV

დადებით და უარყოფით ზნეობრივ ღირებულებათა დინამიკისათვის ვაჟა-ფშაველას პოემების სიუჟეტში („გოგოთურ და აფშინა", „ახუნდი")

ვაჟა-ფშაველას პოეტური ეპოსი უღრმესი ეთიკურ-ესთეტიკური შინაარსის მომცველია. ეს იმასაც გულისხმობს, რომ თვით მწერლის მსოფლმხედველობა და პოეტური იდეალი წარმოადგენდა განუზომელი მასშტაბის მოვლენას. პოეტის მსოფლგაგება და მხატვრული მიზანი ნაირნაირი სახის მასალას თუ წყაროს ითვისებდა. ცხადია, ვაჟა-ფშაველა მიჰყვებოდა ხელოვანთათვის ცნობილ შემოქმედებით გზებს, კერძოდ, ცხოვრებისეული მასალიდან რაღაცა აზრის გამოყვანის, განზოგადების და, ამასთანავე, ზოგადი თეორიული აზრის კონკრეტული ცხოვრებისეული ან წმინდა ეთნოგრაფიული სახით წარმოდგენის გზას. მაგრამ სრულიადაც არ არის გამორიცხული სხვა მიდგომის არსებობა, რომელსაც თვითონ პოეტი სუბიექტურ-ობიექტური მასალის საკუთარ სულიერ ბრძმედში გადადუღების, ყოველივეს „გულში მოხარშვის" მეთოდს უწოდებდა. ასეთი შემოქმედებითი მიმართებები გულისხმობს, რომ მწერლის არსებაში თავს იყრიან, ერთმანეთს ხვდებიან და ერთიმეორესთან დიალოგში ებმებიან სუბიექტური სულიერი უნარები და ცხოვრებისეული ფაქტები თუ მოვლენები. აღნიშნული შინაგანი დიალოგი, „გულში მოხარშვის" პროცესი წარმოშობს თვისებრივად ახალ რეალობას ანუ ნაწარმოების თვითმყოფად მხატვრულ სტრუქტურას. ნაწარმოების სიუჟეტის ფორმირებისას ძნელი გასარკვევია, რა მნიშვნელობა ენიჭება ნაირნაირ მასალასა და ასევე მრავალფეროვან სულიერ უნარებს, მაგრამ ცხადია ერთი: მათი კავშირი განაპირობებს მაღალ ეროვნულ თუ საკაცობრიო ფასეულობებს.

პოეტის სიტყვით, განსასახიერებელი მასალა შემოქმედის ნიჭის შესატყვისი უნდა იყოს. თემისა და მასალის არჩევანს მწერლის მსოფლგაგება და მხატვრული მიზანი განსაზღვრავს. მასალამ თავისი შინაარსიდან შეიძლება მიაწოდოს შემოქმედს აზრი, მისცეს იმპულსი მისი გაღრმავებისა, მხატვრული გარდა-

სახვისა. მასალის მხატვრული დამუშავება იმასაც გულისხმობს, რომ მწერალმა ზოგჯერ ფაქტები საკუთარი ზოგადი შეხედულებების ცხადსაყოფად გამოიყენოს, ე.ი. ზოგადი იდეა კერძოში გახსნას. მწერლის თხზულებათა წყაროების დახასიათების გარეშე, მასალასთან ავტორის მიმართების სპეციფიკის გაგების გარეშე სათანადოდ ვერასოდეს შეფასდება ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული ღირებულება. ნიჭიერი მწერალი არასოდეს ლექსავს თეორიულ მოძღვრებებს, ცნებებს, არამედ ქმნის ორიგინალურ მხატვრულ სახეებს, რომელნიც ამოიზრდებიან უთვალავი რეალური თუ იდეალური მოვლენის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული გადამუშავების საფუძველზე. ვაჟას სიტყვით, მხატვრული ფორმა, სახე ნაგრძნობ საგანს უნდა მოყვეს. პოეტისათვის ნაგრძნობი საგანი იყო ვთქვათ გოგოთურის ინციდენტი, ზვიადაურის დაკვლის ამბავი, სისხლის აღებისა და სტუმართმასპინძლობის ადათები, ბუნებიდან კი, რომელიღაცა მთის წყარო, ქუჩი, ია, ვერხვი, არწივი, შვლის ნუკრი, კლდე, მაღალი მთები, ხოლო მათი ფორმა იკვეთება, ყალიბდება მხატვრულ მოქმედებასა და პოეტურ სიტყვაში.

შემოქმედებით მასალასთან მიმართების ასპექტები გამოავლენენ ხოლმე მწერლის მსოფლმხედველობრივ და პოეტურ პოზიციებს, ნათელს ხდიან თუ რას და რატომ ირჩევს ან საკუთარი სულის პოეტურ შესაძლებლობებს რის სათქმელად მოიმარჯვებს იგი. პოეტის მთელი მემკვიდრეობა ადასტურებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ის ბუნებრივი და სოციალური მოვლენების ორიგინალურად ხედვას. ვაჟა დიდი რეალისტი იყო და ამიტომ მისთვის დეტალს განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. პოეტისათვის კოპალის კუთვნილ ქვასაც და ამ სალოცავში გოგოთურის მიერ მიტანილი სიპიც ბევრისმეტყველ ფასეულობებს წარმოადგენდნენ. განა ვინმესთვის საეჭვოა, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ვაჟასათვის ლაშარის გორს, თქმულებებს ფშაველთა საკულტო ბერმუხის ბედზე, ან „ლაშარის ჯვრის პიროფლიანების" სადიდებელ რიტუალებს და სხვა მრავალ თავისთავზე მეტყველ ფენომენს. პოეტის რწმენით, შემოქმედმა მასალაში ადათებში, რიტუალებში ეთნოგრაფიული, ეროვნული და ბოლოს საკაცობრიო, ზოგადადამიანური საჭიროება თუ ფასეულობა უნდა აღმოაჩინოს. ბევრი მწერლის შემოქმედებითი პრაქტიკა და თეორიული ნააზრევი ცხადყოფს, რომ ნაწარმოების სიუჟეტის ფორმირება, სახე-ხასიათების ძერწვა ბუნებასა და ცხოვრებაში მიგნებულ მასალას ემყარება. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ

მწერლები არ იცნობდნენ, არ ითვისებდნენ ან არ იყენებდნენ სოციალურ-ფსიქოლოგიური, მითოლოგიურ-რელიგიური, ფილოსოფიურ-მეცნიერული აზროვნების მონაპოვარს. თუმცა მწერლობის ისტორია არ იცნობს გენიოს შემოქმედს, რომელიც მხოლოდ ერთი რომელიმე მოძღვრების ჩარჩოში აქცევდეს თავის მხატვრულ წარმოსახვას, პოეტურ სახეებს ან ამა თუ იმ მეცნიერულ-რელიგიურ ცნებას საგანგებოდ დაეძებდეს, რათა იგი განასახიეროს. მწერალი, უწინარეს ყოვლისა, ბუნებასა და ცხოვრებაში, ადამიანურ ურთიერთობათა სისტემაში, საკუთარი სულიერების საუფლოში პოულობდა და კვლავაც იპოვის მხატვრული მოქმედების განვითარების, ანუ სიუჟეტის, „საშენ მასალას".

ვაჟა-ფშაველას გაგებით, მწერლის მსოფლმხედველობა და მხატვრული მიზანი ბუნებრივს, სოციალურს, კულტურულ ფენომენებს მთლიანობაში მოიცავს. სინამდვილიდან ათვისებულ ფაქტებს მწერალი ორიგინალურად გაიაზრებს, გარდაქმნის, განასახიერებს და ცხოვრების ახალი თვისობრიობის, ანუ ხელახლად გამოსაცნობ-შესაფასებელი მხატვრული ფასეულობის სახით უბრუნებს მკითხველს. შემოქმედება სულის თავისუფლებაა და, თუკი იგი „იზმებს" დაექვემდებარება, უძირითადესს, კერძოდ, მთლიანის წვდომა-გარდასახვის შინაგან ძალას დაკარგავს. აღნიშნული კი ნიჭის თავისებური გაუფასურებაც იქნება.

ვაჟა-ფშაველას აზრით, მთლიანობითი სისტემაა სამყარობუნება, კაცობრიობის ცხოვრება, გენიოსი მწერლის მსოფლხედვა და პოეტური იდეალიც. შემოქმედებითი გარდასახვის ჟამსაც მათი ურთიერთმიმართება მთლიანის აღქმას, განცდას, გააზრებასა და მხატვრულ განსახიერებას გულისხმობს. ვაჟა წერს: „გენიოსს არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად ან მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ; არ შეუძლიან აგრედვე იგრძნოს დაბალი, მცირე ღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოვებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან.

გენიოსთა ნაწარმოებები ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მაშასადამე – კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი...".[1] როგორც ითქვა, კონკრეტულობა, ეთნოგრაფიულობა და

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 295.

ეროვნულობა განსახიერებული ამბებისა, ადათის თუ რიტუალისა ხელს არ უშლის იმას, რომ დიადი ნაწარმოების მნიშვნელობა კაცობრიობამ აღიაროს. ეს ვითარება კი შეპირობებულია იმით, რომ ადამიანის სულის მოძრაობის საფუძველი და სინამდვილის ათვისების წესი ყველასათვის ერთნაირია. ამა თუ იმ თეორიული მოძღვრების გამოყენება ნაწარმოებში ან ეთნოგრაფიულ-ეროვნული ცხოვრების ნიშან-თვისებათა უხვად მოხმობა მას კაცობრიობისათვის მიუღებელ მოვლენად არ ხდის. კონკრეტული მასალა, ეთნოგრაფიული, ეროვნული მოვლენები ურთიერთგაგებისას გადაულახავ ბარიერს რომ უქმნიდნენ ადამიანებს, მაშინ მსოფლიო ლიტერატურა თავის საყოველთაო ძალასა და მნიშვნელობას დაკარგავდა.

ვაჟას თვალსაზრისით, ლიტერატურის მასალად იქცევა ყველაფერი, რასაც კი ადამიანის თვალი, ყური და გრძნობა-გონება მისწვდება. ამიტომ გენიოსთა მსოფლმხედველობა და პოეტური იდეალიც თავისუფლადაა გაშლილი და განფენილი დედამიწაზე. მწერლის ფანტაზიის სარბიელის შემცირება ან რომელიმე წინასწარ ამოჩემებული აზრისათვის მისი მორგება-დაქვემდებარება გაუმართლებელია. გენიოსების მიერ შექმნილი მხატვრული სახეები დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანის, ყველა ერის კუთვნილებაა. მათ მიერ დანახული პრობლემები და აღიარებული სულიერი აღმოჩენები სიცოცხლესთან, მის საზრისთან არის შეწონასწორებული. სიცოცხლე კი უძირითადესი დასაბამიერი ნიშნებით მთელს დედამიწაზე ერთნაირია. ვაჟას რწმენით, დედამიწაზე ყველას სწყურია სიცოცხლე, ყველას შეუძლია უყვარდეს და სძულდეს, იცინოდეს და ტიროდეს, განასახიერებდეს ან გრძნობდეს სიკეთესა და ბოროტებას, სინდისიერებასა და უსინდისობას, მშვენიერებასა და სიმახინჯეს, სამართლიანობასა და უსამართლობას. საერთოდ, პოეტის სიტყვით, როგორი გულიც ადამის დროს ჰქონდა დედას, დღესაც ისევ ისეთი გული აქვს. მაშასადამე, „გრძნობათა იგივეობა წესია დედამიწისა".

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და პოეტური მრწამსის მიხედვით, ღრმა შეცდომა იქნებოდა, თუ სიცოცხლის აღნიშნულ დასაბამიერ ნიშნებს რომელიმე სოციალური, ფსიქოლოგიური ან რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიერ დაფუძნებულად მივიჩნევდით. დროში ცვალებადმა, წარმოშობა-გაქრობის წესებს დამორჩილებულმა რწმენა-წარმოდგენებმა თუ „იზმებმა" შეიძლება ადამიანის საქციელი თუ მიზანი ეპოქალურ-ინდივიდუალური ნიშნებით აღბეჭდონ, მაგრამ მისი მარადიულ-

გონითი საწყისების წარმომქმნელნი კი ერთეული მოძღვრებები ვერ იქნებიან. ცხადია, სიცოცხლის პოტენციური შესაძლებლობების ეპოქალური, შინაარსობრივ-ფორმალური განსახიერების ძალით მოძღვრებები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. ფშავხევსურთა ტრადიციული წეს-ჩვეულებები, თქმულება-გადმოცემები, ცხოვრებისეული ამბები ვაჟას ძვირფას შემოქმედებით წყაროდ მიაჩნდა და არქაული მასალის შინაარსს დიდი მონდომებით იყენებდა. ზოგადადამიანური, მარადიული სულიერი მოვლენები, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარი სოციალური ნორმების ზემოქმედებით შეიძლება ერთიმეორისაგან ფორმალურად განსხვავდნენ, ეპოქის იერი შეიძინონ. წეს-ჩვეულებათა ცვალებადობა ადამიანთა სულიერებაში აირეკლება. გვაროვნულ-თემური ყოფიდან დაწყებული დღემდე ცხოვრების თანმხლები ადათ-წესები, რწმენა-წარმოდგენები, სარიტუალო ნორმები თუ თეორიული შეხედულებები თავისებურად ცვლიდნენ, ამდიდრებდნენ ადამიანის სულიერ-გონით სახეს, ხასიათს, მაგრამ დასაბამიერ მარადიულ გრძნობებს კი ხელახლად არასოდეს ქმნიდნენ. მარადიულ გრძნობათა რაობის ახსნისაკენ მიმართული ინდივიდუალურ-პიროვნული შესაძლებლობები მხოლოდ მათ ბაზაზე ქმნიდნენ ნორმებსა და წეს-ჩვეულებებს. ადათთა შემოქმედების დანიშნულება მიმართული იყო ადამიანის სოციალურ-რელიგიური, მორალურ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ცხოვრება, მართალია, მუდმივად მიჰყვება „თანდათანობის წესით“ ცვალებადობის პრინციპს, მაგრამ მასში მაინც ბევრი რამ არის ათასწლეულობით გამძლე. ცხოვრებაში სწორედ ადათები, რწმენისა და სარიტუალო მოქმედების ფორმები გამოირჩევიან დიდი გამძლეობით: „ჩვენს ცხოვრებაში ბებერი აზრი, ბებერი ჩვეულება, ბებერი გრძნობა ძალიან ბევრია, ხოლო გარჩევა ერთსა და მეორეს შორის ისაა, რომ ბებერი აზრები და ჩვეულებანი დიდხანს, ძალიან დიდხანს სცოცხლობენ, თუ ადამიანმა ძალად არ მოუსპო მათ არსებობა; ამ მოსპობით, რასაკვირველია, უკეთესდება ცხოვრება, ადამიანს ბედნიერება ემატება, მაგრამ მაგარი ის არი, რომ ადამიანს ძალიან ეძნელება ამ ბებერი აზრების განდევნა, თავიდან მოშორება, რადგან ისინი უკვე ჩვეულებად ქცეულან“.[1] ჩვეულების ძა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ზოგი რამ ფიქრებიდან“, თხზულებათა სული კრებული ათ ტომად, ტ. IX. თბ., 1964 წ., გვ. 380.

ლის შესახებ კი ოცი წლის პოეტი წერს: „ო, ჩვეულებავ, რა ხარ?" შენა ხარ პირველი ბუნებითი კანონი, კაცის გულში იდგამ ხოლმე თავიდანვე ფესვებს და იმიტომაც გაქვს ეგრეთი ძალა. კაცმა აზრი თავის ცხოვრების წინ გააქცია, დაანინაურა, შენ კი წინ მოიგდე კაცი და ზურგში მათრახის ცემით მიარბენინებ, შენზედ ძლიერი არა მოვლენა არ არის კაცის ცხოვრებაში".[1] ადათების შეცვლის პროცესი, მწერლის აზრით, ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათ ემორჩილება. ცხოვრების წინ გაქცეული აზრი არის საფუძველი ნორმათა გაუმჯობესებისა. ცხოვრების წინ, პირველ ყოვლისა, ზნეობრივი იდეალი მირბის. საერთოდ კი ადათების, ეთიკური ნორმების გარეშე დედამიწაზე არავის უცხოვრია. ეთნიკურ-ეთნოგრაფიული თავისებურებები და ამა თუ იმ ერის თვითმყოფადი სახე დაწერილი თუ დაუწერელი ადათების დაცვა-შენახვის დონითაც ფასდებოდა. ამიტომაც, ვაჟა-ფშაველას აზრით, ეთნოგრაფიული მოვლენები ხშირად დიდ მწერლებს საკაცობრიო ღირებულების ნაწარმოებებს შეაქმნევინებდა. მისი რწმენით, ჰომეროსი, რუსთველი, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე, პუშკინი და ბევრი სხვა ნიჭიერი შემოქმედი თავისი ხალხის ადათწესებიდან, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებიდან, პოეტური ფოლკლორიდან ასაზრდოებდა საკუთარ მხატვრულ სახეებს.

ვაჟა-ფშაველას პოემათა სიუჟეტებსა და მხატვრულ სახეთა სისტემაში ძველი წეს-ჩვეულებები ხშირად ახალ ადამიანურ ინტერესებთან მძაფრი დაპირისპირების ფორმით წარმოდგებოდა. მწერალი ცდილობდა ეჩვენებინა, თუ როგორ განისაზღვრებოდა ადათების ძალით გმირის ხასიათი. ამიტომ სრულიად ახალგაზრდა შემოქმედი გულმოდგინედ სწავლობდა მთის ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ადათებს, სათემო და საოჯახო ზნეობრივ ნორმებს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მოვლენების ზოგადი აზრის ახსნას. იგი დაუღალავად იღვწოდა როგორც ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ლიტერატურის კრიტიკოსი და მრავალმხრივი ინტერესების პუბლიცისტი. მისი შეუვალი პრინციპი იყო, რომ მხატვრული ნაწარმოებები შექმნილიყო ცხოვრების, ადამიანის ხასიათისა და მისი მოქმედების გარემოს ღრმა წვდომის საფუძველზე. თვითონ ყოველთვის ახერხებდა ადათების ისტორიულ-სოციალური ბუნება ზუსტად წარმოედგინა თავის შემოქმედებაში. პოეტის ფანტაზია მკაცრ,

[1] ვაჟა-ფშაველა, „ხმა მთიდამ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, გვ. 27.

მშრალ და შეუვალ ადათებს ადამიანის დადებითი თუ უარყოფითი საქციელის მხატვრული გახსნის ჟამს აქცევდა განუმეორებელ მხატვრულ ფასეულობად. ადათების მნიშვნელობა მწერლის ეპიკურ გმირთა მოქმედებაში თავისებურად ტრანსფორმირდებოდა, ვიწროვდებოდა ან ფართოვდებოდა; ვაჟა ხელოვანი ადათებში კი არ ეძიებს სიახლეს, არამედ მათთან ინდივიდების მიმართების შინაარსში.

ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა" მწერლის შემოქმედებითი ისტორიისათვის საგულისხმო მომენტებს შეიცავს. ამ თხზულების წყაროებზე ვაჟას მსჯელობამ გახსნა გზა ხალხურ და ცხოვრებისეულ მასალასთან მწერლის შემოქმედებითი მიმართების რაობის ახსნისაკენ. პოეტის განმარტებიდან კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, თუ რა დიდი სირთულით ხასიათდება შემოქმედებითი პროცესი.

პოემა „გოგოთურ და აფშინას" წყაროდ პოეტს არ დაუსახელებია კონკრეტული ფოლკლორული ნაწარმოები, უფრო მეტიც, ნაწარმოების ქვესათაური „ძველი ამბავი", როგორც ირკვევა, თხზულების არაკის სიძველეზე არ მიუთითებს. ავტორს ის ცენზურის მოთხოვნათა შესარბილებლად და მხატვრული მიზნით გამოუყენებია. მაშასადამე, ნათელია, რომ ვაჟა ხშირად შეგნებულად, გარკვეული სახის წინააღმდეგობათა დაძლევის მიზნით თუ სხვა მოსაზრებით თავის პოემებს ქვესათაურებს ნებისმიერად აძლევდა. მეორეს მხრივ, ქვესათაურებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავდაცვითი ფუნქციის პარალელურად, ზოგ შემთხვევაში, რეალური ვითარება უნდა გამოეხატა და მკითხველისათვის მართლაც რაიმე ძველ ხალხურ ამბავზე მიენიშნებინა. ცხადია, ვაჟას აქვს ისეთი პოემებიც, რომელთაც ქვესათაური საერთოდ არ გააჩნია, მაგრამ მათში ფოლკლორის, ყოფითი ამბებისა და ადათ-წესების კვალი თვალსაჩინოა. ასეთი თხზულებებია: „გიგლია", „ეთერი", „ბახტრიონი", „სტუმარ-მასპინძელი", „ხის ბეჭი" და „მამიდის დანაბარები".

„გოგოთურ და აფშინას" შემოქმედებითი ისტორია საინტერესოა და თავისებური. ავტორმა პოემას ქვესათაურად „ძველი ამბავი" მისცა, ხოლო ამ ნაწარმოების გამოქვეყნებიდან ოცდაშვიდი წლის შემდეგ კი პოემის წყარო ასეთნაირად დაახასიათა: „გოგოთურ და აფშინა" ძველი ამბის ღირსებას მოკლებულია თითქმის სრულიად. ეს გოგოთური, პოემის გმირი სცოცხლობდა მე-19 საუკ. პირველ ხანში, ცხოვრობდა ს. ყოფჩაში. ყოფილა გოგოთური ფრიად ახოვანის ტანისა, ლამაზის სახისა და დიდი ჯა-

ნის პატრონი, მაგრამ მშვიდი და ლმობიერი. თუ არ გაუჭირდებოდა ძალიან, იგი ღონის გამოჩენას საჭიროდ არა სთვლიდა. იყო მონადირე და ომში ყოფილა თუ არა თავის სიცოცხლეში, ეს არ ვიცით. იმის მოტანილი ბრტყელი, საფლავის ქვის მსგავსი ლოდი დღესაცა გდია კოპალის სალოცავთან და ისეთი მძიმეა – ორ კაცს გაუჭირდება ამ ქვის გადაბრუნება. ჩემს ჯეილობაში მეც ბევრჯელ ვეჯაჯგურებოდი ამ გოგოთურის მოტანილს ქვას და ვცდილობდი გოგოთურზე მეტი ღონე გამომეჩინა. ეს ცდა, რასაკვირველია, ამაო იყო.

არავითარი შეტაკება გოგოთურს ხევსურ აფშინასთან არ მოჰსვლია; ჰქონდა მას ერთი შემთხვევა, როგორც ზეპირგადმოცემით გამიგია, ხევსურებთან შეჯახებისა: გოგოთურმა ქურდობაში დაიჭირა ორი ხევსური. ორივე შეკონა და მოიყვანა თავის სახლში".[1] ვაჟა იმასაც ამბობს, რომ ქურდი ხევსურებისათვის ზნეობის სწავლება გოგოთურმა თავისებური შემარცხვენელი ხალხური წესით მოინდომა და არ მიმართა მათ ფიზიკურ დასჯას. ამის შემდეგ ავტორი ახასიათებს ამ მასალასთან შემოქმედებითი მიდგომის ზოგიერთ მხარეს.

„გოგოთურ და აფშინას" წყაროდ პოეტმა წარმოადგინა ისეთი მასალა, რომელიც ხალხური მხატვრული ფანტაზიის ნაყოფი კი არაა, არამედ სინამდვილეში მომხდარი ფაქტია. ამ მთიელი კაცის ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდსა და ქცევა-გარეგნობას მისი თანამედროვეების ყურადღება მიუქცევია, თუმცა გოგოთურის ვინაობა ხალხური პოეტური სიტყვიერების თემად არ გადაქცეულა. ივარაუდება, რომ გოგოთური მწერლის მამის ან პაპის თანამედროვე იყო. მასალაზე დაკვირვებისას ბუნებრივად ჩნდება კითხვები: რატომ უწოდა ვაჟამ ამ მართლაც „ძველი ამბის ღირსებას" მოკლებულ არამხატვრულ ცხოვრებისეულ მასალას ზეპირგადმოცემა, თქმულება? ზეპირგადმოცემის ან თქმულების ტერმინოლოგიურ სამოსელში მოქცევა ამგვარ მასალას ბუნებას ვერ შეუცვლის და ხალხურ პოეტურ ნაწარმოებად ვერ გადააქცევს. ამ ამბავს ორი თაობის მეხსიერებაში არამხატვრულადაც შეეძლო არსებობა. საყურადღებოა ის, თუ რამ განაპირობა ასეთ წყაროზე დაყრდნობილი თხზულების მოქცევა იმ პოემათა რიგში, რომელთა ხალხურობაზეც ავტორი მსჯელობდა. საქმე ის არის, რომ პოეტმა საკუთარ პოემათა წყაროებში, ტერმინოლო-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 367.

გიური თვალსაზრისით, ცალ-ცალკე არ გამიჯნა ხალხური მხატვრული ნიმუშები და ხალხში მომხდარი შემთხვევები. ეს განსხვავებული მოვლენები ვაჟამ ხალხური წყაროს ცნების ზოგად შინაარსში მოათავსა. მან ზეპირგადაცემა, თქმულება, არაკი დაარქვა მხატვრულ ნიმუშსაც და ცხოვრებისეულ შემთხვევაზე ჩვეულებრივ მონათხრობსაც. პოეტმა ზედმიწევნით აღწერა ყოველივე, ხოლო აღწერილის მხატვრულ და არამხატვრულ ბუნებაზე თვითონ წარმოჩენილ მასალას უნდა მიეთითებინა. როგორც ჩანს, ხალხური მასალის ცნებაში ვაჟა ყოველთვის არ გულისხმობდა პოეტურ-მხატვრულს, ხშირად ხალხურს უწოდებდა ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ფაქტებს და მათზე უბრალო მონათხრობს – ხალხურ ზეპირგადმოცემას, არაკს.

პოემა „გოგოთურ და აფშინა“ არ დარჩენილა ხალხური პოეზიის მოტივებსა ან ყოფით წეს-ჩვეულებებთან სიახლოვის გარეშე. აქაც ზოგიერთი ხალხური ჩვეულებისა თუ ტიპური ყოფითი ფაქტის მხატვრულმა განსახიერებამ პოემა ხალხურ შემოქმედებას დაუახლოვა, მაგრამ ეს სიახლოვე მხატვრულ გავლენებზე კი არ მეტყველებს, არამედ ადათობრივ შეხედულებებსა და მათზე დამყარებულ ცხოვრებისეულ ტიპურ შემთხვევათა მსგავსებაზე მიგვანიშნებს. პოემის გმირი გოგოთური ასე მიმართავს აფშინას: „თუ მართლა აფშინაი ხარ, / იარაღთ რად მყრი, ძმისაო?/ უიარაღო გამიშვა, / ხათრი არა გაქვს ღვთისაო?! / მიწაზე როგორ ვიარო, / მზე როგორ ვსინჯო ცისაო?“

გოგოთურის ეს სიტყვები კარგად ახასიათებს იარაღაყრილი კაცის მდგომარეობასა და განცდებს. იგი შემდგომაც შეახსენებს აფშინას, რომ „კაცისად იარაღისა აყრა სიკვდილთან სწორია“. ამგვარი შეხედულება მთიელთა შორის და მათს პოეზიაში ერთობ გავრცელებული ჩანს.

აფშინას, რომელსაც ოდნავაც არ აწუხებდა სხვისი დამცირება, იარაღის წართმევა თვითონ მტკივნეულ განცდად გადაექცა. იარაღაყრილი კაცის ბედში ყოფნას მას სიკვდილი ურჩევნია. გოგოთურისა და აფშინას კონფლიქტმა განსაზღვრა პოემის ეთიკური აზრი, გამოავლინა, საზოგადოდ, ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა შინაარსი და მნიშვნელობა.

ხალხურ ლექსებში ხშირად ჩნდება მოწინააღმდეგისათვის იარაღის აყრის თემა. ხალხი ნაირნაირად აფასებს ამგვარ შემთხვევებს და ძირითადად ტრადიციის მოთხოვნებს მიჰყვება; აღიარებს, რომ უბრძოლველად იარაღის დათმობა მეტად საძრახი ქცევაა. ხალხურ ლექსში „შიოლა და მთრეხელი“ მელექსე ასე

მიმართავს შიოლა ღუდუშაურს: „ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რადღა სთხოვდი რქისასა? – „მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა, ნაპირის ადგილისასა".[1]

მაგრამ შიოლა არ დაცხრა:

„არ დაიშალა, გადასწვდა, მხართ ნადებს მშვილდსა რქისასა

„გახლავარ ღუდუშაური, არ დაგიფერებ სხვისასა".[2]

ტრადიციის მოთხოვნით აღგზნებულმა და საკუთარი ღირსების დამცველმა მთრეხელმა კი შიოლას „გულს დახკრა, სხვაკე გაღვარდა, ფალავანს აჩხვატისასა./„კარგა ხანს სჭამე აჩხვატი, ეხლა მე გაჭმევ მიწასა".[3]

გზად შეყრილ მტერთა ბრძოლა ერთიმეორისათვის იარაღის აყრის ცდით იწყებოდა. ამგვარ შეხვედრას ხშირად თან ახლდა მუქარა და ურთიერთის გამაღიზიანებელი სიტყვებით მიმართვა. თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ერთი ხალხური ლექსი ასეთი შეხვედრის ცხადლივ სურათს წარმოგვიდგენს:

„– ბეკი ვარ ბეკურაული, კითხვა რად გინდა გვარისა?! / აბჯარნი გადმომიყარენ, სიმთელე გიჯობს თავისა! / – მე ძირად გიგაური ვარ, შამფარებელი ფარისა, / თუ აბჯარნ გადმოგიყარნე, მანდილ მეხუროს ქალისა!"[4]

სიტყვიერი გაკამათების ამგვარ ენერგიულ ტონს მალე ხმლით შერკინება მოჰყვებოდა. ეს მოტივი განსახიერდა ძალიან ბევრ ხალხურ ლექსში. ამგვარ ტიპურ ცხოვრებისეულ შემთხვევებს გამოხატავენ ხალხური ლექსები თორღვასა და ვაჟუსძის, ასევე ყარანაჰმაზისა და ყაყიჩიშვილის ორთაბრძოლების შესახებ. ამ ლექსებში გამოიხატა ერთი ნიმუში ცხოვრებისეულ შემთხვევათა ისეთი ტიპურობისა, რაც იქცევა ხოლმე ინდივიდუალური და ხალხური ქმნილებების მსგავსების მიზეზად. მრავალი ხალხური ლექსიდან ჩანს, რომ მამაკაცისათვის საბრძოლო იარაღის წართმევა, საზოგადოდ, დიდ დამცირებად ითვლებოდა.[5] მთის ფოლკლორმა ეს ვითარება ფართოდ ასახა, რაც იმის და-

---

[1] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931 წ., გვ. 15.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953 წ., გვ. 30.

[5] იხ. დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, თბ., 1887 წ., თ. რაზიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953 წ., ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული. 1931 წ.

დასტურებაცაა, რომ ხალხი აღნიშნულ საგანზე ტრადიციულ შეხედულებათა გათვალისწინებით მსჯელობდა. ცხადია, იარაღის აყრის მოტივის შემცველი ხალხური ლექსები ერთიმეორიდან არ გამომდინარეობენ. ეს გარემოება, უწინარეს ყოვლისა, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტიპური ცხოვრებისეული შემთხვევები ერთგვარად აისახებოდა ხალხის შეგნებაში, ფოლკლორში და ზოგჯერ ცალკეულ შემოქმედთანაც.

ვაჟა-ფშაველას მიერ „გოგოთურ და აფშინას“ წყაროდ აღიარებულ ამბავში იარაღის აყრაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. პოემაში კი გმირისათვის იარაღის აყრა პერსონაჟთა მორალური თვისებების წარმომჩენ ძირითად ფაქტორად მოგვევლინა. ამ ეპიზოდმა მთელი ძალით წარმოაჩინა გოგოთურის სულგრძელობა და, საპირისპიროდ ამისა, აფშინას სულმოკლეობა. გვიჩვენა ის, რომ გოგოთურს იმთავითვე სწორად წარმართავს სინდისის შინაგანი ხმა, ხოლო აფშინას სინდისის გრძნობის გასაფხიზლებლად კი აუცილებელია გარეგანი იძულება. პოემის მიხედვით აშკარა ის არის, რომ სრულიად სხვადასხვა პოზიციისა და თვითშეგნების ადამიანებმა იარაღის აყრა მტკივნეულად განიცადეს. ეს ფაქტი ორივე გმირმა გაიცნობიერა, როგორც სავაჟკაცო იდეალის დაკარგვა და ადამიანური ღირსების ხელყოფა. ამა თუ იმ მიზეზით გმირისათვის იარაღის ჩამორთმევა პერსონაჟის მძიმე სულიერ განცდათა საფუძვლადაა გადაქცეული ვაჟას სხვა პოემებშიც, კერძოდ კი, „ძაღლიკა ხიმიკაურსა“ და „ივანე კოტორაშვილის ამბავში“.

ვაჟა-ფშაველამ „გოგოთურ და აფშინას“ ეთიკურ პრობლემათა სიღრმეზე ამ თხზულების წყაროებზე მსჯელობისასვე მიგვანიშნა. მწერალმა ზოგად პლანში გაგვაცნო ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომლებმაც პოემის დაწერა შთააგონეს. წყაროების პარალელურად ავტორმა თხზულების ფაბულისა და სიუჟეტის შექმნის ზოგიერთი მხარეც უნებლიეთ წარმოაჩინა. იგი წერს: „ეს პოემა საკუთარმა ინციდენტმა დამაწერინა, გოგოთურად ვგუობდი თავის თავს“.[1] ვაჟამ პირდაპირ გვითხრა, რომ გოგოთურის სახეში თავის თავს გულისხმობდა. სამი წლის შემდეგ კი, როცა საგანგებო მიზნით კვლავ დაახასიათა „გოგოთურ და აფშინას“ შემოქმედებითი ისტორია, მან აღარაფერი თქვა პოემის გოგოთურთან ავტორის იგივეობის თაობაზე. ამ შემთხვევა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 323.

ში პოეტი მხოლოდ კონკრეტულ მიზანს ისახავდა; იგი პასუხს აძლევდა კრიტიკოს იპ. ვართაგავას საკუთარი ეპოსის ხალხური წყაროების ხასიათზე და ამიტომ საჭიროდ აღარ მიიჩნია პირადი კონფლიქტის დახასიათება. თუმცა, ბოლო ცნობაშიც ავტორმა რომელიღაც პირადი შემთხვევა და მისგან აღძრული განცდები მაინც აღიარა თხზულების შემოქმედებითი პროცესის განმაპირობებელ ერთ-ერთ მომენტად: „თუ რა პირადმა განცდამ, რა შემთხვევამ დამაწერინა „გოგოთური და აფშინა" ან ვინა მყავს გოგოთურად, ვინ აფშინად დახატული, ეგ ჩემი საიდუმლოებაა და საფლავში თან ჩავიყოლებ, მაგას არ ვიტყვი და არც საჭიროა, რადგან თქმა არაფერს შეჰმატებს საქმეს და უთქმელობაც არაფერს დააკლებს".[1]

როგორც ვაჟას მიერ მოწოდებული ცნობიდან ირკვევა, მან იცოდა გოგოთურის ხასიათის ზოგიერთი ნიშანი და ხევსურებთან მისი შეჯახების ამბავი. მაგრამ ეს მასალა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებით პროცესში ავტორის პირადმა შემთხვევამ და მისმა თავისებურად განცდამ ჩართო.

ავტორისეული ცნობის შესაბამისად ნათელია, რომ ვიღაცასთან ისეთი კონფლიქტი მოუხდა, რომელიც ასოციაციით გოგოთურისას ახსენებდა. მაშასადამე, ნაწარმოებში ყოფჩელი გოგოთური, ანუ ვაჟას სიტყვისამებრ, „ნამდვილი გოგოთური", ავტორი და პოემის გოგოთური შემოქმედებითი პროცესის ჟამს შინაგანად ეხმიანებიან და ავსებენ ერთიმეორეს.

ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ როგორი იყო სულიერ-ზნეობრივი ავლა-დიდება ავტორთან „ინციდენტში" მონაწილე ადამიანისა; გუმანი კი გვიკარნახებს, რომ მის მიერ დიდსულოვნებით დაფარული მოწინააღმდეგე, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, იმათი მსგავსი იქნებოდა, როგორი ზნეობის ადამიანთა სახეებიც აღძრა შემოქმედის წარმოსახვაში. საანალიზო პოემის შემოქმედებითი ისტორიის საკითხებზე ცნობათა მოწოდებისას მწერალმა ყურადღება გაამახვილა მასალის ტრადიციულ-ზნეობრივ ნიშნებზე. იგი „გოგოთურ და აფშინას" წყაროებს სწორედ ეთიკური თვალსაზრისით მიუდგა. ავტორმა ყოფით ამბავში ამოიკითხა, ამოიცნო ზნეობრივი ურთიერთობის ურთულესი მომენტები, განავითარა ისინი და აქცია ესთეტიკური დამოკიდებულების საგნად.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 368.

ხალხურ მასალაში დახასიათებულია გოგოთურის სილამაზე, ახოვანება, ჯანღონიანობა და მითითებულია მის ისეთ სულიერ თვისებებზე, როგორიცაა ლმობიერება, მომთმენობა, სიმშვიდე. ძალგულოვანი და ზნემაღალი გოგოთურის სახე ვაჟას ფანტაზიას ყრმობის ჟამსვე აღუბეჭდავს. როგორც თვითონ აღნიშნავს, ჯერელობისასვე საკუთარ ძალას სცდიდა კოპალის სალოცავში გოგოთურის მოტანილ ქვაზე და ღონის გამოჩენაში ეჯიბრებოდა თავისი პოემის მომავალ გმირს.[1] მასალისადმი მწერლის ამგვარი დამოკიდებულება ბევრის მთქმელია; იგი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მწერალი მასალის ანალიზისა და სინთეზის უნარს თავისი დროის მაღალ ეთიკურსა და ესთეტიკურ იდეალებთან აკავშირებდა. ვაჟა „გოგოთურ და აფშინას" ფაბულისა და სიუჟეტის ფორმირებისას ცნობილი „ხალხური" მასალიდან მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდს, ზოგიერთ ქცევასა და ჟესტს გარდასახავდა, დანარჩენი კი მისი პოეტური წარმოსახვის მიღმა რჩებოდა. განსახიერებელ ამბავს, ქცევა-მოქმედებას მწერალი აფართოებს, ანიჭებს მას განუმეორებელ მხატვრულ სიცოცხლეს. ავტორი გმირის ხასიათის სრულქმნის მიზნით ხშირად ეყრდნობა ტრადიციულ შეხედულებებს. პოემის წყაროდან ვიცით, რომ გოგოთური „ლამაზის სახისა" ყოფილა, ვაჟა-ფშაველას თხზულებაში კი გოგოთურის გარეგნობა საზოგადოდ ხალხური კაი ყმის გარეგნული უბრალოებით წარმოდგა: „კოპალის ქვასთან გამოჩნდა / კაცი მთასავით მძვინვარე, / მაიზლაზნება ზოვივით, / პირქუში, არა-მცინარე". განსაკუთრებული დაკვირვების საგნად პოეტმა გოგოთურის სულიერი სამყარო აქცია. სულიერ თვისებათაგან მნიშვნელოვნად მიიჩნია გმირის ლმობიერება, მოთმინება და სიმშვიდე. ეს თვისებები ზნეობრივი მართლგანსჯის ძირითად პირობად დასახა. ავტორს არ ავიწყდება ისიც, რომ „გოგოთურს ეჯავრება საშინლად ავაზაკობა, ქურდობა, სხვის დაჩაგვრა", ე.ი. უსამართლობა. სწორედ ეს თვისებები იქცა პოემაში გმირის მორალურ სწრაფვათა ორიენტირებად. გოგოთურის ვაჟკაცურმა სამართლიანობამ აამაღლა, ახალი ზნეობრივი იდეალისაკენ შემოაბრუნა აფშინა, დააფიქრა იგი და სიკეთისაკენ სავალი გზაც გაუხსნა.

წერილში „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი" ვაჟამ დაბეჯითებით განაცხადა, რომ გოგოთურს ვინმე რეალურად მცხოვრებ აფშინასთან შეტაკება არ ჰქონიაო. ერთხელ მას ორი ქურდი შეუპყ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 367.

რია და შეუკონია. გოგოთური შეპყრობილთა ხასიათის გამოსწორებას შერცხვენის ხალხური წესით, ე.ი. „ძაღლის სალაფავის" მირთმევით ცდილობს. ხალხური მასალის ეს ეპიზოდი ვაჟამ ესთეტიკური თვალსაზრისით მდარე ღირებულების მასალად ჩათვალა. აფშინას მეტად თავისებური სახის შესაქმნელად ავტორმა ხალხური მასალიდან ორი ქურდის მხოლოდ მძარცველური სწრაფვა გამოიყენა. მან ორი მძარცველი ერთად აქცია. ხალხურ ამბავში მძარცველთა არც გარეგნობა და არც სულიერ თვისებათა რაიმე ნიშანი წარმოჩენილი არ არის. ყოფით მასალასთან ამგვარი დამოკიდებულების შინაარსიდან ჩანს, რომ ვაჟა ზოგ შემთხვევაში ხალხურ რეალურ ამბავს ამდიდრებს ცხოვრებისეული ადათ-წესებისა და შეხედულებების მოხმობით. ცხოვრებისეული და ხალხური მასალა მას მხოლოდ ორიგინალური თხზულების სიუჟეტის შექმნის იმპულსებს აძლევს. როდესაც გაირკვევა, თუ მის პოემებში რა იყო შენარჩუნებული რეალური ამბიდან, წყაროდან ან რა ეპიზოდებმა შეიძინეს სხვაგვარი სახე, მაშინ გამომზეურდება მწერლის მიერ მნიშვნელოვნად მიჩნეული ურთიერთობები და შემთხვევათა ტიპურობის მაუწყებელი მომენტები.

„გოგოთურ და აფშინას" წყაროების დახასიათებისას პოეტმა თხზულების ფაბულისა და სიუჟეტის წარმოქმნის ზოგიერთ თავისებურებაზეც მიგვანიშნა. იგი წერს: „ხევსურების მდგომარეობამ შეჰქმნა კომბინაცია აფშინას სახით. ერთის კაცისაგან ორი კაცის შეპყრობა და შეკონვა ადვილი არ არის მაინცა და მაინც. ამან გამოიწვია ჩემს ოცნებაში ის სურათი, როცა გოგოთური მთელ იარაღს აფშინას აბარებს, აძლევს და შემდეგ უიარაღო იარაღით დატვირთულს აფშინას მთლად გაატიტვლებს".[1] აქედან კარგად ჩანს, რომ მწერლის წარმოსახვამ სრულიად შეუცვალა სახე გაგონილ ამბავს. „გოგოთურ და აფშინას" შექმნის პროცესში ვაჟა უპირატესად ცხოვრებისეული მასალიდან მომდინარე განზოგადების შესაძლებლობებს აქცევს სათავისოდ, მათ სოციალურ-ზნეობრივი შინაარსით ავსებს. იგი კერძოში ჭვრეტს ზოგად კანონზომიერებებსა და ღირებულებებს. ასე იქმნება პოემის ორიგინალური სიუჟეტი. „ნამდვილი გოგოთურის" ქცევის ზნეობრივი ღირებულება, ორი მძარცველისათვის მის მიერ მოგონილი მორალური სასჯელი, როგორც მწერალი მიუთითებს, „დამაფიქრებელი" და „სინანულის აღმძრავია". გოგოთური ფიზიკუ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 367.

რად არ სჯის შეპყრობილთ, მხოლოდ ეუბნება, რომ სხვისი სარჩოს მიმტაცებელი უღირს კერძს – „ძაღლის სალაფავს" იმსახურებსო. ხალხური მასალის აღნიშნული ეპიზოდი პოემაში არ შევიდა, თუმცა ავტორმა აფშინას სახის შექმნისას მისი გამოყენება სხვაგვარად მოახერხა. რეალური შემთხვევის ეს ეპიზოდი მწერალმა ასე შეაფასა: „ამ საშუალებამ დაბადა ჩემში აფშინას სინანული, ლოგინად ჩავარდნა, ხევისბერად შედგომა და სამუდამოდ ქურდობაზე ხელის აღება..."[1] პოეტური მიმართების ამგვარი შინაარსი გვიჩვენებს, რომ მწერალი ნაწარმოების ფაბულის, სიუჟეტისა და გმირთა ხასიათების ჩამოყალიბების პროცესშივე აღმოაჩენს ობიექტური მასალის ორიგინალურად გარდასახვის ახალ-ახალ შესაძლებლობებს. ცხადია, აქ რაიმე მზა მოძღვრებათა გამოყენება არ ხდება.

წყაროში მოხსენიებული პირადი შემთხვევის საიდუმლო ავტორმა არ გაგვიმხილა. მინიშნებული საიდუმლოს გამომჟღავნება, მართალია, ხალხური წყაროების რაობას ვერ გაგვირკვევდა, მაგრამ პოემის სიუჟეტის წარმოქმნის ზოგ თავისებურებას კი გაგვითვალისწინებდა. ვაჟას სიტყვებში იგულისხმება, რომ ავტორი პირად კონფლიქტს აქცევს ისეთ ასასახავ მასალად, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს თხზულების ფაბულისა და სიუჟეტის ქმნადობის პროცესში. თუმცა ამ კონფლიქტის რეალური ზნეობრივი არსის გამომჟღავნება პოეტმა საჭიროდ არ ჩათვალა. როგორც ვხედავთ, ავტორის პირადი კონფლიქტი იდუმალად მონაწილეობს შემოქმედებით პროცესში. ამგვარი ვითარება ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ წყაროებთან მიმართება, ამასთანავე, მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის ფორმირება სუბიექტური და ობიექტური მოვლენების რთული ურთიერთქმედების პროცესს ექვემდებარება. ამ პროცესის ჟამს ახალი მხატვრული ღირებულებები იბადება.

ვაჟა-ფშაველა იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ღრმად ჰქონდათ გათვალისწინებული სიტყვიერი ხელოვნების ზნეობრივი არსი. მისი ქმნილებების მაღალზნეობრივი ღირებულებები ავტორის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალის სიდიადით იყო გაპირობებული. პოეტის აზრით, ცხოვრება არის ადამიანის სულიერ უნართა და მოთხოვნილებათა მრავალმხრივობის გამოხატულება. ყოველივე ეს კი მჭიდროდ უკავშირდება მორალურ

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 368.

გრძნობათა რთულ მოძრაობას. ამიტომაც, პოეტის რწმენით, ლიტერატურა ადამიანის სიყვარულს, მისი სოციალურ-ზნეობრივი ბუნების წარმოჩენას უნდა ემსახურებოდეს. მწერლობას ევალება ადამიანზე ზრუნვა, ადამიანის ხასიათის ხატვა მისივე სულის სიმტკიცისა და ზნეობის ასამაღლებლად.

ყოფასა და ადამიანის ურთიერთობაში ისახება კონკრეტული და ზოგადი მნიშვნელობის მორალური ღირებულებები. ამის გამო ცხოვრების სინამდვილისა და ადამიანის სოციალური ბუნების მხატვარი ზნეობის პრობლემების გამოხატვას გვერდს ვერ აუვლის. უფრო მეტიც, გარემოსთან მრავალმხრივი შემოქმედებითი მიმართებებიდან ერთ-ერთი ძირითადი ეთიკური მიმართება ჩანს.

ვაჟა წერს: პოეტებს „უყვართ სილამაზე, რომელსაც უსათუოდ ქალის სახით წარმოადგენენ, – ბუნება, გმირობა, თავდადება, ხასიათის სიმტკიცე, საზოგადოდ ალტრუისტული მისწრაფებანი და სძულთ ძალმომრეობა, ადამიანისა ადამიანის მიერ ჩაგვრა, მონობა და ზნეობრივად დაცემა საერთოდ".[1] ადამიანის სულისა და ცხოვრების ცოდნა, მისი ზნეობრივი შეგნების მამოძრავებელ მოტივთა ღრმად წვდომა მკვეთრი ნიშანია ვაჟას მთელი მემკვიდრეობისა. მის ეპოსში მთლიანი, ჰარმონიული გმირის სახე მხოლოდ მორალური და ესთეტიკური შეფასებების პოეტური შერწყმისას გამოიკვეთება. „გოგოთურ და აფშინას" სიუჟეტი ზნეობრივი იდეალებით ერთიმეორისაგან განსხვავებულ პერსონაჟთა ცხოვრებასა და ურთიერთობებს გამოხატავს. გმირთა სრულქმნისას რეალიზებული მხატვრული სიმართლე უახლოვდება ობიექტური მასალის ცნობებს, ხალხურ არამხატვრულ ამბავს. მასალაში პოეტმა მხოლოდ მორალურ გრძნობათა მხატვრულად გარდასახვის აღმავალი შესაძლებლობები იპოვა. მან ეს შესაძლებლობა სათავისოდ აქცია და სრულიად ორიგინალური ფაბულისა და სიუჟეტის შექმნის ამოცანას დაუმორჩილა.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, მწერლობას, უწინარეს ყოვლისა, პიროვნებისა და საზოგადოების ცოცხალი ერთიანობის განმსახიერებელი ადამიანები აინტერესებს. ამგვარ ურთიერთმიმართებებში გაცხადებული რაინდული სული, კაცური კაცობა იტაცებს პოეტის ფანტაზიას. პიროვნების ქცევის მოტივებისა და ამ მოტივთა მასაზრდოებელი სუბიექტურ-ფსიქოლოგიური საწყისების ჩვენება ვაჟას ხელოვნების ძირითადი პრინციპია.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 298.

ამიტომაც მის პოემებში ადამიანი მხატვრული შემეცნების ამოუწურავ ფენომენად იქცევა. გმირთა განცდებისა და ხასიათის სიმართლე, ბუნებრიობა, დამაჯერებლობა აძლიერებს ვაჟას ეპოსის ჰუმანისტურ ნაკადს. ვაჟა მწერლობის ერთ-ერთ მოვალეობად მიიჩნევდა ახალგაზრდობის მისაბაძი იდეალური გმირის ხასიათის ჩვენებას. იგი თვითონ ხატავდა ასეთ იდეალურ გმირებს და წარმოგვიდგენდა მათ სინდისის მაღალი გრძნობით დაჯილდოებულ ადამიანებად. ვაჟას გმირთა ხასიათების სიდიადეზე გრ. კიკნაძე წერდა: „ვაჟა-ფშაველამდე ძნელი იყო იმის ფიქრი, რომ უბრალო ადამიანებში ისეთი სიღრმე ექნებოდა მორალურ გრძნობებს, როგორც ეს გოგოთურის, ჯოყოლას, ალუდას, აღაზას... შემთხვევაში გვაქვს. ვაჟამ გვიჩვენა, რომ ამ უბრალო ადამიანების სახით ჩვენ საქმე გვაქვს დიდ პიროვნებებთან".[1]

„გოგოთურ და აფშინას" პოეტურმა სახეებმა ფიზიკურ-სხეულებრივისა და სულიერის სანიმუშო ერთიანობა წარმოაჩინეს. მათში ჩაქსოვილია ადამიანის სულიერი სამყაროს ავისა და კარგის მხატვრული დახასიათების დიდი შესაძლებლობები.

ვაჟა-ფშაველა ეყრდნობოდა „ნამდვილი გოგოთურის" ცხოვრების ეპიზოდს. ცხოვრებისეულ ფაქტს საკუთარ პოეტურ მრწამსს უმორჩილებდა და ქმნიდა სრულიად ორიგინალურ სიუჟეტსა და მხატვრულ სახეებს. ობიექტურ მასალაზე აქტიურმა ზემოქმედებამ შეაძლებინა ავტორს, რომ პოემის გმირთა მოქმედება ტიპურსა და უაღრესად დამაჯერებელ გარემოში გაეშალა. მან კონკრეტულ ცხოვრებისეულ შემთხვევათა სინთეზირებით ზოგადი მნიშვნელობის, ღრმა პატრიოტული შინაარსის ნაწარმოები შექმნა. მსოფლიოს დიდი მწერლები ცხოვრებისეული მასალის შემოქმედებითი გარდასახვის თაობაზე ერთიმეორის მსგავს აზრებს გამოთქვამენ. ეს კი რამდენადმე იმაზეც მიუთითებს, რომ მათი გამონათქვამები ერთნაირ შემოქმედებით კანონზომიერებებს ემყარებიან. ცხოვრებისეული მასალისადმი მწერლის შემოქმედებითი მიმართების მიზანი, ბალზაკის აზრით, „...ის არის, რომ ანალოგიური ფაქტების შერწყმით შექმნას ზოგადი წარმოდგენა; ნუთუ მწერალი არ უნდა ისწრაფვოდეს გადმოსცეს ამბის არსი და არა მხოლოდ წვრილმანები? ამიტომ ახდენს იგი ამბების სინთეზირებას".[2]

---

[1] გრ. კიკნაძე, ვაჟას ფენომენი, კრებული ვაჟა-ფშაველას, 1966 წ., გვ. 17.

[2] ო. ბალზაკი, რჩეული თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. XV, 1955 წ. (რუსულ ენაზე).

ვაჟა-ფშაველა, მართლაც, ცხოვრებისეულ შემთხვევათა სულს სწვდებოდა და თვისებრივად მეტად ტრანსფორმირებული სახით გამოხატავდა.

ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“ წარმოგვიდგენს საპირისპირო პოზიციათა თუ თვითშეგნებათა განმასახიერებელ გმირებს. ავტორი ცხოვრებისეული რეალიების მონაწილეობით ქმნიდა გმირთა ურთიერთობისათვის უშუალო გარემოს. ამ პოემაში რეალური შემთხვევების გვერდით მთის ადათ-წესებმაც დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს; ცხადია, აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ თხზულების სიუჟეტი ან რომელიმე გმირის მხატვრული სახე სინამდვილეში მზა ნიშნებით იპოვებოდა. პოეტი მრავალ დიდ ხელოვანთა მსგავსად, შემოქმედებით პროცესში აღმოაჩენდა როგორც სიუჟეტის, ისევე გმირთა ხასიათის განვითარების შესაძლებლობებს.

„გოგოთურ და აფშინას“ პერსონაჟთა ხასიათები ადამიანის ზნეობრივი სრულქმნის, მისი „სულის დიალექტიკის“ ჩვენების პრინციპს ემყარებიან. გოგოთური სულგრძელობას, კეთილგონიერებას, ვაჟკაცურ სამართლიანობას განასახიერებს, ხოლო აფშინა – სულმოკლეობას, უსაფუძვლო ამპარტავნობასა და მძარცველურ ბუნებას. გოგოთურისა და აფშინას კონფლიქტს ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ფაქტორები განსაზღვრავენ. „ნამდვილი გოგოთურის“ ცხოვრებისეული შემთხვევიდან, კერძო ამბიდან მაღალმხატვრული ეპიკური თხზულების ფაბულის ან სიუჟეტის შექმნა მწერლისაგან დიდ სულიერ და ინტელექტუალურ აქტივობას მოითხოვდა. ეს აქტივობა, თხზულების სიუჟეტისა და გმირთა ურთიერთობის მხატვრული რეალიზების ჟამს, კერძოსა და ზოგადის ერთიანობის აუცილებელ გათვალისწინებას გულისხმობდა. წყაროებისა და ნაწარმოების ურთიერთმიმართებაში მწერლის ამგვარი პოზიცია კარგად გამოიკვეთა. ცხოვრებისეული შემთხვევა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრული თვალსაზრისით ყრუ ფაქტი იყო. ვაჟა-ფშაველას პოემაში კი იგი სახეთა და ახალ ამბავთა სისტემად, მრავალმნიშვნელოვანი ხასიათების ურთიერთზემოქმედებად გადაიქცა. ეს შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ პოეტმა რეალურ ამბავში დაინახა გამოხატვის ღირსი ჟესტი გოგოთურისა. მასალასთან ამგვარი მიმართების ბუნებაზე მოპასანი წერდა: „მწერლები ეძებენ ქცევას ან ჟესტს, რომელიც აუცილებლად იქნება ადამიანის მიერ გამოხა-

ტული განსაზღვრულ სულიერ მდგომარეობაში, განსაზღვრულ გარემოებებში".[1]

ცხოვრებისეულ ამბებს, შემთხვევებს ვაჟა-ფშაველა ყოველთვის გარდაქმნის, მათ გმირთა სულიერი დრამისა და ახალი იდეალის წარმოქნის თვალსაზრისით უცქეროდა. ასეთი შემოქმედებითი მიდგომის საგნად მიიჩნია მწერალმა გოგოთურის რეალური შემთხვევა და მასში გამოხატული ზნეობრივი შინაარსის ჟესტი. იგი პერსონაჟის ხასიათის შექმნის აღმავალ შესაძლებლობებს ისეთ გადმოცემებსა და ამბებშიც პოულობდა, რომელთა მოწმე თვითონ არ იყო. ავტორის მხატვრულ წარმოსახვაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ის, რაც უნდა ყოფილიყო კონკრეტული ისტორიული შეზღუდვების გადამლახავი იდეალის თვალსაზრისით. ამიტომაც ავტორი მასალის მკაცრი შერჩევისა და შეფასების პრინციპს მიჰყვებოდა. რეალური მასალის შეფასებისას წინა პლანზე იგი ყოველთვის ადამიანის ხასიათის ამაღლებულ და განსაკუთრებულ ნიშნებს წამოწევდა.

თუ ყოფით მასალაში ან ხალხურ ამბებში ცალკეული შემთხვევები ისე აღიწერებოდა, როგორც ფაქტი, ვაჟას ქმნილებებში ყველაფერი მოვლენათა და საგანთა რთულ ურთიერთკავშირებად ან აზრის მხატვრული განვითარების პროცესად წარმოჩნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვაჟა ახალი სიცოცხლით აღავსებდა შემთხვევათა ურთიერთდამოკიდებულებებს: ობიექტური მასალა მწერლის აზროვნების საგანი ხდებოდა და მასში ერთიმეორისაგან გამოცალკევდებოდა არსებითი და არაარსებითი ნიშნები. მწერლის ცნობიერებაში გარკვეული სახის განზოგადება ხდებოდა და იგი მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ-კომპოზიციურ მხარესა და სიტყვიერ რეალობაში წარმოჩნდებოდა.

პოემის წყაროდ მიჩნეული „ნამდვილი გოგოთურის" ცხოვრების ეპიზოდი არ არის პატრიოტული შინაარსის შემცველი. ავტორის ამ პირადი შემთხვევის მამოძრავებელი მოტივებიც უცნობია, რომლებმაც იგი პოემის შესაქმნელად განაწყვეს. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ მწერლის ცნობიერებასა და შემოქმედებით მრწამსს ქართული მწერლობის ძლიერი პატრიოტული ნაკადი ასაზრდოებდა, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები კი განაპირობებდა. სწორედ ამან შეუწყო ხელი რეალური მასალის აზრითა და გრძნობით გამდიდრებას. ამიტომ

[1] გი დე მოპასანი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1948 წ., გვ. 13 (რუსულ ენაზე).

ჩაექსოვა საანალიზო ნაწარმოების სიუჟეტში გოგოთურის მაღალი პატრიოტული ქცევისა და თვითშეგნების გამომხატველი ეპიზოდები.

ჩვენ დავახასიათეთ „გოგოთურ და აფშინას" წყაროები, რომლებიც ავტორმა გაგვაცნო ან რომლებიც, საერთოდ, ფოლკლორიდან ენათესავებოდნენ თხზულების სიუჟეტურ ეპიზოდებს. ნაწარმოების მხატვრული აზრისა და წყაროების შედარებამ ცხადყო, რომ ვაჟა, მართალია, იყენებდა ხალხურ მასალას, მაგრამ ყოველივეს ისე გარდაქმნიდა, რომ სრულიად ახალი ადამიანური ურთიერთობები და ახალი შინაარსის სახეები დამკვიდრებულიყო. საქართველოს ყველა კუთხეში შეიძლებოდა მომხდარიყო და, ამასთანავე, მაინცდამაინც ეპიკური პოეზიის წყაროდ არ გადაქცეულიყო ისეთი ლოკალური ცხოვრებისეული ფაქტი, რომელიც პოემის საყრდენად იქცა. ეს ფაქტი რაიმეთი გამორჩეული არ არის, სხვა ანალოგიური, ტიპური მოვლენებისაგან, რომელნიც ყაჩაღობისა და მასთან ბრძოლის ფორმით წარმოდგებიან. მთავარი აქ ის არის, თუ რა ნიჭისა და ინტერესების ადამიანი მოჰკიდებს ხელს შესაფასებლად ცხოვრებისეულ ფაქტს ან როგორ ფორმას მისცემს, რა მხატვრული შინაარსით აავსებს მას. მწერლის ფანტაზიის სიდიადე იმით გამოიხატება, რომ ლოკალური, თითქმის ყრუ ფაქტი მაღალი ხელოვნების რანგში აიყვანა როგორც იდეის, ასევე მხატვრული განსახოვნების თვალსაზრისით. ცხადია, ეპიკური სახეების შექმნა მხოლოდ მასალის არსებობას არ თხოულობს. როგორც თვითონ ვაჟა ამბობდა, თავი და თავი ავტორია, შემოქმედია, რომელმაც მასალისაგან სიახლე უნდა დაამკვიდროს, ერთი სიტყვა ათასად აქციოს. სიახლის დაბადებას კი, მწერლის მსოფლგაგების სიღრმე-სიფართოვის გარდა, დიდი მხატვრული ტალანტიც სჭირდება. ვაჟა ორივე ამ დიადი უნარით უხვად მომადლებული ხელოვანი იყო. მას არასოდეს ავიწყდებოდა, რომ მხატვრული ტიპი ბუნებრივ-სოციალური გარემოსა და მწერლის წარმოსახვის შესაყარზე უნდა წამომართულიყო თვისებრივად ახალ ფენომენად.

მწერლის თვალსაზრისით, დადებითი თუ უარყოფითი ღირებულების სახეები, ტიპები ერისა და კაცობრიობის ცხოვრების საჭიროებისათვის იქმნებოდნენ. მათი საჭიროების საფუძველი კი თვით ცხოვრებისა და ადამიანის არსებაში უფლობს. ცხოვრება რთული მოვლენაა და ამ სირთულეს არანაკლებ რთული ხასიათისა და სულიერ-გონითი შესაძლებლობის ადამიანები აპირობებენ. ამიტომ, ვაჟას გაგებით, ყოველი მწერალი ადამიანის არ-

სის ამოსაცნობად მასში სიკეთის, სიყვარულის, სამართლიანობის საწყისების ნათელსაყოფად იღვწის, რათა სრულქმნას ცხოვრება, ბედნიერება მიანიჭოს მკითხველს. ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლეა, ფიზიკურ და სულიერ ფენომენთა ისეთი განუყრელი ერთიანობაა, რომლის დარღვევა მხოლოდ სიკვდილს, ბუნების სიბრძნის ამ უდიდეს გამოვლინებას შეუძლია. პიროვნება მრავალმხრივ უნართა თავისებური კომპლექსია. მართალია, ადამიანის სხეული სულის საყრდენია, მაგრამ სიცოცხლის არსს მაინც სული, ანუ გონი, განსაზღვრავს; სხეულს სული ამოძრავებს, აშინაარსებს, ამოღვაწევებს და აცოცხლებს. ვაჟა ბრძანებდა: „უკვდავი მხოლოდ სული გვაქვს, სხვა ყველაფერი მჩვარია“. პოეტი, ცხადია, აქ იმასაც გულისხმობდა, რომ სულის მოღვაწეობით შექმნილი რაღაც დიადი სხეულის გაქრობის შემდეგაც არსებობს და მადლს ჰფენს ცხოვრებას.

ბუნებასა და ცხოვრებაში მოქმედი ადამიანები, ვაჟას რწმენით, თვითონ აარსებენ თავიანთი ორგვარი ყოფის სახეს, კერძოდ კი ვიტალურ-ბიოლოგიური, პრაგმატული და მაღალი სულიერ-გონითი გარჯით არსებობის მეტად თავისებურ წესრიგს. ცხოვრებაში არის ადამიანის გაორების მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი. ასეთი ვითარება იქცევა ღრმა წინააღმდეგობათა საფუძვლად. მაგრამ ეს წინააღმდეგობები, გაორების საფუძველი ისევ მაღალმა პიროვნულმა სულიერ-გონითმა შესაძლებლობებმა უნდა წარმართონ სწორი გზით. ადამიანში გაბატონებული ვიტალურ-ცხოველური სწრაფვები მაღალმა პიროვნულმა „მე“-მ უნდა დაუმორჩილოს ცხოვრების საკადრის ნორმებს. გონმა უნდა სრულყოს ადამიანი, ხოლო ამაღლებულმა პიროვნებამ, საერთოდ – ცხოვრება. სიტყვიერი ხელოვნება ასეთ მოვლენებს განასახიერებს და თვითმყოფადი სახე-ხასიათების მოქმედებით ცხადყოფს.

„გოგოთურ და აფშინა“ ერთ-ერთი ის ქმნილებაა, რომელშიც ახალგაზრდა შემოქმედის მსოფლმხედველობისა და მწერლური ოსტატობის დიდი ძალა გამოჩნდა. თხზულების კომპოზიცია, სიუჟეტი, სახეთა სისტემა, სიტყვიერი განსახიერების მრავალი ხერხი იქეთკენაა წარმართული, რომ გამოძერწოს ადამიანის ბუნება, ხასიათი, სულიერ-გონითი შესაძლებლობები და მათი მოქმედების ზოგადადამიანური მნიშვნელობა. თვალსაჩინოა ვაჟას ეპოსის პოლითემატური ხასიათი. ამიტომ ხშირად ერთი ნაწარმოების სიუჟეტში არის ხოლმე დადასტურებული თემათა, მოტივთა სიმრავლე, გმირთა პოზიციების დამოუკიდებლობა და

თავისთავადობა. რაკი საქმე ეხება პოზიციათა სიმრავლეს, პერსონაჟთა თვითშეგნების სხვადასხვაობას, ავტონომიურობას, მოტივთა თუ ხმათა პოლიფონიურობას, ცხადია, ამის გამოც იზრდება ასეთი თხზულებების ეთიკური აზრი და ღირებულება. ვაჟა-ფშაველა თვითონ იყო ფილოსოფიურად მოაზროვნე, განსწავლული და ზნეობრივად დახვეწილი პიროვნება. ამის გამოც მისი ნაწარმოებები საგსეა ეთიკური აზრით. პროფესორი გრ. კიკნაძე წერს: „ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი მხატვრული შემოქმედებით და მოქალაქეობრივი მრწამსით სიყვარულის ატმოსფეროს ქმნიდა; ის სულ იმას ცდილობდა, რომ მკითხველისთვის გაესიგრძეგანებინა ადამიანთა მოვალეობა და განემტკიცებინა ადამიანური ღირსების გრძნობა. ზნეობრივი ერთეულებია ვაჟას ალუდაც, ჯოყოლაც, აღაზაც, მინდიაც, გოგოთურიც და საზოგადოდ ყველა მისი ასე თუ ისე საგულისხმო პერსონაჟი. გოგოთურის ზნეობრივი სიმაღლე თრგუნავს აფშინას ავკაცობას; ზნეობრივი ფაქტორი ძლევს წიწოლას სულმოკლეობას. ჯოყოლას შეუბღალავი რწმენა და საკუთარი ღირსების გრძნობა უკვდავყოფს მას ჩვენს მეხსიერებაში. აფშინას, წიწოლას და ნაწილობრივ თვით აღაზას მაგალითზე გვიჩვენა ვაჟამ სინდისის ტრაგედია. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ეს არის ვაჟას ერთი ძირითადი პრობლემა".[1] სხვაგან კი ზნეობის ერთ-ერთ უძირითადეს პრინციპს, სინდისის კატეგორიას მკვლევარი მწერლის შემოქმედების დიდ თემად მიიჩნევს. „სრულიად საკმარისია თუ ვიტყვით, რომ ვაჟა მრავალგზის უბრუნდება ერთხელ განხილულ თემას და ხელახლა ასახიერებს მას".

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ იგი მთელ სინამდვილეს, წუთისოფლის ავ-კარგს მთლიანობაში აღიქვამდა, გულში ხარშავდა. რეალობასთან მწერლის დამოკიდებულება ურთულესი მოვლენაა და იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოეტი იწონებდა, განიცდიდა და გარდასახავდა სინამდვილის ნაირგვარ პოლარულ მოვლენებს. ამგვარივეა მწერლის დამოკიდებულება წინამორბედ ლიტერატურულ ტრადიციებთან. იგი აღტაცებაში მოჰყავდა „ვეფხისტყაოსნის" გმირებს, მაგრამ არანაკლები ძალით განიცდიდა ადამიანური ზნეობის ნაკლისა თუ ღირსების ისეთ მხატვრულ ხედვას, როგორიც წარმოდგენილია

---

[1] გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, კრებ. „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ", თბ., 1967 წ., გვ. 21.

სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისაში“. ეს ნაწარმოები ვაჟაზე კეთილისმყოფელ ზემოქმედებას ახდენდა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაშიც სათანადოდ არის შეფასებული. პროფ. ლ. მენაბდე წერს: ვაჟა-ფშაველას „... პროზა ზოგჯერ უბადლო იგავთმწერლის წიგნს გვაგონებს. ცალკეული ადგილები ისეთი მოთხრობებიდან, როგორიცაა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მთის წყარო“, „ხმელი წიფელი“, „ქუჩი“, „მთანი მაღალნი“ და სხვა უნებლიეთ გვაგონებს სულხან-საბას ენას, სტილს, წერის მანერას, თუმცა მათ შორის არც თემატურ-შინაარსობრივი მსგავსებაა და არც სიტყვიერი თანხვედრილობა. ვაჟას ენა, – მსგავსად სულხან-საბა ორბელიანის ენისა, მსუბუქი, მოქნილი და დახვეწილია, აზრი შეკუმშული და დაწურულია, გამოთქმა მოკვეთილი და ამომწურავია, მეტყველება ლაკონიურია. აი, სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ მსგავსებას ამ ორ მწერალს შორის“.[1] ფილოლოგიური ინტუიციით განჭვრეტილი მსგავსება სულხანისა და ვაჟას პროზის ენისა და სტილისა ცხადია. ამასთანავე, ირკვევა, რომ ვაჟა იდეურ-თემატური და წმინდა ეთიკური თვალსაზრისითაც ითვისებდა სულხან-საბას პროზას. მისი პოემა „ახუნდი“ და სულხან-საბას იგავი „გრძნეული ცოლის პატრონი“ ფაბულური ქარგით აშკარა სიახლოვეს ნარმოაჩენენ. ვაჟა ამბობდა: „ხელოვნება ქვეყნის საჭიროებას თან მისდევსო“ და ამგვარი პოზიციიდან აფასებდა როგორც ჩვენს ძველს მწერლობას, ისე თავის თანამედროვე ხელოვანთა შემოქმედებას. საჭიროების ცნებაში კი მწერალი, უწინარეს ყოვლისა, ხალხის სულიერ-ზნეობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას გულისხმობდა. სწორედ ასეთი შინაარსით იყო ხელოვნების უბადლო ნიმუში, ვაჟას გაგებით, წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“. დიდმა იგავთმწერალმა – მოძღვარმა მკითხველს თვალწინ გადაუშალა ადამიანთა სულის მოძრაობის მთელი ავ-კარგი. ვაჟა აღნიშნავდა, რომ მწერლის მიერ შექმნილი სახეები, ტიპები ეროვნულსა და საკაცობრიო თვითცნობიერებას უნდა სწევდნენ წინ. ვაჟას შეხედულებით, ხელოვნების დახმარებით ადამიანებმა უნდა გაიგონ „რანი ვართ, რას ველტვით, რა ძალი და ღონე გვაქვს გულისა და ტვინისა“.[2] ცხადია, პოეტი აყენებს საკითხს ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებ-

---

[1] ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973 წ., გვ. 324.

[2] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 401.

ლობებისა, რომელიც ხელოვნებამ დადებითი და უარყოფითი მხატვრული სახეების მოქმედების ფორმით უნდა წარუდგინოს მკითხველს, ქვეყანას. ვაჟას შეხედულებით, საყოველთაო მნიშვნელობის მქონე მხოლოდ იდეალური გმირები არ არიან, მხოლოდ ისინი არ მოიყვანენ მკითხველის გულ-გონებას მოძრაობაში. ამგვარივე მნიშვნელობა აქვს იმ მხატვრულ სახეებს, რომელნიც მახინჯი და მდაბალი ზნეობის გამო აღაშფოთებენ მათს შემფასებელს, წარმართავენ მას მანკიერების საწინააღმდეგო მიმართულებით. უარყოფითი სახეებიც საჭიროების თვალსაზრისით აძლევენ პასუხს ცხოვრებას. ასეთი პოზიციიდან აფასებდა ვაჟა ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძის სახეს. პოეტის შეხედულებით, ეროვნული მწერლის ნიჭიერება იმით იზომება, თუ რამდენად ღრმად ესმის ქვეყნის, ერის საჭიროება, მისი ნაკლი და რა უნარს იჩენს მის დასაძლევად. ბუნებრივია, კაცთა ცხოვრება, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გარდა, ხშირად უმწვავესი მორალურ-სამართლებრივი პრობლემების წინაშეც დგას. ისინი, ცხადია, ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი და თავისებურად განსაზღვრავენ საზოგადოებისა თუ ცალკეული ინდივიდების ბედს. ცხოვრება კაცთა ხასიათის გამოცდაა, გამოკვეთაა, დაუსრულებელი მოქმედებაა, რომელიც ორგვარი, კერძოდ, მოსაწონი და დასაწუნი სახით თვალსაჩინოვდება. ადამიანი, მოძრაობს, მოქმედებს, იბრძვის, მაგრამ ბრძოლა-მოქმედების მოტივების შინაარსი კი ყოველთვის ერთნაირი არ არის. მოქმედების მოტივები ხან მაღალი სულიერების ეროვნულ მოღვაწეს წარმოგვიდგენენ, ხან კი თავისებურად გალაღებულ მდაბალი ცხოველურ-ეგოისტური ლტოლვებით გატაცებულ არსებას. ადამიანის მოქმედება, მისი ასეთი თუ ისეთი საქციელი კი წარმოუდგენელია ზნეობრივ გრძნობათა განმსაზღვრელი ძალის გარეშე. ამიტომაც ნებისმიერი მხატვრული სახე ესთეტიკურთან ერთად სოციალურ-ფსიქოლოგიურსა და ზნეობრივ სამოსელსაც ითხოვს.

ვაჟა-ფშაველა, მართალია, აღიარებდა ადამიანის ხასიათზე, მისი მსოფლგაგების შინაარსზე გარემო პირობათა ზემოქმედებას, მაგრამ უფრო მეტ მნიშვნელობას მაინც პიროვნების მიერ საკუთარ შინაგან სულიერ სამყაროში ნაპოვნი უნარების სწორი მიმართულებით განვითარებას, ადამიანის თვითსრულქმნას ანიჭებდა. პიროვნული სრულქმნა კი სუბიექტურ ღირსებათა გარდა, ობიექტურ, ზოგადადამიანურ ფასეულობების ღრმა ათვისებასაც გულისხმობს. ამიტომაც, საკუთარი საქციელის გამო წუ-

ხილი თუ კმაყოფილება პოეტმა მხატვრულ სახეთა საყრდენად აქცია. არც ალუდა ქეთელაურს და არც ახუნდს გარედან არავინ აიძულებს ისე მოიქცნენ, როგორც იქცევიან. როგორც მაღალი, ისე მდაბალი ადამიანური საქციელის განმასახიერებელი თვითონ პიროვნებაა. ამიტომაც ვაჟა მწერლის უპირველეს მოვალეობად ახალგაზრდობისათვის ნიმუშად წარსადგენ გმირთა სახეების შექმნას მიიჩნევდა. მწერლის გაგებით, ლიტერატურულმა ტიპმა თვითმყოფადად, საგნობრივ-ინდივიდუალურად უნდა განასახიეროს ეროვნული და საკაცობრიო პრობლემები და ამით ხელი შეუწყოს პროგრესს ცხოვრების სასიკეთოდ გარდაქმნას. მხატვრული ნაწარმოების გმირმა ეთნოგრაფიული და ეროვნული მოვლენები შეიძლება საკაცობრიოდაც აქციოს.

მწერალი უნდა ქმნიდეს მოსაწონ და დასაწუნ სახე-ხასიათებს, რათა ამგვარად პასუხი გასცეს ცხოვრების მოთხოვნებს. ცხოვრება კი თავისი თავის გამოსახატავად ბადებდა ლუარსაბსაც, ჰამლეტსაც და დონ-კიხოტსაც. ამგვარი მსოფლმხედველობრივი შემოქმედებითი მიდგომის ბაზაზე ქმნიდა ვაჟა-ფშაველა გოგოთურის, ალუდას, ჯოყოლას, ლუხუმის, სანათას, კვირიას, ლელას, მინდიას, ქიჩირის სახეებს, ხოლო მათგან განსხვავებულად წარმოგვიდგენდა აფშინას, წიწოლას, ახუნდს, შერეს, ასლანსა და სხვებს.

პოეტის აზრით, ავისა და კარგის დაფუძნების შესაძლებლობები თვითონ ცხოვრებისა და ადამიანის არსში ძევს. მწერალი ვალდებულია იცავდეს სიკეთეს, სიმართლეს, მშვენიერებას და ებრძოდეს მის საპირისპიროს. სიკეთისათვის, სამართლიანობისათვის ბრძოლა კი ხშირად ითხოვს ადამიანის სულის ნაკლოვანი ნიშნების ჩვენებასაც. მწერლები უსამართლოს, ბოროტს, მახინჯს ცხოვრების კუთვნილებად, მის უარყოფით ღირებულებად თვლიან, ხოლო ასეთი მოვლენების მხატვრულ განსახიერებას კი ცხოვრების საჭიროებისათვის აუცილებლად მიიჩნევენ. ცხადია, რეალობაში, ცხოვრებაში არსებობენ უმაღლესი ღირებულებები, რომლებთანაც ნებისმიერი ნორმალური ადამიანი გარკვეული სახის მიმართებას ამყარებს. მაგრამ არსებობენ რელატიური ბუნების დადებითი და უარყოფითი ღირებულებებიც, რომელნიც გარკვეული მიზეზის გამო სახეს იცვლიან ან საერთოდ უქმდებიან. ცხოვრება, სიცოცხლე წარმოუდგენელია ღირებულებათა ამგვარი რანგობრივი დაპირისპირების გარეშე. საერთოდ კი ცხოვრებასა და ხელოვნებაში უარყოფითად წოდებული მოვლენები არ უნდა მივიჩნიოთ უსაზრისო, ცალმხრივად უარსაყოფ, ინდი-

ფერენტულ მოვლენებად, რადგან ისინი კაცობრიობის ცხოვრებას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ; მაშასადამე, სიცოცხლე ბოროტების, შეცდომებისა თუ სიმახინჯისაგან თავისუფალი ვერასოდეს იქნება, რადგან აღნიშნულთა მიზეზი თვით ბუნებასა და ადამიანის თვითმოქმედებაში იპოვება. ეს მუდამ ახსოვს მწერალს. მაშასადამე, სინამდვილის იდუმალებათა აუხსნელობა იყო, არის და იქნება მომავალშიც უარყოფითი ღირებულებების მხატვრული განსახიერების პირობა. თვითონ სამყარო-ბუნებისა და სიცოცხლის თვითმყოფადობა არის ასეთი თუ ისეთი ღირებულებითი მიმართებებისა და ღირებულებითი განცდების მრავალგვაროვნობის წარმომშობი.

მხატვრულ სახეში ღირებულებათა განცდა და შეფასება უშუალოდ ერწყმიან ერთმანეთს. საერთოდ, განცდისა და შეფასების სპეციფიკის ერთმანეთში აღრევა იწვევს გაუგებრობებს და ზოგჯერ ღირებულებათა იერარქიის მოშლასაც. ერთი და იგივე ღირებულებითი მოვლენის ურთიერთისაგან განსხვავებულად გაგება სწორედ განცდისა და შეფასების გაიგივების შედეგია.

ყველა დროის მწერლობა დიდ ანგარიშს უწევდა რეალობას. ამიტომაც მხატვრული სახე-ხასიათები იქმნებოდა იმგვარად, რომ მათ მოეცვა ცხოვრებისეული ღირებულებების ზოგადი შინაარსი, მათი მთლიანობითი ავ-კარგი. მწერლები რჩებოდნენ რა ერთგულნი სინამდვილის სიმართლით ათვისებისა, თითქმის ერთნაირი ძალით წარმოადგენდნენ დადებითი და უარყოფითი ადამიანური განცდებისა და იდეალების სურათს. უარყოფითი მხატვრული სახეები დადებითი ხასიათების მნიშვნელობას თავისებურად ამკვეთრებენ, ხოლო ორივე ერთად კი ადამიანებს საკუთარი სულიერ-გონითი შესაძლებლობების განვითარების გზას უჩვენებენ. ვფიქრობთ, ამიტომაც ნიჭიერი ხელოვანნი თითქმის ერთნაირ დროს და ენერგიას ახმარდნენ ადამიანური ღირსებისა თუ ნაკლის მხატვრულ განსახიერებას. იდეალური გმირი იმიტომ იყო იდეალური, მოსაწონი, რომ თავის ღირსებებს ახალი ფორმითა და უჩვეულო შინაგანი ძალით გამოხატავდა, ხოლო უარყოფითი პერსონაჟი ასევე დასაგმობი ხდებოდა სწორედ ნაკლის, ბოროტის მძაფრი, გაუგონარი ძალით გამოვლენის გამო.

ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „... მწერლობაც მაშინ არის ღონიერი, როცა მარტო ფრაზებით კი არაა სავსე, არამედ ვპოებთ მასში ან დაქვეითებულს კაცს, პოეტისაგან დახატულს, ან დიდსულოვანს ადამიანს... სურათი უფრო ცხოველად გვიდგება თვალწინ, ცხოველად, როგორც მაგალითი, – რომელიც კეთილის თვი-

სებისაა, კეთილს აღძრავს ჩვენს გულში, და თუ საზიზღარია – ზიზღსა და სიძულვილს. პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა – ისეთის ტიპებისა, რომელნიც უვარგისნია და მეორე, რომელნიც საჭირონია ცხოვრების გასაუკეთესებლად".[1] გასაგებია, თუ თვითონ პოეტი რატომ იყო დაინტერესებული რეალობაში ნაპოვნი დადებითი და უარყოფითი მოვლენების პოეტური გარდასახვით.

ვაჟა-ფშაველა სულხან-საბას დიდი ნიჭის შემოქმედად იმიტომაც მიიჩნევდა, რომ მის შემოქმედებაში იძერწებოდა ადამიანთა მართალი ცხოვრება, ხასიათი. იქ წარმოდგებოდნენ დაქვეითებული და დიდსულოვანი ადამიანებიც. სულხან-საბას სადრი მართლაც, დაქვეითებული, ზნეობრივად დაკნინებული ადამიანია. სწორედ მან მიიპყრო ვაჟას განსაკუთრებული ყურადღება. პოეტს მან გაუღვიძა სურვილი თავისი ეპოქის მოთხოვნისა და თვალთახედვის პოზიციიდან რაღაცით კიდევ გაემძაფრებინა დიდი მწერლის ნააზრევი, მისი გმირის იერსახე.

სულხან-საბამ იგავში „გრძნეული ცოლის პატრონი" დახატა ფლიდი, ხელმრუდი, ფარისეველი ადამიანის ტიპი, რომელიც ქალაქ ბაღდადის რჯულის თავია, ხალიფასთან დაახლოებული და საყოველთაოდ წმინდანად აღიარებული. როცა სადრი ხალიფასთან სტუმრად მიდის, ორი კაცი წინ მიუძღვის და გზას ასუფთავებს. ისპაანელ კაცს გააოცებს ასეთი საქციელი და მასში საკუთარი ფარისეველი ცოლის ხასიათს განჭვრეტს. ამ დროს კი მას სადრის შესახებ ეუბნებიან: „ამ ქვეყნის რჯულის თავია, ესეთი ღირსი და წმინდა არის, რომ ამისის ლოცვით დგას ეს თემი და წვიმაც და მოსავალიც ამისის ლოცვით მოვაო". მაგრამ სინამდვილეში სადრს თორმეტი ქურდი, თურმე, საკუთარ სახლში ჰყავს დამალული და მათ მთელი ბაღდადი გააძარცვინა. როცა ისპაანელმა კაცმა მისი ამბები შეიტყო, მაშინ ქურდებს ნაზირის, ვეზირის და თვით ხალიფას სალაროლა ჰქონდათ გასაძარცვი. სამივე ეს სალაროც ქურდებმა მოინადირეს. სადრი ყოველდღე ხალიფასთან სტუმრობდა, კერძოდ კი ხალიფას მისი სალაროს გაძარცვის დღესაც ეახლა.

ხალიფას აცნობეს „წმინდანის" ნამდვილი საქმეები, წაიყვანეს და საკუთარი თვალით აჩვენეს ყველაფერი. ამიტომ ხალიფამ ერთ დღეს სადრს უთხრა: „რომ დღე ყოველ ჩემს სანახავად გა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 400.

ირჯები, მეც რატომ არ მაწვევ ხოლმეო? სადრმა ხალიფა მიიწვია სახლში. ხალიფამ სადილის დროს ღვინო მოითხოვა. სადრმა, რომელიც ქურდებთან ერთად ოქროს დოქებით მიირთმევდა ხოლმე ღვინოს, გაიკვირვა, წმინდანის სახლში ღვინო რამ გახსენებინაო. ხალიფამ რჯულისთავს იქვე რჩევა ჰკითხა: „ამისთანა მპარაობა შეიქმნა, რა „უნდა ვქნაო?“ სადრმა კი უთხრა: „ყველაფერი შენი უღონობის ბრალი არისო“. მაშინ „ხალიფამ საფენი წარმოაკეცინა, კარი იპოვეს და კაცნი (ქურდები) გამოასხნეს. შერცხვა სადრსა. გამოათრივეს და, რაც ეკადრებოდა, უყვეს“. სულხან-საბა ძალიან ლაკონურად, მოჭრით ამთავრებს ამბავს. აღარაფერს გვეუბნება, რა ბედი ეწიათ ქურდებს ან მათი მფარველი სადრი რა სახით დასაჯეს. მართალია, ავტორი ამბობს, რომ „შერცხვა სადრსა“, მაგრამ ამით სასჯელი მან ვერ აიცილა.

ვაჟა-ფშაველამ, როგორც ვთქვით, ეს იგავი პოემა „ახუნდის“ წყაროდ გამოიყენა. ამბავი შეცვალა, ფაბულური ქარგა მრავალი ახალი სიუჟეტური ეპიზოდით გააფართოვა და ახალი კავშირები გამოძერწა. ვაჟას პოემაში ისპაანელი საბრალო კაცის თავგადასავალი და მისი ფლიდი, ორგული ცოლის ამბავი საერთოდ არ გამოჩნდა. ნაწარმოებში მოლა-წმინდანი ახუნდი მარტო ყაჩაღობს, ხოლო მისი პროტოტიპი სულხან-საბას სადრი თორმეტ ქურდს მფარველობს, თავად კი საძარცვავად არ დადის. იგავის მიხედვით, მართალი ისპაანელი კაცის სიკვდილით დასჯას აპირებდნენ, მაგრამ საკუთარმა მახვილგონიერებამ და გამოცდილებამ იგი გადაარჩინა. ვაჟას პოემაში ყაენმა ახუნდის მამხილებელი ორი ადამიანი სიკვდილით დასაჯა, არ დაუჯერა ნათქვამი, ცილისმწამებლად და სამეფოს სახელის შეურაცხმყოფელად მიიჩნია ისინი. სადრი და ახუნდი ერთიმეორეს ჰგვანან ფარისევლობის, პირფერობის ოსტატური განსახიერებით. ორივენი მაჰმადიანთა რჯულის თავი და წმინდანად აღიარებულნი არიან. სინამდვილეში კი ორივე ფლიდი და მლიქვნელია. მათთვის სიკეთე, ქველმოქმედება, სიწმინდე მხოლოდ ბოროტების, სისასტიკის, ავაზაკობისა და თვალთმაქცობისათვის მორგებული დროებითი ნიღაბია. სადრი თვითონ არ ქურდობს, არავის კლავს და გამოაშკარავების ჟამსაც შერცხვა. პოემის ახუნდი კი თვითონ ყაჩაღობს, ადამიანებს ჟლეტს და არავის ინდობს. მხილების დროსაც კი უტიფარია, სირცხვილისა და სიწითლის გრძნობა დაკარგული. მას კვლავ ტყუილითა და ფარისევლობით უნდა თავის ხსნა. ხალხმა თავი აღარ მოატყუებინა ახუნდს და, როგორც უსირცხვილო ყაჩაღი, სიცოცხლეს გამოასალმა. ასეთია ძირითადი მსგავსება-

განსხვავება ამ ნაწარმოებების ფაბულური ქარგისა. რაც შეეხება მათი სიუჟეტების განსხვავებულ დეტალებსა და სიტუაციებს, ცხადია, ისინი თავისთავად მრავლისმეტყველნი არიან.

ვაჟა-ფშაველამ სულხან-საბას იგავის გათვალისწინებით ექვსი თავისაგან შემდგარი პოემა დაწერა. პოეტმა თავისებურად გადაამუშავა იგავი, განავრცო და დიდი ადგილი დაუთმო ფარისევლობის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეთიკური მოვლენის, შეფასებას, მხატვრულ ცხადყოფას. პოეტი დაინტერესებულია ამ მოვლენის დინამიკით, მისი საყოველთაო მნიშვნელობით. ფარისევლობა, ანუ თვალსატყუარი გულწრფელობა, სიკეთის ქმედების გამჩვენეობა არავინ იცის, პირველად სად, როდის და რატომ დაიბადა. ის კი ცხადია, იგი უხსოვარი დროიდან მოსდევს ადამიანთა ურთიერთობას, თანდათან ფართოვდება, იხვენება და მრავალი უბედურების მიზეზიცაა. ცხადია, ვაჟა სიბილწესთან დაზავებულ ადამიანს არასრულფასოვან არსებად მიიჩნევდა. ფარისევლობა, ავაზაკობა, კაცის კვლა, სიხარბეს შენივთებულ ყველანაირ სხვა ნაკლს აღემატებოდა და ამიტომაც პოეტმა ახუნდის სახეში სცადა გაეხსნა ბუნება ამ მოვლენებისა. ეჩვენებინა მათი ზოგადი უარყოფითი მნიშვნელობა. ვაჟამ ახუნდის უღირსი ცხოვრება დახატა, მისი ინდივიდუალური ხასიათიც გვიჩვენა, მაგრამ ისიც ცხადყო, რომ მწერალს არ ძალუძს წინასწარი მიზანდასახულობითაც კი გვერდი აუაროს საყოველთაო სოციალურ-ეთიკურ შეფასებებს. სოციალურ-ეთიკური და ესთეტიკური შინაარსი პოეტური თვითმყოფადობით აღბეჭდილი ხასიათების თვითმოქმედებაში იკვეთება. ახუნდის სახეში მზამზარეული იდეების პერსონიფიცირება კი არ ხდება, არამედ მათი არსი თვითონ პერსონაჟის სიტყვასა და საქციელში ცხადდება. იგულისხმება, რომ მწერლის წარმოსახვაში ზოგადმა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა, ეთიკურ-ესთეტიკურმა თეორიულმა მიმართებებმა ინდივიდის ცხოვრების სახე უნდა შეიძინონ და ამით ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლის თანაზიარობა იდეალის რანგში აიყვანონ. ფარისევლობის ნიღაბს ამოფარებული ავაზაკობა, კაცის კვლა შეუძლებელია სიკეთეს, სულიერ სიწმინდეს, სინდისიერებას ეგუებოდეს. პოეტის მრწამსით, სიკეთე ბოროტთან თანაზიარობით, ხოლო ბოროტი სიკეთის ნიღბის გამოყენებით არ უნდა მიიღწეოდეს. როცა ფარისევლობა, ავაზაკური მომხვეჭელობა და ამგვარი მიზნით კაცის კვლაც ადამიანს ჩვევად ექცევა, როცა ბოროტი საქციელის დასაფარავად იგი სიკეთის, სიწმინდის, ჰუმანურობის ნიღაბს აიფარებს, მაშინ მისი სუ-

ლიერ-გონითი უნარები საფუძველშივე გზაკვალდაბნეულნი არიან; სინდისის გრძნობა გაუკუღმართებულ-გაორებულია, ხოლო სიცოცხლის საზრისი – არარად ქცეული. სიცოცხლის ამგვარ მორალურ-ფსიქოლოგიურ დაკნინებას აძლიერებს ის, რომ დამდაბლებული ადამიანი შეგნებულად, ავ-კარგის ცოდნით მოქმედებს და ხელყოფს მაღალადამიანურ გრძნობებს.

ვაჟა-ფშაველას მრავალი პერსონაჟი საქციელისა და ხასიათის გამომზეურებას ცხოვრებაში შეგნებულად ჩართული ადამიანის მდგომარეობიდან იწყებს და უპირატესად, სიბერემდე მიუღწევლად, ხანმოკლე თავგადასავალში გამოხატავს მის სულიერ-გონითი შესაძლებლობების ძალასა და მნიშვნელობას. აღნიშნული ეხება როგორც დადებით, ასევე უარყოფით პერსონაჟებს. ცხადია, ამით პოეტი წინა რიგში აყენებს ადამიანის ბუნებრივ უნართა ჩვენების მიზანს და არა პერსონაჟთა ცხოვრების ხანგრძლივობას. შემჭიდროებულ დროში მოქმედი გმირი ცხადყოფს ვაჟას თხზულებებში სულის მაქსიმალურ ძალასა და თვითმყოფადობას.

ვაჟა-ფშაველას „ახუნდის“ მხატვრულ მოქმედებაში პერსონაჟთა მცირე რაოდენობაა წარმოდგენილი. მათ შორის საგანგებო ყურადღება ახუნდის სახის ჩვენებას ეთმობა. ცენტრალური პერსონაჟის ხასიათი წარმოჩნდება ყაენის, ვეზირისა და ხალხის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

ვაჟას აზრით, ერის ისტორია მისი ბედის რეალიზების პროცესია და ეს პროცესი აყალიბებს ხალხის სულიერ სახეს. ერის სწრაფვები და იდეალები კი პრაქტიკულ შემოქმედებით საქმეებში ინდივიდებმა, პიროვნებებმა უნდა გამოკვეთონ. პოეტს სჯერა, რომ დიდებული ადამიანები, დაუდგრომელი მამულიშვილები ქმნიდნენ ერის სულისა და ბედის ერთობას, აწრთობდნენ მის თვითცნობიერებას. მაგრამ, პოეტის სიტყვით, ერში ყველა ადამიანი ერთნაირი უნარის და ერთნაირი საქვეყნო ინტერესების მქონე არ არის. ვაჟასაც შოთასნაირად სწამს, რომ „არ ყველა კაცი კაცია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“. მწერალი მთელი შემოქმედებითი პრაქტიკით ცხადყოფს, რომ ალუდა ქეთელაური, ახუნდი და სხვა გმირებიც საქციელს, სარბიელს, მიზან-ღირებულებებს ინდივიდუალურად ირჩევენ და ამ არჩევანის კვალობაზე გამოხატავენ თავიანთ უნარს, პიროვნულ ბუნებას. მწერლობას, მართალია, უფრო მეტად იდეალურის, მაღალადამიანურის განსახიერება იზიდავს, მაგრამ ცხოვრების მოთხოვნით მან მდაბალი, მცდარი და უგვანოც უნდა გამოხატოს.

ფარისევლობა, ყაჩაღობა, კაცის კვლა, საქვეყნო ინტერესების ანგარებითი ღალატი და მაღალზნეობრივ ფასეულობათა უარყოფა დიდი ცოდვაა. ახუნდი შეგნებულად დასდგომია ღალატის ამგვარ გზას, თუმცა ფარისევლის ნიღბის მარჯვე გამოყენებით ხალხში კი წმინდანის სახელი მოუპოვებია.

ახუნდი თავჩაღუნული, ფეხებზე ეჟვნებშებმული დინჯად დადიოდა, რათა ჭიანჭველათა და მწერთათვის ზიანი არ მიეყენებინა, ცოდვა არ დაედო და სხვა ადამიანებსაც დღენიადაგ სიბრალულის, უცოდველობისა და მაღალი ზნეობისაკენ მოუნოდებდა. მისი ამგვარი სიწმინდის ამბავი იცოდა ყველამ – უბრალო ადამიანიდან დაწყებული ყაენის ჩათვლით. ეს ერთი სახეა ფარისეველი ადამიანისა, ხოლო მეორე ასეთნაირად გამოიყურება: „მაგრამ რომ შაბინდდებოდა, მიიძინებდნენ ყველანი, უნდა გენახათ ახუნდი და მისნი ქადაგებანი! მოლის ტანსაცმელს იხდიდა, ფარ-ხმალ-ზუჩშია ჯდებოდა, სად დუქნებს სტეხდა, ხალხს სცრცვიდა, სად სრა-სახლებში ძვრებოდა... დღე ისევ გამოდიოდა, სცემდა სიწმინდის დაფ-დაფსა".

ახუნდის ფარისევლობა, ავაზაკობა გარკვეულ დრომდე დაფარულია. მის სანაცვლოდ მისი დანაშაულების გამო სხვა ადამიანებს სჯიან. ახუნდის ყაჩაღობას ხალხი ვერ წარმოიდგენს. ერთხელაც ყაენს ოთხმოცი წლის მოხუცი ქალი ეახლა და ახუნდის ყაჩაღობის ამბავი აუწყა.

ყაენმა მოხუცის ნათქვამი მთვრალის, ჭკუას მცდარის ბოდვად მიიჩნია, სამეფოს და მეფის დამცირებად ჩათვალა; ბრძანა, რომ იგი ცხენის კუდზე გამოებათ: „ჯალათთ რა ესმა ბრძანება, ასრულდა ნება მეფისა და გაიფანტა ველზედა თმა და ძვალები ბებრისა". ახლა სხვა ადამიანი ჩივის მეფესთან, ახუნდის ავაზაკობის ხმამაღლა მთქმელი. „ისიც ცხენს დააჩქლეთინეს ცხარე ცრემლების მცვივანი". ყაენის სახლში კიდევ ოცი კაცი მიიჭრა, ახუნდის ავაზაკობისა და ფლიდობის მამხილებელი; მაშინ ჭკვიანმა ვეზირმა ურჩია ყაენს: „უნდა წამალი ვეძებოთ ამ საქმის გასაჭირისა, წმინდანს რა დაუშავდება – სახლი გავჩხრიკოთ იმისა? ყეინმა „ბალი" დაუკრა, გროვაც აღარა სტირისა".

ახუნდის რეალური ცხოვრება, მისი საქციელი და ხასიათის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ნიშნები პოემის მეხუთე თავში აღიწერა. აქ გამოკვეთილია ის მოვლენები, რომლებმაც ახუნდი ფარისეველ და ავაზაკ არსებად აქციეს. მას ოქრო-ვერცხლის, თვალ-მარგალიტის ურიცხვი რაოდენობით მოხვეჭა-დაუფლების ავადმყოფური ვნება და სურვილი ამოძრავებს. საყაჩაღოდ

წასვლის წინაც „ინახულებდა სალაროს, ნივთებს სწმენდდა და არხევდა, ზოგს აკოცებდა, სხვას ჰზომდა, ზოგს ორი ხელით ასწევდა". ოქრო-ვერცხლის, თვალმარგალიტის, სპილენძისა და რვალის ნივთებით სავსე სარდაფში ახუნდი განუზომელ ბედნიერებას გრძნობდა.

ნივთების მონად ქცეული მაშინ არის ბედნიერი, როცა მათ ჭვრეტს. ნივთებს თითქოს მაგიურ რიტუალს უსრულებს და ექსტაზშიც იმყოფება. ამ დროს დაადგა თავზე ახუნდს აღშფოთებული ხალხი, ყაენი, ვეზირნი, მაგრამ წარბიც არ შეუხრია ერთ წამში ახალი სიცრუის კოშკი ააგო, ისევ წმინდანის, კეთილი ადამიანის სახე მიიღო და მეფეს აღტაცებით მიმართა: „მობრძანდით, მეფევ, მობრძანდით, თქვენი დანახვა მწყურია, აი, სადამდე მიაღწევს ხალხის მტრობა და შურია, ჩემთვის სიწმინდე შეშურდათ, მეც კი მომაცხეს მურია!"

ფარისეველმა მეფეს განუმარტა, რომ თურმე მისი სარდაფი ქურდებს ბინად უქცევიათ, ნაყაჩაღარი ქონება აქ შეუნახავთ, რათა წმინდანი კაცი ხალხს შეეჩვენებინა, დაეგმო. მისმა ფლიდობა-უზნეობამ მართლაც თვალშეუდგამ სიმაღლეს მიაღწია. როცა ახუნდს საკუთარ უცნაურ გარეგნობაზე მიუთითეს, „მაშ, ეგ საცმელი რა არის, აბჯარი მაგოტელაო?!" „ან სახე ნახშირიანი, ავაზაკური ოინი?" არც ამ ფაქტმა დააბნია და ერთხელ კიდევ ოსტატურად გამოავლინა ის, თუ სადამდე არ უნდა დაეცეს ადამიანი. იგი მეფეს ეუბნება: „აბჯარი მიტომ ავისხი, მინდა საწყლების შველაო".

აღშფოთებული ხალხი ამხელს ახუნდს, უჩვენებს მისგან წართმეულ საკუთარ ნივთებს, ის კი მაინც სხვას აბრალებს. აღშფოთებული მეფე ეკითხება: „ტყუილად ცილი დაგწამეს, ჩანადიარი სხვისია?" სირცხვილის გრძნობა დაკარგული ახუნდი პასუხობს: „სწორედ ეგრეა, რას ბრძანებთ, მაჰმადსა ვფიცავ, სწორია, თუ რამ გსმენიათ ჩემზედა – ცილის-წამება, ჭორია".

ახუნდის ამ ბოლო სიტყვებმა ხალხის მოთმინების ძაფი გაწყვიტა. საკირის ალივით ანთებული ბრბო აღარ უსმენს არც ყაენს, არც ვეზირებს და ახუნდს კლავს. ვაჟა თავისი უარყოფითი ზნე-ხასიათის მქონე პერსონაჟების მიმართაც ზოგჯერ ერთგვარად მიმტევებელია, დამნაშავეს სასიკვდილოდ ადვილად არ იმეტებს, რადგან სიცოცხლე უმაღლეს ფასეულობად მიაჩნია. თუკი ადამიანში საზრისიანი სიცოცხლისაკენ შემობრუნების იმედი, კერძოდ, სინდისის, სირცხვილისა და სინანულის გრძნობები კიდევ მოქმედებენ, მაშინ სიცოცხლის ღირსად ცნობს.

ახუნდი კი უიმედოდ დაცემული არსებაა, რომელსაც სხვათა წინაშე აღარ ძალუძს სირცხვილისა და სინანულის გამოხატვა. ნივთების მონებამ, ქურდობამ, ფარისევლობამ მთლიანად წალეკა მასში ჯანსაღი სულიერ-გონითი უნარები.

ახუნდის საქციელის ზოგადი მნიშვნელობა ნაწარმოების ბოლოს ჭკვიანმა ვეზირმა ჰუსენმა ასე შეაფასა: „ეჰ, მორჩა თათრების საქმე, მდინარე წყალმა დალია, ჩვენ მის ქურდობას ნუ ვიტყვით, სხვა საქმე მოხდა დიდია: მან ერის გულიც გაცარცვა, ჭკვას ჩაუტეხა ხიდია. ვინაც მოიგებს ერის გულს, მომავალზედა ჰკიდია. ახუნდი დიდხანს ჩვენს ერსა გზას დაუბნელებს სავალსა, ფურთხს და ლაფს მიაყრევინებს ჭეშმარიტთ წმინდანთ ნავალსა. კარგა ხანს უნდა დამუნჯდეს მართალთა კაცთა ენაო, რა უკუ აგდებს მათ ნათქვამს ერის დამდგარი სმენაო“.

ვეზირის განსჯას ხალხის მძაფრი და მართალი შეფასებები მოსდევს. ირკვევა, რომ მართლაც ახუნდის ავაზაკობა-ფარისევლობამ ერს სავალი გზა დაუბნელა და ჭეშმარიტ მამულიშვილთა სასარგებლო რჩევას აღარავინ ისმენს. ხალხში ქვეყნის ერთგულნიც უკვე ახუნდისნაირ თულებად არიან მიჩნეულნი? ერის მოტყუებული რწმენა, მისი დამდგარი სმენა, დაჩლუნგებული გონება აღარ ენდობა ბრძენთა სიტყვას. ხალხი საზოგადოებრივ სულიერ ატმოსფეროს, საერთო განწყობას ასე ახასიათებს: „ახუნდიც გვყავდა, რომ დღისით ჭიასაც არა სჭყლეტავდა, ღამით ქვეყანას აგდებდა და მთელს დუნიას ჟლეტავდა!“

სიკეთე, სამართლიანობა უსათუოდ რწმენას, იმედსა თუ ნდობას უნდა ეფუძნებოდეს. სიცოცხლის საზრისს შეუძლებელია რწმენა და ურთიერთნდობა არ ახლდეს. ავაზაკობა, ფარისევლობა სწორედ ძირეულ ადამიანურ ღირსებებს აუფასურებს და ამახინჯებს.

ვაჟა-ფშაველა ფიქრობდა, რომ ცუდკაცობის, ავაზაკობა--მომხვეჭელობის, რწმენის ღალატის, ფარისევლობის, სინდისის გაორების დროჟამისათვის გადაბრალება ქვეყნის სამავნეო ღრმა შეცდომაა და პასუხისმგებლობისაგან არავის ათავისუფლებს. უმთავრესი უძირითადესი მიზეზები ავი და კარგი საქციელისა პიროვნების არსებაში იპოვება. საზოგადოდ, ადამიანის შიგნით არსობს დადებითისა და ნეგატიურის განმასახიერებელი ძალა. ადამიანმა თავისი თავი რომ ცხადყოს, საკუთარი უნარები უნდა შეაფასოს, ისინი ობიექტურ ღირებულებებს შეუწონასწოროს და ამით შეგვიქმნას წარმოდგენა სიკეთე-ბოროტებასა თუ სამართლიანობა-უსამართლობის რაობაზე. ადამიანი, როგორც

განმცდელი და მოაზროვნე, მუდმივად ნაირგვარი არჩევანის წინაშე დგას. მისი არჩევანი, სულიერ-გონითი ჭვრეტა თუ შეფასება მიმართულია როგორც გარე სამყაროზე, ასევე შინაგან სუბიექტურ ღირსებებზე. ასე მკვიდრდება ბუნებრივ-სოციალური და პიროვნული ღირებულებების ურთიერთმიმართების შინაარსი. ეს შინაარსი შეიძლება მოსაწონიც იყოს და დასაწუნიც, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იდეალისაკენ წარმართავს სულის ძალისხმევას. გარემო და პიროვნული შესაძლებლობები ანიჭებს ძალას ადამიანს, რომ ეგოისტურ-მდაბალ ლტოლვებსა და მაღალ სულიერ სწრაფვებს შორის სწორი არჩევანი გააკეთოს და მომავლის საქციელიც მითი განსაზღვროს. ცხოველურსა და პიროვნულს შორის ზომა თუ წონასწორობა ადამიანმა უნდა დაარეგულიროს. პიროვნებას გრძნობა-გონების, სინდისისა და ნების ძალის მეშვეობით შეუძლია შეაკავოს, გარკვეულად მოთოკოს ბიოლოგიური საწყისები. ვაჟა გვიხატავს ასეთ იდეალურ გმირებს, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება. მას, როგორც დიდ ხელოვანს, აინტერესებდა სარგებლიანობის, სიმდიდრის, ნივთების ტყვე, ამასთანავე, ფარისეველი ადამიანის ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი ხასიათი. ასეთი კაცი საკუთარი სულიერ-გონითი უნარების სუბორდინაციის ძალას ვერ იჩენს. პოეტმა ახუნდის სახეში სწორედ ასეთი ადამიანის თავგადასავალი, ხასიათი და ბედი გვიჩვენა.

ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგებით, სოციალური ცხოვრება, მისივე საერთო ბუნებიდან გამომდინარე, უნივერსალურად სრულქმნილი და ყოველმხრივ რაფინირებული არასოდეს ყოფილა და ვერც იქნება; მაგრამ ჭეშმარიტ პიროვნებას ცუდ გარემოშიც ძალუძს შეინარჩუნოს მაღალი სულიერი ღირსებები. თუკი ეს ასე არ ხდება, მაშინ დამნაშავე, უპირატესად, სუბიექტის შესაძლებლობებია. ადამიანის სულიერი შესაძლებლობები მისი ცხოვრების ავ-კარგში გამოიძერწება. უხსოვარი დროიდან დღემდე ადამიანი, ინდივიდი საკუთარ პიროვნულ „მეს", სოციალურ-ზნეობრივი იდეალების დონეს ცხოვრების კონტექსტში განასახიერებდა. ცხოვრება კი ისევ ადამიანთა წყალობით ორნაირი გზით მიდიოდა და მიდის. მის ერთ გზას ამკვიდრებდნენ და მიჰყვებოდნენ მხოლოდ პირად ფუფუნებასა და ეგოისტურ ზრახვებს აყოლილი პრაგმატისტი ფარისეველი და სინდისგაორებული ადამიანები. ისინი, პოეტის სიტყვით, ფუფუნებასა და ცხოველურ განცხრომას მიიჩნევდნენ უმაღლეს ბედნიერებად. მეორე გზის დამფუძნებელი და მიმდევარი ადამიანები მაღლა იდგნენ სულიერე-

ბის სიმაღლით; ისინი სხვა ადამიანზე უანგარო ზრუნვით ამორთულნი იყვნენ მდაბალი პრაგმატისტული ცხოვრებიდან და ბუნებრივი ზომიერების დაცვით საყოველთაო სიკეთეს განასახიერებდნენ. მათთვის სამართლიანობა, სიკეთის ქმედება, მშვენიერება, სინდისიერება, უანგარობა, უმაღლეს მიზნად წარმოდგებოდა. ადამიანთა ცხოვრების ასეთი გზები მუდმივად და განუყრელად ერთიმეორის გვერდით მიედინებოდა, ხოლო მეცნიერება და ხელოვნება მათ მნიშვნელობას ხან ერთად, ხან კი ცალ-ცალკე განსჯიდა.

ცხოვრების აღნიშნულ მხარეთა სხვადასხვაობა ღრმად ჰქონდა ვაჟას გათვალისწინებული, როცა უანგარო, მაღალი ზნეობის ან გარემოსთან ფარისეველურად შეფარდებულ-შეგუებული ადამიანების სახეებს ხატავდა. პოეტის გაგებით, მაღალი გრძნობა-გონება და სიცოცხლის საზრისი უნდა გარდაქმნიდეს უვარგის ცხოვრებას და ქმნიდეს ახალს, დიადს. როცა ადამიანები ცუდის შეცვლის იმედს მხოლოდ დროთა სვლაზე ამყარებენ, დიდად ცდებიან. ცუდი ცხოვრება ინდივიდებმა, მათმა მაღალმა ეროვნულმა თუ საკაცობრიო აზრმა უნდა გარდაქმნას. სიცუდესთან ანგარებიანი, ფარისეველური შეგუება აკნინებს როგორც ინდივიდების, ასევე მთელი ერის სულიერებას. უნამუსობასთან შეგუებულ ადამიანს თავისი „მრავალჯერ გაროზგილი სინდისით" ბედნიერების დამკვიდრება არ შეუძლია. უაზრო ცხოვრებით გატაცებულ და ყველანაირ უკეთურებასთან შეგუებულ-შეფარდებული ადამიანების სამომავლო ბედის შესახებ პოეტი მეგობარს სწერს: „სხვა ყველა-ყველა ამ ლიტერატორებს რაღა ღმერთი გაუწყრათ, ესენიც დასდგომიან შეფარდების გზას. მხოლოდ იმას ჰფიქრობენ, სწერენ, რაც დაიბეჭდება და არა ჰფიქრობენ, არა სწერენ იმას, რაც მეტიჩრობაში ჩამოერთმევათ... ვინ გითხრა, ვინ, რომ შეფარდებულად არ იქცეოდეს? ზოგი შხამისა და ბოროტების გუდა გულკეთილობს, რადგანაც იცის, რომ, გულკეთილობას ბაზარი და გასავალი აქვს, მეორე ბუნებითად გულკეთილი გულშხამიანობს. ზოგი, საცა საცინელი რამ ხდება, იქა სტირის და საცა სატირელია, იქ იცინის...

ეჰ, ან რა საჭიროა, ჩემო მეგობარო, მაგალითების ჩამოთვლა! შენც კარგად იცი, რომ სადაც აზრი ამირანის ლახტს არ იქნევს, სადაც გრძნობა სიკეთისა არ აბრძოლებს მას, იქ ყოველგვარი უწესობა მოსალოდნელია, როგორც თითოეულის საზოგადოების წევრის თავში, ისრე გულში, და, მაშასადამე, საზოგადოებაც უმწყემსო ცხვარივით დაიქსაქსება და დაიღუპება, გახდება

სამგლედ და საყორნედ".[1] 90-იანი წლების ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამგვარი დახასიათებით ვაჟამ გვაუწყა, რომ ხალხის საერთო ინტერესებთან მხოლოდ ფარისეველი მომხვეჭელის სურვილებით მისვლა დამღუპველი მოვლენაა. ზემოთ მოტანილი მწერლის სიტყვების გამოქვეყნებიდან ექვსიოდე წლის შემდეგ მათი აზრი ლამის პოემა „ახუნდის" მთავარ თემად იქცა. ასე რომ, მწერლის მიერ პოემის წყაროდ, სულხან-საბას იგავის გარდა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის საქართველოს ცხოვრებაც იგულისხმება. საერთოდაც ნებისმიერ დროში და ნებისმიერი ხალხის ცხოვრებაში შეიძლება ამგვარი თემის პოვნა. თუ რა ღირებულებას წარმოადგენს ეგოისტის, ფარისეველის, ცხოველურ მოთხოვნილებათა მონადქცეული და „სინდის გაროზგილი" ადამიანის სიცოცხლე, მწერალმა ეს ახუნდის სახის შექმნით ცხადყო. პოეტი ამბობს, რომ ახუნდის საქციელმა ერს მაღალი იდეალებისაკენ სავალი გზა დაუბნელა, რაკიღა მან მაღალი და მდაბალი, საყოველთაოდ მოსაწონი და დასაწუნი ღირებულებები წინასწარი ავი განზრახვით ფარისეველურად ერთმანეთში აურია. ახუნდმა ერის გული და გონებაც გაძარცვა. ჭეშმარიტ მამულიშვილებს, მაღალი გრძნობისა და აზრის მიმყოლ ადამიანებს სახელი გაუტეხა, ხალხს მათ სიბრძნესთან მისასვლელი ნდობისა და რწმენის ხიდი ჩაუტეხა. ამით ახუნდმა ერი უნდობლობისა და სიბნელისათვის გაწირა, ხოლო ბრძენი ადამიანები – უნაყოფო, უპერსპექტივო შრომისათვის. უნდობლობის გამო ჭკვიანთა ქადაგებას ხალხი მხოლოდ ფლიდი ყაჩაღის ხრიკად აღიქვამს. სიცოცხლის ჭეშმარიტი საზრისისათვის ახუნდის ზნეობა პოეტმა სრულ არარაობად მიიჩნია, რადგან მან მოინდომა თავის თავში ერთდროულად შეეთავსებინა მოჩვენებითი კეთილი და უშუალო ბოროტი ვნებები. იგი სიკეთისქმედების ფარისეველურ ქადაგებას ბოროტის რეალიზების საშუალებად იყენებს. მაშასადამე, პირადულ-ეგოისტურმა მასში სრულიად წაშალა მაღალადამიანურის მნიშვნელობა. მართალია, ახუნდისნაირთა საქციელს საყოველთაო ურწმუნობის, უსინდისობა-უსირცხვილობის დანერგვა არ ძალუძთ, მაგრამ მაღალზნეობრივი იდეალების სრულქმნას, პროგრესს კი ძალიან დააბრკოლებენ. ფარისეველური მოქმედების ამგვარი სახე, პოეტის რწმენით, ეროვნული სულის აღმავლობისათვის უმძიმესი ბორკილია.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „წერილები მეგობართან", თხზულებანი, თბ., 1979 წ., გვ. 164.

პოეტმა ცხადი გახადა, რომ ახუნდი ზნეობრივად უარყოფითი, ადამიანის უკიდურესი ანომალიური ხასიათის გამომხატველია. მეორე ამგვარი სახე, ვფიქრობთ, ვაჟას არ შეუქმნია. მწერლის უარყოფით მხატვრულ სახეებში, ახუნდის გარდა, არავინ იპოვება, რომლის ხასიათიდან სინდისის მამხილებელი ხმა, სინანულისა თუ სირცხვილის გრძნობები მთლად გაუჩინარებულიყო. იგულისხმება, რომ ადამიანში, თუკი იგი რაიმე საქციელს განახორციელებს, ამგვარი ფენომენები უნდა მოქმედებდნენ. ვაჟამ შეძლო, რომ ახუნდი აღნიშნულ გრძნობათა გარეშე გამოეყვანა სარბიელზე და გაროზგილი თუ ჩაკლული სინდისისა და სინანულის გრძნობებზე კი იმით მიენიშნებინა, რომ იგი ზნეობრივ ადამიანებს სიწმინდისა და ქველმოქმედების ყალბი ჩვენებით თვალს უხვევდა. პოეტის რწმენით, რაკი ახუნდი ცრუ სიკეთისმოქმედი, ცრუ ქველმოქმედი და ცრუ წმინდანია, ამიტომ მისი პიროვნების შიგნით მოლაპარაკე სინდისის ხმა საერთოდ არ გაჟღერებულა. ის ვინც შეგნებულად მიდის საყოველთაო რწმენის, სიკეთისა და სამართლიანობის წინააღმდეგ, საერთოდ კარგავს საკუთარ სულიერ უნართა მოწესრიგების ძალას. ასეთ ადამიანს ცხოველი სჯობია, რადგან, ცხოველი ის არის, რაც უნდა იყოს, ხოლო ადამიანი კი იმად იქცევა, რადაც არ უნდა გადაქცეულიყო. ამგვარი სახის შექმნით ვაჟამ ცხადყო ადამიანის ხასიათის გადაგვარების, დაცემის, გაუფასურების ისეთი შინაგანი მექანიზმი, რომელიც კაცს არაკაცად აქცევს. პოეტის აზრით, არა მარტო ზეპიროვნული, იდეალური სულიერ-ზნეობრივი მიგნებები შეიძლება იყოს ადამიანში უსაზღვროდ აღმავალი, არამედ ასეთნაირადვე უზომო მასშტაბისა შეიძლება აღმოჩნდეს დაღმავალი, მდაბალი, ბოროტი, ფარისევლური, უზნეო საქციელი. აღნიშნული განსხვავებული ადამიანური ღირებულებითი მოვლენები მწერალმა შეიძლება ცალკეც განასახიეროს და ერთმანეთთან ბრძოლა-დაპირისპირების პროცესშიც. მთავარი ის არის, რომ თხზულების სიუჟეტმა, სახე-ხასიათებმა არ დაკარგონ კავშირი სიცოცხლის საყოველთაო საზრისთან, ხოლო მაღალი და მდაბალი სულიერი საწყისები კი უკიდურესი ექსპრესიულობით გამოხატონ. ამგვარია პოემა „ახუნდის“ სიუჟეტი და სახეთა სისტემა. სწორედ თვითმყოფადის, მართლაც, გამორჩეულად ამაღლებულისა და დაცემულის გამოძერწვა, ორიგინალურ ქცევასა თუ სიტყვაში აზრისა და განცდის გაცხადება არის მხატვრული ღირებულება. ასეთი მხატვრული ღირებულებების ძალით მარადიულად მოძრაობენ და იმოძრავებენ დედამიწაზე მწერლების მიერ

შექმნილი ზნემაღალი მამაცი რაინდების, ლაჩრების, ძუნწების თუ ფარისევლების ტიპური სახეები. შემოქმედთა მთავარი მიზანი კი ისაა, რომ მხატვრულ სახეში გამოკვეთონ საყოველთაო ან ზოგჯერ კი ბევრისთვის მიუწვდომელი ფენომენების კონკრეტულ-საგნობრივი ერთიანობა. მწერლის მხატვრული შეფასებით, ახუნდობა, ანუ ფარისევლობა-მომხვეჭელობით ადამიანის ხასიათის სოციალურ-ფსიქოლოგიური და მორალური შინაარსის დაცემა, მხოლოდ ინდივიდის პირადი უბედურება კი არ არის, არამედ საქვეყნო უბედურება, ერის სულიერ-გონითი შესაძლებლობების გაღატაკება-გაუფასურებაა. პოემა „ახუნდის“ სიუჟეტში განსახიერებული საქციელის ეთიკური არსი ერთმანეთთან აკავშირებს ცხოვრებისეულ-პრაქტიკული რეალობის მრავალ ზოგად მოვლენას. მაშასადამე, მისი გმირის ზნეობრივი საქციელი თავისკენ მიიზიდავს ნაირგვარ ღირებულებებს, კერძოდ, სოციალურს, რელიგიურს, მეცნიერულ-ინტელექტუალურს. ამის გამოც ეროვნული და საკაცობრიო ცხოვრებისა და იდეალის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხატვრულ სახეებს. მხატვრული სახის არსებაში გასაგნებული სულიერ-გონითი ტენდენციები უნდა მიემართებოდნენ და თავისებურ პასუხსაც აძლევდნენ ცხოვრებას, უძირითადეს სოციალურ-ადამიანურ მოთხოვნილებებს.

თავი V

სინდისის პრობლემა და მისი მხატვრული განსახიერების ფორმები ვაჟა-ფშაველას თხზულებებში

საზოგადოების ცხოვრების სრულქმნის ხანგრძლივ პროცესში ნაირ-ნაირი ასპექტით ვლინდება კულტურის მოვლენათა ურთიერთზემოქმედება. კულტურის ფენომენთა სიმრავლეში თავისებურად იკვეთება ადამიანთა მიერ განვლილი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების როგორც კონკრეტული ისტორიული თავისებურებები, ასევე ზოგადადამიანური მისწრაფებების ბუნებაც. ყოველი ერის კულტურაში აისახება ხოლმე ხალხის სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეთა აუცილებელი ურთიერთკავშირი. ამ მრავალმნიშვნელოვანი კავშირების სისტემაში კი რელიგიის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებულებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის ცხადყოფს ადამიანთა ღვაწლისა და იდეალების პროგრესულ ბუნებას, გარემოს სრულქმნის ჭეშმარიტ ტენდენციებს. ამის გამო ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის დიდმა მოაზროვნეებმა პლატონმა და არისტოტელემ დიდი შრომა გასწიეს ხელოვნებისა და ზნეობის, მშვენიერებისა და სიკეთის ურთიერთმიმართების ხასიათის გასარკვევად. ყველა დროის დიდი მოაზროვნეები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ამ რთული საკითხის მიმართ. სხვადასხვა ეპოქის მწერლებიც თავიანთ მხატვრულ ქმნილებებში თავისებურად ცხადყოფდნენ მშვენიერებისა და სიკეთის ერთიანობის შინაარსს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი ადამიანის სულის მოძრაობის სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივ-ესთეტიკური შინაარსის გამოხატვაა. მის ნაწარმოებებში, უწინარეს ყოვლისა, მორალურ-ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით არის შეფასებული XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი იდეალები, საერთოდ კი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები. პოეტი არ სჯერდება ხოლმე თავისი დროის მოვლენათა მხატვრულ ასახვას და ხშირად ახალი შინაარსით ან ახალი საჭირბოროტო კითხვების ნათელსა-

ყოფად აცოცხლებს ძველისძველ ამბებს. არქაულ ამბებს იგი ეპოქის მოთხოვნათა კონტექსტში აქსოვს, მაგრამ მათ, ამასთანავე, უნარჩუნებს უშუალოსა და ბუნებრივ სახეს. ძველ ზეპირ გადმოცემებსა და წერილობით ძეგლებში პოეტი ყოველთვის მაღალადამიანურ ხასიათებს ეძიებს და, თუ ვერ პოულობს, ცდილობს საკუთარი სულიერი ღირებულებით გაამდიდროს, ახალი დროის მოთხოვნებით აავსოს შემოქმედებითი მასალა. ამგვარი მიმართება დაამყარა პოეტმა ძველი კულტურის ისეთ ქმნილებასთან, როგორიცაა ბიბლია. პოემა „სვინიდისის“ შემოქმედებით მასალად ვაჟა-ფშაველამ ბიბლიის ერთი ეპიზოდი, კერძოდ კი კაენის მიერ აბელის მოკვლის ამბავი გამოიყენა. მან ეს მასალა ისეთნაირად გარდაქმნა, რომ ნაწარმოების სიუჟეტს ულრმესი სოციალურ-მორალური იდეები გამოეხატა. ეს ასეც მოხდა, როცა სინდისის დიადი გრძნობა ამ პოემის მთავარ თემად მოგვევლინა. სინდისის გრძნობა ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვაგვარი მოვლენის – ავისა და კარგის შემფასებელი ერთ-ერთი ძირითადი ფენომენია. ამ გრძნობის დიადი დანიშნულება მუდმივად თან ახლავს საზოგადოების წინსვლის ისტორიას. ამიტომაც ვაჟა-ფშაველა სინდისის თემას თავის მრავალ ნაწარმოებში ასახიერებს. ესაა „გოგოთურ და აფშინას“, „ალუდა ქეთელაურის“, „სტუმარ-მასპინძლის“, „ბახტრიონის“, „სისხლის ძიების“, „მთის წყაროს“, „ქუჩის“, „არწივის“, „შვლის ნუკრის ნაამბობის“ და სხვა ქმნილებათა ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი მოტივი. ამ თხზულებების სიუჟეტში გაიხსნა და გათვალსაჩინოვდა ადამიანის სულის მოძრაობის ის ზოგადი შინაარსი, რასაც სინდისს ვუწოდებთ. სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის, სამართლიანობისა და უსამართლობის, სინდისისა და პიროვნული ღირსების გრძნობები საგნობრივი სახით ვაჟა-ფშაველას გმირთა ქცევა-მოქმედებაში, მათ ერთიმეორესა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში იკვეთება. მორალური გრძნობები მწერლის თხზულებაში დაუსრულებელი დინამიკითაა განსახიერებული და ნაირნაირი ასპექტით ვლინდება მათი ძალა თუ შინაგანი ბუნება. მაშასადამე, ნაწარმოების გმირთა თავგადასავალში იკვეთება ის მაღალზნეობრივი გრძნობები, რომელთა ღირებულება ნათელს ჰფენს საერთოდ ადამიანურ მისწრაფებათა ავკარგს. აქ მოქმედებს ლიტერატურულ ქმნილებათათვის დამახასიათებელი ის კანონზომიერება, რომელიც გულისხმობს პერსონაჟთა ხასიათის გახსნას სიტყვიერ სახეებში, მუდმივ მოქმედე-

ბასა თუ ამბავთა დაძაბული მდინარეების მხატვრულ გადმოცემაში.

ვაჟა-ფშაველა ცხადყოფს, რომ ბოროტებისა და სიკეთის, სინდისიერისა და არასინდისიერის შინაარსი საზოგადოების ისტორიული განვითარების სპეციფიკით არის შეპირობებული. მწერალი თავის თხზულებებში სოციალურ მოვლენათა დაუსრულებელ მოძრაობას და პერსონაჟთა ზნეობრივი სწრაფვების ზღვარდაუდებელ ჭიდილს განასახიერებს. სინდისი სიკეთესთან, სიყვარულთან, სამართლიანობასა და მოვალეობის გრძნობებთან შეუღლებული ფენომენია და ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრულ მოქმედებაშიც ასე წარმოდგება. ადამიანური ურთიერთობის რაობის გონითი და სინდისისეული შეფასება ვაჟა-ფშაველას ქმნილებებში არსებითად ორი სახით იჩენს თავს. პირველი სახე იმით გამოიხატება, რომ სინდისისეული განსჯა ადამიანთა ქცევებს, ზნეობრივ მიწსრაფებებს მუდამ წინ უსწრებს და შემდგომი მოქმედების მომწესრიგებელ ან მასანქცირებელ ძალად გამოდის. მეორე შემთხვევაში კი ეს გრძნობა ადამიანური საქციელის შედეგს აფასებს. უკანასკნელ ვითარებაში სინდისის შინაარსი, განსჯის ხმა უპირატესად ქენჯნის ან სინანულის ფორმით ვლინდება. თუმცა იგულისხმება ისეთი ფაქტებიც, როდესაც სინდისის მიერ წინასწარ შეუფასებელ ქცევას შედეგად სიკეთე მოჰყვება. ხშირად კი ადამიანები ალღოთი, ინტუიციითაც სწვდებიან თავიანთი სწრაფვების კეთილ დაბოლოებას, ამასთანავე, სინდისის გრძნობის შეცდომა მოსალოდნელია მაშინაც, როცა ამა თუ იმ საქციელის მოტივები წინასწარ იყო შეფასებული. ივარაუდება ისიც, რომ ადამიანის გრძნობა-გონების უნართა ჭეშმარიტ მიმართულებას, ხშირად, გარეშე მაიძულებელი ფაქტორები ამრუდებენ. სინდისის გრძნობის მოქმედების აღნიშნული სახეები დიდ მნიშვნელობას იძენენ საზოგადოდ ლიტერატურული ნაწარმოებებისა და, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას ქმნილებათა მხატვრული აზრისა და სახეთა სისტემის ფორმირების პროცესში. ვაჟა-ფშაველა საკუთარ გმირთა ზნეობრივ იდეალებს საკაცობრიო ღირებულებათა ფონზე ძერწავს, ეპოქის პროგრესულ მოთხოვნილებებს უფარდებს. მისი ალუდა, გოგოთური, ჯოყოლა, აღაზა, ქიჩირი, მინდია და სხვანი მოქმედებენ სხვათაგან გამორჩეული სულიერი მოთხოვნილებების კარნახით. ისინი თავიანთ სწრაფვებს აფასებენ სიკეთის, მაღალი მოვალეობისა და სინდისის საფუძველზე. ეს გმირები აღივსებიან ხოლმე სუბიექტურ და ობიექტურ ღირებულებათა ახლებური განცდით,

რის შემდეგაც თავისუფლების შემზღუდველ ძალებს უპირისპირდებიან ღრმა შინაგანი რწმენისა და შეუვალი ნების საფუძველზე. იდეალის სრულქმნისას კი სინდისის ფენომენის მნიშვნელობა განუმეორებელია. ვაჟა-ფშაველას სიტყვისამებრ, იდეალისათვის „თავის გაწირვა ადვილად ვაჟკაცთა სულის ღონეა". მართლაც, მორალური ვაჟკაცობისა და სიმაღლისათვის წირავენ თავს პოეტის სულით ძლიერი გმირები. ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეთიკური ღირებულებების მხატვრული წვდომა, საზოგადოდ, ადამიანის ქცევათა სტრუქტურაში სოციალურ-ზნეობრივისა და ესთეტიკურის ჰარმონიული თანაარსებობის განსახიერება მიაჩნია ვაჟა-ფშაველას ლიტერატურის უმთავრეს ამოცანად.

ვაჟა-ფშაველამ სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა პოემა „სვინიდისი". ეს თხზულება 1913 წელს „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე დაისტამბა. პოეტმა თავისებური შემოქმედებითი მიმართება დაამყარა ძველი კულტურის ისეთ ძეგლთან, როგორიცაა ბიბლია. საერთოდაც, მწერლის მხატვრული ინტერესების თვალნათლივი ნიშანი ის არის, რომ თამამად გადასწვდეს ჟამთასვლით დაბინდულ მოვლენებს და ახალი სიცოცხლე მიანიჭოს მათ. პოეტის ფანტაზია პირველყოფილი ადამიანური გულუბრყვილობისა თუ ულმობლობის მხატვრულ გახსნასაც კი ცდილობს. აქ საკმარისია გავიხსენოთ მისი მოთხრობა „გოჩი".

პოემა „სვინიდისი" სამოთხიდან გამოდევნილი ადამიანების ყოფის ამსახველ ბიბლიურ ამბავს დაემყარა. კერძოდ, ავტორმა შემოქმედებითად გამოიყენა კაენის მიერ საკუთარი ძმის აბელის მოკვლის ბიბლიური ეპიზოდი. ბიბლიაში აღწერილ ამ უტრადიციო შემთხვევას დაეფუძნა ბაირონის „კაენიც". საგულისხმოა, რომ ორივე პოეტი – ბაირონიცა და ვაჟა-ფშაველაც – მასალის აღქმისა და გარდასახვის ერთიმეორისაგან განსხვავებულ გზებს ირჩევენ. ბაირონი ბიბლიის ამბისადმი დიდ ერთგულებას ამჟღავნებს. ამასთანავე, ბაირონს თავისი ნაწარმოების ორიგინალურ სიუჟეტში ახალი გმირები შემოჰყავს, მოვლენათა და ურთიერთობათა ახლებურ კავშირებს ქმნის. „კაენში" დიდი თავისებურებითაა აღბეჭდილი სახეები ლიუციფერისა, ანგელოზისა, ადასი და ზილასი. აქ დეტალურადაა გადმოცემული კაენისა და აბელის ურთიერთობა. ბაირონის თხზულება ბიბლიის სიტყვიერ ქსოვილთანაც დიდ სიახლოვეს წარმოაჩენს. ბიბლიაში წერია: „და თქვა უფალმან ღმერთმან კაინის მიმართ: სადა არს აბელ, ძმა შენი?- და თქვა: რა უწყი; ნუუკუე მცველი ძმისა ჩემისა ვარ

მე? და თქვა უფალმან: რაის ესე ჰყავ?" რამეთუ ხმაი სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამი ქვეყანით".[1] ბაირონის „კაენში" ანგელოზი ეკითხება კაენს: „სად არის შენი ძმა აბელი?" კაენი კი პასუხობს: „განა დარაჯი ვარ ჩემი ძმისა?" „ანგელოზი კვლავ მიმართავს კაენს: „ეს რა ჰქენი? შენი ძმის სისხლი მიწის გულიდან ცას შესჩივის" და სხვა.

ბაირონის „კაენის" შემოქმედებითი ისტორიის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ავტორი პერსონაჟთა გამრავლების, სიუჟეტურ სიტუაციათა კონფლიქტური ბუნების გართულებისა და განვრცობის გზას მიჰყვება. სხვაგვარია ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება მასალისადმი. იგი არ აღწერს კაენისა და აბელის ურთიერთობის დეტალებს, არ თხზავს ბიბლიური ეპიზოდების ანალოგიურ ამბებს. იგი მცირე მოცულობის ეპიკურ ნაწარმოებში კაენის გრძნობათა სამყაროს გაორების მიზეზებსა და ამ გრძნობათა შინაგანი ბრძოლის ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ მექანიზმს გვაცნობს. კაენს სინდისი ამხელს და ის კი ამ სიკეთის მაუწყებელი გრძნობის მოთხოვნას უარყოფს. ასე იბადება დანაშაული, რომელიც ქვეყანაზე სიკვდილის სახელს პირველად ამკვიდრებს. ავტორი სინდისის გრძნობის მოქმედების, მისი ძალის უგულებელყოფის ფონზე წარმოაჩენს ადამიანთა შორის მომხდარ ზნეობრივ შეცდომებს. ვაჟა-ფშაველას პოემის გმირებად უფლის ზეციური ხმა, კაენი და მისი ან, საზოგადოდ, ადამიანთა სინდისი წარმოდგა. ნაწარმოებში არა ჩანს დიდი მასშტაბის ამბების გადმოცემისაკენ სწრაფვა. ძირითადად ეს განასხვავებს მასალისადმი ბაირონისა და ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების ხასიათს. ვაჟა-ფშაველას პოემაში ავტორის ინტერესი უმთავრესად მიმართულია კაენის ხასიათის შინაგან თავისებურებათა ჩვენებისაკენ. ირკვევა, რომ მაშინაც კი, როდესაც ქვეყნად ჯერ მხოლოდ ერთი ოჯახის ოთხი წევრი არსებობს, თურმე, შესაძლოა, კეთილისა და ბოროტის, სიმართლისა და უსამართლობის დაბადება, გრძნობათა შეცდომა. პოეტმა შეუდარებელი ბუნებრიობით გამოხატა კაენის შინაგან ლტოლვათა ავ-კარგი. ბიბლიაში აბელისა და კაენის კონფილქტი, კაენის მიერ აბელის მოკვლის ამბავი მშრალად, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური აზრით არადამაჯერებლადაა აღწერილი და, ალბათ, ასეთმა ვითარებამაც აღუძრა ვაჟას უკმარისობის გრძნობა, გაუჩინა ფაქტის მხატვრულად გაცოცხლების მიზანი. ბიბლიაში ასახული სიცოცხლის

[1] ბიბლია, შექმნათა, თავი 4, მუხლი 9-10.

ხელყოფის პირველივე შემთხვევა პოეტმა მხატვრულად განაზოგადა და უშუალოდ დააკავშირა თავისი დროის საზოგადოებრივ ტკივილებთან. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, გარკვეული მიზეზებით, არაერთხელ მომხდარა ძმათა შორის სისხლის ღვრა. ამგვარი ვითარება დამატებითი იმპულსი გახდა იმისათვის, რომ პოეტს ბიბლიური მასალის ბაზაზე კიდევ ერთხელ განესახიერებინა სიცოცხლის საზრისისა და სინდისის ერთიანობის მაღალი დანიშნულება.

პოემა „სვინიდისში“ ავტორმა მხატვრულად განასახიერა მორალურ გრძნობათა ურთიერთდამოკიდებულების მრავალგვარობა. მან განსაკუთრებული ძალით სინდისის გრძნობის ის მნიშვნელობა წარმოაჩინა, რომელიც ყველა დროის ადამიანთათვის საერთო ყოფილა. პოეტმა სინდისის მხატვრული შეფასების პროცესში ღრმა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური დაკვირვებაც ჩააქსოვა. ვაჟა-ფშაველამ, როგორც აღვნიშნეთ, პოემა „სვინიდისი“ ბიბლიურ გადმოცემაზე დააფუძნა, თუმცა კი ნაწარმოების სიუჟეტს სრულიად ორიგინალური მიმართულება მისცა. თხზულების მხატვრული აზრი ცხადყოფს, რომ ადამიანის ცხოვრება-მოღვაწეობის მთელი სულიერი შანაარსი თავიდანვე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალის, ანუ ბოროტი და კეთილი საწყისების, ერთიანობასა და ჭიდილს განასახიერებს. საზოგადოდაც, ზნეობრივ გრძნობათა დაპირისპირებაში სინდისმა თავისებური მოსამართლის როლი უნდა შეასრულოს და შიგნიდან გაანათოს, დათრგუნოს ის აფექტური გრძნობები, რომლებიც ადამიანებს ეუფლებიან და ხშირად მათ მოქმედების სწორ გზასაც აცდენენ ხოლმე. ყოველი საქციელი სინდისის მოთხოვნით რომ განხორციელდეს, ამისათვის ადამიანმა ამ გრძნობის ზემოქმედებით უნდა შეაჩეროს ნაირგვარი ანომალიური ლტოლვის შემტევი ძალა, რასაც იგი ყოველთვის ვერ ახერხებს. მაცდუნებელი აფექტის ძალით დაირღვა კაენის არსებაშიც სიკეთის სამართლიანობისა და სინდისის გრძნობათა შეთანხმებული მოქმედების პრინციპი. იგი უარყოფს სიბრალულისა და სიყვარულის, სიკეთისა და სამართლიანობის გრძნობებს, გვერდს უვლის სინდისის მოთხოვნას და ამგვარად მოქმედებს. ასეთ გზას კაენი კაცთაშორის უმძიმეს დანაშაულთან, ძმისმკვლელობასთან მიჰყავს. კაენის ხასიათში ყოველთვის ბოროტი ლტოლვები იმარჯვებენ, ხოლო მართლმხედველი გრძნობა სინდისისა უგულებელყოფილია. სიჯიუტის მიუხედავად, ბოლოს კაენს მაინც შეაშფოთებს სინდისის გრძნობა. ავტორის რწმენით, შეუძლებელია არსებობ-

დეს სინდისისა თუ სხვა მორალური გრძნობებისაგან მთლად დაცლილი ადამიანი. კაენმაც იგრძნო თავისი ქცევის საშინელება. სინდისის ხმა ამხელს, ტანჯავს მას, როგორც ბოროტების ჩამდენს. მისი ხასიათის ნიშნები მრავალნაირი კუთხითა და ნიუანსით გამოვლინდა პოემის სიუჟეტში. ნაწარმოების დასაწყისშივე გამოიკვეთა ის აზრი, რომ უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი ადამიანიც კი ცდილობს, თავის საქციელს გამართლების საბუთი მოუძებნოს, თავი დაიმშვიდოს. კაენიც ამგვარი სიმშვიდის მოპოვებას მაშინვე ცდილობს, როცა „ჯერ კიდევ სველი – ძმის სისხლით – ხელი ჰქონდა ძმის მკვლელსა, ცოდვისა მქნელსა".

კაენის საქციელმა, კერძოდ კი სიპი ქვით აბელისათვის თავის მოჭრის სურათმა, მთელი სამყარო შეძრა. იგი ადამიანისადმი თანაგრძნობით აავსო. „ნორჩმა ბუნებამ", ანგელოზებმა, ატირებულმა ვარსკვლავებმა პირველად გაიგონეს საზარელი სიტყვები: „მოასვენებენ მკვდარს. ეს ხმა ისმის: „სიკვდილი!" „მკვდარი!" სამყარო იძვრის".

ამ ამბის შემდეგ ბუნების წარმონაქმნი ცხარე ცრემლებად იღვრებიან, შფოთავენ, კვნესიან და კანკალებენ, ხოლო პირველი ცოდვა კაცის კვლისა შეუფერხებლად გავრცელდა მთელს დედამიწაზე: „აბელის სისხლი იქცა დიდ ტბადა, ნისლმა შესრუტა, ავიდა ცადა, შემდეგ ამ ნისლმა მთელი ქვეყანა მორწყო სისხლითა უხვად ყველგანა".

პოეტის რწმენით, არც ბოროტება და არც სიკეთე ერთი ადამიანის კუთვნილება არ არის. ისინი მხოლოდ სხვა ადამიანებთან, ხალხთან მიმართებისას იჩენენ ნამდვილ შინაარსს. ბოროტსაცა და კეთილსაც ზემოქმედებისა თუ გავრცელების დიდი გასაქანი აქვს.

ვაჟა-ფშაველა არც ამ ნაწარმოებში ღალატობს მეტაფორული წარმოსახვების პოეტურ გზას. მხატვრული განსახიერებისას სინდისიც პერსონიფიცირებულად, ადამიანური პორტრეტითა და იდეალით წარმოადგინა. კაენი დანაშაულის მამხილებელმა სინდისმა შეარცხვინა, ააფორიაქა შინაგანად და იგი ამიტომ ევედრება უფალს: „ეს დამაშორე, მეუფევ, შენა, რამაც ჩემს გულში აიდგა ენა. მაკმარე, ღმერთო, იმ ხმისგან წყენა!"

ეს მრჩეველი ხმა, პოეტის რწმენით, მაღალადამიანურის უკვდავების საწინდარია. იგი მუდმივად თან სდევს ყველა დროის ავისა თუ კეთილის მოქმედ ადამიანს. ეს „მწვრთნელი" ხმა აბელის მოკვლის წინვე აფრთხილებდა აფექტურ გრძნობათა ბურუსში გახვეულ თუ ცივი გონების მოთხოვნებს აყოლილ კაენს:

„მაშინაც ეს ხმა ამბორგვდა, მწვრთნიდა. აბელის მოკვლა ძალიან სწყინდა, „ცოდვაა“, – ამას მეუბნებოდა, – „ნუ ჰკლაო, ნუო მეურჩებოდა“.

კაენი ჭეშმარიტ ადამიანურ მოთხოვნილებებსა და განცდა-განწყობილებებს უკუღმა წარმართავს, ცდილობს, სიკეთისა და სინდისისაგან თავი დაიხსნას. იგი მხოლოდ ასეთი მიმართულებით იჩენს ნებისადმი ერთგულებას: „უნდა დავიხშო ეს მეორე ხმა, სინანულისა რაღაც გულისთქმა. რის კაენი ვარ, თუ ვერ შევძელი, მას, რაც ჩემშია, დავრიო ხელი?!“

უფალი ანუ „ხმა ციდან“ ჩააგონებს კაენს სინდისისადმი ერთგულებას, ურკვევს ამ გრძნობის მნიშვნელობას. მკაცრი ციური ხმა თავისებურად განსჯის სიტუაციას და ასე მიმართავს კაენს: „დიდი საუნჯე მე შენ მოგეცი, რომ ამემაღლე მოსისხლე მხეცი. შენ კი დასწიხლე ეგ მადლი დიდი და სჩივი, სული რომ არ გაქვს მშვიდი, შე უბედურო, მით ღმერთს აგინებ, როს შენს მწვრთნელს ხმასა ეგრე აყივნებ“.

ამ ხმამ ვერ დაამშვიდა კაენი. იგი ეურჩება უფალს, ავის მსურველს უწოდებს მას და, თავის მხრივ, ნატრობს, როგორმე მოიხელთოს, ხელში ჩაიგდოს სინდისი, რომ აბელის დღე დააყენოს.

პოემის მეორე თავიდან კაენის სახე ქრება. ამის შემდეგ იხატება ცხოვრების ის სურათი, რაც კაენის სულისკვეთებათა მიმყოლი, სინდისისა და სიკეთის უარმყოფელი სხვა ადამიანების საქციელმა დაამკვიდრა. ბოროტის ბაძვის გამო გამოჩნდნენ წყეული ადამიანები: „ძმების გამცემნი, გადარეულნი, შხამით მთვრალები, მოფარფატენი, თავის სამშობლოს მოღალატენი“.

ავტორის რწმენით, მართალია, კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ხედავს სინდისის სამართალს, უსმენს მის კეთილ ხმას, მაგრამ სინდისისეული რჩევა მაინც ობლადა რჩება.

დასუსტებული, მაგრამ გაუწყვეტელი ძაფი სინდისის სიცოცხლისა ახლაც მხნეობს, არა ცხრება. პოეტს ღრმად სწამს ამ ხმის მნიშვნელობა. მან იცის, რომ ადამიანთა ცხოვრების მთელი ისტორია, მისი ჩამორჩენა თუ წინსვლა, ხალხისა და სინდისის ურთიერთმიმართებაზე, მათი ბრძოლისა და ერთიანობის რაობაზეა დაფუძნებული. ამიტომაც ამ ბრძოლით, დაპირისპირებით თუ თანხმობით განსაზღვრულია ბედი ხალხისა და მეფეთა. „ხარჯის მიმცემთ და ხარჯის მკრეფეთა“ ჯანსაღი, ფხიზელი და აქტიური სინდისის გრძნობაზე ბრუნავს კაცთა ბედის ბორბალი.

ასე რომ, „ხმა ეს ხალხს ებრძვის, სვინდისს – ხალხი, – მაზედა ბრუნავს ამ სოფლის ჩარხი“.

ეს სტრიქონები და ნაწარმოების სხვა ეპიზოდებიც გამოავლენენ იმ აზრს, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია ბრძოლისა და დროებით შეთანხმებათა ისტორიაა. ზნეობრივი გრძნობებისა და იდეალების შინაგანი დინამიკაც უპირატესად ამგვარ წესს ემორჩილება. ადამიანთა სოციალურ-კულტურული ყოფის სრულქმნა ზნეობრივი გრძნობებისა და მათ შორის სინდისის გრძნობის ენერგიული ზემოქმედების გარეშე შეუძლებელია. სინდისის ნაკლი თუ მაღალი ღირსება ადამიანების პრაქტიკულ მოღვაწეობაში ცნაურდება. მათი საქმეები თვითონ მეტყველებს სინდისის ჭეშმარიტ შინაარსზე.

სინდისი ღვთის წინაშე ჩივის, რომ თავის წმინდა ვალს ვერ აღასრულებს. იგი მწარედ იტანჯება, რადგან „უსვინდისოდა დღეს კაცნი მხდიანო“. სინდისი რაკი ადამიანებს შეეჯიბრა, მათ სიკეთისა და სამართლიანობის გზები უჩვენა, შეიჯავრეს, უღონოდ ქმნილი თავიანთი წრიდან განდევნეს. იგი ემუდარება დამბადებელს, გადაარჩინოს, შეიფაროს, რადგან კაცთა შორის ყოფნა აღარ ძალუძს.

ცხადია, უფალს აკვირვებს სინდისის ასეთი თხოვნა. მან უწყის, თუ რა დაემართება უსინდისოდ დარჩენილთ. სინდისის უარმყოფელი მსოფლიო წახდება, დაიღუპება კაცთა სიკეთე, გონიერება და თვით ბუნების სილამაზეც. ბუნების ლამაზი ქმნილებები არსებობის აზრს დაკარგავენ. უსინდისოდ კაცთა იდეალის, სიყვარულისა და გარჯის ღირებულებაც გაქარწყლდება. თუ სინდისი თავის წმინდა ვალს ვერ აღასრულებს, მაშინ ზეციურ ხმას თვალწინ წარმოუდგება ბუნების მრავალი გაუფასურებელი ქმნილება.

ამას კითხულობს ზეციური ხმა, დარაჯად დასდგომია სინდისს და მოითხოვს მისგან მხნეობას, ძალას, სამართლიანობას ბოროტების დასათრგუნავად: „ავი დატანჯე და დააღონე; კეთილის მქნელსა შეასხი ფრთები – მიეცი სვლადა მრავალი გზები. რამ დაგალაჩრა, რისთვისა ჰკრთები?“

დიალოგი უფალსა და სინდისს შორის თანდათან დაძაბული ხდება. სინდისი უიმედობისაკენ ეშვება, ხოლო უფალი მრჩევლიდან მბრძანებლად გადაიქცევა. იგი სიკვდილის პირად მისულ და დატანჯულ სინდისს უკრძალავს ცად ასვლას: „არ შეიძლება, გიბრძანებ, კვალად განასპეტაკო ქვეყანა ძალად, დაადეგ თავზე ამოწვდილ ხმალად!..“

ნაწარმოებში პოეტმა შექმნა სინდისის ისეთი განზოგადებული მხატვრული სახე, რომლის ფუნქციებმა მთელი დედამიწის ავ-კარგი მოიცვა. სინდისი ავკაცობას დაუსუსტებია, მისი გულსაკლავი და შემზარავი ქვითინი ისმის. შავი ჯანღებით ჩამობურულა არემარე და მთა-ბარი თითქოს დასაქცევად გამზადებულა. ამგვარ ფონზე ქვესკნელის ძალების ჭექა-ქუხილის მსგავსი ხარხარი ისმის და ეს გესლიანი ხარხარი დედამიწას აზანზარებს.

ვაჟა-ფშაველას, ბუნებრივია, სინდისის ცვალებადობა-მოქმედების დროითა და სივრცით შემოფარგლული საზღვრები არ დაუწესებია. მწერლის მიზანი ნათელია. მისი რწმენით, სიკეთის, სამართლიანობის, მოვალეობისა და სინდისის გრძნობები მარად მებრძოლი, მოქმედი და ცვალებადნი არიან. მათი ეს ბუნება თავისებურად აპირობებს კაცთა ცხოვრების ბედსა თუ უბედობას, ცალსახოვნებას თუ მრავალფეროვნებას. ცხადია, სანამ კაცობრიობა იარსებებს, მანამდე არც სინდისის მრჩეველი ხმა დადუმდება. ვაჟა-ფშაველამ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შემოქმედმა, დიდი ენერგია მოახმარა ზნეობრივი გრძნობებისა და კერძოდ კი სინდისის გრძნობის მხატვრულად გათვალსაჩინოებას. ისტორიულმა გარემომ აიძულა იგი, სიცოცხლის ბოლო წლებშიც პოემა „სვინიდისში" კვლავ საგანგებოდ დაეხასიათებინა ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრების სპეციფიკა. ამ ნაწარმოებში პოეტმა სამიოდე პერსონაჟი წარმოგვიდგინა. ესენია: კაენი, უფლის ზეციური ხმა და პერსონიფიცირებული გრძნობა სინდისისა. თხზულების შინაარსი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მწერალმა სცადა ფართო მნიშვნელობის ზნეობრივი გრძნობების პოეტური განსახიერება. ზნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – სინდისი გადააქცია პოემის მთავარ თემად. შემოქმედნი, საზოგადოდ, ამა თუ იმ იდეალის რეალიზებისათვის მებრძოლ გმირებს გვაცნობენ. ეს ასეა ვაჟა-ფშაველას მრავალ ნაწარმოებშიც. პოემა „სვინიდისში" კი მხატვრული სიტყვაცა და მოქმედებაც არსებითად ზოგადი ეთიკური პრობლემის გახსნას დაექვემდებარა.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ფანტაზია უიმედოს, უგრძნობსა და უმოქმედოს ვერ ეგუება. ამიტომაც პოეტი საგანთა და მოვლენათა განპიროვნებას უმნიშვნელოვანეს პოეტურ ხერხად მიიჩნევს. იგი თავის ნაწარმოებებში არა მარტო მნათობებს, მთებს, მდინარეებს, წყაროებს, ცხოველებსა და მცენარეებს აცოცხლებს თუ აადამიანურებს, არამედ კაცთა ცალკეულ გრძნობებსაც. სინდისის გრძნობის გაპიროვნებასაც ამ პოემაში დიდი მხატვრული ფუნქცია დაეკისრა. სინდისი მხოლოდ ადამიანის

კუთვნილებაა. იგი მისი არსების გრძნობადი და გონისეული საწყისების ერთიანობას გამოხატავს. მიუხედავად ყოვლისმომცველობისა, სინდისი მაინც საკუთრივი შინაარსის მქონე ფენომენია და მთლიანად ადამიანურის ტოლფარდი ან მისი გადამფარავი ცნება არ არის. იგი პიროვნული არსებობისა და შესაძლებლობების მაკონტროლებელი ერთი მხარეა. ვაჟა-ფშაველამ კი, როცა სინდისი პერსონიფიცირებულ სახედ აქცია, ამით მის საკუთრივ შინაარსს, კერძო ფუნქციებს სხვა მრავალი ადამიანური უნარი მიაკუთვნა. განპიროვნების მხატვრულმა ხერხმა უსაზღვრო მასშტაბი შეიძინა, კერძოდ, ნაწილი მთლიანის შინაარსითა და ფუნქციით დაჯილდოვდა. ამ ხერხის წყალობით მწერალმა სულის მოძრაობის სიღრმისეული მოვლენა ადამიანიდან თითქოს გარეთ გამოიტანა და თვალსაჩინო მხატვრულ სახედ აქცია. სინდისი ცრემლისმფრქვეველი, სასოწარკვეთილი და მთაზე დაჩოქილი მაევედრებელი ადამიანის სახით წარმოდგა. მოვლენათა და საგანთა პერსონიფიცირებისაკენ პოეტის მუდმივი ლტოლვა ხშირად უშუალოდაა დაკავშირებული მსოფლმხედველობრივი ტენდენციების ნათელყოფასთან. მხატვრული განსახიერების ასეთი გზა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიაც კარგად ეგუება ვაჟაფშაველას გმირთა ეთიკური და ესთეტიკური იდეალების დამკვიდრების მიზანს. აღნიშნული მიდგომით პოეტმა ღრმად სუბიექტური, უხილავი მოვლენა საგნობრივი თვალსაჩინოებით დააჯილდოვა და ამით სინდისის გრძნობის პიროვნებათა სულის სიღრმეში მოქმედი თავისებურებები მხატვრულ ღირებულებად აქცია. დიდმა შემოქმედმა ამგვარი ხერხით გააფართოვა ადამიანის სულიერ-არსობრივი ძალების ესთეტიკური წვდომის საზღვრები. საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველამ მეტაფორული აზროვნების პრინციპს დაუმორჩილა ცნობიერების სხვადასხვა მხარეთა ურთიერთობის ბუნება. ასეთ პოეტურ მოღვაწეობას ისევ და ისევ ადამიანის ქცევის მოტივთა ზნეობრივი ღირებულების გარკვევის სურვილი მართავს.

ამ პოემაში განპიროვნებულმა სინდისმა მთლიანობაში მოიცვა ადამიანის ცხოვრების რაობა, მისი სოციალურ-ზნეობრივი ბუნება. პოეტს სურს, რომ სინდისმა, როგორც მთლიან პიროვნებასთან გატოლებულმა მოვლენამ, ჩაიხედოს საკუთარ არსებაში და თვითონვე განიცადოს სინდისის ქენჯნა. ამიტომაც ვაჟა-ფშაველას პოეტური ხელოვნების წყალობით სინდისი წარმოდგა ადამიანის გარეგნობით, გრძნობა-განცდებით, იდეალით და ყოველივე ამის განმსახიერებელი პლასტიკური მოძრაობებით. პო-

ემის სიუჟეტი ცხადყოფს, რომ სინდისი ფხიზელი და თანამიმდევრულია. იგი მრჩევლის წმინდა ვალს არასოდეს ივიწყებს, თუმცა კაენი და მისი ბუნების ადამიანები არ უსმენენ. სინდისი ამის გამო ვერ აღასრულებს ვალს და უიმედობაში ვარდება. სინდისის ხმა, სინდისის მსჯავრი, მიმართული გარემოსა და საკუთარი თავისადმი ადამიანებს ნაირნაირი ღირებულებების დაფასებაში ეხმარება. იგი, როგორც შემფასებელი უნარი, გრძნობად-ინტელექტუალურის ერთიანობას განასახიერებს. ვაჟა-ფშაველამ მისი ფუნქცია მრავლისმეტყველი ადამიანური ხატით წარმოადგინა. სინდისის ქენჯნის სატანჯველში ჩავარდნილი სინდისის უჩვეულო მხატვრული სახე შექმნა: „ენახე მე ეს ხმა, თმა-გაწეწილი, ნაცემ-ნაგვემი და დათენთილი დაჩოქილიყო მაღალს მთაზედა ცრემლი ჩამოსდის ღვარად თვალზედა; ხელ-აპყრობილი ესწრაფის მასა, როგორმე მოგვსხლტეს, აფრინდეს ცასა".

ღმერთთან დრამატულ დიალოგში ჩაბმული სინდისი ასე მიმართავს დამბადებელს: „შენ რაც დამარქვი, ის აღარ მქვიან, ვაი, რომ მივხვდი, საწყალი, გვიან. ამიტომ ვსტირი, ვიტანჯვი ძრიან: უსვინდისოდა დღეს კაცნი მხდიან. ხალხს შავეჯავრე, რომ შავეჯაბრე და გამომაგდო თავის წრიდანა".

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანი ის არის, რომ პოეტმა მეტაფორული აზროვნების შეუდარებელი უნარით, კერძოდ კი გაპიროვნების ყოვლისმომცველი ხერხით ერთიმეორესთან დაანათესავა სამყაროს ნაირსახოვანი მოვლენები. მის ქმნილებებში „უსულო საგნებს", „უენპირო ბუნებას" ადამიანური სული ჩაედგა, ამეტყველდა და გონით დაჯილდოვდა.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ-ეთიკური და რელიგიური შინაარსი პოემა „სინიდისში" მრავლისმეტყველი კავშირ-მიმართებების სახით გამოიხატა. მწერლის აზრით, ადამიანის გონი და სინდისი უკვდავი სიცოცხლის თანმხლები, ზედროული და ყველგან არსებული ფენომენებია. სულიერ-გონითი უნარები ადამიანს გარკვეული სახის მოქმედების პროგრამას უდგენენ, მაგრამ მისი სისწორე, საჭიროება სინდისის გრძნობამ უნდა გაჩხრიკოს, მისცეს სანქცია ნებას ჩანაფიქრის რეალიზებისა. შეიძლება გონი და სინდისი, ეს ერთიმეორესთან მუდმივად თანამოქმედი მოვლენები, დაუცხრომელი თანამებრძოლები ერთდროულად შეცდნენ და მათი „დანაშაული" დროთა სვლამ გაარკვიოს. სინდისი, ვაჟას დაკვირვებით, სასიკეთოდ მიემართება ყველა სხვა ადამიანურ უნარსა თუ მიზანსწრაფვას. იგი, გონსა და ნების ძალასთან ერთად ბუნების,

ცხოვრებისა და სიცოცხლის პირმშოა, არ ემონება კონკრეტულ დროში შედგენილ თეორიებს. პოეტის მრწამსით, არ შეიძლება ითქვას, რომ სინდისი, სინანული, სიყვარული და სხვა უკვდავი გრძნობები არიან იდეალისტური, მატერიალისტური, წარმართული, ბუდისტური, ქრისტიანული, ისლამური და სხვა. უკვდავი გრძნობები ყველგან ერთია, ისინი ცხოვრებისეულ-ადამიანური თეორიების მხოლოდ დროებითსა და მკრთალ ეპოქალურ იერს შეიძლება გამოხატავდნენ. ამიტომაც პოემაში სინდისის დანიშნულება ისე დახასიათდა, რომ ამ დახასიათებაში არანაირი თეორიული მოძღვრების გავლენა არ ჩანს. ეს გრძნობა პოეტმა დასაბამიერი, ბუნებრივი, უშუალო და თვითმყოფადი შინაარსით წარმოადგინა. სინდისის არსისა და სათავის რაობის საჩვენებლად მწერალმა კაენის მიერ აბელის მოკვლის ამბავი მოიხმო. ვფიქრობთ, ამით მან საგანგებოდ მიგვანიშნა, რომ კაენის ხასიათი, გრძნობათა მიმოქცევა და საქციელი წინ უსწრებდა ყოველგვარ თეორიულ მოძღვრებას და სწორედ ამიტომაც არის საინტერესო შემოქმედებითი მასალა. იგულისხმება, რომ კაცთა შორის მომხდარი პირველი მკვლელობის გამო აღძრული ზნეობრივი გრძნობები უშუალო და განუმეორებელი უნდა ყოფილიყო.

ვაჟას პოემაში აბელი საერთოდ არ დახასიათებულა და განსაკუთრებული ყურადღება ძმისმკვლელი კაენის სულიერი გაორების გამოხატვას დაეთმო. ბიბლიის მიხედვით, აბელი სიმშვიდეს, სიმართლეს, სიწმინდეს, რწმენის მორჩილებასა და ერთგულებას განასახიერებს. მისი ცხოვრება მალე დასრულდა და იგი ცის სიწმინდის თანაზიარი გახდა. კაენი ღმერთმა მიწაზე დატოვა და ამქვეყნიური ცხოვრების, ბრძოლის, შრომის, სულიერ წინააღმდეგობათა დაძლევის სიმბოლოდ დასახა. მისი სახით ადამიანმა გრძნობის, გონისა და ნების კავშირის საფუძველზე თავის თავში უნდა იპოვოს ზეაღსვლის, ღვთაებრივთან მიახლოების ზოგადადამიანური პრინციპები. ვაჟას გაგებით, დასაბამიდან დღემდე მოყოლებული ადამიანის სულის შინაგანი კანონზომიერებები არსებითად ერთნაირი არიან. სამყარო-ბუნებასთან, ცხოვრებასა და საკუთარ თავთან მიმართებისას ადამიანმა შეიძლება სცოდოს, შემდეგ გაასწოროს შეცდომა და კვლავ სცოდოს, კვლავ გაასწოროს და ა.შ. მაშასადამე, ცხოვრებაცა და ადამიანის სულიერი შესაძლებლობებიც ევოლუციურ პროცესს ემორჩილებიან. პოემა „სვინიდისი" ცოდვა-მადლის ჭიდილის ფონზე სულიერ მიდრეკილებათა რაობის გაცნობიერების ისტორიულ პროცესს წარმოაჩენს. ალბათ, ვერც ერთი ფილოსოფოს-ეთიკო-

სი ისე სრულად ვერ გახსნიდა სინდისის თავისთავად მნიშვნელობას, მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ და რელიგიურ ასპექტებს, როგორც ეს ვაჟამ თავის თხზულებაში განასახიერა. პოეტი კაენის ხასიათის სიღრმეებს ჩასწვდა და გვაგრძნობინა, რომ კაცობრიობა, ჩვენ, ყველანი, კაენის შთამომავალნი უფრო ვართ, ვიდრე აბელისა. აბელი მორჩილებით, სათნოებათა დაცვით თითქოს სამოთხეში მყოფ, ჯერ კიდევ უცოდველ მამას, ადამს ჰგავს. იგი მწყემსია, უშუალო, მართალი, ღვთისმორწმუნე და მორჩილი. მისი სიმართლე, სიწრფელე უფალსაც სიამოვნებს. ვინ იცის, ეგების ბიბლიის ეს ეპიზოდი აირეკლა ახალ აღთქმაში, როცა მაცხოვრის დაბადება პირველად მწყემსებს, წრფელ ადამიანებს ეცნობათ.

სრულიად სხვაგვარია კაენის ხასიათი. პოეტის აზრით, თვითონ დამბადებელმა ჩაასახლა კაენის არსებაში ყველანაირი უნარი და მათ შორის პოლარულ გრძნობათა განმსჯელი, მარადიული მოსამართლე და სულიერების დარაჯი – სინდისი. უფალმა უწყის, რომ მიწიერი ცხოვრების ამარა დარჩენილი ადამიანი სავსეა ურთიერთდაპირისპირებული გრძნობა-მისწრაფებებით. კაენის სულიერ უნართა პოლარობა ის აუცილებლობაა, ურომლისოდაც სრულქმნა, ღვთაებრივ სიბრძნესთან მიახლოება შეუძლებელი იქნება. ამგვარი ვითარებისათვის პოეტი საფუძველშივე გამორიცხავს რელიგიური დოგმების ბატონობას. კაცობრიობა, ყოველი ჩვენგანი კაენურ საწყისებს საკუთარ ცხოვრებაში მუდმივად აფუძნებს და ასახიერებს. კაენი, ბიბლიის მიხედვით, არ არის მხოლოდ უარყოფითის მაუწყებელი და მიზეზი. იგი მიწის მუშაკია, საველრებელიცა აქვს უფალთან და, თავისი გაგებით, მას შესაწირავსაც წესისამებრ მიართმევს. კაენის არსებაში ვერავინ შენიშნა და ვერავინ წაახალისა სასიკეთო საწყისები, ვერავინ წარმართა სწორი გზით მისი ცოდნა-არცოდნა და დაუოკებელი უკმარისობისა თუ ანაზდად გაჩენილი შურის გრძნობები. მისი სინდისის ჯერაც ჩამოუყალიბებელი გრძნობა, გამოუკვეთი სახე შურისა და ძალადობის ვნებით იქნა დამორჩილებული. უფლის მიერ შესაწირავის დაწუნებამ კაენს სულიერი წონასწორობა დაურღვია და აბელის მიმართ შური გაუჩინა. შურის გრძნობამ მთლად დააკარგვინა მას საკუთარ სულიერ უნართა შეწონასწორების ძალა. იგი სინდისის გრძნობის მოთხოვნას უგულვებელყოფს.

ვაჟა-ფშაველას პოემაში კაენი საკუთარ სულიერ მოთხოვნილებათა ავ-კარგში გაურკვეველი პერსონაჟია. მას აბელის მოკვლის ჟამს სინდისი ეწინააღმდეგება, მაგრამ ამ გრძნობას

სძლევს ბოროტი განზრახვა და შურის ძლიერი ვნება. კაენის სიტყვა და საქციელი მოწმობს, რომ იგი ჯერ სრულად ვერ ერკვევა სინდისის ფუნქციებში. დიდი ცოდვის შემდეგ ეს გრძნობა ტანჯავს მას, ხოლო კაენი ღმერთს ევედრება სრულიად მოაშოროს თავიდან ეს სასტიკი მამხილებელი და მრჩეველი ხმა.

ავტორის სიტყვისამებრ, კაენის მიერ დაქცეული აბელის სისხლი ნისლმა შეისრუტა და მთელი დედამიწა ცოდვით მორწყო. კაენის სულის წინააღმდეგობანი, მისი შეცდომისა და ცოდვის მიზეზები კი არ გადალახულა, არ გაუქმებულა, არამედ ერთი ათასად გამრავლდა. კაცობრიობამ საკუთარი მაღალი უნარები – სინდისი, გონი, ნება და ღვთის რწმენა – დააჩლუნგა და ძირითადად კაენური უარყოფითი საწყისები გაამრავლა, თუმცა კარგის დაცვა-განვითარებისათვისაც ბევრს ირჯებოდა. პოეტის შეხედულებით, კაენური უარყოფითის, მისეული ცოდვის ყველაზე ნიშანდობლივი გაგრძელება კაცთა წოდებრივი დიფერენცირება, ამ ნიადაგზე წარმოშობილი უსამართლობა, ძალადობა და სხვადასხვა მოდგმის ადამიანთა შორის მძარცველური ომების წარმოშობა იყო. კაენის მიერ თავის დროზე უარყოფილი სინდისის ძალა მომდევნო თაობებმაც განდევნეს სარბიელიდან, რასაც მთელი დედამიწის ცხოვრების გაუფასურება-დაცემა მოჰყვა. პოემაში ახლა უკვე კაცობრიობის მიერ განკვეთილი სინდისი ემუდარება უფალს, დააბრუნოს ცაში, რადგან ადამიანებს იგი აღარ სჭირდება. უფალი კატეგორიულად ითხოვს სინდისისაგან ძალით აღასრულოს თავისი ვალი. პერსონიფიცირებული სინდისის ტანჯვა, ქენჯნა და ტრაგიკული ბედი უსაშველოა. უსამართლობა, ძალმომრეობა, მწერლის აზრით, ნაყოფია გონისა და სინდისის ღვთაებრივი შინაარსის წინასწარგანზრახული უარყოფისა. სიბრძნე, სამართლიანობა, სინდისიერება არის საზომი ადამიანის სათნოებისა. მათი საპირისპიროს ცხოვრებაში გაბატონება თვით უფლის გმობაა, უღმერთობის ტოლფასია. გრძნობათა პოლარობით უკიდურესი გადახრებისგან გონმა, ნების ძალამ და სინდისმა უნდა იხსნან ადამიანები, მათ უნდა შექმნან ინდივიდის დაპირისპირებულ გრძნობათა ისეთი წონასწორობა, რომლის პირობებში კაცთა ცხოვრება და ურთიერთობა სამართლიანი იქნება. ყოფიერებაში მუდამ მოქმედებენ სხვადასხვა ძალისა და ღირებულების სათნოებანი. თუმცა ადამიანის ცხოვრებას არაიშვიათად ახლავს თავმიშვებულობა, ცხოველური ვნებების გაბატონება, ისეთი ვითარება, როცა ფიზიკური არსებობა ფუქსავატურ სურვილთა ტყვეობაშია მოქცეული. პოეტის რწმე-

ნით, ჭეშმარიტი ადამიანი გონიერი, სინდისიერი, ზომიერი მაშინ არის, როცა სხეულს, ვნებებს იმორჩილებს, აწესრიგებს. ასეთ ადამიანს სატანური ცდუნება ვერასოდეს სძლევს.

ვაჟამ პოემაში აღნიშნული პოზიციიდან შეაფასა კაენის საქციელი, მისი სინდისი და, საერთოდ, მომდევნო ეპოქების ადამიანთა სულიერების ავ-კარგი. პოეტმა გამოძერწა კაენური ზნეობის, ზოგადად კი გაორებული, ორჭოფობაში ჩავარდნილი სინდისის ცხოვრებასა და უფალთან მიმართების შინაარსიც. კაენი არ გაუფრთხილდა საკუთარ სულიერებას, სინდისს, ყური არ უგდო მრჩეველ ხმას და აქედან დაიწყო კაცთა მოდგმის გამოუსწორებელი შეცდომები. ადამიანმა დაკარგა ზომიერების გრძნობა, დაშორდა რეალურ ბუნებას და საკუთარ არსებაშიც – ბუნებრივს. გონისა და სინდისის მოთხოვნათა უგულვებელყოფით რეალიზებულმა თავისუფალმა ლტოლვებმა ადამიანებს სიკეთე არ მოუტანა, ისინი ღვთაებრივსა და ბუნებრივ სათნოებას, ჰარმონიას დააშორა. ამას ცხადყოფს კაენის ბედი და გაორებული სინდისის ტრაგედია. ვაჟას პოემის მიხედვით, კაენიც ღვთისმფარველობაში იმყოფება, სწორედ უფალმა უბოძა მას და სხვა ადამიანებსაც სინდისი, ანუ თავისმაგიერი „ხმა ცნობიერი“, სიკეთის მწვდომი და მეგზური, საქციელის და ზრახვების განმსჯელი ძალა. ამგვარი დიადი უნარის თუ ძალის უარმყოფი კაენიც და მომდევნო თაობებიც მუდმივად იტანჯებიან.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კაენის ხასიათის ნიშნებმა თავისებურად გაიჟღერა სახარების არაკში უძღები შვილის შესახებ. ვნებათა აყოლამ, თავისუფალი ნებისთვის უკონტროლოდ გაყოლამ უძღები შვილი ამაოდ ატარა და ბოლოს მამის თუ სიმბოლურად მამაღმერთის წინაშე მონანიე არსებად აქცია. მაშასადამე, შინაგან გრძნობათა თავისუფლება გონისა და სინდისის მიერ დადგენილ ზომას უნდა დაემორჩილოს, რაც საყოველთაო წესია. ეს წესი არეგულირებს პიროვნებისა და საზოგადოების, ამასთანავე, სხვადასხვა ხალხის ურთიერთობას. ვაჟა კაენური უარყოფითი ნიშან-თვისებების გლობალური გავრცელების მაკონტროლებლად ისევ სინდისს მიიჩნევს. ამიტომაც ნაწარმოებში უფლის ზეციური ხმა სწორედ სინდისს ავალებს კაცთა ცხოვრებაში ზომიერების, სიკეთის, სიბრძნისა და სათნოების დაცვას.

ვაჟა-ფშაველა ის მწერალი იყო, რომელიც შემოქმედებით მასალას შემთხვევით კი არ ირჩევდა, არამედ ღრმა დაკვირვებისა და მხატვრული განჭვრეტის საფუძველზე. ბიბლიიდან კაენისა და აბელის ურთიერთობის ტრაგიკული ამბავიც საგანგებო მიზ-

ნით შეირჩია. მასალასაც და მის საფუძველზე შექმნილ მხატვრულ სახეებსაც სინდისის ფენომენის მრავალმხრივი არსის შეფასება დაეკისრა. მწერლის აზროვნებისა და მხატვრული წარმოსახვის ძირითადი ნიშანი ის გახლდათ, რომ ცვალებადობა--განვითარების წესებს უმორჩილებდა ყველა მოვლენას. პოეტი ცხოვრებისა და კულტურის რეალობიდან ისეთ მასალას ირჩევდა განსასახიერებლად, საიდანაც ადამიანის მაღალი იდეალიც შეიძლებოდა განვითარებულიყო და უკიდურესად მდაბალი მისწრაფებებიც. ასეთი პრინციპია დაცული პოემა „სვინიდისშიც“. პირველი ოჯახი და ამ ოჯახიდან საღვთო რიტუალის აღმასრულებელი ორი ძმის უფალთან მიმართების განსხვავებული ნიშნები, თვით უფლის დამოკიდებულება მლოცველი აბელისა და კაენის ინდივიდუალური ხასიათებისადმი ცხადყოფს სინამდვილესთან კავშირის მრავალგვარობას. აბელი პირუტყვს სწირავს უფალს, ხოლო კაენი კი – მიწის მოსავალს. საგულისხმოა, რომ ვედრების ტრადიციული ფშაური წესი ძალიან ჰგავს აღნიშნულ ბიბლიურ რიტუალს. ფშაველებიც აბელის მსგავსად საუკეთესო ცხვარსა თუ ხარს არჩევდნენ და სწირავდნენ უფალს, მაგრამ აქ აუცილებელი არ იყო ყველას და თანაც ყოველ დღესასწაულზე პირუტყვი შეეწირათ მსხვერპლად. ასევე სწირავდნენ „ქადაპურს“, სანთელს და სასმელს, ე.ი. მიწის ნაყოფს ისე, როგორც სწირავდა კაენი. ცხადია, აქ მთავარი ის არის, რომ პოეტმა მასალად გამოიყენა უმარტივესი ვითარება ლოცვა-ვედრებისა და ღვთაებასთან ადამიანის მიმართებისა. სავარაუდოა, რომ ვაჟა მთიელთა ცხოვრებიდანაც ადამიანის სინამდვილესთან უშუალო, ბუნებრივი და თავისუფალი დამოკიდებულების გამომხატველ მასალას ანიჭებდა უპირატესობას, როცა თავის შედევრებს ქმნიდა. ამგვარ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პრეისტორიულ გარემოში, მისი აზრით, უკეთესად უნდა წარმოჩენილიყო უშუალო და თვითმყოფადი ნიშნები ადამიანის არსებისა. ცხადია, ვაჟა იცნობდა მრავალ რელიგიურ თუ ფილოსოფიურ-სოციალურ მოძღვრებას, მაგრამ მისთვის, როგორც ხელოვანისათვის, მთავარი ჩანს მოძღვრებებისა და თეორიებისაგან თავისუფალი ადამიანური თავისთავადობის გამომზეურება. იგი მხატვრულ სახეთა სისტემას ქმნიდა არა რომელიმე ცნებისა თუ მოძღვრების რაობის გასარკვევად, არამედ სიცოცხლის ისეთი უზოგადესი არსისა და საზრისის გამოსაძერწად, რომელიც თავისი ძალითა თუ მრავალმხრიობით ვერანაირი თეორიული მოთხოვნის ჩარჩოში ვერ ჩაეტევა. ადამიანის იდეალი ზოგჯერ მთელი კოსმოსის კანონ-

ზომიერებებს ზემოდან დაჰყურებს და ამ მთლიანობას მხოლოდ სიცოცხლის მსახურად წარმოადგენს, რითაც სამყაროს შემოქმედ უნივერსალურ ძალას ფუნქციებს ეცილება. ამიტომ, პოეტის რწმენით, „თეორიების მთხზველების" მიერ ანაზდად გამოგონილი ჩარჩოები ხშირად საკუთარი დოგმების ტყვედ აქცევს ხოლმე სიცოცხლის მარადმოქმედ, განვითარებად ბუნებრივ საწყისებს. პოემის მასალად მოხმობილი ბიბლიური პირველი ოჯახისათვის ჯერ არავის ჰქონდა შექმნილი განსხვავებული რელიგიური მოძღვრებები და არც რაიმე სოციალურ-ფილოსოფიური თეორიები არსებობდა, მაგრამ, პოეტის რწმენით, ასეთ გარემოშიც სრულად იკვეთება ადამიანის სულის მოძრაობის შინაარსი. მაშასადამე, მასალის შერჩევის პრინციპითვე გვიჩვენებს ვაჟა, რომ მოძღვრებები და თეორიები კი არ არის მთავარი საყრდენი ადამიანის ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი ხასიათისა და სულიერ-გონითი შესაძლებლობების რეალიზებისათვის, არამედ გადამწყვეტია სიცოცხლისათვის ღვთისა და ბუნების მიერ მომადლებული უშუალო გრძნობად-ინტელექტუალური უნარები. ამიტომაც ადამის ოჯახშივე დაიბადა ღვთის რწმენა, ვედრების რიტუალი, სინამდვილის ცოდნა-გაგების სურვილი, მშვენიერების, სიკეთის, სიმართლის დაფასების მოთხოვნილება და, ბოლოს, შური მისი თანამდევი ბოროტი ზრახვებით.

ვაჟა-ფშაველას ამ პოემაში სინდისი ყველა შესაძლო მეტამორფოზით წარმოდგა. კაენის სინდისი გაუკუღმართებულ სულიერებას ამკვიდრებს დედამიწაზე. ნაწარმოების მიხედვით, ინდივიდის სინდისი კაცობრიობის სინდისად გადაიქცა. კაცობრიობამაც გულგრილად განდევნა თავისი გარემოდან ეს გრძნობა და, პოეტის მრწამსით, ამით ბუნებას, სიცოცხლეს დაღუპვის საფრთხე შეექმნა. ეს არის თხზულების ძირითადი იდეა. პოეტმა სინდისის მრავალმხრივი ფუნქცია თვალსაჩინოდ განასახიერა ისეთ თხზულებებში, როგორიცაა: „სვინიდისი", „გოჩი", „სვინიდისის სიმღერა", „მთის წყარო" და სხვა. აქ დახასიათებული სინდისის ფენომენი მრავალი ასპექტით ანათესავებს პოეტის მიერ შექმნილ თვითმყოფად მხატვრულ სახეებს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სინდისის გრძნობა ნაირნაირი სიტყვიერი სახეებით დაიხატა: სინდისი მღერის, სინდისი ტირის, სინდისი კვნესის, სინდისი ნამძინარევია, სინდისი გაროზგილია, იგი დატანჯული და ცეცხლში დამწვარია, ან კიდევ მშვიდია და დასვენებული. სინდისის მსგავსადვე პოეტი მეტაფორულად წარმოისახავს სამართალს, ფიქრს, ოცნებას. სამართალი, თურ-

მე, ადამიანივით მოსანათლი არსებაა („ვაი ეგეთეას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა"). ფიქრი ლაპარაკობს („ფიქრმა თვითონ თქვა, რაცა ვთქვით, ეს ნურვის გაუკვირდება"), ოცნება კი ქვითინებს.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში" თავისუფლებისათვის მებრძოლი, ტანჯული ქვეყნის ოცნება მთის წვერზე ქვითინებს, ხოლო პოემა „სვინიდისში" კი თვითონ სინდისის გრძნობა წარმოდგა მთაზე დაჩოქილი, მტირალი ადამიანის სახით. ორივე ნაწარმოებში (და არა მარტო აქ) პოეტმა წმინდა ადამიანური ღირებულებები ასევე წმინდა ადგილზე, მთის წვერზე, აამაღლა და ტრადიციული რწმენით, სათნოების შთამაგონებელ ზებუნებრივი ძალების საუფლოს მიუახლოვა. უძველესი დროიდან მოდის რწმენა იმისა, რომ ადამიანებს ზეციური ძალების დახმარებით შეუძლიათ საკუთარ სწრაფვათა რეალიზება. ზებუნებრივი სიბრძნე მთებზე ეცხადებათ ადამიანებს. ცა და მთა სათნოების შთამაგონებელია. ბევრი სხვა შემოქმედის მსგავსად ვაჟა-ფშაველამაც თავის თხზულებათა პერსონაჟებს ბევრჯერ ამგვარად გამოათქმევინა ტრადიციული რწმენა. ეს ასეა პოემა „სვინიდისშიც". აქ სინდისი სიკეთის ქმედებისათვის დაუზოგავად მოიხმობს საკუთარ უნარს, მაგრამ ხალხისაგან უარყოფილი და მთაზე დაჩოქილი შველას ისიც ღვთისაგან მოელის.

ვაჟა-ფშაველამ სინდისის მოტივი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში განასახიერა. საგულისხმოა, რომ ეს მრავალმხრივი შინაარსის გრძნობა ხშირად სახელის დაურქმევლად იძერწებოდა პოეტის თხზულებათა მხატვრულ პლასტებში, მისი გმირების ურთიერთობაში. ნაწარმოების მოქმედების გაშლა-განვითარება შეუძლებელია ადამიანური გრძნობებისა და სწრაფვების მონაწილეობის გარეშე. ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი სინდისის გრძნობას ეკუთვნის. ამიტომაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა საფეხურისათვის ნიშანდობლივი ჩანს სინდისის ბუნებისა და ღირებულების გამოვლენისა თუ მხატვრული ცხადყოფის სურვილი. ახალგაზრდა პოეტმა 1886 წელს დაწერა ლექსი „სვინდისის სიმღერა", ხოლო სიცოცხლის ბოლოს, 1913 წელს, გამოაქვეყნა პოემა „სვინიდისი". სინდისს, როგორც ეთიკურ ცნებას, ამ ორი ნაწარმოების გარდა, პოეტი იშვიათად ასახელებს. ავტორს ეს სრულიადაც არ უშლის ხელს, რომ დაუსახელებლად ამ გრძნობის ბუნებრიობა, ფუნქციები და ღირებულება შეუდარებელი მხატვრული ძალით გამოკვეთოს მრავალი სხვა თხზულების სიუჟეტში, პერსონაჟთა ქცევასა

თუ თავგადასავალში. ამის ნათლად წარმოდგენისათვის საკმარისია გავიხსენოთ გოგოთურის, აფშინას, ალუდას, ლუხუმის, ზეზვას, ლელას, კვირიას, წიწოლას, ჯოყოლას, ქიჩირის, ასლანის და სხვათა მორალური სწრაფვები. ეს ეპიკური სახეები, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ზნეობრივი სამყაროს შინაარსს, მის ავ-კარგს წარმოაჩენენ. პოემა „სვინდისი", ვფიქრობთ, თავისებურად იმეორებს ოცდაათი წლით ადრე დაწერილი ლექსის „სვინდისის სიმღერა" მხატვრულ პათოსს. პირველად ამ ლექსში განპიროვნდა, თვალსაჩინოდ ამოქმედდა, ამღერდა და ალაპარაკდა სინდისი. ნაწარმოების სათაური მომღერალი ადამიანის ხატით წარმოგვიდგენს სინდისის გრძნობას, თუმცა ლექსში გამოხატული აზრი და განცდები სათაურს არ ეფარდება. საგულისხმოა, რომ ამ სათაურის ლექსში სინდისის ტანჯვის, მწუხარების, გვემის პროცესი აისახა და აქ სალაღობო თუ სამღერალი არაფერია. ეს მხატვრული სახის შექმნის თავისებური წესია. საერთოდაც, პოეტი „სიმღერას" ან „ქებათა-ქებას" არქმევს ლექსებს სათაურად, მაგრამ მათში ხშირად არც სასიმღერო განწყობა ჩანს და არც სახოტბო მოვლენებია წარმოდგენილი. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ არის დახასიათებული ვაჟა-ფშაველას „სიმღერათა" თემატურ-მხატვრული ბუნება. ნაჩვენებია ისიც, რომ ამ სათაურით წარმოდგენილ ლექსებში პოეტი ხშირად სამწუხარო და სევდიან განწყობილებებს გადმოსცემს.[1] ამ ლექსშიც სინდისის სევდით აღსავსე მონოლოგი გამოიძერწა და არა სასიმღერო განცდა: „არ ვიცი, საით წავიდე, ვის ვუთხრა ჩემი წვალება, ცეცხლში დამწვარი სვინდისი, ნეტავ, ვის შაებრალება?! რა დავაშავე, უფალო, რომ კაცს ამკიდე ბარგადა და დაჟინებით ჩურჩული ჩემი გულს დასდევ ხარკადა".[2]

სინდისის მრჩეველი და მამხილებელი „ჩურჩული" ადამიანებს ხშირად ტანჯავს. ბევრი კი სახელის გაშავებას არ უფრთხის და ცდილობს თავი დაიხსნას ამ გრძნობის ნორმადქცეული მოთხოვნისაგან. სინდისი ვალად მიიჩნევს, მუდმივად ეპატრონოს ადამიანს, ყველა ბრალი გამოუვლინოს და განასპეტაკოს. წმინდა სინდისი მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობს: „ერთსა მოხელეს ვესტუმრე, მექრთამეს, ქვეყნის მცრცველსაო, მითხრა:

---

[1] ი. ევგენიძე, ვაჟა-ფშაველას „სიმღერათა" ბუნებისათვის, ვაჟას კრებული, ტ. II, თბ., 1982 წ., გვ. 13.

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. I, თბ., 1964 წ., გვ. 27.

სად მოხვალ მურდალო, არა მცალიან დღესაო!" მე ვუპასუხე: „გაჩუმდი, გრცხვენოდეს საწყლის ღლეტაო, ულუკმაპუროდ გასწირე ოთხის წვრილ-შვილის დედაო! ადგა, წამიგდო წიხს ქვეშა, ჩამარტყა ზედი-ზედაო, რამდენს სხვას ვუთხარ, ვინ მოსთვლის, „როგორ გაჰყიდეთ დედაო! სუყველამ წიხლით გამთელა, – მაგას როგორა ჰბედაო?! – გთხოვ, მომაშორო, ქვეყანას შენ უპატრონო, ზეცაო!"

სინდისისა და უზნეო ადამიანების ბრძოლა საზოგადოების ყოფა-ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი მუდმივი მოვლენაა. ამ ბრძოლის პროცესში სინდისის გრძნობა ხშირად სინანულით, უიმედობით არის აღსავსე და ქვეყნად შევიწროებულს სანუგეშოდ მზერა ზეცისათვის მიუპყრია. ამგვარი პათოსითაც პოემა „სვინიდისი" და ეს ლექსი ერთმანეთს ჰგვანან.

ვაჟა-ფშაველამ უღრმესი ზნეობრივი შინაარსით აავსო მოთხრობა „მთის წყაროს" სიუჟეტი. ნაწარმოებში მხატვრული მოქმედების მდინარება ბუნების ქმნილებათა განპიროვნების პრინციპზე დაეფუძნა. ამ ხერხის გამოყენებით მწერალმა ურთულესი ადამიანური განცდები შეუდარებელი მხატვრული ფორმით გამოამზეურა. ამასთანავე, პირველქმნილი თავისთავადი შინაარსი შეუნარჩუნა ბუნების ქმნილებათა დამოკიდებულებებს. ავტორმა მეტად ღრმა აზრის დამტევი სახე – სიმბოლო შექმნა, რითაც საზრისიანი სიცოცხლის წყურვილის, საყოველთაო სიკეთის, სიყვარულისა თუ სამართლიანობის იდეა ბუნების მშვენიერი ქმნილების – მთის წყაროს სურვილებში განასახიერა. მთის წყაროს ისეთი სიცოცხლე სწყურია, რომელიც თავისუფლებისა და სიკეთისქმედების მუდმივი მადლით იქნებოდა მოფენილი. ამის გამო თავისებური მორალური სიამაყე ჟღერს მთის წყაროს სევდითა და სიხარულით გაჯერებულ მონოლოგში: „არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ასე დაუწესებივარ: უნდა ვიდინო, ვიდინო, ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი".[1] მთის წყაროს სასიკეთო ქცევასა და წმინდა ზნეობრივ გრძნობებს თაყვანს სცემენ მეგობრები: ხავსიანი და პირყვითელი ლოდები, დევივით ტანძლიერი ქორაფები, ცაცხვი, ჩადუნა და ბუერა. ადამიანთაგან მის მიმართ ათასში ერთი თუ გამოხატავს მადლიერებას, უმრავლესობა კი უმადურო-

[1] ვაჟა-ფშაველა, „მთის წყარო", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბ., 1964 წ., გვ. 63.

ბას იჩენს. მთის წყაროს უხარია, რომ სიკეთეს ყველასათვის მაინც ერთნაირად იმეტებს. ის მხოლოდ იმის გამო არის სინდისშეშფოთებული, რომ უხეშ და უსამართლო ძალას მისთვის სიკეთის ქმედების არე შეუზღუდავს, ძალდატანებით ბოროტების მონაწილედ უქცევია. XIX საუკუნის დასასრულის საქვეყნო საქმეში ჩახედული მკითხველი მთის წყაროს სიმბოლურ-მეტაფორული სახის ღირებულებას ადვილად იცნობიერებდა. მისი აზრი ყოველთვის გამჭვირვალე იყო. იგი ცხადყოფდა, რომ სიკეთის, სამართლიანობისა და სინდისის გრძნობებით ამოქმედებულ ერსაც და ცალკეულ პიროვნებათაც საოცნებო იდეალის რეალიზებისათვის, სამყაროში ღირსეული ადგილის მოპოვებისათვის თავისუფლება სჭირდებათ. ასეთი აზრი გამოიკვეთა მთის წყაროს სიტყვებში: „ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, – ამბობს მთის წყარო, – მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა. როგორც უნდა, ისე მათამაშებს, თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევს, მეც იმასვე ჩამადენინებს, მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები. ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გახეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ჟივილ-ხივილი: „დაარჩო წყალმა კაცი, უშველეთ, ღმერთი არავისა გწამსთო!" ცოტა არ არის, მეც ბრალი მედება. ვაჰ ჩემო თავო!"[1] მთის წყარო ირგვლივმყოფ ბუნების ქმნილებათა მიმართ სიყვარულით არის აღვსილი და სიხარულით გასცემს სიკეთეს. მისი ბედნიერების საძირკველი და სიცოცხლის მიზანიც ესაა. იგი ცოდვას არასოდეს სჩადის, თავისუფალ და შინაგანად გაუორებელი კეთილი ნების მოთხოვნას მიჰყვება. მისი სინდისიც ამის გამო ღირსებისა და სიწმინდის კვალით არის აღბეჭდილი. მაგრამ მთის წყაროს ზნეობრივი სწრაფვის შინაგანი ჰარმონია დიდხანს არ გრძელდება. მის იდეალს სხვა ძალა ამრუდებს. ამის მიზეზები კი მის გარემოშიც იპოვება. ამიტომ მთის წყაროც მხოლოდ ორი-სამი ვერსის მანძილზე ყოფილა თავისუფალი, მაშასადამე, ბედნიერიც. თავისუფლება კი მთის წყაროსათვის ძირითადი პირობაა უცოდველობისა, ბედნიერებისა და სიყვარულისა.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „მთის ნყარო", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბ., 1964 წ., გვ. 63.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პრინციპი ის არის, რომ ასოციაცია-ანალოგიათა საფუძველზე ბუნების საგნები და მოვლენები გააადამიანუროს, ანუ საზოგადოებრივის ანალოგიური იპოვოს ბუნების წიაღში. თავის მხრივ, პოეტის ულევი მეტაფორული წარმოსახვების უნარს, ენისა და გრძნობის დაუშრობლობას შეუძლია ბუნების წიაღი, საერთოდ, ბუნების ქმნილებათა თვითმოძრაობა აავსოს უღრმესი ადამიანური განცდებითა და იდეალებით. ასეთნაირად ქმნის ვაჟა-ფშაველა ბუნებისა და ადამიანის განუყრელი ურთიერთდამოკიდებულების, ანუ ცოცხალი ერთიანობის, პოეტურ სურათებს.

მწერლის ფიქრით, ბუნება ოდითგანვე იქცა ადამიანებისათვის ავ-კარგის მაცნედ და წესრიგის შთამაგონებელ ფენომენად. ადამიანი ცნობიერად თუ არაცნობიერად ბუნებისაგან ბევრ რაიმეს ითვისებს. კაცთა ცხოვრების წესებიც რაღაცით ემსგავსება ბუნების ზოგად კანონზომიერებებს. ასოციაციის მოვლენა არა მარტო ხელოვანს, არამედ ყველა მოკვდავს მიახედებს ხოლმე ბუნებისაკენ, მრავალფეროვანი კოსმოსური მოვლენებისაკენ. ასეთი ვითარების გამო პოეტის ფანტაზიას არწივი თავისუფლებისა და შეუპოვრობის სიმბოლოდ მოევლინება, ხოლო ეკალბარდებით დაჩრდილული ია დაჩაგრულ სიმართლეს გაახსენებს. დიდ ხელოვანს ანალოგიებს ინტუიცია, ნიჭი, პოეტური წარმოსახვების მადლი აპოვნინებს და სხვათაგან გამორჩეული თვისებები შეაძლებინებს ორიგინალური მხატვრული სახეების დამკვიდრებას. ბუნება თუ მისი მშვენიერი ქმნილება, პოეტის რწმენით, „... თვალს უყვარს, გულს ესიამოვნება მისი ნახვა, ცქერა, ხოლო განვითარებულს აზრიანს კაცს იგი სხვა ბევრს რასმეს მოაგონებს იმისდა მიხედვით, რამდენადაც იდეალისტია კაცი, რამდენად სულიერად მდიდარია იგი".[1] მაშასადამე, პოეტი იდეალისტია, ე.ი. მოაზროვნე, ფანტაზიით დაჯილდოებული, ასოციაციური ხილვებით მდიდარი და მან ბუნებაში ბევრი რამ უნდა პოვოს თავისთავადი, უშუალო და, ამასთანავე, ზნეობრივ-ესთეტიკური გრძნობების გამაცოცხლებელი. იგულისხმება, რომ სინამდვილესთან ნიჭიერი მწერლის შემოქმედებითი მიმართება ანათესავებს ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ერთიმეორისაგან დაშორებულ გონივრულ წესებს. ამგვარი კავშირი თუ მსგავსება-ნათესაობა დაინახა ვაჟა-ფშაველამ ადამიანურ ყოფასა და მთის

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 394.

წყაროს ობიექტურ არსებობას შორის. ბუნება, კოსმოსური მთლიანობა, პოეტის რწმენით, ყოველის საყრდენი და წარმომშობია. ადამიანი უთვალავი ძაფით უკავშირდება სამყაროს მთლიანობას. იგი ამ მთელის ნაწილია და მის არსებობაში უნდა ცნაურდებოდეს ბუნების კანონზომიერებები. მაშასადამე, ბუნებისა და კაცთა ცხოვრების თვითმყოფადი წესები ერთმანეთს ჰგვანან და განსხვავდებიან კიდევაც. სამყაროს კანონზომიერებათა გონივრული, ჰარმონიული შინაარსი, ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, შთამბეჭდავი ფაქტია. ამიტომაც შეუძლებელია იგი დაცლილი იყოს ეთიკური აზრისაგან.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ადამიანი ბუნების, მთელი სამყაროს საყოველთაო წესებს დაქვემდებარებული მისივე ქმნილებაა. იგი სასიცოცხლო ფესვებით მუდმივადაა დაკავშირებული ბუნებასთან. ამის აღიარება პოეტს ხელს არ უშლის შემოქმედი ბუნებისაგან განასხვაოს ადამიანების სულიერ-ყოფითი მდგომარეობა, მათი ორიგინალური მოღვაწეობა. ასევე პოეტს აცვიფრებს ბუნების მრავალფეროვნება და თავისთავადობა.

ვაჟა-ფშაველა ბუნებისა და ადამიანის ერთიანობა-მსგავსებას პოეტურად ათვალსაჩინოებს. ამიტომ ბუნების არსებობის წესი მწერალს ადამიანის სწრაფვებს ახსენებს, ხოლო ადამიანის მოქმედება-მოღვაწეობა ბუნების კანონზომიერებებს მოაგონებს. ბუნებაცა და ადამიანიც, პოეტის რწმენით, სიცოცხლის გაგრძელებისა და სრულქმნისათვის იღვწიან, ოღონდაც თითოეული მათგანი თავისებურად. იგულისხმება, რომ სრულქმნილი სიცოცხლე ყველგან უმაღლეს ღირებულებად განიცდება. ამგვარი პოეტური ხილვების წყალობით, თავისებური პოეტური ლოგიკით აღმოაჩენს ვაჟა-ფშაველა ბუნებისა და კაცთა ცხოვრების სამეფოში სოციალურ-ზნეობრივი და ესთეტიკური გრძნობების მსგავსებასა თუ თანაბარ მნიშვნელობას. ამიტომაც პოეტი გაბედულად ესწრაფვის იმას, რომ ბუნების წიაღში მიაგნოს საზოგადოებრივი არსებობის უმაღლეს შინაარსს. ბუნებაში გაუჩინარებული შემოქმედი ხშირად ალაპარაკებს ბუნების ქმნილებებსავე იმის შესახებ, რაც კაცთა ცხოვრებაში რიგზე არ არის და უნდა იყოს კი სიკეთის, სიმართლის, სიყვარულისა და სინდისის მოთხოვნით. ბუნების ქმნილებები ზოგჯერ იმას გამოავლენენ პოეტის ნების კარნახით, რაიც ობიექტური აზრით მათში არ არსებობს. ბუნება და ადამიანი ერთიმეორის სხვადყოფნას განასახიერებენ მწერლის ფანტაზიის წყალობით.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, დიდი მწერლების მიერ შექმნილი მხატვრული სახეები სწორედ ბუნებასთან მსგავსების გამო უახლოვდებიან და ენათესავებიან ერთმანეთსაც. პოეტის სიტყვისამებრ, ამ სახეთა სიახლოვეს ისიც აპირობებს, რომ შემოქმედნი „ბუნების თვალებით" უცქერიან კაცთა ცხოვრებას.

ვაჟა-ფშაველა ხოტბას ასხამს იმ მწერლებს, რომლებმაც ბუნებისა და ადამიანის მუდმივი ერთიანობის ჭეშმარიტი შინაარსი პოეტურად აითვისეს და თავის გმირთა სახეში ბუნების ნიშნები დაამკვიდრეს. ასეთი წესით გახსნილი ხასიათი „დიდებული ადამიანისა", რომელიც „ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით", ცხოვრების მშვენებაა, თუმცა იგი, ბუნების ზოგიერთი მოვლენის მსგავსად, ვერ თავსდება შემოსაზღვრული სივრცისა და დროის წრეში. ვფიქრობთ, თვითონ ვაჟა-ფშაველამაც ბუნებასთან ამგვარი მიმართების გათვალისწინებით გამოძერწა მრავალი მხატვრული სახე. ამგვარ პოეტურ მიდგომას საფუძვლად სოციალურ-ეთიკური აზრი უძევს. პოეტის რწმენით, კაცთა ცხოვრების წესები მხოლოდ ბუნების დიადი სიცოცხლისა და მოძრაობის სფეროში უნდა თავსდებოდეს. ადამიანის არსებობა მიკრომასშტაბით განასახიერებს ბუნების თავისებურებებს. ბუნება მხოლოდ ჰარმონიას არ გამოხატავს. იგი „საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა". მასშიც წარმოიშობა ერთგვარი ანომალიები „ნაკლისა" თუ „ცოდვის" სახით, თუმცა ესენიც საბოლოოდ იმ ზოგად წესებს ექვემდებარებიან, რომლებიც ბუნების მთლიანობას, შინაგან წესრიგს განაპირობებენ. ბუნება ააყვავებს, სიუხვით აავსებს მინდორ-ველს და ზოგჯერ კი თვითონვე უჟამოდ მოსპობს ამ სიკეთეს. ასეთი „ნაკლით", „ცოდვით" იგი ადამიანთა ცხოვრებას უახლოვდება, თურმე. სამყაროს გონივრული, ზომიერი მოვლენებით, მისი მრავალფეროვნებით აღელვებულ პოეტს ბუნების არსი აინტერესებს, იტაცებს. იგი ბუნების თავისთავად მოძრაობას მხატვრული ლოგიკით ათანაბრებს მაღალ ადამიანურ სასიკეთო და სამართლიან საქციელთან. ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტის მიერ პერსონიფიცირებული ბუნების ქმნილებების – ქუჩის, მთის წყაროს, არწივის, ვერხვის და სხვათა „იდეალი" ისეთივე თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს, რომლითაც ფასდება „დიდებული ადამიანის" სულის მოძრაობა, მისი მაღალი მისწრაფებები. ვაჟა-ფშაველა მიუწვდომლად ბევრს პოულობდა ბუნებაში გრძნობა-გონების ამამოძრავებელს და ყოველივეს შეუდარებელი მეტაფორული განსახიერების საგნად აქცევდა. იგი ფლობდა უბადლო უნარს იმისას, რომ სოცია-

ლურ-ზნეობრივი და ესთეტიკური ღირებულებები პოეტური გარდასახვისათვის ულევი რაოდენობით აღმოეჩინა ბუნების წიაღში სწორედ ისე, როგორც მათ საზოგადოების ცხოვრებაში პოულობდა. მან ადამიანურ-საზოგადოებრივ ყოფაში ბუნებისეულ კანონზომიერებათა თავისებური მოქმედება შეიცნო, ხოლო ბუნებაში ადამიანისნაირი სწრაფვები დაინახა. მიმართებათა ამ სისტემამ ვაჟა-ფშაველას შესაძლებლობა მისცა, რომ ეთიკურისა და ესთეტიკურის განუყრელი ერთიანობა ბუნების ქმნილებათა პოეტურ-მეტაფორულ სახეებში დაემკვიდრებინა. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის აღნიშნული შინაარსი განაპირობებს იმას, რომ პოეტმა ადამიანური ასპექტით წარმოისახა ბუნების წიაღი, სოციალურ-ზნეობრივი, ესთეტიკური ღირებულებები იპოვა ბუნების საგანთა და მოვლენათა ობიექტურ არსებობასა თუ მოძრაობაში. ბუნების საგნებსა და მოვლენებს, მათს მოძრაობას ვაჟა-ფშაველა, მართალია, სუბიექტურად, პოეტურად გარდასახავს, აღიქვამს, მაგრამ იმასაც ცხადყოფს, რომ ბებერი არწივის, მთის წყაროს, ხმელი წიფლის, ქუჩისა და შვლის ნუკრის ნაამბობში, მათ თავისთავად ყოფნაში, თურმე, არაფერია ისეთი, რისი უშუალო ადამიანური გრძნობებით ნვდომა ან გაგება-შეფასება შეუძლებელი იყოს. ნაწარმოებთა მხატვრულ მოქმედებაში ასე შეერწყმის ერთმანეთს ბუნებისა და ადამიანთა არსებობის თავისთავადი, ობიექტური მხარეები.

ვაჟა-ფშაველას ლექსი „ღამე მთაში“ კარგად გვიჩვენებს, რომ ბუნების ძალთა ჰარმონია თუ შინაგანი დაპირისპირება ყოვლისმომცველი ობიექტური ფაქტია. თავისი შინაარსით ბუნების მოძრაობა ხშირად საზოგადოებრივი ცხოვრების რაობაზე მიმთითებლად გვევლინება. ამიტომაც ვაჟა-ფშაველა გაბედულად მსჯელობს ბუნების ავსა და კარგზე. მისეულ „სიკეთესა“ და „ბოროტებაზე“, საერთოდ, ბუნებაში არსებულ ზომიერებასა და ჰარმონიაზე. ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების წესების ნაწილობრივი მსგავსება მწერლის მხატვრულ აზროვნებას იქითკენ წარმართავს, რომ სოციალურ-ეთიკური შინაარსის სწრაფვები შეუფერხებლად დაამკვიდროს ბუნების წარმონაქმნათა ისეთ ობიექტურ დამოკიდებულებებში, რომლებშიც აღნიშნული სწრაფვები არ არის. ასე იქმნება მიმზიდველი და აზრით სავსე მხატვრული სახეები. მწერალი ამითაც არ კმაყოფილდება და თავის შედევრებში ხშირად ეთიკურ-ესთეტიკურ შეფასებებს მოიხმობს ბუნებისმიერი და ადამიანური სიკეთის ქმედების რანგობრივი მნიშვნელობის ცხადსაყოფად. ამ დროს იგი ბუნების თვით-

მოქმედების გამორჩეულ სიდიადეს აღიარებს. მწერლის აზრით, ბუნების საყოველთაო ჰარმონიას ვერ დაარღვევს ის ანომალიები, რომელნიც მის წიაღში წარმოიშობიან, ხოლო ადამიანები კი მათ სიავეს უწოდებენ. ამის მსგავსადვე ადამიანთა ცხოვრებაში ბოროტებისა და უსამართლობის სახით არსებული სიავე ვერ დაძლევს კაცთა ურთიერთობის სრულმქმნელ სიკეთეს, სამართლიანობას, სინდისის წრფელ მოთხოვნას. პოეტის სიტყვისამებრ, ზოგჯერ ავისმქმნელი ბუნება მაინც სიტურფით ჰყვავის, ხოლო საზოგადოებაში უსამართლობისა და უზნეობის არსებობის გამო, თურმე, „არასოდეს მოკვდება ლამაზი არსი ჩვენის კაცობისა". მაშასადამე, ჩვენს გარეთ, ანუ „უენპირო ბუნებაში", მოქმედებენ უნივერსალური ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც ადამიანში სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის ასოციაციებს აღძრავენ. პოეტი წერს: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა. ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა, მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა".

ყოველივე ეს ხდება ბუნების ისეთი ქმნილებების გარემოში, როგორიცაა: ნთის წყარო, ქუჩი, ხმელი წიფელი, ია, კლდე მტირალი და სხვა. თუმცა ბუნების ქმნილებებს, ცხადია, სოციალურ-მორალური და სხვა რამ გრძნობები და იდეალები არ აქვს და არც ამოძრავებს. ბუნების კანონზომიერებებში მხოლოდ მეოცნებე ადამიანი ცდილობს კაცთა ცხოვრების ანალოგონის დანახვას, ამოკითხვას. შემოქმედთა ფანტაზიასაც ბუნების მოძრაობა-განვითარების მომხიბლავი შინაარსი იტაცებს.

როგორც ჩანს, მწერალი არა მარტო ითვისებს ბუნების კანონზომიერებებს და აქსოვს მათ ლიტერატურული გმირის საქციელში, ხასიათში, არამედ, საპირისპიროდ ამისა, „არჩეულ ტიპის მეოხებით", გმირის იდეალის გამკვეთრებით თვითონაც ცხადად წარმოაჩენს ბუნების თავისთავად სიდიადეს. ეს ბუნებასთან თავისებური ბინარული მიმართებაა, რაც, ვფიქრობთ, ვაჟა-ფშაველას არაერთი ნაწარმოების სიუჟეტს უძევს საფუძვლად. პოეტი იმასაც გულისხმობს, რომ ბუნებაში მიკვლეული საგნებისა და მოვლენების მეტაფორული წარმოსახვით შეიძლება მაღალმხატვრულად განსახიერდეს ადამიანთა ცხოვრება, ინდივიდის ხასიათი და იდეალი. პოეტურად ტრანსფორმირებულმა ბუნების ქმნილებებმა უნდა დაგვაფიქრონ ჩვენსავე რაობაზე, უნარზე, მისწრაფებებზე, იმაზე, თუ როგორია ჩვენი დამოკიდებულება

სამყაროს მთლიანობისადმი და რანაირი შეიძლება იყოს ჩვენი წვლილი მის წესრიგში. ვაჟა-ფშაველას ერთი მთავარი მიზანი ის არის, რომ პოეტურად განასახიეროს ადამიანისა და გარესინამდვილის ერთიანობა, ცხადია, გარესამყაროს წესრიგის მუდმივი ზემოქმედებისა და სრული უპირატესობის აღიარებით. ადამიანის მთელი არსება დამოკიდებულია და აწყობილიც სამყაროს ყოვლისმომცველ კანონზომიერებათა შინაარსზე. იგი ამ დამოკიდებულებას ყველა ნერვის მეშვეობით გრძნობს, მაგრამ ვერ გაუთვალსაჩინოებია, ვერ ამოუცნია, ამ კავშირის დიადი ძალა. ამ დამოკიდებულების ამოცნობას, შეგრძნობას ადამიანი უხსოვარი დროიდან ცდილობს. იგი გარემოს წვდომისათვის მოიხმობდა მითოსურ-რელიგიურ თუ პრაქტიკულ-მეცნიერულ ან მხატვრულ საშუალებებს. რასაკვირველია, მისთვის, შესაძლებლობათა მასშტაბების გაზრდის მიუხედავად, აღმოცნობილ საიდუმლოებებზე მეტი მაინც ამოსაცნობი რჩება. ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, მწერლები ადამიანში ბუნებისეული საწყისების გახსნითაც აღნიშნული თანაფარდობის არსის გამოკვეთას ცდილობენ. იგი ასეთ მწერლებად რუსთველს, შექსპირსა და სერვანტესს მოიხსენიებს. თვითონაც ბუნების ობიექტური შინაარსის მხატვრული დახასიათებით ესწრაფვის „ბუნების თვალებით" შეგვახედოს ჩვენს თავზე, ჩვენს ნაკლსა და ღირსებაზე. პოეტი მკითხველს დააფიქრებს იმაზე, თუ რანი ვართ ადამიანები და რამდენად შეესატყვისება თუნდაც ეთიკური შინაარსით ბუნების წესრიგს ჩვენი საქციელი, ცხოვრება, იდეალი. აქაც შეფასების ერთერთი მთავარი კრიტერიუმი ზნეობრივია. ამიტომაც კაცთა უსამართლო მოქმედებას ბუნების პერსონიფიცირებული ქმნილებები მორალური მსჯელობის ფორმით გმობენ. რაკი ბუნებაში კაცთა ცხოვრებისათვის ნიშანდობლივის, ხოლო საზოგადოებრივ გარემოში ბუნებისეული წესის დანახვა შეიძლება, მაშინ, პოეტის რწმენით, ეს კავშირი ურთიერთში გარდამავალი სიკეთისა და სილამაზის პოეტურ-მეტაფორული განსახიერების თავისებურ შესაძლებლობასაც ამკვიდრებს. იგულისხმება, რომ ამ დროს ადამიანური სიკეთე და სილამაზე ბუნებაში დაინახება, ხოლო ბუნების სიკეთე და სილამაზე – კაცთა ცხოვრებაში წარმოჩნდება. ბუნებასთან ამგვარი შემოქმედებითი მიმართება გამოიკვეთა ვაჟა-ფშაველას მრავალ ნაწარმოებში და, მათ შორის, ოთხრობა „მთის წყაროში". ამ ნაწარმოების მხატვრულ მოქმედებაში ნათლად ჩანს ბუნების თავისთავადი, ობიექტური სურათი. ცხადია, ასეთ თავისთავადობაში აღმოაჩინა მწერალმა ზოგად ადამიანუ-

რის შესატყვისი და ამიტომაც აავსო ბუნების ქმნილებათა დამოკიდებულება მაღალი სოციალურ-ეთიკური აზრით. ამგვარი მიდგომით უსაზღვროდ გააფართოვა გარესამყაროს მხატვრული ათვისების მასშტაბი.

ვაჟა-ფშაველას აზრით, სამყაროში ბევრი ისეთი წესი მოქმედებს, რომლის დამორჩილება ადამიანებს არ ძალუძთ. ამ მარადიულ კანონებს ემსგავსება საზოგადოებაში დამკვიდრებული ბევრი აზრი და გრძნობა. კაცთა ცხოვრება წარმოუდგენელია სიკეთის, სიყვარულის, სიძულვილის, სინდისის და სხვა უბერებელი გრძნობების გარეშე. სანამ ადამიანთა ცხოვრება არსებობს, ეს გრძნობებიც იმოქმედებენ. ბუნებისა და კაცთა ყოფის ამ ნიშნების სიმტკიცეზე, შეუვალობაზე მიუთითებს ვაჟა-ფშაველაც: „ბუნებას და ცხოვრებას თავისი საკუთარი წესი და რიგი აქვს და ჩვენი თეორიები მას ვერ შეუშლიან არჩეულ გზაზე სვლას. განა მთელს კაცობრიობას კი ძალუძს, ერთს და ოცს ადამიანს არ ვიტყვი, თუნდა ზაფხული ზამთრად გარდაქმნან, ან ზამთარი ზაფხულად? მზისა და მთვარის ჩასვლა-ამოსვლის ვადა შესცვალოს თავის სურვილისამებრ? იქნებ ეს კი შეიძლოს ოდესმე კაცობრიობამ, მაგრამ თავის ცოცხალის თავით ყოვლად შეუძლებელია, მან გრძნობა დაკარგოს სიყვარულისა და სიძულვილისა, ჰყოს უარი სიცოცხლეს, ცხოვრებას. თავი და ბოლო პოეზიისაც სწორედ აქ არის".[1] როგორც ირკვევა, მწერლის აზრით, ბუნებასა და კაცთა ცხოვრებას საკუთარი მარადმოქმედი წესები აქვთ. ეს წესები ცალკეულ პიროვნებათა ნება-სურვილს არ მიჰყვებიან, ამიტომაც ადამიანები ვერ შეაჩერებენ გაზაფხულის მოსვლას, ვერ უარყოფენ სიცოცხლის წყურვილს, ვერ აიღებენ ხელს ცხოვრებაზე. მართალია, ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ზოგადი წესების მოქმედება მსგავსების ასოციაციებს იწვევენ, მაგრამ მათ თვითმყოფადობას ამითი სახე არ ეცვლება. ამ თვითმყოფადი მოვლენების საერთო ნიშნად ის გამოდის, რომ ბუნებაცა და საზოგადოებაც „ერთფერად მტვირთველი არის, საქმის თეთრის და შავისა", ან, „საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა". შინაარსით დაპირისპირებულ მოვლენათა ეს მუდმივი თანაარსებობა სამყაროს უსასრულოდ მოქმედი პროცესია. სწორედ ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედი კანონები წარმოადგენენ თეთრისა და შავის, კეთილისა და ბოროტის, ჭეშმარიტისა და

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 393.

მცდარის ურთიერთზემოქმედების უთვალავ მრავალსახეობას. ასეთი კავშირების წვდომა გადააქცია ვაჟა-ფშაველამ მხატვრული წარმოსახვის საფუძვლად იმ აზრით, რომ ბუნებისა და საზოგადოების ორიგინალური არსებობის ფორმები ერთმანეთთან სოციალურ-ეთიკური და ესთეტიკური შინაარსით დაეახლოებინა. ამიტომ არის მკითხველზე უშუალო ზემოქმედების მომხდენი, მისთვის მახლობელი და სასურველი მთის წყაროს, ქუჩის, ხმელი წიფლისა და სხვათა მხატვრული სახეები, მათში ჩაქსოვილი გრძნობები და მისწრაფებები. საზოგადოების ცხოვრების ნაკლად ვაჟას ის მიაჩნია, რომ ბუნებისნაირ ზომიერებას ვერ იცავს. პოემა „მთათა ერთობაში" პოეტმა ბუნების მშვენიერ ქმნილებას, იალბუზს, საყვედური გამოათქმევინა ადამიანთა მიმართ სწორედ იმის გამო, რომ ისინი უსამართლო, უღირს საქციელს უზომოდ სჩადიან.

ბუნება თვითმოქმედების მუდმივ აზრს არასოდეს ცვლის ისე, რომ ზომა, ჰარმონია და ამის კვალობაზე თავისთავადი მშვენიერება დაკარგოს. მისი „სიკეთეც" აქ ჩნდება. ბუნება ზოგადი კანონზომიერებების ძალით თავისებურად გაწონასწორებული ფენომენია. მის წიაღში, როგორც პოეტი ამბობს, „უზომოდ ავის ჩადენით წინ ვერვინ იწყებს სირბილსა". ბუნების თვითმოძრაობა, ცხადია, თავისი შინაარსით სოციალურ-ეთიკური, რელიგიურ-ფსიქოლოგიური არ არის. ეს შინაარსი იქ პოეტური წარმოსახვით არის აღმოჩენილი და გაცოცხლებული. ვაჟა-ფშაველამ პოეტური ლოგიკის საფუძველზე გაათანაბრა ერთმანეთთან ბუნების მოვლენათა მოძრაობა და ადამიანის სოციალურ-ზნეობრივი სწრაფვები. ხშირად პოეტის ნაწარმოებთა მხატვრული მოქმედება ისე ვითარდება, რომ ბუნების წიაღში დანახული „სიკეთე და სამართლიანობა" თავისი ღირებულებით დიდად აღემატება კაცთა პრაქტიკული მოღვაწეობის ამგვარსავე მიზანს. იალბუზის რწმენით, ბუნების „უენპირო" ქმნილებათა დამოკიდებულებაში ძალმომრეობა, უსინდისობა ვერასოდეს გაბატონდება, რადგანაც ბუნება სანიმუშო ზომიერების დამცველია. ამის გამო ბუნების შინაგანი წესრიგი საზოგადოებრივზე მაღლა დგას და ხშირად მისი მოძრაობის არსი ადამიანთაგან მიუწვდომელიცაა: „ჩვენის ცხოვრების სასწვრისა უღელი მუდამ სწორია, მით კაცთა ცხოვრებაზედა ჩვენიდან ძლიერ შორია", – ამბობს იალბუზი.

იგულისხმება, რომ შემაშფოთებელი უზომო მოქმედება მხოლოდ კაცთა ცხოვრებაში ჩნდება, რადგანაც აქ ადამიანის საწყა-

ული აღუვსებელია და იგი იმაზე მეტს ითხოვს, რაც ბუნების მიერ მონიჭებული წესით ეკუთვნის. ასეთი საყოველთაო საჭიროების უგულვებელმყოფელი მოთხოვნილებები ამრუდებს ადამიანთა ცხოვრებაში სიკეთის, სიყვარულის, მოვალეობის, სამართლიანობისა და სინდისის გრძნობებს. აღნიშნულის კვალობაზე საზოგადოებაში კერძოსა და ზოგადის ურთიერთობის ჰარმონიის პრინციპი ხშირად ირღვევა. მართალია, ზოგადი წესებიდან გადახვევა, ანომალიები ბუნებაშიც წარმოიშობა, მაგრამ მათზე ყოველთვის „გონივრული საწყისები“ ბატონობს. ყოველივეს მართავენ ან ცვლიან სამყაროს ზოგადი წესები, ხოლო თვითონ კი მარადიულნი რჩებიან. მუდმივი მოვლენები, კერძოდ კი წლის დროთა ცვალებადობა, მნათობთა „ჩასვლა-ამოსვლის“ დიადი წესრიგი, დღე-ღამის მონაცვლეობა და სხვა გლობალური კანონზომიერებები განსაზღვრავენ ბუნების წიაღში მიმდინარე უთვალავ პროცესს. ყვავილთა აღმოცენება კი არ შეაპირობებს გაზაფხულის მოსვლას, არამედ კოსმოსური ძალები ამკვიდრებენ გაზაფხულს. ამიტომაც, პოეტის სიტყვით, პირიმზის ყვავილს თვალები „ყოველთვის მზისკენა აქვს მიპყრობილი“, რადგანაც „მზე დედაა, პირიმზე შვილია მზისა“. ეს ყოვლისმომცველი ერთიანობა და ბრძნული კავშირი მიწისა და ცისა, ბუნებისა და ადამიანისა პოეტის სულში მუდმივად აცოცხლებს ესთეტიკურსა და მაღალზნეობრივ გრძნობებს. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების შინაარსი მხატვრული წარმოსახვის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ვაჟა-ფშაველა წერს: „რაც უნდა განვითარების უმაღლეს მნვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ... ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია“.[1] მაშასადამე, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების პოეტური წვდომა, ვაჟა-ფშაველას რწმენით, თავისთავად მოითხოვს ერთიმეორეში გარდამავალი სოციალურ-ეთიკური და ესთეტიკური გრძნობების მხატვრულ განსახიერებას.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ის, რაც ადამიანის გარეთ არის, იმავე დროს თვითონ ადამიანშივეა მოცემული და თავისებურად აღბეჭდილი. აღნიშნულის გამო ადამიანს აღეძვრის სურვილი საპირისპირო სიტუაციის ან სურათის დახატვისა, კერძოდ კი ბუნებაში წმინდა ადამიანურის დანახვისა. ასეთ შემთხვევაში იკვეთება მეტაფორულ-მხატვრული განსახიერების იმგვარი შესაძლებ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 395.

ლობა, როდესაც თვითონ ბუნებამ, მისმა ქმნილებებმა უნდა წარმოაჩინონ განცდის, შეფასებისა და შემეცნების ის „უნარი", რაც მხოლოდ ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი. შემოქმედი მხატვარი ცდილობს საკუთარი ხილვებისა თუ ვიზიონების მადლით აავსოს ბუნების უტყვი ქმნილებები. თვითონაც იგი გარესინამდვილის საგან-მოვლენათა ურიცხვ სურათს იტევს და ამის მსგავსადვე სურს, რომ ბუნების წიაღმაც კაცთა ცხოვრების ნაირ-ნაირი სურათები წარმოადგინოს. ცხადია, ასეთი პოეტური მიმართებები იმთავითვე გულისხმობს შემოქმედის პერსონალურ შესაძლებლობათა იდუმალ ჩართვას ბუნების თვითმოქმედებაში და საზოგადოდ კი ხელოვანის სულიერი ძალისხმევის მეტაფორულ გახსნას. ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ერთიანობის ასეთი მხატვრული წვდომით ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ჩვენი მწერლობის უბადლო ნიმუშად იქცა. ვაჟასეულ მხატვრულ საბეებში ბუნების ობიექტურ რეალობებს უჩვეულო ძალით შეენივთა ადამიანური, საზოგადოებრივი შინაარსი და ამის კვალობაზე მსჯელობა-შეფასებების ის წესიც, რაც მხოლოდ კაცთა ცხოვრების ავ-კარგის გასარჩევად გამოიყენება. ასეთნაირად იქმნება ყოვლისმომცველი კავშირი, რომლის წყალობითაც „ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია". დაკვირვებული მწერლის შემოქმედებით წარმოსახვაში ასე იკვეთება ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების მრავალსახოვნება. ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ-მხატვრული ნააზრევი ცხადყოფს, რომ ბუნებისა და კაცთა ცხოვრების დიადი კავშირი ლიტერატურულ ქმნილებათა სიუჟეტსა და სახეებში მხოლოდ მაშინ გამოიძერწება, სრულყოფილად, როცა ეს კავშირი ემოციების ენაზე ამეტყველდება, განპიროვნდება და საყოველთაოდ სასურველი აზრით აივსება. გარესამყაროსადმი, ასეთმა თავისებურმა ღირებულებითმა მიმართებამ მოითხოვა ისიც, რომ ვაჟა-ფშაველას ბევრი მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტი მთლიანად განპიროვნების, ანუ მეტაფორული განსახიერების, პრინციპს დამყარებოდა. ეს ცხადად ჩანს მწერლის ისეთ ქმნილებებში, როგორიცაა: „ქუჩი", „მთის წყარო", „ია", „ხმელი წიფელი", „შვლის ნუკრის ნაამბობი", „არწივი", „მთათა ერთობა" და სხვანი. რაკი ვაჟა-ფშაველას მრავალი თხზულება ბუნების საგნებისა და მოვლენების ყოვლისმომცველ პერსონიფიცირებას ემყარება, ამიტომ იქ სრულიად ბუნებრივად ჩნდება მხოლოდ საზოგადოების ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი სოციალურ-ეთიკური და ესთეტიკური კატეგორიებით ორიენტირების მოთხოვნა. მწერალი ბუნებაშიც კაცთა ცხოვრებისა და

იდეალების შესატყვისს პოულობს. ამიტომაც ვაჟას ნაწარმოებებში მხატვრულ სახეებად გარდაქმნილი ბუნების საგნები, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ-ფსიქოლოგიური და მორალურ-ესთეტიკური შემეცნება-შეფასების უნარით გვევლინებიან. პოეტისათვის მხატვრული პირობითობით ბუნებაშიც არსებობს ცოდვა-მადლი, მოქმედებს სიკეთე, ბოროტება, სიყვარული, სიძულვილი, სამართლიანობა, უსამართლობა, მშვენიერება, სიმახინჯე, და ამიტომაც, სადაც ამ მოვლენების მნიშვნელობის განსჯის აუცილებლობა ჩნდება, იქ ყოველთვის თავის სიტყვას უნდა ამბობდეს წმინდა სინდისიც. ვაჟა-ფშაველას რწმენით, სინდისი ის უძირითადესი ფენომენია, რომელიც მრავალი ნიუანსით უკავშირდება კაცთა სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა მხარეს. იგი თავისებურად ამთლიანებს იმ პიროვნულ საწყისებს, რომლებიც სინდისთან ერთად განსაზღვრავენ ადამიანთა ყოველდღიურ სულიერ-ინტელექტუალურ სწრაფვებს. მწერლის თხზულებათა სიუჟეტში ეს გრძნობა არა მარტო ცალკეული პიროვნების, არამედ მთელი ერის და ხშირად კი კაცობრიობის საოცნებო იდეალების უტყუარ საზომად გამოდის. მხატვრულ სახეთა სისტემაში ჩართული სინდისის აქტიურობისა და სიფხიზლის გარეშე ვერ მიიღწევა ჭეშმარიტი სიკეთე, სამართლიანობა, სამშობლოსა და სხვა ადამიანის წრფელი სიყვარული, ვერ დაფასდება სწორად პიროვნულ ღირსებათა არსი. ვაჟა-ფშაველას პოეტურ-მეტაფორულმა ტალანტმა ამ მრჩეველი გრძნობის დიადი ძალა ყველგან, მთელს სამყაროში ეძია. სადაც კი მწერალმა მისი მნიშვნელობა მინავლებული პოვა, იგი დაუშრეტელი ინდივიდუალური უნარითა და პოეტური სულით ასაზრდოვა, გაადიადა, შეუდარებელ მხატვრულ ფასეულობად აქცია. ამიტომაც სინდისის გრძნობამ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში თავისებურად შეაკავშირა და საკუთარი მადლით გაანათა არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ავ-კარგი, არამედ ბუნებასთან ადამიანის მიმართების მთელი შინაარსიც.

თავი VI

ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა პრობლემა „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“

ვაჟა-ფშაველა თვითონ ახასიათებს სინამდვილის მხატვრული ათვისებისათვის ნიშანდობლივ მოვლენებს. იგი საგანგებოდ მსჯელობს იმაზე, თუ პოეტური ფანტაზიის წყალობით როგორ იცვლება ობიექტური მასალა. პოეტი ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ შეეფარდება ერთმანეთს დასრულებული ნაწარმოების სიუჟეტი და ზემოქმედების მნიშვნელობის მქონე ცხოვრებისეული მასალა. ვაჟა-ფშაველა ნათელყოფს, თუ რამდენი რამ უნდა დაუმატოს შემოქმედმა უშუალოდ აღქმულს, რამდენნაირად შეიძლება განიცადოს და აამეტყველოს, გააზრიანოს იგი.

ვაჟა-ფშაველამ გამოაქვეყნა „ალუდა ქეთელაურის“ წყარო და ცხდი გახდა როგორც ამ მასალის თავისთავადი სახე, ასევე პოემისა, რომლის სიუჟეტში ცხოვრებისეულმა ამბავმა შეუდარებელი მასშტაბის ცვლილებები განიცადა. მწერლის შემოქმედებითმა უნარმა სწორედ ის ახალი ღირებულებები და შეფასებები ჩააქსოვა თხზულების სიუჟეტში, რაც მის წყაროებში არ იპოვება. ნაწარმოების მოქმედების განვითარების პროცესში გამოვლინდა მოვლენებზე პოეტის დაკვირვების სიღრმე. პოემის წყაროს თაობაზე ავტორი წერს: „ალუდა ქეთელაური“... არის აშენებული სრულიად უბრალო მარტივს ამბავზე, უბრალო შემთხვევაზე. ალუდა ქეთელაურს ქისტებმა ცხენი მოჰპარეს. ქურდებს მდევრად გამოუდგება, ერთს მათგანს თოფით მოჰკლავს, ხოლო მოკლულის ამხანაგი ვაჟკაცურად დაუხვდება, თუმცა ესეც მსხვერპლი ხდება ალუდასი, მაგრამ მოჰხიბლავს მას თავისი ვაჟკაცობითა და როცა ჩამოვარდება საუბარი მუცალის მოკვლაზე, ხანდახან შესანდობარს დაჰლევს ალუდა ქისტისას – ლუდს ან არაყს. მარჯვენის მოჭრა-მოუჭრელობაზე ზეპირი გადმოცემა არაფერს გვეუბნება. ხალხური თქმულებისა მთელი თავი და ბოლო ეს არის“.[1]

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 365.

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, ეს ამბავი იმიტომ არის „მარტივი“, ანუ „უბრალო შემთხვევა“, რომ მასში არა ჩანს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი საურთიერთო ნორმების სხვადასხვაგვარად შეფასება და ამის ნიადაგზე არც კონფლიქტი წარმოშობილა ალუდასა და საზოგადოებას შორის. მასალის მიხედვით, ალუდა რეალური ცხოვრების ის ჩვეულებრივი მკვიდრია, რომელიც ტრადიციული წესების გადაფასების გამო არავის უპირისპირდება. პოეტმა ცხოვრებისეულ ამბავში მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ძირეული ადამიანური გრძნობა დაინახა. მან აქ ჩადენილი საქციელის გამო ამოქმედებული სინანულის გრძნობა ამოიკითხა. თუმცა ამგვარი სინანული თემის ნორმების ზემოქმედების გამო პიროვნებაზე არ უნდა გაბატონებულიყო. აღნიშნულ გარემოში ადათების მოთხოვნით მტრის ნიშაზე გულჩვილობა ან მასში მაინცდამაინც კეთილის ძებნა-დაფასება არავის ევალებოდა. თემის შეხედულებით, ურჯულოს შებრალება, მისი „ცხონება“ დაუშვებელიცაა. განცვიფრებული ხალხი ასე მიმართავს ალუდას: „მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკვენ მისდევდი მა რადა?!“ პოეტის მიერ გაგონილი ამბავი, მისნაირი ფაქტები მთიელთა ცხოვრებაში ჩვეულებრივი და ფართოდ გავრცელებული იყო. კერძოდ, თარეში, მდევრად წასვლა, შურისძიება, მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში ვაჟკაცობის გამოჩენა, მტრისათვის მარჯვენის მოჭრა და იარაღის აყრა ცხოვრების ნორმად მიიჩნეოდა. ვაჟა-ფშაველას შეეძლო აღნიშნული ელემენტების შემცველი ამბები უხვად ეპოვა მთის ყველა კუთხეში. ცხადია, ასეთ ცხოვრებისეულ შემთხვევებს ხშირად მრავალმხრივი მოტივები ედო საფუძვლად. ავტორის მიერ თხზულების წყაროდ დასახელებული ეს კონკრეტული მასალა გამოხატავს კაი ყმის იმგვარ საქციელს, რომლითაც იგი თემის ადათებს არ უპირისპირდება. ვაჟა-ფშაველა, როგორც ჩანს, დააფიქრა თემის ნევრის ერთმა განსხვავებულმა ჟესტმა, ერთმა გრძნობამ. იგი წერს: „...ხანდახან შესანდობარს დაჰლევს ალუდა ქისტისას – ლუდს ან არაყს“. ვფიქრობთ, პოეტს ამ დეტალმა, მაღალზნეობრივი გრძნობის ამგვარმა გამოვლენამ შეუქმნა განწყობა, აღუძრა სურვილი იმისა, რომ ეს ბუნებრივი გრძნობა ზეპიროვნულ რანგში აეყვანა და ახალ სულიერ ღირებულებათა წვდომის საშუალებად ექცია.

ვაჟა-ფშაველამ „ალუდა ქეთელაურის“ სიუჟეტი დაუკავშირა როგორც გვაროვნული თემის მორალურ შეხედულებებსა და უძველეს მითოსურ რწმენა-წარმოდგენებს, ისე თავისი ეპოქის

ეროვნულ თუ საკაცობრიო იდეალებს. ამის გამო, ცხადია, რომ პოემის მხატვრული ღირებულება ეპოქის მოთხოვნათა კონტექსტში უნდა გაიხსნას. მწერლის სიტყვისამებრ, შემოქმედებითი მასალა მარტივია და ამითაც ირკვევა, რომ მისი პოეტური წარმოსახვების კარი იყო ფართოდ განხმული წრფელი და უშუალო ადამიანური განცდების მხატვრული ათვისებისათვის. ცხადია, სათქმელი ამ ნაწარმოების შექმნისასაც ავტორის „გულში იხარშებოდა". სწორედ მასალის „სულიერ ქურაში გადადნობისას", ანუ თხზულების სიუჟეტის ფორმირებისას, ოსტატურად ექსოვებოდა ერთმანეთს ძველი და ახალი ღირებულებები.

თუ ალუდას დავახასიათებთ პოემის დასაწყისისა და ხალხური მასალის მონაცემთა საფუძველზე, ვირწმუნებთ, რომ იგი თემის შეხედულებების დამცველია. თხზულების პირველ თავშივე ნათქვამია, რომ ალუდა „კაცია დავლათიანი, საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი". გზიანი სიტყვის თქმა, საფიხვნოს თავში დაჯდომა შეეძლო მხოლოდ თემის ძველი ანდრეზებისა და იდეალების მიმდევარ კაი ყმას. მდევრად წასასვლელად ალუდას მზადება, ქისტებთან შეუპოვარი ბრძოლა, მასა და მუცალს შორის გამართული ერთიმეორის გამომწვევი და რჯულის დამგმობი შეძახილები ცხადყოფს, რომ მოქმედებისას გმირი ტრადიციულ მოთხოვნებს მიჰყვება. ხალხურ ამბავშიც და პოემის დასაწყისშიც ალუდა ისეთ ადამიანად წარმოჩნდა, რომელიც თემის ინტერესებით ცხოვრობს. მის სწრაფვაში საზოგადოების საერთო შეხედულებების ერთგულება ცნაურდება. თემი და მისი წევრი მოქმედების მიზეზთა შეფასებისას შეთანხმებული და ერთსულოვანი არიან. ალუდა დამკვიდრებული ადამიანური ღირებულებების სხვაგვარად შეფასებით ჯერ არავის უპირისპირდება. ღირებულებების დიფერენცირებისაკენ სწრაფვა, მოვალეობის ნაირგვარი გაგება, სინდისის გრძნობის გაორება თემისა და მისი წევრის ურთიერთობისათვის ნიშანდობლივი არა ჩანს. საერთოდაც, გვაროვნულ საზოგადოებაში ადამიანები პიროვნულ-ინდივიდუალური მიზნებით მკვეთრად არ გამოცალკევდებიან. აქ თითოეული ადამიანი თემის იდეოლოგიის მორჩილი იყო და ამ იდეოლოგიის ერთგულებით ამაყობდა კიდევაც. ეს ტენდენცია ბატონობს მთის ხალხურ გადმოცემებსა და ბალადებში. თემის შეხედულებებისა და საკუთარი მოქმედების მიზანში დაუეჭვებელი წავიდა ალუდა მდევრად. რწმენის სიმტკიცის გამო იგი თემს თავის სანაქებო წევრად მიაჩნია. თანასოფლელთა შეხედულებით, ის ჭეშმარიტი კაი ყმაა. ამიტომაც ნაწარმოე-

ბის ბოლოს თვითშეგნებაშეცვლილ ალუდას ხევისბერი ბერდია ერთგვარი სიამაყით მოაგონებს ადრინდელ საქციელს, ხასიათის სიმტკიცეს და აღნიშნულის საყოველთაო მნიშვნელობაზედაც მიუთითებს: „რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია, ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის მარჯვენეების ხიდია; ციკანიც არვის დაუკალ, განღამც კურატი დიდია“.

ასეთი ყოფილა, ხევისბერის სიტყვისამებრ, ალუდა მუცალთან ბრძოლამდე. ეს ცხადად ჩანს პოემის დასაწყისში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თვითონ ავტორი თემში წარმოშობილი ამბების ავ-კარგის ნიუანსებს ღრმად სწვდებოდა. ხევისბერი ბერდია ადათების მოთხოვნის შესაფერისად გარჯას უქებდა ალუდას. ამგვარსავე საქციელს მოელოდნენ თემის სახელოვანი წევრისაგან უშიშა, „ახალუხლები“, მთელი საზოგადოება. ეს საზოგადოება მკაცრად განსაზღვრავს კაი ყმის ქცევის ნორმებს, მის მიზნებს. ამა თუ იმ საქციელის გამაპირობებელი წესები ხშირად ძველი რწმენა-წარმოდგენებით არის გამაგრებული. ასეთ გარემოში ადამიანი ადათობრივი ნორმებითა თუ დამკვიდრებული შეხედულებებით არის შემოფარგლული, ისინი აკმაყოფილებენ მის სულიერ მოთხოვნილებებს. სწორად ითქვა, რომ „ეს თემი, ანტიკური საზოგადოების მსგავსად, დახშული და თავის თავში ჩაკეტილია. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის აშკარა გარემოება, რომ „ალუდა ქეთელაურში“ გამოხატული თემი საკრალური საზოგადოებაა, რომლის „შუაგულს“ სატომო ღვთაება – გუდანის ჯვარი წარმოადგენს“.[1]

პიროვნებაცა და კოლექტივიც აქ არსებული ადათებით ხელმძღვანელობენ გარკვეული ქცევის განხორციელებისას. მოვლენათა მათეული შეფასება ამიტომაც, უპირატესად, წარსულზე ან აწმყოზეა ორიენტირებული. მომავალიც მათ ტრადიციების მკაცრი მოთხოვნის გაგრძელებად ესახებათ. ზოგჯერ კი ჰგონიათ, რომ ეს მომავალი ზესთაბუნებრივი ძალების ნებაზეა დამოკიდებული. თემიდან მოკვეთილი ალუდას რწმენით, „ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადო“. აქ ადამიანები ცხოვრებაში დამკვიდრებული, ანუ რეალობად ქცეული, ღირებულებების მიღმა თითქმის არ იცქირებიან. სასურველის, ანუ „უნდას“, პრობლემები თემის ინტერესთა წრეშია ჩაკეტილი. ცხადია, ეს იმას არ გულისხმობს, რომ თემში კოლექტივისაგან, მასისაგან განსხვავებულად არ შეეძლო ადამიანს რაიმე ეგრძნო ან ეფიქრა. საქმე ის არის, რომ ინ-

[1] თ. ჩხენკელი, ტრაგიკული ნიღბები, თბ., 1971 წ., გვ. 147.

დივიდუალურ-პიროვნული გრძნობები თემში ძალიან სუსტად ვლინდებოდა და საყოველთაო ნორმების შეცვლის ძალაც არა ჰქონდა.

თავისებური ხასიათისა აღმოჩნდა ალუდასთან მებრძოლი ქისტი მუცალი. იგი ღმერთს იმის გამო ემდურის, რომ უიღბლოდ წარიმართა მისი ცდა, მტერმა ძმაც მოუკლა და თვითონაც სასიკვდილოდ დაჭრა. მუცალი სიკვდილის წინაშე მაინც მგლისფერს არ კარგავს, ანუ ვაჟკაცურ იერსახეს, არ იცვლის. გმირული სულისკვეთების ტოლძალოვანი აღმოჩნდა მასში სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილიც. სიცოცხლე, ვაჟას რწმენით, ისეთი ღირებულებაა, რაც მამაცისათვისაც ძნელად დასათმობია: „მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს მგლისას, მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია მწვანეს ბალახსა მთისასა".

მუცალმა ბრძოლისა და სიცოცხლეზე ფიქრის ამაოება ირწმუნა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ამაღლდა თავის გარდაუვალ ბედზე, საყოველთაო ტრადიციულ მოთხოვნებსა თუ შეხედულებებზე და „თოფიც ალუდას გადუგდო, ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა: ახლა შენ იყოს, რჯულძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა. სიტყვა გაუშრა პირზედა, დაბლა გაერთხა მიწასა".

სავალალო ჟამს მუცალს ახალი წადილი დაეუფლა, კერძოდ, სურვილი ალუდას ვაჟკაცობის აღიარებისა. სწორედ ამიტომ წარმოიშვა გმირის არსებაში თავისუფალი განსჯისა და მოქმედების სურვილი. მან პირველმა დააფასა ალუდას სიმამაცე და ეს გრძნობა უცნაური, ტრადიციულისაგან სრულიად განსხვავებული ჟესტით, სიტყვითა და საქციელით გამოხატა: თოფი ალუდას გადასცა და ისურვა, ამიერიდან მხოლოდ მისნაირი ვაჟკაცის ხელში ყოფილიყო ეს იარაღი. აქ ახალი მნიშვნელობის სწრაფვა--მოთხოვნილება და ასევე ახალი შინაარსის სიკეთის გრძნობა დაიბადა. მუცალმა პირველმა გაარღვია ტრადიციული მოქმედების მტკიცედ შეკრული ჩარჩოები. მოწინააღმდეგის ამგვარ საქციელში ალუდამაც სიკეთის უჩვეულო ნდომა-სურვილი დაინახა. მთიელთა ქცევის ნორმები ითხოვდა, რომ მტრისათვის იარაღი აეყარათ, ხოლო საკუთარი არავისათვის დაეთმოთ, „სირცხვილი არ ეჭამათ".

დამარცხებული მუცალი სიკვდილის წინ თვითონ სთავაზობს ალუდას თავის იარაღს. იგი საჭურვლის შენარჩუნებაზე აღარ ზრუნავს. ალუდამ იცის, რომ ასეთნაირად არავინ იქცევა. ამიტომაც მტრის საქციელმა და სიტყვამ ალუდას მთელი არსება შეძრა. მუცალის ასეთი მოქმედება, ცხადია, ქისტების თემის

ადათობრივი ნორმებისა თუ ზნეობრივი შეხედულებების გადაფასების თავისებური ფაქტია. იგულისხმება, რომ არც ქისტებისათვის იქნებოდა მისაღები თუ მოსაწონი მუცალის მიერ მტრის მიმართ გამოვლენილი სიმპათია და თავისი ნებით მისთვის იარაღის გადალოცვა. მუცალი უცნაურ სწრაფვას გამოავლენს. იგი არსებული ადათ-წესების მოთხოვნას აღარ მიჰყვება. პიროვნულ ღირსებათა აღმოჩენა შეძლეს ერთიმეორეში მუცალმა და ალუდამ. სწორედ ეს დაედო საფუძვლად მათ მიერ ქცევის ახალი მოტივების წინა პლანზე წამოწევას.

ვაჟა-ფშაველას პოეტური იდეალისათვის უცხო იყო უგრძნობი, უმოძრაო, თავისთავში ჩაკეტილ-დასრულებული ადამიანი. მისი რწმენით, „მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა"; ადათებით შემოსაზღვრულ გარემოში წამოიმართა მაღალი ინდივიდუალური სულისკვეთების გამომხატველი სახეები ალუდასა და მუცალისა. მუცალის სულიერ მიდრეკილებათა განვითარებას სიკვდილმა მალე დაუდო საზღვარი. თუმცა მკითხველს ეუფლება ძლიერი განცდა იმისა, რომ მუცალის ხასიათის სიღრმისეული ნიშნები ალუდას სახეში გაგრძელდა: თითქოს ალუდას პიროვნებაში განვითარდა და განსახიერდა ის, რაც მუცალის მოქმედებაში ტყვიამ ჩაახშო. მუცალის მიერ გამოვლენილი ადამიანური ღირსებები მასთან ერთად არ დაღუპულა. მათი კვალი ალუდას თვითშეგნებაში აღიბეჭდა, განაახლა და განავითარა იგი. სწორედ ასეთი ადამიანის სიკვდილმა გარდაქმნა ალუდას ხასიათი და არა იმათი, ვისი ხელებიც მის ქავზე ჯღრდესავით ჰკიდია. მუცალის სულიერი მიდრეკილებები არწმუნებს მკითხველს, რომ თუკი ალუდა მასავით სიკეთესთან შეუღლებული მამაცობით დაასრულებდა სიცოცხლეს, მაშინ მუცალიც დააფასებდა და დაიცავდა ქისტების თემში გულადი გმირის სახელს. აქ გამოიკვეთა ადამიანის სულიერი სამყაროს უნართვისებათა მხატვრული წვდომის ის დიდი ნიჭი, რაც ვაჟა-ფშაველას ჰქონდა და რაიც მისი ეპიკური სახეების უკვდავების საფუძველიცაა. მუცალის და ალუდას ორთაბრძოლის ეპიზოდი არის შეუდარებელი ნიმუში რთული ადამიანური ურთიერთმიმართების იმგვარი შემოქმედებითი ათვისებისა, როდესაც ერთი სახე მეორეს ამდიდრებს. ამ შემთხვევაში ადამიანური სულიერი ღირებულებების სუბიექტურ-ობიექტური შინაარსები ერთიმეორეში აისახებიან და გარკვეულ კავშირს აბამენ მთელს გარე სამყაროსთანაც. მუცალი, როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციული წესების საწინააღმდეგოდ მოიქცა და ასეთივე უნარი აღძრა ალუდას

არსებაში. მუცალმა თავისუფლად იმოქმედა, თავისუფლად განსაჯა და შეაფასა მომხდარი ამბავი, კაცური ღირებულებები. მსგავსმა სულისკვეთებამ და ძალამ გამსჭვალა ალუდაც. ჰეგელმა შესანიშნავად დაახასიათა ამგვარი ადამიანური ურთიერთმიმართებები: „სუბიექტი ობიექტში განჭვრეტს საკუთარ ნაკლს, საკუთარ ცალმხრიობას, ხედავს ობიექტში თავის არსებასთან რაღაც მახლობელს და ისეთსაც, რომელიც თვითონ არ გააჩნია“.[1]

სიკეთის ახალმა გრძნობამ, მტრის ხასიათში ნაპოვნმა ღირსებამ გადაახვევინა მუცალს ტრადიციული ქცევის ნორმებიდან. პოემის წყაროდ აღიარებულ ხალხურ მასალაში კი მუცალს არ გამოუვლენია სხვა ადამიანების დაფასების სურვილი თუ სიახლისაკენ შინაგანი ლტოლვა. აქ მხოლოდ მუცალის ხასიათის სწორხაზოვნება და ერთადერთი მაღალი თვისება – გამბედაობა წარმოჩნდა. მასალის მიხედვით, მარტო ალუდამ გამოხატა მუცალის ვაჟკაცობის აღიარების მოკრძალებული გრძნობა. ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლის ამბავი ნაწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თანაც პრობლემური სიუჟეტური სიტუაციაა. აქ პოეტმა შეუდარებელი მხატვრული ოსტატობით გახსნა გმირთა სულის მოძრაობის ფსიქოლოგიური და ზნეობრივი საწყისების რთული ბუნება. ამით ისიც ნათელი შეიქნა, რომ ცხოვრებისეული ამბით აღძრული უკმარისობის გრძნობა განაპირობებდა სრულიად ახალი სტრუქტურის მქონე მხატვრული ამბების წარმოშობას. ალუდას წინაშე წამიერად გაიელვა მუცალის რაინდულმა სულისკვეთებამ, მის მხრივ ყოფიერების ნაკლზე ამაღლების უნარმა და სხვა ადამიანის ღირსების ზეპიროვნულმა განცდამ. მუცალის ქცევა ამაღლებულისა და მშვენიერის შინაარსით აღიბეჭდა ალუდას ცნობიერებაში და მისი ტრადიციული განწყობილებები შეცვალა. ამან აქცია ალუდა ტრაგიკული სახის გმირად.

ორთაბრძოლის სიტუაციიდან ალუდამაც სხვაგვარად განიცადა გარემო. მან დაიწყო საურთიერთო ნორმების სუბიექტური შეფასება-გადაფასება, იმის ნაწილობრივი დარღვევა, რაც მის არსებაში უჩვეულო ძალით დაამკვიდრა საზოგადოების ტრადიციულმა თვითშეგნებამ. მუცალის ქცევის მიღმა ალუდამ საკუთარი სულის სიღრმეში ამოქმედებული ახალი გრძნობებიც დალანდა. ცხადია, მოვლენების წვდომის მუცალისებური უნარი ალუდასაც ჰქონდა, ოღონდაც თემური თვითშეგნების ტყვეობა-

[1] ჰეგელი, სულის ფილოსოფია, თხზ., ტ. III, 1956 წ., გვ. 218 (რუსულ ენაზე).

ში მოქცეულ ამ უებრო ძალას დახსნა სჭირდებოდა. ნების თავისუფლება თავისებურად განსაზღვრავს სულის ნათელის გამოვლენას. გრძნობათა თავისუფლება ჯერ მუცალმა გამოავლინა, როცა თავისი შესანიშნავი „ძეგლიგი" შესთავაზა მტერს. მან სიტყვითა და ქცევით გააცოცხლა, გარდაქმნა და ცალმხრიობისაგან გაათავისუფლა ალუდას ცნობიერება. გმირის ცნობიერება ამიერიდან ტრადიციული წესების დამძლევ ურთულეს ფენომენად წარმოდგა, ინდივიდი კი უჩვეულო ზნეობრივი მოთხოვნილებებით განიმსჭვალა. ახალი სულიერი თვისებების დაფასებამ რჯულიანსა და ურჯულოს შორის უნდობლობა მოსპო. აღნიშნულის გამო თემისა და მისი წევრის შეხედულებათა იგივეობაში ბზარი გაჩნდა.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ინტუიცია იქითკენ არის მიმართული, რომ სახეთა ურთიერთმოქმედების პროცესის დასამკვიდრებლად გრძნობათა მაიმპულსირებელი ზემოქმედება ცხადყოს, ხოლო ზოგჯერ ამავე პროცესისათვის ფსიქიკის არაცნობიერ საწყისთა როლზედაც მიგვანიშნოს. პოეტის აზრით, მხოლოდ ინტელექტზე დამყარებით ყოველგვარი ადამიანური ქცევის ახსნა არ შეიძლება. ვაჟას ეპოსი ნათელყოფს, რომ ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი და ესთეტიკური გრძნობების გაშუალება-განზოგადება სოციალურ პრაქტიკაში უნდა მოხდეს.

„ალუდა ქეთელაურის" სიუჟეტი ცხადად გვიჩვენებს, რომ საზოგადოება თავის წევრს მხოლოდ გარკვეულ დრომდე სცემს თაყვანს. როდესაც ალუდას თემის წევრთაგან განსხვავებული მისწრაფებები აიყოლიებს, მაშინ საზოგადოება შერისხავს და უმძიმესი სასჯელისათვისაც გაიმეტებს თავის სანაქებო კაი ყმას. მუცალთან ბრძოლის შემდეგ სხვა თვალით შეხედა ალუდამ ცხოვრების მოვლენებს. იგი ახალი განცდების ზემოქმედების გამო ვეღარ დაეტია კონკრეტული გარემოს ჩარჩოებში. ობიექტური ღირებულებები გმირის განწყობას შეეფარდა და სახე იცვალა. ამიტომ იგი სრულიად ბუნებრივად გაჰყვა ქცევის ერთმანეთთან შეუთანხმებელ მოტივებს. ალუდა მარჯვენას არ სჭრის მუცალს, არც იარაღს აჰყრის, ხოლო მისი ძმის მიმართ კი ტრადიციული წესით მოიქცევა. ცხადია, ალუდას საქციელს აღნიშნულ ვითარებაში ღირებულებათა რანგობრივი შერჩევის პრინციპიც განაპირობებს. ახალი ღირებულების აღმოჩენა ახალი შინაარსის ქცევას იწვევს. ეს ადამიანის სულიერი მდგომარეობის რეალური გამოხატულებაა, რაც ნაწარმოების მითითებულ სიუჟეტურ სიტუაციას დიდ ფსიქოლოგიურ-ზნეობრივ უშუალობას

ანიჭებს. ადამიანის სულის სიღრმეების მხილველმა პოეტმა იცის, რომ ეს ბუნებრივი საქციელია გმირისა, რამაც მისი თვითშეგნების განვითარების წინააღმდეგობრივი ხასიათიც უნდა გამოავლინოს. აღნიშნულის გამო ალუდას გაორებული საქციელი არ უნდა მივიჩნიოთ პოეტური აზროვნების ხარვეზად. პირიქით, ეს ერთ-ერთი სწორი გზაა ადამიანის სულიერ თვისებათა გახსნისა და მისი ავ-კარგის მხატვრული ათვისებისაც. გმირის ამგვარი უშუალობით გამოხატული საქციელის ხილვა დიდი შემოქმედის თვისებაა. მთელს მიკრო და მაკროსამყაროში ერთადერთი არსება ადამიანია, რომელმაც ცხოვრების მოვლენები, საკუთარი და სხვა ადამიანების რთული სულიერი აქტები ზოგჯერ შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევის გზით უნდა შეიცნოს და დააფასოს. პიროვნებებმა უნდა ჩაუყარონ საძირკველი ახალი სულიერი ღირებულებების წარმოქმნას და მათი მნიშვნელობის განმტკიცებას.

ალუდა ქეთელაური იმას გვაუწყებს, რომ გმირი განუწყვეტლივ უსმენს სინდისის გრძნობის წამახალისებელ და ამკრძალავ ხმას. ეს ხმა ხშირად თვითონაა ახალი ღირებულება და ახალი სულიერი ძვრების წარმოქმნის სტიმული. მაშასადამე, ალუდას სახეში ნაირგვარი ღირებულებების წვდომისა და დაფუძნების ზოგადი წესებიც ცნაურდება. ვაჟა-ფშაველამ საკუთარი პოეტური სულის ძალისხმევა უბადლო ოსტატობით ჩააქსოვა ეპიკური სახეების ურთიერთმიმართებაში. ცხოვრებისეულმა ფაქტმა კი არა, დიდი პოეტის ფანტაზიამ განსაზღვრა ალუდას სახის შინაგანი ბუნებაც. მტრებთან ბრძოლის ამბავმა ალუდას დაანახვა, რომ ადამიანის ყველა ღირსება და საქციელი ადათების დონეზე ვეღარ შეფასდება. მოვალეობების ტრადიციულ გაგებას, უწინარეს ყოვლისა, გმირის სინდისის გრძნობა დაუპირისპირდა.

სინდისის გრძნობამ მას ნება აღარ მისცა მუცალის პიროვნულ ღირსებათა მიმართ ძალმოსილად მიეჩნია იარაღის აყრისა და მარჯვენის მოკვეთის ტრადიცია. ამის საფუძველი კი თვითონ მუცალის ორიგინალური რაინდული მოქმედება იყო. მაგრამ ალუდა, ამავე დროს, ადათის მოთხოვნებს აღასრულებს მუცალის ძმის მიმართ. მუცალის ძმას მან მარჯვენაც მოჰკვეთა და იარაღიც აჰყარა. მის მიმართ ჩადენილი ალუდას ტრადიციული საქციელი იმან განსაზღვრა, რომ მუცალის ძმამ ვერ გამოავლინა რაიმე მაღალი ღირსება. მხატვრული სახეების სრულქმნაზე ობიექტური ღირებულებები ძლიერად ზემოქმედებენ. ეს ღირებულებები ზოგჯერ გმირის საქციელის მაორიენტირებელ ფუნ-

ქციასაც კისრულობენ. განსხვავებული ღირებულებების მოქმედებამ გააორა და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური გრძნობების წინააღმდეგობების სფეროში მოაქცია ალუდა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა გმირის მიერ ერთიმეორის საპირისპირო ქცევათა განხორციელება. ალუდა ამჯერად განსხვავებული შინაარსის გრძნობებს უსმენს და მიჰყვება. მას ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია ქცევის განსხვავებული მოტივების ზოგადი მნიშვნელობა. სიტუაციის შეფასებებისასაც გმირის არსებაზე უპირატესად გულისთქმა ბატონობს და მოწონება-დაწუნების უშუალობა განსაზღვრავს მის საქციელს. მთლიანპიროვნული ღირსებები მასში თანდათანობით, წინააღმდეგობათა დაძლევის მტკივნეულ პროცესში უნდა გამოიკვეთოს.

გმირის თვითშეგნება განვითარების ამ საფეხურზე ნაირნაირი მოვლენების ჩუმი განსჯის გზით მიემართება. ალუდას სახის ასეთი დროებით გაწონასწორებული მდგომარეობა, ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ბუნებრივია. ალუდამ მუცალის მოკვლა უმძიმეს დანაშაულად ჩათვალა. მისი ვაჟკაცობითა და პიროვნულ-ადამიანური ღირსებებით მოხიბლულმა სინდისის ღელვა ვეღარ დაიმშვიდა. გმირის მწუხარება თანდათან ღრმავდება, რაც მითოსური წარმოდგენებით გაჯერებული მისივე სიზმარ-ჩვენებებით იხატება. აღნიშნული გარემოებებით ხასიათშეცვლილ გმირს უნდა შეხვდეს თემის შეუვალი რწმენა, რათა მან უკვე პიროვნულ დონეზე განსაჯოს თავისი საქციელის მნიშვნელობა. „ბებერი ჰკითხავს უშიშა ალუდას ამბავს ცდისასა. უამბობს ქეთელაური ამბავს ღილღველის მგლისასა“.

ალუდამ ერთგვარი სინანულით აუწყა უშიშას, რომ მტრების მიმართ თოფი გამოიყენა: „ორნ იყვნენ, თოფი ვიხმარე, წვერს ვერ ვუწვდენდი ხმლისასა. იმ ცხონებულსა მუცალსა რკინა სდებიყო გულადა!“

უშიშასთან საუბრისას ალუდამ ქისტი მუცალი ცხონებულად მოიხსენია. მან გულში ღრმად ჩაჭრილი გრძნობა გამოავლინა და გზა გაუხსნა ზნეობრივი თვითშეგნების ახალ ნაკადს. გმირი ცდილობს, მანამდე მხოლოდ მის არსებაში დაგუბებული განცდები სხვებს გაუმჟღავნოს და ეგების შვებაც პოვოს. მამაცი მტრის გულწრფელი დახასიათებით, ალუდამ თავისი განცდები გამოხატა და სათავე დაუდო ადამიანურ ღირსებათა ახლებურ შეფასებას. გაკვირვებულ მოხუცს, უშიშას, შეუმჩნეველი არ დარჩება ალუდას სიტყვის მნიშვნელობა, მისი ლაპარაკის უცხო,

უჩვეულო კილო. „რას ამბობ? ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულადა“.

ამ სიტყვებით უშიშამ ალუდას მხოლოდ ის მოაგონა, რომ, ხევსურთა რწმენით, ქისტის ცხონება რჯულად არ დაწერილა. ალუდამ კი თავის პასუხში კვლავ დაახასიათა ურჯულოს ღირსებები, აჩვენა საკუთარი თემის მცდარი წარმოდგენები და ადამიანის თვისებათა დაფასების ერთგვარი შეზღუდულობა.

ვაჟკაცობასთან შეუღლებული სიცოცხლის წყურვილი, პიროვნული ქცევის სიმაღლე და მოქმედების დიდი თავისუფლება გამოავლინა მუცალმა. მტრის თავისებურმა საქციელმა, მისი მისწრაფების შინაარსის ამოცნობამ შთააგონა ალუდა, სხვაგვარად შეეფასებინა საკუთარი თემის ადათები, რწმენა-წარმოდგენები.

ალუდა თანდათანობით უფრო ღრმად იცნობიერებს თავისი განცდებისა და საქციელის მნიშვნელობას. მან თემის გასაგონად ისიც თქვა, რომ სჯობია ჩემს სახელს დააკლდეს, ვიდრე კაცმა საკუთარი ნებისა და გულისწადილის საწინააღმდეგო საქციელი ჩაიდინოსო. ნაწარმოების მხატვრულ მოქმედებაში ამ ეპიზოდიდან უკეთ გამოიკვეთება ალუდასა და თემის თვითშეგნებათა მკვეთრი დაპირისპირება, კონფლიქტის ნამდვილი შინაარსი. შატილში მოსულ მინდიას „ალუდას აუგს ეტყოდნენ სიტყვითა შხამიანითა“. მან, როგორც კაი ყმამ, იწყინა ვაჟკაცის გმობა „ენითა ქარიანითა“. იგი ალუდას საქციელისა და ბრძოლის შედეგის შესამოწმებლად მთებს მიაშურებს. თემში მინდიას დაბრუნებას დიდი ინტერესით ხვდებიან: „მოხველ მშვიდობით! – მინდიას ხევსურთა შაუძრახნიან. – რა მაიტანე ამბავი? შორითვე დაუძახიან“.

მინდიამ „ახალ-უხლებს“ გონებრივი განსჯის სივიწროვე დაუგმო და ვაჟკაცურ ქცევათა ბუნებაში გაურკვევლობაც უსაყვედურა.

მისი რწმენით, მხოლოდ გულის კარნახით, ემოციებით, გონების ჩაურევლად ვაჟკაცის საქციელის მოწონება-დაწუნება არ შეიძლება. მინდია სწორად წარმოიდგენს მოვლენათა შემეცნება-შეფასების პროცესში გრძნობისა და გონების თანასწორობის საჭიროებას. ადამიანის ერთგვარი უბედურება, შეცდომების სათავე ისაა, რომ იგი „გულს ათრევინებს გონებას“ ან, პირუკუ, გონებას აჩაგვრინებს გრძნობას. მინდიამ ჯერ თითქოს იგრძნო ალუდას თავისუფალი ქცევის მნიშვნელობა, მაგრამ ბოლოს მან თვითონ დააჩაგვრინა გრძნობა გონებას და თემური იდეოლოგიის

მოთხოვნებს მიენდო. იგი ვერ ამაღლდა ალუდას თვითშეგნების რაობის ამოცნობამდე. უფრო მეტიც, მან ალუდას ნაცვლად თემის სურვილი აღასრულა, მუცალს მარჯვენა მოკვეთა და შატილში მოიტანა. თორმეტი ქისტის მომკლავმა მინდიამ „ხელი ალუდას მიართვის: – წაიღ, მიაკარ ქავადა!“ აღწერილ ქცევათა შესრულება მინდიასა და საზოგადოების შეხედულებით, საჭიროა, სასახელოა, საამაყოა, ხოლო ხასიათშეცვლილი ალუდასათვის – სულის აღმაშფოთებელი, სინდისის ქენჯნის.

ალუდამ არ მიიღო მუცალის მარჯვენა, ხოლო მინდიამ, როგორც თვითონ ამბობს, „სიღრმე აჩვენა ხევისა“. მინდიასა და ალუდას დიალოგმა ცხადყო, რომ თვითშეგნების მასშტაბით ეს გმირები ერთიმეორისაგან დიდად განსხვავდებიან. ისინი მოვალეობათა შინაარსისა და სიკეთის წვდომის სხვადასხვანაირ ალღოს იჩენენ. მინდიას ქცევის მოტივები და იდეალი შეუვალი, უცვლელი კოლექტიური შეხედულებებებით არის განსაზღვრული. იგი უფრო იმაზე ზრუნავს, რომ ალუდასა და თემს შორის კონფლიქტი არ გამწვავდეს და ნაკლებად ცდილობს დაპირისპირების არსში გაერკვეს. თვითონ კი ის ტრადიციულად დამკვიდრებული ადათების ტყვეობაშია და პიროვნულ-ინდივიდუალურ სიმაღლეზე ვერაფერს განსჯის. მინდიას ცნობიერება შორს ვერ გასწვდება, რადგანაც თემის ადათების, მორალური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მკვიდრ ჩარჩოებშია მოქცეული. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ყველა ადამიანი ვერ წარმოჩნდება პიროვნებად: „ადამიანი, რომელსაც ღირებულებათა გარჩევა შეუძლია, არის პიროვნება. პიროვნება ადამიანია, მაგრამ ყველა ადამიანი არ არის პიროვნება!“[1] პოემაში მინდიაც პიროვნებამდე ვერ მაღლდება. იგი ვერც კი ხვდება ალუდას მოქმედების საყოველთაო სოციალურ-ზნეობრივ ღირებულებას. ასევე თავისთავში ჩაკეტილია თემი, მისი იდეალი. ამიტომაც ბოლომდე ვერავინ ჩაწვდა ალუდას გრძნობებს, თუმცა მან ძალა არ დაზოგა, სიტყვაში გაეცოცხლებინა მუცალის ვაჟკაცობა, სულის სიმაღლე. მიუხედავად ამისა, ტრადიციულ შეხედულებებზე დამყარებული თემის იდეოლოგია გარედან შეუღწეველი აღმოჩნდა.

ალუდას სულიერი სამყარო ახალი შინაარსით განცდილმა და შეფასებულმა ღირებულებებმა მოიცვეს. პოეტმაც ღირებულებების ურთიერთშეფარდება-დაპირისპირება ნანარმოების

[1] გ. შუშანაშვილი, ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა, თბ., 1980 წ., გვ. 27.

მხატვრული აზრის რაობის გამოკვეთის ერთ-ერთ საშუალებად აქცია. ალუდას არსებაში ზნეობრივი თვითსრულქმნის წადილი მთიდან მოწყვეტილი ლოდის ძალით მიიკვლევს გზას. გმირის შეგნება ადამიანის ცალკეულ ქცევას თუ ამ ქცევის განმსაზღვრელ გარემოებებს ღრმად სწვდება და მრავალმხრივ აფასებს. სწორედ ალუდას მოქმედებამ დაიტია აზრი მინდიას მომწოდებლური სიტყვებისა: „ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ, გული-დ გონება ძმანია". ჭეშმარიტი პიროვნული ქცევის საძირკვლად ვაჟა-ფშაველამ გრძნობა-გონების თანასწორობა და ჰარმონიული ურთიერთქმედება მიიჩნია. ალუდას მხატვრული სახე ამ ჰარმონიის პრინციპს ემყარება. სულიერ თვისებათა ზემოქმედებას ალუდა უკვე აუმაღლებია ახლად მიგნებული ღირებულებების ზოგადი მნიშვნელობის გაგებამდე. იგი მზად არის, მსჯავრი დასდოს „სინდის ნამძინარევ" საკუთარ წარსულსა და აწმყოს. მას სურს, თავი დაიხსნას ზოგიერთი იმ ადათისაგან, რომლებიც უმაღლესი სამართლიანობისა და სიკეთის თავისთავადი მშვენიერების პიროვნულ ინდივიდუალურ წვდომას აბრკოლებენ. ალუდასათვის მუცალი კაი ყმაა („კაი ყმის მარჯვენა არის", – ეუბნება იგი მინდიას). მაგრამ მუცალი არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც მოვლენების შეფასებისას საკუთარ ნება-სურვილს ან სინდისის მოთხოვნას უგულებელყოფდეს. მუცალის ქცევა-მოქმედებამ ცხადყო, რომ იგი სუბიექტურ სწრაფვებს ქისტების თემის მხოლოდ ტრადიციული შეხედულებებით არ განსჯიდა. ალუდაც სწორედ მუცალის თავისუფალმა ქცევამ, შეუზღუდველმა გრძნობებმა მოხიბლეს. ალუდამ კაი ყმის სახელში ახალი აზრი ჩადო, როცა მუცალი ასეთად მოიხსენია. მან მუცალი სრულქმნილი და თავისუფალი ბუნების ადამიანად მიიჩნია. თვითონ ალუდა ქეთელაურის ირგვლივ კი მხოლოდ ძველი წეს-ჩვეულებების მიმყოლი ადამიანები მოქმედებენ და გარემოსაც მხოლოდ ერთიანი კოლექტიური აზრით აფასებენ. მიუხედავად ამისა, ალუდას შეუძლია ერთიმეორეს შეუფარდოს არსებული და ის, რაც სასურველია და, „რაც დროთა სვლამ უნდა განახორციელოს". ამიტომაც ალუდა უკვე თამამად გადააფასებს თემში მოქმედი ზოგიერთი ადათის ძალას და ამ მოთხოვნას თავისებური სიამაყით გამოხატავს: „რაად სწყრებიან ხევსურნი, რადა ტყვრებიან ჯავრითა?! მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა! „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა. ვაი ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!"

როგორც ვხედავთ, ალუდა ღირებულებების პიროვნული გაგების მიღმა, ცოდვა-ბრალით მონათლულ სამართალსაც ნათლად განჭვრეტს. მისი თვითშეგნება ზღაპრულ ნაბიჯებს დგამს. გმირის ეს ენერგიული სიტყვები მისივე ბუნების სრულქმნასა და სამოქმედო მიზნის გაშლა-განმტკიცებაზე მეტყველებს. ახლისა და ტრადიციული ქცევის მოტივებს ალუდა უკვე დამოუკიდებელი პოზიციიდან განსჯის. იგი ბეჯითად მოითხოვს, რომ სხვები ავ-კარგის გარჩევა-დაფასების უფლებას არ ეცილებოდნენ, თავისუფლებას არ უზღუდავდნენ. აღნიშნული თავისთავად იმას ნიშნავს, რომ გმირის მომავალი მოქმედება უფრო მეტი ძალით უნდა დაეფუძნოს პიროვნული აქტივობის ფენომენს, მოვალეობისა, სიკეთისა და სინდისიერების ახალ საწყისებს.

„ალუდა ქეთელაურის" მეხუთე თავში საბოლოოდ გაიხსნება საზოგადოებისა და პიროვნების თვითშეგნებათა ურთიერთმიმართების ბუნება. აქ ცხადად გამოიკვეთა ალუდას გრძნობათა კათარზისის შედეგები და, ამასთანავე, ხელშეუხებელი სახით წარმოდგა გვაროვნული საზოგადოების შეხედულებათა შეუვალობაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ზესთაბუნებრივი ძალის რწმენა, მისი თანადგომის იმედი, ღვთისაგან ადამიანურ მოქმედებათა შენდობა-დაფასების მოლოდინი ალუდას პიროვნებაში ღრმადაა ფესვგადგმული. თუმცა მთავარი მაინც ისაა, თუ ტრადიციული საღვთო რიტუალის აღსრულების ჟამს რა სიახლისა და რა შინაარსის ადამიანურ ღირსება-მისწრაფებათა აღიარებას ეხვეწება გმირი უფალს. საღვთო რიტუალის ძველ ფორმაში ალუდა ახალ შინაარსს დებს. ცხადია, აქ იგი თემის თვითშეგნებისათვის მიუწვდომელ ჰუმანიზმს განასახიერებს. სრულიად სხვაგვარ სურათს იძლევა ხევისბერი ბერდიასა და მთელი თემის სურვილები. ხევისბრისა და თემის რწმენით, კაი ყმა ის არის, ვინც ადათებს მტკიცედ იცავს, ვინც თავისი ინტერესებით, რეალური ქცევითა და იდეალით კოლექტივის ერთიან სულისკვეთებას არ გამოეყოფა. ასეთი ადამიანი თავის მისწრაფებებს კოლექტიური თვითშეგნების ჰანგზე ააწყობს. ასეთები არიან ამ ნაწარმოების გმირები: უშიშა, ბერდია, მინდია და სხვები. მუცალთან ბრძოლის დამთავრებამდე თვითონ ალუდაც ჩვეულებრივი წევრია თემისა. ჭკუის სწავლებას, ანდრეზით მიღებული წესების, როგორც გარკვეული სახის ღირებულებების, შეცვლას, განახლებას თემი ვერ ურიგდება. ხევისბრის სიტყვისამებრ, ბატონს, უფალს ის კაი ყმა უყვარს, რომელიც საყოველთაო ნორმებისა და მამაპაპური ან-

დრეზების დამცველია თვით ღვთის წინაშე ლოცვა-ვედრების დროსაც.

საერთო ტრადიციული თვალსაზრისით, მავედრებლებსა და ბატონს (სალოცავს) შორის თავიდანვე შეთანხმებული დამოკიდებულება არსებობს. ხალხი ხატს უჩვეულოს არაფერს ევედრება. თემს სჯერა, რომ უფალს ისეთი რამ უნდა სთხოვოს, რასაც მამა-პაპაც სთხოვდა და მისგანაც ამგვარი მუდარის აღსრულებაა მოსალოდნელი. სხვაგვარია ალუდას მიზანი, მისი შინაგანი რწმენა. მას ჰგონია, რომ ანაზდად აღმოჩენილი მაღალი სულიერი ღირებულებები თემის წევრებმაც და თვით უფალმაც უნდა დააფასოს, შეიწყნაროს. ამიტომაც ალუდა ეპიკური სიმშვიდით, გულუბრყვილო და თითქოს ახალი მოთხოვნის შედეგის გაუცნობიერებლად წარსდგება ხევისბერთან, თემის ადათების მკაცრ დამცველთან. იგი თავდაჭერილი საუბრის კილოთი გაანდობს ბერდიას თავის უჩვეულო სურვილს: „– ეგ სამხვეწროა, ბერდიავ, ძოღან მოკლულის ქისტისა. მუცალს ეტყოდენ სახელად, მაუნათლავის შვილისა. კარგადაც დამიწყალობნე, გამიმეტებავ მისთვინა, როგორც უნდომლად მოკლულის თავის ლამაზის ძმისთვინა".

ალუდას ასეთმა სურვილმა შეაშფოთა ხევისბერი, იგი მიხვდა, რომ კაი ყმა გაუგონარს ითხოვდა, მას ეშმა აცდუნებდა. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთა ეს დიალოგი ცხადს ხდის, რომ ისინი ობიექტური ღირებულებების ზემოქმედებით სხვადასხვანაირად არიან ორიენტირებულნი. ისიც ნათელია, თუ ვინ რას ირჩევს ღირებულებებიდან და ვისა აქვს უპირატესი უფლება საყოველთაო არჩევანის დაწესებისა. ამიტომაც ხევისბერი მაშინვე მოაგონებს ტრადიციებს. იმას, რასაც ადრე თვითონ ალუდაც ერთგულად ასრულებდა. „– გაურჯულებელს არჯულებ, შენ ეგ არ შაგიხდებისა, ქისტისად საკლავის დაკვლა კარგად არ მოგიხდებისა. მამით არ მოდის ანდერძი, პაპითა-დ პაპის-პაპითა, გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა".

ნაწარმოებში ხევისბერი ბერდია გამოდის თემის, ანუ საზოგადოების, ერთიანი სამართლებრივ-მორალური და რელიგიური შეხედულებების განმსახიერებლად. იგი იმ ადათებისა და რიტუალების განუხრელად დამცველია, რომლებსაც საზოგადოდ წინაპართა მიერ დამკვიდრებულად მიიჩნევენ. ამ საფუძველზე შესრულებული რიტუალი და მოქმედება მიაჩნია ხალხს მაღალ და უცვლელ ღირებულებად. ძველთა ანდრეზებს მაგიურ-საკრალური იერი აძევს. მათი ზუსტად დაცვა ერთგვარი კოლექტიური

სიამაყის საფუძველია. ხევისბერს შეუძლებლად მიაჩნია, რომ ხევსურთა სალოცავს შეახვეწოს ურჯულო, ქისტი, მისი სიტყვისამებრ, „ძაღლი ძაღლების ჯიშისა“. სალოცავში გამოაშკარავდა, რომ თემის თვითშეგნებისათვის ტრადიციებიდან გადახვევა და ამგვარი სახით პიროვნულ-ინდივიდუალური მისწრაფებების გამოვლენა შეუწყნარებელია როგორც ჩვეულებრივი თვალსაზრისით, ასევე რელიგიური რწმენითაც. საზოგადოების სულიერი მიდრეკილებები რეალური ნორმების მიღმა ვერ მიდის. ასე რომ, საზოგადოება თავისი თავის მონაა, „უთავისუფლო“. აქ იდეალი ცალკეული ადამიანისა ტრადიციული შეხედულებების საზღვრებს ვერ სცილდება. ალუდას კი ღრმად სწამს, რომ მუცალის მაღალი თვისებები ხალხისა და ღვთის წინაშე უნდა დაფასდეს. იგი არა მარტო მუცალის ღირსებებს, არამედ საკუთარი ახალი გრძნობების მნიშვნელობასაც დადებითად აფასებს, ღვთაებრივი მადლის თანაზიარად იგულვებს. ამიტომაც ბერდიას სიტყვებს: „ტყუილად სცდები, ალუდავ, ტყუილად იცვეთ პირსაო“, მან მთიელთა შორის გაუგონარი საქციელით უპასუხა. ალუდას სინდისი კვლავ დაუპირისპირდა თემს, კერძოდ კი მისი რელიგიური წარმოდგენების შეზღუდულობას. მან ხალხსაც, ხევისბერსაც და უფალსაც საკუთარი სულის სიღრმეში მიგნებული სიახლეები შესთავაზა და მათი რიტუალის ფორმით დამკვიდრება სცადა: „გაჯავრდა ქეთელაური, ფერი დაიდვა მგლისაო; ხელი გაიკრა ფრანგულსა, შუქი ამოხდა მზისაო. უქნივა მოზვერს ქედზედა, თავი მიგორავს ძირსაო. თან შაეხვეწა ბატონსა, ნუ შამიცოდებ შვილსაო, ალლადა ჰქონდეს მუცალსა, მაგ მოუნათლავ გმირსაო“.

გმირის უცნაური შინაგანი მდგომარეობის გამომხატველი ეს საქციელი, კოლექტიური თვითშეგნების თვალსაზრისით, მიუღებელია. ალუდამ თემისათვის მეტად მნიშვნელოვანი ორი ადათი დაარღვია. ჯერ ერთი, ურჯულოს სულის მოსახსენიებლად სალოცავში კურატი მიიყვანა და, მეორეც, როდესაც ხევისბერმა შესაწირი არ მიიღო, არ „დაუმწყალობა“, მის მიერ შესასრულებელი რიტუალის გაძღოლა, მისი მოვალეობა თვითონ იკისრა. მთიელთა უძველესი ადათების მიხედვით, გვაროვნული საზოგადოების რწმენით, ხევისბერი უფლის რჩეული იყო. იგი ღვთის ნებითა და საგანგებო რიტუალების აღსრულებით, ქვეყნიურ ცოდვათაგან განწმენდილი, „ხელმხარ განათლული“ უნდა შესდგომოდა საღვთო მოვალეობას. ხევისბერის მოწესედ დადგინება გამოცხადებით, ჩვენებით, სიზმრითა თუ ქადაგის წინასწარმეტყ-

ველებით ხდებოდა. ამიტომაც მისი თვითნებური შეცვლა არავის შეეძლო. ალუდამ სწორედ ეს მოინდომა და ზემოთ აღნიშნული წესები არად ჩააგდო. მან სიკეთის ახალი გრძნობა და საკუთარი სინდისის მოთხოვნა ზოგიერთ ადათზე მაღლა დააყენა. ცხადია, ახალი ღირებულებების დაფასება, მათი მნიშვნელობის შემეცნებაცაა. მაგრამ ღირებულებათა მაიმპულსირებელ ზემოქმედებას თან უნდა ახლდეს სინდისის გრძნობა. ეს გრძნობა თავისებურად უნდა უნათებდეს გზას მოვლენათა შემეცნებისა და ღირებულებათა შეფასების მუდმივ პროცესს. სინდისი, ვაჟა-ფშაველას რწმენით, თვითონაა ის უმაღლესი ღირებულება, რომელიც საძირკვლად ედება ნაირგვარ ადამიანურ ქცევებს. კოლექტიური თვითშეგნება უკომპრომისოა, შეუვალია, ხოლო ალუდას კი სახეშეცვლილი სინდისი წარმართავს სიახლეთა დაფასებისაკენ. წარმოიქმნება კონფლიქტური სიტუაცია. ამგვარი კონფლიქტის არსი ხევისბერმა განსაკუთრებული შიშით გაიცნობიერა და მკაცრი სასჯელის მისაღებად, თავისუფალი სულისკვეთების დასათრგუნველად ხალხის თანადგომა მოითხოვა: „– გაგონილაა, – იძახდა, – ასრე აგდება რჯულისა: საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა, მამხსენე ქისტის სულისა“.

ტრადიციათა გადამლახავი თავისუფალი ქცევისათვის ალუდა თემიდან მოკვეთეს. იგი „შავ-ბნელია“, საღმრთო რიტუალის დღეს ხევისბრისა და ხალხის მიერ დაწყევლილი და „შერისხული“. მიზეზი კი ის არის, რომ იგი მოვლენებს სხვაგვარად იცნობიერებს და მათ სხვათაგან განსხვავებულად აფასებს. უმაღლეს სიკეთესა და სილამაზეს ადამიანის სულიერი მისწრაფებებისას ალუდა იქ პოულობს, სადაც ადათებით ზღვარდადებულ სხვათა თვითშეგნებას მათი შემჩნევა არ ძალუძს. პოემის ავტორი დიდი გულმოდგინებით ხატავს თემისაგან მოკვეთილი გმირის გარემოსაც. ცენტრალური გმირის სახის გამოსაძერწად მწერალი მოიხმობს სხვადასხვა თვითშეგნების ადამიანების სიტყვასა და ქცევას. ღრმააზროვან მხატვრულ დეტალთა საშუალებით პოეტი მუდმივად ათვალსაჩინოებს მნიშვნელოვანს, გმირის ხასიათის გამამთლიანებელ მოვლენებს. მინდია თითქოს თანაუგრძნობს ალუდას, მაგრამ, როცა საზოგადოებასთან მისი კონფლიქტი უკიდურესობამდე დაიძაბა, მაშინ მინდია პასიური მჭვრეტელისა და თემის ადათების წინაშე ფილისტერის შიშით შეპყრობილი ადამიანის სახით წარმოდგა. იგი მხოლოდ იმ დონეზე აფასებს ალუდას საქციელს, რითაც თანასოფლელებს არ განარისხებს.

როგორც ჩანს, თემის აზრით, ალუდასათვის ცოტაა საზოგადოებიდან მოკვეთა, ოჯახის აოხრება, დაწყევლა. ხევსურთშვილები მის „საცემადაც“ ემზადებიან. უფრო მეტიც, ფეხქვეშ ითელება ის ადამიანური ღირსებები, რომლებმაც ალუდა ერთ ადგილზე გაყინული ადათ-წესებისა და მორალური შეხედულებების წრიდან გამოიყვანა. თემში უგულებელყოფილია ურჯულოს ვაჟკაცობა, სიკეთე, პიროვნული სიმაღლე. აქ ვერც ალუდას საქციელში ხედავენ ზეპიროვნულ თვისებებს. კონკრეტული ფაქტი, საგანი, საქციელი ადამიანებისაგან სხვადასხვანაირად ფასდება. ალუდასა, მინდიასა და, საზოგადოდ, თემის დამოკიდებულება მუცალის მარჯვენასთან ავტორმა სიმბოლური მნიშვნელობით წარმოადგინა. ალუდა თავიდანვე დიდად ეკრძალვის მუცალის მარჯვენას; მას გმირის ზეადამიანურ ღირსებათა სამკაულად წარმოისახავს. ბერდიასა და თემის წევრებს კი ქისტის მარჯვენა მხოლოდ ურჯულოთა უღირსობის სიმბოლოდ მიაჩნია: „ძაღლს მიუგდიან საჭმელად ხელი მუცალის მკლავისა“.

აღნიშნულის გამო თემში სინდისის ქენჯნას არავინ განიცდის, რადგანაც ურჯულოს სიძულვილი თემის იდეოლოგიით არის განსაზღვრული. მაშასადამე, საზოგადოების თვალთახედვა დახშულია იმ ღირებულებათა დასანახავად, რომელთაც ალუდა ლამის თავს წირავს. ვაჟა-ფშაველა საზოგადოებისა და პიროვნების თვითშეგნების რაობის დასახასიათებლად კონტრასტის ფენომენს იყენებს. ეს უკანასკნელი კი ღირებულებების ურთიერთშეფარდებას გულისხმობს. ალუდასაგან განსხვავებული განცდებითა და შეხედულებებით ამოქმედებული ხალხი მუცალის მკლავს ძაღლს მიუგდებს. ქოფაკმა პირი არ დააკარა მას, მარტო „მორთო ღმუილი ბრალისა“. თუკი ალუდა ამ მარჯვენაზე ამბობდა, „კაი ყმის მარჯვენა არის, გული მევსება ბრალითაო“, საპირისპიროდ ამისა, თემში „ქისტის მარჯვენას ბალღები დაბლა ათრევენ კავითა“, ხოლო ხევისბერ ბერდიას სიტყვისამებრ კი, თურმე, „ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო, თქმულია იმავ თავითა“. ამგვარად გამოიხატა პოემის სიუჟეტსა და მხატვრულ სახეებში სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი ადამიანების სულიერ მისწრაფებათა თანაფარდობა. მხატვრულ სახეთა ურთიერთობამ ცხადყო, რომ ერთნაირ გარემოშიც ადამიანები ღირებულებებს, მათს კონკრეტულსა თუ ზოგად გამოვლინებებს სხვადასხვანაირად იმეცნებენ და აფასებენ. ვაჟა-ფშაველას რწმენით, ლიტერატურა ისეთ სახეებს უნდა ქმნიდეს, რომლებიც ინდივიდუალური შესაძლებლობებით, გამორჩეულობით, საზოგადოე-

ბის კეთილდღეობას, საყოველთაო პროგრესს დაამკვიდრებენ. ეს კი იმ პერსონაჟებს შეუძლიათ, რომელნიც ალუდასავით რეალური თუ იდეალური ღირსებების დაფასების უტყუარი უნარით არიან მადლმოსილი.

ავტორმა ნაწარმოების დასაწყისშივე წარმოაჩინა ალუდას ღრმა პატრიოტული სულისკვეთება. იგი თავისი ხალხის იდეალების დაცვის ჟამს, მართლაც, „დავლათიანია", მამაცია, „კარგია" და ამიტომაც „მუდამ მტრიანი". სათემო მოვალეობით შთაგონებულმა გმირმა „ბევრ ქისტს მააჭრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი". შატილიონთა მტრებს კაი ყმამ უნდა ანანოს საქციელი და ამიტომაც „ცისკრის ხანია, მტერს მისდევს კლდის შევარდენი ჩქარიო". ცხოვრებისეულ სიტუაციათა ზემოქმედებით თემის ერთგული ადამიანის ხასიათი შეიცვალა. მოვლენათა და საგანთა პიროვნულმა შეფასებამ ალუდა თანამემამულეთა შორის უცნაურ არსებად აქცია. იგი საზოგადოებიდან მოკვეთეს. მიუხედავად ამისა, ალუდა ბოლომდე დიდსულოვანი პატრიოტი და კაცთმოყვარეა. მისი შინაგანი რწმენით, ახალი ღირებულებების დაფასება-მიღება თემისთვის დიდად სასარგებლოა, თუმცა ამის მაღიარებელი, გამგები იქ არავინა ჩანს. ადამიანის ყველა მაღალი გრძნობა და სურვილი, პოეტის აზრით, საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა თუ პიროვნული თვითსრულქმნის მიზნებს უნდა მიჰყვებოდეს. ამიტომაც ალუდას სწრაფვები არ არის მოწყვეტილი ხალხის ინტერესებისაგან. პირიქით, გმირის იდეალის განვითარების ტრაგიკული გზა, მისი სიახლე საყოველთაო ღირებულებების ველზე გადის. ადამიანის სულიერ ამაღლებაზე მზრუნველი გმირი ოჯახის წევრებს შემცდარი ხალხის დაწყევლის ნებასაც კი არ აძლევს: „მოდით, მომყევით, ვიდინოთ ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა, ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა!"

ალუდა ქეთელაური რაინდული დიდსულოვნების სიმაღლიდან მშვიდად და გაუბოროტებლად ეთხოვება მშობლიურ გარემოს: „მშვიდობით, საჯიხვეებო, გამახარელნო თვალისა! მშვიდობით, ჩემო სახ-კარო, გულში ამშლელო ბრალისა! მშვიდობით, ჩვენო ბატონო, ყმათად მიმცემო ძალისა!"

ცხადია, გმირის ქცევის მოტივებსა და იდეალს საძირკვლად სამშობლოს ერთგულების გრძნობა უძევს. ეპოქის მაღალი ეროვნულ-პატრიოტული იდეები ამ პოემაშიც ნათლად გამოიხატა. ნაირგვარი მოვლენებისადმი ალუდას დამოკიდებულება, უპირატესად, პატრიოტული მნიშვნელობით ფასდება. აქ პატრი-

ოტობა გულისხმობს არა მარტო მტრებთან ბრძოლას, ხმლის ქნევას, არამედ ცხოვრებაში ახალი და სამართლიანი სოციალურ-ზნეობრივი ურთიერთობების დამკვიდრებისათვის გარჯას. ამიტომაც ალუდას გამორჩეული მოქმედება თავისთავად აყენებს პიროვნების თავისუფლების მოთხოვნას. სამშობლოსა და, საზოგადოდ, ადამიანის სიყვარულის ორიგინალურად გამოხატვას თავისუფლება სჭირდება. ეპიკური გმირის იდეალი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სინამდვილესთან, რომელშიც ეს იდეალი გაჩნდა. ამასთანავე, ლიტერატურული გმირის თავგადასავალში იხსნება შემოქმედის მხატვრული მიზანი. მისი სპეციფიკური მოღვაწეობის შინაარსი. მხატვრულ სახეთა ურთიერთქმედებაში გამოვლინდება მწერლის ესთეტიკური მრწამსი, მაგრამ არა სტიქიურად, არამედ ღრმა განზოგადებისა და მიზანშეწონილობის საფუძველზე. მხატვრული სახის ერთი მთავარი ნიშანი შორსგამნვდომი საზოგადოებრივ-ადამიანური იდეალების დამკვიდრებაა. რეალობაში ფესვგადგმული სახეები არა მარტო ცხოვრების მოვლენათა რაობას გვითვალსაჩინოებენ, არამედ ადამიანში ახალი სულიერი თვისებების დაბადების პროცესსაც. დიდი ხელოვანი ნაწარმოების მხატვრულ სახეთა ურთიერთმიმართებებში იმგვარად გამოკვეთს იდეალს, რომ ხშირად მისი მნიშვნელობა და რეალიზების პირობები ვეღარ თავსდება ასახულ სინამდვილეში, კონკრეტულ დროსა და სივრცეში. ალბათ, ამის გამოცაა, რომ ალუდას იდეალი მკითხველში ზეპიროვნულისა და ზედროულის შთაბეჭდილებებს აღძრავს. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ სიუჟეტმა ცხოვრებისეული ფაქტებისა და ადამიანის ხასიათის უნიკალური მიმართებები წარმოადგინა. აქ ყოფითი სიტუაციები ადამიანის სულს ამოძრავებენ, ამდიდრებენ, ხოლო მაღალი სულის ადამიანი სინამდვილეს უცვლის ფერს, ახალისებს. როგორც ჩანს, სახეები ბუნებრივ კავშირს წარმოქმნიან ცხოვრებასა და აბსტრაქტულ აზროვნებას შორის. სახეში ხდება სინთეზი ყოფითი ამბებისა, მეცნიერული აზრისა და ადამიანის, კერძოდ კი თვით შემოქმედის სულიერ თვისებათა. ასე იბადება სახე-იდეა, რომელსაც მკითხველთან გრძნობად-კონკრეტული ფორმით მიაქვს სოციალურ-ისტორიული და ზნეობრივ-ესთეტიკური ღირებულებები. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ეპიკური გმირის თვითშეგნება თანდათანობით ავლენს იმ მხარეებს, რომლებმაც ადამიანურ ურთიერთობათა სირთულეს ნათელი უნდა მოჰფინონ. ალუდას ხასიათის განვითარება-სრულქმნა და, საზოგადოდ, გარემოს სასიკეთოდ გარ-

დაქმნის მიზანი თავისუფლების შინაარსის გაფართოებას გულისხმობს, რაც, ავტორის აზრით, ტრადიციული ადათ-წესების მოთხოვნებით შემოსაზღვრულ საზოგადოებაში ძნელი მისაღწევია. ცნობილია, რომ ადათები ყველა საზოგადოებაში მოქმედებს და მათი ავ-კარგი ადამიანის არა მარტო შემეცნებითი, არამედ შემფასებლური უნარითაც გამოვლინდება. შეფასება შეიძლება იყოს სწორი და მცდარი, მაგრამ იგი ყოველთვის გამოდის ადამიანის გრძნობათა სამყაროს მოკავშირედ, მოქმედების წარმმართველ ფენომენად. მოვლენათა და საგანთა შეფასებასაც თავისუფლების პირობები განსაზღვრავს. ადამიანთა შორის სამართლიანი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის კი პიროვნების თავისუფლებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. თავისუფლების შინაარსი, მასშტაბი და ხარისხი განაპირობებს ადამიანის სოციალურ-ზნეობრივი ხასიათის სრულქმნის პროცესებს. ამდენად იგი პიროვნულ საწყისთა განვითარების საფუძველი და საზოგადოების სულიერ ძალთა განახლების ერთ-ერთი უძირითადესი პირობაა. პოემა „ალუდა ქეთელაურის" მხატვრული აზრის მკვიდრ ნიშნად ამიტომ გამოდის თავისუფლებისაკენ, როგორც უმაღლესი საზოგადოებრივ-ცხოვრებისეული ღირებულებისაკენ ადამიანის დაუოკებელი სწრაფვა. ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ წერილებშიც გულმოდგინედ არკვევდა ამ ფენომენის მოქმედების ძალას: „თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა--მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი".[1]

პოეტის მსჯელობა ცხადყოფს, რომ პიროვნების თავისუფლება არ ნიშნავს ყველაფრისაგან მის თავისუფლებას, ანუ საზოგადოების ინტერესებისაგან ინდივიდუალისტურ განდგომა-განცალკევებას. თავისუფალი ადამიანი თვითონ პოულობს საზოგადოებაში ისეთ ადგილს, საიდანაც სარგებლობას მოუტანს მას. იგი სხვათა წინაშე ახალ-ახალ მოვალეობებს კისრულობს და ამით ხელს უწყობს ცხოვრების სრულქმნას. „თავისუფალი ადა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „რა არის თავისუფლება", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 410.

მიანი, – ვაჟა-ფშაველას აზრით, უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ".[1] ეს შეხედულებები მწერალმა 1905 წლის შემდეგ გამოთქვა, მაგრამ მათი შინაარსი საოცარი სიცხადით ეხმიანება პოეტის ახალგაზრდობისდროინდელ ქმნილებათა მხატვრულ აზრს. ალუდა ქეთელაურის სახეში საზოგადოების ბედთან პიროვნების ბედის მუდმივი ერთიანობის აუცილებლობა გამოიკვეთა და ამას საფუძვლად თავისუფლების წყურვილი დაედო. გმირის ხასიათის სრულქმნისა და გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობებიც თავისუფლების ფენომენს ემყარება. პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვის სურვილი აკლია პოემაში უშიშას, ბერდიას, მინდიას, „ახალუხლებს" და მთელს საზოგადოებას. მათი სულიერი სამყარო ანდრეზებით არის საზღვარდადებული. ისინი არა მარტო ადათებიდან ვერ უხვევენ, არამედ საკუთარ სულიერ სამყაროშიც ვერ იცქირებიან თავისუფლად, თამამად, რათა იქ ახლის დამბადი რამ პოვონ. ასე თრგუნავენ ადამიანები თავიანთ არსებაში იმას, რაც განვითარების ღირსია. ალუდას მაღალი იდეალი, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდუალურად მომართულ და თავისუფლებით ძალამომატებულ ზნეობრივ გრძნობებზეა დაფუძნებული.

მან თავისუფლება იმ საზომით მოითხოვა, რაც თემურ საზოგადოებაში საერთოდ არ იპოვებოდა. ალუდამ ტრადიციული ცხოვრების ფონზე თავისებურად გააშინაარსიანა, განაახლა სამშობლოს სიყვარულის, სიკეთის, სინდისის და მოვალეობის გრძნობები. საზოგადოებასთან გმირის უჩვეულო ურთიერთობა ამ გრძნობებმა განსაზღვრეს. ნაწარმოების პერსონაჟები სხვადასხვანაირ შინაარსს სდებენ საზოგადოებრივ მოვალეობებში და სინდისის გრძნობაც მათ საქციელს სხვადასხვა გზით წარმართავს. ხალხის წინაშე მოვალეობის თავისებურ გაგებას მიჰყვებიან უშიშა, მინდია, ბერდია, ხოლო სხვაგვარი შინაარსით იცნობიერებს მოვალეობის არსს ალუდა. ალუდას თვითშეგნება, მართალია, არ არის მოწყვეტილი საზოგადოების კონკრეტული ინტერესებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის პიროვნული, ინდივიდუალური მიზნით არის მოცული. გმირის ხასიათის თავისებურებას განსაკუთრებული ძალით სინდისის

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „რა არის თავისუფლება", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 410.

გრძნობა გამოავლენს. ეს გრძნობა ალუდას ქცევის მოტივთა ურთიერთქმედების პროცესში თავიდანვე აქტიურად არის ჩართული. ამ სახის შინაგანი სტრუქტურა ნათელყოფს, რომ სინდისის გრძნობის სანქციით ახალი უნდა დაიბადოს ან ძველის, ტრადიციულის, უარყოფა უნდა მოხდეს. ალუდას სახე იმიტომაა ტრაგიკული, რომ სიახლისაკენ მისწრაფება, მისი სინდისის მართალი მოთხოვნა არსებულ გარემოში ვერ იმარჯვებს. გმირის იდეალმა მხოლოდ სასურველი ღირებულებების გამარჯვების იმედი დასახა. ასეთი აზრითა და ტენდენციით არის აღბეჭდილი ვაჟასეული კაი ყმის იდეალი, ამ იდეალის სამომავლო ფუნქცია. პოეტმა ალუდა ქეთელაურის სახეში გაამთლიანა ადამიანისა და სინამდვილის მუდმივი ურთიერთობისათვის ნიშანდობლივი შემეცნებითი და შეფასებითი ასპექტები. ნაწარმოების სიუჟეტში განსახიერდა კეთილისა და ბოროტის, ჭეშმარიტისა და მცდარის, მშვენიერის, ამაღლებულისა და ტრაგიკულის ესთეტიკური მნიშვნელობა. ვაჟა-ფშაველა ის დიდი რეალისტია, რომელიც ადამიანში დაუსრულებლად ეძიებს შემოქმედებით ძალას, ჰუმანურ მიზანს და სიახლეთა დაფასების უნარს. ალუდას გარემომცველი კოლექტივი თავისივე მკაცრი ადათ-წესებით განსჯის მოვლენებს. პოემის ცენტრალური გმირის სულიერმა მოთხოვნებმა ტრადიციების მიმდევარი საზოგადოების მიერ მკაცრად შემოფარგლული ურთიერთობები დაარღვია. ამ პერსონაჟმა ადათ-წესები ისეთ ცხოვრებისეულ პირობითობად მიიჩნია, რომელთა გარდაქმნას თვითონ სულის სიწმინდე ითხოვდა. თვითშეგნების უნართა თავისუფალმა მიმოქცევამ ალუდა ქეთელაური გადააქცია ადამიანური სიბრძნის უკვდავების გამომხატველ სახე-იდეად. ამ გმირის სულიერ თვისებათა განვითარება საზღვარდაუდებელია. საზოგადოდაც, ადამიანი თავისი ბუნებით არის თავისუფალი, ლაღი, მაძიებელი და უკმარისობის გრძნობით აღსავსე. როგორც ალუდას ხასიათი ცხადყოფს, პიროვნებას შეუძლია და მოეთხოვება კიდეც თავისუფლებისა და მაღალი იდეალის დამთრგუნავი ძალებისაგან თავის დახსნა. თვითონ ადამიანში, მის სულიერ ძალთა სამყაროში იპოვება გარემოს განახლებისა და პიროვნული თვითგანახლების უნარი. ურთულეს საზოგადოებრივ ურთიერთობებში მხოლოდ თავისუფალ ადამიანს ძალუძს ახლის აღმოჩენა, მისი საყოველთაო მნიშვნელობის შემეცნება და დაფასება. ეს ღრმად სწამდა ვაჟა-ფშაველას. პოეტმა იცოდა, რომ ეპიკური გმირის ამაღლებული, მშვენიერი და სიკეთის შემოქმედი ხასიათი თავისუფლებისა და სიყვარულის მადლით უნ-

და ყოფილიყო განათებული. ამის გამოც მან ძირეული ადამიანური ღირებულებების წვდომაზე დააფუძნა საკუთარ თხზულებათა მხატვრული შინაარსი. ვაჟა-ფშაველამ ეპიკური ნაწარმოებების სიუჟეტსა და სახე-ხასიათების მრავალმხრივ მიმართებებში უბადლო ხელოვნებით გამოძერწა სამშობლოს ერთგულების, ადამიანის მოვალეობის, სიკეთის, ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ჰუმანიზმის მაღალი აზრი.

* * *

პოემა „სტუმარ-მასპინძელი" გვაუწყებს, რომ ვაჟა ისეთი ეპიკური სახეების შექმნით იყო გატაცებული, რომლებიც პიროვნულ უნართა მრავალმხრიობას ცხადყოფდნენ, ზოგადადამიანურ სულიერ საჭიროებებს პასუხობდნენ. ვაჟა-ფშაველას გაგებით, მწერლობამ შეიძლება სხვადასხვა ძალის, ხარისხისა და ხასიათის ტიპები შექმნას, ხოლო მათი მნიშვნელობა კი იმით გაიზომება, თუ ცხოვრების რამდენად ღრმა პრობლემებს ჰფენენ ისინი ნათელს. პოეტი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ დიდებულ ეპოქას თუ ცხოვრებას ქმნიდნენ მხოლოდ დიდებული ადამიანები. აღნიშნულის გამო ლიტერატურულ ქმნილებათა განსასახიერებელი ერთ-ერთი ძირითადი მოვლენა პიროვნება და მისი სულიერი შესაძლებლობების რაობა იყო.

ვაჟა-ფშაველას მრწამსით, საკაცობრიო საჭიროებათა წარმომჩენი ტიპები ეროვნულ და ეთნოგრაფიულ ნიადაგზე იბადებიან. მას, მართალია, არსად უთქვამს, რომ საკაცობრიო ტკივილებს ასახიერებდა, მაგრამ, როცა სხვა მწერლებზე ასეთი საზომებით მსჯელობდა, ალბათ, საკუთარ შემოქმედებით ინტერესებსაც გულისხმობდა. თუ ჯოყოლას, აღაზას, ზვიადაურის სახეებს კლასიკური მწერლობის საზომებით შევაფასებთ, ცხადი გახდება, რომ ისინი ეთნიკურ-ინდივიდუალურის საფუძველზე ულრმეს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებსაც წარმოაჩენენ. ნაირგვარი წყაროები, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალა, ავტორის მრწამსით, ოდნავადაც არ უშლის ხელს იმას, რომ პოემაში დიდებული ადამიანის საკაცობრიო ხასიათი ორიგინალურად გამოიძერწოს.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ნიჭიერი მწერლის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებში ცხოვრების კანონებიც იხატება. ცხოვრების კანონები და ადამიანის სულის მოძრაობის ღრმა შრეები განსახიერდა „სტუმარ-მასპინძლის" გმირთა მოქმედებაში. ადამიანი ცხოვრების წესრიგს თვითონვე ქმნის და ზოგჯერ თვითონვე არ-

ღვევს მას. ცხოვრება აღმოჩენების, შეცდომებისა და შეცდომათა გამოსწორების დაუსრულებელი პროცესია. ამ პროცესს მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი შეაპირობებს. ვაჟა, მეტწილად, უფრო პიროვნულ-სუბიექტური შესაძლებლობების გამომზეურებით არის დაინტერესებული. ადამიანის პიროვნული სრულქმნა და სრულქმნილი ადამიანების მიერ ყოფიერების გაუკეთესება მიაჩნია მას გადამწყვეტ მოვლენად. მწერალი თითქმის არ ქმნის ისეთ ეპიკურ თხზულებებს, სადაც მრავალი თაობის ადამიანთა ცხოვრების ისტორია და სხვადასხვაგვარი დროით განსაზღვრული ხასიათების თავისებურება გამოჩნდებოდა. მისთვის მთავარია აჩვენოს ერთნაირ პირობებში დაბადებული ხასიათების სხვადასხვაობა. პოეტის თხზულებებში უპირატესად უკვე საკმაო ასაკისა და ჩამოყალიბებული თვითშეგნების ადამიანების ხანმოკლე ურთიერთობაა წარმოდგენილი, თუმცა განუმეორებელი ემოციურ-ექსპრესიული ძალითაა ცხადყოფილი მათი სულიერი სამყარო, ღირებულებებში სწორი ორიენტირების შინაგანი შესაძლებლობები.

„სტუმარ-მასპინძელში“ გმირთა მოქმედება სულ რამდენიმე დღეს გრძელდება, მაგრამ პერსონაჟთა ხასიათის რაობის გამოკვეთას, მათ ბედსა და ცხოვრებას ტრაგიკულის განცდა, ამის გამო, სულაც არ მოჰკლებია. პოემის გმირთა სულიერი შესაძლებლობების რაობა ცხადყო კონფლიქტმა, რომელიც ზვიადაურის ბედის გამო ჯოყოლასა და თემს შორის ჩამოვარდა.

ზვიადაური უნებლიეთ აღმოჩნდა თავის მიერ მოკლული ქისტის ძმის სტუმარი. არც ჯოყოლამ იცის რაიმე ზვიადაურის დანაშაულის შესახებ და არც თვითონ ზვიადაურმა – რომ ჯოყოლას ძმის მკვლელია. საიდუმლო ზვიადაურის სტუმრად მიღების შემდეგ გაირკვა.

სტუმარმასპინძლობის ადათი რთული ფენომენია. მას ღრმა ზნეობრივი და რელიგიური შინაარსი აქვს. მთიელთა შორის იგი განსაკუთრებული რიტუალის სახით წარმოდგებოდა. ამ წესის ღირებულებას მარტო კარგი მასპინძლობა არ განსაზღვრავდა. მასში სტუმრისა და მასპინძლის ორმხრივი უწმინდესი უფლება--მოვალეობების დაცვა იგულისხმებოდა. სტუმარი მასპინძლის სახლში ხელშეუხებელი იყო. აქ გამონაკლისი არ არსებობდა და, სტუმარი მოსისხლე მტერიც რომ აღმოჩენილიყო, როგორც ეს პოემაშია, მის მიმართაც წესი განუხრელად უნდა დაეცვათ. სტუმარი მასპინძლის სახლში შესვლისთანავე იარაღს აიყრიდა და ამით ცხადყოფდა, რომ ადათის მოთხოვნის კვალობაზე თავის

სიცოცხლეს მასპინძელს ანდობდა. რელიგიურ-ზნეობრივი მოთხოვნით, არც სტუმარს შეეძლო მასპინძლის ოჯახში რაიმე დანაშაულის ჩადენა და იარაღის ჩაბარებით თავს უნებლიე შეცდომისაგან იზღვევდა. მაშასადამე, სტუმარმასპინძლობის რიტუალი უფლისა და ოჯახის კეთილი ანგელოზის წინაშე განსახორციელებელი მშვიდობიანი, წყნარი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ადათი გახლდათ. მის შინაარსში შეთანხმებული იყო მძლავრი რელიგიური და რაინდული ზნეობრივი გრძნობები. თუ ვინმე გარედან გაბედავდა სტუმრის სიცოცხლის ხელყოფას, მასპინძელი ვალდებული იყო, დაეცვა იგი და სისხლის დაღვრასაც კი არ მორიდებოდა. მაშასადამე, სტუმარმასპინძლობის ადათი ერთ-ერთი შეუვალი ფენომენი იყო და რაიმე გამონაკლისის დაშვებას არ გულისხმობდა. მისი აღსრულება ოჯახის შეუვალი მოვალეობა, უფლება და ღირსების საქმე იყო. ცხადია, თავისთავადი იყო სისხლის აღების, ანუ მოკლულისათვის შურისძიების, ადათიც. მართალია, შურისძიების გრძნობა მრავალი გონიერი ადამიანის მიერ უღირს საქმედ მიიჩნეოდა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხოვრების მოწესრიგებისათვის. კერძოდ, რაც უფრო მძიმე იყო დანაშაულის აღმკვეთი ზომა, მით უფრო ერიდებოდნენ ამგვარ დანაშაულს ადამიანებიც. ასე რომ, შურისძიების წესს უფრო მეტი სარგებელი მოჰქონდა ვიდრე ზარალი. სისხლს იღებდნენ მოკლულის ოჯახის წევრები ან ძალიან ახლო ნათესავები და არა მთელი თემი. ცხადია, დანაშაულის პატიებაც, გარკვეული პირობების დაცვით, ისევ ოჯახის წევრთა უფლება იყო. სისხლის აღების საქმეში სხვის მაგიერი მოქმედება გამორიცხული იყო. სისხლის აღებაც და შერიგებაც სხვა ადათებისაგან სრულიად დამოუკიდებელი წესით ხდებოდა და საკუთარი სისტემა ჰქონდა. არც სტუმარმასპინძლობის და არც სისხლის აღების კონკრეტული ფაქტები მთელი თემისა თუ ტომის ჩარევას არ გულისხმობდა. მიუხედავად ამისა, გამოითქვა აზრი, რომ პოემა „სტუმარ-მასპინძელში“ გამოიხატა თემში არსებული ადათების შინაგანი წინააღმდეგობაო. სინამდვილეში პოეტმა კონტრასტის ფენომენის გასაძლიერებლად, გმირთა სულიერი დრამის დასაძაბავად თვითონ დაუპირისპირა ერთიმეორეს სტუმარმასპინძლობისა და სისხლის აღების ადათები. თუმცა ვაჟამ ნაწარმოებში მკაფიოდ და მაღალპოეტურად წარმოაჩინა ის აზრი, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, თემი არღვევს მამაპაპურ წესს, წინასწარ შეთანხმებულს და შეუვალს. თემი თვითნებურად იქ-

ცევა, როცა ჯოყოლას თავისი გადაწყვეტილების შესახებ არაფერს ამცნობს. პირიქით, ჯოყოლას ოჯახში მიგზავნილ მოთვალთვალეს თემი ავალებს, რომ „სოფლის განზრახვა არა გზით მას არ ჩაუგდოს ყურადა". ბუნებრივად დგება კითხვა:რატომ უმალავენ ჯოყოლას თავიანთ მიზანს? ცხადია, იმიტომ, რომ ადათის დარღვევას აპირებენ. თემურ ცხოვრებაში თავისუფალი თვითმოქმედება, ადათების ნებისმიერად დარღვევა შეუძლებელი იყო. რეალურ ცხოვრებაში არც სტუმარმასპინძლობის და არც სისხლისძიების ადათები არ საჭიროებდნენ მესამე წესს გამონაკლისი ქცევის გასამართლებლად, რადგან გამონაკლისი არავისათვის დაიშვებოდა. ადათის მოქმედების ფარგალში ყველაფერი დროისა და ადგილის წინასწარ შეთანხმებული ფენომენებით იყო განსაზღვრული. თემური ადათები არ იყო ისე უაზროდ შექმნილი, რომ სტუმრის ბედი საკამათო გამხდარიყო. ჯოყოლასა და ზვიადაურისნაირი ადამიანებისთვის არ გაჩნდებოდა ალოგიკური კითხვა: სტუმარზე ჯერ შური ვიძიო, თავი მოვაჭრა, თუ მასპინძლის ვალი ავასრულოო. სტუმარზე შურისძიება ასეთ ვითარებაში საფუძველშივე გააუქმებდა სტუმარმასპინძლობის ადათის ფუნქციას. კონკრეტულ ვითარებაში სტუმარმასპინძლობის დაცვა კი სისხლის აღების წესს არ აუქმებდა. შეღავათი, გამონაკლისი არ დაიშვებოდა და თემიც ამიტომ იყო მონოლითური, იდეოლოგიურად შეკრული. ცხადია, თემშიც ძველდებოდა წესები, მაგრამ მათ მთელი ხალხის თანხმობითა და ნებით ცვლიდნენ. მთის წეს-ჩვეულებებთან თავისუფალი შემოქმედებითი ინტერესით ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა მივიდნენ. თუმცა ისინიც ტრადიციების მიმართ დიდ ზომიერებასა და სიფრთხილეს იცავდნენ. ამგვარი მიმართების ნიმუშია პოემა „სტუმარ-მასპინძელი". მართალია, პოეტმა პოემის სიუჟეტში ერთიმეორის პარალელურად წარმოადგინა სტუმარმასპინძლობისა და შურისძიების ადათები, მაგრამ სისხლის აღების ის ფაქტი, რომელიც პოემაში განსახიერდა, ავტორს მამაპაპური წესის დარღვევად, თემის წევრის მიმართ ძალმომრეობად მიაჩნია.

ვაჟას მრწამსით, ყველა დროის ცხოვრების წესები, ადათები ადამიანთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად წინასწარ შეთანხმებული მოვლენებია. თუ რას აწესებდნენ ან რას ცვლიდნენ ადამიანები ურთიერთობათა სფეროში სწორედ ამაში ცნაურდებოდა მათივე სულიერ-გონით შესაძლებლობათა ხასიათი. ამიტომ პოეტი ფრთხილად ეკიდებოდა ფაქტებს. ვაჟას აზრით, შემოქმედმა ისეთი რამ არ უნდა დაწეროს, რაზედაც მკითხველი

იტყვის – ეს დაუჯერებელიაო. მიუხედავად ამისა, ვაჟას დამოკიდებულება მოვლენებისადმი თავისუფალია, სარწმუნოა და ალბათობის პოზიციიდან გამართლებული. იგი საკუთარ მხატვრულ ინტერესებს ზემოქმედების მომხდენი წყაროების ჩარჩოში არ კეტავდა და თვითმყოფადი პოეტური ღირებულების მქონე სახეებს ქმნიდა. მასალა, შემოქმედებითი წყარო მწერლისათვის იქცეოდა კონკრეტული ფაქტის საფუძველზე ზოგადი მხატვრული აზრის გასახსნელ ან, პირუკუ, ზოგადი აზრის ფაქტისებურად დასაკონკრეტებელ საშუალებად. იგი, როგორც მხატვარი, წყაროს ან ზოგად აზრს ყოველთვის რაღაცნაირი სიახლით ავსებდა და ამდიდრებდა. მწერალი კონკრეტულ მასალას აზოგადებდა, ხოლო თეორიულ აზრებს კონკრეტულ – ინდივიდუალური ამბის სახეს ანიჭებდა.

ვაჟა-ფშაველამ „სტუმარ-მასპინძელში“ ღრმად ინდივიდუალური პოეტური სახე-ხასიათები შექმნა, რომელთა სიდიადე სწორედ ცხოვრებაში მოქმედი ადათ-წესებიდან აღმოაცენა და სრული დამოუკიდებლობაც მიანიჭა. ზვიადაური, ჯოყოლა, აღაზა ის „დიდებული ადამიანები“ არიან, რომელთაც ცხოვრებაში სხვათა განსასჯელი შეცდომაც შეიძლება დაუშვან და, ამასთანავე, სულის განსაცვიფრებელი სიმაღლეც გამოავლინონ. ვაჟას აზრით, მწერლის მიერ შექმნილი ტიპი შეიძლება ახლებურ ცხოვრებას იწყებდეს ჯარეგის თემში, მაგრამ თავისი სულიერი ძალისხმევით გულგრილს არავის ტოვებდეს უცხო ადამიანებიდან, ვინც კი მას გაეცნობა. ნიმუშად დასახული ტიპის მხატვრული მნიშვნელობა ლოკალური გარემოდან ამოიზრდება და პოეტური სინთეზის წყალობით საყოველთაოდ მოსაწონ სახედ იქცევა.

„სტუმარ-მასპინძლის“ დრამატული შინაარსი კულმინაციას ნაწარმოების მეხუთე თავში აღწევს. ნაწარმოების ამ ეპიზოდში ყველაზე მძაფრად გამოიხატა დაპირისპირებულ პოზიციათა შინაარსი და გმირთა ცნობიერების დიალოგური ხასიათი. ეს მონაკვეთი დეტალურად უნდა განვიხილოთ, რათა გამოიკვეთოს, თუ როგორ შემოდის გმირთა მონოლოგებსა და დიალოგებში, საერთოდ, მათი ცნობიერების არეში მთელი რეალურ-საგნობრივი გარემო თავისი ადათ-წესებითა და რწმენა-წარმოდგენებით ან როგორ თავსდება კონკრეტულ სახეებში შემოქმედის ზოგადი მხატვრული ინტერესები. პერსონაჟთა საქციელი, სიტყვა, თვითშეგნება პოლიფონიური სახისაა და ცხადყოფს სადავო ამბის სხვადასხვაგვარად შეფასების შესაძლებლობებს. შუაღამისას

მომხდარმა თავდასხმამ ჯოყოლა გააოცა და გაურკვევლობაში ჩააგდო.

თავდასხმის მოულოდნელობამ ჯოყოლა სტუმრის ღირსებაში დააეჭვა, მოღალატედ მიიჩნია, თუმცა მალე დაინახა, რომ მომხდურნი მეზობელი ქისტები იყვნენ და მის სტუმარს თოკით ბოჭავდნენ. ჯოყოლამ თემის საქციელში მაშინვე საკუთარი ოჯახის, პიროვნების ღირსების ხელყოფა და ადათის შელახვა განჭვრიტა. იგი ხელხანჯლიანი შეუპოვრად, მუქარით წარუდგა წინ თანასოფლელებს. „– რას სჩადით? შემოუძახა, – ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა? რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?"

ჯოყოლას სიტყვებში იკვეთება აზრი, რომ მისი თანამემამულეები სტუმარმასპინძლობის საუფლო წესს არღვევენ, ბრიყვულად იქცევიან, ჯოყოლას ოჯახის ღირსებას, უფლებებს ფეხქვეშ თელავენ.

ქისტები ერთხმად უგმობენ ჯოყოლას მტრის სტუმრად მიღებას, მაგრამ ჯოყოლამ ხომ არ იცოდა და თემმა უნდა ამცნოს ზვიადაურის დანაშაული; საერთოდ, ტრადიციით, თუ ოჯახში სტუმრად შესული კაცი მტერი აღმოჩნდებოდა, მის მიმართაც სტუმარმასპინძლობის ყველა წესი ღირსეულად უნდა შესრულებულიყო. თემის წევრნი უცბად, ჯოყოლასთან შეუთანხმებლად, მისი სახელის დამცირების ხარჯზე ფიქრობენ შეცვალონ ადათი და სტუმარზე შური იძიონ. ჯოყოლას კი აუწყებენ, რომ, თუ სტუმარს დაიცავს, ანუ ადათის მოთხოვნას, მაშინ „შენ და შენ სტუმარს ორივეს ერთად გადგისვრით ბექითა. თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა". ჯოყოლასათვის თემის ამგვარი მოქმედება, საზოგადოდ კაცის ღირსების ხელყოფაა, აშკარა ძალმომრეობაა საზოგადოების უდანაშაულო წევრის მიმართ. ცხოვრებაში ასე არ ხდებოდა. ყოველ ადათს დროსა და სივრცეში რეალიზების თავისი წესები ჰქონდა. მას ინდივიდიც უნდა დამორჩილებოდა და თემიც. ადათებს ხან ასე და ხან ისე არავინ იყენებდა, რადგან ასეთი მოქმედება ყველა საზოგადოებას ქაოსს უქადდა. გვაროვნულ თემში ადათი თუ უნდა შეცვლილიყო, ის არ უნდა მომხდარიყო ერთი ოჯახის ღირსების შელახვის საფუძველზე, არამედ მშვიდობიან, არაკონფლიქტურ სიტუაციაში და თემის ყველა წევრის თანხმობისა და დარწმუნების ვითარებაში უნდა განსახიერებულიყო. ეს იცის ჯოყოლამ. ამიტომ ურყევად სწამს თავისი სიმართლე და თემსაც თამამად ეუბნება სათქმელს. „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სის-

ხლისა, მითაც მე ვერ ვუღალატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა. მე გთხოვ გაუშვა, მუსაო, ნუ სტანჯავ უდიერადა, როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა".

ჯოყოლა თემის წევრებს სტუმარმასპინძლობის ადათის ტრადიციულ შინაარსს გაახსენებს. ეუბნება, რომ მოსისხლე მტერიც, სანამ სტუმარია და მასპინძლის სახლში იმყოფება, ხელშეუხებელია. აშკარაა, ჯოყოლა ადათების სიწმინდეს, მათი კავშირების ტრადიციით დადგენილ ნორმებს იცავს. ამით იგი საკუთარი ხასიათის რაობასაც ცხადყოფს. მისი გაგებით, როცა სტუმარი იარაღს ჩაიბარებს და მასპინძლის სახლ-კარს დატოვებს, შემდეგ კვლავ ამოქმედდება სისხლის აღების წესი. ჯოყოლა ასეთი წესის მოთხოვნას ცნობს და ქისტებსაც ეუბნება: „როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა". როგორც ჩანს, ადათების რეალიზება მტკიცედ იყო რეგლამენტირებული ადგილისა და დროის ფაქტორით. სტუმარი, მტერი იქნებოდა თუ მოყვარე, ხელშეუხებელი იყო მასპინძლის ოჯახში და მანამ, სანამ სტუმრად რჩებოდა. სხვა საგულისხმო წესიც არსებობდა მთაში: შურისძიებისაგან თავის დასაცავად ჯვარ-ხატების ტერიტორიაზე თავშეფარებული ადამიანიც ხელშეუხებელი იყო. დრო ბევრ რამეს განსაზღვრავდა. ამის გამო შურისძიების წესიც შვიდი თაობის შემდეგ ძალას კარგავდა და უქმდებოდა.

პოემის სიუჟეტი ცხადყოფს, რომ ჯოყოლამ ზედმიწევნით იცის ადათების მოქმედების ყველა ნიუანსი და ამიტომ შეუპოვრად ეკამათება კარს მომდგარ ქისტის შვილებს: „თვის რჯული დაგვიწყებიათ, მიტომ იქცევით მცდარადა: ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ, სახლში ხართ, განა შარადა".

კონფლიქტური სიტუაციის განსხვავებულმა გაგება-შეფასებამ გამოკვეთა თემისა და პიროვნების სულიერ-გონითი შესაძლებლობების დონეც. ჯოყოლა ფიქრობს, რომ მოკლული კაცის წინაშე სტურმასპინძლობის ადათს ვეღარავინ აღასრულებს. ამასთანავე, სტუმრის ხელშეუხებლობის ჰუმანური წესი უფრო სასურველი აღმოჩნდა ჯოყოლას პიროვნული სიმაღლისათვის. იგი თემს მოაგონებს, რომ „თვის რჯული დაგვიწყებიათ", ცდებით და, ჩემს ოჯახში ისე იქცევით, თითქოს სადღაც შარაგზაზე იმყოფებოდეთო. სისხლის დაღვრითაც ემუქრება თემს ჯოყოლა. აქ საკუთარი ღირსებისა და უფლების დამცველი ადამიანი ბობოქრობს, რადგან თემი მას უკრძალავს ნების გამოვლენას, ადათის მოთხოვნათა თანამიმდევრულ აღსრულებას. თემი, თავის მხრივ, ემუქრება ჯოყოლას, თუმცა იცის, რომ არღვევს საკუთა-

რი ადათების მოთხოვნას. თემის სახელით მუსა ჯოყოლას აფრთხილებს: „შენაც ამასთან შაგკონავთ, თემის პირს რომ სტეხ, თავხედო!“ მუსა ცხადყოფს საკუთარი და თემის თვითშეგნებათა იგივეობას. „თემს რაც სწადიან“, იგი მუსას წადილიცაა. თემი ჯოყოლას განსხვავებულ გრძნობას, აზრს და მისწრაფებას თვითნებურად, ხელაღებით კრძალავს, ინდივიდის ჰუმანურ გრძნობათა განვითარებას ბორკილს ადებს. პიროვნების თავისუფლების პრობლემა კი ვაჟას შემოქმედების ერთ-ერთი უძირითადესი თემაა. თემმა ჯოყოლას არ მისცა უფლება, აღესრულებინა მასპინძლის ვალი. მან თავის წევრს წაართვა მოქმედების თავისუფლება, რომ ადათის მიხედვით თვითონვე ეძია შური ძმის მკვლელზე ან შერიგებოდა ადათებისავე საფუძველზე.

პოემის მიხედვით თემი არა მარტო ჯოყოლას ოჯახის ღირსებას უგულვებელყოფს, არამედ არღვევს საკუთარი ადათების მოთხოვნას, დროისა და ადგილის ფუნქციებით განსაზღვრულ მოქმედების თანამიმდევრობის პრინციპებს, რომლებიც იმდენად ძლიერი იყო, რომ საკრალურ მნიშვნელობასაც კი იტვედა. უძველესი თემური წარმოდგენით, ადათების შესრულება მკაცრად ემორჩილებოდა წინასწარ შეთანხმებულ ადგილისა და დროის განმსაზღვრელ ძალას. თემშიაც მოქმედების ნორმები მიღებული თანამიმდევრობით უნდა შესრულებულიყო, რათა ქაოსი თავიდან აეცილებინათ. ჯოყოლაც ამას მოითხოვს თემისგან, როცა მიმართავს: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“ ან „ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ? სახლში ხართ, განა შარადა!“ ჯოყოლა დასაბუთებულად, მტკიცედ იცავს საკუთარი ოჯახის ღირსებას, სტუმრის ხელშეუხებლობას და მოთხოვნას იმით ამართლებს, რომ სტუმრობის ჟამს და მის სახლში შურისძიების განხორციელების უფლება არავისა აქვს. ასე რომ, ჯოყოლა არ არის ადათების დამრღვევი, თემის პირის გამტეხი, რადგანაც, მისი გაგებით, საზოგადოების ერთობა, ერთპირიანობა ნორმების წმინდად, სამართლიანად აღსრულებას უნდა ემყარებოდეს. კოლექტივის თვითშეგნება ანგარიშს არ უწევს ინდივიდის სიმართლეს, მის სურვილს. ქისტების თემი თვითნებურად უარყოფს ცხოვრებისა და ადათის აღსრულების იმ პრინციპებს, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში მის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამგვარად წარმოიშობა საზოგადოებისა და ჯოყოლას დაპირისპირება. აღნიშნული გულისხმობს, რომ ადამიანის სულიერების სიღრმეში ყოველთვის იმალება ისეთი საიდუმლო უნარი, რომლის აღმოჩენა მხოლოდ მას შეუძლია. ეს

ვითარება გახდა წყარო პერსონაჟთა დიალოგური ურთიერთმიმართებისა და ახალი პოზიციების დაბადებისა.

„სტუმარ-მასპინძლის“ მხატვრულ ჩანაფიქრში იმთავითვე მოცემულია პიროვნების თავისუფლების განსახიერების მიზანი. ჯოყოლა არ ემორჩილება მოთხოვნას „თემს რაც სწადიან, მას იზამს", რადგან მისთვის ეს ნიშნავს პიროვნულ-ინდივიდუალური და სულიერ-გონითი შესაძლებლობების ხელყოფას. ჯოყოლა, მართალია, იცავს ადათების სიწმინდეს, მაგრამ თავისი ბუნებით იგი კონსერვატორი არ არის: ამიტომაც ვერ დაეთანხმა თემს, რომელმაც სტუმარმასპინძლობის ჰუმანურ ადათზე წინ შურისძიების მოთხოვნა დააყენა. შურისძიების მოტივით სტუმრის სიცოცხლის ხელყოფა თემის მხრივ ახალი სახის საქციელი იყო, მაგრამ უარყოფითი ზნეობრივი შინაარსისა. თემმა ქისტეთში გაუგონარი მოქმედება განახორციელა და მის ზნეობრივ ნაკლს თვითონვე ავლენს, ოღონდ სტუმრის „შეწირვის“ შემდეგ.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ადამიანი ბუნებრივად თავისუფალი არსებაა და ძალუძს დაარღვიოს სოციალური შეთანხმება თუ შეხედულებები. ამიტომ არ შეიძლება ინდივიდს დაეფუძნოს რაიმე უცვლელი იდეოლოგიური სისტემა. ადამიანს რაც დღეს მოსწონს, ხვალ ის შეიძლება აღარ აკმაყოფილებდეს. მისი მთელი სიცოცხლე უკიდურეს გადახრათა შორის ოქროს საშუალოს ძიებაა. პოეტის რწმენით, ყველა საზოგადოებრივი წყობა ადამიანის ბუნებრივი თავისუფლების თავისებური ბორკილია, თუმცა ცხოვრების განვითარება მუდამ პიროვნულ აღმოჩენათა ძალაზეა დაფუძნებული. ჯოყოლა საზოგადოების მხრივ საკუთარი და თავისი სტუმრის ღირსებათა დამცრობას აღუდგა წინ. ადათებიდან პოზიტიურის, მოსაწონის დაცვა სურს ჯოყოლას და მაღალზნეობრივი არჩევანის პოზიციიდან ეკამათება თემს. იგი სულიერ მონობას, ბრმა მორჩილების მოთხოვნას ებრძვის. გვაროვნულ-თემური კოლექტიური ქმედებისა და აზრისგან გათავისუფლებას ცდილობს. ადათების რეალიზების ჟამს ჯოყოლას პოზიტიურის, დადებითის, მაღალზნეობრივის დაცვა-განვითარების მიზანი ამოქმედებს. მისი ხასიათის, გრძნობა-გონების სიჯანსაღე არა მარტო ზვიადაურსა და თემთან ურთიერთობაში გამოიკვეთება, არამედ საკუთარი მეუღლის არატრადიციული საქციელის მიმართაც. აღაზა ზვიადაურის გაუტეხელმა ხასიათმა, კაცურმა სიკვდილმა თემისა და ოჯახის ტრადიციული შეხედულებების საწინააღმდეგოდ აამოქმედა. საფლავზე დაკლული ზვიადაური ჯერ ბუნებამ დაიტირა, ხოლო შემდეგ – აღაზამ. ბუნების

გლოვა თამამია, სრულია, ხოლო აღაზას კი გული ეთანაღრება, შიში, კრძალვა აქვს უფლისა, თემის და ოჯახის წინაშე, რადგან იცის, რომ გულის კარნახის გამო ტრადიციულ შეხედულებებს არღვევს: „სტიროდა, მაგრამ ტირილი არ იყო, ეხათრებოდა: ერთ მხრივ, ხათრი აქვს თემისა, მეორით – ღმერთი აშინებს; ქისტეთის მტრისა მოზარეს თავს რისხვას გადმოადინებს“.

აღაზას არსებაში ტრადიციულ განსჯას უშუალო გრძნობებმა აჯობეს, რადგან მამაცი „კაცის კაცური სიკვდილი გულიდან არა ჰქრებოდა“. მან სძლია ღვთისა და თემის წინაშე შიშს, მორიდებას, „ამოვლო კრძალვით საფლავთან, მკვდარსა მუხლ-მოყრით დაეყრდნო, ქვითინებს გულამოსკვნითა, ცრემლსა სიპი ქვა დაედნო“.

აღაზას ასეთი სულიერ-გონითი სახეცვლილების პასუხად მკვდართა წყრომის, მუქარისა და წყევლის ხმა საფლავებიდან გაისმა: „რას შვრება, უნამოსოვო“, გამწარებული ჩიოდნენ, – „მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“ სამარით შემოჰკიოდნენ“. აღაზას თავისი საქციელის დამგმობად წარმოუდგა მთელი სააქაო და საიქიო. მთელი სინამდვილე, რეალური თუ წარმოსახული, თემის იდეოლოგიით არის გამსჭვალული. აღაზა ღამე, სხვათაგან დაფარულად გლოვობდა ზვიადაურს, მაგრამ ჯოყოლამ მალე გადაჭრით მოსთხოვა პასუხი, თუ რატომ იყო ნამტირალევი. აღაზამ ქმრის წინაშე აღიარა სიმართლე: „– რა დაგიმალო, ჯოყოლავ, ან რად შემრისხავ თქმისადა?... ცრემლები შემიწირია იმ შენის მეგობრისადა“.

პოემის აღნიშნული ეპიზოდის შესახებ ვაჟა საგულისხმო აზრს გამოთქვამს: „სტუმარ-მასპინძელში“, მაგალითად, იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს, აღაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმრის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის, როგორ შეჰხვედრიყო აღაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემიწირია იმ შენი მეგობრისთვისაო“.[1] აღაზას საქციელი ჯოყოლასთვისაც მოულოდნელია. აღაზა მოკრძალებით აღიარებს მეუღლის წინაშე: „იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა, მაგრამ ვიტირე რა ვქნაო!..“ მას მოქმედების თავისუფლების გამო ღმერთის, თემისა და ოჯახის წინაშე ეკისრება

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 365.

გარკვეული მოვალეობა, პასუხისმგებლობა. ჯოყოლას პასუხმა უნდა ცხადყოს, არიან თუ არა ის და აღაზა სულიერებით მსგავსნი, ერთნაირი ხასიათისა და გაგების ადამიანები. აქვე უნდა გამოკვეთილიყო აღაზას ახალი საქციელის მიმართ ჯოყოლას დამოკიდებულება, რაც ცხადყოფდა ამ უკანასკნელის სულიერ ტენდენციათა რაობას. ჯოყოლა ხომ ადათების სიწმინდის დამცველია, ახლა კი მეუღლის არატრადიციული სახის მოქმედება უნდა შეეფასებინა; ერთადერთი სწორი პასუხის პოვნა იყო საჭირო და ჯოყოლამ ამ პასუხით დაადასტურა, რომ მას ძალუძს ძველი კარგი ადათების გვერდით მეორე ადამიანის სულის ახალი, მაღალი შინაარსის წვდომა და ქებაც. ეს იყო მთავარი მისთვის ზვიადაურის ღირსებათა ხილვისას და აღაზას საქციელის სიახლის მოწონებისაც:

„იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა? დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა".

ჯოყოლამ ამ სიტყვებით ჯერ საკუთარი რაინდული ზნეობა ცხადყო და შემდეგ ისაც გვაუწყა, რომ კაი ყმის დამტირებელი აღაზა მადლის ჩამდენი, ახალი, მაღალი სულის ადამიანია. მადლის ჩადენა თვითონ პიროვნების ზნეობრივი უნარია და მისი გამგე სხვა არ უნდა იყოს. მაშასადამე, ადამიანებმა ერთიმეორეს ზნეობრივი არჩევანის თავისუფლება არ უნდა წაართვან. მადლის ქმნა კი ხშირად ახალი გრძნობით არის შეპირობებული. ჯოყოლას განსჯა სიახლის ფასეულობის განცდას ემყარება. იგი იწონებს აღაზას გრძნობის, აზრის და ქცევის ისეთ სიახლეს, რომელიც თემისა და ოჯახის ტრადიციული თვალსაზრისით მიუღებელია. თავად ჯოყოლა, როცა ზვიადაურს იცავდა, იმავდროულად ადათ-წესების ერთგულებას ცხადყოფდა. მეუღლესთან დიალოგში კი მან ზოგი ტრადიციული წესის საწინააღმდეგო მოქმედება გაამართლა, მადლად და სილამაზედ მიიჩნია. ჯოყოლას გაგებით, „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა". ამ სიტყვებით ზნეობრივად გამხნევებული აღაზა მეორე დღესაც ცდილობს ყორნებისა და სვავებისგან დაიცვას სასაფლაოზე მიტოვებული ზვიადაურის ცხედარი. როგორც ირკვევა, აღაზამ და ჯოყოლამ ზოგადი ადამიანური ჰუმანური პოზიციებიდან ერთნაირად შეაფასეს ზვიადაურის ღირსებები, გამოხატეს თემის თვითშეგნების ნაკლისადმი თავიანთი დამოკიდებულება. მათი რწმენით, მტერსაც აქვს დასაფასებელი სულიერ-ფიზიკური თვისებები. აკი ალუდა ქეთელაურიც ამასვე უსაბუთებდა მუცალის შესახებ ხევსურთა თემს. ვაჟას გმირები ცდილობენ, თავი-

ანთი ახალი განცდების მოზიარედ აქციონ საზოგადოება. პოეტის გაგებით, პიროვნული სიახლეები განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. ჯარეგის თემი შურისძიების გრძნობას დაუბრმავებია. მათ ჯერ დაკლეს ზვიადაური და მერე ნანობენ ან აქებენ კიდევაც მას: „მაგას ხომ არ მოვუკლავდით მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდნენ? კარგი ვაჟკაცი ყოფილა, ყველა ალახსა ჰფიცავდა, იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მინა-წყალს იცავდა“. ზვიადაურის ღირსებები ჯოყოლამ და აღაზამ, თემისგან განსხვავებით, პიროვნული სიმპათიისა და სინდისის ღრმა გრძნობის კარნახით შეაფასეს. ზვიადაურის ბედი და რაინდული თვისებები იქცა როგორც თემის, ასევე ჯოყოლასა და აღაზას სულიერ შესაძლებლობათა წარმომჩენ მოვლენად, მათი თვითშეგნების განსხვავებულობის მაჩვენებლად. თემის, ჯოყოლასა და აღაზას პოზიციების დიალოგური, პოლიფონიური ხასიათი გაცხადდა ზვიადაურთან დამოკიდებულების ფონზე. ცხადია, ზვიადაურის გარდა, ერთიმეორის სწრაფვათა შინაარსს სხვა პერსონაჟებიც ცხადყოფენ. მუსა თემური თვითშეგნების რუპორია. აღაზა და ჯოყოლა კი სიახლისკენ მიდრეკილნი, თავისუფალი ზნეობრივი არჩევანის დამცველნი.

პოემის სიუჟეტში უნაკლოდ განსახიერდა პერსონაჟთა დიალოგური ურთიერთმიმართება, მათი თვითშეგნების პოლიფონიური არსება. პოეტი საოცარი თვალსაჩინოებით წარმოადგენს გრძნობად-კონკრეტული პირველადი ყოფითი მოვლენებიდან, ადათებისა და ჩვეულებრივი მეტყველების წიაღიდან გმირთა მრავლისმაუწყებელ ზოგად ტიპამდე ამაღლების პროცესს. ნათელი ხდება პოეტური წარმოსახვის განუზომელი ღირებულება შემოქმედებითი პროცესისათვის. მხატვრული ტალანტი შემოქმედების პროცესს ხან ცალკეულიდან ზოგადისკენ წარმართავს, ხან კი ზოგადი თვალსაზრისების საფუძველზე ცდილობს მხატვრული სახის დამკვიდრებას, განსაკუთრებული სიახლის გამოთქმას, ავტორისეული პოზიციის გამომხატველი ინდივიდუალურ-ტიპური ფენომენის შექმნას. სწორი არ იქნება მოვთხოვოთ მწერალს, რომ ყველაფერი სრულად გამოხატოს ცხოვრებიდან ან შექმნას ისეთი მხატვრული სახე, სადაც ყველა შესაძლო ზოგადი იდეა გამოჩნდება. მწერალი, განსაკუთრებით ნიჭიერი მწერალი, არასოდეს ართმევს მკითხველს თავისუფალი აზროვნების, რაღაცის გამოცნობა-გახსნის გამო მიღებული სიამოვნებების განცდას. დიდი მწერალი ცდილობს მკითხველი მუდმივ თანაშემოქ-

მედად იყოლიოს და ამიტომ ბევრ რამეს მასალიდანაც და ზოგადი თეორიებიდანაც გვერდზე ტოვებს.

ზვიადაურის ცხედრის დასაბრუნებლად, სამაგიეროს გადასახდელად ჯარეგას ხევსურთა ლაშქარი მიადგა. ქისტები მტერს უნდა დაუხვდნენ და აღაზა ურჩევს ჯოყოლას: „წადი, უშველე თავისებს, მტრის დასახვედრად მირბიან, შენც ისე წადი, ჯოყოლავ, როგორაც სხვანი მიდიან". აღაზას სიტყვები გულწრფელია. მართალია, თემმა ცოლ-ქმარი მოიკვეთა, ზურგი აქცია, მაგრამ ისინი მაინც სამშობლოს ერთგულნი რჩებიან. სამშობლოს ერთგულება, ჯოყოლას გაგებით, კაცობის უმაღლესი საზომია. იგი აღაზას სურვილს ასე პასუხობს: „– გავყვე?! რას ამბობ, ჭკვა-თხელო? არ გამივლევენ ახლოსა! მარტოკამ უნდა ვიომო, მთელმა ჯარეგამ მნახოსა. ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა".

ჯოყოლას მრწამსით, თემისწევრთა ადათობრივ-სამართლებრივი შეხედულებებისა და ზნეობრივი გრძნობების განსხვავებულობა-წინააღმდეგობა საერთო საქვეყნო-პატრიოტულ იდეალს არ უნდა აყენებდეს ზიანს. ამიტომაც ჯოყოლა მარტოკა შეებრძოლება ხევსურთა ჯარს და ქისტებს აოცებს მტრის წინაშე გამოჩენილი სიმამაცით. ჯოყოლას ჰგონია, რომ სიმამაცე და ქვეყნის ერთგულება ის ღირსებებია, რომლებმაც შეიძლება თემს მისკენ გული მოუბრუნოს. ჯოყოლა ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ „ქისტთ გაუხარდათ დიაღაც, – „მოკლან თუ მოჰკლეს – ახია! ეხლაც მასხარად აგვიგდო, წინად ხომ ბევრჯერ აგვრია". თემს გული ვერ მოულბო ჯოყოლას ინდივიდუალურმა, გმირულმა თავგანწირვამ. უფრო მეტიც, თემმა კი არ თანაუგრძნო აღაზას, პირიქით, „სასაფლაოც კი შეუკრეს" და მარტო დარჩენილმა ქალმა ქმარი იქვე დამარხა, სადაც იგი ბრძოლაში დაიღუპა. ქისტებმა ზვიადაური თავისებურად შეინანეს, ხოლო ჯოყოლასა და აღაზას კი არაფერი მიუტევს. მარტოობის ტკივილმა შეძრა აღაზას მტკიცე ხასიათი, ირწმუნა, რომ „ქისტეთში ჩემი ერთგული კენჭიც კი არსად არია" და სიცოცხლის აზრდაკარგულმა თავის - მოკვლა გადაწყვიტა. იგი კლდიდან დასცქერის შავ ხეობაში მობობოქრე მდინარეს, მაგრამ „თავს ნუ იკლავო!" აბა, თუ ერთმა ურჩიოს მაინცა. დახუჭა ქალმა თვალები, მსწრაფლად მორევში ჩაიქცა... წაიღო წყალმა აღაზა ლამსა და ქვიშას შაჰრია".

ვაჟა-ფშაველას აზრით, სიახლისთვის მებრძოლი ჰუმანური ადამიანების ბედი ყველგან და ყველა დროის საზოგადოებაში თითქმის ერთნაირია. პროგრესი, სიახლე მხოლოდ პიროვნული სულიერი ძალისხმევით იბადება. ინდივიდი ამა თუ იმ კუთხით

სძლევს ხოლმე საზოგადოებრივ კონსერვატიზმს და სუბიექტურ არჩევანს აკეთებს. ჯოყოლაცა და აღაზაც ასე იქცევიან. ისინი ხელაღებით კი არ უარყოფენ თავიანთ გარემოს წეს-ჩვეულებებს, ტრადიციულ წარმოდგენებს, არამედ მათი ღირებულების განსჯას უშუალოდ აკავშირებენ საკუთარ შინაგან სულიერ მოთხოვნილებებთან და ისეთ არჩევანს აკეთებენ, რაიც საყოველთაო სიკეთეს ემსახურება. აღაზამ იცის, რომ ქისტეთის მტრის მოზარეობა დანაშაულია, მაგრამ „ეს ფიქრი გონებისაა, გული თავისს შვრებოდა, კაცის კაცურად სიკვდილი გულიდან არ ჰქრებოდა". იგი რაღაცით აღემატება საზოგადოებას. ჯოყოლამაც იგრძნო მეუღლის მართალი გრძნობის სიდიადე და, თავის მხრივ, თითქოს ანუგეშა აღაზა „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა". ჯოყოლას ეს აზრი კაი ყმის გულსნადებია და არა მთელი თემისა. ქისტების თემი, მუსა, ჯოყოლას ოჯახში შეგზავნილი „მოყურიადე" სხვაგვარად ფიქრობენ.

ჯოყოლასა და აღაზას გონი თუ სინდისი ახლის მაძიებელია, თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს გმირები წინასწარგანზრახვით ცდილობდნენ ტრადიციული შეხედულებებისა და რწმენა-წარმოდგენების უარყოფას. ისინი სიტუაციის შინაგან სიმართლეს პოულობენ და აფასებენ. ვაჟას თხზულებათა იდეალური გმირები ხელაღებით არც თავიანთ წეს-ჩვეულებებს ებრძვიან და არც მტრისგან მოითხოვენ საკუთარი რჯულის შეცვლას. თვითმყოფად ეთნიკურ გარემოში ყალიბდება ინდივიდის ხასიათი, მაგრამ პიროვნება გახსნილია შინაგანად, რათა უცხო ადამიანთა ღირსებები აღიაროს. ვაჟას გმირებიც მეორე ადამიანში ან თუნდაც სხვა რჯულის კაცში, მტერსა თუ მოყვარეში პოულობენ ღირსებასაც და ნაკლსაც.

ვაჟას ეპოსში ზოგჯერ მტერი მტერს სწორედ საკუთარი ცხოვრებისა და რჯულის გმირულად დაცვისთვის სიმპათიას უმჟღავნებს. ამგვარია მუცალისა და ალუდას ხედვა. ჯარეგის თემმა შური იძია ზვიადაურზე, მაგრამ, როცა მისი ვაჟკაცობა შეაფასა, მაშინ კი „დაკლულმა დაკლა მტრის გული" და ქისტები ღრმა სინანულს მიეცნენ. ვაჟას გმირთა რწმენით, ყველა მოდგმის ადამიანს უფლება აქვს ინდივიდუალურად იცხოვროს. ეს უფლება დამბადებელმა და ბუნებამ სიცოცხლესთან ერთად უბოძეს მას. ასეთი დასაბამიერი ავტონომიური ყოფნა ყოველ მოდგმას მამულის, ერის თვითმყოფადი სიცოცხლის, ენის, რჯულის, ტრადიციული ნორმების ღირებულებას დაუმკვიდრებს და ყველა ხალხი ცდილობს ამ უმაღლესი ღირებულებების ხელშეუ-

ხებლობის დაცვას. მტრობა, კაცის კვლა დასაძრახია, თუმცა იგი ცხოვრებაში მაინც ხდება. მტრობას ხალხის თვითმყოფადი ცხოვრების, ეროვნული ღირებულებების გარედან ხელყოფა იწვევს. მშობლიური ხალხის ცხოვრებისა და მრნამსის დამცველი დიდებული ადამიანები არიან, რადგან ისინი თვითმყოფადი ფასეულობების მოვლა-პატრონობით თვით უფლის ნებას ასრულებენ.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ტრადიციული წეს-ჩვეულებები, ეთნოგრაფიული მოვლენები, უძველესი რწმენა-წარმოდგენები ხელსაყრელი მასალაა, ფონი დიდებული ადამიანის ხასიათისა და იდეალის გამოსაკვეთად. ასე შეიქმნა ჯოყოლასა და აღაზას ხასიათებიც. ამ სახეებში გაცხადდა კონკრეტული ეთნიკურისა და საყოველთაოს ძალზე სიცოცხლისუნარიანი შინაარსი. დიდებული ადამიანის მოწოდებაა შეიმეცნოს, გარდაქმნას, შეაფასოს და აამაღლოს ცხოვრება, სიცოცხლის საზრისი, რაც მხოლოდ სიბრძნით განსაზღვრული მუდმივი პროცესია. ცხოვრება ადამიანს, ხოლო ადამიანი ცხოვრებას მუდმივად სთავაზობს სიახლეებს, თუმცა ყოველი ახალი ძველდება, შეცვლას, ანუ სულის დაუდგომლობის განახლებას, ითხოვს. ამგვარ მიმართებათა სისტემაში უნდა გამოიკვეთოს გარემოს სახეც და პიროვნების სულიერ შესაძლებლობათა პერსპექტივაც.

მწერლის დაკვირვებით, მართალია, პიროვნება ბუნებისა და საზოგადოებისგან მოწყვეტილი არ არის, მაგრამ ის არც მათში გაჯერებული არსებაა. იგი ინდივიდუალობისა და ავტონომიური ყოფნისთვის მებრძოლია. ხელოვნება ამ ინდივიდუალობის მეხოტბეა. მწერლობა ცდილობს ადამიანის ინდივიდუალობისა და თავისუფლების მნიშვნელობა ყოველთვის შეაწონასწოროს საზოგადოების განვითარების ეპოქალურ მოთხოვნებთან. ასეთი ინტერესები ცხადყოფენ არა მარტო სამომავლო ზოგადი ჰუმანური იდეალის დამკვიდრებას, არამედ გადაუდებელ კონკრეტულ-ისტორიულ საჭიროებათა უზრუნველყოფა-გაშინაარსებასაც. ვაჟას აზრით, სინამდვილესთან მიმართების აღნიშნული წესი ხელოვნების საერთო მოვლენაა და მას ვერ მიისაკუთრებს რომელიმე ერთი ერის მწერლობა. პოეტის სიტყვით, შექსპირისა და სერვანტესის მიერ დახატული გმირების მსგავსი სახეები მხოლოდ ინგლისსა და ესპანეთში არ იქმნება. ამგვარი ზოგადი ლიტერატურული ტიპები ყველა ერის ცხოვრებისა და კულტურის წიაღში შეიძლება დაიბადონ.

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ფანტაზიას ზოგჯერ გმირის სულიერ შესაძლებლობათა წარმოსაჩენად საზოგადოებრივი ყოფა ევიწ-

როება და ბუნების თავისთავადობიდან თუ მითოსური წარმოდგენების სამყაროდან მოიხმობს პერსონაჟთა სულიერი ქმედების გასაღრმავებელ მასალას. ეს მოვლენა გამოკვეთილია პოემა „სტუმარ-მასპინძლის" სიუჟეტშიც. მითოსურ-რელიგიური ხილვებით და მათი სიმბოლურ-ალეგორიული განსახიერებებით ყურადღებას იპყრობს პოემის ბოლო XV თავიც. აქ მწერალმა უძველეს წარმოდგენებზე დამყარებით საიქიოდან გამოიხმო პოემის მთავარი გმირების აჩრდილები და ისინი კვლავ ადამიანური ურთიერთობების საყოველთაო ჰუმანურ შინაარსზე აალაპარაკა. ამგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკვდრეთით აღდგენა და საიქიოდან სააქაოს დაბრუნება გმირებისა, მათი სიტყვისა და საქციელის მითოსური იერით შემკობა მძლავრი მხატვრული ხერხია, რომელმაც მკითხველი ღრმად უნდა ჩააფიქროს ადამიანის სულიერების სამომავლო შესაძლებლობებზე. პოეტმა განსხვავებულ დონეზე ერთხელ კიდევ გვიჩვენა იდეალური გმირების გრძნობა-გონების ზეაღსვლის სურათი, მათი პიროვნული პოზიციების შეუვალობის ძალა. ქისტებმა ზვიადაურზე სასტიკი წესით იძიეს შური, თემისგან გარიყული ჯოყოლა ხევსურებთან ბრძოლაში დაიღუპა, აღაზამ დაპირისპირებათა ტრაგიკული შინაარსი, მისი შედეგები მძაფრად განიცადა, ფიზიკურ-სულიერმა მარტოობამ სასოწარკვეთაში ჩააგდო და თავი მოიკლა. მიუხედავად ამგვარი უბედურებისა, მათი აჩრდილები ერთმანეთისკენ ისწრაფვიან, ისევ „ვაუკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა, სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და დაძმობისასა". სამშობლო ვაჟას გმირებისთვის უმაღლესი ფასეულობაა; მისი სიყვარული კი არ აბრკოლებს, პირიქით, ხელს უწყობს უცხო ადამიანში მაღალი ღირსებების პოვნას. როგორც პოეტი ფიქრობდა, მხოლოდ ჭეშმარიტი პატრიოტიზმიდან მივდივართ ჭეშმარიტ ჰუმანიზმამდე.

დიდებული ადამიანის, ინდივიდის სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ხასიათის სიმართლე, უშუალობა აღნიშნული მითოსურ-რელიგიური წარმოსახვების სფეროშიც შეუვალი დარჩა. გმირი შიგნიდან მართავს თავის სულიერ სწრაფვათა ნაკადებს, საქციელს, სიტყვას, თუმცა ყოველივეს ხშირად უძველესი რწმენა-წარმოდგენების სამოსელში ახვევს.

პოემის ფინალში წარმოდგენილმა მითოსურმა ხილვამ დიდ ერთიანობაში განასახიერა ბუნების, სოციალური ყოფისა და ინდივიდის ხასიათის იდუმალებანი. ცხადყო, რომ კაცობრიობის ცხოვრება სულის სიმაღლისა და ცდომის, სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის დაპირისპირების ისტორიაა. ამ პოლარული მიმართებების საფუძველში კი ყოველთვის იდო ძნელად

გასაგები ბუნებრივ-სოციალური და სიღრმისეული პიროვნული პრობლემები. ვაჟა ახალი დროის პიროვნულ შესაძლებლობათა რაობის განსახიერებას მითურ ხილვათა არეალში ცდილობდა და შეუდარებელი ოსტატობითაც ახერხებდა ამას. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟას ეპიკური გმირი ხშირად შუალედურ ადგილს იკავებს ახალი ეპოქის მოვლენებსა და უძველეს მითოსურ-რელიგიურ წარმოდგენებს შორის. ორივე მასალა საჭიროა მხატვრული სახის შესაქმნელად. მართალია, ხელოვნება სათავეს მითოსიდან იღებს, მაგრამ იგი მხატვრულ სახეებში აღარ ახდენს რეალურისა და იდეალურის იმგვარ შერწყმას, როგორც ეს მითებშია.

ვაჟა, როგორც ხელოვანი, მითებსაც „გულში ხარშავს", „საკუთარ სულიერი ქურაში" ადნობს და ყოველგვარ მასალას სიმბოლურ-მეტაფორული გარდასახვის უბადლო ნიჭით განუმეორებელ მხატვრულ ფასეულობად აქცევს. მითის შემოქმედი ცნობიერება ერთიმეორესთან შერწყმულად წარმოადგენდა რეალურსა და ფანტასტიკურ-იდეალურს, მათ შორის სხვადასხვაობას ვერ ჭვრეტს. ვაჟა-ფშაველა თავისუფალი შემოქმედებითი ინტერესების მიხედვით ამუშავებს, დიფერენცირებულად აშინაარსებს მითს და ასე იყენებს ახალი ადამიანური იდეალების გამოსაკვეთად.

პოემა „სტუმარ-მასპინძელში" მწერალმა მითოსური ჩვენებებით აღბეჭდა აღაზას მოქმედების ის ეპიზოდი, როცა იგი ფარულად ზვიადაურსა გლოვობს. იგი უცნაურ ხილვათა გამო უფლისა და თემის წინაშე ჩადენილ ცოდვად მიიჩნევს თავის საქციელს, კერძოდ, ღირსეული უცხო ვაჟკაცის დატირებას. პოემის ფინალში სამივე დადებითი გმირის ბედი მითის იერით აღბეჭდილი წარმტაცი სურათით გაცხადდა. მკვდრეთით აღმდგარი გმირების აჩრდილები იმ მთაზე იკრიბებიან, სადაც ჯოყოლა დაიღუპა ბრძოლაში. ღამღამობით მრავალჯერ ჩნდება მათი შეხვედრის სურათი. აღაზა კვლავ მასპინძლობს ზვიადაურსა და ჯოყოლას. ისინი ადათების საფუძველზე დაბადებულ გრძნობებზე, კერძოდ ერთიმეორის დანდობაზე, ვაჟკაცობასა და დაძმობაზე საუბრობენ, ტრადიციის დაფასებას კი კაცურ ღირსებად მიიჩნევენ. გმირთა შეხვედრის სურათით მოხიბლული არიან მხილველები და, ალბათ, ის ადამიანებიც, რომელთა მიზეზითაც მათი წუთისოფლური ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა. პოეტი ამგვარი სურათის შექმნით ცდილობს, ერთხელ კიდევ შეაფასოს რეალური ადამიანური ურთიერთობების სირთულე. ეს ჩვენება დიდხანს არ გრძელდება: „მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ, კურუმად შავის ფერითა, დაეფარება სანახავს წერა-მწერელის წერი-

თა“. შავი ნისლი, სიმბოლო საზოგადოების კნინი თვითშეგნებისა, ცხოვრების უკუღმართი მოვლენებისა უძლეველია და მარად მოქმედი. კაცის მძლავრი მარჯვენა უროთიც ვერ დაამსხვრევს მას და ვერ მოაცილებს გმირების მშვენიერი, ამაღლებული იდეალების საუფლოს. შავი ჯანღის მიღმა კი „მხოლოდ მდინარის ხმა ისმის, დაბლა მიქანავს ხველითა და უფსკრულს დასცქერს პირიმზე მოღერებულის ყელითა...“ პირქუშ ხეობაში მძვინვარედ მბორგავი მდინარე კაცთა ცხოვრების სიმბოლური სახეა. ამ მდინარეს „არ ეშინიან ტანჯვისა, იმან არ იცის სიკვდილი. ერთი რამ იცის მხოლოდა: ცრემლის ღვრა, მაღლა ყვირილი, მუდამჟამს უცინარობა, მარტო ტირილი, ტირილი...“ თვითმკვლელობისთვის განწყობილი, შემკრთალი და სასოწარკვეთილი აღაზა ამ შემზარავი მდინარის მრისხანებას მაღალი კლდიდან დასცქერის და მის შავ ტალღებს საკუთარი შავი ბედის სუდარად მიიჩნევს. მდინარეს კი სულაც არ ადარდებს ღირსებებით სავსე და მშვენიერი არსების მიმართ გამოვლენილი სიავე-სისასტიკე. სიცოცხლის საზრისისა და სიკეთის, სიყვარულისა და მშვენიერების განსახიერება გაიწირა. „ნაილო წყალმა აღაზა, ლამსა და ქვიშას შაჰრია“. თვითონ გულცივი ბუნება და ასევე გულცივი საზოგადოება აღაზას „უცხოსთვის ცრემლის დაღვრას“ არ ჰპატიობს. თემისგან გარიყულ, მარტოობის მწუხარებაში ჩავარდნილ აღაზას „თავს ნუ იკლაო!“ არავინ ურჩევს, ხოლო ცხოვრების მდინარე კი სრულიად უდარდელად „დაბლა მიქანავს ხველითა“. პოეტის მრწამსით, ბოროტებას, უსამართლობას, გულგრილობას აღაზასნაირი ადამიანები უნდა აღუდგნენ წინ. მათი მარცხი ასეთ ბრძოლაში კი ყოველთვის სულიერების დიდ გამარჯვებად აღიქმება. პირიმზის ყვავილის შესადარი ქალის სულის მშვენება უკვდავია. ამიტომ აღაზას ჰუმანურობასა და სხივმიხდილი ვარსკვლავის მშვენიერებას პოეტი პირიმზის ყვავილის სახე-სიმბოლოთი გამოხატავს. აღაზას გრძნობათა მშვენების საზომად პოეტმა პირიმზე მიიჩნია. თუ სულიერი მარტოობის ტანჯვაში ჩავარდნილი აღაზა ხსნას თვითმკვლელობაში ეძიებს, მისი პოეტური სახის ორეული, ტოლ-სწორი და იდეალის მოზიარე პირიმზე რწმენით, იმედით, სიამაყით, ე. ი. „მოღერებულის ყელით“ მაღლიდან თითქოს ნიშნისმოგებით დასცქერის ცხოვრების ბნელ უფსკრულებს. მაშასადამე, დამარცხებული გმირების იდეალი გაიმარჯვებს და გამართლდება პოეტის სიტყვები: „კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადა“. ადამიანის კარგი გული კი ერთდროულად იტევს ბუნების, ცხოვრების, ლა-

მაზი და მრავალფეროვანი სიცოცხლის სიყვარულს. იგი ცხოვრებას აუკეთესებს.

„სტუმარ-მასპინძელი" პოლითემატური თხზულებაა. აქ მხატვრულ სახეთა ურთიერთმიმართების საფუძველს პიროვნების სულიერი შესაძლებლობების შინაარსი წარმოადგენს. ჯოყოლასა და აღაზას თავგადასავალს, მათ ბედს განაპირობებს მათივე სულის მოძრაობის შინაგანი მოტივები. მართალია, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს პოეტი ამ თხზულების სიუჟეტშიც უხვად იყენებს, მაგრამ მთავარ როლს მაინც სუბიექტის სულიერ საწყისებს, კერძოდ, გონისა და სინდისის ახლის შემოქმედ ძალას აკისრებს. ტრადიციული წარმოდგენებისა და ახალი განცდების კავშირი შეაპირობებს ნაწარმოების სახეთა პოლიფონიურობასაც. ტრადიციულისა და ახლის დაპირისპირებისა თუ თანაარსებობის პრინციპი უძევს საფუძვლად „სტუმარ-მასპინძლის" გმირთა ურთიერთობის პოლიფონიურ შინაარსს. პოლიფონიური სახეების დამამკვიდრებელი მწერალი თვითონ უნდა იყოს მრავალმხრივი პიროვნული შემოქმედებითი შესაძლებლობების მფლობელი.

ვაჟა-ფშაველა ეპიკური გმირის ჭეშმარიტ იდეალს აყალიბებს მაშინ, როცა უზოგადესის არსს კერძოსა და განსაკუთრებულის მეშვეობით გამოავლენს. კერძო საგნისა თუ მოვლენის უზოგადესის ხატისადმი დამორჩილება კი განსაზღვრულია შემოქმედის ტალანტით. უზოგადეს ხატს პოეტი ქმნის ბუნებასა და ცხოვრებასთან გლობალური ღირებულებით-მხატვრული მიმართებისას. შემოქმედებითი მიმართება, ვაჟას რწმენით, ყოველგვარი მასალის საკუთარი „„სულის მანგანაში" მოქცევას, მის „შემუშავებას" გულისხმობს. მისთვის შემოქმედებით-მხატვრული ფანტაზია უდიდესი პიროვნული ძალაა, რომელიც ვერ გამოიკვეთება, თუკი ღრმად არ შეიჭრა ბუნების, კაცთა ცხოვრებისა თუ ინდივიდების არსებაში. შემოქმედებითი ძალა, რაც „სტუმარ-მასპინძლის" სიუჟეტში გამოვლინდა, ყველა მკითხველს საკუთარ თავზე მაღლა აყენებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თვითონ პოეტის მთელი არსებაა ჩართული დიდ მხატვრულ ცდაში, რომელმაც პიროვნების - თვითცნობიერების მაღალი არსი უნდა გახსნას.

თავი VII

„სტუმარ-მასპინძლის“ ხალხურობის შესახებ

ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ გამოქვეყნებიდან მესამე,ე.ი. 1896 წელს იქცა შეფასების საგნად. კრიტიკული ნარკვევის ავტორმა ილია ნაკაშიძემ მრავალი საინტერესო და სადავო შეხედულება გამოთქვა. მან აღნიშნა ფშაურ ფოლკლორთან პოეტის დიდი სიახლოვე და მისი შემოქმედების ორიგინალურობის განმსაზღვრელად ის მიაჩნია, რომ მან უცხო ლიტერატურაში „გადაუხვევლად“ „პირდაპირ თავისი მთიულეთის მწვერვალებით ჩამოსჩქეფა ჩვენს მწერლობაში“. კრიტიკოსი იმასაც ამბობდა, რომ „ვაჟა-ფშაველამ მხოლოდ აკრიფა ფშაურ პოეზიაში გაფანტული გრძნობები, ერთათ შეკონა და თავისი საკუთარი ცხოვრების წყალი მოაპკურა“.[1] ვაჟა კი ამ აზრის გამოთქმამდე ექვსი წლით ადრე „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ წყაროებზე მსჯელობისას უარყოფდა ფოლკლორთან მწერლობის ამგვარ დამოკიდებულებას. პოეტი ხალხური ლექსებიდან გრძნობის, ფრაზისა და აზრის მექანიკურ გადმოღებას, „აკრეფას“ ან საკუთარ ნაწარმოებში მათ თავმოყრას შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის არანიშანდობლივ და ხელოვანის ნიჭის დამამცირებელ ფაქტად მიიჩნევდა. ამიტომაც, პროფ. ალ. ხახანაშვილის საპასუხოდ, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ სხვადასხვა ხალხური ლექსის გამთლიანებად მიიჩნევდა, იგი წერდა: „რჩება საწყალს შოთას მარტო ბურთი და მოედანი გმირების ტანისამოსის, პირისახის, აბჯარ-აბგრისა, და ამის გამოხატვას ხომ აზრი არა ჰქვიან. აქ რაღა შუაშია, ჩემო კარგო, აღმაფრენა პოეტური?! გამოვიდა, რომ რუსთველს მარტო ერთმანეთზე მიუკონწიებია ეს ლექსები, მოუქუჩებია ერთად, როგორც ეხლა აგროვებენ ბევრნი სახალხო ლექსებს“.[2] ვაჟას შეხედულებით, თუკი ხალხური ლექსები არსებობდა, მათ შინაარსიც საკუთარი ჰქონდათ და ფორმაც. არსე-

---

[1] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, თბ., 1955 წ., გვ. 133.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 117.

ბულის უბრალო გაშალაშინებას პოეტური ღირებულება არა აქვს. საზოგადოდ კი, პოეტის აზრით, არ არსებობს უფორმო შინაარსი, ისევე, როგორც ვერ იარსებებს უშინაარსო ფორმა. მაშასადამე, ვაჟა გმობს ხელოვანის ღრმა სულიერი მოღვაწეობის შეუფასებლობას და ფიქრობს, რომ ყოველგვარი მასალა უნდა გადადუღდეს, სხვა სახის სამყაროდ იქცეს.

ილია ნაკაშიძემ ერთიმეორესთან გააიგივა ფშაური ხალხური პოეზიისა და ვაჟა-ფშაველას ქმნილებათა ფორმა, აზრი და კილო. მისი შეხედულებით, ფშაური ხალხური პოეზია, და მისივე ზემოქმედებით ვაჟას ნაწარმოებებიც, მთიელთა მხოლოდ ცალმხრივ სამამაცო თუ „გმირულ-პატრიარქალურ" გრძნობებს გამოხატავენ. ფშაურ პოეზიასა და ვაჟას ნაწარმოებებს, კრიტიკოსის აზრით, აკლია ევროპული პოეზიის სინაზე და გრძნობათა მრავალმხრივობა. მისი შეხედულებით, „დღევანდელი ევროპული პოეზია კი ადამიანის სულის სხვაგვარი უფრო წმინდა და მაღალი ძლიერების მაჩვენებელ-მადიდებელია".[1] ვაჟას ნაწარმოებები თავიანთი აზრითა და მნიშვნელობით მხოლოდ „ძველებურ-ჩვენებური", „ფშაურ-ხალხურია". ამ წინასწარ შემუშავებული მცდარი აზრის ზემოქმედების გამო იგი წერს: „სტუმარ-მასპინძელში" არ ჩანან ცოცხალი ადამიანები, ხალხური პოეტი ვერ მორევია ცოცხალ სულის რთულ ვითარების გამოხატვას. არც ერთი მოქმედი პირი ამ პოემაში პიროვნების მსგავსად არ არის შექმნილი".[2] ასე აფასებდა მკვლევარი ჯოყოლასა და აღაზას ურთულეს პოეტურ სახეებს, რომელთა გრძნობები და ქცევები საოცარი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გამოირჩევიან. იგი პოემის ნაკლად პერსონაჟთა სულის სიღარიბეს მიიჩნევდა, ხოლო ავტორის ღირსებად მისი ნიჭის ბუნებრიობას აღიარებდა. თუმცა, ამ ბუნებრივ ნიჭსაც კრიტიკოსი ასე ახასიათებდა: „ჩვენი ქვეყნის გულში ინახება მადანი ძვირფასი და პატიოსანი, ხოლო მას მიგნება და ამოღება უნდა. მაგრამ როგორც ბუნებითი მადანი, ისე ბუნებითი ნიჭიც ნათელმა ევროპულმა კერამ უნდა დაადნოს და შეამუშაოს, თორემ ისე დღევანდელ ცხოვრებაში იგი „ერთ ჩირათაც" არ ეღირება".[3] გამოდის, რომ მთელი აღმოსავ-

---

[1] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, თბ., 1955 წ., გვ. 137.

[2] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, თბ., 1955 წ., გვ. 133.

[3] იქვე, გვ. 134.

ლური ხელოვნება, „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟას ქმნილებები თუ ჩვენი ფოლკლორი, რაკიღა ევროპულ „კერაზე“ არ დამდნარა, მნიშვნელობას მოკლებული და წარმავალია. კრიტიკოსმა, ხალხურ ნიმუშებთან ვაჟას ნაწარმოებების შედარების გარეშე, ამ ორი, მხატვრული აზრით და გმირთა სახე-ხასიათების რაობით დიდად განსხვავებული მოვლენის ერთსახეობაზე მიგვითითა. მან თვითონ ვაჟა-ფშაველა ხალხურ პოეტად, ხალხურ მთქმელად წარმოგვიდგინა. იგი წერდა: „ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ ვაჟა-ფშაველა მხოლოთ ხალხურ პოეტათ და ვერ ვეთანხმებით ბ.გ. ყიფშიძის აზრს, რომელიც ვაჟას ნაწერებს სალიტერატურო შედევრებს უწოდებს. სალიტერატურო შედევრი მაღალი სიტყვაა, ევროპული ცხოვრების ნაყოფი, და ვაჟას პოეზიის დასასურათებლათ ვერ გამოდგება. ვაჟას შემოქმედებას რომ მეტის სამართლიანობით მოვექცეთ, შეიძლება კიდევაც შედევრი დავარქვათ, მაგრამ შედევრი არა ევროპული, არამედ მხოლოთ ძველებურ-ჩვენებური, ფშავურ-ხალხური“.[1]

ასე წერდნენ პოეტის სიცოცხლეშივე მის ეპოსზე და ცალკეულ ნაწარმოებთა წყაროების მნიშვნელობაზე. ძალიან ხშირად მკვლევართა მსჯელობის მიღმა რჩებოდა შემოქმედებითი პროცესების არსზე მწერლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტენდენცია შემდგომი დროის სხვა ავტორთა გამოკვლევებშიც ჩნდება.

კრიტიკოსი იპ. ვართაგავაც შესადარებელი ხალხური ნაწარმოებების გარეშე მსჯელობს ვაჟა-ფშაველას პოემებზე და, კერძოდ კი, „სტუმარ-მასპინძლისა“ და „გველისჭამელის“ წყაროებზე. იგი დასახელებულ თხზულებებს პოეტის საუკეთესო ქმნილებებად მიიჩნევს, თუმცა ფიქრობს „...რომ დედააზრი ამ პოემისა ხალხის საერთო სულიერი ძალითაა გამოჭედილი, მათში გატარებული იდეა ვაჟას გონების სინტეზის ნაყოფს ან ინტუიტურად მის სულიერ ძალთა ქმნილებას არ წარმოადგენდეს“.[2] მკვლევარს მიაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას ხელთ ჰქონდა მაღალმხატვრული ფოლკლორული ნაწარმოებები, მაგრამ მათი ფაბულისა და სიუჟეტის „გართულება“-გაღრმავება ვერ მოახერხა. ავტორის შეხედულებით, თუკი ვაჟა-ფშაველა მზა ფაბულა-სიუჟეტების ამგვარ პოეტურ გადამუშავებას მოახერხებდა, როგო-

[1] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, თბ., 1955 წ., გვ. 134.

[2] იქვე, გვ. 305.

რაც ეს შეძლეს ჰომეროსმა, შექსპირმა, გოეთემ და დანტემ, მაშინ მის ნიჭსა და დიდებასაც სესხებით არაფერი მოაკლდებოდა. სამწუხაროდ, იპ. ვართაგავას ჰგონია, რომ ვაჟამ ეს მთავარი ვერ შეძლო. იგი აღნიშნავს: „ჩვენმა პოეტმა არა თუ ვერ გაართულა ეს ქმნილება ხალხის ფანტაზიისა, არამედ მას თავიც ვერ დაუღწევია მისი ზეგავლენისათვის როგორც იდეის, ისე მომეტებულად ფორმის მხრით. როდესაც კითხულობთ ვაჟას პოემებს, თქვენ გგონიათ, რომ ვიღაცას უცვლელად ჩაუწერია ხალხში დარჩენილი ლამაზი თქმულება და თქვენდა დასატკბობად დაუბეჭდიაო: იგივე ხალხური ენა, იგივე რითმა, იგივე ხალხური შედარებები, ეპითეტები, ტროპები, იგივე ხალხის შეხედულების, რწმენის მოხაზულობა და ხასიათი, იგივე ხალხური საგმირო ჰანგები, იგივე ხალხური იდეალები!"[1] ცხადია, ეს ნიშნები, რომლებიც მკვლევარმა დაასახელა, უძირითადესია როგორც ხალხური, ასევე ინდივიდი შემოქმედის ნაწარმოებების ორიგინალურობისათვის. მათი იგივეობის ან სხვისაგან სესხების აღიარება მსესხებელის მიმბაძველად გამოცხადებას გულისხმობს. საფუძველი კი ამ შთაბეჭდილებისა მხოლოდ ის ვარაუდია, რომ პოემების მსგავსი ხალხური ნაწარმოებები მომავალში აღმოჩნდებოდა.

ვაჟა-ფშაველას პოემათა სიუჟეტისა და ხალხური სავარაუდო წყაროების ურთიერთმიმართების ამგვარი დახასიათების შემდეგ იპ. ვართაგავამ მაინც თქვა, რომ მსგავსებაზე აპრიორულად უთითებდა. მისი აზრით, მხოლოდ პოეტის მიერ გამოყენებული ხალხური ნიმუშების გამოქვეყნების შემდეგ გაირკვეოდა „თუ რა ეკუთვნის პოემაში ხალხის გენიოსობას და თუ რა შეუტანია თვით მგოსანს".[2]

როგორც ვხედავთ, იპ. ვართაგავა მსჯელობს ვაჟა-ფშაველას მიერ ხალხური შემოქმედებიდან ნასესხებ იდეაზე, სახეებზე, ფაბულებსა და სიუჟეტებზე, მაგრამ თავის შეხედულებათა დასადასტურებლად არ წარმოადგენს პოეტის ეპოსთან შესადარებელ რაიმე მასალას; უფრო მეტიც, მისთვის ჯერ ცნობილი არც არის, არსებობს ხალხში პოეტის თხზულებათა ტოლფარდი მხატვრული ნაწარმოებები თუ არა. ვაჟა-ფშაველას პოემების შემოქმედებითი ისტორიის ამგვარმა კვლევამ განაპირობა კრიტიკოსის შეხედულებების დიდი წინააღმდეგობრიობა. მწერალი

---

[1] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, თბ., 1955 წ., გვ. 306.

[2] იქვე.

იძულებული გახდა, გამოხმაურებოდა იპ. ვართაგავას და მისთვის შემოქმედებითი პროცესის ზოგიერთი თავისებურება განემარტა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს წერილი „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი" ერთგვარი შეჯამებაცაა იმ შეხედულებებისა, რომლებიც პოეტმა შემოქმედებით პროცესთა და ლიტერატურულ გავლენათა თაობაზე უფრო ადრე გამოთქვა თავის წერილებში.[1]

იპ. ვართაგავამ ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ვაჟას პოემები, საზოგადოდ, და კერძოდ, „სტუმარ-მასპინძელი" და „გველისმჭამელი" ფოლკლორიდან ნასესხებ ფაბულებსა და სიუჟეტებს ეფუძნებიანო. ამასთანავე, კრიტიკოსი ერთიმეორისაგან არ ანსხვავებს ფაბულისა და სიუჟეტის მნიშვნელობებს. მას ვაჟა-ფშაველას პოემებთან შესადარებელი მზა სიუჟეტები არ დაუსახელებია და არც სესხების კონკრეტული ბუნება დაუხასიათებია. იპ. ვართაგავამ პოეტის ეპიკური თხზულებებისა და მათი წყაროების შედარებითი დახასიათება მხოლოდ ვარაუდებზე დაამყარა. სწორედ ამან გამოიწვია ვაჟა-ფშაველას ერთგვარი უკმაყოფილება, გულახდილი და თანაც პრინციპული პასუხი. პოეტმა თითქმის ყველა თავისი სახელგანთქმული პოემის მასალა და წყარო გააცნო იპ. ვართაგავას და მთელ საზოგადოებასაც, მაგრამ ამით მაინც წინ არ წასულა მისი ნაწარმოებების შემოქმედებითი ისტორიის კვლევის საკითხი, მიზეზი ის იყო, რომ ვაჟას განმარტებებს, მისეულ ცნობებს რატომღაც ან საკმარისად არ თვლიდნენ, ან საზოგადოდ, არ ითვალისწინებდნენ. მკვლევარნი ხშირად ცხოვრების გარემოებით შეპირობებულ შორეულ არამხატვრულ და უმნიშვნელო ანალოგიებს პოეტის თხზულებათა მხატვრული აზრის მასაზრდოებელ წყაროდ აცხადებდნენ. იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა ვაჟას ნაწარმოებთა არა მარტო ფაბულას, არამედ სიუჟეტებსა და მხატვრულ სახეებსაც ხალხური შემოქმედებიდან ნასესხებად თვლიან. კვლევა-ძიების დროს იკარგებოდა შესადარებელ საგანთა მთლიანობაში წარმოჩენილი მხატვრული ღირებულება. ვაჟა-ფშაველას მიერ გამოყენებული ნაირგვარი ეთნოგრაფიულ ყოფითი მასალა მის ცალკეულ ნაწარმოებთა მხატვრული აზრის ტოლფასოვნად მიიჩნეოდა, ზოგჯერ კი მთის ადათ-წესებით განსაზღვრული ცხოვრებისეული ამბები ხალხურ შემოქმედებასთან ნიველირდებოდა. ეთნოგრაფიული მასალა, ცხოვრებისეული ამბები და ხალხური შემოქმე-

[1] იხ. კრებული „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ", თბ., 1967 წ.

დების ნიმუშები, მართალია, ზოგჯერ ვაჟას პოემათა ცალკეულ ეპიზოდებს ენათესავებიან, მაგრამ ვერ ფარავენ მათს სიუჟეტსა თუ სიტყვიერ რეალობას. წყაროების ღირებულება მხოლოდ ეპიზოდური ინფორმაციის დონეზე რჩება და ვაჟა-ფშაველას აღნიშნულ პოემათა მხატვრულ აზრს ვერასოდეს უტოლდება.

ვაჟა-ფშაველას პოემათა შორის „სტუმარ-მასპინძელი" ერთ-ერთი ისეთი თხზულებაა, რომლის წყაროებზე და ხალხურობის პრობლემაზე ბევრი იწერებოდა პოეტის სიცოცხლეში და შემდეგაც. თვითონ ავტორი ნაწარმოების წყაროს შესახებ წერდა: „ზეპირგადმოცემამ მომცა მხოლოდ ერთი ადამიანის, ზვიადაურის სახელი და ერთი ეპიზოდი, სახელდობრ ის, როცა მას ქისტები თავიანთ მკვდრის, დარლას საფლავზე ჰკლავენ, ხანჯას ურჭობენ ნელ-ნელა ყელში და ცდილობენ როგორმე შეაშინონ, მოდრიკონ, რომ მსხვერპლი მსხვერპლად გამოდგეს. მაგრამ ზვიადაური ქვავდება და გაიძახის „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!" დანარჩენი პოემაში საკუთარი ფანტაზიის ნაჩმახი გახლავთ".[1]

ვაჟა-ფშაელამ „სტუმარ-მასპინძლის" წყარო დაგვიხასიათა სხვადასხვა დროს დაწერილ ორ წერილში: „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ" და „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი". პოეტმა თქვა, რომ ყოფაში მომხდარი ამბავი ზეპირგადმოცემამ იმ სახით შემოინახა, როგორადაც მკითხველს ვაცნობო. ოდნავადაც ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მწერალი კარგად იცნობდა როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან მთიელთა ცხოვრებისეულ ურთიერთობებს. ცხადია, ამიტომაც ერთიმეორეში არ ურევდა თუშებსა და ლეკებში მომხდარ გალექსილ ამბავსა და ხევსურებსა და ქისტებს შორის მომხდარ ყოფით შემთხვევას. ზვიადაურების გვარში ამჟამადაც იციან, რომ დაახლოებით მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სოფ. სამტყუში საფლავზე დაუკლავთ ქისტებს მათი ერთი წინაპარი. ეს ფაქტი ხალხურ შემოქმედებას პოეტური გარდასახვის საგნად არ უქცევია. ამ ცნობას ემყარება ვაჟა-ფშაველას პოემის მხოლოდ ერთი ეპიზოდი. როგორც ირკვევა, გადმოცემა მწერალს აძლევს ინფორმაციას ხევსური ზვიადაურის შესახებ, რომელიც მოსისხლე ქისტებს თავისი მკვდრის საფლავზე დაუკლავთ. სამსხვერპლოდ განწირული არ შემდრკალა. მის გამძლეობას რამდენადმე განსაზღვრავდა ის საყოველთაო ტრადიციული წარმოდგენებიც, რომელთა მიხედვითაც ვაჟ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ.,1964 წ., გვ. 323-324.

კაცურად დაღუპული ადამიანი მტერს არ შეეწირებოდა და საიქიოში არც მისი მონა-მოსამსახურე გახდებოდა. მოსისხლე მტრის საფლავზე დაკვლის წესი, როგორც ვაჟა პოემის კომენტარში აღნიშნავს, მთიელთა მაჰმადიანურ ტომებში გავრცელებული ყოფილა. პოეტი წერს: „სისხლის აღება, მკვლელობისათვის მოკვლა, ყველა მთიელებსა აქვთ წესად, მაგრამ საფლავზე დაკვლა და ამგვარად „შეწირვა“ მაჰმადიანი მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ ვისაც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ, არ შედრკა, მკვდრისათვის „შეწირულად“ არ ჩაითვლება“.[1] ვაჟა-ფშაველას ეს განმარტება გვაუწყებს, რომ ადათის ძალით საფლავზე დაკვლა შეიძლება მომხდარიყო სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტომებში. როგორც ჩანს, პოტენციური შესაძლებლობები ამ მოვლენის, ყოფითი შემთხვევისა თუ ლექსის წყაროდ გადაქცევისა დიდია. „სტუმარ-მასპინძლის“ წყაროს ავტორისეულმა დახასიათებამ გახსნა გზა პოეტურ მიმართებათა სპეციფიკის გათვალისწინებისათვის. მასალასთან პოეტურმა დამოკიდებულებამ უღრმესი ეთიკური აზრი შეიძინა. თუმცა, ვაჟა-ფშაველას ცნობების გამოქვეყნების შემდეგაც ამ პოემის სხვა წყაროებს ეძიებენ და მაინცდამაინც ხალხური პოეზიის მხატვრულ ზემოქმედებას აღიარებენ. მაშასადამე, უნდა გაირკვეს საკითხი – მართლა პოეტური ფოლკლორი, ხალხური ლექსებია ამ პოემის წყარო, თუ ის ყოფითი არამხატვრული ამბავი, რომელიც ავტორს მოუსმენია.

„სტუმარ-მასპინძლის“ წყაროებზე ხალხური შემოქმედების ნიმუშების დაუსახელებლად მსჯელობდნენ ი. ნაკაშიძე და იპ. ვართაგავა. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში აკად. ა. შანიძემ „ხალხური პოეზიის“ შესავალში კონკრეტულად მიუთითა ამ ნაწარმოების ხალხურ პოეტურ წყაროებზე და პარალელურ თემებზე. მან აღნიშნა: „სტუმარ-მასპინძელში“ რომ ორი თემაა ერთმანეთზე გადაბმული: ერთი მასპინძლის მოვალეობისა სტუმრის წინაშე და მეორე საფლავზე შეწირვის ამბავი, ორივე პარალელს პოულობს ჩვენს მასალებში; გარეშე მტრისაგან სტუმრის დაცვა, თუნდაც ეს სტუმარი მოსისხლე მტერი იყოს მასპინძლისა, გადმოცემულია მთრეხელის ამბავში (№42). ასეთივე ხასიათისაა ამხანაგის მიერ შემთხვევით დაჭრილი ხევსური მონადირის მიღება და სათანადოდ მოვლა და პატივისცემა მოსისხლე ქისტის მიერ

[1] ვაჟა-ფშაველა, ავტორის შენიშვნა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 220.

(ნ. შენიშვნა 517 ნომერთან, გვ. 557). ქისტის საფლავზე ზვიადაურის შეწირვა ვაჟას პოემისა არსებითად იგივეა, რაც თუშის ლუის ლუხუმის სამსხვერპლოდ დაკვლა ქისტის საფლავზე (№143)... მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟა მართალია, უცილობლად მართალია, როცა იგი იპ. ვართაგავას შენიშვნის გამო განგვიმარტავს, თუ როგორ ეპყრობა იგი თავის პოემებში ხალხურ თქმულებათ და გადმოცემათ: ხალხურ თქმულებათ ვაჟა-ფშაველას ნაწერებში ყველგან თავისუფალი მოპყრობისა და გადაკეთების ცხოველი ბეჭედი აზის".[1]

1961 წელს „სტუმარ-მასპინძლის" წყაროების პრობლემასა და ამ წყაროებთან ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. მ. ჩიქოვანმა. მკვლევარი ჟანრობრივი სახის დადგენის თვალსაზრისით ეძიებს პოემის წყაროს და გამოთქვამს აზრს, რომ ეს არის ლექსი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს თ. რაზიკაშვილს და „ლუის ლუხუმის" სათაურით ვრცლად კომენტირებული აქვს აკად. აკ. შანიძეს.[2] „სტუმარ-მასპინძლის" ზოგიერთი მოტივის ხალხური ამბიდან მომდინარეობაზე ორჯერ და სრულიად გარკვეულად თვითონ პოეტი უთითებს, ოღონდაც არ გვიჩვენებს ლექსითია წყარო თუ პროზაული და საერთოდ არც იმას გვაუწყებს, თუ საიდან მიიღო ეს ცნობა. ავტორისეული ცნობის შეცვლისა და სხვაგვარად შეფასების მიზეზი ის გახდა, რომ პოეტის მიერ დახასიათებული მასალა არ თავსდება ხალხური სიტყვიერების რომელიმე ჟანრში. ვაჟას მიერ მოწოდებული მასალა იმ სახით, როგორადაც ავტორმა გაგვაცნო, პოეტურ ფოლკლორში საერთოდ არ იპოვება. ეს გახდა ალბათ მიზეზი იმისა, რომ მკვლევარი პოეტური ჟანრის დადგენას შეეცადა. ვფიქრობთ, თვითონ ვაჟა-ფაშველას შეხედულებით, სრულიად არაფერი უშლის ხელს იმას, რომ ამ პოემის წყაროს ავტორისეული ცნობის სახით, ე.ი. არამხატვრულად, მთიელთა შორის მოქმედი ადათების ნიადაგზე წარმოშობილი ყოფითი ამბის სახით იარსებოს და პოეტური რეფლექსიის საგნად იქცეს. მწერალი ჯერ კიდევ 1896 წელს წერდა: „უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული".[3]

---

[1] აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული. თბ., 1931 წ., გვ. 023-024.

[2] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" ფოლკლორული ძირები, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო კრებული, თბ., 1961 წ.

[3] ვაჟა-ფშაველა, „Pro domo sua", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 182.

ვაჟა-ფშაველა მთიელთა ცხოვრებაში მომხდარ, მაგრამ მხატვრულად გარდაუქმნელ ამბებს, ზეპირგადმოცემას, თქმულებას, ამბავს, ან ზეპირსიტყვიერ ხალხურ მასალას უწოდებს. მწერლის ეს გვაროვნულ-თემური რეალობის ამსახველი და გამთვალისწინებელი პოზიცია მართებულია. ცხადია, ვაჟა იმიტომ აფართოებს ხალხური წყაროს ცნებით შინაარსს, რომ გვაროვნულ-თემურ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ყოველ მოვლენას მხოლოდ ხალხურად მიიჩნევს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოეტი თემის პოეტურ შემოქმედებასა და მის ყოფის სხვა მხარეებს შორის სხვადასხვაობას ვერ ხედავს, თანაც, განსხვავებულ მოვლენათა ფუნქციებს ვერ განარჩევს ერთიმეორისაგან. მწერლის შეხედულებით, მთიელთა ადათ-ჩვეულები, რწმენა-წარმოდგენები, სამართლისა და ზნეობის პრინციპები წმინდა ხალხურია. აქედან იღებს სათავეს მთიელთა ყოფაში მომხდარი ყველა ამბავი თუ შემთხვევა. ხალხური შემოქმედების თემატიკა და მოტივებიც ამ კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებების მაჩვენებელია. ვფიქრობთ, აღნიშნულის გამო, ვაჟას მსჯელობაში გამოყენებული ტერმინები: ზეპირგადმოცემა, თქმულება, ხალხური ამბავი, სიუჟეტი თუ არაკი ერთდროულად ორივეს გულისხმობს – პოეტურ ნიმუშებსაც და ცხოვრებისეულ შემთხვევებსაც. ნათელია ის ფაქტი, რომ ვაჟა ამ ტერმინების შინაარსში, ხალხური მხატვრული ნიმუშების გარდა, უეჭველად გულისხმობს ისეთ ყოფით შემთხვევებს, ამბებს, თქმულებებს, ზეპირგადმოცემებს, რომელთაც მხატვრული ნაწარმოების სახე არ მიუღია, ისინი ადათებით განსაზღვრული ყოფითი შემთხვევების მხოლოდ უშუალო აღწერად გვევლინებიან. საკითხის ასე დაყენება აფართოებს გარემოსთან მწერლის შემოქმედებითი მიმართების ნაირსახეობათა ზუსტად დახასიათების შესაძლებლობას. ამასთანავე, ამგვარი მიდგომა გვაძლევს საშუალებას ერთიმეორისაგან განვასხვაოთ ყოფითი შემთხვევისა და ხალხური მხატვრული ნაწარმოებების მწერალზე ზემოქმედების ღირებულება. ეს ზემოქმედებანი კი თავიანთი მნიშვნელობითა და ბუნებით დიდად განსხვავდებიან.

როგორც ჩანს, ვაჟა-ფშაველას მიერ ზეპირგადმოცემის, ხალხური ამბისა და თქმულების შინაარსში ნაგულისხმევი მასალა არ უნდა მივიჩნიოთ მაინცდამაინც ხალხურ მხატვრულ ნაწარმოებებად. თუ ერთ შემთხვევაში ეს ცნებები მართლაც პოეტურ ნიმუშებზე მიგვითითებენ, მეორე შემთხვევაში უსათუოდ არამხატვრულ ცხოვრებისეულ ამბებსა და ფაქტებს გულისხმო-

ბენ. მწერალი გამოყენებული მასალის გარეგნულ სახეს და ჟანრის დასახელების შესაძლებლობებს თვითონ გვაცნობს, როდესაც მათ ბუნებრივად წარმოადგენს. აღნიშნულ ვითარებაში მწერალზე ზემოქმედებს არა მხოლოდ ხალხური პოეტური ნაწარმოებები, არამედ ჩვეულებრივი სასაუბრო ენით აღწერილი მოვლენებიც. ცხადია ისიც, რომ ყველა დროის ხალხური თუ ინდივიდუალური შემოქმედება ტრადიციული ადათ-წესებით ან თავისი დროის სამართლებრივ-მორალური ნორმებით განპირობებულ ამბებს იყენებდა წყაროდ. ირკვევა, რომ ხშირად ასეთი ფართოდ გავრცელებული ცხოვრებისეული მოვლენები იწვევენ ხალხური ნიმუშებისა და ინდივიდუალური ნაწარმოებების ცალკეული ელემენტებისა თუ ეპიზოდების მსგავსებას. ამიტომაც მსგავსებები, რომლებიც ინდივიდუალიზებული მხატვრული ფორმით არ გამოავლენენ სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების ნათესაობას, მხატვრულ გავლენად არ მიიჩნევა. „სტუმარ-მასპინძლის" შემოქმედებითი ისტორიაც ასეთი ჩანს.

ვფიქრობთ, რომ ვაჟა-ფშაველასა და ფოლკლორულ ნაწარმოებთა ფაბულური ეპიზოდების მსგავსება-ნათესაობა გვაროვნულ-თემური საზოგადოებისათვის ნიშანდობლივმა მოვლენებმა თუ ყოფითმა შემთხვევებმა განაპირობეს. მსგავსების ასოციაციების წყაროდ ის მყარი ტრადიციული ადათები და რწმენა-წარმოდგენები იქცა, რომლებიც ცხოვრებიდან უშუალოდ გადადიოდა ხალხურ პოეზიაშიც და ვაჟა-ფშაველას ეპოსშიც. ამიტომაც, ჩვენის აზრით, გაუმართლებელია „სტუმარ-მასპინძლის" წყაროების იმგვარი კვლევა, როდესაც თხზულების მასალად წარმოჩენილ ცხოვრებისეულ შემთხვევას თუ ადათის ნორმას ართმევენ ხელოვანზე დამოუკიდებელი ზემოქმედების მნიშვნელობას. ამით უნდობლობა ეცხადება ავტორს, მწერალს არამხატვრული, წმინდა ყოფითი ანალოგიების საფუძველზე უძებნიან არა მარტო ახალ პოეტურ ხალხურ წყაროებს, არამედ ზოგ შემთხვევაში ფაბულასა და სიუჟეტსაც კი უდგენენ. ვაჟა-ფშაველას მიერ მოწოდებული ცნობებისა და ხალხური პოეზიის შესწავლა გვარწმუნებს, რომ მისი „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი" ისეთი ნაწარმოებებია, რომელთა ფაბულებს და სახე-ხასიათებს უეჭველი შესატყვისი ხალხურ პოეზიაში არ ეპოვება. ამ პოემათა შესახებ არსებული ავტორისეული ცნობების გასწორება ან მათი შეცვლა გაუმართლებელია, რადგანაც ასეთი ქცევა ფაქტებს ეწინააღმდეგება. მთიელთა ცხოვრებაში დამკვიდრებული ამბები თუ ადათობრივი ქცევა-მოქმე-

დებანი, მათი ურთიერთმსგავსება და ის გარემოება, რომ ეს მოვლენები ფოლკლორშიც აისახება, არ იძლევა საფუძველს ავტორისეული წყაროების პოეტური ნაწარმოებით შეცვლისათვის. ანალოგიები მხოლოდ ტიპურ მოვლენათა და შემთხვევათა საყოველთაობაზე მიგვანიშნებენ. მხატვრული გავლენა შეიძლება ვიკვლიოთ მაშინ, თუ მწერალი მიუთითებს კონკრეტულ ლექსზე, ან მის ნაწარმოებში წყაროს პოეტური სტრიქონები აღმოჩნდება. ამასთანავე, თუ მწერლის თხზულება ადრე შექმნილ ნაწარმოებს რომელიმე ადათის ინდივიდუალიზებული მხატვრული გარდასახვით შეესატყვისება.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ წერილებში გამოთქმულია აზრი, რომ მზა ფაბულების ან ხალხური მხატვრული ნაწარმოებების გალექსვა შემოქმედს სახელს ვერ მოუტანს. იგი თავის ქმნილებათა შესახებაც წერს: „ზოგი ნაწარმოების არაკი ძალიან თავისებურად არის შემუშავებული და ზოგი ნაკლებად შემუშავებული, ნაკლებად თავისებურია და წარმოიდგინეთ, ნაკლებად „სახელოვანიც“.[1] აქ არაკი ყოფითი ამბავია, ან იმ ხალხურ ნაწარმოებთა ფაბულაა, რომელიც პოეტმა პირდაპირ გალექსა და ამ გალექსილთა ღირსებაზე აზრი მკითხველსაც გაუზიარა. მწერალი ამბობს, რომ ხელოვანის ნიჭი და მასალის ტრანსფორმირების ნაირგვარი უნარი აქცევს ლიტერატურულ ნაწარმოებს ორიგინალურ, თვითმყოფად ქმნილებად. ამიტომაც მან გულმოდგინე ობიექტურობით დაგვიხასიათა იმ პოემების წყაროები, რომელთა მასალაც ღრმად გადაადუღა საკუთარი ფანტაზიის ბრძმედში. პირდაპირ გალექსილ ისეთი პოემების წყაროებზე, როგორიცაა „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ და „ნახევარ-წიწილა“ პოეტი არც მსჯელობს. იგი მხოლოდ ამ ნაწარმოებთა ერთგვარი სისუსტის მიზეზად ობიექტური მასალისადმი ერთგულებას ანუ მათს ნაკლებად შემუშავებას მიიჩნევს. მწერალი გვაგრძნობინებს, რომ გალექსვა ნაკლები ღირებულების შემოქმედებითი ფაქტია. ახალი ფაბულისა და სიუჟეტის შექმნა, პოეტის აზრით, მხატვრულ ტალანტს ეფუძნება.

პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ შემოქმედებით ისტორიაზე მსჯელობისას კი პოეტი ყოფითი შემთხვევის გარდაქმნა-გადადუღებაზე ლაპარაკობდა და არა კონკრეტული ხალხური ნაწარმოებების ფაბულათა გადამუშავებაზე, უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ.იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 363.

პოემის წყარო ცხოვრებისეული ამბავია. იმაზედაც მივუთითეთ, რომ ამ ამბის განმაპირობებელი ადათის ფართოდ გავრცელების გამო, ანალოგიური შემთხვევები მთიელთა სხვადასხვა ტომებში შეიძლება მომხდარიყო და, მაშასადამე, ხალხურ პოეზიაშიც ცხოვრებიდან შევიდოდა. ამასთანავე, ყველა ის სიტუაცია, რომლებიც მყარი ადათობრივი ნორმებით არის განსაზღვრული, ქცევის სქემათა შემთხვევით მსგავსებებს იწვევს და მხატვრულ გავლენაზე ვერ მიუთითებს. აქ ვითვალისწინებთ კავკასიაში საყოველთაოდ ცნობილი სტუმარმასპინძლობისა და სისხლის ძიების ადათებსაც. სხვა მიზეზების გარდა, ამ მიზეზის გამოც სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული ხალხური ლექსები „ლუის ლუხუმი, „შიოლასა და მთრეხელის ამბავი“ და „მენადირის ხიფართი“ არ გვევლინებიან პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ უცილობელ წყაროდ. მაგრამ ქართული ფოლკლორის ცნობილი მკვლევარი პროფ. მ. ჩიქოვანი მხოლოდ ამ ლექსებს კი არა, სხვა პოეტურ ნაწარმოებებსაც აცხადებს პოემის უშუალო წყაროდ. მისი სიუჟეტისა და სახეების განმაპირობებლად მკვლევარი პოემის თითქმის ყველა მოტივის საფუძველს პოეტურ ფოლკლორში ეძიებს და საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ეს ნაწარმოები ხალხური პოეზიის იდეურ-მხატვრული ზემოქმედების გარეშე ვერც კი დაიწერებოდა. როგორც ჩანს, აუცილებლობა მოითხოვს საკითხის საფუძვლიან გარკვევას.

პროფ. მ. ჩიქოვანმა იმ სახით არ გაიზიარა „სტუმარ-მასპინძლის“ წყარო, როგორითაც ავტორმა გაგვაცნო, იგი წერს: „ვაჟას ცნობა უტყუარია და ჩვენ მას ფაქტად ვაღიარებთ, სამწუხაროდ პოეტი ერთხელაც არ აღნიშნავს, თუ რა ფორმის ან ჟანრის იყო ზეპირგადმოცემა, რომელიც მოისმინა. არაფერია ნათქვამი ლექსის სახე ჰქონდა მას თუ პროზისა, არც ხალხური ნაწარმოების სახელწოდებაა ნაჩვენები. ყველაფერი ეს საძიებელი და დასადგენია“.[1] საკითხების ამგვარად დაყენება იმთავითვე გულისხმობს ავტორისეული ცნობის შესწორებას. ამ მიზეზით დაინყო ძიება პოეტური წყაროების მისაკვლევად. ვაჟა-ფშაველამ, საზოგადოდ, იმ სახით გაგვაცნო საკუთარი ეპოსის ზოგიერთი წყარო, როგორი ფორმაც მათ თავისთავად ჰქონდა. „სტუმარ-მასპინძლის“ წყაროს, როგორც ყოფით შემთხვევას, ბუნებრივია, ავტორი არ მიაკუთვნებს რომელიმე ფოლკლორულ ჟანრს და არც სა-

[1] მ. ჩიქოვანი, „სტუმარ-მასპინძლის“ ფოლკლორული ძირები, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1961 წ., გვ. 50.

თაურს აძლევს. მისი აზრით, „სტუმარ-მასპინძლის“ წყარო არც ლექსია და არც პროზა. მასალა ცხადყოფს, რომ ის ისეთი ცხოვრებისეული ფაქტია, რომელიც ტრაგიკული შინაარსის გამო რამდენიმე თაობამ შემოინახა. ამ აზრის შეცვლა, ე.ი. „ლუის ლუხუმის“ ლექსის აღიარება პოემის წყაროდ ნიშნავს, რომ არ გავიზიაროთ თხზულების სათანადო ეპიზოდის ავტორისეული განმარტება, რომელშიც საფლავზე მოსისხლე მტრის დაკვლა მაჰმადიან მთიელთა შორის გავრცელებულ წესად მიიჩნევა. აღნიშნული იმასაც ნიშნავს, ცხოვრებიდან გამოვრიცხოთ ამ გავრცელებულ ადათზე დამყარებული ამბის სხვადასხვა ტომში წარმოშობის შესაძლებლობები. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მწერალს ვართმევთ ყოფითი ამბის თუ შემთხვევის მხატვრულად გარდასახვის უფლებას. საყოველთაო ლიტერატურული გამოცდილება კი გვარწმუნებს, რომ ხელოვანზე უდიდეს ზემოქმედებას სწორედ ყოფითი შემთხვევები და მოვლენები ახდენენ.

პროფ. მ. ჩიქოვანმა, მართალია, ამ პოემის ერთადერთ წყაროდ ხალხური ლექსები გამოაცხადა, მაგრამ მაინც აღნიშნა: „აქვე წინასწარ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი შედარების დროს ტექსტუალური დამთხვევის ვერც ერთ შემთხვევას ვერ დავადასტურებთ. მაშ, რაში გამოიხატება მსგავსება? მხოლოდ საერთო სიუჟეტსა და ანალოგიურ პოეტურ გააზრებაში“.[1] როგორც ჩანს, ხალხური პოეტური ნიმუშებისა და პოემის ტექსტი ერთიმეორეს არც ერთ ეპიზოდში არ ემთხვევა. ეს სრულიად აშკარაა, მსგავსება საერთო სიუჟეტსა და ანალოგიურ პოეტურ გააზრებაში გამოიხატებაო, ამბობს მკვლევარი. მაგრამ ეს აზრი დამარწმუნებელი არ არის, პოემის წყაროდ დასახელებული სამი ხალხური ლექსი დაახლოებით ორმოცამდე ისეთ სტრიქონს მოიცავს, რომლებიც პოემასთან ტექსტობრივ შეხვედრას არ ავლენენ. თანაც ეს ლექსები ერთიმეორისაგან განსხვავდება აზრითაც და სტრუქტურითაც. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ კი ათას ას ოთხი პოეტური ორიგინალობით აღსავსე სტრიქონისაგან შედგება. ამის გამოც სიუჟეტის მსგავსება შეუძლებელია.

ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის თაობაზე მსჯელობისას განუზომელ მნიშვნელობას აძლევდა ნაწარმოების დეტალებს, ცალკეულ სიტყვას, ფრაზას, ზნე-ჩვეულებებს, გმირის ქცევის მანერას, ჟესტს, განცდათა გარეგამოხატულე-

[1] ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1961 წ., გვ. 53.

ბებს. თუ პოეტისავე მეთოდით განვიხილავთ „სტუმარ-მასპინძლის“ ფოლკლორთან მიმართებას, ცხადი შეიქმნება, რომ სახეებისა და სიუჟეტების სესხებაზე თუ იგივეობაზე მსჯელობა გაუმართლებელია. ამჟამად მიღებულია აზრი, რომლის მიხედვითაც მხატვრული ნაწარმოების ფაბულა და სიუჟეტი ერთიმეორისაგან განსხვავებული ფუნქციით ხასიათდებიან. ნაწარმოების მთლიანი შინაარსი და გმირთა სახეები ნაირგვარ მოძრაობათა სისტემაში და ამის განმასახიერებელ სიტყვაში გამოიკვეთებიან. ვ.ვ. კოჟინოვი წერს: „...ჩვენ სიუჟეტს ვუწოდებთ ნაწარმოების მოქმედებას მის მთლიანობაში, გამოხატული მოძრაობების რეალურ ჯაჭვს, ხოლო ფაბულას – ძირითადი ამბების სისტემას, რომელიც შეიძლება მოთხრობილი იქნეს“.[1] როგორც აღნიშნავენ, ნაწარმოების მხატვრულ რეალობას ქმნის მრავალრიცხოვან მოძრაობათა ცოცხალი ჯაჭვი ანუ სიუჟეტი. ამაში გამოიხატება მხატვრულ სახეთა ურთიერთასახვის მთელი შინაარსი. ფაბულა კი ამ მრავალრიცხოვან მოძრაობათა შემაკავშირებელ ძირითად ამბად წარმოდგება, ეს ძირითადი ამბავი არ არის ინდიფერენტული მთლიანი მხატვრული აზრის მიმართ. ამგვარ მსჯელობებს ასაზრდოებს ცნობილი მწერლების შემოქმედებითი დაკვირვებები. ა. ოსტროვსკი წერდა: „...სიუჟეტის ცნებაში ხშირად იგულისხმება უკვე შინაარსის მთლიანობა... ყოველგვარი წვრილმანებით, ხოლო ფაბულა არის მოკლე მონათხრობი, რომელიღაც ამბავზე, შემთხვევაზე, მონათხრობი, მოკლებული ყოველნაირ ფერადოვნებას“.[2]

სიუჟეტი, ანუ ადამიანის მრავალრიცხოვან მოძრაობათა თანმიმდევრობა ქმნის თხზულებაში სახე-ხასიათებს. ნაწარმოების სიუჟეტში სიტყვა და ნაირსახოვანი მოძრაობანი პოეტურად ერწყმიან ერთიმეორეს. პოეტურ მეტყველებას შეუძლია გვიჩვენოს ყოველგვარი მოქმედების მიზეზთა და მოტივთა რაობა. ჰეგელი ამბობს: „იმის გამო, რომ მოქმედებებს აქვთ სულიერი წარმომავლობა, ამიტომ ისინი თავის უმაღლეს სინათლეს და განსაზღვრულობას იძენენ მხოლოდ სულიერ გამოხატულებაში, მეტყველებაში“.[3]

მაშასადამე, ერთ-ერთი განსაკუთრებული მხატვრულ-გამომსახველობითი ძალა სიუჟეტს ეკისრება. მასში უფრო სრუ-

---

1 Теория литературы, кн. II, М., 1964, გვ. 422.

2 Русские писатели о литературном труде, т. 3, Л., 1955, გვ. 26.

3 Гегель, Соченения, т. XII, გვ. 223.

ლად გამოიხატება ინდივიდუალობა მწერლისა და ამიტომაც მისი სესხება შეუძლებელია. ცხადია, რომ მრავალრიცხოვანი მოძრაობები აუცილებელი და ინდივიდუალიზებული სიტყვიერი რეალობის შექმნას მოითხოვენ.ლ. ტოლსტოის აზრით, მწერლის ინდივიდუალური ოსტატობა სიტყვათა ერთადერთსა და აუცილებელი განლაგების პოვნაში გამოიხატება. მაშასადამე, სულის ყოველი მოძრაობა, ქცევა თუ ჟესტი პოეტურად ინდივიდუალიზებული უნდა იყოს. ვაჟა-ფშაველაც წერდა, რომ „მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურობისა უნდა ესვას".[1] ვაჟას და სხვა შემოქმედთა აზრითაც, ამგვარად იქმნება ნაწარმოების შინაარსისა და სახეების მთლიანობა. აღნიშნული კი მხატვრული ქმნილებების თვითმყოფადობას აპირობებს, მიბაძვას გამორიცხავს.

ცხადია, რომ ხალხური ლექსებისა და პოემის ზოგიერთი ეპიზოდის მსგავსება მხოლოდ მთიელთა ყოფიდან აღებულმა ადათობრივი ქცევის წესებმა განაპირობეს. ამგვარი ანალოგიები „სტუმარ-მასპინძლის" ფაბულის, სიუჟეტისა და სახე-ხასიათების პოეტური ფოლკლორიდან სესხებაზე სრულიადაც არ მეტყველებს. ვაჟას პოემის აზრი და ფორმა იმდენად ორიგინალურია, რომ მწერლის მიერვე ხალხში გაგონილ ერთ შემთხვევაზე თვითონ მასვე რომ არ მოეწოდებინა ცნობა, მაშინ კონკრეტულ წყაროზე ლაპარაკიც შეუძლებელია იქნებოდა. აღნიშნულ გარემოებათა გამო ვერ ვიზიარებთ „სტუმარ-მასპინძლის" ხალხური წყაროებისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხებზე პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მკვლევარი წერს: „ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძლის" სიუჟეტის დამუშავების დროს არ დარჩენილა მხოლოდ ერთი ხალხური გადმოცემის (აქ ხალხურ გადმოცემაში ავტორი გულისხმობს „ლუის ლუხუმის" ლექსს. – დ.წ.) ფარგლებში, პოეტმა იგი გაამდიდრა როგორც საკუთრად გამოგონილი, ისე სხვა საგმირო ლექს-სიმღერებიდან მომდინარე ეპიზოდებითა და სახეებით".[2]

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 294.

[2] ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1961 წ., გვ. 72.

მწერალმა გაგვაცნო ზვიადაურზე შურისძიების ყოფითი ამბავი, ხოლო ამ პერსონაჟთან დაკავშირებული სხვა პერსონაჟები და მათ მიერ გამოხატული სამყარო საკუთარი ფანტაზიის ნაყოფად აღიარა. იგი წერს: „მაშასადამე ჯოყოლა, აღაზა და ამ უკანასკნელის გლოვა ზვიადაურისა, აგრეთვე გალაშქრება ხევსურებისა ზვიადაურის ნეშტის გადმოსასვენებლად და სხვა, ყველა ეს ავტორის ბრალია, მისი ფანტაზიის ნაცოდვილარი“.[1] ვაჟა-ფშაველამ ჯოყოლა და აღაზა საკუთარი თხზულების ორიგინალურ სახეებად გაგვაცნო. ეს კი, ვფიქრობთ, საკმარისი საბუთი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ პოემის სიუჟეტისა თუ სახეების განმსაზღვრელი მხატვრული გაელენები სხვაგან აღარ გვეძებნა, ჯოყოლა პოემის ისეთი ცენტრალური გმირია, რომლის ხასიათის ფორმირების პროცესში და რომლის მიზეზითაც იქმნება ნაწარმოების სიუჟეტი, სხვა გმირთა სახეები და მათი განმასახიერებელი სიტყვიერი რეალობა. კერძოდ კი, ჯოყოლასთან ურთიერთობაში იძენს თემიცა და ყველა სხვა გმირიც ამა თუ იმ შინაარსის კონკრეტულ სახეს. მწერლის მიერ ჩაფიქრებულმა იდეალურმა სახემ შექმნა ის სამყარო, რაც ნაწარმოების სიუჟეტში გადმოიშალა. მარტო იმის მიკვლევა, რომ ჯოყოლა და აღაზა თემისაგან განსხვავებული თვითშეგნებისანი არიან და კონკრეტულ შემთხვევათა მიერ გამოვლენილი მორალური მოვალეობის სახეებზე თუ სინდისის რაობაზედაც საკუთარი პოზიცია აქვთ, ცხადყოფს პოემის სიუჟეტისა და გმირთა სახე-ხასიათების თავისებურებას.

„სტუმარ-მასპინძლის“ წყაროს ავტორისეული ცნობა გამოკვლევებში იმ თვალსაზრისით გასწორდა, რომ კონკრეტული ხალხური ლექსები გამოცხადდა ნაწარმოების სიუჟეტისა და სახეების საფუძვლად, ხოლო ნამდვილი მასალა ერთი ამ ხალხური ლექსის შინაარსის უბრალო პროზაულ აღწერად იქნა მიჩნეული. საგანგებოდ, გამოკვეთილად არის დახასიათებული ფოლკლორულ წყაროებთან ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების ერთ-ერთი სახე, რომელსაც პროფ. მ. ჩიქოვანის შეხედულებით, პოემა „სტუმარ-მასპინძელიც“ ექვემდებარება. მკვლევრის აზრით, წყაროებთან ამგვარი დამოკიდებულების დროს მწერალი ხალხური შემოქმედებიდან „აირჩევს რა მისთვის საინტერესო ტრადიციულ ნაწარმოებს, თანდათან აფართოებს მის ჩარჩოებს რო-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 364.

გორც საკუთარი გამონაგონი, ისე ზეპირად გავრცელებული სახეების ხარჯზე და ამნაირად ქმნის მთლიან ნაწარმოებს, პოემას თუ ეპოპეას".[1] ცხადად ითქვა, რომ ვაჟა-ფშაველამ ფოლკლორიდან აირჩია თურმე „ლუის ლუხუმის" ლექსის სიუჟეტი, სახეები, შემდეგ ისინი გააფართოვა ისევ ხალხური პოეზიიდან აღებული სხვა სიუჟეტებითა და სახეებით, ამასთანავე აქა-იქ მიამატა „საკუთარი გამონაგონი" და ასე მიიღო მთლიანი ნაწარმოები. ამგვარმა მსჯელობამ გენიალური შემოქმედის ფანტაზიას ბორკილი დაადო, იგი წარმოჩნდა უბრალო ხელოსნად, ისეთ მიმბაძველად, რომელსაც სხვათა პოეტური ნაღვაწის გამოყენების გარეშე ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია. ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული შეხედულებები, პოეტური ტალანტი და თვითონ „სტუმარმასპინძლის" შემოქმედებითი ისტორია ასეთ შეფასებას არ იმსახურებენ. ამ ნაწარმოების ფაბულის, სიუჟეტის, სახეებისა თუ სიტყვიერი რეალობის სიდიადის ბადალი წყაროებად განხილულ ლექსებში არ იპოვება. „სტუმარ-მასპინძლის" მხატვრული აზრი იმდენად განსხვავებულია თვით ავტორის მიერ მოწოდებული მასალისაგან და, ამასთანავე, მეცნიერებისაგან პოემის წყაროდ განხილული ლექსებისაგან, რომ პოეტური ფანტაზიისა და ნების უსაზღვრო თავისუფლება ვერ იგუებს ვერავითარ უცხო სიუჟეტს, ჩარჩოს. ეს ცხადი ხდება „სტუმარ-მასპინძლის" სტრუქტურის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე.

პროფ. მ. ჩიქოვანს მიაჩნია, რომ ავტორის მიერ დასახელებული წყარო „ლუის ლუხუმის" ხალხური ლექსის პროზაული ვარიანტია, ხოლო ლექსი კი ვაჟას პოემის „პროტოტიპი". ამასთანავე, მკვლევარი პოემის ფოლკლორულ წყაროებად წარმოგვიდგენს სტუმარმასპინძლობის, სტუმრის ხელშეუხებლობის, სისხლის აღების, მტრისათვის სამაგიეროს გადახდის და სხვა ადათებს. მას გაუთვალისწინებელი რჩება ის გარემოება, რომ ეს ადათები მხოლოდ ხალხურ შემოქმედებაში კი არ ჩნდება, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრებაში, რეალურ ადამიანურ ქცევებში გამომჟღავნდებიან. ვაჟა-ფშაველა მთიელთა სინამდვილისათვის ნიშანდობლივ ადათ-წესებს უშუალოდ მათი ცხოვრებიდან ითვისებდა. ადათებით შეპირობებული ადამიანთა ქცევები ხალხურ ლექსებსაც ზოგჯერ ერთიმეორესთან ანათე-

[1] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" ფოლკლორული ძირები, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1961 წ., გვ. 64.

სავებდა. ამ გარემოებათა შეუფასებლობის გამო და შორეული არამხატვრული ანალოგიების საფუძველზე „სტუმარ-მასპინძლის" ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების თაობაზე მ. ჩიქოვანი წერს: „ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი" ახლოს დგას ხალხურ პოეზიასთან, მის პროტოტიპს ზეპირგადმოცემა შეადგენს. შედარებამ აჩვენა, რომ ფოლკლორში პოემას ეძებნება არა მარტო ის საერთო ადგილები და წინამძღვრები, რომლებიც თვითონ მის ავტორმა აღნიშნა, არამედ სხვაც. სახელდობრ, სტუმრის ხელშეუხებლობის, ზვიადაურის თანამგრძნობი ქალის, ხევსურთა მხრივ სამაგიეროს გადახდისა და ეპიზოდური გმირების აპარეკა-ბაბურაულის სახით. ამგვარად, ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძლის" სიუჟეტის დამუშავების დროს არ დარჩენილა მხოლოდ ერთი ხალხური გადმოცემის ფარგლებში, პოეტმა იგი გაამდიდრა როგორც საკუთრად გამოგონილი, ისე სხვა საგმირო ლექს-სიმღერებიდან მომდინარე ეპიზოდებითა და სახეებით. განსაკუთრებით დამოუკიდებელი ჩანს ვაჟა-ფაშველა „სტუმარ-მასპინძლის" დასაწყის (ორი მონადირის შეხვედრა) და დასასრულ (ჯოყოლასა და აღაზას საუბარი და მათი ბედი) ნაწილებში. მთის ზეპირტრადიციაში კვალი არა ჩანს ჯოყოლასა და აღაზას ტრაგიკული ბედის. ეს გასაგებიცაა. ამ უკანასკნელზე პოეტი დიდხანს ფიქრობდა და საგანგებოდ აქვს აღნიშნული (ცოლ-ქმრის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა).[1]

პატივცემული მკვლევარი ფიქრობს, რომ ხალხური პოეზიის ზეგავლენა „სტუმარ-მასპინძლის" შექმნის პროცესზე განუზომლად დიდი იყო. ვაჟა-ფშაველამ „სტუმარ-მასპინძლის" სიუჟეტი პოეტური ფანტაზიის თავისუფლების პირობებში კი არ ჩამოაყალიბა, არამედ ხალხური ლექსების სიუჟეტების თუ ცალკეული ეპიზოდების საფუძველზე დაამუშავა, ააგო. თურმე პოემის ყველა მოტივს, ეპიზოდს და სახეს შესატყვისი ეძებნება ფოლკლორში. უფრო მეტიც, ხალხური ლექსებიდან სესხულობს პოეტი ადათ-წესებსა თუ ცალკეულ მხატვრულ სიტუაციებს, ეპიზოდებს. ამ ნაწარმოების ფინალის ფორმირებას, მ. ჩიქოვანის შეხედულებით, პოეტი იმიტომ შეუფერხებია, რომ ფოლკლორში მზა სიუჟეტების სახით ჯოყოლასა და აღაზას ტრაგედია არა ჩანსო. მაგრამ განა ვაჟა-ფშაველა იმას გვეუბნება, რომ მზა ხალხური

[1] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" ფოლკლორული ძირები, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1961 წ., გვ. 71-72.

ეპიზოდების უქონლობამ შემაჩერაო. არა, იგი იმაზე მიგვითითებს, რომ დიდი დაფიქრება, შემოქმედებითი სიფრთხილე მოითხოვა ჯოყოლას მიერ აღაზას იმ ქცევების შეფასებამ, რომელთა მიხედვითაც ოჯახისა და თემის მორალური ნორმები დაირღვა. ვაჟა-ფშაველა წერს: „სტუმარ-მასპინძელში“, მაგალითად, იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს, აღაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმარის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოინვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის, როგორ შეჰხვედრიყო აღაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისთვისაო“.[1] აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ავტორის მიერ იმის თაობაზე, რომ მზა ხალხური მასალის უქონლობამ ჩააგდო იგი გასაჭირში. ავტორს აქაც არ უმტყუნა გენიალურმა ალღომ და ჯოყოლას თვითშეგნება ერთხელ კიდევ დააყენა ტრადიციული შეხედულებების საპირისპირო პოზიციაზე, კვლავ გააშუქა მისი პიროვნება მაღალზნეობრივი მისწრაფებებით.

ვაჟა-ფშაველა თავისი პოემის შემოქმედებითი ისტორიის დახასიათებისას მკაფიოდ განმარტავდა, რომ ზეპირგადმოცემამ, უბრალოდ აღწერილმა ყოფითმა ამბავმა და არა ხალხურმა პოეზიამ მას მხოლოდ ზვიადაურის სახელი, სიკვდილის ფაქტი და მის მიერ ამ დროს გამოჩენილი ნების სიმტკიცე გააცნო.

როგორც ჩანს, „სტუმარ-მასპინძლის“ ფაბულისა და სიუჟეტის შექმნის პროცესში ავტორს არ გამოუყენებია ამ თხზულების არქიტექტონიკის მსგავსი თუ განმსაზღვრელი ხალხური ნაწარმოებები, მხატვრული ორიგინალობით გამორჩეული ამბავი. უფრო მეტიც, თუ საკითხს სხვაგვარად დავაყენებთ და პოემას თვით ავტორისეულ წყაროს ან ყველა სხვა აღნიშნულ წყაროს შევადარებთ, მაშინ განსხვავებულის მხატვრული აზრი ფოლკლორული ზეგავლენის შთაბეჭდილებას თავისი მნიშვნელობით თითქმის მთლიანად გააქარწყლებს. ცხადი გახდება, რომ პოემის ფაბულა, სიუჟეტი, სახეები და სიტყვიერი რეალობა მხოლოდ ვაჟასია, ერთადერთი, განუმეორებელი, სხვათაგან მიუღწეველი. მსგავსების ასოციაციათა წარმომშობი ფაბულური ელემენტები კი მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ადათობრივი ქცევისა თუ რიტუალების სქემები მთიელთა ცხოვრებაში ფართოდ იყო გავ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 365.

რცელებული. ეს თავისებური სქემები თავს იჩენდა მთიელთა ხალხურ პოეზიაში, ყოფით ამბებში, ამ გარემოსთან ახლომყოფ ინდივიდ შემოქმედთა ნაწარმოებებშიც. ცნობლია, რომ ნაწარმოების ორიგინალობას სქემები კი არ განაპირობებენ, არამედ უშუალოდ გამოხატული სულის მოძრაობები: „მხატვრული ნაწარმოების საფუძვლად გვევლინება ადამიანური მოქმედებების უშუალო გამოხატვა, კერძოდ, ქცევების, ჟესტების, ნების გამოვლენის, ერთი სიტყვით, სხვადასხვა მოძრაობების და მათ რიცხვში შინაგანი, ფსიქოლოგიური მოძრაობების".[1]

სხვადასხვა დროის ფოლკლორული თუ ინდივიდუალური ნაწარმოების ხალხურობის შესაფასებლად საჭიროა რომ ისინი შევისწავლოთ საკუთარი გარემოს თვალსაზრისით და არ მოვახვიოთ მათ ჩვენი თანამედროვე შეხედულებები. იგულისხმება, რომ ადამიანთა შეგნება, ქცევები და იდეალები ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიული გარემოსათვის არსებითი ღირებულებებით ფასდებოდა. ამ ვითარებას გვიჩვენებდა ყველა ეპოქის ხელოვნების ქმნილებათა ხალხურობა. შემოქმედებითი წყაროებისა და მხატვრული გავლენების ძიებისას ამ გარემოებათა გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება; საყურადღებოა ისიც, რომ დროითი მანძილით დაშორებულ მხატვრულ ნაწარმოებებს განსხვავებული უნარისა და შემოქმედებითი მრწამსის მწერლები თხზავდნენ.

ვაჟა-ფშაველაც ასე აფასებდა ისტორიულ-ყოფით მოვლენებთან მხატვრული შემოქმედების დამოკიდებულებას. იგი სხვადასხვა დროის ლიტერატურულ თუ ფოლკლორულ ნაწარმოებთა ხალხურობის რაობას, უწინარეს ყოვლისა, ეპოქის იდეალებთან აკავშირებდა. პოეტის აზრით, გვაროვნული თემის ძველი პოეზიის ხალხურობაც თავისი დროის მისწრაფებებს გამოხატავს. ვაჟა-ფშაველამ შეუდარებელი ობიექტურობით დაახასიათა ფშაველების ძველი და ახალი პოეზიის იდეალები, მისი ტენდენციები. იგი წერს: „ყველა დროს თავთავისი იდეალი აქვს. კაცობრიობაც დროების მოთხოვნილების მიხედვით სცვლის ხოლმე იდეალებს. ფშაველს დრო გმირობისა, ვაჟკაცობისა ნაერთო, ხმალი ძირს დასდო, ქალიც გაჩუმდა".[2] პოეტი გვეუბნება, რომ ახალმა ფაქ-

---

[1] Теория литературы, кн. II, М.. 1964. გვ. 414-415.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 109.

ტორებმა ფშაურ თემში ძველი საგმირო მისწრაფებები დაჩრდილეს, ხოლო მის ნაცვლად კი ძველი საზოგადოებისათვის უჩვეულო ეკონომიკური წუხილი გააბატონეს. პოეტის აზრით, ხალხურმა პოეზიამაც ეს გარემოება მართლად ასახა, გმირის მეხოტბე ქალის მუზაც ამიტომ დადუმდა. ცხადია, ხალხური შემოქმედების ხალხურობის აზრი ისტორიული ცვალებადობის კვალობაზე იცვლება. მხატვრულ ნაწარმოებთა ხალხურობა რომ კონკრეტული ისტორიული ვითარებით არის განპირობებული, ამაზე ბევრი ცნობილი მკვლევარი უთითებს.

ლ.ი. ტიმოფეევის შეხედულებით, ხელოვნების ხალხურობის შინაარსის განსაზღვრას აძნელებდა ის, რომ „სხვადასხვა დროს ამ ცნებაში ათავსებდნენ განსხვავებულ შინაარსს".[1] ცხადია, ხელოვნების მიერ შექმნილი სახეები, ღრმა კონკრეტულ ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, ზოგად ღირებულებებსაც შეიცავენ. მაგრამ ავტორის აზრით, ხელოვნების ხალხურობა მაინც იქ იხატება, თუ როგორი კონკრეტულ-ისტორიული იდეალის ადამიანი წარმოჩინდება მასში. „არსი ხალხურობისა, მაშასადამე, იმაშია, რომ მხატვარი ადამიანს გამოხატავს ეპოქის ძირითად პრობლემების შუქზე".[2] მაშასადამე, ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებში შექმნილი სახე კონკრეტული ეპოქისა და კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმომჩენია. ამიტომაც იგი სხვაგვარი ცხოვრების სრული შესატყვისი ვეღარ იქნება. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ სახეს მომდევნო ეპოქებისათვის მნიშვნელობა აღარ აქვს. თხზულების მხატვრული სახეებისა და სიუჟეტის კონკრეტული რეალობით განსაზღვრულობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გვიჩვენოს მასში გასაგნებულ სოციალურ-ზნეობრივი და ესთეტიკური სწრაფვების ბუნებამ. თუ ამ თვალსაზრისითაც დავაკვირდებით „სტუმარ-მასპინძლის" შემოქმედებით ისტორიას, სიუჟეტსა და მხატვრულ სახეებს, დავრწმუნდებით, რომ ვერც ავტორის მიერ გაგონილი ამბავი და ვერც მეცნიერთაგან პოემის წყაროდ დასახელებული ხალხური ლექსები ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით პოემას ვერ უტოლდებიან, ამიტომაც, შესადარებელ საგანთა მიერ წარმოჩენილი ხალხურობის შინაარსი სხვადასხვაა. ცხადია, აღნიშნულთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა შემოქმედთა უნარსა და მსოფლმხედველობას. წყაროებისა და

---

[1] Л.И. Тимофеев, Основы теории литературы, М., 1971, გვ. 123.

[2] იქვე, გვ. 129.

ამა თუ იმ ნაწარმოების სიუჟეტის ურთიერთმიმართების ხასიათს შესადარებელ მოვლენათა ეთიკური ასპექტების გარკვევამაც უნდა მოჰფინოს ნათელი. ყოველი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები ორიგინალურ ადამიანურ ხასიათებს და მათს განმაპირობებელ გარემოს გამოხატავს.

ხალხურ პოეზიაშიც და ვაჟა-ფშაველას ზოგიერთ პოემაშიც წყაროებად ერთიმეორის მსგავსი, ერთნაირი შინაარსის ცხოვრებისეული მასალაა გამოყენებული. მაგრამ ეს შინაარსობრივად ერთნაირი მასალა ხალხურ ნიმუშებსა და ვაჟას ნაწარმოებებში სრულიად სხვადასხვანაირად არის დანაწევრებული ცალკეულ თხზულებათა სტრუქტურულ ელემენტებში. მასალის ტრანსფორმირების ხარისხზე კი ეპოქის ტენდენციები და შემოქმედთა მსოფლმხედველობა ზემოქმედებს. ესაა მათი ორიგინალურობის განმსაზღვრელი.

შესადარებელ ნაწარმოებებზე და მათს მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მთის ფოლკლორი სინამდვილიდან არ უხვევს. მასში ცხოვრებისეული ამბავი, ნაწარმოების ფაბულა, სიუჟეტი და პერსონაჟის ხასიათი თითქმის ერთიმეორეს ემთხვევიან. აქ ფაბულის მნიშვნელობა ერთობ დიდია. ხალხური მთქმელები არ ცდილობენ საგანგებოდ გამოკვეთილ ფსიქოლოგიურ განცდებზე და განწყობილებებზე დააფუძნონ ამბავთა სისტემა, სიუჟეტის განვითარება. აქ უპირატესად ცხოვრებისეულ ნორმებზე აღმოცენებული ამბები და ქცევები აღიწერება. „სტუმარ-მასპინძლის“ წყაროდ მიჩნეულ „ლუის ლუხუმისა“ და სხვა ლექსებში მხოლოდ სწორხაზოვანი ქცევები და მისწრაფებებია გამოხატული. არა ჩანს თემის წევრთა სოციალურ-მორალური დაპირისპირებები. თემში არავინ იბრძვის პიროვნული შეხედულებების დასაცავად. „ლუის ლუხუმის“ ლექსში გამოიხატა ტომთა შორის დამკვიდრებული უკომპრომისო მტრობა. აქ სხვადასხვა ტომის ადამიანები ერთიმეორის მიმართ არ იჩენენ ოდნავ სიმპათიასა და თანაგრძნობას. ამ ლექსში არ ასახულა ჩადენილი ქცევის გამო სინდისის ქენჯნაც. ლეკთა შორის არ გამოჩენილა ადამიანი, რომელიც თავისი ხალხის ზნეობრივ და ადათობრივ შეხედულებებს დაუპირისპირდებოდა. მაშასადამე, „ლუის ლუხუმის“ ლექსის მიხედვით ლეკები და თუშები, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ერთიმეორის მოძულე მტრები არიან. ლექსში ასე წარმოჩნდა თემის იდეოლოგია. ამგვარივე ხასიათისაა თვითონ ავტორის მიერ მოწოდებული ცხოვრებისეული წყარო. აღნიშნული მასალის ეთიკური შინაარსი მარტივია, მაგრამ თემის მორალის თვალსაზრისით საინტერესო. მასში კარგად ვლინდება თემური

საზოგადოების სულის ავ-კარგი და მიდრეკილებები. მთის ფოლკლორი, საზოგადოდ, გვაროვნული თემის ისეთი იდეალების მეხოტბედ მოგვევლინა, რომლებიც მის საყოველთაო ნებას გამოხატავდა. პოეტურ ნაწარმოებებში ხალხურ მთქმელებს ნაკლებად შეჰქონდათ სუბიექტური, თემის ინტერესებისაგან გამოცალკავებული პიროვნული. ხალხურ ლექსებში თემის მორალურ შეხედულებათა ერთსულოვნებას აქებენ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ თემის ცხოვრებაში აღძრული წინააღმდეგობები ხალხურ შემოქმედებაში საზოგადოდ არ ჩანდა. არა, საქმე ის არის, რომ ხოტბის ღირსად შემოქმედი ხალხი, უმთავრესად, თემის მისწრაფებების განმასახიერებელ ადამიანს მიიჩნევდა.

მწერლისა და ხალხური შემოქმედების სიუჟეტებისა და სახეების მსგავსება-განსხვავებას კარგად გვითვალისწინებს მათი ეთიკური ღირებულებების შეპირისპირება. ვაჟა-ფშაველას ეთიკური მრწამსი, მართალია, ხალხური ზნეობიდან იღებს სათავეს, მაგრამ მის ნაწარმოებებში გამოხატული ზნეობრივი იდეალები არ არის გვაროვნულ-თემური პოეზიის მორალურ პრინციპთა ადეკვატური. პოეტი ცხოვრებისა და ადამიანთა სულიერი სამყაროს ნაირნაირ მოვლენებთან ეთიკური მიმართებებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ისტორიული პერსპექტივის წვდომისა და ზნეობრივ ქცევათა პრინციპების პროგრესული ბუნების შეცნობას აძლევს. ვაჟა-ფშაველას პოემებში თემი შეხედულებათა თვალსაზრისით დიფერენცირებულია. პოეტმა „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ დაგვიხატა ისეთი თემი, რომელიც ზნეობრივ-ადათობრივი მისწრაფებებით მონოლითური აღარ არის. თემსა და პიროვნებას შორის მოურიგებელი წინააღმდეგობები ჩნდება. მორალურ-სამართლებრივ მოვალეობებთან სხვადასხვაგვარი აზრით მიდგომა ბადებს წინააღმდეგობებს. ამ დაპირისპირებულთა ბრძოლაში პიროვნებათა პოზიცია პროგრესულია და ადამიანის თვითშეგნების განვითარების ნათელი გზების მაჩვენებელი. თემის შეხედულებები მკაცრი და კონსერვატიულია. თემის იდეოლოგია პიროვნების „სულის დიალექტიკის“ ბორკილად ქცეულა. ამ გარემოებათა გამო მწერლის ეპიკური თხზულებები და ხალხური შემოქმედება ზნეობრივი იდეალების მხატვრული განსახიერებითაც დიდად განსხვავდებიან. ვაჟა-ფშაველამ საზოგადოებისა და პიროვნების ზნეობრივი იდეალების სხვადასხვაობა მათივე სინდისის შინაარსში გამოხატა. მწერლის თხზულებებში კოლექტივისა და პიროვნების წინააღმდეგობანი, საზოგადოდ, მათი ქცევა-მოქმედებები და პოზიციები მა-

თივე თვითშეგნების ხასიათით არის შეპირობებული. ზოგჯერ, გვაროვნულ-თემური ფოლკლორის მსგავსად, ვაჟა-ფშაველას თხზულებებშიც ვლინდება თემური საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი იდეალების ერთიანობა. აქაც მისწრაფებათა ერთიანობა და მორალური ქცევის პრინციპები ზოგჯერ გვაროვნულ-ტომობრივი ცხოვრებისა და ნათესაობის შეგნებაზეა დაფუძნებული, მაგრამ პოეტი გვაროვნულ-თემურ ამბებს, შეხედულებებს მაინც არ განასახიერებდა უცვლელი ფორმით. იგი მასალასთან ისეთ მიმართებას ამყარებდა, რომელშიც სრულიად სხვაგვარი სახითა და თვისებრივად ახალი შინაარსით ვლინდებოდა საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულებები. მაშასადამე, პოემა „სტუმარ-მასპინძელი" ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულებების თვალსაზრისითაც ვერ განიხილება მის წყაროებად წარმოდგენილი ნიმუშების დონეზე. შესადარებელ ნიმუშთა სტრუქტურის ძირეულ სხვაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, არც ავტორისეულ ცნობაში და არც ხალხურ ლექსებში აღაზასა და ჯოყოლას ბადალი გმირი არ იპოვება. პოემის ეთიკური აზრი და სიუჟეტური სტრუქტურა კი სინამდვილესთან ამ გმირების დამოკიდებულებაში განსახიერდა. თემისა და მისი წევრების სოციალურ-მორალური ურთიერთობის ხასიათი აღაზასა და ჯოყოლას ცხოვრებამ, მათმა თავგადასავალმა გამოიტანა მზის სინათლეზე. მათი ქცევა და სიტყვა უცდომელად გამოხატავს იმ იდეალს, რაც ყველა საზოგადოებაში მაღალი თვითშეგნების საფუძველზე უნდა განსახიერდეს. სინდისის შინაგანი ხმა აწესრიგებს ამ პერსონაჟთა ქცევებს. ამიტომაც შესწევთ მათ უნარი იმისა, რომ ნების სიმტკიცით დაძლიონ შინაგანი ვნებები, ემოციები, აფექტები და გარეგანი ცხოვრებისეული დაბრკოლებები, ამგვარად ემსახურონ მიზანს, იდეალს. ჯოყოლა და აღაზა გვაგრძნობინებენ, რომ მართებულად გაცნობიერებული ზნეობრივი მოვალეობა უნდა მეტყველებდეს ადამიანის ცხოვრებისა და მოქმედების არსზე. ზნეობრივ იდეალთან შეუღლებული სინდისის გრძნობა უნდა მართავდეს პიროვნებას იქაც, სადაც საზოგადოებრივი შეხედულებების სრულქმნისათვის არავინ იღვწის. ამიტომაც ბუნებრივი გრძნობები, იმპულსები, მიდრეკილებები და ახალი მაღალი იდეალი უშუალოდ შეერწყმიან ერთიმეორეს ამ გმირთა ხასიათში. მათი ქცევები შინაგანი აუცილებლობით არიან განსაზღვრულნი და ამიტომაც გვიჩვენებენ გმირულ ხასიათს. ადამიანის ხასიათის ასეთი ინდივიდუალური სიმტკიცე იტაცებს ვაჟას. ჰეგელი კი ასეთი გმირების თაობაზე წერდა: „ნამდვილი ხასიათი თვით

მოქმედებს და სხვას უფლებას არ მისცემს მის სულში შეიჭრას, მის მაგიერ იფიქროს და გადაწყვეტილება მიიღოს. მაგრამ თუ ის საკუთარი ნებით მოქმედებდა, მაშინ ჩადენილ დანაშაულსაც თვითონ კისრულობს და თვითონვე აგებს მასზე პასუხს".[1]

ადამიანის ხასიათის ფსიქოლოგიური ბუნების წვდომა, მისი იმ თავისებურებების ცოდნა და მკვეთრად, თვალსაჩინოდ გამოხატვა, რომლებიც პიროვნების საქციელს განსაზღვრავენ, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ძირითადი ნიშანია. ადამიანის ხასიათის არსებითი ნიშნები განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას საზოგადოებასთან, ობიექტურ ღირებულებებთან და საკუთარ თავთან ასეთი მხატვრული სახეების ძერწვა აპირობებს მწერლის ცალკეულ თხზულებათა პოლიფონიურობას.

„სტუმარ-მასპინძელში" მწერალმა მთიელთა ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი სტუმარმასპინძლობის დაცვის სიტუაცია გაგვაცნო. ამ სიტუაციის აღწერით მან გამოავლინა პოემის ცენტრალური გმირისა და კოლექტივის ხასიათისა და შეგნების მკვეთრი სხვაობა. პოეტმა შექმნა ჯოყოლას ისეთი კოლორიტული სახე, მისი ხასიათის ისეთი მთლიანობა, რომელიც იმაზედაც კი წინასწარ მიგვანიშნებს, თუ როგორი იქნება გმირის ნებისმიერი სამომავლო ქცევა, ამიტომაც ჯოყოლას ტრაგიკული სულისკვეთება უშუალო, მართალი და დამაჯერებელია. ვაჟა-ფშაველამ გვიჩვენა რა განსხვავებული ხასიათები, გვითხრა, რომ ერთნაირ გარემოში ადამიანებს ბუნებრივად უჩნდებათ ურთიერთდაპირისპირებული, რთული სოციალურ-ზნეობრივი გრძნობები. „სტუმარ-მასპინძელში" ჯოყოლას სტუმარი ზვიადაური მისი ძმის მკვლელი აღმოჩნდა. ამ ამბავმა გამოამჟღავნა პიროვნებისა და საზოგადოების თვითშეგნებათა სხვაობა. ჯოყოლა მზად არის აღასრულოს სტუმარმასპინძლობის წესი, დაიცვას ძმისმკვლელი სტუმრის ზვიადაურის ხელშეუხებლობა. შურისძიების სურვილით აღგზნებული თემი კი არღვევს ადათობრივი სამართლის ნორმებს, მოითხოვს სისხლის აღებას. აქ ჩნდება როგორც ტრადიციული ცხოვრების ნორმების, ასევე ახალი განცდების ორმხრივი შეფასების აუცილებლობა. იქმნება სიკეთის ქმედებისა და ადამიანურ მოვალეობათა ნებისმიერი გაგების შესაძლებლობა. ამ სიტუაციაში ყველაფერი სინდისის გრძნობამ უნდა გადაჭრას. ჯოყოლა ზნეობრივ შეცდომას არ უშვებს, იმიტომ, რომ მისი სინდისი მომავალი ქცევა-მოქმედების ღირებულებას წინას-

[1] ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, თბ., 1973 წ., გვ. 278.

წარ განსჯის და თავის ქცევის გამო სინანულსაც არასოდეს განიცდის. სხვაგვარად გამოიყურება თემი. იგი ჯერ შურს იძიებს და შემდეგ ერთგვარ მორალურ სინანულსაც გამოთქვამს:

„ცოდვაა"! ყველა ჰფიქრობდა,
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა,
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?

კონფლიქტურ სიტუაციაში ზნეობრივი იდეალის ნაირგვარმა გაგებამ და სინდისის გრძნობის შინაარსმა ცალ-ცალკე ცხადყვეს პიროვნებისა და საზოგადოების შეგნებათა რაობა. ჯოყოლამ ადათების მოთხოვნის კვალობაზე კარგად განსაჯა, რომ მოკლული კაცის წინაშე სტუმარმასპინძლობის ნესს ვეღარ აასრულებდა. ამასთანავე, სტუმრის ხელშეუხებლობის ჰუმანური ადათის დაცვა უფრო სასურველი აღმოჩნდა მისი სინდისის გრძნობისა და მაღალი იდეალისათვის. თემს, რომელიც ზვიადაურზე შურის საძიებლად აბობოქრებულა, ჯოყოლა ურყევად უპასუხებს:

დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითაც მე ვერ ვუღალატებ,
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
რა დავაშავე ისეთი,
რომ მომიხედით კარადა?
თვის რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა;
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?
სახლში ხართ, განა შარადა!

თემი ჯოყოლას უკრძალავს როგორც თვისუფალი ნების გამოვლინებას, ასევე ადათობრივი სამართლის ნორმების თანმიმდევრობათა დაცვასა და აღიარებას. სტუმრის დამცველ ჯოყოლას თემი ემუქრება:

შენაც ამასთან შაგკონავთ,
თემის პირს რო სტეხ, თავხედო!
ჩვენის ნარჩევის დარღვევა
შენ როგორ უნდა გაჰბედო?
აჰყეფდი ქოფაკივითა,
აბდა-უბდაობ შტერადა;
ამ გიაურის გულისთვის
ძმებსაც ეპყრობი მტერადა.
არ იცი, რომ შენი საქმეც
დღეიდან წავა ცერადა?!

თემი თითქოს დარაჯად დასდგომია თავისი წევრის განსხვავებულ ზნეობრივ მისწრაფებებს და დასაწყისშივე ახშობს მათ. ოდნავი დათმობის გარეშე, ხელაღებით კრძალავს ინდივიდის ჰუმანურ გრძნობებს და მათ განვითარებას ბორკილს ადებს. ამ ძალმომრეობას გამოხატავს თემის პოზიცია:

შენ და შენს სტუმარს, ორივეს,
ერთად გადგისვრით ბექითა,
თემს რაც სწადიან, მას იზამს
თავის თემობის წესითა.

თემმა ჯოყოლას, საკუთარივე ადათების საწინააღმდეგოდ არ მისცა ნება აღესრულებინა მასპინძლის მოვალეობა. მან თავის წევრს წაართვა უფლება, რომ არსებული წესისამებრ თვითონ ეძია შური ძმის მკვლელზე, ან შერიგებოდა მას თემისავე ადათების საფუძველზე. თემი ადათების მიხედვით მოქმედებისას არღვევს საკუთარსავე ცხოვრების წესებს, არ იცავს ადგილისა და დროის ფაქტორს, რომელიც იმდენად ძლიერი იყო. რომ საკრალურ მნიშვნელობასაც კი იტევდა. უძველესი წარმოდგენით, ზოგიერთი ქცევა მკაცრად ემორჩილებოდა ადგილისა და დროის პრინციპს. მაშასადამე, თემშიაც ადათის ნორმები მიღებული თანმიმდევრობით უნდა შესრულებულიყო. ამას მოითხოვს ჯოყოლაც თემისგან:

დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა...

ჯოყოლა ასევე მტკიცედ იცავს მოქმედების ადგილის შეუვალობასაც:

ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?

სახლში ხართ, განა შარადა!

ან:

როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით ავადა.

მაგრამ კოლექტიური თვითშეგნება ანგარიშს არ უწევს პიროვნების სურვილს. ვაჟა-ფშაველას მიერ დახატული თემი, განცდა-განწყობილებების მიხედვით, ნებისმიერად უარყოფს საკუთარი ცხოვრების იმ პრინციპებს, რომლებიც გარკვეულ სიტუაციაში თემის აზრს აღარ ეთანხმება. ამგვარად, იბადება თემისა და ჯოყოლას დაპირისპირება. ეს კი იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანის სულის სიღრმეში ყოველთვის იმალება ისეთი საიდუმლო, რომლის აღმოჩენა, ცნობიერების თავისუფალი მუშაობის ჟამს, მხოლოდ თავად მას შეუძლია. „სტუმარ-მასპინძელშიაც" ეს არის წყარო გმირთა თვითშემეცნების ამოუწურაობისა და ახალ იდეალთა წარმოშობისა. აღნიშნული მოვლენების გამოც გვგონია, რომ „სტუმარ-მასპინძლის" ფაბულა, სიუჟეტი და სახეები განუმეორებელია. თუ მხატვრული ნაწარმოები სიუჟეტისა და სახე-ხასიათების განუყრელი ერთიანობაა, მაშინ, ცხადია, ჯოყოლას, აღაზასა და ზვიადაურის ერთიმეორესთან და თემთან ურთიერთობამ მხოლოდ პოემა „სტუმარ-მასპინძლის" სიუჟეტი წარმოგვიდგინა და არა სხვადასხვა ამბებზე დაწერილი ხალხური ლექსებისა.

ხალხური პოეზიისა და პოემის „საერთო" მოტივების წარმომავლობას ფაბულური ელემენტების მსგავსებების მიზეზებს, ჩვენი აზრით, ნათელს მოჰფენს თვითონ მწერლის ეთნოგრაფიული ნარკვევებიც. ამ ნარკვევებში აღწერილი და ზოგჯერ მეცნიერულად დახასიათებულია არა მარტო პოეტის ნაწარმოებებში შესული ადათების რაობა, არამედ ბევრი ისეთი წესი და ჩვეულებაც, რომლებიც არც ხალხურ პოეზიაში და არც თვითონ მწერლის ქმნილებებში მხატვრულად არ განსახიერებულა. ვაჟა-ფშაველა გვაროვნულ თემში ცხოვრობდა და მისი ზნე-ჩვეულებების ღრმა მცოდნეც იყო და მკვლევარიც. იგი ხშირად ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის ახსნისას იმოწმებდა ან აკრიტიკებდა თავისი დროის ცნობილ ევროპელ და რუს ეთნოგრაფებს, სოციოლოგებს.

პოეტი, ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე „სტუმარ-მასპინძელს" დაწერდა ან პოემის წყაროდ ამჟამად დასახელებული ხალხური ლექსები გამოქვეყნდებოდა, ახასიათებდა სისხლის აღების და სტუმარ-მასპინძლობის ადათებს. იგი მიიჩნევდა მათ

არა ზეპირგადმოცემად, არა პოეტურ შემოქმედებად, არამედ მთიელთა ცხოვრების ისეთ კანონად, რომელიც მათ ქცევას ყოველ ნაბიჯზე განსაზღვრავდა. ვფიქრობთ, ამგვარად დანახული ადათები იქცეოდა ვაჟას ნაწარმოებთა ფაბულებისა და სიუჟეტების წყაროდ, მათ ელემენტებად.

ვაჟა-ფშაველა 1886 წელს წერდა: „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდა ძმაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს; თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება ოღონდ სტუმარი შეურაცყოფისაგან დაიცვას".[1] პოეტმა ამ ადათის ის მხარეები გაგვაცნო, რომლებიც საერთო იყო კავკასიის მრავალი ტომისათვის ფშავ-ხევსურთა შორის არსებული ამ ადათის სრული შესატყვისი მ. კოვალევსკიმ დაახასიათა ოსეთის მაგალითზე. იგი წერს: „მასპინძლის მიერ სტუმრის დაცვას ყოველგვარი საშიშროებისაგან, მათ შორის მოსისხლესაგან, ატარებს რელიგიური მოვალეობის ხასიათს. ოსები, ამ მიმართებით მთელი კავკასიელი ხალხების საერთო პრაქტიკას აზიარებენ. მკვლელი, თვითონ მოკლულის სახლში სტუმრად მიღებული, არცერთ შემთხვევაში არ იქნება გაცემული; მასპინძლის ღირსება და მისი ოჯახისაც დაკავშირებულია სტუმრის ხელშეუხებლობასთან. ეს ცოტაა, მასპინძელი ვალდებულია სტუმრის მოკვლის შემთხვევაში მისი სისხლიც კი იძიოს".[2]

ვაჟა-ფშაველასა და, საზოგადოდ, მთიელთა აზრით, აღნიშნული ადათი შეუვალი იყო და ადამიანთა რეალურ ქცევა-მოქმედებებს განსაზღვრავდა. ხალხური ლექსები არაფერს უმატებენ აღწერილ ადათებს. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" მიხედვითაც და ადათის მოთხოვნებითაც წესის დარღვევა არავის ეპატიება; სტუმარი მასპინძლის ოჯახში, სანამ სტუმარია, ხელშეუხებელიც არის. პოეტმა თავის ნაწარმოებში ადათების სოციალურ-მორალური შინაარსი წამოსწია წინა პლანზე და მათი საშუალებით ადამიანთა სულიერი სამყაროს მარადიული და საკაცობრიო ღირებულებები დაგვიხატა. პოეტურმა ფანტაზიამ დოგმების ტყვეობისაგან იხსნა როგორც ადათები, ისე თემის წევრთა ცნობიერება. ამით გაჩნდა ადამიანის თავისუფალი ნები-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ხევსურები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 48.

[2] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т. II, М., 1886, გვ. 51.

სა და ზნეობრივი გრძნობების ნაირგვარად წარმოსახვის პოეტური შესაძლებლობები, წარმოიქმნა ორიგინალური სიუჟეტი. გვაროვნულ თემში ადათების აღსრულება დროისა და ადგილის მნიშვნელობითაც იყო განსაზღვრული. სტუმარი მასპინძლის სახლში და მანამდე, სანამ სტუმრად ითვლებოდა, ხელშეუხებელი იყო. ადათის მოთხოვნის ძალმომრეობითი დარღვევა მხოლოდ ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი ფაქტორებით აიხსნებოდა. ამ ფაქტორთა მოქმედება გვაროვნული საზოგადოების ცხოვრებაშიც და მის პოეზიაშიც კოლექტიური თვითშეგნებით იყო შეზღუდული, ხოლო ვაჟა-ფშაველას ეპოსში ისინი შემოქმედის მაღალ ეთიკურ-ესთეტიკური იდეალის წარმომჩენ ფენომენებად გადაიქცნენ.

ვაჟა-ფშაველას ეპიკურ გმირთა შედარება-შეპირისპირებას ხალხური პოეზიის გმირებთან მაშინ ექნება გარკვეული აზრი, თუ ისინი ამ შედარებამდე ჯერ საკუთარ გარემოში იქნებიან მრავალმხრივი თვალსაზრისით შეფასებულნი. ცხადია, ამგვარი შეფასება გულისხმობს იმის გარკვევასაც, თუ გარემო რა ძალით ზემოქმედებდა პერსონაჟთა ქცევაზე, მათ იდეალებზე. ყოფითი მოვლენები გავლენას ახდენს შემოქმედ ხალხზედაც და კლასიკოს მწერალზედაც, მაგრამ განუზომელი მნიშვნელობა მაინც ნაწარმოებთა მხატვრულ სტრუქტურაში გამოვლენილ ინდივიდუალური წარმოსახვის უნარს ენიჭება. უფრო მკაფიოდ რომ წარმოვაჩინოთ სხვაობა ვაჟას ქმნილებებსა და ხალხურ შემოქმედებას შორის, საჭიროა ვრცლად დავახასიათოთ გვაროვნულ-თემური პოეზიის თავისებურებათა განმსაზღვრელი მოვლენები, ვაჩვენოთ, თუ როგორი იყო შემოქმედი ხალხის დამოკიდებულება ტრადიციული ცხოვრების წესებთან და საზოგადოდ და მხატვრული ხედვის უმთავრეს ობიექტთან – ადამიანთან. თვითონ ვაჟა-ფშაველა ხალხური შემოქმედების მასალისა და მოტივების მნიშვნელობას, უწინარეს ყოვლისა, იმ გარემოსა და იმ ადამიანთა თვითშეგნების მიხედვით აფასებდა, რომელნიც ცხოვრებისეულ მოვლენებს პოეზიის საგნად აქცევდნენ. პოეტი იმასაც გვითვალისწინებს, რომ ინდივიდ შემოქმედს არ მოეთხოვება არქაული ცხოვრების ნორმებს ხალხური პოეზიისებურად ასახიერებდეს.

„სტუმარ-მასპინძელში" მრავალი ადათია გამოყენებული. მნიშვნელოვან ადგილს მაინც სტუმარმასპინძლობისა და სისხლის ძიების წესები იკავებენ. გვაროვნული თემის ადამიანთა შეგნებაში ადათების დაცვა ხშირად ღვთაებრივი ნების გამოხა-

ტულებად მიიჩნეოდა, საღვთო მოვალეობად აღიქმებოდა. ჩანს, სტუმარმასპინძლობის ადათიც უძველესი წარმოდგენებიდან იღებს სათავეს. ცნობილია, რომ აღიარებდნენ „ოჯახის კეთილ ანგელოზებს", ოჯახის მფარველ ღვთაებებს. მათ ფშავში სანთელს უნთებდნენ, საკლავს უკლავდნენ. ამის თაობაზე ვაჟა-ფშაველა წერს: „ოჯახი ფშაველის წარმოდგენით სადგურია არა მარტო იმათი, ვინც ოჯახში სცხოვრობს, არამედ მას სხვა პატრონიცა ჰყავს, იმ სხვა პატრონს სახლის ანგელოზი ეწოდება".[1] ოჯახის ბედი და კეთილდღეობა განპირობებული იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი საოჯახო ღვთაების მომადლიერებითაც. ადამიანები ცდილობდნენ წმინდად დაეცვათ, ხოლო ზოგჯერ კი გაენათლათ „სახლის ანგელოზის" საბძანისი, „სახლის სანათლავი დავკალითო" – იტყოდნენ ფშავში. წინაპართა რწმენით, ადამიანის სიკვდილს არანმინდა ძალები იწვევდნენ. ოჯახში სისხლის დაქცევას, ადამიანის მოკვლას ამ ანგელოზის ადგილსამყოფელის სიწმინდის დაცვის გამოც ერიდებოდნენ. ამგვარ ქცევას რელიგიური და მაგიური წარმოდგენები ედო საფუძვლად, რელიგიური რწმენის განზოგადების კვალობაზე ეს წესი გავრცელებულ იქნა სათემო ან მთელი ტომის სარიტუალო, საკრალურ ადგილებზე და სალოცავთა გარემოზე. საქართველოს მთის პოეტურმა ფოლკლორმაც შემოგვინახა იმის მაუწყებელი მასალა, რომ სალოცავში, ხატის კარზე ადამიანის მოკვლა არ შეიძლებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისევ გარემოს გაუწმინდურება იგულისხმებოდა. ხალხური პოეზიის ნიმუშები („ივანეური", „ლაშარს მოიდა თილიძე". „შიოლა და მთრეხელი"(გვიჩვენებენ, რომ საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანები თავის გადარჩენის მიზნით, სალოცავებს მიაშურებდნენ და იქ უშიშრად გრძნობდნენ თავს. მათ კარგად იცოდნენ, რომ სალოცავში ადამიანის მოკვლა არ შეიძლებოდა. ვფიქრობთ, ასეთი იყო ის უძველესი რწმენა-წარმოდგენები, რომლებმაც სტუმარ-მასპინძლობის ადათი, კერძოდ, სტუმრის ხელშეუხებლობის წესი განაპირობა.

ვაჟა-ფშაველამ სტუმარ-მასპინძლობისა და სისხლის აღების ადათების ურთიერთმიმართების ეთიკური მხარეებიც გაგვაცნო. მან ეთნოგრაფიულ ნარკვევებშიც დეტალურად დაახასიათა სისხლის აღების წესი. მწერალმა თქვა, რომ სისხლის აღების ადათს როგორც ფშავლები, ისევე სხვა მთიელებიც იცავენო; ამასთანა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფშაველები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 350.

ვე, აღწერა მოსისხლეთა შერიგების, სისხლის საფასურის გადახდის, გვარეულობის წრეში სისხლის აუღებლობის ტრადიციები და სხვა დეტალები.[1] მან „სტუმარ-მასპინძლის" შესატყვისი ეპიზოდის კომენტარში დაახასიათა სისხლის აღების ის წესიც, რომელიც მოკლულის საფლავზე მტრის დაკვლით გამოირჩეოდა. მაშასადამე, ვაჟა-ფშაველამ გამოავლინა ამ ადათის უფრო ღრმა და მრავალმხრივი დეტალების ცოდნა, ვიდრე ეს ჩანს საზოგადოდ ხალხურ პოეზიაში და, კერძოდ, მის მიერვე „სტუმარ-მასპინძლის" წყაროდ დასახელებულ ამბავში. თვალნათლივია, რომ „სტუმარ-მასპინძლის" სიუჟეტის ელემენტები პოეტური ფოლკლორიდან კი არა, არამედ უფრო ფართო და ფუნქციით მისგან სრულიად განსხვავებული სფეროდან, ე.ი. ყოფიდან მომდინარეობს.

ვაჟა-ფშაველა თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევებში ადათების მხოლოდ ობიექტური აღწერით არ კმაყოფილდება; იგი ზოგჯერ საკითხთა კვლევის სიღრმეში შედის და მეცნიერულად სჯის მათი გენეზისისა და ფუნქციის შესახებ. მეტად საინტერესოა პოეტის ვარაუდი სისხლის ძიების ადათისა და სისხლის კულტის ურთიერთკავშირის თაობაზე. ვაჟა წერს: „უეჭველად ხატის სასიამოვნოთ უნდა საქონლის სისხლი დაიქცეს. აქედან აშკარაა, რომ სისხლს ძალა აქვს (კულტი სისხლისა), სისხლი, ვითა აიაზმა, უნდა ესხუროს თასებს, სახატო ავეჯეულობას. ხევისბერმა უნდა ხელმხარი „გაინათლოს" სისხლითვე, მუდამ წელიწადს ჯერ თითონ უნდა დაკლას საკუთარი საკლავი ხატში და იმისი სისხლი მოიცხოს ხელებზე, შუბლზე. ამ ჩვეულებას ეწოდება „ხელმხარის განათლვა". როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, სისხლს რაკი ეს ძალა აქვს, უეჭველად, მოვალენი ვართ ვიფიქროთ, რომ თვით ჩვეულება მთიელთა შორის სისხლის აღებისა, თუ სისხლის ძიებისა, სამღვთო მოვალეობად ჩასათვლელია. თუმცა სისხლის ამღებს ჰგონია – მოვკალი ჩემის ნათესავის მკვლელი და ამით იგი დაუმონე, ყმად გაუხადე ჩემს ნათესავს, რათა მან საიქიოს წყალი უზიდოს მას, ჯღანი (ბანდულ, ხუჩა) გაუბანდოსო და სხვა, მაგრამ ის კი აღარ აქვს შეგნებული, რომ ამავე დროს საღმრთო მოვალეობასაც ასრულებს სისხლის დაქცევით. ადამიანი ამ შემთხვევაში ხდება ხატად და მას ზვარაკად, მსხვერპლად ადამიანი ეწირება... საყურადღებო ამბავია... ფშაური ჩვეულება სისხლით გან-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო ნესები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 72-73.

წმენდისა ძველ-ებრაულ ჩვეულებას მოგვაგონებს".[1] როგორც ვხედავთ, ვაჟამ კრიტიკულად გადააფასა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მონაცემები; მან პირველყოფილთა შორეულ მაგიურ და მისტიკურ წარმოდგენებში ჩაგვახედა. მწერლისეული ანალიზის მრავალმხრივობა და სიღრმე აშკარაა. მან მეცნიერული თვალთახედვა უძველეს რწმენა-წარმოდგენებს მიაპყრო და სისხლის ძიების ადათის საფუძვლად არა მხოლოდ საიქიო მომსახურების, არამედ სისხლის თავდაპირველი მაგიურ-მისტიკური ძალის რწმენაც აღიარა. ამით გამართლდა სისხლის ძიების საღვთო მოვალეობად გამოცხადება.

ცხადია, ვაჟა-ფშაველას პოეტური ფანტაზია პოზიტიური ადათების და მორალური ნორმების მიღმაც პოულობდა საკუთარი პოემების სიუჟეტისა თუ სახე-ხასიათების ბუნებრივ საწყისებს. ამასთანავე, მწერლის ცალკეულ ნაწარმოებთა სიუჟეტისა და გმირთა ხასიათების ფორმირება მხოლოდ ემპირიულ მასალას კი არ ემყარებოდა, არამედ იმ განცდებსა და აზრსაც, რასაც ეს მასალა მწერალში აღძრავდა.

მთიელთა ყოფაში და ამის კვალობაზე ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ ნარკვევებში მრავალჯერ გამოჩნდება რწმენა სისხლის ორმაგი ბუნების შესახებ. ადგილობრივთა წარმოდგენით, სისხლის ეს ორმაგი ბუნება იმაში გამოიხატება, რომ მას განმწმენდელი ძალაც გააჩნია და გამაუწმინდურებელი თვისებაც. სისხლის ძიების, თანაც მოსისხლე მტრის საფლავზე დაკვლის ადათი სწორედ სისხლის მაგიურ, განმწმენდელ ანუ სასიცოცხლო ძალის რწმენას უნდა ემყარებოდეს. სხვაგვარად გარდაცვლილისათვის დანიშნულ ამ მოქმედებას ლოგიკური აზრი არც ექნებოდა. ძველთა წარმოდგენით, გარდაცვლილი საიქიოში თავისებურ ცხოვრებას აგრძელებს, იგი თვალით უხილავ, ხელშეუხებ და ზიანმიუყენებელ არსებად ანუ სულად იქცევა. მას თან მიჰყვება ყველა ამქვეყნიური მოთხოვნილება, ოღონდაც კარგავს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფიზიკურ ძალას. სწორედ მოთხოვნილების აღსრულების დაკარგული უნარი უნდა განუხორციელოს გარდაცვლილს თემმა, გვარმა, მემკვიდრემ.

ავადმყოფობა, სიკვდილი, უძველესი რწმენით, უხილავი ბოროტი ძალების მოქმედების შედეგია. ავადმყოფის, მოჯადოებულის ან გარდაცვლილის სულის გაწმენდა, განკურნა კი სისხლით

[1] ვაჟა-ფშაველა, „ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 238-239.

შეიძლება. შესწირო სისხლი, განათლო სისხლით ნიშნავს მიანიჭო სიწმინდე ანუ ძალა მავნე არსებებთან ბრძოლისა. ამგვარ სიღრმეში შედის ვაჟა-ფშაველას არა მარტო თეორიული მსჯელობა, არამედ პოეტური ფანტაზიაც. მაშასადამე, საგულისხმოა, რომ მისი პოემების ფაბულები და სიუჟეტები ნაირგვარი მასალის სუბიექტურ განცდასა და წარმოსახვას ემყარებიან.

სისხლის განმწმენდელ-გამაძლიერებელ ბუნებაზე მსოფლიოს სხვადასხვა ტომთა შორის ბევრი მასალაა მოპოვებული. ავსტრალიის ტომთა ცხოვრებიდან ჰ. სპენსერმა ასეთი ეპიზოდი აღწერა: ცერემონიისათვის დანიშნულ დღეს, დილით ახალგაზრდა კაცი იხსნიდა ვენას. იგი სისხლს ასხურებდა რიტუალის მონაწილე მოხუცებს, რასაც ისინი უნდა გაემაგრებინა. იგივე ავტორი ერთგან ამბობს: როდესაც ავსტრალიელები შურისძიების მიზნით სალაშქროდ მიდიან, მამაკაცები სვამენ ცოტა სისხლს, ცოტას კი ერთიმეორეს ასხურებენ, რათა გადაიქცნენ მოქნილ, მკვირცხლ და უვნებელ ადამიანებად.[1] ანალოგიური ფაქტები დაადასტურა სამხრეთ უელსში ვ. როტმა. იგი წერს: სისხლს სნირავენ გარდაცვლილთაც. გვხვდება ისეთი დასაფლავება, როდესაც საფლავის პირზე ჩამწკრიეებული მამაკაცები ერთიმეორეს თავში ჭრილობას აყენებენ, თავებს ხრიან და სისხლს ცხედარს ასხურებენ. შემდეგ ცოტა მიწას აყრიან და თუ გარდაცვლილი დიდი სახელით სარგებლობდა, მაშინ სისხლს მეორედაც ასხურებენ.[2] ზოგიერთ ტომში სისხლის მაგიურ თვისებებს ჟანგმიწას მიაწერენ და ავადმყოფს ანუ მოჯადოებულს სხეულს ჟანგმიწით უზელავენ. როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, სისხლის მაგიური ძალის რწმენა მხოლოდ ფშავ-ხევსურეთში კი არა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობდა. მთიელ ხევისბერთა მსგავსად, გარკვეული აზრით, მსოფლიოში ბევრი „ინათლავდა ხელმხარს“ სისხლით. ამრიგად, საფუძვლიანია ვაჟა-ფშაველას აზრი, რომლის მიხედვითაც სისხლის აღების ადათი სისხლის კულტისა და მისტიკური ძალის აღიარების ძველთაძველ წარმოდგენებს უკავშირდება.

ადათების ფუნქციასა და წარმომავლობაზე პოეტის შეხედულებათა სიღრმე არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ „სტუმარ-მასპინძელთან“ ტექსტობრივ-მხატვრული შეხვედრის გამომრიცხა-

---

[1] მასალას ვიმოწმებთ ლ. ლევი-ბრიულის ნიგნიდან „Сверхъестественное в первобытном мышлении“, М., 1937, გვ. 210.

[2] იქვე, გვ. 208.

ვი ესა თუ ის ხალხური ლექსი, ადათის ელემენტთა შემონახვის გამო, პოემის უცილობელ წყაროდ ან პროტოტიპად მივიჩნიოთ. ხალხურ ლექსებსა თუ ინდივიდი შემოქმედის თხზულებებში ერთიმეორის ადეკვატური ადათების არსებობა მხატვრულ გავლენაზე, მიბაძვაზე სრულიადაც ვერ მიუთითებს; მით უმეტეს მაშინ, როდესაც ისინი განსხვავებული მხატვრული აზრით გამოიყენებიან.

ნაირგვარ ცხოვრებისეულ მასალასთან თუ ფოლკლორულ ნაწარმოებებთან ვაჟა-ფშაველას პოეტური მიმართების ბუნების დასახასიათებლად, უეჭველია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, თუ რა იცოდა ან რა აზრისა იყო იგი გვაროვნულ-თემურ ურთიერთობათა შესახებ. პოეტმა მრავალგზის მიუთითა საქართველოს ბარისა და მთის სოციალური სტრუქტურის სხვადასხვაობაზე. იგი აღნიშნავდა, რომ მთიელთა ცხოვრებაში, ბარისაგან განსხვავებით, მრავალი ცდის მიუხედავად, კლასობრივმა წესწყობილებამ ფეხი ვერ მოიკიდა, საყრდენი ვერ პოვა. ამიტომაც მწერალი ფშავ-ხევსურთა ცხოვრების დახასიათების დროს აუცილებლად თვლიდა იმ თავისებურებათა გათვალისწინებას, რომელნიც ნათელს მოჰფენდნენ ადათებზე დაფუძნებული თემის ადამიანთა სულიერ ინტერესებს. ვაჟა წერდა: „როცა ფშავლების ყოფა-ცხოვრებაზე ვწერთ თუ ვლაპარაკობთ, საბატონო გლეხთა ცხოვრების ვითარებანი თითქმის სრულიად უნდა დავივიწყოთ – საგანს სხვა თვალით, სხვა მხრიდან უნდა შევხედოთ. ფშავლები თუმცა თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ ამ თავისუფალს ცხოვრებას თავისი წესწყობილება ჰქონდა და აქვს დღესაც; სამწუხაროდ, მთავრობის განკარგულებანი ახალის ჯურისა ცდილობს დაარღვიოს ეს საზოგადომფლობელობის წესი და დააყენოს ინდივიდუალურ ნიადაგზე“.[1] მოტანილი მსჯელობა მრავალმხრივ არის საგულისხმო. პოეტი უცნაურობით აღბეჭდილ მოვლენებს, ადათ-წესებსა და რწმენა-წარმოდგენებს ფშავხევსურული გვაროვნული თემის ყველა სფეროში ამჩნევდა. იგი მთიელთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებს ზოგჯერ იცავდა კიდეც სხვათა კრიტიკისაგან; კერძოდ, ეპისკოპოს ანტონის წინააღმდეგ მიმართულ სტატიაში ვაჟამ ფშავ-ხევსურთა რელიგიური მრწამსი წარმართული ხანის სოციალური გარემოთი გაპირობებულად მიიჩნია. აქვე პოეტი აღნიშნავდა: „სჩანს ფშავ-ხევ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ცოტა რამ გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე ფშავში“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 230.

სურთ არაფერს უშლის კერპთთაყვანისმცემლობა, იყვნენ პატიოსანი ადამიანები, უკეთესი ზნეობისა იმათზე, ვინც ზეპირად იცის მართლმადიდებელი კატეხიზმო და მთელი ზნეობრივი კოდექსი და საქრისტიანო ლოცვები".[1]

ვაჟა-ფშაველა მხედველობაში იღებდა იმ გარემოებას, რომ გვაროვნული თემი თანასწორუფლებიან ადამიანთა ისეთ საზოგადოებას წარმოადგენდა, რომელშიაც გამორჩეული უფლებრივი უპირატესობით არავინ სარგებლობდა. ამ საზოგადოების წევრი განასახიერებდა კოლექტივის იდეალს და თავისი ქცევებით ცხადყოფდა, რომ მისთვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა მხოლოდ თემის შეხედულებებს ჰქონდა. პოეტის აზრით, მთიელთა გვაროვნულ-თემური საზოგადოება მთელი თავისი შინაგანი სტრუქტურით მეტად თავისებური იყო. მთიელთა საგმირო პოეზიაზე დაყრდნობით ვაჟა წერდა: „ძველისძველი ცხოვრება, როგორც ვიცით, მუშტზე, ძალაზე იყო დაფუძნებული. ერთი თემი მეორეს არბევდა, სტყვევნიდა, იმონებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერეოდა. ვაჟკაცობას, გულადობასა და მკლავს დიდი სახელი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა მაშინ. თემსაც ძვირად უღირდა ვაჟკაცი, გმირი ხდებოდა საგნად ლექსისა, ზეპირგადმოცემისა".[2] ამ ძველი ხალხური ლექსების მიხედვით გმირთა თვითშეგნება თემის იდეოლოგიით არის შეპირობებული. „გმირი ფშაურს ლექსებში „ვაჟკაცად", „კაი ყმად" იხსენიება; იგი თემიდან გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისათვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ".[3] ამრიგად, ვაჟას შეხედულებით, „კაი ყმა" იმიტომ არის იდეალურად დახატული, რომ მისი ბრძოლა, ქცევა-მოქმედება, გამორჩეული ფიზიკური უნარი, თემის მისწრაფებებს მიჰყვება და იცავს. სხვაგვარად, ე.ი. გმირის მიერ თემის შეხედულებათა უარყოფის შემთხვევაში, თუნდაც ეს ურჩობა სამართლიანი და ვაჟკაცურიც ყოფილიყო, იგი გვაროვნული პოეზიის ხოტბას ვერ დაიმსახურებდა. ეს იმას მოითხოვდა, რომ თვით მთქმელი, გვაროვნული თემის წევრი დაპირისპირებოდა თავის გარემოს.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 359.

[2] ვაჟა-ფშაველა, „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 82.

[3] იქვე, გვ. 83.

1887 წელს წიგნად დაისტამბა დავით ხიზანიშვილის მიერ შეკრებილი ფშაური ხალხური ლექსები. ვაჟა-ფშაველა გამოეხმაურა ამ მოვლენას და კრებულში შესული საგმირო ლექსები დაახასიათა: „ვსთქვათ ჯერ რამდენიმე სიტყვა საგმირო ლექსებზე. ამ ლექსებში მარტო ის როდია მოსაწონარი, რომ გმირი იბრძვის, „სისხლი გადასდის მკლავზედა“ – არა. ჩვენ უფრო იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რისთვის და ვისთვის იბრძვის იგი? რომელი მოქმედება, თვისება გმირისა უფრო მოსწონს ხალხსა? რაც მოსწონს კაცსა, იგი თვითონ არის ზომა მისი ზნე-ჩვეულებებისა. ფშაველი – გმირი იცავს თემსა ჯერ ყველაზე უწინ, მერე საზოგადოდ ფშავისხევს და შემდეგ საქართველოსაც. თემის დაცვა კი უპირველესი გრძნობაა მისი. თავის თემის გულისათვის არ დაზოგავს გასაყლეტად სხვა ფშაურს თემს, თუკი იგი რაიმე თავხედობას მოიწადინებს იმ თემის წინააღმდეგ, რომელსაც თვითონ გმირი ეკუთვნის“.[1] ამ სიტყვებში დიდმა პოეტმა გახსნა უტყუარი შინაარსი ფშაური საგმირო ლექსებისა, გაგვითვალისწინა გვაროვნულ-თემური გმირის თვითშეგნების საზღვრები და რაობა. იგი გვეუბნება, რომ რასაც ქება-დიდების საგნად აქცევს ხალხი, რა მხარეც გმირის ქცევისა განსაკუთრებით მოსწონს, სწორედ ისაა მისი იდეალის საზომი, მისივე პოეზიის ძირითადი თემა. პოეტის ეს განმარტება ცხადყოფს, რომ საგმირო ლექსებში ბატონობს ხალხის, გმირისა და ხალხურ შემოქმედთა იდეალების, მათი პოზიციების სრული იგივეობა. ვფიქრობთ, ამიტომაც არ შეიძლება რთული შინაგანი წინააღმდეგობების გამომხატველ ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ სახეთა მსგავსის ფოლკლორში პოვნა.

ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ ნარკვევებში დიდ ინტერესს იჩენდა გვაროვნული თემის სულიერი ტენდენციებისადმი. ახალგაზრდა პოეტი უჩვეულო გულმოდგინებით სწავლობდა და იკვლევდა ამ საზოგადოების ზნეობას, სამართალს, ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, საოჯახო წესებსა და საზოგადო შეხედულებებს. 1888 წელს გვაროვნული სამართლისა და სასამართლო საქმის შესახებ მწერალი წერდა: „ფშავლების ჩვეულებითი სამართალი არ არის მრავალმუხლოვანი და რთული. თვით ცხოვრება ფშავლებისა არ იყო რთული, იგი იყო მდაბიო, მარტივი, რის გამოც მარტივი სამართალი უნდა დაბადებულიყო. ფშავლების სამართალს ის ხასიათი აქვს, რომ ყოველგვარი საქმე ადგი-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 53.

ლობრივ გაირჩეოდა, სოფელს, თემს გარედ არ გასცილდებოდა. განსამართლებაში ყოველის ასაკის მქონე საზოგადოების წევრი იღებდა მონაწილეობას. სასჯელს დამნაშავისათვის მთელი თემი, სოფელი დაადგენდა. სასჯელი ორნაირი იყო: 1. ფიზიკური (ჩაქოლვა); 2. ზნეობრივი („მოკვეთა", საზოგადოებიდამ გაძევება). ჩაქოლვას გამოიწვევდა ხატისა და თემის მოღალატეობა... საზოგადოება „მოიკვეთდა" თავის წევრს ქურდობისათვის, ხატის წესის დაკლებისათვის, თემის პირის გატეხვისათვის, ანუ უპირობისათვის, მაყვედრობისათვის. მოკვეთილს სახლში აღარავინ შეუშვებდა, აღარცავინ იმასთან გაივლიდა; მოუკვდებოდა ვინმე, ძველის ჩვეულებისამებრ აღარავინ მიჰხედავდა, თემი არაფრით აღარ შეეწეოდა, წისქვილისა და სამჭედლოს კარებიც დახშული იყო მოკვეთილისათვის. ხატში, ყრილობაში აღარ გაატარებდა ხალხი მოკვეთილს".[1] გვაროვნულ თემში მხოლოდ ისეთ ქცევებს ჰქონდა მორალური და სამართლებრივი ძალა, რომელთაც უძველესი დროიდანვე მიჰყვებოდნენ ეს ადამიანები. ქცევის ნორმები საზოგადოებისათვის ტრადიციულად იყო ნიშანდობლივი და მათი დარღვევაც სასჯელს იწვევდა. თემისა და გვარის წინაშე დანაშაული მთელი ხალხის უკმაყოფილებას წარმოაჩენდა.

ვაჟა-ფშაველამ დაახასიათა კაფია, როგორც მხოლოდ ფშაურ პოეზიაში დამკვიდრებული უნიკალური სახე პოეტური შეჯიბრისა. პოეტური ექსპრომტებით ანუ კაფიებით თავისებური პაექრობა მწერალმა ფშაველთა მხატვრული ნიჭის დიდ გამოხატულებად მიიჩნია. მან გაგვითვალისწინა კაფიების სატირულ-იუმორისტული მხარე და მორალური ზემოქმედების ძალა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ იგი პოეტურ პაექრობაში მონაწილეთა თვითშეგნებას, მათს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებით პოზიციებს გვიმჟღავნებს. მწერალი ამბობს: „საყვედურად, ერთი-მეორის დასამარცხებლად, მოშაირენი, მოპირდაპირენი მიჰმართავენ ჯერ პირადს ნაკლულევანებას, საერთოდ ყველასაგან ცნობილს, გამოაშკარავებულს, რომელსაც აქსიომასავით დამტკიცება აღარ ეჭირვება. ხოლო თუ პირადი აუგი არაა, მაშინ მოპირდაპირე ეძებს მიზეზს საგვარეულოში; თუ საგვარეულოშიაც არაფერი იპოვება, მაშინ თემში; უკეთუ თემშიც არაფერია, სოფელში ეძებს საბუთს, რათა მოპირდაპირისათვის გა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 71.

მოდგეს სიტყვა „ტყემალივით კბილის მჭრელია“... ასე, პირადი ნაკლულევანება ხომ ნაკლულევანებაა, მაგრამ პირად ნაკლულევანებად ჩასათვლელია ნაკლულევანება გვარისა, თემისა და სოფლისა. მოპირდაპირეც ამ საერთო ნაკლს იღებს პირად ნაკლად – ადვილად, ძალდაუტანებლად“.[1]

აშკარად შეინიშნება, რომ პოეტურ შეჯიბრში მონაწილე სხვადასხვა თემის წევრები ერთიმეორის პიროვნულ ნაკლს ან ღირსებას განსჯიან. მაგრამ თუ პიროვნული მასალა, თავგადასავალი საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ ერთიმეორის თემში ეძებენ სამხილებელს, საძრახის ამბავს, სატირისა და იუმორის ობიექტს. კაფია იყო თემის შიგნით თუ სხვა თემის წევრებთან თავისუფალი ურთიერთობის გამოვლენის საუკეთესო ფორმა. პოეტურ ასპარეზობაში მონაწილე მხარეებს არავინ ზღუდავდა და შემოქმედებით ფანტაზიასაც, მართლის თქმის თვალსაზრისით, დიდი სარბიელი უჩნდებოდა. ამგვარ შეჯიბრში იკვეთებოდა თემის წევრების როგორც პირადი ნაკლი, ისე საერთო, სათემო. მოლექსე თემის „...ამ საერთო ნაკლს იღებს პირადად ნაკლად – ადვილად, ძალდაუტანებლად“. მაშასადამე, ეს აქტი იმაზე მეტყველებს, რომ პოეტური შეჯიბრის დროსაც მოლექსე სათემო ნაკლს პირად ნაკლად განიცდის. ცხადია, იგი პირად წარმატებად მიიჩნევდა საკუთარი გვარისა და თემის ღირსებასაც. აქედან ირკვევა, რომ თემი და მისი წევრი, ძირითადად, ერთნაირი, საყოველთაო შინაარსის გრძნობებით, შეხედულებებით იკვებებოდნენ. კოლექტიური იდეალი მათ ქცევასა და პოეტურ იდეალს განსაზღვრავდა, იქვემდებარებდა. ვაჟას პოემებში კი ამგვარი ერთსულოვნება, მორჩილება აღარ დომინირებს.

მწერალმა ფშაური კაფიის დახასიათებისას ერთხელ კიდევ გაგვითვალისწინა, რომ თემში საერო სახალხო შეხედულებებს, მათ დაცვასა და აღიარებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს გარემოება რამდენადმე აპირობებს ხალხური პოეზიის ტრადიციულობას, რეალიზმს, სინამდვილისადმი მისი ერთგულების გამორჩეულ ხარისხს.

ვაჟა-ფშაველას აზრი გვაროვნულ-თემური ყოფის სამართლებრივ-მორალური ურთიერთობის შესახებ ჩვენ იმიტომ წარმოვადგინეთ ასე ვრცლად, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა მრავალი თვალსაზრისით ჩავიხედოთ მწერლის შემოქმედებით

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 164-165.

ლაბორატორიაში, გავითვალისწინოთ მის ცალკეული თხზულების წყაროს რაობა და არქიტექტონიკური თავისებურებები. მწერლის ეპიკურ თხზულებათა შემოქმედებითი ისტორიის ან ხალხური წყაროების შესწავლისას ხშირად მხედველობაში არ ღებულობენ იმას, თუ როგორი ცხოვრებისეული ურთიერთობები და როგორი ხასიათის ადამიანები წარმოჩნდებოდნენ იმ ხალხურ გადმოცემებში, რომლებსაც ვაჟას ნაწარმოებების წყაროდ მიიჩნევდნენ.

ვაჟა-ფშაველას პოემები და ფოლკლორისტულ-ეთნოგრაფიული წერილები გვარწმუნებენ, რომ ალუდას, ჯოყოლას, აღაზას და მინდიას შესადარი გმირი ძველ პოეზიაში ვერ დაიხატებოდა; ამის მიზეზი თუნდაც ის იქნებოდა, რომ ამ პოეზიაში მხოლოდ თემის იდეალის მიმდევარი ადამიანი იქცევდა ყურადღებას. გვაროვნულ თემში ალუდას და ჯოყოლას მსგავსი გმირები ისჯებოდნენ, საზოგადოებიდან მოიკვეთებოდნენ, ხოლო მათ ქებას კი ვერავინ გაბედავდა. „სტუმარ-მასპინძლის" წყაროდ მოხმობილი ნიმუშები მხოლოდ გვაროვნული თემის საყოველთაო მორალისა და სამართლის ჩარჩოში მოქცეულ ადამიანებს გვაცნობენ. ამ ლექსებში არა ჩანს „სტუმარ-მასპინძლის" შესადარი კოლიზია, პოზიციათა მკვეთრი დაპირისპირება თუ სახეთა სისტემის მრავალხმიანობა. ხალხურ ლექსებში თემის ტრადიციულ ადათწესებს, მორალს არავინ ებრძვის პიროვნული ღირსებისა და სინდისის გრძნობის დასაცავად. ცხადია, რომ შემოქმედი ხალხი და ვაჟა-ფშაველა ზოგიერთ ერთგვაროვან მასალას სრულიად სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით უდგებიან, აფასებენ და გარდასახავენ. შემოქმედი ხალხის პოეტური იდეალი თემის შეხედულებების ერთგულია, გმირს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თემის თვალსაზრისით ხატავს, ხოლო ვაჟა-ფშაველა ისეთ ინდივიდუალურ სოციალურ-ზნეობრივი შეგნების გმირებს წარმოადგენს, რომლებიც თემსაც მაღალი ზნეობისაკენ მოუწოდებენ. აღნიშნავენ, რომ „თავიანთი ქცევით ეს გლეხები ყოველ წამს გვაგონებენ, თუ რას ნიშნავს ნამდვილი პიროვნება, როგორ შეუძლია მას გასწიროს თავი, როდესაც საქმე ზნეობრივ-ადამიანურ იდეებს ეხება".[1] ბუნებრივია, ვაჟა-ფშაველა თავისი დროის, ანუ ცივილიზებული სამყაროს საზოგადო პრობლემებსა და მოთხოვნებს გამოხატავდა. ამიტომაც ერთსახოვანი თემური იდეალები „სტუმარ-მასპინძელში" მრავალისმეტყველ კონფლიქტებად, პოზიციებად,

[1] გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957 წ., გვ. 254.

სახეებად წარმოგვიდგებიან და ყველა ეპოქის საზოგადოებრივ მიმართებებისათვის ნიშანდობლივ სოციალურ პრობლემებად იქცევიან.

ნაირ-ნაირი მასალის ანალიზმა გამოავლინა, რომ გვაროვნული თემის პოეზიაში საზოგადოებისა და მისი წევრის იდეალების სრული ერთსულოვნება ბატონობს. მათ ერთიანობას აპირობებს თემის შეგნებაში დამკვიდრებული ადათობრივი სამართლისა და მორალის საყოველთაო ნორმები. წესჩვეულებათა დამრღვევის მსაჯულად მთელი საზოგადოება გამოდის. ეს სპეციფიკური ამბები აისახება თემის პოეტურ შემოქმედებაში. აქ შემოქმედი ანუ მოლექსე არ უხვევს კოლექტიური თვითშეგნების ზოგადი მისწრაფებებიდან, ურყევად იცავს ცხოვრებისეული პირობების მოთხოვნებს. თემის წევრი ერთდროულად კოლექტივის იდეალსაც ანსახიერებს და საკუთარსაც. ავტორ-მთქმელი ერთგულია ხალხის ნებისა და თავის გმირებსაც ამგვარი ხასიათით წარმოადგენს. სრულიად სხვაგვარია მასალასთან ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მიმართება. პოეტი თავის ეპოსში ხშირად იყენებს გვაროვნულ-თემური ყოფის მასალას, მაგრამ მის ნაწარმოებებში საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობაში თემის საყოველთაო შეხედულებები აღარ ბატონობს. მწერალმა, მართალია გამოიყენა თემური სინამდვილის მაჩვენებელი ამბები და ურთიერთობები, მაგრამ მასში შეიტანა თემისათვის უჩვეულო ისეთი პიროვნული თვითშეგნება, რომელმაც დაარღვია მათი საყოველთაო შეხედულებები. ალუდას, ჯოყოლასა და აღაზას ზნეობრივი გრძნობები წინ აღუდგა კოლექტივის შეგნებას. ისინი ზნეობრივ ჭეშმარიტებას საკუთარ სულიერ სამყაროში ეძებენ, პოულობენ და მათ ღირებულებებს თემთან ბრძოლაში იცავენ. ვაჟას ეპიკური გმირი მოვლენათა რაობაზე არა მარტო ინდივიდუალურ შეხედულებებს გვიჩვენებს, არამედ თემის თვალსაზრისს და პოზიციასაც გამოავლენს. მწერლის თხზულებათა სიუჟეტში პიროვნულ და საზოგადოებრივ პოზიციათა მკვეთრი დაპირისპირება იხატება, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების ქცევები არსებითად ახალი და ამაღლებული საზოგადოებრივი იდეალის ან ყოფითი გარემოს სრულქმნას ემსახურებიან. „სტუმარ-მასპინძელში" ჯოყოლასა და აღაზას წინაშე დგება საკითხი, თუ რა როლი ეკუთვნის მათ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა სისტემაში, ან რითი განისაზღვრება მათი მოვალეობებისა და სინდისის ღირებულება. გმირის თვითშეგნება გადამწყვეტ სიტყვას ამბობს საკუთარ თავზე და იმ გარემოზეც, რომელშიაც იგი მოქმედებს. ვა-

ჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ სიუჟეტში გვაროვნული სა-
ზოგადოების მისწრაფებები ვერც ფარავს და ვეღარც იმორჩი-
ლებს პიროვნების ზნეობრივ თვითშეგნებას. გმირი კრიტიკული
რეფლექსიის საგნად აქცევს თემის იდეალებს. ამიტომაც ჯოყო-
ლასა და აღაზას დახასიათება აღარ შეიძლება თემის მყარი სო-
ციალურ-მორალური პოზიციებიდან. ამ გმირთა სახეებში უნდა
დავინახოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც სინდისის გრძნობის
კარნახით არღვევენ გარეშე განმსაზღვრელ ფაქტორებს და ეჭ-
ვსქვეშ აყენებენ მათს ღირებულებებს.

თავი VIII

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების ღირებულებითი ორიენტაციები „გველის მჭამელსა“ და „მთათა ერთობაში“

ვაჟა-ფშაველას სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ქმნილებებსა და ფილოსოფიურ-ლიტერატურულ წერილებში ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების მრავალი თავისებურება გამოიკვეთა. პოეტი მუდმივი განსჯისა და მხატვრული განსახიერების საგნად აქცევს ბუნებას, სოციალურ ყოფასა და პიროვნების სულის მოძრაობას. აღნიშნული ფენომენები ცალკე და ერთიმეორესთან მუდმივი კავშირ-მიმართებების საფუძველზე წარმოადგენენ ხილული სინამდვილის თვითმყოფად სურათს. მწერლის გაგებით, ბუნებისა და ცხოვრების ერთიანობის განუცდელად და გაუაზრებლად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის ფიზიკურ-სულიერი ქმედება. ბუნება ის უალტერნატივო უმაღლესი ღირებულებაა, რომელიც სიცოცხლის მრავალფეროვან არსებობას უზრუნველყოფს. ბუნების თავისთავადი საზრისის გარეთ ადამიანის შემოქმედებითი გარჯა გამოხატულებას ვერსად პოვებდა. სამყარო-ბუნება, პოეტის აზრით, დროსა და სივრცეში განფენილი მარადმოძრავი კანონზომიერებების გონივრული სისტემაა, რომელშიც უშუალოდაა ჩართული ადამიანთა ნაირგვარი შესაძლებლობები; მართალია, კოსმოსი, როგორც მთლიანობა, განსაზღვრავს სიცოცხლის მრავალსახეობას, მისი სრულყოფის პირობებს, მაგრამ სიცოცხლეს ბუნებასთან მიმართებაში დიდი თვითმყოფადობაც ახასიათებს. უადამიანოდ, ცხადია, ბუნება იარსებებდა, თუმცა კი მას მრავალი აზრით ვერავინ გააშინაარსებდა ისეთნაირად, როგორაც იგი დღეს გვევლინება.

ბუნება, ცხოვრება, ინდივიდის ხასიათი მარადიულად ურთიერთქმედებენ. აღნიშნავენ, რომ „ბუნება თავისი მოძრაობით, სუნთქვით, მძლავრი ძალის გამოვლენითა და მუდმივი განვითარებით ადამიანში აღძრავს განსაზღვრულ ემოციებს, აიძულებს მას გამოააშკარაოს ხასიათი, გამოამჟღავნოს აზრი და ჩაიდინოს

გარკვეული სახის მოქმედება".[1] ამასთანავე, ბუნებას, კაცთა ცხოვრებას, ცალკე ინდივიდებს მოეპოვებათ მოქმედების შინაგანი კანონები, რომლებიც ავტონომიურნი არიან. ვაჟა-ფშაველას აზრითაც, „თეორიების მთხზველები" ამაოდ დაშვრებიან, თუ სინამდვილის ობიექტური წესების შეცვლას მოინდომებენ, რადგან „ბუნებას და ცხოვრებას თავისი საკუთარი წესი და რიგი აქვს და ჩვენი თეორიები მას ვერ შეუშლიან არჩეულ გზაზე სვლას".[2] პოეტის ფიქრით, „ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება, თუნდაც ლექსებს, დრამებს, რომანებს არ სწერდეს, მაინც პოეტია. არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დაეასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს".[3] ვაჟა ორიგინალურ აზრს გამოთქვამს მწერლის და მწერლობის მიერ ბუნების მხატვრული ათვისების ნაირგვარი შესაძლებლობების შესახებ. მისი მრწამსით, შექსპირი, სერვანტესი, რუსთველი, თურმე, ბუნებას სავსებით ხატავენ არჩეული ტიპების მეოხებით. ისინი „ბუნების თვალებით" უცქერიან თვით ადამიანურ ცხოვრებას. ბუნებასთან მიმართების ასეთი გლობალური ხასიათი კი შეაპირობებს იმ გარემოებას, რომ გენიოსების მიერ შექმნილი ტიპები დიდად ემსგავსებიან ერთმანეთს. საერთოდ, ვაჟას გაგებით, დიდებული ადამიანის სულიერება ერთგვარი აუცილებლობით აღბეჭდავს ბუნების ზნე-ხასიათს, მისდამი მსგავსებას. ასეთნი არიან „ვეფხისტყაოსნის" გმირებიც. ვაჟას სიტყვით, ბუნება განსაცვიფრებელი გონიერებაა და, რაკი „ვეფხისტყაოსნის" ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ბუნების ზნე-ხასიათს და სიბრძნეს გამოხატავენ, ამიტომ ისინი მარადიულად იქნებიან თაობათა გრძნობა-გონების მმართველნი. წერილში „სად არის პოეზია?" მწერალმა მრავალი საყურადღებო აზრი გამოთქვა ბუნების მხატვრული ათვისების შესახებ. ვფიქრობთ, ეს ნარკვევი იძლევა ბუნების თემაზე დაწერილი ვაჟას მრავალი ნაწარმოების შეფასების თავისებურ გასაღებს. აქ პოეტმა მკაფიოდ გამოხატა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების ის ასპექტები, რომლებიც უშუალოდ ერწყმიან ადამიანის პრაქტიკულ ცხოვრებას და ხელოვანის მხატვრულ შემოქმედებას. ამ

---

[1] თ. კიკაჩეიშვილი, კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული პროზის პოეტიკა, თბ., 1982 წ., გვ. 123.

[2] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 393.

[3] იქვე, გვ. 394-395.

ნარკვევის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს პოემების „გველის მჭამელისა“ და „მთათა ერთობის“ მხატვრული მოქმედების არსიც. მწერალს ორიგინალური, მწყობრი შეხედულებები ჰქონდა შემუშავებული ბუნებისა და ადამიანის კავშირზე. იგი ფიქრობდა, რომ სამყარო-ბუნება დიდი ჰარმონია, გონიერება, „შვნიერებაა“, რომლის ზემოქმედებითაც ცნობიერად თუ არაცნობიერად შინაარსდება და წარიმართება ადამიანის სულიერება, მდიდრდება, იხვეწება მისი ემოციურ-ინტელექტუალური შესაძლებლობები. ბუნება „უენპიროა“, მაგრამ შინაგანი კანონზომიერებებით სიბრძნეს მეტყველებს. ამგვარი გონიერებით ბუნება დიდებულ ადამიანს, მეოცნებე პიროვნებას სრულყოფს. რაკიღა ადამიანი ბუნების ქმნილებაა, მასში უნდა განსახიერდეს დიდბუნებოვნება, საერთოდ, სიცოცხლის ბუნებასთან მსგავსება. პოეტის აზრით, ბუნებისა და ცხოვრების ბევრი მოვლენა ჰგავს ერთმანეთს და აისახება კიდევაც ერთიმეორეში, თუმცა ისინი დიდადაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ბუნების საგან-მოვლენებს თვითარსებობის თავისი წესები აქვს, ხოლო საზოგადოების ცხოვრებას ან მისი ცალკეული წევრის ყოფნას – საკუთარი სამოქმედო პრინციპები. ბუნება მუდმივი აწმყოა, ხოლო კაცთა ცხოვრება წარსულის, აწმყოსა და სავარაუდო მომავლის სურათებში ცხადდება. მეცნიერულ-ლოგიკური მსჯელობისას კი ბუნებისა და ადამიანის თავისთავადობათა ერთნაირი ცნებებით გამოხატვა შეუძლებელია. მხოლოდ ხელოვნებას, მხატვრულ წარმოსახვას, სიმბოლურ-ალეგორიულ და მეტაფორულ პოეტურ პირობითობებს შეუძლიათ „წაშალონ“ ზღვარი ბუნებრივ და ადამიანურ რეალობებს შორის. ცხადია, ეს მხატვრული მიზნებისთვის ხდება.

ვაჟა-ფშაველა შეუდარებელი ოსტატობით იყენებდა თავის თხზულებებში ბუნებისა და ცხოვრების სიმბოლურ-ალეგორიული და მეტაფორული განსახიერების უბადლო უნარს. ბევრი მისი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე სიმბოლურ-ალეგორული და მეტაფორული განსახიერების წესზეა დამყარებული. ამგვარი საშუალებებია გამოყენებული „გველის მჭამელსა“ და „მთათა ერთობაში“. დასახელებული პოემების სიუჟეტში პოეტმა უხვად შემოიტანა უძველესი მაგიური, მითოსური, რელიგიური წარმოდგენები და ისინიც სიმბოლურ-ალეგორიული პირობითობის ფორმით დაუკავშირა მთავარ მიზანს, ანუ დიდებული ადამიანის სახის, შექმნას, მისი ბედის ჩვენებას. პოეტი არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებში იყენებდა სიმბოლურ-ალეგორიულ და მეტაფორულ პირობითობებს, არამედ ხშირად ლიტერატურულ-

პუბლიცისტურ წერილებშიც. მისი ასეთი მრავალი წერილიდან აღსანიშნავია „საგაზაფხულო ფიქრები". აქ მწერალმა სამყარო--ბუნებისა და ადამიანის სიცოცხლის დიადი ერთიანობის ნათელი სურათი დახატა, ცხადყო მათი კავშირ-მიმართებების ის უღრმესი ღირებულებითი შინაარსი, რაც მხატვრულად „გველის მჭამელსა" და „მთათა ერთობაშიც" გამოითქვა.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, კოსმოსი, მზისა და დედამიწის გონივრული კავშირი, მათი მარადიული კანონზომიერებები სიცოცხლისა და მისი მრავალფეროვნების საფუძველია. ეს მრავალფეროვანი სიცოცხლე თავისი ცხოველმყოფლობით, შემოქმედებითი ძალმოსილებით, მშვენიერებით ყველაზე სრულად გაზაფხულზე წარმოდგება. პოეტის შეხედულებით, გაზაფხული სამყარო-ბუნების სულიერების, მისი შემოქმედებითი თავისუფლების, ბედნიერების, სილამაზისა და სიკეთის გამომხატველი ფენომენია. იგი, გარეგნული მშვენიერებისა და სურნელების გამოხატვის გარდა, პოეტის მრწამსით, თავის თავში შინაგანი მოქმედების საზრისის საიდუმლოსაც ინახავს: „ეს დაფარული აზრი გაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ განგრძობაა სიცოცხლისა. მიზანი მისი, ალბათ, დიდებულია, თორემ ასე დიდებულად, ასე საამოდ, სულისა და გულის დამატყვევებელ სურათებში არ იქნებოდა გახვეული!.. ლამაზი, მიმზიდველი არაფერია სხვა, თვინიერ სიცოცხლისა; ტურფა, მშვენიერი, ბუნების ამოდენა გარდაქმნა-ცვალებადობაში, არა რა არს გარეშე გაზაფხულისა.

მაშ ვიწამოთ სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვანობა: უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგრძნობთ ისე, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს".[1]

ვაჟა-ფშაველა გვეუბნება, რომ სამყარო-ბუნების საზრისსა და მთლიანობით ხასიათს ყველაზე სრულად გაზაფხული გამოხატავს. ბუნებისა და, კერძოდ, გაზაფხულის დიდებული მიზანი სიცოცხლის განგრძობაში ვლინდება. გაზაფხული სიცოცხლეს უმაღლესი მშვენიერების სახით ძერწავს, ამიტომაც იგი დიადი სიცოცხლის გარეშე არც არსებობს. რაკიღა სიცოცხლისა და გაზაფხულის ძალას მათი ურთიერთკავშირის გარეშე ვერ ვიგრძნობთ, ამიტომ უნდა ვიწამოთ მათი ერთბუნებოვნებაც. ვაჟა--ფშაველას აზრით, „გაზაფხული მქნელია, მშობელია სიცოცხლისა", ხოლო მის მიერ შექმნილი სიცოცხლე თავის მხრივ, მსგავსია

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 383-384.

თვით შემქმნელისა. ეს მსჯელობა უნებლიეთ გვაგონებს მინდიას გაზაფხულთან მუდმივ საზეიმო შეგებების ეპიზოდს პოემა „გველის მჭამელიდან“. პოეტის წარმოდგენით, სამყაროს დიადი ერთიანობის, მისი გონივრული ქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სიცოცხლის დამკვიდრება და მისი მრავალფეროვნების შენარჩუნებაა, რაც ყველაზე კარგად გაზაფხულმა უნდა განასახიეროს. ამიტომაც, ვაჟას სიტყვით, „ეს დრო ბუნების უაღრესი ბედნიერების დროა. ვფიქრობ ბუნება, როგორც გაზაფხულზე, ისე არა დროს არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად“.[1] მაშასადამე, ბუნების შემოქმედების, თავისუფლებისა და ბედნიერების საზრისი სიცოცხლის მრავალფეროვანების დამკვიდრება ყოფილა. ეს კი გაზაფხულის არსში ყველაზე კარგად წარმოჩნდება.

ვაჟა-ფშაველა გვაუწყებს, რომ სამყარო-ბუნების გონიერება გაზაფხულის ფენომენში იძერწება. ადამიანის სულიც უსაზღვროებაა, თავისებური სამყაროა, რომელშიც ბუნების გაზაფხულების მსგავსი შინაარსი მოქმედებს.

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, დიდებული ადამიანის სიცოცხლე, მისი სულის მოძრაობა უსათუოდ გულისხმობს ისეთ გაზაფხულს, რომელიც თავისუფალ შემოქმედებით გარჯაში, სიყვარულსა და ბედნიერებაში გამოიხატება. სულის გაზაფხულს ადამიანი ეზიარება მაშინ, თუ იგი სიყვარულით, ბედნიერებითა და შინაგანი თავისუფლების მადლით არის მოსილი, ხოლო ამ მადლს მთელი ძალ-ღონით ერის სასიცოცხლოდ, მისი თვითცნობიერების ასამაღლებლად წარმართავს. სულიერ თვისებათა სიმაღლე კი ბუნების ჰარმონიის, მისი გონიერი ქმედებისა და რაფინირებული წესრიგის ზეგავლენით მკვიდრდება ადამიანში. ბუნების თავისუფალი მოქმედება და ადამიანის შემოქმედებითი გატაცება პოეტს თავისებურ სინონიმებად ესახება. იგი აღნიშნავს: „უპირველეს ყოვლისა, სული უნდა ჰგრძნობდეს ბედნიერებას, იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ჰყვაოდეს, უნდა მწვანობდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი. მქნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმომცენებელი, მაშასადამე, ახალგაზრდა და ამასთან ერთად უსათუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება“.[2] მწერლის მსოფლაღქმის მიხედვით, ერთიმეორისგან დაუცილებელია ბუნებრივი და სოცია-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 384-385.

[2] იქვე, გვ. 385.

ლური ქმედების არსი. სიცოცხლე ბუნების პირმშოა, მისი საზრუნავი და ამიტომ იგი ბუნებაშია ჩაქსოვილი, ხოლო ბუნების წესრიგი მასზე მუდმივად უნდა ზემოქმედებდეს. „ყოველი მოვლენა, ყოველი ძალი ბუნებისა ცალ-ცალკე და ერთად, ცდილობს მიეშველოს სიცოცხლეს, სრულყოს სიცოცხლე. ასეთივეა სული ადამიანისა, როცა მას დაუდგება გაზაფხული".[1] მაშასადამე, პოეტის შეხედულებით, ბუნება როგორც მთლიანი და ადამიანი როგორც მისი ნაწილი ერთნაირი პრინციპით მოქმედებენ, სრულქმნიან ღირებულებებს, სიცოცხლეს, თანაც, თავიანთი თვითმყოფადი შინაგანი კანონზომიერებების მიხედვით, სადაც ასოციაციური მსგავსებების პოვნა მუდმივად შეიძლება.

მწერლის თვალსაზრისით, თუ ყოველი ერის ცხოვრებას, კულტურას წარმართავენ „ბუნების თვალებით" მაცქერალი, ბუნების სიბრძნისა და ზომიერების ამთვისებელი ადამიანები, მაშინ საყოველთაო ბედნიერება და პროგრესი შორს არ იქნება. ამგვარ ვითარებაში სრულად გამოვლინდება პიროვნებათა და ხალხის სულის გაზაფხულების ჭეშმარიტი შინაარსი, განუზომლად ამაღლდება ეროვნული თვითმყოფადობის ზოგადი ღირებულება. აქედან პოეტი მიდის უფრო ღრმა განზოგადებამდე და მიიჩნევს, რომ ამაღლებული, განვითარებული, სრულქმნილი ურთიერთობებით ცნობილი ერები ქმნიან კაცობრიობის ერთიანი წინსვლის საწინდარს. ყოველი ერის შემოქმედებითი პოტენციალი თუ ბუნებრივ ზომას დაემორჩილება, საკუთარ ბუნებრივ-სოციალურ გარემოში განვითარდება, მაშინ იგი ბევრ ფასეულობას მიამატებს კაცობრიობის ცხოვრებას.

ვაჟა-ფშაველას მრწამსით, თუ ერს მრავლად ჰყავს ბუნების გაზაფხულების მსგავსი თავისუფალი, ამაღლებული სულის ადამიანები, მაშინ ხალხის ცხოვრებაში, მის სულის გაზაფხულებაშიც წარმოჩნდება ბუნების დიადი ჰარმონია, სიკეთე, სიბრძნე და სილამაზე.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობა და პოეტური იდეალი ცხადყოფს, რომ ბუნება მბრძანებელია, თანაც კეთილი და მშვენიერი საქმის მკეთებელი. მას დაუდგრომელი შემოქმედების მიზნად არა მხოლოდ სიცოცხლის განგრძობა, არამედ ისიც დაუსახავს, რომ ადამიანებს გაგვაგებინოს სიტკბო სიცოცხლის, შეგვაყვაროს თავიც და ტურფად ნაგები ბუნებრივი სასიცოცხლო

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 385-386.

გარემოც. პოეტის მრწამსით, სამყარო-ბუნების ერთ-ერთი უძირითადესი დანიშნულებაა სიცოცხლის განგრძობა, მაგრამ ეს სიცოცხლე, თავის მხრივ, საბედისწეროდ არ უნდა დაშორდეს ბუნების ჰარმონიას, მისეულ ზომა-წონას, „სიმართლესა" და მშვენიერებას. მოაზროვნე, მდიდარი ფანტაზიის ადამიანი ყოველთვის პოულობს ბუნებაში ისეთ მოვლენას, რომელიც ან პოზიტიური, ანაც ნეგატიური თვალსაზრისით არის შესაფასებელი. ბუნება როგორც დიადი ერთიანობა სიცოცხლისთვის უფრო მეტად კარგისმთქმელი და კარგის მოქმედია. მისი ცალკეული საგნებიც თითქოს სხვისთვის სიკეთე-სიამოვნების მისანიჭებლად იღვწიან და ადამიანებსაც ამას შთააგონებენ. პოეტის შეფასებით, „კაი ცხენი ბევრჯელ დაიღლება, ბევრჯელ გაიბანება ოფლში, ბევრს ტანჯვასა ჰნახავს, მაგრამ მხედარს კი ბევრს ასიამოვნებს. სანთელიც იმითია კარგი, რომ თვით იწვება და სხვას კი გზას უნათებს, წყვდიადს აქარწყლებს, ნათელს გვფენს, უხილავს მიდამოს ხილულადა ჰქმნის და სხვანი. ერთი სიტყვით, კარგს რასაც ვხედავთ ბუნებაში, ყოფილა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო. მაშასადამე, თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისას და ჩვენ კაცთ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მისს განაჩენს".[1] ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ბუნებიდან უნდა ითვისებდეს სხვისთვის სიკეთის მოტანის პრინციპს, მას უნდა ჰბაძავდეს, რათა საკუთარი არსება სრულქმნას. „კაი საქმე" და „კაიკაცი", რომელიც ერს, კაცობრიობას გამოადგება პოეტს საფიქრალად გახდომია და ამიტომ ბუნებასაც მოუხმობს საშველად, შთამაგონებლად, თუმცა სწამს ისიც, რომ თვით კაცთა სოციალურ ცხოვრებაშიც ბევრი რამ წარმოშობილა სანიმუშო. პოეტის შეხედულებით, ბუნება და სოციალური ყოფის თავისებურებები ზემოქმედებენ პიროვნებაზე, მაგრამ პიროვნება აგრეთვე ღრმად უნდა ჩაუკვირდეს თავის სულიერ უნარებს, განსაჯოს მათი დახვეწის გზები. პიროვნებამ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს თვითგაუმჯობესების სულიერ-გონით შესაძლებლობებს. რაფინირებული გრძნობა-გონებისა და ხასიათის ადამიანები, ავტორის გაგებით, წარმოსდგებიან ერისა და კაცობრიობის ნუგეშად. თუმც მაღალი გრძნობა და გონი წინააღმდეგობისა და შინაგანი ბრძოლის გა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „ყოველდღიური ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 189.

რეშე თითქმის არ არსებობენ. ბუნება ცვალებადობა-მოძრაობის, ქმნისა და გარდაქმნის საფუძველზე წარმოქმნილი მრავალფეროვანი ფენომენების უალტერნატივო საგანძეა. თუ მასთან შევადარებთ ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობის თავისებურებებს, ვირწმუნებთ, რომ საკუთრივ ადამიანის სულიერი შესაძლებლობების ასპარეზიც განუზომლად ფართოა. თავისებურ მხატვრულ შედარებას ახდენს ვაჟა-ფშაველა მრავალ თხზულებაში, როცა ბუნების ქმნილებათა თვითმოქმედებისა და ადამიანის ქცევის შეწონასწორების საფუძველზე სხვადასხვა მოვლენის შეფასებას იძლევა. ამ შედარება-შეფასების პროცესს კი საძირკვლად უძევს სიცოცხლის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარება.

პოეტის რწმენით, ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებლობების რეალიზებამ უნდა გამოავლინოს მთელი სპექტრი იმ ღირებულებებისა, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით იქმნება ნებისმიერი ლიტერატურული ტიპი. საერთოდ კი ადამიანის შემოქმედების კარგი ნაყოფი, მისი ღირებულებითი ძალმოსილება შემოქმედის სასრული ცხოვრების შემდეგაც აგრძელებს მოქმედებას, ასაზრდოებს ახალ იდეალებს. სიბრძნის, სიკეთისა და მშვენიერების ფუნდამენტზე აღმართული მხატვრული სახეები კი მრავალი თაობის სულის მოთხოვნას აკმაყოფილებენ.

ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგების მიხედვით, სიცოცხლე არის ის უბადლო ღირებულება, რომლის საფუძველზეც განსახიერდება, საერთოდ, ადამიანებისა და მათი ცხოვრების ბუნებასთან მიმართების ყველა ასპექტი. სიცოცხლემ საკუთარი არსობრივი შესაძლებლობები მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოების ისტორიის დიადი ერთიანობის პირობებში უნდა გამოკვეთოს. ადამიანი თავის შესაძლებლობებს ვერ ცხადყოფს, თუკი იგი ერთიმეორეს დააცილებს არსებობის ნატურალისტურ-ბიოლოგიურ და სულიერ-იდეალურ მხარეებს. ამ კავშირში ადამიანმა აუცილებლად უნდა იპოვოს იდეალური ქმედებისთვის საჭირო „ოქროს შუათანა“, ისეთი ზომა, რომელიც მას დაიცავს მავნე გადახრებისაგან. მაშასადამე, მწერლის აზრით, ადამიანი თავის თავს ვერც ნატურალისტურ-ბიოლოგიურ ჩარჩოებში ჩაკეტავს და ვერც მისგან მოწყვეტილი მხოლოდ მაღალი სულიერი სწრაფვებით დაკმაყოფილდება. ცალმხრივად გაბატონებული აღნიშნული ტენდენციები მხოლოდ ზიანს მოუტანს სინამდვილეს. მათი ჰარმონიის მიღწევის გზები უნდა იქნეს ნაპოვნი.

ბიოლოგიურ-ცხოველური ვნებებით შეპყრობილი ადამიანი არა მარტო ბუნებას აჩანაგებს, არამედ მეორე ამაღლებული სულიერების პატრონ ადამიანსაც მხოლოდ მომხმარებლური ინტერესით უცქერის. მისთვის ყველაფერი მხოლოდ დაგროვება-მოხვეჭის სურვილით განისაზღვრება და ამიტომაც იგი ზნეობრივი სიმდაბლისკენ მიექანება.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ეს არ არის მხოლოდ პიროვნული პრობლემა, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების სახეს ასეთი თუ ისეთი უნარის მქონე პიროვნებები ქმნიან. ცხადია, ვიტალურ-ბიოლოგიურისა და მისტიკურ-სულიერის ცალმხრივად გაბატონებას ცხოვრება ვერ გუობს.

ვაჟა-ფშაველა არა მხოლოდ მწერლობაში ჩანს დიდ რეალისტად, არამედ ცხოვრებისა და ბუნების ღირებულებათა ჩვეულებრივი განსჯისდროსაც. სიცოცხლის, ერისა და კაცობრიობისთვის საჭირო ღირებულებათა მხატვრული განსახიერება პოეტს უდიდეს საქმედ მიაჩნდა. მას არასოდეს უცდია შეექმნა ისეთი მხატვრული სახე ან ადამიანის ხასიათის თუ ცხოვრების ისეთი მისტიკურ-უტოპიური მოდელი, რომელიც მოწყვეტილი იქნებოდა ბუნებრივი და სოციალური საჭიროებისგან. ამიტომაც, ვფიქრობთ, ზოგიერთი მკვლევარის მიერ არასწორად იქნა მინდიას სახე გაგებული, როცა მას არაამქვეყნიური, ფანტასტიკური და, ამასთანავე, ანტისაზოგადოებრივი შინაარსიც კი მიაწერეს. შემოქმედმა სიმბოლურ-ალეგორიული, მეტაფორული პოეტური პირობითობები ნაირგვარი მასალისა და იდეის შესაბამისად შეიძლება გამოიყენოს. ამგვარმა მხატვრულმა მიმართებამ შეიძლება მოიცვას მაგიურ-მითოსური, რელიგიური, სოციალურ-ისტორიული ფაქტები, მაგრამ მხატვრული ხერხის, გამონაგონის შეფასების ჩრდილში არ უნდა მოექცეს პიროვნულ-ადამიანური პრობლემების მნიშვნელობა.

მხატვრულმა პირობითობებმა მხოლოდ ადამიანურის საზრისი უნდა გახსნან ცხოვრებასა და ბუნებასთან მიმართებაში. გველის ხორცის ზმანებრივი მიღების გამო გველისმჭამელ მინდიას ბრძენ კაცად გადაქცევა, მის მიერ ბუნების ქმნილებათა წუხილისა და ენის გაგება ან კიდევ აღნიშნული უნარის გაუცნობიერებლადვე დაკარგვა მხოლოდ მხატვრული ხერხია და მის მიღმა იშლება გმირის თვითცნობიერების მოძრაობის, მისი იდეალის საყოველთაოდ მისაღები წესრიგი. პოემაში ყველაფერი ისე განსახიერდა, რომ არ დაკარგულიყო მინდიას თავგადასავლის პიროვნულ-ინდივიდუალური, ეროვნული და საკაცობრიო ნიშნე-

ბი. მასალა თავისთავად ღირებულებას ფლობს, ხოლო მხატვრული სახის სოციალურ-ფსიქოლოგიური თუ ზნეობრივ-ესთეტიკური შინაარსი საკუთარ თვთმყოფადობას გამოკვეთს. აღნიშნულის გამო მხატვრული სახის შესაფასებლად რაიმე „იზმის“ მოხმობა თითქმის არაფერს გვეუბნება არც გმირის ხასიათის ზოგად მნიშვნელობაზე და არც ავტორის მსოფლმხედველობის რაობაზე. შემოქმედის მთავარი მიზანი მინდიას სახის დაფუძნებისას პოეტურ პირობითობათა გამოგონება კი არ იყო, არამედ ის, თუ ადამიანის რა პერსონალური და სოციალურ-ბუნებრივი შესაძლებლობები უნდა წარმოჩენილიყო განუმეორებელ მხატვრულ ფასეულობად.

პოეტის გაგებით, დიდებული ადამიანის მოღვაწეობა ბუნებისა და ცხოვრების ფართო არენაზე მიმდინარეობს. ამიტომ გარემოს მრავალმხრიობისა და ადამიანის სულიერ უნართა დინამიური კავშირი გამორიცხავს უცვლელი და მარადიული იდეალების არსებობას. ყველას მიერ და ყოველთვის გამოსაყენებელი იდეალის მოდელი არც ერთ გენიოსს არ შეუქმნია.

ცხადია, იდეალის მარადიული მოდელის შექმნას არც ვაჟა-ფშაველა ცდილობდა, ხოლო იმას კი უბადლოდ გამოხატავდა, თუ ადამიანს როგორ უნდა მიეგნო თვითგაუკეთესების გზისთვის, რათა ცხოვრება წინ წასულიყო.

პოეტის გაგებით, არც პოზიტიური და არც ნეგატიური შინაარსი ცხოვრებისა დიდხანს სტატიკურ ვითარებაში ვერ იქნება; მცდარი უნდა გასწორდეს, ხოლო სწორი გაუმჯობესდეს. ეს საყოველთაო კანონია და გულისხმობს პროგრესის უზრუნველყოფას. ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა დახვენა ბუნებასა და ცხოვრებასთან მიმართებისას მიიღწევა. თუმცა თვითონ კონკრეტულ-ისტორიულ ყოფაში და თავად პიროვნული არსებობის სიღრმეში ხშირად ჩნდებიან თვითსრულქმნის შემაფერხებელი მიზეზები. თავისუფლების, ბედნიერების ახალი საფეხურის შესაქმნელად ჭეშმარიტმა სულიერებამ აღნიშნული მიზეზები უნდა დაძლიოს. ამგვარი ადამიანური უწყვეტი გარჯა, შინაგან შესაძლებლობათა რეალიზება არის ცხოვრება და სამყაროში საკუთარი ადგილის ძიებაც. ვაჟას თვალსაზრისით, ადამიანის სულიერებას ბევრი რამ ღვთაებისა და ბუნებისგან მიენიჭა. პიროვნებად ყოფნა ბუნებრივ-სოციალური უნარების სწორად მოხმარება-განვითარებას ნიშნავს. მაშასადამე, პიროვნება, ინდივიდუალობის გარდა, თავის არსებაში მოიცავს ბუნებისა და ცხოვრების ნიშნებს. დიდებულია ის ხელოვანი, ვისაც ადამიანის ეს შინაგანი ბუნებრივი კავშირები შეუმჩნევია, განუსახიერებია და მათი

ღირებულების მართალი განცდა მკითხველისთვის მიუწოდებია. მწერლის გაგებით, ამგვარი მხატვრული სახეები უნდა გვაგრძნობინებდნენ, რომ ადამიანი ბუნებაშია მარადიულად, ხოლო ბუნება – ადამიანის ხასიათში.

ადამიანი თავის სიცოცხლითა და ცხოვრებით ბუნების ერთერთი ინდივიდუალობაა, რომელიც მისი შემავსებელ-გამამდიდრებელი უნიკალობაა. ზოგადი შინაარსით ინდივიდის დამოკიდებულება საზოგადოებისადმი ძალიან ჰგავს ბუნების ცალკეული ქმნილების მიმართებას სამყაროს მთელთან. ადამიანის გარჯა ქმნის ისტორიას, ცხოვრებას, როგორც ერთიანობას. ცხოვრება, მართალია, წარმოუდგენელია მთელი კოსმოსის ზემოქმედების გარეშე, მაგრამ სამყაროსეულ ღირებულებათა დიად იერარქიაში კაცთა ყოფიერებას მაინც უალტერნატივო, თვითმყოფადი როლი ეკუთვნის. ცხოვრება სპეციფიკური ხასიათის მთლიანობაა, რომლის მიმართ პიროვნებას, როგორც ცალკეულს, ნაწილს მთელისას, დიდი ფუნქცია აკისრია. ყველა დროის საზოგადოება პიროვნებებისგან შედგებოდა და იძენდა თავისებურ სახეს. პიროვნება, დიდბუნებოვანი ადამიანი, პოეტის გაგებით, ერთდროულად გამოხატავდა მარადიულ თუ წარმავალ ბუნებისეულ და სოციალურ ნიშნებს. პოეტის მრწამსით, ადამიანი რაღაც უკვდავი ფენომენის ძალით თავის არსებაში მუდმივად მოაქცევდა ბუნებისა და ისტორიის მადლმოსილებას. საერთოდ ორივე ამ უდიდესი მოვლენის კავშირ-მიმართებათა არსი მხოლოდ ადამიანს უნდა გაეგო, განეცადა და თანდათანობის წესით აეთვისებინა კიდეც. ამიტომ ვაჟა პიროვნებას ანიჭებდა მთელი ბუნებისა და სოციალური ყოფის შემფასებლის მისიას. სამყარო-ბუნების გამგებადაც პოეტი „იდეალისტ", სულიერად მდიდარ ადამიანს მიიჩნევდა. შემოქმედად ქცეული ასეთი ადამიანი, ვაჟას სიტყვით, კაცთა ცხოვრებას „ბუნების თვალებით" უნდა უცქეროდესო. ამიტომ, პოეტის გაგებით, დიდი მწერლების მიერ დამკვიდრებული მხატვრული სახეები რომელიმე თეორიული „იზმის" ჩარჩოში ვერ მოთავსდებიან.

ნათქვამი უშუალოდ უკავშირდება მინდიას მხატვრული სახის შეფასების საკითხს. მინდია, თვითონ პოეტის თვალსაზრისით, ის ადამიანია, რომელმაც ბუნებრივი და სოციალური სინამდვილე მრავალმხრივ გამოხატა. ეს იმასაც გულისხმობს, რომ მწერლის მხატვრულმა წარმოსახვამ გმირის სახეში ერთიმეორეს გადააქსოვა ბუნების, ისტორიისა და პიროვნების თავისთავადი ნიშნები. „გველის მჭამელის" სიუჟეტმა და სახეთა სისტემამ ის აზრი ცხადყო, რომ ადამიანის სიცოცხლის უმაღლესი საზრისი

და ბედნიერება მხოლოდ სამყარო-ბუნების თუ კაცთა ცხოვრების შინაგანი კანონზომიერების გონივრული შეწონასწორებით, მათი მნიშვნელობის გათავისებით მიიღწევა. პოეტის მრწამსით, ბუნებიდან სიბრძნის, სიკეთისა და მშვენიერების მადლი უშუალოდ გადმოდის კაცთა ცხოვრებაზე. ამიტომ ადამიანის სულიერებისთვის ბუნება მუდმივი აწმყოა. ამასთანავე, გონიერებისა და მშვენიერების უბერებელი ნიმუშია. ამ აწმყოს სწორი განცდა-გაცნობიერება სჭირდება, რასაც კაცნი ყოველთვის ვერ ახერხებენ. ბუნების წესრიგის, მისი ჰარმონიის უგულებელყოფა ან „ვერ ცნობა", ვაჟას აზრით, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანია ადამიანების ცხოვრებაში სხვადასხვაგვარი ნაკლის გაჩენისა. ასეთი აზრი მწერლის მრავალ თხზულებაში გამოიხატა. პოემა „გველის მჭამელის" ავტოგრაფები აღნიშნული თვალსაზრისის წარმომჩენი სტრიქონებით იწყება: „გაჭირდა ფრიად ცხოვრება, სულ თქვამს და ოხრავს სოფელი... დედის ბედს შვილი დასტირის, შვილისას ტირის მშობელი. ტირილსაც ბოლო ექნება, რა მოიღლება გუნება, ან იქ სინანულს რა უნდა, საცა არ არის ცდუნება?! ისე ვჩნდებით და ვილევით, არა გვაქვს გაგებულება, ბუნების ძალთა სიბრძნისა (ან ბ ვარიანტის: „ბუნების საბრძნო წიგნისა") ვერ ვცანით დიდი თხზულება".

მწერალმა „დაიწუნა" ავტოგრაფებში დაცული ამგვარი დასაწყისი და საბოლოო შემოქმედებითი ნების გამომხატველ ნაბეჭდ ტექსტში ეს სტრიქონები აღარ შეიტანა. როგორც პროფ. ი. ევგენიძე აღნიშნავს, ვაჟა ამ ნაწარმოების წამყვანი ტენდენციის ღიად მომწოდებელ აზრს „აიდუმალებს", გამოსაცნობს ხდის, რადგან „...ნაწარმოების წამყვანი ტენდენციის თუ ძირითადი იდეის დაფარვა – ეს ვაჟასეული მხატვრული მანერაა, ვაჟას მრავალი თხზულებისთვის ნიშანდობლივი და ერთგვარ ესთეტიკურ პრინციპამდე აყვანილიც კი. ამით პოეტი კიდევ უფრო ზრდის მხატვრული ქმნილების მიმზიდველობას, მის ემოციურ ძალას".[1] აღნიშნული სრულიად სარწმუნოა. მწერალმა პოემის ამგვარი დასაწყისის შექმნით და მერე მისი უარყოფით მაინც გვითხრა, რომ იგი ცხოვრებისგან მოწყვეტილ ზღაპრულ თხზულებას ან გმირის ფანტასტიკურ სახე-იდეას კი არ ქმნიდა, არამედ ყველა დროისთვის მტკივნეულ და ღრმა ზოგადადამიანურ მოვლენებს განასახიერებდა. ადამიანის ტკივილი თუ სიხარული კი, ვაჟას

[1] ი. ევგენიძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისთვის, თბ., 1977 წ., გვ. 190.

ესთეტიკური მრწამსის მიხედვით, ბუნებისა და ცხოვრების ფონზე და მის წიაღში უნდა გახსნილიყო. პოემის ვარიანტების „დაწუნებული" დასაწყისიდანაც ჩანს პოეტის მირ მრავალჯერ გამოთქმული აზრი, რომ ცხოვრებაში ბოროტების, უსამართლობის გაძლიერება ხდება მაშინ, როცა ადამიანები სამყარო-ბუნების გონიერებას, წესრიგსა და ზომას „ვერ სცნობენ". პოეტის მიზანი იყო შეექმნა სამყარო-ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ურთიერთმიმართების არსის მაუწყებელი თხზულება, რომელიც ძირითადად მაინც დაემყარებოდა პიროვნების, დიდებული ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებლობების როგორც ზეაღსვლის, სრულქმნის, ასევე მათი დაცემა-დამდაბლების ნაირგვარი მიზეზების მხატვრულ ცხადყოფას. ბუნებაში სანიმუშო ისაა, რომ მას ადამიანის მსგავსად ვერ იმორჩილებს მოვლენათა მცდარი, ზომას გადაცილებული მოქმედება. ნაწარმოების ჩანაფიქრში ჩანს დიდი რეალისტი შემოქმედის ზრუნვა ცხოვრებისა და ადამიანის გაუკეთესებაზე. მართალია, ვაჟამ მაგიურ-მითოსური, რელიგიურ-ფილოსოფიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეთიკურ-ესთეტიკური აზრის მქონე ძველი თუ ახალი მასალა უხვად შემოიტანა ნაწარმოების სიუჟეტში, მაგრამ გენიალური მხატვრული ალღოს წყალობით, რაფინირებული გემოვნების ძალით და მასშტაბური პოეტური პირობითობების გამოყენებით ნაირნაირი მასალა დიდი პოეზიის სამსახურში ჩააყენა. ავტორის გაგებით, პოეზიის სიდიადე კი, უწინარეს ყოვლისა, სიცოცხლის დანიშნულების, მისი მრავალწახნაგოვნების ჩვენებას გულისხმობს.

პოემაში პოეტმა უძველესი წარმოდგენებიც და მხატვრულ პირობითობათა სისტემაც რთული საზოგადოებრივი პრობლემების ასახსნელად, ცხოვრების ჭირისა თუ ლხინის საჩვენებლად გამოიყენა. საზოგადოდაც, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების განმასახიერებელი ბუნების თემაზე შექმნილი სიმბოლურ-ალეგორიული ამბების შემცველი ბევრი თხზულება რეალურად მხოლოდ ადამიანის არსებობის მრავალმხრივობას გამოამზეურებდა. მისი სიტყვით, მწერალი „ადამიანთა ცხოვრების დარაჯია... ცხოვრების და ბუნების გარეშე წარმოუდგენელია მწერალი, როგორც ყოველი სულიერი და უსულო არსება; წარმოუდგენელია ნიჭიერი მწერალი, გენიოსი, უიმისოდ, რომ იმას არ აწუხებდეს ტკივილები ადამიანთა ცხოვრებისა".[1]

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ გვ. 295.

ვაჟა-ფშაველა ბუნებასა და ცხოვრებას სიტყვიერი ხელოვნების საფუძვლად, მიზნად მიიჩნევდა. მისი აზრით, მართალია, ბუნება კაცთა ცხოვრებისგან დიდად განსხვავებული წესრიგის მფლობელია, მაგრამ მხატვრული მიზნის, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლის საზრისის განსახიერებისთვის შემოქმედნი მას მუდამ იყენებდნენ. თვითონ ვაჟა-ფშაველამ კი ბუნების გაგებისა და პოეზიაში მისი დამკვიდრების ორიგინალური თვალსაზრისი შეიმუშავა. პოეტმა გვაუწყა, რომ კოსმიური მთლიანობა, ნაწილებთან მისი კავშირის წესი, საერთოდ ბუნების საგან-მოვლენათა ქმნა თუ გარდაქმნა, მათ შორის არსებული პოლარული მიმართებები ისეთი გონიერების გამოხატვაა, რომელიც ადამიანთა გონიერებას ბევრით აღემატება. მართალია, ადამიანი ბუნების ერთ-ერთი უმაღლესი ქმნილებაა, მაგრამ მან თავისი თავი, უწინარეს ყოვლისა, სამყაროს წესრიგის ზეგავლენით უნდა სრულქმნას, რადგან ამ წესრიგს კაცთა ცხოვრების ნორმები თურმე ვერ შეედრება. ასე რომ, მხოლოდ სოციალურ გარემოში ჩაკეტილი ადამიანი ჰარმონიულ პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება, რადგან ეს გარემო არასოდესაა ბუნებასავით მოწესრიგებული. ბუნების ამგვარი ღირებულების ჩვენებაც დააკისრა ვაჟამ მინდიას, თუმცა ისეთნაირად, რომ თვითონ ადამიანის მხრიდანაც გამოვლენილიყო ბუნების სიდიადის განცდა-გაგების უნარი თუ წყურვილი. მინდია სიმბოლური მხატვრული სახე-იდეაა, რომელმაც ბუნებისა და კაცთა ცხოვრების კავშირის საფუძველზე უნდა წარმოადგინოს პიროვნების სულიერ-გონით უნართა მოქმედების მთელი სპექტრი. ასეთი რთული მხატვრული მიზანი, ცხადია, იმთავითვე გულისხმობდა ბუნებისა და ადამიანის მიმართებების იდუმალებით მოცული მოვლენების მეტაფორულ განსახიერებას, უცნაური მაგიურ-მითოსური მასალის მოხმობას ახალი აზრის სიმბოლურად გამოთქმისთვის. მაგრამ გამონაგონის მიღმა შემოქმედი ყოველთვის რეალური ბუნებრივი და სოციალური მოვლენების სასიცოცხლო ღირებულებას ცხადყოფდა.

„გველის მჭამელის" მხატვრული აზრი, მინდიას სახე სალიტერატურო კრიტიკის მიერ თავიდანვე ურთიერთსაპირისპირო პოზიციებიდან ფასდებოდა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. უთვალავი უცნაურობა მიეწერა ნაწარმოებს, კერძოდ, მინდიას სახეს. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მინდიას საზოგადოებასთან დაპირისპირებულ, მაგრამ მისთვის საჭირო პიროვნებად, ანუ ეპოქის რევოლუციურ მოთხოვნებთან დაახლოებულ ადამიანად, მიიჩნევდა. მეორე ნაწილი კრიტიკოსებისა მინდიას წარმოადგენ-

და სინამდვილისგან მოწყვეტილ, ყოვლისმცოდნეობის ილუზიებში გახვეულ და ამის გამო ცხოვრების ბუნებრივი კანონზომიერებების წინააღმდეგ მოქმედ უსარგებლო, ანტისაზოგადოებრივ და ამის გამო მარცხისთვის განწირულ უტოპისტ არსებად. ზოგი კრიტიკოსი კი მინდიას ნიცშეს ზეკაცს ადარებდა.

ვფიქრობ, პოეტის მსოფლმხედველობა და თვითონ პოემა „გველის მჭამელის" შინაარსი არ გულისხმობს არც მინდიას ყოვლისმცოდნეობას, არც მისი სულიერი სწრაფვებისა და საქციელის ანტიხალხურობასა და არც მის რევოლუციონერობას. თხზულების სიუჟეტი ცხადყოფს, რომ მინდია არ არის ყოველისმცოდნე, ზეკაცი, რევოლუციონერი და ხალხის ბუნებრივი ცხოვრების უარმყოფელი. მინდია სამყარო-ბუნებისა და კაცთა ცხოვრების სისტემურ მიმართებაში ეძიებს დიდებული ადამიანის ადგილს, მისი უნარების რეალიზების ისეთ ღირებულებით ორიენტირებს, რომლებმაც ყოფიერება და თვით პიროვნებაც უნდა სრულქმნან.

ადამიანის სრულქმნა კი ბუნების კანონზომიერების ცოდნასაც უნდა დაემყაროს. თვითგაუმჯობესების ეს ევოლუციური გზა რთულია, წინააღმდეგობრივი, ზოგჯერ აუხსნელიც და შემოქმედისგან ითხოვს მრავალი მხატვრული პირობითობის დაშვებას, ანუ არარეალურის რეალურად წარმოსახვას, რაც პოემაშიც ცხადად ჩანს. პოემა „გველის მჭამელში" ურთულესი ცხოვრებისეული და პიროვნული პრობლემები მართავენ მხატვრულ გამონაგონს, პოეტურ პირობითობებს, ფანტასტიკურის მოხმობას და არა, პირუკუ.

მწერლის მსოფლმხედველობით, რაკი ბუნება და ცხოვრება ევოლუციური განვითარების, ანუ „თანდათანობის კანონის", მოქმედებას ემორჩილება და ამ კანონის ერთ-ერთი განმასახიერებელი ადამიანიცაა, ამის გამო ის თავის სასრულ ცხოვრებაში ვერ იქნება ყოვლისმცოდნე და უშეცდომო. ვაჟას სიტყვით, ადამიანი მუდმივად ეძიებს, ელოდება და ცდილობს „უნახავის დანახვას", მაგრამ სამყარო-ბუნებისა და ისტორიის თვითარსებობაში იმდენი იდუმალება არის გაუჩინარებული, რომ კაცნი დაუსრულებელი ძიებისა და მოლოდინისთვის არიან განწირულნი. მწერლის აღიარებით, ადამიანთა არსებობის ისტორია მუდმივი შეცდომისა და შეცდომების გასწორების უწყვეტი ჯაჭვია, რის გამოც ყოვლისმცოდნეობას დედამიწაზე ადგილი არა აქვს. მაშასადამე, მინდია ყოვლისმცოდნე კი არა, არამედ თავისი დროის სხვა ადამიანებისგან განსხვავებული, გამორჩეული უნარების

ადამიანია; იგი ბუნებრივი და სოციალური ღირებულებების ერთიანობაში მწვდომი და შემფასებელი მაღლამხედი პიროვნებაა. მინდიას სულიერ-გონითი უნარების შეფასებისას, ცხადია, ერთიმეორეში არ უნდა აირიოს ადამიანის შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობების სიმბოლურ-მეტაფორული განსახიერების საშუალებები. პოზიტიური აზრით, ადამიანს მცენარეთა, ფრინველთა თუ ცხოველთა ენის გაგება არანაირი ხერხით არ შეუძლია, რადგან ასეთი ხერხი არ არსებობს; მაგრამ ფაქტია, რომ ბუნების მოვლენების გაგების, ასევე მცენარეთა სამკურნალო თვისებების დადგენის თვალსაზრისით ადამიანები ერთიმეორისგან ოდითგანვე დიდად განსხვავდებიან. ადამიანები განსხვავდებიან, ცხადია, ბუნების ემოციურ-ესთეტიკური განცდითაც. პოეტური პირობითობის ენაზე ხელოვნება უძველესი დროიდან ალაპარაკებს „უენპირო" ბუნებას. ასე ალაპარაკებს ვაჟაც ბუნებას რთული ადამიანური პრობლემების გამოსაკვეთად.

როგორც ყოველ გენიალურ მხატვრულ ქმნილებაში, „გველის მჭამელშიც" არის და უნდა იყოს კონტრასტული შეპირისპირებანი, რაღაცის გაზვიადება, ფანტასტიკურის პირობითად, პოეტური ლოგიკით გამართლება, თუმცა პოემაში არაფერია ისეთი, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ცხოვრების ბუნებრივ მსვლელობას, ტრადიციული წარმოდგენების შინაარსს ან მხატვრული ხედვის ტრადიციულ მანერას. რაც მთავარია, აქ არაფერი ეწინააღმდეგება თვით მწერლის ჯანსაღ, რეალისტურ მსოფლგაგებას და მაღალ პოეტურ იდეალს. ამიტომ მინდიას მიჩნევა ბუნებისა და სოციალური ყოფის ზოგად წესებთან დაპირისპირებულ, არარეალურ ან ქვეყნის საზიანო არსებად, არასწორი შეფასებაა. თვითონ ვაჟას არც ლიტერატურულ წერილებში და არც პოემაში არ მიუჩნევია მინდია უარყოფით ტიპად. ეს აზრი უფრო ნათლად გამოიკვეთება, თუ მინდიას სახის შეფასებისას გავითვალისწინებთ მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მთელს შინაარსს. რეალობისგან მოწყვეტილი, ვიწრო გრძნობა-გონების ადამიანს ვაჟა არსად წარმოადგენს წინაპართაგან დაფასებულ, მით უფრო, დიდი თამარის მიერ საქებ გმირად. იგულისხმება, მინდიას დახატვით პოეტს არ უცდია შეექმნა უნაკლო, იდეალური ადამიანის დასრულებული, ყველა ეპოქისათვის მისაბაძი ტიპი. პოეტის გაგებით, ყველა დროისთვის მოსარგები მხატვრული სახის მოდელის შექმნის ცდა ამაოა, რადგან ყველაფერი გლობალური ევოლუციურობის პრინციპს ემორჩილება. მიუხედავად ამისა, ბევრი დიდი მწერლის გმირი და ვაჟას მინდიაც შეუდარე-

ბელი ძალით გამოხატავს იმ მარადიულ უზოგადეს ცხოვრებისეულ და ზეპიროვნულ პრობლემებს, რომელთა ავ-კარგზეც ეფუძნება, საერთოდ, სიცოცხლის ჯანსაღი საზრისი. სწორედ ასე აფასებს ვაჟა გენიოსთა მიერ გამოძერწილ ტიპებს, რომლებიც სიცოცხლის მრავალმხრივობას აძლევენ პასუხს. „პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტიპებს ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბაძავს, ისეთს ტიპებს, რომლის მსგავსნიც უნდა, რომ იყვნენ პოეტს ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოღებული ნაკლი".[1] უნაკლო კი, ვაჟას მრწამსით, ცხოვრება და ადამიანები არასოდეს ყოფილან, რადგან ვერგაგების მრავალი მიზეზი სინამდვილისა და თვით ადამიანის არსებაში არის ფესვგადგმული. აღნიშნულის გამო „პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა – ისეთის ტიპებისა, რომელნიც უვარგისნია და მეორე, რომელნიც საჭირონია ცხოვრების გასაუკეთესებლად".[2] მინდია მრავლისმთქმელი სიმბოლურ-მხატვრული სახეა, რომელმაც გამოკვეთა ზოგადადამიანური ღირსებებიც და ნაკლიც. ავტორის სიტყვისამებრ, იგი თვით ბუნებას ჰგავს.

ვაჟას აზრით, ილიას „ოთარაანთ ქვრივში" დახატული ტიპები ცხოვრების საჭიროებამ წარმოშვა. მწერალს „...შეუნიშნავს, რომ „ჩატეხილი ხიდის" გამთელების აზრი ბჟუტავდა ჩვენს საზოგადოებაში, მან მოაგროვა ეს სხივები და სანთლად დაგვიდგა ბნელს ღამეში. ამგვარი... მაღალი ხარისხის ტიპები – ღერძია ეროვნების ცხოვრებისა... ესეთი ტიპი აზრია, იგი ბედია ერისა და იმიტომ ყველასათვის საყურადღებო, მიმზიდველი... არიან კიდევ სხვაგვარი ტიპები, საკაცობრიო, როგორც, მაგალითად, დონ-კიხოტი და ჰამლეტი; ესენი მთელის კაცობრიობის საჭიროების მიხედვით არიან შექმნილნი, ანუ მათში გამოიხატება კანონები ცხოვრებისა. დონ-კიხოტი არის მეძიებელი სიმართლისა, ამისთვის თავგანწირვით მებრძოლი, ხოლო ჰამლეტი ძიებისაგან მოპოვებულის მჩხრეკელ-მრკვეველი, ანალიტიკოსი. ეს თვისება, ეს წესი საკაცობრიო საჭიროებაა, ყველა ქვეყნისა და ერისათვის მინიჭებული და არა მარტო ესპანელ-ინგლისელთა კუთვნილება".[3] ვაჟა-ფშაველამ, საზოგადოდ, მრავალმხრივი და უნაკლო

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 400.

[2] იქვე.

[3] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 402.

შეფასება მისცა ლიტერატურის ტიპურობის ფენომენს; ცხადყო, რომ ილია ქმნიდა ერის სულის, მისი ბედისა და აზრის გამომხატველ ტიპებს, რომელთაც საკაცობრიო მნიშვნელობაც ჰქონდათ. ცხადია, პიროვნებათა სრულქმნა საზოგადოების, ერის სრულქმნაა, ხოლო ერების ცხოვრების ამგვარივე ამაღლება კაცობრიობის გაუკეთესებას გულისხმობს. გარდა ეროვნული ტიპისა, იქმნებოდა კაცობრიობის საჭიროებათა გამომხატველი ზოგადი ტიპებიც. ჰამლეტისა და დონ-კიხოტის სახეში გამოიხატება, საერთოდ, ადამიანთა ცხოვრებისა და ურთიერთობების კანონები. პოეტის რწმენით, ბუნებასაც თავისი კანონები აქვს კაცთა ცხოვრებისა და თვით მწერლისთვის. ამიტომაც, ვაჟას გაგებით, გენიოსი მწერლები ბუნებას ადამიანის მეშვეობით ხატავენ, ხოლო ადამიანს – ბუნების ქმედებათა ანალოგიით. „ბუნება გამოსჭვირის“ რუსთაველის, შექსპირის, სერვანტესის გმირებში. ამიტომ, ვაჟას სიტყვით, „რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძნობა, გონება, იმდენად სავსებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეულ ტიპის მეოხებით“.[1] ვაჟამაქ გარდა ბუნების წესის გამოხატვისა, დონ-კიხოტი სიმართლის „მეძიებელ“, ხოლო ჰამლეტი ძიებით მოპოვებულის მჩხრეკელად, ანალიტიკოსად მიიჩნია, თანაც გვითხრა, რომ ამგვარი ტიპების მოქმედების ზოგადადამიანური საზრისი ყველა ერის მწერლობაში შეიძლება განსახიერდესო. ცხადია, პოეტი იცნობს ისეთ ტიპსაც, რომელიც ერთსა და იმავე დროს სიმართლის მაძიებელიც არის და ძიებით მოპოვებულის, დიდი ხნის წინათ ნორმადქცეული ადათების მჩხრეკელი, ანალიტიკოსიც. მწერალი თვითონ ალუდასა და ჯოყოლას სახით ქმნიდა ასეთი ხასიათის ტიპებს. მისი აზრით, ცხოვრება ყველგან ზოგადადამიანურის შემცველია და სხვადასხვა რასის თუ მოდგმის ადამიანებიც უძირითადესი მარადიული ნიშნების მიხედვით ერთნაირნი არიან. მაშასადამე, გენიოს მწერალს ევალება ეთნოგრაფიული, ეროვნული მასალისა და თავისებურებების საფუძველზე გამოათქმევინოს გმირს საკაცობრიო აზრი, სიხარული თუ ტკივილი. გმირი ინდივიდუალურად გამოხატავს საყოველთაოს, ზოგადსაკაცობრიოს. ეს იყო ამოსავალი პრინციპი თვითონ ვაჟას ეპიკური სახეების თვითმყოფადობისა და, ცხადია, გველისმჭამელი მინდიას სულიერი ძიებებისა. ვაჟას გმირები სიახლეს ეძიებენ სინამდვი-

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 396.

ლეში, იქვე გადააფასებენ ყავლგასულ მოვლენებს, ტრადიციულ ნორმებს და ამიტომ მუდმივად საკამათო, დიალოგურ მიმართებაში იმყოფებიან გარემოსა და საკუთარ თავთან.

გველისმჭამელი მინდია ავტორმა წარმოადგინა, როგორც თვითმყოფად ეთნოგრაფიულ გარემოში დაბადებული, მაგრამ უნივერსალური საკაცობრიო პრობლემების შეფასებამდე ამაღლებული დიდებული ადამიანი. ვითარებას ვერ შეცვლის ის, რომ მინდია ცხოვრებისეული ტენდენციების მიყოლისა და თუნდაც ზოგი საკუთარი სულიერი უნარის სისუსტის გამო მარცხდება. მიუხედავად მაღალი მიზან-ღირებულებების დამკვიდრებისთვის ბრძოლაში დამარცხებისა, მინდიას ავტორი მაინც გამარჯვებულ გმირად მიიჩნევს. მწერლისთვის მთავარი იმისი ჩვენებაა, თუ რა ძალისაა ის ბუნებრივი, სოციალური და პიროვნული სიღრმისეული მოტივები და მათი ურთიერთმიმართების წესები, რომელთა ღირებულებითი არსის სწორმა გაგება-შეფასებამ უნდა წინ წაწიოს ცხოვრება და სრულქმნას ადამიანი. ცხოვრება კი თაობების თუ ინდივიდების მიერ დაშვებული ადამიანური შეცდომების ისტორიაცაა. ადამიანი მუდმივად მიემართება ბუნებას, საზოგადოების ცხოვრებას, საკუთარ სულიერ-გონითი შესაძლებლობების ხატს. მიმართებების ეს პროცესი ვიწრო და უცხო ბილიკებზე სიარულს ჰგავს, როცა ამ ბილიკებს უნებლიეთ გადაცდება ხან გრძნობა, ხან გონება, ხანაც ინტუიცია; თუმცა ამგვარ ბილიკზე სვლა მაინც შეუპოვრად გრძელდება და ადამიანს მუდმივად თან მიაქვს ნაკლისა და ღირსებების, წარმატებისა და შეცდომის უმძიმესი ტვირთი – იგი ტვირთის სიმძიმეზე, ტანჯვაზე უარს არ ამბობს, ბოლომდე ცდილობს გრძნობა-გონების უმაღლეს, თუნდაც სიმბოლურ მწვერვალზე ასვლას. ვაჟას გაგებით, ბილიკი უსასრულოა და მხოლოდ „უნახავის დანახვის" უძლეველი სურვილი, მუდმივი „თვალ-გულის გაუმაძღრობა" ამოძრავებს ბილიკზე მიმავალს. რუსთველის, შექსპირის, სერვანტესის, დოსტოევსკის, ილიასა და, საერთოდ, დიდი მწერლების მიერ შექმნილმა ტიპებმა ამგვარ თვითმყოფად ბილიკებზე სიარულისას უნდა განასახიერონ ბუნებისა და ცხოვრების კანონები. კანონთა გამოხატვა კი იქნება ან მოსაწონი, ან დასაწუნი, ე. ი. იდეალი ყოველთვის არ მიიღწევა, რის შესახებ ვაჟაც ამბობდა: „რასაცა ვეძებ, იმისა არ როდესა ვარ მპოვნელი". მიუხედავად იმისა, რომ იდეალი მიუღწეველია, სიკეთისთვის გარჯაც ხშირად ტანჯვაა, ხოლო შემოქმედი მაინც მხურვალედ ევედრება უფალს, არ მოაკლოს პოეტური ტანჯვის მადლი: „გონებას ფიქრი სტანჯავდეს,

გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი, მშიოდ-მწყუროდეს კეთილი, ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი... ნუ დამასვენებ ნურასდროს, მამყოფე შეძრწუნებული, მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული; როცა გულს ცეცხლი მედება, გონება მსჯელობს საღადა, – მაშინ ვარ თავისუფალი, თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა".

ვაჟა-ფშაველას „ჩემი ვედრების" ამგვარი ლირიკული აღსარების პათოსი ვრცელდება მისი მრავალი ეპიკური გმირის ხასიათსა და თავგადასავალზე. სიკეთისა და სამშობლოს ერთგულებისთვის „მშიერ-მწყურვალნი" არიან ალუდა, აღაზა, ჯოყოლა, მინდია, ლუხუმი, ლელა, სანათა, კვირია და სხვანი. მათ ქვეყანა სულიერი სიკეთით უნდა აამაღლონ.

ვაჟა-ფშაველას პოეტური მრწამსის მიხედვით, ხელოვნება, პოეზია ერისა და კაცობრიობის სულიერ მოთხოვნილებებს თან მისდევს და ამიტომ „პოეზიისათვის სათაკილო არ არის, ერის საჭიროებას ემსახუროს და ამისთვის შექმნას ტიპები რეალური თუ იდეალური".[1] გველისმჭამელი მინდია სწორედ რეალურ და იდეალურ საჭიროებათა განმასახიერებელი გმირია და მისი გამოცხადება ცხოვრებისთვის არაბუნებრივ, მიუღებელ არსებად არ არის სარწმუნო. გმირი, მართალია, მარცხს განიცდის, ხოლო მარცხის ისტორია განასახიერებს პოეტის სათქმელის უდიდეს საყოველთაო ძალასა და ღირებულებას. პოეტის შეხედულებით, მარცხი ზოგჯერ გამარჯვებაზე მეტის მთქმელია, სულიერი გმირობაც ზოგჯერ მარცხით ბოლოვდება. მინდიას თავგადასავალი ცხადყოფს, რომ პიროვნული სრულქმნა ბუნების, ცხოვრებისა და სუბიექტურ სულიერ საწყისთა რაობის ღრმად წვდომით არის შესაძლებელი. მინდიას მიზანსწრაფვა სრულად ეხამება მწერლის მსოფლგანცდას, თუ არ ჩავთვლით მხატვრული ამოცანებისთვის მოხმობილ ზოგიერთ ფანტასტიკურ გამონაგონს. გმირმა ქაჯური ზმანების ზეგავლენით თავის მოსაკლავად გველის ხორცი შეჭამა და მოხდა სასწაული: სიკვდილის ნაცვლად მინდიას ზეცამ „მოწყალე თვალით" გადმოხედა, მას არაჩვეულებრივი უნარები მიეცა: „გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუს გაეხსნა. ესმის დღეიდან ყოველი, რასაც ფრინველნი გალობენ და მცენარენი, ცხოველნი, როდის ილხენენ, წვალობენ".

მინდიას ყველა ცოცხალი და არაცოცხალი ქმნილების ენა ესმის. მას აოცებს თავისი ახალი შესაძლებლობები. ცისა და მი-

[1] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 403.

წის სიბრძნესთან თანაზიარება. ქაჯთა საკვების – გველის ხორცის ზმანებრივმა მიღებამ, საწამლავმა მინდიას ახალი სასიკეთო უნარები შესძინა, ხოლო ქაჯურმა ბოროტებამ კი მის არსებაში ფეხი ვერ მოიკიდა. იგი ზებუნებრივი ძალით ხელდასხმულია. მინდია, ქაჯთაგან დატანჯული ჩვეულებრივი ადამიანი, ამჯერად უკვე ტყვიასავით მალია, გველივით გრძნეული, ქაჯებზე აღმატებული, მოხერხებული ფანდებით მტრის დამმარცხებელი, უბადლო მკურნალი, ამიტომ ხალხისა და დიდი თამარის საიმედო გმირი. მინდია ყოველ გაზაფხულს საზეიმო შეხვედრას უწყობს ბუნების ყველა არსებას. იგი გაფაციცებით მიმოივლის მთებს და მცენარესა თუ მღილს სალმით ეგებება. მასაც ბუნება „ვაშას“ ძახილით ხვდება: „მინდიას გაუმარჯოსო“, ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა, ხეები ფოთლებს არხევენ, ბუნება იწყებს ბიბინსა, და მერე სათითაოდა ყველა მოჰყვება ტიტინსა: „მე ვარო ამის წამალი“, სხვა გაიძახის – „იმისა“; მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს, ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა“.

ყვავილნი თავიანთი ზნის შესატყვისად, „სალხინოდ ჰსახავენ, კაცთ სარგოდ, ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა“. ხეებს სხვა ზნე სჭირთ და მინდიას იმას ეხვეწებიან არ მოჭრას ისინი, არ დაუბნელოს მზე. მინდიაც იმ სურვილს უსრულებს ყველას, რასაც სთხოვენ. იგი არ ჭრის ხეებს „და რომ ღველფზედა არ გაქრეს ცეცხლი, აანთებს თივასა ან ჩალას, გამხმარს ჯოყრებსა, თან მიაშველებს წივასა; თუ სად ხმელს წიწკრებს იპოვნის, არც დაიწუნებს იმასა“. მინდია ემორჩილება ბუნების ქმნილებათა თხოვნას და „სხვებსაც მას ურჩევს: „კაცებო, მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა; ნუ მოსჭრით ხესა, დავჯერდეთ ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა“. მინდიას რჩევას ხალხი არ უსმენს და არავინ ზოგავს „ვერხვ-წიფელს მოსაკლავადა“. პირიქით, მინდიასგან განსხვავებით ხალხი ამბობს: „მაგ ფიქრს რომ მივჰყვეთ, შენს მტერსა, როგორღა გვეცხოვრებისა? ის რად ვიცოდვით, უფლისგან, რაიც არ გვეცოდვებისა?!“ უფრო მკაფიოდ მინდიას წინააღმდეგ ჩალხია გამოდის: „ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა, ჩვენც რად არ გაგვიგონია? ჩვენს სატყუებლად მინდიას სიცრუე მოუგონია. ვთქვათ, სიბრალული კარგია ხე-ქვა-ბალახთი, ცხოველთი... კაცის კვლა ყველასა სჭარბობს, თუნდ მტერი იყოს ყოველთი“. მაგრამო, – ამბობს ჩალხია, – მინდია ხშირად მოკლული მტრის გორებს სდგამსო: „რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც კვლისას არ გვაძლევს ნებასა, მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა ჩვენსა დაარღვევს შვებასა, ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა ან გვიშლის რჯულის ცნებასა. მა-

შინ არც ღმერთი გვიცოდვებს მტრისად შექცევას ხელისას, ეგრევე, ოღომც ვიცხოვროთ, მოჭრას წიფლის და თელისას“.

ხევსურთა კრება ჩალხიას განსჯას ეთანხმება და ვერავინ ხედავს ღირებულებების იმ სხვადასხვაობას, რასაც კარგად ამჩნევს მინდია. საერთო შეხედულებით, მტრის მოკვლას უფალი ცოდვად არავის უთვლის, თუ იგი „გვიშლის რჯულის ცნებას“, ან მამულსა და ცოლს გვართმევს. როცა მტერი ღვთისა და ბუნებისგან ბოძებულ ინდივიდუალობას, მამულს, ენას, რჯულს და თავისუფალ თვითმოქმედების უფლებას გვართმევს, მაშინ მას ხელი უნდა შევუქციოთ. მინდიას გაგებით, ტანაყრილი მშვენიერი წიფლები და „ყელყურლამაზიანი“ ჯიხვები არავის მტრობენ. ბუნება ადამიანს მათ სანაცვლოდ სხვა რამეს სთავაზობს, თუმც იგი მაინც არღვევს ბუნების მოთხოვნას, მასთან ურთიერთობის ჰარმონიას და წინ მომხმარებლურ ვნებებს აყენებს. პოემის შინაარსის მიხედვით ადამიანი არ დაიღუპება თუ ჯიხვს არ მოკლავს და ცეცხლის დასანთებად ჯანსაღ წიფლის ხეებს არ მოჭრის. ადამიანი იცხოვრებს შინაური პირუტყვის მოშენება-გამოყენებით. ახალგაზრდა წიფლის ხეების ნაცვლად თვითონ ბუნება იძლევა ცეცხლისთვის ხმელ წიფლებს, ხეთა ხმელ ტოტებს, ჯოყრებს და წივას. ხევისბერ ბერდიას სიტყვით, მინდიამ ერთი წლის მანძილზე ათი მსხვილფეხა საკლავი შესწირა უფალს და მზად არის, თუ საჭირო იქნება, დარჩენილი ოთხი ხარი და ოთხი ფურიც შესწიროს. ასე რომ, ერთ წელს, დაკლული ათი ძროხა მთელ თემს ეყოფა. საერთოდ, ოცი ძროხის მფლობელი მინდიას ყმანვილნი არ იქნებიან უხორცოდ დაზრდილნი. მზია სხვათა მიბაძვით მოითხოვს ზედმეტ ფუფუნებას, დაარღვევინებს ქმარს ბუნებასთან თანხმობის პრინციპს. ბუნება თვითონ სთავაზობს მინდიას სიცოცხლისთვის აუცილებელი საკუთარი სიმდიდრის გამოყენების წესებს. აძლევს თანხმობას ან უკრძალავს გარკვეული სახის მოქმედებებს. მინდია რომ სიცოცხლის მტერი იყოს, მაშინ ბუნება წამლებს აღარ ასწავლიდა. ყანა და ყვავილნი საკუთარი სურვილით იხარჯებიან კაცთ სარგოდ, წამლად, მოსახმარად, ხოლო წიფლებს, ჯიხვებს სიკვდილი არ სურთ. წიფლებისა თუ ჯიხვების სურვილის ასრულება ადამიანებს არაფერს ვნებს. მინდიამ გარემოსა და ცოლის წაქეზებით დაარღვია ბუნებასთან შეთანხმება. ქვის გული ჩაიდო, ჯიხვებიც ხოცა და წიფლის ხეების თხოვნასა თუ კვნესასაც აღარ უსმინა. ხელდასხმულის უნარს გვერდი აუარა. იგი სხვათა მსგავს ბარბაროს მომხმარებლად იქცა და ამიტომ უფალმა და ბუნებამაც უცნაური ძალა ხედვისა

თუ სმენისა მინდიას ისევე გაუცნობიერებლად წაართვა, როგორც თავიდან მიანიჭა. მინდიამ არ იცოდა, თუ აკრძალვის დარღვევის გამო გამორჩეული უნარები დაეკარგებოდა. ამას მხოლოდ შემდეგ ხვდება, სინანულში ვარდება და უფლის მიმართ ხვეწნა-ვედრებით, უზომო მსხვერპლშეწირვით ცდილობს ზეპიროვნული უნარების დაბრუნებას. ფუფუნების გამოდევნებამ, სხვათა მსგავსად ოჯახის „ლეშით გასუქება-გალაღების" უმთავრეს მიზნად გადაქცევამ მინდიასა და ბუნებას შორის ჰარმონიული კავშირი დაარღვია. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ თვით უფალიც ამ შემთხვევაში ბუნების „სიმართლის" მხარეზეა. ბუნების სურვილთა უარმყოფელმა გმირმა ქვეყნისა და ბუნების სასარგებლო უნარი მსხვერპლად შესწირა ეგოიზმს, ბიოლოგიურ კმაყოფილებას. შედეგმა მიახვედრა იგი შეცდომას, დაანახა საკუთარი ნების სისუსტე და იმედი უფლის მიმართ ვედრებაზე დაამყარა. მინდია ნატრობს: „იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ, ნეტავ წამალი ვიცოდე!" მაგრამ ბოლო ბრძოლაში ირწმუნებს, რომ მას, როგორც იდუმალთმწვდომს, უფალი და ბუნება აღარ სწყალობენ. ინტუიციური მიხვედრის ალღოც გამოსცლია. ცოდნა ადამიანმა მრავალგზის შეიძლება ავად თუ კარგად გამოიყენოს, ხოლო უშუალო ჭვრეტით ნაპოვნი ერთჯერადია, მას წამიერი დაფასება სჭირდება.

მინდიას თავგადასავლის ჩვენებით მწერალი ამბობს, რომ გრძნობების მოთხოვნის ან ღირებულებების იერარქიის მრავალგზისი აღრევის გამო ადამიანმა, მართლაც, შეიძლება დაკარგოს ჭეშმარიტი არჩევანის უნარი. ასეთი ვითარება აუფასურებს პიროვნებას და საზოგადოდ კი კაცთა ცხოვრებას. აღნიშნული ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი მოვლენის გაცნობიერება ექცა მინდიას სულიერ ტრაგედიად. მას შეცდომის შემდეგ გაუნათდა ინტელექტუალურ დონეზე სუბიექტურ-ობიექტური ღირებულებების იერარქიის მთელი ავ-კარგი. ახლა ცოდნა მრავალმხრივი აქვს, მაგრამ დაკარგულია გრძნობათა სამართალი, უშუალო ჭვრეტა.

„გველის მჭამელის" პრობლემური სიუჟეტური სიტუაციებიდან აშკარად ჩანს, რომ ბუნებისეული და საზოგადოებრივი ღირებულებების კავშირის შესახებ განსხვავებული ემოციები – აზრობრივი დამოკიდებულებები აქვთ ჩალხიას, ბერდიას, მზიას, საერთოდ, თემს, ხოლო სხვაგვარი – მინდიას. მინდია ყველაზე ღრმად სწვდება და აფასებს ბუნებრივ და სოციალურ-ადამიანურ მოვლენებს. იგი აღიარებს ბუნების კანონთა ზეადამიანურ ძალას, ხოლო ადამიანის შეცდომებს მიიჩნევს მისივე ნებისა და

აზრის ხშირი ცვალებადობით შეპირობებულ მოვლენებად. ბუნების სიდიადე ისაა, რომ მასში არ არსებობს ხან ასეთი და ხან ისეთი, ე. ი. ნების ცვალებადობის მსგავსი, მოქმედება.

ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგებისა და პოეტური მრწამსის მიხედვით, ცხოვრება დასაბამიდან დღემდე იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან ბუნებრივი და სოციალური ღირებულებების ნაირგვარი შეფასებებით. ერთნი ესწრაფვიან ბუნებიდან და ცხოვრებიდან ბიოლოგიურ-მომხმარებლური ვნებებისა თუ სწრაფვების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, როგორც პოეტი ამბობს, „ლეშის გასუქება-გალაღებას“, და ეს ჰგონიათ ბედნიერების, ცხოვრების საზრისის საფუძველი, ხოლო მეორენი ცდილობენ უანგარო სულიერ-ინტელექტუალური მოთხოვნილებების სრულქმნას, სიკეთის მაღალადამიანური საყოველთაო შინაარსის მსახურებას და ამით რეალობის გაუკეთესებას. ერთ პიროვნებაში ამგვარი ტენდენციების უმტკივნეულო მორიგება შეუძლებელია. ეგოისტურად მოპოვებულ კეთილდღეობას, სიმდიდრეს ყოველთვის ახლავს უსამართლობა, ფარისევლობა, სიხარბე, რაც გამორიცხავს უანგარო სულიერებას, მაღალი ადამიანური სწრაფვების გამარჯვებას. პოემის დასაწყისშივე ჩანს, რომ თემის წევრებმა ირწმუნეს მინდიას განსხვავებული შესაძლებლობები, „მაგრამ ნაგრძნობსა გულითა გონებით ჰშველენ ვერასა“ და ამიტომ მინდიას რჩევის მიხედვით მაინც არ ცვლიან გარემოსთან მიმართების ჩვეულ წესებს. ისინი მინდიას უნარებს იყენებენ, მაგრამ არ ენდობიან, ვერ აფასებენ მისეული ცხოვრების მნიშვნელობას, რადგან მისი ცოდნის გაგება არ ძალუძთ. ვაჟა-ფშაველას აზრით, ვიწრო გრძნობისა და ტვინის ადამიანის უნარები მომხმარებლური ვნებებით, ცხოველური ინსტინქტებით არიან დათრგუნულნი და ამიტომ ვერ სწვდებიან მაღალ სულიერ ფენომენებს. ასეთი ადამიანი, პოეტის სიტყვით, „...თუ იგი მდიდარია, თავს ბედნიერად ჰრაცხს, რადგან ყოველგვარ მოთხოვნილებას ცხოველურს, ფიზიკურს იკმაყოფილებს; შეიძლება ფიქრობდეს, მე განვიცდი გაზაფხულს სულისასო, მაგრამ დიდად მოტყუებული იქნება, რადგან ამგვარი ადამიანი მხოლოდ გამანადგურებელია იმისა, რაც გაზაფხულის შემოქმედების წყალობით მიგვიღია ადამიანებს. იგი სიცოცხლეს, როგორც მთელს, არაფერს ჰმატებს, მხოლოდ დაკლებით აკლებს“.[1]

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 386.

ვაჟა-ფშაველას, როგორც პუბლიცისტს და ხელოვანს, აინტერესებს სიცოცხლის ღირებულება, ე. ი. პიროვნების მრავალმხრივობა და შინაგანი მონოლითურობა. მატერიალური სიმდიდრით დაკმაყოფილებული და მხოლოდ მისთვის მებრძოლი ადამიანი მთლიან პიროვნებად, ზოგადი საქვეყნო ინტერესების განმასახიერებლად ვერ წარმოდგება. დიდებული ადამიანი, მთლიანი პიროვნება ერთიანობაში გრძნობს და გაიაზრებს ბუნებისა და ცხოვრების მოვლენებს. ვაჟას ხედვით, იგი ბუნების გაზაფხულს ემსგავსება სულიერების შინაარსით, მასავით დაუცხრომელი, თავისუფალი შემოქმედია და მზრუნველი სიცოცხლის, ცხოვრების სრულქმნაზე. „ამიტომ ყოველი საქვეყნო მოღვაწე, ყოველი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გაზაფხულის მსგავსის სულისა, მხოლოდ მათ განუცდიათ გაზაფხული სულისა".[1]

ჩნდება აზრი, რომ ამ სიტყვებით ვაჟა-ფშაველა საკუთარი მრწამსისა და ასევე მინდიას იდეალის განმარტებას იძლევა. მინდია შეუდარებელი საქვეყნო მოღვაწე იყო მანამ, სანამ უშუალო გრძნობებსა და ბუნების სულის გაზაფხულებას, მის რჩევას მიჰყვებოდა. ასეთ პირობებში იგი სოციალური ცხოვრების ავ-კარგის სწორი შემფასებელიც იყო. მისი სულიერ-ზნეობრივი შინაგანი წონასწორობა დაირღვა მაშინ, როცა რწმენად ქცეულ ღირებულებათა წინაშე „მელაობით" მოქმედება დაიწყო. მინდიას სიცოცხლის იდეალური პიროვნული მონოლითურობა დაირღვა და მისი აღდგენა ვერანაირი ხერხით ვეღარ შეძლო. ვაჟა-ფშაველამ აღნიშნულ წერილშიც, ისევე როგორც „გველის მჭამელში", ადამიანები დაყო სულის გაზაფხულებისა და კუჭის გაზაფხულების მფლობელ არსებებად. მისი აზრით, თუ სულის გაზაფხულება იმძლავრებს, გაბატონდება, მუდმივად შეინარჩუნებს ბუნების კანონზომიერებათა შეუვალობის მსგავს სიმტკიცეს, მაშინ ადვილად მიხვდებით „...თუ როგორი უნდა იყოს გაზაფხული ერის სულისა..." პოეტის მრწამსით, დიდებულ ადამიანთა, პიროვნებათა ნების გაუტეხლობა, სიმრავლე იქნება საწინდარი ერის სულისა თუ ცხოვრების გაუკეთესებისა. ამ აზრით, პოეტისთვის დიდებული ადამიანის სულის გაზაფხულება შერწყმულია ერის სულის გაზაფხულებასთან. ვაჟა „გველის მჭამელში" ბუნებისა და მინდიას ურთიერთგაგების შეუდარებელ სურათს მათი საზეიმო, სა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „საგაზაფხულო ფიქრები", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 386.

გაზაფხულო შეხვედრის ეპიზოდში ხატავს. გმირის სიმბოლურ-ალეგორიული სახის შექმნით პოეტი გვიჩვენებს, საზოგადოდ, ადამიანის როგორც დადებითი, ამაღლებული, პოზიტიური, ასევე მდაბალი, ნეგატიური თვისებების წარმოშობა-მოქმედების თავისებურებებს. ბუნებასა და ცხოვრებასთან უჩვეულო სიბრძნით დაკავშირებული მინდია ამ სიმაღლეზე დიდხანს ვერ გაჩერდა და იგი მცირე ხანს კვლავ იმ ადამიანების დონეზე დაეშვა, რომლებსაც ნების ძალა და არჩევანის უნარი ღალატობდა.

პოეტის აზრით, სამყაროს ერთიანობაშიც და მისი დიდი შემადგენლობის, კერძოდ, ბუნების, ცხოვრებისა და პიროვნების თავისთავადობაში ბევრი რამ არის აუხსნელი, დაუმორჩილებელი, იდუმალებით მოცული. მათმა კავშირმა უნდა გაარკვიოს მთელი სინამდვილის სისტემურობის რაობა. ყოველი სისტემის გაგება-განმარტების პროცესი უნდა დაიწყოს მთელიდან და წარიმართოს ნაწილისკენ, რათა ცხადი გახდეს ნაწილების მთელთან კავშირის აუცილებლობა და მნიშვნელობა. პოეტის მრწამსით, სამყარო-ბუნების კანონზომიერებები თავისებურად მიემართებიან და განსაზღვრავენ ცხოვრებას, ადამიანის სულიერებას. თავის მხრივ, ადამიანს, ამ პატარა არსებას, ანუ მიკროკოსმოსს, მთელი მაკროკოსმოსი თავისთავში მოუთავსებია. ამ საფუძველზე, ვაჟას გაგებით, გენიოსმა მწერალმა „არჩეული ტიპის" მეშვეობით შეიძლება ბუნების სიბრძნის მრავალი თავისებურება წარმოადგინოს. საერთოდ კი დასაბამიდანვე სამყაროს ათვისების გზაზე მთავარი საშუალება მისი ინტუიციური წვდომა იყო. ემოციური და ინტუიციური მიმართებების დაკონკრეტებიდან იქმნებოდა ცოდნის ფენომენი. ინტუიციური მიმართება ინდივიდის არსებობის, ბუნებრივ-სოციალურ რეალობასთან მისი მუდმივი დამოკიდებულების ერთ-ერთი უძირითადესი პრინციპია. ინტუიცია განსაკუთრებულ ძალას იჩენს ადამიანში მაშინ, როცა იგი ღირებულებებით ორიენტირებას ცდილობს ან მათი არსის გახსნა სურს. მინდიას სულიერი შესაძლებლობიდან ინტუიციურ მიმართებას განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა. ინტუიცია არასოდესაა ინტელექტისგან მოწყვეტილი და, პირუკუ.

ღირებულებებით ორიენტირება მხატვრულ ლიტერატურაში უძირითადესი მოვლენაა. ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებლობების რეალიზება თავისთავად გულისხმობს ორგვარ მიმართებას, კერძოდ, შემეცნებითს, რომელიც ობიექტურ საგან-მოვლენათა არსს ადგენს და ღირებულებით-ორიენტაციულ მიმართებას, რომელიც ნათელყოფს იმას, თუ ობიექტებს რა მნიშვნე-

ლობა აქვს, რა ფასი აძევს სუბიექტის მოთხოვნილებებისა და მიზან-იდეალებისთვის. შემეცნებითი მიმართება საგან-მოვლენათა არსის კვლევაა, საგნის ობიექტური სტრუქტურის დადგენაა, ხოლო მეორე ანუ ღირებულებითი, მიმართება იმის ჩვენებაა, თუ გარემოვლენებს რა ღირებულება ენიჭება სუბიექტისთვის. ღირებულებითი მიმართება, ღირებულებითი შეფასება არ არის იდენტური შემეცნებითი მიმართებისა. ამგვარ მიდგომებს შეუდარებლად ზუსტად განასხვავებდა ერთიმეორისგან ვაჟა-ფშაველა თავის მხატვრულ ქმნილებებში და ლიტერატურულ წერილებშიც. მისი აზრით, შემეცნებისა და მოწონება-დაწუნების პროცესები ყველაზე მოხდენილად მხატვრულ წარმოსახვაში ერთიანდებიან. გველისმჭამელი მინდიაც სწორედ ისეთ სახე-იდეად წარმოგვიდგინა პოეტმა, რომლის სულიერი შესაძლებლობების ძალა ყველაზე მეტი ხარისხით ღირებულებით ორიენტირებას, ფასეულობათა კავშირის ინტუიციურ გაგება-გათავისებას ემყარება და არა მეცნიერული ცოდნის ისეთ გამოყენებას, როცა იგი სხვისგან შეიძინება და სხვასაც გადაეცემა. ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა კავშირის მინდიასეული წვდომის უნარი ინტუიციურია და არა მაინცდამაინც სხვისთვის გადასაცემი ცოდნა. სასწაულებრივი ზმანებით, ქაჯური ხერხით მინიჭებული ცოდნა, როგორც სწორად მიუთითებენ, არ არის, პირდაპირი გაგებით, ცოდნა. „მინდიამ კი არ იცის, – წერს პროფ. გრ. კიკნაძე, – არამედ მას აქვს უნარი იგრძნოს და მიხვდეს. გარკვეულ ვითარებამდე მისი ცოდნა მოცემული არ არის".[1] მაშასადამე, მინდიასეული წვდომა-შეფასების ალღო სიტუაციის ზემოქმედებით აღიძვრის და ფაქტობრივად სიტუაციაში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ღირებულებების ურთიერთმიმართებისას ნაპოვნ სიახლეს გულისხმობს. ამგვარი ალღოთი წვდომა თუ ჭეშმარიტებას გამოავლენს, მხოლოდ მაშინ შეიძლება მოგვეველინოს იგი ცოდნად.

მინდიას ყვავილნი სთავაზობენ თავიანთ თავს ადამიანთა სარგოდ, სამკურნალოდ; ბუნება და ზეციური ძალები აგებინებენ მტრის დასამარცხებელ ფანდებს და, ცხადია, უჩვენებენ ქვეყნისთვის სასარგებლო მოღვაწეობის გზას. მაგრამ აღნიშნულის მიღების გამორჩეული უნარი მინდიას აქვს მხოლოდ მანამდე, სანამ ბუნების სურვილს, მოთხოვნას, მასთან ინტუიციურ-გრძნობად კავშირს შეუმცდარად ახორციელებს. როცა მინდიამ

[1] გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957 წ., გვ. 143.

თავისა და ბუნების ჰარმონიული კავშირის სისტემაში ჩართო ეგოისტური, მომხმარებლური ადამიანური ინტერესი, როცა მან ბუნების შეგონებისა და მისგან მომადლებულ რწმენასთან დაიწყო ფარისევლური მოქცევა, მაშინ დაკარგა ღირებულებით სწორი ორიენტირების ზეპიროვნული უნარი. ვაჟას მრწამსით, ადამიანის ფსიქოლოგიურ-ზნეობრივ გრძნობათა ამგვარი გადასხვაფერება კი გარემოებათა ზემოქმედებით სრულიად მოსალოდნელია. მინდია ამგვარ აზრს გამოხატავს მზიასადმი მიმართულ სიტყვებში: „გეწადა კაი ცხოვრება, მოწამლულს ქადას აცხობდი. და მეც დღეს-ხვალეობითა ცოტ-ცოტად, ნელაობითა დავიწყე თავის რწმენასთან მოქცევა მელაობითა“.

მინდიამ ცალმხრივად დაარღვია ბუნებასთან დამყარებული გრძნობადი, ინტუიციური კავშირი და „დღეს-ხვალეობით“, მელური პირის გატეხვით ხელყო მიღწეული ჰარმონია. მან ნადირიც უმოწყალოდ ხოცა: „მეც მივყევ – ვხოცე ნადირი, გასუქ-გალაღეთ ლეშითა“, რის გამოც მონიჭებული მადლი და უნარები დავკარგეო. ბუნება მინდიას მხოლოდ წიფლის მოჭრას და ჯიხვების ხოცვას უკრძალავდა. სამოთხეშიც ორი რამ ჰქონდა აკრძალული ადამიანს. ამ აკრძალვის დარღვევის მიზეზით მინდიას გამორჩეული უნარები დაუჩლუნგდა. უგრძნობი კაცი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა: „რითიღა ვარგო ქვეყანას, დავცარიელდი ცოდნითა: ყვავილნი არას მეტყვიან, აღარც ცნობა მაქვს იმათი... ვეღარას ვარგებ ქვეყანას მტრის მამგერებელს ჯარშია, მიტომ, რომ წინანდებული ცნება აღარ მაქვს თავშია“. ეს იქცა მინდიას სულიერ ტრაგედიად.

კაცთაგან ბუნებამ მინდია გამოარჩია, აზიარა საკუთარი სიბრძნის გაგების ძალას. იგი გამორჩეული მიხვედრის, სმენისა და ხედვის უნარით ქვეყნის სამსახურში ჩადგა, როგორც უბადლო მკურნალი და დაუმარცხებელი მხედართმთავარი. მტერი დაითრგუნა, ქვეყანა ბედნიერი და მტრის მძლეველია. მაგრამ ცხოვრებას, იდეალურის გარდა სხვა მხარეცა აქვს, ბრიყვთა, „ზეზერე მგრძნობელთა“ და თავისა სასიამოვნოდ წუთისოფლისა მცნობარეთა“ სამეფოს სახით. ამ ვითარებაში იმალება ადამიანური გადაცდომის მიზეზები. ლეშის „გალაღება-გასუქების“ მსურველთა წადილი, მათი მომხმარებლური, მხოლოდ ეგოისტური ინტერესებით განსაზღვრული ცნობიერება ვერ სწვდება საქვეყნო, რჩეული კაცის ვერც უნარებს და ვერც იდეალს. თემს ეჭვი შეაქვს მინდიას სულის უნიკალობაში, თუმცა მტერთან ბრძოლისას კი მხოლოდ ღმერთთან მოლაპარაკე ამ გმირის იმედი

აქვს. უფალმა და ბუნებამ მინდია „ზეზერედ მგრძნობელთაგან“ მაშინვე გამოარჩია, როცა მან სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულის ძალუმი გრძნობა ქაჯთა ტყვეობაში გამოაელინა. უფლისა და ბუნების სიბრძნის მიხვედრა და საქვეყნოდ მისი გამოყენება, ავტორის აზრით, ასეთი სულისკვეთების ადამიანს შეეძლო. უფალმა ბუნებასთან, მის გონიერებასთან აზიარა მინდია, მაგრამ, რაკი მინდია ბიოლოგიურ-სოციალური არსებაა, გარემომ, ოჯახმა, ჩვეულებამ მასაც დაარღვევინა ბუნებასთან დამყარებული ჰარმონია, რის გამოც მას ბუნება შემოსწყრა.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ცხოვრება წუთისოფლის მხოლოდ თავის სასიამოვნოდ მცნობარე ხალხისა და საყოველთაო მნიშვნელობის იდეალებისთვის თავგანწირული, სულით მაღალი ადამიანების დაპირისპირების ისტორიაა. პოეტის მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით, მინდიას ეს დიდი წინააღმდეგობა ღვთაება--ბუნებისგან ჩაგონებული სმენითა და ახალი ხედვით უნდა მოეხსნა, მაგრამ მან ეს სუბიექტურად ვერ შეძლო. აქ თავს იჩენს პიროვნების, დიდებული ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა ვაჟასეული გაგება-შეფასებისა და მათი მხატვრული მეტამორფოზის მრავალი თავისებურება. მწერლის თვალსაზრისით, ბუნებისა და კაცთა ცხოვრების რთული კავშირის ამხსნელ-გამგები მხოლოდ ადამიანია და მან თვითონ უნდა მართოს საკუთარი საქციელი. ალუდა შეუვალი, უკომპრომისო პიროვნებაა, როგორც თემის, ასევე საკუთარი სულიერი მოთხოვნების მიმართაც. იგი თავს გაორებულ სწრაფვათა სატანჯველში არ ჩაიგდებს და არც ამის გამო თავს მოიკლავს. სრულიად სხვანაირი ხასიათისაა გველისმჭამელი მინდია. მან მოპოვებული სულიერი სიმაღლე ვერ დაიცვა, დათმობაზე წავიდა ზეზერედ მგრძნობელთა წინაშე და საკუთარ შინაგან სიმართლეს, რწმენასაც უღალატა.

ვაჟა ცდილობდა, პიროვნებათა სულიერ-გონითი შესაძლებლობების რეალიზების საყოველთაო კანონზომიერებები ეჩვენებინა. ამიტომ მინდიასაც უნდა გამოეხატა სინამდვილისადმი დამოკიდებულების როგორც იდეალური, ასევე ნაკლოვანი მხარეები. მინდია მრავალი მიმართულებით წარმართავს უშუალო გრძნობებს, ემოციებს, ნებასა და გონის ძალას. მინდია ყოვლისმცოდნე კი არა, ნაირ-ნაირი ღირებულებების ურეითრკავშირის ორიგინალურად შემფასებელია. გმირის ცნობიერების ყველა უნარი საკუთარი ხედვის კუთხიდან აფასებს ღვთაებას, ბუნებას, საზოგადოებას, ინდივიდებს. მინდია ფასეულობათა ნაირგვაროვნებას მხოლოდ ბუნებასა და ცხოვრებაში კი არ ჭვრეტს, არამედ

საკუთარ სულიერ-გონით უნართა სფეროშიც. ამგვარი ვითარების ცხადსაყოფად ავტორი ახდენს ბუნების ყოვლისმომცველ პერსონიფიცირებას და მას უშუალოდ შეუფარდებს სოციალურ მოვლენებს, პიროვნების სულიერ შესაძლებლობებს.

პოემა „გველის მჭამელის" მხატვრული მოქმედების მთავარი ხაზი მინდიას ხასიათის უცნაურ მეტამორფოზას მიჰყავს. ზეადამიანურმა ღვთაებრივ-ბუნებრივმა ძალებმა მინდიას იმიტომ წაართვეს დიად ჰარმონიაში ყოფნის გამორჩეული უნარები, რომ მან ისინი ერთხანს „ზეზერედ მგრძნობელთა" ვიწრო ეგოისტურ კაპრიზებს დაუმონა. სინამდვილეში კი რჩეული პიროვნების ახალი ხედვის ძალით მდაბალი, ბარბაროსული ადამიანური მიზნები ბუნების ზომიერების გათვალისწინებით უნდა დაძლეულიყო. მინდიამ სწორედ ზომის თვალსაზრისით ვერ მოარიგა ერთმანეთთან ბუნებისა და კაცთა ცხოვრების წესები. პოეტის აზრით კი ეს იყო მისი გმირის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. „გველის მჭამელის" I-V თავები წარმოადგენს მინდიას ტყვეობის, სამშობლოში დაბრუნების, ბუნების ჰარმონიაში ჩართვის, მისი ენისა და სურვილების გაგების, ანუ „გამეცნიერების", დიდ მკურნალად და მხედართმთავრად მისი ქცევის ისტორიას. აქ, მართალია, მინდიას თავგადასავალს ბევრი უცნაური ალეგორიული ამბავი ახლავს, მაგრამ მათ მიღმა დგას დიდებული ადამიანის თვითცნობიერების მეტად მტკივნეული ზოგადადამიანური პრობლემები. განგებამ და ბუნებამ მინდია იმგვარი სმენითა და ხედვით დააჯილდოვა, რითაც იგი ხალხის მკურნალად, ზნეთმასწავლებლად და ბელადად იქცა. ბუნება მინდიას აყენებს სწორი, შეუცდომელი საქვეყნო მოღვაწეობის გზაზე. მაშასადამე, სამყარო--ბუნება სავსეა ადამიანებისთვის დიდი მადლისა და მრავალი სიკეთის მონიჭების შესაძლებლობებით, თუკი კაცნი ბუნების უებრო ზომიერებასა და სიმართლეს დაიცავენ, მაგრამ დასაბამიდან დღემდე ადამიანებს მოსდევს დაუძლეველი ნაკლი. ისინი ბუნებრივ სიმართლეს, ზომიერებას ისეთ დროს არღვევენ, როცა ეს არანაირი გაჭირვებით, აუცილებლობით არ არის შეპირობებული და მაინც დაუნდობლად არბევენ ერთმანეთსა და ბუნებას. ვინ იცის რამდენი ასეული მილიონი ადამიანია დედამიწაზე, რომელთაც ჯიხვი თვალითაც არ უნახავთ, არ მოუკლავთ და ახალგაზრდა წიფლის ხეები არ მოუჭრიათ, მაგრამ ამის გამო არ დაღუპულან. მინდიამ სულიერი წონასწორობა და ბუნებრივი სიმართლე სწორედ ასეთ ვითარებაში ვერ დაიცვა და ტანჯვაში ჩავარდა. დღესაც ჩვენს სამშობლოში ბევრი ვინმე ვერ გრძნობს ბუნების

სიმართლის, მშვენიერების დაცვა-პატრონობის საყოველთაო აუცილებლობას. ბარბაროსობს ბუნებისა და, მაშასადამე, ერის ბედის მიმართაც. პრაგმატიკოსი მომხვეჭელები ხშირად იმ ტოტს ჭრიან, რომელზედაც სხვებთან ერთად თვითონაც სხედან.

„გველის მჭამელის“ ავტორის აზრით, ადამიანი ოჯახის ან თემის თვითშეგნების ნაჭუჭში არ უნდა ჩაიჭედოს, ღირებულებათა დაფასება უნდა გასცდეს ვიწრო საჭიროებებს, მოიცვას მთელი ბუნება და კაცთა ცხოვრება. ვაჟას იდეალის მიხედვით, წმინდა, გონივრული, მაღალზნეობრივი დამოკიდებულება სჭირდება ბუნებასაც, რადგან ჩვენ მასში ვართ, ხოლო იგი, როგორც ჩვენი არსებობის პირობა, მუდმივად ჩვენშია ჩაქსოვილი. მინდია პოეტმა თავის სხვა ეპიკური გმირებისგან დიდად განსხვავებული მისიით წარმოადგინა. გმირის თვითცნობიერება გამოიცადა სამი ძირითადი მიმართულებით. ნაჩვენები იქნა ბუნებასთან, ცხოვრებასა და საკუთარივე სულიერ შესაძლებლობებთან მინდიას დამოკიდებულების მრავალმხრიობა. გმირის ეს მრავალწახნაგოვანი მიმართებები და მათი ეთიკურ-ესთეტიკური შინაარსი იქცა ავტორის ყურადღების მთავარ საგნად. თხზულებაში მინდიას მარცხის მიზეზი გახდა კაცთა ბებერი ჩვეულება მატერიალურით, ბიოლოგიური მოთხოვნილებებით დაუკმაყოფილებლობისა. ამ ჩვეულებამ დააკარგვინა ადამიანებს ბუნების გამოყენების დროს ზომიერება და ისინიც წინდაუხედავად ხელყოფან მას. ბუნებისადმი დამოკიდებულება ჩალხიას, ბერდიას, მზიასა და მთელ თემს მხოლოდ ასე წარმოუდგენიათ: „ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია, სარგოდა, მოსახმარადა!“ ბუნების პოზიციით ყველაფერი ხელაღებით მოსახმარი არ არის. ბუნების ჰარმონიასა და კეთილგანწყობაში ჩართული მინდია წინასწარ ვერ ხვდება, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ბუნების ხელყოფას, მასში მხოლოდ სასარგებლოს ჭვრეტას. მინდია ამგვარი საქციელის – ჰარმონიისა და რწმენის ღალატისთვის მწარედ დაისაჯა, უცნაური სიბრძნე, უნიკალური უნარები დაკარგა და სასოწარკვეთილი ჩივის: „რა ვარ? განაღა კაცი ვარ, ღირსი ცის ქვეშე ვიდოდე?! იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ ნეტავ წამალი ვიცოდე!.. ფუჭია ჩემი სიცოცხლე, დღეს მჯობ შავის კლდის ლოდია“. ასეთი თვითდახასიათების შემდეგ მინდიამ იმედი მხოლოდ უფლის უზომო ხვენნა-ვედრებასა და არგაგონილ მსხვერპლშენირვაზე დაამყარა. მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა. ვაჟას მრწამსით, უფალმა ბუნების სიბრძნისა და ზომიერების საშუალებით მინდიას ისეთი გამორჩეული სულიერი უნარები შესძინა, რომლითაც მას ერის

თვითმყოფადობა და ადამიანის სულიერი სიდიადე უნდა უზრუნველეყო.

პოემა „გველის მჭამელი" პოლითემატური ხასიათის თხზულებაა. აქ ცალკე ნაკადად შემოდის ბუნების, პიროვნების, ტრადიციის მიმდევარი საზოგადოების, ხალხის რჩეულის ბედის და სხვა თემები. თემატურმა მრავალფეროვნებამ შეაპირობა პოემის მხატვრულ სახეთა პოლიფონიურობა, მათი თვითგამოხატვის დიალოგური ხასიათი, იდეურ ნაკადთა სიმრავლე. ნაწარმოების ცენტრალური გმირია მინდია, რომელიც დიალოგური მიმართებების პრინციპის დაცვით გამოკვეთს საკუთარ პიროვნულ სულიერ შესაძლებლობებს. მინდიას თვითცნობიერება ყველა შესაძლო ადამიანური პრობლემის პოზიციიდან წარმოაჩენს თავის თავს; ამიტომაც მხოლოდ ინდივიდუალური და ორიგინალური შინაარსისაა. მისი თვითცნობიერება ვერ ეთანხმება ჩალხიას, მზიას, თემის თვითშეგნებას. იგი ყოვლისმომცველია, ამასთანავე, დამოუკიდებელი, თავისთავადი პოზიციების გამომხატველი. მინდიას მსოფლგაგება, მისი წარმოდგენა სამყაროზე, სამყაროში მოქმედი ადამიანის დანიშნულების შესახებ არანაირად აღარ თავსდება თემის წევრთა თვითცნობიერების ნრეში. სხვანი: ჩალხია, ბერდია, მზია, თემი საკუთარი, მინდიასგან სრულიად განსხვავებული, პოზიციებისა და თვითცნობიერებისანი არიან. ყოველი გმირი პოემისა თავისებურად აფასებს და იაზრებს ბუნებასა და ცხოვრებასთან შემეცნებითი და ღირებულებითი მიმართებების შინაარსს. ესაა პოემის პოლიფონიურობის საფუძველიც, ვინაიდან მინდიას მსოფლგაგების პარალელურად თვითმყოფადობის პრეტენზიით სხვა სახის მსოფლაღქმა არსებობს. ვაჟა-ფშაველას აქვს მრავალი მონოთემატური ნაწარმოები, მაგრამ მისი მხატვრული მემკვიდრეობისთვის წამყვანი პრინციპი პოლიფონიურობაა. ვაჟას პოეტურ სახეთა პოლიფონიურობისგან განუყრელია პიროვნულობის მოთხოვნა და ამიტომ გმირის განცდა თუ აზრი წარმოგვიდგება, როგორც პიროვნების პოზიცია. ამგვარი ერთიმეორესთან შეურწყმელი პიროვნული პოზიციები ამკვიდრებენ მრავალხმოვანებას კონკრეტულ თხზულებათა მხატვრულ სისტემაში. მწერლის შემოქმედებითი ჩანაფიქრი თავიდანვე გულისხმობს არა მარტო რაღაც ამბის ერთიანობას, არამედ პიროვნულ-სუბიექტური სულიერი ძალების უშუალო თვითღირებულების აღიარებას. სულიერ ძალთა თვითღირებულება უნდა გამოიხატოს გმირისავე ორიგინალური საქციელით, სიტყვითა და საქმით. იგი უნდა იქცეს გარკვეული იერის მქონე, იდე-

ურ-ემოციურ ძალად. ამიტომ ვაჟას ეპიკური გმირისთვის ძირითადია ის, თუ რა ღირებულება აქვს მისი ცნობიერებისთვის სინამდვილეს ან რას პოულობს იგი თავის თავში განვითარება--სრულქმნის ღირსს. მისი გმირი ბუნებრივ-სოციალურ რეალობას და საკუთარ ლტოლვებს მთლიანპიროვნული განსჯის საგნად აქცევს. აღნიშნულის გამო მინდიასნაირი გმირები მთელ სინამდვილეს თავიანთი ცნობიერების წრეში მოაქცევენ და თვითცნობიერების პროცესში მრავალ ინდივიდუალურ თუ ზოგადადამიანურ ნიშანს ცხადყოფენ. ასე რომ, დიდებული ადამიანი ყველა მოვლენას, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ცნობიერების სარკეში გასინჯავს, ობიექტურ ღირებულებებს საკუთარი სულის ბრძმედში გამოატარებს და საკუთარივე არსების სრულქმნის მისიას დააკისრებს. ასეთი გმირი თავისი პოზიციით ველარ შეერწყმის სხვა გმირთა თვალსაზრისს, მათ თვითმყოფად სურვილებს, რადგან იგი საკუთარი პერსონალური ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ძიებებით არის გატაცებული. უფრო მეტიც, მინდია თვითონ ავტორის მსოფლგაგებისგანაც ერთგვარ დამოუკიდებლობას აღწევს. ეს გმირი აღარ შეიძლება დახასიათდეს გარემოებებით დადგენილ პერსონაჟად. იგი საკუთარი სულიერ-გონითი შესაძლებლობებით განსაზღვრული არსებაა და გვევლინება ინდივიდუალური ცხოვრების, თვითშეგნებისა და ოცნებების სუბიექტად. ვაჟას სურს განასახიეროს გველისმჭამლის თვითცნობიერების დაუსრულებლობა, მისი ერთგვარი ფანტასტიკური გაქანება თუ უსაზღვრო ფუნქცია, მაგრამ ისეთნაირად, რომ დისტანცია შემოქმედსა და გმირს შორის საკმაოდ დიდი და შთამბეჭდავი იყოს. სწორედ ეს მანძილი შეაპირობებს გმირის თვითმყოფადობას, სარწმუნო შინაგან თავისუფლებას, იმას, რომ მინდია ავტორისგან დამოუკიდებლად იყოს გულგახსნილი უღრმესი ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი სატანჯველისთვის. ასე რომ, გმირი ღირებულებათა ურთიერთმიმართებების რაობის შეფასების თვალსაზრისითაც მწერლისგან დამოუკიდებელი ჩანს. მინდია ერთგვარად თავს არიდებს „ზეზერე მგრძნობელთა" გარემოს, ხოლო ერის სულიერი ცხოვრების დასაბამიერ რელიგიურ-მითოსურ შრეებში კი ღრმად იჭრება. ამის გამოც მინდიას სახე ერთიანობაში მოიცავს ბუნების, ცხოვრებისა და კაცთა სულიერი შესაძლებლობების ცხადყოფის ინტერესს. ბუნებასთან, სოციალურ ყოფასთან აქტიური დიალოგური მიმართების პროცესში უნდა გამოავლინოს ადამიანმა საკუთარი სულის მოძრაობის ცნობიერი თუ არაცნობიერი საწყისების ავ-კარგი. ეს მიმართება

რთულია: ადამიანი ზემოქმედებს ბუნებაზე, ხოლო, თავის მხრივ, ბუნება – ადამიანზე. პიროვნება ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ხოლო საზოგადოება – პიროვნებაზე. ამ პირდაპირი და უკუკავშირების არსის გაგებისა და შეფასების თვალსაზრისით კი ადამიანთა შორის დიდი შეუთანხმებლობა სუფევდა, რადგან მათ არასოდეს ჰქონდათ განვითარების ერთნაირი დონე, ცოდნისა და გემოვნების ერთნაირი უნარები თუ საზომები.

ვაჟა-ფშაველამ პუბლიცისტური და მხატვრული ფორმით არაერთხელ ცხადყო, რომ ადამიანში არის შინაგანი თავისუფლების გახსნის უსაზღვრო ძალები. მისი გაგებით, იგი არის ერთადერთი არსება, რომელსაც თვითცნობიერების თავისუფალი აქტების წყალობით ძალუძს მიაგნოს და აამოქმედოს სულის ახალ-ახალი უნარები. ამიტომ ადამიანი ახერხებს შინაგანი ძალით გარდაქმნას გარედან თავსმოხვეული დამთრგუნველი და ჩარჩოებში მომქცევი მოვლენები, ცხადყოს, რომ მას თავისი სიცოცხლის გამამართლებელი, სიახლის მაუწყებელი ბოლო სიტყვა ჯერ არ უთქვამს.

პოეტის აზრით, იდეალისტი, მოაზროვნე ადამიანი ვერასოდეს იქნება უცვლელი ერთეული, ისეთი განსაზღვრული სიდიდე, რომელიც სხვათათვის მუდმივ ნიმუშად გამოდგებოდა. იგი შინაგანად თავისუფალია და ყოველგვარი თავსმოხვეული ცხოვრებისეული წესი შეიძლება უარყოს და საკუთარი შემოგვთავაზოს. ამიტომ ცხოვრების მარადიული წესების დამკვიდრების გარანტად ადამიანი ვერასოდეს დადგება. ალბათ, აღნიშნულის გამო დიდი შემოქმედნი არ ცდილობენ ბოლომდე გამოამზეურონ ხოლმე თავიანთი პერსონაჟების სულის საიდუმლო. მათ იციან, რომ სიცოცხლის არცერთ ეტაპზე ადამიანი თავისი თავის იდენტური არ არის, ყოველთვის შეიძლება მასში ახალი ადამიანის ან ზეპიროვნული სწრაფვის პოვნა. მართალია, ადამიანი შემართულია წარმოაჩინოს თავისი სიმართლე, მაგრამ არც ეს სიმართლე და სიახლეა დაზღვეული უკმარისობისგან, საერთოდ, უარყოფისგან. გამოდის, რომ კაცთა ცხოვრება ყოფილა სიახლის სახელით გარემოს ცვლისა თუ ცოდვისმქნელთა და ცოდვის უარმყოფელთა ურთიერთობის ისტორია.

ვაჟა-ფშაველას რწმენით, ადამიანის სიდიადე შეიძლება სიცოცხლის დანიშნულების ბუნებრივი გაგებით, უშუალო სიბრძნის კარნახით უფრო ზუსტად შეფასდეს, ვიდრე სამართლისა და მორალის მზამზარეული ნორმებით. რეალობის წვდომის ეს ინტუიციურ-ღირებულებითი გზა მხატვრულ ლიტერატურაში

მრავალგზისაა გამოცდილი. პოეტის ფიქრით, მხატვრული სახის მთლიანად გამოგონება შეუძლებელია, რადგან რეალობაში ბევრი არაფერია გამოსაგონი, მოვლენათა ახლებური კავშირებისა და სურვილების გარდა. გამონაგონს ხშირად მხოლოდ სიმბოლურ-მეტაფორული დანიშნულება აქვს. მოცემული მსჯელობა, ცხადია, უკავშირდება პოემა „გველის მჭამელის" მხატვრული თავისებურების შეფასებასაც.

ბუნების „წადილთა ნების", მისი ზეიმისა და ჰარმონიის თანაზიარად აქცია მინდია დამბადებელმა. იგი ბუნების ქმნილებათა ზემოქმედებით, ინტუიციურ დონეზე ახორციელებდა უმაღლეს სიკეთეს, ხალხს საკუთარი ინდივიდუალური სახისა და რჯულის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ამარჯვებინებდა; მინდიამ როცა დიად რწმენასთან დაიწყო „მოქცევა მელაობითა", როცა დაუთმო ოჯახური ფუფუნების წადილს, მაშინ დაკარგა საყოველთაო მნიშვნელობის ინტუიციური მართლხედვა. ბუნების ქმნილებანი მას აღარ ელაპარაკებიან და „აღარც ცნობა აქვს იმათი", ინტუიციურმა მართლშეფასებამაც მიატოვა იგი. მინდია აღარც მკურნალია და ვერც რაიმეს სხვაფრივ არგებს თანამემამულეთ, „მტრის მომგერებელს ჯარშია". უშუალო გრძნობათა სიდიადე მას ველარც ხვეწნა-ვედრებამ და უზომო მსხვერპლშეწირვამ დაუბრუნა. ვედრება უკვე მოვლენათა ცოდნის ძალამ განსაზღვრა. ცოდნა კი გრძნობით განჭვრეტისგან განსხვავებით ყველანაირ ქმედებას გამართლებას უძებნის. ვაჟა-ფშაველა, ცხადია, აღიარებს გონების უდიდეს მნიშვნელობას, მაგრამ მიაჩნია, რომ უშუალო ჭვრეტა სულის მოძრაობის საფუძველთა საფუძველია. საერთოდ, ცნობილია პოეტის აზრი, რომ გული და გონება ძმანია, რომელთა გაცალკევება და მათში ერთიმეორის მიმართ რანგობრივი უპირატესობების ძიება გაუმართლებელია. ზოგადად კი შეიძლება გრძნობაც შეცდეს და გონებაც. გონების სანქციით ჩაიდინა მინდიამ „არ საქნელი საქმე", დაარღვია ბუნებასთან შეთანხმებული აკრძალვები, კერძოდ, განუკითხავად ჭრა ახალგაზრდა წიფლებიც და ხოცა ჯიხვებიც.

მინდიას მხატვრული სახის შექმნით მწერალი მეტად ორიგინალურად ეხმიანება თავისი დროის ევროპულ ფილოსოფიურ მოძღვრებებს. სიცოცხლის საზრისის სიმბოლურ-მისტიკური განსახიერებით მინდია ფაუსტის მსგავსი მეოცნებე და მებრძოლი ადამიანია, რომლის სამოქმედო მიზნები სათავეს იღებენ ქართული „ჯანსაღი ნაციონალიზმისაგან".

ვაჟა-ფშაველამ მინდიას სახით დახატა არა ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობის უარმყოფი, ფუჭი ოცნების უტოპისტი, არამედ – ადამიანი, რომელსაც თაობებისთვის მართლმოქმედების, ჭეშმარიტი ეროვნული მოღვაწეობის ნიმუში უნდა ეჩვენებინა. მაინც რითი გაცხადდა მინდიას გარჯის ეროვნული შინაარსი ან ამ შინაარსიდან მომდინარე მისი საკაცობრიო მნიშვნელობა? ცხადია, ეს შინაარსი გამოიკვეთა მინდიას მიერ სიცოცხლის აზრის გასაგებად მოხმობილი ღირებულებების სწორი იერარქიული კავშირების პოვნით. ამასთანავე, გმირის მიერ მიგნებული ღირებულებითი ორიენტაციების ან მართალი გრძნობად-ინტელექტუალური უნარების ჭეშმარიტი არსის გამოკვეთაში. დგება კითხვა: არის თუ არა მინდია დამარცხების ღირსი? ცხადია, არა. გმირი დამარცხების ღირსად რომ მიიჩნიოს კაცმა, მაშინ ჯერ სიცოცხლისა და ცხოვრებისთვის იმ ღირებულებათა უვარგისობა უნდა ცხადყოს, რასაც ეს გმირი თავდადებით ემსახურებოდა.

მინდია, ღვთისა და ბუნების რჩევით, მათ მიერ მონიჭებული გამორჩეული მკურნალისა და მხედართმთავრის უნარით იცავს ხალხს იმათგან, ვინც მამულსა და ცოლს ართმევს, „ან გვიშლის რჯულის მცნებასა“. პოეტის მრწამსით, მამული, სიცოცხლის თვითმყოფადობა, ენა, კულტურა, რჯული და ხასიათის ორიგინალური ეროვნული ნიშნები სხვადასხვა ხალხს ბუნებრივი თუ იდუმალი ზებუნებრივი ძალების მეშვეობით, მათი ნებით ენიჭება და ამის გამოც ამ უნიკალური მოვლენების სხვისთვის ნართმევა ან დამახინჯება დიდი ცოდვაა. ღვთისა და ბუნების წესია, რომ ყოველი ტომი თუ ერი ამ დასაბამიერ ღირებულებას სრული თავისუფლების გარემოში, ინდივიდუალურად სრულქმნიდეს და ამით საკაცობრიო მრავალფეროვნებასა და პროგრესს უწყობდეს ხელს. შემოქმედებითი შრომის, ღირებულებათა წვდომა-გაგების ამგვარ შინაარსს ეფუძნება, პოეტის მსოფლხედვით, „ჯანსაღი ნაციონალიზმის“ იდეა. მინდია მტერს კლავს, რათა მამული, ხალხის სიცოცხლე, სიმშვიდე და რჯულის ერთობა დაიცვას. რადგან უფალი და ბუნება ყველანაირ არსთა თავისთავად მნიშვნელობას, თვითგანვითარება-სრულქმნის მარადიულობას აღიარებს; ამიტომაც მომხდურთან, სხვისი თვითმყოფადობის ხელმყოფთან ბრძოლა მინდიას ცოდვად არ ეთვლება. პირიქით, უფალი და ბუნება მას აჯილდოებენ სწორედ ისეთი ინდივიდუალობის დაცვის გამორჩეული ძალით, რამაც კიდეე მეტად უნდა ნარყოს სინამდვილის მრავალფეროვნება. საერთოდ, ბუნების ზოგი ქმნილება თვითონ სთავაზობს მინდიას „კაცთა სარგოს“, ფი-

ზიკური არსებობისა თუ მკურნალობისთვის საჭირო მასალას. მაგრამ ბუნების ისეთ ქმნილებებს, როგორიც ახალგაზრდა წიფლის ხეები ან ჯიხვებია, არ სურთ უდროოდ იხოცებოდნენ. ესეც უფლისა და ბუნების წესი ყოფილა და ამიტომ მათი განადგურება მინდიას უპატიებელ შეცდომად ჩაეთვალა. უფლისა და ბუნებისეულ აკრძალვათა დარღვევამ, პრაგმატისტულმა ძალადობამ, მხოლოდ პირადულ-ოჯახურმა ეგოისტურმა ცდამ ლეშის გალაღებისათვის დაურღვია მინდიას პიროვნულობა, ღირებულებათა ბუნებრივ-ღვთაებრივი ძალით ბოძებული სისტემა. ამით დაზარალდა მთელი ქვეყანაც.

პოეტის გაგებით, სწორედ ეგოისტური ძალადობა იწვევს ადამიანში უშუალო, ბუნებრივ გრძნობათა დაკნინებას, სწორი ღირებულებითი ორიენტაციებისა და მოქმედების წესების აღრევას. მინდიას გაუქრა გრძნობად-ინტუიციური მართლხედვის უნარები, თუმცა ნათლად წარმოუდგა ცოდნა იმისა, თუ რა სახის საქვეყნო ღირებულებები იღუპება აღნიშნული მოვლენის გამო. მაშასადამე, გმირი ვეღარ იცავს სამშობლოს, როგორც ბრძენი მეომარი და ვეღარ უვლის ერის სიცოცხლეს, როგორც უებარი მკურნალი. არადა დიდებული მოღვაწისთვის შემოქმედი, სამყარო-ბუნება, საკუთარი მამული და ერის სიცოცხლე, მათ დიად კავშირზე დაფუძნებული თვითმყოფადობა, შემოქმედების შინაგანი თავისუფლება არის შეუცვლელი ღირებულებები. მინდიას სულიერი ტრაგედია დაიწყო იმის გაცნობიერებიდან, რომ სამშობლოსა და ერის ინტერესებს ადრინდელად ვეღარ ემსახურებოდა, რომ ეს ძალა, თურმე, უნებლიეთ, ცხოველურ-ეგოისტურ მიზანთა აღსრულებას ანაცვალა. მინდია ამაოდ შეეცადა დაებრუნებინა ძველი უნარები, მაგრამ ღვთაებრივ-ბუნებრივმა გონიერებამ მას წადილთა თამაში, უშუალო გრძნობების ღალატი არ აპატია. მინდია სინანულის სატანჯველში ჩავარდა. ნათლად აჩვენა ბუნებრივი ზომიერების გამრუდების, ღირებულებათა და სულიერ უნართა გაუფასურების უმთავრესი მიზეზები.

გმირისათვის სიცოცხლე ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა, მაგრამ უფრო მეტი ძალის ღირებულება ყოფილა სამშობლო, ერის, როგორც მთლიანის, სიცოცხლე და მათი განუყრელი კავშირი. ვინც ამ კავშირისთვის სიცოცხლეს ვერ დათმობს, ის ვერც დიდებული ადამიანის მანტიას მოისხამს. ამიტომ საყვედურობს მინდია ნუთისოფლის „ზეზერედმგრძნობ" მეუღლეს, რომ „ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდიო". ბრიყვებს კი ერის სამსახური არ ძალუძთ. აღნიშნულის გამო მინდია არ არის

უმაღლეს ღირებულებათა უარმყოფელი, ქვეყნისთვის უსარგებლო, დამარცხების ღირსი პიროვნება. შეცდომა კი შეიძლება დიდებულ ადამიანსაც მოუვიდეს. თუ ღრმად ჩავიხედავთ პოემის მხატვრულ სისტემაში, მინდია მოგვევლინება ისეთი უმაღლესი ადამიანური ღირებულებისთვის მებრძოლად, რომელთა გარეშე ერის ნორმალური თვითარსებობა, ჭეშმარიტი თავისუფლება, ბედნიერება და პროგრესი წარმოუდგენელი იქნებოდა. იგი ისეთი ტიპია, რომელიც კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან არის დაკავშირებული და, პოეტის სიტყვით, ზოგადი ადამიანური პოზიციიდან ცხადყოფს, „...რანი ვართ, რას ველტვით, რა ძალი და ღონე გვაქვს გულისა და ტვინისა: მაინც კი საჭიროა ვიცოდეთ, – უნდა აწონილი, შეგნებული გვქონდეს, საით, რაზე მივაპყროთ ჩვენი ძალ-ღონე. ამ შემთხვევაში ხელოვნება უნდა მოგვეშველოს..."[1] უეჭველია, ამგვარი მიზნის შესატყვისად არის შექმნილი მინდიას სახე. მისი სამოქმედო ორიენტირები საჭიროა მთელი კაცობრიობისთვის. როგორც ჰამლეტი, დონ-კიხოტი და ფაუსტი, ასევე მინდიაც კაცთა ცხოვრების მოთხოვნის მიხედვით არის შექმნილი. მინდიაც ცხოვრებას ევლინება ხან ახლის მაძიებლად, ხან კი ძიებისგან მოპოვებულის ანალიტიკოსად. იგი ჩხრეკს და აფასებს ბუნების მოვლენებს, საზოგადოების წესჩვეულებებს და საკუთარი სულიერი შესაძლებლობების ავკარგს. ამიტომ მინდია ფუჭად მეოცნებე კი არა, არამედ მწერლის ეპიკური სახეებიდან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური, ღრმა და მრავალმხრივი სოციალური ტიპია.

მინდიას სახეს ვინც ადამიანთა ბუნებრივი ცხოვრების წესებთან დაპირისპირებულად და მცდარი სოციალური აზრის მიმდევრად მიიჩნევს, უნდა დაასაბუთოს, რომ იგი სამშობლოს თავისუფლებას, ერის სიცოცხლეს, ზნეობას, რჯულსა და ხალხის ინდივიდუალურ თვითარსებობას არ იცავს. პატრიოტიზმი, ანუ „ჯანსაღი ნაციონალიზმი", მხოლოდ მტრის წინააღმდეგ ხმლის მამაცურ მოქნევას არ გულისხმობს. მის არსში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერის შინაცხოვრებაში ბუნებრივი სამართლიანობის დაცვას, მთელი საზოგადოების ზნეობრივ სრულქმნას. ამ ფუნდამენტზე უნდა დაშენდეს ერის ისტორიული ბედი, საქვეყნო ღირებულებათა მთელი სისტემა. ბუნებრივი სიბრძნის, მისი საზომების ათვისება, ცხოვრების ღრმა წვდომა უნდა დაეხმაროს დი-

[1] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 401.

დებულ ადამიანს, სწორად მართოს საკუთარი სულიერ-გონითი შესაძლებლობები, მთლიან პიროვნულ დონეზე დაუმორჩილოს ისინი უმაღლესი ღირებულებებით ორიენტირების წესს. მინდია უმაღლესი ეროვნული ფასეულობების თავისებური დარაჯია. პოეტის რწმენით, ერებს სამშობლო, სიცოცხლე, სულიერ-ფიზიკური ინდივიდუალობა, ენა, კულტურის განუმეორებლობა, რჯულის მცნებანი ბუნების ძალითა და ისტორიული იდეალის ენერგიული მსახურებით უყალიბდება. ყოველი ერისთვის ეს ღირებულებები უძირითადესი და უკვდავია. სხვადასხვა ერები აღნიშნულ ფენომენებს ერთიმეორეს ვერასოდეს შეუქმნიან. ამ ღირებულებათა პატრონობა მხოლოდ მამულიშვილთა, დიდებულ ადამიანთა და, საერთოდ, მთელი ერის ვალია. მინდია მიკრომასშტაბით, მაგრამ მძაფრი სულიერი ტრაგიზმით ცხადყოფს ამგვარ ეროვნულ ღვაწლს.

მინდია ბუნებისა და ცხოვრების ურთიერთკავშირის სისტემურობაში ეძიებს დიდებული ადამიანისთვის საჭირო ღირებულებით ორიენტირებს, ამასთანავე, პიროვნების სულიერი შესაძლებლობების რეალიზების იმ გზებს, რომელთაც ცხოვრება უნდა სრულქმნან. ბუნება, სოციალური ცხოვრება, ადამიანის სუბიექტური სამყარო არის საფუძველი პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბებისა. ყოველმა ერმა საკუთარ გრძნობად-ინტელექტუალურ შესაძლებლობათა საფუძველზე დასაბამიდანვე მრავალი ადათი და სოციალურ-ზნეობრივი ნორმა შეიმუშავა, რათა დაეცვა სასიცოცხლო ღირებულებების მისთვის მისაღები იერარქია. მინდია ღრმად ჩასწვდა დასაბამიერ ეროვნულ ღირებულებებს და ისინი მიიჩნია არა მარტო სოციალურ-პიროვნულ, არამედ ღვთაებრივ-ბუნებრივი ძალებით შეპირობებულ ფენომენებად. ბუნებამ შექმნა ადამიანი, როგორც პოეტი იტყოდა, დააჯილდოვა იგი გრძნობა-გონებითა და მეტყველებით, რათა ბუნებაცა და საკუთარი თავიც სრულად გამოეხატა. ბუნებასა და ცხოვრებაში ნაპოვნი ანალოგიების საფუძველზე აწესრიგებდა იგი გარემოს, თუმცა, ამასთანავე, ამკვიდრებდა საკუთარი, წმინდა ადამიანური ღირებულებების სამყაროსაც. ასეთ მრავალნაირ ღირებულებათა სამყაროს საპატრონოდ ადამიანები აარსებდნენ, ცვლიდნენ, აუქმებდნენ, კვლავ იგონებდნენ უთვალავ ადათ-წესს, სოციალურ-მორალურ ნორმას. ყოველივე ფასეული, ადამიანების რწმენით, ზესთაბუნებრივი, ირაციონალური საიდუმლოების ბაზაზე იქმნებოდა, თუმცა სამყაროსეულ საიდუმლოებათა ბოლომდე ამოწურვა, მათი ამომცნობი

მექანიზმის ცხადყოფა არავის შეეძლო. ცხადია, არც ინტუიციური წვდომის უნარები იყო უსაზღვრო და არც გონებისა. ვერავინ ასაბუთებდა, სად იყო საიდუმლო, რომ ერთი ადამიანი დიდი პოეტი იყო, მეორე დიდი ფერმწერი, მესამე დიდი მუსიკოსი, ხოლო მეოთხე არც ერთ ამგვარ ტალანტს არ ფლობდა. ხელოვნებისთვის ამ მოვლენის გამო ზოგჯერ საჭირო ხდებოდა ადამიანის შემოფარგლული შესაძლებლობები ზმანებრივი, ქაჯური თუ სხვა სასწაულებით გაეფართოებინა. მინდიაც გველური საწყისის ზმანებრივი ზემოქმედებით გახდა იდუმალთმწვდომი, ბუნების არსთა ენის გამგები, შეუდარებელი მხედართმთავარი, უებარი მკურნალი და ბუნებრივი ჰარმონიის თანაზიარი. ყველაფერი ეს ვაჟასთვის იყო მხატვრული პირობითობა, თავისებური მშვენიერი ეროვნული სამოსელი იმისა, რაც ბუნებასა და ცხოვრებაში უარყოფითი თუ დადებითი ღირებულებების სახით არსებობდა და რისი მოვლა-პატრონობა დიდებული ადამიანის უპირველესი ვალი იყო.

ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვით, დამბადებელი ბუნების მეშვეობით თვითონ ქმნის პირობებს ყველა არსებულის ინდივიდუალობისა თუ დამოუკიდებელი სრულქმნისთვის, რათა შენარჩუნებულ იქნეს სინამდვილის დასაბამიერი წესრიგი, მრავალსახეობა და მშვენიერება. ეს უფლისა და ბუნების მოთხოვნაცაა და მიზანიც. ხელდასხმულისა თუ მისტის ტანჯვა-განწმენდის ზმანებრივი წესის ძალით მინდია მისმა მფარველმა ზეციურმა ძალებმა აღნიშნული დიდი მიზნის თანამოზიარედ აქციეს. სასწაულებრივმა ძალამ იგი შინაგანად შეამზადა უძირითადესი, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესთა დასაცავად. მაინც რა საქვეყნო ღირებულებებს აფასებს და ემსახურება მინდია? რა ღირებულებები არსებობს მის გარემოში ან მის პიროვნულ არსებაში, რომელთა შენარჩუნებისთვისაც დაუცხრომელი ბრძოლაა საჭირო? ასეთი ღირებულებებია: სამშობლო თავისი ბუნების მშვენიერებით, ერის სიცოცხლე, ხალხის რწმენა, იდეალი და თვითმყოფადი კულტურა. ამ ღირებულებათა შეუვალობის დაცვა, მათი სრულყოფა-განახლება მინდიასნაირი დიდბუნებოვანი ადამიანების ვალია. ვალის აღსრულებას კი სჭირდება მართალი გრძნობები, ნათელი გონება, წმინდა სინდისი და მტკიცე ნება. პოეტის ხედვით, ადამიანს თუნდაც ერთ-ერთმა ამ თვისებათაგანმა რომ უმტყუვნოს, მაშინ დაირღვევა მისი პიროვნება, დაიკარგება ღირებულებებით სწორი ორიენტირების უნარები. მინდიას სახის შექმნით მწერალმა გვაუწყა, რომ ადამიანი მუდმივად უფარდებს

ბუნებისა და ცხოვრების ღირებულებებს საკუთარი გრძნობის, გონების და ნების ძალას და ასე ღებულობს მოქმედების გადაწყვეტილებას. რაც უფრო ღრმა და მრავალმხრივია პიროვნების მხრივ ღირებულებათა სისტემის წვდომა-გაგება, მით უფრო მეტად სასარგებლო იქნება მისი საქვეყნო მოღვაწეობა.

ვაჟა-ფშაველას მიერ ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების თემაზე დაწერილი თხზულებებიდან მრავლისმთქმელია პოემა „მთათა ერთობა“. მეოცე საუკუნის დასაწყისის მძლავრი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები მწერალმა იალბუზის, მყინვარის, ბორბალოსა და სპეროზას განსჯათა წრეში მოაქცია. პოეტმა არც აქ უღალატა ბუნების პერსონიფიცირების მხატვრულ მიზანს და შექმნა მთების, როგორც ბრძენკაცთა, შთამბეჭდავი სახეები. მან მხატვრულად შეუდარა ერთიმეორეს ბუნებისა და ცხოვრების თვითმოქმედების შინაგანი კანონზომიერებები, შეაფასა მათი როგორც თვითმყოფადობა, ასევე კავშირ-მიმართებათა ნაირგვარი ასპექტები. თუ „გველის მჭამელში“ ბუნება უჩვენებს მინდიას სამყაროს ჰარმონიაში მონაწილეობისა და ცხოვრების გაუკეთესების გზებს, „მთათა ერთობაში“, პირიქით, პირველნი ადამიანები სთავაზობენ ბარის ბუნებას ერთობის ადამიანური წესით ცხოვრებას. ამით აღტაცებული ბარის ბუნება მთათა ერთობას წერილს უგზავნის და სთხოვს, მათაც მიიღონ წესად ეს სიახლე. გონიერმა მთებმა იმსჯელეს ბარის შემონათვალზე, არ მიიღეს იგი და მრავალი საბუთით დაუმტკიცეს ბარს, რომ კაცთა მიერ გამოგონილი ერთობა ვერ შეედრებოდა და ვერც ვერაფერს შეჰმატებდა მთის ბუნების დასაბამიერ წესრიგს. მთები თავისებურად ამაყობენ კიდევაც საკუთარი წესების მარადიულობით. იალბუზი ბრძანებს: „ერთხელ რაც ძალა შეგვიძინა ღმერთმა იმავე თავითა, მას ვერც შევმატებთ, ვერც შევკვეცთ, ვერც ხვეწნით, ვერცა დავითა“. სპეროზაც აღიარებს: „რაც გავჩნდით, ისევ ისა ვართ ამ ასი ათას წელშია. ჩვენ არცავის რა წავართვით, არცავინ დაგვიჩაგრია“.

მთების ერთობა დასაბამიდან დღემდე, თურმე, უცვლელია და უნაკლო, რადგან ღვთის განაწესს მტკიცედ იცავს. იგი უძველეს გონიერებასა და ზომიერებას ეფუძნება, ამიტომ დიდ მადლსა და სიკეთეს განასახიერებს. ადამიანთა ერთობა მერყევია, რადგან იგი თვით ადამიანებისავე დაუოკებელ ვნებებს, შურს, მტრობას, განუკითხავი მოხვეჭის სურვილს მიჰყვება. იალბუზის რწმენით, მთების და ბარის ბუნებამ ძველ გზას უნდა უერთგუ-

ლოს და „კაცების ერთობაზედა და თავის რჯულს არა სცვლიდესა, წესს, კანონს უფლის დადებულს, ძალიან მტკიცედ სცვიდესა“.

ადამიანებმა უფლის ნება სამოთხეშივე დაარღვიეს. მათი ცხოვრება უგუნურმა „წადილთა ნებამ“ გაამრუდა, მუდმივი სატანჯველ-საფიქრალი გასჩენიათ, „რადგან ცხოვრება კაცების გამხდარა მხოლოდ სადავლოდ, ძალ-მომრეობის, ტაცების, თუ თავად არა უშველეს, კაცთა სიცოცხლე გაცვდების“. იალბუზის აზრით, თუ ადამიანებმა „წადილთა ნება“ ღვთაებრივ წესრიგს არ დაუმორჩილეს, დაიღუპებიან. მთების ერთობა კი, მისი ფიქრით, იდეალურია: „ჩვენი ბუნება სხვა არი, მას კაცებისა ვერ სწვდების, ჩვენში ზომა აქვს უცვლელი გაჩენასა და სიკვდილსა, ფრინველისგან ფრინველის მოკვლასა მით არ ვეძახით სირცხვილსა, უზომოდ ავის ჩადენით წინ ვერვინ იწყებს სირბილსა“. მაშასადამე, ბუნების მოქმედების ავ-კარგი ყოველთვის ღვთაებრივი წესრიგის ჩარჩოებში თავსდება და მადლსა თუ თანასწორობას ყველას ერთნაირად აზიარებს. ბუნება არც ადამიანებს უზოგავს სიკეთესა და დოვლათს. ადამიანები ბუნებისგან ეზიდებიან და უკან კი აღარაფერს აბრუნებენ. უფრო მეტიც, მთების აზრით, ისინი ხშირად ბუნებიდან მიღებულ დოვლათსაც კი ერთიმეორის დასაჩაგრავად იყენებენ. ბუნება ასე არ იქცევა: „ჩვენ უენ-პირო ბუნება, სხვა ვართ, კაცთაგან ვსხვავდებით: მეტი მადლიც გვაქვს, მოთმენაც, ძალიან არა ვცხარდებით, როცა რამ უსამართლობა ხდება შემთხვევით, ან ნებით“. მთებს ეამაყებათ, რომ „ჩვენის ცხოვრების სასწვრისა უღელი მუდამ სწორია, მით კაცთა ცხოვრებაზედა ჩვენიდან ძლიერ შორია“. მთების განსჯით, ადამიანთა ცხოვრების უბედურების, უსამართლობის, შურის და მტრობის მიზეზი ისაა, რომ კაცთა ცხოვრებაში „წადილთა ნების“ ღვთაებრივ-ბუნებრივი ზომიერება დაიკარგა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ადამიანებმა ვერასოდეს დაადგინეს, რა ზომით მიიღოს მისაღები ბუნებისა ან საზოგადოებისგან. დამბადებელი და ბუნება სთავაზობენ ადამიანებს საზომებს, მაგრამ ისინი მათ ანგარიშს არ უწევენ. მართალია, პოემა ადამიანთა აზრის ბუნების წიაღში გადატანის სურვილით იწყება, მაგრამ მალე მთებმა ეს გრძნობა გააბათილეს და, როგორც „გველის მჭამელში“, ამ პოემაშიც ბუნების სიბრძნე ადამიანთა ყოფნაზე ამაღლებულად მოგვევლინა. მეტაფორულ-პერსონიფიცირებული სახეები მთების მიერ გამართულ საფიხვნოში პირდაპირ ამხელენ ადამიანურ ნაკლს, მათ სწრაფვას ურთიერთდამონების, მტრობისა და შურისკენ. მართლაც, იალბუზს, მყინვარს, ბორბალოს და

სპეროზას სწამთ, რომ დამბადებელმა განაწესა ბუნების დასაბამიერი სიკეთე, გონიერება, ზომიერება, მშვენიერება და უცვლელი წესრიგი, რამაც განსაზღვრა ყოველგვარ არსთა ჰარმონიული თანაარსებობა. ადამიანთა მიერ მოგონილი წესები ვერ უტოლდებიან ბუნებრივ სიბრძნეს, რადგან მათი საფუძველია მერყევი. სიხარბე, უსამართლობა, ერთმანეთის სიძულვილი, ჩაგვრა ადამიანების ყველა ჩანაფიქრს ამრუდებს. ადამიანის ხასიათი ყოფილა, მთების სიტყვით, მათი ცხოვრების უბედურების მიზეზი. მთები აღიარებენ ბუნების კანონზომიერებების სიქველეს. ბუნების ქმნილებანი ღვთის საწყენ საქმეს არ ჩაიდენენ, ე. ი. მრავალსახეობათა რჯულს, ენასა და ინდივიდუალობას, ამ ფენომენთა განსაკუთრებულ ლაზათს მუდამ დაიცავენ, არ დაემსგავსებიან ადამიანებს, რომელნიც მზად არიან სხვათა თავისთავადობა გადააგვარონ. პოემა „მთათა ერთობაში“ და თავის რამდენიმე პუბლიცისტურ წერილში ვაჟა-ფშაველამ ცხრაასიანი წლების ერთობის მოძღვრება თუ მოძრაობა კოსმოპოლისტ-ინტერნაციონალისტთა ყოვლის გამთანაბრებელ უვარგის საქმედ და ცდად მიიჩნია.

პოემა „მთათა ერთობაში“ ბუნება, მთები ცხადყოფენ, რომ მათი სიდიადის დამადასტურებელი სწორედ არსთა მრავალსახეობრიობის მოვლა-პატრონობაა. მთები აცხადებენ, რომ მათ მგლის ღმუილი და შურთხების სტვენა ერთნაირად ატკბობს. მათი რწმენით, „იმაზე ცუდი რაღაა, განვსხვავდებოდეთ არათი?“ მთები გმობენ ბუნებისა თუ ერთა თვითმოქმედების ინდივიდუალობის ჩამნთქმელ ერთობის მოძღვრების უაზრობას. ვაჟამ ბუნება კვლავ მოიშველია საკუთარი „ჯანსაღი ნაციონალიზმის“ იდეის დასაცავად. მისი აზრით, „მახინჯი კოსმოპოლიტიზმი“ თვით უფლისა და ბუნების სიბრძნისა თუ ნების წინააღმდეგ მიმართული მოვლენაა. ბუნების ზომიერება, მშვენიერება, ჰარმონია, გონიერება მარადიულია, ხოლო ადამიანის სურვილებს, საქციელს, ნებას კი შეიძლება მჩატე კოსმოპოლიტური აზრი ამოქმედებდეს. ადამიანები ბედნიერებას ვერ მიაღწევენ, თუ ისინი ბუნების კანონზომიერებათა სიბრძნის წიაღში არ დაბრუნდებიან. პოეტის სიტყვით, ბუნების მისიაა „გაგვაგებინოს სიტკბო სიცოცხლის, რომ შეგვაყვაროს მან თავი თვისი“. თუკი ბუნებისა და ცხოვრების ჰარმონია მიიღწევა, მაშინ დაიბადება სიცოცხლის ჭეშმარიტი საზრისიც.

თავი IX

„გველის მჭამელის“ ფოლკლორული წყაროები და შემოქმედებითი ისტორია

ვაჟა-ფშაველამ 1901 წელს გამოაქვეყნა „გველის მჭამელი“. პოეტმა შექმნა ისეთი გმირის სახე, რომელშიაც თავი მოიყარა გარემოს წვდომა-შეფასების და პიროვნების თვითშემეცნების ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა. ვაჟამ ამ პოემაში უფრო გაბედულად, ფართო პლანით დაახასიათა ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ნაირგვარი ასპექტები და მათი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც გვიჩვენა. ნაწარმოების სიუჟეტის სრულქმნის პროცესში პოეტმა უხვად გამოიყენა ძველი წარმოდგენები და ამასთანავე გზა გაუხსნა ღრმა მხატვრული მნიშვნელობის სიმბოლურ-ალეგორიულ პირობითობებს. ყოველივე აღნიშნული მან ნაწარმოების იდეის გახსნას დაუქვემდებარა. მინდიამ გარემოს წვდომის გამორჩეული უნარი ქაჯთა მეშვეობით და გველის მაგიური ზემოქმედებით შეიძინა. ცნობილია პოემიდან, რომ მინდიას მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა ენა, მათი წუხილი ესმის. ბუნების წარმონაქმნთა ენის გაგება გმირს გარემოში სწორი ორიენტაციის შესაძლებლობებს უქმნის. ეს უნარი მინდიამ ქაჯებთან ტყვეობის დროს მოიპოვა. მინდია ტყვეობაში ქაჯთა საჭმელს, გველის ხორცს, ეზიარა და ამ დროიდან მას

ახალად სული ჩაედგა,
ახლი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა,
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,

არა ყოფილა ურჯულო.
ამას ჰგრძნობს, უკვირს თითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება
შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად.

სრულიად აშკარაა, რომ მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა ენის გაგება ისეთივე მხატვრული პირობითობაა, როგორიც საზოგადოდ ნიშანდობლივია მითებისა და ზღაპრებისათვის. ამგვარი უნარის შეძენის გზაც, ე.ი. გველის ხორცის ჭამის საშუალებით სიბრძნის მიღებაც, მაგიურ წარმოდგენაზე დამყარებული პირობითობაა, მხატვრული გამონაგონია. ამგვარ პირობითობაზე პოემის ტექსტში ავტორი თავისებურად კიდეც მიუთითებს: „შეიგნო, ჭამა გველისა ქაჯთაგან იყო ზმანება. სიბრძნე აჩვენეს გველადა, რომ ჰზიზღებოდა საჭმელად". მაშასადამე, მინდიას უჩვეულო უნარის სიმბოლური განსახიერება ძველ რწმენა-წარმოდგენებზე დაეფუძნა, ხოლო რეალურად კი ჭეშმარიტების წვდომის პროცესში ადამიანთა ერთიმეორისაგან განსხვავებულ სულიერ-გონით შესაძლებლობებზე მიუთითა. პოემის სიუჟეტში მაგიურ წარმოსახვათა შემოტანით ავტორს შესაძლებლობა მიეცა პოეტურ ქმნილებაში, მეცნიერულ-ლოგიკური მსჯელობის გაუშლელად, გამოეხატა აზრი იმის შესახებ, რომ თვითშემეცნების ან გარემოს შემეცნების ხარისხით ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ვაჟა-ფშაველამ პოეტურად გაათვალსაჩინოვა ადამიანის ფსიქიკის მოქმედების ის სუბიექტური და ობიექტური საწყისები, რომელთა მეშვეობით პიროვნების გრძნობები, იდეალი, მისი თვითცნობიერება შეიძლება განუზომლად ამაღლდეს, ხოლო ზოგჯერ კიდევაც გადაგვარდეს, დაქვეითდეს. სიმბოლურ-ალეგორიული პირობითობის მოხმობა, მაგიური, მითოსური, რელიგიური მასალის გამოყენება სრულიადაც არ ჩრდილავს ახალი დროის მოთხოვნებთან მინდიას სახის ღრმა კავშირს, მისი ხასიათის სოციალურ-ეთიკური რაობის მხატვრულ დამაჯერებლობას. პირიქით, მაგიურ-მითოსური პირობითობის დაშვება უფრო ემოციურს და მიმზიდველს ხდის გმირის სოციალურ-ზნეობრივი ქცევის ფსიქოლოგიურ მოტივებს. ამ უცნაური მხატვრული სურათების ფონზე ნათლად აღიქ-

მება ადამიანის ნაირგვარ გრძნობათა მოძრაობის ბუნებრივ-ფსიქოლოგიური სიმართლე.

ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ „გველის მჭამელი" იმთავითვე ღრმა ფილოსოფიური აზრის ნაწარმოებად იქნა მიჩნეული. პოემისადმი დიდი ინტერესის მიუხედავად, მისი იდეის გაგების თვალსაზრისით, დღემდე შეხედულებათა დიდი სხვადასხვაობა არსებობს. მინდიას სახის რთული და კონტრასტული, წინააღმდეგობრივი ბუნება, მისი გრძნობების გაორება, გარე სინამდვილესთან მათი დაპირისპირება, მწერლის ჩანაფიქრის გახსნას ართულებს. ამას დაემატა ისიც, რომ პერსონაჟთა ხასიათებისა და მისწრაფებების სხვადასხვაობა, მათ მიერ სუბიექტურ და ობიექტურ ღირებულებათა სხვადასხვაგვარად შეფასება, მხატვრულ პირობითობათა ურთულეს სისტემაში განსახიერდა. „გველის მჭამელის" მხატვრული აზრის ორიგინალობა და სირთულე განსაზღვრავდა იმას, რომ მკვლევრები თხზულებას ნაირგვარ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებათა ფონზე განსჯიდნენ.

„გველის მჭამელის" ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულებისა და აზრის გასარკვევად, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლას. დაკვირვებებმა იმაზე, თუ რა მასალას ემყარებოდა მწერალი, ან როგორი იყო მისი შემოქმედებითი პოზიცია ხალხური წყაროს მიმართ, ნათელი უნდა მოჰფინოს ნაწარმოების სახეთა მნიშვნელობას, მის მხატვრულ აღნაგობას. ობიექტურ მასალასთან მწერლის შემოქმედებითი მიმართების რაობის ჩვენებამ ხელი უნდა შეუწყოს პოემის იდეურ-მხატვრული თავისებურების ახსნას. პოეტური მიმართების შინაარსმა უნდა გაგვირკვიოს ის, თუ რატომ მიიზიდა მწერლის ინტერესი კონკრეტულმა ხალხურმა გადმოცემამ, ან რამ განაპირობა წყაროსაგან განსხვავებული მიმართულებით შემოქმედის მხატვრული წარმოსახვისა და აზრის განვითარება. ცხადია, წყაროებთან მიმართების ასპექტში „გველის მჭამელის" სიუჟეტის სრული ორიგინალობის ჩვენება, თავის მხრივ, იმასაც გულისხმობს, რომ მისი მხატვრული აზრისა და სახე-ხასიათების თვითმყოფობა გამოიკვეთოს.

ვაჟა-ფშაველამ სრულიად გარკვეული მიზეზების გამო ორჯერ გამოთქვა აზრი „გველის მჭამელის" წყაროსა და შემოქმედებითი ისტორიის თაობაზე: 1911 წელს მწერალმა პირველად დაახასიათა რამდენიმე საკუთარი პოემის წყარო. ამ დროისათვის ვაჟა უკვე ამჩნევდა თავის ნაწარმოებთა კრიტიკულ ანალიზში იმგვარ ტენდენციებს, რომლებსაც, ადრე თუ გვიან, შეეძლო

რეალური გზიდან აეცდინა ხალხურ წყაროებთან მისი დამოკიდებულების შესწავლა. პოეტის ვარაუდი მალე გამართლდა. პირველი კრიტიკოსი, რომელმაც მცდარად ახსნა ხალხურ წყაროებთან თუ ხალხურ შემოქმედებასთან ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ პოეტური დამოკიდებულება, იპ. ვართაგავა იყო. კრიტიკოსის გამოკვლევას იმავე 1914 წელს მოჰყვა ვაჟა-ფშაველას წერილი „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“. პოეტი არ დაეთანხმა „სტუმარ-მასპინძლისა“ და „გველის მჭამელის“ ხალხურ წყაროებთან მიმართების თაობაზე კრიტიკოსის მიერ გამოთქმულ აზრს. მან გამოყენებული ხალხური მასალა წარუდგინა საზოგადოებას, ლიტერატურის კრიტიკოსებს და გარე სინამდვილესთან, წყაროებთან პოეტური მიმართების ბუნებაც დაუხასიათა.

ვაჟა-ფაშველამ ხალხური შემოქმედების ნიმუშების ჩამწერთა შორის პირველმა მოახდინა ფიქსაცია გველის მჭამელის შესახებ არსებული გადმოცემისა. გადმოცემა გველის მჭამელზე მან სალიტერატურო კრიტიკას 1914 წელს გააცნო და აღნიშნა, რომ ამ მასალას იყენებდა პოემის წერის დროს, ე.ი. 1901 წელს, მაშასადამე, მწერალმა ჯერ კიდევ 1901 წლამდე მოპოვებული მასალა წარუდგინა მკითხველს. ეს მასალა ერთადერთი ძველი ნიმუშია და თანაც ხალხური სიტყვიერების საერთო ბუნების დიდი მცოდნისაგან შემონახული. თხზულების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლისას, უწინარეს ყოვლისა, მწერლის მიერ მოწოდებული ხალხური წყარო უნდა იქცეს დაკვირვების საგნად. ამასთანავე, შემოქმედებითი მიმართებების რაობის დახასიათებისას უნდა დავემყაროთ მწერლისეულ თვითგანმარტებებს.

ავტორისეული ჩანაწერის შინაარსის მიხედვით, მინდია ქაჯებს ჩაუვარდება ტყვედ. ტყვეობით შეწუხებული თავის მოსაკლავად გველის ხორცს ჭამს, მაგრამ სიკვდილის ნაცვლად ბრძენ კაცად იქცევა. ბრძენს მცენარეთა ენა ესმის. მინდია მათ სამკურნალო თვისებებს იცნობს, რადგან თვითონ ეუბნებიან, თუ რომელი რა სატკივარის წამალია. ამის გამო მინდიას წამალი უებარია. ვაჟას მიერ მოწოდებულ მასალაში საუბარია მინდიას თავგადასავალზე. ამ გადმოცემაში ერთი სიტყვითაც არ არის მითითებული იმაზე, რომ მინდია ხოგაის ძე იყო. მინდია არც ვაჟას პოემაში იხსენიება ხოგაის ძედ. ბუნებრივია, ისმება კითხვა, თუ საიდან გაჩნდა იგი შემდგომი ხანის გადმოცემაში. ვაჟა-ფშაველას არც სხვაგან სადმე მიუჩნევია გველის მჭამელი მინდია და საგმირო ხალხური ლექსის ხოგაის მინდია ერთ პიროვნებად. პოეტი კარგად იცნობდა ხოგაის მინდის ლექსს; მან იგი ჩვეულებ-

რივ საგმირო ლექსად მიიჩნია და ერთმა პირველთაგანმა ჯერ კიდევ 1886 წელს გამოაქვეყნა. მაშასადამე, თუ ვაჟა-ფაშველა ერთიმეორისაგან არ ასხვავებს გველის მჭამელ მინდიას და საგმირო ლექსის ხოგაის მინდის, მაშინ მათს იგივეობას ერთხელ მაინც აღნიშნავდა ან პოემაში, ან კიდევ თავის ლიტერატურულ-ფოლკლორისტულ წერილებში. სათანადო ტექსტებს თუ დავაკვირდებით, საზოგადოდაც, არავითარი მიზეზი, გარდა სახელის იგივეობისა, არ არსებობს, რომ ერთიმეორეს დავუკავშიროთ გველის მჭამელ მინდიაზე არსებული თქმულებები და ქისტებთან მებრძოლი ხოგაის მინდის გამბედაობის მაუწყებელი ხალხური ლექსი. ამ ლექსში მოცემული ნაირგვარი რეალიებისა და დეტალების სიმრავლე უფლებას არ გვაძლევს იგი საუკუნეთა მიღმა შექმნილ ნანარმოებად მივიჩნიოთ. ლექსისაგან სრულიად განსხვავებულია გადმოცემა გველის მჭამელ მინდიაზე, ეს გადმოცემა უძველეს მაგიურ და მითოსურ რწმენა-წარმოდგენებს ემყარება. იგი თავისი მნიშვნელობითაც არა ჰგავს საგმირო ლექსებს. თქმულების ამბავი სიძველით მასში გამოხატული წარმოდგენების ხსნისა ვერ იქნება. მართალია, მთიელთა ყოფასა და მეხსიერებაში შემორჩენილი რწმენა და შეხედულებები ძველისძველია, მაგრამ მათ ბაზაზე, სრულიად ადვილად, ახალ დროშიც შეიძლებოდა შექმნილიყო ამ გადმოცემის ამბავი. იგულისხმება, რომ თაობათა მეხსიერებაში ფესვგადგმული და ახალ დრომდე მოღწეული რელიგიური, მაგიური და მითოსური წარმოდგენები ყოველთვის ააქტიურებდა, ასაზრდოვებდა ადამიანთა მხატვრულ ფანტაზიას. მათი მხატვრული რეალიზებისთვის აუცილებელი არ არის ძველი ყოფითი გარემო. რომელიმე ხალხურ ნანარმოებში უძველეს რწმენა-წარმოდგენათა აღმოჩენა იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აღწერილი ამბავი და მისი მხატვრული ფორმაც უხსოვარი დროიდან მოდის.

ჩანს, მთაში ფართოდ გავრცელებული სახელი მინდია არის მიზეზი იმისა, რომ მთქმელსა თუ ჩამწერს სხვადასხვა ამბები და გმირები ერთიმეორესთან კონტამინაციის წესით შეეერთებინა. ამ დროს ხალხში არ არსებობდა ინდივიდუალურის, ხალხურის, ძველის და ახლის გამიჯვნის კრიტერიუმები. ძველი და ახალი ერთმანეთში გადადიოდა და გადმოდიოდა. ასეც მოხდა. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში პირველად გ. თედორაძის მიერ ჩაწერილ მასალაში შეერწყნენ ერთმანეთს გველის მჭამელი მინდიას და ხოგაის მინდიას სახელები. მაგრამ, გარკვეული მიზეზის გამო, ერთიმეორეს აღარ შეუთავსდა მათი სახეები. ხოგაის მინდი-

ას ლექსი მექანიკურად შეუერთდა გველის მჭამელის გადმოცემას.

გ. თედორაძემ ვაჟას პოემა „გველის მჭამელის" გამოქვეყნებიდან ოცდაათი წლის შემდეგ თავის წიგნში შეიტანა თქმულება „ხოგაის მინდია". მან აღნიშნა: „ამ თქმულებაზე აქვს აგებული დიდ პოეტს ვაჟა-ფშაველას თავისი ერთი საუკეთესო პოემათაგანი, – „გველის მჭამელი". ჩვენს მიერ მოთხრობილი თქმულება აღმოვაჩინეთ ხევსურეთში. დიდ ლიტერატურულ ინტერესს ნარმოადგენს ვაჟას პოემისა და ხალხური ვარიანტის შედარება".[1]

გ. თედორაძე, მართალია, დაბეჯითებით გვეუბნება, რომ ამ თქმულებაზე ააგო ვაჟამ თავისი პოემაო, მაგრამ თვითონვე გადმოცემის სტრუქტურის შესახებ აღნიშნავს: „ეს თქმულება ჩვენ დავამუშავეთ და გადავაკეთეთ იმდენად, რომ ფოლკლორის კანონზომიერებას არ გასცილებოდა. მასში ხალხურია – გუგულების ამბავი, ლექსები, მინდიას ტყვეობა ნადირთ მწყემსთან, მისი დაავადება ტილით, თეთრი გველის ჭამა, განკურნება, მისნად გადაქცევა, ქისტეთს წასვლა საომრად, ძმობილ ალდისძის ბინაზე მისვლის მაგივრად მტრის სახლში მისვლა, ციხეში მომწყვდევა და სიკვდილი. მაგარმ იმ მიზნით, რომ მინდიას სიბრძნე უფრო ძლიერად გამოგვეხატა, ჩვენ ამ ხალხურ თქმულებას დავუმატეთ – მასკვლიას სიკვდილის, ჭიანჭველების, თეთრი თიკნის, ფუტკრების, ბებერასი, ვერხვის მოჭრის, შურთხ-ჯიხვების ამბები და ხადიშასთან შეხვედრის ამბავი".[2] აქ გამოთქმული შეხედულებები ერთიმეორესთან საკმაოდ დიდ წინააღმდეგობაშია. ამის გამოც ნათელი არ არის, თუ რას გულისხმობს ექიმის მიერ გადმოცემის ისე დამუშავება-გადაკეთება, რომ იგი ფოლკლორის კანონზომიერებას არ გასცდეს. ცხადია, ყოველი გადაკეთება ნიშნავს მიმატება-გამოკლებას, ახალი ურთიერთობების შექმნასა და აღწერას. მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც. ვაჟა-ფშაველას მიერ გამოქვეყნებული პოემის წყაროს და ამ გადმოცემას საერთო მხოლოდ ისა აქვს, რომ მინდიამ გველის ხორცი ჭამა და ბრძენი გახდა. მან მცენარეთა ენა გაიგო და ისინი სამკურნალოდ გამოიყენა. მაგრამ რა პირობებში ან რა მიზნით ჭამა გველის ხორცი, ეს სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული. მაშასადამე, თქმულებებში გველის შეჭმის, მცენარეთა ენის გაგებისა და ბრძენ ექიმად გადაქცევის ზოგადი აზრი ემთხვევა ერთიმეორეს.

---

[1] გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1939 წ., წიგნი II, გვ. 97.
[2] გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1939 წ., წიგნი II, გვ. 97.

გ. თედორაძის ვარიანტის დანარჩენი ამბები და ეპიზოდები ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ვარიანტში არ ჩანს. ისინი არც პოემაში გამოვლენილან. გ. თედორაძემ გულწრფელად თქვა: „იმ მიზნით, რომ მინდიას სიბრძნე უფრო ძლიერად გამოგვეხატნა, ჩვენ ხალხურ თქმულებას დავუმატეთო“ და ასახელებს თავის მიერ გამოგონილ ამბებს. ამასთანავე, გ. თედორაძის გადმოცემაში მოიპოვება ისეთი მასალაც, რომელიც არა ჩანს სხვა ხალხურ გადმოცემებში. მან გაგვაცნო ხოგაის მინდის ძმები, ცოლი და დედა. დაარქვა მათ სახელები, გ. თედორაძემ დაგვიხასიათა არა მარტო საკუთარი ოჯახის წევრებთან, არამედ ხალხთან, გარეშე მტრებთან მინდიას დამოკიდებულება. ამ ცვლილებებს გ. თედორაძე აღარ ახსენებს და, ალბათ, არც მიიჩნევს მნიშვნელოვან სიახლედ. ჩანს, რომ პოემა „გველის მჭამელის“ ზემოქმედებით გაჩნდა გადმოცემაში მინდიას ოჯახური და საზოგადოებრივი ურთიერთობების მაჩვენებელი სიტუაციები. გ. თედორაძემ თქმულების ამ ეპიზოდებს არც ხალხური უწოდა და არც საკუთარი გამონაგონი. აშკარაა, განათლებული კაცი გაიტაცა თქმულების ბუნებრივი ხარვეზების გარკვეული მიზნით შევსებამ. მაგრამ ასეთნაირადვე გაუტაცია „მინდიას სიბრძნის უფრო ძლიერად გამოხატვას“ გ. თედორაძის ინფორმატორი, მთქმელი. ხალხური მთქმელი გულუბრყვილო თუ შეგნებული კონტამინაციის გზას გაყოლია და გ. თედორაძისათვის მიუწოდებია ყველაფერი, რაც კი გველის მჭამელი მინდიასა თუ ხოგაის მინდის შესახებ ფოლკლორიდან ან ინდივიდუალური ანუ ვაჟას შემოქმედებიდან შეითვისა. თქმულების შევსებისას, მინდიას სიბრძნისა თუ ვაჟკაცობის ჩვენებისას მთქმელი თავისუფლად იყენებს ვაჟა-ფშაველას პოემა „გველის მჭამელს“, რომელშიაც მართლაც მაღალეფექტურად წარმოჩნდა მინდიას ტრაგიკული პიროვნება. ამ გადმოცემაში შესულია ისეთი ხალხური ამბებიც, როელთაც მასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. მთქმელი არა მარტო ვაჟას პოემის სიუჟეტის დეტალებს იყენებს, არამედ თამამად ლექსავს ცალკეული ეპიზოდების შინაარსსაც, აი, ერთ-ერთი ნიმუში:

ვინღა დაუწყას ბალახთა
საამო საუბარია,
ვისად დავედრებს მამკასა
ყანაი მასამკალია,
სუყველა ესალმებოდა
ბალახ-ტყენი და კლდენია.

სიმაგრეებში ნადირი
მადლობის იყო მთქმელია,
ერთად იძახდა სუყველა
იყავ მინდია მთელია,
გახარებულებს წიფლებსა
ცას მიუბჯენავ წევრია.
ნადირისა და ხეტყისა
იყვა ერთგული მცველია,
საც გაჭირვებას იძახდეს
წინ აბჯრის გადამცმელია
ვინაღ გყავთ დაჭრილებისად
აქიმი მინდის ცალია,
ან ვინაღ იცის წამლები,
ბალახი უებარია,
ვინ აძლევს დარიგებასა,
როსაც დაჯდება ჯარია.[1]

ამგვარ ლექსებს გ. თედორაძემ ხალხური უწოდა, თუმცა ისინი არც ადრე და არც შემდეგ სხვა შემკრებთ არ ჩაუწერიათ. ეს მასალა პოემის შინაარსის გარეშე საერთოდ ვერაფერს გვეუბნება. ჩანს, გ. თედორაძემ ისეთი მთქმელისაგან მოისმინა ეს ლექსები, რომელიც პოემა „გველის მჭამელის“ ეპიზოდების გალექსვას, მათი აზრის შეჯამებას ცდილობდა. ცხადია, ეს ინფორმატორი პოემის შინაარსს პროზის სახითაც კარგად გამოიყენებდა. ჩამწერს კი უნდა გაეგო და აეხსნა, თუ როგორ მასალას იწერდა. მას უნდა გაემიჯნა ხალხური და არახალხური შრეები. გ. თედორაძე ამის დაზუსტება-დაკონკრეტებას არ ცდილობს, პირიქით, გადმოცემას თვითონაც გარდაქმნის და ახალ ამბებს უმატებს. საყურადღებოა ერთი გარემოებაც: მთქმელს არ აღმოაჩნდა ძალა ჩაწვდომოდა პოემის იდეურ-მხატვრულ სიდიადეს და ამიტომაც ხელთ შეგვრჩა აბსტრაქტული ლექსითი თხრობა ნაწარმოების სიუჟეტური ელემენტების თაობაზე. „ხოგაის მინდის“ პროზაული გადმოცემები გვიჩვენებენ, რომ მთქმელებმა საზოგადოდ ვერ შეძლეს, თუმცა სცადეს, პოემის სიუჟეტის გადმოცემა. ეს ბუნებრივიცაა. მათ ვერ გაიგეს პოემის სიუჟეტური სიტუაციების ზოგადი სიმბოლური აზრი. ალბათ, ამის გამოც პოემის მინდიას ქცევა-მოქმედების ფსიქოლოგიური ნიუანსები, მისი

[1] გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1939 წ., წიგნი II, გვ. 102.

განცდების შინაარსი ვერ დაუმორჩილეს საკუთარ ამბებსა და სიტყვას. ამიტომაც გადმოცემის ვარიანტებში ყანის მკის ამბავი, ხორცის უჭმელობის, ხის მოუჭრელობის და სხვა ეპიზოდები პოემიდან თითქმის ჩვეულებრივ ყოფაში დამკვიდრებული მეტყველების ფორმით შევიდა. გ. თედორაძის მიერ ჩაწერილ გადმოცემაში ვკითხულობთ: „ოჯახს არ მოსწონდა მინდიას საქციელი. დედა სულ იმას ეკითხებოდა, რა მოგდისო. ძმები კი – როდის გახდი ეგეთი ბრძენიო. ცოლი სთხოვდა ნანადირევსა და შეშას“.[1] ცხადად ჩანს, რომ პოემა „გველის მჭამელის“ ფაბულა გარკვეულ როლს ასრულებს ამ ვარიანტის ჩამოყალიბების პროცესში. საერთოდ მინდიას მეუღლე და ოჯახის წევრები არც ერთ გადმოცემაში არა ჩანს. მასში მოკლე ცნობების სახითაა შემოტანილი პოემის ეპიზოდები. პროფ. მ. ჩიქოვანი კი გადმოცემის ამ ვარიანტთან მწერლის დამოკიდებულების შესახებ წერს: „შედარებიდან ჩანს, რომ ვაჟა-ფშაველამ ეს გადმოცემა თავისებურად გადაადნო, შემოქმედებით მანგანაში გაატარა, როგორც თვითონ იტყოდა, და გმირი ახალ სიტუაციაში მოაქცია. ზეპირი გადმოცემა გააშალაშინა, მხატვრული სიფაქიზე, ელვარება მიანიჭა და გუგულების სამფლობელოში ყოფნა ქაჯებთან ტყვეობად, ხოლო თეთრი გველის ხორცის მიღება თავგანწირვის მოტივად მოგვევლინა“.[2] ამგვარი დარწმუნებული მსჯელობის მიუხედავად, ფაქტებით არ დასტურდება, რომ ვაჟა პოემის დაწერიდან ოცდაათი წლის შემდეგ ჩაწერილი გადმოცემის დეტალებს იცნობდა და ამუშავებდა. მინდიას „ნადირთ მწყემსთან მეგობრობა და გუგულების სამფლობელოში ყოფნა“ არც ვაჟასეულ ჩანაწერში და არც მის ნაწარმოებში არ გამოჩენილა. საიდან უნდა დავასაბუთოთ, რომ მწერალი ამ ეპიზოდებს „აშალაშინებდა“? თანაც გ. თედორაძისაც და სხვა ნიმუშებიც მწერლის გარდაცვალებიდან დიდი ხნით გვიან იქნა მოპოვებული, ამასთან ერთად ჩამწერისა და მთქმელების ფანტაზიით სახეცვლილი. ვფიქრობთ, მწერალი აღნიშნული გადმოცემის დასახელებულ ეპიზოდებს არ იცნობდა. მკვლევრის შეცდომას კი ხალხური მასალის ტექსტოლოგიური ბუნების გაუთვალისწინებლობა იწვევს.

როგორც ვთქვით, გ. თედორაძემ თქმულება დაამუშავა, გადააკეთა და მას თავისი გამონაგონი მიუმატა. მაგრამ მას არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა თვით

[1] გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1939 წ., წიგნი II, გვ. 100.
[2] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 70.

პოემას ამ დამუშავების პროცესში, ან როგორი ხარისხით წარმოჩნდა მთქმელის მეხსიერებაში ნაწარმოების ცოდნა. ცვლილებები კი, რაც გ. თედორაძის ვარიანტში ჩანს, აუცილებლობით ითხოვენ ამბებისა და პერსონაჟებისათვის ახალი კავშირების მონახვას. ტექსტზე დაკვირვება ცხადს ხდის, რომ ამ დამუშავებისას, ფოლკლორული მასალის გარდა, იგი ემყარება პოემა „გველის მჭამელის" შინაარსს. გადმოცემა „ხოგაის მინდი" შედგება სხვადასხვა ხალხური მასალისაგან, გ. თედორაძის მიერ შეთხზული ამბებისა და ვაჟას პოემის ცალკეული ეპიზოდებიდან აღებული ელემენტებისაგან. ამგვარი გადმოცემის წიგნში შეტანამ ერთგვარი გავლენა მოახდინა შემდგომი დროის მთქმელებსა და მათგან ჩაწერილ ნიმუშებზე. დროის მსვლელობაში თანდათან ღრმავდებოდა ხალხურ მთქმელებზე ვაჟას ნაწარმოებთა გავლენა.

ხალხური თქმულებები „ხოგაის მინდიზე", გ. თედორაძის გარდა, გამოაქვეყნეს მ. ჩიქოვანმა – 1942 წელს, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების II ტომში, და ა. გაჩეჩილაძემ 1947 წელს, თელავის პედინსტიტუტის შრომების I ტომში. გადმოცემის ეს ვარიანტებიც მეტ-ნაკლები ხარისხით კონტამინირებულია. მათი ტექსტოლოგიური ანალიზი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ აქაც ერთ-ერთი წყარო ვაჟას ნაწარმოებია. მ. ჩიქოვანის მიერ გამოქვეყნებული გადმოცემა სხვებთან შედარებით უფრო მარტივია. თუმცა აქაც ხოგაის მინდია და გველის მჭამელი მინდია ერთ პიროვნებად წარმოსდგებიან. ამ თქმულების დასასრულს აშკარად ემჩნევა, რომ იგი ვაჟას პოემის ეპიზოდებით არის შევსებული. მასში მინდიას ქისტებთან ბრძოლისა და ნადირთ მწყემსთან ურთიერთობის ამბავი არა ჩანს.

ა. გაჩეჩილაძის მიერ გამოქვეყნებული „ხოგაის მინდის" გადმოცემა ვრცელია და რამდენიმე სხვადასხვა ამბისაგან არის შედგენილი. აქაც, გ. თედორაძის ჩანაწერის მსგავსად, მთქმელი განსხვავებულ ამბებს აერთიანებს და არავითარ უნარს არ იჩენს, რომ დიფერენცირებულად გაიაზროს განსხვავებული თქმულებები. ამ ვარიანტის მიხედვით ჩანს, რომ მთქმელი სხვადასხვა ამბების გაერთიანებას შეგნებულად ცდილობს. იგი გადმოცემის ტექსტის სიზუსტით კი არა, საკუთარი ზღაპრული ამბის შექმნით არის გატაცებული. იგულისხმება რომ მთქმელმა გადმოცემის ნამდვილობის რწმენა მხატვრული წარმოსახვით შეცვალა. მას სურს სხვადასხვა ხალხურ ამბავსა და ვაჟას პოე-

მის შინაარსზე დაყრდნობით საკუთარი ამბავი შექმნას. ეს კი ჩამწერთა და მთქმელთა დიდი დაუდევრობაა.

თქმულების ამ ვარიანტში დასაწყისშივე გამოკვეთილია მინდიას არაჩვეულებრივობა. ამიტომაც მთქმელის წარმოსახვამ იმთავითვე დააკავშირა იგი სხვა თქმულების გამორჩეულ პერსონაჟთან, ხატებთან ერთად სალაშქროდ მოარულ გახუასთან. აქ მარტივი ოპერაცია შესრულდა. ხოგაის მინდია მეგობრობის მოტივით დაუკავშირდა გახუას, ხოლო მისი მოქმედება მინდიასაც მიეკუთვნა. მინდია ჯერ ჟამებმა დაატყვევეს, ხოლო ისინი რომ გაქრნენ, ქაჯების ტყვედ იქცა. ქაჯებიდან გაპარული მინდია გუგულების ქვეყანაში აღმოჩნდა, სადაც მათ ჭკათა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარა. ამ სიკეთის სანაცვლოდ გუგულებმა გველი აჭამეს, მკბენარისაგან გაანთავისუფლეს, მისნად აქციეს და არხოტშიც მიიყვანეს. „გველის ხორცის ჭამის შემდეგ მინდიას სმენია საუბარი ხეთა, ფრინველთა, ნადირთა, ყანისა, ყვავილთა და ბალახთა“.[1] აქ მცენარეთა ენის ცოდნა ჩანს საერთო, სხვა ელემენტები ნაწარმოებიდან ნასესხები უნდა იყოს. ხალხურ თქმულებათა სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ მათთვის ნიშანდობლივია ამბის შეუთანხმებლობა-ფრაგმენტულობა. ამბავთა დეტალიზების ამოცანა ან სულის მოძრაობათა რთული ფსიქოლოგიური ნიუანსების გამოხატვა მათთვის დამახასიათებელი არ არის. თაობების მიერ მოვლენათა სხვადასხვაგვარად განცდა, ხედვა იწვევს ამბავთა და დეტალთა დაპირისპირებას, ამიტომაც ძირითადი ტექსტის დადგენა ძნელია. თქმულების ა. გაჩეჩილაძისეული ვარიანტით, მინდიას ქაჯებთან ტყვეობისას არ მიუღია მისნობა, სიბრძნე. მან თვითონ კი არ ჭამა გველის ხორცი, არამედ გუგულებმა აჭამეს, რათა ტილისგან ეხსნათ იგი. აქ გველის ჭამამდეც მინდია გამორჩეულია. იგი ქაჯებს ატყუებს, ეპარება და არაადამიანებთან – ნადირთ მწყემსთან, გუგულებთან ლაპარაკობს, ეს წინააღმდეგობები მრავლისმეტყველია, ხდება მითოლოგიური შინაარსის გადმოცემის ზღაპრად გადაკეთება. გუგულებმა მინდია არხოტში დააბრუნეს. „მინდიას თავის ქვეყანაში სმენია მცენარეების, ცხოველების, ფრინველთა და სხვათა საუბარი. მინდიამ ბალახი ვერ მოთიბა, ხე ვერ მოჭრა, ყველანი ეუბნებოდნენ: ნუ მომჭრი, მინდიო! – ნადირი ებრალებოდა და ვერ ხოცავდა, დღეში სამ ძნას ვერ მკიდა, თავთავი, მარცვალი ეძახდა: „მინდი, ნუ

[1] ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“ და პოემა „გველის მჭამელი“, თბ., 1959 წ., გვ. 27.

მწირავ, ცით ფრთა მეცემისო, ამიღეო". მინდიას ებრალებოდა და ყველას აგროვებდა. ბალახნი, ყვავილნი ეძახდნენ – „მე ამის წამალი ვარ, მე ამისაო". მინდი არჩენდა დაჭრილებს, შუაზე გაკვეთილ ადამიანს გადააბამდა და სიკვდილს გადაარჩენდა. მტერზე უმარჯვებია მინდის. ხევსურთ ძალიან ჰყვარებიათ მინდი, ბოლოს რაზედაც დაფიცულ იყვ, იმას გადავიდა, ნადირ უხოცია, ხე მოუჭრია".[1] შედარება გვიჩვენებს, რომ ეს ეპიზოდი ვაჟას ნაწარმოებს ემყარება. მთქმელი პოემიდან სესხულობს დეტალებს, ეპიზოდებსა და იმ შეფასებებს, რასაც პოეტი მინდიას გარემოსთან დამოკიდებულებას აძლევდა. „მინდიას" ებრალებოდა და ყველას აგროვებდა". ეს შეფასებაც პოემიდან მოდის, თუმცა მასში მინდიას ქცევას მხოლოდ სიბრალული არ განსაზღვრავს. გადმოცემები, რომლებიც გ. თედორაძემ, მ. ჩიქოვანმა და ა. გაჩეჩილაძემ გამოაქვეყნეს, ამბავთა და დეტალთა შინაგანი წინააღმდეგობის გარდა, ერთიმეორესაც უპირისპირდებიან. ისინი ერთიმეორისაგან განსხვავებული მოცულობით წარმოგვიდგენენ ნამდვილ ხალხურ ამბებსაც და თვით ვაჟას პოემის სიტუაციებსაც. ამ ახალ ვარიანტებში შევიდა ვაჟას ნაწარმოების ის სიუჟეტური ეპიზოდებიც, რომელნიც პოეტმა საკუთარი გრძნობა-გონების ნაყოფად გაგვაცნო. არც ერთ მკვლევარს თუ პუბლიკატორს არ უცდია ეჩვენებინა გადმოცემებზე ვაჟას პოემის გავლენა; თუმცა კი ეს ხალხური ნიმუშები ნაწარმოების დაწერიდან ორმოცი წლის შემდეგ გამოქვეყნდა. ხალხური მთქმელების მიერ პოემიდან აღებული ეპიზოდები შემდგომ ზოგიერთ გამოკვლევაში ისევ ლიტერატურული ქმნილების წყაროდ დასახელდა. მაშასადამე, თქმულებაში პოემიდან გადმოსული მოტივები წყაროების კვლევისას, ნამდვილ ხალხურ მასალასთან ერთად, ნაწარმოების ხალხურ მოტივებად, ხალხურ ეპიზოდებად გამოცხადდა. გარკვეული აზრით, პოემის სიტუაციები თავისივე წყაროდ მოგვევლინა, ოღნდაც მათ ხალხური ეწოდა და პოემის დაწერის წინა დროინდელად ჩაითვალა.

თქმულების ვარიანტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მთქმელები, მათი ბუნებრივი ხარვეზების შევსების მიზნით, პოემის ეპიზოდებს მიმართავდნენ, სადაც მთქმელებმა ვერ გახსნეს მწერლის ჩანაფიქრი, იქ აშკარად გამოჩნდა, თუ რა მასალა ასაზრდოებდა მათ. გ. თედორაძის ვარიანტის მიხედვით, მინდიას

[1] ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე" და პოემა „გველის მჭამელი", თბ., 1959 წ., გვ. 27.

სიბრძნე არ დაუკარგავს. იგი ნადირს კლავს, ხეს ჭრის და ამის შემდეგაც ქისტებს ამარცხებს, შიშის ზარს სცემს. ვაჟას მიერ გახსნილ-განსახიერებულმა გრძნობებმა დაჩაგრეს მთქმელიც და ჩამწერნიც. ისინი ვერ ჩაწვდნენ ამ გრძნობათა ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სიღრმეებს. მ. ჩიქოვანი კი თავისი ჩანაწერის გამო აღნიშნავს, რომ მთქმელს „აღარ ახსოვს, თუ სიბრძნე როგორ დაკარგა ხევსურთ ბელადმა, ან როგორ გახდა ის მწრეელთტყვე, ბეჩავი".[1] აქ უკეთესი იქნებოდა იმაზე მითითება, რომ ეს მოვლენა ხალხურ გადმოცემაში, საზოგადოდ, არ დასტურდება. თქმულების არც ერთი ვარიანტის ცნობით, არ კარგავს მინდია სიბრძნეს. მთქმელისათვის კითხვის დაყენებაც ვაჟას პოემის სიუეტით არის განპირობებული. ცხადია, როცა ეს გადმოცემები ჩაიწერა, პოემა „გველის მჭამელის" შინაარსი მთელმა ქვეყანამ იცოდა. ნაწარმოები მრავალჯერ იყო გამოქვეყნებული. ბევრი სტატია იწერებოდა და ქვეყნდებოდა „გველის მჭამელზე" ჟურნალ-გაზეთებში. ნაწარმოები ისწავლებოდა საშუალო სკოლებში და უმაღლესი სასწავლებლების სათანადო ფაკულტეტებზე. აღნიშნულთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მთიელთა გამორჩეულ ინტერესს ვაჟას პოეზიისადმი, გასაგები გახდება ხალხურ თქმულებებზე პოემის ზემოქმედების ბუნებრივი პროცესი. მინდიას მიერ უჩვეულო ცოდნის დაკარგვის თაობაზე არაფერია ნათქვამი ა. გაჩეჩილაძის მიერ გამოქვეყნებულ გადმოცემაშიც. აქ წერია: „მინდი არჩენდა დაჭრილებს. შუაზე გაკვეთილ ადამიანს გადააბამდა და სიკვდილს გადაარჩენდა. მტერზე უმარჯვებია მინდის. ხევსურთ ძალიან ჰყვარებიათ მინდი. ბოლოს რაზედაც დაფიცულ იყვ, იმას გადავიდა, ნადირ უხოცია, ხე მოუჭრია".[2] ამ ეპიზოდში არა ჩანს ხალხური თქმულებისათვის დამახასიათებელი ამბის სიმარტივე, გამჭვირვალება. ვფიქრობთ, ეს ეპიზოდიც პოემას ემყარება, თუმცა იგი ბოლომდე ვერ არის გახსნილი. თვითონ პოეტი აღნიშნულ ეპიზოდს ხალხური გადმოცემის კუთვნილებად არ თვლის. მინდიაზე კი ნაწარმოებში წერია:

„მალია ტყვიასავითა,
გრძნეული, როგორც გველია,
აღმერთებს, ნუგეშად ჰსახავს
ფშავ-ხევსურეთი მთელია,

---

[1] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 77.

[2] ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე" და პოემა „გველის მჭამელი", თბ., 1959 წ., გვ. 27.

გვირგვინოსანი თამარი
სულ მუდამ ამის მთქმელია:
„ოღონდ მინდია თან მყავდეს,
მასთან მთიელი ერია,
რაც უნდ ძალიან ეცედოს,
ვერას დამაკლებს მტერია“.
იცის მტრის დასამარცხები
და შემმუსვრელი ფანდია,
თუ დაჭრილს ცოცხალს მიუსწრო,
ნუ აქვს სიკვდილის დარდია.
შუაზე გაჭრილს გაჰკურნავს
მის უებარი წამალი;

ხალხური გადმოცემის ზემომოტანილ ეპიზოდში ნათქვამია, რომ მინდია ხეს ჭრის და ნადირს კლავს, რითაც ფიცი გაუტეხია. მაგრამ როდის ან რატომ დაიფიცა, ეს არა ჩანს. მინდია გველის ხორცის ჭამის შემდეგ მიღებულ სიბრძნისა და მისი შესატყვისი მაღალი ზნეობის დაკარგვას ჩივის. მის დაბრუნებაზე ლოცულობს. ფიცი კი არ გატეხა, იგი საკუთარ ცოდნას და ცოდნის შესატყვის ზნეობას ვერ გაჰყვა. გონს, სიბრძნეს, ემოციებმა აჯობეს. აქაც პოემის მინდიასეული საკუთარი ზნეობრივი პრინციპებისადმი ერთგულების კვალი ვლინდება. ვაჟა-ფშაველა საგანგებოდ ლაპარაკობს იმაზე, რომ ხორცის უჭმელობა ხალხურ ამბავში არა ჩანს და მისი ფანტაზიის ნაყოფია. ხის მოუჭრელობის მოტივსაც პოეტი დაწვრილებით აღწერს:

მივიდა ხესთან ცულითა,
სთქვა: „უნდა მოვჭრა ესაო!“
შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს
ხის შემოესმის კვნესაო:
„ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!“
დაუდუნდება მკლავები,
შტერად გახედნებს ზეცასა
სხვა ხეს მიჰმართავს, ის უფრო
მეტად დაიწყებს კვნესასა.
ხელცარიელი წამოვა,
ვერ მოიყოლებს შეშასა.

მინდია მეუღლესთან კამათში უფრო მკვეთრად ახასიათებს ბუნებასთან თავისი დამოკიდებულების აზრს. გარემო მინდიას მართლა გაუორებელ სინდისზე უმახვილებს ყურადღებას. ის კი მელაობს სინდისთან, რწმენასთან, ბუნებასთან.

დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია:
„რად სჩადი მაგას, მინდიავ,
ვითომ არ იყავ მტერია?!“
ხვალ ორი მოვჭერ და ასე
გული ჩავიდვე ქვისაო,
რომ სულ აღარა მეგრძნო რა,
ძალაც ვითხოვე ღვთისაო
შენ ჯიხვის ხორცსა ჰნატრობდი,
თუ ვის მოკლული გსმენია,
რამდენჯერ ჩემი გულ-მკერდი,
ამ ჩივილს გაუსენია:
„ყმანვილნ უხორცოდ გაზრდილნი
რა ვაჟკაცობას იზამენ?“

პოემის ამ ეპიზოდებისა და მინდიას მიერ ყანის მკის დროს გამოვლენილი სიბრალულის კვალი გადმოცემის ყველა ახალ ვარიანტს ემჩნევა. ვაჟა-ფშაველას მიერ გამოქვეყნებულ გადმოცემაში კი ნათქვამია მხოლოდ ის, რომ მინდიამ გველის ჭამის შემდეგ მცენარეთა ენა გაიგო, ისინი თვითონ სთავაზობენ სამკურნალო თვისებებს და ის მკურნალი ხდება. პოეტმა ეს მარტივი გადმოცემა სრულიად განსხვავებულ მხატვრულ სამყაროდ, ადამიანთა ურთიერთობის უბადლო ისტორიად წარმოგვიდგინა. მაშასადამე, ვაჟა-ფშაველას პოემიდან შევიდა თქმულებათა ვარიანტებში ხის მოუჭრელობის, ხორცის უჭმელობის და თავთავთა სიბრალულის ეპიზოდები. გ. თედორაძის ვარიანტში მინდიას ძმები, დედა და ცოლიც ჰყავს. ეს პერსონაჟები არც ერთ სხვა ვარიანტში არ გვხვდება. ისინი აქ იმ აზრს მიჰყვებიან, რასაც მინდიას ქცევების შესახებ პოემაში ხალხი, ბერდია და მზია გამოთქვამენ. როგორც ვხედავთ, ხალხური გადმოცემები მდიდრდებოდა ახალი ამბებით, ფართოვდებოდა და ივსებოდა როგორც საკუთრივ მთქმელთა გამონაგონით, ასევე, ვაჟას „გველის მჭამელის“ სიუჟეტიდან შეთვისებული ელემენტებით. ეს იმასაც გულისხმობს, რომ ჩვენი საუკუნის ორმოციანი წლების ავტორ-მთქმელებს ვაჟას პოემის გავლენით, აღარ აკმაყოფილებთ

ფრაგმენტული ხალხური გადმოცემები. ისინი ცდილობენ მათ შევსებას და შეძლებისდაგვარად ავლენენ ამბავთა დეტალურად გამოხატვის ისეთ მანერას, როგორიც ინდივიდუალური შემოქმედებისათვის არის ნიშანდობლივი. ხოგაის მინდიას შესახებ არსებული გადმოცემები უხვად შეიცავს ისეთ დეტალებს, წინადადებებს, რომლებიც საუკუნეთა სიღრმიდან არ არის მოსული. გ. თედორაძის ვარიანტში ვკითხულობთ: „როცა დაღამდა და ყველა დასაძინებლად წავიდა – ძმები (მინდიასი, – დ.წ.) უთურგა და ბერდია ჭერხოში ავიდნენ. ცოლი აშექალა საკვამში მიწვა ცეცხლაპირად. სამძიმარამ კარაქის დღვება დაიწყო. მინდია ცეცხლთან იჯდა და ფიქრობდა". მ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილ გადმოცემაში ასე აღიწერება მინდიას ერთი ქცევა: „საკვირველი იყო მინდია მკაში. აქეთ-იქით დარბოდა ყანაში და უნდოდა ყველა თავთავი ერთად მოეჭრა. რათა შვრები ასეო, თუ ჰკითხავდნენ, ის იტყოდა: – არ გესმით, ყველა მეხვეწება, არა უწინ მე მომჭერი და არა მეო. რა საცოდავია მარტო დარჩენილი თავთავი, აქეთ-იქით იხრება და თავისკენ მიწვევს, მე რათა მტოვებო". ა. გაჩეჩილაძის ვარიანტის მიხედვით, გუგულებმა სიკეთის სანაცვლოდ, მკბენარისაგან განთავისუფლების მიზნით, მინდიას გველის ხორცი აჭამეს, მაგრამ გუგულებმა არ იციან, თუ მინდია ბრძენიც გახდება. გუგულების ქვეყნიდან მინდია არხოტში სახეშეცვლილი დაბრუნდა. გადმოცემის ვარიანტი დიდი შინაგანი წინააღმდეგობების შემცველია, მაგრამ მთქმელს ეს არ აწუხებს. მან იცის, რომ ამბის მნიშვნელობა მხატვრულია, თუმცა ძველი რწმენების ერთგულმა შეიძლება მისი რეალურობაც დაიჯეროს, ხალხური მთქმელის რწმენათა გულუბრყვილობა, მისი ფსიქიკის თავისებურება კი შეუდარებლად დაახასიათა ვაჟამ ერთ თავის წერილში „რამერუმე მთისა".

ა. გაჩეჩილაძის ვარიანტში ვკითხულობთ: „მინდიას თავის ქვეყანაში სმენია მცენარეების, ცხოველების, ფრინველთა და სხვათა საუბარი. მინდიამ ბალახი ვერ მოთიბა, ხე ვერ მოჭრა, ყველანი ეუბნებოდნენ: ნუ მომჭრი, მინდიო! – ნადირი ებრალებოდა და ვერ ხოცდა, დღეში სამ ძნას ვერ მკიდა, თავთავი, მარცვალი ეძახდა: „მინდი, ნუ მწირავ, ცით ფრფა მეცემისო, ამილეო". მინდის ებრალებოდა და ყველას აგროვებდა. ბალახნი, ყვავილნი ეძახდნენ – მე ამის წამალი ვარ, მე ამისიო. მინდი არჩენდა დაჭრილებს. შუაზე გაკვეთილ ადამიანს გადააბამდა და სიკ-

ვდილს გადაარჩენდა. მტერზე უმარჯვებია მინდის".[1] აქ მოტანილი ეპიზოდები გვიჩვენებს რომ ამბების დაწვრილებით აღწერისათვის დიდი ენერგიაა დახარჯული. ფრაზები დეტალების სიმრავლით არის დატვირთული. იგრძნობა, რომ ამ დეტალიზების მიღმა პოემა „გველის მჭამელი" დგას. მთქმელებიც ინდივიდი შემოქმედის მანერას ბაძავენ, მისგან საზრდოობენ.

ამიტომაც მკვეთრად იჩენს თავს იმის ცდა, რომ გადმოცემების ახალ ვარიანტებში განცდებისა და გრძნობების ენა შემოვიდეს, დამკვიდრდეს: „მინდია ცეცხლთან იჯდა და ფიქრობდა". „რა საცოდავია მარტოდ დარჩენილი თავთავი", ან „მინდის ებრალებოდა და ყველას აგროვებდა". არქაულ გადმოცემებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხალხი უპირატესად ამბებს ჰყვება, გმირის მოქმედების გარეგნულ მხარეს აღწერს და მას ფსიქოლოგიური განცდების ფონს არ უქმნის. თანამედროვე მთქმელებზე კი ვაჟას პოემის განცდების ენამ, ფსიქოლოგიური დეტალებისა და ნიუანსების სიუხვემ დიდად იმოქმედა. გრ. კიკნაძე ამ თვალსაზრისით მკვეთრად ასხვავებს ხალხურ და ინდივიდუალურ შემოქმედებას ერთიმეორისაგან. იგი წერს: „ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ იგი არ მიმართავს დეტალების შემცველ თხრობას, მაშინ, როდესაც ინდივიდუალური შემოქმედების პროდუქტისათვის სწორედ ესაა არსებითი".[2] „ხოგაის მინდის" გადმოცემებისთვისაც მოქმედების ეპიზოდთა შეუთანხმებლობა თვალნათლივი მოვლენაა. ამას აღრმავებს ისიც, რომ იგი ჯადოსნური ზღაპრისათვის დამახასიათებელი პირობითობებით არის შეზავებული. მოცემულ შემთხვევაში სხვადასხვა დროისა და შინაარსის ამბავთა დაკავშირების ცდებმა ეს ლოგიკური დაპირისპირებანი უფრო გააღრმავა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „ხოგაის მინდის" გადმოცემაში ერთიმეორეს შეერწყა გველის მჭამელი მინდიასა და ხატებთან მოარულ გახუას ამბები. ხოგაის მინდიზე შექმნილი საგმირო ლექსის შინაარსიც ამ მასალას დაუკავშირდა. ნამდვილ ხალხურ ამბებს დაემატა გ. თედორაძისა და სხვათა მიერ გამოგონილი ამბები და ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელიდან" მთქმელთაგან ნასესხები ეპიზოდები. გადმოცემები ამბავთა მდინარების თვალსაზრისით თუ ენობრივად სტილიზებულია. ცხადია, გადმოცემების ამგვარი გადაკეთება, შევსება

---

[1] ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე" და პოემა „გველის მჭამელი", თბ., 1959 წ., გვ. 27.

[2] გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957 წ., გვ. 168.

და ლიტერატურული გაჩარხვა მათი ადრინდელი სახის დაკარგვას იწვევდა. ამის გამო აუცილებელია მათდამი კრიტიკული მიდგომა და თითოეული შემადგენელი ამბის თავისავე გარემოში გაანალიზება.

აღნიშნული მიზეზების გამო, ვაჟა-ფშაველას პოემა „გველის მჭამელის" ერთადერთ სანდო წყაროდ თვითონ პოეტის მიერ გამოქვეყნებული არაკი მიგვაჩნია. მართალია, ეს ამბავიც სალიტერატურო ენით არის მოთხრობილი, მაგრამ მასში კონტამინაციის კვალი და ხარვეზის შევსების რაიმე ცდა არ შეიმჩნევა. იგი ბუნებრივი ჩანს. პოეტმა გადმოცემა როგორც მოისმინა, იმ სახით გაგვაცნო. გადმოცემის ზოგადი მაგიურ-მისტიკური საყრდენები არქაული სახით წარმოჩნდა. ამბავი თუ გმირის თავგადასავალი, ისეა გადმოცემული, რომ მათთვის ფსიქოლოგიური საფუძვლისა და ფონის შექმნაზე ზრუნვა არა ჩანს. ამ გარემოებაზე კარგად მიგვანიშნა თვითონ ვაჟამ. „ამბავი, – წერს პოეტი, – მინდიას სულის არავითარ დრამატიულს განცდას არ წარმოგვიდგენს ხალხის თქმით".[1] ავტორმა ამით ის გვითხრა, რომ ღრმა სოციალურ-ეთიკური პრობლემები, ფსიქოლოგიური განცდა-განწყობილებების სიმძაფრე, ადამიანის სულის უსაზღვრო დრამატიზმი თვითონ ჩააქსოვა პოემა „გველის მჭამელის" სიუჟეტში. პოეტმა თავისი ჩანაწერი სრულად გამოიყენა „გველის მჭამელის" სიუჟეტის ცალკეულ ელემენტებად. ცხადია, ეს მასალა ნაწარმოებში ვაჟას ნიჭსა და მხატვრულ ჩანაფიქრს დაექვემდებარა. ამიტომაც ძირეულად შეიცვალა სახე. იმ ეპიზოდებს, რომლებითაც ვაჟასეული გადმოცემა და თანამედროვე ჩამწერთა ნიმუშები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან, მწერალი არ იცნობს, მათ არ იყენებს. ცხადია, პოეტი მხოლოდ იმ ამბავს იყენებდა, რომელიც თვითონ მოისმინა. სხვა ამბების კვალი მის ნაწარმოებში და ლიტერატურულ წერილებში არ ვლინდება. მასალის რაობაზე და მისდამი შემოქმედებითი მიმართების ხასიათზე პოეტი წერს: „გველის მჭამელის" არაკი, რაც მე გავიგონე და რაზედაც ავაშენე მთელი პოემა, შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს. მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დააღონა მინდია, თავის მოსაკვლელად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა; მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებით,

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 364.

სჩანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე რა სატკივარის წამალია, რადგან ყველა მცენარე თავად იძახის, რის წამალიც არის და მინდიამაც ამ მცენარეთა ენა კარგად იცის. შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიას გაექიმება. მისი წამალი უებარია. ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის, მაშასადამე, მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უჭმელობა, თუ შეიძლება ასე სთქვათ, მხედარმთავრული ნიჭი გველის მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდნა, ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის. ამბავი მინდიას სულის არავითარ დრამატიულს განცდას არ წარმოგვიდგენს ხალხის თქმით. ბ. ვართაგავას ვერ გაუგია, ვერ მიმხვდარა „სტუმარ-მასპინძელში" და „გველის მჭამელში" რაა ხალხური და რაა ავტორისაგან შექმნილი და ამის გამო ამ ორმა ნაწარმოებმა მოიტანა ქვეშ კრიტიკოსი და დღესნამდე ვერ ამდგარა ფეხზე. იქნებ ამ ჩემმა განმარტებამ შეაძლებინოს ფეხზე დადგომა და ღირსეულად მათი დაფასება".[1]

ვაჟა-ფშაველა ამ წერილში კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ეპიკური თხზულების შექმნა მარტივი პროცესი არ არის, თუნდაც ყოფაში ხელსაყრელი მასალა იპოვებოდეს. ამასთანავე, მხატვრული ნაწარმოების აშენების პროცესი გულისხმობს ორიგინალური სიუჟეტის, ხასიათებისა და მოქმედების გაშლისათვის საჭირო ბუნებრივი ვითარების შექმნას. პოეტის აზრით, ნაწარმოების ამ ძირითადი შემადგენელი ნაწილების სესხება შეუძლებელია. ვაჟა-ფშაველამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ხალხურმა ამბავმა შემოქმედებითი მიმართებისას ნაწარმოებში ცალკეული სიუჟეტური ელემენტების ფუნქციაღა შეინარჩუნა. შეიქმნა ადამიანური ურთიერთობების ახალი სისტემა, ახალი მხატვრული სამყარო. თქმულების მინდიას განყენებული ქცევები ვაჟას პოემაში ოჯახისა და ხალხის ინტერესებზე თავისებური ზრუნვის გარემოში გამოიხატა. ამბავი, რომელიც ერთ კაცს გვაცნობდა, მწერლის თხზულებაში მრავალმნიშვნელოვნად ამეტყველდა, პიროვნულ პოზიციათა კონფლიქტური შინაარსით აივსო. პოეტმა გმირთა ხასიათები ურთულესი ფსიქოლოგიური განცდებისა და სოციალურ-ეთიკური პრობლემების ფონზე გამოკვეთა და მძლავრი ადამიანთმცოდნეობითი პრობლემები აღძრა. გმირთა ხასიათები, მათი ურთიერთშეფარდება თუ დაპირისპირება, მოქმედების გარემო ორიგინალურ მხატვრულ სიტყვაში გაცოცხლდა. ამის შეუმჩნეველობის გამო იყო, რომ პოეტი ნაწყენი კილო-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 364.

თი აძლევდა პასუხს კრიტიკოს იპ. ვართაგავას. მწერალმა კრიტიკოსს წარუდგინა ხალხური მასალა და თანაც იმედი გამოთქვა, რომ იგი კვლევის სწორ გზაზე დადგებოდა. ცოტა ადრე იპ. ვართაგავა „სტუმარ-მასპინძლისა" და „გველის მჭამელის" თაობაზე წერდა: „მათში მგოსანი უმთავრესად ცდილობს ცხადჰყოს და ხორცი შეასხას ზოგადს და განყენებულს ფილოსოფიურ-სოციალურ იდეებს.

ამ მხრივ ეს პოემები უნდა ჩაითვალოს საუკეთესო ნაწარმოებად ქართულს ლიტერატურაში; თუმცა ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დედა აზრი ამ პოემებისა (უნდა ვიფიქროთ), ხალხის საერთო სულიერი ძალითაა გამოჭედილი. მათში გატარებული იდეა ვაჟას გონების სინთეზის ნაყოფს ან ინტიუტიურად მის სულიერ ძალთა ქმნილებას არ წარმოადგენს. ვაჟამ ხალხის მიერ შეზავებულ იდეას მხოლოდ შედარებით შესაფერი სამოსელი შეუკერა, მხოლოდ კოხტად მორთო და ლამაზ მხატვრულ ქმნილებად გადააქცია".[1]

იპ. ვართაგავას აზრით, პოემის დედააზრი „ხალხის საერთო სულიერი ძალით არის გამოჭედილი". იგი პოეტის „სულიერ ძალთა ქმნილებას არ წარმოადგენს". პოეტმა ხალხის მიერ „გამოჭედილი" იდეა „მხოლოდ კოხტად მორთო". მასალასთან დამოკიდებულების ამგვარად დახასიათებამ აიძულა ვაჟა პასუხი გაეცა კრიტიკისათვის. პოეტმა იპ. ვართაგავას გააცნო ის ხალხური გადმოცემა, რასაც კრიტიკოსი არ იცნობდა და რის მნიშვნელობასაც წინასწარ აზვიადებდა, ხოლო ღირებულებით კი პოემის მხატვრულ აზრს უტოლებდა. ხალხური ამბავი და საკუთარი პოემა ვაჟას არ შეუფასებია, რადგანაც მათი უდიდესი სხვაობა ამას არ მოითხოვდა. ხალხური მასალის გაცნობის შემდეგ კი კრიტიკოსის მისამართით თქვა: „იქნებ ამ ჩემმა განმარტებამ შეაძლებინოს ფეხზე დადგომა და ღირსეულად მათი დაფასება". ამით პოეტმა მიუთითა, რომ ნაწარმოების ფაბულა, სიუჟეტი, სახეთა სისტემა და სიტყვიერი ქსოვილი მხოლოდ მისი სულიერი მოღვაწეობის შედეგს გამოავლენდა. მწერალმა აღნიშნა, რომ ხალხური არაკი მინდიას სულის ტრაგედიას ვერ წარმოაჩენდა, ხოლო მის ნაწარმოებში კი გმირთა სულიერი განცდების, ეპოქის სოციალურ-ზნეობრივი პრობლემების გამოხატვას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამას მოითხოვდა XIX საუკუნის მეორე

[1] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, 1955 წ., გვ. 304-305.

ნახევრის მწერლობის აღმავლობა, რეალისტური ხელოვნების თემატიკის სიახლე და აქტუალობა. პოეტმა თავისი განმარტებებით სალიტერატურო კრიტიკას იმაზე მიუთითა, რომ ორიგინალური არქიტექტურული ძეგლის ღირებულება ერთეული აგურის მნიშვნელობაზე არ დაიყვანება, თუმცა ძეგლის ასაგებად აგურებიც საჭიროა.

იპ. ვართაგავას გარდა „გველის მჭამელის" წყაროების საკითხს სხვადასხვა დროს ეხებოდნენ სილ. ხუნდაძე, ა. ხახანაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ს. დანელია, მ. ჩიქოვანი, ამბ. გაჩეჩილაძე და სხვები. მკვლევრები ცდილობდნენ წყაროების დაზუსტებას და მათ საფუძველზე პოემის იდეის გაგებას.[1] ეს მკვლევრები სათანადოდ ვერ ითვალისწინებდნენ ავტორისეულ ცნობებსა და შემოქმედებითი ისტორიის პრობლემებზე გამოთქმულ შეხედულებებს. ამით მასალა, რომელიც ვაჟამ გაგვაცნო და რომლისთვისაც ავტორზე ზემოქმედების თვალსაზრისით რაიმეს დამატება შემდგომ აღარ მოხერხდა, ხელოვნურად გაბუნდოვანდა. ავტორისეული პუბლიკაციის შემდეგ ჩაწერილ ხალხურ მასალებში არაფერი აღმოჩენილა ისეთი, რაც პოეტის განმარტებებს ეჭვქვეშ დააყენებდა. მხედველობაში არ ვღებულობთ ფაქტებზე ძალმომრეობის შემთხვევებს, როდესაც სურვილები და ვარაუდები საბუთად ცხადდება. პოემის სიტუაციათა ხალხური ანალოგიების ძიებით გატაცებამ მართლაც დაჩრდილა გენიალური შემოქმედის ღვაწლი. ამგვარი მკვლევრების მისამართით ითქვა: „ბევრი მათგანი მხოლოდ იმას ეძებს, რომელი ხალხური თქმულებიდან იღებს სათავეს ვაჟას „გველის მჭამელი", რამდენად ემთხვევა ფოლკლორულ წყაროს იგი, რა დაამატა და რა გამოაკლო მას პოეტმა. ამგვარი კვლევა-ძიებითი ოპერაციების დროს თითქმის მექანიკურ აქტამდეა დაყვანილი შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა და საზოგადოდ ვაჟას, როგორც ხელოვანის ინდივიდუალური შესაძლებლობები მიჩქმალულია ან სათანადოდ ვერაა გათვალისწინებული".[2] მართალია, მკვლევრები, რომლებიც

---

[1] „გველის მჭამელის" ხალხური წყაროები და მათთან მწერლის დამოკიდებულების თაობაზე არსებული შეხედულებები დახასიათებულია მ. ჩიქოვანის შრომებში: „ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია", 1956წ.; „ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა", ლიტერატურული ძიებანი, 1964 წ., ტ. XV, აგრეთვე ა. გაჩეჩილაძის ნიგნში გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე" და პოემა „გველის მჭამელი", 1959 წ.

[2] ი. ევგენიძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის, თბ., 1977 წ., გვ. 164-165.

ამ საკითხს ეხებოდნენ, მწერალს ორიგინალურსაც უწოდებდნენ, მაგრამ ეს ზოგადი მითითება იქვე აღწერილი ასოციაციური ანალოგიების სიმრავლეში ქრებოდა. ამიტომაც ამ შრომებში შეუზღუდავი ტალანტის ხელოვანი მოტივებისა და ეპიზოდების აქა-იქ შემკრებად წარმოსდგება. პროფ. მ. ჩიქოვანი ვაჟას „გველის მჭამელში" გამოყოფს ოცდასამ ხალხურ-პოეტურ ეპიზოდსა და მოტივს. იგი ამბობს: „აქ დასახელებული მოტივები და ეპიზოდები ერთ თქმულებაში არ გვხვდება, ისინი სხვადასხვა ნაწარმოებშია გაფანტული, რომლებსაც ვაჟა ახალგაზრდობიდან იცნობდა".[1] მაგრამ იცნობდა თუ არა მწერალი მკვლევრის მიერ მისი ნაწარმოების ფოლკლორულ წყაროდ ნავარაუდევ ეპიზოდებს ან იყენებდა თუ არა მათ, ეს უკვე არსაიდან საბუთდება. თვითონ პოეტის მიერ დასახელებული ეპიზოდების გარდა, ჩვენ სხვა მოტივებისა და ეპიზოდების ხალხურობის მტკიცება სრულიად ხელოვნურ ოპერაციად მიგვაჩნია. ამგვარი მეთოდით ძალიან დაუბრკოლებლად თანამედროვე ნაწარმოებში გამოთქმულ გრძნობებსა და განცდებს უთვალავი პარალელი შეიძლება მოვუძებნოთ, როგორც ძველ, ისე ახალ ლიტერატურულ ქმნილებებში. განა გმირის ზრუნვა მშობლიური მხარის დასაცავად, ან ამ დროს გამოვლენილი უნარი და გამბედაობა მხოლოდ ფოლკლორული მოტივებია? თუ ეს მოტივები ორიგინალური მხატვრული განსახიერებით არ დაუნათესავდა რომელიმე ნაწარმოებს, შეიძლება ისინი კონკრეტულ წყაროდ ვაღიაროთ? ვფიქრობთ, არა. წყაროებთან მიმართების ამგვარ პროცესს მწერლის შემოქმედებითი პრინციპი არ იგუებს. „ხორცის უჭმელობა და ცხოველების მოკვლაზე უარის თქმა", „მინდიას მხედართმთავრული ნიჭი" მკვლევარმა ფოლკლორიდან ნასესხებად ჩათვალა. ვაჟა-ფშაველა კი იპ. ვართაგავასადმი პასუხში აღნიშნავდა, რომ ეს ეპიზოდები ხალხურ გადმოცემას არ ეკუთვნისო. მკვლევარს უნდა ევარაუდა, რომ ისინი ოცდაათი და ორმოცი წლის შემდეგ ჩაწერილ მასალაში პოემის ზეგავლენით შეიძლებოდა გაჩენილიყო. მაგრამ პროფ. მ. ჩიქოვანის აზრით, თურმე „არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ამგვარი პროზაული გადმოცემები 1901 წლის შემდეგაა ჩაწერილი".[2] ჩვენ კი გვგონია, რომ ვაჟას პოემის დაწერიდან (1901 წელი) ორმოცი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ გად-

[1] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 93-94.

[2] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა, ლიტერატურული ძიებანი, 1964 წ., ტ. XV, გვ. 312.

მოცემებში მომხდარ ცვლილებებს საკითხის გასარკვევად, მართლაც, არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ ცვლილებების გაუთვალისწინებლობამ მრავალი შეცდომა წარმოშვა ფოლკლორისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკაში.

შემოქმედებითი გავლენისა და წყაროებთან მწერლის მიმართების თავისებურებებზე ახალგაზრდა პოეტი „გველის მჭამელის" შექმნამდე. 1896 წელს თავის „Pro domo sua"-ში საყურადღებო აზრს ავითარებდა: „ზედმოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა, რამ უნდა ააჟღეროს მისი ჩანგი თუ ან ამბავი არ გაიგონა, ან ლექსი, ან საქმე, გარემოება ცხოვრებისა არა ნახა ამაღელვებელი, ან ბუნების მოვლენათ მოუყრუა ყური? აი, ეს გარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი გული გახლავთ, რომელიც ამათ ითვისებს, ყალიბში ასხამს. ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვიან და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს".[1]

ვაჟა-ფშაველამ შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტი, ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილება ზღვას შეადარა, რომელიც მრავალ მდინარეს იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარ ორიგინალურ სახეს არ კარგავს. მაშასადამე, პოეტის რწმენით, ინდივიდუალური ქმნილების ღირებულება მისი მხატვრული ორიგინალობით ფასდება. მწერალმა გავლენის იმ საიდუმლოზედაც მიგვითითა, როდესაც მხატვრული ზემოქმედების გარეგნული ნიშნები არა ჩანს, ხოლო მწერალი მას ფაქტად მიიჩნევს. მწერლის ახსნა-განმარტების გარეშე ასეთ შემთხვევაში მკვლევარი ლიტერატურული გავლენის სპეციფიკას ვერ ჩაწვდება, რადგანაც იგი შემოქმედებითი მიმართების ზედაპირზე არა ჩანს. ვაჟა-ფშაველა წერს: „უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმც არავითარი მზგავსება არ არსებობს, და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს, „მოხუცის ნათქვამსა" და თ. ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულს" შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი თავდადებულს" ჰქონდა ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე შშიბელ ლიტერატურის ნაწარმოებს, უფრო კი მის ფორმას...

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „Pro domo sua", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 180.

ასეთია ხშირად საიდუმლოება წერისა, მოდი, რას იზამთ, რად გიკვირთ? გრ. ლეონ ტოლსტოი შესანიშნავი მწერალია; იმას თვით ტურგენევმა უწოდა „დიდებული მწერალი რუსეთისა" და იცით რასა სწერს თავის თავზე?! (იხ. XII ტ.) „მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ორს რუსის მოაზრე კაცს ჰქონდათ დიდი ზნეობრივი გავლენა, გამიფართოვეს აზრი და ნათლად დამიხატეს ჩემი შეხედულება ქვეყანაზე. ეს კაცები არ იყვნენ არც რუსის პოეტები, არც სწავლულები, მქადაგებელნი; ეს კაცები იყვნენ და დღესაც ცოცხალნი არიან, მინის მუშა გლეხკაცნი სიუტაევი და ბონდარევი, რომლებიც მთელს სიცოცხლეს მიწის მუშაობას ალევენ.

ამას ამბობს ლეონ ტოლსტოი და ვინ იქნება ისეთი თავხედი და გაუგებარი, რომ აქაო და სიუტაევს და ბონდარევს ჰქონიათ გავლენა ტოლსტოიზე, ამიტომ ყველა ტოლსტოის ნაწერები მისი კი არა, გლეხთა სიუტაევისა და ბონდარევის გონების ნაწარმოებიაო".[1] აქ ნათლად, მარტივად განუმარტა მწერალმა თავის კრიტიკოსებს შემოქმედებითი გავლენის სახეები, ხასიათი, მნიშვნელობა, წყაროებთან მიდგომის ზოგადი ბუნება. გავლენა მწერალს საჭირო მოვლენად მიაჩნია და არა დამამცირებლად. ვაჟამ აშკარად თქვა, რომ შემოქმედებითი პროცესი მოტივების, ეპიზოდების, ამბების აქა-იქ შეკრების პროცესი კი არ არის, არამედ ახალი მხატვრული სამყაროს შექმნის ორიგინალური პროცესია.

იპ. ვართაგავას ვრცელი გამოკვლევიდან პოეტმა განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ შემოქმედებითი პროცესისა და წყაროებთან მიმართების საკითხებს დაუთმო. ამის მიზეზი ის იყო რომ იპ. ვართაგავამ ნაჩქარევად, სათანადო ხალხური მასალების მოუპოვებლად მისი ნაწარმოებები ხალხური გადმოცემების აზრისა და ფორმის გალამაზებად, გაშალაშინებად მიიჩნია. პოეტმა ამაში საკუთარ თხზულებათა იდეურ-მხატვრული თავისებურებების უგულვებელყოფა დაინახა. თავის კრიტიკოსზე ჩვიდმეტი წლით ადრე ვაჟა ამბობდა: „უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებულიო". მწერალი ფიქრობდა, რომ იგი ბრმა მიბაძვისა და მონური მორჩილებისაგან თავისუფალი ხელოვანი იყო. შეეძლო ხალხში გაგონილ „ორსამ სიტყვაზე" მონუმენტური ეპიკური ქმნილება აეგო ან ეს ორი-სამი სიტყვა მხატვრული სიუჟეტის სახეცვლილ ელემენ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „Pro domo sua", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 181.

ტად ექცია. იპ. ვართაგავას რაკი შესადარებელი ხალხური მასალა ხელთ არა ჰქონდა, ეგონა, რომ ვაჟა ფართო მნიშვნელობის ამბებს იყენებდა და სათანადოდ ვერ გარდაქმნიდა. ამის ერთერთ მიზეზად იგი შემდეგს ვარაუდობდა: ვაჟა „...უდარდელად მიიმღერის, ე.ი. მხატვრული შრომით თავს არ იწუხებს, მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონის მობილიზაციას არ ახდენს... ჩვენ ასე გვგონია! მართლაც დიდად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რამდენი შრომა გასწია ვაჟამ თავისი პოემების, თუ გინდ „ალუდა ქეთელაურის“ და „გველის მჭამელის“ შექმნის დროს. რამდენი დაკვირვება, შეცვლა-გამოცვლა, გადაწერა დასჭირდა მას“.[1] ვაჟა-ფშაველამ კრიტიკოსის ეს ინტერესიც დააკმაყოფილა, როცა აღნიშნა: „მას ძალიან გულით უნდა გაიგოს, როგორი წესი მაქვს წერისა, – ერთბაშად ვწერ თუ რამდენჯერმე გადავსწერ ერთხელ დაწერილს, რაც ხშირად შესწორებას მოსდევს. უნდა მოგახსენოთ, ძალიან დიდ ნაკლადაც რომ ჩამეთვალოს, არც ერთი ჩემი ნაწარმოები ერთხელის მეტად არ გადამიწერია შავად დაწერილიდან და ნაკლებად მქონია შემთხვევა დაწერილი ადგილები შემესწორებინოს“.[2] აქვე იგი იმასაც ამბობს, რომ წერის დროს პოემათა ცალკეულ ეპიზოდებს ერთი ან ორი თვითაც კი შეუფერხებია. პოეტის ეს გულწრფელი აღიარება იმას ნიშნავს, რომ შემოქმედის ცნობიერებაში ჯერ კიდევ ნაწარმოების ფორმირებამდე მწიფდებოდა მისი ელემენტები. ამიტომაც პოეტი ნაწარმოებთა დასრულებას დიდ დროს აღარ ანდომებდა. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო თვითდაკვირვებას გვაწვდის ვაჟა. მისი აზრით, ხელოვანის მიერ შექმნილი მხატვრული ნანარმოები მკითხველის აღტაცებას მაშინ იწვევს, „როცა გულში მოხარშული სურათი ჩუმად მუჯლუგუნებსა სცემს პოეტს: „ჩქარა ქაღალდი და კალამი, დამხატე, გააცანი ჩემი თავი ადამიანთაო!..“[3] ასთი შინაგანი კარნახით, „გულში მოხარშული სურათების“ მოთხოვნით ნაწარმოები მალე ყალიბდება და ვარიანტების სიმრავლესაც არ გვიჩვენებს. ვაჟას აზრით, ორიგინალურ ჩანაფიქრს, წარმოსახულ სიტუაციებსა თუ ხასიათებს ყოფითი და ხალხური ამბებიც უკავშირდება. თუმცა ობიექტური მასალა ფორმასა და შინაარსს

---

[1] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, გვ. 308-309.

[2] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 364.

[3] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 298.

იცვლის, რათა ახალი მხატვრული სამყაროს, სრულქმნის საშუალებად იქცეს. ჩანს, წინასწარ წარმოსახულ სურათებს, სიტუაციებს, ხასიათის ნიშნებს შემდგომ მოქმედების ფართო გარემო ექმნება. მაგრამ „გულში სურათის მოხარშვა", ხომ შემოქმედის სულის სიღრმეში მიმდინარე მხატვრულ მოღვაწეობას გამოავლენს. ახალი დროის მწერლობის ერთ-ერთ თავისებურებად ის არის მიჩნეული, რომ ზოგიერთი შემოქმედის მხატვრულ წარმოსახვაში გმირის ხასიათის ნიშნები, მისი ქცევის დეტალები, ნაწარმოების სიუჟეტის ელემენტები ერთიანი ფაბულის შექმნამდე ჩნდება. მაშასადამე, ზოგჯერ თხზულების ფაბულა იქმნება გვიან, ხოლო შემოქმედებითი პროცესი იწყება ადრე მწერლის წარმოსახვაში გმირის ხასიათის ნიშნების თუ სიუჟეტის ელემენტების წარმოქმნით. ი. ტურგენევი აღნიშნავს: „პირველად წარმოსახვაში გამოვლინდება ერთი მოქმედ პირთაგანი... ჩაუფიქრდები მის ხასიათს, წარმომავლობას, განათლებას. პირველი პირის ახლოს თანდათან გროვდებიან დანარჩენები. შემდეგ დგება თვით ნაწარმოების ფაბულა"...[1]

როგორც ვხედავთ, ერთი პერსონაჟი სხვა პერსონაჟებს იწვევს თავისკენ. მათი ურთიერთობის შინაარსის გაღრმავება ითხოვს ამბის შექმნას. ბუნებრივია, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მოღვაწეობისათვისაც უცხო არ არის ეს მოვლენა. მან „გველის მჭამელის" წყაროს დახასიათებისას თქვა, რომ გმირის ოჯახური ამბები, ხალხთან მისი ურთიერთობის შინაარსი და საბრძოლო თავგადასავალი თქმულებაში არ იყო და თვითონ შექმნა. მწერალმა გმირის მოქმედება სოციალურ წრეში მოაქცია. ცხადია, მხატვრული ამოცანა მაგიის ზემოქმედებით სახეშეცვლილი ადამიანის ჩვენებას არ გულისხმობდა, გამორჩეული ადამიანის შესაძლებლობები ოჯახურ და საქვეყნო საქმეში უნდა წარმოჩენილიყო. პოემაში ასეც მოხდა. ავტორს არ უსარგებლია მზა ფაბულითა და სიუჟეტით. შემოქმედებითი ისტორიის საკითხებზე ვაჟას მსჯელობა გვიჩვენებს, რომ ფოლკლორთან და საზოგადოდ ცხოვრებისეულ მასალასთან პოეტური დამოკიდებულების აზრი ისტორიული განვითარების კვალდაკვალ იცვლება. ახალ დროში მწერალთა მიზანი, უპირატესად, ადამიანის ხასიათის სოციალური, ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ბუნების გახსნისკენ არის მიმართული. ხასიათის სრულქმნის პროცესს, ხელოვანთა სიტყვით, შეიძლება სრულიად უცხო ამბები დაუკავშირდეს. ამ

[1] Русские писатели о литературе, т. I, Л., 1939, გვ. 361.

მოვლენის საჩვენებლად საყურადღებოა გოეთეს შემდეგი აზრი: „მე უნდა განმეხორციელებინა პოეტური ჩანაფიქრი, სადაც უნდა გამოხატულიყო ყველაფერი, რაც მე ვიგრძენი, ვიფიქრე, ვიფანტაზიორე... მე ამისთვის ვარჩევდი ელემენტებს, რომლებიც ჩემში ხეტიალობდნენ რამდენიმე წელი, მე წარმოვისახავდი ყველა შემთხვევას, რომელთაგანაც შეწუხებული ვიყავი; მაგრამ არაფერი არ გადმოიღვრებოდა დამთავრებულ ფორმაში, მე არ მყოფნიდა ამბები, ფაბულები, რომლებშიაც ყოველივე ეს უნდა განსახიერებულიყო".[1] როდესაც გოეთემ ხელსაყრელი ამბავი ნახა, ნაწარმოებიც მალე დაასრულა. აქ მთავარი ის არის, რომ ობიექტური მასალა, ამბავი უკვე წარმოსახვაში არსებული მხატვრული სიტუაციებისა თუ სახეების გამომზეურებამ, საბოლოო ფორმირებამ მოითხოვა. შემოქმედებითი მოღვაწეობის ამგვარი თავისებურება ვაჟას სამწერლო პრაქტიკისათვისაც ნიშანდობლივი იყო. ვაჟა-ფშაველას მხატვრულ წარმოსახვათა სირთულე იმაშიც ჩანს, რომ ეპოქის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ შეხედულებათა სიმაღლეზე მდგომი ხელოვანი ლიტერატურულ ქმნილებებში შეუდარებელი უშუალობით იყენებდა უძველეს ხალხურ ნარმოდგენებს. ეს წარმოდგენები კი მთიელთა შორის, ე.ი. პოეტის გარემოსათვის კვლავ ცხოველმყოფელი იყო.

„გველის მჭამელის" შედარებამ ხალხურ მასალასთან ცხადყო, რომ ნაწარმოების ფაბულა, სიუჟეტი, სახეები მწერლის ნიჭის თვითმყოფადობას დაეფუძნა. არც ქართულ და არც უცხოურ ფოლკლორს არ მიუცია პოეტისათვის „გველის მჭამელის" ფაბულა და გმირთა პროტოტიპები. დღევანდელი მკვლევარი ვერაფერს დაამატებს წყაროების შესახებ ავტორისეულ ცნობას. ამიტომაც, შემოწმება, შევსება თუ გადაფასება მწერლისეული ცნობებისა და განმარტებებისა ამ ნაწარმოების მიმართაც სრულიად გაუმართლებელი ჩანს.

ხალხურ გადმოცემაში მაგიის რწმენასთან არის შერწყმული მინდიას სიბრძნე. ამასთანავე, მთქმელები ცდილობენ გადმოცემას ჯადოსნური ზღაპრის სამოსელი მოარგონ. აქ მაგიური საწყისი და მითოსური წარმოსახვა ზესთაბუნებრივი ძალების რწმენითაა მხოლოდ განსაზღვრული. მასში არა ჩანს ადამიანის ბუნებრივი ფსიქიკური ძალების რწმენა, მათი მოქმედების კანონზომიერებათა ცოდნა. თქმულებისა და ნაწარმოების სიუჟეტი

[1] А.Г. Горнфельд. Как работали Гете, Шиллер и Гейне. М., 1933, გვ. 70.

სხვადასხვაობა უფრო გამოიკვეთება, თუ მოხერხდება პოემის სიუჟეტისა და გმირთა ხასიათების ზოგადი აზრის შეფასება.

„გველის მჭამელი“ რთული სიუჟეტის ნაწარმოებია. აქაც, ისევე როგორც მწერლის სხვა თხზულებებში, ადამიანია ესთეტიკური შეფასებისა და გაგების ძირითადი ობიექტი. ნაწარმოების სიუჟეტის სიმბოლური ეპიზოდებიც პიროვნების სოციალურ-ზნეობრივი სახის მხატვრულ გახსნას ემსახურება. პოემაში გამოხატული ადამიანური ცხოვრება გამოგონილი სინამდვილეა, მაგრამ ისეთი, რომელშიც ცოცხალ ერთიანობაში წარმოსდგა პიროვნებისა და საზოგადოების თვითშეგნების ობიექტური სოციალური ბუნება. დიდ ცოდნასა და გამოცდილებაზე დამყარებულმა მხატვრულმა წარმოსახვამ უჩვეულო, მაგრამ ადამიანური ურთიერთობებისა და განცდების მართალი სურათი შექმნა. სახეთა დაჯგუფებამ მათი იდეალების დაპირისპირების თვალსაზრისით, მათდამი ავტორის დამოკიდებულებაც უნდა გამოავლინოს. სინამდვილესთან მიმართების შინაარსის გამოსავლენად თუ სახეთა თავისთავადი ღირებულების გამოსახატავად ვაჟა იყენებს მხატვრული შემოქმედების უთვალავ ნიუანსს.

ნაწარმოების სიუჟეტი ყველაზე თავისებური სახეა, რომელიც იტევს და აერთიანებს ადამიანთა ურთიერთობის ნაირგვარ ასპექტებს, სულიერი მოძრაობის გამომხატველ მოქმედებათა სიმრავლეს. სიუჟეტის მრავალფეროვნებას თვით ცხოვრებისა და ადამიანის ბედის მრავალმხრივობა აპირობებს.

„გველის მჭამელის“ სიუჟეტში მაღალმხატვრულად განსახიერდა სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათების თანაფარდობა. მიზნის მისაღწევად მწერალი მიმართავს მაგიურ და მითოსურ წარმოსახვას, ბუნების წარმონაქმნთა პერსონიფიცირების მხატვრულ ხერხს. მინდია იმ ბუნების ქმნილებასა ჰგავს, რომელსაც ესაუბრება. ბუნების ქმნილებებიც, მინდიას მსგავსად, უჩვეულო უნარით არიან დაჯილდოებულნი, ისინი ადამიანს ესაუბრებიან, მათაც ესმით, თუ რა არის ბოროტება და რა არის სიკეთე. ზოგი მათგანი ადამიანის სარგოდ თავს არ ზოგავს, ზოგიერთს კი კაცთა ფუფუნებისათვის მორჩილება, თავის განწირვა არა სურს. მათი სურვილი ზნეობის თვალსაზრისით დასაგმობი არ არის. მინდიასაც ესმის ბუნების ქმნილებათა ენა. ამიტომ არ ცდება ობიექტური სიტუაციებისა და შინაგანი მოვალეობის შეფასებისას. იგი ხალხისათვის სასარგებლო, მაღალზნეობრივი, სანიმუშო იდეალის მიმწოდებელი პიროვნებაა.

„გველის მჭამელში" გადმოცემულია მინდიას გრძნობათა სირთულე და მრავალმხრივობა. იგი ისეთი პერსონაჟია, რომელმაც ადამიანის ფსიქიკური ლტოლვებისა თუ ზნეობრივი იდეალის განვითარების გზები უნდა გვიჩვენოს. მართალია, ეს მოვლენები ტრადიციული წარმოდგენებისა და ორიგინალური მხატვრული პირობითობის სამოსელში გაეხვია, მაგრამ ამ სამოსელის მიღმა ჩვეულებრივი ადამიანის ტკივილები დგას, მისი სულიერი მოღვაწეობის შინაგანი სიძნელეები ცნაურდება. დიდი პოეტური ენერგია მოხმარდა პიროვნების თვითშეგნების სრულქმნის პროცესში ნებისყოფის ფუნქციის ჩვენებას. „გველის მჭამელის" სიუჟეტი იმიტომ არის რთული, რომ მწერალი ცდილობს ადამიანის მოქმედების ფსიქიკური საფუძვლების გადმოშლას. ნაწარმოების შინაგანი დინამიკის საფუძვლად მთავარი გმირის ხასიათისა და განცდების წინააღმდეგობრივი ბუნება ქცეულა. მინდიას გულისა და გონების ხმათა ფუნქციის განსახიერებას დაემორჩილა პოემაში სხვა პერსონაჟთა ქცევა და სიტყვა. მინდიას იდეალის რეალიზება, ავტორის აზრით, მხოლოდ ძლიერი ნების პირობებშია შესაძლებელი.

გმირის ხასიათის წარმომჩენი სიუჟეტური სიტუაციები ზოგჯერ ცხოვრებიდან იღებენ სათავეს, ხოლო უმეტესწილად კი შემოქმედის ფანტაზიით იქმნებიან. ვაჟა-ფშაველა მსჯელობს რა საკუთარ ეპიკურ თხზულებათა შემოქმედებითი ისტორიის თაობაზე, იმასაც გვეუბნება, რომ სიუჟეტური სიტუაციები და გმირის სახე, მნიშვნელობის თვალსაზრისით, ერთიმეორეზე არ დაიყვანება. მართალია, სიტუაციათა შექმნა გმირის ხასიათის საჩვენებლად საჭიროა, მაგრამ ისინი იდენტურნი ვერ იქნებიან. სიუჟეტურ სიტუაციათა ორგანიზებამ ხელი უნდა შეუწყოს ნაწარმოების მხატვრული აზრისა და სახეების ორიგინალურობის ჩვენებას. ამიტომაც პოეტი ნაწყენი კილოთი გამოეხმაურა იპ. ვართაგავას კრიტიკას, რომელშიაც აღნიშნული თვალსაზრისით მოვლენები ერთიმეორისაგან არ იყო გამოყოფილი. ვაჟა-ფშაველა იმასაც გვეუბნებოდა, რომ სინამდვილეში განვითარებისა თუ მხატვრული გარდაქმნის ღირსი ამბების პოვნას შემოქმედის მახვილი თვალი სჭირდება. მწერალს ზოგჯერ გაჭირვებაში აყენებს სხვადასხვა მოვლენათა შემაკავშირებელი სიუჟეტური სიტუაციების გამოგონება. პოეტმა ამ საკითხზედაც შეაჩერა კრიტიკის ყურადღება. სანიმუშოდ მაგალითები თავისი შემოქმედებითი პრაქტიკიდან დაგვისახელა. იგი ამბობს: „წერის დროს ზოგიერთს ნაწარმოებს რამდენიმე ხნით შეუყენებივართ, ცოტა რამეს

ერთ-ორ ტაეპს, ზოგისას დასასრულს. „სტუმარ-მასპინძელში", მაგალითად, იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს, აღაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო, ცოლ-ქმრის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის, როგორ შეჰხვედრიყო აღაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემინირია იმ შენი მეგობრისთვისაო". „გველის მჭამელის" დასასრულმაც ერთ თვემდე ყოყმანში ჩამაგდო".[1] მაშასადამე, ცოლ-ქმრის ბაასი პოემა „სტუმარ-მასპინძელში" და „გველის მჭამელის" დასასრული ის სიუჟეტური სიტუაციებია, რომელთა შექმნამ პოეტი გარკვეული სიძნელის წინაშე დააყენა. ამით ვაჟამ ხაზი გაუსვა სიუჟეტურ სიტუაციათა პრობლემურობასა და მრავალმხრივ მნიშვნელობას.

ვაჟა-ფშაველას მსჯელობებმა „ვეფხისტყაოსნის" შემოქმედებითი ისტორიის თაობაზე, ასევე მისმა თვითდაკვირვებებმა ცხადი გახადეს, რომ ყოფითი შემთხვევები, ამბები მხოლოდ საბაბია, მასალაა მხატვრული მოქმედებისა და სახეთა სისტემის ფორმირებისათვის. მხატვრული მოღვაწეობის ნამდვილი არსი ნაირგვარ სიტუაციათა ორიგინალურ დამუშავებაში ვლინდება. ამ დამუშავება-ფორმირების პროცესში იკვეთება ნაწარმოების აზრი.

თავდაპირველად „გველის მჭამელში" მინდიას სულიერი სამყარო წინააღმდეგობებით გაუბზარავია. მაგიური უნარის ძალით მისი გრძნობა და გონება ჰარმონიულ თანხმობაშია. ასეთი ადამიანი უნაკლოდ ათავსებს პიროვნულსა და საზოგადოებრივს. გრძნობისა და გონების შინაგანი ჭიდილი არ არღვევს მის პიროვნულ მთლიანობას, ამიტომაც „მადლიერი ჰყავს ქვეყანა". ნაწარმოების მეორე ნახევარში მინდია წარმოსდგა გამორჩეული გაგების უნარდაკარგულად, გრძნობისა და გონების წინააღმდეგობების ბურუსში გახვეულ პიროვნებად. გმირის გრძნობა-გონების თანხმობა მაშინ დაირღვა, როდესაც მეუღლის დაჟინებით უფალს, ბუნებას სცოდა, ოჯახის სიამოვნებისა და ფუფუნებისათვის ნადირი ხოცა და ხეები მოჭრა, ე.ი. შეუვალი ინდივიდუალური ზნეობრივი პრინციპები უარყო, ღირებულებათა სუბიექტური შეფასების უნარი განზრახ ჩაიხშო. მინდია სინდისის შინაგანი ხმისა და სიკეთის იდეალის წინააღმდეგ იქცევა. შეგნებუ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 365.

ლად წინ აღუდგება საკუთარ გრძნობებს. ამ მიზეზით გმირის შინა სამყაროს ჰარმონიული მთლიანობა დაირღვა და მან ჭეშმარიტების წვდომის და ღირებულებების შენონასწორების უტყუარი გზებიც დაკარგა. იგი კი არ ცდება, არამედ ქცევის განსახიერებისას შეგნებულად უგულებელყოფს სულის წრფელ მოთხოვნებს. მას ესმის როგორ უნდა მოიქცეს, მაგრამ მაინც რწმენის საწინააღმდეგოდ, სხვა ადამიანის, მისთვის უცხო თვითშეგნების კარნახით მოქმედებს. მინდია ვერ ითვალისწინებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს დაპირისპირებულ, შინაარსით დაშორებულ შეგნებათა განუსჯელ გათანაბრებას. მაღალი პრინციპების დათმობამ, ნების სისუსტემ რჩეული პიროვნება არარად აქცია. იგი საკუთარ შეცდომებს მეუღლეს, მზიას, აბრალებს და დიდ სინანულს ეძლევა:

გეწადა კაი ცხოვრება,
მოწამლულს ქადას აცხობდი,
და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა;
დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია:
„რად სჩადი მაგას, მინდიავ,
ვითომ არ იყავ მტერია?!"
ხვალ ორი მოვჭერ, და ასე
გული ჩავიდევ ქვისაო,
რომ სულ აღარა მეგრძნო რა,
ძალაც ვითხოვე ღვთისაო.
შენ ჯიხვის ხორცსა ჰნატრობდი,
თუ ვის მოკლული გსმენია,
. . . . . .
მეც მივყევ – ვხოცე ნადირი,
გასუქ გალაღეთ ლეშითა,
თავის ბალღებით ჰხარობდი,
მე დავრჩი თავის ტეხითა.

მინდიას საკუთარ რწმენასთან „მოქცევა მელაობითა" ძვირად დაუჯდა. მან ჭეშმარიტების წვდომის და ნაირგვარ ღირებულებათა იერარქიის გაცნობიერების უნარი დაკარგა, გრძნობები

დაუჩლუნგდა, ქვეყნისათვის უსარგელო არსებად იქცა; მინდია სწორედ ამას გლოვობს:

ველარას ვარგებ ქვეყანას
მტრის მამგერებელს ჯარშია,
მიტომ, რომ წინანდებული
ცნება აღარ მაქვს თავშია.

ვაჟა-ფშაველასაც, როგორც ყველა დიდ მწერალს, ადამიანის შინა სამყაროს თვისებათა მხატვრული გახსნა იტაცებს. მწერალი ამბობდა: „ყველა ვნებას, ყველა გრძნობას თავისი ბუნება აქვს, თავისი აგებულება, საათი დაბადებისა, ხანა სიყრმისა, სიჭაბუკისა და სიკვდილისა – ყველა ეს უნდა მხედველობაში ვიქონიოთ. იმიტომ არიან უკვდავნი ქმნილებანი უკვდავთა ავტორთა, რომ ამ წესს არ ჰღალატობენ იმ ნაწარმოებთა მთხზველნი“.[1] „გველის მჭამელში“ გმირის რეალური ქცევები დიდი ოსტატობით არის შეფარდებული მისსავე წარმოდგენებთან საკუთარ „მე“-ზე. მწერალს სურს აჩვენოს პიროვნების თვითცნობიერების მოქმედების სოციალურ-ზნეობრივ მოტივთა სიღრმეები. იგი ნაწარმოებში ამგვარად სვამს კითხვას: შეუძლია თუ არა ადამიანს ობიექტურად შეიმეცნოს, შეაფასოს და სრულქმნას თავისი თავი? პოემის მხატვრული აზრი ამ კითხვას დადებითად პასუხობს. ასეთი იყო ხელდასხმულთა, მისტიკოსთა შინაგანი რწმენაც.

ვაჟა-ფშაველა აღიარებდა ადამიანის განცდათა შინაარსზე, იდეალებზე სინამდვილის პირობათა ზემოქმედებას. მაგრამ ამ პირობათა გაუმჯობესების გარდა, იგი თვითონ ცალკეულ პიროვნებათა შინასამყაროს გაუკეთესებას მოითხოვდა. მწერლის აზრით, ხელოვნება უნდა ხატავდეს მტკიცე, ძლიერი ნების ადამიანებს, რომელნიც შეძლებენ სინამდვილეზე ამაღლებას, რომელნიც არ ემონებიან გარემოს და არც ერთი წუთით არ კარგავენ თვითკონტროლს. ხასიათის სიმტკიცით მინდიასაგან განსხვავდებიან ვაჟას სხვა პოემათა გმირები: გოგოთური, ალუდა, ჯოყოლა, ქიჩირი. კომპრომისის გზა მათთვის უცხოა. თავისუფალი ნების ძალა მათში ურყევია და გმირებიც იდეალს ბოლომდე მტკიცედ მიჰყვებიან. მინდიამ ვერ შეძლო სულიერ პრინციპთა

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 397.

ურყევად დაცვა. იგი, უწინარეს ყოვლისა, თავისი თავის წინაშე დამარცხდა, როგორც სუსტი ნებისა და ფსიქიკურ ლტოლვათა სუბორდინაციის უნარს მოკლებული პიროვნება. მიუხედავად ამგვარი დამარცხებისა, მინდიას მხატვრულმა სახემ უფრო სრულად გადმოგვიშალა ადამიანის გრძნობად – ინტელექტუალურ უნართა ბუნება. მან განასახიერა ადამიანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუბიექტურ და ობიექტურ საწყისებად გაორებული „მე“. პოეტმა პიროვნების გრძნობისა და გონების ჰარმონიის ფუნდამენტური მნიშვნელობა გამოკვეთა. მინდია თავის სულიერ მიდრეკილებათა სამომავლო შედეგებს ვერ იცნობიერებს, მათი განვითარების გზების შეფასებაში ცდება. მით უფრო ვერ აფასებენ მინდიას უნარს მზია და ჩალხია, თუმცა ისინი და საზოგადოებაც კმაყოფილებით იყენებენ გმირის უჩვეულო სიბრძნეს. მინდიას ყოველი ქცევა მის სულიერ სამყაროში წარმოშობილი განწყობილებების ბრძოლის ამსახველია. ამ ქცევების სოციალურ-ეთიკური შინაარსი მრავალმხრივია. გმირის სულიერ-გონითი უნარები, მისი ზნეობრივი პოზიცია მხატვრული მოქმედებისა და რაფინირებული სიტყვიერი რეალობის სანიმუშო ერთიანობაში წარმოჩნდება. მინდიას შეუძლია ზოგიერთი ლტოლვა საკუთარი თვითშეგნებისათვის არაშესაბამისად მიიჩნიოს. მიუხედავად ამისა, მან, როდესაც რწმენის საწინააღმდეგოდ ნადირთა ხოცვა და ხეთა ჭრა დაინყო, შინაგანი მოთხოვნილებები შეგნებულად უგულებელყო. მაგრამ, როდესაც ამგვარი მოქმედების უაზრობა, დიდი ნაკლი გაიცნობიერა, მაშინ გარეშე ფაქტორთა ზემოქმედებისაგან თავის დახსნით სულიერი წონასწორობის დაბრუნება, აღდგენა სცადა. მისი თვითშეფასებები უღრმესი ეთიკური აზრით არის აღბეჭდილი.

პოეტის სოციალური, ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი განსჯა მიმართულია გმირის თვითშეგნებაზე, გვითვალისწინებს, რომ ადამიანის თვითცნობიერება მარად ცვალებადი და თვისივე არსში დაუსრულებელი, შემოუფარგლავი ფენომენია. ავტორის აზრით, ადამიანშივე იმალება უნარი იმისა, რომ თვითონ აღმოაჩინოს საკუთარი სულის შინაგან უნართა და ლტოლვათა მნიშვნელობა. ადამიანის სულის მოძრაობა შეუდარებლად გადმოიშლება მხატვრულ ქმნილებებში. პიროვნების ცნობიერების ბუნებრივი კანონზომიერების მხატვრული გახსნა, ვაჟას აზრით, დიდი ხელოვნების მუდმივი მიზანია. ფსიქიკურ მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულების არსზე და სირთულეზე გამოჩენილი ფსიქოლოგი ლ.ს. ვიგოტსკი წერდა: „არაცნობიერი ცნობიერისაგან

არაა გამოყოფილი რაღაც გაუვალი კედლით. მასში დაწყებულ პროცესებს ხშირად თავისი გაგრძელება აქვთ ცნობიერში და პირუკუ, ბევრი ცნობიერი ჩვენ მიერ არაცნობიერის სფეროში იდევნება. არსებობს მუდმივი, უწყვეტი, ცოცხალი დინამიკური კავშირი ჩვენი ცნობიერების ორივე სფეროს შორის. არაცნობიერი ზემოქმედებს ჩვენს ქცევებზე, იგი თავს იჩენს ჩვენს საქციელში და ამგვარი კვალის თუ გამოვლინების საფუძველზე ვხსნით არაცნობიერს და კანონებს, რომლებიც მას მართავენ".[1]

ლ.ს. ვიგოტსკის აზრით, ყველაზე ნათლად არაცნობიერი მხატვრულ ნაწარმოებში იჩენს თავს. დღესაც, ფსიქოლოგთა რწმენით, პერსონაჟის ქცევის საფუძვლებისა თუ ხასიათის თავისებურებათა მხატვრული განსახიერებისას მწერლები ემყარებიან ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენების რთულ ურთიერთკავშირს. ამიტომაც აღნიშნავენ: „თუ ჩვენ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ, როგორ გავლენას ახდენენ მხატვრული სახის ფორმირებაზე არაცნობიერი ლტოლვები, ქცევის ფარული მოტივები, მხატვრის „ანგარიშმიუცემელი" განცდები, მაშინ არ უნდა მოგვეჩვენოს გადაჭარბებად მტკიცება, რომ ხელოვნება სრულად არის განმსჭვალული არაცნობიერის აქტივობით ყველა თავის დონეებზე, ყველაზე ელემენტარულიდან ყველაზე უმაღლესამდე".[2]

თვითონ ვაჟა-ფშაველა ოცი წლის შემდეგ, ე.ი. ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში კვლავ შეეხო „ვეფხისტყაოსნის" შემოქმედებითი ისტორიის საკითხებს. მან კვლავ დაიცვა სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმული უმართებულო შეხედულებებისაგან „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული თვითმყოფობა. ვაჟა შეშფოთებული წერდა „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი მკვლევარის შეცდომებზე და პოემიდან ნაირგვარი მასალის მოხმობით ცდილობდა მისი ორიგინალობის ახსნას. იგი რუსთველის ტალანტის ერთ-ერთ გამოხატულებად იმასაც მიიჩნევდა, რომ პოეტი ადამიანის ფსიქიკის ურთულეს მოვლენებს სწვდებოდა და ისეთ სულიერ აქტებს გამოხატავდა, რომელთა მხატვრული განსახიერება მხოლოდ დიდ შემოქმედს შეეძლო. ვაჟამ დამაჯერებლად დაახასიათა ტარიელის სახეში რუსთველის მიერ დამკვიდრებული არაცნობიერი ფსიქი-

---

[1] Л.С. Выготский, Психология искусства, М., 1965, გვ. 94.

[2] Ф.В. Бассин, А.С. Прангишвили, А.Н. Шерозия, Об отношении активности бессознательного к художественному творчеству и художественному восприятию. Бессознательное, Тб., 1978, т. II, გვ. 489.

კური ლტოლვების მნიშვნელობა. მწერალი იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ბრწყინვალე ეპიზოდს, კერძოდ, ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვის დახოცვის ამბავს და მკითხველის ყურადღებას მიაქცევს მასში გამოხატულ ქცევის მოტივთა სიღრმეზე, საერთოდ, სულიერ-გონითი უნარების სიმბოლურ-პოეტური პირობითობების საშუალებით განსახიერების უბადლო ნიჭზე.

ხრმალი გავსტყორცე, გადვიჭერ, ვეფხი შევიპყარ
ხელითა;
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს
ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინავდა და მიწყენდა ბრჭყალითა სისხლთა
მღვრელითა,
ველარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა.
რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,
გავგულისდი, მოვიქნიე, ვჰკარ მიწასა, დავაწყვიდე:
მომეგონა, ოდეს ჩემსა სიყვარულსა წავეკიდე,
სულნი სრულად არ ამომხდეს, რად გიკვირს,
თუ ცრემლსა ვღვრიდე!“[1]

„აი, ამისთანა პოეტს ჩვენები ეჭვის თვალით უცქერიან... ნუთუ არ არის საწყენი და სავალალო?!“

აბა, გვიჩვენონ სხვა მწერლისა მაგალითი, – ამბობს ვაჟა, – რომ მას თავისი საყვარელი ვეფხვად წარმოედგინოს და სიყვარული ვეფხობად? ოღონდაც რომ ასეა: ვეფხი სიმბოლოა ძლიერებისა, შეუდრეკლობისა, რომელიც ყველას იმორჩილებს. ეს არაფერი. სხვა ბევრი რამ გვრჩება სათქმელი, რომელსაც კალამი ისე ცხოვლად ვერ გამოიტყვის, მხოლოდ უნდა სუნით მიხვდე, გაიგო და შეიგნო ასეთი სულიერი აქტი, სადაც, რაც გიყვარს, ეთაყვანები, სიცოცხლეს ანაცვალებ, იმავე დროს დაბლა აწყვეტ და ჰკლავ... ეს ისეთი ღრმა ფსიხოლოგიური მოვლენაა, რომ ამის ახსნას, გაშუქებას, გარკვევას კაი ტომები დასჭირდება და კარგი ფილოსოფოსის თავი“.[2] პოეტი აღიარებს არაცნობიერის ძალას.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკოსებს მიუთითებს იმაზე, თუ რა ღრმა ფსიქოლოგიური მოვლენები იხატება გმირთა ქცევაში, საზოგადოდ, ლიტერატურულ

[1] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1970 წ., გვ. 166.
[2] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 317-318.

ნაწარმოებში. მწერალმა პოემა „გველის მჭამელის“ ერთ-ერთ თავისებურებად ის მიიჩნია, რომ მასში მინდიას სულის ღრმა ტრაგედია გადმოიშალა. ნაწარმოების ცალკეული სიტუაციებიდან ვლინდება, რომ გმირის მოქმედება მისი ფსიქიკის ურთულესი მოვლენებით, მასში ცნობიერი და ქვეცნობიერი აქტების მუდმივი ურთიერთმოქმედებით არის განპირობებული. ამ ტრაგედიის მიზეზი თვითონ გმირის სულის სიღრმეში ძევს. მინდიას სულის სიღრმეში აღძრული ეს ლტოლვები განსაზღვრავს მისი ქცევის სოციალურ-ზნეობრივი მოტივების მრავალმხრივობას. მხატვრულ ნაწარმოებთა ამგვარი ბუნების მწვდომი ხელოვანი ზოგიერთმა მკვლევარმა ხალხური გადმოცემების უბრალო გადამკეთებლად მიიჩნია. თვითონ ვაჟა-ფშაველა ლეგენდის, გადმოცემისა თუ ყოფითი შემთხვევების, როგორც მწერლისათვის საჭირო მასალის, მნიშვნელობას კარგად ხედავდა. მაგრამ პოეტი იქვე არ ივიწყებდა ეთქვა, რომ „თავი და თავი ავტორია“, რომელმაც მასალის გამოყენებით სრულიად ახალი აზრისა და გრძნობების სამყარო უნდა შექმნას. ვაჟა-ფშაელა წერს: „აღარ უნდა ვიკითხოთ, როგორს ნიადაგზე ითესება ეს თესლი? ნიადაგი პოეტია, რომელმაც ერთი მარცვალი უნდა ათასად აქციოს. ყველას არ შეუძლიან ესა და ამიტომ უნიჭოების ნაწერები ქარწყლდება, ინთქმევა დავიწყების ზღვაში“.[1]

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, შემოქმედი ნაირგვარი მასალით სარგებლობს, მაგრამ მასალისა და მწერლის თხზულების ღირებულება ერთიმეორეს არ უთანაბრდება. შემოქმედი მასალას შეითვისებს, შეისისხლხორცებს, მაგრამ სათქმელს ახალს ამბობს და თანაც განუმეორებელი, სხვა დროს არნახული ფორმით. ამ ახალი აზრისა და ახალი ფორმის შექმნაში გმირების სულიერი ტრაგედიის დახატვაში გამოვლინდება ხელოვანის გრძნობად-ინტელექტუალური შესაძლებლობები. ამიტომაც, ვაჟას სიტყვით, „თავი და თავი ავტორი ყოფილა“ და არა ბუნებაში, ყოფაში თავისთვის არსებული მასალა. მწერალი ქმნის რა ნაწარმოების სიუჟეტს, სახეებს, სიტყვიერ რეალობას, ამით გამოხატავს, უპირატესად, საკუთარ სულიერ ძალთა რაობას, გვითვალისწინებს ეპოქალურ მოვლენებთან თავისი დამოკიდებულების რეალურ შინაარსს. მაშასადამე, შემოქმედი საკუთარ ქმნილებას შინაგანი ლოგიკით უკავშირდება, სულის სიღრმიდან მომდინარე

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 307.

ეთიკურ-ესთეტიკურ ღირებულებებს განუწყვეტლივ აქსოვს ნაწარმოების მხატვრულ მოქმედებაში. ავტორისა და ნაწარმოების ამ ერთიანობის თაობაზე საგულისხმო აზრს გამოთქვამენ: „ესთეტიკური სახის აზრი – ის, რაზეც ეს სახე „ლაპარაკობს", რასაც ეს სახე „ამტკიცებს" – განუყრელადაა დაკავშირებული მხატვრის პიროვნებასთან, მოიცავს მისი არსების ცნობიერს და არაცნობიერს, შემოქმედის ფასეულობათა სამყაროს თავისი ფსიქოლოგიური სირთულეებით. ხელოვნების ქმნილების საზრისი გამოიხატება მისი შემოქმედის პიროვნებით, ქმნილება განისაზღვრება ამ პიროვნებით, მაშინაც კი, თუ არაცნობიერის აქტიურობამ ნაწარმოების ჩამოყალიბებაში ითამაშა ფრიად არსებითი როლი".[1]

როგორც ვხედავთ, ნაწარმოების მხატვრული აზრი, სახეთა ესთეტიკური ღირებულება განისაზღვრება შემოქმედის პიროვნებით, მისი ფსიქიკის ცნობიერი და არაცნობიერი აქტების ფუნქციით.

მწერლისა და მისი თხზულების აღნიშნული ურთიერთმიმართება მკვიდრი თვისებაა ვაჟას ეპოსის შემოქმედებითი ისტორიისათვისაც. იგი, როგორც ითქვა, ხშირად მიუთითებდა ავტორის გადამწყვეტ როლზე ნაწარმოების შექმნის პროცესში. ამ კანონზომიერებას დაემორჩილა „გველის მჭამელის" შემოქმედებითი ისტორიაც. ავტორმა გაგვაცნო ათსტრიქონიანი ხალხური გადმოცემა და თანაც გვითხრა, რომ ეს „ამბავი მინდიას სულის არავითარ დრამატულს განცდას არ წარმოადგენს ხალხის თქმითო". ვაჟამ ათას ას ოთხმოც სტრიქონიანი პოემა შექმნა. მან მაგიური რწმენაზე დამყარებული ხალხური გადმოცემა ადამიანის მისწრაფებათა მრავალმხრივობის მხატვრულად განსახიერებას დაუმორჩილა, პოემის სიუჟეტის ეპიზოდურ მასალად აქცია. ავტორის მიზანი, რასაკვირველია, ხალხური გადმოცემის გალამაზება კი არ იყო, არამედ ახალი შინაარსის ახალი ფორმით მოწოდება, არა ამბავთა ცვლა და ურთიერთთან მექანიკური შეთანაბრება, არამედ ადამიანის ხასიათისა და სულის უდიდეს მოძრაობათა გახსნა. პოეტის ამოცანაა პიროვნების სულიერ ღირებულებათა იერარქიის ნათელყოფა. ვაჟას ტალანტის მადლი სწორედ ადამიანის თვითშეგნების ამაღლებისა თუ დაცემის განმსაზღვრელ მიზეზთა მხატვრულ გამოკვეთას ეძღვნებოდა. თხზულების სიუჟეტიც ასეთმა პოეტურმა სწრაფვამ განსაზღვრა. ცხადია,

[1] Ф.В. Бассин, А.С. Прангишвили, А.Н. Шерозия, Об отношении активности бессознательного к художественному творчеству и художественному восприятию. Бессознательное. Тб., 1978, т. II, გვ. 489-490.

პიროვნების სულის სიღრმეების ჩვენება ნაწარმოების მთელი სიუჟეტის ფორმირების პროცესში მიიღწეოდა. „პოეტი, – წერს ვაჟა, – სურათებით გვესაუბრება, ტიპებსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბაძავს. ისეთს ტიპებს, რომლის მსგავსნიც უნდა რომ იყვნენ პოეტს ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოღებული ნაკლი".[1] მწერლის აზრით, ერის საჭიროებათა წარმომჩენი ტიპი „...მთელს კაცის არსებას მოიყვანს მოძრაობაში და მთელს მის გულ-გონების ყურადღებას მიიზიდავს. ესეთი ტიპი აზრია, იგი ბედია ერისა და იმიტომ ყველასათვის საყურადღებო, მიმზიდველი".[2] ასეთი ერისა და კაცობრიობის საჭიროებათა წარმომჩენი ტიპია ვაჟა-ფშაველას პოემის მინდია. იგი ადამიანის ღირებულებითი ცნობიერების უთვალავ საოცრებას წარმოაჩენს. ამ სახეში ადამიანის ბუნებასთან მიმართების, პიროვნებისა და საზოგადოების თვითშეგნებათა თანაფარდობის მრავალი პრობლემური საკითხი ერთიანდება. პერსონაჟის თავგადასავალში, მხატვრულ მოქმედებაში გამოვლენილ ყოველ პრობლემას ხელოვანის ნიჭი და უნარი მართავს. ამის გამო გაუმართლებელია იმ მკვლევართა შეხედულებები, რომელთა აზრით ვაჟა-ფშაველა ფოლკლორში ნაპოვნი ამბებისა და მოტივების შეერთებით ქმნიდა თავის პოემებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ მიუთითებენ სახეების, სიუჟეტების სესხებაზე. ვაჟას გმირთა პროტოტიპების არსებობაზე იმ ნაწარმოებებში, რომელთა წყაროები თვითონ ავტორმა გაგვაცნო. ვაჟა-ფშაველამ, როგორც ცნობილია, დაახასიათა საკუთარი ეპოსის წყაროები, მაგრამ ამ წყაროებში მოხსენიებული სახელებისათვის პროტოტიპები არ უწოდებია. ცხადია, მწერლის აზრით, ტიპის შექმნა ურთულეს სოციალურ-ეთიკურ დამოკიდებულებათა შექმნას, გამოვლენას, პიროვნების ხასიათის სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ჩვენებას გულისხმობდა. პერსონაჟების თვითშეგნებათა სოციალურ-ეთიკური თვალსაზრისით შეფარდებას თუ დაპირისპირებას, მათი მოქმედების მხატვრულ ჩვენებას უნდა გამოეკვეთა ტიპის, სახის თვითმყოფადობა. ფრაგმენტულ ხალხურ გადმოცემებში, ცალკეულ ყოფით ამბებში, რომლებზედაც ავტორი მიგვითითებდა, მწერლის მიერ შექმნილი სახეების ბადალი, შესადარი არ იპოვებოდა. ამის გამოც არ უწოდებდა ვაჟა მათ პროტოტიპს. არც დღეს არის გა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 400.

[2] იქვე, გვ. 402.

მართლებული მხოლოდ მსგავსების ასოციაციით ნაპოვნი ცალკეული ელემენტების საფუძველზე ვაჟას ამა თუ იმ გმირს პროტოტიპი დავუსახელოთ, პროტოტიპიც თავისი დროის და გარემოს გამომხატველი უნდა ყოფილიყო, თანაც გარკვეულ ყოფით ურთიერთობებში წარმოდგენილი. სადაც ადამიანურ ურთიერთობათა სისტემის, გმირთა თვითშეგნების მოძრაობისა თუ განვითარების მსგავსებას ვერ ვპოულობთ, იქ, ცხადია, ვერც ტიპების იგივეობას ვიპოვით. ამიტომ ვაჟას ეპიკური გმირების პროტოტიპების ძიება-დადასტურება ზოგჯერ ფაქტიურ ვითარებაზე ერთგვარ ძალდატანებად წარმოჩნდება.

მაშასადამე, ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში" შექმნილი სახეები, ტიპები, სიუჟეტი, სიტყვიერი ქსოვილი შემოქმედის გრძნობა-გონების, მისი ფანტაზიისა და ოცნების ნაყოფია. მინდიას ქცევას განცდა-განწყობილებათა რთული შინაგანი ბრძოლა განსაზღვრავს. გმირის შეცდომა, მისი სულის დისჰარმონია განაპირობა ნებისყოფის სისუსტემ და მოქმედების მასანქცირებელ განწყობათა ზოგადი, სამომავლო მნიშვნელობის გაურკვევლობამ. მწერლის რწმენით, ადამიანის შეცდომის მიზეზიც და ახლის წვდომის უნარიც, უპირატესად, მისივე ცნობიერების სიღრმეში ძევს. შეცდომაში შესულმა მინდიამ სცადა თითქმის ჩვევად ქცეული „გულ-ქვაობის" უკუგდება, სულიერი წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ღვთისადმი ვედრებითა და მთელ სამყაროს წინაშე სინდისის ქენჯნით ეს ვეღარ შეძლო. პოეტმა მხატვრულად გააზვიადა ღირებულებათა ინტუიციური წვდომის ან გრძნობადი შემეცნების საფეხურზე გმირის მიერ დაშვებული შეცდომების მნიშვნელობა; იგი აღარ დააბრუნა სულიერ ძალთა სიმტკიცისა და ჰარმონიის იმ დონეზე, რომელზედაც ჭეშმარიტებებს შეუმცდარად სწვდებოდა. აქედან იწყება მინდიას სულის უღრმესი ტრაგედია. პოეტს ადამიანის სულის დაუსრულებელი მოძრაობის კანონზომიერების მხატვრული გახსნა სურდა. მისი მიზანი იყო პიროვნების მართალი სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ბუნების ჩვენება. ამიტომაც განუმეორებელი მხატვრული ძალითა და ორიგინალურობით განასახიერა საზოგადოების შეხედულებებთან პიროვნების თვითცნობიერების შეფარდებისა და შეპირისპირების ჭეშმარიტი არსი.

ვაჟამ წარმოაჩინა მინდიას სულიერ მოთხოვნილებათა სოციალური, ზნეობრივი და ესთეტიკური შინაარსის სირთულე, ბუნებრივობა, ნაკლი და ღირსება. მან ადამიანის პრაქტიკული საქციელისა და მიზან-ღირებულებების დაპირისპირების მხატვრუ-

ლი სურათიც დახატა, რითაც ზოგადად გამოკვეთა პიროვნების ორჭოფობის, მისი სახის გაუცხოება-გაორების სოციალურად აქტუალური ტენდენციები. პოეტმა, ნათელყო პიროვნების სულიერ ღირებულებათა მოძრაობის როგორც ეროვნული, ასევე საკაცობრიო შინაარსი.

თავი X

„ბახტრიონის“ სიუჟეტი და ხალხური წყაროების პრობლემა

ვაჟა-ფშაველამ მრავალგზის დაახასიათა ხალხური შემოქმედების თავისებურებები. 1890 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის შესახებ მსჯელობისას მიუთითა მან იმაზედაც, რომ საჭიროა ინდივიდუალური შემოქმედების გარჩევა ხალხურისაგან და არ შეიძლება რუსთაველს ღვაწლად და ღირსებად მხოლოდ ხალხური ლექსების გამშვენიერება, ერთიმეორესთან შეკავშირება ჩავუთვალოთ.

თვითონ ვაჟა-ფშაველასა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის საკითხს ჯერ კიდევ 1896 წელს შეეხო ილია ნაკაშიძე. ამ კრიტიკოსმა ერთიმეორესთან გააიგივა მთის ხალხური პოეზიისა და ვაჟას ქმნილებათა შინაარსი და ფორმა-გარეგნობა. თუმცა მან პირველმა მიუთითა მთიელთა პოეზიისა და ვაჟას ნაწარმოებთა ნათესაობაზე, აზრობრივ-მხატვრულ კავშირზე. საერთოდ კი, ი. ნაკაშიძეს არ უცდია ვაჟას ეპიკურ თხზულებათა ხალხური წყაროების წარმოჩენა და დახასიათება. სამაგიეროდ, ამ მხარეს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ალ. ხახანაშვილი, იპ. ვართაგავა, ილ. ფერაძე, ი. იმედაშვილი და სიმ. ნარდიონი (ს. ხუნდაძე). თუმცა ხალხური შემოქმედების წიაღიდან ვერ იმოწმებენ კონკრეტულ მასალას.

რევოლუციამდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკა თავისი დროის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე იდგა. მიუხედავად ამისა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხურ წყაროებთან მიმართების საკითხის კვლევა მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებების გადმოცემით შემოიფარგლა. კრიტიკოსები მსჯელობდნენ პოეტის ნაწარმოებთა ხალხურ პოეზიასთან მსგავსებაზე, მაგრამ ამ მსგავსების მანიშნებელი ან ვაჟას ნაწარმოებთან შესადარებელი მასალის რაობას, მის კონკრეტულ სახეს ვერ გვითვალისწინებდნენ. ზოგჯერ ამგვარი მასალის არსებობის შესაძლებლობას აბსტრაქტულად წარმოისახავდნენ, სათანადო ნიმუშებს ხალხში გავრცელებულად, მაგრამ ჯერ კიდევ მიუკვლეველად და ჩაუწერლად თვლიდნენ. ზოგი მკვლევარი ვარაუდებზე დამყარებით

იმასაც კი წერდა, რომ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებნი თავიანთ ხალხურ წყაროებს ვერ უტოლდებიანო. ამ დროის კრიტიკოსთა შორის განსხვავებული აზრი გამოთქვა ილ. ფერაძემ. მან 1915 წელს ხალხურ წყაროებთან ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება ამგვარად დაახასიათა: „ყოველს მათგანს (ხალხურ მასალას – დ.ნ.) გარეგნობით მშრალს, შთაბერა პოეტური სული, – მის ჩონჩხს შეასხა არა თუ ხორცი, არამედ იგი განაცხოველა უკვდავი სულით და მოგვცა მრავალი მარგალიტი პოეტურ ნაწარმოებთა, რომელთა მეოხებით გამდიდრდა ქართული მწერლობა და გამომზეურდა ის კეთილნი გრძნობანი და მისწრაფებანი, რომლითაც დაჯილდოებულია ჩვენი ერი“.[1]

ამის შემდეგ აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვანი არა თქმულა რა XX ს. 30-იან წლებამდე, ვიდრე აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ კონკრეტულად არ მიუთითა ვაჟას ქმნილებათა ხალხურ წყაროებზე და ფოლკლორში არსებულ მათ პარალელურ თემებზე. კერძოდ, პოემა „ბახტრიონის“ წყაროების შესახებ ავტორი “ხალხური პოეზიის“ შესავალში წერს: „ამ წიგნში მოიპოვება ზოგიერთი წყარო ვაჟას შემოქმედებისათვის და პარალელები მის მიერ დამუშავებული თემებისათვის: ბახტრიონის აღებისა და ზეზვა გაფრინდაულის ლექსებს რომ თავი დავანებოთ (რომელთა ფშაურ ვარიანტებსაც თვითონვე ასახელებს), შეიძლება მივუთითოთ ლუხუმზე (ამ წიგნში 91), რომელიც მხოლოდ ზოგადი ხაზებით მოგვაგონებს ვაჟას ლუხუმს „ბახტრიონში“...[2]

აკად. ა.შანიძე ასკვნის, რომ „ხალხურ თქმულებათ ვაჟა--ფშაველას ნაწერებში ყველგან თავისუფალი მოპყრობისა და გადაკეთების ცხოველი ბეჭედი აზის“.[3]

აღნიშნულის კვალობაზე ქართულ ფოლკლორისტიკაში განსაკუთრებით ყურადღება მიექცა ვაჟას ნაწარმოებთა ხალხური წყაროების მიგნებასა და მოპოვებას. დაიწყო პოეტის ყველა ცნობილი პოემის წყაროთა ძიება. დაჟინებული ძიების შედეგად მიკვლეულ იქნა მრავალი ამბავი, მოტივი და ამა თუ იმ ხალხური ადათის ან ყოფითი ამბის ამსახველი ფოლკლორული ნიმუშები, რომლებიც ამჟღავნებენ მსგავსებას ვაჟას ქმნილებებთან. ამას-

---

[1] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, 1955 წ., გვ. 331.

[2] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931 წ., გვ. 023.

[3] იქვე, გვ. 024.

თანავე, ხშირად მსჯელობენ ვაჟას ეპოსის გმირთა პროტოტიპებზე და მათ ფოლკლორიდან მომდინარეობაზე.[1]

ვაჟა-ფშაველამ დაახასიათა „ბახტრიონის“ წყაროები. მან დაწვრილებით აღწერა ის ზეპირსიტყვიერი და წერილობითი მასალა, რომელმაც პოეტის ფანტაზია აამოქმედა „ბახტრიონის“ შესაქმნელად. ჯერ ის შეჩერდა იმაზე, თუ რამ „გააბედვინა“ მას თემად ბახტრიონის ბრძოლა აეღო. ის წერს: „ყველაზე მეტი გამბედაობა „ბახტრიონის“ დაწერისა მომცა იმ შემთხვევამ..., რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“, და უთითებს სათანადო გვერდებს.[2] შემდეგ კიდევ ახსენებს ის „კალმასობას“ და მის ავტორს, როგორც პოემის ერთ-ერთ შთამაგონებელს. აქვე ჩერდება ის გმირთა წარმომავლობის საკითხზეც. პოეტი წერს: „...გმირები პოემისა – ლუხუმი, ხოშარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოს რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა, თუმცა კი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს – ასეთები არიან ლუხუმი, ხოშარეული. ხოლო სუმელჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელს დროს, როცა ფშაველები და თუშები ერთიმეორეს ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორს ძმობა და თანხმობა. თოფი მაშინ ხმარებაში არ ყოფილა, არამედ მშვილდისარი და ბოძალდი. თქმულება ხალხური და ლექსი ასე განმარტავენ, რომ თილიძის ბელადობით მოსული თუშის ლაშქარი მთლად გასწყვიტეს ფშაველებმა, მხოლოდ სარდალიღა გადაურჩათ ცოცხალი და შინ როცა მივიდა, დედას უამბობს თუშების დამარცხების ამბავს ფშავლების მიერ.

„დაგვლივნა ხოშარის გორმა,
იქ წყლის არგამოდენამა
ვიწრო-ვიწრომა ხევ-ხუვმა,
მოკლედ ფშავლების დენამა,
წოწკურაულის ისარმა,
სანათაისა ენამა,

---

[1] ამის შესახებ იხ. ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, თბ., 1956; ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“ და პოემა „გველის მჭამელი“, თბ., 1959 წ. და სხვ.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის შესახებ“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 321.

ნელად მოვიდა სუმელჯი,
სუმელჯი სუროღვიანი,
გაიხვნა ისრის ქოჯონი
ლაღის არწივის ფრთიანნი –
ესროლის, გაამაგორის
თუში ფეხ-ჩითაიანი“.

ეს ორივე გმირი – სუმელჯი და სანათა – მე შევურიე „ბახტრიონის“ გმირებში; სანათა როგორც ენით, სიტყვით გამამხნევებელი დიაცი და სუმელჯი კი როგორც თავისი ქვეყნისთვის მებრძოლი ვაჟკაცი. კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი. იმათი ხსენება არც ხალხურ ლექსში და არც ზეპირგადმოცემაში არსად არ მოიპოვება: დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნოს ბახტრიონის აღებაში, ამაზე არც ლექსები, არც ზეპირგადმოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა“.

პროფ. მ. ჩიქოვანი კრიტიკულად უდგება ავტორისეულ ცნობებს და ვარაუდობს, რომ „კალმასობა“ პოემა „ბახტრიონის“ უშუალო წყაროს არ წარმოადგენს, რადგან 1914 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“ ვაჟა უკვე არ ასახელებს კალმასობას“.[1] მაგრამ საკითხი იმას კი არ უნდა ეხებოდეს, თუ რა თქვა ან რა არა თქვა ვაჟამ იპ. ვართაგავას საპასუხოდ და გასაგონად, არამედ იმას, თუ რას ფიქრობდა იგი თვითონ, რას თვლიდა იგი „ბახტრიონის“ ერთ-ერთ წყაროდ, მისი დაწერის ერთ-ერთ მოტივად. ამის თაობაზე კი, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, სრულიად გარკვეულად არის ნათქვამი ვაჟას ხელნაწერში. რასაკვირველია, ჩვენზე შეიძლება რომელიმე ცნობამ ასეთი თუ ისეთი მეტნაკლებად დამარწმუნებელი შთაბეჭდილება მოახდინოს, მაგრამ ამის მიხედვით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭეშმარიტ პოეტსაც ამგვარივე შთაბეჭდილება აღეძვრის.

პროფ. მ. ჩიქოვანი ამოწმებს ვაჟას ცნობას „ბახტრიონის“ გმირთა წარმომავლობის შესახებ. ვაჟას პოემის პერსონაჟთა – კვირიასა და ლელას სახეებს იგი ფოლკლორიდან მომდინარედ თვლის და მათ პროტოტიპებს ფშავ-ხევსურულ პოეზიაში ეძიებს, თუ ვაჟა წერდა, რომ კვირიასა და ლელას „ხსენება არც ხალხურ ლექსში და არც ზეპირგადმოცემაში არსად არ მოიპოვება:

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 322-323.

„დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნოს ბახტრიონის აღებაში, ამაზე არც ლექსები, არც ზეპირგადმოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა“.[1] პროფ. მ. ჩიქოვანი, პირიქით, ამბობს: „თქმა ამისა, რომ კვირია და ლელა მთის პოეზიაში არ იხსენიებიანო, არ იქნებოდა მართალი“.[2]

ვაჟა მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ კვირია (და ზოგი სხვაც) ბახტრიონის ბრძოლის მონაწილედ არ იხსენიებიან ხალხურ პოეზიაში და ამის საფუძველზე ამბობს, რომ კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი. პოეტის ამ სიტყვებს დამარწმუნებულობა მაშინ მოაკლდებოდა, თუ მოვიპოვებდით უტყუარ ჩანაწერს, ვაჟასდროინდელი ხალხური პოეზიის ნიმუშებს, რომლებშიაც კვირია და ლელა ბახტრიონის ბრძოლის გმირებად იქნებოდნენ ჩათვლილნი, ანდა მათ რომელიმე ხალხური შემოქმედების ნიმუში საერთოდ დაგვიხასიათებდა მებრძოლებად.

მაგრამ ასეთი ნიმუშები მოპოვებული არ არის. ამასთანავე, არ არსებობს საფუძველი ფიქრისათვის, რომ ვაჟამ იცოდა და საგანგებოდ დაფარა ცნობა ასეთი ნაწარმოების არსებობის შესახებ, ხოლო თუ საკითხი ეხება მხოლოდ კვირიასა და ლელას (როგორც ვაჟისა და ქალის) სახელებს, მაშინ მათ პოეტისათვის მხოლოდ ისეთივე მნიშვნელობა მიენიჭებათ, როგორც რომელიმე პეტრეს, ივანეს, გიორგის და ა.შ. ცნობილი პოეტი, ვაჟა-ფშაველას მკვლევარი სიმონ ჩიქოვანი წერს: „ვაჟა-ფშაველა ხალხური პოეზიიდან სახელებს სესხულობს და არა ხასიათებს“.[3] ასე რომ, ვაჟას განმარტება ლელასა და კვირიას თაობაზე მხოლოდ ისე შეიძლება იქნეს გაგებული, რომ ამ სახეთა შექმნისას პოეტს ხელთ არ ჰქონდა მისი ფანტაზიის რაიმე ამამოძრავებელი მასალა. პროფ. მ. ჩიქოვანი კი ხალხური პოეზიიდან თილიძის რძალს ლელას მიიჩნევს ვაჟას პერსონაჟის პროტოტიპად. როგორც ჩანს, ვერავინ ახერხებს ვაჟას ლელას (და, მით უმეტეს, კვირიას) ხასიათის ნიშნებს, მის პატრიოტულ მიზანსწრაფვას – რაც ლელას ვაჟასეული სახის ტიპური ნიშანია – შესაბამისი მოუძებნოს

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის შესახებ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 323.

[2] მ. ჩიქოვანი, დასახელებული წიგნი, გვ. 51. რადგან ვაჟა პოემის სხვა გმირთა შორის კვირიასაც ახსენებს, მ. ჩიქოვანი თითქოს შინაგან წინააღმდეგობაში იჭერს ვაჟას, როცა პოეტი წერს, რომ კვირია საკუთარი ფანტაზიის ნაყოფიაო: „კვირიას შესახებ თვითონ ვაჟა იძლევა მისივე თქმულის საპირისპირო ცნობას".

[3] ს. ჩიქოვანი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1963 წ., გვ. 162.

ხალხურ პოეზიაში. ამიტომ თავისთავადაც არ არსებობს საფუძველი პროტოტიპი ვუწოდოთ თილიძის რძალს ლელას, რომლისთვისაც სრულიად უცხოა „ბახტრიონის“ ლელასათვის დამახასიათებელი სოციალური დატვირთვა.[1] ვფიქრობთ, რომ არაფერი გვაძალებს ეჭვი შევიტანოთ და წინააღმდეგობა დავინახოთ ვაჟას ნათქვამში.

საგანგებო ძიებამ ვერ დაადასტურა „ბახტრიონის“ კვირიას მსგავსი გმირი ფშავ-ხევსურულ პოეზიაში. ასევე, ვერც ვაჟას ცნობაში ვნახეთ რაიმე წინააღმდეგობა კვირიას სახის ირგვლივ. ავტორისეული ცნობის მთლიანობაში განხილვა არ იძლევა რაიმე ეჭვის საფუძველს ამ პერსონაჟის წარმომავლობის თაობაზე. მწერალი ჩამოთვლის, საერთოდ, პოემის გმირებს – ლუხუმს, ხოშარეულს, სუმელჯის, კვირიას, სანათას, ზეზვას და აქედან ზეზვას მიიჩნევს ბახტრიონის ბრძოლის მონაწილედ. დანარჩენ გმირებს კი სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ამბავზე შექმნილ ხალხურ ლექსებში მოხსენებულად თვლის. მაგრამ პოეტი აქ არ ჩერდება და ხელახლა, სგანაგებოდ ჩამოთვლის იმ გმირებს, რომლებიც ხალხურ ლექსებში არიან ნახსენები, თუმცა ისინი ბახტრიონის ბრძოლას არ უკავშირდებიან. ასეთი გმირებია: ლუხუმი, ხოშარეული, სუმელჯი და სანათა. ვაჟა ამ გმირების გვერდით არ ასახელებს კვირიას, როგორც ხალხური ლექსის გმირს. მხოლოდ ამის შემდეგ გვაცნობს ავტორი ლელას სახელს და მას კვირიასთან ერთად საკუთარი ფანტაზიით შექმნილ პერსონაჟს უწოდებს.

ავტორისეული ცნობის ამ ადგილსაც პროფ. მ. ჩიქოვანი თავისებურად განმარტავს: „ვაჟა-ფშაველა აქაც ცამდე მართალია, მართლაც, არც ვაჟას და, ჯერჯერობით არც ჩვენ, არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, რომ ბახტრიონის ბრძოლაში მონაწილეობა მიეღოს ქალს – ლელას და კაცს – კვირიას სახელით ცნობილს. ისინი თვითონ პოეტის ფანტაზიით არიან დაკავშირებულნი 1659 წლის ამბავთან“.[2] აქ, მწერლის აზრის საწინააღმდეგოდ,

---

[1] პროტოტიპების ცნება გულისხმობს ისეთი ნიშნების არსებობას, რომლებიც მეორდება თუ რაღაცნაირად ვლინდება მწერლის მიერ შემდგომ შექმნილ პოეტურ სახეში. ამიტომ დგება კითხვა: შეიძლება თუ არა პირდაპირი მნიშვნელობით ვაჟას პერსონაჟების პროტოტიპებად მივიჩნიოთ ხალხური პოეზიის ისეთი სახელები, როგორიცაა ლუხუმი, ხოშარეული და სხვა.

[2] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა, ლიტერატურული ძიებანი, 1964 წ., ტ. XV, გვ. 306.

მაინც აღიარებულია, რომ კვირიასა და ლელას ის ხალხური პოეზიიდან იცნობს, ხოლო სხვა მოვლენას კი უკავშირებს.

როგორც ჩანს, მკვლევარის აზრით, ვაჟას სიტყვები: „კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ავტორმა ხალხური პოეზიის ეს ორი გმირი 1659 წლის ბახტრიონის ბრძოლას დაუკავშირა. თითქოს ამაში გამოიხატა პოეტის ფანტაზიის როლი. ვაჟას ცნობა ხალხური კვირიასა და ლელას ბახტრიონის ბრძოლასთან დაკავშირებას რომ გულისხმობდეს მარტო, მაშინ იგი დანარჩენ გმირებსაც აქვე უნდა ახსენებდეს. ლუხუმი, ხოშარეული, სუმელჯი და სანათაც, პოეტის აღიარებით, ხომ არ არიან ბახტრიონის ბრძოლის მონაწილენი. მაშასადამე, ეს გმირებიც ასეთივე ფანტაზიის ნაყოფნი იქნებოდნენ და მათ ავტორი მსჯელობისას ერთიმეორისაგან არ დააცალკევებდა. ცხადია, რომ პოეტი ამ შემთხვევაში გულისხმობს მხოლოდ საკუთარი ფანტაზიით შექმნილ ორიგინალურ სახეებს, მხატვრულ გამონაგონს და არა ამა თუ იმ ხალხური ლექსის პერსონაჟის ბახტრიონის ისტორიულ ბრძოლასთან დაკავშირებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ავტორის მიერ მოწოდებულ დეტალებს, რომლებიც მისი ნაწარმოებების შემოქმედებითი ისტორიის თავისებურებების გარკვევაში გვეხმარება. ამასთანავე, გვინდა ავტორისეული ცნობების, შეხედულებებისა და იმ ობიექტური ხალხური მასალის გათვალისწინებით, რასაც თვითონ პოეტი იცნობდა, ავხსნათ, თუ რა როლი შეასრულა მასალამ ამა თუ იმ კონკრეტული ნაწარმოების შექმნის ჟამს. კერძოდ, საჭიროა შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისით „ბახტრიონის“ დახასიათებისას გაირკვეს წყაროებად წარმოდგენილი მასალისა და მწერლის ესთეტიკური იდეალის თანაფარდობის არსი. საკითხი ეხება წყაროებთან ხელოვანის მიდგომის პრინციპებს და შემდგომ უკვე პოემის მხატვრულ ღირებულებას. მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვის სიძლიერე კი ნაწარმოების სიუჟეტის, ენობრივი ქსოვილისა და საზოგადოდ ლიტერატურულ სახეთა სისტემის შექმნაში გამოიხატება. ამიტომაც, ნაწარმოების ფაბულისა და სიუჟეტის ელემენტების წარმოშობისა თუ გმირთა წარმომავლობის საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. პოემა „ბახტრიონის“ ხალხურობასა თუ ხალხურ წყაროთა რაობაზე კი სამეცნიერო ლიტერატურაში შეხედულებათა სხვადასხვაობა არსებობს.

ვაჟა-ფშაველამ წერილებში „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ და „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“ ღრმა ობიექტურობით

დაახასიათა „ბახტრიონის“ წყაროები. კერძოდ, იგი წერს: „ბახტრიონი“, მაგალითად, რამ დამაწერინა? რა მასალა მქონდა ხელთა? საიდან წარმოიშვნენ პოემის გმირები? აი, რაზე უნდა გესაუბროთ სიმართლით, უნაკლულოდ, გადაუჭარბებლად. ხალხური თქმულება დაწვრილებით მასალას არაფერს იძლევა ბახტრიონის აღებისას, იმ დროს მებრძოლთა სახელებიც კი დაკარგულია, გარდა ზეზვასი (თუშია), ზეპირ გადმოცემა ჰღალადებს, რომ ფშაველებისათვის ამ ღვაწლისათვის ნაჩუქარი აქვთ პანკისი, ალვანი და სხვ. ეს ერთი, მეორე – სახალხო ლექსები“.[1] შემდეგ პოეტი გვაცნობს ფშაველი გოგოლაურისა და თუში მეტაურის ბახტრიონის ციხის გალავანზე გადასვლის ქადილის გამომხატველ ლექსს. მან წარმოგვიდგინა ზეზვა გაფრინდაულის წინამძღოლობის, ბრძოლისა და თათართაგან მისი დატყვევების ამსახველი სტრიქონებიც. მას მოჰყავს ტომობრივი მიკერძოების წარმომჩენი ხალხური ლექსები, სადაც თუშები ხევსურებს იწუნებენ, ბრძოლაში მონაწილეობაზე უარს ეუბნებიან. შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ფშაველებმა და ხევსურებმა „დალივეს თათრის ლაშქარი“, ხოლო თუშები მეორე დღესღა მოვიდნენ და მათგან ასეთი საყვედური მიიღეს: „სად ეყარენით, თუშებო, სადიაცენო თმიანნო?“ ამ ლექსებისა და, საზოგადოდ, ბახტრიონის ბრძოლაზე შექმნილი სხვა ხალხური ლექსების შინაარსის არალოგიკურობა თვალსაჩინოა. ზეზვას წინამძღოლობას თითქოს ყველა ითხოვს. შემდეგ კი ეცილებიან სახელს, ან თუშებს, საზოგადოდ, ბრძოლაში აქტიურ მონაწილედ აღარ მიიჩნევენ. დიდი ცილობაა ბახტრიონის ციხის გალავანზე „წინ-წინ გადაფრენის“ თაობაზეც. ეს ქცევა ერთდროულად მიენერება გოგოლაურს, მეტაურს, საღირიშვილს, ზეზვა გაფრინდაულს. ცილობა ობიექტურად უმნიშვნელო საგანზე მიმდინარეობს. ცხადია, ერთი კაცის გალავანზე გადაფრენა, ვინც უნდა ყოფილიყო ის, მტერზე გამარჯვებას ვერ მოიტანდა და ვერც ბახტრიონს აიღებდა ერთი მებრძოლი. ამ ცილობის ლექსებში გამოხატვის მიზანი ის არის, რომ ხალხურ მთქმელებს უნდათ მაინცდამაინც თავისი კუთხის, ტომის მებრძოლების სიმამაცე გააზვიადონ, წარმოგვისახონ ერთი მებრძოლის ღირსება მთელი კუთხისათვის დამახასიათებელ ნიშნად. ასეთი შინაარსის ლექსი ბევრი გვაქვს. ამ ტენდენციურობას ხალხურ ლექსებში თავისი ისტორიული საფუძველი აქვს.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის შესახებ“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 320.

იგი ცალკეული გვარის თუ თემის რაღაცით გამორჩეულობის „დასაბუთების" ძველ რწმენას ემყარება. ამიტომაც რომელ კუთხეშიც უფრო ძლიერად არის შემორჩენილი ეს ძველი რწმენა, იქ უფრო მეტი ხალხური მასალა შეგვხვდება, ცალკეული თემისა თუ მისი წევრის მოქმედების გაზვიადებულად გამომხატავი. ზოგჯერ ხალხური მთქმელები თავისი თემისა თუ კუთხის წარმომადგენლის გმირობის საჩვენებლად მოწინააღმდეგის ძალგულოვნების, გაუტეხელობის, გმირობის დახასიათებასაც მიმართავენ. ეს ერთგვარი ხერხია, რომლის მეშვეობით არაპირდაპირი, შემოვლითი გზით ისევ საკუთარი გმირი ხასიათდება, მისი გამბედაობა წარმოჩნდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბახტრიონის ბრძოლის ტენდენციურად ამსახველი ლექსები ვერ გამოხატავენ ამ აჯანყებისა თუ ბრძოლის რეალურ ვითარებას. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მათში არა ჩანს ფეოდალური წრის წარმომადგენელთა ღვაწლი. ამასთანავე, საქვეყნო გაჭირვების ჟამს არც ერთი ნამდვილი მებრძოლი სხვისათვის თავის დამეტების მიზნით თავის ქებას არ დაიწყებდა, მით უმეტეს, თუ იგი ხალხის მიერ მამაც კაი ყმად მიიჩნეოდა. ტრადიციის მიხედვით, მთიელთა შორის დიდ სირცხვილად ითვლებოდა თავის ქება, თავის გმირობაზე საუბარი. ცხადია, ეს ლექსები მოგვიანო ხანს არის შექმნილი. ისინი თავისებური პოეტური წარმოსახვის ნაყოფნი არიან და რაც დრო გადიოდა, უფრო სცილდებოდნენ სინამდვილეს. სხვადასხვა კუთხის მთქმელები თუ ავტორ-მთქმელები ერთიმეორის ზეგავლენით ავსებდნენ ხალხურ მასალებს, უფრო მეტად აზვიადებდნენ და აშორებდნენ რეალობას თავიანთ წარმოდგენებს ამ ბრძოლის მონაწილეთა ღვაწლის თაობაზე. ისტორიული წყაროებიდან თუ ხალხური გადმოცემებიდან უტყუარ ფაქტად ის ჩანს, რომ ბარის ფეოდალურ სამთავროებთან ერთად თუშ-ფშავ-ხევსურეთმა დიდი ღვაწლი გაიღო საქვეყნო და საშიში მტრის განდევნისათვის ბრძოლაში. ვაჟა-ფშაველამაც შთაგონების ერთერთ წყაროდ, რეალობის წარმომჩენად და ხალხის საერთო ერთსულოვნების გამომხატველად ეს სტრიქონები მიიჩნია:

„თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშქარი გავაზიაროთ;
ერთმანეთს მხარი ვუჭიროთ,
მტერი კი დავაზიანოთ".

(ხალხური)

ამ სიტყვებში ჩაქსოვილია აღნიშნული ისტორიული ეპოქის ადამიანთა პოლიტიკურ-ზნეობრივი მრწამსი და საბრძოლო ფიცი. ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც საეჭვოდ ხდის ბრძოლის დროს კუთხეთა ქიშპობას და ამგვარ მოვლენაზე ტენდენციური, დაპირისპირებული აზრის მქონე ხალხური ლექსების წარმოშობას.

„ბახტრიონის" შემოქმედებითი ისტორიისათვის ზემომოყვანილი სტრიქონების მნიშვნელობა თვითონ ვაჟა-ფშაველამ ასე შეაფასა: „ჩემთვის მარტო ის ფაქტი კმაროდა, რომ მთის ხალხი, სხვადასხვა თემები, რომელნიც ხანდახან ერთმანეთსაც კი ჰლაშქრავდენ, არ ინდობდენ, ამ ჟამად შაერთდენ, ერთ სულოვანობა გამოიჩინეს და ძმურად მიეშველნენ ბარს გაჭირვების დღეს".[1] ფაქტის ამგვარი შეფასებით ვაჟამ ის გვითხრა, რომ მისთვის ყველა დროისათვის აქტუალური პატრიოტული გრძნობების განსახიერება უპირველესი მხატვრული ამოცანა იყო.

ვაჟა-ფშაველამ მიუთითა იმაზეც, რომ ლუხუმის, ხოშარეულის, სუმელჯისა და სანათას სახელები ისესხა იმ ხალხური ლექსებიდან, რომლებიც ბახტრიონის ბრძოლასთან არ არიან დაკავშირებულნი. ამასთანავე, მწერალი ამ სახელებს არ უწოდებს საკუთარი პოემის პერსონაჟთა პროტოტიპებს. ეს მართებულიც არის, რადგანაც ხალხური ლექსებისა და პოემის პერსონაჟებს ერთიმეორესთან არ ანათესავებს ისტორიული სინამდვილე, მისგან მომდინარი ან მისგან აღძრული ინდივიდუალური ქცევისა და ხასიათის ნიშნები.

პოეტმა გაგვაცნო ერთი წერილობითი წყაროც, რომელმაც, მისივე სიტყვით, „ყველაზე მეტი გამბედაობა „ბახტრიონის" დაწერისა" მისცა. ეს წყარო არის იოანე ბატონიშვილის „კალმასობა", სადაც საუბარია თუშებისა და ფშავლების თათრებთან ბრძოლის ამბავზე. ფშავლებს დიდი ბრძოლა გაუმართავთ შაჰ-აბასის ჯარის წინააღმდეგ ივრის ხეობაში, ბაჩალთან, ხოლო შემდეგ კი არაგვის ხეობაში, ორწყალთან. მათ დაუმარცხებიათ მტერი და უკუუქცევიათ. ამ წყაროს თაობაზე პოეტი წერს: „ამან მუჯლუგუნი ნაჰკრა ჩემ ფანტაზიას, გაათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მთიელთა გმირობისამ და გაბედულად ამაღებინა ხელში კალამი".[2] „კალმასობაში" ნახსენები ტოპონიმი ბაჩა-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 366.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 321.

ლი თავისებურად გამოვლინდა მწერლის ფანტაზიაში. ასევე მამაკაცის მოვალეობა სალოცავში სანათამ შეასრულა. თუმცა არც ხალხმა იცოდა და არც მწერალმა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ამგვარი წარსულში მომხდარი ამბის დროითი ფარგლები. მწერლის წარმოსახვისათვის გადამწყვეტი როლი შეასრულა ადამიანთა ზნეობრივი ნების გაუტეხელობის, გამძლეობის ფაქტმა და ამგვარად განსახიერდა იგი პოემაში. აღნიშნულის გარდა პოეტმა ერთი ამბავიც დაასახელა: „გამიგონია, აგრეთვე, ამბად ისიც, ვითომ ფშავში თათრებთან ბრძოლაში თითქმის სულ გაჟლეტილიყვნენ მამაკაცები და ხატში, სალოცავში დედაკაცებს მოენთოთ სანთელი, ხოლო როდის მოხდა ეს ამბავი, ზეპირ-გადმოცემა არ აღნიშნავს იმ ხანას".[1]

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველას მიერ „ბახტრიონის" წყაროდ დასახელებული ხალხური მასალა მეტად ფრაგმენტული, ერთიმეორესთან მიზეზ-შედეგობრივად დაუკავშირებელი, ხოლო ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავი აზრის შემცველია. რა თქმა უნდა, ამ მასალას არ მოეპოვება ერთიმეორესთან შემაკავშირებელი ჩონჩხი, ფაბულა, სიუჟეტი და სახეთა სისტემა. „ბახტრიონის" წყაროებთან პოეტის დამოკიდებულება იმას გვიჩვენებს, რომ მასალამ მხოლოდ გააქტიურა შემოქმედის წარმოსახვა, ავტორის სიტყვისამებრ, მის „ფანტაზიას მუჯლუგუნი ნაჰკრა", გაათამამა. მწერალმა მე-19 საუკუნის დასასრულიდან დამაჯერებელი პოეტური წარმოსახვების ხიდი გადო მე-17 საუკუნის შუა წლების ისტორიულ მოვლენებთან. პოემაში მან ინდივიდუალური ნიჭით მადლმოსილი მხატვრული სამყარო შექმნა. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულს, დავრწმუნდებით, რომ ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონის" წერის პროცესში შექმნა მისი ფაბულა, სიუჟეტი, სიტყვიერი რეალობა, გმირთა ამაღლებული ხასიათები და მათი მოქმედების გარემოს უჩვეულო სურათი. მწერლის ფანტაზია გადაიქცა პოემის სიუჟეტისა და სახეების საყრდენად, ესთეტიკური ამოცანის სრულმქმნელ ფენომენად. მაშასადამე, პოეტს ხელთ არ ჰქონია მზა ფაბულა და სიუჟეტი. ამის კვალობაზე, რა თქმა უნდა, ვერც გმირთა პროტოტიპებს ისესხებდა ხალხური მასალებიდან.

ვაჟა-ფშაველას პოემებში შექმნილია ერთიანი აზრისა და ფორმის მხატვრული სამყარო. აქ გმირები მოქმედებენ გარკვე-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 366.

ულ დროში და გარემოში. მათი ურთიერთობა ნათელი და მრავალმხრივია, რაც თავის მხრივ კარგად წარმოაჩენს თითოეული მათგანის ხასიათის სიმდიდრეს. მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვა პერსონაჟებს უქმნის ისეთ სამოქმედო სიტუაციებს, რომელშიც უკეთ უნდა გამოჩნდეს მათი ქცევების როგორც კერძო პიროვნული, ასევე წმინდა საქვეყნო ღირებულება. ამის გამოც შეუძლებელია ხალხურ წყაროებში ვაჟას გმირთა პროტოტიპების პოვნა.

ამ საკითხის კვლევისათვის გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა იმასაც, რომ „ბახტრიონის" გამოქვეყნებამდე ჩვენში გაშლილი იყო ფართო ფოლკლორისტულ-შემკრებლობითი მუშაობა. ბახტრიონის ბრძოლის ამბავზე არსებული ხალხური მასალა უკვე სრულყოფილად იყო თავმოყრილი. ამ აჯანყების თაობაზე გამოქვეყნდა გამოკვლევებიც, სადაც ხალხური შემოქმედების მონაცემებსაც იყენებდნენ. შემდგომი დროის გაძლიერებულმა ფოლკლორისტულმა საქმიანობამ თითქმის ვერაფერი დაამატა პოემის გამოქვეყნებამდე ცნობილ ხალხურ გადმოცემებს; არაფერი აღმოჩენილა ისეთი, რაც ეჭქვეშ დააყენებდა ვაჟას ცნობებს პოემა „ბახტრიონის" წყაროებისა თუ გმირთა წარმომავლობის შესახებ.

აღნიშნულის მიუხედავად, მკვლევრებმა ძველი და ახალი ხალხური ნიმუშების გამოყენებით სცადეს შეევსოთ და შეესწორებინათ ავტორისეული ახსნა-განმარტებანი. თუმცა მხედველობაში არ იქნა მიღებული ის, რომ ახალი ჩანაწერები თვისებრივად შეცვლილი იყო და დროის მდინარებისა თუ „ბახტრიონის" უკუზემოქმედების კვალს ატარებდა. ცხადია, ამგვარი დროითი მასშტაბების მომცველი კვლევა უნდა ითვალისწინებდეს ხალხურ მოლექსეთა ფანტაზიის ცვალებადობის მომენტებს, თითოეული ამა თუ იმ აზრით დამოწმებული ლექსის შემოქმედებით ისტორიას. სწორედ აღნიშნული გარემოების გაუთვალისწინებლობის გამო მოხდა ის, რომ ხალხურ პოეზიაში ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონიდან" შესული ეპიზოდები თუ სახელები პოემის წყაროდვე გამოცხადდა.

ხალხურ ლექსებზე ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა გავლენა თვალნათლივია. ამ ფაქტმა პოეტის სიცოცხლეშივე იჩინა თავი. ასე რომ, როდესაც ვმსჯელობთ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სიუჟეტის პრობლემებზე, ყოველთვის ვგულისხმობთ, რომ სიუჟეტი სახეთა ურთიერთმიმართების სისტემაა და იგი გმირთა ხასიათების განვითარებასაც გვიჩვენებს. მაშასადამე, ნათელია ის,

რომ ვერც პერსონაჟთა ხასიათზე შევიქმნით საჭირო წარმოდგენას, თუ თხზულების სიუჟეტის მთლიანობას ან მის ცალკეულ სიტუაციებს არ მოვიშველიებთ. გმირთა წარმომავლობისა თუ პროტოტიპების საკითხის კვლევა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი უშუალოდ უკავშირდება ხელოვანის შემოქმედებით ინტერესებს, კონკრეტულ ქმნილებათა მხატვრული აღნაგობის შეფასების ამოცანას.

პოემა „ბახტრიონის“ ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი ლელა პროფ. მ. ჩიქოვანს ხევსურეთში ძველ დროში განთქმულ გმირად მიაჩნია. ამის დასადასტურებლად მოაქვს ა. შანიძის მიერ ჩაწერილი ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„ხევსურეთს ბატატ გაითქვა, რო წინა დროში ლელია,
სხვა არვინ გამიგონია ქალი ვაჟების მტერია,
ახლა გამოჩნდა ბატატი, ბაჩლელ ლელაის ფერია“.[1]

აქ პირველ სტრიქონში ნახსენები ძველ დროში განთქმული ლელა მკვლევარმა მიიჩნია „ბახტრიონის“ ლელას წინაპრად, პროტოტიპად. იგი წერს: „ამ ხევსურულ ლექსში მოხსენებული ლელა ვაჟას პოემიდან არ მომდინარეობს. გავიხსენოთ ისიც, რომ თუში გიორგი თილიძის ძველ ლექსში ლელა თვალსაჩინო პერსონაჟადაა წარმოდგენილი და სიუჟეტური დეტალებით (შურის საძიებლად წასვლა, ჯარის ნახვა და საუბარი) მოგვაგონებს პოემაში ლელას ფშავლების ლაშქართან შეხვედრასა და გაკამათებას“.[2]

პროფ. დ. ბენაშვილმა თავის წიგნში „ვაჟა-ფშაველა“ არ გაიზიარა ეს აზრი და მიუთითა იმაზე, რომ ხალხურ ლექსში ლელას სახელი „ბახტრიონის“ გავლენით ჩნდებაო. მკვლევარმა თილიძის ციკლის ხალხური ლექსების გ. თედორაძის მიერ ჩაწერილი ვარიანტიც პოემის „უხეირო წაბაძვად“ მიიჩნია. ეს შეხედულება სინამდვილეს გამოხატავს, თუმცა მკვლევარი ტექსტების დაწერილებით ანალიზს არ მიმართავს და არც მათი შინაარსიდან მომდინარე წინააღმდეგობებს ახასიათებს.

დ. ბენაშვილის შენიშვნების საპასუხოდ, 1964 წელს გამოქვეყნებულ შრომაში მ. ჩიქოვანი თილიძის ციკლის ლექსების ლელასკელავ ხევსურული ხალხური ლექსის პერსონაჟის წინამორ-

[1] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931 წ., გვ. 116.
[2] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XV, გვ. 305.

ბედად მიიჩნევს. იგი წერს: „სწორედ ამ ძველი დროის მებრძოლ ლელას გულისხმობს სახალხო მთქმელი, როცა ბატატის ლექსში ახალი დროის ქალის დასახასიათებლად წინაპარს მოიგონებს".[1]

მაშასადამე, ხალხურ ლექსში („ბატატი") ნახსენები ლელას სახელი, მკვლევრის აზრით, პოემა „ბახტრიონიდან" არ მომდინარეობს. ბაჩლელი ლელას სახელი პოემაზე ადრე იყო ცნობილი. „ახალი დროის ქალის", ე.ი. ბატატის დასახასიათებლად ავტორმთქმელი თურმე მხოლოდ თილიძის ციკლის ლექსების მებრძოლ ქალს ლელას იგონებს.

საკითხის ნათელსაყოფად შევეცდებით დაწვრილებით დავახასიათოთ ის ხალხური ლექსები, რომლებიც მკვლევარს ზემოთ გამოთქმული აზრის საფუძველს უქმნიან. მაშასადამე, უნდა გავაანალიზოთ თილიძის ციკლის ლექსები და ახალი დროის ხალხური პოეტური ნიმუში „ბატატი". „ბატატის" შენიშვნებში აკად. ა. შანიძე წერს: „აჯობებდა, რომ ეს ლექსი ნარევში მოხვედრილიყო".[2] ამ განცხადების საფუძველი ისაა, რომ ბატატის სურვილსა თუ საქციელში მკვლევარმა ვერაფერი დაინახა ისეთი საგმირო ამბავი, რომლის გამოც იგი საგმირო ლექსების ჯგუფში უნდა შესულიყო. მკვლევარი ამბობს: „ჩემს ხევსურეთში ყოფნის დროს (1913 წ.) კი მითხრეს: ერთი ქალი არისო (არ ვიცი დათვისში, თუ მოწმაოში), რომელსაც ახლო ნათესავები გაუწყვიტეს, სისხლის მაძიებელი არავინ დარჩა და თვითონ აიღო თოფი და სისხლის აღებას აპირებსო. მოწინააღმდეგე ბანაკის ხალხი ვერაფერს უშვრებოდა, რადგან დედაკაცი იყო და დედაკაცზე იარაღის ხმარება სირცხვილია".[3] ამავე ლექსის კომენტარს ალ. ოჩიაური ასე გვაცნობს: „ბატატი ს. უკენახოელი ქალი იყო, რომელიც მამაკაცებს ეუბნებოდა: მოგროვდით, იარაღი აისხით, მე წინ გაგიძღვებით და ქისტეთი გავანადგუროთო. ბოლოს იგი ამ ლექსით გაამასხარავა ხვთისო ადადას ძე ქისტაურმა".[4] ამ ლექსის გმირი პოემა „ბახტრიონის" გამოქვეყნებიდან ოცი წლის შემდეგაც ცოცხალია. ხალხური ლექსების შემკრებთ ა. შანიძეს და ალ. ოჩიაურს თანამედროვე მთქმელები კი სხვადასხვა შინაარსის განმარტებას აძლევენ. აქ ნახსენები მეორე პერსონაჟის შესახებ ა. შანიძე წერს: „ბაჩლელ ლელასთან შედარებული რომ არის, ეს ის ლელაა,

---

[1] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 52.
[2] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931წ., გვ. 290.
[3] იქვე, გვ. 490.
[4] ალ. ოჩიაური, ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970 წ., გვ. 301.

რომელიც ვაჟა-ფშაველას ბახტრიონის გმირადაა წარმოდგენილი. არ ვიცი მხოლოდ, ხევსურული ლექსის ავტორი ბაჩლელ ლელას ვაჟას ბახტრიონით იცნობს, თუ ხალხური გადმოცემის მიხედვით".[1]

ფშავ-ხევსურული და საზოგადოდ მთის ფოლკლორი არ წარმოადგენს ვინმე ლელას ან ბაჩლელ ლელას, როგორც გმირსა და ვაჟებთან მებრძოლს. ამ ლექსში ნახსენები „წინა დროში" განთქმული ლელა იგივე „ბახტრიონის" ლელა ბაჩლელია. დავაკვირდეთ ხალხური ლექსის დასაწყისს:

„ხევსურეთს ბატატ გაითქვა რო წინა დროში ლელია,
სხვა არვინ გამიგონია ქალი ვაჟების მტერია.
ახლა გამოჩნდა ბატატი,ბაჩლელ ლელაის ფერია".

როგორც ჩანს, მთქმელს „ბახტრიონის" ლელა წარსული დროის უჩვეულო გმირად წარმოუსახავს. იგი ამ ლექსში სრულიადაც არ გულისხმობს პოემის პერსონაჟისაგან განსხვავებულ ან მის მსგავს სხვა წინამორბედს. ამიტომაც ამბობს მთქმელი, „სხვა არვინ გამიგონია ქალი ვაჟების მტერია", ე.ი. ერთადერთი ლელა ბაჩლელის ვაჟასეული ამბავია ქალის გმირობაზე და ახლა ბატატს განუზრახავსო. პირველ სტრიქონში ნახსენებ ლელას სახელის წარმომავლობას აზუსტებს ბატატის დასახასიათებლად მესამე სტრიქონში მოხმობილი შედარება – „ახლა გამოჩნდა ბატატი, ბაჩლელ ლელაის ფერია". აქ უკვე ცხადია, რომ ხალხურ ლექსში ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის" ლელა შემოვიდა. სხვაგვარად ლელას სადაურობის მაჩვენებელ სიტყვა „ბაჩლელს" სრულიად ეკარგება მნიშვნელობა. თილიძის რძალ ლელაზე ჩაწერილ ხალხურ ლექსებს არაფერი აკავშირებს ბატატის ლექსთან. თუ ამ ლექსის წყაროდ მათ მივიჩნევთ, მაშინ აზრს კარგავს ბატატზე ნათქვამი სიტყვები „ბაჩლელ ლელაის ფერია", რადგანაც თილიძის რძალი თუშია და არა ბაჩლელი ფშაველი. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მხოლოდ ივრის სათავეში არის ფშაველთა სოფელი ბაჩალი. ვაჟა-ფშაველას პოეტურმა წარმოსახვამ ამ სოფელთან დააკავშირა ლელას სახელი: „შანშეს ქალი ვარ ბაჩლითა, მენაც თქვენს კვალზე დამდგარი", ალაპარაკებს პერსონაჟს პოეტი. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის, კვირიას შემდეგ, მეორე გმირად პოემაში ასახელებენ მას: „მეორე ლელა ბაჩლელი, ქალი ხელფარტენიანი", სხვა სოფელი ბაჩალი კი აღარსად

[1] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 490.

არსებობს. მწერალი „კალმასობას“ თავისი ნაწარმოების ერთ-ერთ წყაროდ თვლიდა. ამ წიგნის ცნობით, სოფელ ბაჩალთან ერთხელ ფშავლებს შაჰა-აბასის ჯარი დაუმარცხებიათ. ჩვენის აზრით, აქ დაცული ამბავი, სოფელ ბაჩლის სახელი და პოეტის დროსაც რეალურად არსებული ტოპონიმი დაედო საფუძვლად პოემაში ლელას ბაჩლელად წარმოსახვას. პოეტი ზოგჯერ ხალხური პოეზიიდან სახელებს სესხულობდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლელას სახელიც კი არ უსესხია ფოლკლორიდან, არა თუ მისი ხასიათი. მთაში ფართოდ იყო გავრცელებული ლელას სახელი. ვაჟამ იგი უშუალოდ ყოფიდან აიღო და ხალხურ პოეზიას აქაც არავითარი როლი არ ეკუთვნის. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ „ბახტრიონის“ გამოქვეყნებამდე ეს სახელი პოეტმა რამდენიმე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებში გამოიყენა.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ხალხურ ლექსში „ბატატი“ ბაჩლელ ლელას სახელი ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ ზემოქმედებით გაჩნდა ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში, თანაც, პოემის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ოცი წლის განმავლობაში. ეს ხალხური ლექსი საყოფაცხოვრებო სატირის ნიმუშია და საგმირო ლექსებში მისი მოთავსება გაუმართლებელია. ხალხურმა მელექსემ იუმორისტულად გამოსახვის საგნად ბატატთან ერთად „ბახტრიონის“ ლელაც აქცია. ავტორ-მთქმელის თვითშეგნებამ არ გაიზიარა ქალის ბრძოლისა და საგმირო თავგადასავლის ვაჟასეული შეფასება, რადგან მთქმელის შეგნება მთის გვაროვნულ-თემური წესებით იყო განსაზღვრული.

შეიძლება თუ არა თილიძის რძალი ლელა მივიჩნიოთ „ბახტრიონის“ გმირის პროტოტიპად, ხოლო მასზე შექმნილი ლექსები პოემის წყაროდ? აი, საკითხი, რომელიც გარკვევას ითხოვს. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ ლელას ფოლკლორიდან წარმოშობის დასასაბუთებლად პროფ. მ. ჩიქოვანი პირველ რიგში განიხილავს და ემყარება თილიძის ციკლის ლექსების გ. თედორაძისეულ ვარიანტს, იგი წერს: „გავიხსენოთ ისიც, რომ თუში გიორგი თილიძის ძველ ლექსში ლელა თვალსაჩინო პერსონაჟადაა წარმოდგენილი და სიუჟეტური დეტალებით (შურის საძიებლად წასვლა, ჯარის ნახვა და საუბარი) მოგვაგონებს პოემაში ლელას ფშაველების ლაშქართან შეხვედრასა და გაკამათებას“.[1]

[1] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 52.

ცხადია, სწორად არის შენიშნული „ბახტრიონისა“ და ხალხური ლექსის ამ ვარიანტის ერთი ეპიზოდის მსგავსება. მაგრამ ეს მსგავსება იმაზე როდი მიგვანიშნებს, რომ პოემის გამოქვეყნებიდან საკმაოდ გვიან ჩაწერილი ვარიანტი ახდენდა ვაჟას ნაწარმოებზე ზეგავლენას. აქ პირუკუ მოვლენასთან გვაქვს საქმე. პროფ. დ. ბენაშვილმა აღნიშნა, რომ თედორაძისეული ვარიანტი „ბახტრიონის“ ზეგავლენას გვიჩვენებსო. ეს აზრი არ გაიზიარა მ. ჩიქოვანმა, თუმცა კი „ბახტრიონი“ ხალხური ლექსის ამ ვარიანტის ჩაწერამდე ორმოცი წლით ადრე დაიწერა და მრავალჯერ გამოქვეყნდა. იგი დ. ბენაშვილისადმი გაცემულ პასუხში წერს: „გმირი ქალი ლელას სახე თავდაპირველად შექმნილია ფოლკლორში; სათანადო ვარიანტები შეკრებილი და გამოქვეყნებული არის ვაჟა-ფშაველას პოემის დაწერამდე ფშავსა (დ. ხიზანიშვილი, პ. უმიკაშვილი) და ხევში (პ. უმიკაშვილი, 262, 767) 1886-87 წლებში. მაშასადამე, დ. ბენაშვილის მიერ აღნიშნული ლექსის გვერდის ავლა „უხიერო წაბაძვისა“ და „გვიანჩაწერილობის“ მოტივით მცდარი ნაბიჯია“.[1]

როგორც ვხედავთ, მ. ჩიქოვანი იცავს აზრს, რომ გ. თედორაძის ვარიანტი მხოლოდ ძველ ხალხურ ლექსებს ემყარება. იგი ამ ვარიანტს უდარებს ადრინდელ ჩანაწერებს, საკუთარ წანამძღვრებს და ამბობს: „თ. რაზიკაშვილის ადრინდელ ჩანაწერთან მისი შედარება ააშკარავებს, რომ თედორაძე ამ შემთხვევაში კვლავ ფიქსატორია და არა შემქმნელი, ლექსს ლიტერატურული გავლენის კვალი არ ამჩნევია, თანაც დანარჩენი ნაწილები პარალელს პოულობს ხიზანიშვილის 1887 წელს გამოცემულ „ფშაურ ლექსებში“.[2] გ. თედორაძის ჩანაწერის ადრინდელ ნიმუშებთან შედარება საკითხს სრულიადაც ვერ წყვეტს. აშკარაა, რომ ეს ვარიანტი სხვადასხვა ნაწარმოებთა სიუჟეტური ელემენტების თავისებურ ნარევს წარმოადგენს. ავტორ-მთქმელი ვაჟას პოემისა და ხალხური ლექსების მიმართ შეუზღუდავ თავისუფლებას იჩენს. ამას მკვლევარიც კარგად ამჩნევს: „ვარიანტი ვრცელი არის და რამდენიმე მოკლე ლექსისაგან შედგება, დაბეჭდილია კი ერთად, თუმცა, შესაძლებელია, ჩამწერმა კონტამინირებული სა-

[1] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა, ლიტერატურული ძიებანი, 1964 წ., ტ. XV, გვ. 305.

[2] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა, ლიტერატურული ძიებანი, 1964 წ., ტ. XV, გვ. 322.

ხით მოისმინა".[1] ნათქვამია, რომ ეს ლექსი კონტამინირებულია. სადავოდ არ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ გ. თედორაძის ვარიანტი ძირითადად თილიძის ციკლის ჩანაწერებს ემყარება, მაგრამ საკ-ელევი საკითხისათვის მნიშვნელოვანია ის ეპიზოდები, რომლე-ბითაც ეს ვარიანტი თავისი წყაროებისაგან განსხვავდება და სხვა ხალხურ ლექსებს თუ „ბახტრიონს" უკავშირდება. სწორედ ეს განსხვავებული ელემენტები გამოიყენა პროფ. მ. ჩიქოვანმა ხალხური ლექსების ლელასა და პოემის ლელას მსგავსების დასა-საბუთებლად. ტექსტების ურთიერთდაკავშირების სურვილიც ახალმა დეტალებმა განაპირობეს. ცხადია, ამ ახალ სიუჟეტურ სი-ტუაციებს („შურის საძიებლად წასვლა, ჯარის ნახვა და საუბარი") ასაზრდოებს „ბახტრიონის" ავტორ-მთქმელზე ზემოქმედება. აღ-ნიშნული სიტუაციები არ დასტურდება ხალხური ლექსების არც ერთ ძველ ვარიანტში, თუმცა ისინი კვალიფიცირებული არიან პო-ემის გმირის ფოლკლორული პროტოტიპის გასახსნელად. გამოდის, რომ ვაჟას პოემის გმირი თვითონ აღმოჩნდა თავისი პროტოტიპი. მიუხედავად ამისა, მ. ჩიქოვანი შეუძლებლად მიიჩნევს „ბახტრიო-ნის" ხალხური პოეტური წანამძღვრების სიიდან თედორაძისეული ჩანაწერების გამორიცხვას. ჩვენ კი პოემის წყაროებიდან არა მარ-ტო თედორაძის ვარიანტის, არამედ თილიძის ციკლის ამ ვარიან-ტის უშუალო წყაროებისა და ძველი ნიმუშების გამორიცხვაც საჭი-როდ, აუცილებლად მიგვაჩნია. მათ „ბახტრიონთან" არ მოეპოვე-ბათ არავითარი იდეურ-მხატვრული კავშირი და ამიტომაც ნაწარ-მოების „პოეტურ წანამძღვრებად" ვერ ვაღიარებთ.

სათანადო ხალხური ლექსების ტექსტოლოგიურმა შესწავ-ლა-შედარებამ დაგვარწმუნა რომ გ. თილიძის ლექსის თედორა-ძისეული ვარიანტი გაბუნდოვანებული და ძალიან დაშორებუ-ლია საკუთარ წყაროებს. ცხადია ისიც, რომ არცერთი ძველი ჩა-ნაწერი თილიძის რძალს, ლელას იარაღით მებრძოლ და ნამდვი-ლად მოქმედ შურისმაძიებელ პერსონაჟად არ წარმოგვიდგენს. ძველ ნიმუშებში ლელა მხოლოდ მამამთილს აქეზებს შურისძიე-ბისაკენ. პერსონაჟის მიერ გამოთქმული შურისძიების სურვილი ერთგვარი შემოვლითი ხერხია მოწოდებისა. ლექსების შინაარ-სის მიხედვით თინიბექი და მისი მამა თავს დაესხნენ ფშავში ცა-ბაურთის თემს. ბრძოლაში თინიბექი დაიღუპა, ხოლო მისმა მა-მამ გაქცევით უშველა თავს. თინიბექის მეუღლე ლელა ქმრის

[1] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლე-მა, ლიტერატურული ძიებანი, 1964 წ., ტ. XV, გვ. 321.

სიკვდილის შემდეგ ადათისამებრ ციხეში ჩაიკეტა და გლოვას მიეცა. როდესაც მამამთილმა სთხოვა ეკმარა გლოვა და გამოსულიყო ციხიდან, გულჯავრიანმა ქალმა:

„მამამთილს შემოუთვალა;
– წელზე შემარტყი ხმალიო,
იქისკე წამავალი ვარ,
მასწავლე ფშავის გზანიო,
თუ თინიბექ ვერ ვიძიო,
ლელაიმც ნუღარ ვარიო!“[1]

ამგვარი სურვილის სიტყვიერ გამომხატველს ძნელია ეწოდოს რეალურად მებრძოლი გმირი, თანაც ფშავში ჯართან მისული და იქ დაღუპული, როგორც ამას ერთადერთი თედორაძის ვარიანტი გვეუბნება. ფოლკლორში ბევრი ქალია შურისძიებისაკენ მომწოდებლის ასეთ როლში. დავასახელებთ ერთ მაგალითს, სადაც ქალი საკუთარი სურვილის გამოთქმით ძმებსა და საქმროს ბრძოლისაკენ მოუწოდებს:

„ჭერხოში დედან ატირდეს,
ქალმა შასწყივნა ძმანიო:
– ან უპატრონეთ მამულსა,
ან ქალს შემარტყით ხმალიო...
ჩემსა უთხარით საქმროსა,
ბარემ მაიკლას თავიო,
კახეთში მაინც ჩავიდეს,
იქით მორეკოს ჯარიო.
საშველად ეგებ მოვიდეს
ხევსურეთი და ფშავიო“.[2]

მთიელთა ადათებისა და ტრადიციული შეხედულებების მიხედვით ქალისაგან გმირობას, ბრძოლას არავინ ითხოვდა. არავის გაუგონია მთაში სახელგანთქმული მებრძოლი, შურისმაძიებელი ან მონადირე ქალი. ასევე, არავის დაუხასიათებია სახელოვნად და არავის შეუქია მატყლის დართვისა თუ წინდის ქსოვისათვის მამაკაცი. მთიელთა ყოფაში მკაცრად იყო განსაზღვრული სამამაკაცო და სადედაკაცო ქცევა-მოქმედება და საქმე. თითოეულის მოქმედებას საკუთარი ზნეობრივი და უფლებრივი

[1] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, 1887 წ., გვ. 37.
[2] იქვე, გვ. 38.

მხარე ჰქონდა. განმტკიცებული ტრადიციების მოთხოვნით მოქმედებდნენ მთაში ქალიცა და მამაკაციც. ავტორ-მთქმელები ვერც ხალხურ პოეზიაში დაარღვევდნენ თავიანთ შეხედულებებს. ხალხურ მოლექსეს არ ეყოფოდა გამბედაობა ტრადიციების საპირისპიროდ მებრძოლი ქალის მხატვრული სახე შეექმნა.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი" იმაში გვარწმუნებს, რომ ინდივიდი შემოქმედის პოეტური ნება შედარებით თავისუფალია. მთიელი ქალის ისეთ მებრძოლ და ეროვნულ გმირად დახატვა, როგორიც პოემის ლელა არის, შეეძლო მხოლოდ მწერლობის ღრმა საზოგადოებრივი ფუნქციის გამთვალისწინებელ ხელოვანს. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მწერალი საკმაოდ უწევს ანგარიშს ქალთა მოვალეობის ტრადიციულ გაგებას. ეს კრაგად ჩანს „ბახტრიონის" სანათასა და ლელას სახეების ძერწვის დროსაც. ბუნებრივად რომ ჩანდეს გმირი ქალების მიერ საკუთარი მოვალეობის ახლებურად შეცნობა-შეფასება, ავტორი მათ სიტყვასა და საქციელს სამართლიან საფუძველს უძებნის. პოეტი იმ მიზნით, რომ ტრადიციებს უხეშად არ დაუპირისპირდეს, ხშირად მიმართავს სიუჟეტურ გადახვევებს, დამატებით მხატვრულ დასაბუთებას, საგანგებო სიტუაციების შექმნას. მართალია, პოემაში ლელას საბრძოლო სურვილს საკმაო საფუძველი აქვს მონახული, მაგრამ მაინც ამ სურვილზე ძლიერად წარმოჩნდა ტრადიციული შეხედულების დამცველი მეომრების ხმა:

„დიაცს უყურეთ, სულელსა,
უნდა გაგვრეკოს ფონშია...
კაცჩი დედაკაცს რა უნდა?
რად არა ფიქრობს გონშია?"
(„ბახტრიონი")

„ბახტრიონის" გმირები სწორედ ტრადიციული შეხედულებების კარნახით არწმუნებენ და დააბრუნებენ უკან სალაშქროდ გამზადებულ ლელას. აქედან პოეტიც ოსტატურად ცვლის და წარმართავს ნაწარმოების სიუჟეტის მდინარებას, რათა გმირის ამაღლებული, ზნეობრივად სრულქმნილი საქციელი გვიჩვენოს.

აღნიშნული გარემოებებიც გვაფიქრებინებს, რომ ხალხური ლექსის ლელა ერთადერთ უახლეს ვარიანტში სწორედ პოემა „ბახტრიონის" ზემოქმედებითაა გადაქცეული რეალურ შურისმაძიებლად. ხალხური ლექსის პერსონაჟის სურვილის რეალურ მოქმედებად გადაქცევის პროცესზე იმოქმედა ვაჟას პოემის ერთმა სიუჟეტურმა ეპიზოდმა. პოემისადმი მიბაძვამ დაარღვევინა

ავტორ-მთქმელს მთის ადათ-წესები; მას მხატვრულმა ალღომ უმტყუნა და გოგოლაური გმირები ქალის მკვლელად წარმოადგინა. ეს უკვე ტრადიციების დარღვევაა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს ვარიანტი შინაარსითაც მოკლებულია დამოუკიდებელ ობიექტურ ღირებულებას, როგორც მთლიანი ნაწარმოები. მასში ვაჟა-ფშაველას პოემის ეპიზოდი საკმაოდ უფერულად ჩანს, ხოლო თილიძის ციკლის ადრინდელი ლექსების შინაარსი ერთიმეორეშია არეული. აქ პერსონაჟთა ურთიერთობის მომენტები, მათი მოქმედების რეალური გარემო მივიწყებულია და ნებისმიერად არის შეცვლილი. ლექსის დასაწყისში მოცემულია დავით თილიძის ხოშარაზე თავდასხმის ამბავი; შემდეგ მასზე მიბმულია გიორგი თილიძისა და მისი ვაჟის თინიბექის მიერ ცაბაურთ თემის დარბევის ამსახველი ლექსი. მათი დაკავშირებისას ავტორ-მთქმელი ვერ ითვალისწინებს რეალურ ამბებს და სინამდვილესაც დიდად შორდება. ეს შეხება პერსონაჟთა მოქმედების გეოგრაფიულ გარემოსაც. ჩვენის აზრით, მთიელ ტომთა ურთიერთთავდასხმები სხვა ტერიტორიის დაკავებას ან ხალხის მუდმივ დამორჩილებას მიზნად არ ისახავდა. თარეში შურისძიების, სამაგიეროს გადახდის ან უმეტესად, რომელიმე თემიდან სიმდიდრის დატაცებისათვის ეწყობოდა. ხოშარაზე თუშების თავდასხმა არ იყო ცაბაურთის ბრძოლის თანადროული. ამას შემდეგი ფაქტები ადასტურებენ. ხოშარელებს თუშებთან ბრძოლის ჟამს მეზობელი წონკურაულთა თემი ეხმარება. ასევე ცაბაურებსაც მეზობელი გოგოლაურები მიეშველნენ. თუ თუშთა ფშავის თემებზე თავდასხმა ერთდროული და ფართო მასშტაბისა იყო, მაშინ ტერიტორიულად ცაბაურთასა და ხოშარას შორის მდებარე სოფლები მუქუ და გოგოლაურთა სხვას კი ვერ მიეშველებოდნენ, არამედ თვითონ იქნებოდნენ გასაჭირში. მაშასადამე, თავდასხმა ხოშარასა და ცაბაურთაზე, უეჭველია, სხვადასხვა პირთა მეთაურობით და სხვადასხვა დროს მომხდარა. ავტორ-მთქმელსა და ჩამწერს კი ერთდროული ჰგონიათ. ამიტომ, როცა ვაჟა-ფშაველას ეპოსის ხალხურ წყაროებს ვიკვლევთ, საჭიროა შესაბამისი ფოლკლორული ნიმუშების ტექსტოლოგიური საკითხების გულდასმით შესწავლაც.

ვაჟა-ფშაველას პოეზია დიდ გავლენას ახდენდა შემდგომი ხანის ფოლკლორზე და ხალხურ მელექსეებზე. ამ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს. ამასთანავე, ფოლკლორისტები ხალხში იწერდნენ და გამოკვლევებსაც აქვეყნებდნენ ვაჟას პოემების, მათ შორის, „ბახტრიონის“ ფოლკლორული ვარიანტების შესა-

ხებ.[1] ეს მომენტიც კლასიკოსი მწერლის დიდ პოპულარობაზე მიუთითებს. გ. თედორაძის მიერ დასტამბულ ხალხურ ნიმუშებში არის ერთი კონტამინაციის საფუძველზე აგებული ლექსი, რომელშიც „ბახტრიონის“ სტრიქონები უშუალოდ არის ჩანაცვლებული.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“

ღმერთო და ჩვენო გამჩენო,
ხატებო ფშავეთისაო!
აავსეთ თათრის სისხლითა
ველები კახეთისაო!
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა,
დავლთო ახმეტისაო!

ხალხური

. . . . . .
სადა ხარ, ზეზვავ, ნეტარა,
ლუხუმი სადღა არია,
ღმერთო და ჩვენო გამჩენო,
ხატებო ფშავეთისაო,
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა
დავლათო ახმეტისაო,
აგებ ავხოსოთ ძვლებითა
ველები კახეთისაო“.[2]

როგორც ვხედავთ, მთის ფოლკლორში ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისადმი მიბაძვის მკვეთრი ტენდენციები არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი არა მარტო გატაცებით კითხულობდა მის ნაწარმოებებს, არამედ პოეტურ რეფლექსიათა ობიექტადაც აქცევდა მათ.

პროფ. ქსენია სიხარულიძემ გამოაქვეყნა მთათუშეთში ჩაწერილი ვრცელი ხალხური ლექსი „გაფრინდაულის ამბავი“. ლექ-

[1] იხ.: მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956, გვ. 56-61; ქ. სიხარულიძე, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, ლიტერატურული ძიებანი, 1949 წ., ტ. V, გვ. 349-362.

[2] გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1939 წ., გვ. 131.

სში ზოგჯერ თავს იჩენს „ბახტრიონიდან" მომდინარე სიუჟეტური სიტუაციები და სიტყვიერი დეტალები. იგრძნობა ისიც, რომ ხალხური მოლექსის ფანტაზიის მიღმა პოემის სიუჟეტია აღმართული. ამას გვაფიქრებინებს ხალხურ ლექსში მოულოდნელად წარმოჩენილი ზოგიერთი სიტუაცია და გმირის სახელი.

ზემოთ მოტანილი ხალხური მასალების „ბახტრიონთან" შედარების ნიადაგზე გასაგები ხდება, რომ არ არის გამართლებული პოემის კვირიასა და ლელას სახეთა წარმომავლობის თაობაზე ავტორისეული ცნობის საწინააღმდეგო აზრის მტკიცება. ამ გმირებს არ ეძებნება ხალხურ შემოქმედებაში პროტოტიპები, რომლებსაც ავტორი პოემის შექმნის პროცესში გამოიყენებდა. მთის ფოლკლორი არ გვაცნობს „ბახტრიონის" კვირიასთან რაიმეთი ოდნავად მსგავს პერსონაჟს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ფოლკლორისტულ გამოკვლევებში ნათქვამია: „ბახტრიონის ციკლის ხალხურ ნაწარმოებთა გმირებია პოემაში გამოყვანილი – ლუხუმი, ზეზვა, ხოშარეული. ბახტრიონის ციკლისაგან დამოუკიდებელი ხალხური ლექსებიდან არის აღებული სახე სანათასი და ლელასი".[1] სხვა წიგნში ეს აზრი უფრო გაღრმავებულია: „თუ ახლოს გავსინჯავთ ფოლკლორულ ნაწარმოებებს, ვნახავთ, რომ მასში არა მარტო ვაჟას პოემის გმირი ქალის სახელი გვხვდება, არამედ მისი ხასიათიც; ხალხური ლექსისა და ვაჟას პოემის მებრძოლი ქალები ამ შემთხვევაში იდეურად თანხვდენილნი არიან.

ზემოთქმულიდან ჩვენ შემდეგი დასკვნა გამოგვყავს: ძველ დროს ცნობილი ყოფილა გმირი ქალი ლელას სახელით, რომელიც ვაჟა-ფშაველამ სულ სხვა სიტუაციაში გამოიყენა და ბახტრიონის ისტორიულ ბრძოლას დაუკავშირა.

ახლა, რაკი კვირიასა და ლელას პროტოტიპების საკითხი გადაწყდა, დანარჩენი გმირების შესახებ საძიებელი ბევრი არაფერი რჩება, რადგან მათ თვითონ ვაჟა-ფშაველა თვლის მთის პოეზიიდან მომდინარე პერსონაჟებად. ამრიგად, „ბახტრიონის" ყველა გმირის პროტოტიპი მთის პოეზიაში იპოვება".[2]

ჩვენი აზრით, თუ ხალხური სიტყვიერებისა და ინდივიდი შემოქმედის პერსონაჟები ერთიმეორისაგან განსხვავებულ მოვლენებში მონაწილეობენ, ამასთანავე, ეს გმირები ერთიმეორისა-

---

[1] ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956 წ., გვ. 212.

[2] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 53.

გან განსხვავებული ქცევისა და იდეალის ადამიანებთან ურთიერთობაში იკვეთებიან ტიპებად, მაშინ შეუძლებელია პროტოტიპების ცნებით მათი გაიგივება. გმირის დამახასიათებელი ნიშნები, ვთქვათ, სიმამაცე, შურისძიებისაკენ ლტოლვა, ნების გაუტეხლობა და სხვა გარკვეულ გარემოში, სხვა ადამიანებთან ორიგინალურ სოციალურ-ეთიკურ დამოკიდებულებაში უნდა წარმოჩნდეს. ამ ორიგინალურად წარმოჩენილ ნიშანთა ერთობლიობამ უნდა შეგვიქმნას წარმოდგენა პროტოტიპზე და ტიპზე. ყოველი ნიშანი გმირის ხასიათისა თავისებურადაა დაკავშირებული ობიექტური გარემოთი ნაკარნახევ მისსავე სამოქმედო იდეალთან. თუ ასეთ რთულ კომპლექსში და თანაც თავისებური სახით არ წარმოსდგა ესა თუ ის გრძნობა, აზრი, მაშინ ის იქნება მხოლოდ აბსტრაქტული მოვლენა, რომელიც ვერ მიგვანიშნებს ტიპისა თუ პროტოტიპის თვითმყოფობაზე. რეალური გარემოს ან მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის თავისებურებების გაუთვალისწინებლად, მხოლოდ რომელიმე გრძნობის გამოვლენის გამო, შეიძლება უმართებულოდ უთვალავი ლიტერატურული სახე გამოვაცხადოთ ერთიმეორის წყაროდ. შემოქმედებით გავლენათა და პერსონაჟების პროტოტიპების ძიებისას ყოველივე კომპლექსურ ურთიერთმიმართებაში უნდა ანალიზდებოდეს. გმირის ფსიქოლოგიური ხასიათის გარდა, არსებობს მხატვრული ხასიათი, რომელიც ნაწარმოებში ასახული მოვლენებისა და პერსონაჟების ურთიერთობაში ყალიბდება. ურთიერთშესადარებელი სახეების ორიგინალობას თუ მსგავსებას გვირკვევს ყოფითი ფაბულებიც და, უწინარეს ყოვლისა, ნაწარმოების სიუჟეტი, ვგულისხმობთ იმასაც, რომ თხზულების სიუჟეტისა თუ ცალკეული სიტუაციების რაობის გაურკვევლად, მოცემულ სიუჟეტში გმირთა ხასიათების ურთიერთზემოქმედებისა თუ ურთიერთში არეკვლის მხედველობაში მიუღებლად შეუძლებელია შემოქმედებითი გავლენების მტკიცება. ამასთანავე, შემოქმედებითი მიმართების რაობის თუ სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი სახეების ურთიერთზემოქმედების საკითხის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ეძლევა გმირთა ხასიათების ორიგინალურად შეფარდებისა და დაპირისპირების მხატვრულ შესაძლებლობებს.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის" ლუხუმს, ხოშარეულს, სანათას, ლელას, სუმელჯის, კვირიასა და წიწოლას ფოლკლორში პროტოტიპები რომ მოვუნახოთ, ამისათვის საჭიროა ისინი მსგავს სოციალურ-ისტორიულ გარემოში მოქმედებდნენ და ერთგვაროვანი გარემოთი აღძრულ ხასიათის ნიშნებსა თუ იდეა-

ლებს წარმოგვიდგენდნენ. ტიპისა თუ პროტოტიპის შინაგან სტრუქტურაში უნდა ჩანდეს ცხოვრებისეული ამბებისა თუ შესადარებელი ნაწარმოებების სიუჟეტების მსგავსება. „ბახტრიონისაგან" განსხვავებით, მის ხალხურ წყაროებად წარმოდგენილ ნიმუშებში, ზემოთ დასახელებული გმირები ან საერთოდ არ ჩანან, ან კიდევ სრულიად სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა მიზნით მოქმედებენ. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვანაირი იქნება და არის შესადარებელ ნაწარმოებთა სიუჟეტებიც. ამასთანავე, პერსონაჟების დანათესავებას საფუძველს უნდა უმაგრებდეს მათ მიერ გამოვლენილი განცდების, ზნეობრივი გრძნობებისა და წარმმართველი იდეალების მსგავსებაც. აღნიშნულ შემთხვევაში კი ეს არ დასტურდება.

ერთიმეორისაგან განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული სამეცნიერო გამოკვლევებში „ბახტრიონის" ლუხუმისა და ხოშარეულის სახეთა თაობაზე. პროფ. ქს. სიხარულიძის აზრით, ვაჟა-ფშაველა ლუხუმსა და ხოშარეულს ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსებიდან იცნობს: „ბახტრიონის" ციკლის ხალხურ ნაწარმოებთა გმირებია პოემაში გამოყვანილი – ლუხუმი, ზეზვა, ხოშარეული".[1] როგორც მივუთითეთ, თვითონ ავტორი ლუხუმსა და ხოშარეულს არ თვლის ბახტრიონის ბრძოლასთან დაკავშირებული ხალხური ლექსების პერსონაჟებად. ლუხუმის სახელი ბახტრიონის ბრძოლის ამსახველ ლექსებში პოემის ზეგავლენით საკმაოდ გვიან ჩნდება. მკვლევარი ამ ახალ ჩანაწერებს ემყარება. ვაჟას პოემის გამოქვეყნების პერიოდის ან მასზე ადრინდელი არც ერთი ხალხური ლექსი ლუხუმს ბახტრიონის ბრძოლის მონაწილედ არ იხსენიებს. ლუხუმი პერსონაჟად მხოლოდ სხვა ხალხურ ლექსში გვხვდება. ამ ლექსის შინაარსის მიხედვით, ერთმანეთს შეეჯახნენ მოთარეშე თუშები და ლეკები: „მზირი შაყრილა მზირზედა თუშისა, ლეკებისაო", ამბობს ხალხური მოლექსე. ბრძოლისას ლუხუმს ამხანაგები მიატოვებენ, ხოლო თვითონ ფეხს მოიტეხს და ადგილზე დარჩება. ამ მდგომარეობაში მყოფ ლუხუმს გველი განუკურნავს მუხლს. თუ ხალხური ლექსის ლუხუმს „ბახტრიონის" ლუხუმის გვერდით დავაყენებთ, დავინახავთ, რომ მათ შორის უდიდესი სხვაობაა. ისინი ერთიმეორეს მხოლოდ გველის მიერ განეული მკურნალობის ეპიზოდით, სახელითა და სიმამაცით ჰგვანან. მაგრამ სიმამა-

[1] ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956 წ., გვ. 212.

ცე ნაირგვარი მიზნითა და შინაარსით შეიძლება განსახიერდეს. ვაჟა-ფშაველა პოემის შექმნის პროცესში, ჩანს, ითვალისწინებდა ამ თუშურ ხალხურ ლექსს. ეს ცხადი ხდება გველის მიერ გმირისადმი გაწეული მკურნალობის მეტად ორიგინალური სიუჟეტური სიტუაციის მსგავსების ნიადაგზე. ხალხურ ლექსშიც და პოემაშიც ლუხუმს გველი კურნავს, მაგრამ ამ ერთი სიტუაციის მსგავსება სახეთა იგივეობას ვერ შექმნის. აკად. ა. შანიძე ამ ლექსის კომენტარებში ამბობს: „თქმულება იმის შესახებ, რომ ლუხუმს ჭრილობა გველმა განუკურნა, გამოყენებული აქვს ვაჟა-ფშაველას თავის „ბახტრიონში". მაგრამ მისი ლუხუმი და ჩვენი სიმღერის ლუხუმი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან".[1] ა. შანიძის ამ აზრისაგან განსხვავებით, მ. ჩიქოვანი წერს, რომ „ბახტრიონისა" და ხალხური ლექსის ეს გმირები „თავგადასავლით სხვადასხვაა, ხოლო იდეურად ერთგვარი" ან „ეს განსხვავება სიუჟეტურ მხარეს ეხება მხოლოდ, ისე მხატვრული სახე და იდეალი საერთოა ორივე შემთხვევაში".[2] მაშასადამე, გამოდის, რომ ხალხური ლექსისა და „ბახტრიონის" ლუხუმის სახეები იდენტურია და მათი იდეალებიც საერთოა. გმირთა თავგადასავლისა და მასში ჩაქსოვილი მხატვრული აზრის ამგვარი განცალკევება ან ნაწარმოების სიუჟეტისაგან გმირის სახისა და იდეალის გამოყოფა, ცალკე შეფასება გაუმართლებელია. ჭეშმარიტ მაღალმხატვრულ ქმნილებაში გმირის სახეს სიუჟეტისაგან „სუფთა" სახით ვერ გამოვაცალკევებთ და მას ვერც სხვა გმირებთან ურთიერთობის გარეშე შევაფასებთ.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი" მონუმენტური ქმნილებაა. პოეტმა ძუნწი ხალხური გადმოცემების ნიადაგზე შექმნა სრულიად ახალი, მთლიანი მხატვრული სამყარო. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ხელოვანი წარმოგვიდგენს გმირთა ხასიათების, მათი მოქმედების გარემოსა და სიუჟეტის ორიგინალურ სისტემას. თანაც, ამ სისტემაში მხატვრული ნაწარმოების აღნიშნული მხარეები ერთიმეორეს აპირობებენ. ეს სამყარო მხოლოდ ობიექტური მასალის ბაზაზე არ აიგება. შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობაში განუზომელ მნიშვნელობას იძენს მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიცია, გამონაგონი, პოეტური ოსტატობა. ვაჟა-ფშაველას წარმოსახვა მასალას ახალი, განუმეორებელი გზით წარმართავს. ასე შეიქმნა „ბახტრიონის" ორიგინალური სტრუქტურა.

---

[1] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931 წ., გვ. 394.
[2] მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 51.

ცნობილია აზრი, რომ სიუჟეტი წარმოგვიდგენს ნაწარმოებში გამოხატულ მრავალრიცხოვან და ნაირსახოვან მოქმედების ცოცხალ თანმიმდევრობას.[1] ცხადია, ეს მოქმედება პერსონაჟებმა უნდა შეასრულონ ერთიმეორის მიმართ, გარკვეულ გარემოში. მხატვრულ სიტყვაში გაცოცხლებული სიუჟეტი შედგენილობით იმგვარია, რომ მასში ზედმეტი, თხზულების იდეასთან დაუკავშირებელი არაფერია.

პოემა „ბახტრიონში" გმირების მიერ შესრულებული დიდი მასშტაბის მოქმედება თავისებურად გახსნილია მრავალრიცხოვან მცირე მოქმედებებში, ჟესტებში, დიალოგებში. ამ დეტალებს დიდი ღირებულება აქვთ ნაწარმობის მთლიანი მხატვრული აზრის სრულქმნისათვის, თუმცა მათი გადმოცემა პოემის ფაბულის მოთხრობისას შეუძლებელია. თუ ვეცდებით სიუჟეტის ელემენტების, დეტალების მთლიანად მოყოლას, ჩიხში მოვემწყვდევით – ვერ შევძლებთ ნაწარმოების ფაბულის ძირითადი ხაზისადმი გაყოლას. პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის მაუწყებელი მოქმედებები ვაჟა-ფშაველამ თითქმის მთელი თხზულების სიგრძეზე გაშალა და სიტყვიერ სახეებში დაამკვიდრა. ამგვარად მოწოდებულმა ცალკეულმა სახეებმა და სიუჟეტის ელემენტებმა შექმნეს „ბახტრიონის" მხატვრულად სრულყოფილი მთლიანობა. მრავალსახოვან დეტალებში, ქცევებში იძერწება პერსონაჟის ხასიათი, მისი სოციალურ-ეთიკური სახე. ნათქვამის გარდა, ალბათ, საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ოცდაორსტრიქონიანი ხალხური ნაწარმოები, რომელშიც ლუხუმის ლეკებთან შეჯახების ამბავია აღწერილი, ვერ დაიტევდა თითქმის ათასხუთასსტრიქონიანი პოემის ცენტრალური გმირის იდენტურ სახეს, ხასიათს. მიუთითებენ, რომ „სახე არის კონკრეტული და იმავდროულად განზოგადებული სურათი ადამიანური ცხოვრებისა, შექმნილი გამონაგონის საფუძველზე და ესთეტიკური ღირებულების მქონე".[2] პოემა „ბახტრიონში" იშვიათია ეპიზოდები, რომლებშიაც ლუხუმის მოქმედება არა ჩანდეს. მაშასადამე, „ბახტრიონის" ლუხუმის სახე და იდეალი შეუძლებელია გავაიგივოთ ხალხური ლექსის ლუხუმთან. მათი მოქმედების შინაარსი სხვადასხვაა.

ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონის" წყაროების დახასიათებისას თქვა, რომ სანათა, სუმელჯი, ლუხუმი და ხოშარეული ბახტრიონის ბრძოლის ამსახველ ლექსში არ იხსენიებიანო. პოეტის მიერ „ბახ-

---

[1] Теория литературы, М., кн. II, 1964, გვ. 421.

[2] Л.И. Тимофеев, Основы теории литературы, М., 1971, გვ. 62-63.

ტრიონის" გმირთა წარმომავლობის თაობაზე გამოთქმული აზრი ფოლკლორში მხოლოდ ისეთნაირად დადასტურდა, როგორც მან განმარტა. ყოველგვარი ცდა ავტორისეული ცნობების გასწორებისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, კვირიას, ლელას და ლუხუმის ვაჟასეულ სახეებზე მსჯელობისას, გაუმართლებელი აღმოჩნდა.

ვაჟა-ფშაველამ ხოშარეულიც იმ გმირებს მიაკუთვნა რომლებიც ბახტრიონის ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ. ავტორის განმარტების მიუხედავად, მისი შეხედულების საწინააღმდეგოდ, ფოლკლორისტულ გამოკვლევებში ასაბუთებენ, რომ მწერალმა ხოშარეულის სახე ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ლექსებიდან აიღო. ამბობენ იმასაც, რომ პოემის ხოშარეულის პროტოტიპი ამ ლექსებში ნახსენები ხოშურაულია.[1] ფოლკლორისტებიდან არავინ მოინდომა დაეჯერებინა ვაჟა-ფშაველასათვის და კვლევა სწორედ მისი აზრის განმტკიცების მიმართულებით წარემართა. დაუსაბუთებელი უნდობლობა გამოეცხადა დიდ შემოქმედს, უბადლო ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული წერილების ავტორს. ამიტომაც მკვლევართა მხედველობის მიღმა დარჩა ის მასალები, რომელთაც მწერალი ხოშარეულის სახის შექმნისას თავისებურად ითვალისწინებდა. პოემის წყაროებისა და გმირთა წარმომავლობის საკითხის გაბუნდოვნებას იწვევდა ის გარემოებაც, რომ ხალხურ მასალებს ტექსტთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით არ აფასებდნენ და ამგვარად შესწავლილ მასალას არ უდარებდნენ „ბახტრიონს", ან თვითონ ავტორის განმარტებებს. ზოგიერთი საკითხის ახსნისას იშველიებდნენ პოემის მხატვრულ დეტალებს, პოეტის ფანტაზიის ნაყოფს. ეს დეტალები კი, ცხადია, ურყევ საბუთად არ გამოდგება. ვაჟა-ფშაველა ამ მასალის თაობაზე წერდა: „ხალხური თქმულება დაწვრილებით მასალას არაფერს იძლევა ბახტრიონის აღებისას, იმ დროს მებრძოლთა სახელებიც კი დაკარგულია, გარდა ზეზვასი (თუშია)".[2] ამის შემდეგ ნათელია, რომ პოემის სიუჟეტი, სახეები, სიტყვიერი

---

[1] აღნიშნულ საკითხზე იხ. სოლ. ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1953 წ.; ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956 წ.; დ. გოგოჭური, „ბახტრიონის" ერთი გმირის ვინაობა, ჟურნ. „მნათობი", 1970 წ., 2; მისივე, მცირე განმარტება, ჟურნ. „მნათობი", 1972 წ., 4; ე. ავსაჯანიშვილი, ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის" ხალხური წყაროები, ჟურნ. „მნათობი", 1975 წ., 12.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 320.

დეტალები პოეტური წარმოსახვის ნაყოფია და თხზულების წყაროების ახსნისას მათი მოხმობა შედეგს არ იძლევა.

„ბახტრიონის" ხოშარეულის წარმომავლობის დასადგენად უნდა გაირკვეს, თუ რომელ ხალხურ ლექსს გულისხმობდა პოემის წყაროდ თვითონ ავტორი. ფშავ-ხევსურულ ხალხურ პოეზიაში მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული ხალხური ლექსი ხევსური ივანეურისა და ფშაველი ხოშურაულის ბრძოლის ამბავზე. ამ ლექსის ფაბულური ქარგა გვეუბნება, რომ ივანეური ფშავში მიდის ვინმე სახელგანთქმული მებრძოლის მოკვლის მიზნით. იგი სოფ. ცაბაურთაში მთიბლებს დაუხვდება და მოკლავს სახელოვან კაცს ყარტაულას. შემდეგ ივანეური ამავე თემის სალოცავში შეაფარებს თავს. მან იცის, რომ მთიელთა ადათების მიხედვით, იქ კაცის მოკვლა არ შეიძლება, მაგრამ საკუთარი თემის ღირსების დამცველი ხოშურაული არ მოერიდება ადათის დარღვევას და „ხატის კარზე", სალუდეში კლავს ივანეურს. ნაწარმოებში საქვეყნო მაღალი აზრის ძიება ამაოა. ვაჟას ყურადღება ალბათ ხოშურაულის მიერ თემის ინტერესების თავგამოდებულმა დაცვამ მიიქცია. თუმცა, ცხადია, რომ ლექსის გმირისა და ვაჟა-ფშაველას ხოშარეულის მოქმედების მოტივები ძირეულად განსხვავდებიან. მათი სახეების იგივეობაზე მსჯელობაც ასევე უსაფუძვლოა.

ჩნდება საკითხი იმის თაობაზე, თუ რატომ შევიდა ხოშარეული პოემაში ხოშურაულის ნაცვლად. საქმე ის არის, რომ ხალხური ნაწარმოების მრავალი ვარიანტი თვითონ გვიჩვენებს ამგვარ მონაცვლეობას, ხალხურ ლექსში ხოშურაულს ენაცვლება ხოშარეული. ეს ლექსი პირველად 1887 წელს დ. ხიზანიშვილმა გამოაქვეყნა თავის წიგნში „ფშაური ლექსები". 1961 წელს თელავის რაიონში ჩაწერილ ერთ ვარიანტში ხოშურაული ხოშარაულად არის წარმოდგენილი. ს. მაკალათიამ ფშავში 30-იან წლებში ჩაიწერა ეს ლექსი. აქაც პერსონაჟად ხოშარეული იხსენიება. ეს ჩანაწერი საყურადღებოა, რადგანაც მთქმელი ცაბაურია, ე.ი. იმ თემის წევრი, რომელშიც ცხოვრობდა ივანეურის მომკლავი ხოშურაული. მთქმელი, თუკი შეცდომად მიიჩნევდა ლექსში ხოშარეულის გამოჩენას, მას გაასწორებდა, რადგანაც ეს ადვილი მოსახერხებელი იყო. მაგრამ იგი, ჩანს, რაღაც კავშირს ხედავს. მთქმელი არაფერს ცვლის, თუმცა იცის, რომ ლექსში აღწერილი ამბავი ცაბაურთის თემში და სალოცავში მიმდინარეობს, ხოლო მოქმედი კი ხოშურაულია. ჩანს, არსებობდა ტრადიცია ცაბაური ხოშურაულის ხოშარეულებთან (ხოშარლებთან) ნათესაური კავ-

შირის მაუწყებელი. საგულისხმოა, რომ ფშავში გმირს უქებდნენ დედით ჩამომავლობასაც, თუკი ისინი სახელოვანნი იყვნენ. მაშასადამე, არსებობდა ობიექტური საფუძველი, რომ ამ ლექსის ხოშურაულისათვის ჩამომავლობის მიხედვით ხოშარეული ეწოდებინათ. ცხადია, ხოშურაულის ხოშარეულად წარმოდგენა ამ ლექსში იმას არ ნიშნავს, რომ ეს ხოშარეული იყო აუცილებლად ბახტრიონის ბრძოლის მონაწილე. არა, ამ ლექსშიც ჩამომავლობაზე ისეთივე მითითებასთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორსაც „ბახტრიონში" ლელასთან საუბრისას კვირია თავის შესახებ აღნიშნავს:

თუმცა კი თქვენის წყლისა ვარ,
ფშაური მიდგა ძირია,
გოგოლაურთა დისწული,
მათურელ გივის შვილია...

მეტად მრავლისმთქმელია ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილი ვარიანტი, რომელშიაც მთავარი პერსონაჟი კვლავ ხოშარეულია. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი უკვე საკმარისი უნდა იყოს პოემა „ბახტრიონის" ხოშარეულისა და ამ ხალხური ლექსის ხოშურაულის (ხოშარაულის) ურთიერთკავშირის გასათვალისწინებლად. შეიძლება სულაც მექანიკურ ჩანაცვლებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს მოვლენა მაინც იმას მოითხოვს, რომ ჩასანაცვლებელი მხარეები რეალურად არსებობდნენ.

ცაბაურების თემს სხვებთან ერთად ხოშურაულებიც ეკუთვნოდნენ და მთავარანგელოზს ლოცულობდნენ. ისინი შემდეგში ფშავის სხვა სოფლებში ბეტიჩდილში, გოგოლაურთაში და ხოშარაშიც ცხოვრობდნენ. ბეტიჩდილიდან ხოშურაულები სალოცავად ცაბაურთაში მიდიოდნენ. ფშაური გვარები, რომლებიც ორწყალს ქვემოთ ან ქართლ-კახეთის ბარში ცხოვრობდნენ, სალოცავად ფშავის თერთმეტი თემიდან ერთ-ერთ, ანუ საკუთარ თეშმი მიდიოდნენ. ადრევე შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ფშაველთა დიდი უმრავლესობა ბარში დამკვიდრდა, თუმცა თემობრივ-ნათესაურ კავშირს მთასთან არ წყვეტდნენ. არსებობდა სავალდებულო მოთხოვნა, რომ ხოშურაულებს ცაბაურთის სალოცავში ხატისათვის ყოველთვის მსხვერპლი შეეწირათ. ეს მათ თურმე იმიტომ დაეკისრა, რომ უძველესი ადათი დაარღვიეს და სალოცავში თავშეფარებული ივანეური მოკლეს.

ფშაურ თემს ზოგჯერ ორი ან სამი სალოცავი მოეპოვებოდა. ამიტომაც მათი ცხოვრების ყველა მხარე რელიგიურ წარმოდგენებთან იყო გადაჯაჭვული. საკრალურ ადგილებთან ამა თუ იმ

გვარის კავშირს იმიტომ ვახსენებთ, რომ ეს კავშირი გვეჩვენება გვარის წარმომავლობის მაჩვენებელ მყარ საფუძვლად. წესისამებრ, საუკუნეზე ადრე ბარად გადასახლებული ფშავლები რელიგიურ-რწმენითსა და ტომობრივ ნათესაურ კავშირს არ წყვეტდნენ ისტორიულ ფხოვთან (ფშავთან). ისინი დროდადრო სათემო და მთელი ტომის საერთო სალოცავებს ეწვეოდნენ, წინაპართა სამკვიდროს სიყვარულს რელიგიური რიტუალითაც გამოხატავდნენ. როგორც ჩანს, ამ კავშირის დარღვევის გამო ფშაველთა შორის თემიდან მოკვეთა უმძიმეს სასჯელად ითვლებოდა. მოკვეთილს ყველაზე მნიშვნელოვანი – თემთან ნათესაობისა და სათემო სალოცავებში საღვთო რიტუალების აღსრულების უფლება ეკარგებოდა.

ახალ დროშიც უკვე სხვადასხვა გვარის მფლობელი თემის წევრები გვაროვნულ-თემური ნათესაობის საფუძველზე რომელიმე სახელგანთქმულ წინაპარს ყველასათვის სათაყვანოდ აღიარებდნენ და სიამაყის გრძნობით იხსენიებდნენ. გოგოლაურების თემში ეამაყებოდათ ბახტრიონის ბრძოლაში თავგამოჩენილი გოგოლაური ან ქისტეთზე მოლაშქრე გარა თურმანაული. ასევე ხოშარის თემი თაყვანს სცემდა რეალურს თუ ფანტაზიით შექმნილ თავის გმირს.

ამჟამად მასალის უქონლობის გამო ძნელია ითქვას, როდის ან რამდენი ხოშარეული იყო სახელოვანი. მიუხედავად ამისა, ერთი გარემოება მაინც რამდენადმე საყურადღებოა. ნ. ურბნელმა გაზეთ „ივერიაში" 1888 წელს გამოაქვეყნა ბახტრიონის ბრძოლისადმი მიძღვნილი ნარკვევი, რომელშიც მკვლევარი წერდა: „თვით ზეზვას თანამებრძოლნი ჰმოწმობენ, რომ იგი დიდი ვაჟკაცი ყოფილა; ასეთი მოწმეა, მაგალითებრ, ვიღაც ხოშარაული, – ალბათ ფშაველი სოფ. ხოშარადგან, – რომელსაც ბახტრიონის აღებაში მეტის ხმარებისაგან ხმალი გასტეხია:

„იტყოდა ხოშარაული:
ორი თუ სჯობდეს ზეზვასა,
გამაგებინეთ მკლავია
ზეზვაი გაფრინდაული
კაი ვაჟკაცი არია..."[1]

როგორც ვხედავთ, ხოშარაულის დაფასებას გარკვეული საფუძველი აქვს, თანაც, პოემა „ბახტრიონის" შექმნამდე ნ. ურბნელის მიერ მოტანილი ცნობები და ლექსი, რომლებშიაც ხოშარეუ-

[1] გაზ. „ივერია", 1888 წ., 228, გვ. 3.

ლის ბახტრიონის ბრძოლაში გარჯაზეა საუბარი, ხალხიდან მოდის. ეს ცნობები იმითაც არის სარწმუნო, რომ მათში სხვასთან გაჯიბრების ან ტენდენციურობის რაიმე კვალი არა ჩანს. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, იცნობდა თუ არა პოეტი „ივერიაში" გამოქვეყნებულ ამ ლექსს. საზოგადოდ, არ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მწერალმა იცოდა და არ გამოამჟღავნა ამა თუ იმ წყაროს არსებობა. ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის", გოეთეს „ფაუსტისა" და საკუთარი ნაწარმოებების წყაროებზე მსჯელობისას ამბობდა, რომ მასალა, წყარო მხოლოდ თესლია, რომელიც მწერალმა ათასად უნდა აქციოს. ამიტომაც, მისი რწმენით, „...თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო, ის აზრი, რაც „ფაუსტშია" გამოთქმული, მაინც გამოითქმოდა გიოტეს პირით და თუმცა შეიძლება სხვა რამ სახელი ჰრქმევოდა".[1] მაშასადამე, პოეტის აზრით, მთავარია ხელოვანს სათქმელი, განსახიერებული იდეა, რაღაცნაირად წარმოსახული ადამიანური სახეები და ხასიათები ჰქონდეს და ის ყოველთვის შეძლებს ნაგრძნობი ამა თუ იმ მასალაზე დააფუძნოს. საგულისხმოა ვაჟას ნაწარმოებების ხალხურ წყაროებთან მიმართებაზე გამოთქმული ეს აზრი: „ბახტრიონის" მაგალითი გვარწმუნებს, რომ ვაჟა-ფშაველა, მართალია, ეყრდნობოდა ამა თუ იმ ხალხურსა თუ ისტორიულ გადმოცემას, მაგრამ სწორედ ისაა განსაკუთრებით საგულისხმო, რომ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციით ვაჟა-ფშაველა ათასჯერ აღემატება და სჯობნის თავის ნაწარმოებთა წყაროებს".[2] ეს კი იმას გულისხმობს, რომ მწერლის ორიგინალობა უნდა ნაწარმოების იდეურმხატვრულმა მთლიანობამ წარმოაჩინოს.

ვაჟა-ფშაველამ ხოშარეული არ მიაჩნია ბახტრიონის ბრძოლის მონაწილედ. „ბახტრიონის" წყაროების დახასიათებისას კი იგი, როგორც ჩანს, ხალხურ ლექსს „ივანეური" იღებდა მხედველობაში და პოემის ხოშარეულის სახელს ამ ლექსის პერსონაჟთან აკავშირებდა. ხოშურაულისა და ხოშარეულის მოქმედების გამაერთიანებელი, თანაც პოემის შექმნის ხანაში ჩაწერილი, სხვა ნაწარმოები მთის ფოლკლორში არ იპოვება. პოეტი, ცხადია, იცნობდა ამ ხალხურ ლექსს. იგი დაიბეჭდა დ. ხიზანიშვილის

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 324-325.

[2] გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი", წიგნში: ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი", თბ., 1972 წ., გვ. 37.

„ფშაურ ლექსებში" 1887 წელს. ვაჟა-ფშაველამ გამოაქვეყნა ამ კრებულზე რეცენზია, რომელშიც საგანგებოდ არის გაშლილი მსჯელობა საგმირო ლექსების თაობაზე. ამასთანავე, პოეტმა თვითონ ჩაიწერა დასახელებული სიუჟეტიანი ლექსის ვარიანტი, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟი ცაბაურთა თემის წევრი ხოშარეულია. ბახტრიონის ბრძოლისაგან დამოუკიდებელ ხოშარეულსა თუ ხოშურაულს მხოლოდ ამ ლექსში ვხვდებით. როდესაც „ბახტრიონის" ავტორი პოემის პერსონაჟთა წარმომავლობაზე წერდა. ყოველ მის სიტყვას გარკვეული რეალური საფუძველი ჰქონდა. ხოშარეულის ვინაობაზე მწერლის მიერ მოწოდებული ცნობის შეცვლა იმ მასალის საფუძველზე, რომელსაც ჩვენი ფოლკლორისტები ემყარებიან, მართებულად არ მიგვაჩნია.

ბევრი დაიწერა „ბახტრიონის" ხალხურ წყაროებზე და გმირთა წარმომავლობის საკითხზე, მაგრამ რაც დრო გადის, საკითხი უფრო ბუნდოვანი ხდება. ამის მიზეზი ის არის, რომ თვითონ ავტორისეულ განმარტებებს გულდასმით არ ეკიდებიან. ზოგჯერ არ იზიარებენ ან ასწორებენ ვაჟა-ფშაველას აზრს, მაშინ, როცა მისგან ბევრი რამ შეიძლება შეითვისოს ყველა დროის კრიტიკოსმა, ფოლკლორისტმა, მწერალთა შემოქმედებითი ისტორიისა და შემოქმედების ფსიქოლოგიის მკვლევარმა.

ბახტრიონის ბრძოლის თემაზე არსებულ ხალხურ ლექსებს ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში მიემატა ერთი ლექსი, რომელშიც პირველად გამოჩნდა ხოშურაული ბახტრიონის ბრძოლის მონაწილედ. ეს ლექსი აკად. ა. შანიძემ 1913 წელს, პოემა „ბახტრიონის" გამოქვეყნებიდან ოცი წლის შემდეგ ჩაიწერა ფშავის სოფელ თვალივში, ხევსური მთქმელის მინდია ქისტაურისაგან. ნაწარმოები კონტამინაციის გზით არის შედგენილი. მასში წინაა წამოწეული კუთხური მიკერძოების დიდი სურვილი. მთქმელი ცდილობს ხესურთა უპირატესობის წარმოჩენას და ამის გამო ვარდება წინააღმდეგობაში. იგი იყენებს ისეთ რეალიებს, რომლებსაც ობიექტური საფუძველი სხვაგან არ ეძებნება. ამგვარ ტექსტში გამოჩნდა პირველად გვარი ხოშურაული. არც ერთი ადრინდელი ჩანაწერი, კერძოდ, მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების შემკრებთა (დ. ხიზანიშვილი, ივ. ბუქურაული, ვაჟა-ფშაველა, ნ. ურბნელი, თ. რაზიკაშვილი) მასალები ხოშურაულის გვარს აღნიშნული ციკლის ლექსებში არ იხსენიებს. ამის შემდეგ ისევ პროფ. ა. შანიძემ 1926-1928 წლებში ბ. გაბურისაგან ჩაიწერა ნახსენები ლექსის ფრაგმენტი. სამსტრიქონიან ფრაგმენტში ორი აღებულია მ. ქისტაურის ვარიანტიდან, ხოლო მესამე სტრიქონი

ახალი ემატება. აქ მესამე დამატებული სტრიქონის მეშვეობით ერთიმეორეს პირველად დაუკავშირდა მანამდე სხვადასხვა პერსონაჟების კუთვნილი სახელი ნადირა და გვარი ხოშურაული.

ახლა სადა ხართ, თუშებო, ხევსურნ რო კარავთ
სჭრიანო?
ნადირაის ხმლის ნატეხნი კარვის ბოძსთანა
ჰყრიანო,
ხმალ ხოშურაულს გაუტყდა, ხევსურნ სხვას
გამუცვლიანო.[1]

ამგვარია ის მასალა, რის საფუძველზედაც, ვაჟას აზრისაგან განსხვავებით, ასაბუთებენ, რომ პოემის ხოშარეულის პროტოტიპი ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ლექსებიდან მომდინარეობსო. ამ ვითარებაში ფაქტობრივად ერთ ვარიანტად წარმოშობილ ისეთ ლექსთან გვაქვს საქმე, რომლის ახალი ეპიზოდებით შევსებაში, „ბახტრიონის" დეტალებთან ერთად, ძველი ლექსების ცნობებიც არის გამოყენებული. ხალხური ლექსის ეპიზოდები, სავარაუდოა, განაპირობა პოემის შემდეგმა სტრიქონებმა:

„გუდანელთ ჩამასძღოლია,
ხოშარეული ხარია".

ან

„გულრკინა ხოშარეულსა
შუა გადუტყდა ხმალია".

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხალხურმა პოეზიამ „ბახტრიონის" გამოქვეყნებიდან ძალიან მალე ისესხა ბაჩლელ ლელას სახელი; პოემის ხალხურ მელექსეებზე ზემოქმედებით გაჩნდა თუშურ ლექსში ლუხუმი, როგორც ბახტრიონის ბრძოლის მონაწილე. შემდეგ ხალხურმა ლექსებმა თავის სტრიქონებში მწერლის სხვა გმირებსაც დაუთმეს ადგილი. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ აქ დახასიათებულ ხალხურ ლექსშიც ხოშურაული პოემის ხოშარეულისადმი მიბაძვით გაჩნდა და ამიტომაც მასზე დამყარებით არ შეიძლება გმირის წარმომავლობაზე ავტორისეული ცნობის გასწორება. ხევსურეთში გვარი ხოშარაული არ არსებობდა.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი" შინაარსისა და ფორმის მიხედვით საკუთარ სტრუქტურაში დასრულებული ქმნილებაა. იგი

[1] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931 წ., გვ. 323.

ისეთი მონუმენტური მხატვრული მთლიანობაა, რომელსაც ვერც რაიმეს გამოვაკლებთ და ვერც დავამატებთ. ნაწარმოები იმ მიზნით დაიწერა, რომ მასში გამოთქმულიყო რაღაც ახალი, უფრო შინაარსიანი და მაღალმხატვრული, ვიდრე ამას წარმოგვიდგენდა ესა თუ ის მასალა ან წყარო. ამიტომაც ვერ ვირწმუნეთ ზეპირსიტყვიერებაში „ბახტრიონის" ყველა გმირის პროტოტიპის, სახეებისა და ხასიათების არსებობა. ეს მრავალი თვალსაზრისით აღმოჩნდა გაუმართლებელი. „ბახტრიონის" შინაარსი, იდეა, სახეები არ ექვემდებარებიან მათი წარმოშობის ამგვარ ნებისმიერ ახსნას. აქ ყველა ტიპი, სახე და ხასიათი ვაჟას მიერ არის გამოძერწილი და მისი უბადლო ფანტაზიის მადლით არის აღბეჭდილი. ამის გამოც ხალხმა მალე აიტაცა და შეისისხლხორცა ეს გენიალური ნაწარმოები.

„ბახტრიონი" ცხადყოფს, რომ მისი ავტორი მიზნად არ ისახავდა ხალხურ გადმოცემებში დაცული ფრაგმენტული ამბების აღდგენას. იგი მხატვრული სიუჟეტის შექმნისას უმთავრესად ამბის, მოვლენის ზოგად მნიშვნელობას და ღირებულებას ითვალისწინებდა. პოეტმა ფრაგმენტული ცნობები თავისი დროის საქვეყნო ინტერესებს შეუფარდა და დროთა მსვლელობაში სახეშეცვლილი პატრიოტული იდეების სამსახურში ჩააყენა. მან თვითონ გაგვაცნო „ბახტრიონის" მასალა, ზეპირსიტყვიერი წყარო. მაგრამ ეს მასალა მწერალს არ ბოჭავდა, პირიქით, თავისუფლად მიჰყვებოდა მხატვრულ რეფლექსებს და, მაშასადამე, ორიგინალური ფაბულის, სიუჟეტისა და სახეების შექმნის პოეტურ მიზანსაც. „ბახტრიონის" დასაწყისი, ფინალი და საზოგადოდ, მთლიანი სტრუქტურა ცხადს ხდის, რომ პოემა ყოველგვარ მასალაზე შეუდარებლად მაღლა დგას. „ბახტრიონის" არქიტექტონიკა არ გულისხმობს ხალხური მასალის ისეთნაირ თავმოყრასა და გადაკეთებას, როგორსაც ფოლკლორისტულ გამოკვლევებში გვთავაზობენ. ვაჟა-ფშაველა მხატვრული დეტალების ღირებულებისა და გმირთა ხასიათების რაობის ღრმად მწვდომი ხელოვანია. ამის გამო, როგორც „ბახტრიონიდან" ჩანს, ზეპირსიტყვიერი ნიმუშები სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს პოეტის ესთეტიკურ იდეალს. იგი ახალ სინამდვილეს ქმნის, მანამდე უცნობსა და განუმეორებელს. ნაწარმოების გმირები, ცხადია, შემოქმედის მრწამსისა და პოეტური წარმოსახვის პირმშონი არიან. მათი ხასიათები „ბახტრიონის" არქიტექტონიკის წარმოქმნის პროცესში ყალიბდება, იკვეთება, იღებს ორიგინალურ თუ ინდივიდუალურ სახეს. პოემის სიუჟეტში უხვად შემოდის რელიგიურ-

ასტრალური წარმოდგენები, ლეგენდარულ-მითოსური ელემენტები, იხატება ბუნების წარმტაცი სურათები და სიმბოლიკით დატვირთული სიტყვიერი სახეები. მწერალი ბეჯითად ძერწავს ყოფითი მოვლენების, ბუნების ქმნილებათა თუ გმირთა მოქმედების მრავალმნიშვნელოვან მხატვრულ დეტალებს. მაშასადამე, პოემის სიუჟეტში თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა მრავალსახოვან პოეტურ დეტალებშია გაცოცხლებული. „ბახტრიონში" თავისებურად არის წარმოჩენილი გმირთა ტომობრივი წარმომავლობაც. გამოკვეთილია, რომ საქვეყნო, ეროვნული საქმისათვის, მამულის მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი. ჩვეულებრივ ყოფაში ეს ტომები გვაროვნულ-თემური ცხოვრების კანონებს იცავდნენ, ძველ ადათებსა და რწმენა-წარმოდგენებს მიჰყვებოდნენ. მაგრამ მწერლის ფანტაზიისათვის თითქოს ესეც არ არის საკმარისი. იგი ცდილობს იმის ჩვენებას, თუ ტომის მებრძოლებს ვინ მიუძღვის წინ, რა სულიერი თვისებებით ხასიათდება ეს გმირი. ბრძოლაში არ მონაწილეობს არც ერთი კუთხე საკუთარი გმირის გარეშე და არც გმირი ჩანს ისეთი, რომლის ტომობრივ წარმომავლობასაც პოეტი არ იხსენიებდეს. ნაწარმოებში საგანგებოდ აღინიშნება ლაშქრის წინამძღოლთა ჩამომავლობა, თუმცა ეს უპირატესად პოეტურ გამონაგონზეა დამყარებული. ერთიმეორის გვაროვნულ-ტომობრივი ჩამომავლობით თვითონ პერსონაჟები არიან დაინტერესებულნი. გმირი რომელიმე თემს ეკუთვნის, მისი იდეალის გამომხატველია, ხოლო თემი კი, თავის მხრივ, გმირში საკუთარ თვისებათა და სწრაფვათა წარმომჩენს ხედავს. ამგვარად იკვეთება გმირის და ხალხის ურთიერთობის სოციალურ-ზნეობრივი ასპექტები. პოემაში განსაკუთრებით აქცენტირებულია ხალხისა და ცალკეულ გმირთა პატრიოტული ერთსულოვნება.

„ბახტრიონის" ჭეშმარიტი ხალხურობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში ჩანს, რომ მწერალმა პოემის მხატვრულ სახეთა ღირებულება ხალხის გრძნობის, აზრის, ნებისა და საგმირო-პატრიოტული მისწრაფებების კუთვნილებად აქცია. გმირთა ზნეობრივი იდეალის სიმაღლე, ნების სიმტკიცე, ვაჟკაცობა ვაჟა-ფშაველამ ისეთი მხატვრული ძალით განასახიერა, ისეთი ღრმა ეროვნული შინაარსით აღბეჭდა, იმგვარ პოეტურ ფრაზებში მოაქცია ქცევა თუ ხასიათი პერსონაჟისა, რომ ისინი მკითხველის თვალწინ ცოცხალ და მუდამ მისაბაძ პიროვნებებად აღიმართნენ. და, უნდა ითქვას, რომ პოეტმა არა მარტო წარსულის კონკრეტულ-ისტორიული განსახიერებით შექმნა ახალი უბადლო მხატვრული

სამყარო. დიდმა მწერალმა აქ პატრიოტიზმის ქართველური განცდის სპეციფიკური ეროვნული შინაარსი გამოხატა, ჩვენს სინამდვილეში ამ გრძნობის გამოვლენის მარადიული ბუნება წარმოაჩინა. ამის გამო „ბახტრიონი" არღვევს კონკრეტული დროით შემოსაზღვრულ ჩარჩოებს. ნაწარმოები ამჟამადაც შეუნელებლად ამდიდრებს მკითხველის გრძნობებს, განცდებს, ზნეობრივ იდეალებს და ამაღლებს წარმოდგენას ქართველი ხალხის სულიერ შესაძლებლობებზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

თავი XI

მხატვრულ ღირებულებათა ბუნების შესახებ „ბახტრიონსა“ და „გველის მჭამელში“

ვაჟა-ფშაველას ოცდათვრამეტი პოემიდან „ბახტრიონი“ და „გველის მჭამელი“ ყველაზე მკაფიოდ გამოხატავენ ერის ისტორიული ცხოვრების დასაბამიერი მიზნებისა და იდეალების რაობას. ეს ნაწარმოებები ცხადყოფენ შემოქმედის სულის უზომო პოეტურ ენერგიას და მის სიახლოვეს ხალხის თვითმოქმედების უძირითადეს პრობლემებთან. ორივე თხზულებაში უღრმესი სოციალურ-ფილოსოფიური და მხატვრული აზრით განზოგადდა ის საყოველთაო ადამიანური სწრაფვები, რომელთა რეალიზება დედამიწაზე ყოველ ერს სჭირდება და თავად ევალება. ვაჟამ, ცხადია, ქართველთა გარჯის უმთავრეს საგნად მიიჩნია ეროვნული, ორიგინალური არსებობის შენარჩუნება, სასიცოცხლო გარემოს, ანუ სამშობლოს დაცვა, ენის, რწმენისა და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების პატრონობა. ამ ღირებულებათა საყოველთაო ძალის რწმენა უნდა განსახიერებულიყო პოეტურ ქმნილებებში. ამგვარი მისიის შესრულებისას უნდა გამოეკვეთათ ადამიანებს, საერთოდ, ლიტერატურულ გმირებს ინდივიდუალური სახე და საკუთარი ცხოვრების თვითმყოფადობა, რომელიც საწინდარი იქნებოდა დედამიწის მიმართ უფლისგან ჩაფიქრებული მრავალფეროვნების შენარჩუნებისაც.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და „გველის მჭამელი“ აღნიშნული თვალსაზრისით აჯამებენ პოეტის პუბლიცისტურ-მხატვრულ ნააზრევს, სრულად ავლენენ ავტორის მსოფლგაგების ზოგად ხასიათს, მისი ლიტერატურული მრწამსის სხვადასხვა ნაკადთა ურთიერთმიმართების ბუნებას. „ბახტრიონი“ ისტორიულ-პატრიოტული შინაარსის თხზულებაა, ხოლო „გველის მჭამელი“ ისტორიულ-პატრიოტული იდეების გარდა უღრმესი მითოსურ-რელიგიური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიურ-ეთიკური მოვლენების განმასახიერებელი ქმნილებაა. ძნელად თუ რაიმე დაემატება იმ ადამიანურ გრძნობებისა და მიზან-ღირებულებების სიმრავლეს, რომლებიც ამ ორი პოემის მხატვრულ მოქმედებაში პოეტური ემოციების ენაზე განსახიერდა. თუმცა სალიტე-

რატურო კრიტიკაში ვაჟას ეპოსის შესწავლისას მრავალი მცდარი შეხედულება გამოითქვა, რომლებმაც აიძულეს პოეტი ეს შეცდომები გაესწორებინა და მკვლევართათვის სწორი გზაც ეჩვენებინა. ვაჟა-ფშაველა სხვადასხვა გარემოებათა გამო მსჯელობდა რუსთველის, შექსპირის, სერვანტესის, გოეთეს, პუშკინის, ტოლსტოის, ტურგენევის, ილია ჭავჭავაძისა და სხვა მწერლების შემოქმედების თავისებურებებზე, მათი შრომის სპეციფიკურ ნიშნებზე. სალიტერატურო კრიტიკისათვის, ცხადია, სასარგებლო იქნებოდა, დაკვირვებით და ღრმად შეესწავლა ვაჟას თეორიული შეხედულებები, რათა პოეტის მიერ მითითებული შეცდომები არ დაეშვა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პოეტს არ აკმაყოფილებდა კრიტიკოსების მიერ გამოთქმული არც შენიშვნები და არც ქება, რადგანაც ისინი არ ითვალისწინებდნენ იმ მოთხოვნებს რაც თვითონ მას ჰქონდა საკუთარ თხზულებათა ან საზოგადოდ, მწერლობის მიმართ. იგულისხმება, რასაც ვაჟა მოითხოვდა დიდი მწერლების შემოქმედებისაგან, რა იდეურ-მხატვრულ ღირსებებსაც ხედავდა მათ ნაწარმოებებში ანალოგიურისვე გამოხატვის მისიას აკისრებდა საკუთარ თხზულებებსაც. გასაოცარია, თუ როგორ, რა ძალითა და ენერგიით შეძლო ვაჟამ ფშავის მწირ გარემოში, მძიმე ფიზიკური შრომის პარალელურად შეექმნა ათ ტომად გამოსაცემი მხატვრული შედევრები. მთელი ცხოვრება პოეტისა ისე წარიმართა, რომ მისი შემოქმედებითი შრომისა და გატაცებისათვის ხელი რაღაცას შეეშალა. მან მთიელი კაცის მძიმე ცხოვრებას, ქვეყნის უკუღმართ სოციალურ გარემოს ძლიერი ნებისყოფის საფუძველზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მძაფრ ბრძოლაში გამოჰგლიჯა ხელიდან საკუთარი ნიჭისა და პიროვნული სიდიადის დამადასტურებელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ამიტომაც ტკივილივით განიცდიდა კრიტიკის ზერელე შენიშვნებს და თავისუფალი შემოქმედებითი შრომისათვის კი დროის დიდ უკმარისობას.

პოეტს ოცნებაც კი არ შეეძლო ისეთ გარემოზე, სადაც მისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფი გაიზრდებოდა. პირობების გასაუმჯობესებლად იგი თბილისში უბრალო სამსახურის მოძიებას ცდილობდა. 1909 წელს მთარგმნელსა და ჟურნალისტს მარიამ დემურიას ორმოცდაათი წლის პოეტი თხოვნის წერილს უგზავნის: „მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლიან, უნდა ამიერიდან ქალაქში ვიცხოვრო. ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში, თანაც ვბერდები, ერთი დღე რომ ვიმუშაო, ერთი კვირა უნდა ვიწვე. ეხლაც ავად ვარ, უსათუოდ ექიმი და წამლობაა ჩემთვის

საჭირო... ჩემმა სოფლად ცხოვრებამ ბევრი არც არა სოფელს არგო და მე ხომ დამაუძლურა ყოველ მხრივ: ნივთიერად, გონებრივ-ფიზიკურად და თითქმის ზნეობრივაც კი. ამიტომ გადავწყვიტე ვიშოვნო რამ ისეთი სამუშაო (დიდს ჯამაგირს არ დავეძებ), რომ იოლად გამოვიდე და ზაფხულობითაც ერთი-ორი თვე თავისუფალი დრო მქონდეს... მე რომ ქალაქში ვცხოვრობდე, უეჭველია, ჩემი ლიტერატურული შრომა ერთი ათად იმატებს და არც თქვენ დაგჭირდებათ ჩემთვის მუდარისა და ხვეწნის წერილების წერა – ლექსი ან მოთხრობა გამომიგზავნეთო. დარწმუნდით, ასე იქნება".[1] მისი მეგობრების: პ. უმიკაშვილის, მ. დემურიასა და პ. სურგულაძის ზრუნვას, რომ პოეტისთვის სამსახური მოენახათ, შედეგი არ მოჰყვა. ამ წერილის დაწერიდან ხუთი წლის შემდეგ, გარდაცვალებამდე რაღაც ორი კვირით ადრე, პოეტი საავადმყოფოდან ოჯახს ჩარგალში წერილს უგზავნის, უთვლის, რომ ათ დღეში წამოვალო და ძალიან სთხოვს ყველას, გასათიბი მისი ველები პირუტყვისგან დაეცვათ. იგი საავადმყოფოშიც გლეხურ შრომაზე ფიქრობს, ოჯახის სარჩენად ისევ ცელსა და ნამგალზე, საკუთარ მარჯვენაზე ამყარებს იმედს. ეს იყო მისი ბოლო წერილი. იგი ველარ დაბრუნდა ჩარგალში და იმ ქვეყნად თან გაიყოლა უნუგეშო ფიქრები ქვეყნისა და ოჯახის მომავალზე, უსნავლელად დარჩენილი შვილების ბედზე და, ალბათ, წიგნებად გამოუცემელი, ათასგან ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული თავისი ნაწერების უპატრონოდ დარჩენაზეც. მას უსახსრობის გამო ხშირად თბილისში ჩამოსვლაც უჭირს, არა აქვს ახლი ჩოხა, რომ ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისს ესტუმროს. ასეთი ვითარება აქვს დიდ მწერალს თითქმის სიცოცხლის ბოლოს. პოეტის შემოქმედებით მკითხველი აღტაცებულია, მას ხალხი ეთაყვანება. სალიტერატურო კრიტიკისათვის ვაჟას მხატვრული მემკვიდრეობა კი კვლავ აუხსნელი, გამოუცნობი ფენომენია. ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი გრიგოლ რობაქიძე ლექციებს კითხულობს ვაჟას შემოქმედების შესახებ, ცდილობს მისი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის დასაბუთებას. სხვა კრიტიკოსები კი ვერ ერკვევიან მწერლის ნიჭის თავისებურებაში, უმწიფარ კითხვებს უყენებენ პოეტს, ისეთ კითხვებს, რომლებიც არ გაუჩნდებოდათ მათ ცოტა მეტი რომ ეშრომათ და სრულად გასცნობოდნენ მწერლის უკვე გამოქ-

[1] ვაჟა-ფშაველა, წერილი მარიამ დემურიასადმი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, თბ., 1964 წ., გვ. 215-216.

ვეყნებულ თხზულებებს. კრიტიკა ხშირად აქებს კიდეც მის ნაწარმოებებს, მაგრამ პოეტს არ აკმაყოფილებს ქების მოტივები და დაუსაბუთებელი მონონების პათეტიკა. ეს კარგად შენიშნა ვაჟას შესანიშნავმა მკვლევარმა, პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა. ასევე, ვაჟას დიდმა დამფასებელმა პროფესორმა მიხეილ კვესელავამ თქვა, რომ ერთი კაცის სიცოცხლეც არ ეყოფა იმ შეცდომების და მცდარი შეხედულებების გასწორებას, რაც პოეტის შემოქმედების მიმართ კრიტიკაში გამოითქვაო. აშკარაა, ვაჟა-ფშაველა პირადი უმძიმესი ბედით დიდად უკმაყოფილო, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, ე.ი. ორმოცდაცამეტი წლისა ღრმა სევდით გულდამძიმებული, ამქვეყნიდან წავიდა. სიცოცხლეში ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ რობაქიძის გარდა, სათანადოდ ვერავინ შეიცნო მისი ნიჭი. უფრო მეტიც, საშუალო რანგის კრიტიკოსები მიუტევებლად გულუბრყვილო შეფასებებს ასმენინებდნენ პოეტს და იმგვარ კითხვებს აძლევდნენ, რომლებიდანაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, ასეთი შინაარსი ვლინდებოდა: ჩვენ არც შინაგანი უნარი გვაქვს და არც თქვენი თეორიულ-მხატვრული ნააზრევის მთლიანობის გასაცნობად დაგვიხარჯავს საჭირო დრო, ამიტომ სახელდახელოდ გაჩენილ კითხვებზე თვითონ გაგვეცით პასუხიო. ზედაპირული ქებისა და ზედაპირულივე შენიშვნების გამო, პოეტი ხშირად იძულებული იყო კრიტიკაზე ნაწყენი კილოთი ესაუბრა: „ბ. ვართაგავას ძალიან გულით უნდა გაიგოს ამ პოემაში რა ეკუთვნის ხალხს და რა მე, როგორც ავტორს. სურვილი საფუძვლიანია და ღირსი დაკმაყოფილებისა. ამ სურვილს კრიტიკოსისას მე დავაკმაყოფილებ, თუმცა ეს მეტ შრომად მიმაჩნია და თანაც მწყინს, ბ. ვართაგავამ, თუ მას კარგი კრიტიკული ალღო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს, რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა ინდივიდუალური; უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება".[1] ვაჟა-ფშაველას ამ სიტყვებში არაფერია ისეთი, რაც სხვა დიდი მწერლების შესახებ მას ადრე არ ეთქვას

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. 361.

და არ გამოექვეყნებინოს. პოეტს ის აწუხებს, რომ მისი ნათქვამი რუსთველზე, შექსპირზე, გოეთესა და სერვანტესზე, ქართველ და რუს მწერლებზე კრიტიკამ არ გაითვალისწინა და მას უკვე ნათქვამზე ხელახლად ალაპარაკებდნენ, დროს აკარგვინებდნენ. ვაჟას აზრით, მწერლები უსათუოდ დიდად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მაგრამ ისინი სინამდვილის მხატვრული ათვისების თუ შემოქმედებითი პროცესის ზოგადი ნიშნების მსგავსად გამოყენების გამო ჰგვანან ერთიმეორეს. ამიტომ ვბედაო, ამბობს პოეტი, ჩემი თავიც დიდ მწერლებთან ვახსენოო. შემოქმედებითი მიმართებები ერთნაირია, ხოლო შედეგი მისი შეიძლება სხვადასხვა დონის იყოსო.

ვაჟა-ფშაველა უკმაყოფილებას ვერ მალავს იმის გამო, რომ მისი კრიტიკოსები ხალხურ და ინდივიდუალურ ნაწარმოებებს ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებენ, არ ძალუძთ მწერლის შემოქმედება, მისი მიზნები მთლიანობაში შეაფასონ და შემოქმედის ენის თავისებურებებში თუ მხატვრული ოსტატობის არსში გაერკვნენ. ვაჟა, როგორც თვითონ ამბობს, იპ. ვართაგავას კრიტიკის კრიტიკას კი არ უწერს ან საკუთარი თხზულების იდეურ-მხატვრულ შეფასებას კი არ იძლევა, არამედ მხოლოდ აუცილებლად გასასწორებელ კონკრეტულ შეცდომებზე მიუთითებს და მათი თავიდან აცილების მეთოდოლოგიურ გზას უჩვენებს. პოეტს, სამწუხაროდ, თითქოს ბედად დაჰყვა ისეთი კრიტიკოსების „ყურადღება", რომლებიც მის გენიას ვერ სწვდებოდნენ, მაგრამ მას ხან თავს ამეტებდნენ, ეტოლებოდნენ, ჭკვუას არიგებდნენ, ანუ მწერლობას ასწავლიდნენ. არადა, ოცდარვა წლის ვაჟა-ფშაველა უკვე თავისი მსოფლხედვით მხარს უსწორებდა ევროპული ლიტერატურათმცნეობისა და ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზროვნების დიდ წარმომადგენლებს.

ვაჟა-ფშაველა საჭიროდ მიიჩნევდა, რომ კრიტიკოსებისათვის პოპულარული ფორმით განემარტა ხელოვანთა შემოქმედებით ლაბორატორიაში მიმდინარე რთული პროცესები, მიეთითებინა სუბიექტურ პოეტურ ისეთ ფაქტორებზე, რომელთაც პოეტის გარდა, სხვა ვერ ჩაწვდებოდა. ამით იგი კრიტიკას პოეზიის შეფასებისათვის სწორ გეზს აძლევდა. კრიტიკოსები ხშირად აიძულებდნენ ვაჟას მისი ნაწარმოებების არასწორი შეფასებით, რომ მკაცრი ცენზურის პირობებში, შემოვლითი გზით, ქარაგმული მინიშნებებით დაეცვა თავისი თხზულებების მხატვრული სიმართლე. ამგვარ ვითარებაში აღმოჩნდა ვაჟა 1914 წელს, როცა კრიტიკოსმა იპ. ვართაგავამ მხატვრულ ნაწარმოებებში თვით-

მპყრობელური ცენზურის თვალწინ პოეტს კოლონიად ქცეული საკუთარი ქვეყნის მომავალი წეს-წყობილების სურათების დახატვა მოსთხოვა. მან პოეტს წარსულზე ენაწყლიანად წერა ლამის არარაობად ჩაუთვალა, თუკი ქვეყნის საალბათო მომავლის ცხოვრების წესებს არ დახატავდა. არადა, განა სადმე და ოდესმე ევალებოდა პოეზიას, ქვეყნისათვის სოციალურ-ეკონომიკური თუ სამართლის ნორმების გამოგონება-დადგენა? ვაჟას მრწამსით, წარსულისა და აწმყოს ვითარებათა მხატვრული განსახიერებით უნდა გაშინაარსებულიყო მხოლოდ ქვეყნის სამომავლო ცხოვრების განვითარების საჭიროებები და ტენდენციები. ეს ტენდენციებიც თუ პოეტს რაიმეს გამოქვეყნება სურდა, იმგვარი აუტანელი ცენზურის პირობებში, რთული სიმბოლურ-ალეგორიული და მეტაფორული აზროვნების სამოსით უნდა წარმოედგინა. სინამდვილის ასეთი მხატვრული საშუალებებით ათვისების გაგება-განმარტება კი ყველას არ შეეძლო.

სალიტერატურო კრიტიკა ვერ ითვალისწინებდა ფოლკლორულ წყაროებთან მწერლის მხატვრული დამოკიდებულების თავისებურებებს. მრავალ შეცდომას ეს გარემოებაც ბადებდა. ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ნააზრევის გათვალისწინებით ვცადეთ ვრცლად დაგვეხასიათებინა მისი ცნობილი პოემების ხალხური წყაროები, შეგვეფასებინა მათი ღირებულება და რაობა, დაგვედგინა მასალის რეალურობა და მასთან მწერლის მიმართების სპეციფიკა. ამგვარ მიზანს ის ამართლებდა, რომ ამ საგანზე ვაჟა-ფშაველას სრული განმარტებების მიუხედავად მრავალი მკვლევარი კვლავ გამოთქვამს აშკარად არასწორ შეხედულებებს. უფრო მეტიც, უდიდეს შემოქმედს, მოაზროვნეს დღესაც აზრს უსწორებენ, იმის მაგიერ, რომ მისგან ისწავლონ შემოქმედებითი შრომისა და ისტორიული წარსულის შესახებ სიმართლის წარმოჩენის გზები. ხშირად აწმყოდან უგონებენ და მწერლის შემოქმედებას თავს ახვევენ იმგვარ მასალას, რაც პოეტს ხელთ ვერ ექნებოდა, უდგენენ მას მასალის გამოყენების პრინციპებს. ბოლოს, მოგვევლინნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც ვაჟა-ფშაველას მიერ დაწერილი ავტობიოგრაფიის საწინააღმდეგოდ, პოეტის ჩამომავლობა, წინაპრები მიითვისეს, რათა ამით საკუთარი თავი თუ კუთხე განედიდებინათ. წინასწარ დასახული მიზნით, პოეტის წინაპრები ხან ხევში დაასახლეს და ხან ხევსურეთში. საბუთი? რა საჭიროა? ისტორიოგრაფიას მოკლებულ, წერილობითი საბუთების უქონელ მთის კუთხეებში თუ სიმართლეს გვერდს აუქცევ, რაც გინდა, იფანტაზიორე და რო-

გორიც გინდა, ისეთი დასაბუთება მოუნახე, შენს მიზნებს. საკმარისია ის, რომ ყველგან შეიძლება მოხდეს დანაშაული, გააძევონ, ან თვითონ გაიქცეს სადმე კაცი. სწორედ ასეთი ვიღაცის საალბათო წინაპრები ამოგზაურე კუთხიდან კუთხეში, თემიდან თემში და თან აახლე გუშინ გამოგონილი ფანტასტიკური ამბები თუ დასაბუთება. ამგვარი მიზნის მისაღწევად მთხრობელად მონახე ვინმე ოთხმოცდაათი წლის მოხუცი, რომელსაც ხშირად თავისი პაპის მშობლების სახელები და საფლავებიც აღარ ახსოვს, სამაგიეროდ, ახსოვს მეხუთე საუკუნის წინაპრების სახელები, მათი შემდგომი თაობების თანმიმდევრობა და ღვაწლი. ასევე, საკითხავია, ცხრა მთას იქით, სხვა კუთხეში მცხოვრებმა მოხუცმა, რა მოტივით, რა წყაროდან დაიმახსოვრა ფშავის სოფელ ჩარგალში ის ბილიკები, რომლებიც საუკუნეთა მიღმა თურმე გვარების უბნებს ჰყოფდა. ამ დროს ჩარგალშიც იყვნენ მრავლად მოხუცები, მაგრამ ასეთი ისტორიები არავის ახსოვდა. საერთოდ, ერთი კაცის მიერ მოთხრობილი და მხოლოდ ერთი თუნდაც განათლებული კაცის მიერ ჩაწერილი, ხომ არ ჰგავს საკუთარი ჩაძახილის ამოძახილს? საერთოდ, კუთხური ამბიციებით შეპყრობილ ადამიანებს, უსწავლელთ თუ განათლებულთ განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში, როცა მთაში წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დასტამბული ამბების გავრცელების გამო აღნიშნული გრძნობები ძალზე გაუძლიერდათ, შედეგად მოჰყვა ბევრი ფაქტის დამახინჯება. ხალხური მასალის ჩამწერნი ძირითადად ბარელი სწავლულები იყვნენ, მაგრამ მრავალ მათგანს ჩანაწერის, ანუ ტენდენციური მასალის სისწორის შემოწმება არ შეეძლო და ამიტომ გაუცნობიერებლად არასწორ ინფორმაციას ავრცელებდნენ. ამ შეუმოწმებელი, დაუდგენი მასალის ხარჯზე შემდგომ სხვათაგანაც მცდარი განზოგადებები კეთდებოდა. ასე რომ, შეცდომა შეცდომებს ამრავლებდა.

ვაჟა-ფშაველას მიერ საკუთარი შემოქმედებითი პრინციპების შესახებ გამოთქმული ღრმა და ნათელი შეხედულებების მიუხედავად, მოვლენათა აღრევა კვლავაც გრძელდება. თითქოს ტრადიციად იქცა, რომ კვლევა-ძიების ჟამს ანგარიში არ გაუწიონ ვაჟას თეორიულ ნააზრევს ან თვით მეცნიერთა მნიშვნელოვანი დადებითი თუ მცდარი შეხედულებების გამოთქმის ქრონოლოგიას. ხშირად მცდარი შეხედულებების შემცველ ნაშრომებზე არა ჩანს რეცენზენტ-რედაქტორების მუშაობის კვალი. ხომ სასურველია, რომ მრავალჯერ უარყოფილი შეცდომები აღარ გამეორდეს.

დიდად პატივცემულმა უხუცესმა კრიტიკოსმა იპ. ვართაგავამ ვაჟას გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ დაწერა წერილი „ჩემი დაგვიანებული პასუხი ვაჟა-ფშაველას", რომელიც უფრო გვიან 1990 წელს გამოქვეყნდა. ამ ახალ წერილში, ვაჟას მრავალმხრივი, საფუძვლიანი განმარტებების მიუხედავად, კრიტიკოსი ძველ შეხედულებებს ერთგულობდა და მათი დაცვის ჟამს შეცდომები კიდევ უფრო გაამრავლა. კრიტიკოსმა უგულვებელყო ვაჟალოგიაში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დაბადებული მეცნიერული სიახლეები. მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა არც მრავალი ფოლკლორისტული ექსპედიციის მასალები, რომლებშიც ვაჟა-ფშაველას პოემათა ხალხური წყაროების შესახებ არაფერი აღმოჩენილა იმაზე მეტი, რაც თვითონ პოეტმა აცნობა საზოგადოებას. ამის გამო კი კრიტიკოსი ვაჟას თხზულებათ ხალხურობის, იდეურ-მხატვრული შეფასებისა და პოეტური ენის რაობის გარკვევის თვალსაზრისით ისევ ძველ პოზიციაზე დარჩა. ირკვევა, რომ ვაჟა მის მიერვე დასახელებულ პოემების შემოქმედების პროცესში რაიმე, მართლაც არსებულ, მზა ფაბულებს, სიუჟეტებს და სახეებს კი არ ბაძავდა, არამედ ხალხში გაგონილ ორ-სამ წინადადებაზე აშენებდა თავისი მონუმენტური, ორიგინალური ქმნილებების სიუჟეტს.

იპ. ვართაგავა აღიარებს, რომ იგი ვაჟას პოეტური ენის თაობაზე აკაკის აზრს იზიარებდა და სხვა შეხედულებების წინააღმდეგ იყო. არადა, კრიტიკოსის თვალწინ დამკვიდრდა აზრი, რომლის მიხედვითაც ვაჟას პოეზიის სიდიადე, სხვა ფაქტორებთან ერთად, რაფინირებული ზომით გამოყენებულმა ფშაურმა დიალექტმაც განსაზღვრა. უფრო მეტიც, ზოგი მკვლევრის აზრით, ფშაური დიალექტის პოეტური ძალის ათვისების გარეშე ვაჟას მხატვრული თვითმყოფადობა არც გვექნებოდაო.

ვაჟა-ფშაველასათვის ყველაზე მიუღებელი იყო კრიტიკოსის ეს აზრი: თურმე, პოეტმა „...ვერც პოეზიაში და ვერც პროზაში ვერ შემოხაზა საზღვრები საქართველოს მომავალი ყოფა-მდგომარეობისა, ვერ შეჰქმნა, – ფანტაზიის წყალობით მაინც, – ამ მომავლის სახე. მისი ფიქრ-იმედები ჩვენს მომავალს ბედზე უპერსპექტივოა; ამ საგანზე მას არა აქვს არც მეცნიერებაზე დამყარებული და არც უტოპიურის ხასიათის მაინც პოლიტიკურ-სოციალური მთლიანი თეორია". აქვე კრიტიკოსი აგრძელებს: ვაჟამ „...ვერ შეძლო, ვერ მოახერხა თავისი იმედების და წინასწარმეტყველური განჭვრეტის კონკრეტულს ფორმებში ჩამოსხმა, ამ აუცილებელ „დროთა სვლის" სხვადასხვა მომენტების

ნათელი წარმოდგენა. და ეს იმიტომ, რომ ერის მომავალი ყოფა-არსებობა და წეს-წყობილების წარმოდგენა და გამოხატვა მარტო ინტუიციით და მხატვრულის ჭვრეტით ძნელია, თითქმის შეუძლებელია. აქ საჭიროა ღრმა ფილოსოფიური და სოციალური აღმშენი ნიჭი".[1] ამ აზრს გამოთქვამს ახალგაზრდა იპ. ვართაგავა 1913 წელს, როცა ვაჟა-ფშაველას თითქმის ყველა ძირითადი თხზულება გამოქვეყნებული აქვს. იგი თითქმის ოცდაათი წლით ადრე ილია ჭავჭავაძემ აღიარა უნიჭიერეს და ორიგინალურ მწერლად, ხოლო ახალგაზრდა შემოქმედი გრიგოლ რობაქიძე საგანგებოდ ლექციებს კითხულობს XX საუკუნის ათიან წლებში ვაჟას შემოქმედების ეროვნული, საკაცობრიო და თვითმყოფადი ხასიათის გასარკვევად. ქართველი მკითხველი პოეტს თაყვანს სცემს. კრიტიკოსი კი ვაჟას პოემებს ხალხური ლექსებისაგან ვერ განასხვავებს და ტეილორის, კონტის, ჰეგელის, სპენსერის, კოვალენსკის და სხვათა სოციალურ-ფილოსოფიურ შეხედულებებთან მოკამათე პოეტს „ფილოსოფიური და სოციალური აღმშენი ნიჭის" არ მქონედ მიიჩნევს. მისი აზრით, ვაჟა თურმე საქართველოს მომავალი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ მთლიან თეორიას ვერ ქმნის, რადგან მხოლოდ ინტუიციისა და მხატვრული ჭვრეტის დონეზე ყოფილა დარჩენილი. ეს პოეტისათვის მაღლიდან ცქერა და თავის დამეტებაც კი არის რაღაცის ცოდნით. არადა, მას რომ წაკითხული ჰქონოდა ვაჟას სოციალურ-ფილოსოფიური და ლიტერატურულ-ესთეტიკური შინაარსის წერილები: „ნიჭიერი მწერალი", „წერილები მეგობართან", „Pro domo sua", „ფიქრები", „მცირე შენიშვნა", „საგაზაფხულო ფიქრები", „რა არის თავისუფლება", „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი", „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ", „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია", „სად არის პოეზია", „რამე-რუმე", მაშინ მწერლის ფილოსოფიურ-ეთიკურ და ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევს დიდ ფასეულობად მიიჩნევდა. ამ წერილების გაგება-შეფასების გარეშე კი ვაჟას შემოქმედებაზე მნიშვნელოვან სიტყვას ვერავინ იტყვის. კრიტიკოსმა პოეტს რატომღაც საქართველოს მომავალი ცხოვრების სოციალ-პოლიტიკური და სამართლებრივ-ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბება მოსთხოვა თავის მხატვრულ ქმნილებებში. განა სადმე დედამიწაზე პოეზიას უკისრია სოციალურ-პოლიტიკური ან სხვა თეორიების შექ-

[1] ვაჟა-ფშაველა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ქრესტომათია, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, თბ., 1955 წ., გვ. 303-304.

მნა? სამწუხაროდ, ასეთი მოთხოვნის ჟამს ერთმანეთში აირია საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარი სამყაროს რელიგიური, მხატვრული და მეცნიერულ-ფილოსოფიური ათვისების ფორმები და ფუნქციები. მომავლის დროის რაობას შეეხო კრიტიკოსი. ვაჟამაც ოცდაცხრა წლის ასაკშივე მეტად საგულისხმო აზრი გამოთქვა, როცა დრო უსაზღვრო ზღვას შეადარა: „...როცა ამ ზღვაზე იალქანაშვებულ გემს დაინახავ, დაინახავ მანქანებს კაცის ჭკუისა და მარჯვენის ნაოსტატარს, – სრულებით სხვა შნო და ლაზათი ეძლევა ამ ზღვას. დროც ასეთივე უთავ-ბოლო ზღვაა. თუ კაცობრიობის გრძნობამ, გონებამ, აზრმა არაფერი ჩააგდო შიგ, მის მეშვეობით არაფერი გააკეთა, ზურგზე არაფერი აჰკიდა, არაფერს მოგვიტანს და უშნო, ულაზათო სანახავიცაა მაშინ“.[1] მწერალი გვეუბნება, რომ დახასიათებანი წარსულის, აწმყოს და მომავლის დროისა ცარიელი აბსტრაქცია იქნება მათთან ადამიანის ყოველდღიური პრაქტიკულ-შემოქმედებით გარჯის თანაზიარობის გარეშე. წარსულსა და აწმყოს ადამიანის შემოქმედების, მისი გარჯის ფაქტი აშინაარსებს, ხოლო მომავალი დრო აღნიშნულს მოკლებულია. ვაჟას აზრით, ისეთი განუყრელი კავშირი არსებობს დროსა და ადამიანის პრაქტიკულ გარჯას შორის, რომ მათი დაშორიშორება არავის ძალუძს. მომავალ დროს იდეალის ძალით შეიძლება დაუკავშირდეს პოეზიაც და მეცნიერული ჰიპოთეზებიც, მაგრამ მათი რეალიზება ან მოხდება ან არა. ეს დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმ მომავლის დროის ადამიანების მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებზე. პოეტის რწმენით, ადამიანთა მომავლის დროზე ადამიანის პრაქტიკული ღვაწლის გარეშე მსჯელობა და „თეორიების თხზვა“ ყინულზე სიარულს ჰგავს. პოეზიას კი ყველა დროში, როგორც პოეტი იტყოდა, უნახავის დანახვისაკენ მიმ სწრაფი იდეალი ასულდგმულებს. დედამიწაზე არასოდეს უცხოვრია ისეთ პოეტს, რომლის პოეზიაც, რომელიმე ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას საფუძვლად ექცეოდა. ვაჟას მრწამსით, პოეზიას თავისი ბუნებისა და ფუნქციის მიხედვით არ ევალებოდა მომავალი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-სამართლებრივი ნორმების აღმოჩენა-დადგენა. ეს მრავალი სხვადასხვა დარგის მეცნიერების პრეროგატივა იყო. პოეტის ფიქრით, პოეზია მხატვრული იდეალისა და სახეების ძალით განუზომელ მისიას კისრუ-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი (ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები), თბ., 1979 წ., გვ. 166.

ლობდა. იგი საკუთარი ფორმისა და ფუნქციის მიხედვით მარადიულ ადამიანურ სულიერ ფასეულობებს განასახიერებდა და ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებს ერთიმეორესთან აკავშირებდა და ხალხის სულიერ ენერგიას ერთიანი მიზნებისაკენ უხსნიდა გზას. პოეზია სამომავლოდ სულისათვის, ცხოვრებისათვის სასარგებლო ტენდენციებს განჭვრეტდა და სახეებად ძერწავდა. ვაჟა მხატვრულ სახეებში ამგვარ ერის სულის ამამაღლებელ პოეტურ ფასეულობებს ქმნიდა და ეს დიდ საქმედ მიაჩნდა მაშინაც, როცა იპ. ვართაგავამ მის პოეზიას ლამის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. კრიტიკოსის სიტყვით კი „მისი ფიქრ-იმედები ჩვენს მომავალს ბედზე უპერსპექტივოა“.

ვაჟა-ფშაველა კრიტიკოსის საპასუხო წერილში ამბობს: „რაც შეეხება იმას, თუ მე რამდენად შევძელ საქართველოს მომავალი ბედის თუ უბედურების გაჭვრეტა, ამაზე ბ. იპ. ვართაგავას უნდა მოვახსენო შემდეგი: ამგვარი კითხვის პასუხი არ შეიძლება ერთმა ლექსმა, ან მოთხრობამ გამოხატოს, არამედ მთელმა პოეტის ცხოვრებამ, მის მოღვაწეობამ, მთელმა იმის ნაწერებმა. როგორ გგონიათ? არ მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არა მწამდეს, თქვენ გგონიათ, მე კალამს ავიღებდი ხელში?! ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც მგონია: იმ ხიდს, რომლის გადებაც მუშამ შეუძლებლად იცნო, თავის დღეში გასადებლად არ შეუდგება. ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალ ჩვენს ყოფაცხოვრებაზე, ჩვენს ბედზე, არას ამბობენ? ვერაფერი პოეტი ვყოფილვარ, თუ ეს მომავალი არა სჩანს იქ, არა სჩანს ის, რაც „დროთა სვლამ“ უნდა განახორციელოს, დიაღ, იმ დროთა სვლამ, რომელიც თქვენ უმნიშვნელო, ფუქსავატი სიტყვები გგონიათ. თუ მე ნიჭი მაქვს ჭეშმარიტი შემოქმედებისა, უეჭველად წარსულის თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინაარსო სიტყვებია“.[1]

პოეტის ეს განსჯა, მკაცრი ცენზურის გარემოშიც, შემოქმედებითი მრწამსის ჭეშმარიტი შინაარსის გამოხატვის უნიკალური ნიმუშია. პოეტმა საზოგადოდ კრიტიკას უთხრა: მწერლის შემოქმედების საქვეყნო ღირებულების შესაფასებლად საჭიროა მისი მთლიანობაში ათვისება, ღრმა ცოდნა. შემოქმედი უკვდავ სულიერ მოვლენებს მხატვრულ სახეებში ამკვიდრებს, მათ ზოგადსა-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 368.

ყოველთაო ღირებულებებს ნათელყოფს. ეს ღირებულებები თეორიებსა და იზმებში ვერ ეტევიან. თეორიები, იზმები ისტორიის მსვლელობაში იბადებიან და კვდებიან, ხოლო ჭეშმარიტი ხელოვნების, პოეზიის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები ყველა დროს ემსახურებიან, ე.ი. უკვდავნია. პოეტის უწმინდესი ვალი ამგვარი ფასეულობების დამკვიდრებაა და არა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და სხვა ნორმების დადგენა. ჭეშმარიტი ლიტერატურული ქმნილებიდან სხვადასხვა დროისა და პროფილის მეცნიერებმა შეიძლება სულიერების სწორი მიმართულების განმსაზღვრელი შინაარსი თავიანთ საქმეში გამოიყენონ. ხელოვნება სინთეტური მოვლენაა და მრავალგვარ ადამიანურ ინტერესს აკმაყოფილებს. ამიტომაც პოეტის მრწამსით, მისი შემოქმედების უზოგადესი საზრისი, ამა თუ იმ დროს წარმოქმნილი სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფების ბუნდოვანი თეორიების ჩარჩოებში ვერ მოთავსდებოდა. აღნიშნულის დასასაბუთებლად კრიტიკოსს პოეტმა პოემა „ბახტრიონის" სახეთა სისტემა წარუდგინა. პოემის გმირები ზედროულ, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებებს ანსახიერებენ ისე, რომ კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებსაც პასუხი მისცენ. ვაჟას სიტყვით, უსწავლელი ფშაველის მიერ მიამიტად შეფასებულმა ლუხუმის ბედმა დიად სამომავლო საქვეყნო მიზან-ღირებულებებზე მიანიშნა. გმირთა მხატვრული სახეები ყველა დროის დიდებული ადამიანის სულის მოძრაობის საყრდენად სამშობლოსა და თავისუფლების ფენომენების ზედროულ ღირებულებას მიიჩნევენ.

ვაჟა-ფშაველა თავის კრიტიკოსს შეაგონებს, რომ მაინცდამაინც ცხოვრების წინ სირბილი და მომავლის ილუზიური სოციალურ-ნორმატიული თეორიების გაცხადება დიდების გვირგვინს არავის არგუნებს, რადგან მომავალს უშეცდომოდ ვერავინ დაინახავს. ცხოვრების განვითარების, დროთა განახლების და სიახლეთა დამკვიდრების ნამდვილი ბრძოლის გზა წარსულიდან მოდის და აწმყოზე გავლით მომავლისაკენ მიემართება. ამ გზის წარსულის, აწმყოს და მომავლის მონაკვეთებზე სიახლე, მხოლოდ მაშინ შეიქმნება თუკი ადამიანების გარჯა, შემოქმედებითი აზრი მოძრაობს და დროთა კავშირი უწყვეტია. წარსულმა ასაზრდოვა აწმყო, ხოლო აწმყომ უნდა შექმნას პირობა მომავალ სიახლეთა დამკვიდრებისათვის. მომავალი ცხოვრების ნორმატიული სახის შექმნაზე ფანტაზიორობდა მრავალი პარტია. ვაჟას მათი თეორიები არა სწამდა და მტკიცედ იდგა უპარტიო ილია ჭავჭავაძის მიერ განსაზღვრულ ეროვნული, ანუ როგორც თავად ამბობს, „ჯანსა-

ღი ნაციონალიზმის“ ნიადაგზე. კრიტიკოსს კი ვაჟა მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბებელ, მხოლოდ ინტუიციისა და პოეტური ჭვრეტის ამარად დარჩენილი კაცი ჰგონია და იგი რიხიანად მოძღვრავს მას. ილიასა და ვაჟას ეროვნული მსოფლმხედველობრივი პრინციპების შინაარსს ახალი დასები და პარტიები ვერ სწვდებოდნენ, თავგამოდებით კი აკრიტიკებდნენ. ამიტომაც კლავ დიდი ხნით მათ ქვეყანას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფარით ახალი მონობის უღელი მოუპოვეს.

ვაჟა-ფშაველა ცხოვრებისეულ მოვლენათა ჭკუადამჯდარი, აუჩქარებელი განსჯის მომხრე იყო. მისი გაგებით, მოვლენები საანალიზოდ მომწიფებული უნდა ყოფილიყო და შემზადებული განზოგადებისა თუ მათი სამომავლო ღირებულებების შეფასებისათვის. ამის გამო იგი კრიტიკოსის გასაგონად ამბობდა: „ერთი რამ უნდა მოვახსენო პატივცემულ ჩემს კრიტიკოსს: მაინც და მაინც წინ სირბილი და მომავალი ჩვენის ცხოვრების სურათის დახატვა არ არის საჭირო; ამისთანა შრომის შესრულება არავის გვირგვინს გენიოსობისას არ დაადგამს. თქვენ ნუ თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ მომავალს აწმყო ჰბადებს? ...ჩვენც პოეტნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ეროვნულ რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ჰქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის, დღევანდელი ხალხი ცალ-ცალკე და საერთოდ საჭირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითვეული ჩვენგანისა იყოს აზრშეწონილი. დღევანდელს თვითვეულის ჩვენგანის მოქმედებას უნდა იქ მივყვანდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა. თვითვეულის ჩვენგანის მოქმედება, მაშასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც უნდა რომში მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მიმავალი გზით არ წავედით, სწორე გზით, რომს ავცდებით. სწორე გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის...

სამოთხე იმისია, ვინც დიდ მადლსა სჩადის; აწმყო სააქაოა, ხოლო მომავალი საიქიო. სულის მოგება კი მხოლოდ სააქაოს შეიძლება. მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურება“.[1]

ვაჟას განმარტებით, ქვეყნის მომავალი ბედი აწმყოში რეალიზებული მთელი ერის აქტიურ შემოქმედებით გარჯაზეა დამყარებული. ზოგჯერ შორეული წარსულის, ვთქვათ, „ბახტრიო-

[1] ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 369.

ნის" გმირების თავგადასავალი, თანამედროვე უსწავლელ ფშაველს აღაფრთოვანებს, უმაღლეს ეროვნულ ღირებულებებზე დააფიქრებს. მაშასადამე, წარსული აწმყოს ამდიდრებს, აწმყომ კი მომავალს უნდა მოუმზადოს ნიადაგი. ამიტომ ვაჟა მაშინდელი პარტიებს უსაგნო თეორიების თხზვას უწუნებდა და ურჩევდა, კერძოდ, სოციალ-დემოკრატებს, დამდგარიყვნენ ილიას მიერ დამკვიდრებულ „ჯანსაღი ნაციონალიზმის" თვალსაზრისზე, რომელსაც არც ბუნება და არც ცხოვრება არ ეწინააღმდეგებოდა. დრომ განსაკუთრებული ძალით ნათელყო ის, რომ ნაციონალისტები (ილია, ვაჟა) ახალგაზრდა უტოპისტ პოლიტიკოსებზე გაცილებით ღრმად ფიქრობდნენ და განსჯიდნენ საქვეყნო მოვლენებს. ორივე მწერლის თეორიულ-პუბლიცისტური შეხედულებები ამას ადასტურებს.

პოემა „ბახტრიონში" ავტორი ძალიან თვალსაჩინოდ განასახიერებს ფანატიკური გადახრებისაგან თავისუფალი „ჯანსაღი ნაციონალიზმის" იდეას. ნაწარმოების მიხედვით, ერი სამშობლოს, რჯულს, საკუთარ ღირსებებს უნდა იცავდეს, იბრძოდეს, იმარჯვებდეს, მაგრამ სხვა ერთა მოძულედ თუ დამპყრობად არ იქცეს. პოეტს ეამაყება, რომ მებრძოლი, მამაცი ქართველი ხალი მამულს, თვითმყოფადობას ყოველთვის მედგრად იცავდა, რათა თავისუფალი შემოქმედებითი შრომით მიახლოვდებოდა უფლისაგან საყოველთაოდ განწესებულ სრულქმნილებას, ყოფილიყო დედამიწის ერთა მრავალფეროვანი ოჯახის ღირსეული წევრი. ქართველი არ იყო სხვათა დამპყრობელ-დამმონებელი და მიყვებოდა ასეთ აზრს: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება". ამგვარი სული ტრიალებს „ბახტრიონის" სიუჟეტში. ასეთი პრინციპით მცხოვრებ ერს დიდი შინაგანი მონოლითურობა სჭირდებოდა. ეს პათოსი გამოიხატა პოეტის მიერ მოწონებულ და პოემის ერთ-ერთ წყაროდ მიჩნეულ ხალხურ ლექსში: „თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო, ლაშქარი გავაზიაროთ, ერთმანეთს მხარი ვუჭიროთ, მტერი კი დავაზიანოთ". ერთსულოვნების, რაინდული სამართლიანობის და სიყვარულის სულისკვეთება ბატონობს პოემის მიხედვით, საბრძოლველად ამხედრებული მთა-ბარის მცხოვრებთა შორის. ეროვნული ინტერესების დაცვა უნდა ეფუძნებოდეს სიმამაცეს, სინდისიერებასა და ჰუმანურობას. მტერმა სრულიად ალალმართალი ხალხი აიძულა შრომა მიეტოვებინა და მახვილი აეღო ხელში. განმათავისუფლებელი ომი, უფლის ნებით, ყოველთვის ეროვნული ღირსების საქმედ მიიჩნე-

ოდა. ვაჟას აზრით, განმათავისუფლებელი ბრძოლების შედეგად არის დღემდე დედამიწაზე სხვადასხვა ერთა უფლის სურვილით დაწესებული ცხოვრების მრავალფეროვნება. ეს მრავალფეროვნება კი ზოგადად სიცოცხლის უალტერნატივო, მარადიული ღირსება და სამკაული იყო. პოეტს სწამს, რომ საქართველოს მთა-ბარიც დედამიწის ერთ-ერთი უნიკალური კუთხეა, სადაც თვითმყოფადი ნაციონალური ხასიათის ხალხი ცხოვრობს. ეს ხალხიც უფლისა და კაცობრიობის წინაშე ვალდებულია შეინარჩუნოს თავისებურებები, რომელთა შემცვლელი სხვაგან არ იპოვება. საქართველოს მეზობელი დიდი სახელმწიფოების მესვეურებს, ხშირად, ჩვენი ისტორია, კულტურა, ეროვნული ხასიათი კი არ აინტერესებდათ, არამედ ჩვენი მიწის მითვისება სურდათ. არადა, ჩვენი ხალხი დასაბამიდანვე მთელი სხეულით გრძნობდა მშობლიური მიწის სასიცოცხლო მნიშვნელობას. მან იცოდა, რომ უმამულოდ ერის ცხოვრება, მისი ისტორია, სარწმუნოება, კულტურა და, რაც მთავარია, თვით თავისებური ნიშნებით აღბეჭდილი სიცოცხლე, როგორც კოსმიური საიდუმლოებებით განსაზღვრული ფენომენი, ვერ იარსებებდა.

„ბახტრიონის" სიუჟეტში ყველა მარადმოქმედი ღირებულება ცნებათა ენაზე კი არა, არამედ მონუმენტური ეპოსის სახეთა სისტემურობაში გაიხსნა და სიმბოლურ-მეტაფორული პოეტური აზროვნების ველზე გაიფინა. აქ XVII საუკუნის ქართველთა ის ხასიათები წარმოჩნდა, რაც აწმყოსაცა სწავდებოდა მნიშვნელობით, მომავალსაც ანუგეშებდა. მიუხედავად ამისა, პოემას არ შეეძლო ისტორიის, ღირებულებათა ფილოსოფიის თუ სოციალური ფსიქოლოგიის მეცნიერებების როლი ეტვირთა. ამის გამო ავტორისათვის გაუგებარი იყო ის, თუ კრიტიკა რომელი მომავალი ცხოვრების ნორმებისა და თეორიების გაცხადებას ითხოვდა მისგან მხატვრულ ნაწარმოებებში. ვაჟას გაგებით, ჭეშმარიტი შემოქმედნი წარსულისა თუ აწმყოს უმნიშვნელოვანეს სულიერ მონაპოვრებს საკუთარი წარმოსახვის ბრძმედში გადახარშავენ, ისეთ სიახლეს გამოადნობდნენ, რომელიც აწმყოს და ნაწილობრივ მომავალსაც გამოადგებოდა. ხელოვნება, უპირატესად, ისეთ მხატვრულ რეალობას ქმნიდა, რომელიც არ იყო ცხოვრებაში, მაგრამ შეიძლება ყოფილიყო იდეალის სამომავლო მოთხოვნაში. სწორედ ეს იდეალური პოეტური სინამდვილე იყოს ის, რაც ვაჟას აზრით, „დროთა სვლას" უნდა განეხორციელებინა. მხატვრულ სახეთა ურთიერთობაში გამოკვეთილ უმაღლეს სულიერ ღირებულებებს, ცხადია, სამომავლო შინაარსიც ჰქონდა.

ასე რომ, ზეზვა, ლუხუმი, კვირია, სუმელჯი, მინდია და სხვა გმირები თაობათა შთამაგონებელნი იქნებოდნენ მანამ, სანამ ქვეყანას, დამოუკიდებლობისა და მეობის დაცვის მოთხოვნა ექნებოდა. ამიტომაც, მწერლის აზრით, „რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მწვავ საკითხებთან“.[1]

ნიჭიერი მწერლის კავშირი ცხოვრების მწვავე საკითხებთან გულისხმობს, მხატვრული სახეების ძალით ერის უმაღლესი და უძირითადესი ღირებულებების იერარქიული სისტემის გაცნობიერებას და დროთა მსვლელობაში გაჩენილი ახალი პრობლემების არსში კარგად გარკვევას. ვაჟას სიტყვით, ნიჭიერი მწერალი შორსგამხედია: „გენიოსს არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად ან მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ; არ შეუძლიან აგრეთვე იგრძნოს დაბალი, მცირე ღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან“.[2] ვაჟა-ფშაველას სწამს, ერისა და კაცობრიობის ცხოვრების ღერძის რეალური არსებობა, მათი კავშირისა თუ აღმავალი მოძრაობის აუცილებლობა. ამ მოძრაობას მიჰყვება და ძალას მატებს სამყაროსეული ევოლუციის, ანუ პოეტის სიტყვით, „თანდათანობის კანონის“ არსებობა. ეს ღერძი იმაგრებს სიცოცხლის საზრისის ცხადმყოფ მრავალ მარადმოქმედ და საყოველთაო ღირებულებას. პოეტის რწმენით, კაცობრიობის ცხოვრების ღერძი დასაბამიერი ღრმა წარსულიდან მოემართება, აწმყოს გაუვლის გულში, მისეულ სიახლეებსაც შეიერთებს და უსაზღვრო იდეალური მომავლისაკენ მიაპყრობს მზერას. სამყარო – ბუნების ღერძის ეს ზეაღმავალი ბრძნული წრებრუნვა შეაპირობებს, მართავს ერისა და კაცობრიობის ცხოვრებას, საერთოდ, სიცოცხლის საზრისის მთელ შინაარსს. ადამიანთა სიცოცხლის სოციალური ფორმები და შინაარსი განსაზღვრულია სამყარო-ბუნების აღნიშნული შემოქმედებითი ძალით. კოსმიურ კანონზომიერებათა და სიცოცხლის თანმხლები მარადიული სულიერი ღირებულებების ურთიერთმიმართების სიბრძნის გაუთავისებლად ადამიანები სრულქმნილებას, იდეალურს ვერ დაამკვიდრებენ. ვაჟა-ფშაველას სიტყვით: „ჩვენი ცხოვრება სრული გამომხატველია ბუნებისა... ვინც ბუნე-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. 295.

[2] იქვე.

ბის ავი და კარგი შეიგნო, იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება. მხოლოდ უნდა მწერალი უყურებდეს ცხოვრებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნების თვალებით".[1] გაცხადდა, ადამიანი, მწერალი, მეცნიერი უნდა განჭვრეტდეს, რომ კოსმოსის მოძრაობის ღერძზეა დამაგრებული და მისგან შეპირობებული კაცთა სოციალურ-ისტორიული ცხოვრების ღერძი. ეს დიადი კავშირი თუ ერთობა, ვაჟას რწმენით, მხოლოდ გენიოსმა შეიძლება აღიქვას, განიცადოს, გაიაზროს და მხატვრულადაც განასახიეროს. ბუნებისეული და კაცთა ცხოვრების თავისთავადი მარადიული ღირებულებები, მათი სუბიექტურ-ობიექტური შინაარსები განუყრელ კავშირში არიან. ეს კავშირი უძევს საფუძვლად კაცობრიობის მხრიდან სამყაროს როგორც მთლიანის მაგიურ-მითოსური, რელიგიურ-მეცნიერული და მხატვრულ-ესთეტიკური ათვისების ფაქტებს. ამგვარი ათვისების მრავალსახეობრიობის გვერდით ბევრზე ბევრი მსგავსებაც არის შესამჩნევი.

ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვისა და მხატვრული წარმოსახვის მიხედვით, მთელი სინამდვილის მოძრაობის უმძლავრესი და უცვეთელი ღერძი, მისი ყოვლისმაარსებელი, ბრძნული წრებრუნვის დანიშნულება სიცოცხლის უკვდავებისა და მშვენიერების საფუძველია.

ამ ყოვლისმომცველი კავშირის ფუნქციის შეცვლა დედამიწაზე არავის ძალუძს, რის გამოც კაცთა არსებობის ყველა ეტაპზე „ბუნება მბრძანებელია", ოღონდაც სიბრძნე-სიკეთით აღსავსე. ვაჟა-ფშაველა კითხულობს: „განა მთელს კაცობრიობას კი ძალუძს, ერთს და ოცს ადამიანს არ ვიტყვი, თუნდა ზაფხული ზამთრად გარდაქმნან, ან ზამთარი ზაფხულად? მზისა და მთვარის ჩასვლა-ამოსვლის ვადა შეცვალოს თავის სურვილისამებრ?"[2] პოეტს ეს შეუძლებლად მიაჩნია. მაშასადამე, ადამიანთა სიცოცხლისა და ცხოვრების პირობანი გარეთ, ანუ კოსმიურ კანონზომიერებათა მოძრაობის უმძლავრეს და ხელითუქმნელ სისტემაში უფლობენ. ამ მოვლენებზეა დამყარებული დასაბამიდან დღემდე ადამიანის სულის მოძრაობის მთელი მრავალგვარობა, მათ შორის პოეტურ-მხატვრული თვითგამოხატვის უძველესი უნარიც. ამგვარი პოზიციიდან კატეგორიულად უარყო ვაჟა-ფშაველამ ჰეგელის აზრი პოეზიის სიკვდილისა და წარმავ-

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 396.

[2] იქვე, გვ. 393.

ლობის შესახებ. მისი აზრით, ადამიანთა გრძნობებისა და ოცნების მარადიული ამოსავალი სამყარო-ბუნების კანონზომიერებები გახლავთ და სანამ ისინი იქნებიან ადამიანს ასეთი თუ ისეთი განცდების შინარსი არ დაეშრიტება და არც პოეზია მოკვდება. აღნიშნულის გამო, პოეტის განმარტებით, შეუძლებელია კაცობრიობამ „...გრძნობა დაკარგოს სიყვარულისა და სიძულვილისა, ჰყოს უარი სიცოცხლეს, ცხოვრებას. თავი და ბოლო პოეზიისაც სწორედ აქ არის“.[1] პოეტი აქ პოეზიის გენეზისის შესახებ მსჯელობს, მაგრამ სხვაგან კი მრავალგზის აღნიშნავს, რომ რელიგიური გრძნობებისა და მეცნიერული მიგნებების საფუძველიც ბუნებრივ-სოციალურ ფენომენებზე დაკვირვებაა. მაშასადამე, ბუნებისა და კაცთა ცხოვრების მაარსებელი ერთიანი ღერძის არსებობა განსაზღვრავს იმას, რომ ადამიანებმა ვერასოდეს ჩამოაშორონ პოეზიას სიყვარულ-სიძულვილის, სევდა-სიხარულის, სიკეთე-ბოროტების, სიცოცხლის წყურვილის, სიკვდილის შიშის და სხვა მარადიული გრძნობები. გრძნობათა აღნიშნული სისტემა არის პოეზიის უკვდავების საწინდარი. ეს გრძნობები და მათი მოქმედების პირობანი დასაბამიდანვე მკვიდრად არის ფესვგადგმული პიროვნების, ოჯახის, ერის და კაცობრიობის თვითმოქმედების უწყვეტ პროცესში. ასე უკავშირდება პიროვნება ერს, ერი კაცობრიობას, ხოლო კაცობრიობა სამყარო-ბუნების საყოველთაო კანონზომიერებებსა და საზრისს. მთელი ხილული სინამდვილის ქმედება-მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება, ვაჟას რწმენით, სიცოცხლის განგრძობა, სრულქმნა და დედამიწაზე ცხოვრების მშვენიერების დაფუძნებაა. ამგვარი კოსმოგონური და სოციალური თვალსაზრისი უძევს საფუძვლად ვაჟა-ფშაველას მრავალი ქმნილების და მათ შორის „ბახტრიონისა“ და „გველის მჭამელის“ მხატვრულ სახეთა სისტემურობას.

პოემები „ბახტრიონი“ და „გველის მჭამელი“, მართალია ეთნოგრაფიულ ნიადაგზე აღმოცენდნენ, მაგრამ ადამიანური ურთიერთობების შინაარსი კი აივსო მასშტაბური ეროვნული და საკაცობრიო ინტერესებით. „ბახტრიონში“ პატრიოტული გრძნობა, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა თუშ-ფშავ-ხევსურთა ტრადიციული ცხოვრების ფონზე გამოიხატა. ერთბაშად იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავისუფალი მთიელების ცხოვრება, მათი მოქმედი წეს-ჩვეულებები ეპიკურ მხატვრულ აზროვნე-

[1] ვაჟა-ფშაველა, „სად არის პოეზია?“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 393.

ბას დიდ გასაქანს აძლევდნენ. მაგრამ შემოქმედისათვის ეს საკმარისი არ იყო. ტრადიციული მასალა საჭიროებდა ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეთიკურ-ესთეტიკური ნააზრევის გამოყენებას, რათა მარტივ, საკმაოდ ერთფეროვან გარემოში რთული ინდივიდუალური ხასიათები გამოკვეთილიყო. ეს ასეც მოხდა. „ბახტრიონის“ ყველა პერსონაჟი დამოუკიდებელი, ინდივიდუალური ხასიათის მატარებელია. ამის ცხადსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ კვირიასა და სანათას საუბარი, ლელასა და კვირიას შეხვედრა, ლუხუმისა და ზეზვას სახუმარო-საბრძოლო შერკინება და მათ მიერ წარსულის მოგონება, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას ეპიკური გმირის სულიერ შესაძლებლობებზე. მაგალითად, პოემის სულ მცირე სიუჟეტურ ეპიზოდში გამოჩენილი ქადაგის სახე გულგრილს არ დატოვებს მკითხველს და მას უნებლიეთ უძველესი მითოსურ-რელიგიური წარმოდგენების ლაბირინთებში გაიყოლებს. ქადაგის სიტყვები და წარმოდგენები შემდეგ ლაშქარმაც თავისებურად გაითვალსაჩინოვა. პირობითად წარსულის სიღრმისკენ მიმართული ზედროულობა შეიძლება ვუწოდოთ იმას, რითაც შემოქმედმა პოემის მკითხველი უძველეს წარმოდგენათა წიაღში დააბრუნა. პოეტის ფანტაზიას თითქოს კიდევ არ ყოფნის დრო და სივრცე სახეებისათვის. პოემის ბოლო თავში მან მითოსურ საოცრებათა სამომავლო ფუნქციაც გამოძერწა და შემოქმედებით იდეალთან დააწყვილა იგი; მითოსი პოეტური განზოგადების მოკავშირე გახდა. დაჭრილი ლუხუმი გველმა განკურნა; ხევისბერი კვლავ ლაშარის გორზე უნდა ავიდეს და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მონუმენტურ სახე-სიმბოლოდ დაემკვიდროს, რათა უსაზღვროდ გააფართოვოს ჩვენი წარმოდგენები ომში გამარჯვების მნიშვნელობაზე. ასე რომ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული ლოკალი, მისი სივრცე და დრო როგორც წარსულის, ისე მომავლის გამოხატვის თვალსაზრისით დიდ მწერალს უსაზღვრო პერსპექტივის სახით წარმოუდგა. ვფიქრობთ, ამიტომაც ეპიკური სახეების ძერწვის ოსტატობა თვალშეუდგამ სიმაღლეზე ავიდა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მიმართება მითოსიდან ორიგინალურია. პოეტი საგანგებოდ სადმე წიგნებში კი არ ეძებდა მითოლოგიურ გადმოცემებს, არამედ ყმაწვილობიდანვე უშუალოდ თვითონ ისმენდა მისი დროის ფშაველთა მონათხრობს. ხალხთან ცოცხალი ურთიერთობის ჟამს ათვისებული მითები, მართალია, ხშირად ფრაგმენტული და დროთა სვლაში ტრანსფორმირებულიც იყო, მაგრამ ძირითადი არსი მაინც შემონახუ-

ლი ჰქონდა. ეს მასალა, პოეტურად განცდილი და გააზრებული, დიდ მნიშვნელობას იძენდა მწერლის თხზულებათა მხატვრულ სტრუქტურაში. „ბახტრიონში" მითოსური, ასტრალური და რელიგიური წარმოდგენები განუზომელი მხატვრული ფუნქციით არიან დატვირთულნი. ისინი პოეტის ნიჭმა მტკიცედ დაუკავშირა პოემის მხატვრული მოქმედების განვითარების პროცესს. ამის დადასტურებაა პოემის ცნობილი სიუჟეტური ეპიზოდები: კვირიას სიზმარი, ქადაგისა და ლაშქრის მიერ ლაშარის ჯვრის ფიზიკური ხილვა, ლელას სიზმარი და ბოლოს გველის მიერ დაჭრილი ლუხუმის მკურნალობა. ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში მითოსურ მასალასთან შენივთებულადაა წარმოდგენილი წესჩვეულებათა და საყოფაცხოვრებო რიტუალების მნიშვნელობა. „ბახტრიონის" პერსონაჟები არა მარტო განასახიერებენ ადათებისა და რიტუალების ფუნქციებს, არამედ ყოველივე არქაულის მიმართ დიდ სიმპათიასაც ავლენენ, რადგან მათში ჩანს ხალხის სულიერ-ზნეობრივი ცხოვრების ჭეშმარიტი შინაარსი. ისინი ისეთნაირადვე განიცდიან ტრადიციულს, როგორც განიცდიდნენ მათი წინაპრები. ამის გამოც ხევისბერ ლუხუმს წინაპართა „ქება-დიდებით გული ვერ მოუფხანია". პოემის მხატვრულ სიუჟეტში წარმოდგენილია წინაპართა კულტიც და კულტი ტრადიციული ადათ-წესების, რელიგიურ-მორალური ნორმობისა. ამის გამო ნაწარმოების პერსონაჟები ტრადიციით შემუშავებული მითოსური, ასტრალური და რელიგიური მოვლენების მიმართ ერთნაირ შეფასებებს ავლენენ. ლუხუმი და მთელი ლაშქარი ერთნაირად შეაწუხა კვირიას ავი ბედის მანიშნებელმა სიზმარმა. ასევე ქადაგიცა და ჯარიც ერთი მეორის მსგავსად ხედავენ და განიცდიან ლაშარის ჯვრის გამოცხადებას. აქ წარმოჩენილი რწმენის ერთობა ეთიკური შეხედულებების ერთობასაც გულისხმობს. ბუნებრივია, როცა წიწოლას საქციელს ლაშქარში შემწყნარებელი არავინ აღმოაჩნდა. ხალხის და პიროვნებათა ღირებულებითი ორიენტაციები იგივეობრივი თვითშეგნებით თუ იდეალით არის განპირობებული. ჭეშმარიტი გმირი, ხალხის წარმოდგენით, წარსულის, აწმყოს და მომავლის იდეალური კუთვნილებაა. ამიტომ ვაჟაც ცდილობს გმირს შეუნარჩუნოს ზედროული მითიური სახე. ნაწარმოების ბოლოს ფშავ-ხევსურთა ლაშქრის ბელადი ლუხუმი გაუჩინარდა. ნაწარმოების სიუჟეტში გაჩნდა უსახელო პერსონაჟი ან პერსონაჟები გმირის საალბათო ბედის მაუწყებელნი. ისინი „იტყვიან", რომ სასიკვდილოდ დაჭრილ ლუხუმს, მთის ძირას, უღრან ტყეში, მრავალი ცოდვის ჩამდენი

ვეება გველი მკურნალობდა. სხვათა აზრით, გველმა, „ამბობენ: შააძლებინა სნეულსო ფეხზე დადგომა; ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!“ ირკვევა, პოეტს არ სურდა ქვეყნისთვის მოამაგე ბრძენკაცისა და უებრო მებრძოლის ცხოვრებისათვის წერტილი დაესვა. ისევე, როგორც „სტუმარ-მასპინძლის“ გმირები, „ბახტრიონშიც“ ნაწარმოების დასასრულს ლუხუმი ლეგენდისა და მითის ქმნის გარემოში წარმოისახა. პოეტმა სასურველად მიიჩნია ლუხუმის გმირობის მითოსური ფორმითა და შინაარსით უკვდავყოფა. იგი მითოსური წარმოდგენების სამოსელით შეიმოსა. ვაჟა-ფშაველამ ლუხუმი ბახტრიონის გამარჯვების შემდეგაც ქვეყნის, ერის ცხოვრების დაუსრულებელი საბრძოლო მომავლის თანმდევი გამარჯვებების სახე-სიმბოლოდ დასახა. იგი ღვთაებრივი თუ მითიური ძალმოსილებით მკვდრეთითაც უნდა აღდგეს, ამაღლდეს ლაშარის, ანუ ბერმუხის ანგელოზის წმინდა მთაზე, რათა იქედან მუდმივად დაჰყურებდეს ერის თვითარსებობას, სდარაჯობდეს მის მარადიულ სამოქმედო იდეალებს.

ცნობილი მკვლევარი აკაკი ბაქრაძე მითოლოგიური თვალსაზრისით განიხილავს ლუხუმის ბედს. მისი განმარტებით, „ბახტრიონშიც“ და ხალხურ ლექსშიც „...მკურნალი გველი მითოლოგიური სახეა“. სხვა ქვეყნების მითოლოგიაშიც „რგოლად დახვეული გველი ნიშნავს მსოფლიო სიცოცხლეს, რომლის მაგიური ძალაა ასტრალური სინათლე“. მეცნიერის ფიქრით, „საერთოდ წმინდა გიორგი და კერძოდ, ლაშარის წმინდა გიორგი სინათლეს უკავშირდება... ლაშა კი მანათობელი, გამანათებელია, ე.ი. სინათლეა. ლაშარის წმინდა გიორგი რომ ასტრალური სინათლეა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ლაშარის ზეციური, ანუ მზიური ჰიპოსტასი ხარია, ხოლო ლაშარის სადგომი – მუხა. მითოლოგიის თანახმად, მუხა მზის ბინაა. ერთი სიტყვით, ყოველი მხრით, ლაშარი ასტრალურ სინათლეს უკავშირდება“.[1] ა. ბაქრაძის აზრით, წმინდა გიორგი ნათელიც არის და „უმზეურიც“, ე.ი. არა ნათელი. ლაშარის არა ნათელ სახეს, ქვესკნელურ-მიწიერს გველი წარმოადგენს: „ლაშარი ლუხუმს გველის სახით გამოეცხადება. გველი ხომ ასტრალური სინათლის ხტონური ჰიპოსტასია, რომელიც სიცოცხლეს განასახიერებს“.[2]

ირკვევა, რომ ლაშარის წმინდა გიორგი მზიური ნათლით წინ უძღვის ლუხუმის ლაშქარს, ხოლო „უმზეური“, ანუ მიწიერ-გვე-

[1] აკაკი ბაქრაძე, ფიქრი და განსჯა, 1972 წ., გვ. 111-112.
[2] იქვე.

ლური სახით მოვლენილი კი დაჭრილ გმირს სიცოცხლეს უბრუნებს. „ბახტრიონის" მიხედვითაც ლაშარის წმინდა გიორგი ის ღვთაებაა, რომელიც მთელი საქართველოს ბედს, მის თვითარსებობასა და თავისუფლებას მფარველობს. ლაშარი უმაღლესი ადამიანური ღირებულებების რეალიზებისათვის ფიზიკურად მებრძოლი ღვთაებაა. იგი ანტიკური საბერძნეთის ღვთაებებივით ომებში ხილულად მონაწილეობს.

ოცდაათი წლის ვაჟა, როცა „ბახტრიონს" წერდა, იმავდროულად ილია ჭავჭავაძის „ივერიაში" ხანგრძლივად (1889-1893 წწ.) ბეჭდავდა სტატიების სერიას ზოგადი სათაურით: „წერილები მეგობართან". ამ წერილებთან პარალელურად „ივერიაშივე" გამოქვეყნდა პოემა „ბახტრიონიც" და ამ მოვლენამ საოცარი ძალით ცხადყო შემოქმედის პუბლიცისტური აზრისა და მხატვრული მიზან-სწრაფვების დიადი კავშირი. პოეტი წერილებში ღრმა სოციალურ-ისტორიულ პრობლემებს განიხილავდა და აღნიშნავდა: „ყველა ერს, რომელსაც ერობა ეთქმის, აქვს ისტორია, აქვს წარსული, აქვს საკუთარი ისტორიული იდეალი ანუ ისტორიული ანდერძი... დაღუპულია ის ერი, რომელსაც ისტორია არა აქვს, რომელსაც ხატად წინ არ უდგას საკუთარის ისტორიის ანდერძი". მწერლის სიტყვით, „დიაღ, წარსული ცხოვრება არის ფაქტი და ამასთანავე, მიზეზი, რომელსაც მოუტანია ნაყოფი აწმყოსათვის". ერმა უნდა „...იცოდეს, იცავდეს და ახსოვდეს პიროვნული დაუსრულებელის სიცოცხლისა".[1]

ყოველ ერს ეფასება თავისი წარსულის დიდება. იტალიელები ამაყობენ გარიბალდისა და მაძინის სახელებით, ხოლო ქართველებს აღგვაფრთოვანებს ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის და თამარის საქმეები, – ამბობს ვაჟა-ფშაველა. „სწორედ ეს დიდებულნი კაცნი არიან მასულდგმულებელნი ყველა ერისა, სამარიდანაც კი ისევ სამსახურს უწევენ თავის ქვეყანას; იმათი კეთილი საქმე ჩვენთვის მისაბაძი მაგალითია. სწორედ ეს დიდებულნი კაცნი, როგორც სიცოცხლის, ისე სიკვდილის დროს, დედაბოძად უდგანან ერსა და იმის თვითარსებობის იდეას".[2]

პოეტი თაყვანს სცემდა ქართველთა სახელოვან მეფეებს, ასევე, ზეზვას, ლუხუმის, სუმელჯის და მინდიასნაირ სახალხო გმირებს. იგი არასოდეს ივიწყებდა მითოლოგიურ-რელიგიურ გადმოცემათა ისეთ სახეებს, როგორნიც იყვნენ: ამირანი, კოპა-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1979 წ., გვ. 189-190.
[2] იქვე, გვ. 191.

ლა, პირქუში, იახსარი, პირცეცხლი, წმინდა გიორგი. ვაჟა-ფშაველას ეროვნულ-პატრიოტული თვალსაზრისი და მხატვრული მიზნები მოიხმობდა დიდებულ ადამიანებს და განუმეორებელ პოეტურ სახეებად წარუდგენდა მათ თავის მკითხველს. მისი აზრით, ცხოვრებაში მოქმედნი და ღმერთკაცად ხალხის მიერ გარდასახული „დიდებულნი კაცნი“ ედგნენ უძლეველ ბურჯებად ერის „თვითარსებობის იდეას“, მის ზნეობრივ იდეალებს.

პოეტმა დიდებულ კაცთა ღირსებები, მათი კონკრეტულ ისტორიული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებითი მრწამსი შეუდარებელი ძალით „ბახტრიონსა“ და „გველის მჭამელში“ გამოძერწა. ეს პოემები დედააზრით მონათესავენია, მაგრამ პოეტურ სახეთა შინაგანი სტრუქტურით დიდად განსხვავებულნი. ორივე ქმნილება მკითხველის ღრმა დაფიქრებას, ცოდნას, ნაირგვარ ღირებულებათა არსში გარკვევას და პიროვნების სულიერ-გონით შესაძლებლობათა მაქსიმალურ კონცენტრირებას მოითხოვს. ამ პოემებში თითქმის ერთნაირი ძალით იშლება ავტორის მსოფლხედვისა და შემოქმედებითი მიზანდასახულობის სიბრძნე, უმაღლესი ადამიანური ღირებულებების ურთიერთმიმართების საზრისის მასშტაბური სურათები. მხატვრული განსახიერების შეუდარებელი უნარით ბუნების გონიერება-მშვენიერება შეწონასწორებულია მრავალმხრივ სოციალურ მოვლენებთან. ამ პოემების მხატვრულ სტრუქტურაში ბუნებისა და ადამიანის დასაბამიერი აუცილებელი კავშირის სპეციფიკას ეფუძნება სინამდვილის ათვისება-გაშინაარსების მითოსური, რელიგიური, მეცნიერულ-ფილოსოფიური და პოეტურ-შემოქმედებითი ფორმები. ამ ზოგადსაყოველთაო ღირებულებათა სისტემურობაში უნდა გაცხადდეს ყველა სოციალურ-ადამიანური პრობლემის ავ-კარგიც. სინამდვილის შემოქმედებით-მხატვრული გაცნობიერება ყველაზე მეტად ვერ ეგუება დოგმებს, იზმებს, „თეორიის მთხზველთა“ მიერ დაწესებულ ჩარჩოებს. პოეტური აზროვნება ყოველწამიერ მიმართულია სამომავლო იდეალზე, მეტწილად მისი რეალიზების მხოლოდ შესაძლო იმედზე. ეს წესი კი ვერ დაემონება სამყაროს ამთვისებელ ცნობიერების სხვა ფორმათა ნორმატიულ ჩარჩოებს. ას წელზე მეტია მეცნიერებას სურს ერთ იდეაზე დაიყვანოს, საკუთარ ნორმებს დაუმორჩილოს პოემა „გველის მჭამელი“, მაგრამ მისი იდეალურ მომავალზე მიმართული ღირებულებათა სისტემა, ამ სისტემის მოთხოვნილებათა მრავალგვარობა ერთი კი არა, მრავალი მოძღვრების ნორმებშიც ვერ მოთავსდება. პოემაში იდეალზე, სამომავლო სურვილებზე

მიმართული სულიერი ღირებულებების პოლიფონიურობა და მხატვრული ფანტაზიის სილაღე ბატონობს, მათ კი მის გარეთ შექმნილი თეორიული ჩარჩოების მორგება არ ძალუძთ. ვაჟა ადათებს, ნორმებს, რიტუალებს კი იყენებს, მაგრამ მხატვრული სახის იდეალური ღირებულებითი სურათის შესაქმნელად და არა ჩარჩოდ. ამგვარ შემოქმედებით-მხატვრულ პრინციპს ეფუძნება „გველის მჭამელის" სახე-სიმბოლოები.

„ბახტრიონის" ლუხუმმა გააცოცხლა ყველა ის მაღალადამიანური სწრაფვა, მიზანი, რომელიც მამულის, ასევე წინაპართა ღვაწლისა და, საზოგადოდ, მტერ-მოყვრის დაფასებას გულისხმობდა. ლუხუმი პატრიოტულ იდეალს ღიად, ცხოვრებისეულად, შინაგანი განცდების უშუალობით გამოხატავს. იგი ხასიათით სახალხო კაი ყმაა და ხალხისავე გრძნობებისა და მიზან-ღირებულებების მიმყოლი. მას დაფარული სუბიექტური საიდუმლო არაფერი აქვს.

სამშობლოს ღირსების დამცველია გველის-მჭამელი მინდიაც. ეს სახე პოეტმა „ბახტრიონის" დაწერიდან ათი წლის შემდეგ შექმნა. შემოქმედი აღარ დაკმაყოფილდა ყველასთვის მისაწვდომი ხალხური ხასიათის ჩვენებით და მინდიას ქცევებსა თუ თავგადასავალში გამოკვეთა პიროვნების ცნობიერების ურთულესი მაგიურ-მითოსური, სოციალურ-რელიგიური და ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი საწყისები. ავტორი გასაოცარი სიღრმით ჩაწვდა აღნიშნულ მოვლენათა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ღირებულებით ასპექტებს, რითაც უნდა გამოემზეურებინა დიდებული ადამიანის რთული ხასიათი, მისი ღირსებები და ნაკლი, ცხადია, ერისა და კაცობრიობის უმაღლეს ღირებულებათან შეფარდებით. მაღალადამიანურ ღირებულებათა სიმრავლიდან საქვეყნო მოთხოვნათა შესატყვისი არჩევანის გაკეთება მინდიასთვისაც ძნელი აღმოჩნდა, რამაც მის პიროვნებაში „მესა" და არა „მეს" საბედისწერო წინააღმდეგობა დააფუძნა. ამ შინაგან წინააღმდეგობებში უნდა გაცხადებულიყო მოჩვენებითი და მაღალადამიანური სულიერი ღირებულებების საზრისი. ეს გაცხადდა კიდეც; მინდიას მხატვრულ სახეში პოეტმა ცხადყო, რომ ეგოიზმით შეზავებული სარგებლიანობის მოთხოვნა, ლეშის გასუქება-გალაღებაზე ზეზერედ ფიქრი ადამიანს ღირებულებების რანგობრივ შინაარსში გარკვევის უნარებს უხშობს. წვრილმანი ამრუდებს საყოველთაოდ მნიშვნელოვანს. თუ რა როლი ეკისრებოდა უმაღლეს და უზოგადეს ღირებულებათა საზრისის ამოცნობის პროცესში პიროვნების ხასიათის ფსიქოლოგიურ-ზნეობ-

რივ საწყისებს მინდიას მხატვრულმა სახემ ეს შეუდარებლად ნათელყო. მაგიურ-მისტიკურ პირობითობების დაშვება მხოლოდ მხატვრული საშუალება იყო რთული ხასიათის პიროვნების შეცდომათა არსში გასარკვევად. დასახელებული პოემების მხატვრულ სახეთა ურთიერთკავშირის შინაარსში გაცხადდა ეთნოგრაფიული მოვლენებისა და ახალი დროის ნააზრევის ისეთი სინთეზი, რომელმაც ნათელყო უმაღლესი ეროვნული ღირებულებებით ცხოვრებაში ორიენტირების უსაზღვრო მნიშვნელობა.

თავი XII

ტრადიციული და ახალი ეთიკურ-ესთეტიკური ფასეულობები ვაჟა-ფშაველას კაი ყმის სახეში

ვაჟა-ფშაველას გაგებით, კაი ყმის ხასიათი და მისი იდეალი მთიელთა გვაროვნულ-თემური ცხოვრების წესებისა და რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე ყალიბდებოდა. გმირის ხასიათი თუ სწრაფვები ტრადიციული ნორმების, ადათების, ჩვეულებებისა და ნაირგვარი რიტუალების მეშვეობით გამომზეურდებოდა. კაი ყმის იდეალი საზრდოობდა ოჯახური, სათემო, სატომო ცხოვრების წესრიგით და ამ ლოკალურ მიზნებს ყოველთვის კარგად უხამებდა საერთო საქვეყნო მოთხოვნებს. საკარგყმო იდეალი ტრადიციული შეხედულებების საფუძველზე ხშირად ისეთ სიმაღლეს აღწევდა, რომ მას ზოგადი მასშტაბის გამოსავლენად მხოლოდ განსხვავებული გარემო ან მეფეთა თვალსაზრისით მოზომილი ასპარეზილა სჭირდებოდა. გმირის ხასიათი, სულიერი უნარები თემის გარემოშივე სრულიქმნებოდა საქვეყნო გარჯისათვის. სწორედ ასეთნი არიან ვაჟა-ფშაველას გიგლია, გოგოთური, ივანე კოტორაშვილი, ალუდა, კვირია, ზეზვა, ლუხუმი, ქიჩირი, ჩონთა და სხვანი. ფშაველთა წარმოდგენით, კაი ყმა უშუალობა-უბრალოების გამომხატველი, „თხისტყავიანი“, „სვილისფერა“, თავმდაბალი და მომთმენი ვაჟკაცია. ჯაჭვის პერანგის, „თხისტყავის“ და ლეგა ჩოხის მიღმა გულრკინა მებრძოლი დგას, რომელიც მტერს რისხვად ევლინება. კაი ყმა გონიერი, დინჯი, ცბიერებისაგან თავისუფალი, ნამუსიანი, სიმართლის პირდაპირ მთქმელი და შინაგანი სიმართლითვე მოქმედია. მას ყმაწვილობიდანვე ჩაესმოდა და ზრდიდა ხმა ხალხური საგმირო ლექსისა:

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარნი თუნდაც ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შევარდნისანი“.

კაი ყმა არ არის უაზრო ფიზიკური ძალის განსახიერება, მან იცის, თუ რა მოვლენები, რა ღირებულებები არის თავგანწირვის ღირსი ან რომელი ფასეულობისათვის და მიზან-ღირებულებისათვის უნდა იბრძოლოს. მისთვის ოჯახის სიწმინდის და სამშობლოს დაცვა მთავარი საზრუნავია:

„კაი ყმა ცოლზე მოკვდება,
მამულსა საკუთარზედა“.

ან

„კაი ყმა ლაშქარს მოკვდება,
სწორების მჯობინობასა“.

ჭეშმარიტი გმირი თემ-სოფელში, საზოგადოდ, ურთიერთობისას წინდახედული, მომთმენი, შინაგანად გაწონასწორებული ადამიანია. იგი თავის სავაჟკაცო თავგადასავლებზე არ ლაპარაკობს, არასოდეს ტრაბახობს და ზედმეტად არც ქალთა ტრფიალებას ჰყვება. ცხადია, კაი ყმა ხალხური ზნეობისა და რწმენის ერთგულია, თავს ამიტომაც სირცხვილში არ ჩაიგდებს. გმირის სულის მოთხოვნებს პასუხობს აზრი ამ ხალხური ლექსის სტრიქონებისა:

„ღვინო კი მათრობელი სჯობს,
ძაღლი თეოზე მყეფარი;
ვაჟკაცი დინჯი სჯობია,
რო გაჭირდება – მჭეხარი.
ჩალად არა ღირს ვაჟკაცი,
დიაცთ მიმყოლი, მკვეხარი“.

კაი ყმა დაფარული შინაგანი სიამაყის მფლობელი, საქვეყნო სიკეთისა და მადლის მსახური ყოველთვის მზად არის თავგანწირულად გაისარჯოს სახალხო საქმისათვის. იგი ღვაწლისათვის არაფერს ითხოვს. მიუხედავად ამისა, მას მოლექსეები, თანამემამულენი ქებას ასხამენ და სიკვდილს გმირისას კი თემები ერთობლივ გლოვობენ. კაი ყმის მიმართ ხალხის დამოკიდებულებაში ნათლად იკვეთება უძველესი ხანიდან მომდინარი არქაული ზნეობრივი გრძნობები და შეფასებები. ხალხი საუკუნეთა მანძილზე აწრთობდა, ინახავდა, ახალ-ახალ ფორმას აძლევდა რაინდული სულისკვეთების გამოხატვის ტრადიციებს. მრავალი სხვა ხალხის მსგავსად, ფშავლებსაც სწამდათ სულის უკვდავება, საიქიო ყოფნა. მათი რწმენით, კაი ყმებს ადრე გარდაცვლილი გმირები იმქვეყნად დიდი ზეიმით ხვდებოდნენ. უფრო მეტიც, დამბადებელმა ზოგი ხალხისათვის თავდადებული გმირი ღვთისშვი-

ლად, სალოცავად, ხატად აქცია და მათ ამა თუ იმ თემში თაყვანს სცემდნენ. ვაჟას ცნობით, ფშავლებს გაღმერთებულ მიწიერ გმირებად მიაჩნდათ კოპალა, იახსარი, პირქუში, პირცეცხლი, რომლებსაც დღესაც ლოცულობენ. გამორჩეული ადამიანების გაღმერთების ტრადიცია, გმირი წინაპრების კულტი ფშავში ძლიერი ყოფილა. ეს გრძნობა იყო მათი სულიერების ბურჯი.

ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს ფშავლების მიერ თამარ მეფის სალოცავ-ხატად დასახვა და ღელის გორზე, მზის სალოცავის ადგილზე მისი საბრძანისის დაარსება.

უძველესი დროიდან მოდიოდა რწმენა იმისა, რომ გმირებზე, კაი ყმებზე დამბადებლისაგან, მორიგე ღმერთისა და კვირიასაგან გადმოდიოდა გამორჩეული ბედ-იღბალი მადლი და ღირსებები. ბევრი კაი ყმა ამიტომაც „ნაწილიანად" ანუ დაუმარცხებელი იღბლის, „დავლათის" პატრონად იყო მიჩნეული. დავლათიანობა, ნაწილიანობა ზოგჯერ ადამიანის სხეულზე ნათლის გამომცემი ნიშნით (ნაწილით) ფიზიკურადაც გამოიხატებოდა. ამგვარი ხალხური რწმენა შეიძლება სულაც მნათობთა თაყვანისცემის ხანიდან იღებდეს სათავეს. ფშავში კი მზისა და მთვარის თაყვანისცემის ტრადიცია მკაფიოდ იყო გამოხატული. აკი ვაჟაც ბრძანებდა, „წყლული მზედ გამომესახა, ქვეყანა შუქით აავსო". დღესაც მოხუცი ფშაველი რაიმეს დასაჯერებლად კრძალვით შემოგფიცავს: „მოღალულის მზის მადლმაო" და სასოებით შეხედავს მნათობს. არა მარტო გამორჩეული ადამიანი, კაი ყმა, არამედ ზოგი ღვთისშვილიც „ნაწილიანად", დავლათიანად ითვლებოდა და თავის ყმათ ბრძოლის დროს „გამმარჯვედ" ევლინებოდა. ამგვარი რწმენა ჰქონდათ ფშაველებს ლაშარისჯვრის მიმართ. საბრძოლველად, ანუ ტყვეების დასახსნელად მიმავალი გიგლია ახადელმა ფშაველმა ქალმა ასე დაახასიათა: „გიგლიამ შამაიარა, შუქი მისდევდა კვალადა, ავი შენს დამწყევს მიეცეს, – ეგ მტერს დაჰხვდება ავადა. მწედა ჰყავ ლაშარის ჯვარი და ეყოლება კვლავადა". ფშაველთა უძველესი რწმენით, სალოცავი ხატისა და გმირის ნათლით მოსილება უდიდესი ძალა და სიწმინდე იყო. ისინი ციდან ნათლის სვეტად ჩამოდიოდნენ მიწაზე: მეზობელი ჩარგლელი ქალიც ამ სიტყვებით მიაცილებს გიგლიას ლეკებთან საბრძოლველად: „შამასწვრას ლაშარის ჯვარმა, მოხვიდე გამარჯვებული, გეკიდოს მტრისა ხელები, მხარ-იღლივ გადაგდებული". საერთო სახალხო გამარჯვების სიმბოლოდ, იმედად, შემწედ არის დასახული „ბახტრიონშიც" ნათლით მოსილი ლაშარის ჯვარი. რუსეთში მებრძოლი ფშაველი ჯარისკაცი დედას სწერს:

„როცა ომი გვაქვ ქართვლის ჯარს, ნათელი გვიძღვის ღამითა; კაცი-რამ ლურჯ-ცხენიანი, ამოღებულის ხმალითა, მაღლიდან თავზე დაგებრუნავს ტურფა იერით, ტანითა. სახე აქვს შავად მოცული მას დიდის კაეშანითა. ეს ჩვენი ჩუმი მფარველი ლაშარის ჯვარად ვცანითა“. ლაშქართა მფარველი, დავლათიანი, ნაწილიანი სალოცავი ლაშარის ჯვარი, ფშავლების რწმენით, მათი მუდმივი შემწე იყო. ასე რომ, ნაწილიანი სალოცავები და მათგან მადლმოსილი დავლათიანი კაი ყმები ერთად ამარცხებენ მტერს, ბოროტებას. ფშაველ მებრძოლთა რწმენით, ლაშარის ჯვარი ლაღია. რუსეთში მებრძოლებს კი კაეშნით მოცული ეჩვენება. ამ ნათქვამს, ცხადია, ღრმა აზრი ახლავს. კაი ყმის გაღმერთებისათვის ნიადაგი წუთისოფელში მზადდებოდა. გმირთა სულებმა უხსოვარი დროიდანვე აღიარეს წმიდათაწმიდად სამშობლო, სისხლით ნათესაობა, ერის ისტორიული ბედის ერთობის წარუვალობა, რჯულისა და ისტორიის თვითმყოფადობის ძალა. ამ ფენომენების ღირებულებითი საზრისის მარადიული განცდა ასაზრდოებდა გმირობას, ხალხის სულის სიმაღლესა და სიმტკიცეს. ყველა დროის ადამიანი ინტუიციურად ან ლოგიკური განსჯით მიეახლებოდა საკუთარი მოდგმის, ჯიშის, ერის თვითმყოფადობის ისეთ საფუძვლებს, ისეთი უკვდავი ღირებულებების გაგება-დაფასებას, რომელთა შექმნა თუ მონიჭება სხვა ერისაგან შეუძლებელი იყო. მამულს, ეროვნულ ხასიათს, ენას, ისტორიული ბედის ერთობის ღრმა შინაგან რწმენას, სიცოცხლეს და კულტურას ერთიმეორეს განსხვავებული მოდგმის ადამიანები, ხალხები ვერ შეუქმნიან, რადგან ეს მარადიული ფასეულობები დასაბამიერ ზეციურ იდუმალებას ზიარებული, ანუ დამბადებლის მიერ შექმნილი ფენომენებია. ვაჟა-ფშაველა ხალხური რწმენა-წარმოდგენების ამ ღრმა საფუძვლებს ითვისებდა და აქსოვდა საკუთარ პოეტურ სახეებში. მისი შემოქმედების ნამდვილი ხალხურობაც აქ იკვეთება. მწერლის გმირები ეროვნულ-ეთნიკური სახის შესანარჩუნებლად, სხვათაგან შეუქმნელი თვითმყოფადი ღირებულებების დასაცავად მედგრად იბრძვიან, მტერს მტრულად უხვდებიან, მტერი კი ის არის მათთვის, ვინც მამულის, ცოლის და რჯულის წართმევას უპირებს. კაი ყმის საბრძოლო იდეალი ხშირად ეთნოგრაფიულ გარემოში წარმოიშობა, მაგრამ საყოველთაო-საკაცობრიო შინაარსამდე მაღლდება. აღნიშნული თვალსაზრისით, მრავლისმთქმელი გახლავთ ვაჟას პოემები: „გიგლია“, „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა-ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „სისხლის ძიება“,

და დრამა „მოკვეთილი“. ამ თხზულებებში კაი ყმა, როგორც ინდივიდი, როგორც ტიპი ხალხის ტრადიციული წეს-ჩვეულებებისა და მორალის განმასახიერებელია. იგი ეთნოგრაფიული ყოფის წიაღში იბადება და წარმოაჩენს მრავალმხრივ ბუნებას, თუმცა კარგად ეხამება გმირობის ფენომენის საკაცობრიო გაგებასაც. პოეტის ზოგი კაი ყმა მეფის წინამძღოლობით იბრძვის საქვეყნო საქმისათვის, ხოლო სხვანი კი მხოლოდ საკუთარი ნებით, საკუთარი ინიციატივით აისხამენ იარაღს და იცავენ თანამემამულეთა ღირსებას. ერთნიც და მეორენიც, ავტორის რწმენით, ლაშარის ჯვრის უებრო „პიროფლიანები“ არიან. ინდივიდუალურად მოქმედი კაი ყმის საქციელი თავისუფალ ზნეობრივ არჩევანს ემყარება, მას დროშით წინ არავინ მიუძღვის და არც საბრძოლო გეგმას აძლევს. გმირის ბრძოლა შეპირობებულია საუკუნეებგამოვლილი საომარი გამოცდილებით, ზნეობრივი მოთხოვნებით, ხალხის ცხოვრებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ღირებულებათა დაცვის სულისკვეთებით.

„გიგლია“

ვაჟა-ფშაველა ოცდახუთი წლისა იყო, როცა პოემა „გიგლია“ გამოაქვეყნა. ალბათ, ამის გამო, უშუალო ფორმით უხვად შემოვიდა ტრადიციული წეს-ჩვეულებები და მორალურ-ზნეობრივი ნორმები, მათი მართალი განცდისა და სწორი ზოგადი მნიშვნელობის გამოხატვის შეუდარებელი უნარი. პოემის გმირები გიგლია და მყვირალი ცხოვრების წესით, მიზან-იდეალებით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, რადგან ისინი მოვლენების ხალხურივე თვალსაზრისით შემფასებელები არიან. გმირები წინააღმდეგობის გარეშე ასრულებენ ყველა ნორმას, რაც კი ხალხისთვის მისაღებია. ამიტომაც ისინი წინასწარი შეთანხმების გარეშე გრძნობენ თუ მტრის გამოჩენისას სად და როდის უნდა დაუდგნენ გვერდში ერთიმეორეს. ამიტომ მყვირალი, მხოლოდ სიტყვას დაუტოვებს გიგლიას იმის შესახებ, თუ რომელი გადასასვლელები უნდა შეუკრან ლეკებს. იგი დარწმუნებულია, რომ გიგლია მის გზას მალე გაჰყვება. კაი ყმების ტრადიციული ურთიერთობები და იდეალი ამგვარ ურთიერთმხარდაჭერას საფუძველშივე გულისხმობდა. გიგლიასათვისაც სიკვდილის გარდა, არ არსებობს სხვა ფაქტორი, რომელიც ხელს შეუშლიდა მდევრად წასვლაში. ეს ასეც მოხდა. გიგლია მალე შეუკრავს მტრებს საყორნის ყელს.

მტრისათვის გადასასვლელის შეკვრა კი აშკარად სიკვდილის წინაშე დგომას ნიშნავდა.

პოემაში საოცარი ბუნებრიობით არის ერთმანეთთან შეხამებული ცხოვრებისეული ამბები, ხალხური მორალურ-რელიგიური შეხედულებები და შემოქმედის ღრმა მხატვრული ინტერესები. ამგვარი მოვლენების მრავალმხრივი წვდომა-შეფასება დაედო საფუძვლად კაი ყმების ტიპოლოგიური სახეების გამოძერწვას. მთის საგმირო პოეზიაში და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში დახატული კაი ყმები ერთმანეთს ჰგვანან და განსხვავდებიან კიდევაც. მათი ტიპოლოგიური ერთიანობის თუ მსგავსების ამოსავალი არის რეალური ამბები, ხალხის საერთო ზნეობრივ-რელიგიური შეხედულებები. ვაჟა-ფშაველამ ხალხის ცნობიერების შინაარსი, მისი ისტორიული იდეალი დაუდვა საძირკვლად თავის ეპიკურ სახეებს და ამიტომ არიან ისინი ღრმა ეროვნული სულიერი შრეების ბატონ-პატრონნი. პოეტმა ფოლკლორში, ხალხურ რელიგიურ-ზნეობრივ შეხედულებებში ადათებში, საწესჩვეულებო რიტუალებში ამოიკითხა ქართველური სულის მარადიული თვითმოქმედების შინაარსი. მისი კაი ყმა მოგვევლინა როგორც ხალხის სულის განუყოფელი ნაწილი. იგი გვაროვნულ-თემური, ანუ წოდებრივად დაუნაწევრებელი საზოგადოების შვილია. ვაჟას მხატვრობაში კი ხალხი არ არის რაღაცა აბსტრაქტული მოვლენა; იგი კონკრეტულ ისტორიულ რეალობაში სრულქმნადი ინდივიდების ერთიანობაა. კაი ყმებს ხალხი ქმნის, ხოლო თავის მხრივ, პიროვნებები არა მარტო ინახავენ ხალხის ღირსებებს, არამედ ამდიდრებენ, ავითარებენ კიდევაც მას. ფართო გაგებით, დიდებული ადამიანები, კაი ყმები ინახავენ ყველაზე გამძლე ეროვნულ ფასეულობებს და საკუთარ ხალხს აქცევენ კაცობრიობის დიდი ოჯახის ჯანსაღ წევრად. კაცობრიობა, როგორც განსაკუთრებული სახის მთლიანობა, ვერ იარსებებს, თუკი მას არ შეკრავს სხვადასხვა ერების სისხლსავსე შემოქმედება, ეროვნული თვითმყოფადობით აღბეჭდილი კულტურა. ვაჟა-ფშაველას მსოფლგაგებით, კაცობრიობა თავისი ჭეშმარიტი საზრისის დასაცავად თავგამოდებით უნდა ზრუნავდეს ცალკეული ტომების, ერების ისტორიულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. პოეტის მრწამსით, კარგი, მოსაწონი, საკაცობრიოდ ღირებული პოეტური სახეები, მხოლოდ ამა თუ იმ ტომის, ერის თავისებური ცხოვრების წიაღში იბადებიან. ყოველი ერი შემძლებელიც არის და ღვთაებისაგან უფლებამოსილიც, ქმნიდეს თავის თვითმყოფად სახეს და ამდიდრებდეს მსოფლიო სულიერების

საგანძეს. ვაჟას აზრით, აღნიშნულ მსოფლიო ისტორიულ-კულტურული პროცესიდან გარიყული არც ქართული მთის ის ეთნოგრაფიული გარემო უნდა ყოფილიყო, სადაც კაი ყმები იბადებოდნენ. აქ დაბადებული გმირებიც ემსგავსებოდნენ მსოფლიო ლიტერატურის გმირებს, როცა ყველაზე მაღლა ადამიანური ღირსებების დაცვას აყენებდნენ. ამიტომაც გოგოთურის სულგრძელობა, ივანე კოტორაშვილის მიმტევებელი ხასიათი, გიგლიას, კვირიას და ჩონთას სიმამაცე, ალუდას, ჯოყოლას და ქიჩირის ახლის მაძიებელი შინაგანი სიმართლე დედამიწაზე არავისათვის იქნება უცხო, მიუღებელი, იმის გამო, რომ მთიელის ინდივიდუალური, ძალიან არქაული ცხოვრების წიაღში განსახიერდა. ვაჟას კაი ყმების საქციელს მამულის, ხალხის და რჯულის ერთგულება, თავმდაბლობა, ნამუსიანობა, მიმტევებლობა და რწმენის სიმტკიცე განსაზღვრავს. მათი მოქმედების წამყვან მოტივად ზოგადი სახალხო მიზან-ღირებულებები გვევლინებიან. თუმცა ალუდასა და ჯოყოლასნაირი გმირები ზოგჯერ ვეღარ ეტევიან ტრადიციული ქცევისა და მიზნების ჩარჩოებში, გარკვეული თვალსაზრისით მკვეთრად უპირისპირდებიან გარემოს და საზოგადოება მათ თავისი წრიდან მოიკვეთს. ვაჟას აზრით, ხალხის დიდი სიბრძნის მიუხედავად, პიროვნება წარმოუდგენელია საკუთარი მსოფლგაგების გარეშე. ამიტომ ხალხური და ვაჟას გმირების სრული იდენტურობა არსად დასტურდება.

პოემა „გიგლიას" მხატვრულ სიუჟეტში ფშავის სოფლებზე ლეკთა თავდასხმის ერთი ამბავი განსახიერდა. ახადიდან ტყვეთა წაყვანის ეს ამბავი მრავალ სხვა ამბავს ემსგავსებოდა; სწორედ ასეთმა დაუსრულებელმა ამბებმა ჩამოაყალიბეს მთაში კაი ყმის ცხოვრების წესი და ზნეობრივი იდეალი. ნაწარმოების გმირები გიგლია და მყვირალი, საქვეყნო გაჭირვებამ, მტრის მოძალებამ დააძმობილა. ისინი კაიყმობის ზოგადი იდეალის განმასახიერებელნი არიან. მათ დასახასიათებლად პოეტმა მოიხმო ის ეპითეტები და მეტაფორები, რითიც გმირებს თვითონ ხალხი ამკობდა. მყვირალი „თხის-ტყავიანია", ხოლო გიგლია „სვილისფერა". მეტაფორული სახით კაი ყმა ხალხის წარმოსახვაში გაუტეხელ ხარად აღიქმებოდა. ვაჟაც გიგლიაზე ამბობს: „ცუდ ლიშანს არას დაგიდევს, ამობუბუნდა ხარია" ან „ხევის პირზედა, ლოდებზედ, გიგლია კვდება ხარია". პოეტმა მყვირალის შესახებაც ბრძანა: „ქარქაშში აღარ დგებოდა ბასრი ფრანგული ხარისა". აქ გმირთა მიმართ ის სახოტბო-სასიყვარულო და საალერსო განწყობა გამოიხატა, რაც ხალხის ცხოვრებაში მტკიცედ იყო დამ-

კვიდრებული. პოეტიც გმირთა სახის დასახატავად ხალხის საერთო განწყობასა და სიტყვიერ შეფასებებს მოიხმობს. ხალხი ბედის ერთობით იყო დაკავშირებული გმირთან, თაყვანს სცემდა მას და ეს საერთო სიყვარული ზრდიდა გმირს.

ივანე კოტორაშვილის საბრძოლო ასპარეზი გიგლიასა და მყვირალისას აღემატება. ეს უკანასკნელნი თუ ფშავის მთებში სდარაჯობენ მტრებს, კოტორაშვილი საქვეყნო ომებში იბრძვის. იგი ერეკლეს მოსაწონი და მისი ბრძოლების მონაწილე კაი ყმაა. გარეგნულად კოტორაშვილიც სხვა კაი ყმების მსგავსია. იგი: „შავგვრემანი ნისლს ჰგვანდის გაბუტვილს, ხევში მძინარეს, ან კლდისგან შევიწროვებულს აღელვებულსა მდინარეს“. სიმამაცე, გაუტეხლობა კაი ყმების საერთო ნიშანია. კოტორაშვილიც ასეთია, თუმცა იგი სხვათაგან განსხვავებით დამარცხებული მტრის მიმართ მიმტევებელია. იგი სულიერად ემსგავსება ქართული მწერლობის მიერ საუკუნეთა მიღმა შექმნილი რაინდების სახეებს. უიარაღო ივანე კოტორაშვილმა მისი დატყვევების მსურველი ლეკი თვითონ დაატყვევა, ზურგზე მოკიდებული სახლში მიიყვანა და ასეც ანუგეშა: „ნუ გეშინია, ძმობილა, არ მოგკლავს კოტორაშვილი ივანე დედი-შობილა!“ იგი ლომგული მებრძოლია, მაგრამ შინაგანად გაწონასწორებული, წინდახედული, ზნემაღალი: „ღონესთან ჭკუაც დიდ ჰქონდა, გული ხომ ედვა ლომისა, მეტად ლამაზად იცოდა წესი და რიგი ომისა. მას არა ჰქონდა წესა და მტრისად მოეჭრა მარჯვენა“. სხვა მხრივ ივანე კოტორაშვილიც კაიყმობის ისეთივე შემფასებელია, როგორიც არის მთელი მთიელი ხალხი. საერთოდ, ვაჟას ფოლკლორისტულ წერილებში ამ მოვლენის თაობაზე გამოთქმული შეხედულებები და მხატვრულ ნაწარმოებებში შექმნილი სახეები ერთი მეორეს ავსებენ და განმარტავენ.

უსაზღვროა ვაჟა-ფშაველას პოეტური სწრაფვების სამყარო. დიდი შემოქმედი, როგორც თვითონ ამბობდა, უცნაურ ჩვენებათა მწვერვალზე იდგა და „თვალწინ ეფინა ქვეყანა“, ხოლო ზეცა კი თავისი მზითა და მთვარით „გულზე ესვენა“. წარმტაცი ხილვებით დაჯილდოებულ პოეტს ისაც ანუგეშებდა, რომ მას „სასიკეთიო ქვეყნისა ედვა სულად და გულადა“. გარესამყაროსთან ასეთმა შემოქმედებითმა მიმართებამ უშუალო განცდებმა და გულღიად ყოფნამ შეაძლებინა ვაჟა-ფშაველას, განსაცვიფრებელი პოეტური ძალით გამოეხატა ბუნებისა და ადამიანის მარადიული სასიცოცხლო კავშირი და ამ კავშირის მხატვრული შინაარსი ამაღლებულისა და მშვენიერის რანგში აეყვანა. დიდი ხელო-

ვანის რწმენით, ბუნებას ადამიანი და ადამიანური სიკეთე, მშვენიერება ამრავალფეროვანებს, ხოლო ადამიანის სულს – ბუნების კანონზომიერებით აღძრული განცდები. ადამიანური და ბუნებისეული ღირებულებები ერთიმეორეზე უსასრულოდ ზემოქმედებენ. პოეტის ფანტაზიის თვალუწვდენი მასშტაბების მიუხედავად, მის თხზულებაში ყოველთვის წინ დგას კეთილისა და ბოროტის, ჭეშმარიტისა და მცდარის, სასურველისა და საძულველის, სამართლიანისა და უსამართლოს, ამაღლებულისა და მდაბლის გამომავლინებელი ადამიანი. მწერლის გმირთა ხასიათების გახსნა, მათი იდეალის შეფასება აუცილებლად გულისხმობს ადამიანის საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, საზოგადოდ, გარე სამყაროსთან მიმართების ჭეშმარიტი შინაარსის ამოცნობას. ადამიანური დამოკიდებულებებისა თუ გმირის ხასიათის ინდივიდუალობის გამოსაძერწად ვაჟა-ფშაველა სოციალურ-ფსიქოლოგიური და ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულებების პოეტური შეფასების უტყუარ ალღოს მიჰყვებოდა. იგი ისეთ მხატვრულ სამყაროს, სახეთა ურთიერთმიმართების ისეთ სისტემას ქმნიდა, რომელშიაც ერთიმეორეს ბუნებრივად ერწყმოდა ცხოვრებაში მოქმედი ნორმები და ავტორის სიახლეთა მწვდომი პოეტური სწრაფვები. პოეტმა თავის მხატვრულ სახეებს იმგვარი ინდივიდუალური მოდელი მოუძებნა, რომ მისი წყალობით ამ სახეებს მარადცოცხალი შინაარსი ეტარებინათ.

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, ადამიანი ბუნების უბადლო ქმნილებაა და ისტორიასაც მისი განუწყვეტელი მოქმედების გამო ეძლევა ასეთი თუ ისეთი კონკრეტული სახე. ამასთანავე, იგი ისეთი ფენომენია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრებისა და კულტურის ჭეშმარიტ ფასეულობათა დამკვიდრება. სწორედ ადამიანია მოწოდებული დადგეს კაცობრიობის მაღალი ჰუმანისტური კულტურისა და ისტორიის შუაგულში. გარემოსთან აქტიური დამოკიდებულების პროცესში სწორედ იგი ქმნის ახალ-ახალ სოციალურ-ეთიკურსა და მხატვრულ ღირებულებებს. ამიტომაც ადამიანი, პიროვნება, რთული და ნიადაგ ცვალებადი ხასიათით მწერალთა დაკვირვების მუდმივი საგანია. ვაჟა-ფშაველას რწმენით, ადამიანის ცხოვრების საზრისი საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების თანაფარდობის მართლად წვდომასა და მსგავსი თუ განსხვავებული მოთხოვნილებების ჰარმონიულ შეწონასწორებას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომაც ადამიანის შინასამყაროს მოძრაობის პირობათა და მოტივთა მხატვრული გახსნა პოეტმა მიიჩნია მწერლობის უძირითადეს

ამოცანად. პოეტი აღნიშნული თვალსაზრისით აფასებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, საკუთარსა და სხვა მწერლების მხატვრულ ქმნილებებს.

ვაჟა-ფშაველამ ცხადყო, რომ ხელოვნების მიერ გახსნილი პიროვნული იდეალი უშუალოდ და განუყრელად უკავშირდება ერისა და შემდგომ კი კაცობრიობის ცხოვრების მოთხოვნებს. დიდ ლიტერატურაში შექმნილი ტიპები პასუხს უნდა აძლევდნენ ერის საჭირბოროტო კითხვებსაც და კაცობრიობის საზოგადო სულისკვეთებასაც. პოეტის სიტყვისამებრ, ამიტომაც „გენიოსს არ შეუძლიან იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად ან მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ; არ შეუძლიან აგრედვე იგრძნოს დაბალი, მცირე ღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოვებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან.

გენიოსთა ნაწარმოები ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მაშასადამე – კერძო თვისებებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი...“[1]

ირკვევა, რომ მწერლები ადამიანის სწრაფვებისა თუ სხვა ცხოვრებისეული ღირებულებების დაფასება-გადაფასების, აქედან ახლის გამორჩევისა და მისთვის გზის გახსნის დიდ სურვილს მიყვებიან. ცხადია, პოეტის სიტყვები იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ ეროვნულ-ეთნოგრაფიულ ნიადაგზე მდგომი და ამ გარემოში მოღვაწე ან ამგვარი მასალის საფუძველზე შექმნილი ლიტერატურული გმირის სახე ყოველთვის უნდა იყოს დაახლოვებული „კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან“. ფართო მნიშვნელობით ამაშიც იხსნება ვაჟა-ფშაველას ნათქვამის – „ხელოვნება ქვეყნის საჭიროებას თან მისდევსო“ – ჭეშმარიტი აზრი. იგულისხმება, რომ მწერლობის განუწყვეტელი ზრუნვა ადამიანთა სულისა და თვითშეგნების ასამაღლებლად თავისთავად ნიშნავს დიდი ეროვნული და საკაცობრიო მიზნების რეალიზებისათვის ბრძოლას. ეს ღრმად სწამდა ვაჟა-ფშაველას და ამიტომაც თავის ნაწარმოებებში ათასი კუთხითა და ნიუანსით გვიჩვენებდა ჭეშმარიტ სულიერ გმირობას, მის ნიშან-თვისებებსა და საზოგადოდ ადამიანის თვითშეგნების რთულ ბუნებას.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 295.

მსოფლიო ხალხების ფოლკლორსა და ლიტერატურაში და, ცხადია, ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაშიც ოდითგანვე მთავარი ადგილი დაიჭირა სამშობლოს ერთგულების, ადამიანთა უფლებებისა და ღირსებების მხატვრულმა განსახიერებამ. ეს მარადიული თემები სხვადასხვა ხალხის მხატვრული კულტურის ისტორიაში ორიგინალური შინაარსითა და ფორმით იძერწებოდა. გმირობისა და გმირის ბუნების გამოხატვის თავისებური აღწერითი ცდები უძველეს ისტორიულ თუ მითოლოგიურ თქმულება-გადმოცემებშივეა მოცემული. ქართულმა ხალხურმა პოეზიამაც გამჭრიახი და გამორჩეულად მამაცი გმირის ქება იმ დროიდან იკისრა, როდესაც საჭირო გახდა მამულისა და ხალხის ინტერესების დაცვა.

ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი ულევ პოეტურ ენერგიას ახმარდა ფოლკლორულ და ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებითად ათვისება-განვითარებას. ცნობილია, თუ რა გულმოდგინედ განიხილავდა პოეტი ხალხური საგმირო პოეზიის ნიმუშებს. თავის ფოლკლორისტულ წერილებში მან არა მარტო ძველი საგმირო ლექსების შეუდარებელი დახასიათება მოგვცა, არამედ მთელი ფშავური ხალხური პოეზიის მნიშვნელობის მრავალმხრივი შეფასებაც იკისრა.

ხალხის შეხედულებითაც და ვაჟა-ფშაველას აზრითაც კაი ყმა სანაქებო გმირია, ხოლო ნამდვილი გმირი ყოველთვის კაი ყმად იწოდება. ამ ცნებებს სინონიმური მნიშვნელობა აქვს. გმირობა, კაიყმობა პიროვნული სიდიადე კონკრეტულ-ისტორიული ვითარებისა თუ იდეალის შესატყვისად ფასდება, თუმცა მასში ბუნებრივად ექსოვება ზოგადადამიანური, ზედროული სულისკვეთებებიც. კაიყმობის ცნებაში ნაგულისხმევი შინაარსი, როგორც პოეტი ამბობდა, „დროების მოთხოვნილების მიხედვით" თავისებურად იცვლებოდა.

კაი ყმის სახელით მებრძოლი ადამიანის მოხსენიება უძველეს რელიგიურ-მითოსურ რწმენა-წარმოდგენების ბაზაზე ჩანს დამკვიდრებული. ცნობილია, რომ მთიელთა რწმენით, ესა თუ ის „საყმო" იქმნებოდა იმ ხატის სიახლოვეს, რომელსაც გადმოცემით კონკრეტული თემის წინაშე მებრძოლისა და მფარველის დიდი ღვაწლი მიუძღოდა. ხალხის რწმენით, კაი ყმები იყვნენ კოპალა, იახსარი, პირქუში და სხვანი, რომლებიც შემდგომ ხალხმა გააღმერთა. მაშასადამე, საყმო თავისი კარგი, ჩვეულებრივი თუ ცუდი ყმებით ერთდროულად სათემო ან სატომო ხატის ყმად,

მის თაყვანისმცემლად ითვლებოდა. ასე რომ, ფშაველი, მისივე შეხედულებით, თავისი თემის ხატის ყმაც იყო და საერთო სატომო სალოცავის ლაშარის ჯვარისაც. ეს გარემოება მას შინაარსით რამდენადმე განსხვავებულ მოვალეობებსაც აკისრებდა. აქ აღვნიშნავთ სხვაობის მხოლოდ ერთ ასპექტს: სათემო ხატი თავის საყმოს შიგნით ქორწინებას კრძალავდა. ამ აკრძალვას, ცხადია, ადასტურებდნენ საერთო სატომო სალოცავები: ლაშარის ჯვარი, თამარის სალოცავი; კვირია. ანდრეზების შინაარსით, ცალკე თემები სისხლით ერთნი და მკვიდრი ნათესავნი იყვნენ. ამის გამო საყმოს შიგნით ანუ „ერთი ხატის ყმებს“ შორის ქორწინება დაუშვებელი იყო. ეს წესი მაშინაც მოქმედებდა, როცა კონკრეტულ გარემოში და კონკრეტული სათემო სალოცავის საყმოდ მათი დამკვიდრების დრო, ხშირად, სიძველის გამო დავიწყებას იყო მიცემული. თუ სისხლის აღების და ნათელმირონობის წესების დაცვა შვიდი თაობის ცხოვრების მანძილზე იყო მხოლოდ სავალდებულო, თემის შიგნით, ანუ „ერთი ხატის ყმებს შორის“ დაქორწინება მუდმივად, განუსაზღვრელი დროით იყო აღკვეთილი.

სატომო მთავარი სალოცავი ლაშარის ჯვარი თემის შიგნით არსებულ ამ ამკრძალავ წესს ადასტურებდა; ზოგჯერ კი საერთო სატომო ინტერესები უფლება-მოვალეობის გაფართოებასაც გულისხმობდა. ერთი ტომისა და სხვადასხვა თემის წარმომადგენლებს შორის, ვთქვათ, ძმადშეფიცვის გამო ურთიერთობის სხვა წესები შედიოდა ძალაში. ძმად შეფიცულ თემთა წევრებს შორისაც ქორწინება იკრძალებოდა. სხვა თემის წევრზე დაქორწინებისათვის ან სხვა თემის ქალის მოტაცებისათვის არავინ ისჯებოდა თუ ამ მოქმედებას რაიმე სხვა ადათის დარღვევა არ მიჰყვებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ იმთავითვე საყმოს დაუკავშირდებოდა და თემის ინტერესების დაცვას ვიწრო თუ ფართო მნიშვნელობით მოიცავდა კაი ყმის მისწრაფებები. კაი ყმის, გმირის იდეალი მისი ძალგულოვნების შეფასება თემისა და ტომის მასშტაბებით იქნებოდა ლოკალიზებული.

ვაჟა-ფშაველას არა მარტო მხატვრული ქმნილებებია ჩვენი მწერლობის უნიკალური მოვლენა, არამედ მისი ეთნოგრაფიული და ლიტერატურულ-ფოლკლორისტული ნარკვევებიც. მწერალმა ერთ-ერთმა პირველმა საფუძვლიანად დაახასიათა მთის ხალხური შემოქმედების თემატიკა და იქ გამოხატული იდეალები. მან აღნიშნა, რომ ფშაური ხალხური პოეზია ერთდროულად ავლენს უკიდურეს რეალიზმსა და უკიდურეს იდეალიზმს. ზეპირ-

შემოქმედება სინამდვილეს მართლად ასახავს, თუმცა ხშირად გაზვიადებულადაც ხატავს გმირთა საქციელსა და იდეალს. ვაჟა-ფშაველას აზრით, „ამ ლექსების ცოდნაც საჭიროა, რადგან ეს სარკეა ერის ცხოვრებისა. ამ ლექსებში ჩვენ ვხედავთ ცხადად, ნათლად, ერის გულსა და სულსა“.[1] ერის გულსა და სულს კი აღავსებდა სიბრძნე, რომელიც ხალხმა ისტორიული ცხოვრების გრძელ გზაზე შეიცნო, აღმოაჩინა, შექმნა, პრაქტიკულად შეამოწმა და განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო პოეტურადაც გაითავისა. შემოქმედი ხალხის პოეზია თავს დასტრიალებს ადამიანის ბედს, გრძნობებს, იდეალებს, ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებსა და რწმენ-წარმოდგენებს. ამის გამოც ვაჟა-ფშაველამ ეს ცხორვების კვალში ჩამდგარი ცვალებად-განვითარებადი ფენომენი დაკვირვებისა და შესწავლის საგანგებო საგნად გადააქცია. ხალხურ პოეზიაში წარმოდგენილი გმირის ხასიათი, რომელიც ადამიანურ ღირსებებზე არსებულ შეხედულებებს სრულად გამოხატავდა, პოეტმა მრავალჯერ შეაფასა. გმირი თავდაუზოგავად ემსახურება მარადიული ღირებულების ზნეობრივ მნიშვნელობას. მან მამულისა და ოჯახის ღირსების დასაცავად თავი უნდა გაწიროს. ამიტომაც, ხალხის რწმენით, „ვაჟკაცი ცოლზე მოკვდება, მამულსა საკუთარზედა“. კაი ყმა თუ მამულს, თემ-სოფელს ვერ მოუვლის, მაშინ, მიწასთან ერთად, სატრფოსაც მტრები წაართმევენ. ამის გამოა სწორედ, რომ ძველ ხალხურ ლექსებში ვაჟკაცობის, შეუპოვრობის, გულადობის დაუცხრომელი ხოტბაა წარმოდგენილი. ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისითაც, ძველს ხალხურ პოეზიაში „ეკონომიური წუხილი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, არ ისმის. ერის მართლ-ხედვა და მართლ-გრძნობა არც არის მოტყუებული: ძველი დრო იყო დრო ვაჟკაცობისა, ძალისა, მტრობისა, მუშტისა და ხმლისა“.[2] ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში სიმამაცეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი ჩრდილში მოაქცევდა ბრძოლის ეკონომიკურ მოტივს. პოეტის სიტყვისამებრ, „კაი ყმა ხესაც ხმლად აქცევს, მტერს თავს შეაკლავს და უკან არ დაიხევს, ომში მტერს არ გაექცევა“.[3] მან იცის რისთვის და ვისთვის იბრძვის. ხალხიც კაი ყმისა და „ცუდაის“ ხასიათის

---

[1] ვაჟა-ფშაველა, „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 168.

[2] ვაჟა-ფშაველა, „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 166.

[3] იქვე.

გასარკვევად, თითოეულის იდეალის დასაფასებლად მათსავე ნამოქმედარს ათვალსაჩინოებს: „კაი ყმის ცოლი ტიროდა: „ოხრად და მრჩება ბინაო". იცინის ცუდაის ცოლი, „გამაიქცევა წინაო". საერთო საქვეყნო აზრით კი „გამოქცეულის მოსვლასა აღარ მოსვლა სჯობ შინაო". ლაჩარს, ომიდან გამოქცეულს მოლექსე დიაცური საქმის „ქსელის მბეჭავისა" და „ტარის გაბზრიალების" ღირსადღა მიიჩნევს, ხოლო დღენიადაგ შრომასა და ჯაფაში გართულ, მაგრამ მამულისათვის თავდადებულ ადამიანს კი ერთგვარი სიამაყით ათქმევინებს:

„კაცი ვარ ბუჯახირაი, შეშა-თივათა მზიდავი,
ერთი ვერა მჯობ ლაშქარსა ბასრი ხმლის ამაზიდავი".

ხალხური მელექსის ხოტბის საგანია უბრალო მშრომელი კაცი, თვისტომთა და საკუთარი ღირსების დასაცავად „ბასრი ხმლის ამამზიდავი" კაი ყმა. სწორედ ასეთ ადამიანს გულისხმობს ვაჟა-ფშაველა, როცა ამბობს: „გმირი ფშაურს ლექსებში „ვაჟკაცად", „კაი ყმად" იხსენიება; იგი თემიდამ გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისათვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ. გმირი გარეგნობით არა ჰგავს მზესა და მთვარეს. იგი თავისებურად არის ლამაზი: „სვილისფერა", „შავგვრემანი".[1]

ფშაველთა ტრადიციული შეხედულებით, კაი ყმისათვის სრულიად ზედმეტია გარეგნული სამკაულები, ტანსაცმლისა თუ იარაღის „საზიკები", მთავარი მისი სულის საგმირო და ჰუმანურ თვისებათა მაღალი ხარისხის თავმდაბლად გამოვლენა და მოხმარებაა. კაი ყმის ვაჟკაცობასა და მაღალ ზნეობას ის არ ამცირებს, რომ მას ფეხზე ჯღანები, ხოლო ტანზე ღარიბული „ლეგა ჩოხა" ან „თხისტყავი" აცვია. რიცხვმრავალ მტერს შემოხვდა „თხისტყავიანი" მათურელი კაი ყმა თადიაური და „ტყავნი დაყარნა თხისანი, ჯაჭვი გადივლო თავზედა". მან ლაშარის ჯვრის ყმათა ინტერესების დამცველმა, შვიდი მოძალადე ქისტი „ერთის ამლათის ხანზე" დახოცა და ტყვეც იხსნა, თუმცა თავისი ვაჟკაცური საქციელი კი საგანგებოდ დაფარა. ამგვარ „სვილისფერა", „ლეგ-ლუგა" და „თხისტყავიან" კაი ყმათა სიმამაცე, გმირობა, ფშაველების წარმოდგენით, სულგრძელობა-თავმდაბლობის სახით, უბრალო გარეგნობასა და თავდაჭერილ საქციელში უნდა

[1] ვაჟა-ფშაველა, „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 83.

წარმოჩნდეს. კაი ყმა გაუტეხელი, მკლავმაგარი უნდა იყოს და „ბეჩავის“ იერით დადიოდეს, დიდ თვისებებს, უნარს გარეგნულად არ იმჩნევდეს. მან ძალა და ნების სიმტკიცე მხოლოდ უკიდურესი საჭიროებისას უნდა გამოიჩინოს. ფშაურ პოეზიაში გამოყენებულ ამგვარ ხერხს, ვაჟა-ფშაველა შემოქმედებითად ითვისებდა. ასეთი იყო სინამდვილის გამომხატველი ფშაური პოეზიის აზრი გმირის ბუნების შესახებ. ვაჟა-ფშაველა მშობლიური კუთხის მდიდარი პოეზიითა და ტრადიციული წარმოდგენებით საზრდოობდა. შემოქმედებითად გადადუღებული, თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანილი კაიყმობის იდეალი პოეტმა საკუთარ პოეტურ ქმნილებებში არა ერთხელ განასახიერა. კაი ყმის ხალხური იერი მიანიჭა პოეტმა თავის ეპიკურ გმირებს გიგლიას, გოგოთურს, ივანე კოტორაშვილს, ჩონთას და სხვებს. თუმცა ამგვარ ვითარებაშიც მწერლისათვის გადამწყვეტი ინდივიდუალური პოეტური აზრის გამოთქმა იყო.

ხალხის საერთო რწმენით, ომში შეუპოვარ გმირს თემში საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს. ამასთანავე, კაი ყმა პირდაპირია, ნამუსიანია და ცუდის შემჩნევისას აშკარად მთქმელი, რის გამოც ზოგჯერ თვისტომთაც აუხირდება და გაამწარებს, თუმცა ამგვარი ქცევა ცხოვრების წესის შეცვლისკენ სწრაფვას არ გულისხმობს. ვაჟა-ფშაველამ რეალისტურად შეაფასა, დაახასიათა კაი ყმის იდეალი. იგი წერს: „გმირი იმდენად თავის თავისთვის არა ცოცხლობს და იმდენს არ აკეთებს, რამდენსაც თემისათვის, მაგრამ ამ სამსახურისათვის სახელის მეტი არაფერი ჰრჩება: მხოლოდ ხატობის დროს ხევისბერი განსაკუთრებულ დიდი თასით გმირს საკარგყმოს ასმევს. გმირი ხდება საგნად ქება-დიდებისა ლექსებში. სიკვდილის შემდეგ მთელი თემი ჰგლოვობს, ხატობის დროს ოფიციალურად ისმის გმირის შესანდობარი. ჯერ ხევისბერი იტყვის და მერე დიდი და პატარა მოაყოლებს შესანდობარს. დიაღ, გმირი მსხვერპლია სოფლისა: სხვას აძღობს, თითონ მშიერია, სხვის სიცოცხლისათვის მებრძოლი თითონ სიკვდილს ეძლევა პირში“.[1] კაი ყმის ხასიათისა და იდეალის გამომხატველი ხალხური ლექსები ცხადყოფენ, რომ ამ გმირის მოქმედების გამაპირობებელი უმთავრესად თემისა თუ ტომის ინტერესები და მოთხოვნებია. თავისი ხალხისათვის სარგებლობის მოტანის აზრი უდევს საფუძვლად კაი ყმის ზნე-

[1] ვაჟა-ფშაველა, „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964 წ., გვ. 87.

ობრივ საქციელს. მისი აქტიური მოქმედება, უწინარეს ყოვლისა, თემისა და ტომის მტრების წინააღმდეგაა მიმართული. გმირი ანდრეზთა მოთხოვნას კი არ არღვევს, არამედ სხვებს აღემატება მათი აღსრულებისას გამოვლენილი ფიზიკურ-მორალური უნარით. ის მხოლოდ ხალხის საზოგადო კეთილდღეობისათვის „იხარჯება", სანაცვლოდ კი მხოლოდ სახელი რჩება. ამიტომაც მწერლის სიტყვისამებრ, „ყველგან მადლობას სწირავენ მარჯვენას კაი ყმისასა". მადლობას კი იმიტომ სწირავენ კაი ყმებს, რომ ცხოვრების საყოველთაო წესებს, მამა-პაპისაგან გადმოცემულ დარიგებებს ერთგულად მიყვებიან. ამ აზრით, გმირი შინაგანად მონოლითურია და კონკრეტულ-ისტორიული ცხოვრების ნორმათა ერთგულად დამცველი. ფშაველთა საზოგადოებრივი ყოფა--ცხოვრება ადათებითა და სარწმუნოებრივი მრწამსით მტკიცედ შეკრული ისეთი რეალობა იყო, რომელიც არავის აძლევდა ნებას ოდითგანვე დამკვიდრებული ადათების უარყოფისას. ამის გამო ვერც ხალხური მელექსე შეაქებდა ისეთ ადამიანს, რომელიც ხალხის შეხედულებებისა თუ ცხოვრების წესის შეცვლას მოინდომებდა. ხალხური პოეზიის მიერ დახატული კაი ყმა იმითაა გამორჩეული, რომ უნაკლოდ, ერთგულად, მრავალზე უკეთესად განასახიერებს საყოველთაო წესებს, მორალსა და სახალხო იდეალებს. ასეთი აღმსრულებლობით იყო სახელმოხვეჭილი გმირი, ხალხის რწმენით და ის ამ სახელსაც ვერ დაიმკვიდრებდა, თუკი საზოგადოების თვითშეგნების, ადათებისა თუ რწმენა-წარმოდგენების წინააღმდეგ მოიქცეოდა.

ვაჟა-ფშაველამ თავისი თხზულებების ზოგიერთი პერსონაჟი კაი ყმის სახელით მოიხსენია. ამით პოეტმა გმირობის, კაიყმობის მნიშვნელობის ხალხურ შეფასებებთან თავისებურ შემოქმედებით მიმართებაზე მიგვანიშნა. ეს გარემოება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მკვლევრებს ზოგჯერ ხალხური პოეზიისა და ვაჟა-ფშაველას მიერ დახატული კაი ყმები სრული იგივეობის ნიშნით წარმოედგინათ. მათი იდეალებისა თუ ხასიათის სხვადასხვაობის საგანგებო დასაბუთება არავის უცდია. თუმცა მსგავსებასთან ერთად თვალნათლივია ხალხისა და ინდივიდი შემოქმედის მიერ დახატულ კაი ყმებს შორის არსებული ღრმა განსხვავება.

ვაჟა-ფშაველას პოეტური მრწამსის ერთ-ერთი უძირითადესი ნიშანი ის არის, რომ საყოველთაოდ მოსაწონსა და მისაღებ ტრადიციულ შეხედულებებთანაც კი ავტორი ყოველთვის ნოვატორულ მიმართებას ამყარებდა. პოეტის შემოქმედებით ინტე-

რესს ხშირად ვერ აკმაყოფილებს კარგის, იდეალურის მხატვრული განსახიერების ის მასშტაბი და ხარისხი, რაც მთის პოეზიაში სანიმუშოდაა დასახული. ინდივიდი შემოქმედის ფანტაზია კაი ყმის სულიერ მოთხოვნილებებსაც ავითარებს და სოციალურ-ფსიქოლოგიური და მორალურ-ესთეტიკური აზრით აღრმავებს კიდევაც მათ. ამიტომაც გარკვეულ ლიტერატურულ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდეს ხალხური და ინდივიდუალურ პოეტური ინტერესების სხვადასხვაობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, კაი ყმების მხატვრულ სახეებშია ცხადყოფილი. საკითხის ამ მიმართულებით კვლევამ ერთგვარი სინათლე უნდა შეიტანოს პრობლემის შესწავლის ისტორიაში და მის ირგვლივ არსებულ ბუნდოვან წარმოდგენებში. კერძოდ, უნდა გაირკვეს ის, რომ ხალხური კაი ყმისა და ვაჟა-ფშაველას კაი ყმის ხასიათის განმსაზღვრელი შინაგანი მოტივები თუ გარედან მოქმედი მოვლენები ხშირად ღრმა სხვაობას წარმოაჩენენ. ინდივიდმა შემოქმედმა კაი ყმის ხალხურ იდეალს ახალი შინაარსი მოუნახა, მის სულის მოძრაობას ახალი მოტივები აღმოუჩინა და ისინი ორიგინალური მხატვრული ღირებულებების სახით დაამკვიდრა. ხალხური კაი ყმის მისწრაფებები პოეტმა იმ მხრივ გააღრმავა, რომ გმირის ინტერესი მკვეთრად შეაბრუნა საზოგადოების, თემის საშინაო სოციალურ-სამართლებრივი და მორალური ურთიერთობის ნორმათა გადაფასებისაკენ. ეს იმას გულისხმობს, რომ კაი ყმის ძველ იდეალს ინდივიდმა პოეტმა ყოველი საზოგადოების შიგნით მოქმედი სიკეთისა და ბოროტების, სიმართლისა და უსამართლობის ორიგინალურად, ახლებურად შემეცნება-შეფასების მიზანიც მიუმატა. ვაჟა-ფშაველას აზრით, ჭეშმარიტი გმირი გარეშე მტერსა და შინაურ უკეთურობა-უსამართლობას ერთნაირი ძალით უნდა ებრძოდეს. ამიტომაც სიჭაბუკის ჟამსვე დაწერილ ლექსში „ქეიფი" პოეტი ახლის მხილველ შინაგანად ამბოხებულ გმირს ასე ალაპარაკებს:

„დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,
გადავერიო ზღვაშია.
თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდაშია;
ვერ მაანონებთ კარგს ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვაშია!"

საზოგადოებას თუ ასე მიმართავდა ხალხური კაი ყმა, მას სახოტბო ლექსს არავინ უძღვნიდა. ამგვარი მიდგომა არც ჩანს

ხალხურ პოეზიაში. იქ კაი ყმას შეიძლება მეორის საქციელი ან აზრი არ მოეწონოს, მაგრამ ის საყოველთაოდ მიღებულის შეცვლას არსად მოითხოვს. იგი ტრადიციის ერთგულია.

კაი ყმის ხასიათის ეს სოციალურ-მორალური ნიშნები, ტრადიციულად გახსნილ პატრიოტულ იდეალთან ერთად, უფრო მრავალმხრივ განასახიერა ვაჟა-ფშაველამ ლექსში „კაი ყმა". ეს ლექსი 1909 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში" და ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მამულის თავისუფლებისა და მაღალი ზნეობისათვის მებრძოლი გმირის მომხიბლავი იდეალი შემოქმედს მთელი მოღვაწეობის მანძილზე მუდმივმოქმედ ფენომენად ეხატებოდა. დასახელებულ ნაწარმოებში მთიელთა საგმირო-საკარგყმო პოეზიის პატრიოტული სული ტრიალებს, მისი საერთო პათოსია პოეტურად აღქმული. ხალხისა და ვაჟა-ფშაველას რწმენით, კაი ყმა ის არის

„ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე-სისხლგადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
პირველად ომის დამწყები,
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს".

პოეტის რწმენით, კაი ყმა საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ თანასწორობას უნდა იცავდეს და „იქ იდგეს ხმალ-ამონვდილი, საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს. გაბეჩავებულს სიმართლეს უსამართლობა სძალავდეს". გმირის ამგვარი მრავლის დამტევი საქციელი არის მნიშვნელოვანი და ჭეშმარიტი სიკეთის შთამაგონებელი. კაი ყმა, ავტორის შეხედულებით, პატრიოტულ გრძნობასთან ერთად, უღრმეს სოციალურ-ზნეობრივ გრძნობებსაც უნდა სწვდებოდეს, განსჯიდეს, პრაქტიკულად ანსახიერებდეს და ამით „სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ცდუნება არა სძირავდეს". ერისათვის, თემ-სოფლისათვის სწორი ფიქრის, სწორი აზრის, ცდუნებისაგან განწმენდილი იდეალის მისაცემად, შექმნა პოეტმა კაი ყმების ისეთი სახე-ხასიათები, როგორნიც არიან მისი გიგლია, გოგოთური, ივანე კოტორაშვილი, ალუდა, მუცალი, ჯოყოლა, ზეზვა, ლუხუმი, კვირია, სუმელჯი,

ხოშარეული, ჩონთა, ქიჩირი, მინდია და სხვანი. მაღალი სულისა და ზნეობის ბრძმედში გამოვლილი კაი ყმის სურვილი მარტივია: „სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი, კვდებოდეს, არა გმინავდეს; თავის სამარხად, სუდრადა, მარტო სახელსა სწირავდეს“. კაი ყმა მატერიალურის დამძლევი, ზნემაღლობის მტკიცედ მიმყოლი, - რაინდული სულის პიროვნებაა. თავდადებულ კაი ყმას ცოცხალს ადღეგრძელებენ, ხოლო მკვდრისას შესანდობარს არ ივიწყებენ. პოეტის სიტყვისამებრ, მტერთან ბრძოლაში დაცემულ გმირს ცრემლი უხვად დაედინება. იგი საიქიოშიაც გამორჩეული კაცის სილამაზით მიდის და მის საამქვეყნო დაფასებას, ტრადიციული რწმენის კვალობაზე, სულის საიმქვეყნოდ ზეიმი აღემატება:

„სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლაღი ლაღისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გადასრულებმა ჩვენითა,
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა.
ანგელოზები ხარობდენ,
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა“.

აი, ვინ არის კაი ყმა და როგორა ფასდება მისი საქვეყნო ამაგი. „ცუდაი“ ვერასოდეს გაუთანაბრდება კაი ყმას, რადგან იგი მხოლოდ თავისთვის ცოცხლობს, ქვეყნისთვის უსარგებლო და მცონარეა. ის საღამოს ძროხასავით მაძღარი იმიტომ დაწვება, რომ დილით მშიერი ადგეს. პოეტი კონტრასტის ფენომენის ოსტატური მოხმობით მკაფიოდ გამოხატავს „ცუდაის“ დასადარი ადამიანების სულიერ თვისებებს:

„თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა,
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ
ლეში ალაღოთ, ჰკვებდითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა,

გწყინსთ და შურითა ხდებითა;
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა,
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა.
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!"

კაი ყმისა და „ცუდაის" ხასიათებისა და სწრაფვების კონტრასტული ჩვენება ფოლკლორისა თუ ინდივიდუალური შემოქმედების მუდმივი ამოცანაა. თვითონ ცხოვრება აძლევდა უშრეტ წყაროს ამგვარი სახეების შექმნას, რადგანაც, პოეტის სიტყვისამებრ, სინამდვილეში „ვაი რომ ცუდი ბევრია, პოვნა ძნელია კარგისა". მაშასადამე, გრძნობისა თუ თვითშეგნების ნაირგვარი დონე, ღირებულებათა წვდომა-შეფასების განსხვავებული უნარი და ინტერესი შეაპირობებს საქციელის სიჭრელესა და წინააღმდეგობრივ ბუნებას. ადამიანები სიკეთისქმედებისა და სამართლიანობის გრძნობის ინდივიდუალური გაცნობიერებით არა მარტო ერთმანეთს უპირისპირდებიან, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სწრაფვებსაც. ამ განსხვავებულ ადამიანურ პოზიციათა რაობას, ხალხური პოეზიაცა და ინდივიდუალური პოეტური შემოქმედებაც თავისებურად, ორიგინალურად განასახიერებს.

საგულისხმოა, რომ კაი ყმის ინდივიდუალური პოეტური სახის შეფასებამ ერთხანს კამათი წარმოშვა ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანას შორის. პოეტი ძმები საზოგადოდაც, ხშირად პაექრობდნენ და ამ პაექრობის არსს უმთავრესად მეტაფორულ-მხატვრული ფორმით წარმოადგენდნენ. საკმარისია გავიხსენოთ 1903 წელს გამოქვეყნებული ბაჩანას ლექსი „მთამა ჰთქვა", რომლის პასუხად ვაჟა-ფშაველამ დაწერა ლექსი „მთამ სრულიად სხვა სთქვა". 1909 წელს დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ლექსი „კაი ყმა", რომლის პასუხად 1913 წელს ბაჩანამ გამოაქვეყნა ლექსი „ვაჟა-ფშაველას", სადაც დაიწუნა ახალი დროისათვის კაი ყმის იდეალის იმგვარი დაფასება, როგორაც ეს ვაჟა-ფშაველას ლექსში იყო განსახიერებული. ბაჩანამ ახალი ეპოქისათვის უნაყოფო მოვლენად მიიჩნია კაი ყმის საგმირო მისწრაფებები და ვაჟა-ფშაველას ამგვარი შეგონებით მიმართა:

„შენ იმას თვითონ ბრწყინვალე,
ამკობ ქებათა-ქებითა

და კვლავ სამეტოდ „კაი ყმის“
ჰრთავ სხივ-შარავანდედითა.
მაგრამ იმ ხოტბა-შესხმასა,
რახან „კაი ყმა“ ყოფილა,
უნდა დავჰსძინოთ, რომ მასთან
დიდი დარდაკიც ყოფილა,
თორემ ჩვენს დროში კარგ ყმობას
ვინ იზამს ტუტუცის მეტი?
და ვინ შეაქებს ამისთვის
ძველის თათქარიძის მეტი?“

როგორც ჩანს, ეს ლექსი ნაყოფია ბაჩანას ერთგვარი პოეტურ-მოქალაქეობრივი გულგატეხილობისა, რამაც განაპირობა ვაჟას „კაი ყმის“ იდეის ამგვარი შეფასებაც. ბაჩანა, სამშობლოს ეროვნული და სოციალური ბედის შეცვლის დაუცხრომელი მსურველი პოეტი, თითქოს დაღლილა მოლოდინში, ხასიათის სიფიცხე მოჰმატებია და კაი ყმის იდეალის მიმართაც ეჭვი გასჩენია. ვაჟა-ფშაველას ლექსის ამგვარი შეფასების ჟამს ბაჩანა უნებლიეთ მთელი თავისი პოეზიის სულისკვეთებასაც დაუპირისპირდა. პოეტი თვითონაც აქებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს და სცნობდა მათი თავგამოდების საჭიროებას. აქ კი რატომღაც აზრი შეიცვალა. ასეთი აზრი მცდარი იყო და ვაჟა-ფშაველამაც ნათელყო ეს თავის ლექსში „პასუხი ბაჩანას“. პოეტმა ამ ლექსს ფარად და საბუთად, ეპიგრაფის სახით კაი ყმის მადიდებელი ხალხური ლექსი წაუმძღვარა. ვაჟა-ფშაველამ მაშინვე იგრძნო, რომ ბაჩანა რაღაც ახალმა განცდა-განწყობილებებმა დააშორეს გმირობის შინაარსის ჯანსაღი განსჯისა და ამასთანავე, საკუთარი შემოქმედებითი ინტერესებისაგან, ამ ამბით განცვიფრებული ვაჟა-ფშაველა ამბობს:

„მიკივის: „გაიგონეო,
მზეს უმზეობა სჯობია,
კაი ყმა, ვინც უნდა იყოს,
ბრიყვი და დასაგმობია!“
რა უნდა ვუთხრა მე იმას,
ვინც ასეთს ფიქრსა ჩვეულა?!
როგორ მწყინს, კაი ფანდური
შუაზე გადამტვრეულა!“

ვაჟა-ფშაველას აზრით, კაი ყმა იმიტომაა ქვეყნის იმედი თუ ნუგეში, რომ ის ცხოვრების სარბიელზე სიკეთეს, სამართლიანობას, თავისუფლებას ამკვიდრებს. იგი ზრდის თაობების თვითშეგნებას მაღალი ისტორიულ-ტრადიციული სულისკვეთებით, ახლის და ხშირად საზოგადოების მიერ ჯერაც განუხორციელებელი იდეალებისადმი ერთგულებით. ამ პრინციპით და პათოსით ქმნიდა თვითონ ბაჩანაც თავის ლირიკულ და ეპიკურ სახეებს. ბაჩანასათვის საპასუხო ლექსში ვაჟამ სათქმელის გამოხატვის მეტაფორული გზა აირჩია, რათა თავისი საყვარელი ძმისათვის დიდად არ ეწყენინებინა. მან ბაჩანას საყოველთაოდ აღიარებული ლექსი „მუხა“ გაიხსენა, იგი გაუტეხელი კაი ყმის სახე – სიმბოლოდ მიიჩნია და თავისი მგოსნისათვის პასუხის მიცემაც მას მოსთხოვა:

„მუხავ, უთხარი შენს მგოსანს,
ასწიე მკლავი გმირისა,
რად მოგდოგმია საჭრელად
ცულით, გამტეხი პირისა?
შენს კაი ყმობას დასცინის
საჯაროდ მთქმელი ძვირისა,
გუშინ რომ გუნდრუკს გიკმევდა
დღეს შენს მოკვლასა ჰკივისა,
თუ არ ჰგრძნობს უსამართლობას,
სატრფიალო ხარ იმისა?!“

ვაჟა-ფშაველამ დიდი ზომიერებითა და პირდაპირობით შეაფასა ბაჩანას აზროვნების რაღაც წამიერი შინაგანი წინააღმდეგობანი. პოეტმა, როგორც ლექსიდან ჩანს, სათქმელი მუხას დაუთმო და ამით მკითხველს ისეთი ილუზია შეუქმნა თითქოს მუხამ თვითონ უნდა გასცეს პასუხი ერთსა და იმავე დროს თავის თავის მეხოტბესაც და დამწუნებელსაც. ამ შემოვლითი გზის მიუხედავად, ვაჟა-ფშაველამ საპასუხო ლექსის დასასრულს თავისი შემოქმედებითი პოზიცია მაინც მკაფიოდ გამოხატა:

„ძალით ან ხვეწნით, ცხადია,
ვის მოვაწონებ მღერასა?
მხოლოდ კაი ყმებს ვუსურვებ
უხვად სამშობლოს კვრასა“.

როგორც ამ პოეტური პაექრობიდან ირკვევა, ვაჟა-ფშაველას აზრით, მხოლოდ დროისათვის ან ასეთი თუ ისეთი ყოფი-

სათვის სოციალურ-ეროვნული უბედურების და კაცთა თვით-შეგნების სიმდაბლის გადაბრალება არ შეიძლება. ჯერ კიდევ ოცდაათი წლის პოეტი ქართველებს უგმობდა დროზე ზედმეტად დაიმედებას ან დროის მომიზეზებით ნაირგვარ უკეთურობასთან შეგუებას. ვაჟა დროს ზღვას ადარებდა და მიიჩნევდა, რომ ადამიანის გრძნობა-გონება და გარჯა უნდა აშინაარსებდეს მატერიალურ-სულიერი სახეებით ავსებდეს დროის თვითარსებობას. „...როცა ამ ზღვაზე, – ამბობს პოეტი – იალქანაშვებულს გემს დაინახავ, დაინახავ მანქანებს კაცის ჭკუისას და მარჯვნის ნაოსტატარს, – სრულებით სხვა შნო და ლაზათი ეძლევა ამ ზღვას. დროც ესეთივე უთავ-ბოლო ზღვაა. თუ კაცობრიობის გრძნობამ, გონებამ, აზრმა არაფერი ჩააგდო შიგ, მის შემწეობით, არაფერი გააკეთა, ზურგზე არაფერი აჰკიდა, არაფერს მოგვიტანს და უშნო, ულაზათო სანახავიცაა მაშინ".[1]

დროს სწორედ კაი ყმებმა, დიდებულმა მამულიშვილებმა უნდა უცვალონ ფერი და სახე. დიდებულ ეპოქებს მაღალი გრძნობის ადამიანები ქმნიდნენ, პოეტის მრწამსით. ადამიანები თავისუფლებისათვის ბრძოლას, თვით სრულქმნის მიზანს მუდმივად უნდა მიჰყვებოდნენ, რათა „მრუდედ ნაჩორგნი" ცხოვრების სახე გასწორდეს. ცხადია, ვაჟას ტრადიციულ მოთხოვნათა წრეში მოქცეული კაი ყმის სულის მოძრაობა, მისწრაფებები ვერ აკმაყოფილებდა. მას ადამიანი წარმოუდგებოდა არა გარემოს ან დროს დამორჩილებულ, არამედ საკუთარი ქცევის მოტივებისა თუ მიზან-მისწრაფებების მუდმივად შემფასებელ და სრულმქმნელ არსებად. ადამიანის ასეთი ცხოვრების წესი კი ყოველთვის გონისა და სინდისის უწმინდესი ძალით უნდა საზრდოობდეს, შინაგანად ასე მომართული ადამიანები ცხოვრების შუაგულში უნდა იდგნენ და საზოგადოების თვითშეგნებას გზას უხსნიდნენ უმაღლესი სიკეთისაკენ. ასეთია თავისი ბუნებით ვაჟა-ფშაველას კაი ყმა. მისი მოღვაწეობის თუ ბრძოლის მიზანი აღარ არის მიმართული მხოლოდ გარეშე მტრის წინააღმდეგ, არამედ მოიცავს საზოგადოების შინაცხოვრების ზნეობრივი თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური ინტერესით განსჯას. იგი ღირებულებების ობიექტური, თანაც უანგარო დამფასებელია.

ვაჟა-ფშაველას ქმნილებათაგან, ვფიქრობთ, „ალუდა ქეთელაურის" სიუჟეტი ყველაზე უკეთესად გამოხატავს კაი ყმის ტრადიციული იდეალის გარდაქმნისა და სრულქმნის პროცესს,

[1] ვაჟა-ფშაველა, წერილები მეგობრებთან, თხზულებანი, თბ., 1979 წ., გვ. 166.

ახალი ღირებულებების დამკვიდრების ცდას. ამ ნაწარმოების სახეთა ურთიერთმიმართებაში მთელი სისავსით ვლინდება გმირობა – კაიყმობის მაღალადამიანური მოთხოვნილების წარმოშობა-განვითარების სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი მექანიზმი. გმირისა და საზოგადოების კონფლიქტი კაი ყმის ციკლის ხალხურ ლექსებში არ გახსნილა ისე, რომ მასში სათვისტომო ადათ-წესების ან საღვთო რიტუალების დამრღვევი ადამიანი დახატულიყო. ხალხური სამართლის მოთხოვნით ადათების მოწინააღმდეგე ადამიანი ისჯებოდა თვით ღვთის სახელით და მის ხოტბას ვერავინ გაბედავდა, თუნდაც ის მტრის წინაშე „ბასრი ხმლის ამამზიდავიც“ ყოფილიყო.

ვაჟა-ფშაველამ „ალუდა ქეთელაურის“ მხატვრული მოქმედება ისე წარმართა, რომ კაი ყმის ტრადიციული იდეალი ახალი სოციალურად მკვეთრი შინაარსით ავსებულიყო. ბრძოლა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაციისათვის აქ უშუალოდ გადაექსოვა პატრიოტულ გრძნობებს. ამის გამო კაი ყმის თავისუფლების წყურვილი, სიკეთის ქმედება, საერთოდ, პიროვნული იდეალი მთელი ერის შინა ცხოვრების სრულქმნის პრობლემას დაუკავშირდა. ხალხური საგმირო პოეზია კაი ყმის საქციელს თავისებურად ალამაზებდა, აქებდა, მაგრამ საზოგადოების წრეში სამოქმედო მის პროგრამას მხოლოდ ტრადიციული შინაარსით იაზრებდა და გარდასახავდა. მამა-პაპათა ანდრეზების დამრღვევი კაი ყმად არასოდეს მოიხსენიებოდა. კაი ყმა უმთავრესად მტერს ევლინებოდა რისხვად, ხოლო თემთან ურთიერთობისას ერთგული იყო ასეთი აზრისა: „სოფელში ამაყობასა ისევ დათმობა ვარჩიე“. მოვალეობის შინაარსის გაგებით გმირის მიზნები და თემის მისწრაფებები ერთმანეთს ემთხვევა. თემში ადამიანები ვალდებულების შინაარსით კი არ განსხვავდებიან, არამედ მათი განხორციელებისას გამოვლენილი ფიზიკურ-სულიერი შესაძლებლობებით. ეს შესაძლებლობები კი ადამიანებს ერთიმეორისაგან განასხვავებს, რაც იმისი საფუძველი ხდება, რომ ზოგმა კაი ყმის სახელი მოიხვეჭოს, ხოლო სხვანი კიდევ საშუალო კაცის თუ „ცუდაის“ სახელს დასჯერდნენ. ამიტომაც ხალხური პოეზიის გმირები ცხოვრებაში მოქმედ ტიპებს დიდად უახლოვდებიან.

ვაჟა-ფშაველას გმირი ახლის მაძიებელი ადამიანის თვალით იცქირება არამარტო გარემოსაკენ, არამედ თავის სულიერ სამყაროშიც. იგი ცდილობს, შეცვალოს, გარდაქმნას მოვლენათა შორის არსებული ძველი კავშირები, შეამოწმოს ღირებულებათა

ტრადიციული იერარქია და ამ სულიერ-მორალური ძიებისას ახალი ღირებულებებიც აღმოაჩინოს. ამ ახალ მიკვლეული ღირებულებების დამკვიდრებისათვის ის საოცრად ძლიერ ნებას ავლენს. ვაჟას კაი ყმა საზოგადოებას ყველაფერში აღარ ეთანხმება, რადგან მას უკვე თვითგანსჯით აღემატება და ზოგიერთი ადათის ცხოვრებასთან შესაბამისობაშიც აეჭვებს. ვაჟა-ფშაველას კაი ყმისათვის სიკეთის გრძნობა სრულქმნის საფუძველია და სინდისიერი საქციელის წყაროა. ამიტომ სიკეთეცა და სინდისიც მისი გმირისათვის ღირებულებათა შეფასების უტყუარ საზომად წარმოსდგებიან. ამ გზითაც ჩვეულებრივი ადამიანი პიროვნებად ყალიბდება. ცდილობს გაერკვეს საზოგადოებრივი ცხოვრების არსში და იგი ჰუმანური თვალსაზრისით მოაწესრიგოს.

ხალხური კაი ყმაც, რასაკვირველია, აფასებს ტრადიციით დამკვიდრებულ მოთხოვნებს და იცავს საყოველთაო ნორმებსა და შეხედულებებს. ამის გამო თავისებურად გამოიხატება ხალხურ პოეზიაში მელექსისა და მისი გმირის დამოკიდებულება საზოგადოებასთან, სინამდვილესთან. ხალხური კაი ყმის თავგადასავალში უპირატესად ცხოვრების სურათების, ადამიანის სწრაფვების უშუალო, ნატურალური სახე იხატება. ფოლკლორში კაი ყმა უპირატესად ობიექტური მოქმედებით არის წარმოდგენილი, ვიდრე ქცევის მოტივების რთული შინაგანი ჭიდილით ან ძველის უარყოფისა თუ ახლის დამკვიდრებისათვის ზრუნვით. მისი საქციელი, მოვალეობის მისეული გაგება, პირადი ღირსების გრძნობა არასოდეს არის გაუცხოებული საყოველთაოდ აღიარებული ცხოვრების ნორმებისაგან. პირიქით, თუ ხალხური გმირი ტრადიციულ მოვალეობას რაიმე მიზეზით ვერ აღასრულებს, იგი სინანულს ეძლევა. ხალხი მის საგმირო საქმეებს, დამსახურებას აღწერს და ამგვარად გვაცნობს მის ხასიათს. ფაქტის აღწერა, ტრადიციულ ნორმათა კარნახით მოქმედების ჩვენება გვაახლოვებს გმირის იდეალთან. აღნიშნულის გამო ხალხურ ლექსებში კაი ყმისა და „ცუდაის“ გარე მოვლენებთან დამოკიდებულებაში წარმოჩნდება მათი სწრაფვების შინაარსი და არა საქციელის მოტივთა შინაგანი ჭიდილი. აქ გარე გამოხატული მოქმედების აღწერით არის შენაცვლებული შინაგანი მორალურ-ფსიქოლოგიური მოტივების რაობაზე მითითება.

ხალხური კაი ყმისა და ვაჟა-ფშაველას კაი ყმის იდეალები და ბუნება, როგორც აღვნიშნეთ, მართალია, რამდენადმე ენათესავება ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის ღრმა შინაარსის განსხვავებაც არსებობს. მათი ბუნების სხვადასხვაობის შესახებ საგანგე-

ბოდ არავის უმსჯელია, ხოლო მსგავსებაზე კი ხშირად ლაპარაკობენ. ამ გარემოებასაც თავისი მიზეზი აქვს. გარეგნულად კაი ყმის მოქმედების სარბიელი ხალხურ პოეზიაშიც და ვაჟა-ფშაველას თხზულებებშიც ერთნაირ ტრადიციულ-ცხოვრებისეულ მოვლენებს ემყარებოდა და ეს ქმნიდა ამ გმირთა მხატვრული სახე-ხასიათების ტიპოლოგიური იგივეობის თავისებურ ილუზიას. მაგრამ თუ დავუკავშირდებით ხალხური მელექსისა და ინდივიდი პოეტის მიმართებებს გარე მოვლენებთან, საერთოდ, მათ მიერ ცხოვრებისეულ-ტრადიციული თუ წმინდა ადამიანური სულიერი სწრაფვების შეფასების ხასიათს, ვირწმუნებთ, რომ სახეთა იგივეობის აღიარების საფუძველი არ არსებობს.

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სახეთა ურთიერთდამოკიდებულებისა და თვითმოქმედების მთელი სისტემა იმაზე მიანიშნებს, თუ როგორია ადამიანი თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური და მორალური ბუნებით ან როგორი უნდა იყოს იგი, რათა ჰარმონიულ პიროვნებამდე ამაღლდეს. ცხადია, ამასთანავე, პოეტი გახსნის საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პირობებსაც, რომლებიც ხელს უშლიან ან ხელს უწყობენ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას. იგულისხმება, რომ გმირის იდეალი აწმყოში იკვეთება. განხორციელების იმედი კი უპირატესად მომავალზე ემყარება. ადამიანი ყოფიერების დოგმებისაგან საკუთარმა გრძნობად-ინტელექტუალურმა ძალებმა უნდა იხსნან. პოეტის რწმენით, თავისუფლებისაკენ ადამიანის სწრაფვა, მისი სიკეთის ქმედების უნარი, მოვალეობის მაღალი გრძნობა და სინდისის შინაგანი მოთხოვნა განუყრელად არის დაკავშირებული ცხოვრების სრულქმნის მიზანთან. პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების ამგვარი კავშირი ზოგადსაკაცობრიო სწრაფვებსაც უშუალოდ შეერთვის. ვაჟა-ფშაველას ეპიკურ სახეთა ურთიერთზემოქმედების შინაარსი სწორედ აღნიშნული კავშირების მაღალმხატვრულ განსახიერებაზეა დაფუძნებული. პოეტი განუწყვეტლივ ფიქრობს ადამიანის ხასიათისა და თვითშეგნების სუბიექტურ საწყისთა მნიშვნელობის მხატვრულად ცხადყოფაზე. აღნიშნულის გამოც მწერლის მიერ დახატული კაი ყმის რაინდული სულისკვეთება აღარ შემოიფარგლება საზოგადოების მხოლოდ ძველი მოთხოვნილებებით. გმირი მოვლენების და ღირებულებების ახლებურად შემფასებელი და გადამფასებელია. იგი ერთგვარად წინ უსწრებს მდოვრედ მდინარე ცხოვრებას და შეუბოჭავი მისი ოცნება, გონი და სინდისი სიცოცხლის ჭეშმარიტ საზრისს, იდეალს სამომავლო გზას უნათებს. ასეთი გმირის სული განუწყ-

ვეტლად ითხოვს ნება-სურვილთა განსახიერებისათვის აუცილებელ თავისუფლებას, თუმცა ეს თავისუფლება ყოფიერების კონსერვატული ბუნების გამო მტკიცე ჩარჩოებშია მოქცეული. პიროვნული თავისუფლების მოპოვება ცხოვრებისეულ თუ სულიერი ღირებულებების ზემოქმედებით თავისუფალი ორიენტირების უნარს გულისხმობს, რაც, საბოლოო აზრით, საყოველთაო პროგრესს ემსახურება.

ვაჟა-ფშაველას კაი ყმებს ისეთი თავისუფლება სურდათ, რომელიც მათ იდეალს წაახალისებდა, არ შეზღუდავდა, ამასთანავე, გარემოში საყოველთაო სიკეთისა და სამართლიანობის მიღწევის პირობებს დაამკვიდრებდა. მწერალი მუდმივად ეძიებს და აღმოაჩენს მოვლენათა შორის არსებულ ისეთ კავშირებს, ისეთ პიროვნულსა და საზოგადოებრივ მიმართებებს, რასაც უშუალოდ გადაექსოვება ხოლმე ამაღლებულის, ტრაგიკულისა და მშვენიერის წვდომის განუმეორებელი პოეტური ინტუიცია. მის ქმნილებებში სუბიექტურ-პოეტური განცდა თავისუფლად, დაუძალებლად უკავშირდება ობიექტურს და იქმნება რთული, მრავლაწახნაგოვანი მხატვრული მოქმედება, სიუჟეტურ სიტუაციათა ჯაჭვი, რომელმაც გმირთა ორიგინალური სახე-ხასიათები უნდა წარმოადგინოს. ასეთი შემოქმედებით-მხატვრული მოღვაწეობა ბუნებრივად მოიცავს მოვლენათადმი შემეცნებითი და ღირებულებითი მიდგომის განუყრელ ერთიანობას. ნაწარმოების მხატვრულ სიუჟეტში შემეცნება და შეფასება ერთმანეთს ავსებს, ეს ორი მოვლენა ვერც წმინდა სახით გამოცალკევდება, ერთმანეთისაგან და ვერც ერთმანეთზე დაიყვანება თავიანთი მნიშვნელობებით. ვფიქრობთ, სახეთა ინდივიდუალობის განმსაზღვრელი უმთავრესად შეფასების ნაირგვარი შესაძლებლობებია, რადგან შემეცნება ჭეშმარიტების რამდენადმე მყარი ნიშნების ათვისებაა და ეს კი რეალობასთან მეცნიერული ლოგიკით მიახლოვებას უფრო გულისხმობს. შემეცნება-შეფასებების ამგვარი უნარის წყალობით ხალხურმა მოლექსეებმა თავიანთი კაი ყმა დაგვიხატეს, ხოლო ვაჟა-ფშაველამ საკუთარი.

ვაჟა-ფშაველას ალუდა ორიგინალურად განსახოვნებული კაი ყმის ხასიათს წარმოადგენს. კოლექტივის თვითშეგნებასთან დაპირისპირებამ ალუდა ახალი ადამიანური პრინციპების დამცველ კაი ყმად აქცია. მოვლენათა სიახლის შეფასება-შემეცნებისას იგი გონიერი, ფილოსოფიურად მეოცნებე ადამიანია. ის სხვათაგან გამორჩეულად იაზრებს სიკეთეს, ცოდვა-მადლს, მოვალეობისა და სინდისის მნიშვნელობას. ახალ გრძნობებს საზო-

გადოების თვითშეგნების ასამაღლებლად მოიხმობს. ალუდა მტრის წინააღმდეგ მხოლოდ ხმლის მქნეველი ადამიანი აღარ არის. იგი ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი გრძნობებით, აზრის სიღრმითა და ხასიათის სიმტკიცით ამაღლებული რაინდია. ამ გმირის თვითშეგნება მრავალმხრივ ანაწევრებს ცხოვრებისეულსა თუ სულიერ ღირებულებებს და თავისუფალი პიროვნების უნარით ნებისმიერად აფასებს ხარისხით განსხვავებულ მოვლენებს. მაღალი იდეალის დასაცავად იგი თმობს პირადულს, თამამად მიყვება ცხოვრების ჩვეულებრივი მდინარებიდან ამოვარდნილ ისეთ საქციელს, რომელიც თემში არავის ეფასება. ალუდას ღრმად სწამს ახლად მიკვლეულის საყოველთაო მნიშვნელობა. იგი ახალ სურვილებსა და ახალ გზას-გაყოლილი გმირია. მისი იდეალი, წადილი ვერ თავსდება იმ დროსა და სივრცეში, რომელიც უცვლელ ადათ-წესებსა და რელიგიურ წარმოდგენებს შემოუსაზღვრავს. ამიტომაც ალუდა იმას ესწრაფვის, რაც ჯერ საზოგადოების თვითშეგნებაში დაუმკვიდრებელია. იგი ალღოთი, შინაგანი რწმენით აფასებს სიახლეს და სჯერა, რომ ეს უნარი თუ სინდისის მადლი გადაალახვინებს დაბრკოლებებს. ალუდას სახე თავისებურად გამოხატავს პოეტის ერთი ნათქვამის შინაარსს: „რასაცა ვეძებ იმისა, არასდროსა ვარ მნახველი". იგი ჭეშმარიტი პიროვნებაა.

ალუდასათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მუცალის ვაჟკაცობამ, მისმა ზეპიროვნულმა საქციელმა, ვიდრე მარჯვენის მოჭრისა თუ იარაღის აყრის წესებმა, რომლებიც ტრადიციის მოთხოვნით უნდა შესრულებულიყო. აქ სუბიექტურმა შეფასებამ განსაზღვრა გმირის ცხოვრებისეულ ღირებულებებთან მიმართების მთელი შემდგომი შინაარსი. გმირის სინდისის გრძნობა ანაზდად მიღებულ სულიერ ღირებულებათა დაფუძნებას ეთანხმება, იგი მიიჩნევს ჰუმანურობას, ადამიანური ღირსების დაცვას, ისეთ შეგნებულ მიზნად, რომელსაც უნდა დაემორჩილოს მისი ნება. როცა ალუდამ ახლის ცხადყოფა მოინდომა, მან უშიშასა და თემის სხვა წევრების განცვიფრება გამოიწვია. ამ განცვიფრებისას შეეჯახა ერთმანეთს ძველი და ახალი. ახლის დაცვით ალუდა ქეთელაურმა ცხადყო, რომ ტრადიციული ანდრეზებით თუ რელიგიური რწმენით გამაგრებული თემის ცხოვრების ზოგი წესი, რომელიც დასაფასებელ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, ასეთი თურმე არ ყოფილა. ახალი შეფასება დაუპირისპირდა ძველს და წარმოიქმნა საზოგადოებრივი კონფლიქტის პირობები. ავტორის რწმენით, ეს ასე ხდება პროგრესის გზაზე

მიმავალ ყველა საზოგადოებაში. ალუდას ქცევის ლოგიკა თავისი უნივერსალური მნიშვნელობით ყველა დროისათვის ნიმუშის ძალას იჩენს.

ვაჟა-ფშაველას საზოგადოებისაგან მოწყვეტილი ინდივიდუალისტის მხატვრული სახის შექმნა არ სურდა. მას ისეთი ახლის მწვდომი და დამცველი ადამიანის თვითშეგნების გამოხატვა უნდოდა, რომელიც მაღალადამიანურ ფასეულობებს ცხოვრების სამსახურში ჩააყენებდა და წმინდა იდეალის ძალით ერის სინდისის ჭეშმარიტ ძალას გამოაღვიძებდა.

პოეტის რწმენით, კაი ყმა მაძიებელი ადამიანის პათოსით უნდა უკავშირდებოდეს გარემოს, სხვა ადამიანებს და ამით საკუთარ ინდივიდუალურ ხასიათსაც ქმნიდეს. ალუდას მხატვრული სახე ცხადყოფს, რომ ადამიანი უნდა ესწრაფვოდეს თვითსრულქმნას, უნდა ეძიებდეს რეალობაში საკუთარ ადგილს, უნდა იღვწოდეს გარემოს გაუკეთესებისა და მოწესრიგებისათვის. ცხადია, პოემის მხატვრული აზრი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სრულქმნა-მოწესრიგება დაუსრულებელი პროცესია, რომელშიც არ მიიღწევა ისეთი საფეხური, ისეთი დონე, სადაც პიროვნების ან საზოგადოების მოთხოვნილებები საბოლოოდ თუ უნივერსალურად დაკმაყოფილებული აღმოჩნდებოდა. ასეთი საერთო ვითარებაც ქმნის მხატვრულ სახეთა სისტემაში ობიექტურისა და სუბიექტურის დამოკიდებულების უთვალავი ასპექტით განსახიერების შესაძლებლობას.

ალუდა ქეთელაური მართლაც გამოეყოფა თემს ორიგინალური სურვილებით, უპირისპირდება კიდევაც დამკვიდრებულ შეხედულებებს, მაგრამ არა აბსოლუტური აზრით. ამ დაპირისპირების ქვეტექსტი ალუდასათვის თავისი ხალხის მიმართ მტრობას სრულიადაც არ გულისხმობს. იგი თვითმყოფადი სულიერ-გონითი შესაძლებლობების ინდივიდია და არა ყოველივეს უარმყოფი ინდივიდუალისტი. სიკეთე, ჭეშმარიტება, სამართლიანობა და სინდისის არსი, რაც ალუდას წარმართავს ყოველთვის აღარ ეფარდება კოლექტივისათვის სარწმუნო აზრს. გმირს სწამს, რომ ღირებულებათა მისეული დაფასება სწორია, ყველასათვის სასარგებლო. ამიტომაც ალუდა თამამად სთავაზობს საზოგადოებასა და თვით კაი ყმებისათვის „ძალის მიმცემ“ გუდანის ჯვარსაც იმ ახალ ღირებულებებს, რომლებიც მას ეფასება. რაც ეფასება ალუდას, სწორედ იგია მისი კაიყმობის საზომი. იგი ჯერ კიდევ ძნელად დასამკვიდრებელი სიკეთის, ჭეშმარიტების, სამართლიანობისა და თავისუფლების განსახორციელებლად

იღვწის და თავსაც იმეტებს. კაი ყმა ახალი სულიერი მოთხოვნილებითაა აღმატებული სხვა ადამიანებზე და ეს იქცევა მისი ცხოვრების ტრაგედიად. ტრაგედია ალუდასი კი იმან წარმოშვა, რომ მას ძველისა და ახლის სწორი შეფასება ძალუძს. კონსერვატული ბუნების საზოგადოება კი არც ძველს თმობს და ვერც ახალს იგუებს. წარმოიქმნება კონფლიქტური სიტუაციები, რამაც უნდა გამოავლინოს დადებითი ეპიკური გმირის სულის სიმაღლე, ხასიათის სიმტკიცე, თვითმყოფადობა. ნაირ-ნაირ ღირებულებათა არსის „მჩხრეკელ-მრკვეველი" გმირები, როგორც ვაჟა იტყოდა, მთელი ერისა და კაცობრიობის მოთხოვნილებებს აძლევენ პასუხს. პოეტი ასეთი სახეების შემოქმედად ასახელებდა შექსპირს, სერვანტესს, ილია ჭავჭავაძეს. ვფიქრობთ, ალუდასნაირი ტიპებიც ერისა და კაცობრიობის სინდისის გამაფხიზლებელნი არიან.

პოემა „ალუდა ქეთელაურის" დასაწყისი ნათელყოფს, რომ თემი, საზოგადოება ალუდას ქებას ასხამს და მისი დიდი იმედი აქვს. თემის წევრების აზრით, იგი „დავლათიანი" და „სიტყვაგზიანი" კაი ყმაა. ალუდა ადამიანთა ცხოვრებაზე გონივრული სიტყვის მთქმელიცაა და მისი ინტერესების დამცველიც. იგი კარგი ვაჟკაცია და ამიტომაც „ცუდაისაგან" განსხვავებით მუდამ მტრიანია. მის ქავზეც მტრის „ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია". მუცალთან ბრძოლის შემდეგ ალუდას ხასიათი და მიზანსწრაფვა უცბად შეიცვალა. ერთი მთიელი მეორეს სულის შინაარსის მოულოდნელი სიახლით ხიბლავს. ბუნებრივად იბადება კითხვა: რა მოხდა, რამ გარდაქმნა ალუდას სულიერი მიდრეკილებები? რამ აიძულა იგი, რომ ანდრეზებისა თუ საყოველთაო მორალურ-რელიგიური შეხედულებების საწინააღმდეგო მოვლენები დაეფასებინა გარემოშიც და საკუთარ არსებაშიც? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გაარკვევს იმას, თუ ფოლკლორული ტრადიციისაგან რითია განსხვავებული ჭეშმარიტი პოეტურ-ინდივიდუალური მხატვრული აზროვნება, საქმიანობა ან კიდევ მწერლის მიერ შექმნილი სახე-ხასიათები და ხალხური პოეზიის კაი ყმები იდეალის რა ნიშან-თვისებებით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. აქვე უნდა გათვალსაჩინოვდეს ხალხური გმირის ალუდასნაირ კაი ყმად, პიროვნებად თუ დიდებულ ადამიანად გარდაქმნის შემოქმედებითი პროცესი.

ალუდას მხატვრული სახის ორიგინალურობა ისეთმა ცხოვრებისეულმა სიტუაციამ, გადმოცემულმა ამბავმა განაპირობა, რომელმაც ძალიან მკრთალად წარმოაჩინა ახალი, არატრადიცი-

ული მიმართების შინაარსი. ალუდასთან გმირული ორთაბრძოლის ჟამს მუცალმა შეუდარებელი სიმამაცე გამოიჩინა. ამას გარდა, მან მტერს ისიც დაანახა, რომ კეთილისმოქმედი და სამართლიანიცაა. რაინდული სულით დაჯილდოებული მუცალი კაი ყმაა. ასე უწოდა მას თვითონ ალუდამ. მუცალმაც ალუდას სავაჟკაცო ღირსებათა სიმპათიკური განცდით დაჩრდილა თავის არსებაში კაი ყმის ტრადიციული სწრაფვები და თემის იდეოლოგიური ჩარჩოებიც. მუცალმა სრულიად უჩვეულო, ყოვლისმომცველი შურისგებისა და სიძულვილის ვითარებაში, მაშინ, როცა ძმა მოუკლეს და თავადაც სასიკვდილოდ დაჭრეს, სხვაგვარი თვალით შეხედა ღირებულებებს, მოვლენებს და სიკეთეს, სამართლიანობას თავისი წილი მიაგო. მან მოულოდნელად მოსისხლე მტრის სახეში მაღალადამიანური ღირსების ძებნა-დაფასება მოინდომა. მუცალმა თავისი იარაღი ალუდას გადაულოცა და უთხრა: „ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა". დიახ, მუცალის სურვილია, რომ მისი იარაღი ალუდას გარდა სხვა ადამიანის ხელში არ ჩავარდეს. გმირის ცნობიერებაში უღრმესი ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი გარდატეხა მოხდა, რამაც ალუდაც აიყოლია. მხოლოდ ბრძოლის დასასრულს გაიცნობიერეს უშუალოდ ერთიმეორის ღირსებები მუცალმა და ალუდამ. ადამიანებმა ერთი მეორისა და საკუთარი სულის სიღრმეებში ჩაიხედეს. მუცალი მოიხიბლა ალუდას სიმარჯვითა და სიმამაცით. თავის მხრივ, ალუდაც განაცვიფრა, შეძრა მუცალის ვაჟკაცურმა საქციელმა, მისი სულის მაღალადამიანურმა წონასწორობამ, სამტრო ვითარების ჟამს სიკეთის ქმედების უნარმა. ეს მოულოდნელი ზნეობრივი აღმოჩენა იყო. აღნიშნული ეპიზოდი ცხადყოფს, რომ ტრადიციული წესების საფუძველზე მოქმედებამ წინ გაუსწრო უშუალო გრძნობით და შეფასებით მოქმედებას. მნიშვნელოვან ღირსებათა წვდომა, ამ ღირსებათა თუ ღირებულებათა კარნახით გმირის მოქმედება დროის მდინარების თვალსაზრისით უკვე დაგვიანებული იყო, რამაც მუცალის ტრაგედია და ალუდას სულიერი ტანჯვა, მისი შინაგანი გაორება განაპირობა. სიტუაციის სირთულის გამო მათ წინასწარ არ შეეძლოთ ერთიმეორის სულიერების წვდომა. მუცალი დაიღუპა. მაგრამ მოასწრო სულის სიმაღლე, თავისუფალი, ტრადიციული წარმოდგენების დამძლევი ორიგინალური საქციელი ეჩვენებინა. მისმა ამგვარმა სწრაფვამ გამოაფხიზლა თემური ადათ-წესებისა და იდეოლოგიის ტყვეობაში მოქცეული ალუდას თვითშეგნება. მან მუცალის საქციელის ზემოქმედებით საკუთარი სულიერი

თვისებები ამოიცნო. ამგვარ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ნიუანსებს ხალხური კაი ყმები თითქმის არ გვიჩვენებენ. ალუდას სინდისის ახალი შინაარსი დიდი ცოდვის შემდეგ ატირდა და მთელი ძალითაც ამოქმედდა:

ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.
. . . . . .
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა: „ცოდვა არიო;
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო".

მუცალის ზეადამიანურმა თვისებებმა, სრულიად სხვაგვარი მიმართულება მისცა ალუდას განცდათა დინებას. მან უცბად დაივიწყა თუ გადააფასა იარაღის აყრისა და მარჯვენის მოკვეთის ჩვეულებები. ისინი მუცალისნაირი გმირის მიმართ ძალადაკარგულად, უვარგის წესად, არაღირებულ ნორმად მიიჩნია. ასე გამოიკვეთა გმირის ცნობიერების სიღრმეში ახალი სულიერი ღირებულებების მაორიენტირებელი ფუნქცია. აქედან დაიწყო ალუდამ თავის სულიერ მოთხოვნილებათა და ობიექტურ-ცხოვრებისეულ ნორმათა რანგობრივი ბუნების გარკვევა, თემის წევრებსაც აუწყა, რომ მუცალი ცხონების ღირსი ვაჟკაცი იყო და ასეთის მიმართ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ხალხის თვითდაჯერებულ აზრს, ტენდენციურ, ტრადიციულად მიკერძოებულ შეხედულებას:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი".

ამ სიტყვების აზრი უსაფუძვლო ამაყობის დაგმობასა და მისგან თავდახსნას მოითხოვს. ალუდას რწმენით, მუცალი ცხონდება, მას არ მოელის „კუპრში ქშენანი", რადგანაც ღვთისშვილნი ადამიანებზე უკეთ განსჯიან სიმართლეს, კაი ყმობის რაობას. სინდისის გრძნობისაგან და სიზმარ-ჩვენებათაგან „გუნება-აღელვებულმა" ალუდამ არ მიიღო მინდიას მიერ მირთმეული მუცალის მოკვეთილი მარჯვენა. ამგვარ საქციელს „ავად

მორთული“ საქმე უწოდა, ხოლო მინდიას კი დიდად ნაწყენმა ასე მიმართა:

„წაიღე, თუ გწამს უფალი,
ნუღარ მაჩვენებ თვალითა.
კაი ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა“.

მაშასადამე, ალუდასათვის მუცალი იმიტომაა სწორედ კაი ყმა, რომ ტრადიციულად არ იქცევა, გულის ხმას მიჰყვება.

ალუდამ ამის შემდეგ მტკიცედ განაცხადა, რომ მტერს საერთოდაც მარჯვენას აღარასოდეს მოკვეთდა, რადგან ეს წესი ცოდვა-ბრალით მონათლული იყო. როგორც ვთქვით, ადათების თავისუფლად გადამფასებელ მუცალს ალუდამ კაი ყმა უწოდა. მან თანდათანობითი თვითამაღლების კვალდაკვალ, ღირებულებების თავისუფალი შერჩევის წესით უსარგებლო, მდაბალი ადათები დაიწუნა. სინდისის პიროვნულმა ძალამ, სინანულის განცდამ, ალუდას გუდანის ჯვარში მუცალის სულის მოსახსენიებელი კურატიც მიაყვანინა. მრავლისმთქმელმა სიზმარ-ჩვენებებმა, გრძობათა კათარზისმა, მუცალის ღირსებების უცდომელმა დაფასებამ ალუდას, თემის გაგებით, მიუტევებელი შეცდომა ჩაადენინა. ალუდამ ის „დააშავა“, რომ მუცალს მარჯვენა არ მოაჭრა, იარაღი არ აჰყარა, თემის წინაშე შეაქო და „ცხონებულად“ მოიხსენია, არ მიიღო მინდიასაგან მუცალის მოკვეთილი მარჯვენა, თემის სალოცავში ხევისბერს ურჯულოს სულის მოსახსენიებლად კურატი მიუყვანა, როცა თემის ადათების ერთგულმა დარაჯმა შესანირავი „არ დაუმწყალობა“, მაშინ წესის წინააღმდეგ, ხევისბერის მოვალეობაც თვითონ შეასრულა. თვითონ გმირს კი სწამს, რომ მისი საქციელი უმაღლესი ადამიანური ღირებულებების რიტუალური ფორმით განმტკიცების წმინდა ცდაა. ნაწარმოების სიუჟეტის აღნიშნულ ეპიზოდში შეეჯახა ერთმანეთს ანდრეზიულ-რელიგიური და ახალი ზნეობრივი ღირებულებები. მკვეთრად დადგა ტრადიციების განახლების პრობლემა. როგორც ირკვევა, თემის წინაშე ამდენი „ცოდვისა“ და „დანაშაულის“ ჩამდენს შემოქმედი ხალხი კაი ყმას არ დაარქმევდა და სახოტბო ლექსს არ უძღვნიდა, ხოლო ვაჟა სხვაგვარად იქცევა.

თემის ანდრეზებისა და რელიგიური წარმოდგენების მტკიცედ დამცველი ხევისბერი აღიარებს, რომ „კარგი ყმა უყვარს ბატონსა, წყალობა ემეტებისა“ და გუდანის ჯვარი ალუდას სახვეწარსაც მიიღებს. მაგრამ ალუდამ, როცა მსხვერპლშეწირვის მი-

ზანი უთხრა და მის ობიექტად ურჯულო მუცალი დაუსახელა, გაოცებული ბერდია ეტყვის:

„მამით არ მოდის ანდერძი,
პაპითა-დ პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა".

საკუთარ უწრფელეს გრძნობათა დამფასებელი გმირი უნებლიეთ წინ აღუდგა მამა-პაპათა ადათებს. სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ხევისბრისა და კაი ყმის სიტყვებმა დიდი პოეტური ძალით წარმოაჩინეს კონფლიქტის არსი, თავიანთი მსოფლგანცდის სხვადასხვაობა. ცხოვრების ნორმებისა და სუბიექტური სწრაფვების შეფასებისას ისინი სხვადასხვა პოლუსზე აღმოჩნდნენ. ღირებულებათა დაფასების, გარდაქმნა-ჩანაცვლებისა და დამკვიდრების საჭიროებას ისინი სხვადასხვაგვარად იცნობიერებენ. ალუდა, როგორც ახალი ტიპის კაი ყმა, მოვლენათა ავ-კარგის განსჯისას საკუთარ გულსა და სინდისს ენდო, ხოლო ხევისბერი ძველ ადათ-წესებს დაემყარა. თემისა და ხევისბრისათვის ადამიანის საქციელი მხოლოდ საზოგადოების არქაული ნორმების წრეში უნდა ეტეოდეს, თემის წევრი ღირებულების თვალსაზრისით ადათების დიფერენცირებას არ უნდა ახდენდეს, მისი თვითშეგნება ადათების შინაარსის გამოვლენის ფაქტი უნდა იყოს. ვაჟა-ფშაველას აზრით, გმირი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალიზების დროს ჰუმანური, სამართლიანი, სინდისიერი იდეალის დამკვიდრებისათვის უნდა იბრძოდეს და ამით „სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ცდუნება არა სძირავდეს". პიროვნულ თვითსრულქმნაზე ზრუნვა, საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლებასაც გულისხმობს. ეს მიზანიც ამოქმედებს ალუდას სულიერ სამყაროს. ალუდას თხოვნა, მისი შესაწირავი არ მიიღო ხევისბერმა. მისგან გაწბილებულმა კაი ყმამ კვლავ გაუგონარი საქციელი ჩაიდინა. ალუდამ ხევისბრის ფუნქცია თვითონ იკისრა, თვითონ დაკლა კურატი და მოიხსენია ქისტი მუცალი. კონფლიქტმა კულმინაციას მიაღწია. გამომზეურდა უფლება-მოვალეობების აღსრულებისას პიროვნული ახლისა და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯახების რეალური ხასიათი. ვერ მორიგდნენ კერძო და ზოგადი. უნდა დადგინდეს ჭეშმარიტებისა და ღირსების ახალი საზომები. ალუდას კი ამის თაობაზე არავინ ეთათბირება. მამა-პაპათა ადათ-წესებისა და, საერთოდ, თემის იდეოლოგიის დასაცავად ხევისბერმა ბერდიამ მხარდაჭე-

რა ხალხს სთხოვა. „დაჯარდნენ“ და ალუდას დასჯა, მოკვეთა, საზოგადოებიდან გაძევება გადაწყვიტეს:

მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შენამზირები!
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები!
ცეცხლი მიეცით საძნოვარს, –
ცასა სწვდებოდეს ალები!
. . . . . .
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები.

ასეთია თემის თვითშეგნება, ღირებულებათა წვდომის არეალი, მისი იდეოლოგია. მოკვეთილმა ალუდამ თან უნდა წაიღოს თავისი ახალი გრძნობები და იდეალი. მის სიმართლეს ვერავინ აღიარებს.ალუდას თავგამოდებამ თანაგრძნობის სუსტი კვალი მხოლოდ მინდიას სახეზე აღბეჭდა. თემის განაჩენის წინაშე კი მინდიაც უძლურია და გაუბედავი:

ამის გამგონეს მინდიას
მაუწყლიანდეს თვალები:
ვეღარასა ჰშველს ალუდას,
გულზე გადიწყვის მკლავები.

მოვლენათა შეფასების ასეთ განსხვავებულ სიმაღლეზე დგანან ალუდა და მინდია. ისინი განსხვავებული სულიერი შესაძლებლობების ადამიანები არიან. „თორმეტი ქისტის მამკლავი“ მინდიაც კაი ყმაა, თემში სანაქებო. იგი ბოლომდე ასეთ სანაქებო ადამიანად დარჩება, რადგანაც ის ყველა ადათის და კოლექტიური ნების ერთგულია. მინდიამ ვერ იკისრა ალუდას საქციელის დაცვა. იგი თემური ადათებისა და მორალური შეხედულებების ტყვეობაშია. ორივე ამ გმირის მოქმედების გარემო კი ერთნაირია. ამგვარ ფონზე წარმოადგინა პოეტმა განსხვავებული უნარისა და სულიერი მოთხოვნილებების მქონე ადამიანთა საქციელი. ერთნაირ გარემოში ჩნდება სხვადასხვანაირი ადამიანური სწრაფვები და საკარგყმო იდეალების რეალიზებისას ადამიანები სხვადასხვა უნარსა და ნების ძალას ავლენენ. მინდია ვერ ამაღლდა მუცალისა და ალუდას დონემდე. მან ვერ შეძლო ალუდას დასაცავად დაპირისპირებოდა თემს, მის ადათებს. ამ ნიშნით იგი ხალხური კაი ყმის ხასიათს უთანაბრდება. მინდიამ

იგრძნო კი ალუდას სწრაფვათა ღირსება, მაგრამ ახალ სიმართლეს მხარი ვერ დაუჭირა. ამიტომაც ის თემის სხვა წევრებს ძირითადად მოკლული მტრის რაოდენობით აღემატება და არა თვითშეგნების სხვაგვარი ბუნებით. მინდია, უშიშა, „ახალუხლები“, ბერდია და, საზოგადოდ, თემის ყველა წევრი, იმ საერთო რწმენის ერთგულია, რომლის მოთხოვნითაც კაი ყმა არც თემის ადათ-წესებს და არც რელიგიურ-მორალურ შეხედულებებს არ უნდა უპირისპირდებოდეს. მაშასადამე, უმრავლესობისათვის მამა-პაპური რწმენისა თუ ცხოვრების წესი შეუცვლელი და უნაკლოა. ამის აღიარება, პოეტის რწმენით, იმ ჯანსაღი პიროვნული საწყისების ჩახშობას გულისხმობს, რომელმაც ახალი, პროგრესული უნდა დაამკვიდროს და ცხოვრება გააუმჯობესოს.

ალუდას როგორც კაი ყმის სახე ღრმა ინდივიდუალურ-პიროვნული შინაარსით არის აღბეჭდილი. გმირის თვითშეგნება ახალი გრძნობის მძლავრი ზემოქმედებით ბუნებრივად ვითარდება, ხოლო ამ პროცესის კვალდაკვალ საზოგადოებასთან კონფლიქტი კი ღრმავდება. ნაწარმოების მხატვრულმა მოქმედებამ წარმოაჩინა საზოგადოებისა და პიროვნებისაგან სხვადასხვაგვარად შეფასებული ფაქტები, სიკეთე, ჭეშმარიტება, ადამიანური მოვალეობა და საკარგყმო იდეალი. საზოგადოების შეხედულებები კონსერვატული ბუნებისაა. ამგვარი გარემო არ ქმნის ახალი ტიპის კაი ყმის ან ალუდასნაირი ადამიანის ახალი იდეალების განხორციელებისათვის საჭირო პირობებს. საზოგადოებრივ-პიროვნული ურთიერთმიმართების სუბორდინაციის ჰუმანისტური ზოგადადამიანური პრინციპები კი ამას ითხოვდნენ და პოეტის მიზანიც სასურველის წარმოსახვას გაჰყვა. მართალია, ალუდას სურვილები ოცნებისა და ინდივიდუალური მოქმედების საზღვრებს ვერ გაცდა, მაგრამ განუმეორებელი რეალური სახე მაინც შეიძინა, რადგან კერძოსა და საზოგადოს ურთიერთმიმართების წინააღმდეგობრივ ფენომენს დაეფუძნა. ამგვარია თემიდან გასაძევებელი ვაჟას კაი ყმა. პოეტურმა ფანტაზიამ ალუდა მოვლენათა არსის წვდომის განსაკუთრებული უნარით დააჯილდოვა. გმირის მხატვრული სახის თვითმყოფადობა, მისი სწრაფვების ეროვნული თუ საკაცობრიო მნიშვნელობა ახლის დამკვიდრების რაინდულ ცდაში გამოვლინდა. ამ გმირულმა ცდამ და იდეალმა კი მხოლოდ ისეთი ტრადიციული უარყო, რომელიც პიროვნების სულიერი ძალების თავისუფალ თვითგანვითარებას აბრკოლებდა.

„მოკვეთილი“

ვაჟა-ფშაველამ 1886-1897 წლებში დიდი პოეტური ენერგია მოახმარა კაი ყმათა ეპიკური სახეების დამკვიდრებას. პოემების გარდა, ამ პერიოდში მწერალმა შექმნა დრამატული თხზულება „მოკვეთილი“, რომლის მთავარ თემადაც ისევ კაი ყმის ბედი და ხასიათი დასახა. პიესის მთავარი გმირი ჩონთა გენეტიკურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით დიდად ენათესავება მწერლის მიერ პოემებში დახატულ კაი ყმებს. განსხვავება კი იმაში ვლინდება, რომ ჩონთა სრულად ვერ იცავს ტრადიციულ ხალხურ საკარგყმო მოთხოვნებს. თუკი ივანე კოტორაშვილი „დიაცთ მიმყოლსა ვაჟებსა ძლიერ ცუდ თვალზე ჰხედავდა“, პიესაში სიყვარულის გრძნობა შეხედულებათა ტრადიციულ შინაარსზე მაღლა დადგა. ჩონთამ სიყვარულის გრძნობას ბორკილი ვერ დაადო, გვერდი ვერ აუარა და საკარგყმო მოვალეობიდანაც გადაუხვია. მან მათურელ ბახას დანიშნული საცოლე მოსტაცა, რის გამოც გვარებს შორის მტრობა ჩამოაგდო. ასეთ საქციელს პიესის ერთი პერსონაჟი შუშანა იწუნებს. მისი აზრით, ჩონთა ქისტების წინააღმდეგ მებრძოლი მამაცი ბელადია, ნამდვილი კაი ყმა: „კაი ვაჟკაცია. ცოტა ერთი მიზეზი აქვ. ქალის გულისათვის ვაჟკაცმა სახელი როდი უნდა გაიფუჭოს“. ჩონთას მიერ სხვისი საცოლის მოტაცება მრავალი ადამიანის ტრაგედიად იქცა. ღირსების შელახვამ ბახას წონასწორობა დააკარგვინა და შურისძიების გზაზე დააყენა. ხალხის აზრითაც, კაი ყმამ თანამოძმეთა შორის უსამართლობა არ უნდა ჩაიდინოს. თვითონ ჩონთაც აღიარებს, რომ სიყვარულის ძლიერმა გრძნობამ გადაძალა ტრადიციული მორალური შეხედულებები: „ჰო, ჩემი ბრალიც ბევრია. არც სამართლიანად მე მოვიქე. სხვის დანიშნულთან მე რა მესაქმებოდა, მაგრამ გულია ეს ოხერი დამნაშავე. მამეწონა, შამიყვარდა. გაბეჩავება გავბედე. რეტიანს ცხვარს დავეფერე. საქმე ველარ გავიგე. მარტო ერთი საფიქრალი ეგ ოხერ-ტიალი დიაცი გამიხდა. მე რო ვიყო ბახას ადგილას, იქნება უარესი საქმე ჩამედინა. არა ტყუის, ვის არ მოსწონს და არ უყვარს თავისი თავი, ვის არ ეძვირება თავისი ნამუსი! გული, ეს გული არ ემტერება ბახას, მაგრამ საქმე ბოლოს ისე მოვიდა, უნდა ვემტერო... უნდა, უნდა! დასასჯელია მაინც. რატომ არ ეცადა თითონ ამოეყარა ჯავრი? ქისტებს მისევს... აქა მტკივა მე გული!..“ ჩონთაც და ხალხიც ბახას საკუთარი ღირსების დაცვას კი არ საყვედურობენ, არამედ მოწი-

ნააღმდეგის ასაოხრებლად ქისტების გადმოყვანას უთვლიან ღალატად, რომელსაც უდანაშაულო სიცოცხლეც ემსხვერპლა.

ჩონთა ვაჟას კაი ყმათა შორის, ვფიქრობთ, ერთადერთი მონანიე გმირია. სხვანი ან განუხრელად იცავენ ცხოვრების ტრადიციულ ნორმებს, ანაც, თუ რაიმეს ცვლიან, ან არღვევენ, მაშინ მათ ბოლომდე სჯერათ თავიანთი განსხვავებული აზრისა და საქციელის სიმართლისა. ჩონთა ნაწილობრივ არის შემცდარი. ბახაც თავისი ღირსების დაცვისას სანახევროდ არის თემის წინაშე დამნაშავე. ბახას დანაშაული ხევისბრებმა მთელი ფშავის ღალატად მიიჩნიეს და იგი სამშობლოდან მოკვეთეს. ჩონთას არ ასვენებს ნაწილობრივი ბრალის გრძნობა, სინდისის შინაგანი მსჯავრი. ის ხალხს, ხევისბრებს ალალად სთხოვს არ მოიკვეთონ მისი მტერი ბახა: „ლაშარის ჯვრის ყმანო და ხატის მსახურნო, – მიმართავს იგი ხალხს, – ორი სიტყვა მათქმევინეთ, თქვენი ჭირიმეთ... ერთს ხარს მადებთ ვალად და ვიდებ კიდეც იმით, რომ არ არის რო დანაშაული არ მქონდეს. დღეს ჩვენის ლაშარის-ჯვრის დროშის წინა ვდგევარ და ჩემმა ენამ სწორედ უნდა ამოთქვას გულის პასუხი... მეც თქვენი ჭირის ნაცვალი ვიყო და ჩემი საქონიც თუნდა ხუთიც დაკალით, ხოლო მოდი, ბახას... ჰო, ბახას ნუ გავიმეტებთ ეგრე! მოდი, ნუ მოიკვეთთ და სხვა რამ სასჯელი დავსდვათ. იქნება ეხლა კიდეც ენანებოდეს თავისი ჩანადინარი საქმე". კაი ყმის ეს მიმტევებლური სიტყვები, მოკვეთილმა, თავმოყვარეობა შელახულმა ბახამ დაცინვად მიიჩნია და იგი ხმლით სასიკვდილოდ დაჭრა. ჩონთას შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა და ორი ოჯახისათვის გამოუსწორებელ უბედურებად იქცა. ზნეობრივი მაქსიმების მოთხოვნით კაი ყმას წინასწარ უნდა განესაჯა თავისი საქციელი, რადგან მხოლოდ შეცდომის მონანიება გმირის სახელს ვეღარ აღადგენდა. გმირის სახელი, ხასიათის სიმაღლე, ხალხის გაგებით, განისაზღვრებოდა იმით, თუ რამდენად ერთგული იყო იგი ადათებისა და თემის მორალურ-ეთიკური შეხედულებებისა. „მოკვეთილის" დედააზრიც ის არის, რომ კაცური კაცობის უძირითადესი საყრდენი სამშობლოსა და ხალხის წმინდა სიყვარულია. მოკვეთილი, ქისტეთში გადახვეწილი ბახაც მწერალმა ვერ გაიმეტა ზნეობრივი დაცემისათვის. ბახას შეაძლებინა, რომ ქისტეთში, ქისტებისაგან დაეცვა ლაშარის ჯვრის დროშის ღირსება და ამ მიზნით სიცოცხლეც გაეწირა.

„სისხლის ძიება“

როგორც აღვნიშნეთ, ვაჟას გაგებით, ალუდა იდეალური კაი ყმაა და ასეთად რჩება ნაწარმოების ბოლომდე. თემის აზრით კი იგი საზოგადოებიდან მოსაკვეთ ადამიანად იქცა. ალუდასა და ჯოყოლას მოქმედების პათოსის მსგავსი განწყობა გამოხატა „სისხლის ძიების“ მთავარმა გმირმა ქიჩირმაც. ჩერქეზი კაი ყმა მამულისათვის თავდადებული, მამაცი და გაუტეხელი მებრძოლია. იგი კაცურ ღირსებებსა და სამართლიანობას მტკიცედ იცავს. სამშობლოს ერთგულება ქიჩირის ზნეობის ძირეული პრინციპია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის ჩერქეზთა სოციალურ-ზნეობრივი ცხოვრებიდან ბევრი რამ დაიწუნოს და რაინდულად წინ აღუდგეს ძალადობას, მონური მორჩილების მოთხოვნას. ქიჩირი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა სამშობლოს გამცემს, ავის მოქმედ ჩერქეზთა მთავარს, ასლან-ბეგს. ბოროტებით და ფარისევლობით გამსჭვალული ასლანი განუკითხავად ბატონობს:

განაგებს ჩერქეზთ სამთავროს,
ყველა ძრწის იმის შიშითა,
ბევრი აიკლო სახლ-კარით,
ბევრი ატირა ვიშითა.

ერთი ქიჩირბე არ ჰმონებს,
გათქმული ვეფხვის ჯიშითა;
მისი ბოლმა ჰკლავს ასლანსა,
ჯავრი იყაროს ვისითა?!“

ასლანმა მრავალი მკვლელი მიუგზავნა ქიჩირს, მაგრამ იგი მტრებს სპობს და მთელ ჩერქეზეთს სიმართლეს, ასლანის ავკაცობას აუწყებს:

დადის და ყველას არიგებს
სიტყვით ძმურით და მტკიცითა:
„რად ჰმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,
უღელს რად იდგამთ კისრადა,
სხვისა ნაყმევი, ნალახი
გამოადგება ვის რადა?!
უბატონობა რით არ სჯობს,
ნეტავ, ბატონის ყოლასა?
რით არ სჯობია რაინდი

ღამის სალაღობ ცოლასა?
ომში მოკლული ვაჟკაცი –
მეჩეთში მყვირალს მოლასა?“

ქიჩირის ზნეობა კაი ყმის დაუდგრომელ სიმამაცეს, თავისუფლების მოყვარეობას, სამართლიანობისა და ადამიანური ღირსების დაფასებას გამოხატავს. მაღალი ზნეობრივი პრინციპების ერთგულ ქიჩირს ასლანმა ბევრი მტერი გაუჩინა და გმირის თაყვანისმცემელთა რიცხვი ვერაგულად შეამცირა. რაკი ქიჩირს ვერაფერი დააკლო, მის ხელში ჩასაგდებად მზაკვრულ, ფარისევლურ ხერხებს მიმართა.

ასლანმა იცის კაი ყმის ხასიათი. მას სამშობლო, ვაჟკაცური სახელი სიცოცხლეს ურჩევნია და ამიტომ სამშობლოს მტერთან ერთობლივი ბრძოლა, ზავი და ერთგულება შესთავაზა ქიჩირს. გაუგონარი ფლიდობის ხერხმა გაჭრა. ქიჩირმა იფიქრა, მტერთან საბრძოლველად მიწვევს, თუ ზავისთვის არ ვეახელი, თუ ქვეყანას არ ვარგე ამით, ჩერქეზთა შორის კაი ყმის სახელს დავკარგავო. ჩერქეზთა აზრი კი ქიჩირის შესახებ ასეთი იყო:

„ლაშქარს ქიჩირი ერთია
და ჩვენ ათასნი სწორადა,
ქიჩირის ხმლითა ნაცემი
გაიკვეთება ორადა.
რაზეც ქიჩირი გაივლის,
მტრის თავებია გორადა,
სხვა არვინა ჰყავ ჩერქეზეთს
ქიჩირთან ასაწონადა“.

ასლანმა დაივიწყა ზავის, პირობის გაუტეხლობის, სტუმრის ძმასავით შენახვის მამაპაპური ტრადიციები და სტუმრად მისული პატრიოტი კაი ყმა დაატყვევა. მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. ქიჩირი მამაპაპური წეს-ჩვეულებისა და პიროვნული ღირსების პატივისცემის თვალსაზრისით ძალიან ჰგავს „სტუმარ-მასპინძლის“ ჯოყოლას. დემურმა, ასლანის წაქეზებით, ქიჩირის ნაცვლად მისი სტუმარი და საკუთარი ცოლისძმა, ალხასტა მოკლა. ქიჩირი ასე აფასებს ამ საქციელს:

„ეს ვინ დამასხა თავს ლაფი?“ –
არწივი ამბობს ყეფითა. –
ვინ შემარცხვინა თავხედმა
სირცხვილით მეტის-მეტითა?

ჩემს გონებულა სხვა მოჰკლეს,
ვიცი, ეს ვისიც ბრალია.
თუ ვერ ვიყარო მტრის ჯავრი,
წელზე რად მარტყავ ხმალია?!"

კაი ყმის გაგებით, „ვინაც მტერს მტრულად არ დახვდეს, მისი სახელი კრულია". ამიტომ თავისუფლებისა და კაცური ღირსებისათვის ბრძოლა, ქიჩირის აზრით, მაღალი ზნეობისა და უკვდავი სახელის დამკვიდრების საწინდარია. ადამიანის ცხოვრების კეთილი საზრისის შესახებ კი იგი ამბობს:

„ნეტავი იმას, ვინაცა
მკვდარი გასწირავს სახელსა,
და ყველა იმის ხსოვნასა
გულს ინთებს როგორც სანთელსა.
ცოცხალი ცოცხალსა ვგვანდე
თავის გუნების პატრონად.
მოვკვდები, ერთი დღე მმართებს,
მიწა მექნება ბატონად".

კაი ყმა მხოლოდ მიწას მიიჩნევს ერთადერთ ბატონად. „თავის გუნების პატრონი" ქიჩირი სასიკვდილო განსაცდელის წინაც გაუტეხელია. ქიჩირი დამტყვევებელს მიმართავს: „ძაღლებს არას სთხოვს ქიჩირი, მოკვდეს, მით არა უნდა-რა". ეს ეპიზოდი ძალიან ჰგავს ზვიადაურის სიკვდილის სცენას, მის სიამაყეს: „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა". ქიჩირი დიდ შეგონებას უტოვებს ასლანს:

„ერთს გეხვეწები დიდადა, –
ნუ გააგონებ ქვეყანას,
თავს ნუ აჩვენებ ფლიდადა.

ნუ გააგონებ ჩერქეზთა,
რომ მომატყუე ზავითა,
ნუ წარჰყვნი მოძმეთ ბუნებას
შხამ-საწამლავით ავითა.

ეს ჩვეულება მტკიცედ გვაქვს:
წმინდად შენახვა კერისა,
პირობის დაურღვევლობა,
ძმად შინ შენახვა მტერისა".

ქიჩირი, როგორც კაი ყმა, ზედმიწევნით იცავს მამა-პაპათა ადათებს, ხალხის ზნეობის სიწმინდეს. ასლანი არღვევს ადათის ნორმებს, ფეხქვეშ თელავს კაი ყმის ღირსებებს; იგი დასცინის კიდევაც ქიჩირის ვაჟკაცობას და ტყვეს დასჯის წინ ჩონგურს მიართმევს. სასიკვდილოდ განწირული, გაუტეხელი კაი ყმა მომავლის გმირთა სულის ასამაღლებელ ლექსებს მღერის:

„ფლიდია ესე სოფელი,
ფლიდთა საყრელი ხელისა,
კარგებსა სჩაგრავს, უმსგავსთ კი
კალთას აფარებს, ჰშველისა:
მართალი წუთისოფელში
შვებას ამაოდ ელისა!"

ქიჩირის აზრით, ხალხი ხშირად ბრმავდება ქვეყნის გამცემთ, ფლიდთა ხროვას მორჩილებს. გზაკვალარეული თანამემამულეების გამოფხიზლება კი კაი ყმის ვალია, რადგან მან იცის:

„სამშობლოსათვის მამაცი
არის მადლი და დიდება.
მალე დაჰლუპავს ქვეყანას
ლაჩართა გადაკიდება".

ასლანი მდიდრდება, თანამემამულეთ კი მტერს ამუსვრინებს და ხალხში უსამართლობის, მონობის სულისკვეთებას აბატონებს. „გულმკერდ დაქარგული" მამულის უზომოდ მოყვარულმა კაი ყმებმა უმსგავსთა, ფლიდთა სიცოცხლე, მათი ჯილაგი უნდა ამოძირკვონ. ქიჩირი თითქოს წინასწარ ამართლებს თავის საქციელს, რომლითაც მან ქვეყნის ორგული უნდა დასაჯოს. ხალხს და კაი ყმებსაც სწამთ, რომ გამცემის, მოძალადის შვილებიც მისნაირნი იქნებიან, რადგან ავი და კარგი შინაარსით „კვიცი გვარზე ხტის". კაი ყმის გაგებით, მამაცობა ათასგვარია და ქვეყნის სასარგებლოდ მისი თუნდაც ძალიან სასტიკი ფორმით განხორციელება მხოლოდ „ვაჟკაცთა სულის ღონეა". სულითა და ზნეობით ღონიერმა ქიჩირმა ამ სიტყვებით დაამთავრა სიცოცხლეზე ფიქრი და ასლანის ორივე ვაჟიშვილი მძვინვარე ხანძარში თან გადაიყოლა, რადგან:

ბიჭობა ათასნაირი,
ათასის სახის მქონეა.
ვისაც სიკვდილი აშინებს,

ის ბიჭად არა მგონია.
თავის გაწირვა ადვილად
ვაჟკაცთა სულის ღონეა,
ვაჟკაცთ დაიცვეს ქვეყანა,
გამრავლდეს იმათ ჯიშია;
ფლიდთა, სულ-მდაბალთ ჯილაგი
რომ გასწყდეს ისა სჯობია.
გველის წინილა გველია,
ხოლო ვირისა – ვირია.
კუნელზე ყურძენს არ ჰკრეფენ,
არცა-რა გასაკვირია.
უმსგავსთა, ფლიდთა მომსპობად
გახმეს ფოჩი და ძირია.

ქიჩირი უფრთხილდება კაი ყმის სახელს, წმინდად იცავს საკარგყმო იდეალს, ტრადიციულ ადათ-წესებს, მაგრამ იქვე მზად არის, გარეშე მტერთან ერთად მწარედ გაუსწორდეს შინაურ მოღალატეებს. იგი ვაჟას სხვა კაი ყმათაგან განსხვავებით, დაუნდობლად ებრძვის შინა სოციალურ-მორალურ უკეთურობას, სიბრიყვეს, ლაჩრობას, საქვეყნო ინტერესების ღალატს. ვაჟა-ფშაველას აზრით, ჭეშმარიტი კაი ყმის დახასიათებისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, სადაურია იგი, რომელი ერის თუ სარწმუნოების წარმომადგენელია. კაიყმობის საზომი სამშობლოს სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა, ბრძნული ტრადიციების დაცვა, სიმამაცე და სინდისიერებაა. ქიჩირი ამ ღირებულებათა უარმყოფელ ადამიანებს არაფერს მიუტევებს და იბრძვის ახალი სოციალურ-ზნეობრივი იდეალების დამკვიდრებისათვის. იგი სულიერი სრულქმნის გზაზე დამდგარი კაი ყმის უბადლო სახეა.

თავი XIII

ვაჟა-ფშაველას ლირიკის ბუნებისათვის

ვაჟა-ფშაველა არა მარტო თვითმყოფადი ეპიკოსია, არამედ განუმეორებელი ლირიკოსიც. მისი პოეზია და პროზა ახალი საფეხურის შემქმნელია ქართული მწერლობის განვითარების გზაზე. მრავალი მწერლისა და მეცნიერის აზრით, ვაჟა როგორც ლირიკოსი თუ არ აღემატება არც ჩამოუვარდება ვაჟა-ეპიკოსს. მისი ლირიკის მოტივთა და სახეთა მრავალწახნაგოვანება დაფუძნებულია პოეტის განცდათა სიღრმესა და უმძლავრეს მსოფლაღქმის სისტემაზე. ლირიკაშიც მან უხვად გამოიყენა ის ტრადიციული მითოსურ-რელიგიური, ბუნებისეული და ცხოვრებისეული მასალა, რასაც დიდ ადგილს უთმობდა თავის ეპოსშიც. მის ლირიკაში პიროვნულ-სუბიექტური პოეტური განცდების კონტექსტში გამოიძერწა უძველესი შრეები მითოსურ-რელიგიური ქართველური წარმოდგენებისა. პოეტის ლირიკაც ცხადყოფს შემოქმედის ბრძნულ თვითდაკვირვებებსა და სინამდვილის როგორც მთლიანის მხატვრული განცდის სისავსეს. შემოქმედს სწამდა, რომ ბუნებისა და სოციალური ყოფის ფასეულობები, მათი კავშირ-მიმართებები საერთოდ, ისტორიული გარჯა ხალხისა დიად მთელს შეადგენდა და თავისი დაუსრულებელი მოძრაობა-მოქმედების ჟამს კეთილთან, ჭეშმარიტთან, მშვენიერთან ერთად, ხშირად სიავეს, გადაცდომებსა თუ სიმახინჯესაც გამოხატავდა. იგი მიიჩნევდა, რომ პოეზია პოეტის ბუნებისა და ცხოვრების მუდმივი ურთიერთმიმართებების პირმშოა. მხატვრულმა აზრმა და სიტყვამ მთლიანობაში უნდა აითვისოს ხილული სინამდვილე. ადამიანები ყველა ეპოქაში სიკეთეს, სიბრძნეს, სილამაზეს, თავისუფლებასა და ბედნიერებას ეძიებდნენ, ცდილობდნენ თავიანთი ცხოვრება იდეალურად მოეწყოთ. ეს მუდმივი ძიება ცხადყოფდა მიღწევა-აღმოჩენებს, უფრო მეტს კი შეცდომებს; იგი მძაფრი წინააღმდეგობებით, მრავალი სიხარულითა და ტკივილით იყო გაჯერებული. ცხადია, კაცობრიობამ ვერ მოიპოვა, ვერ შექმნა ცხოვრებისათვის ერთი ისეთი საზოგადოებრივი სტრუქტურა, ერთი ისეთი იდეალი, რომელიც ყველა დროის ადამიანებს დააკმყოფილებდა, გამოადგებოდა და გააბედნიე-

რებდა. მრავალი მიზეზის, მათ შორის, ვაჟას მიერ აღნიშნული „თანდათანობის“ წესის არსებობის გამო მყარი, მუდმივი იდეალის დამკვიდრება შეუძლებელი იყო, თუმცა ადამიანი საკუთარი გარემოს სრულქმნისაკენ მუდმივად ისწრაფვოდა. ამ მიზნების, ანუ ცხოვრების იდეალის ამაღლებას ადამიანი ამსახურებდა რელიგიას, ხელოვნებას, მეცნიერებას და გარკვეული შედეგებიც ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ვაჟას მრწამსით, „სოფლის წყლულები“ კვლავ მოურჩენელი რჩებოდა და პრობლემები პასუხგაუცემელი. სიტყვიერი ხელოვნება, პოეტის გაგებით, ერთ-ერთი ის დასაბამიერი ფასეულობა აღმოჩნდა, რომელიც იდეურად სდარაჯობდა, ამრავალფეროვნებდა და სრულყოფდა კაცთა ცხოვრებას. იგი თუ რადიკალურად ვერ ცვლიდა გარემოს იდეალური მხატვრული სახეების დამკვიდრებით, მაინც სწორ მიმართულებას აძლევდა ადამიანთა სულიერ-ზნეობრივ მიდრეკილებებს. ამიტომაც ვაჟა-ფშაველამ დიდი მონდომებით შეაფასა ბევრი მსოფლიო რანგის მოაზროვნე და ხელოვანი. მან ბრძანა, რომ ჭეშმარიტი მეცნიერული აღმოჩენებისა და მაღალმხატვრული ლიტერატურული ქმნილებებისათვის არ არსებობს უცხო ქვეყანა, ჩაკეტილი საზღვრები; ეს ფენომენები თავიანთი ღირებულებით მალე მთელი კაცობრიობის კუთვნილებანი ხდებიან.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული შეხედულებები მისი სიჭაბუკის ხანაში, კერძოდ, XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ კი გაფართოვდა და გაღრმავდა. მისი ნარკვევები: „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, „ძველი და ახალი ფშავლების პოეზია“, „Pro domo sua“, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“, „ნიჭიერი მწერალი“, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, „საგაზაფხულო ფიქრები“, „სად არის პოეზია?!“, „რამე--რუმე“, „რა არის თავისუფლება!“ და სხვანი ჭეშმარიტ კლასიკად იქცა. არ არის რაიმე მნიშვნელოვანი სფერო ცხოვრებისა, რომელსაც თავის წერილებში ვაჟა ყურადღებას არ უთმობდეს. ცხადია, მან აქ საფუძვლიანად დაახასიათა სიტყვიერი ხელოვნება, მისი დანიშნულება და თვით ხელოვანი. ერთი გარემოებაა საგულისხმო: ვაჟა-ფშაველამ რატომღაც გვიან გამოაქვეყნა ლიტერატურული წერილები, ხოლო მათში გამოთქმული მრავალი აზრი კი თავისებურად ეხმიანება ავტორის მიერ გაცილებით ადრე დასტამბულ ლირიკულ და ეპიკურ თხზულებებს. პოეტისა და პოეზიის ბუნების შესახებ ვაჟამ წერილებში ბევრი რამ თქვა

მნიშვნელოვანი, მაგრამ ამჟამად ჩვენი მიზანია ამ მოვლენის ცხადსაყოფად, მხოლოდ მის ლირიკას დავემყაროთ. ჯერ ერთი, აღნიშნულ საგანზე პოეტმა თავისი გრძნობა და აზრი პირველად პოეზიაში გამოხატა და, მეორეც, მის ლირიკაში თვითონ ვაჟას ქმნილებების პოეტური რაობაც გაიხსნა და ავტორის პიროვნული შემოქმედებითი ბუნებაც. თავისთავად ცხადია ისიც, რომ ვაჟას ლირიკა იმსახურებდა იმავე შეფასებებს, რასაც პოეტი აძლევდა დიდ ქრთველ თუ უცხოელ მწერლებს. როგორც ვთქვით, მრავალმა მწერალმა თუ მეცნიერმა აღიარა ვაჟა-ფშაველას ლირიკის სიღრმე და მხატვრული სიდიადე. მიუხედავად იმისა, იგრძნობოდა ერთგვარი სიფრთხილე და კრძალვა, ამ რთული ფენომენის შეფასების საქმეში. ეს შენიშნა დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ და თითქოს ლიტერატურული საზოგადოების დასამოძღვრად, წასახალისებლად ბრძანა: „საგანგებო მონოგრაფიის ღირსია ვაჟას ლირიკა. იგი განსხვავებულია როგორც ქართული, ისე ევროპული ნიმუშებისაგან". ლიტერატურისმცოდნეთა თავშეკავებულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა გამოწვეული იყო საკვლევი მოვლენის სიღრმისა და მხატვრული სიდიადის წინაშე კრძალვით. ამ ფენომენის შესწავლა მკვლევართაგან არა მარტო გამბედაობას, არამედ განუზომელ გრძნობად-ინტელექტუალურ ძალებსაც ითხოვდა. მეცნიერები ხედავდნენ სირთულეებს, ცალკეული თემებისა და მოტივების დახასიათებას კი ცდილობდნენ, ხოლო ვაჟას ლირიკის მონოგრაფიული შესწავლის სურვილი ისევ სამომავლო ამოცანად რჩებოდა და რჩება ამჟამადაც.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობა ნათელყოფს ლიტერატურის ჟანრების როგორც გამოყენების სპეციფიკას, სირთულეს, ასევე მათს ერთიმეორისაგან განსხვავებულ ფუნქციებსაც. მწერლის თვალსაზრისით, ლირიკა, ეპოსი და დრამა წარმოადგენდა მხატვრული აზროვნების თავისებურ ფუნდამენტს, სინამდვილის ათვისებისა და პოეტური გარდასახვის დასაბამიერ უალტერნატივო საშუალებებს. საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ჟანრის გამომყენებელი მწერლები უთუოდ მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესების მქონენი იყვნენ. ჟანრების სრულად გამოყენება ავლენდა შემოქმედის იდეურ-მხატვრული მიზანდასახულების მრავალფეროვნებას. სხვადასხვა ჟანრის თხზულებების შექმნით, მწერალს ხშირად მხატვრული მოქმედების ერთი ფორმიდან მკითხველი მეორე ან მესამენაირი მოქმედების ფორმაში გადაჰყავდა. ვაჟაც მკითხველს ხიბლავს ლირი-

კული განცდების მოძრაობით, პოეტური ეპოსისა და დრამატული ნაწარმოებების მხატვრული სტრუქტურით. პოეტი, ცხადია, ჟანრის სტრუქტურულ შესაძლებლობებს მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების მისიას აკისრებს. ამის გამოც ერთმანეთის გვერდით ვერ დავაყენებთ, ერთ სიბრტყეზე ვერ მოვათავსებთ და ერთნაირად ვერ შევაფასებთ თვითონ ვაჟა-ფშაველას ისეთ სხვადასხვა ჟანრის თხზულებებს, როგორც გახლავთ: „ჩემი ვედრება", „ბახტრიონი", „მთის წყარო", „მოკვეთილი" და „რამე-რუმე". პოეტი აქ ყველა ჟანრს უბადლო ოსტატობით იყენებს და მას საკუთარ ფუნქციასაც სრულად ასრულებინებს.

ლიტერატურული ჟანრების მეშვეობით მწერალი გამოხატავს იმასაც, თუ სინამდვილის რანაირი მოვლენა ითხოვს ამა თუ იმ ჟანრულ სტრუქტურას. ბუნებრივია, ჟანრი ნათელყოფს შემოქმედის რეალობასთან სუბიექტური მიმართებების ხასიათსაც, გვეუბნება იმასაც, თუ კონკრეტული ნაწარმოებების შემოქმედებით პროცესში რანაირია მწერლის როლი. ბუნებრივია, არც შემოქმედის როლი და არც სხვადასხვა ჟანრის თავისებურებანი სინამდვილის იგივეობრივი ფორმით არ იკვეთება. სხვადასხვა ჟანრის თხზულებებში შემოქმედის „მე" სხვადასხვანაირად ვლინდება. ჟანრის გამოყენებასთან უშუალოდაა დაკავშირებული მწერლის მხატვრული მიზნებიც. ვაჟა-ფშაველას სიტყვით, მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის ქმნის პროცესის ჟამს „თავი და თავი ავტორია", იგი ამკვიდრებს შინაარსისა და ფორმის ერთიანობას, განსაზღვრავს, თუ როგორი იქნება ჟანრულად ნაწარმოები. ამასთანავე, შემოქმედებით პროცესში ირკვევა ნაწარმოების მხატვრულ მოქმედებაში ავტორის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი. ეპიკური თხზულების სიუჟეტში შეიძლება არ ჩანდეს ავტორის განცდები, პოზიცია, ბიოგრაფიული ეპიზოდები და ისინი არც იყოს საჭირო ეპიკური თხზულების მხატვრული აზრის გასაგებად. ეპიკურ ჟანრში ამბების გაწონასწორებულ თხრობას, მათი თავისთავადი შინაარსის დროსა და სივრცეში გაშლილად, აუჩქარებლად გადმოცემას მიჰყავს მხატვრული მოქმედება. ლირიკაში კი ხდება პოეტის სუბიექტური განცდა--განწყობილებების სწრაფი და ენერგიული განსახოვნება. ეპიკური თხრობა ხანგრძლივ პროცესად წარმოსდგება და, ცხადია, შემოქმედებითი ენერგიაც, განწყობაც ჟანრის მოთხოვნის კვალობაზეა ხანგრძლივ დროზე გადანაწილებული. საერთოდ, ეპიკოსის მხატვრული აზროვნება, მისი შეფასებები დიდ მასშტაბებს გულისხმობს. ეპიკურ თხზულებაში მოწონებულია ან დაწუნებუ-

ლია ცხოვრება, საზოგადოება ან პიროვნება. იქ გამოხატულია მკაფიო საზოგადოებრივი ურთიერთობები და შეხედულებები. აღნიშნულის გამო მწერლის პიროვნული განცდები ეპოსში ლირიკისაგან განსხვავებულად ვლინდება და ის თავისებურად არის შეწონასწორებული ნაწარმოების სიუჟეტთან ან მის ისტორიულ ფონთან. ასეთია სინამდვილისადმი ვაჟა-ფშაველას ეპიკური მიმართების ზოგადი ნიშნები.

ლირიკის ჟანრი, საყოველთაო აღიარებით, პოეტის სულიერი განცდების მიმოქცევის მრავალფეროვან შინაარსს გამოხატავს. ლირიკა პოეტის ვნებებს, მის მღელვარე გრძნობებს სიმბოლურ სახეებში აცოცხლებს. იგი შემოქმედის განცდებისა და მისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი, საზოგადოებრივად ღირებული მხარეების ენერგიული პოეტური განსახოვნებაა.

ვაჟა-ფშაველასათვის ლირიკა და ეპოსი თავიანთი იდეურ-მხატვრული ღირებულებით, ვფიქრობთ, ტოლძალოვან მოვლენად წარმოსდგებიან. სამყარო-ბუნების და კაცთა სოციალური გარემოს მხატვრული ათვისების მასშტაბით ვაჟა-ფშაველას ლირიკა და ეპოსი ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან. თუმცა სინამდვილის განსახიერების პროცესში ობიექტური და სუბიექტური მასალის მხატვრული გამოყენების წესითა და განზომილებით შინაგანი კომპოზიციური აგებულებით ეს ჟანრები ღრმა სხვადასხვაობას ცხადყოფენ.

ვაჟა-ფშაველას ლირიკული წარმოსახვა ბუნებისა და ცხოვრების დაუსრულებელი მოძრაობა-მდინარებიდან გამოარჩევს ხოლმე ისეთ მოვლენებს, სიტუაციებს, სურათებს, რომლებიც თავისი ზოგადი მნიშვნელობით განუმეორებელი და მრავლისმთქმელია. ამგვარ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუბიექტურ-ობიექტურ ხასიათის მასალას პოეტი საკუთარ სულის ბრძმედში გადაადნობს, ლირიკულ სახე-სიმბოლოებად, მცირე ჩანახატებად გამოძერწავს და მკითხველს მშვენიერი, ამაღლებული ნამის სიდიადედ წარუდგენს. მართალია, ლირიკული განცდების, სახე--სიმბოლოების არსი სუბიექტურობით არის აღბეჭდილი, მაგრამ სინამდვილის როგორც მთელის, ანუ ბუნებისა და ცხოვრების შესახებ აზრის გამოსაკვეთად კი მეტად ფასეულია. ამ გაგებით ლირიკა განზოგადების მხატვრული შესაძლებლობებით ლიტერატურის სხვა ჟანრებს არ ჩამორჩება. მართალია, ლირიკის სახეები ეპიკური სახეების დარად ვერ მოიცავენ დიდი მასშტაბის მოვლენებს, ხანგრძლივ პიროვნულ თავგადასავლებს, მაგრამ ლირიკა ყოველწამიერ ცხადყოფს სინამდვილის მრავალმხრივი

ათვისებისაკენ დაუცხრომელ სწრაფვას. ლირიკოსი სინამდვილეში პოულობს მოვლენათა კავშირის უთვალავ უნიკალურ ასპექტს, მოაქცევს მათ ზუსტ პოეტურ სიტყვიერ ფორმაში და ამგვარი დაუვიწყარი სურათებით, სახეებით ხიბლავს მკითხველს. ლირიკული ნაწარმოები ღრმა სუბიექტურობის გამო თავისებური ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი აქტიცაა. ლირიკის ქმნადობა, როგორც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა, ტკივილიანი შემოქმედებითი პროცესია. იგი სულიერი ძალების ინტენსიური და უზომო მომენტური ხარჯვაა. ტკივილისაგან კი მაშინ გათავისუფლდება პოეტი, თუ მძაფრი განცდების მართალმა მხატვრულმა განსახიერებამ მისი მშფოთვარე სული დააწყნარა, დააკმაყოფილა. ლირიკულ შედევრს პოეტი ერთი ამოსუნთქვით წერს და მძლავრი დადებითი თუ უარყოფითი ენერგიის წნეხისაგან თითქოს თავისუფლდება. ვაჟა შემოქმედებით პროცესს აიგივებდა ხელოვანის გულისა და თავის ფიზიკურ ტკივილთან. ლირიკოსობა პოეტის ხასიათის, მისი სწრაფვების და სისხლსავსე ცხორვების გამოხატულებაა. ამიტომ ლირიკა დაუდგრომელი სულის ამბოხია, ვნებათა მოზღვავებაა, ზეშთაგონების იმედია, სევდასა და სიხარულში გაჯერებული რწმენაა, ხან კი თავისებური მუქარა, მრისხანება, წყევლა და ლოცვა-ვედრება, ყოველივე კი ადამიანის ბედზე ზრუნვას, უმაღლესი სიკეთისა და მშვენიერების მიგნებასა და მკითხველთან მიტანას ემსახურება. ასეთი ღირებულებითი ორიენტირებით მიისწრაფვის ლირიკოსი სამყაროსა და სიცოცხლის იდუმალებათა გამოცნობისაკენ, მათი მშვენიერი საზრისის განსახიერებისაკენ.

ვაჟა-ფშაველა, როგორც ლირიკოსი, ხშირად იწუნებს საზოგადოების სამართალს, ზნეობას, გემოვნებას და ჰგონია, რომ პოეტმა უნდა სცადოს მათი მოწესრიგება. ამგვარ შემოქმედებით მიზნებს თან ახლავს ეჭვი, უნდობლობა, ზოგჯერ ნახულის გამო აღძრული სევდა ან იმედი. სინამდვილესთან მხატვრული მიმართებისას ლირიკოსი ზოგჯერ ასეთი განწყობილებების საფუძველზე მოიპოვებს მხატვრული სახისათვის წყაროს, როგორც გარე სამყაროში, ასევე საკუთარ არსებაში. ნამდვილი ლირიკა, ვაჟას მრწამსით, უშუალო გრძნობების, პოეტის ჯანსაღი გულისა და გონების შინაარსის გამოვლინებაა. ლირიკოსს, უპირატესად, შემოქმედის ბობოქარი ხასიათი და ბობოქარი ეპოქა სჭირდება. ლირიკოსი სუბიექტურის პრიმატის გამო სრულიადაც არ არის მოწყვეტილი რეალობისაგან, ქვეყნის ტკივილებისა და საზოგადოების მოთხოვნებისაგან. ვაჟა-ფშაველას ლირიკის მი-

ხედვით პოეტი ყოფიერებასთან მუდმივად მორკინალია. მისი ცხოვრება და ბიოგრაფიის ეპიზოდებიც ამ მხრივ აინტერესებს მკითხველს. ზოგჯერ ლირიკის საფუძველზე ლეგენდებიც კი იქმნება ხოლმე ავტორის შესახებ. ვაჟა-ფშაველას ლირიკაც ავლენს შემოქმედის სულის რთულ სტრუქტურას, გრძნობისა და აზრის სიღრმეს, სიცოცხლის წყურვილის მძაფრ განცდებს, იდეალების თვითმყოფადობას; ცხადყოფს, რომ ვაჟა თვითონ არის მრავალწახნაგოვან სულიერ ფასეულობათა სისტემა, ღირსებათა მთელი კომპლექსი, ფაქიზი გემოვნება, რაც მისსავე მხატვრულ ქმნილებებშია განფენილი. პოეტი სწორედ ამ ღირსებათა მონიჭებისათვის მადლობას უთვლის დამბადებელს, რომელმაც მისგან შექმნა ისეთი გუნდა, როგორიც სამშობლოს წყლულებს სჭირდებოდა.

ვაჟა-ფშაველას ლირიკა გამოხატავს მუდმივ დაპირისპირებას პოეტის მესა და არამეს შორის. მათი კონფლიქტი თუ დიალოგი მიმდინარეობს უფრო მაღალ მოვლენებზე, ვიდრე ინდივიდი, ან სინამდვილის რომელიმე ფაქტი შეიძლება იყოს. ზოგჯერ ამბობენ, რომ ლირიკა მხოლოდ პოეტის „მეს" გამოხატავსო, მაგრამ მრავალ ლირიკულ ნიმუშში მისი „მე" არცა ჩანს. თუმცა ფაქტია, რომ ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოების სიუჟეტის ქმნადობის მიღმა დგას ავტორი, როგორც სინამდვილის აღმქმელი, განმცდელი, შემმეცნებელი, შემფასებელი, გაგონილისა და ხილულის მხატვრულად გარდამსახავი, ახლებური საურთიერთო განწყობისა და მიზნების დამამკვიდრებელი. ბუნებრივია, ლირიკულ ქმნილებათა წიაღში უფრო მეტად მოაქცევს პოეტი თავის არსებას და სრულად აქვს გული გახსნილი ყველანაირი მოვლენის სუბიექტური წარმოსახვისა და მხატვრული მოდელირებისათვის. ყოვლისმომცველი პოეტური მიმართებების გამოხატვის ჟამს, როგორც ვაჟა იტყოდა, შემოქმედი მხოლოდ საკუთარი ღერძის ირგვლივ ტრიალებს. სიმბოლურ-მეტაფორული ძიებებით გატაცებული იგი სიახლეების დამამკვიდრებელია და ამ სიახლეებს ყოველთვის ეროვნული და საკაცობრიო მიზან-ღირებულებებისა თუ პრობლემატიკის კონტექსტში წარმოაჩენს.

ვაჟა-ფშაველას ლირიკული სახეები ბუნებისა და კაცთა ცხოვრების სიბრძნეზე დამყარებულნი განუზომელი მასშტაბის განზოგადებას ახდენენ. ისინი ღრმად გვახედებენ პიროვნულ-ინდივიდუალურის არსში, ზეპირსიტყვიერების სულიერ საწყისებში. ლირიკული სახის მეშვეობით პოეტს ძალუძს სუბიექტური განცდები ერთ წამში კოსმოსამდე, მზემდე აამაღლოს და მეორე

წამში უკანვე მიწაზე დააბრუნოს; ამასთანავე, არასოდეს მოსწყვიტოს ისინი ცოცხალ ადამიანურ სწრაფვებს, ტკივილსა თუ სიხარულს. ვფიქრობთ, ამგვარი შემოქმედებითი უნარი უძევს საფუძვლად მის ლირიკაში მხატვრული განზოგადებისას დედუქციური და ინდუქციური წესების შეუფერხებელ მონაცვლეობას. ლირიკული სახეების ძალას, სხვა მოვლენებთან ერთად, სწორედ კონკრეტულიდან ზოგადისაკენ სვლა ან ზოგადი აზრების სახეობრივ-საგნობრივი დაკონკრეტება განსაზღვრავს. ამავდროულად, ლირიკა მუდმივად პოეტის გაობიექტურებული „მე" უნდა იყოს. პოეტის ფანტაზია მუდმივად ითხოვს სინამდვილის, როგორც დიადი ერთობის, თავისუფალ მხატვრულ ათვისებას. ამგვარი ათვისების უალტერნატივო საყრდენი პოეტის „მე" გახლავთ. იგი თავის არსებაში თავს უყრის მარადიულ ადამიანურ გრძნობებს, განცდებს, აზრს, ყოველივე აღქმულს, ნახულს მხატვრულ სახეებად აქცევს, იდეალური ფორმა-შინაარსით აჯილდოებს. აღნიშნული ახალი ფორმა-შინაარსი განუმეორებელი, აქამდე არარსებული მხატვრული ფასეულობაა, რომელიც მიეწოდება მკითხველს, საერთოდ, მომავალ თაობებს. ვაჟა-ფშაველას სწამდა, რომ ნიჭიერი შემოქმედი „ინდივიდი ქმნის მხატვრულ სახეთა გალერეას, რომელმაც ისტორიისა და მხატვრული კულტურის მდინარებისას ორიგინალურად უნდა გამოძერწოს, გააფორმოს ადამიანთა სულის მოძრაობის ეპოქალური ავ-კარგი. ამასთანავე, პოეტურად განცდილ-განსახიერებული ემოციურ-ლირიკული ფასეულობები თაობების გემოვნებამ უნდა შეამოწმოს, აითვისოს და სამომავლოდ შემოინახოს, როგორც თვალშეუდგამი სიმაღლის სიწმინდეები.

ლირიკა, უწინარეს ყოვლისა, მაღალი ადამიანურური სულიერი ფასეულობების აღმოჩენით აღძრული სიხარულია ან ამ ფასეულობათა დარღვევა-დაკნინებით გამოწვეული სევდის გამოხატვა. ვაჟას ლირიკაში მხატვრულ განზოგადებებს, მხატვრულ სახეებს, თან ახლავს მრავლისმეტყველი მეტაფორული და სიმბოლურ-ალეგორიული განსახოვნება, მოულოდნელი ასოციაციური კავშირების მიგნება და რაფინირებული ქართული სიტყვის პოეტური ძალმოსილება.

ვაჟა-ფშაველას ლირიკის იდეურ-თემატიკური მრავალფეროვნება მკაფიო მოვლენაა. პოეტის ლირიკულმა სახეებმა გაათვალსაჩინოეს უკვდავი თემები: სამშობლოსათვის თავდადების, სოციალური სამართლიანობა-უსამართლობის, თავისუფლების, ბუნების რაობის, რწმენისა და ურწმუნოების, სიკვდილ-სიცოცხ-

ლის საზრისის, წუთისოფლის წარმავალობის, პოეტისა და პოეზიის დანიშნულების, ისტორიული წარსულის ღირებულების, საქვეყნო ვალის, კოსმიური წესრიგის, სიყვარულის, ომისა და შრომის, სინდისის, ადამიანის სააქაო და საიქიო არსებობის და სხვა. აღნიშნული თემები ვაჟას ლირიკაში ხშირად უშუალოდ ექსოვებიან ერთმანეთს და ამის გამო ბევრი ლირიკული ქმნილება პოლითემატურ ხასიათს იძენს.

პოეზია და პოეტი ვაჟას ლირიკულ განცდათა სისტემაში

ვაჟა-ფშაველას მიერ სტვირი, სალამური, ჩონგური, ფანდური, ჩანგი მრავალჯერ იქნა მოხმობილი პოეზიის სახე-სიმბოლოდ. ძალიან ბევრ ლირიკულ ნაწარმოებში პოეტმა ამ საკრავებისა და შემოქმედის ურთიერთმიმართება იმ მიზნით დახატა, რათა ეჩვენებინა პოეტისა და პოეზიის დიდი საქვეყნო მისია. პოეზია ერის ცხოვრებას, „ქვეყნის წყლულების" განკურნებას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ პოეტი სტვირსა თუ ფანდურს სიმართლისთვის უნდა აჟღერებდეს. შემოქმედს ვერცხლით შეუზიკავი, უბრალო, ანუ „ველურად გათლილი" სტვირი მოჰპარეს. ქურდებმა სტვირის ღირსება და ამაგი არ იციან და ვერც მიხვდებიან. არადა, პოეტს აწუხებს გარემოს სიბრიყვე: „მის ქარასხაში ჩავქსოვე სოფლის წყლული და ჭირიო... ვერვინ შეატყობს იმასა, უფრო იმიტომ ვსტირიო..." პოეტი ნატრობს, რომ ოდესმე კვლავ შეძლოს სტვირთან და ლექსთან ერთად ველად გაჭრა, თავისუფალი სიმღერა: „ამოგაჟღერო, ტიალო, ვაკვნესო მთა და ბარიო, ქალს და კაცს მოსიცილეთა ვადინო ცრემლის ღვარიო, და ამოაგდოს შენმა ხმამ ძლიერი ცეცხლის ქარიო, იმან დაადნოს ალითა სტამბულის რკინის კარიო!" (I, 32, „მესტვირის ჩივილი"). მამულისა და ხალხის ბედი იგულისხმება ამ ლექსის ქვეტექსტად. სტვირმა ისეთი ცეცხლის ალი უნდა ამოაგდოს, რომ ეროვნული და სოციალური უსამართლობის სიმბოლო, ანუ სტამბულის რკინის კარი დაადნოს. ამჯერად ვაჟა სტამბულის კარებად, ცხადია, რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქის კარებს გულისხმობს და ცენზურის რისხვას თავიდან სტამბულის მოხსენიებით იცილებს. პოეტი დაკარგული სტვირისათვის ტირის, მაგრამ სხვა ლექსში კი თვითონ სტვირია მტირალი: „მტირალის სტვირის პატრონი ფეხს როგორ გავსწვდი თქვენთანა?! მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლო ვსდგევართ ღმერთთანა". პოეტის სიტყვით, „ერთი იცინის, სხვა სტირის: ესეთი არის ქვეყანა" (I, 34, „სიმღერა").

ვინც ღრმა პრობლემებზე ფიქრობს, ხშირად ტირის, წუხს, სევდას ეძლევა და ღმერთთანაც ის მივა ახლოს. ვინც დღემუდამ სიცილ-კისკისშია გართული, იგი ზეზერედ მგრძნობელად გამოიყურება, არ ესმის, რომ „ქვეყნის ავ-კარგის გაცნობას თურმე თან ცრემლი ჰხლებოდა“. ვაჟა-ფშაველას მრწამსის მიხედვით, როცა პოეტის გულს მწუხარების ცეცხლი სწვავს, მაშინ მისი გონება საღად განსჯის მოვლენებს.

ლექსი „წადილი“ პოეტური განცდების ისეთ ერთიანობას განასახიერებს, რომელმაც მხოლოდ ხილული სინამდვილე კი არა, არამედ შავეთი, ანუ წარმოსახვითი საიქიოც მოიცვა. პოეტი სტვირს არ უნდა დაემდუროს, გულს ჟანგი უნდა მოსწმინდოს, ცოდვაბრალიანი ცხოვრება ისე უნდა დახატოს, რომ „ცოტად დაეტყოს მიწასა მთაში გაზრდილის კვალია, ერთს მაინც ჩემსა მოძმესა მოუწყლიანდეს თვალია“. პოეზია, სტვირის ჰანგები მუდამ ღრმა ადამიანური განცდების სრულქმნის თანაზიარი უნდა იყოს, რადგან პოეტსაც მოკლე დღე უდგას და მალედვე ცივი სამარე ელის. თუმცა შემოქმედის სურვილია მარადიულ მიღმიურ ქვეყანაში, ანუ შავეთში ინატროს და ისტუმროს ბუნების ყველა ის ქმნილება, რომელიც კი ამქვეყნად უყვარდა, ან გულითადი პოეტური ინტიმით იყო მათთან შენივთებული:

მინდა შავეთში მომღერალს
სტუმრად მწვევიყვნენ მთანია,
თან კლდენნი შავგვრემანანი, –
მთების მამშვენნი ძმანია:
იანიც მინდან მტირალნი.
ძველ-კაბიანნი დანია.
. . . . . .
ყველასგან დავიწყებულო,
ბულულავ, შენცა მნახია.
. . . . . .
ძალუმად მიყვარს, ობოლო,
შენი იერი მკვახია.
არწივნო, ცის პირთს მავალნო,
ძვირად მნახველნო ბარისა,
დოსტოლრივ მჭრელნო ღრუბლების,
თანაც მზიდველნო ქარისა,
თქვენის დასწრებით ამშვენეთ
მღერა ფიქრების მწარისა. („წადილი“). I, 55-56.

მწერალს პოეზიის, ჩონგურის, სტვირის თუ სალამურის ჰანგები ერთიმეორის მადლის თანაზიარობის გარეშე ვერ წარმოუდგენია.

ყველა ჰანგი, იქნება ეს პოეზისა თუ მუსიკის, ვაჟას მრწამსით, სამყარო-ბუნებისა და კაცთა ცხოვრების წიაღში იბადება. დასახელებული ფენომენებიდან იჭრება შემოქმედთა სულში ნაირფეროვანი მასალა, რომელიც შემდგომ მხატვრულ სახეებად იქცევიან. ამგვარი კავშირი სინამდვილისა და შემოქმედის სულის მხატვრული უნარებისა, ურღვევია. ვფიქრობთ, ამასაც გულისხმობს ვაჟას ღრმა აზრი: „დედავ, დედავ", ტირის ბავშვი, დედის მაძებარი, და განა ყველა ჩვილი სულდგმული ამასვე არ მოსთქვამს?! რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა ჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ... ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია" (IX, 394, „სად არის პოეზია?!"). ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, ის, რაც ცალკე ადამიანის გარეთ, ბუნებაში და ცხოვრებაში არსებობს იმავდროულად, თურმე, ჩვენშიც შეიძლება არსებობდეს. ეს მოვლენა მიაჩნია პოეტს სინამდვილის აღქმის, განცდის, გააზრებისა და მხატვრული გარდასახვის საფუძვლად. თუმცა მხატვრული ფანტაზია, მწერლის გაგებით, ამ ფარგალშიც ვერ ეტევა. დასახელებული ლექსი „წადილი" ამას ნათელყოფს. პოეტი თურმე ნუთისოფლისაგან განსხვავებულ შავეთის გარემოშიც მღერის და ამ სიმღერის გასამშვენებლად იქაც ბუნების ქმნილებებს სტუმრად იწვევს და ნატრობს. ასე რომ, პოეტს სურვილი აქვს შავეთის პოეზიაც ამქვეყნიურმა მთებმა, კლდეებმა, ნაირგვარმა ყვავილებმა და ღრუბელთა მჭრელმა არწივებმა გაულამაზონ. ლექსის ლირიკული სახეები თავისებურ კოსმიურ წრეს კრავენ. კერძოდ, სამყარო-ბუნების სიბრძნე და მშვენიერება ყველგან გადაწვდება, ციდან მიწამდე და მიწიდან შავეთამდე. ეს კავშირი ისევ ადამიანის სულის საოხად, მწარე ფიქრებზე სევდიანად მომღერალ, შავეთში მყოფ პოეტს სჭირდება. ბუნების მშვენიერ ქმნილებებთან განუყრელობის დასაბამიერ წყურვილს შემოქმედი ვერც საიქიოდან თმობს. საიქიოშიც მისი პოეტური ვალის დამფასებელნი, დარაჯნი და თანამგრძნობი უნდა იყვნენ ცადაზიდული მთები, შავგვრემანა კლდეები, იები – მწერლის ძველკაბიანი დები, ცისპირთ მავალი და ღრუბელთა მჭრელი, ამაყი არწივები. ასეთია პოეტურად განჭვრეტილი სამყაროს დიადი ერთიანობა.

ვაჟა-ფშაველას მრწამსით, უცრემლო დარდი და ვარამი კაი ყმის ხასიათის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ოცდაექვსი წლის

პოეტი თვითონ კაი ყმა უსისხლო და უცრემლო დარდის ჩარჩოში ვერ თავსდებოდა, მის გარღვევას ცდილობდა, საშველად საკუთარ არწივს იხმობდა. პოეტი არწივს სთხოვს მკერდი გაუფატროს, გულიდან სისხლი ადინოს, ხოლო თვალთაგან – ანკარა ცრემლი: „სადა ხარ, ჩემო არწივო, გულზე ნისკარტი დამკარა, გულიდან სისხლი მადინე, თვალიდან ცრემლი ანკარა! დავწუხდი ტირილისაკა, ცრემლი არ მეკარებისა; გული შაჭამა ვარამმა, არავის ებრალებისა!" (I, 51-52, „სადა ხარ, ჩემო არწივო"). ვაჟას ანკარა ცრემლი პოეტური სულის სიწმინდის სიმბოლოდ დაუსახავს და ამიტომ პოეზიას მისი თანამონაწილეობის გარეშე მადლი და მშვენიერება მოაკლდება. იგი სხვა ლექსშიც ამბობს: „ლხინიც ხომ არ მელხინება, ზოგჯერ თუ არა ვტირია".

„დავწუხდი ტირილისაკა", ე.ი. მომენატრა ტირილიო, აცხადებს პოეტი და სურს ცრემლის საშუალებით დაძლიოს გულის შემჭმელი ჩუმი ვარამი.

ფანდურის მოჭიკჭიკე და მკვნესარი ხმა პოეტს სასიყვარულო საგანზე ჩააფიქრებს, გულზე ისეთი სიკეთის მადლსა და ნათელს მოჰფენს, რომელსაც ფულით ვერავინ შეიძენს; ვაჟა ფანდურის ხმებს იგივე პოეზიის ჰანგს მიმართავს. ტიალო, „იმით ყურს გიგდებ გულითა. გულ-შავნი არ შაისმენენ შენს ღვთის მონათლულს ჟღერასა, ავის და დედის გამცემის გულს ვერ აუტეხ ძგერასა" („ფანდურს", I, გვ. 80). ფანდურის ხმა ამ ლექსში, საერთოდ, პოეზიის ბადალია და ფუნქციით ორივენი ერთნაირნი არიან. პოეზიისა და ფანდურის ჰანგებს ავნი, სამშობლოს გამცემნი ვერ გაიგებენ, მათი ხმა ასეთ ადამიანებს გულს ვერ აუძგერებს, გრძნობა-გონებას ვერ გაუფხიზლებს. პოეტებს კი ფანდურისა და პოეზიის ღვთის მონათლული ჰანგები სიკეთის, სიყვარულის მადლით ავსებს და ცის სიწმინდემდე აამაღლებს.

ვაჟა-ფშაველას ფიქრით, ბუნებრიობა, უშუალობა, ველური მიამიტობა პოეზიას დიდ მადლსა და მშვენიერებას ანიჭებს. მესტვირე თუ პოეტი თავიანთი ჰანგებით ბუნებრივი სისადავის, ხელით უქმნელი სილამაზის გამომხატველნი უნდა იყვნენ. ისინი ყველანაირ გაჭირვებას უნდა უძლებდნენ, საქვეყნო სიკეთისათვის იბრძოდნენ, პირად ბედნიერებას თმობდნენ, რათა სოფელი უგუნურება-უზნეობის ბნელმა არ დაფაროს. ვაჟას აზრით, ზოგს არ მოსწონს მისი ბეჩავი სტვირის ველური ჟღერა, მაგრამ ბევრმა კი ბუნებრივი სილამაზის მადიდებელი მისი სტვირის ხმები თუ ანდერძი გულზე დაიწერა:

ვარდი ვარდია, მაინც არ ვაქებ,
ტყეში მოსული მიჩვენეთ ია,
არც ალვა მინდა,წალკოტის მეფე,
იმას მირჩევნის კლდეებზე ღვია,
და ეიფელის კოშკს თავმომწონებს –
კლდეთ ძირს რომ შავი ლოდები ჰყრია –
. . . . . .
ყველა ის მიყვარს, სადაც სიბრიყვემ
სწავლის სახელით არ მიაღწია
და ბუნებრივი წმინდა ქმნილება
ცოდვილის ხელით არ მიარღვია.
(„მესტვირის ანდერძი“, I, 90).

ვაჟა-ფშაველას მიერ აქ წარმოდგენილმა განცდებისა და ლირიკული სახეების კონტრასტმა ცხადყო ველურ ბუნებრიობაში განჭვრეტილი საგან-მოვლენების მშვენიერებისადმი პოეტის გამორჩეული სიყვარული. მისი გაგებით, მართალია, „უნპირო ბუნების" გარდა მშვენიერს ადამიანებიც ამკვიდრებენ, მაგრამ ინდივიდუალური მხატვრული წარმოსახვისათვის განუზომელი ღირებულება მაინც ბუნებრივ უბრალოებაში ამაღლებულ საგან-მოვლენებს აქვს. ცხადია, ბუნებრივი მშვენიერი ზოგჯერ ამბივალენტური გრძნობების აღმძვრელიცაა. მწერლის დაუძლეველი სურვილია, რომ სწავლისა თუ ხელოვნების სახელით ბრიყვებმა ბუნებრივი წმინდა ქმნილებების თვითნაბადი მშვენიერება „ცოდვილის ხელით არ მიარღვიონ“. პოეტმა სულის ეს უმაღლესი ესთეტიკური მოთხოვნა თავის თხზულებებში უბადლოდ განასახიერა. ამ ლექსს „მესტვირის ანდერძი“, ანუ შემოქმედთა ანდერძი ჰქვია და ყველა დროისათვის ერთადერთ ჭეშმარიტებას გამოხატავს; კერძოდ, ბუნებრივი მშვენიერის ღირებულება არ უნდა უგულებელყოს პოეტმა, მან მხოლოდ შესაძლო და დამაჯერებელი უნდა მიუმატოს უშუალოს ისეთნაირად, რომ მისი თავისთავადობა ინტელექტუალურით არ დაიჩრდილოს.

ხელოვანი ცხოვრების ავ-კარგის თავისებური, გონებამახვილი მოდარაჯეა და ამიტომაც უთვალავი მიზეზი აქვს, რომ ხან სევდიანი იყოს და ხან იმედიანი. სევდა და სიხარული, უიმედობა და იმედი ადამიანური არსებობის, კერძოდ, მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვის მუდმივად თანმხლები ფენომენებია. ვაჟა-ფშაველა, თვითონ ღრმა სევდის პატრონი, მგოსნებს გამძლეობისაკენ მოუწოდებს:

გულს ნუ გაიტეხ, მგოსანო,
ხმალი აგელე ფხიანი,
მოკეთეს ემოკეთევე
და მტერს მიეცი ზიანი;
გულს ჩაიყენე სისხლადა
ჩვენი ქვეყანა მთიანი, –
ეგებ ჩვენც გამოგვიდარდეს,
დღე დავინახოთ მზიანი!
ეხვეწე ლაშარის-ჯვარსა,
ჩამოგეშველოს მხრიანი.

(„მგოსანს“, I, 93)

ეროვნული და სოციალური თავისუფლების დამკვიდრებას საფუძვლად მამულის სიყვარული უძევს. თავისუფლება და ბედნიერება მაშინ მიიღწევა, როცა მგოსნის მართალი სიტყვა და მთელი ერის გულისთქმა ერთმანეთს ჰარმონიულად შეუწონასწორდებიან. პოეტის დიადმა მხატვრულმა ნაღვაწმა ერის ცხოვრება „არსებით განუყოფელ“, ერთი გრძნობით და ფიქრთ შეკრულ ფენომენად უნდა აქციოს. პოეტი შემოქმედებითად თავს ბედნიერად ჩათვლის, თუ მთელი ერისა და მისი მიზან-სწრაფვები ერთმანეთს დაუზავდება:

ნეტავი შენა, თუ სხვათიც
გულნი შენს ეზავებიან, –
ვისაც შენ ერჩი, მოძმენიც
იმასვე ედავებიან!

(„მგოსანს“, I, 94)

პოეტისა და პოეზიის დიადი ღვთაებრივი ვალი აღნიშნული ერთიანობის განმტკიცებაა. მართალმა პოეტურმა სიტყვამ ნათელი უნდა მოჰფინოს იმ უძირითადეს საქვეყნო ღირებულებათა იერარქიულ კავშირებს, რომლების განცდა და გაგება საწინდარი იქნება ერის ბედნიერი მომავლისა. აღნიშნულ ღირებულებათა მწვდომი ბრძნული პოეტური სიტყვა მალამოდ დაედება პატრიოტთა გულს და მათს გონებას, ერს ბედიან-დავლათიან ფენომენად აქცევს:

რა ტურფა სანახავია
ქვეყანა ჭკვათა მყოფელი,
ერთის ფიქრით და გრძნობითა
განმტკიცებული სოფელი.

მტერს რა ლამაზად დაჰხვდება
არსებით განუყოფელი!
(„მგოსანს“, I, 93-94).

მიზანია ეს ერთიანობა, ვაჟას მრწამსით, ეს არ ნიშნავს პიროვნულ-ინდივიდუალური მრავალფეროვნების შეზღუდვას. პირიქით, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა შეწონასწორებისაკენ სწრაფვა, ამ სწრაფვისას გამოვლენილი პიროვნული ინდივიდუალობა უნდა დაედოს საძირკვლად კაცთა ცხოვრების თანდათანობით სრულქმნას.

ვაჟა-ფშაველას მრწამსით, ქვეყნის სასიკეთოდ მოღვაწე შემოქმედი მთელს სამყაროში უნდა ეძებდეს პოეტური წარმოსახვის გამაცხოველებელ საგან-მოვლენებს. მას საკუთარი თავი სიწმინდის მწვერვალზე მდგარ და ღმერთთან მოლაპარაკე პოეტად მიაჩნია:

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა.
(„მთას ვიყავ“, I, 94)

პოეტის ამგვარი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ქვეყნისა და სიკეთისადმი მსახურების უნარი დაეკარგა, დაბლა ბნელ ხევში ეშვება, სადაც გულისა და გონების მწველი ფიქრები ელოდება. შემოქმედი ამის გამო ცხარე ცრემლით დასტირის უფლის, მზე-მთვარისა და მთათა სიწმინდიდან დაბლა, ბნელეთში ჩასვლას და თავისი არსების სულიერ გატიალებას: „რად მოვალ, თავქვე რად მოვალ, ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად? იმ მთას თავს რისთვის ვანებებ, თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად“ („მთას ვიყავ“, I, 95). მისი ფიქრით, პოეტურ სიწმინდეს მთებისა და მნათობების სიდიადე უნდა განამტკიცებდეს.

ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ლირიკული შედევრი „ჩემი ვედრება“ პოეტურ სურვილთა უბადლო განსახიერება და იმის ცხადყოფაა, თუ რანაირ მადლსა და წყალობას ითხოვდა იგი უფლისაგან. პოეტის ლირიკულმა წარმოსახვამ დაიტია ყველა ფასეულო-

ბა, რაც კი შეიძლებოდა მოთავსებულიყო დამბადებლის საბრძანებელსა, დედამიწასა და იმქვეყნიურ მუდმივ სამყოფელს შორის. საერთოდ, ლირიკულმა სახეებმა უნდა გამოხატონ ის სიკეთე, სიყვარული და მშვენიერება, რაც ხილულ თუ უხილავ სამყაროში უფლობს, ხელოვანთა წარმოდგენით. ვაჟა პოეტის შრომას საკეთილო, სასიყვარულო და საღვთო საქმედ მიიჩნევს. ამიტომაც ამყარებს იმედს უფლის ძალასა და რჩევაზე:

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა;
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.
(„ჩემი ვედრება“, I, 141-142).

უფლის წყალობით პოეტს გულში ტრფობის ლამპარი არ გაუქრება, არც თვალებში მადლი დაეკარგება და გულში – სიყვარული. იგი ემუდარება დამბადებელს, შეაძლებინოს სიკეთის, სიყვარულის, სიმართლის ბოლომდე უანგარო სამსახური, წილი არგუნოს სამყაროს არსთა ღვთაებრივ ჰარმონიაში, დაატკბოს ამ ჰარმონიის ანუ კოსმიური წესრიგის მარადიული მშვენიერებით; მისცეს ძალა დიადი პოეტური სიტყვით ამ მადლს აზიაროს ყველა. მწერალმა უფალს გადაუშალა გულის სიკეთე, სურვილთა სიუხვე, სიხარულისა და სევდის მიზეზები:

გულს დარდი გამიდიადე
იმ სანეტარო საგანზე,

დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!..
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურადროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა, –
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.
მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო-ჟამი
სულ ბოლოს ამოქშენისა.
სული – შენ, ლეში – მიწასა,
აღარა ვგლოვობ ამასა;
თევზი – წყალს, ცასა – ვარსკვლავი,
შვილი – დედას და მამასა.

(„ჩემი ვედრება“, I, 142-143)

უფლის მიმართ მხურვალე ლოცვა-ვედრების ჟამს ვაჟამ გამოძერწა შემოქმედთა ხასიათი, მათი რთული განცდების მიმოქცევის შინაარსი. ლირიკულ სახეებს გამოახატვინა ცისა და მიწის, ბუნებისა და კაცთა ცხოვრების დიადი ერთიანობა. პოეტმა იმედი უფლის მფარველობაზე დაამყარა, თუმცა იქვე შემოქმედთა ისეთი მისწრაფებები გახსნა, რომლებიც თვით უფლის ნების აღსრულებას გულისხმობდა. დაუსრულებელი კეთილის წყურვილი, დიდი სიბრძნე და მადლი პოეტის „წმინდა ხელობას“, მისეულ სიყვარულს უნდა შეერთოს, რათა სამშობლოსა და კაცობრიობის თავისუფლება, ბედნიერება საყოველთაო სულიერ სწრაფვათა სანეტარო საგნად იქცეს. ვაჟას მრწამსით, თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია. პიროვნებებმა, ერებმა, კაცობრიობამ ამ ცნებათა ღვთაებრივი არსი ხელოვნების ძალითაც უნდა აითვისონ. ამიტომაც უნდა იყოს შემოქმედი „დაჩაგრულების მცველი“ და თავისუფლებისათვის მებრძოლი. პოეტის ფიქრით, პოე-

ზიამ უნდა მიიყვანოს ადამიანები ბუნების სიბრძნის გათავისებამდე. თუკი პოეტი ამ დიდ მისიას შეასრულებს, მაშინ ნება ექნება ვალმოხდილი დაემშვიდობოს სამყაროს მშვენიერებას და უფალსაც მშვიდად შეჰბედოს უკანასკნელი სურვილი: „სული – შენ, ლეში – მიწასა, აღარა ვგლოვობ ამასა; თევზი – წყალს, ცასა – ვარსკვლავი, შვილი – დედას და მამასა“. თუ ადამიანები მარადიულ ბუნებრივ მოვლენათა მსგავსად სცნობენ სიცოცხლის წყურვილის გრძნობას, მხოლოდ მაშინ განათდება მათთვის სიცოცხლის ღვთაებრივი საზრისი. ამ ლექსში დიად ერთიანობაში წარმოსდგა სამყაროს მატერიალური და სულიერი ფასეულობები; ერთხელ კიდევ გვეუწყა, რომ შემოქმედს მუდმივად ჰშია და სწყურია კეთილი, იგი, სხვის ბედზე მზრუნველი, დაუსრულებულ ტანჯვაშია; ამგვარი ტანჯვა პოეტს ბედნიერებასაც ანიჭებს. მის მიერ ტანჯვით გაცხადებული სიკეთე, სიბრძნე და მშვენიერება უფალმა თავისი კალთით უნდა დაიფაროს.

ვაჟა-ფშაველას რწმენით, თავისებური პოეტური ფორმით გამოხატული ძველთა ძველი აზრიც კი მკითხველს ახალი ემოციების უშრეტ წყაროდ ევლინება. პოეზიის უკვდავების საფუძველი ისაა, რომ უბრალო „ცრემლით ნაბანმა“, „თავს მანდილ-ჩამოხეულმა“ და „ეულმა სიტყვამ“, წრფელმა გრძნობამ და აზრმა ერის გულში იპოვა ბინა. „მანდილ-ჩამოხეული“ პოეზიის მიერ მოტანილმა სიკეთემ პოეტი დიდი შემოქმედებითი სიხარულით აავსო, საქვეყნო იდეალების ახდენის იმედიც დაუსახა: „სიტყვა გადვაგდე ერშია, სიტყვა, რა სიტყვა? – ეული, ტანჯულის გულის ნაცრემლი, ვარმით ნაკვები, სნეული, გულ-გაგმირული, ბეჩავი, თავს მანდილ-ჩამოხეული“ („სიტყვა ეული“, I, 178). პოეტს აოცებს ის, რომ „ასე წვა-დაგვით გაზრდილმა“ სიტყვამ იხარა, „წერს მარგალიტი მოისხა, ტანი ზურმუხტით იფარა“; ამ სიტყვის სიბრძნე „მთელს ქვეყანაზე სხივსა ჰფენს, როგორც ცამ გამოიდარა“. პოეტური მადლით სავსე „ისაა ქვეყნის ნუგეში, იმას შეჰხარის სოფელი“; ერთან ერთად ხარობს პოეტიც: „მიხარის, ჩემმა გაზრდილმა რომ ბინა ჰპოვა ერთანა, – ერთმა საწყალმა სიტყვამა, ბოროტ კაცთაგან წყეულმა, ბეჩავმა, ცრემლით ნაბანმა, თავს მანდილ-ჩამოხეულმა...“ („სიტყვა ეული“, I, 179). ადრე ვაჟას მიერ ნატვრის კილოთი გამოხატული სურვილი „მშიოდ-მწყუროდეს კეთილი, ვერ გავძღე მოვკვდე მშიერი“ აქ იმედით ავსილა და შინაგან კმაყოფილებად გადაქცეულა.

პოეტს თავისი პოეზიის ღირსებები ხშირად ნუგეშს აძლევს, შემოქმედებითი სიამაყის გრძნობით აჯილდოებს:

ვნუგეშობ სწორედ სანუგეშოცა:
გულზე მედება ცეცხლის გენია,
ქვეყნის სარგოდა ფიქრით გამსჭვალულს
ავი მე არა ჩამიდენია;
ვინ რას გაიგებს, ან ვინ რა იცის,
რამდენჯელ ცხარე ცრემლი მდენია?!
ვნუგეშობ ამით: მიწას მიწურად
და ცას ციურად მივე თავაზი,
არ მიბობღნია დაბლა ქვემძრომად,
მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი;
ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაკერე
სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი.
(„ნუგეში მგოსნისა", I, 181)

ვაჟა-ფშაველა განუზომელ მნიშვნელობას აძლევს შემოქმედის სულის სიწმინდეს, მისი ზნეობის სიმაღლეს, „ქვეყნის სარგოდ" მუდმივ ფიქრსა და ოცნებას. მხოლოდ ასეთ შემოქმედს ძალუძს, რომ მშობელ მხარეს გულზე დააკეროს საგმირო და ლამაზი სიტყვა, ზეასწიოს ერის სულიერება, მისი დიადი საქმეები. პოეტს მოსწონს ის, რომ აკლდამებიდან გამოწვეულ გმირ წინაპრებს მკლავები და შუბის წვერით აჩრჩნილი სახე დაუკოცნა, თავზე დაფნის გვირგვინი დადგა, ხოლო წელი კვლავაც ხმლით შეუმკო. ამგვარი პოეტური უნარით კი „ნოყიერად ვქმენ ნაგვალი მიწა, როგორაც წვიმამ, მოსულმა ცითა", – ამბობს მწერალი. მაშასადამე, გარდასულ გმირთა სახეების გაცოცხლებით, მან ერის ზნეობა აამაღლა, სინდისი გამოაფხიზლა და ნაგვალი მიწა, ანუ ხალხის დაცემული თვითცნობიერება ფეხზე დააყენა. პოეტის გულს ნათელს ჰფენს ის, რომ მას „არ უბობღნია დაბლა ქვემძრომად", არ გაუთხრია მოძმისათვის ორმო, არავისთვის გაუტაცნია ლუკმა-პური და ჯაფით ნაშოვნი კი ბევრჯერ გაუყვია სხვისთვის. მან მოძმეთა მოღალატენი ლაფით შემურა, ხოლო თავის ხალხს სიყვარული დაფით და ნაღარით აუწყა. როგორც მრავალი ადამიანის, ისე პოეტის გულსაც არ დაუძველდა თავისი სატრფო, ანუ სამშობლოს სიყვარულისა და სილამაზის განცდა:

არ დაუძველდა ჩემს გულს თვის სატრფო,
როგორაც სხვისას, ვნუგეშობ მითა,
მე არ ვუთხარე მოძმესა ორმო,
მთხრელი შევმურე კუპრით და ლაფით;
არვის გავტაცე მე ლუკმა-პური,

სხვასაც გავუყავ ნაშოვნი ჯაფით,
და სიყვარული ჩემს თანამოძმეთ
ვაუწყე მედგრად ნაღარით, დაფით.
უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა!
(„ნუგეში მგოსანისა", I, 181)

პოეტი შინაგანად კმაყოფილია, რადგან „მიწას მიწურად და ცას ციურად მივე თავაზიო"; მან ურღვევ ერთიანობად წარმოადგინა სამყარო-ბუნება და კაცთა ცხოვრება, მასში განფენილი ნარ-ნარი ღირებულებების კავშირი. პოეტი არ კმაყოფილდება სინამდვილის პოზიტიური სახით, რეალური კავშირებით, მან ბევრი რამ მხატვრული ფანტაზიითაც შექმნა: უსულო საგნებს სული ჩაბერა, კლდის ლოდების, ქუჩის, პირიმზის და სხვა ბუნების ქმნილებათა განცდები მზემდე აამაღლა, ხოლო მზის ძალა და მადლი პირიმზის ყვავილს, სხვა ბუნების ქმნილებებს მოჰფინა. ადამიანური ღირსებები ბუნების წიაღში გადაიტანა, ხოლო კოსმიური სიბრძნე ადამიანურ ურთიერთობათა შინაარსში განასახიერა. ამის გამოც სწამს პოეტს: „მადლი მფენია მარჯვენაზედა იმ შემოქმედის მაღალის ღვთისაო". ეს შემოქმედებითი უნარი მადლი, შრომა, პოეტის რწმენით, ჯერ უნდა ემსახუროს საკუთარი ერის ცხოვრებისა და ამის კვალდაკვალ მთელი კაცობრიობის პროგრესსაც. შემოქმედის უშუალო განცდების შინაარსი, რომელიც მხატვრული სიტყვის ძალით სახედ იქცევა, ხშირად კონკრეტულის უსაზღვრო განზოგადებას ახდენს და ადამიანურ ემოციებს ძალზე ამძაფრებს.

ვაჟა-ფშაველასათვის ჩანგი, ფანდური, სტვირი, სალამური, ჩონგური ხელოვნების, პოეზიის სიდიადის განმსაზღვრელი, ლამის საკრალური ღირებულების საგნებია. მათმა ხმამ უნდა განსაზღვროს პოეტური პათოსის ძალა და მიმართულება. შემოქმედს ეს საკრავები ხან აკვნესებენ, ხან კი გულში დარგულ ვარდებს აუბიბინებენ; საკრავები თვითონაც კვნესიან, ტირიან და მგოსანსაც ამგვარად განაწყობენ. პოეტს სწამს, რომ მის კვნესა-ტირილში ხშირად სილაღეც უხვადაა „ჩანალესი". ვაჟა თამამად აცხადებდა: „ლხინიც ხომ არ მელხინება, ზოგჯერ თუ არა ვტირია".

ტირილი, კვნესა, ცრემლი, მის ლირიკაში დიდი ჰუმანური პათოსის დამკვიდრების საწინდარია. მათი ზემოქმედების ძალით, გულს თურმე მოტეხილი პირი გაუმთელდება და ცის სიწმინდეთა თანაზიარად იქცევა:

შემომღუღუნე, ჩონგურო,
აკვნესდი, ამაკვნესია;
მორწყე და ააბიბინე
გულს ვარდი დანათესია,
ჩემთვის კვნესაში სილაღე
რამდენი ჩანალესია!..
ამოჟღარუნდი ხმატკბილად,
ატირდი, ამატირია!..
ჩემთვის ღვთის პირით ტირილში
სამოთხე დანაპირია,
ტირილით გაუმთელდება
გულს მოტეხილი პირია.
ანგელოზთ გუნდში კი ვმღერი
მაშინ, როს აქა ვტირია.
თვალს ნუ მარიდებ, ლამაზო,
ჩემკენ მოიღე პირია.
შენს მზერას ჩონგურის ხმაზე
რაღა სამოთხე სჭირია?!"
(„შემომღუღუნე, ჩონგურო", I, 192).

ლირიკულ სახეთა დამკვიდრების საფუძველი ამ ლექსშიც რთული და ნაირგვარი ემოციური განცდებია, რომელნიც მოულოდნელი და მოხდენილი ასოციაციური კავშირების მიგნებისას იკვეთებიან. ჩონგური და მისი ნაღვლიანი კვნესა პოეტზე ზემოქმედების მომხდენი ძალაა, რომელიც ლირიკულ სახეს ბადებს. როცა პოეტი მიწიერ უბედურებათა გამო კვნესის და ტირის, იმავდროულად ცაში ანგელოზთა შორის კი მღერის. მისი ეს ბიფუნქციური პოეტური განცდები კვლავ ახალ-ახალ სანუგეშო ლირიკულ სახეებს აცოცხლებენ. ასეთი რთული გრძნობებით გარემოცული პოეტი ახლა სატრფოს სახეს დალანდავს. ჩონგურის მკვნესარი და იმავდროულად სილაღის მაუწყებელი ჰანგების გარემოში მშვენიერი მიჯნურის მზერას, პოეტის ფიქრით, „რაღა სამოთხე სჭირია?!" პოეტის ლირიკული წარმოსახვა ანგელოზთა საუფლოდან ისევ მიწაზე ბრუნდება, რათა „ცრემლით ნაბანი" „ვარმით გაზრდილი", „თავს მანდილ-ჩამოხეული" სიტყვის ხიბ-

ლით კვლავ ადამიანი ანუგეშოს, გააბედნიეროს. მართლაც, ვაჟა, როგორც აკაკი იტყოდა, „ხან მიწისაა, ხან ცისა" თავისი ლირიკული სახეების ზესთაბუნებრივი და მიწიერი დანიშნულებით.

ვაჟა-ფშაველამ მანამ, სანამ ცნობილ ლიტერატურულ-ესთეტიკურ წერილებს გამოაქვეყნებდა, თავისი პოეტური მრწამსი მრავალ ლირიკულ ლექსში გამოხატა. ერთი ასეთი ნაწარმოებია ახალგაზრდა მგოსნებისადმი მიძღვნილი „სიმღერა". აქ მთელი სიღრმე-სიგანით გაიხსნა და გადმოიშალა დიდი პოეტის სულიერი სწრაფვებისა და მოვლენათა პოეტური წვდომა-შეფასების ყოვლისმომცველი ნიჭი. მან ლირიკულ სახეებში ჩააქსოვა პოეტური განცდებისა და ინტერესების დიდი სიწმინდე. ზოგადად ადამიანთა ბედისწერით უკმაყოფილო პოეტი, როგორც თვითონ იტყოდა, „თვალ-დამშეული" შესცქერის სამყარო-ბუნებას, რათა იქ ჰპოვოს უშრეტი წყარო მხატვრული ფასეულობების დასამკვიდრებლად. ვაჟა-ფშაველა თავის თავს ღატაკთა და ამავდროს მართალთა ჯოგს მიაკუთვნებს; მას და მისნაირებს ასეთი მდგომარეობა ვერართმევს იმის უნარს, იყვნენ დიდი სულიერი სიმდიდრის მფლობელნი, იმ სიმდიდრის, რომელსაც მხოლოდ პოეტურ-მხატვრული ტალანტი ისაკუთრებს. ამ თვალსაზრისით ვაჟას თავი იმგვარი სიმდიდრის პატრონად მიაჩნია, ჯერ რომ არავის გაუგონია:

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში – მთა, ბარად – ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას – ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია,
მდიდართ სიმდიდრით ღიღინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ჟინჟლი, ცის ქცევა,
ცა მოწმენდილი, დარია;
დილით გაფურჩნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია;
ია, უღრანს ტყეს მოსული,
თალხ-კაბა, ენა-მტკბარია,
კლდის თავს გაშლილი პირიმზე, –
მთის სასახელო ქალია;
მარგალიტივით მდელოზედ

ბრჭყვიალა დილის ცვარია.
ზამთრის ზვავების ქუხილი,
გაზაფხულს წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია.
(„სიმღერა", I, 212-213).

პოეტური გრძნობების და ლირიკული სახეების ძალით ბევრი ბუნებრივი და სოციალური მოვლენა მიისაკუთრა ვაჟას ფანტაზიამ. ეს ლექსი დიდ იდეურ ნათესაობას ავლენს მწერლის გვიან დაწერილ წერილებთან: „საგაზაფხულო ფიქრები" და „სად არის პოეზია?!" სამივე დასახელებული თხზულება გვაუწყებს, რომ მხატვრული აზროვნება ორიგინალური წესით მთელი სინამდვილის მოვლენებს ითვისებს და მათ განუმეორებელ პოეტურ ფასეულობებად აქცევს.

პოეტი ცხადყოფს, რომ უღარიბესი შემოქმედი იმავდროულად უმდიდრესიც არის, თუკი მისი მხატვრული წარმოსახვა ბუნების ქმნილებათა მრავალსახეობის განმცდელი და საწყალთ საწყლობის თანამოზიარეა. მაშასადამე, ბუნების სიდიადე და კაცთა უბედური ყოფა პოეტს მუდმივი შემოქმედებითი ჟინით ავსებს – იგი იმედს არ კარგავს, რადგან სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული აქვს და ძილშიაც კი დამბადებელს იმის სიცოცხლეს ევედრება. ბუნება, სამშობლო, ჩაგრულთა ბედი პოეტს შემოქმედებით ენერგიას მატებს და თავი „ნაიალაღარი", თავისუფლად მონავარდე ხარის სახით წარმოუდგენია:

ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუდუნებ:
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ მაგივრად ვწუწუნებ;
ხანდახან ჟინი ამიღებს,
სიმღერას დავაგუგუნებ.
(„სიმღერა, I, 213)

ამ ლექსშიც, მისი პოლითემატურობის კვალობაზე, ვაჟა-ფშაველა ლირიკული განცდებისა და სახეების საწყისებს სამყარო-ბუნების, ცხოვრებისა და პოეტური მეობის ერთიან არსში პოულობს. ცხადია, აქაც ლირიკული სახეების ურთიერთკავშირს სა-

ფუძვლად უძევს ბუნებრივი და სოციალური სინამდვილის, როგორც მთელის, ესთეტიკურ-პოეტური აღქმა.

ვაჟა-ფშაველას მრწამსით, ადამიანი სრულად მაშინ გამოავლენს საქვეყნო ღვაწლს, თუკი ყოველწამიერ იზრუნებს ზნეობის სიმაღლეზე. ცხოვრებაში ზოგი ადამიანი გამდიდრებითა და ლეშის გალაღებით ხარობს, ხოლო სხვანი სულის სიმაღლეს, წმინდა ზნეობას ესწრაფვიან. პოეტისათვის თავი და თავი სულიერ-ზნეობრივი ამაღლება და საქვეყნო სიკეთეზე ზრუნვაა. მისთვის სიკეთისა და მშვენიერების მწვერვალზე ასვლა არის შემოქმედებითი სიხარულისა და ბედნიერების საწინდარი; ეს კი ხორცის „დანელებით", მისი გაფუფუნების უარყოფით მიიღწევა.

ხორცო, დაჰნელდი, დამჭლევდი,
სულო, იხარე, ჰლაღობდე,
ღმერთმა დამკარგოს, თუ ამას
სიტყვის შნოსათვის ვამბობდე.
. . . . . .
სულო, აჰყვავდი, ამაღლდი,
ვარდებით დაიფარია.
ცრემლი, ჩემ თვალთა ნაწური,
ზედ ნამად დაიყარია,
საჭირვარამო ქვეყნისა
გულს ლახვრად გამიყარია.
(„ხორცო, დაჰნელდი", I, 216-217)

ვაჟა-ფშაველას წარმოდგენით, პოეტის შემოქმედებითი შთაგონების, მისი მუზის ბედი უფლის სამსჯავროზე წყდება. „უფლის საბჭოსგან" სამი წელი ელოდა წერის ნებართვას. თავის მოკვლისთვის შემზადებულ პოეტს ეს ნებართვა, ანუ პოეტურ-შემოქმედებითი აღმაფრენა ზებუნებრივმა ძალებმა კვლავ მიანიჭეს:

უფლისა საბჭომ კვლავ ნება დამრთო
ჩანგის აღების და ზედ მღერისა.
დიდება უფალს, რაკი შევიძელ
კვლავ სამსახური ჩვენის ერისა,
დაჩაგრულების გამოსარჩლება,
გათახსირება იმის მტერისა!
დიდება უფალს, რომ კვლავ მომეცა
ძალა ციურის აღმაფრენისა,

რომ სიმუნჯისა ტვირთს ქვეშ არ მოვკვდი,
კვლავ შემიძლია დაძვრა ენისა
და უხმარ საგძლად საფლავს არ მიმდევს
მწარე ნაღველი გულის კბენისა!
(„მგოსნის სიმღერა“, I, 272)

ვაჟა-ფშაველა მუდამ გრძნობდა, რომ პოეტურ იდეალსა და რეალურ ყოფას შორის ღრმა უფსკრული არსებობდა. ეს იყო პოეტის სევდა-მწუხარების მიზეზი, მოურჩენელი ტკივილი. მწერლის აზრი, ოცნება, გულისწადილი წინ მიიწევდა, მაგრამ „მრუდედ ნაჩორგნი“ ცხოვრება კი მას უკან ეწეოდა. პოეტი საკუთარ გულს გაოხრებულ ბაღს ამსგავსებდა, მაგრამ საგმირო ამბების მხატვრული გარდასახვისთვის ენერგიას მაინც არ ზოგავდა:

მიყვარს საგმირო ჰანგები,
სიტყვა და აზრი ციური,
მაგრამ გულს იქით არ მიდის
გრძნობა და ფიქრი ღვთიური;
ფრთებს მიკვეცს აღმაფრენასა
ამბავი ყოველდღიური.
(„ქებათა-ქება“, I, 244)

მწერლის განმარტებით, სიტყვიერმა ხელოვნებამ, პოეზიამ ერის სულიერ-ინტელექტუალური ამაღლება უნდა შეძლოს. „მოძმეთ გონების სიმაღლე მწადდა, იმათ გრძნობათა და ფიქრთ დიდობა“, – ამბობს პოეტი და იქვე თავის შემოქმედებით ღვაწლს იმ გუთნისდედის შრომას ადარებს, რომელმაც საქმეს უერთგულა და როცა ყანის სამკალად მივიდა, მინდორი მხოლოდ ქვიშალამით გადალესილი დაუხვდა. პოეტსაც გულს ნაღველ-შხამი უვსებს, როცა ხალხზე ხელოვნების პრაქტიკული ზემოქმედების კვალს ვერ ხედავს. იგი მწარე კითხვას უსვამს საკუთარ თავს: „ვერაფერს გავხდი, ვერვის რა ვარგე, გულს დავუკარგე რისთვის მშვიდობა?“ მაღალ პოეტურ სახეებს, იდეალებს სწრაფი შედეგის მოტანა თურმე უკუღმართი სოციალური გარემოებების გამო უჭირს და რეალური ცხოვრების გაუკეთესებას ვერაფერს შველის:

არ მომრჩენია, ისევ მჭირს,
გულზე რაც მჭირდა იარა.
შავაჟღარუნებ ფანდურსა,
თუ ჟინმა წამომიარა,

მაგრამ ეს არის სადარდო –
თქმა არი, საქმე – კი არა...
(„ქებათა-ქება", I, 245-246)

ვაჟას გაგებით, ყველა ეპოქას, ყველა ხალხს მუდამ გადაუჭრელ პრობლემად ედგა „თქმა არი, საქმე – კი არაო..." ამიტომ შემოქმედთა იდეალი, სიბრძნე, მოწოდება, თუ მას რეალური საქმე არ მოჰყვა, და ერთ დროს მელანი საბრძოლო გარჯად, ოფლად და სისხლად არ იქცა, ისე თავისუფლებას, სამართლიანობას, ბედნიერებას ვერავინ მოიპოვებს. ამის გამო ვერც ხელოვნის გულის იარა განიკურნება.

ვაჟა-ფშაველას ლირიკა ნათელყოფს, რომ პოეტის გრძნობა-გონება ურთულესი პოლარული მიმართებებით არის გაჯერებული. შემოქმედის სულიერი სამყაროს მოძრაობა თითქოს მნათობთა და წლის დროთა წრებრუნვას ემსგავსება. პოეტის სულიერი განწყობა ხან ბნელი, ზამთარივით ცივი და სევდიანია, ხან კი ნათლით მოფენილი, გაზაფხულივით მშვენიერი და ლაღი. ვაჟა-ფშაველას ამგვარი განცდები, ცხადია, მხოლოდ თავისთავში არ არის ჩაკეტილი და ისინი მუდმივად ცალკეულის მნიშვნელობაზე აღმატებულ მთლიანს, უმაღლეს ღირებულებებს, კერძოდ, სამყაროსა და ადამიანთა ცხოვრებას მიემართებიან. მართალია, მძაფრია პოეტის სუბიექტური განცდები და ვნებები, მაგრამ ისინი მუდმივად სამყარო-ბუნებისა და კაცთა ცხოვრების ბრძნული კანონზომიერებების ორბიტაზე მოძრაობენ. პოეტის უთვალავი ლირიკული სახე თავის იდეურ-მხატვრულ ღირებულებას სწორედ ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრების წიაღთან კავშირში გამოხატავს. ვაჟა-ფშაველა, როგორც სამყარო-ბუნებისა და ცხოვრების უბადლო განმცდელი და ამ განცდების მხატვრულ სახეებად გარდამქმნელი, მუდმივი აქტიური სულიერ-გონითი ძიებებით არის გატაცებული. იგი მრავალგზის ამბობს, რომ ბუნებისა და ცხოვრების ნვდომა-გაგებას სიხარულთან ერთად ზოგჯერ დიდი სევდაც ახლავს. ცხადია, შემოქმედის სიხარულიცა და სევდაც უღრმესი ბუნებრივ-სოციალური მოვლენებით არის შეპირობებული. ცალკე ადამიანების უნარებთან შედარებით ბუნებისა და კაცთა ცხოვრების მარადიული მოვლენების ძალა განუზომლად მაღალია. პიროვნებას არც ბუნების, არც ადამიანური ცხოვრების მარადმოქმედი წესების შეცვლა და მათი ალტერნატივის შექმნა არ ძალუძს. ვაჟა-ფშაველას სევდიანი განწყობის საფუძველი ხშირად ეს არის. ადამიანის არსებობა

ხანმოკლე დროით, ასევე, სუსტი ფიზიკური და სულიერ-გონითი შესაძლებლობებით არის განსაზღვრული. სამყარო-ბუნებისა და სოციალური ცხოვრების იდუმალებანი მისთვის ბევრნილად გამოცანად რჩება; პოეტსაც ამის გამო მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა სევდით ავსებს:

რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოველ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამა
ღრუბელთ გულ-მკერდის მძივადა,
მიწაზე გადმოსაგდებად
ცვარად ან თოვლად ცივადა?
არ გამწირავდა პატრონი
ასე ოხრად და ტივლადა!
(„რამ შემქმნა ადამიანად", II, 227)

პატრონის მიერ ოხერ-ტივლად დატოვებული ადამიანი, ანუ პოეტი წუხს, დარდობს, რომ წვიმას ვერ შეედრება ძალით, მარადიული სიკეთის ქმედებით, ცისა და მიწის ბრძნული კავშირის მასშტაბური განსახიერებით. ღრუბლის შვილი რომ ყოფილიყო, მაშინ „ასე არ დამჭირდებოდა სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა. მზის მოტრფიალე ვიქნებოდა წილადა". პოეტს ის ადარდებს, რომ ადამიანი, უსუსურობის გამო, მუდამ შიშსა და სიფრთხილეზე უნდა ფიქრობდეს; მას წვიმასავით არც ცისა და არც ხმელეთის მოწილეობა შეუძლია, უძლურია, ბუნების უკვდავ მოვლენათა მსგავსად სიკვდილის გამაწბილებლად მუდამ მზის მოტრფიალედ იაროს. პოეტის დაულეველი სევდის მიზეზი ის არის, რომ ადამიანი არა მარტო ბუნების უალტერნატივო კანონებს მოუქცევია ჩარჩოებში, არამედ სოციალური ყოფის წეს-ჩვეულებებსაც. იგი წვიმასავით საქვეყნო მასშტაბის სიკეთით ვერ იამაყებს. წუხს, რადგან იცის, ხედავს ბუნების განუზომელ მარადიულ სიკეთეს, ხოლო მას კი ამგვარი სიკეთის ქმნა არ ძალუძს. არადა, წვიმის ჩანაცვლება, მაგივრობა რომ შეეძლოს, მაშინ

გავიხარებდი, მთა-ბარსა
ოდეს ვნახავდი მწვანედა,
მორწყულსა ჩემის ოფლითა,
ყვავილებს შიგნით, გარეთა.
გადავუშლიდი გულ-მკერდსა

დღისით მზეს, ღამით მთვარესა.
სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი
მომაკვდავ არე-მარესა.
(„რამ შემქმნა ადამიანად", II, 227)

ცხადია, ვაჟა-ფშაველას ლირიკული განცდები და პოეტური წარმოსახვა ველარ ეტევა წმინდა ადამიანურ ურთიერთობათა გარემოში. მას მეტი, ძალითა და მასშტაბით ბუნების მოვლენათა შესადარი სიკეთის ქმედება ენატრება, იმედი რჩება, რომ ოდესმე მისი სიკვდილი ისევ სიცოცხლედ გადაიქცევა და ასეთი აღდგენილი სიცოცხლე კი ისევ სამყარო-ბუნების მშვენიერებით, სიკეთითა და სიბრძნით გაიხარებდა. სიკვდილიდან წარმოშობილი ახალი სიცოცხლე კვლავ იზეიმებდა „და განახლებულ ბუნებას ყელ-ყურზე მოეხვეოდა". ვაჟა-ფშაველა გვაუწყებს, რომ დედამიწაზე რამდენჯერაც უნდა განიახლონ ადამიანებმა სიცოცხლე, იგი განახლებული ბუნების ტრფიალი იქნება ყოველთვის, მას მოეხვევა ლამაზ ყელ-ყურზე. ეს ვაჟას ბუნების ფილოსოფიის ამოსავალია: „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია". რატომ უნდა მოხდეს ასე? ვაჟა-ფშაველას მრწამსით, სამყარო-ბუნება არა მარტო საყოველთაოდ აღიარებული მშვენიერებაა, არამედ სიბრძნისა და სიკეთის განსახიერებაც. დედამიწაზე ძნელად მოიძებნება, ალბათ, ადამიანი, რომელიც სინამდვილის აქ აღნიშნულ ფასეულობებს ვერ ამჩნევდეს, მათ რაღაცნაირი სახით გათავისებას არ ესწრაფვოდეს. მაშასადამე, ბუნების მოვლენათა ზემოქმედებით უნდა დაიბადოს, აღმოჩნდეს კაცთა სოციალურ ცხოვრებაში გონივრული, სასიკეთო და მშვენიერი. ეს აზრი ვაჟა-ფშაველას ლირიკის მოტივთა ურთიერთკავშირის ერთგვარი ფილოსოფიური საფუძველია.

ვაჟა-ფშაველა თავისი შემოქმედებით გვარწმუნებს, რომ ადამიანი სინამდვილის, კერძოდ, ბუნებრივი და სოციალური არსებობის სიკეთეს, სიბრძნეს და მშვენიერებას ყოველთვის გრძნობდა. მაგრამ, პოეტის გაგებით, კაცთა შორის დამკვიდრებული ამ ღირებულებების შინაარსი ძალიან ცვალებადია; გარემოებათა გამო ადამიანი თვითონაც იცვლება და ამით ობიექტურ-სუბიექტური თავისთავადი შინაარსის მქონე ღირებულებებსაც სახეს უცვლის ან სულაც წინააღმდეგობაში მოდის მათთან. ეს განვითარების თანმდევი პროცესია, ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით; პოეტს სევდით ავსებს ის ფაქტი, რომ ადამიანები ღირებულებათა ურთიერთმიმართების არსში ვერ ერკვევიან

და მეტწილად, სულიერ-ზნეობრივ ღირებულებებზე წინ სარგებლიანობას, მოხვეჭას, ბიოლოგიურ მიდრეკილებებს აყენებენ. ამის გამო ყველა დროის საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ ითავისებდა ხელოვნების დიდ დანიშნულებას, მის სულის ამამაღლებელ ძალას.

ვაჟა-ფშაველას მტკიცედ სწამდა, რომ ხელოვნება ადამიანთა ცხოვრების სულიერ მოთხოვნილებებს კვალდაკვალ მიყვებოდა და პასუხს აძლევდა საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ კითხვებს. ამიტომ პოეტი უნუგეშობას, მწუხარებას ეძლეოდა მაშინ, როცა ხელოვნების, პოეზიის მიმართ მკითხველს გულგრილობას შეამჩნევდა. მაშინ იგი ჩონგურის სიმებს დაწყვეტილად, ხოლო ამაღლებულ პოეტურ გრძნობებს ყოფიერების სიჩლუნგით დაკნინებულად მიიჩნევდა:

ჩონგურს სიმები დამიწყდა,
მღერა მწადიან აღარა.
საკუთარის ღვთის ტკბილი ხმა
ყურს მეწვეთება აღარა,
განწყობა სასიმღერიო
გულს ეკარება აღარა.
მიტომ მდუმარებს ჩონგური,
გულიც ნაღველმა დაღარა.
(„ჩონგურს სიმები დამიწყდა“, II, 15)

პოეტის გაგებით, გრძნობადაკარგული პოეტი მწვავედ განიცდის მკვდრად ქცევას და სწყევლის თავის ბედის ვარსკვლავს. იგი გმობს დაცემულ, დაოჩნებულ ყოფას, თუმცა ცდილობს არ დაემორჩილოს შავ დროს, სწყევლის უქნარა ცხოვრებას და ამხელს მას:

იქნება ექმნას ნაყოფი
თავის წვრთნას, თავის გმობასა!
ჩემი სიცოცხლე სიჩლუნგის –
რა ვქნა – ვერ შეძლებს ყმობასა!
(„ჩონგურს სიმები დამიწყდა“, II, 15-16)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას ლირიკის მრავალი ნიმუში ღრმა სევდით არის გამსჭვალული, თუმცა ისე, რომ უიმედობას, პასიურობა-უმოქმედობას არ ამკვიდრებს. პოეტის სიცოცხლის მუდმივი თანმდევი იყო მისი სიტყვები: „ჩემი სიცოცხლე სიჩლუნგის – რა ვქნა – ვერ შესძლებს ყმობასა“. ვა-

ჟას მრწამსითაც, ცოცხალი პოეტი მკვდარს არ უნდა ემსგავსოს, ბედის ვარსკვლავის გმობაში არ უნდა გაჰყავდეს დრო.

თავსმორეულმა საქვეყნო ტკივილებმა პოეტი ენით დაამუნჯა და ახლა მუდამდღე თავში ცემა რომ არ დაჭირდეს, სმენისა და თვალთახედვის დახშობასაც ითხოვს. იგი ერთ რამეზე ამყარებს იმედს: „მივენდე ცრემლის დენასა; ესაა ჩემი ნუგეში, ტირილში ვპოვებ შვებასა". სიყმაწვილიდან სიბერემდე პოეტს წილად რგებია უნაყოფო ტირილი, მაგრამ შეჩვეული ჭირი ვერ დაუთმია: „ცრემლებო, თქვენი შვილი ვარ, თქვენა ხართ ჩემი ფონია, იდინეთ უხვად, ვიდრემდე შემწევს ტირილის ღონია!" პოეტის „უბედო ბედი" დაწყევლილია არა მარტო პირადი შინაარსით, არამედ თანამოძმეთათვის სარგებლის მოტანის აზრითაც:

უბედო ბედმა გამრიყა,
მიმაკრა ლოდსა კლდისასა;
დავლიე წუთისოფელი,
მივემგზავრები ცისასა.
ვერცა რა თავსა ვუშველე,
ვერც გაჭირვებას ძმისასა.
რა ჰქვიან ასეთს სიცოცხლეს,
რა ჰქვიან ასეთს ყოფასა?
სულ უყოლობა არა სჯობს
ჩემისთანების ყოლასა?!

(„დამუნჯებულსა ენითა", II, 56)

მარტოდ დარჩენილი, სევდამორეული პოეტი თვითდახასიათების ზუსტ და მძაფრ სურათს ხატავს:

ბრჯღალით ვუპყრივარ სევდასა,
როგორაც არწივს გნოლია.
შინ ზღვა არ მიშვებს ცრემლისა,
გარეთ – ქარი და თოვლია,
და საიქიოს – გმირთ რისხვა
სირცხვილი თანამყოლია.

(„დამუნჯებულსა ენითა", II, 56)

შემოქმედის განცდებმა და მხატვრულმა აზრმა წინაპართა წინაშე ვალი და ამ ვალის აღუსრულებლობის გამო სინდისის ქენჯნაც არ დაივიწყა. ვინც გმირ მამულიშვილთა საქმეებს, მათ ღირსებებს ვერ აფასებს, ის ვერც სამშობლოს უპატრონებს.

საქვეყნო ვარმის მხილველი შემოქმედი ხშირად იმედს საკუთარი სულის სიწმინდეზე, მის ნათლითმოსილებაზე ამყარებს. პოეტი ამბობს: „მიყვარს ნათელი ფიქრები, არ მტანჯვენ, არა მთელავენ. მტირალო შავო ფიქრებო, არ მომწონ თქვენი გოდება“. პოეტს შავი საქმეები და შავი ფიქრები სულის დამთრგუნველ უსიამოვნო ბარგად მიაჩნია:

შორს ჩემგან, შავო ფიქრებო,
გამშორდით, დაიკარგენით!
იმათ ეწვიეთ, ქვეყანას
ვინც სტანჯავს ავის ჩადენით.
თქვენ ჩემთან ხელი არა გაქვთ,
შემოსილი ვარ ნათელით.
(* * *, „გულზე წყლულები გამრავლდა“ II, 56)

ვაჟა-ფშაველას ლექსი „როს ვუკვირდები თავის-თავს“ ლირიკული სახისქმნადობის უფაქიზესი შეფასებით გამოირჩევა. ავტორის მრწამსით, პოეტური განცდების უშუალო და მაღალმხატვრული გაცხადების პირობა შემოქმედის მადლმოსილება, ზნეობრივი სიწმინდე, სიკეთის სიუხვე და ღვთაებრივი ლოცა-კურთხევის არსის ღრმად წვდომა ყოფილა. მას ათასობით ჩადენილ სიკეთის ქმედებაში კენტი შეცდომის პოვნა თუ შეუძლია მხოლოდ. მადლის სიმრავლე კი გულის ნათლისა და შემოქმედებითი აღმაფრენის საწინდარია:

მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწევ ასაფრენადა;
გაჩნდება სითლაც ნათელი,
გულს ჩამიდგება სვეტადა;
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბღერტადა;
მითრთიან გულის სიმები
სიამოვნების ღმერთადა.
(„როს ვუკვირდები თავის-თავს“, II, 67)

ამგვარ ვითარებაში, ასეთი განწყობისას შემოქმედი საკუთარი მუზის, საკუთარი ჩანგის მონა-მორჩილად იქცევა; იგი თვითონაც ხარობს და მახლობლებსაც ახარებს:

არა ვსთქვა, არ შემიძლიან,
მონა ვარ მაშინ ჩანგისა;
ნაცნობნი მეუბნებიან:

„ჭირიმე შენის ჰანგისა!“
თავადაც მომწონს: საამოდ
ხმა მწყობრად ადის-დადისა;
ჰქუხს ჩანგი, აღარ ისვენებს,
მეც მხოლოდ მღერა მწადისა;
იშლება, მღერაში დნება
ბუდე ყველა სხვა დარდისა.
ზღვად ვცურავ ნეტარებისა,
წვერი ხელთა მაქვს კალთისა,
უფლის და მისთა მსახურთა
ლოცვა-კურთხევა მამდისა;
კალთაში ვარდი მეშლება,
თავზე მანანა დამდისა.

მაგრამ მგოსანს თუ ცოდვები მოჭარბდა, გული დაუბნელდა, ღვთიური მადლი და ნათელი მოაკლდა, მაშინ შემოქმედების პროცესი, წინანდელი პოეტური უნარის წარმოჩენა დიდ ტანჯვად მოევლინება და აღარც შედეგი ექნება:

იგივ მარჯვენა და კაცი,
იგივ კალამი მჭრელია,
დაჩლუნგებულა, დამდგარა,
შემოხვევია გველია.
ჯოჯოხეთში ვარ, ვიწვები,
გაჩენის დღესა ვწყევლია,
ასე ყოფილა, მგოსანსა,
თუ მადლი გამოელია.
(„როს ვუკვირდები თავის-თავს“, II, 68)

საზოგადოდ, ვაჟა-ფშაველას ლირიკის სამყაროში მადლი მიჩნეულია როგორც ღვთაებრივ, ისე მიწიერ ფენომენად. იგი სინონიმია ღვთის წყალობის, სიკეთის, ჭეშმარიტების, სიყვარულის, კაცობრივი ვალის, მშვენიერებისა და სინდისის სიწმინდის ცნებათა. ყველანაირი მადლი, კაცთა წარმოდგენით, ციდანაა ნაწყალობევი, თუმცა დამბადებლისადმი მიბაძვით იგი მიწაზე, ადამიანის გულშიც იბადება. ვაჟა-ფშაველას მრწამსით, მიწაზე დაბადებული მადლი ადამიანის სულის გაზაფხულივით ჩნდება. მიწიერი მადლი, ანუ სულის გაზაფხულება სიკეთის, სიბრძნის, სიყვარულის, თავისუფლების, ბედნიერების, სიცოცხლის წყურვილის უანგარო ქომაგობის უნარია. აღნიშნულ სულიერ ფასეუ-

ლობათა ერთობლიობა შემოქმედის ფანტაზიის უშრეტი წყაროცაა და მისი ხასიათის სრულქმნის საფუძველიც. მადლი, ვაჟას გაგებით, გულწრფელი პოეტობის ნიჭია, რომელიც კაცთა შორის ნუგეშად განეფინება.

ვაჟა-ფშაველამ 1908 წელს დაწერა ლექსი „მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ", სადაც თავისი შემოქმედების მიმართ და მისი მკითხველის მისამართითაც სამდურავი გამოთქვა. პოეტს მუზის თანმხლები და მამშვენებელი ჩონგურის ნაცვლად ლახტი აუღია ხელში და მას თავგამეტებით იქნევს, რადგან ლექსთა თქმას სიკეთე არ მოჰყოლია. გულგატეხილი პოეტი ამბობს: „ყურს თურმე არვინ მიგდებს, თავი ბულბული მეგონა... ბედშავ სამშობლოს პატრონსა სხვა ვერა გამომეგონა. რა მექნა გულ-დათუთქულსა, შველა არვისთვის მეთხოვნა?!" სამშობლოს სახსნელად პოეზიას და ჩონგურის ჰანგებს მიმართა. იგი მამულის შველას ევედრებოდა ადამიანებს, მაღალ მთებს, ჭალებს, ხავსიან ლოდებს, ყვავილთა ლამაზ თვალებს, კამკამა წყაროებს; მაგრამ ამაოდ: „არ იქნა, არსით რა მერგო, ბედსავ ვატარებ მწარესა, ობოლსა უპატრონოსა, საით ვინ გაახარებსა?!" ბუნების და ადამიანებისაგან ზურგშექცეული, სამშობლოში მარტოდ დარჩენილი და ამით განრისხებული პოეტი ბრძანებს:

წაიღეთ ჩანგი, თქვენ გქონდესთ!
ლახტს ვიპყრობ იმის ნაცვლადა;
ეხლა ისა მაქვს ნუგეშად,
უდედოს – დედინაცვლადა.
თავში ვცემ გუშინდელს სატრფოს:
მთასა, წყაროს და იასა,
ალუდას, ზვიადაურსა
და ლუხუმს თავაზიანსა,
ლელასა, შუბით აღჭურვილს,
კვირიას კონკებიანსა.
ვცემ და დავყვირი: „მე ჩემი
ყოველივე ვსთქვი სათქმელი;
ხმა ამოიღეთ, თქვენცა თქვით,
მე დავიყბედე რამდენი.
თქვენ გაანათეთ სამყარო,
მე ხომ გამიქრა სანთელი!

(„მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ", II, 110)

ვაჟა-ფშაველას მხატვრული წარმოსახვით, ბუნება და ადამიანი ერთნაირი ცოცხალი არსებებია. ამიტომ პოეტი მათ ერთგვარად ევედრება სამშობლოს შველას, გულწრფელ გრძნობებსა და აზრებს უზიარებს, მრავალფეროვან პოეტურ იდეალებს წარუდგენს, მაგრამ ქვეყნის შავ ბედს შვება არ ეძლევა. პოეტს თავზარი დასცა პოეზიის მიმართ კაცთა გულგრილობამ, უმადურობამ, უგრძნობელობამ და სულიერ-გონითმა სიჩლუნგემ. იგი თავის სათაყვანებელ და სიბრძნისმეტყველ გმირებს ლახტით აიძულებს უფრო მეტი ენერგიით თქვან საქვეყნო სათქმელი, რადგან თვით შემოქმედს, „ცრემლების შვილს" ნათელი გაჰქრობია, ხოლო ხელ-ფეხზე მაგარი ბორკილი და გულზე ვეება ლოდი აძევს. საქვეყნო ვარამი და გაყუჩებული სამარის წყვდიადი პოეტს ცეცხლს უკიდებს.

ვაჟა-ფშაველა მთელი სიცოცხლის მანძილზე ურთიერთთან დაპირისპირებული მოვლენების, ანუ პოლარული მიმართებების, მძაფრი განცდებისა და მხატვრული სახეების ზოგადი შინაარსის ახსნას ცდილობდა. პოლარულ მიმართებებს პოეტი პოულობდა ბუნების წიაღშიც და საზოგადოებრივ ყოფაშიც. ბევრი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემაც თავის არსებაში ღრმა დაპირისპირებებს გულისხმობდა. პოეტი ეროვნული უღრმესი საკითხების გადაჭრის ჟამს მთელი ხალხის ერთსულოვნებას მოითხოვდა და ერთსულოვნებამდე ამაღლების ღირებულებას მხატვრული სახე-ხასიათების გამოძერწვით ნათელყოფდა. იგი ქვეყანას ეროვნული ერთობის, თანხმობის, სწორი კოლექტიური მოქმედების ნიმუშს თავისი მხატვრული ქმნილებებით წარუდგენდა. პოეტი მთელს ერს შთააგონებდა, რომ შინა უთანხმოება, საქვეყნო სიტყვისა და საქმის ერთიმეორისაგან დაშორება მხოლოდ მტერს გაახარებდა. ეს აზრი იკვეთება ლექსშიც „ქებათა-ქება" („უცნაურია ესე სოფელი"). შეუთანხმებელი აზრი ერს არ უნდა ჰქონოდა სამშობლოს ბედის, ერის სასიცოცხლო ერთობის, ენის, რწმენისა და კულტურის დაცვის პროცესში.

აქ თეორიულ ნააზრევს ისეთი პრაქტიკული საქმე უნდა მოჰყოლოდა, რომელსაც საერთო საქვეყნო ეროვნული ინტერესი ითხოვდა და ამოწმებდა კიდევაც. ვაჟა-ფშაველა ამაზრზენ მოვლენად მიიჩნევდა საქმისა და სიტყვის ფარისევლურ გაორებას. იგი ზოგჯერ მწერლობასაც საყვედურობდა რეალობიდან განდგომას და მხოლოდ ლამაზსიტყვაობით გატაცებას. პოეტი უმთავრეს საქმედ სამშობლოს თავისუფლებისათვის რეალურ ბრძოლას მიიჩნევდა:

ეჰ, მეც დამღალა, დამამხო,
მარტო ფიქრმა და გრძნობამა,
არა მოგვცა-რა ლამაზის
სიტყვებით ამაყობამა.
აღარ აყეფდა არწივი,
ვეფხვი არ იბრძვის ტოტითა,
ერთხელ საქმეზეც ვიფიქროთ,
დარბაისელნო, მოდითა!

(„ქებათა-ქება", I, 222)

პოეტი ამა თუ იმ დასისა თუ პარტიის წარმომადგენლებს „ალთა-ბალთა" მსჯელობებს უწუნებს. სწორი, ერთიანი ეროვნული აზრის ჩამოყალიბებას სთხოვს და შემდეგ კი ამ შემუშავებული თვალსაზრისის საფუძველზე მთელი ქვეყნისთვის მისაღები რეალური საქმის კეთებას ურჩევს. ქვეყნის ამგვარი ერთსულოვნება, პოეტის აზრით, დიადი მომავლის იმედსაც და თავისუფლებისათვის ბრძოლის პათოსსაც დაამკვიდრებდა. ვაჟა აღნიშნულ პროცესში სიტყვიერი ხელოვნების მონაწილეობას სათანადოდ აფასებდა, „სიტყვის მთესველთ" სხვა ლექსში რეალური მოქმედებისკენ მოუწოდებდა: „არ გვეშველება, თუ ერთდროს სისხლად არ იქეც, მელანო!" მაშასადამე, ერის გრძნობა, აზრი, ბრძნული სიტყვა და ბრძოლის იმედი ქვეყნის ბედს უნდა ემსახურებოდეს. ვაჟა-ფშაველა აღნიშნულ მარადიულ ღირებულებებს თავის ლირიკის სახეთა სისტემაში მოაქცევდა და უმძლავრეს პოეტურ განცდად წარმოადგენდა.

ვაჟა-ფშაველას ლირიკის სამყარო ნათელყოფს, რომ პოეტის აზრი, რწმენა, იმედი და იდეალი უფლის ნებით არის გაშინაარსებული თუ განმტკიცებული. უფალმა უბოძა პოეტს ზეციური მადლიცა და სამოთხის ხისგან შექმნილი მომჯადოებელი ჩანგიც. პოეტი ის ქურუმია, ის ფშაველი ხევისბერია, რომელსაც ზეციური ხმები მოხდენილი სიტყვით ხალხთან მიაქვს:

ვინც მომამადლა მე დიდი მადლი
მკვდართ აღმადგენელ ხმათ ჩანგზე თქმისა,
ვინც ჩანგი მიძღვნა თვისი ნაკურთხი,
მომჯადოები სამოთხის ხისა,
ვინაც დამნიშნა ერის აღმზრდელად, –
ჩემს ბედს ყოველმხრივ განაგებს ისა:
როს მოისურვებს მიწა-მტვრად მაქცევს,
არა – დამიდგამს სამეფო ტახტსა.

(„ვინც მომადლა მე დიდი მადლი", II, 216-217)

ამიტომაც, პოეტის აზრით, არავინ არ უნდა ეცადოს შემოქმედი ისე გააბრიყვოს, რომ ზოგიერთ გულგრილ თუ უმადურ მოძმეთა მიმართ წყევლა ათქმევინოს. მგოსანი უფლის მსმენელია და ამის კვალდაკვალ დიდი მიმტევებელიც უნდა იყოს. ასეთი მიმტევებელი გახლდათ ბრძენი რაინდი ვაჟა. მისი ლირიკული სახეები გვაუწყებენ, რომ პოეტის აზრი და იდეალი ზებუნებრივი მადლით არის განმტკიცებული და ნათლით მოსილი. უფალმა უწყალობა ვაჟას წმინდა გრძნობების პოეტურად გარდასახვის მადლიც. პოეტს ციდანვე ესმის ხან სევდიანი და ხანაც იმედის მომცემი ხმები. იგი ამ ხმების ჭეშმარიტ ღირებულებებს ბუნებისა და კაცთა ცხოვრების მარადიულ კანონზომიერებათა გარემოში მოაქცევს და უბადლო პოეტური წარმოსახვის ძალით ქვეყნის სიკეთეს ამსახურებს.

ბედისწერის განჩინებით სიცოცხლის ბოლო, ე.ი. 1915 წლიდან ვაჟას, თურმე ექვსი თვეღა ეკუთვნოდა. მან სიცოცხლის დასასრულის ჟამს დაწერილ ლექსში „ჩემი ანგელოზები“ ბრწყინვალედ შეაფასა ანგელოზთა საუფლოსთან, ანუ წმინდა იდეალებთან პოეტური მიმართების მნიშვნელობა, ის შემოქმედებითი პათოსი, რომლითაც მისი ლირიკა იყო აღბეჭდილი. ვაჟას რწმენით, დედამიწაზე დიდი ცოდვა-ბრალი ტრიალებდა მუდამ, ამიტომ ადამიანთათვის ცა ყოველთვის იყო იმედისა და ნუგეშის საუფლო. მწერალმა ამ ბოლო ნაწარმოებით თითქოს გამოსამშვიდობებელი პოეტური სიტყვა უთხრა თანამემამულეებს, მკითხველებს, დიდებს თუ პატარებს. სიკეთის, სიბრძნის, მიმტევებლობის, სიყვარულის მნიშვნელობის დასაფასებლად გული გადაუშალა მათ და აგრძნობინა, რომ საწყენს, გასაბრაზებს თუ სასიხარულოს, სულის ასამაღლებელს ერს უფლისა და ანგელოზების წაქეზებით ეუბნებოდა. მიმტევებელი, რაინდი პოეტის ეს ლექსი ერთგვარი მობოდიშება, აღსარება-მონანიებაც იყო თანამოძმეთა წინაშე იმის გამო, რომ ხშირად მრისხანებდა და სიმართლის ლახტსაც მედგრად იქნევდა ეროვნული სინდისის გასაფხიზლებლად. სევდა და სიხარული იყო მისი მოღვაწეობის მუდმივი თანამგზავრი. იგი არ სცნობდა არც ზეზერე აღტაცება-სიხარულს და არც უიმედობით გაჯერებულ სევდას: პოეტისათვის ამ გრძნობათა მონაცვლეობისა და მათი მხატვრულად განსახიერების მიზეზები ბუნების, ცხოვრების და თვით შემოქმედის სულის უღრმეს ფენებში იყო ფესვგადგმული. პოეტს ისიც სწამდა, რომ ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს საკუთარი ანგელოზები მფარველობდნენ, სევდისა და სიხარულის გამოხატვის იმპულსსაც და

დასტურსაც ისინი აძლევდნენ. თავისი ანგელოზები ვაჟას თურმე ძალიან ერთგულობდნენ და გამორჩეულად მნიშვნელოვან ამბებს მხოლოდ მას უამბობდნენ:

„ჩემს ანგელოზებს ვენაცვლე,
იმათ ფრთებს, იმათ სახესა!
სხვებს ისე არა სწყალობენ,
მე კაი თვალზე მნახესა:
მოვლენ და მომისხდებიან,
მომიყვებიან დარდებსა,
სანატრელს, ამაგზნებარსა,
საამოს, ია-ვარდებსა;
ცაში ავყევარ, პირადსა
სულ მავიწყებენ დარდებსა,
არ მეტულობენ სხვებისთვის
საუკეთესო ამბებსა.
მე კალამს ვიღებ, ქაღალდზე
ვნიშნავ ტრედივით ნაზებსა,
ზოგს წყლულის გულის მალამოს,
სხვას პირქუშს, გასაბრაზებსა.
ძალი აქვ ანდამატისა
იმ ჩემს დაჯღაბნულს ხაზებსა.
(„ჩემი ანგელოზები", II, 281-282)

ანგელოზების ნაამბობი მომხიბლავი ამბები პოეტს ცაში აამაღლებენ და პირადს დარდებს ავიწყებენ. მის მიერ „დაჯღაბნულის ხაზებს" მკითხველისათვის ანდამატის ძალა ენიჭება. ანგელოზთა ნაამბობით აღტაცებული ახალგაზრდობა მათ მოპოვებას ცდილობს. პოეტის მიერ წიგნადქცეულმა ციურმა ამბებმა, მგოსნის ხელოვნებამ მთელი ქვეყანა აღაფრთოვანა: „ჩემ ანგელოზთა წყალობით, სამშობლო უყვართ ბიჭებსა, თვის მიწა-წყალი და ენა, როგორც სალი კლდე ჯიხვებსა". თავისი შემოქმედებით ანგელოზები და პოეტი მთელ ერს სამშობლოსა და მისი ბუნების სიყვარულით აღაფრთოვანებენ.

თავი XIV

მთა და არწივი ვაჟას ლირიკის სამყაროში

ვაჟა-ფშაველა, როგორც ლირიკოსი, მძლავრ პოეტურ-მხატვრულ განცდებს არ მოაქცევდა მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებრივ-სოციალური გარემოს ჩარჩოებში და შემოქმედებითი ფანტაზიის მადლს სამყარო-ბუნებაში მიმდინარე პროცესთა სიდიადესაც უნაწილებდა. მისი ლირიკის განმაზოგადებელ-მხატვრული ძალა დროისა და სივრცის თვალსაზრისით საზღვარდაუდებელია. პოეტის სმენა, ხედვა, ალღო, მთელ სინამდვილეს შემოქმედებითად სწვდება და აფასებს. იგი დაუცხრომლად ეძიებს სულის ამამაღლებელ მოვლენებს როგორც კაცთა ცხოვრებაში, ასევე სამყარო-ბუნებაში. ამგვარი მიდგომა მისი პოეზიის ამოსავალი ესთეტიკურ-მხატვრული პრინციპია. პოეტური ალღოსა და ლოგიკის მეშვეობით, განუმეორებელი ასოციაციური კავშირების პოვნის უნარით შემოქმედი სინამდვილის ცოცხალ თუ არაცოცხალ ქმნილებათა უცნაურ ნათესაობას განასახიერებდა; მას მთელი სამყარო წარმოესახება ბუნებისეულ და სოციალურ-ზნეობრივ ღირებულებათა დიად ერთიანობად. სამყაროში ყველა საგანს, მოვლენას, გრძნობას, აზრს, ვაჟას მრწამსით, თვითრეალიზებისათვის თავისი დრო-ჟამი აქვს. ყველგან პოეტურად განჭვრეტილი გონი და ინტუიცია, სიკეთე და მშვენიერება ბატონობს, ცხადია, ხშირად საწინააღმდეგო მოვლენების მონაწილეობით. სწორედ ეს არის ვაჟას მრავალი ლირიკული შედევრის პოლითემატურობისა და პოლიფონიურობის საფუძველი. ყველა ციურსა თუ მიწიერ არსს სიყვარული, სიბრძნე, სიკეთე, მშვენიერება აიძულებს იმოქმედოს, საკუთარი მეობა გამოხატოს. თავის თავს, ხასიათს, იდეალს, გრძნობას, აზრს, გამოხატავენ არა მარტო ადამიანები, არამედ მნათობები, მთები, კლდეები, მდინარეები, ყვავილ-ფრინველნი და უთვალავი სხვა პერსონაჟი პოეტის ლირიკისა. მათი თანაარსებობა ეფუძნება სიყვარულს, ერთიმეორეზე ზრუნვას, ურთიერთმონებას, სიკეთეს და ზოგჯერ კი უარყოფითი ღირებულების მოვლენებთან მძაფრ დაპირისპირებას.

ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნების ლოგიკით მთელი სამყარო-ბუნება, მისი ყველა ქმნილება, ცოცხალი, მგრძნობელი, განმცდელი და მოაზროვნე არსებად წარმოსდგება. ეს აზრი მსჭვალავს სიჭაბუკიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე პოეტის შემოქმედებით განწყობილებებს. მწერალს უსაზღვროდ უყვარდა მშობლიური ბუნება, როგორც წმინდანებს, ისე ავედრებდა ბუნების ქმნილებებს საკუთარ გრძნობებსა და იდეალს.

სიჭაბუკის ხანის ლექსში „ისევ შენ, ისევ, ქალაო“ პოეტი სატრფოს ევედრება მკვდარი დაიტიროს და ავალებს, რომ „მაღლისა მთისა წვერზედა საფლავი გამითხაროდი, ჩემის სამშობლოს ქვიშანი ხშირ-ხშირად მომაყაროდი“. ამასთანავე, მიჯნურმა მთებს და კლდეებს მის ნაცვლად სამშობლოს დაცვა შეაგონოს. პოეტის მუდმივი სურვილია: „არწივთ მოზარდონ წიწილნი, დაჰბრუნონ ჩემსა სამარეს, მალ-მალ მაიღონ ბიბინი; მთებმა ახარონ ყვავილნი, კისრით ატარონ ნისლები, მკვდარს გულზე ნამი მანამონ, – ისევ ცოცხალი ვიქნები“.

ზეცაში ქედაწვდილ მთებს მგოსანი ასე მიმართავს: „თქვენ როცა გხედავთ, ტივლებო, მუხლს გიყრით, გული ღონობსა, თქვენფერად სიამაყესა გატაცებული გონობსა“. მწერალი მთებს სალოცავი ხატივით ეთაყვანება, მათი სიწმინდის და სიმტკიცის გათავისებაზე სიყრმიდანვე ოცნებობს.

მთების მიმართ ვაჟას განსაკუთრებულ სიყვარულს, ვფიქრობთ, აძლიერებდა მისი მშობლიური კუთხის ტრადიციები. ფშავში დაარსებული ყველა ღვთისშვილი ჯვარ-ხატი ციდან ნათლის სვეტად ჩამოსულად მიაჩნდათ. უხსოვარი დროიდან ფშავში დაფუძნებული და დღემდე გარკვეული სახელებით მოღწეული თორმეტი თემიდან არც ერთი არ არის ისე დარჩენილი, რომ მთაზე სალოცავი ხატი, ანუ „წვერის ანგელოზი“ არა ჰყავდეს. თორმეტი ძირძველი თემიდან ორის „წვერის ანგელოზის“ საბრძანისებს „მთა წმინდის“ სახელი უხსოვარი დროიდან დღემდე ჰქვია. ესენია: ჭიჩოს მთაწმინდა და ცაბაურთის მთაწმინდა. ჭიჩოს მთაწმინდა ფშავის არაგვის მარცხენა მხარესაა, ხოლო ცაბაურთის მთაწმინდა არაგვის მარჯვენა მხარეს. ამ მთებზე ასული კაცი მთლიანობაში დაინახავს უკანაფშავის ყველა თემს. როგორც დაკვირვება ცხადყოფს, ფშავში ყველაზე ლამაზ ბუნებრივ გარემოში ღვთისშვილთა საბრძანისები მკვიდრდებოდა. ცაბაურთის მთაწმინდის სალოცავი ვაჟა-ფშაველას თემს ეკუთვნოდა. ცხადია, დიდად მორწმუნე პოეტი მრავალჯერ ეწვეოდა წინაპართა სალოცავს მთაწმინდის „წვერის ანგელოზს“. ძნელია დღეს და-

ადგინო ძველი ფშაველები იცნობდნენ თუ არა წმინდა მთების თაყვანისცემის ქართულ თუ მსოფლიო ტრადიციას, მაგრამ ვაჟა-ფშაველასათვის რომ ეს მოვლენა ნაცნობი იქნებოდა, სრულიად ნათელია. ბიბლიიდან მოყოლებული, მთები ღვთაებრივი სიბრძნე-სიკეთის გაცხადების წმინდა ადგილად მიიჩნეოდა. ზეციურ ძალთა მადლი მთებზე დაარსებულ სალოცავებს უფრო მეტად სწვდებოდა, ხალხის აზრით. ეს რწმენა ჰქონდა წინარექრისტიანულ ქართულ მთასაც და ეს სწამთ დღესაც.

ვაჟა-ფშაველა მთებთან წმინდა ესთეტიკური მიმართების გარდა უძველესი მითოსურ-რელიგიური წარმოდგენების ღრმა წვდომითაც იყო დაკავშირებული. მის შემოქმედებაში ღვთისშვილნი და ზოგჯერ გამორჩეული გმირებიც კი ციდან ნათლისსვეტად მთებზე ეშვებოდნენ. ზოგჯერ კი ღვთისშვილი, ფშაველთა წარმოდგენით, მთაზე მხოლოდ „კოჭს მოიკიდებდა“, ე.ი. დროებით ქუსლს დაადგამდა და მერე კი ბარში, თემის ახლოს არსდებოდა. ამგვარ ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებსა და ზესთაბუნებრივის მშვენიერების უშუალო განცდას ემყარებოდა პოეტის ფანტაზია. ვაჟას პოეზიაში საერთოდ და ლირიკაში კერძოდ, მთებსა და მის კალთებზე მრავალი თვითმყოფადი საგანი თუ მოვლენა განსაცვიფრებელი მშვენიერებით გამოავლენდა საკუთარ არსებას. ბევრი არსება მთისგან განუყრელი, მისი შვილი იყო. მთისა და არწივის განუყრელობა ბუნების შეუვალ წესად და მათი თანაარსებობის ულამაზეს სახილველად მიაჩნდა პოეტს. მთისა და არწივის ურთიერთკავშირი, მან მრავალ ლირიკულ სახეში ჩააქსოვა.

ვაჟა-ფშაველამ აღნიშნული ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებისა თუ ფიზიკური რეალობის ზემოქმედებით მთები სიყრმიდანვე დასახა უმაღლესი ზნეობრივი გრძნობების, წმინდა საქვეყნო იდეალების გაცხადების ადგილად და სამარადისო განსასვენებელ გარემოდ. პოეტმა უთვალავი ასპექტით შეაფასა მთების ღირსებები და მშვენიერება. იქ, მისი რწმენით, ყოველთვის სიკეთე, სიბრძნე, სულის სიწმინდე და მაღალი ეროვნული იდეალი უნდა დაბადებულიყო. მის („ბახტრიონშიაც“) მთების ხილვას მუდმივად ახლავს მშვენიერებით გაოცების, სიყვარულის და მადლიერების განცდები:

„მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ

თქვენი დეკა და ღვიანი.
თქვენი მიწოვაე მეც ძუძუ,
ღალიან-ბარაქიანი.
ნუმც გაჯავრდება პირიმზე,
ნუმც დამწყეველიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთი
ვსუქდები ცოდვილიანი.
მეც მიგემებავ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიზარდენით;
თქვენავე გარგებსთ, დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით!"

მთების სიმბოლურ-მეტაფორული ხილვა-გააზრება ვაჟას პოეზიაში განუმეორებელი უშუალობით არის წარმოდგენილი. ხშირად მთათა სიწმინდის ფონზე გამოიკვეთება მძლავრი ეროვნული პრობლემები, რომელთა გამოც „მთანი თავ-ჩაჩქნიანები, ფიქრს მისცემიან მწარესა". ამდროს მთანი თვალებზე ცრემლმოძალებულ გმირებს ემსგავსებიან. მტერთან საომრად ამხედრებული მთიელთა ჯარი ომის მფარველ ლაშარის ჯვარს საკუთარ წმინდა მთაზე ეახლა და თვალითაც იხილა:

„მთაზე დაენთო ცეცხლები,
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა;
თავმოხდით სდგანან მხედარნი
თავის ბატონის კარზედა.
ბრჭყვინავენ ალმასივითა
დროშები ცეცხლის ალზედა.
ცივი უბერავს ნიავი,
ლაშქარს ნამს აყრის თავზედა".

ლაშქარი ლაშარის წმინდა მთაზე უცდის ხატის პასუხს ანუ ბრძოლის დასტურს. ქადაგმა მათ ლაშარის ჯვრის თანხმობა და სიხარული აუწყა. ქადაგი მიმართავს მეომრებს, რომ მტერთან საბრძოლველად თქვენმა დროულად ამხედრებამ ჩვენი მფარველი ლაშარის ჯვარი სიამით აავსოო:

„წინ მომეგება სიცილით,
ბეღლის კარს მოდგა მზებურა,
ტანთ ეცვა ლურჯი ბექთარი,
თავზე ჩაჩქანი ეხურა.
დიდია ჩვენი ბატონი,

მადლით ცას სწვდება მთებურა;
თან გვატანს თავის ლოცვასა,
ფრანგული ამეენურა.
გვიქადის გამარჯვებასა,
წინ წაგვიძღვება თავადა“.

მართლაც, მეორე დილით ლურჯ ცხენზე ამხედრებული, ლურჯი ბეგთარით შემოსილი, ჩაჩქნით თავდაბურული და ხმლით ტანდამშვენებული, ნათლითმოსილი ლაშარის ჯვარი მთა და მთა წინ წაუძღვა ლაშქარს. ეს იყო მიზეზი, რომ „ცამ გადიბანა პირიდამ მური, ნაცხები ღრუბლისა, გადაეფინა სამყაროს ლოცვა-კურთხევა უფლისა. შუქი დაეცა ლაშქარსა მთების ბრწყინვალის შუბლისა. ლაშარის გორზე წავიდა ლაშქარი დროშის ჟღერითა“. ნათლის იმედმა აავსო მებრძოლთა გულები. უნებლიეთ აღიძვრის შთაბეჭდილება, რომ ლაშარის ჯვრის მიმართ მთიელ მეომრებს ისეთივე განცდა ეუფლება, როგორიც ჰომეროსის გმირებს თავიანთი ღვთაებებისადმი. ლაშარის ჯვრის საომარი აღჭურვილობა, ფშაველთა წარმოდგენით, იმას გულისხმობდა, რომ იგი მტერთა მფარველ ღვთაებას უნდა შებრძოლებოდა.

ვაჟა-ფშაველამ მრავალი ეპიკური თუ ლირიკული მხატვრული სახე ცისა და მთების სიწმინდე-სიმტკიცესთან დააკავშირა. ლაშარის ჯვარიც „მადლით ცას სწვდება მთებურა“. მებრძოლები თავისი მფარველის გარეგნულ ხატს მთის ფონზე სჭვრეტენ. ერთი მხედარი ლაშარის ჯვარს ასეთი სახით იხილავს: „ვნახე, ცის ტატნად დავატყვე, მთა გადალახა სწრაფადა; გარს ევლო შუქი ბრწყინვალე, ციდამ მოსული ძაფადა“. ამგვარი ჯარის წინამძღოლი ძვირფასი თვალივით არის ჩასმული „ბახტრიონის“ მხატვრულ სახეთა სისტემაში. ლაშარის წინ წაძღოლამ მეომრები აღაფრთოვანა და წარმოათქმევინა: „ნეტავ, რა მტერი იქნება, – ეხლა გაგვიძღოს, ბიჭებო, ჩვენი კვალი ხარ დღეს შენა, ლურჯაის დანაბიჯებო!“ ჯარის წინ მიმავალმა ლაშარის ჯვრის ლურჯამ მთა სწრაფად გადაიარა, ნატერფალი, ან კვალი დატოვა და მებრძოლნი საომარი ჟინით აავსო: „ლაშარის ჯვარის ცხენისა ნატერფალია ელვარე; აღტაცებულსა ლაშქარსა გული გაჰხდია მღელვარე“. საბრძოლველად აღელვებული ჯარი წინ მიიწევს და ფშავის მთებიდან დანახული კახეთის მთების სილამაზით გამონვეული აღტაცება ცამდე აღწევს:

„გადვიდენ ალაზნის თავსა,
მთების წვერები ჩნდებოდენ,
საცა გაჰხედავ, ყოველგან
გასაშტერონი დგებოდენ:
ზოგნი ცის გულ-მკერდს ჰკოცნიან,
ზოგნი უკანა რჩებოდენ.
.....
...ნეტავ ბუნების ქმნილება
სხვა მათ რა შაედარება,
მალ-მალე შავი ჯანღები
თავზე რომ დაეფარება?
ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი“.

ცხადია, აქ ბუნებისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობები ერთიმეორესთან ზებუნებრივი ძალით არიან შედუღებულნი. სამშობლოს მთებს არ უნდა დაშორდეს მათი ამაყი შვილი არწივი და აქაც „არწივნი დაფარფაშობენ, უფსკრულს ავლებენ თვალებსა“. ისინიც მტერს დაეძებენ და მამულისათვის თავგანწირულ გმირებს მეომრული სულის სიმბოლოდ ევლინებიან. როცა მთებზე მონავარდე არწივები ერთიმეორეს ეძრახებიან, „ამ დროს ომში მყოფ გმირებსა ტიალნი ემსგავსებიან“, – ამბობს პოეტი. ალბათ, ამიტომ ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი ხოშარეული „არწივია მხარკვერიანი“. კვირია მოულოდნელად ლაშქრიდან გაუჩინარდა. ჯარი შეეჭვდა: აქა-იქ ნატარი კაცი ხომ არ გვღალატობსო. ლუხუმმა მათ უგუნური მსჯელობა დაუწუნა და ჰკითხა: „რად არა გაჰხედნებთ, ბრიყვებო, ჩვენის სამშობლოს გორებსა?“ ლუხუმის აზრით, ადამიანმა ამ სილამაზეს როგორ უნდა უღალატოს. მთები ხომ მთელი სამშობლოს სახეა, ერის სულიერი სიწმინდის ხატი. იქ მცხოვრებმა ადამიანმა მოძმე სახლიდან საღალატოდ, მტრის გასახარად როგორ უნდა გამოიტყუოს, ასეთი სიმუხთლე სად გაგონილაო.

პოეტის მრწამსით, ბუნება ერის ინტერესთა შემადუღაბებელი ფენომენია და მას არ ეღალატება. უფრო მეტიც, ბახტრიონის ციხეში მოკალათებული მტრის დასალაშქრავად მიმავალი ჯარის მიერ დანახულ მთათა შორის დგას ამაყი ბორბალა. იგი ნაწილია სამშობლოს სიდიადისა, ამიტომაც, პოეტის ფიქრით, მისაღებია მისი თავისებური მონაწილეობა ომის იდეოლოგიაში. გამარჯვების მაუწყებელი „გადმოდგა გორბალაზედა თავისუფლების

მთვარეა". ორი სიწმინდე მთა და მთვარე აუწყებს ქვეყანას ნანატრ თავისუფლებას. მთვარე როგორც სალოცავი, ხომ ლაშარის ჯვრის ათაპაპადაც მიიჩნევა. ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სახეთა სისტემაში უღრმესი ეროვნული გრძნობების გამოსახატავად ხშირად ჩნდებიან მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მთა, არწივი, შავი ნისლი თუ ღრუბლები. ამის გამო მთვარე ბორბალოს მთიდან აუწყებს ქართველთ გამარჯვებას, გველისგან განკურნებული ლუხუმი ისევ ლაშარის წმინდა მთაზე უნდა ავიდეს, ბედგამწარებულმა სანათამ შვიდი შვილი სოფელ ხოშარაში კი არა, ხოშარის გორზე უნდა დამარხოს. ცა სიწმინდეებს თავისკენ იზიდავს. დაჭრილი არწივი კი თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის სიმბოლოა. იგი ბუნებასთან ადამიანურის ისეთ ასოციაციურ კავშირს წარმოადგენს, სადაც კონკრეტული ეროვნულ-სოციალური მხოლოდ უსაზღვრო მხატვრულ განზოგადებაში უნდა ამოვიკითხოთ. ვაჟას დაჭრილი არწივის სახეში საკუთარი ისტორიული ბედი დედამიწაზე მცხოვრებმა მრავალმა ხალხმა შეიძლება წარმოისახოს.

ვაჟა-ფშაველას რწმენით, ზეციურ ძალთა ნებით ევლინება პოეტს მუზის მადლი და მისი სიმბოლო არწივი. სამშობლოს უბედურებისაგან ცრემლგამშრალ და სევდამორეულ პოეტს არწივი ეიმედება შთამაგონებელ ძალად. მას არწივმა უნდა დაუბრუნოს საზოგადოების შეუბრალებლობისაგან გაყინული, დაჩლუნგებული თანაგრძნობის, სიბრალულისა და ანკარა ცრემლის ფრქვევის უნარი: „სადა ხარ, ჩემო არწივო, გულზედ ნისკარტი დამკარა, გულიდან სისხლი მადინე, თვალიდან ცრემლი ანკარა! დავწუხდი ტირილისაკა, ცრემლი არ მეკარებისა; გული შეჭამა ვარამმა, არავის ებრალებისა" („სადა ხარ, ჩემო არწივო" I, 51-52).

ლექსში „ნადილი" პოეტი ცხოვრება-არსებობას შავეთად ანუ საიქიოდ წარმოსახავს, მაგრამ იქაც პოეტის გული სამღერლად ბობოქრობს. ამიტომ იგი შავეთში სტუმრად იხმობს მთებს, შავგვრემანა კლდეებს, ყვავილებს, არწივებს. ისინი პოეტის სულის თანმდევი სახე-სიმბოლოებია, რომლებმაც მას შემოქმედებითი ძალები ყოველგვარ ვითარებაში უნდა გაუღვიძონ: „მინდა შავეთში მომღერალს სტუმრად მწვეოდენ მთანია, თან კლდენი შავგვრემანანი, – მთების მამშვენი ძმანია; იანიც მინდან მტირალნი, ძველ-კაბიანი დანია". პოეტის მწარე ფიქრები უფრო მეტად არწივთა სიახლოვემ უნდა გაალამაზოს. „არწივნო, ცისპირთ მავალნო, ძვირად მნახველნო ბარისა, დოსტოლრივ მჭრელნო ღრუბლების, თანაც მზიდველნო ქარისა, თქვენის დას-

წრებით ამშვენეთ მღერა ფიქრების მწარისა“ („წადილი“, I, 55-56). შავეთის მრუმეში სევდიანად მომღერალი პოეტი სულის საოხად, შემოქმედებით ძალის აღსადგენად ისევ ამქვეყნიური ბუნების ქმნილებებს იწვევს, რითაც ცხადყოფს შემოქმედისათვის მათს უალტერნატივო მნიშვნელობას.

მთა ვაჟას რწმენით, ის ადგილია, საიდანაც პოეტმა ღმერთს სიტყვა და თხოვნა უნდა მიაწვდინოს. იგი წერს: „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ, თვალწინ მეფინა ქვეყანა, გულზე მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა“. ასეთ ვითარებაში ხალხის სასიკეთოდ გარჯა შემოქმედს მეორე რჯულად ექცევა. მთა სულის განსაწმენდელია, ხოლო ბნელი ხევი სულიერ-ზნეობრივი უნარების დამამდაბლებელი გარემო. ამიტომ პოეტის „გულიც იქ იწევს, თვალიცა, იქ რო მაღალი მთებია“ და ნატრობს იგი „იმათ კალთაზემც მოვკვდები, მათ ლოდი გულსამც მდებია!“ (I, 30). ლექსში „ფშაველის სიმღერა“ სამშობლოს ფშაველი ერთგულებას ასე ეფიცება: „თუ გიღალატო, დედაო, ნუმც დავიმარხო მთაშია, ნუ დასდვან ვაჟის ფშაველისა ხმალი სატირლის თავშია“. მაშასადამე, მთაზე დამარხვის ღირსი ჭეშმარიტი მამულიშვილია და არა ყველა. ამგვარი უფლება მხოლოდ დიდი საქვეყნო ღვაწლით მოიპოვება. მთათა სიყვარული ვაჟას მხატვრული წარმოსახვის მარად განუყრელი ნაწილია:

თქვენ როცა გხედავთ, ტიელებო,
მუხლს გიყრით, გული ღონობსა,
თქვენფერად სიამაყესა
გატაცებული გონობსა.
(„თქვენი ჭირიმე, ჰოი, მთებო“, I, 11).

პოეტი მთებს სალოცავ ხატების მსგავსად მუხლს უყრის, მათი სიმტკიცე, სიმაღლე, სიამაყე იტაცებს და ოცნებებით ცამდე აჰყავს.

ვაჟა-ფშაველას გაზაფხულზე განსაკუთრებული ძალით წარმოესახება ბუნების ქმნილებათა ურთიერთკავშირის სიდიადე და მშვენიერება. გაზაფხულზე მთებში დამდნარ თოვლს ენერგიით, საბრძოლო ჟინით აუვსია მდინარეები. ბობოქრობენ არაგვი და მტკვარი, ისინი მებრძოლ რაინდებს დაემსგავსებიან:

არ მოეწყინა ამათა
ჯავრობა შესაზარია,
რამდენი ხანი გავიდა,

რაც დედამიწა არია,
მას აქეთ დაუღალავად
მიწასა სთელვენ ძმანია;
იმათ წყალს დაუბანია
თამარის ტურფან თვალნია;
შვილთ ტრფობით გაუმაძღრები
გადმოსცქერიან მთანია.
ძმანი შესტრფიან დედებსა,
დედები – ლომ-გულ შვილებსა,
საკინძზე ალმასისასა
დაუკერებენ ღილებსა“ („გაზაფხული“, I, 111).

არაგვი და მტკვარი ზოგჯერ ფარ-ხმალშიც გაუსინჯავენ ერთმანეთს მკლავის ძალას, მაგრამ მალევე მოეხვევიან ერთიმეორეს და ერთი მიზნისკენ გაუყვებიან გზას. მათი დანახვა ძლიერ მოსწყურებია ალაზანსა და რიონსაც, ისინი ხომ ყველანი მთათა სასახელო და შეუდრეკელი შვილები არიან. ეს მდინარეები სამშობლოს მაცოცხლებელ სისხლძარღვთა სისტემას განასახოვნებენ. ამიტომ პოეტი ვერ მოითმენს, ისინი აღტაცებით არ დალოცოს: „იკურთხოს თქვენი ერთობა, სამის სამების ძალითა!“ ბუნების მშვენიერ და მძლავრი ქმნილებების ერთობის მნიშვნელობის ცხადყოფა აქ გაზაფხულიდან იღებს სათავეს. მდინარეთა ეს ლირიკული სახეები უნებლიეთ გვახსენებენ ისეთ რაინდულ ადამიანურ სულიერ კავშირებს, როგორიც გამოიხატა პოემა „ბახტრიონის“ ლუხუმისა და ზეზვას მეგობრული შერკინების ეპიზოდში. გაზაფხულმა მდინარეები აქცია უძლეველ რაინდებად, ხოლო ლუხუმი და ზეზვა გაზაფხულთან ერთად, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის წმინდა მიზნებმაც.

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ მემკვიდრეობაში მთა სულის სიმაღლისა და ზნეობის სიწმინდის განმასახიერებელი სახე-სიმბოლოა. იგი ბუნების სიდიადისა და მშვენიერების თავისებური ნიშანსვეტია. მთა არა მარტო ადამიანების მრჩეველია, არამედ მნათობებისაც. წყვდიადთან ბრძოლით დაღლილ-დაქანცული მთვარე იმედგატეხილია და სიკვდილს ნატრობს, რადგან სიბნელეს ვერ სძლია. მთა კი მთვარეს ურჩევს, რომ თავის რჯულსა და მარადიულ სწრაფვებს არ უღალატოს, რადგან ბუნებაში „ყველა ეგრე ვართ შობილნი ერთი-მეორის მსახურად; ერთურთს ვშველთ, ერთურთსა ვწყალობთ, პირნათლად, ჩამოხატულად“. მთა ბუნების ქმნილებათა ერთიმეორეზე ზრუნვის, ანუ დიადი

ერთიანობის დაცვის აუცილებლობას ჩააგონებს მთვარეს, აუწყებს, რომ თვითონ იგი ვერსად წავა, უძრავია, უსინათლო. ამასთან ერთად ვერ უმტყუნებს სხვათა წინაშე დაკისრებულ დასაბამიერ მოვალეობებს. ამიტომ მთა ეკითხება მთვარეს: „ვის ჩავაბარო ყვავილნი და წყარო ჩემდ მონაბარი?" ამის გამგონე მთვარეს სრულიად სხვა ზნეობრივი განწყობა დაეუფლა: „მაღლა წამოდგა ცაზედა, ხშირი აფრქვია სხივები მჭმუნვარეს ქვეყანაზედა, აკოცა მთასა მაღალსა, განათდა ბნელი ჯურღმული, განათდა მთელის ქვეყნისა შეწუხებული სულ-გული". ლექსი „მთა და მთვარე" ცხადყოფს პოეტის ნატურფილოსოფიურ თვალსაზრისს სამყაროული მთელის არსებობისათვის ნაწილების ერთიმეორის მსახურების მისიისა და მოთხოვნის შესახებ. ბუნების ქმნილებანი, პოეტური ლოგიკის მიხედვით, თურმე, მარადიული ვალის ამღებნი და გამცემნი არიან, ერთურთს შველიან და სწყალობენ. ორივე ლირიკული სახე, მთაც და მთვარეც სიწმინდეს, ნების სიმტკიცეს, ვალის ერთგულებას და ბუნებრივ მშვენიერებასთან ერთად, ზნეობრივ გრძნობათა სიდიადესაც გამოკვეთენ.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ წარმოსახვაში არა მარტო მთა და არწივი წარმოსდგება ერთიმეორის განუყრელად, არამედ მათი კავშირის დადებით შეფასებას მუდმივად ესწრაფვის ადამიანის გრძნობა და აზრიც. პოეტი მთელი სიცოცხლისა და შემოქმედებითი შრომის მანძილზე ბუნების ამ დიდებულ ქმნილებებს ერთი დღითაც კი ვერ ივიწყებს. ისინი, მნათობებთან ერთად, მუდამ გვევლინებიან მწერლის განწყობისა და ინტერესის აღმძვრელ ფენომენებად. ლექსში „არწივი" პოეტი დიალოგში ჩაება არწივთან, რათა გაერკვია ამ ძლიერი, ამაყი და შეუპოვარი ფრინველის „ხასიათი". მწერალმა არწივს გამოათქმევინა აზრი, როგორც ადამიანის, ასევე საკუთარი ცხოვრების წესზე.

არწივი ადამიანთა ავკაცობას არ ენდობა, მაგრამ პოეტს, რომელმაც ერთგულება და სიყვარული შეჰფიცა, სასაუბროდ გული გაუხსნა. არწივის გამოხედვაში მისი სულის დიდი ძალა შეიგრძნო პოეტმა. პოეტის წინაშე არწივი აღიარებს, რომ ორმოცი წლის მანძილზე მრავალი მსხვერპლი მოინადირა, მაგრამ ნადირობდა მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილი ითხოვდა. იგი ამაყობს, რომ ნადირობის ჟამს ბუნების მიერ ნებადართულ მუდმივ ზომას, წესს იცავდა. ამიტომ მან არ იცის, რა არის ცოდვა, რა არის სინანული, რადგან მხოლოდ ბუნების მიერ დადგენილ ზომას მიყვებოდა. არწივის სიტყვით, იგი არ არის ადამიანივით მომხვეჭელი და კმაყოფილდება ბუნებისაგან განსაზღვრული დასაბამი-

ერი სასიცოცხლო ნორმით. ვაჟას რწმენით, თავისუფალი არჩევანის უნარს ადამიანი ყოველთვის როდი იყენებს სწორად, ბუნების კანონზომიერებათა შესატყვისად. პოეტი ეკითხება არწივს: „– არც მტრობა იცი? არ იცი შური?“ გაკვირვებული არწივი პასუხობს: „– ვისში რა ვპოვო მე შესაშური?! მტრობა კი ვიცი, არ უნდა ფიცი. მწადიან მტრისა ვიყარო ჯავრი, როს ჩემზე მოაქვს ხმალი და ფარი“. პოეტი კვლავ ეკითხება არწივს, თუ აქვს მას ბინა. მისი პასუხია: „– მაშ ეს რა არის შენ თვალებს წინა? ყველგან სახლი მაქვს, საცა მთებია, საცა სალი კლდე ანაგებია“. შემოქმედი არწივისაგან მოელის სიყვარულის შეფასებასაც: „– მაშ არც ვინ გიყვარს, შე კარგო, შენა?.. მაშ რასა ჰნიშნავს ეგ მძლავრი ქშენა?“ ამ კითხვის პასუხი არწივმა რაინდული დუმილითა და მდუღარე ცრემლებით გამოხატა: „დადუმდა ეხლა, დაება ენა. დაჰკიდა დაბლა ამაყი თავი... ჩამოსქდა ცრემლი.. მდუღარე ცხელი... მეც მივიფარე თვალებზე ხელი“. („არწივი“, 134-135). ვაჟა-ფშაველას ფიქრით, ბუნების არსნი სიყვარულით არიან გამსჭვალულნი. მრავალ არსებას აუხსნელი საიდუმლო იმქვეყნად მიაქვს. შემოქმედის მიზანია, „უენპირო ბუნებას“ პოეტური სულისკვეთების შესატყვისი რაღაც ათქმევინოს, ხოლო თვითონ კი არწივული სულის თუ „ხასიათის“ მეხოტბედ მოგვევლინოს.

მთა ზოგჯერ პოეტის სევდიანი განწყობილებების თავისებური ფონია. ჭაღარა შემოქმედი დარდს მოუცავს: „სიყრმისა დღენი წავიდნენ – სხივები დილის მზისაო, თან-თან ბინდდება ნათელი ჩემის სიცოცხლის გზისაო. მე წავალ, აქვე დარჩება ქედი მაღალის მთისაო; სხვა ყველა ცვალებადია, უცვალებია ისაო. ცოცხალთ თვალთ სალაღობელი როგორ ამაყად ზისაო“ („გამამერია ჭაღარა“, I, 186). კონტრასტული განცდები, ინდივიდის სიცოცხლის წარმავლობის მინორული გრძნობები და „ცოცხალთ თვალთ სალაღობელი“ მთის მარადი სიმტკიცე, საერთოდ კი სიცოცხლის არსებობის საზრისის გაურკვევლობა შემოქმედს ფიქრებს უმძიმებს. მთა უკვდავია, მაღლიდან უდარდელად დაჰყურებს სიცოცხლის სწრაფწარმავლობას, შეგუებულია აზრს, რომ „იმას სხვა გასთიბს, სხვა მოსძოვს“, არ დარდობს, ყველა დროის თაობებზე უხვად გასცემს სიკეთეს, მაშასადამე, „უფლისა მსგავსად იქცევა, მით უფალს გაჩენია“. ადამიანი კი კოსმიურ მარადიულობათა საპირისპიროდ, ქვეყნის ცვალებად ბედზე და საკუთარ სასრულ სიცოცხლეზე უნდა დარდობდეს. ამგვარი განცდები თუ პარალელები ხშირად იქცევა პოეტის ლირიკულ სახეთა საფუძვლად.

ვაჟა-ფშაველას ლირიკა ნათელყოფს, რომ შემოქმედი სამყარო – ბუნების მოვლენებში ეძიებდა პიროვნების, ინდივიდის სულის მამოძრავებელ სიღრმისეულ მოტივებს. იგი მუდმივად იყურებოდა ბუნების შიგნით, რათა იქ ეპოვა სიკეთე, მშვენიერება, სიბრძნე და ეს მონაპოვარი შემდგომ ადამიანთა სულის გამაფაქიზებელ მხატვრულ სახეებად გადაექცია. მთა პოეტის სულთან იყო შერწყმული: „მთათ მითხრეს: „ნუ დაგვივიწყებ, კარგად აგვხედე, ჩაგვხედე; ჩვენსავით იდეგ მტკიცედა, ვინძლო აროდეს დაჰბერდე. ცხოვრება ჭირიანია, ჭირით არ ერთით, ორითა, შენაც მოგაცხობს ბევრს რასმე, არ აგაშმოროს შმორითა. ჩვენ დაგვიძახე მკურნალად, წამალს მოგაწვდით შორითა“. („მთათ მითხრეს“. I, 226). შემოქმედებითი ტანჯვისა თუ სიხარულის ჟამს პოეტს მთები მრავალნაირი სულიერი სწრაფვების უბადლო შემფასებლად ევლინებოდნენ. ისინი ათასგვარ უბედურებას, ცის რისხვას, სეტყვას, მეხს, ყინვას, ზვავებსა და ქარბუქს უძლებენ, კვლავ ძლიერდებიან და ბუნების ყველა ქმნილებას დაუდგრომელი მოქმედებისა და გაუტეხელი ნების ნიმუშად წარუდგებიან. ისინი თამამად აცხადებენ: „ბუნებისა ვართ გვირგვინი შეუპოვარის მკერდითა“. მთების სიკეთესა და სიმტკიცეს მხოლოდ ცხოველ-ფრინველნი კი არა, მთელი კოსმოსი აფასებს და ეალერსება: „სულ ჩვენ ალერსში არიან ხშირნი ვარსკვლავნი ცაზედა. მზე, მთვარე ვერ მოიჭირვებს შუქი არ დაგვკრან ფხაზედა. წინათ ჩვენ გვიამბორებენ – მთებს არ გასცვლიან სხვაზედა“ („მთათ მითხრეს“, I, 227).

ლექსში „შემოგეხიზნეთ, ქედებო“ მნათობების მსგავსად მთებს ერთგულებასა და სიყვარულს თავად პოეტიც უმხელს. იგი აღტაცებულია მთების თვითმყოფადობით: „შემოგეხიზნეთ, ქედებო, თქვენც შამიხიზნეთ ძმურადა, მოგანდეთ ჩემი სიცოცხლე, ჩემი სვე-ბედი სრულადა. მიმინდეთ, არ მიღალატეთ, არ მომექცეთ მტრულადა, იმიტომ მკერდში მისხედხართ, ვაჟნო, მეორე გულადა“ („შემოგეხიზნეთ ქეტებო“, I, 229-230). ვაჟასათვის ეს სიტყვები არა მარტო მხატვრული განსახიერებაა, არამედ ერთგვარი ცხოვრებისეულ-ბიოგრაფიული უწყვეტი კავშირიც მთებთან. აქ პირდაპირი, ყოფითი აზრიც ჩადო შემოქმედმა, რომელიც ქვეყნის უბედურებით, კაცთა გულგრილობით, გულდამძიმებული, მართლაც, ბუნებას, მშობლიურ მთებს შეეხიზნა. იქ დაინახა სულისთვის სანუგეშო გარემო. იგი ბუნების სიწმინდისა და დიდი წინაპრების ქველობის მხატვრულ განსახიერებაში პოულობდა სულის ამამაღლებელ ენერგიას და ზნეობრივი არსებო-

ბის საზრისს. პოეტი თითქოს აღსარებას წარმოთქვამდა მთათა წინაშე, როცა დარდის შავი ნისლები მოიცავდა და მთათა ხილვა კი სულს გაუჯანსაღებდა: „თქვენ რომ თვალს მოგკრავთ, მაშინვე მოვრჩები თავისთავადა“. მთებისა და პოეტის ასეთი ურთიერთობა ამკვიდრებდა მის პოეზიაში ბედკრული ცხოვრების შეცვლის პათოსს და ქვეყნის წინსვლის იმედს.

შეუდარებელი მხატვრული ხედვის წყალობით, ვაჟა-ფშაველა კაცობრიობის არსებობის ზოგად თავისებურებებს ყოველთვის ბუნებისა და სოციალური ცხოვრების კონტექსტში, მათი უწყვეტი კავშირების ფონზე წარმოისახავდა. მწერლის სულიერ-გონითი შესაძლებლობები ადამიანურ პრობლემათა გასახსნელად ბუნების მრავალგვარობას მოიხმობდა. ბუნების მეშვეობით ან მასთან ადამიანურის შეწონასწორებით ძერწავდა პიროვნებათა იდეალებს. მთა ბუნების ის ქმნილებაა, რომელსაც ვერასოდეს შორდება პოეტის მზერა, გრძნობა და აზრი, თუმცა მთის გვერდით აღტაცებული შეჰყურებს ხევს ლაღად, მქუხარედ მდინარეს, საერთოდ, ბუნების ქმნილებათა მრავალფეროვნებას, სამყაროს ჰარმონიის სიდიადეს: „ქვეყანას, ტურფად მოკაზმულს, მზეს, მთვარეს, ნათლის მფინარსა, და ჩვილს ყრმას, აკვანს მწოლარეს, ტკბილს ოცნებაში მძინარსა; განათლებისა ნაყოფსა, უფლის ტახტამდე მიმყვანსა. ვუმზერ და ვეჭვობ... სიამე ამჟამინდელის ხედვისა მომეწამლება იმ ფიქრით: „რაღა იქნება მერმისა?“ („მთას ვუცქერ ყელმოღერებულს“, I, 257) დიახ, ფიქრი, კითხვა, თუ რა იქნება სამყაროს, ცისა და მიწის მშვენიერების, აკვანში თავის ტკბილ ოცნებებში მძინარი ჩვილის ხილვით მიღებული სიამის შემდეგ, აწუხებს პოეტს. მომავალი კაცობრიობის არსებობისა თავისი ღრმა საზრისით დაუდგენელია, რაც მძაფრ აპოკალიფსურ განცდებსა და მტანჯველ დაეჭვებას იწვევს. პოეტის მიერ თავისთვის დასმული კითხვა „რაღა იქნება მერმისა?“ არსებითად ყველა ადამიანს გულში აქვს ჩაჭდეული, ყველა კრძალვითა და შიშით წარმოისახავს სამყაროს შესაძლო აღსასრულის სურათს, რომელიც თავისი ტრაგიკული ძალით ბევრად აღემატება სიკვდილ-სიცოცხლის ჩვეულებრივ მონაცვლეობას. თუმცა, ვაჟას რწმენით, უშუალო ადამიანური გრძნობები, ლაღი ოცნებები, ბედნიერი სიცოცხლის წყურვილი, წამის სიტკბოებანი, ადამიანში მუდმივად ამარცხებს სამყაროს აღსასრულზე დაბადებულ წარმოდგენებს. იგი წერს: „მოვალეობის გრძნობიანი და დედა თავის შვილთა წუხრ შეჰხარიან ერთმანეთს, თუნდ დაიხოცნენ დილითა. რას დავდევ იმას, მსოფლიოს

რა დღე მოელის ბოლოსა... ოღონდ მე ჩემი წადილი და მღელვარება გულისა ვასრულო, აზრს ვემსახურო, ერთგული ვიყო რჯულისა: ვაკეთო, რაცა მწადიან, რაც მიყვარს, რაცა მწყურისა!" („მთას ვუცქერ ყელმოღერებულს", I, 257). პოეტის გაგებით, კაცობრიობის სიცოცხლის გამართლება, მისი საზრისი თვით, სიცოცხლის განგრძნობისა, ადამიანური არსებობისა თუ წადილის მსახურებაშია. ადამიანური ცხოვრებისა თუ რჯულის ერთგულება კაცთა უმთავრესი და უალტერნატივო ვალია სიცოცხლის წინაშე. ამ ყოვლისმომცველი მოვალეობის გამო არ შეიძლება აწმყოს საზრისი და მშვენიერების განცდა სამყაროს აღსასრულის შიშით იქნეს შენაცვლებული.

ვაჟა-ფშაველა მთების თავისთავადი, განპიროვნებული სახეების შექმნით არ კმაყოფილდება და მათი სიზმრების ახსნაც სურს. ლექსი „მთების სიზმარი" გვიჩვენებს მთათა დიდ შფოთვას ნანახი ამბის გამო. ღმერთის ბრძანებით, მთებმა საკუთარი სახე, ინდივიდუალობა უნდა დათმონ ბარად იქცნენ, რასაც, ცხადია, სიკვდილი ურჩევნიათ. უფლის ბრძანება კატეგორიულია: „მთანო მაღალნო, ბარად იქეცით და ჩაიყოლეთ კლდეებიც თანა!" ასრულდა კიდეც ვითომ ბრძანება, – მთათ დაებჯინათ კისერში დანა: იქცნენ ბარადა, ყველა მათ სთელავს, გუთანს ავლებენ, დათესეს ყანა. მხოლოდ ბარი – კი იმათ მაგივრად უფალმა მაღლა ამოიყვანა". თავზარი დაეცა მთებს, რომ „ათასი მღილი უჭვრეტს მათ გულ-მკერდს, გველები ჰზომენ ძელებისთანა. ღორები სთხრიან, ანადგურებენ, დაჰღრუტუნებენ, უმსგავსოდ თანა. სხვა სურათებიც გულის ამმღვრევი, სხვადასხვა ჯურის მათ მოეზმანა. აღარსად მათთვის ტკბილი ოცნება, ანკარა ნამით პირების ბანა, აღარსად მათზე ცივნი წყარონი, ელვა-მეხითა გულ-მკერდის ფხანა, აღარსად დეკა, არსად პირიმზე, აღარსად შურთხის ლამაზი სტვენა, იაფად ნამი მარგალიტისა, ხშირ-ხშირად ლურჯის ნისლების დენა" („მთების სიზმარი", I, 303). მთები თავს ჯოჯოხეთში წარმოიდგენენ და სიმწრით სული ჰხდებათ.

გარიჟრაჟზე მთებს გამოეღვიძათ და იხილეს, „რომ ისევ-ისე მეფენი იყვნენ და ყველას ესხა ტანზე პორფირი. დილის მზის სხივმა მათ გაუღიმა, წინდაწინ იმათ მიეალერსა". მთებს ეცინებათ თავიანთ სიზმარზე, იმ მეტამორფოზის შესახებ, რაც სიზმარში გამოეხატა და მტკიცედ ირწმუნეს, რომ მთებს მთობას ვერავინ ჩამოჰყრიდა. ბუნების ამ ქმნილებათა სიხარული, სულის ზეიმი იმაში ცხადდება, რომ მათ დასაბამიერ წესრიგს, სიდიადეს, დანიშნულებას ვერავინ წაართმევს. მაშასადამე, დედამიწა-

ზე მუდმივი მრავალფეროვანება იარსებებს. საერთოდ მთებს სწამთ: „იმაზე ცუდი რაღაა, განვსხვავდებოდეთ არათი“. („მთა-თა ერთობა“, IV, 193).

ვაჟა-ფშაველას მრწამსით, ყოველივე არსებულს თავისი მშვენება, თავისი საზრისი აქვს, საკუთარი მისია აკისრია, რომელთაც მთელი სინამდვილის სიდიადე უნდა შექმნან. მაშასადამე, „მთასა აქვს თავის შვენება, ხოლო ბარსა აქვს ბარული, ისიც კი შვენიერია გულს რო ფიქრი მაქვს ფარული“. სამყარო – ბუნების დიადი ერთიანობის შესაქმნელად მიანიჭა დამბადებელმა ყველა არსებულს ინდივიდუალური სახე. ცალკეულ საგან-მოვლენათა თვითმყოფადობის გაცხადება დედამიწის მრავალფეროვნების ღვთაებრივი სურვილის აღიარებაა. ღვთის მიერ შექმნილი ყველა არსი თანასწორია, ერთიმეორეს მსახურებენ, „ემონებიან“ და ამიტომ, პოეტის შეფასებით, ყველა თავის ბედს თუ მისიას უნდა პატრონობდეს – მთვარე მზის წინააღმდეგ აჯანყებულ ვარსკვლავებს მიმართავს: „ყველა დავჯერდეთ თავის ბედს, ღვთისგან ნაბოძებ სახელსა, თორემ, რომ ყველა მზედ ვიქცეთ, უკეთურს ვიზამთ საქნელსა“ („მზე და ვარსკვლავები“ I, 236). აღნიშნულით ვაჟა ერთხელ კიდევ ადასტურებს საკუთარ მრწამსს: „ბუნებას თავის წესი აქვს ყველა მას დაემონება“ (II, 39). ადამიანს, კერძოდ, ხელოვანს თავისუფლება ენიჭება, რათა ბუნებრივ და სოციალურ მოვლენებს შორის მრავალი ასოციაციური მსგავსება იპოვოს და ამით, საერთოდ, კაცთა სულიერების შინაარსი სრულქმნას, გაამდიდროს.

ვაჟა-ფშაველას ლირიკის თავისებურება ის არის, რომ მასში საგან-მოვლენები და მათზე დაფუძნებული სახე-სიმბოლოები ხშირად უძველესი, დასაბამიერი გრძნობების უშუალობით არიან გამოძერწილნი. მათ ისეთი ფუნქცია უნდა ცხადყონ, რომელიც მუდმივი აუცილებლობით არის დაკავშირებული სხვათა არსებობის წესთან ან საზოგადოდ, სამყაროს მთლიანობასთან. პოეტის სიტყვისამებრ, წვიმა უღრუბლოდ ვერ მოვა, მთას საძირკვლად ბარი უნდა ჰქონდეს, სიკვდილი და სიცოცხლე ერთიმეორის გარეშე ვერ იარსებებენ, სიბნელე სინათლით შეიცვლება, ზამთარი – გაზაფხულით, ბოროტება – სიკეთით, სიძულვილი – სიყვარულით და სხვ. მაშასადამე, ხილულ სინამდვილეში ყოველივეს საკუთარი დანიშნულება აქვს და ამასთანავე, საგან-მოვლენებს თანაარსებობის ვალიც აკისრია. სამყარო-ბუნებაში მხოლოდ თავისთვის ვერაფერი იარსებებს და ვერც დაკისრებულ დასაბამიერ ფუნქციას შეასრულებს. ეს ასეა ბუნებაშიც და კაცთა

ცხოვრებაშიც. თუ ბუნებაში წვიმა ღრუბლისგან უნდა წარმოიშვას, ადამიანის სულიერ სამყაროში სინდისმა და სიყვარულმა უნდა დაბადოს სიკეთის, სხვაზე ზრუნვის, სამართლიანობის და სხვა გრძნობები. ყველა არსებულს უსულოს თუ სულიერს ერთიმეორე ესაჭიროება. ბუნების ქმნილებანი აღიარებენ: „უერთმანეთოდ არ ვარგვართ, ეს ქვამ და ხემაც იცის“ („მოგენდო, ისიც მაშინებს“, II, 134). მწერლის ფიქრით, სამყაროსეულ მოვლენათა მარადიული კავშირების სისტემურობაში ამოიკითხება თავისებური გრძნობები, განცდები, გონიერება. მეოცნებე ადამიანის მიერ მასში ზოგჯერ სწორი ზნეობრივი სულისკვეთებაც განიჭვრიტება. ადამიანი სამყარო-ბუნებაში საკუთარი ზნეობის მსგავსს აღმოაჩენს, ანუ უფრო ზუსტად, თავის თავში დაინახავს ბუნების მოვლენათა ანალოგიას. საერთოდ, კაცნი ისწრაფვიან ბუნებაში ის დაინახონ, რაც რაღაცნაირი სახით მათ არსებას მოიცავს.

ვაჟა-ფშაველა აღიარებს, რომ ჩონგურის სიმთა წკრიალი თვალთახედვას უფართოებს და ღრმად სწვდება მისი ზემოქმედების ძალით სინამდვილის ავ-კარგს. პოეტი გრძნობს, რომ ცუდი დრო დგება, მაგრამ სიმღერაზე, ოცნებასა და პოეზიაზე მან ხელი არ უნდა აიღოს. სულიერი ტანჯვისა და დაეჭვების ასეთ დროშიც მას გამამხნევებლად არწივი ეწვევა: „მთისა მოფრინდა არწივი, მხარზე მხარსა მცემს... მიამბო: „კაი ნიშნები გამოჩნდა, ნუ დაჰლონდები ფრიადო, ეცადე გაბედვითა სთქვა, ვინძლო ძმა გააადიადო!“ მეცა ვმხნევდები და ვმღერი: ნუ ჰლაღობ, კაცო ზვიადო, არც შენ შეგრჩება ერთი დრო, გამეფებული წყვდიადო!.. შეგჭამა ძაღლმა და ღორმა მამა-პაპურო ხმიადო!“ ბატონობა, ზვიადობა ერისა და პიროვნებისათვის თავისუფლების წართმევა, უსამართლოთა და მოძალადეთ არ შერჩებათ, ისინი ძაღლისა და ღორის მადით ველარ შეჭამენ ქართველი ხალხისათვის დანატოვარ მამაპაპურ ხმიადს. არწივმაც და მისმა მეხოტბე პოეტმაც ეს იმედი, ანუ „კაი ნიშნები“ ნათლად მეოცე საუკუნის დასაწყისში დაინახეს. თუმცა „ჯანსაღი ნაციონალიზმის“ ერთგულ პოეტს ქვეყნის გულგრილობამ იმედი ამჯერადაც არ გაუმართლა.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ გრძნობათა სიღრმე და ინტერესთა ყოვლისმომცველობა უდიდესი განზოგადების ძალით გამოვლინდა ლექსში „ვიცანი, ღმერთო, სამყარო“. იგი ცდილობს უფალს აუწყოს, რომ შეიცნო მის მიერ შექმნილი სამყარო. თუმცა კი მისი ფიქრით, ადამიანის სულიერ-გონითი შესაძლებლობები შეზღუდულია, მისი სიცოცხლე დასაწყისში ლხინია, ხოლო ბოლოს – ვაი და დარდები. ყველაფერი წარმავალია და დარდის

აღმძვრელი. გავერანდება მშვენიერი ბაღები, ჩამოინგრევა დარბაზთა თვალწარმტაცი თაღები, საერთოდ კი თავისი ბედით ადამიანები „განგების სათამაშოდა, გასართობად ვართ გამხდრები; ერთია, თუნდა ჩვენ ვიყვნეთ და თუნდა მინდვრის თაგვები“. წუთისოფლის წესებს კაცნი ომით, ხმლით, ზარბაზნით, ხვეწნა-მუდარით, ქრთამით და ქველობის გამოჩენით ვერ შევცვლით. სიცოცხლის სამყაროსეული განპირობებულობა კაცთაგან შეუვალია. პოეტი დარდობს, რომ ადამიანის შესაძლებლობები სამყაროს მარადიულ კანონზომიერებებთან შედარებით ძალიან შეზღუდულია: „განგების გასართობნი ვართ ჩვენის ჭირით და ლხინითა, ამის მეტს ვერთუ შესძლებდა, ღმერთმა ინება იმითა, – დაგვღალოს, ოფლი გვადინოს, მერე გაგვაძღოს ძილითა, რომ ბოლოს სიტკბო ვიგემოთ გამსჭვალულებმა ჭირითა“. წუთისოფელში ადამიანის ყოფნა ტანჯვითაა სავსე. იგი თავისი ჭირითა და ლხინით განგების გასართობია, თუმცა ჰგონია, რომ სითბოს მარადიულ სასუფეველში იგემებს. პოეტს არ მოსწონს ადამიანის ასეთი შებოჭილობა, თუმცა ბოლოს მაინც იტყვის: „ალბათ, ასე სჯობს, ჩვენ ვცდებით, ვერ ვსაზღვრავთ ჩვენის ტვინითა იმას, რაც წარმოსდინდება სიწმინდის ჭურჭლის პირითა“. ეს ეჭვნარევი იმედი ტოვებს ფიქრის საფუძველს, რომ მწერალი კაცთა სიცოცხლის ნაკლს მისი სულიერი და ფიზიკური ძალების შეზღუდულობაში ხედავს. მიუხედავად აღნიშნულისა, პოეტის გაგებით, სიცოცხლის საზრისი თვით მისი ორიგინალური არსებობის ღრმა-შინაარსში ძევს. პოეტი ადამიანის ძალას თუ სისუსტეს ყოველთვის უალტერნატივო სამყაროსეულ კანონზომიერებების კონტექსტში აფასებდა. ერთ ლექსში იგი ბუნებას სინანულით მიმართავს: „მაშ კაციც შენებრ ძლიერი ღმერთს რად არ გაუჩენია?!“ (I, 328). ბუნების ცალკეული მოვლენები ვაჟას ლირიკულ სახეთა სისტემაში უშუალოდ ერწყმის სამშობლოს, ერის ბედ-იღბალს და დასახულია პატრიოტული გრძნობების სრულქმნის საფუძვლად.

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ წარმოსახვაში ცა და მასთან მიახლოებული მთა სიწმინდის სახე-სიმბოლოებია. ცასთან მიახლოვება, მთაზე ამაღლება მხოლოდ სულიერი სიწმინდით გატაცებულ ადამიანებს ძალუძთ. ადამიანთა დიდი უმრავლესობა კი სამყაროსეულ სიწმინდეებს ვერ სწვდება, პირიქით, ხშირად, სიბრიყვის გამო, მათ იერსახეს ამახინჯებენ კიდეც. პოეტი მწარედ განიცდის მშვენიერების წარმავლობას, მის უსულგულო ხელყოფას: „მთა იდგა უზარმაზარი, თხემით ცის გულ-მკერდს სწვდე-

ბოდა. ბევრს ჰსურდა მწვერვალზე ასვლა, – ფიქრი ფიქრადვე ჰრჩებოდა... მთისა მწვერვალის შეხება არწივსაც უძნელდებოდა. ვნახე ერთ დღესა, მთა იგი, წაქცეულიყო, კვდებოდა, სათელად იყო ქვეყნისა, ზედ კაჭკაჭები სხდებოდა. უცვლელს ბუნების კანონსა ფიქრი ეხლა-ღა ჰხვდებოდა" („ერთი მეორე", II, 143-144). ბუნებრივი და ადამიანური მშვენიერებანი ხშირად ნარმავალნია, ამიტომ, პოეტის ფიქრით, „ერთის საათის სიტურფე ათას წლისასთან დგებოდა, რადგან დრო გაცუდებისა ამასაც დაუდგებოდა". მწერალს აღაშფოთებს ეს: „რადა? რად არის ესია? ხანდახან ბოლმა მომიკვლის და სნეულივით ვკვნესია". პოეტი მშვენიერების მუდმივი ქომაგია და სევდით ავსებს სილამაზის ხანმოკლე არსებობა. ამიტომ თვითონ ლექსის უკვდავი პოეტური სიტყვის ძალით ცდილობს მარადისობას შემოუნახოს ორიგინალური სახე მშვენიერებისა.

ვაჟა-ფშაველას ლექსი „მთას" მიმართვის ფორმით გამოხატავს პოეტისა და მთების კავშირის მნიშვნელობას, ცხადყოფს მათდამი შემოქმედის განსაკუთრებული სიმპათიკური დამოკიდებულებისა თუ მუდმივი სიყვარულის ძალას. მწერალი ახასიათებს რა მთების არსებას, იმავდროულად წარმოადგენს საკუთარი ხასიათის ნიშნებს, სულის მოთხოვნებს: „ჰოი, მთებო, მთებო! თქვენ, ისევ თქვენა, თორო არ ძალმიძს ამდენთ ჭირთ თმენა". პოეტს პირველად მთებმა, რომლებიც მცველად მაღლიდან დასცქერდნენ, შეაყვარეს თავი. ამ სიყვარულის გამო ეუბნება მათ: „ჩემს ბედადა ვსცან მე თქვენი ბედი! მიყვარხართ მიტომ, რომ ხართ მაღლები, გულუბრყვილონი, როგორც ბალღები; მაგრამ ამაყნი, მტკიცე და ლაღნი". პოეტი მთებს უხსნის, თუ რა ცუდია დაბლობა, ქვემძრომელობა; ამიტომ თქვენ ხართ ჩემი ნუგეში გულ-მკერდში მტკიცედ ჩაკერებულიო. მთების გარეშე ლეში ვარ დუნეო, ხოლო თქვენი ხილვისას ყველა ჭირს ავიტან და ლელოსაც გავიტანო: „თუ წავიჩოქებ, ისევ ავდგები და, როგორც თქვენა, მაგრა დავდგები". მთების ხილვით პოეტის გულში იმედი იღვიძებს, „რომ ამაღლდება ქვეყანა ჩემი, დაბრიყვებული, ნაცემნაგვემი". როგორც ნესი, პოეტის განცდა და ლირიკული სახეები ზოგადის გამომხატველი, საქვეყნო ტკივილის მაუწყებელია. აქ სჭირდება მას ბუნების თანაგრძნობა და გამძლეობის მაგალითი. მთებს პოეტი იმასაც აუწყებს, რომ სიამოვნების გარდა ბევრჯელ თქვენმა ყინვამ, სეტყვამ და წყალ-ღვარმა თავბედი მაწყევლინაო. თუმცა კი, როცა ტანჯვა გაქრებოდა, „ვნახე, ჩემს გულში ვარდი ეთესა". ამიტომ, „როცა თქვენ გხედავთ, კვლავ

შრომას ვბედავ, თქვენთან კავშირსა მე ვერ გავწყვეტავ. გავერანდება სიცოცხლე ჩემი, ვით უპატრონოდ ზღვაზედა გემი". თქვენგან გამხნეებული, – მიმართავს პოეტი მთებს, – ვებრძვი მონობასა და მტარვლობას: „მეც, როგორც თქვენა, ვერ მოვხრი ქედსა, ვერ დავემონვი უბედურ ბედსა. გზას გავუკაფავ ჩემ დანაყბედსა, როგორაც თქვენა – წყაროს და ხევსა" („მთას". II, 167). მაშასადამე, შემოქმედი მთათა სიმტკიცით უნდა უკაფავდეს გზას საკუთარ ხელოვნებას, მის ძალასა და მნიშვნელობას. ისე უნდა მართავდეს თავის მხატვრულ ნააზრევს, როგორც მთები მართავენ ხევებისა და წყაროების დინებას. ვაჟა-ფშაველას სიმაღლეებისაკენ ლტოლვა მიაჩნია სულიერი გამარჯვების საწინდრად: „მიყვარს სიმაღლე, მით მიყვარს მთები, მიტომ ვმაღლდები და არა ვკვდები", ჩემი ოცნება თქვენთან დარჩება საუკუნოდა და არც გაქრება, თუმცა სიცოცხლე ჩემი დაშრება". მართლაც, ბუნების ხილვისა და სიყვარულის ვაჟასეული პოეტური უნარები ათასწლეულებს გადასწვდება და დაადასტურებს მწერლის თეორიულ აზრს: „რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ..." (IX, გვ. 395). ბუნებისადმი ხელოვანთა სიმპათიკური დამოკიდებულება გარემოზე ყოვლისმომცველი, კეთილისმყოფელი ზემოქმედების მომხდენი ძალაა, ამიტომაც ვაჟას ამ ლექსში, ვფიქრობთ, თავისებურად, ორიგინალურად არეკლილია ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთების" პათოსიც.

ვაჟა-ფშაველას, როგორც ლირიკოსს, არასოდეს სტოვებს კონკრეტულისაგან მოვლენების კავშირ-მიმართებათა ჩვენების საფუძველზე საქვეყნო ზოგადი პრობლემების გამოხატვის სურვილი. ლექსი „არწივის დარდი" ასეთი ზოგადი პატრიოტული აზრის გამომთქმელია. არწივი მრისხანებით აუვსია საიდანღაც „მოთრეული" წერობის მიერ მის კუთვნილ მთა-ბარზე ნავარდს. ზრდილობიანი სიტყვითაც კი არაფერი ჰკითხეს მიწა-წყლის პატრონს: „მე მითომ აღარც კი ვიყო, და ჩემის მიწა-წყალითა ჰსურთ იქეიფონ და მე კი მაცქერინებდნენ თვალითა?! მოკვდი, არწივო, მაშინა გათავდი თავის ბრჯღალითა". შურის მაძიებელი „არწივის რჩოლა და ქროლვა მეხად ტყვრებოდა ცაზედა", ხოლო ბრძოლის შედეგს თავპირდაჩეხილი წეროებით მოფენილი დედა-მიწა აჩვენებდა. წეროებს ვერაფერი უშველა დიდმა სიმრავლემ, თვალნათლივი აზრის სიმბოლურ-ალეგორიული ხატია შექმნილი. გამარჯვებული არწივი „თავად ცაშია თამაშობს, მიმოუქროლა სფეროთა. კოტრიალობდა ცის მკერდზე, ყაშყაშებს... დიახ

მღეროდა. საამო თუა მტრის ცემით რომ გული მოვიჯეროთა?!" („არწივის დარდი", II, 176-177) ეს კითხვა მარად იდგა ქართულ მწერლობაში.

ვაჟა-ფშაველამ „მარტოობა" დაარქვა ერთ ლექსს იმის გამო, რომ თურმე პოეტს დიდი ხანია არწივი არ სწვევია. შემოქმედს თუ არწივი არ დაჰყეფს თავზე ან მარჯვენა მხარზე არ აზის, მაშინ იგი დაძაბუნებულია, ბრძოლის ჟინდაკარგული და მტერიც კარზე ჯალათად ადგას. პოეტს მარტოს, არწივის გარეშე ავისა თუ კარგის შეფასების უნარიც აღარ შესწევს. მას, როცა არწივის სახით მუზათა მფარველი ღვთაება გამოეცხადება, მაშინ „მყის ვტოვებ დედამიწასა, გადავსახლდები ცაზედა, ხან ფანდურს შევაჟღარუნებ, ხან დავამღერებ თარზედა. როცა არწივი თან მახლავს, მაზის მარჯვენა მხარზედა, – მეფისა მადგა გვირგვინი, ვზივარ სამეფო ტახტზედა! შეურაცხყოფას ვინ მკადრებს? სალამს მაძლევენ ცდაზედა. როცა არწივი წამივა, „ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა. დამმალეთ, ნუ გამომაჩენთ, არ შესცდეთ დამსვათ ჯარზედა" („მარტოობა", II, 216). აქ არწივის ლირიკული სახე სამყაროსადმი პოეტის დამოკიდებულების ღვთაებრივ-რწმენით შინაარსსა და ბუნების განუზომელი ესთეტიკური ღირებულების ძალას, წარმტაც კოსმიურ მთლიანობად წარმოადგენს. ბუნების ეს ქმნილება, ფრინველთა მეფე პოეტთან მუზის მობრძანების მაცნე და მძლავრი მხატვრული შთაგონების ხატია.

ვაჟა-ფშაველას მაღალი მთები და არწივთა ბოინი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეცხადებოდა სიმტკიცის, სულიერი სიწმინდისა და მშვენიერების სახე-სიმბოლოებად. პოეტს მთები ესაუბრებოდნენ და სულიერ-ზნეობრივი შეჭირვების ჟამს განსაკურნებელ წამალს ჰპირდებოდნენ. არწივს კი ვაჟა შორიდანვე სცნობდა ხმაზე და მისი გამოცხადებისთანავე მხატვრული წარმოსახვით ცაზე გადასახლდებოდა, სადაც ხან ფანდურს შეაჟღარუნებდა, ხან ტკბილი ხმით თარზე დაამღერებდა. იქ მუზათა სამყაროში, პოეტი ბევრჯერ ტიროდა და ცრემლს ღვრიდა და უფლის წინაშე მხურვალედ ლოცულობდა ქვეყნისათვის, ხოლო ზოგჯერ კი ბრაზმორეული „შხამს ანთხევდა შხამზედა". როცა მტერი სულს უხუთავდა და კარზე ჯალათად ადგა, პოეტი მთელს ბუნებას მხარდასაჭერად მოიხმობდა. იგი ხშირად ნატრობდა არწივის მოსვლასაც: „არა ჩანს ჩემი არწივი, რო მხარი დამკრას მხარზედა, ავენთო როგორც საკირე, დავიწვა თავის ალზედა, ან თოფის ჩახმახს მოვზიდო, ხელი დავიდვა ხმალზედა" (II, 216). ბუნების დიად ქმნილებების შემოქმედის ცნობიერებაში შემოჭრი-

სას, იგი „საკირის ალივით ენთება“, პოეტურად იწვის და ამასთანავე, მამულის საშველად თოფისა და ხმლისაკენ მკლავიც მიიწევს. ამგვარ ვითარებისას ვაჟა ბუნებაშია, ხოლო ბუნება მასშია, რადგან „არწივის ყეფა“ მას სიკეთისა და სამართლიანობისათვის საბრძოლველად განაწყობს, მიწაზე, კაცთა შორის ბედნიერების დასამკვიდრებლად ამოქმედებს.

ლექსი „ათასნაირი ნაღველი“ ვაჟამ 1912 წელს გამოაქვეყნა. ეს ის დრო იყო, როცა მწერალი სოფლურ ცხოვრებას, პირად ბედს და შემოქმედებითი შრომის უმძიმეს პირობებს უჩიოდა. ორმოცდაათი წლის, დიდი ფიზიკური და გონებრივი შრომით ჯანგატეხილი პოეტი უბრალო, თავის სარჩენ სამსახურს ითხოვდა თბილისში. ამგვარი შინაარსის წერილებს სწერდა ნაცნობ მოღვაწეებს. ამ ლექსის დაწერიდან სამი წლის შემდეგ იგი ისე წავიდა წუთისოფლიდან, რომ უბრალო სამსახურიც არ ეღირსა. ამიტომ, იგი ათასნაირი სანაღვლო მოვლენიდან უმადურობამ დააფიქრა, შემაძრწუნებელი კითხვები აღუძრა: „ვისთვისა ვსტირი და ვშრომობ, შავად ვათენებ ღამეთა? რისთვის დავლიე სიცოცხლე ასე ტანჯვით და მწარედა? ჩემ შინ პურს აღარ მაჭმევენ, ლანძღვით გამაგდეს გარეთა... უმადურობის ისრებით გამსჭვალული მაქვს სხეული. საშინელია, ვინც იცის, უმადურობით სნეული: თვალით არა სჩანს, რომ გული ცრემლის ტბად არის ქცეული, არ შეიძლება კაცისთვის ჭირი იმაზე წყეული!“ (II, 212). ხედავს, რომ მოყვასისათვის დამაშვრალი პოეტის სიცოცხლე „ძმათ მიერ გათარსებულა“. ამის გამო დასცინის მას ეშმაკი და თავზე ქოქოლას აყრის. პოეტი გულს არ იტეხს და იმედის, რწმენის, სიკეთის საფუძვლად კვლავ ბუნების, მთების, არწივის, გონიერება-მშვენიერების ხილვას მიიჩნევს: „დავაშტერდები მთებს მაღლებს, არწივს, ცად გადმომავალსა, უკან ვაბრუნებ ფიქრებსა, საჩხუბრად ამომავალსა. აღარ ვაკვეხებ არავის, თავის თავგადასავალსა. ტანჯვა ვერ გამტეხს, ავიტან, უმადურობას მრავალსა. არ ვუღალატებ სიცოცხლით გზას ჩემს ეკლიანს სავალსა“ (II, 213). ბუნების ქმნილებათა ზემოქმედებით, პოეტი უკან აბრუნებს საჩხუბრად შემზადებულ ფიქრებს, აწყნარებს მათ და უმადურთა მიმართაც მიმტევებელი ხდება.

ლიტერატურა

1. არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1944.
2. ასათიანი გ., „ვეფხისტყაოსნიდან-ბახტრიონამდე", თბ., 1974.
3. ბანძელაძე გ., ეთიკა, თბ., 1962.
4. ბარნოვი გ., ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხალხური წყაროები, თბ., 1960.
5. ბაქრაძე ა., ფიქრი და განსჯა, თბ., 1972.
6. ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990.
7. ბატონიშვილი ი., კალმასობა, I, თბ., 1936.
8. ბენაშვილი დ., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961.
9. ბერდიაევი ნ., ერი და კაცობრიობა, თბ., 1993.
10. ბერდიაევი ნ., ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, თბ., 2001.
11. ბოცვაძე ი., ვაჟა-ფშაველა და მისი კრიტიკოსები, თბ., 1965.
12. ბუაჩიძე თ., სიცოცხლის ფილოსოფია, თბ., 1991.
13. ბუაჩიძე თ., თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან, თბ., 1986.
14. გაჩეჩილაძე ა., გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე" და პოემა „გველის მჭამელი", თბ., 1959.
15. გაწერელია ა., რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1965.
16. გოგუაძე ვ., ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი, თბ., 1980.
17. დანელია ს., ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, თბ., 1927.
18. დობორჯგინიძე ბ., ბუნება და ადამიანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, თბ., 1962.
19. ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისთვის, ტ.I, თბ., 1977.
20. ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1989.
21. ევგენიძე ი., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 2000.
22. ვაჟა-ფშაველა, ლექსები, ტ. I, ტფ., 1928.
23. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I-V, თბ., 1961.
24. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I-X, თბ., 1964.
25. ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1967.
26. ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, ქრესტომათია, თბ., შემდგენელი ი. ბოცვაძე, 1955.
27. ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი", თბ., 1972.

28. ვაჟას კრებული, ტ. I, თბ., 1970.
29. ვაჟას კრებული, ტ. II, თბ., 1982.
30. ვაჟას კრებული, ტ. III, თბ., 1991.
31. ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1961.
32. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966.
33. ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა, თბ., 1975.
34. ვაჟა-ფშაველას თხზულებები, თბ., 1979.
35. ვართაგავა იპ., წერილები, მოგონებები, თბ., 1975.
36. ვირსალაძე ელ., რჩეული ხალხური ზღაპრები, თბ., 1949.
37. ზანდუკელი მ., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1953.
38. თედორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წიგნი I, თბ., 1931.
39. თედორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წიგნი II, თბ., 1939.
40. თეთრუაშვილი ლ., ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობისათვის, თბ., 1982.
41. ინგოროყვა პ., ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლები, თბ., 1975.
42. კაკაბაძე ზ., ფილოსოფიური საუბრები, თბ., 1988.
43. კაშია ჯ., გველის მჭამელი, პარიზი, 1989.
44. კეკელიძე პ., აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები, თბ., 1961.
45. კვესელავა მ., ფაუსტური პარადიგმები, წიგნი პირველი, თბ., 1961.
46. კვესელავა მ., ფაუსტური პარადიგმები, წიგნი მეორე, თბ., 1961.
47. კიკაჩეიშვილი თ., კონსტანტინე გამსახურდიას პროზის პოეტიკა, თბ., 1982.
48. კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.
49. კიკნაძე გრ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957.
50. კიკნაძე გრ., ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978.
51. კიკნაძე გრ., ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972.
52. კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959.
53. კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, თბ., 1961.
54. ლაისტი ა., საქართველოს გული, თბ., 1963.
55. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1986.

56. ლიტერატურული ძიებანი, შრომების კრებული, ტ. III, თბ., 1943.
57. ლიტერატურული ძიებანი, შრომების კრებული, ტ. XV, თბ., 1964.
58. მაკალათია ს., ფშავი, ტფ., 1934.
59. მაკალათია ს., ხევსურეთი, ტფ., 1935.
60. მახარაძე აპ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1962.
61. მენაბდე ლ., „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, თბ., 1967.
62. მინაშვილი ლ., ილია ჭავჭავაძე, თბ., 1995.
63. ნადირაძე გ., რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.
64. ნათაძე ნ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1973.
65. ნორაკიძე ვ., ხასიათის ფსიქოლოგია და ხელოვნება, თბ., 1962.
66. ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1955.
67. რამიშვილი დ., მეტყველების სხვადასხვა სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისთვის, თბ., 1963.
68. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1970.
69. სირაძე რ., ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.
70. სიხარულიძე ქ., ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956.
71. ტაბიძე ტ., თხზულებანი სამ ტომად, ტ. II, თბ., 1966.
72. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940.
73. უზნაძე დ., ფილოსოფიური შრომები, თბ., 1986.
74. ფარულავა გრ., მხატვრული სახის ბუნებისთვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982.
75. ფშაური ლექსები, შეკრებილი დავით ხიზანიშვილის მიერ, ტფ., 1887.
76. ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ, თბ., 1970.
77. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I-XII, თბ., 1972-1980.
78. ქიქოძე გ., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1946.
79. ქიქოძე გ., რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. II, თბ., 1964.
80. ქიქოძე გ., რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბ., 1965.
81. ქუთელია ა., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1947.
82. ყუბანეიშვილი ს., ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 1961.
83. შანიძე ა., ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931.

84. შენგელია დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1955.
85. შუშანაშვილი გ., ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები, თბ., 1990.
86. შუშანაშვილი გ., ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა, თბ., 1980.
87. ჩიქოვანი მ., ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, თბ., 1956.
88. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1975.
89. ჩიქოვანი ს., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1963.
90. ჩხენკელი თ., ტრაგიკული ნიღბები, თბ., 1971.
91. ჩხენკელი თ., მშვენიერი მძლევარი, თბ., 1978.
92. ცერცვაძე ლ., გენიოსის პრობლემა გერმანულ კლასიკურ ესთეტიკაში, თბ., 1988.
93. ძველი საქართველო, ტ. II, თბ., 1913.
94. წონკოლაური დ., ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და მხატვრული სტრუქტურის საკითხები, თბ., 1982.
95. წონკოლაური დ., ვაჟა-ფშაველას ეპიკური სახეების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1985.
96. ჭრელაშვილი ლ., ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ატრიბუცია და შემოქმედებითი ისტორია, თბ., 1985.
97. ჭუმბურიძე ჯ., მწერლები და კრიტიკოსები, თბ., 1974.
98. ხალხური სიტყვიერება, ტ. III, ხალხური ლექსები, თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, თბ., 1953.
99. ხახანაშვილი ა., ქართული სიტყვიერების ისტორია, (XIX), 1912.
100. ხიზანიშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, ტ. II, თბ., 1940.
101. ხინთიბიძე ე., მსოფლმხედველობრივი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1978.
102. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960.
103. ჯიბლაძე გ., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1958.
104. ჰაიზინგა ი., ადამიანი მოთამაშე, თბ., 1997.
105. ჰეგელი ფ., ესთეტიკა, ტ. I, თბ., 1973.
106. Античные мыслители об искусстве, М.. 1938.
107. Арнаудов М., Психология литературного творчества, М., 1970.
108. Ауэрбах Э., Мимесис, М., 1976.
109. Бальзак О., Собрание соч. в 15 томах, Т.15, 1955.
110. Бахтин М., Проблемы поэтики Достоевского, М.. 1963.
111. Бахтин М., Вопросы литературы и эстетики, М., 1975.
112. Бахтин М., Эстетика словесного творчества. М., 1979.
113. Бердяев Н., Смысл творчества, 1916.

114.Бессознательное. Природа, функции, методы исследования, Т.II, Тб., 1978.
115.Бочаров С., Характеры и обстоятельства, в кн.: Теория литературы, кн.I, М.,1962.
116.Буров Л., Эстетическая сущность искусства, М., 1953.
117.Верли М., Общее литературоведение, М., 1957.
118.Веселовский А., Историческая поэтика, Л., 1940.
119.Вундт В., Этика, СПБ., 1887.
120.Выготский Л., Психология искусства, М., 1965.
121.Виноградов В., Сюжет и стиль, М., 1963.
122.Гартман Н., Эстетика, М., 1958.
123.Гегель Ф., Эстетика, Т. I, М., 1968.
124.Гегель Ф., Эстетика, Т. II, М., 1969.
125.Гегель Ф., Эстетика, Т. III, М., 1971.
126.Гегель Ф., Эстетика, Т. IV, М., 1973.
127.Гегель Ф., Философия духа, соч., Т.III, 1956.
128.Гегель Ф., Философия религии, Т. I, М., 1976.
129.Ген Н., Искусство слова, М., 1967.
130.Гинзбург Л., О литературном герое, Л., 1979.
131.Горнфельд. А., Как работали Гете, Шиллер и Гейне, М., 1933.
132.Горький М., О литературе, М., 1953.
133.Горький М., Собрание соч.т. I, 26, 1953.
134.Горький М., Собрание соч., Т.27, 1953.
135.Гулыга А., Принципы эстетики, М., 1987.
136.Добин Е., Сюжет и действительность, искусство детали, Л., 1981.
137.Жирмунский В., Теория стиха, Л., 1975.
138.Каган М., Человеческая деятельность, Л., 1974.
139.Какабадзе З., Человек как философская проблема, Тб., 1976.
140.Ковалевский М., Современный обычай и древний закон, т. II, М., 1886
141.Кон Ци., Открытие «Я», М, 1972.
142.Леви-Брюль Л., Сверхъестественное в первобытном мышлении, М., 1937.
143.Лессинг Г., Лаокоон... М., 1957.
144.Лессинг Г., Гамбургская драматургия, М., 1936.
145.Лифшиц М., Мифология древняя и современная, М., 1980.
146.Лихачев Д. Человек в литературе древней Руси, М., 1970.
147.Лосев А., Гомер, М., 1960.

148.Лосев А., Проблема символа и реалистическое искусство, М., 1976.
149.Лосев А., История античной эстетики, М., 1969.
150.Лотман Ю., Анализ поэтического текста, Л., 1972.
151.Лундберг Е., и Гогоберидзе Е., Важа-Пшавела, Тб., 1959.
152.Ман Т., Собрание сочинений, т.9, М., 1960.
153.Марр Н., Вопросы «Вепхисткаосани» и «Висрамиани», Тб., 1966.
154.Мелетинский Е., Происхождение героического эпоса, М., 1963.
155.Мелетинский Е., Поэтика мифа, М., 1976.
156.Мифологии древнего мифа, М., 1977.
157.Миф-фольклор-литература, Л., 1978.
158.Мопасан Ги де, Полное собрание соч., т. 9, 1948.
159.Палиевский П., Литература и теория, М., 1979.
160.Поспелов Г., Теория литературы, М., 1978.
161.Рибо Т., Психология чувств, Киев-Одесса-Петербург, 1912.
162.Рубинштейн С., Бытие и сознание, М., 1967.
163.Русские писатели о литературном труде, т.3, Л., 1939.
164.Русские писатели о литературе, т.1, Л. 1939.
165.Спиркин А., Сознание и самосознание М., 1972.
166.Тен И., Философия искусства, М., 1939.
167.Теория литературы, кн. 1, М., 1962.
168.Теория литературы, кн. 2, М., 1964.
169.Теория литературы, кн. 3, М., 1965.
170.Тимофеев Л.И., Основы теории литературы, М., 1971.
171.Томашевский Б.В., Теория литературы, М.Л., 1931.
172.Уэллек Р., Уоррен О., Теория литературы, М., 1978.
173.Храпченко М.Б, Горизонты художественного образа, М., 1982.
174.Чавчавадзе Н., Культура и ценности, Тб., 1984.
175.Шерозия Н., Психика, сознание, бессознательное, Тб.1979.
176.Штеинер Р., Мистерии древности и христианство, М., 1990.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 5

თავი I. ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვა და პოეტური იდეალი 17

თავი II. ბუნებრივ-სოციალურ და ესთეტიკურ-მხატვრულ ფენომენთა ვაჟასეული ხედვა 76

თავი III. ვაჟა-ფშაველა, როგორც შემოქმედებითი პროცესისა და ლიტერატურული ნანარმოების მხატვრული სტრუქტურის შემფასებელი 104

თავი IV. დადებით და უარყოფით ზნეობრივ ღირებულებათა დინამიკისათვის ვაჟა-ფშაველას პოემების სიუჟეტში („გოგოთურ და აფშინა", „ახუნდი") 131

თავი V. სინდისის პრობლემა და მისი მხატვრული განსახიერების ფორმები ვაჟა-ფშაველას თხზულებებში..... 169

თავი VI. ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა პრობლემა „ალუდა ქეთელაურსა" და „სტუმარ-მასპინძელში" 202

თავი VII. „სტუმარ-მასპინძლის" ხალხურობის შესახებ..... 244

თავი VIII. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების ღირებულებითი ორიენტაციები „გველის მჭამელსა" და „მთათა ერთობაში" 286

თავი IX. „გველის მჭამელის" ფოლკლორული წყაროები და შემოქმედებითი ისტორია 329

თავი X. „ბახტრიონის" სიუჟეტი და ხალხური წყაროების პრობლემა 369

თავი XI. მხატვრულ ღირებულებათა ბუნების შესახებ „ბახტრიონსა" და „გველის მჭამელში" 406

თავი XII. ტრადიციული და ახალი ეთიკურ-ესთეტიკური ფასეულობები ვაჟა-ფშაველას კაი ყმის სახეში..... 431

თავი XIII. ვაჟა-ფშაველას ლირიკის ბუნებისათვის 474

თავი XIV. მთა და არწივი ვაჟას ლირიკის სამყაროში 511

ლიტერატურა 532

გამომცემლობის რედაქტორი მარინე ვარამაშვილი
გარეკანის დიზაინი თინათინ ჩირინაშვილი
კომპ. უზრუნველყოფა ხათუთა ბადრიძე

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.
www.press.tsu.ge (25-14-32)